Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)
http://ciml.250x.com

Georgian Section
www.joseph-stalin.net

SHMG Press – 2012
Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

კ. მარქსი

ზედმეტი ღირებულების თეორიები

(„კაპიტალის“ მეოთხე ტომი)

ნაწილი II

★

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერდით!

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ
კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის
ინსტიტუტის ფილიალი

კ. მარქსი

ზედმეტი ღირებულების თეორიები

(„კაპიტალის" მეოთხე ტომი)

ნაწილი მეორე

★

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1968

კ. მ ა რ ქ ს ი

ზედმეტი ღირებულების თეორიები

(«კაპიტალის» IV ტომი)

ნაწილი მეორე (თავები VIII — XVIII)

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისაგან

კ. მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ („კაპიტალის“ IV ტომის) წინამდებარე მეორე ნაწილი გერმანულიდან თარგმნა პ ა ვ ლ ე ი ა შ ვ ი ლ მ ა იმავე პუბლიკაციების საფუძველზე, რაც მითითებული გვაქვს პირველი ნაწილის ქართული გამოცემისათვის წამძღვარებულ ცნობაში.

მეორე ნაწილის ქართული თარგმანის რედაქცია შეასრულეს დ ა ვ ი თ ლ ა შ ქ ა რ ა ძ ე მ და ვ ა ლ ე რ ი ა ნ მ ე ლ ქ ა ძ ე მ.

[თავი მერვე]

ბატონი როდბერტუსი. მიწის რენტის ახალი თეორია (გადახვევა) [1]

[1) ბარბი ზედმეტი ღირებულება მიწათმოქმედებაში. მიწათმოქმედების უფრო ნელი განვითარება მრეწველობასთან შედარებით კაპიტალიზმის პიროობებში]

[X — 445] *Herr Rodbertus.* Dritter Brief an von Kirchmann von Rodbertus: Wiederlegung der Ricardoschen Lehre von der Grundrente und Begründung einer neuen Rententheorie. Berlin, 1851.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: როცა ვამბობთ, რომ აუცილებელი ხელფასი 10 საათს უდრის, ყველაზე მარტივად ეს შეიძლება განვმარტოთ ასე: თუ 10 საათის შრომა (ე. ი. ფულის თანხა, რომელიც 10 საათს უდრის) საშუალოდ შესაძლებლობას აძლევს სოფლის მეურნეობის დღიურ მუშას იყიდოს მისთვის აუცილებელი ყველა საარსებო საშუალება — მიწათმოქმედების, მრეწველობის პროდუქტები და ა. შ., — მაშინ ეს არის სწორედ საშუალო ხელფასი არაკვალიფიციური შრომისათვის. აქ, მაშასადამე, ლაპარაკია მუშის იმ ყოველდღიური პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე, რომელიც მას უნდა ერგოს. ეს ღირებულება არსებობს პირველად იმ ს ა ქ ო ნ ლ ი ს ფორმით, რომელსაც იგი აწარმოებს, ე. ი. ა მ ს ა ქ ო ნ ლ ი ს გარკვეული რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს სახით, რომელზე გაცვლითაც მას შეუძლია — აქედან თვით მის მიერ მოხმარებული ნაწილის გამოკლების შემდეგ (თუ იგი ამ საქონელს მოიხმარს) — შეიძინოს მისთვის საჭირო საარსებო საშუალებანი. ამრიგად, აქ მისი აუცილებელი «შემოსავლისათვის» მნიშვნელობა აქვს მრეწვე-

ლობას, მიწათმოქმედებას და ა. შ., და არა მარტო იმ სახმარ ღირებულებას, რომელსაც იგი თვით აწარმოებს. მაგრამ ამას შეიცავს თვით საქონლის ცნება. მუშა აწარმოებს საქონელს და არა უბრალოდ პროდუქტს. მაშასადამე, ამაზე ლაპარაკი საჭირო არ არის.

ბ-ნი როდბერტუსი პირველ რიგში იკვლევს თუ როგორი ვითარებაა იმ ქვეყანაში, სადაც მიწისა და კაპიტალის მფლობელობა ერთმეორისაგან გათიშული არ არის, და აქ იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიდის, რომ რენტა (რითაც იგი მთელ ზედმეტ ღირებულებას გულისხმობს) უბრალოდ უდრის ფასგადაუხდელ შრომას ანუ პროდუქტთა იმ რაოდენობას, რომლითაც ეს ფასგადაუხდელი შრომა გამოიხატება.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ როდბერტუსს მხედველობაში აქვს მხოლოდ შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების ზრდა, ე. ი. ზედმეტი ღირებულების ზრდა, რამდენადაც ეს უკანასკნელი გამოწვეულია შრომის მზარდი ნაყოფიერებით, და არა ზედმეტი ღირებულების ზრდა, რამდენადაც მას თვით სამუშაო დღის გაგრძელება წარმოშობს. ყოველი აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება, რა თქმა უნდა, გარკვეული აზრით შეფარდებითია. შრომა უნდა იყოს საკმაოდ ნაყოფიერი იმისათვის, რომ მუშას არ სჭირდებოდეს მთელი თავისი დროის დახარჯვა საკუთარი თავის რჩენაზეო. მაგრამ აქ იწყება სწორედ განსხვავებაც. სხვათა შორის, თუ თავდაპირველად შრომა ნაკლებად ნაყოფიერია, სამაგიეროდ მოთხოვნილებანიც (მაგალითად, მონისა) უაღრესად მარტივია, და თვით ბატონები მსახურებზე ბევრად უკეთ როდი ცხოვრობენ. შრომის შეფარდებითი ნაყოფიერება ჯერ კიდევ არ არის იმდენად მაღალი, რომ შესაძლო იყოს გაჩნდეს მოგების მომხვეჭი პარაზიტი, და თუ ჩვენ მოგების მაღალ ნორმის ვხვდებით იქ, სადაც შრომა ჯერ კიდევ მეტად დაბალნაყოფიერია, სადაც არაა გამოყენებული მანქანები, შრომის დანაწილება და ა. შ., ეს აიხსნება მხოლოდ შემდეგი გარემოებით: ან მუშის მოთხოვნილებანი, როგორც ეს ინდოეთშია, აბსოლუტურად მცირეა და თვით მუშა იმდენად დაბეჩავებულია, რომ მოთხოვნილებათა ამ უბადრუკ დონეზე კიდევ უფრო დაბლა ეშვება, ხოლო, მეორე მხრივ, შრომის დაბალი ნაყოფიერება იდენტურია ძირითადი კაპიტალის მცირე მოცულობისა ხელფასზე დახარჯული კაპიტალის ნაწილთან შედარებით, ან, რაც იგივეა, იდენტურია შრომაზე დახარჯული კაპიტალის ნაწილის დიდი მოცულობისა ერთობლივ კაპიტალთან შედარებით, — ანდა



კ. მარქსი «ზედმეტი ღირებულების თეორიების»
ხელნაწერის მეორე ნაწილის პირველი გვერდი
(გვერდი 445-ე 1861 — 1863 წლების ხელნაწერის X რვეულში)

სამუშაო დრო მეტისმეტად გაგრძელებულია. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს ისეთ ქვეყნებში (მაგალითად, ავსტრია და სხვ.), სადაც კაპიტალისტური წარმოების წესი უკვე არსებობს, მაგრამ ამ ქვეყნებს კონკურენციის გაწევა უხდებათ იმ ქვეყნებთან, რომლებმაც განვითარების გაცილებით უფრო მაღალ საფეხურს მიაღწიეს. ხელფასი აქ შეიძლება მეტად მცირე იყოს — ნაწილობრივ იმის გამო, რომ მუშის მოთხოვნილებანი უფრო ნაკლებადაა განვითარებული, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ მიწათმოქმედების პროდუქტები უფრო იაფად იყიდება, ანდა მათ, რაც კაპიტალისტისათვის იმავეს ნიშნავს, ნაკლები ფულადი ღირებულება აქვთ. შრომის დაბალი ნაყოფიერების პირობებში უმნიშვნელოა პროდუქტის ის რაოდენობაც, რომელიც მუშის ხელფასზე მოდის და აუცილებელი სამუშაო დროის, ვთქვათ, 10 საათის განმავლობაში იწარმოება. მაგრამ თუ 12 საათის ნაცვლად მუშა 17 საათს მუშაობს, ამას შეუძლია ანაზღაუროს (კაპიტალისტისათვის) შრომის დაბალი ნაყოფიერება. საერთოდ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რადგან რომელიმე ქვეყანაში შრომის შეფარდებითი ღირებულება ეცემა ამ ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე, ამიტომ ხელფასი სხვადასხვა ქვეყანაში უეჭველია შრომის ნაყოფიერებისა. სინამდვილეში პირიქით ხდება. რაც უფრო მწარმოებლურია ესა თუ ის ქვეყანა სხვასთან შედარებით მსოფლიო ბაზარზე, მით უფრო მაღალია იქ ხელფასი სხვა ქვეყნებთან შედარებით. არა მარტო ნომინალური, არამედ რეალური ხელფასიც ინგლისში უფრო მაღალია, ვიდრე კონტინენტზე. მუშა უფრო მეტ ხორცს ჭამს, უფრო მეტ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს. ოღონდ ეს ითქმის მრეწველობის და არა სოფლის მეურნეობის მუშაზე. მაგრამ ხელფასი ინგლისში იმდენად დიდი როდია, რამდენადაც ინგლისელი მუშების შრომის ნაყოფიერება სხვა ქვეყნების მუშების შრომის ნაყოფიერებას აღემატება.

მიწის რენტა საერთოდ (ე. ი. მიწის საკუთრების თანამედროვე ფორმა) — თვით ფაქტი მისი არსებობისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიწის რენტის სხვადასხვაობას, რაც მიწის ნაკვეთების ნაყოფიერების სხვაობითაა გამოწვეული, — შესაძლებელი იქნებოდა უკვე იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობის მუშების საშუალო ხელფასი მრეწველობის მუშების საშუალო ხელფასზე უფრო დაბალია. რადგან აქ კაპიტალისტი, პირველად ტრადიციის მიხედვით (ძველი დროის მოიჯარე ხომ კაპიტალისტი ხდება უფრო ადრე, ვიდრე კაპიტალისტები მოიჯარენი გახდებიან), იმთავითვე თავისი მოგების ნაწილს მიწის მესაკუთრეს აძლევდა, ამიტომ იგი ამას ინაზღაურებს

ხელფასის დაწევით მის დონეზე დაბლა. სოფლიდან მუშების გაქცევასთან ერთად ხელფასი უნდა გადიდებულიყო და იგი მართლაც გადიდდა. მაგრამ საკმარისია ასეთმა ზეგავლენამ ოდნავ თავი იჩინოს და მაშინვე ხდება მანქანების შემოღება და ა. შ., და სოფლად კვლავ იქმნება ჭარბმოსახლეობა (შეფარდებითი) (შეად. ინგლისი). ზედმეტი ღირებულება შეიძლება გადიდდეს სამუშაო დროის გაუგრძელებლად და შრომის მწარმოებლური ძალის გაუდიდებლად, სახელდობრ — ხელფასის დაწევით მის ტრადიციულ დონეზე უფრო დაბლა. და ეს ნამდვილად ხდება ყველგან, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება კაპიტალისტური წესით წარიმართება. სადაც ამის მიღწევა მანქანებით არ შეიძლება, იქ ეს ხორციელდება სახნავი მიწების ცხვრების საძოვრებად გადაქცევით. მაშასადამე, აქ უკვე გვექნებოდა მიწის რენტის არსებობის შესაძლებლობა [446], რადგან სოფლის მეურნეობის მუშების ხელფასი ფაქტიურად არ უდრის საშუალო ხელფასს. მიწის რენტის არსებობის ეს შესაძლებლობა სრულიად არ იქნებოდა დამოკიდებული პროდუქტის ფასზე, რომელიც, ვარაუდის თანახმად, ამ პროდუქტის ღირებულებას უდრის.

მიწის რენტის მეოთხენაირი გადიდება — იმავე ფასში გაყიდული პროდუქტების უფრო მეტი რაოდენობიდან მისი მიღება, — რიკარდომაც იცის, მაგრამ იგი მას სათვალავში არ ღებულობს, რადგან მიწის რენტას ის ანგარიშობს კვარტერზე და არა აკრზე. იგი არ იტყოდა: მიწის რენტა იმიტომ გადიდდა, რომ 20 კვარტერი 2 შილინგის კვალობაზე მეტს შეადგენს, ვიდრე 10 კვარტერი 2 შილინგის კვალობაზე ანდა 10 კვარტერი 3 შილინგის კვალობაზე (ასეთი წესით მიწის რენტა შეიძლება გადიდდეს ფასის შემცირების დროსაც).

სხვათა შორის, როგორადაც არ უნდა აეხსნათ თვით მიწის რენტა, მას ის მნიშვნელოვანი განსხვავება რჩება მრეწველობასთან შედარებით, რომ მრეწველობაში ჭარბი ზედმეტი ღირებულება მიიღება პროდუქტების უფრო იაფი წარმოებით, მიწათმოქმედებაში კი — უფრო ძვირი წარმოებით. თუ გირვანქა ნართის საშუალო ფასი 2 შილინგს შეადგენს, მე კი შემიძლია იგი 1 შილინგის კვალობაზე ვაწარმოო, მაშინ მე, ბაზრის დაპყრობის მიზნით, აუცილებლად გავყიდი მას $1^1/_2$ შილინგად ან, ყოველ შემთხვევაში, 2 შილინგზე რამდენადმე უფრო დაბლა. ეს აბსოლუტურად აუცილებელიცაა. ვინაიდან უფრო იაფი წარმოება უფრო ფართო მასშტაბით წარმოებას გულისხმობს. ამრიგად, მე ვიწევ ბაზრის

პირთამდე ავსებას იმასთან შედარებით, რაც აქამდე იყო. მე უ ფ რ ო მ ე ტ ი უნდა გავყიდო, ვიდრე უწინ ვყიდდი. თუ 1 გირვანქა ნართი მხოლოდ 1 შილინგი მიჯდება, ეს იმითაა გამოწვეული, რომ ვაწარმოებ, ვთქვათ, 10 000 გირვანქას წინანდელი 8 000-ის ნაცვლად. გაიაფება გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ ძირითადი კაპიტალი ნაწილდება 10 000 გირვანქაზე. თუ მე მხოლოდ 8 000 გირვანქას გავყიდდი, მაშინ მანქანების გაცვეთა უკვე გაადიდებდა ყოველი გირვანქის ფასს ერთი მეხუთედით, ანუ 20%-ით. ამიტომ, რათა 10 000 გირვანქის გაყიდვა შევძლო, მე ჩემს ნართს გავყიდი ორ შილინგზე ნაკლებ ფასში (ვთქვათ, $1^1/_2$ შილინგად). ამასთან მე მაინც კიდევ მრჩება $^1/_2$ შილ. ზემოგება, ე. ი. 50% ჩემი პროდუქტის ღირებულებისა, რაც ერთ შილინგს უდრის და რაშიც უკვე შესულია ჩვეულებრივი მოგება. ყოველ შემთხვევაში მე ამით დაბლა ვწევ საბაზრო ფასს, და შედეგი ისაა, რომ მომხმარებელი საერთოდ პროდუქტს უფრო იაფ ფასში დებულობს. მიწათმოქმედებაში კი მე ანალოგიურ შემთხვევაში ორი შილინგის კვალობაზე ვყიდი, რადგან, თუ ჩემი ნაყოფიერი მიწა საკმარისი იქნებოდა, მაშინ ნაკლებად ნაყოფიერი მიწა არ დამუშავდებოდა. თუ ნაყოფიერი მიწის რაოდენობა ანუ უფრო ცუდი მიწის ნაყოფიერება იმდენად გადიდდებოდა, რომ მე მოთხოვნის დაკმაყოფილებას შევძლებდი, მაშინ მთელ ამ ისტორიას ბოლო მოეღებოდა. რიკარდო არა თუ არ უარყოფს ამ დებულებას, არამედ მას მთელი გარკვეულობით უსვამს ხაზს.

მაშასადამე, იმ შემთხვევაშიც, თუ ვაღიარებდით, რომ ნიადაგის ნაყოფიერების სხვაობით აიხსნება არა თვით მიწის რენტა, არამედ მხოლოდ მიწის რენტათა სხვაობა, მაინც ძალაში რჩება ის კანონი, რომ, მაშინ როდესაც მრეწველობაში ზემოგება, როგორც წესი, პროდუქტის გაიაფებით მიიღება, მიწათმოქმედებაში რენტას შეფარდებითი სიდიდე წარმოიქმნება არა მარტო შეფარდებითი გაძვირების შედეგად (იმის შედეგად, რომ ნაყოფიერი მიწის პროდუქტის ფასი ამ პროდუქტის ღირებულებაზე მაღლა იწევს), არამედ იმის შედეგადაც, რომ იაფი პროდუქტები უფრო ძვირი პროდუქტის წარმოების ხარჯების კვალობაზე იყიდება. მაგრამ ეს, როგორც მე უკვე ცხადვაყავი (პრუდონი)[2], — მხოლოდ კონკურენციის კანონია, რომელიც არა «მიწიდან», არამედ თვით «კაპიტალისტური წარმოებიდან» გამომდინარეობს.

შემდეგ, რიკარდო მართალი იქნებოდა მეორე პუნქტშიც, მხოლოდ იგი, ეკონომისტების ჩვეულებისამებრ, ისტორიულ მოვლენას

მარადიულ კანონად აქცევს. ეს ისტორიული მოვლენა არის შედარებით უფრო სწრაფი განვითარება მრეწველობისა (საკუთრივ ბურჟუაზიული წარმოების დარგისა) მიწათმოქმედებისაგან განსხვავებით. მიწათმოქმედება უფრო მწარმოებლური გახდა, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც მრეწველობა. იქ, სადაც მრეწველობის მწარმოებლობა 10-ჯერ გადიდდა, მიწათმოქმედების მწარმოებლობა, შესაძლოა, 2-ჯერ გადიდდა. მაშასადამე, მიწათმოქმედება გახდა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ნაკლებმწარმოებლური, თუმცა აბსოლუტურად იგი უფრო მწარმოებლური შეიქნა. ეს ამტკიცებს მხოლოდ ბურჟუაზიული წარმოების უაღრესად თავისებურ განვითარებას და მის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს. მაგრამ ეს როდი არღვევს იმ სწორ დებულებას, რომ მიწათმოქმედება შეფარდებით ნაკლებმწარმოებლური ხდება, ე. ი. მრეწველობის პროდუქტთან შედარებით მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება, და ამასთანავე მიწის რენტაც, დიდდება. სამიწათმოქმედო შრომა რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარების კვალობაზე შეფარდებით ნაკლებ მწარმოებლური ხდებოდა, ვიდრე სამრეწველო შრომა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მიწათმოქმედების მწარმოებლობა არ ვითარდებოდა იმავე სისწრაფით და იმავე ოდენობით.

ვიგულისხმოთ, რომ A წარმოების დარგის შეფარდება B დარგთან უდრის 1:1. თავდაპირველად ხომ მიწათმოქმედება უფრო მწარმოებლური იყო, რადგან აქ წარმოებაში მონაწილეობს თვით ბუნების მიერ შექმნილი მანქანა და არა უბრალოდ ბუნების ძალები; ამ მანქანის საშუალებით მუშაობს აქ იმთავითვე ცალკეული მუშაკი. ამიტომ უძველეს დროსა და შუასაუკუნეებში მიწათმოქმედების პროდუქტები შეფარდებით გაცილებით უფრო იაფი იყო, ვიდრე სამრეწველო პროდუქტები, რაც ნათლად ჩანს იქიდან (იხ. უ ე ი დ ი)[3], თუ რა პროპორციით შედიან ორივე საშუალო ხელფასში.

ვთქვათ, შეფარდება 1:1 ამასთანავე გვიჩვენებს წარმოების ორივე დარგის მწარმოებლობას. თუ ახლა დარგი A=10, ე. ი. თავისი მწარმოებლობა მან ათჯერ გაადიდა, იმ დროს, როცა დარგი B=3, ე. ი. მწარმოებლობა მან გაასამკეცა, მაშინ წარმოების ორივე დარგი, რომელნიც უწინ ისე შეეფარდებოდნენ ერთიმეორეს, როგორც ერთი ერთს, ახლა ისე შეეფარდებიან, როგორც 10 : 3-ს, ანუ 1 : $^{3}/_{10}$-ს. შეფარდებით B დარგის მწარმოებლობა $^{7}/_{10}$-ით შემცირდა, თუმცა აბსოლუტურად იგი სამჯერ გაიზარდა. ყველაზე მაღალი რენტისათვის — მრეწველობასთან შედარებით — ეს იმას ნიშნავს,

თითქოს მაღალი რენტა იმის გამო გადიდდა, რომ ყველაზე ცუდი ნიადაგი $^{7}/_{10}$-ით ნაკლებნაყოფიერი გახდა.

აქედან, მართალია, არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს, როგორც რიკარდო ფიქრობს, თითქოს მოგების ნორმა იმის გამო შემცირდა, რომ მიწათმოქმედების პროდუქტების [447] შეფარდებითი გაძვირების შედეგად ხელფასი გადიდდა; ვინაიდან საშუალო ხელფასი განისაზღვრება მასში შემავალი პროდუქტების არა შეფარდებითი, არამედ აბსოლუტური ღირებულებით. მაგრამ აქედან ნამდვილად გამომდინარეობს ის, რომ მოგების ნორმა (არსებითად, ზედმეტი ღირებულების ნორმა) გადიდდა არა იმდენად, რამდენადაც გადამუშავებელი მრეწველობის მწარმოებლური ძალა გაიზარდა, და რომ ამის მიზეზია მიწათმოქმედების (და არა ნიადაგის) შეფარდებით მცირე ნაყოფიერება. და ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. აუცილებელი სამუშაო დროის შემცირება უმნიშვნელოა მრეწველობის პროგრესთან შედარებით. ამას ამჟღავნებს ის, რომ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა რუსეთი და სხვ., შეუძლიათ მიწათმოქმედების პროდუქტების ბაზარზე ინგლისი დაამარცხონ. ფულის უფრო მცირე ღირებულება უფრო მდიდარ ქვეყნებში (ე. ი. ფულის წარმოების შედარების ნაკლები ხარჯები უფრო მდიდარი ქვეყნებისათვის) აქ არავითარ როლს არ ასრულებს. ვინაიდან საკითხი სწორედ ისაა, თუ რატომ ხდება, რომ უფრო მდიდარი ქვეყნების უფრო ღარიბ ქვეყნებთან კონკურენციაში ეს გარემოება გავლენას არ ახდენს მათს მრეწველობის პროდუქტებზე და მოქმედებს მხოლოდ მათს მიწათმოქმედების პროდუქტებზე. (თუმცა, ეს არ ამტკიცებს, რომ ღარიბი ქვეყნები უფრო იაფად აწარმოებენ, რომ მათი სამიწათმოქმედო შრომა უფრო მწარმოებლურია. შეერთებულ შტატებშიც კი, როგორც ეს ამას წინათ სტატისტიკური გამოკვლევებით დამტკიცდა, მართალია, გადიდდა მოცემულ ფასში გასაყიდი ხორბლის საერთო რაოდენობა, მაგრამ ეს მოხდა არა იმიტომ, რომ თვითეულ აკრზე მეტ მოსავალს ღებულობენ, არამედ იმიტომ, რომ აკრების უფრო მეტი რაოდენობა მუშავდება, არ შეიძლება ითქვას, რომ ნიადაგი უფრო ნაყოფიერია იმ ქვეყნებში, სადაც მიწის მსხვილი მასივებია და სადაც ამ მიწის მსუბუქად დამუშავებული დიდი ნაკვეთები ერთი და იმავე შრომის დახარჯვისას აბსოლუტურად პროდუქტების უფრო მეტ რაოდენობას იძლევიან, ვიდრე უფრო პატარა მიწის ნაკვეთები უფრო განვითარებულ ქვეყნებში.)

უ ფ რ ო ნ ა კ ლ ებ ნ ა ყ ო ფ ი ე რ ი ნიადაგის დამუშავებაზე გადასვლა არ არის იმის უდავო დამამტკიცებელი საბუთი, რომ

მიწათმოქმედება უფრო ნაკლებნაყოფიერი გახდა. პირიქით, ეს შეიძლება იმის დამამტკიცებელი იყოს, რომ მიწათმოქმედება უფრო ნაყოფიერი გახდა. უნაყოფო ნიადაგი მუშავდება არა მარტო იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებმა აიწია იმ დონემდე, რომლის დროსაც მიწაში დაბანდებული კაპიტალი ნაზღაურდება, არამედ იმიტომაც, რომ წარმოების საშუალებებმა ისეთი განვითარებას მიაღწიეს, რომ უნაყოფო ნიადაგი «ნაყოფიერი» გახდა და რომ მას შეუძლია აანაზღაუროს არა მარტო ჩვეულებრივი მოგება, არამედ მიწის რენტაც. ის ნიადაგი, რომელიც ნაყოფიერია მწარმოებლური ძალების განვითარების მოცემული საფეხურისათვის, არანაყოფიერია უფრო დაბალი საფეხურისათვის.

მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი სამუშაო დროის აბსოლუტური გაგრძელება — მაშასადამე, აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების გადიდებაც — შესაძლებელია მხოლოდ მცირე ოდენობით. მიწათმოქმედებაში შეუძლებელია გაზით განათების პირობებში მუშაობა და ა. შ.. რა თქმა უნდა, ზაფხულსა და გაზაფხულზე შეიძლება ადრე მუშაობის დაწყება. მაგრამ ეს წონასწორდება უფრო მოკლე დღეებით ზამთარში, როცა საერთოდ შეფარდებით მხოლოდ მცირეოდენი სამუშაოს შესრულება შეიძლება. მაშასადამე, ამ მხრივ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ა მ რ ე წ ვ ე ლ ობ ა შ ი უ ფ რ ო ნ ე ტ ი ა, თუ ნორმალური სამუშაო დღე კანონმდებლობითი იძულების წესით არ რეგულირდება. ხანგრძლივობა პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც სოფლის მეურნეობის პროდუქტი წარმოების პროცესში იმყოფება მახზე ახალი შრომის გამოუყენებლად, მეორე მიზეზია იმისა, რომ მიწათმოქმედებაში ზედმეტი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს უფრო მცირე მასა იქმნება. მაგრამ, მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის გამოკლებით, როგორიცაა მესაქონლეობა, სასაძოვრო მეცხვარეობა და ა. შ., სადაც მოსახლეობა აბსოლუტურად იდევნება, დასაქმებულ ადამიანთა რიცხვის შეფარდება დაბანდებულ მუდმივ კაპიტალთან — ყველაზე პროგრესულ მსხვილ სოფლის მეურნეობაშიც კი — ჯერ კიდევ მაინც გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მრეწველობაში, ყოველ შემთხვევაში, ვიდრე მრეწველობის გაბატონებულ დარგებში. ამრიგად, ამ მხრივ მოგების ნორმა სოფლის მეურნეობაში შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე მრეწველობაში, მაშინაც კი, თუ, აღნიშნული მიზეზების გამო, ზედმეტი ღირებულების მასა აქ შეფარდებით უფრო მცირეა, ვიდრე იგი იქნებოდა მრეწველობაში ადამიანთა ი მ ა ვ ე რაოდენობის გამოყენებისას; ამასთან ამ უკანასკნელ

გარემოებას ნაწილობრივ კვლავ აბათილებს სოფლის მეურნეობის მუშების ხელფასის დაცემა მის საშუალო დონეზე დაბლა. და თუ მიწათმოქმედებაში გვექნებოდა რაიმე მიზეზები (ზემონათქვამი ჩვენ მხოლოდ ზოგადად მოვხაზეთ) მოგების ნორმის ამაღლებისათვის (არა დროებითი, არამედ ისეთი ამაღლებისათვის, რომელსაც ადგილი აქვს საშუალოდ მრეწველობასთან შედარებით), მაშინ უკვე თვით ფაქტი მიწის მესაკუთრეთა არსებობისა გამოიწვევდა იმას, რომ ეს დამატებითი მოგება, მოგების საერთო ნორმის გათანაბრების პროცესში შესვლის ნაცვლად, დამოუკიდებელ არსებობას შეინარჩუნებდა და მიწის მესაკუთრეს ხვდებოდა წილად.

[2) მოგების ნორმის შეფარდება ზედმეტი ღირებულების ნორმასთან. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ღირებულება როგორც მუდმივი კაპიტალის ელემენტი მიწათმოქმედებაში]

ზოგადად დასმული საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა გავცეთ როდბერტუსის თეორიის განხილვისას, შემდეგია.

ავანსებული კაპიტალის ზოგადი ფორმა ასეთია:

მუდმივი კაპიტალი მანქანები. ნედლი მასალა	ცვალებადი კაპიტალი სამუშაო ძალა

მუდმივი კაპიტალის ორი ელემენტი მათი ყველაზე ზოგადი ფორმით, — ეს არის შრომის საშუალებანი და შრომის საგანი. ეს უკანასკნელი აუცილებელი არაა იყოს საქონელი, შრომის პროდუქტი. იგი, მაშასადამე, შეიძლება არც კი არსებობდეს როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ე ლ ე მ ე ნ ტ ი, თუმცა ყოველთვის არსებობს როგორც შ რ ო მ ი ს პ რ ო ც ე ს ი ს ე ლ ე მ ე ნ ტ ი. მიწა შრომის საგანია[4] მიწათმოქმედისათვის, ქვანახშირის საბადოები — ქვანახშირის მრეწველისათვის, წყალი მეთევზისათვის, და ტყეც კი — მონადირისათვის. მაგრამ კაპიტალის ყველაზე სრული ფორმა მაშინ არის, როცა შრომის პროცესის აღნიშნული სამი ელემენტი გვევლინება აგრეთვე როგორც კაპიტალის სამი ელემენტი, ე. ი. როცა ისინი ყველანი საქონელია, საცვლელი ღირებულების მქონე სახმარი ღირებულებანი, რომლებიც ამავე დროს შრომის პროდუქტებს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში ყველა ეს სამი ელემენტი შედის აგრეთვე ღირებულების შექმნის პროცესში, თუმცა მანქანები მასში

შედიან არა იმ ზომით, რა ზომითაც შრომის პროცესში შედიან, არამედ იმდენად, რამდენადაც ისინი შრომის პროცესში მოიხმარებიან.

ამრიგად, აქ ჩვენ წინაშე დგას შემდეგი საკითხი: შეუძლია თუ არა ერთ-ერთი ამ ელემენტის უქონლობას გაადიდოს მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა (არა ზედმეტი ღირებულების ნორმა) წარმოების იმ დარგში, რომელშიც ეს ელემენტი არ არის? ამ კითხვაზე ზოგადი სახით პასუხს იძლევა შემდეგი ფორმულა:

მოგების ნორმა უდრის ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ავანსირებული კაპიტალის მთელ ჯამთან.

მთელ გამოკვლევას საფუძვლად უდევს ის ვარაუდი, რომ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა, ე. ი. პროდუქტის ღირებულების განაწილება კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის, უცვლელი რჩება.

[448] ზედმეტი ღირებულების ნორმა $= \frac{m}{v}$; მოგების ნორმა $= \frac{m}{c+v}$. რადგან m'— ზედმეტი ღირებულების ნორმა — მოცემულია, მოცემულია აგრეთვე v, $\frac{m}{v}$ კი ნაგულისხმევია როგორც მუდმივი სიდიდე. მაშასადამე, სიდიდე $\frac{m}{c+v}$ შეიძლება იცვლებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იცვლება $c+v$, და რადგან v მოცემულია, ამიტომ $\frac{m}{c+v}$ შეიძლება იზრდებოდეს ან მცირდებოდეს მხოლოდ c-ს შემცირების ან ზრდის შემთხვევაში. თანაც $\frac{m}{c+v}$ გაიზრდება ან შემცირდება არა პროპორციით, როგორც c შეეფარდება v-ს, არამედ პროპორციით, როგორც c შეეფარდება $c+v$-ს ჯამს. თუ c v-ის ტოლი იქნებოდა, მაშინ $\frac{m}{c+v}$ იქნებოდა $\frac{m}{v}$-ს ტოლი. სხვა სიტყვებით, მოგების ნორმა მოცემულ შემთხვევაში იქნებოდა ზედმეტი ღირებულების ნორმის ტოლი, და ეს შემთხვევა გამოხატავს იმ ზღვარს, რომლის ზევით მოგების ნორმა ვერ აიწევს, რადგან გ ა მ ო ა ნ გ ა რ ი შ ებ ი ს ვერავითარი წესი ვერ შეცვლის v-სა და m-ს სიდიდეს. თუ $v=100$, ხოლო $m=50$, მაშინ $\frac{m}{v}=\frac{50}{100}=\frac{1}{2}=50\%$. თუ ამას დაემატებოდა კიდევ მუდმივი კაპიტალი 100, მაშინ მოგების ნორმა იქნებოდა $\frac{50}{100+100}=\frac{50}{200}=\frac{1}{4}=25\%$. მოგების ნორმა შემცირდებოდა სანახევროდ. თუ 100-ს დაემატებოდა 1 0, მოგების

ნორმა გვექნებოდა $\frac{50}{150+100}=\frac{50}{250}=\frac{1}{5}=20\%$. პირველ შემთხვევაში მთელი კაპიტალი უდრის v-ს, უდრის ცვალებად კაპიტალს, ამიტომ მოგების ნორმაც უდრის ზედმეტი ღირებულების ნორმას. მეორე შემთხვევაში მთელი კაპიტალი უდრის $2 \times v$, ამიტომ მოგების ნორმაც შეადგენს უკვე ზედმეტი ღირებულების ნორმის მხოლოდ ნახევარს. მესამე შემთხვევაში მთელი კაპიტალი $= 2^1/_2 \times 100 = 2^1/_2 \times v = {}^5/_2 \times v$. აქ v შეადგენს მთელი კაპიტალის მხოლოდ $^2/_5$-ს. ზედმეტი ღირებულება შეადგენს v-ს ნახევარს, 100-ის ნახევარს, მაშასადამე — მთელი კაპიტალის $^2/_5$-ის მხოლოდ $^1/_2$-ს, ე. ი. მთელი კაპიტალის მხოლოდ $^2/_{10}$-ს. ($^{250}/_{10} = 25$. $^2/_{10}$-კი 250-ისა = 50.) $^2/_{10}$ კი არის 20% [ე. ი. მოგების ნორმა, რომელიც $2^1/_2$-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ზედმეტი ღირებულების ნორმა.]

ასეთია, მაშასადამე, მტკიცედ დადგენილი ამოსავალი პუნქტი. თუ v და $\frac{m}{v}$ უცვლელი რჩება, მაშინ სულ ერთია, რა ნაწილებისაგან შედგება c სიდიდე. c-ს გარკვეული სიდიდის დროს — მაგალითად, როცა იგი 100-ია — სულ ერთია, როგორი იქნება c-ს დანაწილება: 50 ნედლი მასალა და 50 მანქანები, თუ 10 ნედლი მასალა და 90 მანქანები, ანდა კიდევ 0 ნედლი მასალა და 100 მანქანები თუ პირიქით, — ითიტომ რომ მოგების ნორმას განსაზღვრავს სწორედ შეფარდება $\frac{m}{c+v}$. თუ როგორ შეფარდებაშია არიან, რაგორც ღირებულებითი ნაწილები, მთელ c-სთან წარმოების ის ელემენტები, რომელთაგანაც c შედგება, — ამას აქ მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, ნახშირის წარმოებაში ნედლი მასალა (იმ ნახშირის გამოკლებით, რომელიც, თავის მხრივ, თვით წარმოადგენს დამხმარე მასალას) შეიძლება ჩავთვალოთ 0-ის ტოლად და ვივარაუდოთ, რომ მთელი მუდმივი კაპიტალი შედგება მანქანებისაგან (შენობების, სამუშაო ინსტრუმენტების ჩათვლით). მეორე მხრივ, შეიძლება დავუშვათ, რომ მკერავის მანქანები უდრის 0-ს (სახელდობრ იქ, სადაც მსხვილი სამკერავლოს პატრონები ჯერ კიდევ არ იყენებენ საკერავ მანქანებს და, მეორე მხრივ, — როგორც ეს ამჟამად ნაწილობრივ ლონდონში ხდება, — შენობებსაც კი ზოგავენ და თავიანთ მუშებს შინ ამუშავებენ; ეს ისეთი ს ი ა ხ ლ ე ა, რომლის დროსაც შ რ ო მ ი ს მეორე დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა კვლავ პირველის ფ ო რ მ ი თ გვევლინება[5]), — ასე რომ ასეთი მკერავის მთელი მუდმივი კაპიტალი ნედლ მასალას წარმოადგენს. თუ ქვანახშირის მრეწველი 1000 ხარჯავს მანქანებზე და 1000 დაქირავებულ შრომაზე, ხოლო მკერავი

1000 ხარჯავს ნედლ მასალაზე და 1000 დაქირავებულ შრომაზე, მაშინ ზედმეტი ღირებულების თანაბარი ნორმის დროს ორივე შემთხვევაში მოგების ნორმაც თანაბარი იქნება. თუ ვიგულისხმებთ, რომ ზედმეტი ღირებულება 20%-ს შეადგენს, მოგების ნორმა იქნება ორივე შემთხვევაში 10%, სახელდობრ $\frac{200}{2000} = \frac{2}{20} = \frac{1}{10} =$ $= 10\%$. მაშასადამე, თუ თანაფარდობა c-ს შემადგენელ ნაწილებს შორის — ნედლ მასალასა და მანქანებს შორის — გაელეულია ახდენს მოგების ნორმაზე, ეს შესაძლებელია მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1) თუ ამ თანაფარდობის შეცვლის გამო იცვლება c-ს აბსოლუტური სიდიდე; 2) თუ c-ს შემადგენელი ნაწილების ამ თანაფარდობის მეოხებით სახეს იცვლის v-ს სიდიდე. აქ უნდა მომხდარიყო ორგანული ცვლილებანი თვით წარმოებაში; საქმე არ დაიყვანება უბრალო ტავტოლოგიაზე, რომ თუ c-ს გარკვეული ნაწილი შეადგენს ახლა მთელი ჯამის უფრო მცირე ნაწილს, მაშინ c-ს მეორე ნაწილი უნდა შეადგენდეს უფრო მეტ ნაწილს.

ინგლისელი ფერმერის ნამდვილ ბიუჯეტში ხელფასი = 1 690 გირვ. სტერლ., სასუქი = 686 გირვ. სტერლ. თესლი = 150 გირვ. სტერლ., ძროხის საკვები = 100 გირვ. სტერლ. ამრიგად «ნედლ მასალას» უწევს 936 გირვ. სტერლინგი, ნახევარზე მეტი იმ თანხისა, რაც ხელფასზე იხარჯება. (იხ. Newman, F. W. Lectures on Political Economy. London, 1851, გვ. 166.)

«ფლანდრიაში» (ბელგიისა) სასუქი და თივა ამ ადგილებში ჰოლანდიიდან შემოაქვთ» (შესელეობისათვის და ა. შ., ამის ნაცვლად გაქვთ სელი, სელის თესლი და სხვ.)... «ნარჩენები ჰოლანდიის ქალაქებში ეაჭრობის საგანი გახდა და რეგულარულად იყიდება მაღალ ფასებში ბელგიაში... ანტვერპენიდან დაახლოებით ოცი მილის დაშორებით შელდის აღმა შეიძლება ნახოთ ჰოლანდიიდან მოტანილი სასუქი. სასუქით ეაჭრობას აწარმოებს კაპიტალისტების კომპანია ჰოლანდიის გემებზე" და ა. შ. (ბანფილდი)[6].

ამრიგად, ისეთი სასუქიც კი, როგორც ჩვეულებრივი ნაკელია, ეაჭრობის საგანი გახდა, და მით უმეტეს ძვლის ფქვილი, გუანო, პოტაში და ა. შ. აქ ჩვენ ვხედავთ, არა მარტო ფორმალურ ცვლილებას წარმოებაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების ელემენტი ფულით ფასდება. ნაყოფიერების გადიდების მიზნით ნიადაგში შეაქვთ ახალი ნივთიერებანი, ძველ ნივთიერებებს კი ყიდიან. არც ეს არის მხოლოდ ფორმალური განსხვავება კაპიტალისტურსა და მის წინამორბედ წარმოების წესს შორის. თესლით

ვაჭრობამაც კი დიდი მნიშვნელობა მოიპოვა იმდენად, რამდენადაც თესლთა ცვლის მნიშვნელობის გაგება დაიწყეს. საკუთრივ მიწათმოქმედების შესახებ, მაშასადამე, სასაცილო იქნებოდა იმის ლაპარაკი, რომ მასში არ შედის „ნედლი მასალა". თანაც ნედლი მასალა როგორც საქონელი, სულ ერთია, თვით მიწათმოქმედება აკვლავწარმოებს მას თუ ყიდულობენ, გარედან ღებულობენ როგორც საქონელს. ასევე სასაცილო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მანქანათმშენებლის [449] ის მანქანა, რომელსაც იგი თვითონ იყენებს, არ შედის მის კაპიტალში როგორც ღირებულების ელემენტი.

გერმანელი გლეხი, რომელიც წლიდან წლამდე თვით აწარმოებს თავისი წარმოების ელემენტებს (თესლს, სასუქს და ა. შ.) და თვითონ თავის ოჯახთან ერთად ჭამს თავისი პურის ნაწილს, ფულს ხარჯავს (თვით წარმოებისათვის) მხოლოდ მცირეოდენი სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად და ხელფასზე. დავუშვათ, რომ ყველა მისი დანახარჯის ღირებულება უდრის 100-ს [ამასთან 50 ფულით გადასახდელია]. პროდუქტის ნახევარს იგი მოიხმარს in natura * ([ამაში შედის ავრეთვე] წარმოების ხარჯები [ნატურალური ფორმით]). მეორე ნახევარს იგი ყიდის და მოგებას იღებს, ვთქვათ, 100-ს. მისი ეთლიანი [ფულადი] შემოსავალი ასეთ შემთხვევაში უდრის 100-ს. და თუ იგი [თავის წმინდა ფულად შემოსავალს] 50 კაპიტალზე ანგარიშობს, ეს შეადგენს [მოგების] 100%. თუ ახლა მესამედი [მოგების სახით მიღებული] 50-იდან რენტაზე მიდის და მესამედი გადასახადების გადახდაზე (ერთად — $33^1/_3$), მაშინ მას რჩება $16\ ^2/_3$, რაც შეადგენს $33\ ^1/_3$% 50-ზე. სინამდვილეში მან მიიღო მხოლოდ $16^2/_3$% [დახარჯულ 100-ზე]. გლეხმა უბრალოდ არასწორად გამოიანგარიშა და თავისი თავი თვითონ მოატყუა. კაპიტალისტური ფერმერის გაანგარიშებაში ამგვარი შეცდომები არ ხდება ხოლმე.

სანახევრო იჯარის ხელშეკრულების თანახმად (მაგალითად, ბერის პროვინციაში), — როგორც მ ა თ ი ე დ ე ე მ ბ ა ლ ი ლაპარაკობს, «Annales agricoles», etc., გამოცემა მე-4, პარიზი, 1828, — «მიწის მესაკუთრე იძლევა მიწას, შენობებს და ჩვეულებრივ, მთლიანად ან ნაწილობრივ, პირუტყვსა და წარმოებისათვის აუცილებელ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს; მოიჯარე, თავის მხრივ, იძლევა შრომას და მეტს არაფერს ანდა თითქმის არაფერს; მიწის პროდუქტები კი იყოფა სანახევროდ» (გვ. 301). «მოიჯარე-

* — ნატურით, ნატურალური ფორმით. რ ე დ.

მონახევრენი, როგორც წესი, სიღატაკეში ჩავარდნილი ადამიანებია» (გვ. 302): «თუ მონახევრე, რომელიც ავანსად გაიღებს 1000 ფრანკს, მიაღწევს მთლიანი პროდუქტის გადიდებას 1500 ფრანკის ოდენობით» (ასე რომ 500 ფრანკი შეადგენს მთლიან მოგებას). «მაშინ მან ეს მთლიანი პროდუქტი უნდა გაუყოს სანახევროდ მიწის მესაკუთრეს და, მაშასადამე, ღებულობს მხოლოდ 750 ფრანკს, ე. ი. თავისი ავანსად გადებული კაპიტალიდან კარგავს 250 ფრანკს» (გვ. 304). მიწათმოქმედების წინანდელი სისტემის დროს გასაღლის, ანუ წარმოების ხარჯების, გაღება ხდებოდა თითქმის მხოლოდ ნატურით, თვით პროდუქტებიდან, რომლებიც ხმარდებოდა პირუტყვის, მიწათმოქმედებისა და მისი ოჯახის შენახვის: ფულადი ხარჯების გაღება თითქმის არ ხდებოდა. მარტო ამ გარემოებას შეეძლო მოეცა სახბაბი გეგფიქრა, რომ მიწის მესაკუთრეს და მოიჯარეს შესაძლებლობა აქვთ გაიყონ ერთმანეთს შორის მოსავლის ის ნაწილი, რომელიც მოხმარებული არ იყო წარმოების დროს; მაგრამ მოქმედების ასეთი წესი შესაძლებელია მხოლოდ მოცემული ტიპის სოფლის მეურნეობაში, ე. ი. მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს უ მ წ ე ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს დროს; როცა მიწათმოქმედებაში რაიმე ახალი გაუმჯობესებას შეტანა სურთ, უცებ შეამჩნევენ, რომ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ გარკვეული წინასწარი ხარჯების გაღებით, რომლებიც ერთობლივ უნდა გამოიყენონ. მთლიან პროდუქტს, რათა შემდგომი წლის წარმოებისათვის მათი გამოყენება შეიძლებოდეს. ამიტომ მთლიანი პროდუქტის ყოველგვარი გაყოფა მიწის მესაკუთრესა და მოიჯარეს შორის გადაულახავ დაბრკოლებად იქცევა ყოველგვარი გაუმჯობესებისათვის» (გვ. 307).

[ვ) ღირებულება და საშუალო ფასი[7] მიწათმოქმედებაში. აბსოლუტური რენტა]

[ა) მოგების ნორმის გათანაბრება მრეწველობაში]

ბ-ნ როდბერტუსს, ჩანს, საერთოდ ისე წარმოუდგენია კონკურენციის მეოხებით ნორმალური მოგების, ანუ საშუალო მოგების, ანდა მოგების საერთო ნორმის რეგულირება, თითქოს კონკურენციას საქონელნი მათს ნ ა მ დ ვ ი ლ ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ა მ დ ე დაჰყავს, ე. ი. ისე არეგულირებს ურთიერთობას საქონელთა ფასებს შორის, რომ ფულში ან ღირებულების სხვა რომელიმე საზომში პოულობენ თავიანთ გამოხატულებას სხვადასხვა საქონელში განხორციელებულ სამუშაო დროის თანაფარდი რაოდენობანი. ეს, რა თქმა უნდა, იმ გზით კი არ ხდება, რომ ამა თუ იმ საქონლის ფასი როდისმე, რომელიმე მოცემულ მომენტში, მის ღირებულებას უდრის ან მას უნდა უდრიდეს. [როდბერტუსის მიხედვით, ეს ასე ხდება.] მაგალითად, A საქონლის ფასი მის ღირებულებაზე უფრო მაღლა იწევს და თანაც ისე, რომ გარკვეული დროის განმავლობაში იგი მტკიცედ რჩება ამ მაღალ დონეზე და განაგრძობს კიდევაც აწევას.

ამასთანავე A კაპიტალისტის მოგება საშუალო მოგებაზე მაღლა იწევს, რადგან A ითვისებს არა მარტო თავის საკუთარ «ფასგადაუხდელ» სამუშაო დროს, არამედ აგრეთვე სხვა კაპიტალისტების მიერ «წარმოებული» ფასგადაუხდელი სამუშაო დროის ნაწილსაც. ამას აუცილებლად შეესაბამება მოგების შემცირება — დანარჩენ საქონელთა უცვლელი ფულადი ფასის პირობებში — წარმოების ამა თუ იმ სფეროში. თუ მოცემული საქონელი საყოველთაო საარსებო საშუალების სახით მუშების მოხმარებაში შევა, მაშინ ეს გამოიწვევს მოგების ნორმის შემცირებას ყველა სხვა დარგში; თუ იგი მუდმივ კაპიტალში შევა შემადგენელ ნაწილად, ეს გამოიწვევს მოგების ნორმის შემცირებას წარმოების იმ დარგებში, სადაც მოცემული საქონელი მუდმივი კაპიტალის ელემენტს შეადგენს.

ბოლოს, შესაძლოა კიდევ ერთი, უკანასკნელი შემთხვევა, როცა ეს საქონელი არ შედის შემადგენელ ელემენტად რომელიმე მუდმივ კაპიტალში და არ წარმოადგენს მუშების ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ საარსებო საშუალებას (იმიტომ რომ ყველა იმ საქონელს, რომელთა ყიდვა ან არ ყიდვა მუშას თავისი ნება-სურვილით შეუძლია, იგი მოიხმარს როგორც მომხმარებელი და არა როგორც მუშა), არამედ მოხმარების საგანია, საერთოდ ინდივიდუალური მოხმარების საგანი. თუ ეს საქონელი თვით მრეწველი კაპიტალისტების მოხმარებაში შედის როგორც მოხმარების საგანი, მაშინ მისი ფასის გადიდება ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლიდა ზედმეტი ღირებულების ჯამს ან ზედმეტი ღირებულების ნორმას. მაგრამ თუ კაპიტალისტი მოისურვებდა მოხმარების თავისი წინანდელი დონის შენარჩუნებას, მაშინ მოგების (ზედმეტი ღირებულების) ეს ნაწილი, რასაც იგი ინდივიდუალურ მოხმარებაზე ხარჯავს, გადიდდებოდა იმ ნაწილთან შედარებით, რომელსაც ის სამრეწველო კვლავწარმოებაზე ხარჯავს. ამრიგად, ეს უკანასკნელი ნაწილი შემცირდებოდა. A-ში ფასების გადიდების შედეგად, გარკვეული დროის გავლის შემდეგ (რასაც აგრეთვე კვლავწარმოება განსაზღვრავს) შემცირდებოდა მოგების მასა B-ში, C-ში და ა. შ. თუ საგანი A მხოლოდ არამრეწველი კაპიტალისტების მოხმარებაში შევიდოდა, მაშინ, უწინდელთან შედარებით, ისინი ახლა უფრო მეტს დახარჯავდნენ საქონელ A-ში, ვიდრე საქონელ B-ში, C-ში და ა. შ. B, C და ა. შ. საქონელთა მოთხოვნა შემცირდებოდა; მათი ფასი დაეცემოდა, და ამ შემთხვევაში გადიდება A-ს ფასისა, ანუ გადიდება A-ს მოგებისა საშუალო ნორმაზე ზევით, გამოიწვევდა B-ში, C-ში და ა. შ. მოგების დაცემას საშუალო ნორმაზე დაბლა (განსხვავებით წინა შემთხვევებისაგან, სადაც B-ს,

C-ს და ა. შ. ფულადი ფასები [450] უცვლელი რჩებოდა) იმით, რომ A-ს ფასის აწევა გამოიწვევდა B-ს, C-სა და ა. შ. ფულადი ფასების დაცემას. კაპიტალები B-ში, C-ში და ა. შ., სადაც მოგების ნორმა ჩვეულებრივ ნორმაზე დაბლა დაეცა, მიატოვებდნენ თავიანთ წარმოების სფეროებს და გადავიდოდნენ A წარმოების სფეროში; განსაკუთრებით ეს შეეხება იმ კაპიტალის ნაწილს, რომელიც მუდამ ახლად გვევლინება ბაზარზე: ბუნებრივია, რომ ეს კაპიტალი განსაკუთრებული სიძლიერით გაეშურებოდა უფრო მომგებიან A სფეროში. ამის გამო A საგანის ფასი ცოტა ხნის შემდეგ დაეცემოდა მის ღირებულებაზე დაბლა და მეტი თუ ნაკლები დროის განმავლობაში გაგრძელდებოდა ეს დაცემა მანამდე, ვიდრე საპირისპირო მოძრაობა არ დაიწყებოდა. B, C და ა. შ. სფეროებში ადგილი ექნებოდა პირუკუ მოვლენას — ნაწილობრივ იმის გამო, რომ B,C და ა. შ. საქონელთა მიწოდება კაპიტალის უკუდინების გამო შემცირდა, ე. ი. ნაწილობრივ თვით სფეროებში მომხდარი ორგანული ცვლილებების გამო, ნაწილობრივ კი იმ ცვლილებათა გამო, რომლებიც A-ში მოხდა და ახლა ზეგავლენას ახდენენ B-ზე, C-ზე და ა. შ. საწინააღმდეგო მიმართულებით.

შევნიშნავთ გაკვრით: შესაძლოა, რომ ახლახან მოხაზულ მოძრაობაში B, C და სხვ. საქონელთა ფულადი ფასები (ამასთან იგულისხმება, რომ ფულის ღირებულება მუდმივია) ვერასოდეს ვერ მიაღწევენ ხელახლა თავიანთ უწინდელ დონეს, თუმცა ისინი, B, C და ა. შ. საქონელთა ღირებულებაზე უფრო მაღლა აიწევენ და, მაშასადამე, მოგების საერთო ნორმაზე უფრო მაღლა აიწევს აგრეთვე მოგების ნორმაც B-ში, C-ში და ა. შ. გაუმჯობესებანი, გამოგონებანი, წარმოების საშუალებათა უფრო დიდი ეკონომია და ა. შ. გამოიყენება არა იმ პერიოდში, როცა ფასები თავიანთ საშუალო დონეზე უფრო მაღლა აიწევენ, არამედ იმ პერიოდში, როცა ფასები ამ დონეზე უფრო დაბლა ეცემა და როცა, მაშასადამე, მოგებაც თავის ჩვეულებრივ ნორმაზე დაბლა ეცემა. ამრიგად, იმ პერიოდის განმავლობაში, როცა B, C და სხვ. საქონელთა ფასები ეცემა, შეიძლება ეცემოდეს მათი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, სხვა სიტყვებით, შეიძლება მცირდებოდეს ამ საქონელთა წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროის მინიმუმი. ამ შემთხვევაში შეიძლება საქონელს კვლავ თავისი წინანდელი ფულადი ფასი დაუბრუნდეს მხოლოდ მაშინ, როცა საქონლის ფასის ნამეტი მის ღირებულებასთან შედარებით უდრის სხვაობას საქონლის წინანდელი, უფრო მაღალი ღირებულების გამომხატველ ფასსა და მისი ახალი ღირებულების

გამომხატველ ფასს შორის. ასეთ შემთხვევაში საქონლის ფასი შეცვლიდა მის ღირებულებას მიწოდებაზე, წარმოების ხარჯებზე ზემოქმედების მეოხებით.

მაგრამ ზემოაღნიშნული მოძრაობის შედეგი ასეთია: თუ ავიღებთ საქონელთა ფასების აწევისა და დაცემის საშუალო სიდიდეს ამ საქონელთა ღირებულებასთან შედარებით, ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ავიღებთ პერიოდებს, რომელთა განმავლობაშიც ფასების აწევათა და დაცემათა გათანაბრება ხდება — პერიოდებს, რომლებიც მუდამ მეორდება, — დავინახავთ, რომ საშუალო ფასი უდრის ღირებულებას, მაშასადამე, წარმოების გარკვეული სფეროს საშუალო მოგებაც უდრის მოგების საერთო ნორმას; ვინაიდან, თუმცა ამ სფეროში ფასების აწევასა და დაცემასთან ერთად— ანდა უცვლელი ფასის პირობებში წარმოების ხარჯების გადიდებასა და შემცირებასთან ერთად — მოგება დიდდებოდა ან მცირდებოდა თავის უწინდელ ნორმასთან შედარებით, მაგრამ მაინც საქონელი, საშუალოდ მოცემული პერიოდისათვის, თავისი ღირებულების მიხედვით იყიდებოდა; მაშასადამე, მიღებული მოგება უდრის მოგების საერთო ნორმას. ასეთია წარმოდგენა ა. სმიტისა და კიდევ უფრო მეტად — რიკარდოსი, რადგან უკანასკნელი უფრო გარკვევით და თანამიმდევრულად ავითარებს ღირებულების ნამდვილ ცნებას. მათგან გადმოიღო ეს წარმოდგენა ბ-ნმა როდბერტუსმაც. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს მცდარი წარმოდგენაა.

რას იწვევს კაპიტალების კონკურენცია? საქონელთა საშუალო ფასი გათანაბრების ამა თუ იმ პერიოდის განმავლობაში ისეთია, რომ ფასები საქონელმწარმოებლებს ყოველ სფეროში მოგების ერთსა და იმავე ნორმას აძლევენ, მაგალითად 10%. მერე რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ყოველი საქონლის ფასი ერთი მეათედით აღემატება წარმოების იმ ხარჯებს, რაც ეს საქონელი კაპიტალისტს დაუჯდა, რასაც კაპიტალისტი ამ საქონლის საწარმოებლად ხარჯავს. თუ ამას ზოგადი ფორმით გამოვხატავთ, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ თანაბარი სიდიდის კაპიტალები თანაბარ მოგებას იძლევიან, რომ ყოველი საქონლის ფასი ერთი მეათედით აღემატება იმ კაპიტალის ფასს, რომელიც მასშია ავანსად გაღებული, მოხმარებული, ანუ წარმოდგენილი. მაგრამ სრულიად მცდარია იმის მტკიცება, თითქოს კაპიტალები სხვადასხვა სფეროში მათი სიდიდის შესაბამისად თანაბარ ზედმეტ ღირებულებას აწარმოებენ (აქ ჩვენ სრულიად მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმ გარემოებას, ამუშავებს თუ არა ერთი კაპიტალისტი მუშას უფრო მეტ ხანს, ვიდრე მეორე;

წარმოების ყველა სფეროსთვის ჩვენ აქ ვგულისხმობთ ერთნაირ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ სამუშაო დღეს; აბსოლუტური სამუშაო დღეების განსხვავება ნაწილობრივ გათანაბრებულია სხვადასხვა ხანგრძლიობის სამუშაო დღეებში შრომის ინტენსივობით და ა. შ., ნაწილობრივ ეს განსხვავებანი გამოიხატება თვითნებური ზემოგებით, გამონაკლისებით და ა. შ.). ეს მცდარი მტკიცებაა, მაშინაც კი, თუ ვიგულისხმებდით, რომ აბსოლუტური სამუშაო დღე ყველა სფეროში ერთნაირია, ე. ი. მაშინაც კი, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა ნაგულისხმევია როგორც მოცემული.

კაპიტალების თ ა ნ ა ბ ა რ ი სიდიდის დროს — და ზემოაღნიშნული ვარაუდის პირობებში — ამ კაპიტალების მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა სხვადასხვაა, ჯ ე რ-ე რ თ ი, მათი ორგანული შემადგენელი ნაწილების, ე. ი. ცვალებადი და ძირითადი კაპიტალის, თანაფარდობის მიხედვით; მ ე ო რ ე, მათი მიმოქცევის დროის მიხედვით, რამდენადაც ეს დრო განისაზღვრება ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის არსებული თანაფარდობით და ასევე სხვადასხვა სახის ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების სხვადასხვა პერიოდებით; მ ე ს ა მ ე, საკუთრივ წარმოების პერიოდის ხანგრძლიობის მიხედვით, თვით სამუშაო დროის ხანგრძლიობისაგან განსხვავებით, რაც კვლავ განაპირობებს არსებით სხვაობას წარმოებისა და მიმოქცევის პერიოდების თანაფარდობაში. (აღნიშნული თანაფარდობებიდან პირველი, სახელდობრ თანაფარდობა მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის, თვით შეიძლება გამომდინარეობდეს უაღრესად სხვადასხვა მიზნებიდან. მაგალითად, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ფორმალური — იმ შემთხვევაში, როცა ერთ წარმოების სფეროში დამუშავებული ნედლი მასალა უფრო ძვირია, ვიდრე მეორე წარმოების სფეროში დამუშავებული, —ანდა ეს თანაფარდობა შეიძლება გამომდინარეობდეს შრომის სხვადასხვა ნაყოფიერებიდან და ა. შ.).

ამრიგად, საქონელთა გაყიდვა, რომ მათი ღირებულების კვალობაზე ხდებოდეს, ან საქონელთა ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ე ბ ი მათს ღირებულებებს რომ უდრიდნენ, მაშინ მოგების ნორმა სრულიად სხვადასხვა იქნებოდა წარმოების სხვადასხვა სფეროში; ერთ შემთხვევაში იგი იქნებოდა 50%, მეორეში — 40, 30, 20, 10% და ა. შ. თუ ავიღებთ, მაგალითად, A სფეროს საქონელთა ერთობლივ მასას წლის განმავლობაში, მისი ღირებულება იქნებოდა ამ სფეროში ავანსებული კაპიტალის ტოლი პლუს მასში მოთავსებული ფასგადაუხდელი შრომა. ასევეა B და C სფეროებში. მაგრამ რადგან A, B, C სფერო-

ებში მოთავსებული ფასგადაუხდელი შრომის მასა სხვადასხვაა, — მაგალითად, A-ში მეტია, ვიდრე B-ში, B-ში კი მეტი, ვიდრე C-ში,— ამიტომ A-ს საქონელი თავის მწარმოებელს მისცემდა, ვთქვათ, 3 ზ-ს (ზ—ეს არის ზედმეტი ღირებულება), B-ს საქონელი—2 ზ-ს, C-ს საქონელი—ზ-ს. და რადგან მოგების ნორმას განსაზღვრავს ზედმეტი ღირებულების შეფარდება ავანსებულ კაპიტალთან, უკანასკნელი კი, ვარაუდის თანახმად, ერთნაირია A, B, C და ა. შ. სფეროებში, ამიტომ [451] — თუ ავანსებულ კაპიტალს კ-თი აღვნიშნავთ, — მოგების სხვადასხვა ნორმები ამ სფეროში შეადგენენ $\frac{3ზ}{კ}$, $\frac{2ზ}{კ}$, $\frac{ზ}{კ}$. მაშასადამე, კაპიტალების კონკურენციას შეუძლია მოგების ნორმები გაათანაბროს მხოლოდ იმ გზით, რომ იგი, მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში A, B, C სფეროებისათვის დაწესებს ნორმებს, რომლებიც უდრის $\frac{2ზ}{კ}$, $\frac{2ზ}{კ}$, $\frac{2ზ}{კ}$. მაშინ *A* თავის საქონელს გაყიდდა მის ღირებულებაზე 1 ზ-ით უფრო იაფად, C კი — 1 ზ-ით უფრო ძვირად. საშუალო ფასი A სფეროში უფრო დაბალი იქნებოდა, C სფეროში კი — უფრო მაღალი A, C სფეროების საქონელთა ღირებულებაზე.

როგორც შემთხვევა B გვიჩვენებს, შ ე ი ძ ლ ე ბ ა, რა თქმა უნდა, მოხდეს საქონლის საშუალო ფასისა და ღირებულების დამთხვევაც ეს ხდება მაშინ, როცა თვით B სფეროში წარმოებული ზედმეტი ღირებულება უდრის საშუალო მოგებას, როცა, მაშასადამე, ამ სფეროში კაპიტალის სხვადასხვა ნაწილები ისეთ შეფარდებაშია ერთმანეთთან, როგორშიც ისინი იმყოფებიან, როცა კაპიტალების ერთობლივი ჯამი, კაპიტალისტთა კლასის მთელი კაპიტალი, აღებულია როგორც ერთიანი ს ი დ ი დ ე, რომლის მიხედვითაც გამოიანგარიშება ერთობლივი ზედმეტი ღირებულება, მიუხედავად იმისა, თუ ერთობლივი კაპიტალის რომელ სფეროში იყო იგი წარმოებული. ამ ერთობლივ კაპიტალში ხდება ბრუნვის პერიოდების და ა. შ. გათანაბრება; გამოანგარიშებულია, მაგალითად, ისე, რომ მთელი ეს კაპიტალი გადაბრუნდება ერთი წლის განმავლობაში და ა. შ. მაშინ მართლაც აღმოჩნდებოდა, რომ ამ ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ყოველი ნაწილი ერთობლივ ღირებულებაში თავისი ოდენობის პროპორციულად მონაწილეობს, ზედმეტი ღირებულების შესაბამის წილს ღებულობს. და რადგან ყოველი ცალკეული კაპიტალი უნდა გაგვეხილა როგორც ამ ერთობლივი კაპიტალის წილის მქონე, ამიტომ მართებული იქნებოდა იმ დასკვნის გაკეთება, რომ, ჯ ე რ-ე რ თ ი, ამ ცალ-

კეული კაპიტალის მოგების ნორმა ისეთივეა, როგორც ყოველი სხვა კაპიტალისა, რომ თანაბარი სიდიდის კაპიტალები თანაბარ მოგებებს იძლევიან, და, მეორე, რომ მოგების მასა — როგორც ეს აქედან თავისთავად გამომდინარეობს — დამოკიდებულია კაპიტალის სიდიდეზე, იმ წილის რაოდენობაზე, რაც ამ ერთობლივი კაპიტალიდან კაპიტალისტს ეკუთვნის. კაპიტალების კონკურენცია ცდილობს ყოველი კაპიტალი ერთობლივი კაპიტალის ნაწილად განიხილოს და ამის შესაბამისად განსაზღვროს მისი მონაწილეობა ზედმეტ ღირებულებაში, მაშასადამე, მოგებაშიც. მეტად თუ ნაკლებად ამას კონკურენცია თავის გათანაბრებათა მეოხებით ახერხებს. (აქ არ არის გამოსაკვლევი ის მიზეზები, თუ რატომ წააწყდება ხოლმე კონკურენცია ცალკეულ სფეროებში განსაკუთრებულ დაბრკოლებებს.) უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტები ესწრაფვიან (და ეს მისწრაფებაა სწორედ კონკურენცია) ფასგადაუხდელი შრომის მთელი ის რაოდენობა, რასაც ისინი მუშათა კლასს გამოწურავენ, — ანდა ამ შრომის პროდუქტები, — ერთმანეთს შორის გაინაწილონ არა იმის შესაბამისად, თუ რამდენ ზედმეტ შრომას აწარმოებს უშუალოდ ყოველი განსაკუთრებული კაპიტალი, არამედ, ჯერ-ერთი, იმის შესაბამისად, თუ ერთობლივი კაპიტალის რა ნაწილს შეადგენს ეს განსაკუთრებული კაპიტალი, და, მეორე, ზედმეტი შრომის იმ საერთო რაოდენობის შესაბამისად, რასაც მთლიანად აღებული ეს კაპიტალი აწარმოებს. კაპიტალისტები ძმურად-მტრულად ინაწილებენ ერთმანეთს შორის ნადავლს — მითვისებულ სხვის შრომას, ასე რომ თვითეული მათგანი საშუალოდ ფასგადაუხდელი შრომის ისეთსავე წილს ითვისებს, როგორსაც ითვისებს ყოველი სხვა კაპიტალისტიც[9].

ამ გათანაბრებას კონკურენცია ახორციელებს საშუალო ფასების რეგულირებით. მაგრამ თვით ეს საშუალო ფასები არის ხოლმე საქონლის ღირებულებაზე უფრო მაღალი ან დაბალი — სახელდობრ იმდენად, რომ მოცემული საქონელი არ იძლევა უფრო მაღალ მოგების ნორმას, ვიდრე ყოველი სხვა საქონელი. მაშასადამე, მცდარია იმის მტკიცება, თითქოს კაპიტალების კონკურენცია მოგების საერთო ნორმას იმით აწესებს, რომ საქონელთა ფასები მათს ღირებულებებზე დაჰყავს. პირიქით, კონკურენცია მოგების საერთო ნორმას სწორედ იმით ამყარებს, რომ საქონელთა ღირებულებებს გადააქცევს საშუალო ფასებად, რომლებშიც ერთი საქონლის ზედმეტი ღირებულე-

ბის ნაწილი გადატანილია მეორე საქონელზე, და ა. შ. საქონლის ღირებულება უდრის მასში მოთავსებული ფასგადახდილი და ფასგადაუხდელი შრომის რაოდენობას. საქონლის საშუალო ფასი უდრის მასში მოთავსებული შრომის (გასაგნობრივებული ან ცოცხალი შრომის) რაოდენობას პლუს ფასგადაუხდელი შრომის გარკვეული საშუალო წილი, რომელიც არ არის იმაზე დამოკიდებული, შეიცავდა ამ შრომას თვით ეს საქონელი იმავე რაოდენობით თუ არა, სხვა სიტყვებით — მოცემული საქონლის ღირებულება მეტ ფასგადაუხდელ შრომას შეიცავდა თუ ნაკლებს.

[ბ) მიწის რენტის პროგლემის ფორმულირება]

შესაძლოა — მე ამას ვტოვებ შემდგომი გამოკვლევისათვის, რომელიც ამ წიგნის[10] საგანს არ შეადგენს, — რომ წარმოების გარკვეული სფეროები ისეთ პირობებში მუშაობენ, რომლებიც ხელს უშლიან მათი ღირებულებების დაყვანას საშუალო ფასებზე ზემოაღნიშნული აზრით, ე. ი. ისეთ პირობებში, რომლებიც არ აძლევენ კონკურენციას ამ გამარჯვების მოპოვების შესაძლებლობას. საქმის ვითარება რომ ასეთი იყოს, მაგალითად სამიწათმოქმედო რენტის ან მაღაროთა რენტის მიმართ (არსებობს ისეთი რენტა, რომელიც მხოლოდ მონოპოლიით აიხსნება, როგორც, მაგალითად, რენტა წყლით სარგებლობისათვის ლომბარდიაში, აზიის ზოგიერთ ნაწილში; ასევე სახლების რენტა, იმდენად, რამდენადაც იგი მიწის საკუთრების რენტაა), მაშინ შედეგად იმას მივიღებდით, რომ, იმ დროს, როცა ყველა სამრეწველო კაპიტალის პროდუქტის ფასი აწეული ან დაწეული იქნება საშუალო ფასის დონემდე, მიწათმოქმედების პროდუქტის ფასი დარჩებოდა ტოლი ამ პროდუქტის ღირებულებისა, რომელიც საშუალო ფასზე მეტი იქნებოდა. არსებობს თუ არა აქ ისეთი დაბრკოლებანი, რომელთა გამოც ამ წარმოების სფეროში წარმოებული ზედმეტი ღირებულებიდან მიითვისებდნენ, თვით ამ სფეროს საკუთრების სახით, უფრო მუტს, ვიდრე ეს კონკურენციის კანონების თანახმად უნდა მომხდარიყო, იმაზე მეტს, რაც ამ წარმოების დარგში დაბანდებული კაპიტალის წილს უნდა შეესაბამებოდეს?

წარმოვიდგინოთ ისეთი სამრეწველო კაპიტალები, რომლებიც არა დროებით, არამედ თავიანთ წარმოების სფეროთა ბუნების მიხედვით 10 ან 20 ანდა 30%-ით უფრო მეტ ზედმეტ ღირებულებას

აწარმოებენ, [452] ვიდრე იმავე სიდიდის სამრეწველო კაპიტალები სხვა წარმოების სფეროებში. თუ ასეთი კაპიტალები, ვამბობ მე, შეძლებდნენ, წინააღმდეგ კონკურენციისა, ამ ნაჭარბი ზედმეტი ღირებულების შენარჩუნებას და შეუძლებელს გახდიდნენ იმას, რომ იგი შესულიყო მოგების საერთო ნორმის განმსაზღვრელ საერთო გაანგარიშებაში (განაწილებაში), მაშინ იმ წარმოების სფეროებში, სადაც ეს კაპიტალები მოქმედებენ, ჩვენ შემოსავლის ორი სხვადასხვა მიმღები გვეყოლებოდა: ერთი, რომელიც მოგების საერთო ნორმას მიიღებდა, და მეორე, რომელიც მხოლოდ მოცემული სფეროსათვის დამახასიათებელ ნამეტს მიიღებდა. შემოსავლის ამ პრივილეგირებული მომხვეჭისათვის კაპიტალისტს, — რათა თავისი კაპიტალის მოცემულ სფეროში დაბანდების შესაძლებლობა ჰქონოდა,— უნდა გადაეხადა, მიეცა ეს ნამეტი, ხოლო თავისთვის, როგორც ყველა სხვა კაპიტალისტი, რომელთანაც მას საკუთარი ერთნაირი შანსი აქვს, მოგების საერთო ნორმას დაიტოვებდა. მიწათმოქმედებაში რომ ასეთი მდგომარეობა იყოს, ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს დაყოფა მ ო გ ე ბ ა დ და რ ე ნ ტ ა დ სრულიად არ იქნებოდა იმის დამამტკიცებელი, რომ შრომა აქ თავისთავად „უფრო მწარმოებლურია“ (ზედმეტი ღირებულების წარმოების აზრით), ვიდრე დამმუშავებელ მრეწველობაში; არ გვექნებოდა, მაშასადამე, არავითარი საფუძველი საიმისოდ, რომ მიწისათვის რაღაც სასწაულმოქმედი ძალა მიგვენიჭებინა, რაც, სხვათა შორის, უკვე თავისთავად სასაცილოა, რადგან ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა უ დ რ ი ს შ რ ო მ ა ს და ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ა რ ა ს ა გ ზ ი თ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ი წ ა ს უ დ რ ი დ ე ს. (მართალია, შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება შეიძლება დამოკიდებული იყოს ნიადაგის ნაყოფიერებაზე, მაგრამ ამის შედეგი არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა მიწის პროდუქტების უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი ფ ა ს ი. უფრო პირიქით.) აუცილებელი არ იქნებოდა აგრეთვე მიგვეგმართა რიკარდოს თეორიისათვის, რომელსაც, რაკი იგი თავისთავად არასასიამოვნო წესით მალთუსისეულ აბდაუბდასთან არის დაკავშირებული, მივყავართ საზიზღარ დასკვნებამდე და, კერძოდ, თუმცა ჩემს მოძღვრებას ზედმეტი ღირებულების შესახებ თეორიულად არ ეწინააღმდეგება, მაგრამ პრაქტიკულად მაინც უკარგავს მას მნიშვნელობის დიდ ნაწილს.

საკითხის მთელი აზრი რიკარდოს მიხედვით შემდეგია:

მიწის რენტა (მაგალითად, მიწათმოქმედებაში) იქ, სადაც — როგორც რიკარდო ვარაუდობს — მიწის დამუშავება კაპიტალისტურად

წარმოებს, სადაც მ ო ი ჯ ა რ ე არსებობს, არ შეიძლება სხვა რაიმე იყოს, თუ არა მხოლოდ საერთო მოგების ნამეტი. აქ სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, წარმოადგენს თუ არა ის, რასაც მიწის მესაკუთრე ღებულობს, ნამდვილად ამ რენტას ბურჟუაზიულ-ეკონომიური აზრით. ეს შეიძლება იყოს უბრალო გამონაკლისი ხელფასიდან (შეადარე ირლანდია) ანდა ნაწილობრივ ეს წარმოადგენს გამონაკლებს მოიჯარის მოგებიდან, რომელიც ამ შემთხვევაში მოგების საშუალო დონეზე დაბლა ეცემა. ყველა ამ შემთხვევას აქ აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა. ზედმეტი ღირებულების განსაკუთრებულ დამახასიათებელ ფორმას ბურჟუაზიულ სისტემაში რ ე ნ ტ ა მხოლოდ იმდენად შეადგენს, რამდენადაც იგი (საერთო) მოგების გადანამეტია.

მაგრამ როგორაა ეს შესაძლებელი? საქონელი ხორბალი, ყოველი სხვა საქონლის მსგავსად, თავისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით იყიდება, ე. ი. ეს საქონელი სხვა საქონელზე გაიცვლება მასში მოთავსებული სამუშაო დროის შესაბამისად. {ეს არის პირველი მცდარი წანამძღვარი, რომელიც ხელოვნურად ადიდებს პრობლემის სიძნელეს. საქონელთა გაცვლა მათი ღირებულების მიხედვით მხოლოდ გამონაკლისის სახით ხდება. მათი ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ე ბ ი სხვაგვარად განისაზღვრება. Vide supra *.} მოიჯარე, რომელსაც ხორბალი მოჰყავს, იმავე მოგებას იღებს, რასაც ყველა სხვა კაპიტალისტი. ეს ამტკიცებს, რომ იგი, როგორც სხვებიც, თავისი მუშების ფასგადაუხდელ სამუშაო დროს ითვისებს. საიდანღა ჩნდება ასეთ შემთხვევაში კიდევ რენტა? ის ხომ სამუშაო დროს უნდა წარმოადგენდეს? რატომ უნდა გაითიშოს ზედმეტი შრომა მიწათმოქმედებაში მოგებად და რენტად, მაშინ როდესაც მრეწველობაში იგი მხოლოდ მოგებას უდრის? და საერთოდ როგორაა ეს შესაძლებელი, თუ მოგება მიწათმოქმედებაში უდრის მოგებას წარმოების ყოველ სხვა დარგში? {რიკარდოს მცდარი შეხედულებანი მოგებაზე და ამ მოგების უშუალო არევა ზედმეტ ღირებულებაში აქაც საზიანოა. ისინი უძნელებენ მას საკითხის განხილვას.}

ს ი ძ ნ ე ლ ე ს რიკარდო წყვეტს იმით, რომ მას პ რ ი ნ ც ი პ შ ი არარსებულად ვარაუდობს {და ეს, მართლაც, ე რ თ ა დ ე რ თ ი ხ ე რ ხ ი ა სიძნელის პრინციპულად გადაწყვეტისათვის. მაგრამ ამის გაკეთება ორნაირად შეიძლება. ან ამტკიცებენ, რომ მოცემული

* — იხილე ზემოთ. რ ე დ.

პრინციპის საწინააღმდეგო მოვლენები მხოლოდ რაღაც მ ო ჩ ვ ე ნ ებ ი თ ი ა, და ეს მოჩვენებითობა თვით საგნის განვითარებიდან გამომდინარეობს. ანდა, როგორც ამას რიკარდო აკეთებს, სიძნელეს უ კ უ ა გ დ ე ბ ე ნ ე რ თ პ უ ნ ქ ტ ში, რომელსაც შეძდეგ აიღებენ აბოსავალ პუნქტად, საიდანაც შეიძლება აიხსნას სიძნელის გამომწვევი მოვლენის არსებობა მეორე პუნქტში.}

რიკარდო ვარაუდობს ისეთ შემთხვევას, როცა მოიჯარის კაპიტალი, მსგავსად ყოველი სხვა კაპიტალისტის კაპიტალისა, იძლევა მხოლოდ მოგებას {სულ ერთია, ლაპარაკია ცალკეული ფერმის კაპიტალის იმ ნაწილზე, რომელიც რენტას არ იხდის, თუ ფერიერის მიწის იმ ნაწილზე, რომელიც რენტას არ იხდის; მაშასადამე, აქ ლაპარაკია საერთოდ მიწათმოქმედებაში დაბანდებულ ისეთ კაპიტალზე, რომელიც რენტას არ იხდის.} ეს ვარაუდი ამოსავალი პუნქტიც კია რიკარდოსათვის, და იგი შეიძლება აგრეთვე შეძდეგნაირადაც გამოიხატოს:

თავდაპირველად მოიჯარის კაპიტალი იძლევა მხოლოდ მოგებას {მაგრამ ეს ც რ უ ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ფორმა აქ არარსებითი რამაა. და იგი წარმოადგენს რაღაც საერთოა ყველა ბურჟუაზიული ეკონომიტისათვის სხვა ასეთივე «კანონების» ჩაძოყალიბებისას}, მიწის რენტას კი ეს კაპიტალი არ იხდის. მოიჯარის კაპიტალი არ განსხვავდება წარმოებაში დაბანდებული ყოველი სხვა კაპიტალისაგან. რენტა მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ პურის მოთხოვნა იზრდება, რის შედეგადაც, წარმოების სხვა დარგებისაგან განსხვავებით, საჭირო ხდება «ნაკლებად» ნაყოფიერი ნიადაგის დამუშავებაზე გადასვლა. საარსებო საშუალებათა გაძვირების გამო მოიჯარე (ნაგულისხმევი თავდაპირველი მოიჯარე) ისევე ზარალდება, როგორც ყოველი სხვა კაპიტალისტური მეწარმეც, რამდენადაც მოიჯარეც აგრეთვე იძულებულია მეტი გადაუხადოს თავის მუშებს. მაგრამ იგი მოგებას ნახულობს იმით, რომ მისი საქონლის ფასმა ამ საქონლის ღირებულებაზე მაღლა აიწია. იგი მოგებას ნახულობს ამის გამო, ჯერ ერთი იმდენად, რამდენადაც მოიჯარის მუდმივ კაპიტალში შემავალი სხვა საქონლის შეფარდებითი ღირებულება ეცემა მის საქონელთან შედარებით და მოიჯარე, მაშასადამე, ამ საქონელს უფრო აფადყიდულობს; მეორე, იმდენად, რამდენადაც მისი ზედმეტი ღირებულება უფრო ძვირ საქონელშია განაფთებული. ამრიგად, ამ მოიჯარის მოგება იმ საშუალო მოგებაზე უფრო მაღლა იწევს, რომელიც; დაეცა. მაშინ მეორე კაპიტალისტი გადადის უფრო ცუდ II ნაკვეთზე, რომელსაც, მოგების ამ მცირე ნორმის პირობებში, შეუძლია პრო-

დუქტის მოცემა I ნაკვეთის პროდუქტის ფასის კვალობაზე ანდა, შესაძლოა, რამდენიმე უფრო იაფადაც. ასე თუ ისე, ახლა ჩვენ II ნაკვეთზე ისევ [453] ნორმალური მდგომარეობა გვაქვს, როცა ზედმეტი ღირებულება დაყენებულია მხოლოდ მოგებაზე, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ ავხსენით რენტა I ნაკვეთისათვის, და სახელდობრ ავხსენით იმით, რომ არსებობს ორნაირი წარმოების ფასი [Produktionspreis], თანაც წარმოების ფასი II-სთვის ამასთანავე საბაზრო ფასია I-თვის. საქმის კითარება აქ სავსებით იგივეა, რაც იმ ფაბრიკული საქონლის მიმართ, რომელიც უფრო ხელსაყრელ პირობებში იწარმოება და დროებითს ზემოგებას იძლევა. თუმცა ხორბლის ფასი, რომელიც, გარდა მოგებისა, კიდევ რენტასაც შეიცავს, აგრეთვე მხოლოდ გასაგნობრივებული შრომისაგან შედგება, თუმცა ეს ფასი ამ ხორბლის ღირებულებას უდრის, მაგრამ იგი უდრის არა მასში მოთავსებულ ღირებულებას, არამედ II ნაკვეთზე მოყვანილი ხორბლის ღირებულებას. ეს იმიტომ, რომ ორი საბაზრო ფასის არსებობა შეუძლებელია. {მაშინ როდესაც რიკარდოს II მოიჯარე მოგების ნორმის დაცემასთან დაკავშირებით შემოჰყავს, სტირლინგს იგი სცენაზე გამოჰყავს იმის გამო, რომ ხელფასი პურის ფასების გადიდების შედეგად კი არ გადიდდა, არამედ დაეცა. ეს შემცირებული ხელფასი II მოიჯარეს შესაძლებლობას აძლევს დაამუშაოს ნიადაგი № 2 მოგების წინანდელი ნორმით, თუმცა ეს ნიადაგი ნაკლებნაყოფიერია [1].} რაკი მიწის რენტის არსებობა ამ გზით ახსნილია, დანარჩენის ახსნა უკვე ადვილია. მიწის რენტათა სხვაობა, რაც ნაყოფიერების და ა. შ. სხვაობას შეეფერება, ბუნებრივია, ძალაში რჩება. მაგრამ ნაყოფიერების სხვაობა თავისთავად არ არის იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ აუცილებელია სულ უფრო ცუდ ნიადაგზე გადასვლა.

ასეთია, მაშასადამე, რიკარდოს თეორია. რადგან ხორბლის აწეულ ფასს, რომელიც I მოიჯარეს დამატებითს მოგებას აძლევს, II მოიჯარისათვის მოგების არა წინანდელი, არამედ უფრო დაბალი ნორმაც კი მოაქვს, ამიტომ ცხადია, რომ პროდუქტი № II უფრო მეტ ღირებულებას შეიცავს, ვიდრე პროდუქტი № I, ანდა რომ იგი უფრო მეტი სამუშაო დროის პროდუქტია, რომ მასში უფრო მეტი სამუშაო დრო არის მოთავსებული; მაშასადამე, იმავე პროდუქტის, მაგალითად, ერთი კვარტერი ხორბლის, საწარმოებლად საჭიროა მეტი სამუშაო დროის დახარჯვა. რენტის ზრდა შეფარდებული იქნება მიწის ნაყოფიერების კლებასთან, ანუ შრომის იმ რაოდენობის გადიდებასთან, რომელიც საჭიროა, მაგალითად, ერთი კვარტერი

ხორბლის საწარმოებლად. რიკარდო, რასაკვირველია, არ დაიწყებდა რენტის „ზრდაზე" ლაპარაკს, თუ გადიდდებოდა მხოლოდ კვარტერების რიცხვი, საიდანაც რენტას იხდიან, — რიკარდოსათვის რენტა იზრდება იმ შემთხვევაში, თუ იზრდება იმავე პროდუქტის, ერთი კვარტერის, ფასი და ეს უკანასკნელი ადის, მაგალითად, 30-დან 60 შილინგამდე. რიკარდო, მართალია, ხშირად ივიწყებს იმას, რომ რენტის აბსოლუტური სიდიდე შეიძლება იზრდებოდეს რენტის ნორმის კლებისას, მსგავსად იმისა, როგორც მოგების აბსოლუტური მასა შეიძლება იზრდებოდეს მოგების ნორმის დაცემისას.

სხვები (მაგალითად, კერი) ცდილობენ გვერდი აუარონ სიძნელეს იმით, რომ მის არსებობას პირდაპირ საწინააღმდეგო წესით უარყოფენ. მიწის რენტა — ეს უბრალოდ იმ კაპიტალის სარგებელია, რომელიც უწინ იყო მიწაში დაბანდებული[12]. მაშასადამე, მიწის რენტაც მოგების მხოლოდ ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. აქ, მაშასადამე, უარყოფილია მიწის რენტის არსებობა, და ამით მისგან, მართლაც, აღარაფერი რჩება ასეთი ახსნა-განმარტების შედეგად.

სხვები კიდევ, მაგალითად, ბიუკენენი, რენტას განიხილავენ უბრალოდ როგორც მონოპოლიის შედეგს. იხილე აგრეთვე ჰოპკინსი[13]. აქ რენტა მხოლოდ წანამატიაღირებულებაზე ზევით.

ბ-ნ ოპდაიკესთან მიწის საკუთრება, ანუ მიწის რენტა, «კაპიტალის ღირებულების ლეგალიზებულ ასახვად[14] იქცევა. ეს დამახასიათებელია იანკეებისათვის*.

რიკარდოსთან საკითხის გამოკვლევას აძლევებს ორი მცდარი ვარაუდი. {რიკარდო, მართალია, არ არის რენტის თეორიის აღმომჩენი. უესტმა და მალთუსმა თავიანთი შრომები რენტის თეორიაზე რიკარდომდე გამოაქვეყნეს. მაგრამ წყარო — ანდერსონია. ის, რაც რიკარდოს განასხვავებს (თუმცა უესტის მიმართაც ვერ ვიტყვით, რომ მას საკუთარი ასახვა აქვს ნამდვილი კავშირის გაგება), ეს არის ურთიერთკავშირი მის მიწის რენტის თეორიასა და მის ღირებულების თეორიას შორის. მალთუსმა, როგორც ამას გვიჩვენებს

* [486] { მსგავსად იმისა, როგორც ობდაიკი მიწის საკუთრებას «კაპიტალის ღირებულების ლეგალიზებულ ასახვას» უწოდებს, ასევე კაპიტალი სხვისი შრომის ლეგალიზებული ასახვაა.} [486].

მიწის რენტის საკითხზე რიკარდოს წინააღმდეგ მისი მერმინდელი პოლემიკა, ვერც კი გაიგო მის მიერ ანდერსონისაგან ნასესხები თეორია.) თუ იმ სწორი პრინციპიდან გამოვალთ, რომ საქონელთა ღირებულება მათი წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროით განისაზღვრება (და რომ ღირებულება საერთოდ სხვა არაფერია, თუ არა გასაგნობრივებული საზოგადოებრივი სამუშაო დრო), მაშინ აქედან უნდა დავასკვნათ, რომ საქონელთა ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ი მათი წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროით განისაზღვრება. ეს დასკვნა სწორი იქნებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ი უდრის ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ა ს. მაგრამ მე სწორედ საწინააღმდეგოს ვამტკიცებ: სწორედ ი მ ი ტ ო მ, რომ საქონელთა ღირებულება ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ი თ ი განისაზღვრება, საქონელთა საშუალო ფასი (იმ ე რ თ ა დ ე რ თ ი შემთხვევის გამოკლებით, როცა, ასე ვთქვათ, მ ო გ ე ბ ი ს ინდივიდუალური ნ ო რ მ ა წარმოების რომელიმე ცალკეულ სფეროში, ე. ი. თვით ამ წარმოებაში შექმნილი ზედმეტი ღირებულებით განსაზღვრული მოგება უდრის ერთობლივი კაპიტალის მოგების საშუალო ნორმას) ა რ ა ს ო დ ე ს ა რ შ ე ი ძ ლ ებ ა უდრიდეს მათს ღირებულებას, თუმცა საშუალო ფასის ეს განსაზღვრა მხოლოდ სამუშაო დროით განსაზღვრული ღირებულებიდან გამოიყვანება.

აქედან, უწინარეს ყოვლისა, ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ თავის საკუთარ ღირებულებაზე მაღლა და დაბლა შეიძლება გაიყიდოს აგრეთვე ისეთი საქონელიც, რომლის საშუალო ფასი (თუ მუდმივი კაპიტალის ღირებულებას მხედველობაში არ მივიღებთ) დაიყოფა მხოლოდ ხელფასად და მოგებად, ამასთან ხელფასიც და მოგებაც თავიანთ ნორმალურ დონეზე დგანან, საშუალო ხელფასსა და საშუალო მოგებას წარმოადგენენ. და, მაშასადამე, როგორც ის გარემოება, რომ რომელიმე საქონლის ზედმეტი ღირებულება გამოხატულია მხოლოდ ნორმალური მოგების რუბრიკით, სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ ეს საქონელი გაყიდულია თავისი ღირებულების მიხედვით, — ასევე ის გარემოებაც, რომ მოგების გარდა საქონელი [454] მიწის რენტასაც იძლევა, სრულიად არ ამტკიცებს, რომ ეს საქონელი გაყიდულია თავის იმანენტურ ღირებულებაზე უფრო მ ა ღ ლ ა. რაკი დადგენილია, რომ ამა თუ იმ საქონლის მიერ რეალიზებული მ ო გ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ო ნ ო რ მ ა, ანუ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ა, შეიძლება იმყოფებოდეს ამ საქონელში ნამდვილად მოთავსებული ზედმეტი ღირებულებით განსაზღვრულ მის საკუთარ მოგების ნორმაზე უ ფ რ ო

დ ა ბ ლ ა, ამიტომ აქედან გამომდინარეობს შემდეგი: თუ წ ა რ მ ო-ე ბ ი ს რ ო მ ე ლ ი მ ე გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ს ფ ე რ ო ს საქონელი ამ საშუალო მოგების გარდა კიდევ იძლევა ზედმეტი ღირებულების დამატებითს რაოდენობას, რომელიც სხვა სახელწოდებას, ვთქვათ, მ ი წ ‍ ‍ ‍

ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რ ო მ ე ლ ს ა ც ე ს ს ა ქ ო ნ ე ლ ი შ ე ი ც ა ვ ს? რაკი საქმის ვითარება ასეთია, ამით ჯაბორიცხულია მე-3 შემთხვევა, სადაც ლაპარაკია ისეთ საქონელზე, რომლის მთელი ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია იმიტომ ხდება მის საშუალო ფასში, რომ მხოლოდ ამ პირობებში იძლევა იგი ჩვეულებრივ მოგებას. მაშასადამე, ეს შემთხვევა აქ მოსატანი არ არის. აქ მოსატანი არაა აგრეთვე, ამ ვარაუდის პირობებში, 1-ელი შემთხვევაც, სადაც საქონლის ფასში რეალიზებული ზედმეტი ღირებულება ამ საქონლის იმანენტურ ზედმეტ ღირებულებაზე უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი ა. ვინაიდან ჩვენ სწორედ ის ვიგულისხმეთ, რომ რენტის მიმცემ საქონლის ფასში «რეალიზდება ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ეს საქონელი შეიცავს». ამრიგად, ეს შემთხვევა ანალოგიურია მე-2 შემთხვევისა, სადაც ვხედავთ საქონელთ, რომელთა იმანენტური ზედმეტი ღირებულება აღემატება მათს საშუალო ფასში რეალიზებულ ზედმეტ ღირებულებას. ისევე როგორც ამ უკანასკნელ საქონელთათვის, წარმოების განსაკუთრებული სფეროს საქონელთა ის იმანენტური ზედმეტი ღირებულება, რომელიც მოგების ფორმით გვევლინება და მოგების საერთო ნორმის დონემდე ეცემა, შეადგენს აქ დახარჯული კაპიტალის მოგებას. მაგრამ განსხვავებით № 2 ს ა ქ ო ნ ლ ი ს ა გ ა ნ, ამ განსაკუთრებულ საქონელთა ფასში რეალიზებულია აგრეთვე მ ა თ ი ი მ ა ნ ე ნ ტ უ რ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ა მ ე ტ ი ამ მოგებასთან შ ე დ ა რ ე ბ ი თ, მაგრამ ეს ნამეტი წილად ხვდება არა კაპიტალის მფლობელს, არამედ სხვა მესაკუთრეს, სახელდობრ მიწის, ბუნებრივი ფაქტორის, მადნის და ა. შ. მესაკუთრეს.

ანდა, შესაძლოა, ამ საქონელთა ფასი ხელოვნურად იწევს მაღლა იმდენად, რომ იგი მ ო გ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ო ნ ო რ მ ა ზ ე მეტს იძლევა? ეს ხდება, მაგალითად, მონოპოლიური (სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) ფასების დროს. ა ს ე თ ი ვ ა რ ა უ დ ი — წარმოების ყოველი სფეროს შესახებ, სადაც კაპიტალისა და შრომის გამოყენება თავისუფლად შეიძლება, წარმოება კი, რამდენადაც საქმე გამოყენებული კაპიტალის მასას ეხება, საერთო კანონებს ემორჩილება, — არა მარტო petitio principii* იქნებოდა, არამედ პ ი რ დ ა პ ი რ ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ც მეცნიერების საფუძველებისა და კაპიტალისტური წარმოებისა, რომლის თეორიულ გამოხატულებასაც ეს მეცნიერება წარმოადგენს. ვინაიდან ასეთი ვარაუდი უკვე

* — ლოგიკური შეცდომა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რომელიმე თეზისის დამტკიცებას ცდილობენ ისეთი არგუმენტით, რომელსაც თვითონ ძალა აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ნაგულისხმევია დასამტკიცებელი თეზისის ჭეშმარიტება. რ ე დ.

წინასწარ იგულისხმებდა სწორედ იმას, რაც ახსნას საჭიროებს, სახელდობრ, რომ წარმოების ზოგიერთ განსაკუთრებულ სფეროში საქონლის ფასი აუცილებლად უნდა იძლეოდეს საერთო მოგების ნორმაზე მეტს, საშუალო მოგებაზე მეტს, და რომ ამისათვის საქონელი აუცილებლად მის ღირებულებაზე უფრო მაღალ ფასში უნდა იყიდებოდეს. მაშასადამე, ნაგულისხმევი იქნებოდა, რომ მიწათმოქმედების პროდუქტები არ ექვემდებარება საქონელთა ღირებულებისა და კაპიტალისტური წარმოების საერთო კანონების მოქმედებას. და ყოველივე ეს ნაგულისხმევი იქნებოდა იმიტომ, რომ განსაკუთრებული რენტის არსებობა მოგების გვერდით prima facie * ასეთ მოჩვენებითობას ქმნის. მაშასადამე, აღნიშნული ვარაუდი უაზროა.

ამიტომ აღარაფერი გვრჩება, გარდა იმ ვარაუდისა, რომ წარმოების ამ განსაკუთრებულ სფეროში არსებობს განსაკუთრებული პირობები, ისეთი გავლენანი, რომელთა მეოხებითაც საქონელთა ფასები მათი [მთელი] იმანენტური ზედმეტი ღირებულების რეალიზაციას ახდენენ, — განსხვავებით მე-2 შემთხვევაში მოცემულ საქონელთაგან, რომელნიც თავიანთ ფასში ზედმეტი ღირებულებიდან, რასაც ისინი შეიცავენ, მხოლოდ იმდენის რეალიზაციას ახდენენ, რამდენსაც მათ მოგების საერთო ნორმა უტოვებს. წარმოების აღნიშნულ განსაკუთრებულ სფეროში კი საქონელთა საშუალო ფასი არ ეცემა მათს ზედმეტ ღირებულებაზე უფრო დაბლა — სახელდობრ იმდენად უფრო დაბლა, რომ ისინი იძლეოდნენ მოგების მხოლოდ საერთო ნორმას, ანდა რომ მათი საშუალო მოგება არ იყოს უფრო მეტი, ვიდრე კაპიტალის გამოყენების ყველა სხვა სფეროშია.

ამით პრობლემა უკვე ძლიერ გამარტივდა. საქმე უკვე იმის ახსნას კი არ შეეხება, თუ როგორ ხდება, რომ გარკვეული საქონლის ფასი მოგების გარდა კიდევ რენტასაც იძლევა, — მაშასადამე, მოჩვენებითად აღწევეს ღირებულების საერთო კანონს და იმით, რომ მოცემული საქონლის ფასს ამ საქონელის იმანენტურ ზედმეტ ღირებულებაზე უფრო მაღლა სწევს, მოცემული სიდიდის კაპიტალისათვის მოგების საერთო ნორმაზე მეტს იძლევა. პირიქით, საქმე შეეხება იმის ახსნას, თუ როგორ ხდება, რომ საქონელთა ფასების გათანაბრებისა და საშუალო ფასებზე მათი დაყვანის პროცესში ეს საქონელი არ უნდა იძლევდეს სხვა საქონელთ თავისი იმანენტური ზედმეტი ღირე-

* — პირველი შეხედვით. რედ.

ბ ულ ებ ი დ ან იმდენს, რომ მას მხოლოდ ს ა შ უ ა ლ ო მ ო გ ე-
ბ ა რჩებოდეს; როგორ ხდება, რომ ეს საქონელი თავისი ზედმეტი
ღირებულების იმ ნაწილის რეალიზაციასაც ახდენს, რომელიც საშუ-
ალო მოგების ზ ე ვ ი თ გარკვეულ ნამეტს ქმნის. მაშასადამე, საქმე
შეეხება იმას, თუ როგორ შეიძლება, რომ მოიჯარე, რომელიც წარ-
მოების ამ სფეროში კაპიტალს აბანდებს, თავის საქონელს ისეთ
ფასებში ყიდის, რომ ამ საქონელს მისთვის ჩვეულებრივი მოგება
მოაქვს და ამასთანავე მას შესაძლებლობას აძლევს მესამე პირს,
მიწის მესაკუთრეს გადაუხადოს საქონლის ზედმეტი ღირებულების
რეალიზებული გადანამეტი ამ ჩვეულებრივი მოგების ზ ე ვ ი თ.

[455] ამგვარად ჩამოყალიბებული პრობლემა თავისთავად იძლე-
ვა საკუთარ გადაწყვეტას.

[ბ) მიწის კერძო საკუთრება როგორც აბსოლუტური რენტის არსებობის აუცილებელი პირობა. ზედმეტი ღირებულების დაყოფა მიწათმოქმედებაში მოგებად და რენტად]

საქმის ვითარება სავსებით მარტივია: მიწის, მაღაროს, წყლის და
ა. შ. კ ერ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა გარკვეული პირებისა შესაძლებ-
ლობას აძლევს ამ უკანასკნელთ ხელი სტაცონ, მიიტაცონ, ხელში
ჩაიგდონ წარმოების ამ განსაკუთრებული სფეროს, კაპიტალის გამო-
ყენების ამ განსაკუთრებული სფეროს საქონელში მოთავსებული
ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს ნ ა მ ე ტ ი მ ო გ ე ბ ი ს (საშუ-
ალო მოგების, მოგების საერთო ნორმით განსაზღვრული მოგების)
ზ ე ვ ი თ და ხელი შეუშალონ იმას, რომ ეს ნამეტი შეივიდეს იმ
საერთო პროცესში, რომლის მეშვეობითაც მოგების საერთო ნორმა
იქმნება. ამ ზედმეტი ღირებულების ნაწილის მიტაცება ხდება ყოველ
სამრეწველო საწარმოშიც კი, რადგან გამოყენებული მიწის ნაკვე-
თისათვის (რომელიც გამოყოფილია ფაბრიკის შენობისათვის და
ა. შ., სამუშაო სახლისათვის და ა. შ.) ყველგან იხდიან რენტას, —
იქაც კი, სადაც მიწის მიღება სრულიად თავისუფლად შეიძლება,
ფაბრიკები შენდება ცოტად თუ ბევრად მჭიდროდ დასახლებულ და
სამიმოსვლო გზებით მდიდარ ადგილებში.

ყველაზე ცუდი ნიადაგიდან მიღებული საქონელი რომ იმ საქო-
ნელთა მე-3 კატეგორიას ეკუთვნოდეს, რომელთა საშუალო ფასი
მათს ღირებულებას უდრის, ე. ი. იმ საქონელთა კატეგორიას, რო-
მელნიც თავიანთ ფასში მთელი თავიანთი იმანენტური ზედმეტი
ღირებულების რეალიზაციას ახდენენ, ვინაიდან მხოლოდ ამ პირო-

ბებში იძლევიან ისინი ჩვეულებრივ მოგებას, — მაშინ ეს მიწა არ გადაიხდიდა რენტას, და მიწის საკუთრება აქ მხოლოდ ნომინალური იქნებოდა. აქ რომ იჯარას იხდიდნენ, ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ წვრილი კაპიტალისტები, როგორც ამას ნაწილობრივ ადგილი აქვს ინგლისში (იხ. ნიუმენი)[15], კმაყოფილდებიან ისეთი მოგებით, რომელიც საშუალოზე დაბალია. ასევე ხდება ყოველთვის იმ შემთხვევაში, როცა რენტის ნორმა საქონლის იმანენტურ ზედმეტ ღირებულებასა და საშუალო მოგებას შორის არსებულ სხვაობაზე მეტია. არსებობს ისეთი მიწაც კი, რომლის დამუშავება სულ დიდი-დიდი ხელფასს ანაზღაურებს, რადგან, თუმცა მუშაკი აქ მთელი თავისი სამუშაო დროის განმავლობაში თავისთვის მუშაობს, მისი სამუშაო დრო მაინც აღემატება საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროს. მისი შრომა იმდენად ნაკლებნაყოფიერია — შრომის ამ დარგში გაბატონებულ მწარმოებლობასთან შედარებით,—რომ, თუმცა ადამიანი თავისთვის თორმეტ საათს მუშაობს, იგი ძლივძლივობით აწარმოებს პროდუქტის ისეთ რაოდენობას, როგორსაც წარმოების უფრო ხელსაყრელ პირობებში მუშა რვა საათის განმავლობაში აწარმოებს. ეს იგივე ვითარებაა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხელით მომუშავე მქსოველთან, მექანიკურ საქსოვ დაზგას რომ კონკურენციას უწევდა. ამ ხელით მომუშავე მქსოველის პროდუქტი შეიცავდა, რა თქმა უნდა, თორმეტ სამუშაო საათს, მაგრამ იგი მხოლოდ რვა — ან უფრო ნაკლებ — საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო საათს უდრიდა და ამიტომ მას მხოლოდ რვა აუცილებელი სამუშაო საათის ღირებულება ჰქონდა. თუ ასეთ შემთხვევაში ღარიბი მოიჯარე იჯარას იხდის, ეს იჯარა უბრალოდ გამონაკლებია მისი აუცილებელი ხელფასიდან და არ წარმოადგენს არავითარ ზედმეტ ღირებულებას და მით უმეტეს — არავითარ ნამეტს საშუალო მოგების ზევით.

ვთქვათ, რომელიმე ქვეყანაში, მაგალითად, შეერთებულ შტატებში, მეტოქე ფერმერების რიცხვი ჯერ კიდევ იმდენად უმნიშვნელოა და საკუთრებად მიწის მითვისებას ჯერ კიდევ იმდენად ფორმალური ხასიათი აქვს, რომ ყოველი ადამიანი პოულობს თავისუფალ მიწის ნაკვეთს იმისათვის, რომ თავისი კაპიტალი დააბანდოს მიწის დამუშავებაში იმ მესაკუთრეთა ან მოიჯარეთა ნებადაურთველად, რომელნიც უკვე მასზე უწონ ამუშავებდნენ მიწას. ასეთ პირობებში ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესაძლებელია, — გამონაკლისს შეადგენენ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში

მდებარე მიწები, რომელთაც მონოპოლიური მდგომარეობა უკავიათ, — რომ მოიჯარის მიერ საშუალო მოგების გადამეტებით წარმოებული ზედმეტი ღირებულება ვერ პოულობს რეალიზაციას მისი პროდუქტის ფასში, რომ მოიჯარე იძულებული ხდება მიღებული ზედმეტი ღირებულება გაუყოს თანამოძმე-კაპიტალისტებს, როგორც მოსდის ყველა იმ საქონლის ზედმეტ ღირებულებას, რომლებიც მოგვცემდნენ დამატებითს მოგებას, ე. ი. მოგებას, რომელიც მოგების საერთო ნორმას აღემატება, თუკი მათს ფასში რეალიზებული იქნებოდა მთელი ზედმეტი ღირებულება, რასაც ისინი შეიცავენ. ასეთ შემთხვევაში მოგების საერთო ნორმა გადიდდებოდა, იმიტომ რომ ხორბალი და ა. შ., მსგავსად სხვა — სამრეწველო—საქონლისა, თავის ღირებულებაზე დ ა ბ ლ ა გაიყიდებოდა. ასეთი გაყიდვა ღირებულებაზე დ ა ბ ლ ა გამონაკლისი კი არ იქნებოდა, არამედ, პირიქით, ხელს შეუშლიდა ხორბალს იმავე კატეგორიის სხვა საქონელთაგან გამონაკლისი ყოფილიყო.

ვთქვათ, მეორე, რომელიმე ქვეყანაში მიწა მხოლოდ ერთი ხარისხისაა, მაგრამ სახელდობრ ისეთი ხარისხის, რომ თუ საქონელში მოქცეული მთელი ზედმეტი ღირებულება რეალიზებული იქნებოდა მის ფასში, საქონელი კაპიტალს მოუტანდა ჩვეულებრივ მოგებას. ამ შემთხვევაში არავითარი მიწის რენტის გადახდა არ მოხდებოდა. მიწის რენტის ეს გაუქმება ოდნავადაც არ მოახდენდა გავლენას მოგების საერთო ნორმაზე, ვერც გაადიდებდა და ვერც შეამცირებდა მას, სავსებით ისევე, როგორც მოგების ნორმაზე გავლენას არ ახდენს ის, რომ იმავე კატეგორიას ეკუთვნიან სხვა — არასასოფლო-სამეურნეო — პროდუქტებიც. ყველა ეს საქონელი ხომ ამავე კატეგორიას სწორედ იმიტომ ეკუთვნის, რომ მათი ი მ ა ნ ე ნ ტ უ რ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა უდრის ს ა შ უ ა ლ ო მოგებას; მათ, მაშასადამე, არ შეუძლიათ შეცვალონ ამ მოგების დონე, არამედ, პირიქით, შესაბამისობაში იმყოფებიან ამ მოგებასთან და სრულიად არ ახდენენ მასზე გავლენას, თუმცა მოგება კი მოქმედებს მათზე.

ვთქვათ, მესამე, რომელიმე ქვეყანაში მიწა ერთნაირი ხარისხისაა, ამასთან იგი ისე ნაკლებნაყოფიერია და მასში დაბანდებული კაპიტალი იმდენად დაბალი მწარმოებლობისაა, რომ მისი პროდუქტი საქონელთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლის ზედმეტი ღირებულება საშუალო მოგებაზე უფრო დაბალია. ზედმეტ ღირებულებას (რადგან ხელფასი, მიწის მცირე ნაყოფიერების გამო, ყველგან აიწევდა) შეეძლო ამ შემთხვევაში უფრო მაღალ დონეზე ყოფი-

ლიყო, რა თქმა უნდა, მხოლოდ იქ, სადაც შესაძლებელი იქნებოდა აბსოლუტური სამუშაო დროის გაგრძელება; შემდეგ, იქ, სადაც ნედლი მასალა, მაგალითად, რკინა და ა. შ., არ იქნებოდა მიწათმოქმედების პროდუქტი ანდა იქნებოდა — როგორც, მაგალითად, ბამბა, აბრეშუმი და ა. შ. — იმპორტის საგანი და უფრო ნაყოფიერი ნიადაგის პროდუქტი. ამ შემთხვევაში [მიწათმოქმედების] საქონლის ფასი, იმისათვის, რომ ჩვეულებრივი მოგება მოეცა, უფრო მეტი ზედმეტი ღირებულების შემცველი იქნებოდა, ვიდრე საქონლის იმანენტური ზედმეტი ღირებულებაა. ამის შედეგად მოგების საერთო ნორმა დაეცემოდა, თუმცა რენტა არ იარსებებდა.

ანდა ვიგულისხმოთ, რომ მ ე-2 შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი მიწა ძლიერ დაბალი ნაყოფიერებისაა. მაშინ ის გარემოება, რომ ამ მიწათმოქმედების პროდუქტის ზედმეტი ღირებულება საშუალო მოგებას უდრის, იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ საშუალო მოგება აქ საერთოდ დაბალია, რადგან მიწათმოქმედებაში თორმეტი სამუშაო საათიდან თერთმეტი, შეიძლება, საჭიროა მხოლოდ ხელფასის საწარმოებლად, ზედმეტი ღირებულება კი შეადგენს სულ მხოლოდ ერთ საათს ანდა კიდევ ნაკლებს.

[456] ეს სხვადასხვა შემთხვევები გვისურათებენ შემდეგს:

პირველ შემთხვევაში მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ი ს გ ა უ ქ მ ე ბ ა ან ა რ ა რ ს ებ ობ ა დაკავშირებულია და თანაარსებობს მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა ს თ ა ნ ერ თ ა დ, — შედარებით სხვა ქვეყნებთან, სადაც მიწის რენტა უკვე განვითარდა.

მეორე შემთხვევაში მიწის რენტის გაუქმება ან არარსებობა სრულიად არ ახდენს გავლენას მოგების ნორმაზე.

მესამე შემთხვევაში იგი — შედარებით სხვა ქვეყნებთან, სადაც მიწის რენტა არსებობს, — დაკავშირებულია მოგების დ ა ბ ა ლ, შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ უ ფ რ ო დ ა ბ ა ლ საერთო ნორმასთან და მისი ამ დაბალი დონის მაჩვენებელია.

ამრიგად, აქედან გამომდინარეობს, რომ თავისთავად განსაკუთრებული რენტის განვითარებას აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო შ რ ო მ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა ს თ ა ნ, რადგან რენტის არარსებობა ან გაუქმება შეიძლება დაკავშირებული იყოს მოგების ნორმასთან, რომელიც დიდდება, უცვლელი რჩება და მცირდება.

საკითხი აქ ის კი არაა, თუ რატომაა, რომ მიწათმოქმედებაში და ა. შ. მიიტაცებენ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს ნ ა მ ე ტ ს ს ა შ უ ა ლ ო მ ო გ ე ბ ი ს ზ ე ვ ი თ; პირიქით, საჭირო იქნებოდა

უფრო ასეთი საკითხის დასმა: რა მიზეზების გამო უნდა ჰქონდეს აქ ადგილი საპირისპირო მოვლენას?

ზედმეტი ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა ფასგადაუხდელი შრომა; საშუალო მოგება, ანუ ნორმალური მოგება სხვა არაფერია, თუ არა ფასგადაუხდელი შრომის ის რაოდენობა, რომლის რეალიზაციას, ვარაუდის თანახმად, მოცემული სიდიდის ყოველი კაპიტალი ახდენს. როცა ამბობენ, საშუალო მოგება 10 პროცენტს შეადგენსო, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ 100 ერთეულის კაპიტალს ფასგადაუხდელი შრომის 10 ერთეული უწევს, ანუ გასაგნობრივებული შრომა, რომელიც 100-ს უდრის, მბრძანებლობს ფასგადაუხდელ შრომაზე თავისი საკუთარი სიდიდის $^1/_{10}$-ის მოცულობით. ზედმეტი ღირებულების ნამეტი საშუალო მოგების ზევით ნიშნავს, მაშასადამე, რომ საქონელი (მისი ფასი ან მისი ფასის ის ნაწილი, რომელიც ზედმეტი ღირებულებისაგან შედგება) შეიცავს ფასგადაუხდელი შრომის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე ის რაოდენობა, რომელიც საშუალო მოგებას ქმნის და, მაშასადამე, საქონელთა საშუალო ფასში შეადგენს საქონლის ფასის ნამეტს მისი წარმოების ხარჯების ზევით. წარმოების ხარჯები გამოხატავენ ყოველ ცალკეულ საქონელში ავანსებულ კაპიტალს, ნამეტი კი ამ წარმოების ხარჯების ზევით გამოხატავს იმ ფასგადაუხდელ შრომას, რომელზეც მბრძანებლობს ავანსებული კაპიტალი; მაშასადამე, ფასის ამ ნამეტის შეფარდება წარმოების ხარჯებთან გამოხატავს იმ ნორმას, რომლის შესაბამისად საქონელთა წარმოების პროცესში გამოყენებული მოცემული სიდიდის კაპიტალი მბრძანებლობს ფასგადაუხდელ შრომაზე, იმისდა მიუხედავად, უდრის თუ არა ამ ნორმას წარმოების მოცემული განსაკუთრებული სფეროს საქონელში მოთავსებული ფასგადაუხდელი შრომა.

რა აიძულებს ცალკეულ კაპიტალისტს გაყიდოს, მაგალითად, თავისი საქონელი საშუალო ფასის კვალობაზე? (ეს საშუალო ფასი ძალაუნებურად თავს ეხვევა კაპიტალისტს როგორც უკვე ჩამოყალიბებული რაღაც, და იგი სრულიადაც არაა მისი თავისუფალი ქმედება: კაპიტალისტი ამჯობინებდა თავისი საქონელი მის ღირებულებაზე უფრო მაღალ ფასში გაეყიდა). მაშასადამე, რა აიძულებს კაპიტალისტს საქონელი ისეთ ფასში გაყიდოს, რომელიც მას მხოლოდ საშუალო მოგებას აძლევს და რომლის დროსაც იგი უფრო ნაკლები ფასგადაუხდელი შრომის რეალიზაციას ახდენს, ვიდრე ფაქტიურად მის საკუთარ საქონელშია მოთავსე-

ბული? ამას აიძულებს მას სხვა კაპიტალების მოწოლა, განხორციელებული კონკურენციის მიერ. იმავე ოდენობის ყოველ კაპიტალს შეეძლო ხომ აგრეთვე გადასულიყო წარმოების A სფეროში, სადაც ფასგადაუხდელი შრომის შეფარდება ავანსებულ კაპიტალთან, მაგალითად, 100 გირვ. სტერლინგთან, უფრო მეტია, ვიდრე B, C და ა. შ. წარმოების სფეროებში, რომელთა პროდუქტები თავიანთი სახმარი ღირებულებით ისევე აკმაყოფილებენ რაიმე საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, როგორც A სფეროს წარმოების პროდუქტებიც.

მაშასადამე, რაკი არსებობს წარმოების ისეთი სფეროები, სადაც წარმოების გარკვეული ბუნებრივი პირობები, როგორც, მაგალითად, სახნავი მიწა, ქვანახშირის საბადოები, რკინის მაღაროები, წყალვარდნილი და ა. შ., — პირობები, რომელთა გარეშე შეუძლებელია წარმოების პროცესის შესრულება, რომელთა გარეშე შეუძლებელია მოცემული სფეროს საქონლის წარმოება, — იმყოფება არა გასაგნობრივებული შრომის მესაკუთრეთა ან მფლობელთა, ე. ი. კაპიტალისტთა ხელში, არამედ სხვების ხელში, ამიტომ წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე თ ა ეს მეორე ჯგუფი კაპიტალისტს უცხადებს:

თუ მე წარმოების ამ პირობებს გითმობ გამოსაყენებლად, შენ მიიღებ შენს საშუალო მოგებას, მიითვისებ ფასგადაუხდელი შრომის ნორმალურ რაოდენობას. მაგრამ შენი წარმოება იძლევა ზედმეტი ღირებულების, ფასგადაუხდელი შრომის ნამეტს მოგების ნორმის ზევით. ეს ნამეტი არ უნდა გადაისროლო საერთო სალაროში, როგორც თქვენ, კაპიტალისტები, ამას ჩვეულებრივ აკეთებთ. ამ ნამეტს მივთვისებ მე, იგი მე მეკუთვნის. ამგვარი გარიგება შენთვის სავსებით მისაღები უნდა იყოს, რადგან წარმოების ამ სფეროში შენი კაპიტალი იმდენსვე გაძლევს, რამდენსაც ყოველ სხვა სფეროში, და თანაც ეს წარმოების მეტად სოლიდური დარგია. ფასგადაუხდელი შრომის იმ 10%-ის გარდა, რაც საშუალო მოგებას შეადგენს, შენი კაპიტალი გაძლევს აქ კიდევ ჭ ა რ ბ ი ფასგადაუხდელი შრომის 20%. ამას გადამიხდი მე, ხოლო იმისათვის, რომ ამის გაკეთება შეძლო, საქონლის ფასს მიათვლი ფასგადაუხდელი შრომის ამ 20%-ს, მაგრამ მას სხვა კაპიტალისტებთან საერთო ანგარიშში არ შეიტან. მსგავსად იმისა, როგორც შრომის ერთ-ერთი პირობის — კაპიტალის, გასაგნობრივებული შრომის — საკუთრება, რომელიც შენ გეკუთვნის, შესაძლებლობას გაძლევს მიითვისო მუშების ფასგადაუხდელი შრომის გარკვეული რაოდენობა, ასე წარმოების მეორე პირობის — მიწის და ა. შ. — საკუთრება, რომელიც

მე მეკუთვნის, მაძლევს მე იმის შესაძლებლობას, რომ გამოგტაცო შენ და კაპიტალისტების მთელ კლასს ფასგადაუხდელი შრომის ის ნაწილი, რომელიც შეადგენს ნამეტს შენი საშუალო მოგების ზევით. თქვენი კანონი მოითხოვს, რომ ნორმალურ პირობებში თანაბარმა კაპიტალმა ფასგადაუხდელი შრომის თანაბარი რაოდენობა მიითვისოს, და თქვენ, კაპიტალისტებს, შეგიძლიათ [457] აიძულოთ ერთმანეთი ეს კონკურენციის მეშვეობით განახორციელოთ. შესანიშნავია! სწორედ ამ კანონს ვიყენებ შენს მიმართ. შენი მუშების ფასგადაუხდელი შრომიდან არ უნდა მიითვისო იმაზე მეტი, ვიდრე შეგეძლო მიგეთვისებინა წარმოების ყოველ სხვა სფეროში იმავე კაპიტალის გამოყენებით. მაგრამ ამ კანონს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ფასგადაუხდელი შრომის ნამეტთან, რომელიც შენ „აწარმოე“ მისი ნორმალური რაოდენობის გადაჭარბებით. ვის შეუძლია ხელი შემიშალოს ამ „ნამეტის“ მითვისებაში? რატომ უნდა გადამესროლა მე იგი, როგორც ეს თქვენთანაა მოდაში, კაპიტალის საერთო ქვაბში კაპიტალისტთა კლასს შორის გასანაწილებლად, რათა თვითეულმა მათგანმა იქიდან მიიღოს გარკვეული წილი, იმ პაის შესაბამისად, რაც მას ერთობლივ კაპიტალში აქვს? მე არ ვარ კაპიტალისტი. წარმოების ის პირობა, რომლით სარგებლობის უფლებას გაძლევ, გასაგნობრივებული შრომა კი არ არის, არამედ ბუნების ნაბოძებია. შეგიძლიათ აწარმოოთ ფაბრიკული წესით მიწა, ან წყალი, ან მაღაროები, ანდა ქვანახშირის საბადოები? არა, არ შეგიძლიათ. მაშასადამე, ჩემს მიმართ არ არსებობს იძულების ის საშუალება, რომელიც შეიძლება შენს მიმართ იქნეს გამოყენებული, რათა გაიძულონ უკანვე ჩამოდო პირადად შენ მიერ მიტაცებული ზედმეტი შრომის ნაწილი. ამიტომაც, მოიტა იგი აქ! ერთადერთი, რის გაკეთებაც შენს თანამოძმე-კაპიტალისტებს შეუძლიათ, ის არის, რომ კონკურენცია მე კი არა, შენ გაგიწიონ. თუ დამატებითს მოგებას გადამიხდი უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ამას შეადგენს სხვაობა შენ მიერ მითვისებულ ზ ე დ მ ე ტ ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ს ა -და ზედმეტი შრომის იმ წილს შორის, რაც შენ გერგება კაპიტალის კანონის თანახმად, — მაშინ სცენაზე გამოვლენ შენი თანამოძმე-კაპიტალისტები და თავიანთი კონკურენციით გაიძულებენ პატიოსნად გადამიხადო ხოლმე ს რ უ ლ ი თ ა ნ ხ ა იმისა, რის გამოწურვაც შენგან შემიძლია.

ახლა საჭირო იქნებოდა გამოგვეკვლია: 1) გადასვლა ფეოდალური მიწის საკუთრებიდან სხვა, კომერციულ, კაპიტალისტური წარმოების მიერ რეგულირებულ მიწის რენტაზე; ანდა, მეორე მხრივ,

გადასვლა ამ ფეოდალური მიწის საკუთრებისა თავისუფალ გლეხურ მიწის საკუთრებაში; 2) როგორ წარმოიშვება მიწის რენტა ისეთ ქვეყნებში, როგორც შეერთებული შტატებია, სადაც მიწა თავდაპირველად არ წარმოადგენდა კერძო საკუთრებას და სადაც, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად, თავიდანვე ბურჟუაზიული წარმოების წესია გაბატონებული; 3) მიწის საკუთრების აზიური ფორმები, რომლებიც კიდევ განაგრძობენ არსებობას. ყოველივე ეს აქ განსახილველი არაა.

ამრიგად, ჩვენ მიერ განვითარებული თეორიის თანახმად, კერძო საკუთრება ბუნების ობიექტებისა, როგორიცაა მიწა, წყალი, მაღაროები და ა. შ., საკუთრება წარმოების ამ პირობებისა, ბუნების მიერ მოცემულ ამა თუ იმ წარმოების პირობებისა — არ არის ის წყარო, საიდანაც ღირებულება გამომდინარეობს, რადგან ღირებულება უდრის მხოლოდ გასაგნობრივებულ სამუშაო დროს. არ არის ეს საკუთრება აგრეთვე ის წყაროც, საიდანაც გამომდინარეობს ნაჭარბი ზედმეტი ღირებულება, ე. ი. ფასგადაუხდელი შრომის ნამეტი იმ ფასგადაუხდელი შრომის ზევით, რომელსაც მოგება შეიცავს. მაგრამ ეს საკუთრება არის შემოსავლის წყარო. ის არის ტიტული, საშუალება, რომელიც წარმოების ამ პირობის მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევს მიითვისოს წარმოების იმ სფეროში, სადაც მისი საკუთრების საგანი შედის როგორც წარმოების პირობა, კაპიტალისტის მიერ გამოწურული ფასგადაუხდელი შრომის ის ნაწილი, რომელიც წინაადმდეგ შემთხვევაში გადასროლილი იქნებოდა, როგორც ნამეტი ჩვეულებრივი მოგების ზევით, კაპიტალის საერთო სალაროში. ეს საკუთრება საშუალებაა იმისა, რომ შეიზღუდოს ზემოაღნიშნული პროცესი, რომელიც კაპიტალისტური წარმოების დანარჩენ სფეროებში ხდება, და წარმოების ამ განსაკუთრებულ სფეროში წარმოებული ზედმეტი ღირებულება შენარჩუნებულ იქნეს ამავე სფეროს ფარგლებში, ასე რომ ზედმეტი ღირებულება იყოფა ახლა კაპიტალისტსა და მიწის მესაკუთრეს შორის. ამ გზით მიწის საკუთრება გადაიქცევა ფასგადაუხდელი შრომის, უსასყიდლო შრომის ორდერად, მოწმობად, ისეთსავე მოწმობად, როგორიც კაპიტალია. და მსგავსად იმისა, როგორც კაპიტალში გასაგნობრივებული მუშის შრომა გვევლინება მუშაზე გაბატონებულ ძალად, სწორედ ასევე მიწის საკუთრებაში ის გარემოება, რომ ეს საკუთრება მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევს წაართვას კაპიტალისტს ფასგადაუხდელი შრომის ნაწილი, ისეთ სახეს ღებულობს, თითქოს მიწის საკუთრება ღირებულების წყაროა.

ეს იძლევა თანამედროვე მიწის რენტის, მისი არსებობის ახსნა-განმარტებას. მიწის რენტის სხვადასხვა სიდიდე თანაბარი კაპიტალ დაბანდებისას შეიძლება აიხსნას მხოლოდ მიწის ნაკვეთების არათანაბარი ნაყოფიერებით. რენტის სხვადასხვა სიდიდე თანაბარი ნაყოფიერებისას შეიძლება აიხსნას მხოლოდ დაბანდებულ კაპიტალების სხვადასხვა სიდიდით. პირველ შემთხვევაში მიწის რენტა იზრდება იმიტომ, რომ დიდდება მისი ნორმა დახარჯულ კაპიტალთან შეფარდებით (აგრეთვე მიწის ფართობთან შეფარდებითაც). მეორე შემთხვევაში იგი იზრდება იმიტომ, რომ თანაბარი ნორმის დროს — ანდა განსხვავებული ნორმის დროსაც კი (თუ მიწაში დაბანდებული კაპიტალის მეორე დოზის მწარმოებლობა თანაბარი არაა)—იზრდება რენტის მასა.

ამ თეორიის თანახმად, არც იმის აუცილებლობა არსებობს, რომ ყველაზე ცუდი მიწა სრულიად არ იძლეოდეს მიწის რენტას, და არც იმისა, რომ იგი იძლეოდეს რენტას. შემდეგ, სრულიად არაა აუცილებელი, რომ მიწათმოქმედების ნაყოფიერება კლებულობდეს, თუმცა განსხვავება ნაყოფიერებაში, თუ იგი ხელოვნურად არ არის თავიდან აცილებული (რაც შესაძლებელია), გაცილებით მეტია მიწათმოქმედებაში, ვიდრე სამრეწველო წარმოების ერთი და იმავე სფეროს ფარგლებში. როცა ჩვენ მეტ თუ ნაკლებ ნაყოფიერებაზე ვლაპარაკობთ, საქმე ეხება ერთი და იმავე სახეობის პროდუქტს. თუ როგორ მიმართებაში არიან ერთმანეთთან სხვადასხვა პროდუქტები, — ეს სხვა საკითხია.

თვით ნიადაგის მიხედვით გამოანგარიშებული მიწის რენტა არის რენტის საერთო ჯამი, მისი მასა. მას შეუძლია გადიდება რენტის ნორმის გაუდიდებლადაც. ფულის ღირებულების უცვლელობისას მიწათმოქმედების პროდუქტების შეფარდებითი ღირებულება შეიძლება იზრდებოდეს არა იმიტომ, რომ მიწათმოქმედება ნაკლებნაყოფიერი ხდება, არამედ იმიტომ, რომ თუმცა იგი უფრო ნაყოფიერი ხდება, მაგრამ არა იმავე ზომით, როგორც მრეწველობა. პირიქით, მიწათმოქმედების პროდუქტების ფულადი ფასების გადიდება, ფულის უცვლელი ღირებულების დროს, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით მათი ღირებულება იზრდება, ე. ი. თუ მიწათმოქმედება ნაკლებნაყოფიერი ხდება (ჩვენ არ ვლაპარაკობთ აქ მიწოდებაზე მოთხოვნის დროებითი ზემოქმედების შესახებ, როგორც ეს ხდება ხოლმე სხვა საქონელთა მიმართაც).

ბამბეულის მრეწველობაში, თვით მრეწველობის განვითარების კვალობაზე, ნედლი მასალის ფასი განუწყვეტლივ ეცემოდა; ასევე

ხდებოდა რკინის, ქვანახშირის მრეწველობაში და ა. შ. რენტის გადიდება აქ შესაძლებელი იყო არა იმიტომ, რომ მისი ნორმა დიდდებოდა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მეტი კაპიტალი გამოიყენებოდა.

რიკარდო ფიქრობს, რომ ბუნების ისეთი ძალები, როგორიცაა ჰაერი, სინათლე, ელექტრობა, ორთქლი, წყალი, მუქთია, მიწა კი — მისი შეზღუდულობის გამო — არ არის მუქთი. მაშასადამე, უკვე მარტო ამიტომ, მიწათმოქმედება, რიკარდოს აზრით, უფრო ნაკლებ-ნაყოფიერია, ვიდრე წარმოების სხვა დარგი. თუკი მიწა ასევე საერთო საკუთრებად გადაქცეული კუთვნილება იქნებოდა და შეუზღუდველი რაოდენობით გვექნებოდა, როგორც ბუნების სხვა ელემენტები და ძალებიც, მაშინ წარმოება, რიკარდოს მიხედვით, გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნებოდა.

[458] უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ თუ მიწა, როგორც ბუნების ელემენტი, ყველას და თვითეულის თავისუფალ-განკარგულებაში იქნებოდა, მაშინ არ იარსებებდა ერთ-ერთი მთავარი ელემენტი *კაპიტალის შესაქმნელად*. წარმოების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი პირობა და — თუ თვით ადამიანს დ. მის შრომას არ ჩავთვლით — ერთადერთი პირველადი პირობა წარმოებისა ვერ დაექვემდებარებოდა გასხვისებასა და მითვისებას და, მაშასადამე, ვერ დაუპირისპირდებოდა მუშას როგორც უცხო საკუთრება და ამ გზით ვერ გახდიდა მას დაქირავებულ მუშად. შრომის ნაყოფიერება, რიკარდოსეული გაგებით, ე. ი. კაპიტალისტური გაგებით, სხვისი ფასგადაუხდელი შრომის «წარმოება», მაშასადამე, შეუძლებელი იქნებოდა. ამით ბოლო მოეღებოდა კაპიტალისტურ წარმოებას საერთოდ.

რაც შეეხება ბუნების იმ ძალებს, რომლებსაც რიკარდო ასახელებს, ისინი, რა თქმა უნდა, შეაძლება ნაწილობრივ მუქთად გვქონდეს, და კაპიტალისტს ისინი უფასოდ აქვს. ნახშირში ის ფულს იხდის, ორთქლი კი, თუ წყალი მუქთად აქვს, არაფერი უჯდება. მაგრამ ავიღოთ, მაგალითად, ორთქლი. ორთქლის თვისებები მუდამ არსებობდა. მაგრამ ორთქლის საწარმოო გამოყენება ახალი მეცნიერული აღმოჩენაა, რომელიც კაპიტალისტებმა მიითვისეს. ამ აღმოჩენის შედეგად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და ამით კი შეფარდებითი ზედმეტი ღირებულებაც. ეს ნიშნავს: კაპიტალისტის მიერ ერთი დღის განმავლობაში მითვისებული ფასგადაუხდელი შრომის რაოდენობა გაიზარდა ორთქლის შემწეობით. ამრიგად, განსხვავება ორთქლის მწარმოებლურ ძალასა და მიწის მწარმოებლურ ძალას შორის მხოლოდ ისაა, რომ პირველი კაპიტალისტს აძლევს ფასგადა-

უხდელ შრომას, მეორე კი — მიწის მესაკუთრეს, რომელიც ამ ფასგადაუხდელ შრომას [უშუალოდ] მუშას კი არ ართმევს, არამედ კაპიტალისტს. აქედან წარმოდგება კაპიტალისტის ოცნება ბუნების ამ ელემენტის «საკუთრების გაუქმების» შესახებ.

საკითხისადმი რიკარდოსებურ მიდგომაში სწორია მხოლოდ შემდეგი:

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში კაპიტალისტი არის წარმოების არა მარტო აუცილებელი, არამედ გაბატონებული აგენტიც. პირიქით, მიწის მესაკუთრე ამ წარმოების წესის დროს სრულიად ზედმეტია. ყველაფერი, რაც კაპიტალისტური წარმოების წესისათვის არის საჭირო, ეს არის ის, რომ მიწა არ იყოს საერთო საკუთრება, რომ იგი უპირისპირდებოდეს მუშათა კლასს როგორც ისეთი პირობა წარმოებისა, რომელიც მას არ ეკუთვნის, და ეს მიზანი მიღწეულია მთლიანად მაშინ, როცა მიწა სახელმწიფო საკუთრებად იქცევა და მიწის რენტას, მაშასადამე, სახელმწიფო ღებულობს. მიწის მესაკუთრე, რომელიც ძველ დროში და შუა საუკუნეებში ესოდენ არსებითს ფუნქციებს ასრულებდა წარმოებაში, სამრეწველო სამყაროში უსარგებლო ხორცმეტი ხდება. ამიტომ რადიკალი-ბურჟუა (რომელსაც, გარდა ამისა, მხედველობაში აქვს ყველა სხვა გადასახადის გაუქმება) თეორიულად მიწის კერძო საკუთრების უარყოფამდე მიდის და სურს ეს საკუთრება სახელმწიფო საკუთრების ფორმით ბურჟუაზიის კლასის, კაპიტალის საერთო საკუთრებად გადააქციოს. მაგრამ პრაქტიკულად მას არ ჰყოფნის გამბედაობა, რადგან იერიშის მიტანა საკუთრების ერთ ფორმაზე — შრომის პირობების კერძო საკუთრების ერთ ფორმაზე — მეტად საშიში იქნებოდა მეორე ფორმისთვისაც. გარდა ამისა, ბურჟუამ თვით მოახდინა თავისი თავის ტერიტორიალიზება*.

[4) უსაფუძვლობა როდბერტუსის დებულებისა მიწათმოქმედებაში ნედლი მასალის ღირებულების არარსებობის შესახებ]

ახლა დავუბრუნდეთ ბ-ნ როდბერტუსს.

როდბერტუსის აზრით, მიწათმოქმედებაში სრულიად არ მიიღება ანგარიშში ნედლი მასალა, იმიტომ რომ გერმანელი გლეხი, როგორც როდბერტუსი გვარწმუნებს, არ თვლის თავისთვის დანახარჯად

* — შეიძინა მიწა. რ ე დ.

თესლს, საკვებს და ა. შ., არ შეაქვს გაანგარიშებაში ეს წარმოების ხარჯები, ე. ი. არასწორად ანგარიშობს. გამოდის, რომ ისგლისში, სადაც ფერმერი უკვე 150 წელზე მეტია სწორად ანგარიშობს, არავითარი მიწის რენტა არ უნდა არსებულიყო. მაშასადამე, როდბერტუსს მართებდა აქედან გამოეტანა არა ის დასკვნა, რომ მოიჯარე რენტას იხდის იმიტომ, რომ მისი მოგების ნორმა უფრო მაღალია, ვიდრე მრეწველობაში, არამედ სულ სხვა: მოიჯარე რენტას იხდის იმიტომ, რომ, არასწორი გაანგარიშების შედეგად, იგი მოგების უფრო დაბალი ნორმით კმაყოფილდება. დოქტორ კენეს, რომელიც თვითონ მოიჯარის შვილი იყო და კარგად იცნობდა საფრანგეთის საიჯარო ურთიერთობას, როდბერტუსი არ მოეწონებოდა. კენე ხომ რუბრიკაში «ავანსები», «ყოველწლიურ ავანსებში», ერთ მილიარდად განსაზღვრავს იმ «ნედლი მასალის» ღირებულებას, რომელსაც მოიჯარე იყენებს თავის მეურნეობაში, თუმცა მას იგი in natura აკვლავწარმოებს.

თუ მრეწველობის ერთ ნაწილში თითქმის სრულიად არ არის ძირითადი კაპიტალი, ან მანქანური მოწყობილობა, მაშინ მეორე ნაწილში, მთელ სატრანსპორტო მრეწველობაში — იმ მრეწველობაში, რომელიც გადაადგილებას აწარმოებს (ოთხთვალას, რკინიგზების, გემებისა და სხვ. საშუალებით), — სრულიად არ გამოიყენება ნედლი მასალა, არამედ გამოიყენება მხოლოდ წარმოების იარაღები. იძლევიან თუ არა მრეწველობის ეს დარგები, გარდა მოგებისა, კიდევ მიწის რენტასაც? რით განსხვავდება მრეწველობის ეს დარგი, ვთქვათ, სამთამადნო მრეწველობისაგან? ორივე შემთხვევაში არსებობს მხოლოდ მანქანური მოწყობილობა და დამხმარე მასალა, როგორც, მაგალითად, ნახშირი გემებისა და ლოკომოტივებისათვის, ასევე მაღაროებისთვისაც, საკვები ცხენებისათვის და ა. შ. რატომ უნდა ხდებოდეს მოგების ნორმის გამოანგარიშება ერთი სახის წარმოებისათვის სხვაგვარად, ვიდრე მეორისათვის? დავუშვათ, რომ ის ხარჯები, რასაც გლეხი ეწევა თავისი წარმოებისათვის in natura, შეადგენს მის მიერ მთელი ავანსებული კაპიტალის $^1/_5$-ს; ამას უნდა დაემატოს $^4/_5$, რაც შეადგენს მის მიერ ნაყიდი მანქანებისა და ხელფასის ხარჯებს; ვთქვათ, მთელი ეს ხარჯები უდრის [ღირებულებით] 150 კვარტერს. თუ, შემდეგ, გლეხი 10% მოგებას იღებს, ეს შეადგენს 15 კვარტერს. მაშასადამე, მთლიანი პროდუქტი იქნებოდა 165 კვარტერის ტოლი. თუ გლეხი მის მიერ დახარჯულ კაპიტალს გამოაკლებდა $^1/_5$-ს, ე. ი. 30 კვარტერს, და 15 კვარტერს იანგარიშებდა ხოლოდ 120-ზე, მაშინ მისი მოგება შეადგენდა $12^1/_2$%-ს.

ჩვენ შეგვეძლო ეს გამოგვეხატა ასეც. გლეხის პროდუქტის ღირებულება, ანუ მისი პროდუქტი, უდრის 165 კვარტერს (330 გირ. სტერლ.). გლეხი ანგარიშობს თავის ხარჯებს 120 კვარტერის რაოდენობით (240 გირვ. სტერლ.). აქედან 10% შეადგენს 12 კვარტერს (24 გირვ. სტერლ.). მაგრამ მისი მთლიანი პროდუქტი უდრის 165 კვარტერს, საიდანაც, ამრიგად, [ფულადი ხარჯების ანაზღაურებაზე და ამ ხარჯის თანხის შესატყვისი მოგების 10%-ზე] მიდის სულ 132 კვარტერი; რჩება 33 კვარტერი. მაგრამ ამ 33 კვარტერიდან 30 კვარტერი იხარჯება in natura. მაშასადამე, ზემოგების სახით რჩება 3 კვარტერი (=6 გირვ. სტერლ.). ამ გლეხის მთელი მოგება უდრის 15 კვარტერს (30 გირვ. სტერლ.) ნაცვლად 12 კვარტერისა (24 გირვ. სტერლ.). მაშასადამე, მას შეუძლია გადაიხადოს რენტა 3 კვარტერის, ანუ 6 გირვ. სტერლინგის, რაოდენობით და წ ა რ მ ო ი დ გ ი ნ ო ს ამასთან, რომ მიიღო, როგორც ყოველმა სხვა კაპიტალისტმა, 10% მოგება. მაგრამ ეს 10% მხოლოდ წარმოსახვაში არსებობს. სინამდვილეში მან ავანსად გაიღო არა 120 კვარტერი, არამედ 150, და 10% აქედან შეადგენს 15 კვარტერს, ანუ 30 გირვ. სტერლინგს. ნამდვილად კი მან 3 კვარტერით ნაკლები მიიღო, ე. ი. $^1/_4$ მის მიერ მიღებული 12 კვარტერიდან, [459] სხვა სიტყვებით, მას დააკლდა $^1/_5$ მთელი იმ მოგებიდან, რაც უნდა მიეღო, — და ეს იმიტომ, რომ მან თავისი ხარჯების $^1/_5$ არ იანგარიშა ხარჯებად. გამოდის, რომ როგორც კი გლეხი კაპიტალისტური წესით გამოანგარიშებას ისწავლიდა, მაშინვე შეწყვეტდა მიწის რენტის გადახდას, რენტისა, რომელიც მხოლოდ მ ი ს მოგების ნორმასა და ჩვეულებრივ მოგების ნორმას შორის არსებული სხვაობის ტოლი იქნებოდა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 165 კვარტერში მოთავსებული ფასგადაუხდელი შრომის პროდუქტი უდრის 15 კვარტერს, ანუ 30 გირვ. სტერლინგს, ანდა 30 სამუშაო კვირას. თუ ამ 30 სამუშაო კვირას, ანუ 15 კვარტერს, ანდა 30 გირვ. სტერლ., მივაკუთვნებდით ერთობლივ დანახარჯს, რომელიც 150 კვარტერს უდრის, მაშინ ისინი შეადგენდნენ მხოლოდ 10%; თუ მათ მხოლოდ 120 კვარტერს მივაკუთვნებთ, ისინი მოგვცემენ მოგების უფრო მაღალ ნორმას. ეს იმიტომ, რომ 12 კვარტერი 120 კვარტერზე იძლევა 10%, 15 კვარტერი კი 120 კვარტერზე შეადგენს არა 10%, არამედ $12^1/_2$%. სხვანაირად: მართალია, გლეხმა გასწია აღნიშნული ნატურალური ხარჯები, მაგრამ რადგან ისინი კაპიტალისტურ ყაიდაზე არ იანგარიშა, ამიტომ მის მიერ დაზოგილი ზედმეტი შრომა მან მიაკუთვნა თავის დანახარჯთა არა მთელ ჯამს; საქმის ასეთი ვითარებისას ეს ზედმეტი

შრომა გამოხატავდა მოგების უფრო მაღალ ნორმას წარმოების სხვა სფეროებთან შედარებით და მოგვცემდა რენტას, რომელიც, მაშასადამე, დამყარებული იქნებოდა მხოლოდ გაანგარიშებაში დაშვებულ შეცდომაზე. თუ გლეხს ეცოდინებოდა, რომ იმისათვის, რათა მის მიერ გაწეული ხარჯები ფულით შეაფასოს და, მაშასადამე, განიხილოს ისინი როგორც საქონელი, მისთვის სრულიადაც არაა აუცილებელი გადააქციოს ისინი წინასწარ ნ ა მ დ ვ ი ლ ფ უ ლ ა დ, ე. ი. გ ა ყ ი დ ო ს ისინი, მაშინ მთელ ამ ისტორიას ბოლო მოეღებოდა.

გ ა ა ნ გ ა რ ი შ ებ ის ა მ შ ე ც დ ო მ ის გ ა რ ე შ ე (რომლის დაშვებაც მეტწილ შემთხვევაში გერმანელ გლეხებს შეუძლიათ, მაგრამ რომელსაც არც ერთი კაპიტალისტური მოიჯარე არ დაუშვებს) შეუძლებელი იქნებოდა როდბერტუსისეული რენტა. იგი შესაძლებელია მხოლოდ იქ, ს ა დ ა ც ნედლი მასალა წარმოების ხარჯებში შედის, მაგრამ შეუძლებელია იქ, სადაც იგი ამ ხარჯებში ა რ შ ე დ ი ს. იგი შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ნედლი მასალა შედის წარმოებაში, მხოლოდ ა რ იანგარიშება მწარმოებლის მიერ. მაგრამ იგი შეუძლებელია იქ, ს ა დ ა ც ნედლი მასალა არ შედის წარმოებაში, — თუმცა ბ-ნ როდბერტუსს სურს გამოიყვანოს რენტა ა რ ა გ ა ა ნ გ ა რ ი შ ებ ა ში დ ა შ ვ ებ უ ლ ი შ ე ც დ ო მ ი დ ა ნ, არამედ ავანსად გაღებულ ხარჯებში ნამდვილად არსებული ხარჯების ერთ-ერთი მუხლის უ ა რ ყ ო ფ ი დ ა ნ.

ავიღოთ სამთამადნო მრეწველობა ან მეთევზეობა. აქ ნედლი მასალა წარმოებაში შედის მხოლოდ დამხმარე მასალის სახით, ეს კი ჩვენ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ, რადგან მაქანების გამოყენება მუდამ (ძალიან ცოტა გამონაკლისის გარდა) გულისხმობს აგრეთვე ისეთი დამხმარე მასალის მოხმარებასაც, რომელიც მანქანისათვის ერთგვარ საარსებო საშუალებას წარმოადგენს. ვიგულისხმოთ, რომ მოგების საერთო ნორმა შეადგენს 10%. 100 გირვ. სტერლ. დახარჯულია მანქანებსა და ხელფასზე. რატომ უნდა აღემატებოდეს 100-დან მიღებული მოგება 10-ს იმ შემთხვევაში, თუ ეს 100 დახარჯულია, ვთქვათ, არა ნედლ მასალაზე, მანქანებსა და ხელფასზე [არამედ მხოლოდ მანქანებსა და ხელფასზე]? ანდა იმ შემთხვევაში, თუ ეს 100 დახარჯულია მარტო ნედლ მასალასა და ხელფასზე? თუ აქ რაიმე განსხვავებას აქვს ადგილი, იგი შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ იქიდან, რომ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ებ ში მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებათა თანაფარდობა საერთოდ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ დ ე ბ ო დ ა. ეს განსხვავებული თანაფარდობა მოგვცემდა

სხვადასხვა ზედმეტ ღირებულებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა ნავარაუდევი იქნებოდა როგორც მუდმივი. სხვადასხვა ზედმეტი ღირებულების შეფარდებას კი ტოლი სიდიდის კაპიტალებთან უნდა მოეცა, რა თქმა უნდა, არათანაბარი მოგება. მაგრამ, მეორე მხრივ, მოგების საერთო ნორმა ხომ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ამ სხვაობათა გათანაბრებას, კაპიტალის ორგანული შემადგენელი ნაწილების მხედველობაში მიუღებლობას და ზედმეტი ღირებულების ისეთ განაწილებას, რომლის დროსაც თანაბარი სიდიდის კაპიტალები თანაბარ მოგებებს იძლევიან.

ის გარემოება, რომ ზედმეტი ღირებულების მასა დამოკიდებულია დახარჯული კაპიტალის სიდიდეზე, ძალაშია — ზედმეტი ღირებულების საერთო კანონების თანახმად — არა წარმოების სხვადასხვა სფეროში მოქმედი კაპიტალების მიმართ, არამედ წარმოების ერთსა და იმავე სფეროში მოქმედი სხვადასხვა კაპიტალებ.ის მიმართაც, სადაც კაპიტალის ორგანული შემადგენელი ნაწილების ერთნაირი თანაფარდობა ივარაუდება. თუ მე, მაგალითად, ვამბობ: მოგების ნორმა შეესაბამება, ვთქვათ, სართავ მრეწველობაში დახარჯული კაპიტალების სიდიდეს (რაც აგრეთვე მთლად სწორი არაა, თუ ამას არ მივუმატებთ: მწარმოებლობა იგულისხმება როგორც მუდმივი), — მაშინ მე, არსებითად, მხოლოდ იმას ვამბობ, რომ მრთველთა ექსპლუატაციის მოცემული ნორმის პირობებში ექსპლუატაციის ჯამი დამოკიდებულია ექსპლოატირებულ მრთველთა რიცხვზე. ხოლო თუ მე, პირიქით, ვამბობ, რომ მოგების ნორმა წარმოების სხვადასხვა დარგში დახარჯული კაპიტალების სიდიდეს შეესაბამება, ეს იმას ნიშნავს, რომ მოგების ნორმა მოცემული სიდიდის ყოველი კაპიტალისათვის ერთი და იგივეა, ე. ი. რომ მოგების მასა შეიძლება იცვლებოდეს მხოლოდ ამ კაპიტალის სიდიდის შეცვლასთან ერთად, ეს კი, სხვა სიტყვებით, კვლავ იმას ნიშნავს, რომ მოგების ნორმა არ არის დამოკიდებული კაპიტალის შემადგენელი ნაწილების ორგანულ თანაფარდობაზე წარმოების რომელიმე ცალკეულ სფეროში, რომ იგი საერთოდ არ არის დამოკიდებული წარმოების ამ ცალკეულ სფეროში შექმნილი ზედმეტი ღირებულების სიდიდეზე.

სამთამადნო საქმე იმთავითვე უნდა მიგვეკუთვნებინა მრეწველობისათვის და არა მიწათმოქმედებისათვის. რა საფუძვლით? სწორედ იმ საფუძვლით, რომ მაღაროს არც ერთი პროდუქტი in natura — იმ სახით, როგორითაც იგი მაღაროდან გამოდის — არ შედის ხელ-

ახლა, როგორც წარმოების ელემენტი, მაღაროს საექსპლოატაციოდ გამოყენებულ კაპიტალში (ასევეა მეთევზეობაში, სამონადირეო საქმეში, სადაც ხარჯები კიდევ უფრო მეტად არის დაყვანილი მხოლოდ შრომის საშუალებებსა და ხელფასზე ან თვით შრომაზე). [460] სხვა სიტყვებით, ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ აქ წარმოების ყოველი ელემენტი — მაშინაც კი, თუ მისი ნედლი მასალა მაღაროდან მიიღება — წინასწარ, ვიდრე ხელახლა შევიდოდეს ელემენტის სახით სამთამადნო წარმოებაში, არა მარტო იცვლის თავის ფორმას, არამედ გადაიქცევა საქონლად, ე. ი. იგი უნდა ი ყ ი დ ო ნ. ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს ნახშირი. მაგრამ წარმოების საშუალების სახით ნახშირი გვევლინება განვითარების მხოლოდ იმ სტადიაში, როცა მაღაროს მრეწველი უკვე განათლებული კაპიტალისტია, რომელიც იტალიურ ბუღალტერიას აწარმოებს, რომლის თანახმადაც იგი არა მარტო თავის ხარჯებს უწერს ვალად თავის თავს, არა მარტო დებიტორია თავისი საკუთარი სალაროს მიმართ, არამედ მისი საკუთარი სალაროც დებიტორი ხდება თავისი თავის მიმართ. ამრიგად, სწორედ აქ, სადაც ნედლი მასალა მართლა არ შედის ხარჯებში, იმთავითვე უპირატესად გავრცელებული უნდა იყოს კაპიტალისტური ანგარიშწარმოება, მაშასადამე, შეუძლებელი უნდა იყოს ის შეცდომაც, რომელიც ბლეხს შეუძლია დაუშვას.

ავიღოთ თუნდაც დამმუშავებელი მრეწველობა, სახელდობრ მისი ის ნაწილი, სადაც შრომის პროცესის ყველა ელემენტი გვევლინება აგრეთვე ღირებულების შექმნის პროცესის ელემენტის სახითაც, სადაც, მაშასადამე, წარმოების ყველა ელემენტი ახალი საქონლის წარმოებაში შედის ამასთანავე როგორც დანახარჯიც, როგორც ისეთი სახმარი ღირებულება, რომელსაც ღირებულება აქვს, ე. ი. როგორც ს ა ქ ო ნ ე ლ ი. აქ არსებითი განსხვავებაა პირველი ნახევარფაბრიკატის მწარმოებელ მრეწველსა და მეორე და ყველა შემდგომ მრეწველს (წარმოების ფაზათა თანამიმდევრობის შესაბამისად) შორის, რომლებთანაც ნედლი მასალა არა მარტო შედის წარმოებაში როგორც საქონელი, არამედ უკვე მეორად საქონელს წარმოადგენს, ე. ი. ისეთ საქონელს, რომელმაც უკვე მიიღო პირველი საქონლის, ნედლი პროდუქტის, ნატურალური ფორმისაგან განსხვავებული ფორმა და უკვე გაიარა წარმოების პროცესის მეორე ფაზა. მაგალითად, მრთველი. მის ნედლ მასალას წარმოადგენს ბამბა, მაგრამ ეს ნედლი პროდუქტია უკვე საქონლის სახით. მქსოველისათვის კი ნედლ მასალას წარმოადგენს ნართი — მრთველის პროდუქტი; მბეჭდავის ან მღებავის ნედლი მასალა არის ქსოვილი, მქსოველის

პროდუქტი, და ყველა ეს პროდუქტი, რომელთაგანაც თვითეული პროცესის რომელიმე შემდგომ ფაზაში კვლავ გვევლინება ნედლი მასალის სახით, ამასთანავე საქონელია[16]. [460].

[461] ჩვენ აქ, ცხადია, კვლავ მივადექით იმ საკითხს, რომელსაც უკვე ორჯერ შევეხეთ: ერთხელ ჯონ სტიუარტ მილის შეხედულებათა განხილვისას[17], შემდეგ — მუდმივი კაპიტალისა და შემოსავლის თანაფარდობის ზოგადი განხილვისას *. ამ საკითხის კვლავ და კვლავ წამოჭრა იმის მაჩვენებელია, რომ აქ კიდევ რაღაც დაბრკოლებაა. ეს საკითხი, კაცმა რომ თქვას, III თავს ეკუთვნის, სადაც მოგებაზეა[18] ლაპარაკი. მაგრამ უმჯობესია იგი აქ განვიხილოთ.

ამრიგად, ავიღოთ მაგალითი:

4 000 გირვანქა ბამბა = 100 გირვ. სტერლ.;
4 000 გირვანქა ნართი = 200 გირვ. სტერლ.;
4 000 იარდი ჩითი = 400 გირვ. სტერლ.

ამ ვარაუდის თანახმად, 1 გირვანქა ბამბა=6 პენსს, 1 გირვანქა ნართი = 1 შილინგს, 1 იარდი ჩითი = 2 შილინგს.

დავუშვათ, რომ მოგების ნორმა უდრის 10%. მაშინ:

A) 100 გირვ. სტერლინგში — დანახარჯი = $90^{10}/_{11}$, მოგება = $9^{1}/_{11}$.
B) 200 გირვ. სტერლინგში — დანახარჯი = $181\ ^{9}/_{11}$, მოგება = $18^{2}2/_{11}$.
C) 400 გირვ. სტერლინგში — დანახარჯი = $363^{7}/_{11}$, მოგება = $36^{4}/_{11}$.

A არის ბამბა, გლეხის (I) პროდუქტი, B — ნართი, მრთველის (II) პროდუქტი, C — ქსოვილი, მქსოველის (III) პროდუქტი.

ამ ვარაუდისას სავსებით სულ ერთია, შეიცავს თუ არა თვით A პროდუქტი $90^{10}/_{11}$ გირვ. სტერ. მოგებას. იგი არ შეიცავს მოგებას, თუ ისეთი მუდმივი კაპიტალია, რომელიც თვით ანაზღაურებს თავის თავს. ასევე მნიშვნელობა არა აქვს B-თვის შეიცავს თუ არა [A პროდუქტის ღირებულების გამომხატველი] 100 გირვ. სტერლ. მოგებას, და იგივე მდგომარეობაა C-თან B პროდუქტების მიმართ.

საქმის ვითარება ბამბის დამმუშავებელთან (I), მრთველთან (II) და მქსოველთან (III) წარმოგვიდგება შემდეგნაირად:

I) დანახარჯი — $90^{10}/_{11}$, მოგება — $9^{1}/_{11}$. ჯამი — 100.
II) დანახარჯი — (100 (I) — $81^{9}/_{11}$), მოგება — $18^{2}/_{11}$. ჯამი — 200.
III) დანახარჯი — (200 (II) + $163^{7}/_{11}$), მოგება — $36^{4}/_{11}$. ჯამი — 400.
მთელი ჯამი უდრის 700.

მოგება უდრის $9^{1}/_{11} + 18^{2}/_{11} + 36^{4}/_{11} = 63^{7}/_{11}$.

* იხ. ეს ტომი, ნაწ. 1, გვ. 139 და 251 — 252. რედ.

ყველა სამივე დარგში ავანსებული კაპიტალი უდრის $90^{10}/_{11} + 181^{9}/_{11} + 363^{7}/_{11} = 636^{4}/_{11}$.

ნამეტი 700-ისა $636^{4}/_{11}$-ის ზევით უდრის $63^{7}/_{11}$. მაგრამ $63^{7}/_{11} : 636^{4}/_{11} = 10 : 100$.

თუ განვაგრძობთ ამ აბდაუბდის ანალიზს, მივიღებთ შემდეგს:

I) დანახარჯი — $90^{10}/_{11}$, მოგება — $9^{1}/_{11}$. ჯამი — 100.
II) დანახარჯი — (100 (I) + $8^{9}/_{11}$), მოგება — (10 + $8^{2}/_{11}$). ჯამი — 200.
III) დანახარჯი — (200 (II) + $163^{7}/_{11}$), მოგება — (20 + $16^{4}/_{11}$. ჯამი — 400.

ბამბის მომყვანმა (I) არავის არ უნდა გადაუხადოს მოგება, რადგან იგულისხმება, რომ მისი მუდმივი კაპიტალი, რომელიც $90^{10}/_{11}$-ს უდრის, არ შეიცავს მოგებას, არამედ მხოლოდ მუდმივ კაპიტალს გამოხატავს. მრთველის (II) დანახარჯში შედის ბამბის მომყვანის (I) მთელი პროდუქტი მუდმივი კაპიტალის სახით. ნაწილი [II პროდუქტისა, რომელიც გამოხატავს] 100-ის ტოლ მუდმივ კაპიტალს, ბამბის მომყვანს უნაზღაურებს $9^{1}/_{11}$ მოგებას. მქსოველის (III) დანახარჯში შედის მრთველის (II) მთელი პროდუქტი, რომელიც უდრის 200-ს; [მქსოველის მუდმივი კაპიტალი] ანაზღაურებს, მაშასადამე, მოგებას $18^{2}/_{11}$-ის ოდენობით. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ბამბის მომყვანის მოგება სრულებითაც არაა მრთველისა და მქსოველის მოგებაზე მეტი, რადგან იმავე პროპორციით ნაკლებია ის კაპიტალი, რომელიც უნდა აანაზღაუროს ბამბის მომყვანმა, მოგება კი შეესაბამება კაპიტალის სიდიდეს, იმისდა მიუხედავად, თუ რა ნაწილებისაგან შედგება ეს კაპიტალი.

დავუშვათ ახლა, რომ მქსოველი (III) ყველაფერს თვითონ აწარმოებს. მაშინ საქმე მოჩვენებითად იცვლება. [მაგრამ სინამდვილეში მოგების ნორმა ამასთან არ იცვლება]. მქსოველის დანახარჯი ახლა შემდეგ სახეს ღებულობს: $90^{10}/_{11}$ დაბანდებულია ბამბის წარმოებაში; $181^{9}/_{11}$ — ნართის წარმოებაში და $363^{7}/_{11}$ — ქსოვილის წარმოებაში. იგი ყიდულობს წარმოების სამივე დარგს, მაშასადამე, მან უნდა დაანაბანდოს თვითეულ ამ დარგში გარკვეული მუდმივი კაპიტალი. შევკრიბოთ ეს კაპიტალები ერთ ჯამად: $90^{10}/_{11} + 181^{9}/_{11} + 363^{7}/_{11} = 636^{4}/_{11}$. ამ ჯამის მიხედვით გამოანგარიშებული 10% იძლევა ზუსტად $63^{7}/_{11}$, როგორც ზემოთ, — მხოლოდ ახლა ყოველივე ამას მთლიანად ჯიბეში იდებს ერთი პირი, მაშინ როდესაც წინათ ეს $63^{7}/_{11}$ I, II და III შორის ნაწილდებოდა.

[462] საიდან ჩნდება ეს მაცდუნებელი მოჩვენებითობა [თითქოს ამასთან მოგების ნორმა იცვლება]?

მაგრამ წინასწარ კიდევ ერთი შენიშვნა.

თუ ჩვენ 400-ს, საიდანაც $36^4/_{11}$ მქსოველის მოგებას შეადგენს, ვამოვაკლებთ ამ მოგებას, დარჩება $363^7/_{11}$, რაც მის დანახარჯს შეადგენს. ამ დანახარჯიდან 200 გადახდილია ნართში. ამ 200-დან მრთველის მოგებას უწევს $18^2/_{11}$. თუ ამ $18^2/_{11}$-ს გამოვაკლებთ $363^7/_{11}$ დანახარჯს, დარჩება $345^5/_{11}$. მაგრამ 200, რაც მრთველს აუნაზღაურდა, შეიცავს, გარდა ამისა, კიდევ $9^1/_{11}$-ს,—ბამბის მომყვანის მოგებას. თუ ჩვენ $345^5/_{11}$-ს ამ $9^1/_{11}$-ს გამოვაკლებთ, დავგრჩება $336^4/_{11}$. და თუ ეს $336^4/_{11}$ გამოაკლდება 400-ს, ე. ი. ქსოვილის ერთობლივ ღირებულებას, აღმოჩნდება, რომ მასში მოთავსებული მოგება უდრის $63^7/_{11}$-ს.

მაგრამ $336^4/_{11}$-ის ეს $63^7/_{11}$ მოგება უდრის $18^{34}/_{37}$%.

წინათ ეს $63^7/_{11}$ იანგარიშებოდა $636^4/_{11}$-ზე, და ეს შეადგენდა 10% მოგებას. 700 ერთობლივი ღირებულება სწორედ $63^7/_{11}$-ით აღემატებოდა $636^4/_{11}$-ს.

ამრიგად, ჩვენი ამ გაანგარიშების თანახმად, იმავე კაპიტალის 100-ს მოუწევდა $18^{34}/_{37}$%, მაშინ როდესაც წინანდელი გაანგარიშებით მხოლოდ 10% შეხვდებოდა.

როგორ შეეთანხმება ეს ერთიმეორეს?

ვიგულისხმოთ, რომ I, II და III — ერთი და იგივე ადამიანია, მაგრამ იგი თავის სამ კაპიტალს იყენებს არა ერთსა და იმავე დროს (ერთ კაპიტალს — მებამბეობაში, მეორეს — რთვაში, მესამეს — საფეიქრო საქმეში), არამედ შემდეგნაირად: მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან ბამბის დამუშავება დაამთავრა, იგი იწყებს რთვას და მხოლოდ რთვის დამთავრების შემდეგ ჰკიდებს ხელს ქსოვას.

ამ შემთხვევაში ანგარიში გამოვიდოდა ასეთი:

$90^{10}/_{11}$ გირვ. სტერლინგს ეს კაპიტალისტი ხარჯავს ბამბის მოყვანაზე და 4000 გირვანქა ბამბას ღებულობს. მთელი ეს რაოდენობა რომ დაართოს, მან უნდა გაიღოს შემდგომი ხარჯები მანქანებსა, დამხმარე მასალასა და ხელფასზე — სულ $81^9/_{11}$ გირვ. სტერლინგი. ამით იგი აწარმოებს 4000 გირვანქა ნართს. ბოლოს, მას იგი გადაიქცევს 4000 იარდ ქსოვილად, რისთვისაც მან უნდა გაიღოს ახალი ხარჯი $163^7/_{11}$ გირვ. სტერლინგის ოდენობით. თუ ახლა ყველა მის დანახარჯს შევაჯამებთ, მაშინ მისი ავანსებული კაპიტალი შეადგენს $90^{10}/_{11}$ გირვ. სტერლ. + $81^9/_{11}$ გირვ. სტერლ. + $163^7/_{11}$ გირვ. სტერლ., ე. ი. $336^4/_{11}$ გირვ. სტერლინგს. ამ ჯამის 10% შეადგენს $33^7/_{11}$ გირვ. სტერლინგს, რადგან $336^4/_{11} : 33^7/_{11} = 100 : 10$. მაგრამ $336^4/_{11}$ გირვ. სტერლ. + $33^7/_{11}$ გირვ. სტერლ. = 370 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, იგი გაყიდდა 4000 იარდ ქსოვილს 370 გირვ.

სტერლინგად ნაცვლად 400 გირვ. სტერლინგისა, 30 გირვ. სტერ-ლინგით უფრო იაფად, ე. ი. წინანდელზე $7^1/_2$%-ით უფრო იაფად. მაშასადამე, ქსოვილის ღირებულება რომ ნამდვილად 400 გირვ. სტერლინგს უდრიდეს, მაშინ იგი თავის საქონელს ისე გაყიდდა, რომ 10% მოგებას მიიღებდა და კიდევ 30 გირვ. სტერლ. რენტას გადაიხდიდა, რადგან მისი მოგების ნორმა გამოხატავდა არა $33^7/_{11}$-ის, არამედ $63^7/_{11}$-ის შეფარდებას $336^4/_{11}$ დანახარჯთან, — ე. ი. იგი შეადგენდა $18^{34}/_{37}$%, როგორც ჩვენ ეს ზემოთ ვნახეთ.

და, ეტყობა, ეს არის კიდეც ნამდვილად ის ხერხი, რომლითაც B-ნი როდბერტუსი მიწის რენტას ანგარიშობს.

რაში მდგომარეობს შეცდომა? უწინარეს ყოვლისა, ცხადია, რომ რთვასა და ქსოვას, თუ ისინი შეერთებულნი იქნებოდნენ, უნდა მოეცათ [როდბერტუსის მიხედვით] მიწის რენტა სწორედ ისევე, როგორც იმ შემთხვევაში, როცა რთვა შეერთებულია მიწათმოქმედებასთან ანდა როცა მიწათმოქმედება განცალკევებით წარმოებს.

აქ, აშკარაა, ორგვარი ამბავია.

ჯერ ერთი, ჩვენ ვანგარიშობთ $63^7/_{11}$ გირვ. სტერლინგს მხოლოდ $336^4/_{11}$ გირვ. სტერლ. კაპიტალზე, მაშინ როდესაც იგი უნდა გვეანგარიშნა სამ კაპიტალზე, რომელთა ერთობლივი ღირებულება $636^4/_{11}$ გირვ. სტერლინგს შეადგენს.

მეორე, უკანასკნელ კაპიტალში (III) ჩვენ ვიღებდით $336^4/_{11}$ გირვ. სტერლ. დანახარჯს ნაცვლად $363^7/_{11}$ გირვ. სტერლინგისა.

ეს ორი პუნქტი ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

ჯერ ერთი, თუ კაპიტალისტი, რომელიც ერთ პიროვნებაში აერთიანებს ბამბის მომყვანს, მრთველსა და მქსოველს, თავისი ბამბის მოსავლის მთელ პროდუქტს ნართად გადააქცევს, იგი ამ მოსავლის აბსოლუტურად არავითარ ნაწილს არ მოახმარს თავისი სამიწათმოქმედო კაპიტალის ანაზღაურებას. იგი არ იყენებს [ერთსა და იმავე დროს] თავისი კაპიტალის ერთ ნაწილს [463] ბამბის მოყვანის ხარჯებისათვის, თესლისათვის, ხელფასისათვის, მანქანებისათვის — და მეორე ნაწილს რთვისათვის, არამედ ჯერ იგი თავისი კაპიტალის ნაწილს აბანდებს ბამბის მოყვანაში, შემდეგ ამ ნაწილს მეორის დამატებით — რთვაში, მერე კი ნართში მოთავსებულ ორივე პირველ ნაწილს მესამე ნაწილის დამატებით ქსოვაში აბანდებს. როცა, ბოლოს, ქსოვილი მზადაა, 4000 იარდის ოდენობით, როგორ შეუძლია მას მისი ელემენტების ანაზღაურება? სანამ ის ქსოვდა, იგი არ ართავდა და აგრეთვე ამისათვის საჭირო მასალაც არ ჰქონდა, ხოლო სანამ იგი ართავდა, არ მოჰყავდა ბამბა. მისი წარმოების

ელემენტების ანაზღაურება, მაშასადამე, შეუძლებელია. გავიადვილოთ ამოცანა და ვთქვათ: დიახ, ჩვენი ვაჟბატონი ამ 4000 იარდს ყიდის და აქედან მიღებული 400 გირვ. სტერლინგის ნაწილით „ყიდულობს“ ნართს და ბამბის ელემენტებს. მაგრამ რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ ჩვენ სინამდვილეში ვიღებთ სამ კაპიტალს, რომლებიც ერთსა და იმავე დროსაა გამოყენებული, საქმეში დაბანდებული, წარმოებაში ავანსად გაღებული. ნართი რომ შევიძინოთ, იგი უნდა არსებობდეს, ბამბა რომ ვიყიდოთ, ისიც აგრეთვე უნდა არსებობდეს, ხოლო იმისათვის, რათა ბამბაც და ნართიც ბაზარზე მოიპოვებოდეს და მათ შეეძლოთ, მაშასადამე, მოქსოვილი ნართისა და დართული ბამბის შენაცვლება, მათი მწარმოებელი კაპიტალები უნდა დაბანდებული იყოს საქმეში იმავდროულად ქსოვაში დაბანდებულ კაპიტალთან ერთად და ისინი უნდა გარდაიქმნან ბამბად და ნართად სწორედ იმ დროს, როცა ნართი ქსოვილად გარდაიქმნება.

მაშასადამე, III წარმოების სამივე დარგს აერთიანებს თუ ეს დარგები სამ მწარმოებელს შორის არის განაწილებული, — სულ ერთია, ერთსა და იმავე დროს სამი კაპიტალი უნდა არსებობდეს. კაპიტალისტს არ შეუძლია იმავე კაპიტალით, რითაც იგი საფეიქრო საქმეს წარმართავდა, წარმართოს აგრეთვე რთვაც და ბამბის დამუშავებაც, თუ მას სურს იმავე მასშტაბით აწარმოოს. ამ კაპიტალებიდან თვითეული დაბანდებულია წარმოებაში, და იმ გარემოებას, რომ ისინი ერთიმეორეს ურთიერთ ანაზღაურებენ, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხთან. ერთიმეორის ამნაზღაურებელი კაპიტალები წარმოადგენენ მუდმივ კაპიტალს, და თვითეული მათგანი უნდა დაბანდებულ იქნეს ამ სამი დარგიდან რომელიმეში და სხვებთან ერთად ერთდროულად უნდა მოქმედებდეს. თუ 400 გირვ. სტერლინგში მოთავსებულია $63^{7}/_{11}$ გირვ. სტერლ. მოგება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ III, გარდა თავისი საკუთარი $63^{7}/_{11}$ გირვ. სტერლ. მოგებისა, კიდევ ღებულობს — ჩვენს გაანგარიშებაში — იმ მოგებასაც, რომელიც მან უნდა უხადოს II და I მწარმოებლებს, და რომელიც, ვარაუდის თანახმად, რეალიზაციას პოულობს მის საქონელში. მაგრამ ეს მოგება მიიღეს მათ არა მისი $363^{7}/_{11}$ გირვ. სტერლინგიდან, არამედ საქმის ვითარება ასეთია: მიწათმოქმედმა იგი მიიღო ცალკე თავისი $90^{10}/_{11}$ გირვ. სტერლინგიდან, მრთველმა კი — თავისი $181^{9}/_{11}$-დან. თუ III მთელ მოგებას ეპატრონება, ეს მოგება მან მიიღო კვლავ არა $363^{7}/_{11}$ გირვ. სტერლინგიდან, ქსოვის საქმეში რომ იყო დაბანდებული, არამედ ამ

კაპიტალიდან პლუს ორი სხვა კაპიტალი, რომლებიც მან რთვასა და ბამბის მოყვანაში დაებანდა.

მ ე ო რ ე, თუ ჩვენ III-თვის დანახარჯს ვანგარიშობთ $336^{4}/_{11}$ გირვ. სტერლ. ოდენობით ნაცვლად $363^{7}/_{11}$-ისა, ეს ხდება აი რატომ:

ჩვენ ვანგარიშობთ, რომ მის მიერ ბამბის მოყვანაზე გაწეული ხარჯი შეადგენს $90^{10}/_{11}$ გირვ. სტერლინგს და არა 100-ს. მაგრამ მას ხომ მებამბეობის მთელი პროდუქტი სჭირდება, ეს უკანასკნელი კი შეადგენს 100 გირვ. სტერლინგს და არა $90^{10}/_{11}$-ს. $9^{1}/_{11}$ მოგებას უკვე შეიცავს ეს პროდუქტი. ანდა III გამოიყენებდა $90^{10}/_{11}$ გირვ. სტერლ. კაპიტალს, რაც მას ა რ ა ვ ი თ ა რ მ ო გ ე ბ ა ს არ მისცემდა. ბამბის მოყვანა არ მოუტანდა მას მოგებას, არამედ აუნაზღაურებდა მხოლოდ $90^{10}/_{11}$ გირვ. სტერლ. დანახარჯს. ასევე არც რთვა მოუტანდა მას მოგებას, და რთვის მთელი პროდუქტი აანაზღაურებდა მხოლოდ დანახარჯს.

ამ შემთხვევაში მისი დანახარჯი ნამდვილად იქნება $90^{10}/_{11}$ + + $81^{9}/_{11}$ + $163^{7}/_{11}$ = $336^{4}/_{11}$. ეს, ამრიგად, შეადგენდა მის ავანსებულ კაპიტალს. ამ კაპიტალის 10%-ს გამოხატავდა $33^{7}/_{11}$ გირვ. სტერლინგი. პროდუქტის ღირებულება იქნებოდა მაშინ 370 გირვ. სტერლინგი. ეს ღირებულება იოტის ოდენადაც არ იქნებოდა უფრო მაღალი, რადგან, ვარაუდის თანახმად, ორივე პირველ ნაწილს—I და II — არავითარი მოგება არ მოუცია. ამიტომ III გაცილებით უკეთ მოიქცეოდა, თუ I და II დარგებს არ გაეკარებოდა და წარმოების ძველ მეთოდს შეინარჩუნებდა. ვინაიდან $63^{7}/_{11}$ გირვ. სტერლინგის ნაცვლად, რის შეჭმაც წინათ I, II და III შეეძლოთ, III-ს ახლა მხოლოდ თვითონ $33^{7}/_{11}$ გირვ. სტერლინგი აქვს, მაშინ როდესაც უწინ, როცა მისი თანამომძმენი თავიანთ მოგებას მასთან ერთად ჭამდნენ, მას ჰქონდა $36^{4}/_{11}$ გირვ. სტერლ. მოგება. იგი იქნებოდა მართლაც სრულიად უვარგისი საქმოსანი. მას ექნებოდა $9^{1}/_{11}$ გირვ. სტერლ. დანახარჯის ეკონომია II დარგში მხოლოდ იმიტომ, რომ I დარგში მოგებას ვერ მიიღებდა, და $18^{2}/_{11}$ გირვ. სტერლ. ეკონომიას III დარგში მხოლოდ იმიტომ მიიღებდა, რომ მოგებას ვერ მიიღებდა II დარგში. მისგან მოგების სახით მიღებული $90^{10}/_{11}$ გირვ. სტერლინგი ბამბის დამუშავებაში და $81^{9}/_{11}$ + $90^{10}/_{11}$ რთვაში მხოლოდ თავის თავს აანაზღაურებდნენ. და მხოლოდ საფეიქრო საქმეში დაბანდებული მესამე კაპიტალი $90^{10}/_{11}$ + $81^{9}/_{11}$ + $163^{7}/_{11}$ მოიტანდა 10% მოგებას. ეს იქნებოდა, მაშასადამე, იმის მიჩვენებელი, რომ 100 გირვ. სტერლინგი 10% მოგებას იძლევა ქსოვის საქმეში, მაგრამ გროშსაც არ იძლევა რთვასა და ბამბის მოყვანაში.

შართალია, ეს ძლიერ სასიამოვნო იქნებოდა III-თვის იმ შემთხვევაში, თუ I და II — მისგან განსხვავებული პირები იქნებოდნენ, მაგრამ სრულიადაც არა იმ შემთხვევაში, როცა იგი სამივე დარგს თავის ძვირფას პიროვნებაში აერთიანებს და იმედი აქვს თ ვ ი თ ო ნ მ ი ი თ ვ ი ს ო ს მ ი ს თ ვ ი ს ე ს ო დ ე ნ მ ი მ ზ ი დ ვ ე ლ ი მ ო გ ე ბ ი ს ე ს ე კ ო ნ ო მ ი ა. ეკონომია მოგებისათვის გაწეული დანახარჯისა (ე. ი. ამ სამი დარგიდან ერთის [464] ძირითადი კაპიტალის იმ შემადგენელი ნაწილისათვის გაწეული დანახარჯისა, რომელიც სხვებისთვის მოგებას წარმოადგენს) მოხდებოდა, მაშასადამე, იმის შედეგად, რომ სინამდვილეში I და II დარგთა პროდუქტებში არავითარი მოგება არ იქნებოდა მოთავსებული და ამ დარგებში არავითარი ზედმეტი შრომა არ იქნებოდა შესრულებული; ეს დარგები თავიანთ თავს განიხილავდნენ მხოლოდ როგორც დაქირავებულ მუშებს და თავის თავს აუნაზღაურებდნენ მხოლოდ თ ა ვ ი ა ნ თ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ებ ს, ე. ი. მუდმივი კაპიტალისა და ხელფასისათვის გაწეულ დანახარჯს. მაგრამ ამ შემთხვევებში — თუ მხოლოდ I და II არ მოინდომებდნენ, ვთქვათ, III-თვის ემუშავნათ, რის შედეგადაც მოგება ა მ ე უ კ ა ნ ა ს კ ე ლ ი ს ანგარიშში შევიდოდა — შესრულებული იქნებოდა, მაშასადამე, საერთოდ ნაკლები შრომა, და III-თვის სრულიად ერთი და იგივე იქნებოდა, დაიხარჯებოდა მის მიერ ასანაზღაურებელი შრომა მხოლოდ ხელფასზე თუ ხელფასსა და მოგებაზე. ეს მისთვის სავსებით ერთი და იგივე იქნებოდა, რამდენადაც იგი ყიდულობს და ანაზღაურებს პროდუქტს, ს ა ქ ო ნ ე ლ ს.

სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმას, მუდმივ კაპიტალს მთლიანად აანაზღაურებენ თუ ნაწილობრივ in natura, ე. ი. იმ საქონლის მწარმოებლები, რომლისთვისაც იგი მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს, — ამას მნიშვნელობა არა აქვს. უწინარეს ყოვლისა, ყოველი მუდმივი კაპიტალი საბოლოო ანგარიშით in natura უნდა ანაზღაურდეს: მანქანა ანაზღაურდება მანქანით, ნედლეული — ნედლეულით, დამხმარე მასალა — დამხმარე მასალით. მიწათმოქმედებაში მუდმივი კაპიტალი შეიძლება შედიოდეს წარმოებაში აგრეთვე ს ა ქ ო ნ ლ ი ს სახითაც, ე. ი. შეიძლება მისი მოძრაობა ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით ხორციელდებოდეს. იგი, რა თქმა უნდა, — რამდენადაც კვლავწარმოებაში ორგანული ნივთიერებანი შედის — იმავე წარმოების სფეროს პროდუქტით უნდა ანაზღაურდეს. მაგრამ სრულიადაც არაა აუცილებელი მისი ანაზღაურება იმავე ცალკეული მწარმოებლების მიერ წარმოების ამ სფეროს შიგნით. რაც

უფრო დიდ განვითარებას მიაღწია მიწათმოქმედებამ, მით უფრო მეტი ოდენობით შედის ყველა მისი ელემენტი მასში როგორც საქონელი არა მარტო ფორმალურად, არამედ რეალურადაც, ე. ი. ეს პროდუქტები მოდის გარედან, ისინი სხვა მწარმოებელთა პროდუქტებია (თესლი, სასუქი, პირუტყვი, მეცხოველეობის პროდუქტები და ა. შ.). მრეწველობაში უწყვეტი მოძრაობა, მაგალითად, რკინისა მანქანათმშენებელ ქარხანაში, მანქანებისა კი — რკინის სამადნეში ისეთივე მუდმივი ხასიათისაა, როგორც გადასვლა ხორბლისა ბეღლიდან მიწაში და მიწიდან — ფერმერის ბეღელში. მიწათმოქმედებაში პროდუქტები უშუალოდ ანაზღაურებენ თავის თავს. რკინას არ შეუძლია მანქანების ანაზღაურება. მაგრამ რკინა იმ რაოდენობით, რომელსაც ისეთივე ღირებულება აქვს, როგორიც მანქანას, უნაზღაურებს [რკინის მწარმოებელსა და მანქანათმშენებელს შორის გაცვლაში] ერთს — მანქანას, მეორეს კი — რკინას, რამდენადაც მანქანა [მანქანათმშენებლის მიერ რკინის მწარმოებლისათვის მიყიდული] თვით ნაზღაურდება — ღირებულების მიხედვით — რკინით.

სრულიად გაუგებარია, რა განსხვავება მიიღება მოგების ნორმისათვის, თუ მიწათმოქმედი იმ $90^{10}/_{11}$ გირვ. სტერლინგს, რასაც იგი 100 გირვ. სტერლინგის პროდუქტზე ხარჯავს, გამოიანგარიშებს, ვთქვათ, ისე, რომ 20 გირვ. სტერლინგს ივარაუდებს თესლისათვის და ა. შ., 20-ს — მანქანებისათვის და ა. შ., $50^{10}/_{11}$-ს კი — ხელფასისათვის. 10% მოგებას ხომ იგი ამ მთლიანად აღებული თანხიდან მოითხოვს. ის 20 გირვ. სტერლ. პროდუქტისა, რაც მან თესლს გაუთანაბრა, არ შეიცავს მოგებას. მიუხედავად ამისა იგი ისევე შეადგენს 20 გირვ. სტერლინგს, როგორც ის 20 გირვ. სტერლინგი მანქანების სახით, რომელშიც მოთავსებულია, ვთქვათ, 10% მოგება. თუმცა, ეს შეიძლება მხოლოდ ფორმალური იყოს. სინამდვილეში 20 გირვ. სტერლინგი მანქანების სახით შეიძლება ისევე არ წარმოადგენდეს გროშისოდენა მოგებას, როგორც 20 გირვ. სტერლინგი თესლის სახით. ეს ხდება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული 20 გირვ. სტერლინგი მხოლოდ ანაზღაურებაა მანქანათმშენებლის მუდმივი კაპიტალის შემადგენელი ნაწილებისა — იმ შემადგენელი ნაწილებისა, რომლებიც მანქანათმშენებელს გამოაქვს, ვთქვათ, მიწათმოქმედების სფეროდან.

როგორც უმართებულოა ის, რომ მანქანათა ერთობლიობა მიწათმოქმედებაში შედის როგორც მისი მუდმივი კაპიტალი, ასევე მცდარია ისიც, რომ მთელი ნედლი მასალა დამმუშავებელ მრეწ-

ველობაში შედის. მისი ძალიან დიდი ნაწილი მიწათმოქმედებაში რჩება და მუდმივი კაპიტალის მხოლოდ კვლავწარმოებას წარმოადგენს. მეორე ნაწილი შედის შემოსავალში უშუალოდ როგორც საარსებო საშუალება და ნაწილობრივ — როგორც, მაგალითად, ხილი, თევზი, პირუტყვი და ა. შ. — არ გაივლის «სამრეწველო პროცესს». მაშასადამე, უმართებულო იქნებოდა, თუ მიწათმოქმედების მიერ «დამზადებული» მთელი ნედლი მასალისათვის ანგარიშის გაწერებას დავაკისრებდით მრეწველობას. რა თქმა უნდა, დამმუშავებელი მრეწველობის იმ დარგებში, სადაც ხელფასსა და მანქანებთან ერთად დანახარჯის სახით ნედლი მასალა შედის, ავანსად გაღებული კაპიტალი უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე მიწათმოქმედების იმ დარგებში, რომლებიც აღნიშნული წესით წარმოებაში შემავალ ამ ნედლ მასალას იძლევიან. შეიძლებოდა აგრეთვე გვეკარაუდნა, რომ თუ დამმუშავებელი მრეწველობის ამ დარგებს მოგების საკუთარი ნორმა (საერთო ნორმისაგან განსხვავებული) ექნებოდათ, ეს ნორმა აქ უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე მიწათმოქმედებაში, და ეს სწორედ იმის გამო, რომ აქ უფრო ნაკლები შრომა გამოიყენება. მაშასადამე, უფრო დიდი მუდმივი კაპიტალი და უფრო მცირე ცვალებადი კაპიტალი ზედმეტი ღირებულების ერთნაირი დონის პირობებში აუცილებლად მოგების უფრო მცირე ნორმას იძლევიან. მაგრამ ეს შეეხება დამმუშავებელი მრეწველობის გარკვეულ დარგებსაც მათს მიმართებაში თავის სხვა დარგებთან, და მიწათმოქმედების (ეკონომიური აზრით) გარკვეულ დარგებსაც მათს მიმართებაში თავის სხვა დარგებთან. ყველაზე ნაკლებად ამას ადგილი ექნებოდა სწორედ საკუთრივ მიწათმოქმედებაში, რადგან ეს უკანასკნელი, თუმცა კი აწვდის მრეწველობას ნედლ მასალას, მაგრამ მაინც თავისი საკუთარი სფეროს შიგნით მოიცავს, როგორც თავის დანახარჯთა ნაწილებს, ნედლ მასალას, მანქანებსა და ხელფასს; მრეწველობა კი არავითარ შემთხვევაში არ უნაზღაურებს მიწათმოქმედებას ნედლ მასალას, მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელსაც მიწათმოქმედება ანაზღაურებს თავისი საკუთარი წარმოებიდან და არა მრეწველობის პროდუქტებზე გაცვლის გზით.

[ნ) როდბერტუსის მიწის რენტის თეორიის მცდარი წანამძღვარები]

[465] ახლა მოკლე რეზიუმე გავუკეთოთ ბ-ნ როდბერტუსის აზრთა მსვლელობას.

პირველად იგი გვისურათებს საქმის იმ ვითარებას, — როგორც

მას წარმოუდგენია, — როცა მიწის მესაკუთრე (დამოუკიდებელი მეურნეობის პატრონი) ამასთანავე კაპიტალისტიც არის და მონათმფლობელიც. შემდეგ იწყება გაყოფა. «შრომის პროდუქტის» ნაწილი, რომელიც მუშებს წაართვეს, — «ერთიანი ნატურალური რენტა» — იყოფა ახლა «მიწის რენტად და კაპიტალის მოგებად» (გვ. 81 — 82) (ბ-ნი ჰ ო პ კ ი ნ ს ი — იხ. რეიული[19] — კიდევ უფრო მარტივად და უფრო უხეშად განმარტავს ამას.) შემდეგ როდბერტუსი ყოფს «ნედლ პროდუქტს» და «მრეწველობის პროდუქტს» (გვ. 89) მიწის მესაკუთრესა და კაპიტალისტს შორის — petitio principii. [სინამდვილეში კი] ერთი კაპიტალისტი აწარმოებს ნედლს პროდუქტს, მეორე — მრეწველობის პროდუქტებს. პირიქით, მიწის მესაკუთრე ა რ ა ფ ე რ ს არ აწარმოებს, იგი არც არის «ნედლი პროდუქტების მფლობელი». ეს წარმოდგენა [თითქოს მიწის მესაკუთრე «ნედლი პროდუქტების მფლობელია»] დამახასიათებელია გერმანელი «მეამულისათვის», როგორიც სწორედ ბ-ნი როდბერტუსია. ინგლისში კაპიტალისტური წარმოება ერთსა და იმავე დროს დაიწყო მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში.

წესი, რომლითაც «კაპიტალის მოგების განაკვეთი» (მოგების ნორმა) იქმნება, ბ-ნ როდბერტუსს უბრალოდ იქიდან გამოჰყავს, რომ ახლა ფულის საბით გვაქვს მოგების «მასშტაბი» «კაპიტალთან მოგების შეფარდების გამოსახატავად», რითაც «მოცემულია სათანადო საზომი კაპიტალის მოგებათა გათანაბრებისათვის» (გვ. 94). როდბერტუსს არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რომ მ ო გ ე ბ ი ს ეს ტ ო ლ ობ ა ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა წარმოების ყოველ დარგში «რენტისა» და ფასგადაუხდელი შრომის ტოლობას, რომ საქონელთა ღირებულებანი და მათი საშუალო ფასები, მაშასადამე, უნდა განსხვავდებოდნენ. ეს მოგების ნორმა მარეგულირებელი ხდება აგრეთვე მიწათმოქმედებისთვისაც, რადგან «ქ ო ნ ებ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს მხოლოდ კაპიტალზე», მრეწველობაში კი «ეროვნული კაპიტალის გაცილებით უფრო დიდი ნაწილი გამოიყენება» (გვ. 95). არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად თვით მიწათმოქმედება განიცდის გადატრიალებას — არა მარტო ფორმალურად, არამედ მატერიალურადაც — და რომ მიწის მესაკუთრე ჩამოქვეითებულია ფულის უბრალო მიმღებამდე, რომ იგი უკვე აღარ ასრულებს წარმოებაში რაიმე ფუნქციას. როდბერტუსის აზრით,

«მრეწველობაში კაპიტალის შედგენილობაში მონაწილეობს — როგორც მასალა — აგრეთვე სოფლის მეურნეობის ერთობლივი პროდუქტის ღირებულებაც, რასაც შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს ნედლეულის წარმოებაში» (გვ. 95).

რაც შეეხება ერთობლივ პროდუქტს, ეს მცდარია.

ამის შემდეგ როდბერტუსი ეკითხება თავის თავს, რჩება თუ არა, სამრეწველო მოგების, კაპიტალის მოგების, გამოკლების შემდეგ, კიდევ «რენტის ნაწილი, რომელიც ნედლ პროდუქტს ერგება», და «თუ რჩება, რა მიზეზების გამო» (გვ. 96).

როდბერტუსი ხმ ვარაუდობს,

«რომ ნედლი პროდუქტი, ისევე როგორც მრეწველობის პროდუქტიც, დახარჯული შრომის შესაბამისად გაიცვლება, რომ ნედლი პროდუქტის ღირებულება უდრის მხოლოდ მასზე დახარჯულ შრომას» (გვ. 96).

მართალია, როგორც როდბერტუსი შენიშნავს, ამას რიკარდოც ვარაუდობს. მაგრამ ეს მცდარია, ყოველ შემთხვევაში prima facie; იმიტომ რომ საქონელთა გაცვლა ხდება არა მათი ღირებულების მიხედვით, არამედ ამ ღირებულებისაგან განსხვავებული საშუალო ფასების მიხედვით, ამასთან ეს გამომდინარეობს «სამუშაო დროით» საქონელთა ღირებულების განსაზღვრიდან, ამ კანონიდან, რომელიც გარეგნულად მოცემულ მოვლენას ეწინააღმდეგება. თუ ნედლი პროდუქტი საშუალო მოგების გარდა კიდევ ამ მოგებისაგან განსხვავებულ მიწის რენტას იძლევა, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ნედლი პროდუქტი იყიდება არა საშუალო ფასის მიხედვით; თუ რატომაა ეს ასე — სწორედ ამის ახსნა-განმარტება იქნებოდა საჭირო. მაგრამ ვნახოთ, როგორ მსჯელობს როდბერტუსი.

«მე ვივარაუდე, რომ რენტა» (ზედმეტი ღირებულება, ფასგადაუხდელი სამუშაო დრო) «იყოფა ნედლი პროდუქტისა და მრეწველობის პროდუქტის ღირებულების პროპორციულად და რომ ეს ღირებულება განისაზღვრება დახარჯული შრომით» (სამუშაო დროით) (გვ. 96 — 97).

გავსინჯოთ უწინარეს ყოვლისა ეს პირველი ვარაუდი. იგი სხვა სიტყვებით იმას გამოხატავს, რომ სხვადასხვა საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულებანი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც ამ საქონელთა ღირებულებანი, ანდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათში მოთავსებული რაოდენობანი ფასგადაუხდელი შრომისა ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც რაოდენობანი მათში მოთავსებული შრომისა

საერთოდ. თუ A და B საქონელში მოთავსებული რაოდენობანი შრომისა ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 3:1, მაშინ მათში მოთავსებული რაოდენობანიც ფასგადაუხდელი შრომისა — ანუ ზედმეტი ღირებულებანი—ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 3 : 1. ამაზე უფრო მცდარი არაფერი შეიძლება იყოს. ვთქვათ, მოცემულია აუცილებელი სამუშაო დრო, რომელიც უდრის 10 საათს, და ერთი საქონელი (A) წარმოადგენს 30 მუშის პროდუქტს, მეორე კი (B) — 10 მუშის პროდუქტს. თუ 30 მუშა მხოლოდ 12 საათს მუშაობს დღეში, მათ მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება უდრის 60 საათს, ანუ 5 დღეს (5 × 12); თუ 10 მუშა 16 საათს მუშაობს დღეში, მათ მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულებაც უდრის აგრეთვე 60 საათს. ამასთან A საქონლის ღირებულება უდრის 30×12, ე. ი. 360 სამუშაო საათს, ანუ 30 სამუშაო დღეს { 12 საათი = ერთ სამუშაო დღეს }, B საქონლის ღირებულება კი — 160 სამუშაო საათს, ანუ $13^1/_3$ სამუშაო დღეს. A და B საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 360 : 160, ანუ როგორც 9 : 4; მათში მოთავსებული ზედმეტი ღირებულებანი კი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 60 : 60, ანუ 1 : 1. ზედმეტი ღირებულებანი ასეთ შემთხვევაში თანატოლნი იქნებოდნენ, თუმცა ღირებულებანი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 9 : 4.

[466] მაშასადამე, საქონელთა ზედმეტი ღირებულებანი არ შეეფარდებიან ერთმანეთს ისე, როგორც ამ საქონელთა ღირებულებანი უწინარეს ყოვლისა მაშინ, როცა განსხვავებულია აბსოლუტური ზედმეტი ღირებულებანი, ე. ი. როცა არათანაბარია სამუშაო დროის გახანგრძლივება აუცილებელი შრომის ფარგლებს იქით, — მაშასადამე, როცა განსხვავებულია ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ე ბ ი.

მეორე, თუ ვიგულისხმებთ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმები ერთი და იგივეა, მაშინ ზედმეტი ღირებულებანი — თუ ყურადღებას არ მივაქცევთ მიმოქცევასთან და კვლავწარმოების პროცესთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებს, — დამოკიდებული იქნება არა ორ საქონელში მოთავსებული შრომის შეფარდებითს რაოდენობაზე, არამედ ხელფასზე დახარჯულ კაპიტალის ნაწილსა და მუდმივ კაპიტალზე — ნედლეულსა და მანქანებზე — დახარჯულ კაპიტალის ნაწილებს შორის არსებულ შეფარდებაზე; ეს შეფარდება კი შეიძლება იყოს სრულიად სხვადასხვანაირი ერთნაირი ღირებულების საქონელთათვის, სულ ერთია, «მიწათმოქმედების პროდუქტები» იქნებიან ეს უკანასკნელნი, თუ «მრეწველობის პროდუქტები»,

რასაც საერთოდ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საგანთან, ყოველ შემთხვევაში prima facie.

ამიტომ სრულიად შემცდარია ბ-ნ როდბერტუსის პირველი ვარაუდი, თითქოს სამუშაო დროით საქონელთა ღირებულების განსაზღვრიდან გამომდინარეობს, რომ სხვადასხვა საქონელში **მ ო თ ა ვ ს ე ბ უ ლ ი** რაოდენობანი ფასგადაუხდელი შრომისა — ანუ მათი ზედმეტი ღირებულებანი — ღირებულებათა პირდაპირ პროპორციულია. მცდარია, მაშასადამე, ისიც, რომ

«**რ ე ნ ტ ა** იყოფა ნედლი პროდუქტისა და სამრეწველო პროდუქტის **ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო პ ო რ ც ი ო ს ლ ი**», თუ «**ეს ღირებულება დ ა ხ ა რ ჯ უ ლ ი შ რ ო მ ი თ** განისაზღვრება» (გვ. 96 — 97).

«ამით, რასაკვირველია, ნათქვამია ავრეთვე, რომ რენტის ამ ნაწილთა სიდიდე განისაზღვრება არა **ი მ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ი დ ი დ ი თ, რ ო მ ე ლ ზ ე ც მ ო გ ე ბ ა ი ნ ვ ე ს ტ ი რ ე ბ ა, ა რ ა მ ე დ უ შ უ ა ლ ო დ დ ა ხ ა რ ჯ უ ლ ი შ რ ო მ ი თ,** სულ ერთია — ეს შრომა სასოფლო-სამეურნეო იქნება თუ სამრეწველო, პლუს ის შრომა, რომელიც მისათვლელია იარადებისა და მანქანების გაცვეთის გამო» (გვ. 97).

ესეც მცდარი დებულებაა. ზედმეტი ღირებულების სიდიდე (და ეს იგულისხმება სიტყვებით «**რ ე ნ ტ ი ს ნ ა წ ი ლ ე ბ ი**», რადგან რენტა როდბერტუსს ესმის როგორც საყოველთაო რამ, განსხვავებით მოგებისა და მიწის რენტისაგან) დამოკიდებულია მხოლოდ უშუალოდ დახარჯულ შრომაზე და არა ძირითადი კაპიტალის გაცვეთაზე, ასევე არც ნედლეულის ღირებულებაზე, საერთოდ მუდმივი კაპიტალის არც ერთ ნაწილზე.

რა თქმა უნდა, ეს გაცვეთა განსაზღვრავს იმ შეფარდებას, რომლითაც უნდა მოხდეს ძირითადი კაპიტალის კვლაფწარმოება (მისი წარმოება დამოკიდებულია ამასთანავე ახალი კაპიტალის წარმოქმნაზე, მის დაგროვებაზე). მაგრამ ძირითადი კაპიტალის წარმოებისას შესრულებულ ზედმეტ შრომას ისევე არაფერი აქვს საერთო წარმოების იმ სფეროსთან, რომელშიც ეს კაპიტალი ძირითადი კაპიტალის სახით შედის, როგორც ამ სფეროსთან საერთო არაფერი აქვს, მაგალითად, იმ ზედმეტ შრომას, რომელიც ნედლი მასალის წარმოებაში შედის. პირიქით, წარმოების ყველა ამ დარგისათვის—მიწათმოქმედებისათვის, მანქანათმშენებლობისა და დამმუშავებელი მრეწველობისათვის — ერთნაირად აქვს ძალა იმ დებულებას, რომ ყველა ამ დარგში ზედმეტი ღირებულება განისაზღვრება მხოლოდ გამოყენებული შრომის მასით, თუ მოცემულია ზედმეტი ღირებულების ნორმა, და მხოლოდ ზედმეტი ღირებულების ნორმით, თუ ექოცემუ-

ლია გამოყენებული შრომის მასა. ბ-ნი როდბერტუსი ცდილობს «შემოათრიოს» გაცვეთა, რათა გაათრიოს «ნედლი მასალა».

პირიქით, — ფიქრობს ბ-ნი როდბერტუსი,—«კაპიტალის იმ ნაწილს, რომელსაც მასალის ღირებულება შეიცავს», არასოდეს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს რენტის ნაწილების სიდიდეზე, იმიტომ რომ, «მაგალითად, ისეთ განსაკუთრებულ პროდუქტზე დახარჯულ შრომაში, როგორიც არის ნართი ან ქსოვილი, არ შეიძლება შედიოდეს შრომის დანახარჯი, რომელიც წილად ხვდება მატყლს როგორც ნედლ პროდუქტს» (გვ. 97).

რთვისათვის ან ქსოვისათვის საჭირო სამუშაო დრო სწორედ ისევეა დამოკიდებული, ანდა, უფრო სწორად, სწორედ არაა ისევე დამოკიდებული, მანქანის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დროზე, ე. ი. მანქანის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე, როგორც იმ სამუშაო დროზეც, რაც ნედლი მასალა ღირს. როგორც მანქანა, ასევე ნედლი მასალაც შედის შრომის პროცესში, მაგრამ არც მანქანა და არც ნედლი მასალა არ შედის ღირებულების ზრდის პროცესში.

«პირიქით, ნედლი პროდუქტის ღირებულება, ანუ მასალის ღირებულება, მაინც შედის, როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დ ა ნ ა ხ ა რ ჯ ი კაპიტალის ამ თანხის შედგენილობაში, რომლის მიმართაც მფლობელი სამრეწველო პროდუქტის კუთვნილ რენტის ნაწილს მოგებად ანგარიშობს. ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო კ ა პ ი ტ ა ლ შ ი კ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ე ს ნ ა წ ი ლ ი ა რ ა რ ი ს. სოფლის მეურნეობა არ საჭიროებს მასალად წინამავალი წარმოების პ რ ო დ უ ქ ტ ს, ი გ ი თ ვ ი თ ი წ ყ ე ბ ს წ ა რ მ ო ე ბ ა ს ს ა ე რ თ ო დ ; ქონებას ისეთი ნაწილი, რომელიც მასალის ანალოგიურია, სოფლის მეურნეობაში შეიძლება ყოფილიყო თვით მიწა, მაგრამ იგი ხარჯგარეშე იგულისხმება» (გვ. 97—98).

ეს არის გერმანელი გლეხის წარმოდგენა. სოფლის მეურნეობაში (თუ გამოვრიცხავთ მაღაროებს, მეთევზეობას, სამონადირეო სარეწს, მაგრამ ა რ ა მ ც დ ა ა რ ა მ ც მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა ს). თესლი, საკვები, პირუტყვი, მინერალური სასუქი და ა. შ. შეადგენენ იმ მასალას [467], საიდანაც იწარმოება პროდუქტი, და ეს მასალა შ რ ო მ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი ა. ეს «დ ა ნ ა ხ ა რ ჯ ი» ვითარდება სამრეწველო მიწათმოქმედების განვითარების შესაბამისად. ყოველი წარმოება — იმ მომენტიდან, როცა ლაპარაკია უკვე არა უბრალო მიტაცებასა და მითვისებაზე, — არის კვლავწარმოება და ამიტომ საჭიროებს «მისი წინამავალი წარმოების პროდუქტს როგორც მასალას». ყველაფერი, რაც წარმოებაში შედეგია, ამასთანავე წანამძღვარიცაა. და რაც უფრო მაღალია მსხვილი მიწათმოქმედების განვითარების დონე, «მისი წინამავალი წარმოების» მით უფრო მეტ პროდუქტს

ყიდულობს და მით უფრო მეტ საკუთარ პროდუქტს ყიდის იგი. საქონლის ფორმით ეს დანახარჯი — უკანასკნელი გადაქცეულია საქონლად საანგარიშო ფულის მეოხებით — მიწათმოქმედებაში შედის სწორედ იმ მომენტიდან, როცა ფერმერი დამოკიდებული რჩება საერთოდ თავისი პროდუქტის გაყიდვაზე და სოფლის მეურნეობის პროდუქტების (მაგალითად, თივის) ფასების ფიქსირება იწყება, რადგან მიწათმოქმედებაშიც ჩნდება წარმოების სფეროთა დაყოფა. გლეხსაც კი ყველაფერი უნდა არეოდა თავში, თუკი კვარტერ ხორბალს, რომელსაც იგი ყიდის, შ ე მ ო ს ა ვ ლ ა დ ჩათვლიდა, ხოლო ამასთანავე კვარტერ ხორბალს, რომელსაც იგი მიწას აძლევს, არ ჩათვლიდა «დ ა ნ ა ხ ა რ ჯ ა დ». სხვათა შორის, დაე სცადოს ბ-ნმა როდბერტუსმა, მაგალითად, სელის ან აბრეშუმის «წარმოების» «დაწყება» საერთოდ სადმე «წინამავალი წარმოების პროდუქტების» გარეშე. ეს მტკნარი სისულელეა.

ასეთივე სისულელეა როდბერტუსის ყველა შემდგომი დასკვნაც:

«ამრიგად, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის საერთოა კაპიტალის ის ორი ნაწილი, რომლებიც ცვლენას ახდენენ რენტის ნაწილების ს ი დ ი დ ი ს განსაზღვრაზე; მაგრამ მათთვის საერთო არ არის კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ასეთ გავლენას არ ახდენს, მაგრამ რომლის მიხედვითაც სხვა ნაწილებთან ერთად მოგებად იანგარიშება კაპიტალის ზემოაღნიშნული ნაწილებით განსაზღვრული რენტის ნაწილი; კაპიტალის ეს მესამე ნაწილი მხოლოდ სამრეწველო კაპიტალშია. ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ ნედლი პროდუქტის, ისევე როგორც სამრეწველო პროდუქტის, ღირებულება განისაზღვრება დახარჯული შრომით და რომ რენტა ამ ღირებულების პროპორციულად იყოფა ნედლი და სამრეწველო პროდუქტების მფლობელებს შორის. დ ა ი, ამიტომაც, თ უ ნ ე დ ლ ი დ ა ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი მ ი ღ ებ უ ლ ი რ ე ნ ტ ი ს ნ ა წ ი ლ ე ბ ი მ ა რ თ ლ ა კ ა პ რ ო პ ო რ ც ი ი ულ ი ა შ რ ო მ ი ს ი მ რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს ა, რ ა ც ს ა თ ა ნ ა დ ო პ რ ო დ უ ქ ტ ი დ ა ჯ დ ა, მ ა ი ნ ც ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ს ა დ ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა შ ი გ ა მ ო ყ ე ნ ებ უ ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი, რ ო მ ლ ებ ზ ე ც ნ ა წ ი ლ დ ებ ა მ ო გ ებ ის ს ი ხ ი თ რ ე ნ ტ ი ს ე ს ნ ა წ ი ლ ი (ამასთან მრეწველობაში — დამოუკიდებლად, სოფლის მეურნეობაში კი — მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა შ ი დამყარებული მოგების განაკვეთის მიხედვით), არ არიან ერთმანეთურთან იმავე შეფარდებაში, როგორშიც იმყოფებიან შრომის ზემოაღნიშნული რაოდენობანი და მათ მიერ განსაზღვრული რენტის ნაწილები. პირიქით, ნ ე დ ლ ი დ ა ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო პ რ ო დ უ ქ ტ ებ ის ხ ვ ე დ რ ი რ ე ნ ტ ი ს ნ ა წ ი ლ ებ ის ს ი დ ი დ ე ს თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს ა ს სამრეწველო კაპიტალი იქნება სასოფლო-სამეურნეო კაპიტალზე მეტი მასში მოთავსებული მასალის ღირებულების მთელი ჯამით. და რადგან მასალის ეს ღირებულება ა დ ი დ ებ ს ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო კ ა პ ი ტ ა ლ ს, რ ო მ ლ ი ს მ ი მ ა რ თ ა ც მ ო გ ებ ად ი ა ნ გ ა რ ი შ ებ ა, მ ი ს ი კ უ თ ვ ნ ე ლ ი რ ე ნ ტ ი ს ნ ა წ ი ლ ი, მ ა გ რ ა მ ა რ ა დ ი დ ებ ს თ ვ ი თ მ ო გ ებ ის, რ ა ც ი წ ვ ე ვ ს ი მ მ ო გ ებ ის გ ა ნ ა კ ვ ე თ ი ს კ ი დ ე ვ ე შ ემ ც ი რ ე ბ ს, რ ო მ ე-

ლიც არეგულირებს ფრეთვე მოგებას სოფლის მეურნეობაში, — ამიტომ რენტის იმ ნაწილადან, რაც სოფლის მეურნეობას უწევს, აუცილებლად უნდა რჩებოდეს ნაშთი, რომელსაც ვერ ნთქავს ამ განაკვეთის მიხედვით მოგების გამოანგარიშება» (გვ. 98 — 99).

პირველი მცდარი წანამძღვარი: თუ მრეწველობის და მიწათმოქმედების პროდუქტების გაცვლა მათი ღირებულების მიხედვით ხდება (ე. ი. მათი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროის შესაბამისად), მაშინ ამ პროდუქტებს თავიანთი მფლობელებისათვის მოაქვთ ტოლდიდი ზედმეტი ღირებულებანი, ანუ ფასგადაუხდელი შრომის ტოლდიდი რაოდენობანი. ზედმეტი ღირებულებანი არ შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც სათანადო საქონელთა ღირებულებანი.

მეორე მცდარი წანამძღვარი: რადგან როდბერტუსი უკვე გულისხმობს მოგების ნორმას (რომელსაც მან «კაპიტალის მოგების განაკვეთი» უწოდა), ამიტომ მცდარია მისი წანამძღვარი, თითქოს საქონელთა გაცვლა მათი ღირებულების შესაბამისად ხდება. ერთი წანამძღვარი გამორიცხავს მეორეს. საქონელთა ღირებულებანი უკვე სახეშეცვლილი, საშუალო ფასებად გარდაქმნილი უნდა იყვნენ, ანდა იმყოფებოდნენ ისეთი სახეცვლების განუწყვეტელ პროცესში, რომ შესაძლო გახდეს მოგების ნორმის (საერთო ნორმის) ჩამოყალიბება. ამ საერთო ნორმაში ხდება მოგების იმ განსაკუთრებული ნორმების გათანაბრება, რომლებსაც წარმოების ყოველ სფეროში განსაზღვრავს ზედმეტი ღირებულების შეფარდება ავანსებულ კაპიტალთან. და რატომაა, რომ ამას ადგილი არა აქვს მიწათმოქმედებაში? სწორედ ესაა კიდეც საკითხი. მაგრამ როდბერტუსს საკითხიც კი არა აქვს სწორად დასმული, რადგან იგი, ჯერ ერთი, ვარაუდობს, რომ მოგების საერთო ნორმა უკვე არსებობს, მეორე, ვარაუდობს, რომ მოგების განსაკუთრებული ნორმები (მაშასადამე, სხვაობანიც მათ შორის) არ არიან გათანაბრებული, რომ საქონელთა გაცვლა ხდება მათი ღირებულების მიხედვით.

მესამე მცდარი წანამძღვარი: ნედლი მასალის ღირებულება არ შედის მიწათმოქმედებაში. სინამდვილეში კი დანახარჯი თესლის და სხვ. სახით აქ მუდმივი კაპიტალის შემადგენელი ნაწილია და ფერმერი მას ანგარიშობს როგორც ასეთს. იმდენად, რამდენადაც მიწათმოქ-

მედება უბრალოდ მეწარმეობის ერთ-ერთი დარგი ხდება და კაპიტალისტური წარმოება მყარდება სოფლად, [468] იმდენად, რამ-დენადაც მიწათმოქმედება აწარმოებს ბაზრისათვის, აწარმოებს საქონელს, საგნებს გასაყიდად და არა საკუთარი მოხმარებისათვის, — იგი ანგარიშობს თავის ხარჯებს და განიხილავს ამ ხარჯების ყოველ მუხლს როგორც საქონელს, იმისდა მიუხედავად, თავის თავისაგან (ე. ი. თავის წარმოებაში) ყიდულობს იგი ამ საგანს თუ მესამე პირისაგან. იმავე ზომით, რითაც პროდუქტები საქონლად იქცევიან, ბუნებრივია, საქონლად იქცევიან აგრეთვე წარმოების ელემენტებიც, რადგან ეს ელემენტები სრულიად ისეთსავე პროდუქტებს წარმოადგენენ. მაშასადამე, რადგან ხორბალი, თივა, პირუტყვი, ყოველგვარი თესლი და ა. შ. იყიდება როგორც საქონელი, თანაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ პროდუქტების სწორედ გაყიდვას და არა უშუალო მოხმარებისათვის მათს გამოყენებას, — ამიტომ წარმოებაშიც ისინი საქონლის სახით შედიან; და ფერმერი სულ მთლად სულელი იქნებოდა, თუ ვერ გამოიყენებდა ფულს როგორც საანგარიშო ფულს. მართალია, თავდაპირველად ეს გამოანგარიშების მარტოოდენ ფორმალური მხარეა. მაგრამ ასეთივე ზომით ვითარდება ის პირობებიც, რომელშიაც ესა თუ ის ფერმერი მის მიერ წარმოებაში დახარჯულ პროდუქტებს — თესლს, სხვის პირუტყვს, სასუქს, მინერალურ ნივთიერებებს და ა. შ. ყიდულობს, მაშინ როდესაც თავის შემოსავალს იგი ყიდის; ასე რომ ცალკეული ფერმერისათვის ეს დანახარჯი წარმოებაში შედის როგორც დანახარჯი [არა მარტო არსებითად, არამედ] ფორმითაც, ვინაიდან იგი ნაყიდი საქონელია. (ახლა ეს დანახარჯი ფერმერისათვის ყოველთვის საქონელია, მისი კაპიტალის შემადგენელი ნაწილებია, და ფერმერს მიაჩნია, რომ მან ისინი მიჰყიდა თავის თავს როგორც მწარმოებელს, როცა მათ წარმოებას უკანვე უბრუნებს in naturali*.) და ეს ხდება სახელდობრ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვითარდება მიწათმოქმედება და საბოლოო პროდუქტი სულ უფრო მეტად ფაბრიკულ ყაიდაზე და კაპიტალისტური წარმოების წესის შესაბამისად იწარმოება.

მაშასადამე, მცდარია შეხედულება, თითქოს აქ მრეწველობაში კაპიტალის ისეთი ნაწილი შედიოდეს, რომელიც მიწათმოქმედებაში არ შედის.

---

* — ნატურალური სახით. რედ.

თუ, მაშასადამე, როდბერტუსის (მცდარი) წანამძღვარის თანახმად, «რენტის ნაწილები» (ე. ი. ზედმეტ ღირებულებაში მონაწილეობის სათანადო წილი), რასაც მიწათმოქმედებისა და მრეწველობის პროდუქტები იძლევიან, ამ პროდუქტების ღირებულებათა პროპორციულია; თუ, სხვა სიტყვებით, მრეწველობისა პროდუქტი და მიწათმოქმედების პროდუქტი, რომელთაც ტოლდიდი ღირებულებანი აქვთ, თავიანთ მფლობელებს ტოლდიდ ზედმეტ ღირებულებას აძლევენ, ე. ი. ფასგადაუხდელი შრომის თანაბარ რაოდენობას შეიცავენ, — მაშინ [ამ წანამძღვრის პირობებშიც კი] სრულიადაც არ წარმოიშვება რაიმე დისპროპორცია იმის გამო, რომ მრეწველობაში შედის კაპიტალის ისეთი შემადგენელი ნაწილი (ნედლ მასალაზე დახარჯული), რომელიც თითქოს მიწათმოქმედებაში არ შედის, ასე რომ, მაგალითად, ერთნაირი ზედმეტი ღირებულება მრეწველობაში ამ შემადგენელი ნაწილით გადიდებულ კაპიტალზე გამოიანგარიშება და ამიტომ მოგების შემცირებულ ნორმას იძლევაო. კაპიტალის ასეთივე შემადგენელი ნაწილი შედის ხომ მიწათმოქმედებაშიც. მაშასადამე, გადასაწყვეტად დაგვრჩებოდა მხოლოდ საკითხი: შედის თუ არა იგი იმავე პროპორციით? მაგრამ მაშინ ჩვენ საქმე გვექნებოდა წმინდა რაოდენობრივ განსხვავებებთან, მაშინ როდესაც ბ-ნი როდბერტუსი ცდილობს აქ «თვისობრივი» განსხვავება იპოვოს. ასეთსავე რაოდენობრივ განსხვავებებს აქვთ ადგილი წარმოების სხვადასხვა სამრეწველო სფეროში. მათი გათანაბრება ხდება მოგების საერთო ნორმაში. და რატომ არ ხდება ასეთ შემთხვევაში მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის არსებულ განსხვავებათა გათანაბრება (თუ ასეთი განსხვავებანი არსებობს)? თუ ბ-ნ როდბერტუსს დასაშვებად მიაჩნია, რომ მიწათმოქმედება მოგების საერთო ნორმის მიღებაში მონაწილეობდეს, მაშინ რატომ არ მიაჩნია მას შესაძლებად, რომ მიწათმოქმედება მონაწილეობდეს მოგების ამ საერთო ნორმის წარმოქმნაში. მაგრამ მაშინ მთელ მის თეორიას, რა თქმა უნდა, ბოლო მოეღებოდა.

მეოთხე მცდარი წანამძღვარი: მცდარი და თვითნებურია ის წანამძღვარი, რომ როდბერტუსს მანქანების და სხვ. გაცვეთა, — მუდმივი კაპიტალის ეს ერთ-ერთი ნაწილი, — შეაქვს ცვალებად კაპიტალში, ე. ი. კაპიტალის იმ ნაწილში, რომელიც ზედმეტ ღირებულებას ქმნის და, კერძოდ, ზედმეტი ღირებულების ნორმას განსაზღვრავს, ნედლი მასალა

კი მას აქ არ შეაქვს. ეს შეცდომა გამოანგარიშებაში იმიტომ კეთდება, რათა ამ გამოანგარიშებიდან იმთავითვე სასურველი შედეგის მიღება შეიძლებოდეს.

მეხუთე მცდარი წანამძღვარი: რაკი ბ-ნ როდბერტუსს სურს მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის განსხვავება გაავლოს, მას უნდა სცოდნოდა, რომ კაპიტალის ის ელემენტი, რომელიც მანქანებისაგან, იარაღებისაგან, ე. ი. ძირითადი კაპიტალისაგან შედგება, მთლიანად მრეწველობას ეკუთვნის. კაპიტალის ეს ელემენტი, რამდენადაც იგი ელემენტის სახით ამა თუ იმ კაპიტალში შედის, ყოველთვის შედის მხოლოდ მუდმივ კაპიტალში და მას არ შეუძლია გაადიდოს იოტის ოდენადაც ზედმეტი ღირებულება. მეორე მხრივ, იგი, როგორც მრეწველობის პროდუქტი, წარმოადგენს წარმოების გარკვეული სფეროს შედეგს. მისი ფასი, ანუ ღირებულების ის ნაწილი, რასაც იგი საზოგადოების მთელ კაპიტალში შეადგენს, გამოხატავს, მაშასადამე, ამასთანავე ზედმეტი ღირებულების გარკვეულ რაოდენობას (სავსებით ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს ნედლი მასალის მიმართ). მართალია, ეს ელემენტი მიწათმოქმედების პროდუქტში შედის, მაგრამ იგი მრეწველობიდან შეიღება. თუ ბ-ნი როდბერტუსი თავის გაანგარიშებებში ნედლ მასალას განიხილავს როგორც კაპიტალის ისეთ ელემენტს, რომელიც მრეწველობაში გარედან მოდის, მაშინ მანქანებს, იარაღებს, ჭურჭელს, შენობებს და სხვ. იგი უნდა განიხილავდეს კაპიტალის ისეთ ელემენტად, რომელიც გარედან მოდის მიწათმოქმედებაში. და მას უნდა ეთქვა: მრეწველობაში შედის მხოლოდ ხელფასი და ნედლი მასალა (ვინაიდან ძირითადი კაპიტალი, რამდენადაც იგი ნედლი მასალისაგან არ შედგება, მრეწველობის პროდუქტია, მისი საკუთარი პროდუქტი); მიწათმოქმედებაში კი შედის მხოლოდ ხელფასი [469] და მანქანები და ა. შ., ე. ი. ძირითადი კაპიტალი, რადგან ნედლი მასალა, რამდენადაც იგი არაა მოთავსებული იარაღებში და ა. შ., მიწათმოქმედების პროდუქტია. ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა გამოგვეკვლია, თუ რა სახეს მიიღებდა გაანგარიშება მრეწველობაში მას შემდეგ, რაც მას წარმოების ხარჯების ერთი «მუხლი» მოსცილდებოდა.

მეექვსე. სავსებით სწორია, რომ სამთამადნო მრეწველობაში, მეთევზეობაში, სამონადირეო სარეწში, სატყეო მეურნეობაში (იმდენად, რამდენადაც ტყეები თავისთავად იზრდება) — და ა. შ. — ერთი სიტყვით, მოპოვებითს მრეწველობაში (ნედლ

პროდუქტების მოპოვებაში, სადაც არ ხდება კვლავწარმოება in naturali) — ნედლი მასალა არ შედის, თუ არ ჩავთვლით დამხმარე მასალას. მიწათმოქმედებას ეს არ შეეხება.

მაგრამ არანაკლებ სწორია ის, რომ იგივე ხდება მრეწველობის მეტად დიდ ნაწილში, სატრანსპორტო მრეწველობაში. აქ ხარჯები მიდის მხოლოდ მანქანებზე, დამხმარე მასალასა და ხელფასზე.

ბოლოს, ეჭვს გარეშეა, რომ მრეწველობის სხვა დარგებში, შეფარდებით რომ ვთქვათ, წარმოებაში შედის მხოლოდ ნედლი მასალა და ხელფასი, მაგრამ არ შედის მანქანები, ძირითადი კაპიტალი და ა. შ., — როგორც ამას, მაგალითად, ადგილი აქვს სამკერვალო საქმეში და ა. შ.

ყველა ამ შემთხვევაში მოგების სიდიდე, ე. ი. ზედმეტი ღირებულების შეფარდება ავანსებულ კაპიტალთან, დამოკიდებული იქნებოდა არა იმაზე, თუ რისგან შედგება ავანსებული კაპიტალი — მისი ცვალებადი, ანუ ხელფასზე დახარჯული კაპიტალის ნაწილის გამოკლების შემდეგ — მანქანებისაგან ან ნედლი მასალისაგან თუ ორივე ელემენტისაგან ერთად, არამედ დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რამდენად დიდია კაპიტალის ეს ნაწილი მის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც ხელფასზე იხარჯება. ამის შედეგად წარმოების სხვადასხვა სფეროში უნდა ეარსებნა (მიმოქცევით გამოწვეულ მოდიფიკაციათა მიუხედავად) მოგების სხვადასხვა ნორმას, რომელთა გათანაბრებაც წარმოქმნის სწორედ მოგების საერთო ნორმას.

რასაც ბ-ნი როდბერტუსი ბუნდოვნად მიხვდა, ეს არის ზედმეტი ღირებულების განსხვავება მისი სპეციალური ფორმებისაგან, განსაკუთრებით მოგებისაგან. მაგრამ იგი მიზანს აცილებს, იმიტომ რომ მისი მიხედვით იმთავითვე საქმე ეხება მხოლოდ ერთი გარკვეული მოვლენის (მიწის რენტის) განმარტებას და არა საყოველთაო კანონის აღმოჩენას.

წარმოების ყველა დარგში ადგილი აქვს კვლავწარმოებას; მაგრამ წარმოებასთან დაკავშირებული ეს კვლავწარმოება ემთხვევა ბუნებრივ კვლავწარმოებას მხოლოდ მიწათმოქმედებაში და არა მოპოვებითს მრეწველობაში. ამიტომ ამ უკანასკნელში პროდუქტი თავისი ნატურალური ფორმით არ იქცევა ხელახლა თავისი საკუთარი კვლავწარმოების ელემენტად { გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის დამხმარე მასალის სახით გამოდის }.

მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას და ა. შ. მრეწველობის სხვა დარგებისაგან განასხვავებს, ჯერ ერთი, არაის, რომ პროდუქტი აქ წარმოების საშუალებად გამოდის, რადგან ასეთი მდგომარეობა გვაქვს მრეწველობის ყველა სხვა პროდუქტის მიმართაც, რომელთაც არ გააჩნიათ ინდივიდუალურ საარსებო საშუალებათა საბოლოო ფორმა, და აგრეთვე ამ ფორმის მქონე პროდუქტების მიმართაც, რამდენადაც ისინი წარმოების საშუალებანი ხდებიან თვით მწარმოებლისათვის, რომელიც მათ მოიხმარს და ამით აკვლავ-წარმოებს თავის თავს, ინარჩუნებს თავის სამუშაო ძალას.

მეორე, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს არც ის განასხვავებს, რომ ისინი შედიან წარმოებაში, როგორც საქონელნი, ე. ი. როგორც კაპიტალის შემადგენელი ნაწილები; ისინი წარმოებაში იმავე სახით შედიან, რა სახითაც იქიდან გამოდიან: ისინი გამოდიან იქიდან როგორც საქონელნი და ხელახლა შედიან მასში როგორც საქონელნი, — საქონელი არის კაპიტალისტური წარმოების როგორც წანამძღვარი, ისე შედეგიც.

ამრიგად, რჩება მხოლოდ მესამე განსხვავება: საქონელი შედის როგორც თავისი საკუთარი წარმოების საშუალება იმ წარმოების პროცესში, რომლის პროდუქტსაც ის წარმოადგენს. ასევეა მანქანების მიმართაც. მანქანა აწარმოებს მანქანას. ნახშირი გვეხმარება შახტიდან ნახშირის ამოტანაში, ნახშირს გადააქვს ნახშირი და ა. შ. მიწათმოქმედებაში ეს წარმოგვიდგება როგორც ბუნების პროცესი, რომელსაც წარმართავს ადამიანი, თუმცა ეს პროცესი «ცოტათი» თვით ადამიანსაც ქმნის. წარმოების სხვა დარგებში ეს გვევლინება პირდაპირ როგორც წარმოების მოქმედება.

მაგრამ თუ ბ-ნი როდბერტუსი ამ საფუძვლით ფიქრობს, რომ მიწათმოქმედების პროდუქტი არ შეიძლება შედიოდეს კვლავწარმოებაში როგორც «საქონელი» — იმ თავისებური ფორმის გამო, რომლითაც იგი (ტექნოლოგიურად) შედის მასში «სახმარი ღირებულების» სახით, — მაშინ იგი სრულიად მცდარ გზას აგდია და, ცხადია, ემყარება იმ დროის მოგონებას, როცა მიწათმოქმედება ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა კაპიტალისტური საქმიანობის დარგს, როცა საქონლად იქცეოდა მიწათმოქმედების პროდუქტთა მხოლოდ ნამეტი იმის ზევით, რასაც თვითონ მწარმოებელი მოიხმარდა, და როცა ეს პროდუქტები, რამდენადაც ისინი წარმოებაში შედიოდნენ, არ წარმოადგენდნენ მიწათმოქმედებისათვის საქონელს. ეს არის სრული გაუგებლობა იმ გავლენისა, რასაც კაპიტალისტური წარმოების წესი მთელ წარმოების პროცესზე ახ-

დენს. კაპიტალისტური წარმოებისათვის ყოველი პროდუქტი, რომელსაც ღირებულება აქვს — რომელიც, მაშასადამე, an sich*. საქონელია, — იანგარიშება ავრეთვე როგორც საქონელი.

[ბ) როდბერტუსს არ ესმის თანაფარდობა საშუალო ფასსა და ღირებულებას შორის მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში. საშუალო ფასების კანონი]

ვიგულისხმოთ, რომ, მაგალითად, სამთამადნო მრეწველობაში მუდმივი კაპიტალი მარტო მანქანებისაგან შედგება და უდრის 500 გირვ. სტერლინგს, და ასევე ხელფასზე დახარჯული კაპიტალიც უდრის 500 გირვ. სტერლინგს; მაშინ მოგება, თუ ზედმეტი ღირებულება შეადგენს 40%-ს, ე. ი. 200 გირვ. სტერლინგს, იქნებოდა 20%.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა:

მუდმივი კაპიტალი (მანქანები)	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება
500	500	200

თუ დამმუშავებელი მრეწველობის დარგებში (ანდა ასევე მიწათმოქმედების დარგებში), სადაც ნედლი მასალა შედის, იგივე ცვალებადი კაპიტალი დაიხარჯება; თუ, შემდეგ, ამ ცვალებადი კაპიტალის გამოყენება (ე. ი. მუშათა ამ გარკვეული რაოდენობის გამოყენება) 500 გირვ. სტერლინგის მანქანებს და ა. შ. მოითხოვდა, მაშინ აქ ნამდვილად დაემატებოდა, მესამე ელემენტის სახით, მასალის ღირებულება, ვთქვათ, ასევე 500 გირვ. სტერლინგის ოდენობით. ამ შემთხვევაში გვექნებოდა:

	მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება
მანქანები	500	500	200
ნედლი მასალა	500		
სულ	1000		

ეს 200 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულება ახლა უნდა გვეანგარიშნა 1500 გირვ. სტერლინგზე და ეს შეადგენდა მხოლოდ 13 $^1/_3$-ს. ეს მაგალითი ძალაში რჩება, თუ პირველ შემთხვევაში აღებულია სატრანსპორტო მრეწველობა. თუ, პირიქით, მეორე შემთხვევაში თანაფარდობა ისეთი იქნებოდა, რომ მანქანები ღირს 100, ნედლი მასალა კი — 400, მაშინ მოგების ნორმა იგივე დარჩებოდა.

[470] ბ-ნ როდბერტუსს წარმოუდგენია, მაშასადამე, რომ, მაშინ

* — «თავისთავად», შესაძლებლობაში, პოტენციურად. რ ე დ.

როდესაც მიწათმოქმედებაში იხარჯება 100 ხელფასზე პლუს 100 მანქანაზე, მრეწველობაში იხარჯება 100 მანქანებზე, 100 ხელფასზე და x ნედლ მასალაზე. სქემას ექნებოდა ასეთი სახე:

I. მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

მუდმივი კაპიტალი (მანქანები)	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	მოგების ნორმა
100	100	50	$\frac{50}{200} = 1/4$

II. მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	მოგების ნორმა
ნედლი მასალა ..... x მანქანები 100	100	50	$\frac{50}{200+x}$
სულ $x+100$			

მოგების ნორმა, მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში $1/4$-ზე ნაკლებია. აქედან წარმოიქმნება სწორედ მიწის რენტა I-ში.

ჯ ე რ ე რ თ ი, ეს განსხვავება მიწათმოქმედებასა და დამმუშავებელ მრეწველობას შორის წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ი თ ი ა, არარსებული; მაშასადამე, მას ა რ ა ვ ი თ ა რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა არა აქვს მიწის რენტის იმ ფორმისათვის, რომელიც მის ყველა სხვა ფორმას განსაზღვრავს.

მ ე ო რ ე, ბ-ნ როდბერტუსს შეეძლო მოენახა ასეთივე სხვაობა მოგების ნორმებს შორის მრეწველობის ყოველ ორ ცალკეულ დარგში; ეს სხვაობა დამოკიდებულია მ უ დ მ ი ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ი დ ი დ ი ს ა და ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ი დ ი დ ი ს თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა ზ ე, — თანაფარდობაზე, რომელიც, თავის მხრივ, კვლავ შეიძლება განისაზღვრებოდეს, მაგრამ შეიძლება არც განისაზღვრებოდეს, ნედლი მასალის შესვლით. მრეწველობის იმ დარგებში, სადაც ნედლი მასალაც შედის და მანქანებიც, ნედლი მასალის ღირებულებას — მაშასადამე, იმ შეფარდებითს სიდიდეს, რასაც ეს ნედლი მასალა შეადგენს ერთობლივ კაპიტალში, — რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მე წინათ აღვნიშნე[20]. მიწის რენტასთან ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

«მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნედლი პროდუქტის ღირებულება დახარჯულ შრომაზე უ ფ რ ო დ ა ბ ლ ა ე ც ე მ ა, შეიძლება, რომ სოფლის მეურნეობაშიც რენტის მ თ ე ლ ი ის ნ ა წ ი ლ ი, რ ა ც ნ ე დ ლ მ ა ს ა ლ ა ს უ წ ვ ე ვ ს, შ ი ნ ა ნ თ ქ ა ს კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე გ ა მ ო ა ნ გ ა რ ი შ ე ბ უ ლ მ ა შ ო ბ ე ბ ა მ; ვინაიდან მაშინ შეიძლება რენტის ეს ნაწილი იმდენად შემცირდეს, რომ მასსა და სასოფლო-სამეურნეო კაპიტალს შორის, თუმცა ამ უკანასკნელში

არ შედის მასალის ღირებულება, მაინც ისეთივე პროცენტული შეფარდება იქმნება, როგორიც არსებობს სამრეწველო პროდუქტის ხვედრ რენტის ნაწილსა და სამრეწველო კაპიტალს შორის, თუმცა ეს უკანასკნელი შეიცავს მასალის ღირებულებას; მაშასადამე, მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება შესაძლებელი, რომ სოფლის მეურნეობაშიც არ რჩებოდეს არავითარი რენტა, გარდა კაპიტალის მოგებისა. მაგრამ რამდენადაც არსებული გაცვლა, როგორც წესი, ყოველ შემთხვევაში იმ კანონისაკენ მიისწრაფვის, რომლის თანახმადაც ღირებულება დახარჯულ შრომას უდრის, ამდენად მიწის რენტაც, როგორც წესი, არსებობს; და თუ არ მოიღება არავითარი მიწის რენტა, არამედ მოიღება მხოლოდ კაპიტალის მოგება, მაშინ ეს თავდაპირველი მდგომარეობა კი არაა, როგორც რიკარდო ფიქრობს, არამედ მხოლოდ არანორმალურობაა» (გვ. 100).

მაშასადამე, თუ ზემოდასახელებულ მაგალითზე შევჩერდებით, ასეთი სურათი გვექნება (უფრო მეტი სიცხადისათვის ჩვენ ვივარაუდებთ, რომ ნედლი მასალა უდრის 100 გირვ. სტერლინგს):

I. მიწათმოქმედება

მუდმივი კაპიტალი (მანქანები)	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	პროდუქტის ღირებულება	პროდუქტის ფასი	მოგება
100	100	50	250	233⅓	16⅔%

II. მრეწველობა

	მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	პროდუქტის ღირებულება	პროდუქტის ფასი	მოგება
ნედლი მასალა	100	100	50	350	350	16⅔%
მანქანები	100					

აქ მოგების ნორმა მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში გათანაბრდებოდა და არაფერს არ დატოვებდა მიწის რენტისათვის, იმიტომ, რომ მიწათმოქმედების პროდუქტი თავის ღირებულებაზე უფრო დაბლა იყიდება 16⅔ გირვ. სტერლინგით. ეს მაგალითი იმდენადვე მართებულიც რომ იყოს, რამდენადაც მცდარია მიწათმოქმედებისათვის, მაშინაც კი ის გარემოება, რომ ნედლი პროდუქტის ღირებულება «დახარჯულ შრომაზე უფრო დაბლა» ეცემა, გამოხატავდა მხოლოდ სრულ შესაბამისობას საშუალო ფასების კანონთან. სინამდვილეში კი საჭიროა ავხსნათ, რატომ არა აქვს ამას ნაწილობრივ ადგილი «გამონაკლისის სახით» მიწათმოქმედებაში და რატომ რჩება აქ მთელი ზედმეტი ღირებულება (ანდა, ყოველ შემთხვევაში, მისი უფრო დიდი ნაწილი, ვიდრე წარმოების სხვა დარგებში; გადანამეტი მოგების საშუალო ნორმაზე) წარმოების ამ განსაკუთრებული დარგის პროდუქტის ფასში და არ შედის საერთო გაანგარიშებაში მოგების საერთო ნორმის წარმოქმნისას. აქ ვხედავთ, რომ

როდბერტუსმა არ იცის, რა არის მოგების ნორმა (საერთო) და რა არის საშუალო ფასი.

ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ე ბ ი ს ამ კ ა ნ ო ნ ი ს გასარკვევად, — რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე როდბერტუსის შეხედულებათა გარჩევა, — ავიღოთ ხუთი მაგალითი. ვიგულისხმოთ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა ყველგან ერთნაირია:

არ არის აუცილებელი ერთმანეთს შევადაროთ ტ ო ლ დ ი დ ი ღირებულების მქონე სხვადასხვა საქონელი; საქონელთა შედარება საჭიროა მხოლოდ მ ა თ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით. გამარტივებისათვის აქ შედარებულია ტოლდიდი კაპიტალების მიერ წარმოებული სხვადასხვა საქონელი

[471]

	მუდმივი კაპიტალი		ცვალებადი კაპიტალი (ხელფასი)	ზედმეტი ღირებულება	ზედმეტი ღირებულების ნორმა	მოგება	მოგების ნორმა	პროდუქტების ღირებულება
	მანქანები	ნედლი ძასალა						
I	100	700	200	100	50%	100	10%	1100
II	500	100	400	200	50%	200	20%	1200
III	50	350	600	300	50%	300	30%	1300
IV	700	არ არის	300	150	50%	150	15%	1150
V	არ არის	500	500	250	50%	250	25%	1250

აქ ჩვენ გვაქვს I, II, III, IV და V კატეგორიებში (ეს არის წარმოების ხუთი სხვადასხვა სფერო) სხვადასხვა საქონელი, რომელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი შესაბამისად 1100, 1200, 1300, 1150 და 1250 გირვ. სტერლინგს შეადგენენ. ასეთი იქნებოდა ის ფულადი ფასები, რომელთა მიხედვითაც ამ საქონელთა გაცვლა მოხდებოდა, თუ ისინი თავიანთ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა კვალობაზე გაიცვლებოდნენ. წარმოების ყველა ამ სფეროში ავანსებულ კაპიტალს აქვს თ ა ნ ა ბ ა რ ი სიდიდე — 1000 გირვ. სტერლ. თუ ამ საქონელთა გაცვლა მათი ღირებულების მიხედვით მოხდებოდა, მაშინ მოგების ნორმა იქნებოდა I-თვის მხოლოდ 10%, II-თვის ორჯერ უფრო დიდი — 20%, III-თვის — 30%, IV-თვის — 15%, V-თვის — 25%. თუ შევკრებთ მოგების ამ ცალკეულ ნორმებს, მათი ჯამი იქნება: 10% + 20% + 30% + 15% + 25%, მაშასადამე, 100%.

თუ წარმოების ყველა ხუთ სფეროში მთელ ავანსებულ კაპიტალს განვიხილავთ, მისი ერთი ნაწილი (I) მოგვცემს 10%-ს, მეორე ნაწილი (II) — 20%-ს და ა. შ. მოგება, რომელსაც მთელი კაპიტალი

იძლევა საშუალოდ, უდრის იმ საშუალო სიდიდეს, რასაც ეს ხუთი ნაწილი იძლევა. ეს კი შეადგენს:

$$\frac{100\ (\text{მოგების ნორმათა ერთობლივი ჯამი})}{5\ (\text{მოგების სხვადასხვა ნორმათა რიცხვი})},$$

ე. ი. 20%. და, მართლაც, ხუთ სფეროში ავანსებული 5000 გირვ. სტერლ. კაპიტალი იძლევა მოგებას, რომელიც უდრის 100 + 200 + + 300 + 150 + 250 = 1000, ე. ი. იძლევა 1000-ს 5000-ზე, რაც შეადგენს $^1/_5$-ს ანუ 20%-ს. სავსებით ასევე, თუ ვიანგარიშებთ ერთობლივი პროდუქტის ღირებულებას, იგი შეადგენს 6000 გირვ. სტერლინგს; ნამეტი კი 5000 გირვ. სტერლ. ოდენობით ავანსებული კაპიტალის ზევით უდრის 1000 გირვ. სტერლინგს, ანუ 20%-ს ავანსებული კაპიტალის მიმართ; მთელი პროდუქტის მიმართ კი ეს შეადგენს $^1/_6$, ანუ $16^2/_3$%-ს. (ეს კვლავ სხვა გაანგარიშებაა).

და აი, იმისათვის, რომ ავანსებული კაპიტალებიდან (I, II, III და ა. შ.) თვითეულმა, ანუ, რაც ივივეა, ტოლმა კაპიტალებმა, ანდა მხოლოდ მათი სიდიდის მიმართებით განხილულმა კაპიტალებმა, ე. ი. განხილულმა მხოლოდ იმ პროპორციის თვალსაზრისით, რითაც ისინი ავანსებული ერთობლივი კაპიტალის ნაწილებს წარმოადგენენ, — რომ ამ კაპიტალებიდან თვითეულმა ნამდვილად მიიღოს თავისი წილი ერთობლივი კაპიტალის ხვედრი ზედმეტი ღირებულებიდან, — ამისათვის თვითეულ მათგანს შეიძლება წილად ხვდეს მოგების მხოლოდ 20%, მაგრამ სწორედ ამდენი უნდა [472] ხვდებოდეს მას წილად. ხოლო იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს, სხვადასხვა სფეროს პროდუქტები უნდა იყიდებოდეს ხან თავიანთ ღირებულებაზე უფრო მაღლა, ხან კი მეტ-ნაკლებად თავიანთ ღირებულებაზე უფრო დაბლა. სხვა სიტყვებით, ერთობლივი ზედმეტი ღირებულება უნდა ნაწილდებოდეს მათ შორის არა იმის პროპორციულად, თუ რამდენი ზედმეტი ღირებულება იქმნება წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში, არამედ ავანსებული კაპიტალების სიდიდის პროპორციულად. წარმოების ყველა სფერომ თავისი პროდუქტი უნდა გაყიდოს 1200 გირვ. სტერლინგად, რათა ამრიგად პროდუქტის ღირებულების ნამეტი ავანსებული კაპიტალის ზევით უდრიდეს ამ უკანასკნელის $^1/_5$-ს, ე. ი. 20%-ს.

ამ განაწილების შედეგად გვექნება შემდეგი.

	პროდუქტების ღირებულება	ზედმეტი ღირებულება	საშუალო ფასი	თანადარდობა საშუალო ფასსა და ღირებულებას შორის	თანადარდობა მოგებასა და ზედმეტ ღირებულებას შორის ჰბოცენტობით	ფასიანი ნაწილი
I	1100	100	1200	საშუალო ფასის ნამეტი ღირებულების ზევით 100	მოგების ნამეტი ზედმეტი ღირებულების ზევით 100%	200
II	1200	200	1200	0 ღირებულება = = ფასს	0	200
III	1300	300	1200	საშუალო ფასის და�ma ღირებულებაზე დაბლა 100	მოგების დაcema ზედმეტ ღირებულებაზე დაბლა 33⅓%	200
IV	1150	150	1200	ფასის ნამეტი ღირებულების ზევით 50	მოგების ნამეტი ზედმეტი ღირებულების ზევით 33⅓%	200
V	1250	250	1200	ღირებულების ნამეტი ფასს ზევით 50	ზედმეტი ღირებულების ნამეტი მოგების ზევით 25% მოგების დაcema ზედმეტ ღირებულებაზე დაბლა 20%	200

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ მხოლოდ ერთ შემთხვევაში (II) საშუალო ფასი უდრის საქონლის ღირებულებას, რადგან ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შემთხვევით უდრის აქ ნ ო რ მ ა ლ უ რ ს ა შ უ ა ლ ო მ ო გ ე ბ ა ს — 200-ს. ყველა სხვა შემთხვევაში ერთ საქონელს ჩამოერთმევა და მეორეს მიემატება ხან მეტი, ხან ნაკლები ზედმეტი ღირებულება, და ა. შ.

თუ ბ-ნ როდბერტუსს რაიმეს ჩვენება უნდოდა, მას უნდა ეჩვენებინა ის, თუ რატომ ა რ ხდება ეს ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შ ი, რატომ უნდა იყიდებოდეს იქ საქონელი თავისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს, და არა ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ი ს მიხედვით.

კონკურენცია იწვევს მოგებათა გათანაბრებას, ე. ი. საქონელთა ღირებულებების საშუალო ფასებზე დაყვანას. ისევე, როგორც ცალკეული კაპიტალისტი, ბ-ნ მალთუსის სიტყვებით, თავისი კაპიტალის ყოველი ნაწილიდან თანაბარი მოგების მიღებას მოელის[21], — ეს კი, სხვა სიტყვებით, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კაპიტალის ყოველ ნაწილს (მისი ორგანული ფუნქციის მიუხედავად) კაპიტალისტი განიხილავს როგორც მოგების დამოუკიდებელ წყაროს, რომ ასეთ წყაროდ წარმოუდგება მას კაპიტალის ყოველი ნაწილი, — საკუთრივ ასევე ყოველი კაპიტალისტი, კაპიტალისტთა კლასის მიმართ, თავის კაპიტალს განიხილავს როგორც ისეთივე სიდიდის მოგების მომცემ წყაროს, როგორსაც თანაბარი სიდიდის ყოველი სხვა კაპიტალი იძლევა; ე. ი. ყოველი კაპიტალი წარმოების ცალკეულ სფეროში განიხილება მხოლოდ როგორც ნაწილი ერთობლივ წარმოებაზე ავანსებული ერთობლივი კაპიტალისა; ყოველი კაპიტალი პრეტენზიას აცხადებს თავის ნაწილზე ერთობლივ ზედმეტ ღირებულებაში — ფასგადაუხდელი შრომის ანუ ფასგადაუხდელი შრომის პროდუქტების ერთობლივ მასაში — იმ თავისი სიდიდის, თავისი აქციების პროპორციულად, იმ ნაწილის პროპორციულად, რომელსაც იგი შეადგენს ერთობლივ კაპიტალში. ეს გარეგნობა კაპიტალისტს, რომელსაც საერთოდ კონკურენციაში ყველაფერი უკუღმართად წარმოუდგება, — და არა მარტო მას, არამედ ზოგიერთ მის უერთგულეს ფარისეველსა და მწიგნობარსაც — იმ წარმოდგენას განუმტკიცებს, თითქოს კაპიტალი არის შრომისაგან დამოუკიდებელი წყარო შემოსავლისა, რამდენადაც სინამდვილეში კაპიტალის მოგება წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში სულაც არ განისაზღვრება ფასგადაუხდელი შრომის მხოლოდ იმ რაოდენობით, რომელსაც მოცემული კაპიტალი თვით «აწარმოებს»; ეს მოგება მიდის მოგების მასის საერთო ქვაბში, საიდანაც ცალკეული კაპიტალისტები ღებულობენ თავიანთ წილს ერთობლივ კაპიტალში თავიანთი წილის პროპორციულად.

ამრიგად, როდბერტუსის მსჯელობა უაზრობაა. გაკვრით უნდა შევნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში — როგორც, მაგალითად, დამოუკიდებელ მესაქონლეობაში — ცვალებადი კაპიტალი, ე. ი. ხელფასზე დახარჯული კაპიტალი, მეტისმეტად მცირეა, კაპიტალის მუდმივ ნაწილთან შედარებით.

[როდბერტუსი ამბობს:]

«ს ა ი ჯ ა რ ო ჭ ი რ ა თავისი ბუნებით ყოველთვის მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა ა» (ციტირ. თხზ., გვ. 113).

არ არის სწორი. იჯარას ყოველთვის უხდიან მიწის მესაკუთრეს; ესაა და ეს. მაგრამ თუ იჯარა, როგორც ეს პრაქტიკაში ხშირად ხდება, წარმოდგენს, ნაწილობრივ ან მთლიანად, გამონაკლებს ნორმალური მოგებიდან ან ნორმალური ხელფასიდან { ნამდვილი ზედმეტი ღირებულება, ე. ი. მოგება პლუს რენტა, არასოდეს არ არის გ ა მ ო ნ ა კ ლ ე ბ ი ხელფასიდან, იგი მუშის შრომის პროდუქტის ის ნაწილია, რომელიც ა მ პროდუქტიდან ხელფასის გ ა მ ო კ ლ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ რჩება }, — მაშინ, ეკონომიური თვალსაზრისით, იგი არ არის მიწის რენტა, და ეს პრაქტიკულად მაშინვე მტკიცდება, როგორც კი [473] კონკურენციის პირობები ნორმალურ ხელფასს და ნორმალურ მოგებას აღადგენენ.

ამრიგად, ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ე ბ შ ი, რომლებზეც საქონელთა ღირებულების დაყვანას მუდამ ესწრაფვის კონკურენცია, ადგილი აქვს, — ზემოაღნიშნულ ცხრილში მოცემული II შემთხვევის გამოკლებით, — ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე მუდმივ წ ა მ ა ტ ე ბ ა ს, წარმოების ერთი სფეროს პროდუქტის მიმართ, და ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი დ ა ნ მუდმივ გ ა მ ო კ ლ ე ბ ა ს, მეორე სფეროს პროდუქტის მიმართ, და მხოლოდ ამ გზით მიიღება მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ა. წარმოების იმ ცალკეული სფეროს საქონელთათვის, სადაც ცვალებადი კაპიტალის შეფარდება ავანსებული კაპიტალის ერთობლივ ჯამთან { ზედმეტი შრომის ნორმა ნავარაუდევია როგორც მოცემული, თანაბარი } საზოგადოებრივი კაპიტალის საშუალო შეფარდებას შეესაბამება, ღირებულება უდრის საშუალო ფასს — აქ, მაშასადამე, არ ხდება არც წ ა მ ა ტ ე ბ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე და არც გ ა მ ო კ ლ ე ბ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი დ ა ნ. თუ განსაკუთრებული პირობების გამო, რომელთაც აქ არ განვიხილავთ, წარმოების გარკვეულ სფეროთა ფარგლებში საქონელთა ღირებულება, — მიუხედავად იმისა, რომ იგი საშუალო ფასს ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა, — არ განიცდის გ ა მ ო კ ლ ე ბ ა ს (საშუალოდ და არა დროებითი მოვლენის სახით), მაშინ ეს დარჩენა მ თ ე ლ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა წარმოების ამა თუ იმ განსაკუთრებულ სფეროში, — რასაც ადგილი აქვს მიუხედავად იმისა, რომ იგი ს ა ქ ო ნ ლ ი ს [რეალიზებულ] ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ზ ე უფრო მაღლა სწევს და ამიტომ საშუალოზე უფრო დიდ მოგების ნორმას იძლე-

ვა, — უნდა განვიხილოთ როგორც წარმოების ასეთი სფეროების პრივილეგია. როგორც თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა, როგორც გ ა მ ო ნ ა-კ ლ ი ს ი აქ უნდა განვიხილოთ და ავხსნათ არა ის, რომ საქონელთა ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ი მათს ღირებულებაზე დ ა ბ ლ ა ეცემა — ეს საერთო მოვლენა და გათანაბრების აუცილებელი წანამძღვარია, — არამედ ის, თუ რატომ ხდება, რომ მოცემული საქონელი, სხვა საქონელთაგან განსხვავებით, იყიდება სწორედ თავისი ღირებულების მ ი ხ ე დ ვ ი თ, რომელიც საშუალო ფასს აღემატება.

საქონლის საშუალო ფასი უდრის მის წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ს (ამ საქონელში ავანსებულ კაპიტალს, სულ ერთია, ხელფასის ფორმით იქნება ეს, ნედლი მასალის, მანქანების თუ სხვა რაიმე ელემენტის ფორმით) პლუს საშუალო მოგება. მაშასადამე, თუ [მოცემულია მოგების საშუალო ნორმა] (ზემომოყვანილ მაგალითში საშუალო მოგება შეადგენს 20%-ს, ე. ი. $^1/_5$-ს), მაშინ ყოველ.ა საქონლის საშუალო ფასი უდრის კ-ს (ავანსებულ კაპიტალ.ა) პლუს $\frac{მ}{კ}$ (მოგების საშუალო ნორმა). თუ კ+ $\frac{მ}{კ}$ ამ საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე-ბ ა ს უდრის, ე. ი. წარმოების ამ სფეროში წარმოებული ზედმეტი ღირებულება ზ უდრის მ-ს, მაშინ საქონლის ღირებულება უდრის მის საშუალო ფ ა ს ს. თუ კ+ $\frac{მ}{კ}$ საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ბ ა ზე ნაკ-ლებია, თუ, მაშასადამე, ამ სფეროში წარმოებული ზედმეტი ღირებულება ზ მ-ზე მეტია, მაშინ საქონლის [რეალიზებული] ღირებულება მის საშუალო ფასამდე ე ც ე მ ა, და მისი ზედმეტი ღირებულების ნაწილი ემატება სხვა საქონელთა ღირებულებას. ბოლოს, თუ კ+$\frac{მ}{კ}$ მეტია, ვიდრე საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, ე. ი. თუ ზ მ-ზე ნაკლებია, მაშინ საქონლის [რეალიზებული] ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა მაღლა იწევს მის საშუალო ფასამდე, და მოცემული საქონლის [იმანენტურ] ღირებულებას ემატება წარმოების სხვა სფეროებში წარმოებული ზედმეტი ღირებულება.

დასასრულ, თუ არსებობს ისეთი საქონელი, რომელიც თავისი ღირებულების მიხედვით იყიდება, თუმცა მისი ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე კ+ $\frac{მ}{კ}$, ანდა ისეთი საქონელი, რომლის [რეალიზებული] ღირებულება ეცემა ყოველ შემთხვევაში არა იმდენად, რომ მისი დაყვანა შეიძლებოდეს მის ნორმალურ საშუალო ფასზე კ+ $\frac{მ}{კ}$-, მაშინ აქ უნდა მოქმედებდნენ განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ამ საქონელს განსაკუთრებულ მდგომარეობას უქმნიან. ამ

შემთხვევაში წარმოების ასეთ სფეროებში რეალიზებული მოგება მოგების საერთო ნორმაზე უფრო მ ა ღ ა ლ ი ა. თუ კაპიტალისტი აქ მოგების საერთო ნორმას იღებს, მაშინ მ ი წ ი ს მ ე ს ა ა კ უ თ რ ე ს შეუძლია მიიღოს დამატებითი მოგება მიწის რენტის ფორმით.

[7) როდბერტუსის შეცდომები მოგების ნორმისა და მიწის რენტის ნორმის განსაზღვრელი ფაქტორების საკითხში]

იმას, რასაც მე მოგების ნორმას, სარგებლის ნორმას და მიწის რენტის ნორმას ვუწოდებ, როდბერტუსი უწოდებს «კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ო გ ე ბ ი ს ს ი მ ა ღ ლ ე ს დ ა ს ა რ გ ე ბ ლ ი ს ს ი მ ა ღ ლ ე ს» (გვ. 113) (და «მიწის რენტის სიმაღლეს»).

«კაპიტალის მოგების სიმაღლე და სარგებლის სიმაღლე განისაზღვრება მათი შეფარდებით კაპიტალთან... ყველა ცივილიზებულ ხალხში კაპიტალის ჯამი 100-ის ოდენობით მიღებულია საზომ ერთეულად, რომელიც გამოსაანგარიშებელი სიმაღლისათვის მასშტაბს იძლევა. მაშასადამე, რაც უფრო მეტია შეფარდებითი რიცხვი, რომელიც მოგების ან სარგებლის იმ სიდიდეს გამოხატავს, რაც კაპიტალ 100-ს უწევს, სხვა სიტყვებით, რაც «უფრო მეტ პროცენტს» იძლევა კაპიტალი, მით უფრო მ ა ღ ა ლ ი ა მოგება და სარგებელი» (გვ. 113 — 114).

«მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ი ს ა დ ა ს ა ი ჯ ა რ ო ქ ი რ ი ს სიმაღლე განისაზღვრება მათი შეფარდებით მიწის ნაკვეთთან» (გვ. 14).

ეს არაფრად არ ვარგა. მიწის რენტის ნორმა გასაანგარიშებელია, უწინარეს ყოვლისა, კაპიტალზე, მაშასადამე, როგორც ს ა ქ ო ნ ლ ი ს ფ ა ს ი ს ნ ა მ ე ტ ი მ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ებ ს ზევით და ფ ა ს ი ს იმ ნაწილის ზევით, რომელიც მ ო გ ე ბ ა ს ქმნის. ბ-ნი როდბერტუსი აკრებსა და მორგენებზე ანგარიშობს, რომლის დროსაც შინაგანი კავშირი იკარგება. იგი იღებს [474] სავნის გ ა რ ე გ ნ უ ლ ს ა ხ ე ს, რადგან ეს უკანასკნელი გასაგებს ხდის მისთვის ზოგიერთ მოვლენას. რენტა, რომელსაც აკრი იძლევა, — ეს არის რენტის ჯამი, რენტის აბსოლუტური მასა. ი გ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ზ რ დ ე ბ ო დ ე ს, რ ო ც ა რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ა უ ც ვ ლ ე ლ ი რ ჩ ე ბ ა ა ნ დ ა ე ც ე მ ა კ ი დ ე ც.

«მ ი წ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს ს ი მ ა ღ ლ ე ს განსაზღვრავს მიწის რენტის კაპიტალიზაცია, რომელიც მოცემული მიწის ნაკვეთიდან მიიღება. რაც უფრო დიდია კაპიტალის ჯამი, რასაც მიწის რენტის კაპიტალიზაცია იძლევა გარკვეული ფართობის ნაკვეთიდან, მით უფრო მ ა ღ ა ლ ი ა მიწის ღირებულება» (გვ. 114).

სიტყვა «სიმაღლე» აქ უაზრობაა. მართლაც, რა მიმართებას გამოხატავს ეს სიტყვა — რისადმი მიმართებას?

ის გარემოება, რომ კაპიტალიზაცია 10%-ის კვალობაზე უფრო დიდ ჯამს იძლევა, ვიდრე კაპიტალიზაცია 20%-ის კვალობაზე, ნათელია, მაგრამ საზომი ერთეული აქ არის 100. მთელი გამოთქმა «მიწის ღირებულების სიმაღლე» — ისეთივე ზოგადი ფრაზაა, როგორც მაღალი ან დაბალი დონე საქონელთა ფასებისა საერთოდ.

ბ-ნ როდბერტუსს სურს გამოიკვლიოს:

«რა განსაზღვრავს კაპიტალის მოგების სიმაღლეს და მიწის რენტის სიმაღლეს?» (გვ. 115).

[ა) როდბერტუსის პირველი დებულება]

პირველად იგი იკვლევს: რა განსაზღვრავს «რენტის სიმაღლეს საერთოდ, ე. ი. რა განსაზღვრავს ზედმეტი ღირებულების ნორმას?

«1) როდესაც მოცემულია პროდუქტის ღირებულება, ანუ შრომის მოცემული რაოდენობის პროდუქტი, ანდა, რაც კვლავ იგივეა, მოცემულია ერთგვარი პროდუქტი, რენტის სიმაღლე საერთოდ შებრუნებულ შეფარდებაშია ხელფასის სიმაღლესთან და პირდაპირ შეფარდებაშია საერთოდ შრომის ნაყოფიერების სიმაღლესთან. რაც უფრო დაბალია ხელფასი, მით უფრო მაღალია რენტა; რაც უფრო მაღალია საერთოდ შრომის ნაყოფიერება, მით უფრო დაბალია ხელფასი და მით უფრო მაღალია რენტა» (გვ. 115 — 116).

«რენტის სიმაღლე, — ზედმეტი ღირებულების ნორმა, — დამოკიდებულია, ამბობს როდბერტუსი, «რენტასთვის დარჩენილი ამ ნაწილის სიდიდეზე», — ე. ი. იმ ნაწილისა, რომელიც რჩება ერთობლივი პროდუქტიდან ხელფასის გამოკლების შემდეგ, ამასთან აქ «შეიძლება მხედველობის გარეშე დავტოვოთ პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც კაპიტალის ანაზღაურებას ხმარდება» (გვ. 117).

ეს სწორია (მხედველობაში მაქვს, რომ ზედმეტი ღირებულების აღნიშნული განხილვისას კაპიტალის მუდმივი ნაწილი «ყურადღების გარეშე რჩება»).

რამდენადმე უცნაურია როდბერტუსის ის შეხედულება, რომ

«თუ ხელფასი ეცემა, ე. ი. თუ ოგი ამიერიდან პროდუქტის მთელი ღირებულების ნაკლებად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, მაშინ ერთობლივი კაპიტალიც, რომელზეც უნდა ანგარიშებოდეს მოგების სახით რენტის მეორე ნაწილი» [ე. ი. სამრეწველო მოგება] , მცირდება. მაგრამ მოგებისა და მიწის რენტის სიმაღლეს აწესებს მხოლოდ თანაფარდობა კაპიტალის მოგებად ან მიწის რენტად ქცეულ ღირებულებასა და იმ კაპიტალს ან, შესაბამისად, იმ მიწის ფართობს შორის, რომლებთან მიმართებაშიც აღნიშნული ღირებულება იანგარიშება მოგების ან მიწის რენტის სახით. ამიტომ, თუ

ხელფასი რენტისათვის უფრო დიდ ღირებულებას ტოვებს, მაშინ თვით შ ე მ ც ი რ ე ბ უ ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა და უცვლელად დარჩენილი მიწის ნაკვეთის მიმართაც უნდა იანგარიშებოდეს უფრო დიდი ღირებულება კაპიტალის მოგებისა და მიწის რენტის სახით; აქედან გამომდინარე შეფარდებითი სიდიდე ორივესი უფრო იზრდება და, მაშასადამე, ორივე, ერთად აღებული, — ან რენტა საერთოდ — დიდდება... იგულისხმება, რომ პროდუქტის ღირებულება საერთოდ უცვლელი რჩება... ი მ ი ს გ ა მ ო მ ხ ო ლ ო დ, რ ო მ შ რ ო მ ა ზ ე დ ა ხ ა რ ჯ უ ლ ი ხ ე ლ ფ ა ს ი მ ც ი რ დ ე ბ ა, ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ მ ც ი რ დ ე ბ ა პ რ ო დ უ ქ ტ ზ ე დ ა ხ ა რ ჯ უ ლ ი შ რ ო მ ა» (გვ. 117 — 118).

უკანასკნელი სწორია. მაგრამ სწორი არ არის ის, რომ, როცა მცირდება ცვალებადი კაპიტალი, ე. ი. ხელფასზე დახარჯული კაპიტალი, აუცილებლად უნდა შემცირდეს მ უ დ მ ი ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ც; სხვა სიტყვებით, სწორი არაა, რომ მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა {თუ აქ მხედველობის გარეშე დავტოვებთ სრულიად უადგილო მითითებას თანაფარდობაზე ზედმეტ ღირებულებასა და მიწის ფართობს შორის და ა. შ. } უნდა იზრდებოდეს იმიტომ, რომ იზრდება ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა. ხელფასი ეცემა, მაგალითად, იმის გამო, რომ შრომა უფრო ნაყოფიერი ხდება, და ეს გადიდებული ნაყოფიერება ყველა შემთხვევაში იმით გამოიხატება, რომ ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე მუშა უფრო მეტ ნედლ მასალას გადაამუშავებს, — მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი იზრდება; ასევეა მანქანებისა და მათი ღირებულების მიმართაც. ამრიგად, მოგების ნორმა შეიძლება ეცემოდეს ხელფასის შემცირების დროსაც. მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა დამოკიდებულია ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ი დ ი დ ე ზ ე, რომელიც განისაზღვრება არა მარტო ზედმეტი ღირებულების ნორმით, არამედ დასაქმებული მუშების რიცხვითაც.

როდბერტუსი სწორად განსაზღვრავს აუცილებელ ხელფასს, როგორც

«მ უ შ ე ბ ი ს რ ჩ ე ნ ი ს ა თ ვ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ს ა ა რ ს ებ ო ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა ჯ ა მ ს, რაც გარკვეული ქვეყნისა და დროის გარკვეული პერიოდისათვის პ რ ო დ უ ქ ტ ი ს დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ე რ თ ნ ა ი რ, გ ა რ კ ე ე ულ რ ე ა ლ უ რ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს შ ე ა დ გ ე ნ ს» (გვ. 118).

[475] მაგრამ იმ დებულებებს მოგებისა და ხელფასის პირუკუ შეფარდებისა და შრომის ნაყოფიერებით ამ შეფარდების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც რიკარდომ წამოაყენა, ბ-ნი როდბერტუსი გადმოვცემს ძლიერ ა რ ე უ ლ-დ ა რ ე უ ლ ა დ, ა ბ ნ ე უ ლ ა დ,

შეტაღ უმწეოდ. ეს აბნეულობა ნაწილობრივ იქიდან გამომდინარეობს, რომ იგი, ნაცვლად იმისა, რომ საზომად სამუშაო დრო აიღოს, უადგილოდ იღებს პროდუქტის რაოდენობებს და უაზროდ გამიჯნავს ერთმანეთისაგან «პროდუქტის ღირებულების სიმაღლეს» და «პროდუქტის ღირებულების სიდიდეს».

ჩვენს ჭაბუკს «პროდუქტის ღირებულების სიმაღლე» ესმის მხოლოდ როგორც პროდუქტის შეფარდება სამუშაო დროსთან. თუ ერთსა და იმავე სამუშაო დროის განმავლობაში პროდუქტების დიდი რაოდენობა იწარმოება, მაშინ პროდუქტის ღირებულება, ე. ი. ამ რაოდენობის ყოველი ცალკეული ნაწილის ღირებულება, დაბალია; წინაადმდეგ შემთხვევაში საქმის ვითარება პირიქითაა. თუ ერთი სამუშაო დღე პირველად 100 გირვანქა ნართს, შემდეგ კი 200 გირვანქას მოგვცემდა, მეორე შემთხვევაში ნართის ღირებულება იქნებოდა ორჯერ უფრო ნაკლები პირველთან შედარებით. პირველ შემთხვევაში ნართის ღირებულება იქნებოდა $^1/_{100}$ სამუშაო დღის ტოლი; მეორე შემთხვევაში — $^1/_{200}$ სამუშაო დღისა. რადგან მუშა პროდუქტის ერთსა და იმავე რაოდენობას ღებულობს, იმისდა მიუხედავად, მაღალია თუ დაბალი პროდუქტის ღირებულება, ე. ი. შეიცავს იგი მეტ თუ ნაკლებ შრომას, ამიტომ ხელფასი და მოგება პირუკუ შეფარდებაშია ერთმანეთთან, და ხელფასი, შრომის ნაყოფიერების სხვადასხვა დონის მიხედვით, შეადგენს ერთობლივი პროდუქტის უფრო მნიშვნელოვან თუ ნაკლებ მნიშვნელოვან ნაწილს. როდბერტუსი ამას გამოხატავს შემდეგი დებულებებით:

«... თუ ხელფასი, როგორც მუშის რჩენისთვის აუცილებელი თანხა, პროდუქტის გარკვეულ რეალურ რაოდენობას წარმოადგენს, მაშინ იგი უნდა შეადგენდეს პროდუქტის მაღალი ღირებულების დროს დიდ ღირებულებას, პროდუქტის დაბალი ღირებულების დროს კი — მცირე ღირებულებას; ამიტომ ხელფასი, რადგან ეგულისხმება, რომ განაწილებაში მიდის პროდუქტის თანაბარი ღირებულება, უნდა ნთქავდეს პროდუქტის მაღალი ღირებულების დროს ამ უკანასკნელის მნიშვნელოვან ნაწილს, პროდუქტის დაბალი ღირებულების დროს კი — მცირე ნაწილს და ამ ს შედეგად უნდა ტოვებდეს, მაშასადამე, რენტისთვის პროდუქტის ღირებულების დიდ ან, შესაბამისად, მცირე ნაწილს. მაგრამ თუ ძალაში ის წესი, რომ პროდუქტის ღირებულება უდრის მასზე დახარჯული შრომის რაოდენობას, მაშინ პროდუქტის ღირებულების სიდიდეს კვლავ განსაზღვრავს მხოლოდ შრომის ნაყოფიერება, ანდა პროდუქტის მასის შეფარდება ამ პროდუქტის წარმოებაზე დახარჯულ შრომის რაოდენობასთან... თუ შრომის ერთი და იგივე რაოდენობა მეტ პროდუქტს აწარმოებს, სხვა სიტყვებით, თუ მისი ნაყოფიერება იზრდება, მაშინ პროდუქტის იგივე რაოდენობა უფრო

ნაკლებ შრომის შეიცავს; და, პირიქით, თუ შრომის ერთი და იგივე რაოდენობა ნაკლებ პროდუქტს აწარმოებს, სხვა სიტყვებით, თუ მისი ნაყოფიერება კლებულობს, მაშინ პროდუქტის იგივე რაოდენობა მეტ შრომას შეიცავს. მაგრამ შრომის რაოდენობა განსაზღვრავს პროდუქტის ღირებულებას, პროდუქტის გარკვეული რაოდენობის შეფარდებითი ღირებულება კი განსაზღვრავს პროდუქტის ღირებულების სიმაღლეს... მაშასადამე, რენტა საერთოდ უნდა იყოს... მით უფრო მაღალი, რაც უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება საერთოდ» (გვ. 119 — 120).

მაგრამ ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშის მიერ წარმოებული პროდუქტი პროდუქტთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც საარსებო საშუალებათა სახით მუშის მოხმარებაში შედიან — ტრადიციით ან აუცილებლობის გამო. თუ მუშის მიერ წარმოებული პროდუქტი პროდუქტთა ამ კატეგორიას არ ეკუთვნის, მაშინ მუშის შრომის ნაყოფიერებას სრულიად არა აქვს მნიშვნელობა ხელფასისა და მოგების შეფარდებითი სიმაღლისათვის, ისევე როგორც საერთოდ ზედმეტი ღირებულების სიდიდისათვის. ხელფასის სახით მუშას წილად ხვდება [მაშინ] მთელი პროდუქტის ღირებულების ერთი და იგივე ნაწილი, სულ ერთია, დიდი იქნება თუ პატარა პროდუქტთა ის რიცხვი ანუ პროდუქტის ის რაოდენობა, რომლითაც ღირებულების ეს ნაწილი გამოიხატება. პროდუქტის ღირებულების განაწილებაში არავითარი ცვლილებები არ მოხდება ამ შემთხვევაში, როგორი ცვლილებებიც არ უნდა მოხდეს შრომის ნაყოფიერებაში.

[ბ) როდბერტუსის მეორე დებულება]

«II) თუ მოცემულია პროდუტის ღირებულება და ამასთან რენტის სიმაღლე საერთოდ, მაშინ მიწის რენტის სიმაღლე და, შესაბამისად, კაპიტალის მოგების სიმაღლე პირუკუ შეფარდებაში არიან როგორც ერთიმეორესთან, ისე შრომის სათანადო ნაყოფიერებასთან ნედლეულისა და სამრეწველო ნაწარმის წარმოებაში. რაც უფრო მაღალი ან დაბალია მიწის რენტა, მით უფრო დაბალი ან მაღალია კაპიტალის მოგება, და პირიქით; რაც უფრო მაღალი ან დაბალია შრომის ნაყოფიერება ნედლეულის ან სამრეწველო ნაწარმის წარმოებაში, მით უფრო დაბალი ან მაღალია მიწის რენტა ან კაპიტალის მოგება, და, მაშასადამე, — თუ ადგილებს შევუცვლით კაპიტალის მოგებასა და მიწის რენტას, — მით უფრო მაღალი ან დაბალია კაპიტალის მოგება ან მიწის რენტა» (გვ. 116).

ჯერ ჩვენ გვქონდა (I პუნქტში) რიკარდოსეული დებულება იმის შესახებ, რომ ხელფასი და მოგება პირუკუ შეფარდებაში არიან ერთიმეორესთან,

ახლა ჩვენ გვაქვს მეორე რიკარდოსეული დებულება — სხვაგვარად დახლართული, ანუ, უფრო სწორად, არეული როდბერტუსის მიერ, — რომ მოგება და მიწის რენტა ერთიმეორესთან პირუკუ შეფარდებაში არიანო.

სავსებით ნათელია, რომ თუ მ ო ც ე მ უ ლ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა კაპიტალისტსა და მიწის მესაკუთრეს შორის ნაწილდება, ერთის წილი მით უფრო მეტია, რაც უფრო ნაკლებია მეორის წილი, და vice versa*. მაგრამ ბ-ნ როდბერტუსს აქ რაღაც თავისი საკუთარიც შეაქვს კიდევ, და ეს რაღაც საჭიროა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ.

უწინარეს ყოვლისა, ბ-ნი როდბერტუსი რაღაც ახალ აღმოჩენად განიხილავს იმ დებულებას, რომ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა ე რ თ ო დ { «შრომის პროდუქტის ის ღირებულება, რომელიც გასაყოფია რენტის სახით საერთოდ» }, ე. ი. კაპიტალისტების მიერ გამოწურული მთელი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, «შედგება ნედლი პროდუქტის ღირებულებისაგან პლუს მრეწველობის პროდუქტის ღირებულება» (გვ. 120).

ჯერ ბ-ნი როდბერტუსი კვლავ გვიმეორებს თავის «აღმოჩენას» მიწათმოქმედებაში [476] «მასალის ღირებულების» არარსებობის შესახებ. ამჯერად კი იძლევა მას შემდეგი სიტყვების ნაკადის სახით:

«რენტის ის ნაწილი, რომელიც მრეწველობის პროდუქტს წილად უწევს და რომელიც განსაზღვრავს კაპიტალის მოგების განაკვეთს, გამოიანგარიშება მოგების სახით არა მარტო ამ პროდუქტის დამზადებაზე ნამდვილად დახარჯული კაპიტალის მიმართ, არამედ აგრეთვე ნედლი პროდუქტის იმ მთელი ღირებულების მიმართაც, რომელიც ასევე ფაბრიკანტს სამეწარმო ფონდში მ ა ს ა ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს სახით გვევლინება; მაგრამ მასალის ასეთი ღირებულება ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს რენტის იმ ნაწილისათვის, რომელიც ნედლ პროდუქტს უწევს და რ ო მ ე ლ ს ა ც გ ა მ ო ა ქ ლ დ ე ბ ა ნ ე დ ლ ე უ ლ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი დახარჯული კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ო გ ებ ა, გ ა მ ო ა ნ გ ა რ ი შ ებ უ ლ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა შ ი მ ო ც ე მ უ ლ ი მ ო გ ებ ი ს გ ა ნ ა კ ვ ე თ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ» (რა თქმა უნდა! მოგების მ ო ც ე მ უ ლ ი განაკვეთის შესაბამისად), «ნაშთი კი შეადგენს მიწის რენტას» (გვ. 121).

ჩვენ ვიმეორებთ: quod non! **.

დაკუშვათ, — რაც ბ-ნმა როდბერტუსმა ვ ე რ დ ა ა მ ტ კ ი ც ა და თავისი აზრთა მსვლელობის პირობებში არც შეუძლია დაამტკი-

* — პირიქით. რ ე დ.

** — არა, არსებობს!

ცოს, — რომ ა რ ს ე ბ ო ბ ს მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა, რომ, მაშასადამე, ნედლი პროდუქტის ზედმეტი ღირებულების გარკვეული ნაწილი მიწის მესაკუთრეს ერგება.

შემდეგ, დავუშვათ, რომ

«როცა პროდუქტის ღირებულება მოცემულია, მოცემულია აგრეთვე რენტის სიმაღლე საერთოდ» (ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს ნ ო რ მ ა) (გვ. 121).

ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, საქონელში, რომელიც 100 გირვ. სტერლინგი ღირს, გარკვეული ნაწილი, ვთქვათ, ნახევარი, ე. ი. 50 გირვ. სტერლინგი, შეადგენს ფასგადაუხდელ შრომას; ეს ნახევარი ქმნის, მაშასადამე, იმ ფონდს, საიდანაც იხდიან ზედმეტი ღირებულების ყველა ფორმას — რენტას, მოგებას და ა. შ. ამ შემთხვევაში სავსებით ნათელია, რომ ამ 50 გირვ. სტერლინგის გაყოფისას ამ გაყოფის ერთი მონაწილე მით უფრო მეტს ღებულობს, რაც უფრო ნაკლებს ღებულობს მეორე, და vice versa, ანდა რომ მოგება და მიწის რენტა პირუკუ შეფარდებაში არიან ერთიმეორესთან. ახლა ისმება საკითხი, რა განსაზღვრავს ზედმეტი ღირებულების დაყოფას ამ ორ ნაწილად?

ყოველ შემთხვევაში სწორი რჩება ის, რომ მეწარმის შემოსავალი (სოფლის მეურნე იქნება იგი თუ ფაბრიკანტი) უდრის იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც მეწარმემ მიიღო წარმოებული პროდუქტის გაყიდვით (იმით, რომ მან ეს ზედმეტი ღირებულება გამოწურა მუშებს თავის წარმოების სფეროში), და რომ მიწის რენტა (იქ, სადაც იგი პირდაპირ მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი დ ა ნ არ მიიღება, როგორც ეს ხდება წ ყ ა ლ ვ ა რ დ ნ ი ლ ი ს მიმართ, როცა მას მრეწველს მიჰყიდიან ხოლმე; ასევე ითქმის ს ა ც ხ ო ვ რ ებ ე ლ ი ს ა ხ ლ ებ ი დ ა ნ მიღებულ რენტაზეც და ა. შ., რადგან სახლები ხომ ნედლ პ რ ო დ უ ქ ტ ს არ წარმოადგენს), — რომ მიწის რენტა გამომდინარეობს მხოლოდ დამატებითი მოგებიდან (ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილიდან, რომელიც მოგების საერთო ნორმაში არ შედის), რასაც ნედლი პროდუქტები შეიცავენ და რასაც მოიჯარე მიწის მესაკუთრეს უხდის.

სავსებით სწორია, რომ თუ ნედლი პროდუქტის ღირებულება იზრდება [ან მცირდება], მაშინ მრეწველობის დარგებში, რომლებიც ნედლ მასალას იყენებენ, მოგების ნორმა დაეცემა ან გაიზრდება ნედლი პროდუქტის ღირებულებასთან პირუკუ შეფარდებით. თუ ბამბის ღირებულება ორკეცდება, მაშინ მოცემული ხელფასისა და ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის დროს მოგების ნორმა

შემცირდება, როგორც ეს ზემოთ ვუჩვენეთ ერთ კონკრეტულ მაგალითზე [22]. მაგრამ ასევე ხდება მიწათმოქმედებაშიც. თუ მოსავალი ცუდია, ხოლო წარმოება წინანდელი მოცულობით უნდა გაგრძელდეს (ჩვენ აქ ვგულისხმობთ, რომ საქონელი თავისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით იყიდება), მაშინ ერთობლივი პროდუქტის ან მისი ღირებულების უფრო დიდი ნაწილი აუცილებლად უკანვე დაუბრუნდება მიწას, და ხელფასის გამოკლების შემდეგ — იმ პიროობით, რომ ეს უკანასკნელი უცვლელი რჩება, — პროდუქტის უფრო მცირე ნაწილი შეადგენდა მოიჯარის ღირებულებას; მაშასადამე, ღირებულების უფრო მცირე დოზა დარჩება გასანაწილებლად მოიჯარესა და მიწის მესაკუთრეს შორის. თუმცა ცალკეულ პროდუქტს უფრო მაღალი ღირებულება ექნებოდა უწინდელთან შედარებით, მაგრამ მაინც პროდუქტის არა მარტო დარჩენილი რაოდენობა, არამედ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს დარჩენილი წ ი ლ ი ც უფრო მცირე იქნებოდა. სულ სხვა ვითარება იქმნება, მაშინ, როცა [გაზრდილი] მოთხოვნის გამო პროდუქტი მის ღირებულებაზე მ ა ღ ლ ა იყიდება და თანაც იმდენად მაღლა, რომ პროდუქტის უფრო მცირე ნაწილს ახლა უფრო მაღალი ფ ა ს ი აქვს, ვიდრე უწინ მის უფრო დიდ რაოდენობას ჰქონდა. მაგრამ ეს ე უ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა ჩვენს ვარაუდს იმის შესახებ, რომ პროდუქტები მათი ღირებულების მიხედვით იყიდება.

დავუშვათ საწინააღმდეგო შემთხვევა. ბამბის მოსავალი გაორკეცდა, და მისი ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ უკან უბრუნდება მიწას, — მაგალითად, სასუქისა და თესლის სახით, — უფრო ნაკლები ღირს უწინდელთან შედარებით. ამ შემთხვევაში ღირებულების ის ნაწილი, რომელიც, ხელფასის გამოკლების შემდეგ, ბამბის მომყვანს რჩება, — უფრო დიდია, ვიდრე იგი უწინ იყო. მოგების ნორმა გადიდდებოდა მეგამბეობაში ისევე, როგორც ბამბეულის მრეწველობაში. რა თქმა უნდა, სავსებით სწორია, რომ ერთ არშინ ჩითში მოთავსებული ის ნაწილი ღირებულებისა, რაც ნედლ პროდუქტს უწევს, ახლა უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე უწინ იყო, ის ნაწილი კი, რომელიც ამ ნედლეულის დამუშავების ღირებულებას უწევს, უფრო დიდი იქნებოდა უწინდელთან შედარებით. დავუშვათ, რომ არშინი ჩითი ღირს 2 შილინგი, თუ მასში მოქცეული ბამბის ღირებულება 1 შილინგს უდრის. თუ ახლა ბამბის ფასი 1 შილინგიდან 6 პენსამდე ეცემა (ეს კი, იმ ვარაუდის დროს, რომ ბამბის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა მის ფასს უდრის, შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მეგამბეობაში შრომა უფრო ნაყოფიერი

გახდა), მაშინ არშინი ჩითის ღირებულება უდრის 18 პენსს. იგი დაეცა $^1/_4$-ით, ე. ი. 25%-ით. მაგრამ იქ, სადაც ბამბის მომყვანი უწინ 100 გირვანქას 1 შილინგის კვალობაზე ყიდდა, მან იგი ახლა 200 გირვანქა 6 პენსის კვალობაზე უნდა გაყიდოს. უწინ მთელი ბამბის ღირებულება უდრიდა 100 შილინგს; ახლაც იგი აგრეთვე 100 შილინგს უდრის. თუმცა ბამბა უწინ პროდუქტის ღირებულების უფრო დიდ ნაწილს შეადგენდა, მაგრამ ბამბის მწარმოებელი თავის ბამბაში, რომელიც მას 100 შილინგს აძლევდა, როცა გირვანქის ფასი 1 შილინგი იყო, უწინ მხოლოდ 50 არშ. ჩითს ღებულობდა; ახლა იგი (მაშინაც კი, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა მებამბეობაში იმავდროულად შემცირდებოდა) თავისი 100 შილინგით, გირვანქა ბამბის 6 პენსად გაყიდვისას, 66 $^2/_3$ არშინს ღებულობს.

თუ ვიგულისხმებთ, რომ საქონელთა გაყიდვა მათი ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით ხდება, მაშინ სწორი არაა, რომ პროდუქტის წარმოებაში მონაწილე მწარმოებელთა შემოსავალი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ დამოკიდებულია იმაზე, თუ ღირებულების რა შემადგენელი ნაწილები [477] ქმნიან მათს პროდუქტებს პროდუქტის ე რ თ ო ბ ლ ი ვ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი.

დავუშვათ, რომ ერთობლივი პროდუქტის ღირებულება ერთ დარგში შეადგენს 300 გირვ. სტერლინგს, მეორეში — 900 გირვ. სტერლინგს, მესამეში — 1 800 გირვ. სტერლინგს; ამასთან აღებულია ყოველგვარი სამრეწველო საქონელი, მანქანების ჩათვლით.

პროპორცია, რომლითაც მთელი პროდუქტის ღირებულება ნაწილდება ნედლი პროდუქტის ღირებულებასა და მრეწველობის პროდუქტის ღირებულებას შორის, მართლა რომ იმ პროპორციას განსაზღვრავდეს, რომლითაც ზედმეტი ღირებულება — რენტა, როგორც როდბერტუსი ამბობს, — იყოფა მოგებად და მიწის რენტად, მაშინ ეს მართებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე წარმოების სხვადასხვა სფეროთა იმ პროდუქტების მიმართაც, რომლებშიც ნედლი მასალა და მრეწველობის პროდუქტი სხვადასხვა პროპორციით მონაწილეობენ.

თუ 900 გირვ. სტერლ. ღირებულებიდან მრეწველობის პროდუქტს უწევს 300 გირვ. სტერლინგი და ნედლ პროდუქტს — 600 გირვ. სტერლინგი; თუ 1 გირვ. სტერლ. = 1 სამუშაო დღეს; თუ, შემდეგ, მოცემულია ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა, მაგალითად 2 საათი 10-ზე 12 საათიანი ნორმალური სამუშაო დღის პირობებში, — მაშინ 300 გირვ. სტერლინგი [მრეწველობის პროდუქტი] შეიცავს 300 სამუშაო დღეს, 600 გირვ. სტერლინგი კი

[ნედლი] პროდუქტი — ორჯერ მეტს (2×300). ზედმეტი ღირებულების ჯამი პირველ პროდუქტში უდრის 600 საათს, მეორეში — 1200 საათს. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას — და მეტს არაფერს, — რომ ზედმეტი ღირებულების მოცემული დონის დროს ამ ზედმეტი ღირებულების სიდიდე დამოკიდებულია მუშების რიცხვზე, ე. ი. ერთდროულად დასაქმებული მუშების რიცხვზე. რადგან, შემდეგ, ნავარაუდევია (და არა დამტკიცებული), რომ მიწათმოქმედების პროდუქტების ღირებულებაში შემავალი ზედმეტი ღირებულებიდან ერთი ნაწილი მიწის მესაკუთრეს ერგება როგორც მიწის რენტა, აქედან ის დასკვნა უნდა მიგვეღო, შემდეგ, რომ, მართლაც, მიწის რენტის სიდიდე იმავე პროპორციით იზრდება, რითაც იზრდება მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება «მრეწველობის პროდუქტთან» შედარებით.

ზემოდასახელებულ მაგალითში მიწათმოქმედების პროდუქტი ისე შეეფარდება მრეწველობის პროდუქტს, როგორც 2 : 1, როგორც 600 : 300. ვიგულისხმოთ ახლა, რომ ეს შეფარდება უდრის 300 : 600. რადგან მიწის რენტა დამოკიდებულია ზედმეტ ღირებულებაზე, რომელსაც მიწათმოქმედების პროდუქტი შეიცავს, ამიტომ ცხადია, რომ თუ ზედმეტი ღირებულება პირველ შემთხვევაში 1200 საათს უდრის, მეორე შემთხვევაში კი — მხოლოდ 600 საათს, მაშინ მიწის რენტა, რაკი იგი ამ ზედმეტი ღირებულების გარკვეულ ნაწილს შეადგენს, პირველ შემთხვევაში უნდა იყოს უფრო დიდი, ვიდრე მეორე შემთხვევაში. სხვა სიტყვებით: ღირებულების რაც უფრო დიდ ნაწილს შეადგენს მიწათმოქმედების პროდუქტი მთელი პროდუქტის ღირებულებაში, მით უფრო დიდია მთელი პროდუქტის ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რაც მიწათმოქმედების პროდუქტს უწევს, რადგან პროდუქტის ღირებულების ყოველი ნაწილი შეიცავს ზედმეტი ღირებულების გარკვეულ წილს, და რაც უფრო დიდია მთელი პროდუქტის ზედმეტი ღირებულების ის წილი, რაც მიწათმოქმედების პროდუქტს უწევს, მით უფრო დიდია მიწის რენტა, რადგან მიწის რენტაში წარმოდგენილია მიწათმოქმედების პროდუქტის ზედმეტი ღირებულების გარკვეული პროპორციული ნაწილი.

ვიგულისხმოთ, რომ მიწის რენტა უდრის მიწათმოქმედებაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების $^1/_{10}$-ს; მაშინ, თუ მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება შეადგენს 600 გირვ. სტერლინგს (900 გირვ. სტერლ. ერთობლივი ღირებულებიდან), მიწის რენტა

უდრის 120 საათს, და თუ იგი შეადგენს 300 გირვ. სტერლინგს, მიწის რენტა უდრის მხოლოდ 60 საათს. ამრიგად, მიწის რენტის ს ი დ ი დ ე, მართლაც, შეიცვლებოდა მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულების სიდიდესთან ერთად, და, მაშასადამე, აგრეთვე მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულების შეფარდებითს ღირებულებასთან ერთად შ ე დ ა რ ე ბ ი თ მრეწველობის პროდუქტთან. მაგრამ მიწის რენტისა და მოგების «ს ი მ ა ღ ლ ე ს, — ე. ი. მათს ნორმას, — ამასთან ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ა რ ა ვ ი თ ა რ ი დ ა-მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა არ ექნებოდა. პირველ შემთხვევაში პროდუქტის ღირებულება უდრის 900 გირვ. სტერლინგს, საიდანაც 300 გირვ. სტერლინგს შეადგენს მრეწველობის პროდუქტი და 600 გირვ. სტერლინგს კი — მიწათმოქმედების პროდუქტი. ამ ჯამიდან ზედმეტი ღირებულების 600 საათი წილად ხვდება მრეწველობის პროდუქტს და 1200 საათი — მიწათმოქმედების პროდუქტს. სულ 1800 საათი. აქედან მიწის რენტას ხვდება 120 საათი, მოგებას — 1680 საათი. მეორე შემთხვევაში პროდუქტის ღირებულება უდრის 900 გირვ. სტერლინგს; აქედან 600 გირვ. სტერლ. მრეწველობის პროდუქტია და 300 გირვ. სტერლ. — მიწათმოქმედების პროდუქტი. მაშასადამე, მრეწველობას მოუწევს 1200 საათის ზედმეტი ღირებულება, მიწათმოქმედებას კი — 600 საათისა. სულ 1800 საათი. ამ ჯამიდან მიწის რენტას შეხვდება 60 საათი; მოგებას კი მოუწევს — 1200 საათი მრეწველობაში და 540 საათი მიწათმოქმედებაში, სულ— 1740 საათი. მეორე შემთხვევაში მრეწველობის პროდუქტი (ღირებულების მიხედვით) ორჯერ მეტია მიწათმოქმედების პროდუქტზე, პირველ შემთხვევაში — პირიქით. მეორე შემთხვევაში მიწის რენტა უდრის 60 საათს; პირველ შემთხვევაში — 120 საათს: იგი უბრალოდ იმავე პროპორციით გაიზარდა, რითაც გაიზარდა მიწათმოქმედების პროდუქტი. რამდენჯერაც ეს უკანასკნელი სიდიდე გაიზარდა, იმდენჯერვე გაიზარდა მიწის რენტის სიდიდეც. ერთობლივი ღირებულების მიმართ (რაც 1800 საათს უდრის) მიწის რენტა პირველ შემთხვევაში შეადგენს $^1/_{15}$-ს, მეორეში კი — $^1/_{30}$-ს.

თუ აქ მიწათმოქმედების პროდუქტის ხვედრი ღ ი რ ე ბ უ ლ ე-ბ ი ს ნ ა წ ი ლ ი ს სიდიდესთან ერთად მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ი ს სი-დ ი დ ე ც იზრდება, ხოლო უკანასკნელს ა მ ს ი დ ი დ ე ს თ ა ნ ე რ თ ა დ აგრეთვე მისი პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი წ ი ლ ი ც ე რ თ ო ბ-ლ ი ვ ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი; თუ, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ის წილი, რაც მიწის რენტას უწევს, იზრდება აგრეთვე მის იმ წილთან შედარებით, რაც მოგებას ერგება, — მაშინ

ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ როდბერტუსი ვარაუდობს, თითქოს მიწის რენტა თავის წილს მიწათმოქმედების პროდუქტის ზედმეტი ღირებულებიდან გარკვეული პროპორციის სახით ღებულობს. ეს, მართლაც, ასე უნდა იყოს, რაკი ეს ფაქტი მოცემული ან ნაგულისხმევია. მაგრამ თავისთავად ეს სრულიადაც არ გამომდინარეობს იმ აბდაუბდიდან, რასაც როდბერტუსი კვლავ გვთავაზობს «მასალის ღირებულების» შესახებ და რაც მე ზემოთ, 476 გვერდზე, ამ გვერდის დასაწყისში, აღვნიშნე *.

რაც შეეხება მიწის რენტის სიმაღლეს, იგი არც [იმ] პროდუქტში [მოთავსებულ ზედმეტ ღირებულებასთან] შეფარდებით იზრდება, საიდანაც რენტა თავის წილს ღებულობს, რადგან ეს შეფარდება უწინდებურად $^1/_{10}$-ს შეადგენს. მიწის რენტის სიდიდე იზრდება, იმიტომ, რომ იზრდება ეს პროდუქტი, და რადგან მიწის რენტის «სიმაღლის» ზრდის უქონლობის დროს მისი სიდიდე მაინც იზრდება, ამიტომ — შედარებით [ერთობლივი] მოგების რაოდენობასთან ან იმ წილთან, რასაც ეს მოგება შეადგენს მთელი ერთობლივი პროდუქტის [478] ღირებულებაში, — რენტის «სიმაღლეც» იზრდება. რადგან ნაგულისხმევია, რომ რენტას იძლევა ახლა ერთობლივი პროდუქტის ღირებულების უფრო დიდი ნაწილი, რომ ზედმეტი ღირებულების უფრო დიდი ნაწილი რენტად გადაქცევის უნარმქონე გახდა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც რენტად იქცა, გადიდდა. ყოველივე ამას აბსოლუტურად არაავითარი დამოკიდებულება არა აქვს «მასალის ღირებულებასთან». ხოლო როდბერტუსის მტკიცება, რომ

«უფრო დიდი რენტა ამასთანავე არის «უფრო მაღალი», «რადგან მიწის ფართობი, — ანდა მორგენთა რიცხვი, რომლის მიხედვითაც ეს გადიდებული მიწის რენტა იანგარიშება, — უცვლელი დარჩა და, მაშასადამე, თვითეულ მორგენს წილად ხვდება ღირებულების უფრო დიდი ჯამი» (გვ. 122), —

უაზრობაა. ეს ნიშნავს რენტის «სიმაღლის» გაზომვას ისეთი «მასშტაბით», რომლის დროსაც საკითხის სიძნელეს გვერდს უვლიან.

ზემოთ მოცემული მაგალითისათვის ოდნავ სახე რომ შეგვეცვალა — ჩვენ ხომ ჯერ არ ვიცით, რა არის რენტა — და მიწათმოქმედების პროდუქტისათვის მოგების იგივე ნორმა დაგვეტოვებინა, რასაც მრეწველობის პროდუქტისთვის ვიღებთ და მიწის

* — იხ. ეს ტომი, ნაწ. 11, გვ. 88. რედ.

რენტისათვის მხოლოდ $^1/_{10}$ მიგვემატებინა, მაშინ საქმის ვითარება სხვაგვარი იქნებოდა და უფრო ნათელი გახდებოდა, რა არის საჭირო [პრობლემის გადასაწყვეტად], რადგან წანამძღვარს მოგების ერთი და იმავე ნორმის არსებობა წარმოადგენს.

	მოგწველობის პროდუქტები	მიწათმოქმედების პროდუქტები	(ზედმეტი ღირებულება და მისი განაწილება)
I	600 გირვ. სტეოლ. [7200 საათი]	300 გირვ. სტერლ. [3600 საათი]	ზედმეტი ღირებულების 1200 საათი შეხვდება მრეწველობას, 600 საათი—მიწათმოქმედებას. 60 საათი მოუწევს მიწის რენტას. სულ — 1860 საათი, აქედან 1800 შეადგენს მოგებას.
II	300 გირვ. სტერლ. [3600 საათი]	600 გირვ. სტერლ. [7200 საათი]	ზედმეტი ღირებულების 600 საათი შეხვდება მრეწველობას, 1200 საათი—მიწათმოქმედებას. 120 საათი მოუწევს მიწის რენტას. სულ — 1920 საათი, აქედან 1800 შეადგენს მოგებას.

მიწის რენტა II შემთხვევაში ორჯერ მეტია, ვიდრე I-ში, რადგან [ერთობლივი] პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც იგი მკბენარივით მიეკრა, — სახელდობრ, მიწათმოქმედების პროდუქტი, — აქ მეტია მრეწველობის პროდუქტთან შედარებით. მოგების მასა ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე რჩება — 1800 საათი. [მიწის რენტა კი] პირველ შემთხვევაში ერთობლივი ზედმეტი ღირებულების $^1/_{31}$-ს [შეადგენს], ხოლო მეორე შემთხვევაში — $^1/_{16}$-ს.

თუ როდბერტუსს სურს რადაც უნდა დაუჯდეს «მასალის ღირებულება» მხოლოდ მრეწველობას მიაკუთვნოს, მაშინ იგი უწინარეს ყოვლისა ვალდებული იყო მხოლოდ მიწათმოქმედებისათვის დაეკისრებინა მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მანქანებისაგან და ა. შ. შედგება. კაპიტალის ეს ნაწილი მიწათმოქმედებაში შედის როგორც მრეწველობის მიერ მიწოდებული პროდუქტი, როგორც «მრეწველობის პროდუქტი», რომელიც წარმოების საშუალებას წარმოადგენს «ნედლი პროდუქტის» მისაღებად.

რაც შეეხება მრეწველობას, მანქანათა ღირებულების ის ნაწილი, რომელიც «ნედლი მასალისაგან» შედგება, უკვე დებეტში აქვს ჩაწერილი მრეწველობას «ნედლეულისა», ანუ «მასალის ღირებულების» რუბრიკით, რადგან აქ საქმე ეხება ანგარიშსწორებას ორ ფირმას შორის. მაშასადამე, ამ ნაწილის ორჯერ ჩაწერა არ შეიძ-

ლება. მრეწველობაში გამოყენებული მანქანების ღირებულების მეორე ნაწილს შეადგენს მიმატებული «სამრეწველო შრომა» — წარსული და ახლანდელი, ეს უკანასკნელი კი იყოფა ხელფასად და მოგებად (ფასგადახდილ და ფასგადაუხდელ შრომად). ამრიგად, კაპიტალის აქ ავანსებული ნაწილი (მისი იმ ნაწილის გარდა, რომელსაც მანქანათა ნედლი მასალა შეიცავს) შედგება [როგორც ეს შეიძლება მოგვეჩვენოს] მხოლოდ ხელფასისაგან და, მაშასადამე, ადიდებს არა მარტო ავანსებული კაპიტალის ჯამს, არამედ ზედმეტი ღირებულების მასასაც, რომელიც უნდა იანგარიშებოდეს ამ ავანსებული კაპიტალის მიხედვით, — მაშასადამე, ადიდებს მოგებას.

(შეცდომა ასეთი გამოანგარიშებისას ყოველთვის [იმის გაუგებლობაა], რომ თუმცა, მაგალითად, მანქანების ან ინსტრუმენტების გაცვეთა, რასაც თვით მანქანა, მისი ღირებულება შეიცავს, და რაც საბოლოო ანგარიშით შეიძლება დაყვანილ იქნეს შრომაზე, — იქნება ეს ნედლ მასალაში მოქცეული შრომა თუ შრომა, რომელმაც ნედლი მასალა მანქანად და ა. შ. აქცია, — მაინც ეს წარსული შრომა უკვე არასოდეს აღარ შედის არც მოგებაში, არც ხელფასში, არამედ მოქმედებს უკვე, — რამდენადაც კვლავწარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დრო არ შეცვლილა, — მხოლოდ როგორც წარმოების მეორადი პირობა; როგორიც არ უნდა იყოს ამ წარმოების პირობის სახეობა ღირებულება შრომის პროცესში, იგი ღირებულების შექმნის პროცესში გვევლინება მხოლოდ როგორც მუდმივი კაპიტალის ღირებულება. ეს მეტად მნიშვნელოვანია და იგი მე უკვე გავარკვიე მუდმივი კაპიტალისა და შემოსავლის გაცვლის საკითხის გამოკვლევისას *. მაგრამ, გარდა ამისა, საჭიროა ეს კიდევ უფრო დაწვრილებით განვავითაროთ კაპიტალის დაგროვების შესახებ მოცემულ ანყოფილებაში).

პირიქით, რაც შეეხება მიწათმოქმედებას, ე. ი. ნედლეულის უბრალო წარმოებას, ანდა წარმოების ეგრეთწოდებულ პირველადს დარგს, ფირმა «წარმოების პირველადი დარგსა» და ფირმა «დამუშავებელ მრეწველობას» შორის ურთიერთანგარიშსწორებისას, მიწათმოქმედებაში შემავალი ის ნაწილი კაპიტალის ღირებულებისა, რომელიც მანქანებს, იარაღებს და ა. შ. წარმოადგენს და მუდმივი კაპიტალის ნაწილია, არასგზით არ შეიძლება სხვაგვარად განიხილებოდეს, თუ არა რო-

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი. 1, გვ. 277 — 285. რედ.

გორც ისეთი ნაწილი, რომელიც სამიწათმოქმედო კაპიტალში შედის, მაგრამ ამ კაპიტალის მიერ წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას არ ადიდებს. თუ სამიწათმოქმედო შრომა, მანქანების და ა. შ. გამოყენების გამო, უფრო ნაყოფიერი ხდება, მაშინ მისი ნაყოფიერების ზრდა მით უფრო ნაკლები იქნება, რაც უფრო დიდია ამ მანქანების და ა. შ. ფასი. მანქანების სახმარი ღირებულება და არა მათი ღირებულება, — აი რა ადიდებს სამიწათმოქმედო შრომის და ყოველგვარი სხვა შრომის ნაყოფიერებას. გარდა ამისა, შეიძლებოდა ზუსტად ასევე იმის თქმა, რომ სამრეწველო შრომის ნაყოფიერება გაპირობებულია უწინარეს ყოვლისა ნედლეულის არსებობით და მისი თვისებებით. მაგრამ აქ კვლავ ნედლეულის სახმარი ღირებულება, და არა მისი ღირებულება, წარმოადგენს წარმოების პირობას მრეწველობისათვის. ღირებულება უფრო უარყოფითი მხარეა. მაშასადამე, [479] mutatis mutandis *, [მიწათმოქმედებაში გამოყენებული] მანქანებისა და სხვ. შესახებ ზუსტად იგივე ითქმის, რასაც ბ-ნი როდბერტუსი სამრეწველო კაპიტალთან დაკავშირებით «მასალის ღირებულების» შესახებ ლაპარაკობს:

«მაგალითად, ისეთ განსაკუთრებულ პროდუქტზე დახარჯულ შრომაში, როგორიცაა ხორბალი ან ბამბა, არ შეიძლება შედიოდეს შრომის დანახარჯი, რაც წილად ხვდება გუთანს ან ჯინს** როგორც მანქანებს» (ასევე შრომის ის დანახარჯი, რაც წილად ხვდება წყალსადინარ თხრილს ან თავლას). «პირიქით, მანქანის ღირებულება, ანუ მანქანური ღირებულება, მაინც გვევლინება კაპიტალის იმ ჯამის შედგენილობაში, რომლის მიხედვითაც მფლობელი ანგარიშობს, როგორც მოგებას, ნედლეულის ტის ხვედრ რენტისნაწილს» (შეად. როდბერტუსთან გვ. 97) [23].

სხვა სიტყვებით: ხორბლისა და ბამბის ღირებულების ნაწილი, რომელიც გაცვეთილი გუთნის ან ჯინის ღირებულებას წარმოადგენს, არ არის მიწის მოხვნაზე ან ბამბის თესლისაგან ბამბის ბოჭკოს მოცილებაზე გაწეული შრომის შედეგი, არამედ გუთნისა და ჯინის წარმოებაზე გაწეული შრომის შედეგია. ღირებულების ეს შემადგენელი ნაწილი შედის მიწათმოქმედების პროდუქტში, თუმცა იგი არაა წარმოებული მიწათმოქმედებაში. მიწათმოქმედება მისთვის არის მარტოოდენ შუალედური სტადია, რადგან ღირებულების ამ ნაწილის მეშვეობით მიწათმოქმედება ანაზღაურებს მხოლოდ გაცვეთილ გუთანს და ჯინს ახლებით, რომლებსაც იგი მანქანათმშენებლისაგან ყიდულობს.

* — სათანადო ცვლილებებით. რედ.

** — ბამბის საწმენდი მანქანა. რედ.

მიწათმოქმედებაში გამოყენებული ეს მანქანები, იარაღები, შენობები და მრეწველობის სხვა პროდუქტები შედგება ორი ნაწილისაგან: 1) ნედლეულისაგან ამ მრეწველობის პროდუქტებისათვის [და 2) ნედლეულზე დახარჯული შრომისაგან].

თუმცა ეს ნედლეული მიწათმოქმედების პროდუქტს შეადგენს, მაგრამ იგი მიწათმოქმედების პროდუქტის ის ნაწილია, რომელიც არასოდეს არ შედის არც ხელფასში, არც მოგებაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიწათმოქმედებაში კაპიტალისტი არ იარსებებდა, მაინც მიწათმოქმედს, ისე როგორც უწინ, არ შეეძლო თავის ანგარიშში ჩაეწერა თავისი პროდუქტის ეს ნაწილი ხელფასის სახით. მართლაც, მას მ უ ქ თ ა დ უნდა მიეცა იგი მანქანების ფაბრიკანტისათვის, რათა ამ უკანასკნელს მისთვის იქიდან მანქანა დაემზადებინა და, გარდა ამისა, ამ ნედლეულისადმი მიმატებული შრომა (= ხელფასს + მოგება) აენაზღაურებინა. სინამდვილეში ასეც ხდება. მანქანათმშენებელი ყიდულობს ნედლეულს, მაგრამ ეს ნედლეული უკანვე უნდა გამოისყიდოს სოფლის მეურნემ, როცა ის მანქანებს იყიდის. მაშასადამე, ეს იგივე იქნებოდა, თუ სოფლის მეურნე არაფერს არ მიჰყიდდა მანქანათმშენებელს, არამედ მხოლოდ ასესხებდა მას ნედლეულს, რათა მას ამ ნედლეულისათვის მანქანის ფორმა მიეცა. მაშასადამე, მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი გამოყენებული მანქანების ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ნედლეულზე დაიყვანება, — თუმცა იგი სამიწათმოქმედო შრომის პროდუქტს წარმოადგენს და ამ შრომით შექმნილი ღირებულების ნაწილია, — ეკუთვნის მაინც წარმოებას და არა მწარმოებელს, და ამიტომ უკანასკნელის ხარჯებში გვევლინება, ისევე როგორც თესლი. მეორე ნაწილი კი, რომელიც მანქანებში დაბანდებულ სამრეწველო შრომას წარმოადგენს, «მრეწველობის პროდუქტია», რომელიც წარმოების საშუალების სახით მიწათმოქმედებაში შედის ისევე, როგორც ნედლეული შედის წარმოების საშუალების სახით დამმუშავებელ მრეწველობაში.

ამრიგად, თუ სწორია, რომ ფირმა «ნედლეულის წარმოება» აწოდებს ფირმას «დამმუშავებელი მრეწველობა» «მასალის ღირებულებას», რომელიც შედის როგორც ცალკეული მუხლი ფაბრიკანტის კაპიტალის ჯამში, მაშინ არა ნაკლებ სწორია ისიც, რომ ფირმა «დამმუშავებელი მრეწველობა» აწოდებს ფირმას «ნედლეულის წარმოება» მანქანების ღირებულებას, რომელიც მთლიანად (ნ ე დ ლ ე უ ლ ი ს ა გ ან შ ე მ დ გ ა რ ი ნ ა წ ი ლ ი ს ჩ ა თ ვ ლ ი თ) შედის ფერმერის კაპიტალის ჯამში, თუმცა ეს «ღირებულების შემადგე-

ნელი ნაწილი» არ აძლევს ფერმერს ზედმეტ ღირებულებას. სწორედ ამ მიზეზით high agricuture-ში *, როგორც ამას ინგლისელები უწოდებენ, მოგების ნორმა ჩანს უფრო დაბალია, ვიდრე პრიმიტიულ მიწათმოქმედებაში, თუმცა პირველში ზედმეტი ღირებულების ნორმა უფრო მაღალია.

ამასთანავე ერთად ბ-ნ როდბერტუსს შეეძლო აქ მოეცა დამაჯერებელი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ კაპიტალის დახარჯვის არსისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, ნაზღაურდება მუდმივი კაპიტალის სახით დაბანდებული პროდუქტის ღირებულების ნაწილი in natura და იანგარიშება მხოლოდ როგორც საქონელი — როგორც ფულადი ღირებულება, — თუ ის ნამდვილად გაივლის გასხვისების, ყიდვისა და გაყიდვის პროცესს. თუ, მაგალითად, ნედლეულის მწარმოებელი მუქთად მისცემდა მანქანათმშენებელს ამ უკანასკნელისაგან ნაყიდ მანქანაში მოთავსებულ რკინას, სპილენძს, ხეს და ა. შ., ასე რომ მანქანათმშენებელი მას მანქანის გაყიდვისას მხოლოდ მიმატებულ შრომას და თავისი საკუთარი მანქანის გაცვეთას უანგარიშებდა, მაშინ საყიდელი მანქანა სოფლის მეურნეს სწორედ იმდენივე თანხა დაუჯდებოდა, რამდენიც მას ახლა უჯდება იგი, და ღირებულების იგივე შემადგენელი ნაწილი მიიღებდა მონაწილეობას მის წარმოებაში როგორც მუდმივი კაპიტალი, როგორც დანახარჯი, — მსგავსად იმისა, როგორც სავსებით სულ ერთია, ყიდის გლეხი თავის მოსავალს მთლიანად და მისი ღირებულების იმ ნაწილით, რომელიც თესლს (ნედლ მასალას) წარმოადგენს, ყიდულობს თესლს სხვაგან, — ვთქვათ, იმისათვის, რომ მოახდინოს თესლის ჯიშის ესოდენ სასარგებლო გამოცვლა და ამ გზით თავიდან აიცილოს ერთი და იმავე ჯიშის მუდმივი გამრავლებით გამოწვეული გადაგვარება მცენარისა, — თუ უშუალოდ გამოაკლებს თავის პროდუქტს იმ ნაწილს, რომლითაც წარმოდგენილია ღირებულების ეს შემადგენელი ნაწილი, და მას უკანვე უბრუნებს მიწას.

მაგრამ ბ-ნი როდბერტუსი, რათა თავისი ანგარიში გამოიყვანოს, არასწორად ახასიათებს მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც მანქანებისაგან შედგება.

მეორე პუნქტი, რომელიც განსახილველია ბ-ნ როდბერტუსის მეორე დებულების გარჩევისას, შემდეგია:

ბ-ნი როდბერტუსი ლაპარაკობს მრეწველობისა და მიწათმოქმედების იმ პროდუქტებზე, რომლებიც შეადგენენ შემოსავალს,

* — გაუმჯობესებულ მიწათმოქმედებაში, ინტენსიურ მიწათმოქმედებაში. რედ.

ეს კი რაღაც სხვა რამეა, ვიდრე მრეწველობისა და მიწათმოქმედების ის პროდუქტები, რომლებიც ერთობლივ წლიურ პროდუქტს შეადგენენ. თუნდაც რომ ერთობლივი წლიური პროდუქტის მიმართ სწორიც იყოს იმის თქმა, რომ, მას შემდეგ, რაც მას გამოაკლდა მანქანებისაგან და ა. შ. შემდგარი ნაწილი სამიწათმოქმედო კაპიტალისა [480] და აგრეთვე მიწათმოქმედების პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ უბრუნდება უკან სამიწათმოქმედო წარმოებას, — რომ ორივე ამ ნაწილის გამოკლების შემდეგ ზედმეტი ღირებულების განაწილება ფერმერსა და მრეწველს შორის (მაშასადამე, ასევე განაწილებაც ფერმერის კუთვნილი ზედმეტი ღირებულებისა თვით ფერმერსა და მიწის მესაკუთრეს შორის) უნდა განისაზღვრებოდეს პროდუქტთა ერთობლივ ღირებულებაში მრეწველობისა და მიწათმოქმედების წილის სიდიდით; თუნდაც რომ ყოველივე ეს სწორი იყოს, მაშინაც კიდევ დიდი საკითხია, არის თუ არა ეს სწორი იმ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია შემოსავლის საზოგადოებრივი ფონდის შემადგენელ პროდუქტებზე. შემოსავალი (აქ გამორიცხულია მისი ის ნაწილი, რომელიც, თავის მხრივ, ახალ კაპიტალად იქცევა) შედგება ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალი პროდუქტებისაგან, და სწორედ აქ დგება საკითხი, რამდენს ღებულობენ ამ საერთო ქვაბიდან მრეწველები, ფერმერები და მიწის მესაკუთრენი. განისაზღვრება თუ არა თვითეული ეს ნაწილი იმ ხვედრითი წონით, რაც მრეწველობასა და ნედლეულის წარმოებას აქვთ შემოსავლის შემადგენელი პროდუქტების ღირებულებაში? სხვა სიტყვებით, განისაზღვრება თუ არა იგი იმ სათანადო წილით, რომლის მიხედვითაც შემოსავლის შემადგენელი მთელი პროდუქტის ღირებულება იყოფა სამიწათმოქმედო და სამრეწველო შრომას შორის?

პროდუქტების ის მასა, რომლისგანაც შემოსავალი შედგება, გამორიცხავს, როგორც უკვე უწინ აღვნიშნე *, ყველა იმ პროდუქტს, რომლებიც წარმოებაში შედიან შრომის იარაღების (მანქანების), დამხმარე მასალის, ნახევარფაბრიკატების და ამ უკანასკნელთათვის საჭირო ნედლეულის სახით და რომლებიც შრომის წლიური პროდუქტის ნაწილს შეადგენენ. იგი გამორიცხავს არა მარტო ნედლეულის წარმოებაში გამოყენებულ მუდმივ კაპიტალს, არამედ აგრეთვე მანქანათმშენებელთა მუდმივ კაპიტალსაც და ფერმერებისა და [მრეწველი] კაპიტალისტების მთელ იმ მუდმივ კაპიტალს, რომე-

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 277 — 285. რედ.

ლიც, თუმცა შრომის პროცესში კი შედის, მაგრამ არ შედის ღირებულების შექმნის პროცესში. შემდეგ იგი გამორიცხავს არა მარტო მუდმივ კაპიტალს, არამედ აგრეთვე ინდივიდუალურ მოხმარებაში არ შემავალ იმ პროდუქტებსაც, რომლებიც მათი მწარმოებლების შემოსავალს წარმოადგენენ და რომლებიც, გამოყენებული მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებლად, შემოსავლის სახით მოსახმარი პროდუქტების მწარმოებელთა კაპიტალში შედიან.

შემოსავლის სახით მოსახმარი პროდუქტების მასა, რომელიც სინამდვილეში სიმდიდრის ის ნაწილია, რაც შემოსავალს შეადგენს როგორც თავისი სახმარი ღირებულების, ისე საცვლელი ღირებულების მიხედვითაც, — ეს მასა პროდუქტებისა, როგორც მე უწინ აღვნიშნე *, შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ახლადმიმატებული (წლის განმავლობაში) შრომისაგან შედგენილი, რის გამოც იგი დაიყვანება მხოლოდ შემოსავალზე, ე. ი. ხელფასსა და მოგებაზე (უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა [კაპიტალისტის ხვედრ] მოგებად, რენტად, გადასახადებად და ა. შ.), ამასთან ამ მასის არც ერთი ნაწილაკი არ შეიცავს არც წარმოებაში შემავალი ნედლეულის ღირებულებას, არც წარმოებაში შემავალი მანქანების ანდა საერთოდ შრომის საშუალებათა გაცვეთის ღირებულებას. მაშასადამე, თუ ჩვენ (დავტოვებთ რა სრულიად უყურადღებოდ შემოსავლის მეორად ფორმებს, რადგან ისინი მხოლოდ იმას გვიჩვენებენ, რომ შემოსავლის მფლობელი პროდუქტთა ხსენებული მასიდან თავის კუთვნილ ნაწილს უთმობს სხვას, რაიმე მომსახურების და ა. შ. საზღაურად თუ ვალის გადასახდელად და ა. შ.) ამ შემოსავალს განვიხილავთ და ვიგარაუდებთ, რომ ხელფასი შეადგენს შემოსავლის $^1/_3$-ს, მოგება — $^1/_3$-ს და მიწის რენტა — $^1/_3$-ს, პროდუქტი კი თავისი ღირებულებით 90 გირვ. სტერლინგს უდრის, მაშინ შემოსავლის ამ სახეობათა წარმომადგენლებიდან თვითეულს შეუძლია საერთო მასიდან 30 გირვ. სტერლ. პროდუქტი მიიღოს.

რადგან პროდუქტების მასა, რომელიც შემოსავალს შეადგენს, მხოლოდ ახლადმიმატებული (წლის განმავლობაში მიმატებული) შრომისაგან შედგება, ამიტომ საქმის ვითარება მეტად მარტივად გვეჩვენება: თუ სამიწათმოქმედო შრომა პროდუქტთა ამ მასაში $^2/_3$-ის ოდენობით შედის, სამრეწველო შრომა კი — $^1/_3$-ის ოდენობით, მაშინ მრეწველები და სოფლის მეურნეები მოცემულ

* — იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 265 — 276. რედ.

ღირებულებას ერთმანეთს შორის ინაწილებენ ამ შეფარდების შესაბამისად. პროდუქტთა აღნიშნული მასის ღირებულების ერთი მესამედი წილად ხვდება მრეწველებს, ორი მესამედი — სოფლის მეურნეებს და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში რეალიზებული ზედმეტი ღირებულების პროპორციული სიდიდე (თუ ვივარაუდებთ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა ორივეში ერთი და იგივეა) იმ წილის შესაბამისი იქნებოდა, რაც მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას ერთობლივი პროდუქტის ღირებულებაში აქვთ; მიწის რენტა კი გაიზრდება იმ შეფარდებით, რითაც იზრდება ფერმერის მოგების მასა, რომელსაც რენტა მკბენარივით აზის. და მაინც საკითხის ასეთი განმარტება მცდარია. საქმე ისაა, რომ სამიწათმოქმედო შრომის [პროდუქტებისაგან] შემდგარი ღირებულების ერთ-ერთი ნაწილი წარმოადგენს იმ ძირითადი კაპიტალის მწარმოებელი ფაბრიკანტების შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ს, რომელიც ანაზღაურებს მიწათმოქმედებაში გაცვეთილ ამ ძირითადი კაპიტალის ნაწილს. ამრიგად, თანაფარდობა სამიწათმოქმედო და სამრეწველო შრომას შორის, როგორც შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს შ ე მ ქ მ ნ ე ლ ი პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ნ ა წ ი ლ ებ ს შ ო რ ი ს, სრულიადაც არ გვიჩვენებს იმ პ რ ო პ ო რ ც ი ა ს, რომლის მიხედვითაც შემოსავლის შემქმნელი პროდუქტთა მასის ღირებულება და თვით პროდუქტთა ეს მასა ნაწილდება მრეწველებსა და ფერმერებს შორის, და ასევე არ გვიჩვენებს იმ თანაფარდობასაც, რომლითაც მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ერთობლივ წარმოებაში მონაწილეობენ.

რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ამბობს შემდეგ:

«მაგრამ კვლავ მხოლოდ შრომის ნაყოფიერება ნედლეულის წარმოებისა და მრეწველობაში განსაზღვრავს ნედლი პროდუქტისა და მრეწველობის პროდუქტის ღირებულების სათანადო სიმაღლეს, ანდა იმ წილს, რაც მათ მთელი პროდუქტის ღირებულებაში აქვთ. ნედლი პროდუქტის ღირებულება მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო დაბალია შრომის ნაყოფიერება ნედლეულის წარმოებაში, და პირიქით. სავსებით ასევე მრეწველობის პროდუქტის ღირებულება მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო დაბალია სამრეწველო შრომის ნაყოფიერება, და პირიქით. ამიტომ, თუ რენტის სიმაღლე საერთოდ მოცემულია, მაშინ, რადგან ნედლი პროდუქტის მაღალი ღირებულება მაღალ მიწის რენტას და კაპიტალს დაბალ მოგებას განაპირობებს, ხოლო მრეწველობის პროდუქტის მაღალი ღირებულება კაპიტალის მაღალ ღირებულებას და დაბალ მიწის რენტას განაპირობებს, — მიწის რენტის სიმაღლე და კაპიტალის მოგების სიმაღლე პირუკუ შეფარდებაში უნდა იმყოფებოდნენ არა მარტო ერთმანეთურთან, არამედ სათანადო შრომის, ე. ი. ნედლეულის წარმოებისა და მრეწველობაში გამოყენებული შრომის ნაყოფიერებასთანაც» (გვ. 123).

თუ შევადარებთ წარმოების ორი სხვადასხვა სფეროს შწარმოებლობას, ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ შეფარდებითი აზრით. ეს ნიშნავს: ამოსავალ წერტილად აიღება რომელიმე ნებისმიერი პუნქტი, სადაც, მაგალითად, ქერელის და ტილოს ღირებულება — მაშასადამე, მათში მოთავსებული სამუშაო დროის თანაფარდი რაოდენობანი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 1 : 3. თუ ეს შეფარდება იცვლება, მაშინ სწორი იქნება ვთქვათ, რომ შეიცვალა შრომის ამ სხვადასხვა სახეობათა ნაყოფიერება. მაგრამ არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ვინაიდან უნცია ოქროს [481] წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დრო უდრის 3-ს, და ტონა რკინის წარმოებისათვის საჭირო დროც ასევე უდრის 3-ს, ამიტომ ოქროს წარმოება «ნაკლებნაყოფიერია», ვიდრე რკინისა.

ორი საქონლის ღირებულებითი შეფარდება გვიჩვენებს, რომ ერთი მათგანი უფრო დიდი სამუშაო დროის დახარჯვით იწარმოება, ვიდრე მეორე; მაგრამ ამ საფუძვლით არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ წარმოების ერთი დარგი მეორეზე «უფრო მეტი მწარმოებლობისაა». ეს სწორი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ორივე შემთხვევაში სამუშაო დრო ერთი და იმავე სახმარი ღირებულების წარმოებაზე იხარჯება.

მაშასადამე, თუ ნედლი პროდუქტის ღირებულება ისე შეეფარდება მრეწველობის პროდუქტის ღირებულებას, როგორც 3 : 1, მაშინ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ მრეწველობა სამჯერ უფრო მაღალი მწარმოებლობისაა მიწათმოქმედებასთან შედარებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეფარდება შეიცვლებოდა, მაგალითად, გახდებოდა 4 : 1 ან 3 : 2 ანდა 2 : 1 და ა. შ., შეიძლებოდა გვეთქვა, რომ შეფარდებითი მწარმოებლობა ამ ორ დარგში შეიცვალა. მაშასადამე, ეს მტკიცება შესაძლებელია მხოლოდ მწარმოებლობის გადიდების ან შემცირების შემთხვევაში.

[ბ) როდბერტუსის მესამე დებულება]

«III) კაპიტალის მოგების სიმაღლე განისაზღვრება საერთოდ მხოლოდ პროდუქტის ღირებულების სიმაღლით და კერძოდ ნედლი პროდუქტისა და მრეწველობის პროდუქტის ღირებულების სიმაღლით, ანდა საერთოდ შრომის და კერძოდ ნედლეულის წარმოებასა და მრეწველობაში გამოყენებული შრომის შეფარდებითი ნაყოფიერებით; მიწის რენტის სიმაღლე, გარდა ამისა, დამოკიდებულია აგრეთვე პროდუქტის ღირებულების სიდიდეზე, ე. ი. იმ შრომის რაოდენობაზე, ანუ მწარმოებლურ ძალაზე, რომელიც წარმოებაში გამოიყენება

მ ო ც ე მ უ ლ ი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი» (გვ. 116 — 117).

სხვა სიტყვებით: მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა-ზ ე, უკანასკნელი კი განისაზღვრება მხოლოდ შ რ ო მ ი ს ნაყოფიერებით; პირიქით, მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ა დამოკიდებულია აგრეთვე შრომის მოცემული ნაყოფიერების პირობებში გამოყენებული შრომის მ ა ს ა ზ ე (მუშების რიცხვზე).

ამ მტკიცებაში თითქმის იმდენივე შეცდომაა, რამდენიც სიტყვაა. ჯ ე რ ე რ თ ი, მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა სრულიადაც არ განისაზღვრება მარტოოდენ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ-მ ი თ, — ამის შესახებ ჩვენ ახლავე ვიტყვით. მაგრამ უწინარეს ყოვლისა სწორი არაა ის, თითქოს ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა დამოკიდებულია მხოლოდ შრომის ნაყოფიერებაზე. შრომის მ ო ც ე მ უ ლ ი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს პირობებში ზედმეტი ღირებულების ნორმა იცვლება ზ ე დ მ ე ტ ი ს ა მ უ შ ა ო დ რ ო-ი ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ო ბ ი ს მიხედვით. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა დამოკიდებულია არა მარტო შრომის ნაყოფიერებაზე, არამედ აგრეთვე გამოყენებული შრომის რ ა ო დ ე ნ ო ბ ა-ზ ე ც, რადგან ფ ა ს გ ა დ ა უ ხ დ ე ლ ი შრომის რაოდენობა შეიძლება იზრდებოდეს (ნაყოფიერების უცვლელობისას) ფ ა ს გ ა-დ ა ხ დ ი ლ ი შრომის რაოდენობის გაუდიდებლად, ე. ი. კაპიტალის იმ ნაწილის გაუდიდებლად, რომელიც ხელფასზე იხარჯება. ზედმეტი ღირებულება — როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითიც (როდბერტუსი კი, რომელიც რიკარდოს მისდევს, მხოლოდ ამ უკანასკნელს იცნობს) — შეუძლებელია, თუ შრომა, სულ მცირე, იმდენად ნაყოფიერი არაა, რომ სამუშაო დღიდან, მას შემდეგ, რაც მას მუშის საკუთარი კვლავწარმოებისათვის საჭირო დრო გამოაკლდება, კიდევ რჩებოდეს ზედმეტი სამუშაო დრო. მაგრამ რაკი ზედმეტი სამუშაო დროის არსებობა ნაგულისხმევია, ზედმეტი ღირებულების ნორმა — ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს მ ო ც ე მ უ ლ ი მ ი ნ ი მ უ-მ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი — იცვლება ზედმეტი სამუშაო დროის ხანგრძლიობის შეცვლასთან ერთად.

მაშასადამე, ჯ ე რ ე რ თ ი, სწ ო რ ი ა რ ა ა, თითქოს მოგების ნორმა, ახუ «კაპიტალის მოგების ს ი მ ა ღ ლ ე», — რადგან ამას ზედმეტი ღირებულების ნორმის მიმართ ძალა არა აქვსო, — განისაზღვრება მხოლოდ კაპიტალის მიერ ექსპლოატირებული შრომის ნაყოფიერებით. მ ე ო რ ე, ვიგულისხმოთ, რომ მ ო ც ე მ უ ლ ი ა

უკვე ზედმეტი ღირებულების ნორმა, რომელიც შრომის მოცემული ნაყოფიერების პირობებში იცვლება სამუშაო დროის ხანგრძლივობის ცვალებადობის მიხედვით, მოცემული ნორმალური სამუშაო დღის პირობებში კი — შრომის ნაყოფიერების მიხედვით. ამ შემთხვევაში თვით ზედმეტი ღირებულება სხვადასხვა იქნება იმ მუშების რიცხვის მიხედვით, რომელთა ყოველი სამუშაო დღიდან ზედმეტი ღირებულების გარკვეული რაოდენობა გამოიწურება, სხვა სიტყვებით — ხელფასზე დახარჯული ცვალებადი კაპიტალის სიდიდის მიხედვით. მაგრამ მოგების ნორმა დამოკიდებულია ამ ზედმეტი ღირებულების შეფარდებაზე ცვალებად კაპიტალთან პლუს მუდმივი კაპიტალი. ზედმეტი ღირებულების სიდიდე, ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის დროს, დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, ცვალებადი კაპიტალის სიდიდეზე, მაგრამ მოგების სიმაღლე, ე. ი. მოგების ნორმა, დამოკიდებულია ამ ზედმეტი ღირებულების შეფარდებაზე ერთობლივ ავანსებულ კაპიტალთან. აქ, მაშასადამე, მოგების ნორმა განსაზღვრული იქნება, რა თქმა უნდა, ნედლეულის ფასით (თუ ეს ნედლეული მრეწველობის მოცემულ დარგში გამოიყენება) და გარკვეული ეფექტიანობის მქონე მანქანათა ღირებულებით.

ამიტომ სრულიად მცდარია ის, რასაც როდბერტუსი ამტკიცებს:

«იმავე პროპორციით, რითაც პროდუქტის ღირებულების გადიდების გამო კაპიტალის მოგების ჯამი იზრდება, დიდდება, მაშასადამე, კაპიტალის ის ერთობლივი ღირებულებაც, რომლის მიმართაც უნდა იანგარიშებოდეს მოგება, და წინანდელი პროპორცია მოგებასა და კაპიტალს შორის არ იცვლება კაპიტალს მოგების ამ გადიდების გამო» (გვ. 125).

ეს მტკიცება მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აღნიშნავს ტავტოლოგიას: მოგების მოცემული ნორმის დროს | მოგების ნორმა კი ძლიერ განსხვავდება ზედმეტი ღირებულების ნორმისაგან და თვით ზედმეტი ღირებულებისაგან | გამოყენებული კაპიტალის სიდიდეს არა აქვს მნიშვნელობა სწორედ იმიტომ, რომ მოგების ნორმა ნაგულისხმევია როგორც მუდმივი. საერთოდ კი მოგების ნორმა შეიძლება იზრდებოდეს იმისდა მიუხედავად, რომ შრომის ნაყოფიერება მუდმივი რჩება, ანდა შეიძლება ეცემოდეს იმისდა მიუხედავად, რომ შრომის ნაყოფიერება იზრდება და თანაც იზრდება ყოველ სფეროში.

შემდეგ კი ხელახლა გვეკლინება ულაზათო გონებამახვილობა მიწის რენტის მიმართ (გვ. 125 — 126), რომლის უბრალო გადიდება ადიდებს მის ნორმას, რადგან იგი ყოველ ქვეყანაში «მორგენების უცვლელი რიცხვის» მიხედვით იანგარიშება (გვ. 126). თუ მოგების მასა იზრდება (მოგების მოცემული ნორმის დროს), იზრდება კაპიტალის მ ა ს ა ც, რომლიდანაც ის მიიღება; თუკი იზრდება მიწის რენტა, მაშინ იცვლება მხოლოდ ერთი ფაქტორი — თვით რენტა, მაშინ როდესაც მისი მასშტაბი, «მორგენების რიცხვი», ფიქსირებული, უცვლელი რჩება.

[482] «ამიტომ მიწის რენტა შეიძლება იზრდებოდეს საზოგადოების ეკონომიური განვითარების მსვლელობაში ყველგან წარმოქმნილი მიზეზის გამო, — წარმოებაში გამოყენებული შრომის გადიდების გამო, სხვა სიტყვებით, — მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ზ რ დ ი ს გამო, ნედლი პროდუქტის ღირებულების იმავდროული გ ა დ ი დ ე ბ ი ს გარეშე, რადგან უკვე ის გარემოება, რომ მიწის რენტა ნედლი პროდუქტის უ ფ რ ო დ ი დ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ი დ ა ნ მიიღება, უნდა იძლეოდეს ასეთ შედეგს» (გვ. 127).

128 გ ვ ე რ დ ზ ე როდბერტუსი გვამცნობს უცნაურ აღმოჩენას, რომ მაშინაც კი, თუ ნედლი პროდუქტის ფასის ამ პროდუქტის ნორმალურ ღირებულებაზე დ ა ბ ლ ა დაცემის გამო მიწის რენტა სრულიად გაქრებოდა, შეუძლებელი იქნებოდა,

«რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ო გ ე ბ ა ოდესმე 100 პ რ ო ც ე ნ ტ ი ს ტ ო ლ ი ყ ო ფ ი ლ ი ყ ო» (სწორედ იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება); «რა გინდ მაღალიც არ უნდა იყოს მოგება, იგი მუდამ მნიშვნელოვნად ნაკლები უნდა იყოს» (გვ. 128).

და რატომ?

«ამიტომ რომ იგი» (კაპიტალის მოგება) «მიიღება მხოლოდ პროდუქტის ღირებულების დაყოფის შედეგად. ამიტომ იგი შეიძლება იყოს მუდამ მხოლოდ წ ი ლ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი ამ ერთეულისა» (გვ. 127 — 128).

ეს, ბ-ნო როდბერტუსო, მთლიანად დამოკიდებულია თ ქ ვ ე ნ ი გამოანგარიშების წესზე.

ვიგულისხმოთ, რომ ავანსებული მუდმივი კაპიტალი უდრის 100-ს, ავანსებული ხელფასი უდრის 50-ს, შრომის პროდუქტის ნამეტი კი ამ 50-ის ზევით შეადგენს 150-ს. მაშინ ჩვენ გვექნებოდა ასეთი გაანგარიშება:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	ღირებულება	წარმოების ხარჯები	მოგება
100	50	150	300	150	150. ე. ი. 100%

იმისათვის, რომ ეს შემთხვევა შესაძლებელი იყოს, საჭიროა მხოლოდ ერთი — ვივარაუდოთ, რომ მუშა მუშაობს სამუშაო დღის $^3/_4$-ს თავისი დამქირავებლისათვის, ე. ი. რომ მუშის საკუთარი კვლავწარმოებისათვის საკმარისია სამუშაო დღის ერთი მეოთხედი. რა თქმა უნდა, თუ ბ-ნი როდბერტუსი იღებს პროდუქტის ღირებულებას, რომელიც 300-ს უდრის, როგორც ერთიან მთელს, თუ იგი კი არ გამოჰყოფს ამ ღირებულებაში მოთავსებულ ნამეტს წარმოების ხარჯების ზევით, არამედ ამბობს, ეს პ რ ო დ უ ქ ტ ი კაპიტალისტსა და მუშას შორის უნდა განაწილდესო, — მაშინ კაპიტალისტის წილმა, მართლაც, შეიძლება შეადგინოს მხოლოდ ნაწილი ამ პროდუქტისა, თუნდაც რომ იგი მთელი პროდუქტის $\frac{999}{1000}$ უდრიდეს. მაგრამ ეს გაანგარიშება მცდარია ანდა, ყოველ შემთხვევაში, თითქმის ყოველმხრივ უსარგებლოა. როცა ვინმე 150-ს ხარჯავს და 300-ს მიიღებს, იგი ჩვეულებრივ არ ამბობს, რომ 50% მოგებას იღებს, თუკი ის 150-ს 300-ზე არ ანგარიშობს (ნაცვლად იმისა, რომ 150-ზე იანგარიშოს).

დავუშვათ, რომ ზემომოცემულ მაგალითში მუშა 12 საათს მუშაობს: 3 საათს — თავისთვის, 9 საათს — კაპიტალისტისათვის. დავუშვათ შემდეგ, რომ იგი მუშაობს 15 საათს: მაშასადამე, 3 საათს მუშაობს თავისთვის და 12-ს კაპიტალისტისთვის. იმ თანაფარდობის მიხედვით, რაც წინათ წარმოებაში არსებობდა [წარმოების საშუალებებსა და ცოცხალი შრომის რაოდენობას შორის], მუდმივ კაპიტალს უნდა მიმატებოდა დამატებითი დანახარჯი 25-ის რაოდენობით (სინამდვილეში უფრო ნაკლები, რადგან მანქანებზე გაწეული ხარჯები არ გაიზრდებოდა იმ ზომით, რა ზომითაც შრომის რაოდენობა იზრდება). მაშასადამე, გვექნებოდა:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	ღირებულება	წარმოების ხარჯები	მოგება
125	50	200	350	175	200, ე. ი, 114 $^3/_7$%

შემდეგ როდბერტუსი კვლავ გვთავაზობს თავის მსჯელობას «მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ი ს უ ს ა ს რ უ ლ ო ბ ა მ დ ე» ზრდის შესახებ, იმიტომ, რომ მას, ჯერ ერთი, მიწის რენტის სიდიდის უბრალო ზრდა ამ რენტის აწევად მიაჩნია, ე. ი. აწევაზე იგი ლაპარაკობს იმ შემთხვევაშიც, როცა მიწის რენტის იმავე ნორმას პროდუქტთა უფრო დიდი ძასიდან იხდიან. შემდეგ, იმიტომ, რომ რენტის ანგარიშის მასშტაბად იღებს «მორგენს» — ორი საგანი, რომელთაც ერთმანეთს შორის არაფერი აქვთ საერთო.

* * *

შემდგომი პუნქტები შეიძლება სულ მოკლედ აღინიშნოს, რადგან მათ ჩემს ამოცანასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ.

«მიწის ღირებულება» არის «კაპიტალიზებული მიწის რენტა». მისი ამ ფულადი გამოხატულებისათვის ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სარგებლის გაბატონებული განაკვეთის სიმაღლეს. 4%-ის პირობებში კაპიტალიზაციის დროს მიწის რენტა უნდა გამრავლდეს 25-ზე, რადგან 4% = $^1/_{25}$-ს 100-დან; 5%-ის პირობებში კაპიტალიზაციის დროს მიწის რენტა უნდა გამრავლდეს 20-ზე, რადგან 5% = $\frac{1}{20}$ 100-დან. მიწის ღირებულებაში ეს მოგვცემდა განსხვავებას 20%-ის რაოდენობით (გვ. 131). ფულის ღირებულების შემცირების შემთხვევაშიც კი მიწის რენტა და, მაშასადამე, მიწის ღირებულებაც, ნომინალურად გაიზრდებოდა, რადგან აქ არ არისო ის, რასაც ადგილი აქვს კაპიტალის მიმართ. როცა სარგებელი ან მოგება ფულის უფრო მეტი რაოდენობით გამოიხატება, მაშინ ამასთან ერთად თანაბრად დიდდება თავისი ფულადი გამოხატულებით კაპიტალიც. პირიქით, ფულის უფრო დიდი რაოდენობით გამოხატული მიწის რენტა უნდა ნაწილდებოდეს «მიწის ნაკვეთის მორგენთა უცვლელ რაოდენობაზე» (გვ. 132).

ბ-ნი როდბერტუსი თავის სიბრძნეს ევროპის ეკონომიური განვითარების შესახებ რეზიუმეს უკეთებს შემდეგნაირად:

1) «...ევროპის ერებში ნაყოფიერება შრომისა საერთოდ — შრომისა ნედლეულის წარმოებისა და მრეწველობაში — გაიზარდა... ამის გამო ეროვნული პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც ხელფასად გამოიყენება, შემცირდა, რენტის სახით დარჩენილი ნაწილი კი გადიდდა... მაშასადამე, რენტა საერთოდ გაიზარდა» (გვ. 138 — 139).

2) «...მწარმოებლობა მრეწველობაში უფრო მეტად გადიდდა, ვიდრე ნედლეულის წარმოებაში... ამის გამო ამჟამად ეროვნული პროდუქტის ღირებულების თანაბარი სიდიდის პირობებში რენტის წილი, რომელიც ნედლ პროდუქტს უწევს, მეტია იმაზე, რაც მრეწველობის პროდუქტს უწევს; მაშასადამე, მიუხედავად საერთოდ რენტის გადიდებისა, მაინც მხოლოდ მიწის რენტა გადიდდა, კაპიტალის მოგება კი, პირიქით, დაეცა» (გვ. 139).

ამრიგად, აქ ბ-ნი როდბერტუსი სავსებით ისევე, როგორც რიკარდოც, მიწის რენტის გადიდებას მოგების ნორმის დაცემით ხსნის და პირიქით; ერთის დაცემა უდრის მეორეს გადიდებას, მიწის რენტის გადიდება კი აიხსნება მიწათმოქმედების შეფარ-

დ ე ბ ი თ ი უ ნ ა ყ ო ფ ი ბ ი თ» [483]. რიკარდო სადღაც გარკვევით ლაპარაკობს კიდეც, რომ საქმე შეეხება არა აბსოლუტურ, არამედ «შეფარდებითს» უნაყოფობას*. მაგრამ კიდეც რომ მას ამის საწინააღმდეგო ეთქვა, ეს არ იქნებოდა მის მიერ წამოყენებული პრინციპიდან გამომდინარე დასკვნა, რაგან რიკარდოსეული შეხედულების ნამდვილი ავტორი, ა ნ დ ე რ ს ო ნ ი, გარკვევით ამბობს, რომ ყოველ ნიადაგს აქვს გაუმჯობესების აბსოლუტური უნარი.

თუ «ზედმეტი ღირებულება» საერთოდ (მოგება და რენტა) გაიზარდა, მაშინ მთელი რენტის ნორმა მუდმივ კაპიტალთან შეფარდებით არა თუ შეიძლება დაეცეს, არამედ იგი აუცილებლად დაეცემა, იმიტომ რომ შრომის ნაყოფიერება გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებული მუშების რიცხვი გადიდდა და მათი ექსპლოატაციის ხარისხი ამაღლდა, საერთოდ ხელფასზე დახარჯული კაპიტალი — თუმცა იგი აბსოლუტურად გაიზარდა კიდეც — მაინც შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ დაეცა; ეს იმიტომ, რომ კაპიტალის სულ უფრო მზარდ ნაწილს შეადგენს ამ მუშების მიერ მოძრაობაში მოყვანილი [მუდმივი] კაპიტალი, რომელიც, წარსული შრომის ავანსებული პროდუქტის სახით, წარმოებაში შედის როგორც მისი წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი. ამიტომ ერთად აღებული მოგებისა და მიწის რენტის ნორმა დაეცა, მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა არა მარტო მათი ჯამი (მათი აბსოლუტური სიდიდე), არამედ შრომის ექსპლოატაციის ხარისხიც. ბ-ნ როდბერტუსს არ შეუძლია ამის დანახვა, რადგან მისთვის მუდმივი კაპიტალი არის მრეწველობის გამოგონება, რომლის შესახებ მიწათმოქმედებამ არაფერი იცის.

რაც შეეხება მოგებისა და მიწის რენტის შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ს სიდიდეს, იმ ფაქტიდან, რომ მიწათმოქმედება შეფარდებით ნაკლები მწარმოებლობისაა, ვიდრე დამმუშავებელი მრეწველობა, სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ამიტომ მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა აბსოლუტურად უნდა დაეცეს. თუ მისი შეფარდება მიწის რენტასთან უწინ უდრიდა 2 : 3, ახლა კი იგი უდრის მხოლოდ 1 : 3, მაშინ უწინ იგი შეადგენდა მიწის რენტის $^2/_3$-ს, ახლა კი მხოლოდ $^1/_3$-ს შეადგენს; სხვა სიტყვებით, თუ უწინ მოგება შეადგენდა ერთობლივი ზედმეტი ღირებულების $^2/_5$ ($^8/_{20}$), ახლა კი — მხოლოდ $^1/_4$ ($^5/_{20}$), მაშინ იგი დაეცა, მაშასადამე, $^3/_{20}$-ით, ე. ი. 40%-დან 25%-მდე.

დავუშვათ, რომ გირვანქა ბამბის ღირებულება უდრიდა 2 ში-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 447 — 448. რ ე დ.

ლინგს. ეს ღირებულება ეცემა 1 შილინგამდე. 100 მუშა წინათ ერთი დღის განმავლობაში ნართად აქცევდა 100 გირვანქა ბამბას, ახლა ეს მუშები ნართად აქცევენ 300 გირვანქა ბამბას. 300 გირვანქა ბამბაზე დახარჯული კაპიტალი წინათ შეადგენდა 600 შილინგს; ახლა ეს დანახარჯი შეადგენს მხოლოდ 300 შილინგს. დავუშვათ, შემდეგ, რომ მანქანების ღირებულება ორივე შემთხვევაში უდრის [პირველ შემთხვევაში ბამბაზე დახარჯული თანხის] $^1/_{10}$-ს, ე. ი. 60 შილინგს. ბოლოს, 300 გირვანქა ბამბის ნართად გადაქცევისათვის საჭირო ხელფასი უწინ იხარჯებოდა 300 მუშაზე და შეადგენდა 300 შილინგს, ახლა კი იხარჯება მხოლოდ 100 მუშაზე და შეადგენს 100 შილინგს. რადგან მუშების შრომის ნაყოფიერება «გადიდდა» და ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ საფასურად საკუთარი შრომის პროდუქტი ეძლევათ, ამიტომ დავუშვათ, რომ უწინ ზედმეტი ღირებულება შეადგენდა ხელფასის 20%-ს, ახლა კი — 40%-ს.

ამრიგად, 300 გირვანქა ნართი ღირს:

I) პირველ შემთხვევაში —
ნედლეული 600, მანქანები 60, ხელფასი 300, ზედმეტი ღირებულება 60, სულ — 1020 შილინგი.

II) მეორე შემთხვევაში —
ნედლეული 300, მანქანები 60, ხელფასი 100, ზედმეტი ღირებულება 40, სულ — 500 შილინგი.

პირველ შემთხვევაში: წარმოების ხარჯები 960 შილინგი, მოგება 60 შილინგი, მოგების ნორმა $6^1/_4$%.

მეორე შემთხვევაში: წარმოების ხარჯები 460 შილინგი, მოგება 40 შილინგი, მოგების ნორმა $8^{16}/_{23}$%.

მაშასადამე, თუ რენტა, ვთქვათ, ყოველი გირვანქის $^1/_3$ იქნებოდა, მაშინ პირველ შემთხვევაში იგი მოგვცემდა 200 შილინგს, ანუ 10 გირვ. სტერლინგს, მეორეში კი — 100 შილინგს, ანუ 5 გირვ. სტერლინგს. რენტა აქ დაეცა, რადგან ნედლი პროდუქტი 50%-ით გაიაფდა. მაგრამ მთელი პროდუქტი 50%-ზე მეტით გაიაფდა. ახლადმიმატებული სამრეწველო შრომა ისე შეეფარდებოდა ნედლეულის ღირებულებას პირველ შემთხვევაში, როგორც 360 : 600, ან 6 : 10, ანდა 1 : $1^2/_3$; მეორე შემთხვევაში — როგორც 140 : 300, ან 1 : $2^1/_7$. სამრეწველო შრომის ნაყოფიერება უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიე-

რება; მიუხედავად ამისა, პირველ შემთხვევაში უფრო დაბალი მოგებაა, ვიდრე მეორეში. ორივე შემთხვევაში რენტა შეადგენს ნედლი მასალის $^1/_3$-ს.

ვიგულისხმოთ, რომ ნედლეულის მასა II შემთხვევაში გაორკეცდა და ნართად იქცა 600 გირვანქა ბამბა; მაშინ თანაფარდობა გვექნებოდა ასეთი:

II) 600 გირვანქა ბამბა (ნედლეული) — 600 შილ., 120 შილ. — მანქანები, 200 შილ. — ხელფასი, 80 შილ. — ზედმეტი ღირებულება; სულ 920 შილ. — წარმოების ხარჯები. მოგება — 80 შილ., მოგების ნორმა — 8 $^{16}/_{23}$%.

მოგების ნორმა გაიზრდებოდა I-თან შედარებით. რენტის სიდიდე ზუსტად ისეთივე იქნებოდა, როგორც I-ში. 600 გირვანქა ნართი ეღირებოდა მხოლოდ 1000, მაშინ როდესაც უწინ ის 2040 შილინგი ღირდა.

[484] მიწათმოქმედების პროდუქტის შეფარდებითი სიძვირიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ იგი რენტას იძლევა. მაგრამ თუკი ერთხელ ნაგულისხმევია, რომ რენტა მეიზრდება, როგორც პროცენტი, მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულების ყოველ ნაწილს, — როგორც ამას როდბერტუსი ვარაუდობს, რადგან მისი ვითომდა დამამტკიცებელი საბუთი სისულელეა, — მაშინ ასეთი ვარაუდიდან, რა თქმა უნდა, ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ რენტა იზრდება მიწათმოქმედების პროდუქტის ზრდასთან ერთად.

«... მოსახლეობის არაჩვეულებრივად ზრდის გამო გადიდდა აგრეთვე ეროვნული პროდუქტის ღირებულების ჯამიც... ამიტომ ერი ახლა მიიღებს მეტ ხელფასს, მეტ მოგებას, მეტ მიწის რენტას... მიწის რენტის ჯამის ამ გადიდებას შედეგად მოჰყვა კიდევ მიწის რენტის დონის აძაღლება, მაშინ როდესაც ხელფასსა და მოგებაზე თვითეული მათგანის საერთო ჯამის გადიდება ასეთ გაჟღენას ვერ იქონიებდა» (გვ. 139).

[8) როდბერტუსის მიერ დამახინჯებული კანონის ნამდვილი აზრი]

მოვაშოროთ ახლა ბ-ნ როდბერტუსს ყველა მისი უაზრობა (თუ არაფერს ვიტყვით მის შეხედულებათა იმ ნაკლზე, რაზეც მე ზემოთ დაწვრილებით ვილაპარაკე, მაგალითად, თითქოს ზედმეტი ღირებულების ნორმა («რენტის სიმაღლე») შეიძლება იზრდებოდეს მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდების დროს, რაც, მაშასადამე, ნიშნავს ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ გაუგებლობას და ა. შ.).

სახელდობრ, ჩამოვაშოროთ:

[პ ი რ ვ ე ლ ი] უაზრობა, თითქოს საკუთრივ მიწათმოქმედებაში (კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაში) დანახარჯთა რიცხვი სრულიად არ შეიცავს მ ა ს ა ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს»;

მ ე ო რ ე უაზრობა, რომ მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში შემავალი მეორე ნაწილი მუდმივი კაპიტალისა (მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი და ა. შ.) არ მიაჩნია როდბერტუსს ისეთ «ღირებულების შემადგენელ ნაწილად», რომელიც — ისევე, როგორც «მასალის ღირებულება»— არ წარმოადგენს წარმოების იმ სფეროს შრომის შედეგს, სადაც იგი შედის მანქანების სახით, და რომლის მიმართაც, მაშასადამე, უნდა იანგარიშებოდეს აგრეთვე წარმოების ყოველ სფეროში მიღებული მოგება, თუმცა მანქანების ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ისევე არაფერს მატებს იმ მოგებას, როგორც მასალის «ღირებულებაც»,— მიუხედავად იმისა, რომ მანქანებიც და ნედლი მასალაც წარმოების საშუალებებია და როგორც ასეთნი შრომის პროცესში შედიან.

მ ე ს ა მ ე უაზრობა, რომ როდბერტუსს მიწათმოქმედების ანგარიშში არ შეაქვს — როგორც დანახარჯი — მ თ ე ლ ი ის «შემადგენელი ნაწილი ღირებულებისა», რასაც მიწათმოქმედებაში შემავალი «მანქანები» ქმნიან და ა. შ., და რომ იგი «ღირებულების შემადგენელი ნაწილის» იმ წილს, რაც ნედლ მასალაზე არ დაიყვანება, არ განიხილავს მიწათმოქმედების ისეთ დებეტად მრეწველობის მიმართ, რომლის საზღაურადაც მიწათმოქმედებამ მ უ ქ თ ა დ უნდა მიაწოდოს მრეწველობას ნედლი მასალის ნაწილი, რომელიც, მაშასადამე, ერთ მთლიანობად განხილული მრეწველობის ხარჯებში არ შედის.

მ ე ო თ ხ ე უაზრობა, თითქოს მრეწველობის ყველა დარგში შედის, გარდა მანქანებისა და მათთვის საჭირო დამხმარე მასალისა, კიდევ «მასალის ღირებულებაც», მაშინ როდესაც ამას სრულიად არა აქვს ადგილი არც სატრანსპორტო მრეწველობაში, არც მოპოვებითს მრეწველობაში.

მ ე ხ უ თ ე უაზრობა, რაც იმ გარემოების გაუგებლობითაა გამოწვეული, რომ დამმუშავებელი მრეწველობის ბევრ დარგში (და ეს მით უფრო მეტად, რაც უფრო მეტი უფლებით შეიძლება მათზე ითქვას, რომ ისინი იძლევიან მზა ნაწარმს მოხმარებისათვის), თუმცა, გარდა ცვალებადი კაპიტალისა, აგრეთვე «ნედლი მასალაც» შედის, მაგრამ სამაგიეროდ მუდმივი კაპიტალის მეორე შემადგენელი ნაწილი თითქმის საავსებით მოხსნილია ანდა მინიმალურია,

შეუდარებლად უფრო მცირეა, ვიდრე მსხვილ მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში.

მ ე ე ქ ვ ს ე უეჭველია, რომ იგი ერთმანეთში ურევს საქონელთა საშუალო ფასებს და მათს ღირებულებებს.

თუ უკუვაგდებთ ყველა ამ უაზრობას, რაც როდბერტუსს შესაძლებლობას აძლევს მიწის რენტის თ ა ვ ი ს ი ახსნა-გამმარტება გამოიყენოს იმ მ ც დ ა რ ი გ ა ნ გ ა რ ი შ ებ ი დ ა ნ, რასაც ფერმერი და თვით ბ-ნი როდბერტუსი აკეთებენ, — ასე რომ მიწის რენტა უნდა გამქრალიყო, თუკი დაიწყებდა ფერმერი მის. მიერ გაწეული ხ ა რ ჯ ებ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ად გ ა მ ო ა ნ გ ა რ ი შ ებ ა, — მაშინ ყველა ამ უაზრობაში დაფარული მარცვლის სახით გვრჩება მხოლოდ შემდეგი მტკიცება:

რაც ნედლი პროდუქტები მათი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს მიხედვით იყიდება, მაშინ მათი ღირებულება სხვა საქონელთა ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ებ ზ ე, ანდა მათ ს ა კ უ თ ა რ ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ზ ე უფრო მაღლა დგას, ე. ი. იგი აღემატება წარმოების ხარჯებს პლუს საშუალო მოგება, და, მამასადამე, იძლევა დ ა მ ატ ებ ი თ ს მ ო გ ებ ა ს, რომელიც სწორედ მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა ს ქმნის. ეს ნიშნავს, შემდეგ, რომ ცვალებადი კაპიტალი (თუ ვიგულისხმებთ ზედმეტი ღირებულების თანაბარ ნ ო რ მ ა ს.) უფრო დიდია — მუდმივ კაპიტალთან შედარებით — ნედლი პროდუქტების წარმოებაში, ვიდრე — საშუალოდ — წარმოების იმ სფეროებში, რომლებიც მრეწველობას ეკუთვნიან (რაც ხელს არ უშლის იმას, რომ მრეწველობის ზოგიერთ დარგში ცვალებადი კაპიტალი უფრო მაღალია, ვიდრე მიწათმოქმედებაში). ანდა, კიდევ უფრო ზოგადი ფორმით: მიწათმოქმედება განეკუთვნება იმავე თანრიგს, რომელსაც ეკუთვნიან წარმოების ის სამრეწველო სფეროები, სადაც ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ აღებულ მრეწველობის სფეროებში. ამიტომ ზედმეტი ღირებულება მიწათმოქმედებაში, რაც აქ დახარჯული წარმოების ხარჯების მიმართ იანგარიშება, უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე — საშუალოდ — მრეწველობის სფეროებში. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ მოგების გ ა ნ ს ა კ უ თ რ ებ უ ლ ი ნორმა მიწათმოქმედებაში აღემატება მ ო გ ებ ი ს ს ა შ უ ა ლ ო, ა ნ უ ს ა ე რ თ ო, ნ ო რ მ ა ს. ეს კი კვლავ იმას ნიშნავს, რომ მოგების განსაკუთრებული ნორმა წარმოების ყოველ სფეროში — თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა ერთნაირია, ხოლო თვით ზედმეტი ღირებულება მოცემულია —

დამოკიდებულია ცვალებადი კაპიტალის შეფარდებაზე მუდმივ კაპიტალთან ცალკეულ სფეროებში.

მაშასადამე, ჩვენ აქ გვექნებოდა წარმოების ცალკეული დარგის მიმართ მხოლოდ გამოყენება იმ კანონისა, რომელიც მ ე ზ ო გ ა დ ი ფორმით განვავითარე *.

[485] შემდეგ —

1) საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ მიწათმოქმედება ეკუთვნის წარმოების იმ განსაკუთრებულ სფეროთა რიცხვს, სადაც ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი აღემატებიან მათს ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ე ბ ს და სადაც, მაშასადამე, მოგება, თუ ეს სფეროები თვითონ ითვისებენ მას და არ გაუშვებენ მას მოგების საერთო ნორმის გასათანაბრებლად, აღემატება ს ა შ უ ა ლ ო მ ო გ ებ ა ს, ასე რომ ამ უკანასკნელის გამოკლების შემდეგ მათ კიდევ რჩება დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი მ ო გ ე ბ ა ც. ეს დებულება, ჩანს, სწორია, საშუალოდ, მიწათმოქმედებისათვის, რადგან მასში შეფარდებით ჯერ კიდევ ჭარბობს ხელშრომა, ბურჟუაზიულ წარმოების წესს კი ის სჩვევია, რომ იგი მრეწველობას უფრო სწრაფად ავითარებს, ვიდრე მიწათმოქმედებას. ეს, სხვათა შორის, ი ს ტ ო რ ი უ ლ ი სხვაობაა, რომელიც შეიძლება გაქრეს. აქ იმალება აგრეთვე იმ მოვლენის მიზეზი, რომ ღირებულება წარმოების საშუალებებისა, რომელთაც მრეწველობა მიწათმოქმედებას აწვდის, საერთოდ მცირდება, მაშინ როდესაც ღირებულება ნედლი მასალისა, რასაც მიწათმოქმედება მრეწველობას აწვდის, საერთოდ იზრდება; ამის გამო მუდმივი კაპიტალი დამმუშავებელი მრეწველობის მნიშვნელოვან ნაწილში შეფარდებით უფრო დიდია თავისი ღირებულებით, ვიდრე მიწათმოქმედებაში. მოპოვებითს მრეწველობას ეს უმრავლეს შემთხვევაში არ შეეხება.

2) არ შიძლება, როგორც ამას როდბერტუსი აკეთებს, ვამტკიცოთ: თუ მიწათმოქმედების პროდუქტი — საყოველთაო კანონის თანახმად — საშუალოდ მისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით იყიდება, იგი უნდა იძლეოდეს დამატებითს მოგებას, alias ** მიწას რენტას, — თითქოსდა მაშინ უნდა გვეგულისხმნა, რომ ასეთი გაყიდვა საქონლისა მისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით, მაგრამ მის საშუალო ფასზე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა კაპიტალისტური წარმოების საყოველთაო კანონს შეადგენს. პ ი რ ი ქ ი თ, დასამტკიცებე-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 77 — 83. რ ე დ.

** — სხვანაირად რომ ვთქვათ. რ ე დ.

ლია, თუ რატომაა, რომ ნედლეულის წარმოებაში — გამონაკ-
ლისის სახით და განსხვავებით მრეწველობის
იმ კატეგორიის პროდუქტებისაგან, რომელ-
თა ღირებულება საკუთრივ ასევე მათს საშუ-
ალო ფასზე უფრო მაღლა დგას, — ღირებულებანი
არ ეცემა საშუალო ფასებამდე და ამის გამო იძლევიან დამატებითს
მოგებას, alias მიწის რენტას. ეს აიხსნება უბრალოდ მიწის
საკუთრების არსებობით. გათანაბრება მხოლოდ იმ გზით
ხდება, რომ კაპიტალი მოქმედებს კაპიტალის წინააღმდეგ, რადგან
ერთმანეთზე ზეგავლენის მომხდენ კაპიტალებს შესწევთ უნარი
განახორციელონ კაპიტალის იმანენტური კანონები. ამდენად მარ-
თალნი არიან ისინი, ვისაც მიწის რენტა მონოპოლიიდან გა-
მოჰყავს. საკუთრივ ასევე როგორც კაპიტალისტს მხოლოდ კაპიტალის
მონოპოლია აძლევს შესაძლებლობას გამოწუროს მუშას ზედმე-
ტი შრომა, ასევე მიწის საკუთრების მონოპოლიაც საშუალებას აძ-
ლევს მიწის მესაკუთრეს გამოწუროს კაპიტალისტს ზედმეტი შრომის
ის ნაწილი, რომელსაც შეეძლო შეექმნა მუდმივი დამატებითი
მოგება. ისინი, ვისაც მიწის რენტა მონოპოლიიდან გამოჰყავს,
იმ შეცდომას უშვებენ, რომ ფიქრობენ, თითქოს მონოპოლია
აძლევს მიწის მესაკუთრეს შესაძლებლობას საქონლის ფასი
მის ღირებულებაზე უფრო მაღლა ასწიოს.
პირიქით, მონოპოლიის ამოცანა აქ ისაა, რომ შეაჩეროს საქონ-
ლის ღირებულება ისეთ დონეზე, რომელიც
მის საშუალო ფასზე უფრო მაღალია, და შესაძ-
ლებელი გახადოს საქონლის გაყიდვა არა მის ღირებულებაზე
მაღლა, არამედ აქ ღირებულების მიხედვით.

თუ როდბერტუსის შეხედულებებს ამგვარად შევცვლით, საქმის
ვითარება სწორად წარმოგვიდგება. იგი ახსნის მიწის რენტის
არსებობას, მაშინ როდესაც რიკარდო მხოლოდ დიფერენ-
ციული მიწის რენტის არსებობას განმარტავს და
ფაქტიურად მიწის საკუთრებას ყოველგვარ ეკონო-
მიურ მნიშვნელობას უკარგავს. შემდეგ, საქმის ამგვარი გაგები-
სას უკუგდებულია — თვით რიკარდოსთან, სხვათა შორის, მხოლოდ
ნებისმიერი და მისი აზრთა მსვლელობისათვის უცხო — ზედნაშენი
იმ მტკიცებისა, თითქოს სამიწათმოქმედო წარმოება სულ უფრო
ნაკლებმწარმოებლური ხდება და ამ მტკიცების საწინააღმდეგოდ
აღიარებულია მიწათმოქმედებაში მწარმოებლობის ზრდა. საქმე
მხოლოდ ისაა, რომ ბურჟუაზიულ ნიადაგზე მიწათმოქმედება შე-

ფარდგებითნიკლეგიმწარმოებლობისა—სხვა სიტყვებით, იგი უფრო ნელა აკეთარებს შრომის მწარმოებლურ ძალას, ვიდრე მრეწველობა. რიკარდო მართალია, როცა მას „ჭარბი ზედმეტი ღირებულება“ მიწათმოქმედებაში გამოჰყავს არა უფრო დიდი ნაყოფიერებიდან, არამედ უფრო ნაკლები ნაყოფიერებიდან.

[ბ) დიფერენციული რენტა და აბსოლუტური რენტა ფათს თანაფარდობაში. მიწის რენტის ისტორიული ხასიათი. სოციალ და რიკარდოს პლეთვის მეთოდის ნაკოთხობისაკენ]

რაც შეეხება მიწის რენტას, სხვაობას, თანატოლ მიწია ნაკვეთებზე თანაბარი კაპიტალდაბანდების დროს, იგი ეხსნება ბუნებრივ ნაყოფიერებაში არსებული სხვადასხვა განსაკუთრებით იმ პროდუქტებისადმი, რეწინარეს ყოველნა, რომ ლებიდანაც მიიღება ფერო, კვების ეს მდგავარი საგანი; ერთნაირი ნაყოფიერების მქონე თანაბარი მიწის ნაკვეთების პირობებში კი რენტათა სხვაობა ეხსნება ერთეულ ბანაბარი კაპიტალდაბანდებით. ბირველ, ბუნებრივი სხვაობა განაპირობებს სხვაობას მიწის რენტის არა მარტო სიდიდეში, არამედ მის სიმაღლეშიც, ან ნორმაში, დახარჯულ კაპიტალთან შედარებით; მეორე, სამრეწველო სხვაობა განაპირობებს მიწის რენტის მხოლოდ გადიდებას დახარჯული კაპიტალის სიდიდის პროპორციულად. შედეგის სხვაობა შეიძლება მივიღოთ ავრეთვე ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე თანამიმდევრული კაპიტალდაბანდების დროს. სხვადასხვა დამატებითი მოგების, ანუ სხვადასხვა მიწის რენტის, არსებობა სხვადასხვა ნაყოფიერების მქონე მიწის ნაკვეთებზე ჯერ კიდევ არ არის ის, რაც მიწათმოქმედებას მრეწველობისაგან განასხვავებს. მიწათმოქმედებას მრეწველობისაგან განასხვავებს ფიქსირება ამ დამატებითი მოგებისა, რომელიც აქ ბუნების მიერ მოცემულ ბაზის ეკუთვნოდა (ეს ბაზისი, მართალია, შეიძლება ცოტაც თუ ბევრად გადანაბრდეს), მაშინ როდესაც მრეწველობაში — ერთნაირი საშუალო მოგების დროს — ამ დამატებითს მოგებას მუდამ მხოლოდ წარმავალი ხასიათი აქვს და მუდამ წარმოიშვება მხოლოდ იმიტომ, რომ ხდება გადასვლა უფრო მაღალი მწარმოებლობის მანქანებზე და შრომის უფრო ეფექტიან კომბინაციებზე. მრეწველობაში საშუალო ფასების შემცირების გზით მიღებულ დამატებითს მოგებას მუდამ

ნაწილია პოლის მოსულიერ. ყველა ეროვნული ეროვნული
ბრძოლა კაპიტალს, მიწასთან მეფეებისა და ლაპარაკობენ მოგების მიზეზი
შეიძლება იყოს — და ეროვნული ეროვნული ეროვნული
ლად ეროვნული კანონი — ანი საკუთარი მიწის ნაკვეთების ნაყოფიერ
ების აბსოლუტური ვადიდება, ანამდე ეროვნული ეროვნული
მიწის ლაბუშავებაში შესვლით გაბითობებულ მაინ ნაყოფიერების
შეფარდებით გადიდება. ამეურველობაში ეროვნული ეროვნული
ეროვნული ეროვნული ეროვნული, ლაპარაკობენ მოგება (ეროვნული ეროვნული
ქრეგა) ეროვნული ეროვნული ეროვნული ეროვნული ეროვნული ეროვნული
მოგებლობენ აბსოლუტური გადიდების შედეგი წინათ ლაბანდე
ბულთან შედარებით. ეროვნულობაში ეროვნული კაპიტალს ეროვნული
ლია (ეროვნული ეროვნული ეროვნული ეროვნული ეროვნული ეროვნული

რომ ასეთი მიწიდან არავითარ რენტას არ იხდიდნენ. ასევე შესაძლებელია ისიც, რომ სადაც არ მიიღება არავითარი მიწის რენტა, არამედ მხოლოდ ჩვეულებრივი მოგება მიიღება, ანდა იქაც კი, სადაც ეს უკანასკნელიც არ არის,— მაინც იხდიან ჯარას, ე. ი. მიწის მესაკუთრე ღებულობს მიწის რენტას, თუმცა ეკონომიური თვალსაზრისით არავითარი მიწის რენტა აქ არ არის.

ავიღოთ პირველი შემთხვევა: მიწის რენტას (დამატებითს მოგებას) იხდიან მხოლოდ უკეთესი (უფრო ნაყოფიერი) ნიადაგიდან. აქ მიწის რენტა «როგორც ასეთი» არ არსებობს. ასეთ შემთხვევებში დამატებითი მოგება მეტწილად არც გვევლინება როგორც მიწის რენტის საბით ფიქსირებული, მსგავსად იმისა, როგორც ფიქსირებული არ არის დამატებითი მოგება მრეწველობაში (ამას ადგილი აქვს, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთში)[24] [486].

[486] ასე ბდება იქ, სადაც, ერთი მხრივ, თავისუფალ განკარგულებაში მყოფი მიწების დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის კერძო საკუთრებად გადაქცეული და სადაც, მეორე მხრივ, ბუნებრივი ნაყოფიერება საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ, მიუხედავად კაპიტალისტური წარმოების უმნიშვნელო განვითარებისა, — მაშასადამე, მიუხედავად ცვალებადი კაპიტალის დიდი მოცულობისა მუდმივთან შედარებით, — მიწათმოქმედების პროდუქტების ღირებულებანი მათს საშუალო ფასებს უდრიდეს (ზოგჯერ კი მათზე დაბალიც იყოს). თუ ისინი ამ საშუალო ფასებზე უფრო მაღლა აღმოჩნდებოდნენ, მაშინ კონკურენცია მათ ამ დონეზე დასწევდა. პირიქით, უაზრობაა იმის ლაპარაკი, რასაც, მაგალითად, როდბერტუსი ამბობს, რომ [მიწის რენტა არის] ის, ვთქვათ, დოლარი, ის მცირე, თითქმის ნომინალური ფასი, რასაც სახელმწიფო ყოველი აკრიდან ახდევინებს *. ასეთივე უფლებით შეიძლებოდა იმის დამოწმება, რომ სახელმწიფო «სარეწაო გადასახადს» იღებს მრეწველობის ყოველი დარგიდან [და აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ მრეწველობა იძლევა «სარეწაო რენტას»]. ამ შემთხვევაში მოქმედებს რიკარდოს კანონი [იმის შესახებ, რომ მიწის რენტას იხდიან მხოლოდ უკეთესი მიწებიდან]. მიწის რენტა არსებობს აქ მხოლოდ შედარებით უფრო ნაყოფიერი მიწე-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 202. რედ.

ბისათვის, და ისიც მეტწილად ჯერ კიდევ არა ფიქსირებული, არამედ დენად მდგომარეობაში მყოფი, მსგავსად ზემოგებისა მრეწველობაში. ნიადაგი, რომელიც მიწის რენტას არ იხდის, არ იხდის მას არა თავისი უნაყოფობის გამო, არამედ, პირიქით, თ ა ვ ი ს ი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს გ ა მ ო. უკეთესი ხარისხის ნიადაგი რენტას იხდის იმიტომ, რომ, რაკი იგი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ უ ფ რ ო ნაყოფიერია, ისეთი ნაყოფიერებით გამოირჩევა, რომელიც საშუალოზე მ ა ღ ა ლ ი ა.

მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ა ა რ სებობს, ასეთივე შემთხვევა, — სახელდობრ, რომ უკანასკნელად დამუშავებაში შესული ნიადაგი მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა ს ა რ ი ხ დ ი ს, — შესაძლებელი იქნებოდა ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო მ ი ზ ე ზ ი ს გამო [ე. ი. ამ ნიადაგის შეფარდებით დაბალი ნაყოფიერების გამო]. ამას ექნებოდა ადგილი, თუ, მაგალითად, მარცვლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ისეთ დაბალ დონეზე იქნებოდა (ამ დაბალ დონეს კი არავითარი დამოკიდებულება არ ექნებოდა იმასთან, იხდიან მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა ს თუ არა), რომ დამუშავებაში უკანასკნელად შესული ნიადაგისათვის ეს ღირებულება იქნებოდა სულ მხოლოდ ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ი ს ტ ო ლ ი. ეს იქნებოდა ამ ნიადაგის შეფარდებით მცირე ნაყოფიერების შედეგი, რის გამოც აქ, შრომის იმავე რაოდენობის დახარჯვისას, რაც რენტის მომცემ ნიადაგზე იხარჯება, რ ი ც ხ ვ ი, ვთქვათ, კ ვ ა რ ტ ე რ ე ბ ი ს ა (დახარჯულ კაპიტალს რომ უწევს) იმდენად მცირე იქნებოდა, რომ პურის პროდუქტების საშუალო ღირებულების რეალიზაციის პირობებში გამოვიდოდა მხოლოდ ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ი, მაგალითად, ხორბლისა.

[487] დავუშვათ, მაგალითად, რომ უკანასკნელი ნიადაგი, რომელიც რ ე ნ ტ ა ს იძლევა (ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ც ი რ ე რენტის მომცემი ნიადაგი კი, წ მ ი ნ დ ა რენტას წარმოადგენს, სხვები — დიფერენციერებულ რენტას), აწარმოებს, 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვისას, პროდუქტს, რომელიც უდრის 120 გირვ. სტერლინგს ანუ 360 კვარტერ ხორბალს, კვარტერი ხორბალი კი ღირს $^1/_3$ სტერლინგი. ასეთ შემთხვევაში 3 კვარტერი ხორბალი ღირს 1 გირვ. სტერლინგი. ვთქვათ, 1 გირვ. სტერლინგი უდრის ერთი კვირის შრომას, 100 გირვ. სტერლინგი = 100 სამუშაო კვირას, 120 გირვ. სტერლინგი = 120 სამუშაო კვირას. მაშასადამე, 1 კვარტერი ხორბალი უდრის ერთი კვირის შრომის $^1/_3$-ს, ანუ 2 სამუშაო დღეს. ვთქვათ, ამ 2 დღიდან, ანუ 24 საათიდან (თუ ნორმალური სამუშაო დღე 12 საათს უდრის), ერთი მეხუთედი ნაწილი, ანუ $4^4/_5$ საათი,

შეადგენს ფასგადახდილ ზრახვას, რომელიც უდრის ერთ კვარტერში მოთავსებულ ზედმეტ ღირებულებას. 1 კვარტერი = 4⅓ გირვ. სტერლინგს = 6⅔ შილინგს = 6⅔ შილინგს.

თუ საშუალო მოგება 10%-ია, 360 კვარტერის საშუალო ფასი იქნება 110 გირვ. სტერლ., ერთი კვარტერის საშუალო ფასი კი = 6½ შილინგს. ამრიგად, კვარტერი ხორცალი რომ მისი ღირებულების კვალობაზე იყიდებოდეს, მაშინ მთელი პროდუქტის ღირებულება იქნებოდა 10 გირვ. სტერლინგით უფრო მაღალი საშუალო ფასზე. და რადგან საშუალო მოგება 10%-ს შეადგენს, მიჩნეულია იქნებოდა ზედმეტი ღირებულების ნახევარი, ე. ი. 10 გირვ. სტერლინგი, ანუ 6/9 შილინგი კვარტერზე. უფრო მაღალი ფასი ნიადაგი, რომელიც იმავე 120 კვირის შრომის დახარჯვისას (ანდა ნაც მხოლოდ 100 წარმოადგენს ფასგადახდილ შრომას, სულ ერთია, გასაგნობრივებულს თუ ცოცხალს) კვარტერთა უფრო მეტ რაოდენობას იძლევა, კვარტერის 6⅔ შილინგის ღირებულების პირობებში, უფრო მაღალ რენტას მოგვცემდა. დამუშავებული მიწებიდან კი ყველაზე ცუდი ნაყვავი მოგვცემდა 10 გირვ. სტერლ. რენტას 100 გირვ. სტერლ. კაპიტალზე, ანუ 1/9 შილინგს ერთ კვარტერ ხორცალზე.

დავუშვათ, რომ დამუშავებაში შეყვანილ ახალი ნიადაგი, რომელიც 120 სამუშაო კვირის დახარჯვისას მხოლოდ 330 კვარტერს აძლევდა, თუ 3 კვარტერის ღირებულება [წინათ] 1 გირვ. სტერლინგი ღირს, 330 კვარტერის ღირებულება უდრიდა 110 გირვ. სტერლინგს. ახლა კი ერთი კვარტერი 2 დღისა და 2²/₁₁ საათის ტოლი იქნებოდა, მაშინ როდესაც წინათ იგი მხოლოდ 2 დღეს უდრიდა. კვარტერის ღირებულება წინათ შეადგენდა 6⅔ შილინგს, ანუ 6 შილინგ 8 პენსს, ახლა კი (რადგან გირვანქა სტერლინგი 6 დღეს უდრიდა) კვარტერის ღირებულება 7 შილ. 3 პენსს 1⁴/₁₁ ფართინგს შეადგენს. ახლა კვარტერი უნდა გაყიდულიყო 7 პენსით 1⁴/₁₁ ფართინგით უფრო ძვირად, რათა იგი იმ თავისი ღირებულებისა ულუბრალოდ გასაყიდად, რომლის რეალიზაციის პირობებში ისაც მოგვეცემდა 1/9 შილ. რენტას. უკეთეს ნიადაგზე წარმოებული ხორცალის ღირებულება აქ ყველაზე ცუდ ნიადაგზე წარმოებული ხორცალის ღირებულებაზე უფრო დაბალი იქნება; თუ ეს ყველაზე ცუდი ნიადაგი თავის პროდუქტს უანლოესი სუბეთესო, ან რენტის მომტანი ნიადაგის კვარტერის ფასის კვალობაზე გაყიდის, მაშინ ორი გაყიდვის მას მის ღირებულებაზე დაბალი, მაგრამ მისი საშუალო ფასის მიხედვით, ე. ი. ისეთი ფასის მიხედვით, რომლის დროსაც ყველ-

ლაზე ცუდი მიწა 10% ჩვეულებრივ მოგებას იძლევა. ამასასადამე, ამ ნიადაგის დამუშავება შესაძლებელია და მას შეეძლება კაპიტალისტს ჩვეულებრივი მოგება მიუტანოს.

ყველაზე ცუდ ნიადაგს ორ შემთხვევაში შეეძლო ჯ. გაოდა მოგებისა, კიდევ რენტაც მოეცა.

ჯ ე რ ე ნ ტ ი, იმ შემთხვევაში, თუ ქვარტერი ხორბლის ღირებულებ ა ი ე ბ ა 6% მილინგს (ქვარტერიანი ფ ა ქ ა ტ ი ზეგიდ ლება გადაეკარობის 6% მილინგს, — ე. ი. მის ღირებულებას — მოსთხოვოს ზეგიდლების გამო, მაგრამ ამ შემთხვევას ჩვენ ჯ. ა ვ ი ვ ა ლ ე ბ თ, 6% მილ. ქვარტერის ფასად, რაც 10 გირვ. სტერლინგ რენტას იძლევოდა მიწაზე დამუშავებული მიწებიდან - ყველაზე ცუდი ნიადაგისა ტოლი იქნებოდა არათანაბრად ინტენსიურ მიწის რენტის მომცემ ნაწილ ნიადაგზე მოყვანილი ხორბლის ღირებ ულ ებ ი(ა), ე. ი. იმ შემთხვეევაში, თუ წინათ დამუშავებული მიწა ბოლოს ყველაზე ცუდი და ყველაზე ნაყარ ნიადაგი — ანუ ბოლო ინტენსიურ მიწა მეტად ეფექტიანი ნიადაგ-ნაყარ ნიადაგ-ნაკლ ებ ნაყარ ნიადაგ-ნაკლ ებ ნაყარ ნიადაგ-ნაკლ ებ

ლი = $14^{3}/_{5}$ გირვ. სტერლ. IV თანრიგში კი — $14^{2}/_{5}$ + მეხუთედი ნაწილი = $17^{7}/_{25}$ გირვ. სტერლინგს [25].

თუ IV თანრიგის ნაყოფიერება უფრო ნაკლები იქნებოდა, მაშინ რენტა III — I თანრიგებისა — უკანასკნელის ჩათვლით — უფრო მეტი [488] იქნებოდა, და IV თანრიგის რენტაც ასევე აბსოლუტურად მეტი იქნებოდა (მაგრამ დარჩებოდა თუ არა შეფარდება მათ შორის იგივე?). ეს შეიძლება ორნაირად გავიგოთ. თუ I თანრიგი უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, მაშინ რენტა II, III, IV თანრიგებში შესაბამისად ნაკლები იქნებოდა. მეორე მხრივ, I თანრიგი ისე შეეფარდება II-ეს, II თანრიგი—III-ს და III თანრიგი—IV-ს, როგორც დამუშავებაში ახლად შესული, რენტის არ მომცემი, თანრიგის ნიადაგი შეეფარდება I თანრიგს. ახალი თანრიგის ნიადაგი რენტას არ იძლევა იმიტომ, რომ I თანრიგის ხორბლის ღირებულება არ აღემატება ახალი ნიადაგის პროდუქტის საშუალო ფასს. იგი გადაამეტებდა ამ საშუალო ფასს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ I თანრიგი ნაკლებ-ნაყოფიერი იქნებოდა. მაშინ ახალი ნიადაგიც მოგვცემდა რენტას. მაგრამ იგივე ითქმის I-ის მიმართაც. თუ II თანრიგი უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, I ნიადაგი რენტას არ მოგვცემდა ანდა უფრო მცირე რენტას მოგვცემდა; ასეთივეა საქმის ვითარება II თანრიგის დამოკიდებულებაში III-ს მიმართ, და III თანრიგისა — IV-ის მიმართ. ამრიგად, ბოლოს აქ ადგილი აქვს უკუთანამიმდევრობას: IV თანრიგის აბსოლუტური ნაყოფიერება განსაზღვრავს III თანრიგის რენტას; თუ IV თანრიგი კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, მაშინ III, II და I თანრიგები მოგვცემდნენ უფრო მცირე რენტას ანდა არავითარ რენტას არ მოგვცემდნენ. ამრიგად, რენტა, რომელსაც I თანრიგი იძლევა, არადიფერენცირებული რენტა, განისაზღვრება IV თანრიგის ნაყოფიერებით, მსგავსად იმისა, როგორც ის გარემოება, რომ ახალი ნიადაგი სრულიად არ იძლევა რენტას, განისაზღვრება I თანრიგის ნაყოფიერებით. აქ, მაშასადამე, მოქმედებს შტორხის კანონი, რომლის მიხედვითაც ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგის რენტა განსაზღვრავს საერთოდ რენტის მომცემი უკანასკნელი ნიადაგის რენტას [25], და, მაშასადამე, განსაზღვრავს აგრეთვე სხვაობასაც არადიფერენცირებული რენტის მომცემ ნიადაგსა და იმ ნიადაგს შორის, რომელიც სრულიად არ იძლევა რენტას.

მაშასადამე, ის მოვლენა, რომ აქ მეხუთე თანრიგი, დამუშავებაში ახლად შესული ნიადაგი I' არ იძლევა (I-საგან განსხვა-

ვებით) რ ე ნ ტ ა ს, გაპირობებულია არა მ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი უ ნ ა ყ ო ფ ობ ი თ, ა რ ა მ ე დ მ ი ს ი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი უნაყოფობით I თანრიგთან შედარებით, ე. ი. I თანრიგის შეფარდებითი ნაყოფიერებით I'-თან შედარებით.

[მ ე ო რ ე.] რენტის მომცემ I, II, III, IV თანრიგთა ნიადაგების პროდუქტის ღირებულება, რომელიც შეადგენს 6⁶/₉ შილინგს, ანუ 6 შილ. 8 პენსს ერთ კვარტერზე (მეტი დამაჯერებლობის მიზნით კვარტერის ნაცვლად შეიძლება ავიღოთ ბ უ შ ე ლ ი), უდრის I' თანრიგის ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ს და ამ თანრიგის საკუთარ ღირებულებაზე უ ფ რ ო დ ა ბ ლ ა დგას. მაგრამ აქ შეიძლება არსებობდეს მრავალი შუალედური საფეხური. თუ I' თანრიგი 100 გირვ. სტერლ. კაპიტალდანახარჯზე მოგვცემდა ბუშელთა გარკვეულ რაოდენობას, რაც შუა ადგილს დაიკავებდა მის ნამდვილ მოსავალსა, ე. ი. 330 ბუშელსა, და I თანრიგის მოსავალს, ე. ი. 360 ბუშელს შორის, — მაგალითად, იქნებოდა 333, 340, 350 (360 — x) ბ უ შ ე ლ ა მ დ ე, — მაშინ ბუშელის ღირებულება, რაც 6 შილ. 8 პენსს უდრის, (ბუშელის) საშუალო ფასზე უფრო მაღლა იქნებოდა I' თანრიგში, და ეს ნიადაგი, რომელიც უკანასკნელად დამუშავდა, მოგვცემდა რენტას. ის გარემოება, რომ ეს ნიადაგი საერთოდ ს ა შ უ ა ლ ო მ ო-გ ე ბ ა ს იძლევა, გაპირობებულია I-ის, მაშასადამე, ყველა I — IV თანრიგის შეფარდებითი დაბალნაყოფიერებით. ხოლო ის გარემოება, რომ ეს ნიადაგი რენტას არ იძლევა, გამოწვეულია I-ის შეფარდებითი ნაყოფიერებით და ამ ნიადაგის საკუთარი შეფარდებითი დაბალნაყოფიერებით. უკანასკნელად დამუშავებულ I' ნიადაგს შეეძლო რენტის მოცემა, თუ ბუშელის ღირებულება გ ა დ ა ა მ ე-ტ ე ბ დ ა 6 შილინგს 8 პენსს, ე. ი. თუ, I, II, III, IV ნიადაგები ნაკლებნაყოფიერი იქნებოდნენ, რადგან ამ შემთხვევაში ხორბლის ღირებულება უფრო მაღალი იქნებოდა. მაგრამ უკანასკნელად დამუშავებულ ნიადაგს შეეძლო რენტის მოცემა იმ შემთხვევაშიც, თუ ბუშელის ღირებულება 6 შილ. 8 პენსი იქნებოდა, ე. ი. თუ I, II, III, IV ნიადაგთა ნაყოფიერება დარჩებოდა უ წ ი ნ დ ე ლ ი, მ ო-ც ე მ უ ლ ი, მაგრამ I' თვითონ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, 330 ბუშელზე მეტს მოგვცემდა და, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ბუშელის ღირებულება 6 შილ. 8 პენსის კვალობაზე ბუშელის ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს-ზ ე უფრო მაღალი იქნებოდა ამ ნიადაგზე, სხვა სიტყვებით, თუ მისი საშუალო ფასი ახლა 6 შილ. 8 პენსზე უ ფ რ ო დ ა ბ ლ ა იქნებოდა, ე. ი. I, II, III, IV ნიადაგზე მოყვანილი ხორბლის ღირებულებაზე უ ფ რ ო დ ა ბ ლ ა. თუ ღირებულება საშუალო ფასს აღემატება,

მაშინ გვერდი საშუალო მოგებისა ჩვენ გვაქვს დამატებითი მოგება, საშუალოზე რომ ტოლ შესაძლებლობაზე.

ეს ასოციაციის ბუნებაა.

წარმოების სხვადასხვა სფეროთა, I მაგალითად, მრეწველობისა და მიწათმოქმედების — შეფარდებას ის უფრო, რომ ფასი ეფუძნებოდეს საშუალო ფასს, ეფუძნებოდეს ფასის ფორმირებას ამ სფეროს ფარგლებში, ეფუძნებოდეს ფასის ფორმირებას, რომელიც ეფუძნება დამატებითის მოგებას, ფასებისა ნაზეტს საშუალო ფასის ზევით. ფასი ეფუძნებოდეს ეფუძნებოდეს ეფუძნებოდეს

შედებაში, მრეწველობისაგან განსხვავებით, არ შედის ნედლი მასალა, ამიტომ 10 ვიანგ სტერლინგი ანგარიშება აქ უფრო მცირე თანხაზე, — მაშასადამე, გამოდის 10 პროცენტზე მეტი. ბაგრამ საკითხის არსი შემდეგია: საქმე იმაში კოდია, თითქოს წარმოებაში არ შედის ნედლი მასალა (უკანასკნელი, პირიქით, შედის საკუთრივ მიწათმოქმედებაში, მაგრამ კიდეც რომ არ შედიოდეს იგი მიწათმოქმედებაში, მაინც ამ გარემოებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგ მიწათმოქმედებაში შეფარდებით ფფრო მეტი მანქანები და აშ. იქნებოდა); ამით კოდია გაპირობებული ის, რომ მიწათმოქმედების პროდუქტების ღირებულება აღემატება სამუალო ფასს (მათს საკუთარსა და სხვა საქონელთა საშუალო ფასს). ამის მიზეზია ცვალებადი კაპიტალის უფრო მაღალი შეფარდება მუდმივთან, ვიდრე ის შეფარდებაა, რომელიც არსებობს არა მრეწველობის ამა თუ იმ განსაკუთრებულ წარმოების სფეროებში, არამედ საშუალოდ მთელს მრეწველობაში. ეს საერთო სხვაობა განსაზღვრავს თავისი სიდიდით I ნიადაგზე მიწის რენტის — აბსოლუტური, არადიფერენციერებული და ამიტომ უმცირესი მიწის რენტის — მოცულობასა და არსებობას. ხორბლის ფასი კი I ნიადაგზე — ახლად დამუშავებულ ნიადაგზე, რომელიც სრულიად არ იძლევა მიწის რენტას, — განსაზღვრავს არა ამ ნიადაგის საკუთარი პროდუქტის დირებულებით, არამედ I ნიადაგის პროდუქტის ღირებულებით, მაშასადამე, იმ ხორბლის საშუალო საბაზრო ფასით, რომელსაც იძლევა I, II, III, IV ნიადაგი.

მიწათმოქმედების პრივილეგია (მიწის საკუთრებით გაპირობებული), რაც იმით გამოიხატება, რომ მიწათმოქმედება თავის პროდუქტს ყიდის არა საშუალო ფასის მიხედვით, არამედ პროდუქტის ღირებულების მიხედვით, როცა ეს ღირებულება აღემატება საშუალო ფასს, — ეს პრივილეგია სულაც არ ვრცელდება სხვადასხვა ხარისხის მიწების პროდუქტებზე მათს მიმართებაში ერთიმეორისადმი, სხვადასხვა ღირებულების მქონე პროდუქტებზე, რომლებიც წარმოებულია წარმოების ერთსა და იმავე სფეროს შიგნით. მრეწველობის პროდუქტების მიმართ ამ პროდუქტების პრეტენზია მხოლოდ ისაა, რომ მათი გაყიდვა ხდებოდეს თავისი ღირებულების მიხედვით. იმავე სფეროს სხვა პროდუქტების მიმართ მათი განმსაზღვრელია საბაზრო ფასი; და I ნიადაგის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული ის, იქნება თუ არა ღირებულება — ეს უკანასკნელი აქ უდრის საშუალო საბაზრო ფასს — საკმაოდ მადალი ან

დაბალი, ე. ი. არის თუ არა I ნიადაგის ეს ნაყოფიერება საკმარისად მაღალი ან დაბალი იმისათვის, რომ I' ნიადაგს, თუ მისი პროდუქტი ამ ღირებულების მიხედვით იყიდება, ჰქონდეს უმნიშვნელო წილი, დიდი წილი ანდა სულ არ ჰქონდეს არავითარი წილი ხორბლის ღირებულებასა და საშუალო ფასს შორის არსებულ საერთო სხვაობაში. მაგრამ რადგან როდბერტუსი საერთოდ ღირებულებებსა და საშუალო ფასებს არ განასხვავებს, რადგან მას მიაჩნია, თითქოს ყველა საქონლისათვის საყოველთაო კანონი ისაა, რომ ისინი მ ა თ ი ღირებულების მიხედვით იყიდებიან, — როდბერტუსს არ ესმის, რომ ეს არის მიწათმოქმედების პროდუქტების პრივილეგია, — ამიტომ იგი, ბუნებრივია, უნდა ფიქრობდეს, რომ უცუდესი ნიადაგის პროდუქტიც აგრეთვე მ ი ს ი ინდივიდუალური ღირებულების კვალობაზე უნდა იყიდებოდეს. მაგრამ მოცემული პროდუქტი კარგავს ამ პრივილეგიას ი მ ა ვ ე სახის პროდუქტებთან კონკურენციაში.

მაგრამ შეიძლება მოხდეს, რომ I'-ის პროდუქტის საშუალო ფასი აღემატება I-ის პროდუქტის ღირებულებას — 6 შილ. 8 პენსს ბუშელზე. შეიძლება ვივარაუდოთ (თუმცა ეს მთლად სწორი არაა), რომ იმისათვის, რათა I' ნიადაგი საერთოდ დამუშავებაში შევიდეს, აუცილებელია მოთხოვნის გადიდება. ამის გამო I ნიადაგის ხორბლის ფასი უეჭველად აიწევდა მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა, ე. ი. 6 შილ. 8 პენსზე უფრო მაღლა, თანაც ეს აწევა მყარი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში დამუშავებაში შედის ნიადაგი I'. თუ მას შეუძლია — როცა პროდუქტის ფასი 6 შილ. 8 პენსია — საშუალო ჰოგება მოგვცეს — თუმცა მისი პროდუქტის ღირებულება ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა ამ ფასს — და დაკმაყოფილოს მოთხოვნა, მაშინ ხორბლის ფასი დავა 6 შილ. 8 პენსამდე, რადგან მოთხოვნა ახლა ისევ შეესაბამება მიწოდებას; ამრიგად, I ნიადაგი კვლავ იძულებულია თავისი პროდუქტი 6 შილ. 8 პენსის კვალობაზე გაყიდოს, სავსებით ისევე როგორც II, III, IV თანრიგებიც, მაშასადამე, I'-იც. მაგრამ თუ I' თანრიგის პროდუქტის ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ი 7 შილ. 8 პენსი იქნებოდა, ასე რომ ეს თანრიგი მხოლოდ ასეთი ფასის პირობებში (როცა ფასი პროდუქტისა მის ინდივიდუალურ ღირებულებაზე ბევრად უფრო დაბალი იქნებოდა) ჩვეულებრივ მოგებას მოგვცემდა, მაშინ, თუ სხვა წესით მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელი დარჩებოდა, ბუშელის ღირებულება 7 შილ. 8 პენსის დონეზე დამყარდებოდა, ხოლო მოთხოვნის შესაბამისი ფასი ბუშელისა I თანრიგის ნიადაგზე მის [ინდივიდუალურ] ღირე-

ბულებაზე უფრო მაღლა აიწევდა. ბუშელის ფასი II, III, IV თანრიგებში უკვე აღემატება მ ა თ ს ინდივიდუალურ ღირებულებას. იგი კიდევ უფრო აიწევდა, მაგრამ თუ გათვალისწინებული იქნებოდა პურის შემოტანა, რაც არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა ბუშელის ფასის ასეთ ფიქსაციას 7 შილ. 8 პენსის დონეზე, მაინც შესაძლებელი იქნებოდა I' თანრიგის ნიადაგის დამუშავება, თუკი გამოჩნდებოდნენ წვრილი ფერმერები, რომლებიც საშუალოზე უფრო მცირე მოგებით დაკმაყოფილდებოდნენ. ეს მუდამ ხდება მიწათმოქმედებაში, ისევე როგორც მრეწველობაშიც. და ამ შემთხვევაში, — ისევე როგორც იმ შემთხვევაში, როცა I' ნიადაგი საშუალო მოგებას იძლევა,—შეიძლებოდა მიწის რენტის გადახდა, მაგრამ ეს უკანასკნელი იქნებოდა უბრალოდ გამონაკლები ფერმერის მოგებიდან. თუ ამის გაკეთებაც შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ მიწის მესაკუთრეს შეეძლო იჯარით მიეცა მიწა ღარიბებისათვის, რომლებიც — ისევე როგორც ხელით მომუშავე მქსოველიც — უმთავრესად იმისათვის ზრუნავენ, რომ რამენაირად თავიანთი ხელფასი მიიღონ, დარჩენილ ნამეტს კი, დიდს თუ მცირეს, უხდიან მიწის მესაკუთრეს რენტის ფორმით. ეს ნამეტი შეიძლება იყოს, ისევე როგორც ხელით მომუშავე მქსოველთან, უბრალოდ გამონაკლებიც კი არა მარტო შრომის პროდუქტიდან, არამედ ხ ე ლ ფ ა ს ი დ ა ნ ა ც. ყველა ამ შემთხვევაში შეიძლებოდა მიწის რენტის გადახდა. ერთ შემთხვევაში ის იქნებოდა გამონაკლები კაპიტალისტის მოგებიდან. მეორე შემთხვევაში მიწის მესაკუთრე მითვისებდა მუშის ზედმეტ შრომას, რომელსაც ჩვეულებრივ კაპიტალისტი ითვისებს. უკანასკნელ შემთხვევაში კი მიწის მესაკუთრე მუშის ხელფასის შემცირების ხარჯზე იცხოვრებდა, როგორც ამას ხშირად აკეთებენ აგრეთვე კაპიტალისტებიც. მაგრამ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ა დიდი მასშტაბით შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც უკანასკნელად დამუშავებული მიწა, სულ მცირე, საშუალო მოგებას მაინც იძლევა, ე. ი. შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც I თანრიგის პროდუქტის ღირებულება I' თანრიგისათვის უზრუნველყოფს, სულ მცირე, საშუალო ფასს.

ჩვენ ვხედავთ აქ, თუ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა და ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ი ს განსხვავება როგორ საოცრად წყვეტს საკითხს და გვიჩვენებს, რომ მართალნი არიან რიკარდოც და მისი მოწინააღმდეგენიც[27].

[XI — 490] თუ კატეგორია I — აბსოლუტური რენტის მომცემი ნიადაგი, — ერთადერთი დამუშავებული ნიადაგი იქნებოდა, მაშინ

ბუშელ ხორბალს იგი გაყიდდა მისი ღირებულების მიხედვით, ე. ი. 6 შილ. 8 პენსის კვალობაზე, ანუ 6⁸/₉ შილინგად, და ვერ დახწევდა მის ფასს საშუალო ფასამდე, რომელიც გამოიხატება 6¹/₃ შილინგით, ანუ 6 შილ. 6¹/₃ პენსით. თუ მოთხოვნა გაიზრდებოდა, თუ ქვეყნის მთელი ნიადაგი ერთი და იმავე ხარისხის იქნებოდა, და თუ დამუშავებული ნიადაგის ფართობი ათჯერ გადიდდებოდა, მაშინ, თუ ვიგულისხმებთ, რომ I ნიადაგი 100 გირვ. სტერლინგზე 10 გირვ. სტერლ. რენტას იძლევა, რენტა გაიზრდებოდა 100 გირვ. სტერლინგამდე, თუმცა მხოლოდ ერთადერთი თანრიგის ნიადაგი იარსებებდა. მაგრამ თავისი ნორმის, ან სიმაღლის, მიხედვით რენტა არ გაიზრდებოდა, არც ავანსებული კაპიტალის მიმართ, არც დამუშავებული მიწის ფართობის მიმართ. დამუშავდებოდა ათჯერ მეტი აკრი მიწა და ავანსად გაღებული იქნებოდა ათჯერ მეტი კაპიტალი. მაშასადამე, ჩვენ გვექნებოდა აქ უბრალო გადიდება რენტის საერთო ჯამისა, რენტის მასისა და არა მისი სიმაღლისა. მოგების ნორმა არ დაიწევდა, რადგან მიწათმოქმედების პროდუქტების ღირებულება და ფასი უცვლელი დარჩებოდა. ათჯერ მეტ კაპიტალს შეუძლია, რასაკვირველია, ათჯერ მეტი რენტა მოგვაცეს, ვიდრე ათჯერ მცირე კაპიტალს. მეორე მხრივ, თუ ერთსა და იმავე მიწის ფართობზე ათჯერ მეტ კაპიტალს გამოვიყენებდით იმავე შედეგით, მაშინ რენტის ნორმა, დახარჯულ კაპიტალთან შედარებით, იგივე დარჩებოდა; იგი იაწევდა მიწის ფართობის მიმართ, მაგრამ აგრეთვე ვერავითარ ცვლილებებს მოგების ნორმაში ვერ შეიტანდა.

მაგრამ ვიგულისხმოთ ახლა, რომ დამუშავებული I ნიადაგი უფრო ნაყოფიერი გახდა არა იმიტომ, რომ მიწის ხარისხი შეიცვალა, არამედ იმიტომ, რომ დაიხარჯა მეტი მუდმივი და ნაკლები ცვალებადი კაპიტალი, მეტი კაპიტალი მანქანების, ცხენების, მინერალური სასუქების და ა. შ. სახით, და ნაკლები კაპიტალი — ხელფასის სახით; მაშინ ხორბლის ღირებულება მიუახლოვდებოდა მის საშუალო ფასს და მრეწველობის პროდუქტების საშუალო ფასს, რადგან ცვალებადი კაპიტალის წილი შემცირდებოდა მუდმივთან შედარებით. ამ შემთხვევაში რენტა დაეცემოდა, მოგების ნორმა კი უცვლელი დარჩებოდა. თუ აქ წარმოების წესში ისეთი ცვლილება მოხდებოდი, რომ ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან გაუთანაბრდებოდა მათს საშუალო შეფარდებას მრეწველობაში, მაშინ ხორბლის ღირებულების ნამეტი მისი საშუალო ფასის ზევით

მოიხსნებოდა, და ამასთან ერთად მოიხსნებოდა რენტაც, დამატებითი მოგება. I ნიადაგი უკვე აღარ გადაიხდიდა რენტას, და მიწის საკუთრება გახდებოდა ნორმალური (თუ წარმოების წესის ცვლილებას თან არ მოჰყვებოდა კაპიტალის დამატებითი დაბანდება მიწაში, ასე რომ მიწის მესაკუთრე იჯარის ვადის გასვლის შემდეგ სარგებელს მიიღებდა კაპიტალიდან, რომელიც მას ავანსად არ გაულია, რაც აგრეთვე ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა მიწის მესაკუთრეთა გამდიდრებისათვის და რის გამოც ირლანდიაში საიჯარო უფლების გარშემო ბრძოლა წარმოებს). თუ I ნიადაგის გარდა კიდევ გვექნებოდა II, III, IV ნიადაგი, რომლებზეც აგრეთვე ეს წარმოების წესი გავრცელდებოდა, მაშინ ისინი მაინც მოგვცემდნენ მიწის რენტას თავიანთი დიდი ბუნებრივი ნაყოფიერების გამო I-თან შედარებით და ამ დიდი ნაყოფიერების შესაბამისად. I ნიადაგი ამ შემთხვევაში შეწყვეტდა რენტის მოცემას, II, III, IV ნიადაგიდან მისაღები რენტა კი შესაბამისად დაეცემოდა, რადგან საერთო თანაფარდობა მწარმოებლობისა მიწათმოქმედებაში გაუთანაბრდებოდა მრეწველობაში არსებულ თანაფარდობას. II, III, IV კატეგორიის ნიადაგიდან მისაღები რენტა რიკარდოს კანონის შესაბამისი იქნებოდა; იგი იქნებოდა მხოლოდ უფრო ნაყოფიერი მიწიდან ნაკლებ ნაყოფიერ მიწასთან შედარებით მიღებული დამატებითი მოგების ტოლი და ი ა რ ს ე ბ ე ბ დ ა მხოლოდ ასეთი დამატებითი მოგების სახით — ისევე როგორც მსგავსი დამატებითი მოგებანი მრეწველობაშიცაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მრეწველობაში მათ არა აქვთ ფიქსირებისათვის ბუნების მიერ მოცემული ბაზისი.

რიკარდოს კანონი ასევე გაბატონებული იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ა ს რ უ ლ ი ა დ ა რ ი ა რ ს ე ბ ე ბ დ ა. მიწის საკუთრების გაუქმებისა და კაპიტალისტური წარმოების შენარჩუნების პირობებში ნაყოფიერების სხვაობიდან გამომდინარე ეს დამატებითი მოგება არ გაქრებოდა. თუ სახელმწიფო მიწის საკუთრებას მიითვისებდა, ხოლო კაპიტალისტური წარმოება დარჩებოდა, მაშინ რენტას II, III, IV კატეგორიის მიწებიდან გადაუხდიდნენ სახელმწიფოს, მაგრამ თვით რენტა იარსებებდა. თუ მიწის საკუთრება ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ გადაიქცეოდა, მაშინ არსებობას შეწყვეტდა საერთოდ კაპიტალისტური წარმოების ბაზისი, ის საფუძველი, რომელსაც ემყარება შრომის პირობების გადაქცევა მუშისაგან განცალკევებულ და მისდამი დაპირისპირებულ ძალად.

შემდეგში, მიწის რენტის განხილვისას, საჭირო იქნება იმ საკითხის განხილვა, თუ როგორ შეიძლება მიწის რენტა იზრდებოდეს ღირებულებისა და მასის მიხედვით უფრო ინტენსიური კულტურის პირობებში, თუმცა მიწის რენტის ნორმა ავანსებული კაპიტალის მიმართ ამასთან მცირდება. ეს, ცხადია, შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ იზრდება ავანსებული კაპიტალის მასა. თუ მიწის რენტა $^1/_5$-ს შეადგენს, შემდეგ კი $^1/_{10}$-ის ტოლი ხდება, მაშინ $20 \times {}^1/_5 = 4$, ხოლო $50 \times {}^1/_{10} = 5$. ყველაფერი ამით თავდება. მაგრამ თუ უფრო ინტენსიური კულტურის დროს მიწათმოქმედებაში ის თანაფარდობა დამყარდებოდა წარმოების ელემენტებს შორის, რომელიც საშუალო თანაფარდობას წარმოადგენს მრეწველობაში, — ნაცვლად იმისა, რომ იგი მხოლოდ უახლოვდებოდეს ამ თანაფარდობას, — მაშინ უფრო ნაკლებად ნაყოფიერი ნიადაგიდან მისაღები რენტა მოიხსნებოდა, უფრო ნაყოფიერი ნიადაგისათვის კი იგი მხოლოდ ნიადაგთა დიფერენციაციაზე დაიყვანებოდა. აბსოლუტური რენტა მოიხსნებოდა.

დავუშვათ, ახლა, რომ მოთხოვნის გაზრდის გამო მოხდა I ნიადაგიდან II ნიადაგზე გადასვლა. I ნიადაგი იხდის აბსოლუტურ რენტას, II გადაიხდიდა დიფერენცირებულ რენტას, მაგრამ ხორბლის ფასი { ღირებულება I-თვის, ნაჭარბი ღირებულება II-თვის } იგივე დარჩებოდა. ასევე არ შეიცვლებოდა მოგების ნორმაც. და ასე წავიდოდა საქმე IV თანრიგის ნიადაგამდე. მაშასადამე, თუ შევაჯამებდით I, II, III, IV თანრიგის მიწებზე დახარჯულ მთელ კაპიტალს, მაშინ აიწევდა რენტის სიმაღლეც, მისი ნორმა. მაგრამ II, III, IV ნიადაგთა მოგების საშუალო ნორმა ტოლი იქნებოდა I ნიადაგის მოგების ნორმისა, რომელიც უდრის მოგების ნორმას მრეწველობაში, მოგების საერთო ნორმას. ამრიგად, უფრო [491] ნაყოფიერ ნიადაგზე გადასვლისას რენტა თავისი მასისა და ნორმის მიხედვით შეიძლება იზრდებოდეს, თუმცა მოგების ნორმა და ხორბლის ფასი უცვლელი რჩება. რენტის სიმაღლისა და მასის გადიდება აქ გამოწვეული იქნებოდა II, III, IV-ში კაპიტალის მწარმოებლობის გადიდებით და არა მისი მწარმოებლობის შემცირებით I-ში. მაგრამ გადიდებული მწარმოებლობა არ გამოიწვევდა, როგორც ეს აუცილებლად ხდება მრეწველობაში, მოგების გადიდებას და როგორც საქონლის ფასის, ისე აგრეთვე ხელფასის შემცირებას.

მაგრამ თუ გადასვლა მოხდებოდა საწინააღმდეგო მიმართულე-

ბით — IV-დან III-ზე, II-ზე და I-ზე, — მაშინ ბუშელის ფასი აიწევდა 6 შილ. 8 პენსის დონემდე, რომლის დროსაც I-ის ხორბალი კიდევ იძლევა 10 გირვ. სტერლ. რენტას [დახარჯული კაპიტალის] 100 გირვ. სტერლინგზე. სახელდობრ, IV-ის ხორბლის რენტა უდრის $17^{7}/_{25}$ გირვ. სტერლინგს [დახარჯული კაპიტალის] 100 გირვ. სტერლინგზე, საიდანაც $7^{7}/_{25}$ შეადგენს [IV ნიადაგზე მიღებული მთელი პროდუქტის საბაზრო] ფასის ნამეტს I-ის [მთელი] პროდუქტის ღირებულების ზევით. I ნიადაგი მოგვცემდა 100 გირვ. სტერლინგზე (თუ რენტა იქნებოდა 10 გირვ. სტერლინგი და ბუშელის ღირებულება 6 შ ი ლ. 8 პ ე ნ ს ი) 360 ბუშელ ხორბალს, II ნიადაგი — 432 ბუშელს, III ნიადაგი — $518^{2}/_{5}$ ბუშელს და IV ნიადაგი $622^{2}/_{25}$ ბუშელს. მაგრამ ბუშელის ფასი — 6 შილ. 8 პენსი IV ნიადაგს მისცემდა $7^{7}/_{25}$ გირვ. სტერლ. დამატებითს რენტას 100 გირვ. სტერლინგზე. IV ნიადაგი ყიდის 3 ბუშელს 1 გირვ. სტერლინგად, ანუ $622^{2}/_{25}$ ბუშელს $207^{8}/_{25}$ გირვ. სტერლინგად. მაგრამ მისი პროდუქტის [ინდივიდუალური] ღირებულება შეადგენს მხოლოდ 120 გირვ. სტერლინგს, ისევე როგორც I-ში. ის, რაც ამ ციფრს აღემატება, შეადგენს მისი [საბაზრო] ფასის ნამეტს მისი [ინდივიდუალური] ღირებულების ზევით[28]. IV გაყიდდა ბუშელს მისი ღირებულების მიხედვით, თუ მას 3 შილ. $10^{8}/_{27}$ პენსად გაყიდდა, და ასეთი ფასის კვალობაზე იგი მიიღებდა 10 გირვ. სტ. რენტას [დახარჯული კაპიტალის] 100 გირვ. სტერლინგზე. თუკი ახლა გადასვლა ხდება IV-დან III-ზე, III-დან II-ზე და II-დან I-ზე, მაშინ ბუშელის ფასი (და ამასთან ერთად რენტაც) იზრდება, ვიდრე იგი საბოლოოდ არ მიაღწევს 6 შილ. 8 პენსის დონეს I-ში, სადაც ეს ფასი ახლა ისეთსავე მიწის რენტას იძლევა, როგორსაც უწინ IV ნიადაგი იძლეოდა. [მიწათმოქმედების პროდუქტის] ფასის გადიდებით მოგების ნორმა დაეცემოდა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ გადიდებოდა საარსებო საშუალებათა და ნედლეულის ღირებულება. გადასვლა IV-დან III-ზე შეიძლებოდა მომხდარიყო შემდეგნაირად. მოთხოვნის ზრდის გამო პროდუქტის ფასი IV-ში მის ღირებულებაზე უფრო მაღლა იწევს და, მაშასადამე, ეს ნიადაგი იძლევა არა მარტო რენტას, არამედ დამატებითს რენტასაც. ამის გამო დამუშავებაში შედის III ნიადაგი, რომელიც, თუ თავის პროდუქტებს ამ ფასის მიხედვით გაყიდის, ჩვეულებრივი საშუალო მოგების დროს არავითარ რენტას არ უნდა იძლეოდეს. თუ IV-ის პროდუქტის ფასის გადიდების გამო შემცირდა არა მოგების ნორმა, არამედ ხელფასი, მაშინ III ნიადაგი მოგვცემს [წინანდელ] საშუალო მოგებას.

მაგრამ III-ის მხრიდან დამატებითი მიწოდების შედეგად ხელფასმა კვლავ უნდა აიწიოს ნორმალურ დონემდე; მაშინ III-ში დაეცემა მოგების ნორმა — და ა. შ.

მაშასადამე, ამ დალმავალი მოძრაობის შემთხვევაში მოგების ნორმა ეცემა, თუ მოცემულია დაშვებული წანამძღვრები, სახელდობრ, — რომ III ნიადგს არ შეუძლია რენტის მოცემა IV თანრიგის ფასის პირობებში და რომ იგი შეიძლება დამუშავდეს, თუ წინანდელი მოგების ნორმა დარჩება, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელფასი დროებით თავის დონეზე დაბლა დაეცა.

ამ წანამძღვრების პირობებში ჩვენ კვლავ საქმე გვაქვს რიკარდოსეულ კანონთან. მაგრამ მაშინაც კი, თუ რიკარდოს კონცეფციას მივიღებდით, ეს კანონი რამე აუცილებელს არ გამოხატავს. იგი შესაძლებელია მხოლოდ პირობების გარკვეული შეხამებისას. სინამდვილეში კი ადგილი აქვს მოძრაობათა გადახლართვას.

* * *

ნათქვამით რენტის თეორია არსებითად ამოწურულია.

ბ-ნ როდბერტუსს, «მასალის ღირებულების» თავისი კონცეფციის გამო, მიწის რენტა გააზრებული აქვს როგორც მარადიულად ბუნებრივი, ყოველ შემთხვევაში, კაპიტალისტური წარმოების მარადიულ ბუნებაში მოცემული რამ. ჩვენი გაგებით მიწის რენტა არის კაპიტალის ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის არსებული თანაფარდობის ისტორიული სხვაობის შედეგი, სხვაობისა, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ გათანაბრდეს და კიდევ მეტი — მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად სავსებით გაქრეს კიდეც. მართალია, სხვაობა, რამდენადაც მას მხოლოდ ნიადაგის ბუნებრივ ნაყოფიერებაში მოცემული განსხვავება წარმოშობს, რჩება მაშინაც კი, თუ აბსოლუტური რენტა მოიხსნებოდა. მაგრამ — თუ სრულიად მხედველობის გარეშე დავტოვებთ ბუნებრივ სხვაობათა შესაძლებელ გათანაბრებას — ეს დიფერენციული რენტა დაკავშირებულია საბაზრო ფასის რეგულირებასთან და, მაშასადამე, ფასთან და კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად ქრება. ძალაში დარჩებოდა მხოლოდ ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი შრომა სხვადასხვანაყოფიერების ნიადაგს ამუშავებს, ამასთან, მიუხედავად გამოყენებული შრომის რაოდენობის სხვაობისა, ეს შრომა შეიძლება უფრო ნაყოფიერი გახდეს ყველა ნიადაგზე. მაგრამ შრომის უფრო დიდი მასა, რაც უცუდესი ნიადაგის პროდუქტი ღირს, სრულიადაც არ წარ-

მოშობს იმ შედეგს, რასაც ადგილი აქვს ბურჟუაზიული წყობილების დროს, სახელდობრ იმას, რომ საუკეთესო ნიადაგის პროდუქტიც აგრეთვე შრომის უფრო დიდი რაოდენობით უნდა ანაზღაურდეს. პირიქით, IV ნიადაგზე დანახარჯი შრომა გამოყენებული იქნებოდა III ნიადაგის გასაუმჯობესებლად, III ნიადაგზე დანახარჯი შრომა — II ნიადაგის გასაუმჯობესებლად, II ნიადაგზე დანახარჯი შრომა კი — I ნიადაგის გასაუმჯობესებლად; მაშასადამე, მიწის მესაკუთრეთა მიერ შთანთქმული მთელი კაპიტალი მაშინ იმას მოხმარდებოდა, რომ გათანაბრებულიყო შრომა სხვადასხვა ნიადაგზე და შემცირებულიყო მიწათმოქმედებაში დახარჯული შრომის საერთო რაოდენობა.

* * *

[492] { თუ ა. სმიტი, როგორც ზემოთ დავინახეთ *, თავდაპირველად სწორ შეხედულებებს ავითარებს ღირებულებაზე, აგრეთვე მოგების, ხელფასის და ა. შ., როგორც ამ ღირებულების შემადგენელი ნაწილების, თანაფარდობაზე, შემდეგ კი საწინააღმდეგო გზას ადგება, ხელფასის, მოგებისა და მიწის რენტის ფასებს წინასწარ მოცემულად გულისხმობს და ცდილობს განსაზღვროს ისინი როგორც დამოუკიდებელი სიდიდენი და მიიღოს მათი შეკრებიდან საქონლის ფასი, — ეს მისი გადასვლა საპირისპირო თვალსაზრისზე ნიშნავს შემდეგს: ჯერ სმიტი საგნებს იღებს მათს შინაგან კავშირში, შემდეგ კი — იმ უკუღმართი ფორმით, რითაც ისინი კონკურენციაში ვლინდებიან. განხილვის ორივე ეს წესი მასთან გულუბრყვილოდაა გადაჯვარედინებული, ამასთან იგი ვერ ამჩნევს წინააღმდეგობას მათ შორის. რიკარდო კი იმ მიზნით, რომ განიხილოს კანონები როგორც ასეთები, პირიქით, შეგნებულად ახდენს განყენებას კონკურენციის ფორმისაგან, კონკურენციის მიერ შექმნილი გაჰეგნულობისაგან. მას უნდა ვუსაყვედუროთ, ერთი მხრივ, ის, რომ იგი სრულყოფილად ვერ ახორციელებს განყენებას, ასე რომ როცა, მაგალითად, საქონლის ღირებულებას განიხილავს, იგი თავიდანვე განიცდის აგრეთვე ყოველგვარი კონკრეტული ურთიერთობის განმსაზღვრელ გავლენას; მეორე მხრივ — სასაყვედუროა ის, რომ მას გამოვლინების ფორმა ესმის როგორც უშუალო, პირდაპირი დადასტურება ან გამოხატულება საყოველთაო კანონებისა; იგი ვერასგზით ვერ ამჟღავნებს ამ ფორმის განვითა-

* ახ. ეს ტომი, ნაწ. 1, გვ. 46 — 67 და 77 — 84. რ ე დ.

რ ე ბ ა ს. ამ მომენტებიდან პირველის მიმართ მისი აბსტრაქცია მეტად არასრულია, მეორის მიმართ ეს აბსტრაქცია არის ფორმალური, თავისთავად მცდარი.

[10) რენტის ნორმა და მოგების ნორმა. თანაფარდობა მიწათმოქმედების მწარმოებლობასა და მრეწველობის მწარმოებლობას შორის ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე]

დავუბრუნდეთ ახლა მოკლედ იმას, რაც კიდევ განსახილველი დარჩა როდბერტუსთან.

«ეროვნული პროდუქტის ღირებულების გ ა დ ი დ ე ბ ი დ ა ნ გამომდინარე გ ა დ ი დ ე ბ ა ხელფასის, კაპიტალის მოგებისა და მიწის რენტისა ვერ გ ა ა დ ი დ ე ბ ს ერში ვერც ხელფასსა და ვერც კაპიტალის მოგებას, რადგან გადიდებული ხელფასი ახლა ნაწილდება მუშების უფრო მეტ რაოდენობას შორის, გადიდებული მოგება კი ნაწილდება იმავე პროპორციით გადიდებულ კაპიტალზე, ხოლო მიწის რენტა ყოველ შემთხვევაში უნდა გ ა ი ზ ა რ დ ო ს, რადგან იგი ყოველივის ნაწილდება ს ი დ ი დ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ უ ცვ ლ ე ლ ა დ დარჩენილ მიწის ნაკვეთზე. ამრიგად, ჩემ მიერ განვითარებულ თეორიას შეუძლია დამაკმაყოფილებლად ახსნას მ ი წ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მნიშვნელოვანი გ ა დ ი დ ე ბ ა, — ეს ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი სარგებლის განაკვეთის კვალობაზე კაპიტალზეული მიწის რენტა, — და ამასთან არ შეშართოს სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების მზარდი დაცემის ვარაუდს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანთა საზოგადოების სრულყოფის უნარის იდეას, ისევე როგორც ყველა სასოფლო-სამეურნეო და სტატისტიკურ ფაქტს» (გვ. 160 — 161).

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ რიკარდო [რომლის წინააღმდეგაც მიმართულია როდბერტუსის ეს მსჯელობა] არც ცდილობს ა რ ა ს ა დ «მ ი წ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა» ახსნას. ეს მისთვის ა რ ა ვ ი თ ა რ პ რ ო ბ ლ ე მ ა ს არ წარმოადგენს. შემდეგ, რიკარდო (იხ. შემდგომ, რიკარდოს შეხედულებათა განხილვისას) თვითონ ლაპარაკობს გარკვევით იმის შესახებ, რომ პურის ან [საერთოდ] მიწათმოქმედების პროდუქტის უცვლელი ღირებულების დროს, მიწის რენტის ნორმის უცვლელობის პირობებში, რენტა შეიძლება დ ი დ დ ე ბ ო დ ე ს *. მაგრამ არც ეს გადიდება წარმოადგენს პრობლემას რიკარდოსათვის. მისთვის პრობლემაა არა გადიდება რენტის საერთო ჯამისა რენტის უცვლელი ნორმის დროს, არამედ გადიდება რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ი ს ა, ე. ი. რენტისა, რომელიც აღებულია მის შეფარ-

* იხ. ეს ტომი, ნაწ. II, გვ. 420. რ ე დ.

დებაში ავანსებულ სამიწათმოქმედო კაპიტალთან; ამიტომ მისთვის პრობლემაა ასევე არა მიწათმოქმედების პროდუქტის მ თ ე ლ ი მ ა ს ი ს გადიდება, არამედ მიწათმოქმედების პროდუქტის, მაგალითად, კვარტერი ხორბლის, იმავე რაოდენობის ღირებულების გადიდება, — გადიდება, რომელთანაც ერთად იზრდება პროდუქტის ღირებულების ნამეტი მისი საშუალო ფასის ზევით, ხოლო ამის შედეგად რენტის ნამეტიც მისი საშუალო ფასის ნორმის ზევით. ბ-ნი როდბერტუსი უკუაგდებს აქ რიკარდოსეულ პრობლემას (რომ აღარა ვთქვათ რა «მასალის ღირებულების» მცდარ როდბერტუსისეულ კონცეფციაზე).

რა თქმა უნდა, შეიძლება დიდდებოდეს რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ა ც ავანსებულ კაპიტალთან შეფარდებით, ე. ი. შეფარდებითი ღირებულება მიწათმოქმედების პროდუქტისა მრეწველობის პროდუქტთან შედარებით, თუმცა მიწათმოქმედება სულ უ ფ რ ო ნ ა ყ ო ფ ი ე რ ი ხდება. და თანაც ეს შეიძლება ხდებოდეს ორი მიზეზის გამო.

ჯ ე რ ე რ თ ი, ავიღოთ ზ ე მ ო მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი მ ა გ ა ლ ი თ ი, სადაც ადგილი აქვს გადასვლას I თანრიგის ნიადაგიდან II, III, IV თანრიგის ნიადაგებზე, ე. ი. სულ უფრო ნაყოფიერ ნიადაგზე გადასვლას (მაგრამ ამასთან უფრო ნაყოფიერი ნიადაგის მიერ მოწოდებული პროდუქტის რაოდენობა არაა საკმაოდ დიდი იმისათვის, რომ შეწყდეს I ნიადაგის დამუშავება, ანდა იმისათვის, რომ შემცირდეს სხვაობა ღირებულებასა და საშუალო ფასს შორის ისეთ ოდენობამდე, რომლის დროსაც IV, III, II ნიადაგები მოგვცემდნენ პროპორციულად უფრო დაბალ რენტას, I ნიადაგი კი სრულიად არ მოგვცემდა რენტას). თუ I ნიადაგი იძლევა 10 გირვ. სტერლ. რენტას, II ნიადაგი — 20 გირვ. სტერლინგს, III ნიადაგი — 30 გირვ. სტერლინგს, IV ნიადაგი — 40 გირვ. სტერლინგს და თუ ოთხივე თანრიგის ნიადაგში დაბანდებულია თვითეულში 100 გირვ. სტერლინგი, მაშინ I-ის რენტა შეადგენს $^1/_{10}$-ს, ანუ 10%-ს ავანსებულ კაპიტალზე, II-ის რენტა — $^2/_{10}$-ს, ანუ 20%-ს, III-ის — $^3/_{10}$-ს, ანუ 30%. და IV-ის — $^4/_{10}$-ს, ანუ 40%. სულ იქნება 100 გირვ. სტერლ. 400 გირვ. სტერლ. ავანსებულ კაპიტალზე, რაც იძლევა რენტის საშუალო ნორმას $\frac{100}{4}$-ის რაოდენობით, ე. ი. 25%-ს. თუ მიწათმოქმედებაში დაბანდებულ მთელ კაპიტალს ავიღებთ, მაშინ რენტა შეადგენს ახლა 25%-ს. თუ გაგრძელდებოდა მხოლოდ I ნიადაგის (ყველაზე ნაკლებად ნაყოფიერი ნიადაგის) დამუშავება, მაშინ რენტა გვექნებოდა 40 გირვ. სტერლინგი 400 გირვ. სტერლინგზე, ე. ი.

უწინდებურად 10%, და იგი არ გაიზრდებოდა 25%-მდე. მაგრამ პირველ შემთხვევაში (თუ დახარჯულ 100 გირვ. სტერლინგზე I თანრიგში 300 ბუშელი მოდის) წარმოებული იქნებოდა 1320 ბუშელი — თვითეული 6 შილ. 8 პენსისა; მეორე შემთხვევაში [როცა ოთხივე თანრიგის ნიადაგი მუშავდება] იწარმოება 1500 ბუშელი იმავე ფასად. ორივე შემთხვევაში ავანსებულია ერთი და იგივე კაპიტალი [29].

მაგრამ რენტის სიმაღლის გადიდება აქ მხოლოდ მოჩვენებითია [30]. მართლაც, თუ გამოვიანგარიშებთ კაპიტალის დანახარჯს პროდუქტის მიმართ, აღმოჩნდება, რომ I-ში უნდა დაიხარჯოს 100 გირვ. სტერლინგი 330 ბუშელის საწარმოებლად და 400 გირვ. სტერლინგი — 1320 ბუშელის საწარმოებლად. ახლა კი საჭიროა დაიხარჯოს მხოლოდ 100 + 90 + 80 + 70, ე. ი. სულ 340 გირვ. სტერლინგი [31], 1320 ბუშელის საწარმოებლად. 90 გირვ. სტერლინგი II-ში იმდენსავე აწარმოებს, რამდენსაც 100 I-ში; 80 III-ში — იმდენსავე, რამდენსაც 90 II-ში; 70 IV-ში იმდენსავე, რამდენსაც 80 III-ში. მიწის რენტის ნორმა II, III, IV-ში გადიდდა I-თან შედარებით.

თუ განვიხილავთ მთლიანად აღებულ საზოგადოებას, ვნახავთ, რომ ახლა იმავე პროდუქტის საწარმოებლად გამოყენებულია 340 გირვ. სტერლ. კაპიტალი ნაცვლად 400 გირვ. სტერლინგისა, ე. ი. [წინანდელი] კაპიტალის მხოლოდ 85%.

[493] 1320 ბუშელი იქნებოდა მხოლოდ სხვანაირად განაწილებული, ვიდრე პირველ შემთხვევაში. მოიჯარემ ახლა უნდა გაიღოს [ავანსებული კაპიტალის] 90 გირვ. სტერლინგზე იმდენივე [რენტა], რამდენსაც უწინ აძლევდა 100 გირვ. სტერლინგზე, 80 გირვ. სტერლინგზე — იმდენივე, რამდენსაც უწინ 90 გირვ. სტერლინგზე, და 70 გირვ. სტერლინგზე — იმდენივე, რამდენსაც უწინ 80 გირვ. სტერლინგზე. მაგრამ კაპიტალის დახარჯვა 90, 80, 70 გირვ. სტერლინგის ოდენობით მას იმდენსავე პროდუქტს აძლევს, რამდენსაც უწინ 100 გირვ. სტერლინგის დახარჯვა აძლევდა. იგი იძლევა უფრო მეტს არა იმიტომ, რომ უფრო დიდი კაპიტალი უნდა დახარჯოს იმავე პროდუქტის მისაღებად, არამედ იმიტომ, რომ იგი უფრო ნაკლებ კაპიტალს ხარჯავს; არა იმიტომ, რომ მისი კაპიტალი ნაკლები მწარმოებლობის გახდა, არამედ იმიტომ, რომ ეს კაპიტალი უფრო მეტი მწარმოებლობის გახდა, მოიჯარე კი თავის პროდუქტს უწინდებურად I ნიადაგის პროდუქტის ფასის კვალობაზე ყიდის,

ყიდის ისე, თითქოს პროდუქტის იმავე რაოდენობის საწარმოებლად იგი უწინდებურად იმავე კაპიტალს საჭიროებდეს.

[მ ე ო რ ე.] გარდა რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ი ს ამ გადიდებისა — რაც ემთხვევა ზემოგების არათანაბარ გადიდებას მრეწველობის ცალკეულ დარგებში, თუმცა მრეწველობაში ეს გადიდება არ ფიქსირდება, — შესაძლებელია კიდევ მეორე შემთხვევა, როცა რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ა მ შეიძლება აიწიოს მიუხედავად იმისა, რომ მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება იგივე რჩება, ე. ი. რომ შრომა არ ხდება აქ ნაკლებნაყოფიერი. ამ შემთხვევას ადგილი აქვს ან მაშინ, როცა მწარმოებლობა მიწათმოქმედებაში ი გ ი ვ ე რჩება, რაც უწინ იყო, მაგრამ დიდდება მწარმოებლობა მრეწველობაში, ამასთან ეს გადიდება გამოიხატება მოგების ნორმის შემცირებით; ე. ი. მაშინ, როცა მრეწველობაში შემცირდა ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან. ანდა ეს ხდება ხოლმე მაშინ, როცა მწარმოებლობა დიდდება აგრეთვე მიწათმოქმედებაშიც, მაგრამ არა იმ შეფარდებით, როგორც მრეწველობაში, არამედ უფრო ნაკლებით. თუ მიწათმოქმედებაში მწარმოებლობა დიდდება როგორც 1 : 2, მრეწველობაში კი როგორც 1 : 4, ეს შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ იგივეა, რაც გვექნებოდა, თუ მიწათმოქმედებაში მწარმოებლობა უცვლელი დარჩებოდა, მრეწველობაში კი გაორკეცდებოდა. ამ შემთხვევაში ცვალებადი კაპიტალის შემცირება მუდმივთან შედარებით მრეწველობაში ორჯერ უფრო სწრაფად მოხდებოდა, ვიდრე მიწათმოქმედებაში.

ორივე ამ შემთხვევაში დაეცემოდა მოგების ნორმა მრეწველობაში, მისი დ ა ც ე მ ი ს გამო კი აიწევდა მიწის რენტის ნ ო რ მ ა. სხვა შემთხვევებში მოგების ნორმა ეცემა არა აბსოლუტურად (იგი მ უ დ მ ი ვ ი უფრო რჩება), მაგრამ იგი ეცემა მიწის რენტასთან შეფარდებით, არა იმიტომ, რომ იგი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ეცემა, არამედ იმიტომ, რომ დიდდება მიწის რენტა, მიწის რენტის ნორმა ავანსებული კაპიტალის მიმართ.

რიკარდო ამ შემთხვევებს არ განასხვავებს. აღნიშნული შემთხვევების გარდა (ე. ი. როცა მოგების ნორმა — თუმცა იგი მუდმივია — შეფარდებით ეცემა დიფერენციულ რენტათა გამო, რომლებიც წილად ხვდება უფრო ნაყოფიერ ნიადაგებზე გამოყენებულ კაპიტალს, — ანდა როცა მრეწველობის მწარმოებლობის გადიდების გამო იცვლება საერთო თანაფარდობა მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის და ა მ ი ტ ო მ იზრდება მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულების გადანამეტი მის საშუალო ფასზე) მიწის

რენტა შეიძლება დიდდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოგების ნორმა ეცემა მრეწველობის მწარმოებლობის გაუდიდებლად. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მიწათმოქმედების ნაყოფიერების შემცირების შედეგად დიდდება ხელფასი ან დიდდება ნედლი მასალის ღირებულება. ამ შემთხვევაში მოგების ნორმის დაცემა და მიწის რენტის სიმაღლის გადიდება შედეგია ერთი და იმავე მიზეზისა — მიწათმოქმედების მწარმოებლობის შემცირებისა, მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის მწარმოებლობის შემცირებისა. ასეთია რიკარდოს წარმოდგენა. ფულის უ ც ვ ლ ე ლ ი ღირებულების დროს ეს უნდა გამოვლინდეს მაშინ ნედლი პროდუქტების ფ ა ს ე ბ ი ს გადიდებით. თუ ფასების გადიდება შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ა, როგორც ეს ზემოთ იყო განხილული, მაშინ ფულის ფასის არავითარ ცვლილებას არ შეუძლია გაადიდოს მიწათმოქმედების პროდუქტების ფულადი ფასები შეფარდებით მრეწველობის პროდუქტებთან. ფულის ღირებულების 50%-ით შემცირებისას ერთი კვარტერი ხორბალი, რომელიც 3 გირვ. სტერლ. ღირდა, ეღირება 6 გირვ. სტერლინგი, მაგრამ ერთი გირვანქა ნარეთიც, 1 შილინგი რომ ღირდა, 2 შილინგი ეღირება. ამრიგად, ფულის ღირებულების ცვლილებით არასოდეს არ შეიძლება აგხსნათ მიწათმოქმედების პროდუქტების ფულადი ფასების ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი გადიდება მრეწველობის პროდუქტებთან შედარებით.

საერთოდ უნდა ვაღიაროთ, რომ პრიმიტიული, კაპიტალიზმამდელი წარმოების წესის პირობებში მიწათმოქმედება უ ფ რ ო მ ე ტ ი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ო ბ ი ს ა ა, ვიდრე მრეწველობა, რადგან აქ ადამიანის მუშაობაში მონაწილეობს ბუნება, როგორც მანქანა და ორგანიზმი, მაშინ როდესაც მრეწველობაში ბუნების ძალები ჯერ კიდევ თითქმის მთლიანად შენაცვლებულია ადამიანის ძალით (როგორც, მაგალითად, ხელოსნურ მრეწველობაში და ა. შ.). კაპიტალისტური წარმოების აღმავალი განვითარების პერიოდში მწარმოებლობის განვითარება მრეწველობაში, მიწათმოქმედებასთან შედარებით, ძლიერ სწრაფად მიმდინარეობს, თუმცა მრეწველობის განვითარება იმასაც გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს, რომ მიწათმოქმედებაში მ ო ხ დ ა უკვე მნიშვნელოვანი ცვლილება ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის თანაფარდობაში, ე. ი. გულისხმობს, რომ ადამიანთა დიდი რაოდენობა გაძევებულია მიწიდან. შემდეგში მწარმოებლობა იზრდება მრეწველობაშიც და მიწათმოქმედებაშიც, თუმცა არა თანაბარი ტემპით. მაგრამ მრეწველობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ამ დისპროპორციამ უნდა დაიწყოს შემცირება, ე. ი. მიწათმოქმედების

მწარმოებლობა შეფარდებით უფრო სწრაფად უნდა დიდდებოდეს, ვიდრე მრეწველობის მწარმოებლობა. ამისათვის საჭიროა: 1) უქნარა ფერმერის შეცვლა მრეწველით, სოფლის მეურნეობის კაპიტალისტით, მიწათმოქმედთა გაღაქცევა წმინდა დაქირავებულ მუშებად, მიწათმოქმედების წარმართვა დიდი მასშტაბით, ე. ი. კონცენტრირებული კაპიტალების მეშვეობით; 2) განსაკუთრებით კი შემდეგი: მსხვილი მრეწველობის ნამდვილ მეცნიერულ საფუძველს შეადგენს მექანიკა, რომელმაც XVIII საუკუნეში რამდენადმე მიაღწია თავის მწვერვალს. მხოლოდ XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მერმინდელ ათწლეულებში *, ვითარდება მეცნიერებანი, რომლებიც უშუალოდ სპეციალურ საფუძვლებს წარმოადგენენ მიწათმოქმედებისათვის უფრო მეტად, ვიდრე მრეწველობისათვის, [494] — ქიმია, გეოლოგია და ფიზიოლოგია.

უაზრობაა ვილაპარაკოთ წარმოების ორი სხვადასხვა დარგის უფრო მეტ თუ უფრო ნაკლებ მწარმოებლობაზე ამ დარგების საქონელთა ღირებულების უბრალო შედარების საფუძველზე. თუ გირვანქა ბამბა 1800 წელს 2 შილინგი ღირდა, გირვანქა ნართი კი — 4 შილინგი და თუ ბამბის ღირებულება 1830 წელს უდრის 2 შილინგს, ან, ვთქვათ, 18 პენსს, ნართის ღირებულება კი — 3 შილინგს ანდა 1 შილ. 8 პენსს, მაშინ შეიძლებოდა შეგვედარებინა ის შეფარდება, რომლითაც გაიზარდა ამ ორ დარგში მწარმოებლობა. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ 1800 წლის დონე აღებულია ამოსავალ პუნქტად. იმის საფუძველზე კი, რომ გირვანქა ბამბა 2 შილინგი ღირს, გირვანქა ნართი კი — 3 შილინგი, ე. ი. იმის საფუძველზე, რომ ბამბის მწარმოებელი შრომა ორჯერ უფრო მეტია მრთველის [ახლადმიმატებულ] შრომაზე, უაზრობა იქნებოდა დასკვნის გაკეთება, თითქოს შრომის ერთი სახეობა ორჯერ უფრო მაღალი მწარმოებლობისაა, ვიდრე მეორე, — მსგავსად იმისა, როგორც უაზრობა იქნებოდა მტკიცება: რადგან ტილოს დამზადება უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მხატვრის მიერ ამ ტილოზე დახატული სურათი, ამიტომ მხატვრის შრომა ორჯერ უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ტილოს დამზადებაზე დახარჯული შრომა.

აქ სწორია შემდეგი (თუ ამასთან ცნებას «მწარმოებლური შრომა» ავიღებთ აგრეთვე კაპიტალისტური აზრით, ე. ი. ისეთი შრომის აზრით, რომელიც ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, და მხედველობაში მივიღებთ პროდუქტის შეფარდებითს რაოდენობებს):

* — ე. ი. 40-იან და 50-იან წლებში. რედ.

თუ საშუალოდ, ბამბეულის მრეწველობაში 100 მუშის დასასაქ-მებლად, რომლებსაც 100 გირვ. სტერლინგი ეძლევათ, საჭიროა, წარმოების პირობების შესაბამისად, 500 გირვ. სტერლინგის და-ხარჯვა ნედლეულზე, მანქანებზე და ა. შ. } ამ უკანასკნელთა მოცემული ღირებულების დროს } დ ა თუ, მეორე მხრივ, ხორბ-ლის წარმოებაში 100 მუშის დასასაქმებლად, რომლებსაც ასევე 100 გირვ. სტერლინგი ეძლევათ, საჭიროა 150 გირვ. სტერლინგის დახარჯვა ნედლეულსა და მანქანებზე, — მაშინ პირველ შემთხვე-ვაში ცვალებადი კაპიტალი შეადგენდა 600 გირვ. სტერლ. ერთობ-ლივი კაპიტალის $^1/_6$-ს და მუდმივი კაპიტალის $^1/_5$-ს; მეორე შემ-თხვევაში ცვალებადი კაპიტალი შეადგენდა 250 გირვ. სტერლ. ერთობლივი კაპიტალის $^2/_5$-ს და მუდმივი კაპიტალის $^2/_3$-ს. ამრიგად, ბამბეულის მრეწველობაში დაბანდებულ ყოველ 100 გირვ. სტერ-ლინგს შეუძლია შეიცავდეს ცვალებადი კაპიტალის მხოლოდ $16^2/_3$ გირვ. სტერლინგს და აუცილებლად შეიცავს მუდმივი კაპიტალის $83^1/_3$ გირვ. სტერლინგს; მეორე შემთხვევაში კი — ცვალებადი კაპიტალის 40 გირვ. სტერლინგს და მუდმივი კაპიტალის 60 გირვ. სტერლინგს. პირველ შემთხვევაში ცვალებადი კაპიტალი შეადგენს ერთობლივი კაპიტალის $^1/_6$-ს, ე. ი. $16^2/_3$-ს, მეორეში — 40%-ს. თუ რა უბადრუკ მდგომარეობაშია ახლანდელი შრომები ფასების ისტო-რიის დარგში, ეს ნათელია. და არც შეიძლება ისინი უბადრუკნი არ იყვნენ მანამდე, ვიდრე თეორია არ უჩვენებს მათ, სახელდობრ რისი გამოკვლევაა საჭირო. თუ მოცემულია ზედმეტი ღირებუ-ლების ნორმა, რომელიც, მაგალითად, 20% შეადგენს, მაშინ ზედ-მეტი ღირებულება იქნებოდა პირველ შემთხვევაში $3^1/_3$ გირვ. სტერ-ლინგი (მაშასადამე, მოგება შეადგენდა $3^1/_3$%); მეორე შემთხვევაში კი — 8 გირვ. სტერლ. (მაშასადამე, მოგება შეადგენდა 8%). ბამბეულის მრეწველობაში შრომა არ იქნებოდა ისე მწარმოებ-ლური, როგორც მარცვლეულის წარმოებაში, მაგრამ ეს სწორედ იმიტომ, რომ იგი იქნებოდა უფრო მწარმოებლური (ე. ი. ეს შრო-მა არ იქნებოდა ისე მწარმოებლური ზედმეტი ღირებულების წარმოე-ბის აზრით იმიტომ, რომ იგი იქნებოდა უფრო მწარმოებლური პრო-დუქტის წარმოების აზრით). ცხადია — გაკვრით შევნიშნავთ—რომ, მაგალითად, ბამბეულის მრეწველობაში თანაფარდობა 1 : $^1/_6$ [ერ-თობლივ კაპიტალსა და ცვალებად კაპიტალს შორის] შესაძლებელი> მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუდმივი კაპიტალი (ეს დამოკიდე-ბულია მანქანებზე და ა. შ.). დახარჯულია, ვთქვათ, 1000 გირვ. სტერლინგის ოდენობით, ხელფასი კი — 2000 გირვ. სტერლინგის ოდენობით, ასე რომ ერთობლივი კაპიტალი შეადგენს 12000-ს. თუ

დაიხარჯებოდა მხოლოდ 6000, ამასთან ხელფასზე — 1000, მაშინ მანქანები იქნებოდა ნაკლებმწარმოებლური და ა. შ. 100 გირვ. სტერლინგით სრულიად შეუძლებელი იქნებოდა საქმის წარმართვა. მეორე მხრივ, შესაძლებელია, რომ 23000 გირვ. სტერლინგის დახარჯვისას მოხდეს ისეთი გადიდება მანქანების ეფექტიანობისა, განხორციელდეს ისეთი ეკონომია სხვა მიმართებით და ა. შ., რომ, შესაძლოა, 1916$^{2}/_{3}$ გირვ. სტერლინგმა არ მოუწიოს მთლიანად მუდმივ კაპიტალს, არამედ ნედლეულის უფრო დიდმა რაოდენობამ და შრომის იმავე მასამ მოითხოვოს ნ ა კ ლ ე ბ ი მანქანები და ა. შ. (ღირებულების მიხედვით), ამასთან მათზე დაიზოგოს 1000 გირვ. სტერლინგი. მაშასადამე, მაშინ კვლავ იზრდება ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ კაპიტალი გადიდდა აბსოლუტურად. ეს ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ხელს უშლის მოგების ნორმის დაცემას. ორი კაპიტალი — თვითეული 12000 გირვ. სტერლ. ოდენობით — აწარმოებს საქონლის იმავე რაოდენობას, რასაც აწარმოებს ერთი კაპიტალი 23000 გირვ. სტერლ. რაოდენობით, მაგრამ ამასთან, ჯერ, ერთი, საქონელი იქნებოდა უფრო ძვირი, რადგან მასზე 1000 გირვ. სტერლინგით მეტი დაიხარჯებოდა, მეორე კი, მოგების ნორმა იქნებოდა უფრო მცირე, რადგან 23000 გირვ. სტერლინგ კაპიტალში ცვალებადი კაპიტალი უფრო დიდ ნაწილს შეადგენს, ვიდრე $^{1}/_{6}$ ერთობლივი კაპიტალისა და, მაშასადამე, უფრო დიდს, ვიდრე ის ნაწილია, რასაც იგი შეადგენს ორი კაპიტალის ჯამში, რომელთაგან თვითეული 12000 გირვ. სტერლ. უდრის. [494].

[494] (ერთი მხრივ, მრეწველობის პროგრესთან ერთად მანქანები უფრო ეფექტიანი და იაფი ხდება, და, მაშასადამე, მიწათმოქმედების მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი მცირდება — იმ შემთხვევაში, თუ მანქანები აქ მხოლოდ ი მ ა ვ ე ო დ ე ნ ო ბ ი თ გამოიყენება, რა ოდენობითაც მათ უწინ იყენებდნენ; მაგრამ მანქანების რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მათი გაიაფება, რადგან ეს ელემენტი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული მიწათმოქმედებაში. მეორე მხრივ, მიწათმოქმედების ნაყოფიერების გადიდებასთან ერთად ეცემა ნედლეულის ფასი — ამის მაგალითია ბამბა, — ასე რომ ნედლეული როგორც ღირებულების შექმნის პროცესის შემადგენელი ნაწილი დიდდება არა იმ პროპორციით, რითაც იგი დიდდება როგორც შრომის პროცესის შემადგენელი ნაწილი.)[82].

* * *

უკვე პეტი ამბობდა, რომ მის დროს ლენდლორდებს ეშინოდათ მიწათმოქმედების გაუმჯობესების, რადგან ამ გაუმჯობესების შედეგად ეცემა მიწათმოქმედების პროდუქტების ფასები და მიწის რენტა (მისი სიმაღლის მიხედვით); რომ ამავე მიზეზით მათ ეშინოდათ აგრეთვე მიწის ფართობის გადიდებისა და წინათ გამოუყენებელი მიწის დამუშავებისა, რაც მიწის ფართობის გადიდებას უდრის. (ჰოლანდიაში მიწის ფართობის ასეთი გადიდება უნდა გვესმოდეს სიტყვის კიდევ უფრო პირდაპირი აზრით.) პეტი ლაპარაკობს:

«ლენდლორდები ბუზღუნებენ და უჩივიან ჭაობების ამოშრობას, ტყეების გაწმენდას, სათემო მიწების შემოღობვას იმ მიზნით, რომ სახნავ მიწად აქციონ, ესპარაგუტისა და სამყურას გაშენებას — როგორც ისეთ რაშეს, რაც საარსებო საშუალებათა ფასის შემცირებას იწვევს» («Political Arithmetik», London, 1699, გვ. 230). «მთელი ინგლისის, უელსისა და შოტლანდიის დაბლობი ნაწილის რენტა შეადგენს დაახლოებით 9 მილიონ გირვ. სტერლინგს წელიწადში» (იქვე, გვ. 231).

პეტი ინარჩვის ლენდლორდების ამ შეხედულებათა წინააღმდეგ, დავენანტი კი ავითარებს [495] შემდგომ იმ აზრს, რომ რენტის სიმაღლე შეიძლება მ'ცირდებოდეს, მაშინ როდესაც რენტის მასა, ანუ რენტის საერთო ჯამი, შეიძლება ამასთან დიდდებოდეს. დავენანტი ამბობს:

«რენტა შეიძლება ეცემოდეს ზოგიერთ ადგილებსა და ზოგიერთ საგრაფოებში, და მაინც ერის მიწა — მთლიანად აღებული» — (მას მხედველობაში აქვს მიწის ღირებულება) «შეიძლება მუდამ უმჯობესდებოდეს; მაგალითად, თუ ადგილი აქვს პარკებისა და ტყეების გაშენდას, სათემო მიწების შემოღობვას, თუ ჭაობებს აშრობენ და ბევრ მიწას ნაკვეთს დამუშავებთა და სასუქის შეტანით აუმჯობესებენ, ამან, რასაკვირველია, უნდა შეამციროს იმ მიწის ღირებულება, რომელიც უკვე უწინ იყო საუსებით გაუმჯობესებული და მისი შემდგომი გაუმჯობესება უკვე აღარ შეიძლება; ამის შედეგად, მართალია, ცალკეულ კერძო პირთა პარენტო შემოსავალი შეცირდება, მაგრამ მაინც ამავე დროს ასეთ გაუმჯობესებათა შეოხებით სამეფოს საერთო რენტა იზრდება» (D' A Venant. **Discourses on the Pudlick Revenues etc., Part** II, **London**, 1698, გვ. 26 — 27). 1666 — 1688 წლების მანძილზე კერძო პირთა რენტა დაეცა, მაგრამ რენტის საერთო ჯამის გადიდება სამეფოში ამ დროის განმავლობაში შედარებით უფრო დიდი იყო, ვიდრე წინა წლებში, იმიტომ რომ დროის ამ მონაკვეთში მიწის გაუმჯობესებანი უფრო მნიშვნელოვანი იყო და მათ უფრო საყოველთაო ხასიათი ჰქონდათ, ვიდრე ოდესმე უწინ» (იქვე, გვ. 28).

აქ ჩვენ ვხედავთ აგრეთვე იმასაც, რომ ინგლისელს რენტის სიმაღლე ყოველთვის ესმის როგორც რენტის შეფარდება კაპიტალთან და სრულიადაც არა როგორც რენტის შეფარდება სამეფოს ერთობლივ მიწის ფართობთან (ანდა საერთოდ აკრთან, როგორც ამას ბ-ნ როდბერტუსთან ვხედავთ).

[თავი მეცხრე]

შენიშვნები ეგრეთწოდებული რიკარდოსეული მიწის რენტის კანონის აღმოჩენის ისტორიის შესახებ. [დამატებითი შენიშვნები როდბერტუსის შესახებ] (გადასვ�)

[1) დიფერენციული რენტის აღმოჩენა ანდერსონის მიერ. ანდერსონის შეხედულებათა დამახინჯება მიწის მესაკუთრეთა ინტერესების სასარგებლოდ მისი პლაგიატორის — მალთუსის მიერ]

ანდერსონი იყო პრაქტიკოსი-მოიჯარე. მისი პირველი თხზულება, რომელშიც გაკვრით არის განხილული რენტის ბუნება, გამოქვეყნდა 1777 წელს[33], იმ ხანაში, როცა სერ ჯემს სტიუარტი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ჯერ კიდევ ყველაზე ავტორიტეტულ ეკონომისტად ითვლებოდა, მაგრამ ამასთანავე საყოველთაო ყურადღება მიიქცია «Wealth of Nations»-მა, რომელიც ანდერსონის ნაწარმოებზე ერთი წლით ადრე გამოვიდა[34]. პირიქით, შოტლანდიელი მოიჯარის თხზულება, რომელიც იმ დროს სადავოდ გამხდარი ერთი უშუალოდ პრაქტიკული საკითხის გამო დაიწერა, — თხზულებას, რომელშიც ავტორი ლაპარაკობდა რენტაზე არა ex professio *, არამედ მის ბუნებას მხოლოდ სხვათა შორის არკვევდა, ვერავითარ ყურადღებას ვერ მიიპყრობდა. ანდერსონი ამ თხზულებაში რენტას განიხილავს მხოლოდ სხვა საკითხებთან დაკავშირებით და არა ex professio. ასევე გაკვრით ეხება იგი ამ თავის თეორიას ერთ თუ ორ ნარკვევში, რომლებიც თვით მან გამოსცა ნარკვევთა სამტომიან კრებულად შემდეგი სათაურით «Essays relating to Agriculture and Rural Affairs», 3 vols.,

* — სპეციალურად. რ ე დ.

Edinburgh, 1775—1796. იგივე ითქმის 1799—1802 წლების მანძილზე გამოცემულ თხზულებაზე «Recreations in Agriculture, Natural-History, Arts» etc, London. (იხილეთ ბრიტანეთის მუზეუმში[35]).— ყველა ეს ის თხზულებებია, რომლებიც უშუალოდ განკუთვნილი იყვნენ მოიჯარეებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის. ანდერსონს რომ წარმოდგენა ჰქონოდა მის მიერ მოხდენილი აღმოჩენის მნიშვნელობაზე და საზოგადოებისათვის იგი წარედგინა ცალკე, როგორც «Inquiry into the Nature of Rent» *, ანდა მას რომ თუნდაც მინიმალური ოდენობით ჰქონოდა იმის უნარი, რომ საკუთარი იდეებით ისეთივე წარმატებით ევაჭრნა, როგორც მისი თანამემამულე მაკ-კულოხი სხვისი იდეებით ვაჭრობდა, — მაშინ საქმის ვითარება სხვაგვარი იქნებოდა.

მისი თეორიის რეპროდუქციები გამოქვეყნდა 1815 წელს ერთბაშად რენტის ბუნების შესახებ ცალკე თ ე ო რ ი უ ლ გამოკვლევათა სახით, როგორც ამას გვიჩვენებს უესტისა და მალთუსის სათანადო თხზულებათა თვით სათაურები:

მალთუსი — «Inquiry into the Nature and Progress of Rent».
უესტი — «Essay on the Application of Capital to Land».

მალთუსმა ისარგებლა, შემდეგ, ანდერსონისეული რენტის თეორიით იმისათვის, რათა თავისი მოსახლეობის კანონისათვის პირველად მიეცა ერთსა და იმავე დროს პოლიტიკურ-ეკონომიური და რეალური (ბუნებრივისტორიული) დასაბუთება, მაშინ როდესაც წინამორბედი მწერლებისაგან მის მიერ ნასესხები სისულელე გეომეტრიული და არითმეტიკული პროგრესიის შესახებ წმინდა ქიმერული ჰიპოთეზა იყო. ბ-ნმა მალთუსმა მაშინვე «გამოიყენა» ხელსაყრელი მდგომარეობა. რ ი კ ა რ დ ო მ კი, როგორც თვითონ ლაპარაკობს წინასიტყვაობაში[35], ეს მოძღვრება რენტაზე გახადა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლად პოლიტიკური ეკონომიის საერთო სისტემაში და მიანიჭა მას, — რომ ადარაფერი ვთქვათ უკვე საქმის პრაქტიკულ მხარეზე, — სრულიად ახალი თეორიული მნიშვნელობა.

რიკარდო აშკარაა არ იცნობდა ანდერსონს, რადგან თავისი პოლიტიკური ეკონომიის წინასიტყვაობაში რენტის თეორიის ფუძემდებლებად იგი ასახელებს უესტსა და მალთუსს. უ ე ს ტ ი ც, თუ იმ ორიგინალური მანერის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლითაც იგი კანონს გადმოგვცემს, ასევე, ალბათ, არ იცნობდა ანდერსონს, —

* «გამოკვლევა რენტის ბუნების შესახებ». რ ე დ.

მსგავსად იმისა, როგორც ტუკი არ იცნობდა **სტიუარტს. სხვავვარა-**
	aa საქმის ვითარება ბ-ნ მალთუსის მიმართ. მისი თხზულების
დეტალური შედარება ანდერსონის შრომებთან გვიჩვენებს, რომ
მალთუსი იცნობს ანდერსონს და სარგებლობს მისი ნაწერებით.
მალთუსი საერთოდ პროფესიული პლაგიატორი იყო. [496]
საკმარისია მხოლოდ შევადაროთ მოსახლეობის შესახებ მისი თხზუ-
ლების[37] პირველი გამოცემა მისი მაღალღირსების ტაუნ-
სენდის[38] ჩემ მიერ წინათ ციტირებულ თხზულების, რათა დავრწ-
მუნდეთ, რომ მალთუსს კი არ გადაუმუშავებია ტაუნსენდის
ნაწარმოები როგორც თავისუფალი შემოქმედებითი აზრის ადამი-
ანს, არამედ გადმოუწერია და გადასხვაფერებულად გადმოუცია
იგი როგორც მონა-მორჩილ პლაგიატორს, თუმცა არსად არ
ასახელებს ტაუსენდის ნაწარმოებს, მალავს
მის არსებობას.

დამახასიათებელია ის ხერხი, რომლითაც მალთუსმა ანდერსო-
ნის შეხედულებანი გამოიყენა. ანდერსონი იცავდა პურის გაზიდვის
წამახალისებელ საექსპორტო პრემიებს და პურის შემოზიდვის
შემკვეცელ საშემოსაზიდო ბაჟებს, — და ამას აკეთებდა სრულია-
დაც არა ლენდლორდების ინტერესებისათვის, არამედ იმის ვარაუ-
დით, თითქოს ასეთი სახის კანონმდებლობა «ამცირებს პურის
საშუალო ფასს» და უზრუნველყოფს მიწათმოქმედების მწარმოებ-
ლური ძალების თანაბარ განვითარებას. მალთუსმა მიიღო ანდერ-
სონის ეს პრაქტიკული დასკვნა იმიტომ, რომ მალთუსი — როგორც
ჭეშმარიტი წევრი ანგლიკანური სახელმწიფო ეკლესიისა — პრო-
ფესიული სიკოფანტი * იყო მიწის არისტოკრატიისა, რომლის რენ-
ტას, სინეკურას, მფლანგველობას, უსულგულობას და ა. შ. იგი
ეკონომიურად ამართლებდა. მალთუსი იცავს სამრეწველო ბურ-
ჟუაზიის ინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მიწის
საკუთრების, არისტოკრატიის ინტერესების იდენტურნი არიან, ე. ი.
იცავს მათ ხალხის მასის წინააღმდეგ, პროლეტარიატის წი-
ნააღმდეგ; მაგრამ იქ, სადაც მიწის არისტოკრატიისა და სამრე-
წველო ბურჟუაზიის ინტერესები განსხვავდებიან და მტრულად
უპირისპირდებიან ერთმანეთს, მალთუსი დგება არისტოკრატიის მხა-
რეზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ. აქედან წარმოდგება მისი დაცვა
«არამწარმოებელი მუშაკებისა», ჭარბმოხმარებისა და ა. შ.
პირიქით, ანდერსონი სხვაობას რენტის გადამხდელ მიწასა და

* — მლიქვნელი, ლაქია. რედ.

იმ მიწას შორის, რომელიც რენტას არ იხდის, ანდა იმ მიწებს შორის, რომლებიც არათანაბარ რენტას იხდიან, ხსნიდა იმ ნიადაგის შეფარდებითი დაბალნაყოფიერებით, რომელიც რენტას არ იძლევა ანდა უფრო მცირე რენტას იძლევა, შედარებით რენტის მომცემ ნიადაგთან ან უფრო დიდი რენტის მომცემ ნიადაგთან. მაგრამ იგი გარკვევით ამბობდა, რომ სხვადასხვა კატეგორიის ნიადაგთა შეფარდებითი ნაყოფიერების ამ ხარისხს, მაშასადამე, ცუდი კატეგორიის ნიადაგის შეფარდებითს დაბალნაყოფიერებასაც შედარებით საუკეთესო კატეგორიის ნიადაგთან, აბსოლუტურად არაფერი საერთო აქვს მიწათმოქმედების აბსოლუტურ ნაყოფიერებასთან. პირიქით, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არა მარტო უველა კატეგორიის ნიადაგის აბსოლუტური ნაყოფიერება შეიძლება დიდდებოდეს მუდამ და მოსახლეობის ზრდასთან ერთად უნდა დიდდებოდეს კიდეც, არამედ უფრო შორს მიდიოდა და ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა კატეგორიის ნიადაგის ნაყოფიერების უტოლობა შეიძლება სულ უფრო და უფრო გათანაბრდესო. ის ამბობდა, რომ ინგლისის მიწათმოქმედების განვითარების ახლანდელი დონე არავითარ წარმოდგენას არ იძლევა მისი შესაძლებელი განვითარების შესახებ. ამასთან დაკავშირებით იგი ლაპარაკობდა, რომ ერთ ქვეყანაში პურის ფასი შეიძლება იყოს მაღალი, რენტა კი — დაბალი, ხოლო მეორე ქვეყანაში პურის ფასი შეიძლება იყოს დაბალი, რენტა კი— მაღალი; და ეს გამომდინარეობდა მისი ძირითადი დებულებიდან, ვინაიდან ორივე ქვეყანაში რენტათა სიმაღლე და თვით მათი არსებობა განისაზღვრება ნაყოფიერი და ნაკლებნაყოფიერი ნიადაგის სხვაობით, მაგრამ არც ერთში ამ ორი ქვეყნიდან რენტა არ განისაზღვრება აბსოლუტური ნაყოფიერებით; თვითეულ ამ ქვეყანაში რენტა განისაზღვრება მხოლოდ არსებულ კატეგორიათა ნიადაგის ხარისხში მოცემული სხვაობით, მაგრამ არც ერთ ამ ქვეყანაში იგი არ განისაზღვრება ამ კატეგორიათა ნიადაგის საშუალო ნაყოფიერებით. აქედან იგი აკეთებდა დასკვნას, რომ მიწათმოქმედების აბსოლუტურ ნაყოფიერებას არაფერი საერთო აქვს რენტასთან. ამიტომ მან შემდეგში თავისი თავი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ *, მოსახლეობის მალთუსისეული თეორიის სასტიკ მტრად გამოაცხადა და ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ მისი საკუთარი რენტის თეორია ამ საოცარი მონაგონის დასაბუთებისთვის გამოდგებოდა. პურის ფასე-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 186 — 187. რედ.

ბის გადიდებას ინგლისში 1750 — 1801 წლების პერიოდში 1700 — 1750 წლების პერიოდთან შედარებით ანდერსონი სრულიადაც არ ხსნიდა იმით, რომ დამუშავებაში შედიოდა სულ უფრო ნაკლები ნაყოფიერების მქონე მიწები; იგი ამის მიზეზად მიიჩნევდა კანონმდებლობის გავლენას მიწათმოქმედებაზე ამ ორი პერიოდის განმავლობაში.

რაღას აკეთებს მალთუსი?

ნაცვლად თავისი (ასევე მოპარული) ქიმერისა გეომეტრიული და არითმეტიკული პროგრესიის შესახებ, რაც მან შემოინახა როგორც «ფრაზა», თავისი მოსახლეობის თეორიის დასადასტურებლად ანდერსონის თეორია გამოიყენა. მან შემოინახა ანდერსონის თეორიის პრაქტიკული დასკვნები, რამდენადაც ისინი ლენდლორდების ინტერესებს შეესაბამებოდნენ,—უკვე მარტო ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ მალთუსს ისევე ნაკლებად გაეგებოდა ამ თეორიის კავშირი ბურჟუაზიული საზოგადოების პოლიტიკური ეკონომიის სისტემასთან, როგორც თვით ანდერსონს. მან ეს თეორია პროლეტარიატის წინააღმდეგ შეატრიალა და ამ თეორიის ავტორის კონტრარგუმენტების განხილვაში არ შევიდა. რიკარდოს წილად ხვდა წინ გადაედგა ის თეორიული და პრაქტიკული ნაბიჯი, რომელიც ამ თეორიიდან გამომდინარეობდა: თეორიულად — საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა და ა. შ. განსაზღვრისათვის და მიწის საკუთრების ბუნების გარკვევისათვის; პრაქტიკულად—ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე მიწის კერძო საკუთრების აუცილებლობის წინააღმდეგ და, უფრო უშუალოდ, სახულმწიფოს ყველა იმ, პურის კანონების მსგავსი, ღონისძიების წინააღმდეგ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ მიწის საკუთრების ზრდას. ერთადერთი პრაქტიკული დასკვნა, რაც მალთუსმა გააკეთა, ეს იყო მფარველობითი ბაჟების დაცვა, რასაც 1815 წელს ლენდლორდები მოითხოვდნენ, — სიკოფანტური სამსახურის გაწევა არისტოკრატებისათვის, — და ახალი გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ა სიმდიდრის მწარმოებელთა სიღატაკისა, ახალი აპოლოგია შრომის ექსპლოატატორებისა. ამ მხრივ ეს იყო მეწარმე-კაპიტალისტებისთვის გაწეული სიკოფანტური სამსახური.

მალთუსს ახასიათებს აზრის დ ი დ ი უ ხ ა მ ს ო ბ ა, — უხამსობა, რის ნებაც შეუძლია მისცეს თავის თავს მხოლოდ ხუცესმა, [497] რომელიც ადამიანთა სიღატაკეში ხედავს შეცოდებისათვის სასჯელს და საგრთოდ ვერ ელევა „ამქვეყნიერ ჭირვარამს», მაგრამ ამასთანავე მხედველობაში იღებს მის მიერ მისაღებ საეკლესიო შემოსა-

ვალს და იყენებს რა დოგმას განვების შესახებ, ფრიად ხელსაყრელად თვლის თავისთვის «დაუტკბოს» გაბატონებულ კლასებს ამ ჭირვარამში ყოფნა. აზრის ეს უხამსობა ვლინდება აგრეთვე მის სამეცნიერო საქმეებში. ჯერ ერთი, პლაგიატორობაში, რასაც ის უსირცხვილოდ და ხელსნურად ეწევა. მეორე, იმ სიფრთხილით აღსავსე, და არა უბოდიშოდ გაბედულ დასკვნებში, რომლებსაც იგი მეცნიერული წანამძღვრებიდან აკეთებს.

[2) მწარმოებლური ძალების განვითარების მოთხოვნა როგორც რიკარდოს ძირითადი პრინციპი ეკონომიური მოვლენების შეფასებაში. გაბატონებული კლასების უველაზე რეაქციული ელემენტის აპოლოგეტიკა მალთუსის მიერ. მოსახლეობის მალთუსისეული თეორიის ფაქტიური უარყოფა დარვინის მიერ]

რიკარდო კაპიტალისტურ წარმოების წესს განიხილავს როგორც საერთოდ წარმოებისათვის ყველაზე ხელსაყრელს, როგორც ყველაზე ხელსაყრელს სიმდიდრის შესაქმნელად, და რიკარდო სავსებით მართალია თავისი ეპოქისათვის. მას სურს წარმოება წარმოებისათვის და იგი სავსებით მართალია წამოაყენო ამის წინააღმდეგ, როგორც ამას რიკარდოს სანტიმენტალური მოწინააღმდეგენი აკეთებდნენ, ის მოსაზრება, რომ წარმოება როგორც ასეთი თვითმიზანს არ წარმოადგენს, ეს ნიშნავს დაივიწყო, რომ წარმოება წარმოებისათვის სხვა არაფერია, თუ არა კაცობრიობის მწარმოებლური ძალების განვითარება, ე. ი. ადამიანური ბუნების სიმდიდრის განვითარება როგორც თვითმიზანი. თუ ამ მიზანს ცალკეულ ინდივიდთა კეთილდღეობას დაუპირისპირებთ, როგორც სისმონდი აკეთებდა, ეს იმის მტკიცებას ნიშნავს, რომ ადამიანთა მთელი მოდგმის განვითარება უნდა შეჩერდეს ცალკეულ ინდივიდთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რომ, მაშასადამე, არ შეიძლება, მაგალითად, არავითარი ომის წარმოება, რადგან ომი ყოველ შემთხვევაში ცალკეულ პირთა დაღუპვას იწვევს. (სისმონდი მართალია მხოლოდ ისეთი ეკონომისტების წინააღმდეგ, რომლებიც ჩქმალავენ ამ ანტაგონიზმს, უარყოფენ მას.) საკითხისადმი ასეთი მიდგომისას გაუგებარი რჩება ის, რომ ასეთი განვითარება «ადამიანის» მოდგმის უნარისა, თუმცა იგი თავდაპირველად ადამიანთა ინდივიდების ანდა ადამიანთა თვით კლასების უმრავ-

ლესობის ხარჯზე ხდება, საბოლოოდ დაამხობს ამ ანტაგონიზმს და დაემთხვევა ყოველი ცალკეული ინდივიდის განვითარებას; რომ, მაშასადამე, ინდივიდუალობის უფრო მაღალი განვითარება მხოლოდ ისეთი ისტორიული პროცესის ფასად ჯდება, რომლის მსვლელობაშიც ინდივიდები მსხვერპლად გაიღებიან. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ უკვე ამგვარ დამრიგებლურ მსჯელობათა უნაყოფობაზე, რადგან ადამიანთა სამყაროში, ისევე როგორც მცენარეთა და ცხოველთა სამყაროშიც, მოდგმის ინტერესები მუდამ ინდივიდთა ინტერესების ხარჯზე იკაფავენ გზას, და ეს იმიტომ ხდება, რომ მოდგმის ინტერესები ემთხვევა განსაკუთრებულ ინდივიდთა ინტერესებს, და სწორედ ამაშია ამ უკანასკნელთა ძალაც, მათი უპირატესობა.

რიკარდოს პირდაპირობა მისი პოზიციისათვის იყო, მაშასადამე, არა მარტო მეცნიერულად პატიოსანი, არამედ მეცნიერულად სავალდებულოც. მაგრამ ამიტომაც რიკარდოსთვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, სასიკვდილოდ ამარცხებს თუ არა მწარმოებლური ძალების შემდგომი განვითარება მიწის საკუთრებას ანდა მუშებს. რიკარდო მიესალმება ამასაც, როცა ეს პროგრესი სამრეწველო ბურჟუაზიის კაპიტალს აუფასურებს. თუ შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება სანახევროდ უზრუნველყოფს ნაღდ ძირითად კაპიტალს, მერე რა გამოდის აქედანო? — ამბობს რიკარდო, — სამაგიეროდ ხომ ადამიანის შრომის ნაყოფიერება გაორკეცდაო. აქ არის, მაშასადამე, მეცნიერული პატიოსნება. თუ რიკარდოს თვალსაზრისი შეეფერება კიდეც საერთოდ სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ინტერესები ემთხვევა—და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ემთხვევა,— წარმოების ინტერესებს, ანდა ადამიანის შრომის ნაყოფიერების განვითარების ინტერესებს. იქ, სადაც ბურჟუაზია ამ განვითარებასთან წინააღმდეგობაში ვარდება, რიკარდო ისევე ულმობლად ილაშქრებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, როგორც სხვა შემთხვევებში — პროლეტარიატისა და არისტოკრატიის წინააღმდეგ.

მაგრამ მალთუსი! ეს არამზადა უკვე მეცნიერების მიერ მოპოვებული (და ყოველთვის მის მიერ მოპარული) წინამძღვრებიდან ისეთ დასკვნებს აკეთებს, რომლებიც «სასიამოვნოა» (სასარგებლო) არისტოკრატიისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ორივესათვის — პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამიტომ მას სურს არა წარმოება წარმოებისათვის, არამედ

მხოლოდ წარმოება იმდენად, რამდენადაც იგი ინახავს ან განამტკიცებს არსებულ წყობილებას და ხელსაყრელია გაბატონებული კლასებისათვის.

უკვე მისი პირველი თხზულება[39], ერთ-ერთი ყველაზე შესაწინაღეი ლიტერატურული მაგალითი ორიგინალური შრომების ხარჯზე პლაგიატის წარმატებისა, ისახავდა პრაქტიკულ მიზანს — «ეკონომიურად» დაემტკიცებინა, ინგლისის არსებული მთავრობისა და მიწათმფლობელური არისტოკრატიის ინტერესებისათვის, საფრანგეთის რევოლუციისა და ინგლისში მისი მომხრეების გარდამქმნელ მისწრაფებათა უტოპიურობა. მოკლედ, ეს იყო პანეგირისტული პამფლეტი არსებული წყობილების დასაცავად ისტორიული განვითარების წინააღმდეგ; ამასთანავე ეს იყო რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ომის გამართლებაც.

მის 1815 წელს გამოსულ თხზულებებს მფარველობითი ბაჟებისა და მიწის რენტის[40] შესახებ ნაწილობრივ უნდა დაედასტურებინათ მწარმოებელთა სიღატაკის წინანდელი აპოლოგია, ხოლო პირველ რიგში — დაეცვათ რეაქციული მიწის საკუთრება «განათლებული», «ლიბერალური» და «პროგრესული» კაპიტალის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი გაემართლებინათ ინგლისური კანონმდებლობის ის ნაბიჯი უკან, რომელიც განზრახული იყო მაშინ არისტოკრატიის ინტერესების დასაცავად სამრეწველო ბურჟუაზიის წინააღმდეგ[41]. ბოლოს, [498] მის თხზულებას «Principles of Political Economy», რომელიც მიმართული იყო რიკარდოს წინააღმდეგ, არსებითად მიზნად ჰქონდა აბსოლუტური მოთხოვნები «სამრეწველო კაპიტალისა» და იმ კანონებისა, რომელთა მიხედვით ამ კაპიტალის მწარმოებლობა ვითარდება, ისეთ «საზღვრებამდე» დაეყვანა, რომლებიც «ხელსაყრელნი» და «სასურველნი» იქნებოდნენ მიწათმფლობელური არისტოკრატიის, «სახელმწიფო ეკლესიის» (რომელსაც მალთუსი ეკუთვნოდა), მთავრობის პენსიების მიმღებთა და გადასახადების შთანმთქმელთა არსებული ინტერესების თვალსაზრისით. მაგრამ ადამიანს, რომელიც ესწრაფვის მეცნიერება ისეთ თვალსაზრისს შეუგუოს, რაც აღებულია არა თვით მეცნიერებიდან (რაგინდ მცდარიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი), არამედ გარედან, ისეთ თვალსაზრისს, რომელიც ნაკარნახევია მეცნიერებისათვის უცხო მისთვის გარეგანი ინტერესებით, — ასეთ ადამიანს მე ვუწოდებ «სულმდაბალს».

რიკარდოს მხრივ არავითარი სულმდაბლობა არაა ის, რომ იგი პროლეტარიატს მანქანებთან, სასაპალნე პირუტყვთან ან საქონელ-

თან ათანაბრებს, რადგან «წარმოებას» (მისი თვალსაზრისით) ხელს უწყობს ის, რომ ისინი მხოლოდ მანქანებს ან სასაპალნე პირუტყვს წარმოადგენენ ანდა რადგან ისინი ბურჟუაზიულ წარმოებაში ნამდვილად მხოლოდ საქონელს წარმოადგენენ. ეს სტოიციზმია, ეს ობიექტურია, ეს მეცნიერულია. რამდენადაც ეს შესაძლებელია თავისი მეცნიერების მიმართ შ ე ც ო დ ე ბ ი ს გარეშე, რიკარდო მუდამ ფილანტროპია, როგორც იყო ივი კიდეც პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი.

სულ სხვაგვარადაა საქმე ხუცეს მალთუსთან. მასაც [აგრეთვე] წარმოების გულისათვის მუშები დაჰყავს სასაპალნე პირუტყვამდე, განწირულნი ჰყავს ისინი შიმშილით სასიკვდილოდაც და უქორწინოდ დასარჩენადაც კი. [მაგრამ] იქ, სადაც წარმოების იგივე მოთხოვნები ლენდლორდს მის «რენტას» უმცირებენ, სადაც ისინი ემუქრებიან სახელმწიფო ეკლესიის «სამეათედოს» ან «გადასახადების შთანმთქმელთა» ინტერესებს, ანდა იმ შემთხვევებშიც, როცა სამრეწველო ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომლის ინტერესებიც წარმოების პროგრესს აფერხებენ, მსხვერპლად ეწირება ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელიც ამ პროგრესის წარმომადგენელია, — მოკლედ, იქ, სადაც არისტოკრატიის რაიმე ინტერესი ბურჟუაზიის ინტერესებს უპირისპირდება, ანდა იქ, სადაც ბურჟუაზიის კონსერვატიული და ერთ წერტილზე გაყინული ფენების რაიმე ინტერესი პროგრესული ბურჟუაზიის ინტერესებს უპირისპირდება, — ყველა ამ შემთხვევაში «ხუცესი» მალთუსი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოებას კი არ სწირავს, არამედ ყოველნაირად ც დ ი ლ ო ბ ს წარმოების მოთხოვნები მსხვერპლად შესწიროს გაბატონებული კლასების ან კლასობრივი ჯგუფების განსაკუთრებულ ინტერესებს არსებულ საზოგადოებაში. და ამ მიზნისათვის იგი ა ყ ა ლ ბ ე ბ ს თავის დასკვნებს მეცნიერების დარგში. ამაშია მისი სიმდაბლე მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ, მისი შეცოდება მეცნიერების წინააღმდეგ, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე მის უსირცხვილო პლაგიატორობაზე, რაც მას ხელობად გაუხდია. მალთუსის მეცნიერული დასკვნები გაკეთებულია საერთოდ გაბატონებული კლასების და განსაკუთრებით ამ გაბატონებული კლასების რეაქციული ელემენტების ინტერესების «მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა შ ი მ ი ღ ე ბ ი თ»; ეს კი ნიშნავს: მალთუსი ა ყ ა ლ ბ ე ბ ს მეცნიერებას ამ კლასების ინტერესების გულისათვის. პირიქით, მისი დასკვნები ს რ უ ლ ი ა დ მ ო უ რ ი დ ე ბ ე ლ ი ა, უ ლ მ ო ბ ე ლ ი ა, რამდენადაც საქმე დაჩაგრულ კლასებს ეხება, იგი არა მარტო უ ლ მ ო ბ ე ლ ი ა, არა-

მედ საჩვენებლადაც კი გამოაქვს თავისი ულმობელობა, ცინიკურად იწონებს თავს იმით და თავისი დასკვნები, რამდენადაც ისინი მიმართულია ღატაკთა წინააღმდეგ, უკიდურესობამდე დაჰყავს, იმ ზომასაც კი აჭარბებს, რომელიც მისი თვალსაზრისით კიდევ შეიძლებოდა როგორმე მეცნიერულად გამართლებული ყოფილიყო*.

ინგლისის მუშათა კლასის სიძულვილი მალთუსისადმი — «ხუცეს-შარლატანისადმი», როგორც მას უხეშად უწოდებს კობეტი (კობეტი, მართალია, ინგლისის უდიდესი პოლიტიკური მწერალია ამ საუკუნეში; მაგრამ მას აკლდა ლაპიციგის პროფესორული განათლება[42], და იგი აშკარა მტერი იყო «მეცნიერული ენისა»), — ეს სიძულვილი მალთუსისადმი, მაშასადამე, სავსებით გამართლებულია; ხალხმა სწორი ალღოთი იგრძნო, რომ მის წინააღმდეგ გამოდის არა მეცნიერების ადამიანი, არამედ ხალხის მტრების მიერ მოსყიდული ადვოკატი გაბატონებული კლასებისა, მათი უსირცხვილო სიკოფანტი.

ადამიანს, როცა პირველად რაიმე იდეას აღმოაჩენს, შეუძლია, კეთილსინდისიერად დაუშვას შეცდომა და ეს იდეა უკიდურესობამდე დაიყვანოს; პლაგიატორი კი, რომელსაც იდეა უკიდურესობამდე დაჰყავს, ყოველთვის აქედან «სახეირო საქმეს» აკეთებს.

მალთუსის თხზულება მოსახლეობის შესახებ — პირველი გამოცემა — არც ერთ ახალ მეცნიერულ სიტყვას არ შეიცავს; ეს თხზულება უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც აბეზარი კაპუცინისეული ქადაგება, როგორც აბრაჰმ ა სანტა კლარას[43] სტილით დაწერილი ვარიანტი ტაუნსენდის, სტიუარტის, უოლესის, ერბერის და სხვათა მსჯელობებისა. და რადგან იგი სინამდვილეში იმ ვარაუდითაა დაწერილი, რომ შთაბეჭდილება მოახდინოს მხოლოდ თავისი პოპულარული ფორმით, ამიტომ ხალხის** სიძულვილიც სავსებით სამართლიანად მიმართულია მის წინააღმდეგ.

მალთუსის ერთადერთი დამსახურება, შედარებით ინტერესთა ჰარმონიის უბადრუკ მქადაგებლებთან, ბურჟუაზიული პოლიტიკური

---

* [499] რიკარდო (იხ. ზემოთ), როცა მის თეორიას იგი, მაგალითად, იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ხელფასის ზრდა მის მინიმუმზე მაღლა არ ადიდებს საჭონელთა ღირებულებას, პირდაპირ გამოთქვამს ამას. მალთუსი კი იცავს ხელფასის დაბალ დონეს იმ მიზნით, რომ ამით ბურჟუა მდიდრდებოდეს. [499]

** სიტყვების თამაშია. «populär» ნიშნავს «პოპულარული» და ასევე «ხალხის». რედ.

ეკონომიის დარგში რომ იღწვიან, სწორედ იმ დისჰარმონიათა გაძლიერებით ხაზგასმაა, რომლებიც მას, მართალია, სულაც არ აღმოუჩენია, მაგრამ რომლებიც მან ყოველ შემთხვევაში ხუცურად — თვითკმაყოფილი ცინიზმით განამტკიცა, უხეიროდ მოხატა და საქვეყნოდ გამოფინა.

* * *

[499] ჩარლზ დარვინი თავისი წიგნის «On the Origin of Species by means of Natural Selecktion, or the Preservation of Favoured Races in the Struggle for Life» (5th thousand), London, 1860 (გვ. 4 — 5) წინასიტყვაობაში ამბობს:

«შემდგომ განყოფილებაში განხილული იქნება ბრძოლა არსებობისათვის მთელი სამყაროს ორგანულ არსებებს შორის, რომელიც გარდუვალად გამომდინარეობს მაღალი გეომეტრიული პროგრესიით მათი გამრავლების უნარიდან. ეს არის მალთუსის მოძღვრება, გამოყენებული ცხოველთა და მცენარეთა მთელი სამყაროს მიმართ».

დარვინი თავის შესანიშნავ თხზულებაში ვერ ხედავდა, რომ მან მალთუსის თეორია გადააყირავა, როცა ცხოველთა და მცენარეთა სამეფოში «გეომეტრიული» პროგრესია აღმოაჩინა. მალთუსის თეორია სწორედ იმას ემყარება, რომ მან უოლესის გეომეტრიული პროგრესია ადამიანთა გამრავლების შესახებ დაუპირისპირა ცხოველთა და მცენარეთა ქიმერულ «არითმეტიკულ» პროგრესიას. დარვინის ნაწარმოებში, მაგალითად იქ, სადაც ლაპარაკია სახეობათა ამოწყდომაზე, მოცემულია ავრეთვე დეტალური (ალარაფერს ვამბობთ უკვე დარვინის ძირითად პრინციპზე) ბუნებრივისტორიული უარყოფა მალთუსისეული თეორიისა. ხოლო რამდენადაც მალთუსის თეორია ანდერსონის რენტის თეორიას ემყარება, იგი უარყოფილია თვით ანდერსონის მიერ". [499].

[8) მიწის რენტაზე შეხედულებათა განვითარების ისტორიის დამახინჯება როშერის მიერ. რიკარდოს მეცნიერული მიუდგომლობის მაგალითები. რენტა კაპიტალის მიწაში დაბანდებისას და რენტა ბუნების სხვა ელემენტების გამოყენებისას. კონკურენციის ორნაირი მოქმედება]

[499] ანდერსონის პირველი თხზულება, რომელშიც იგი გაკვრით ავითარებს რენტის თეორიას, პრაქტიკული პოლემიკური ხასი–

ათისა იყო, იგი არკვევდა არა რენტას, არამედ პროტექციონიზმს. ეს თხზულება გამოქვეყნდა 1777 წელს, და უკვე მისი სათაური გვიჩვენებს, რომ მას, ჯერ ერთი, პრაქტიკული მიზანი აქვს და, მეორე, მხედველობაში აქვს უშუალოდ ის საკანონმდებლო აქტი, რომელიც მაშინ მზადდებოდა და რომელშიც ერთიმეორეს უპირისპირდებოდა მრეწველთა და მიწის მესაკუთრეთა ინტერესები: «An Inquiry into the Nature of the Corn Laws; with a view to the new Corn-Bill proposed for Scotland», Edinburgh, 1777.

1773 წლის კანონი (ინგლისში; ამის შესახებ უნდა ინახოს **მ ა კ ფ ე ლ ო ხ ი**[45] კატალოგში) უნდა 1777 წელს (თითქოს) ძალაში შესულიყო შოტლანდიაში (იხილეთ ბრიტანეთის მუზეუმში).

«1773 წლის კანონი», — ამბობს ანდერსონი, — «გამოწვეული იყო **ა შ კ ა რ ა დ გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი** განზრახვით — დაეწიათ ჩვენი მრეწველებისათვის პურის ფასი, რათა საზღვარგარეთიდან შემოტანის წახალისებით უზრუნველეყოთ ჩვენი საკუთარი ხალხისათვის უფრო იაფი კვება» («A Calm Investigation of the Circumstances that have led to the Present Scarcity of Grain in Britain», London, 1801, გვ. 50).

ამრიგად, ანდერსონის თხზულება იყო პოლემიკური ნაწარმოები სოფლის მეურნეთა, ლენდლორდების ჩათვლით (პროტექციონიზმი), ინტერესების დასაცავად მრეწველთა ინტერესების წინააღმდეგ. ანდერსონმა თავისი შრომა გამოაქვეყნა ისეთი ნაწარმოების სახით, რომელიც «აშკარად» იცავს გარკვეული პარტიის ინტერესებს. რენტის თეორია აქ მხოლოდ სხვათა შორის არის მოხსენიებული. მის უფრო გვიანდელ თხზულებებშიც კი, რომლებიც მუდამ, ცოტად თუ ბევრად, ხსენებულ **ი ნ ტ ე რ ე ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა ს** ეხებიან, რენტის თეორია კვლავ მოხსენიებულია მხოლოდ გაკვრით, ერთხელ ან ორჯერ, და არსად არაა წამოყენებული პრეტენზია მეცნიერული ინტერესისა ანდა იმისა, რომ იგი გადმოცემის **დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი** საგანი იყოს. ამის შემდეგ შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად მართებულია შემდეგი შენიშვნა **ვ ი ლ ჰ ე ლ მ თ უ კ ი დ ი დ ე რ ო შ ე რ ი ს ა**[46], რომელიც, აშკარაა, **ა რ** იცნობს ანდერსონის თხზულებებს:

«საკვირველია, რომ მოძღვრებას, რომელიც 1777 წელს **თ ი თ ქ შ ი ს** შეუმჩნეველი დარჩა, 1815 და შემდეგ წლებში უეცრად უდიდესი ინტერესით იცავდნენ ერთნი და უარყოფდნენ მეორენი, რადგან ეს მოძღვრება ეხებოდა ამ დროის განმავლობაში ესოდენ გამწვავებულ ანტაგონიზმს ფულიან ადამიანებსა და მიწის მესა-

კუთრებებს შორის» («Die Grundlagen der Nationalökonomie», 3-te Auflage, 1858, გვ. 297—298).

ამ ფრაზაში რამდენი სიტყვაცაა, იმდენი დამახინჯებაა. ჯ ე რ ე რ თ ი, ანდერსონმა თავისი შეხედულება წამოაყენა არა «მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს» სახით, როგორც ეს უესტმა, მალთუსმა და რიკარდომ გააკეთეს. მ ე ო რ ე, ეს შეხედულება დარჩა არა «თ ი თ ქ მ ი ს», არამედ «ს რ უ ლ ი ა დ» შეუმჩნეველი. მ ე ს ა მ ე, იგი პირველად იყო გაკვრით გამოთქმული თხზულებაში, რომელიც ს პ ე ც ი ა ლ უ რ ა დ მრეწველობისა და ლენდლორდების ინტერესების 1777 წლისათვის მნიშვნელოვნად განვითარებული წინააღმდეგობის ირგვლივ ტრიალებდა მ ხ ო ლ ო დ, «ეხებოდა» მხოლოდ ინტერესთა ამ პრაქტიკულ ბრძოლას, მაგრამ სრულად «არ ეხებოდა» პოლიტიკური ეკონომიის ზოგად [500] თეორიას. მ ე ო თ ხ ე, 1815 წელს ამ თეორიას ქადაგებდა მალთუსი, ერთი იმათთაგანი, ვინც იგი აღადგინა, და სავსებით ისევე პურის კანონების ინტერესების დასაცავად, როგორც ამას ანდერსონი აკეთებდა. ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე ნოძღვრება მიმართული იყო მისი ავტორისა და მალთუსის მიერ მიწის საკუთრების დ ა ს ა ც ა ვ ა დ, დავიდ რიკარდოს მიერ კი — ამ საკუთრების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ამრიგად, სულ დიდი-დიდი იმის თქმა შეიძლებოდა, რომ ამ თეორიის მიმდევართაგან ერთნი ი ც ა ვ დ ნ ე ნ მიწის საკუთრების ინტერესებს, მაშინ როდესაც მეორენი ა მ ა ვ ე ინტერესების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ბ რ ძ ო დ ნ ე ნ, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ 1815 წელს ამ თეორიის წინააღმდეგ იბრძოდნენ მიწის საკუთრების დამცველნი (რადგან მალთუსი ამ თეორიას რ ი კ ა რ დ ო მ დ ე ი ც ავ და) ანდა რომ მას მიწის საკუთრების მოწინააღმდეგენი ი ც ა ვ დ ნ ე ნ (რადგან დავიდ რიკარდოს არ უხდებოდა ამ თეორიის «დაცვა» მალთუსის წინაალმდეგ, ამიტომ რომ თვით იგი მალთუსს განიხილავდა როგორც მის ერთ-ერთ ავტორს და როგორც თავის საკუთარ წინამორბედს; მას უხდებოდა მხოლოდ ამ თეორიიდან გაკეთებული მალთუსისეული პრაქტიკული დასკვნების წინაალმდეგ «ბრძოლა»). მ ე ხ უ თ ე, იმ ანტაგონიზმს «ფ უ ლ ი ან ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ს ა» და «მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე თ ა» შორის, რომელსაც ვილჰელმ თუკიდიდე როშერი ეხება, აქამდე ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ა რ ა ვ ი თ ა რ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა არ ჰქონია არც ანდერსონის რენტის თეორიასთან, არც მის აღდგენასთან, არც მის დაცვასთან, არც მის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ვილჰელმ თუკიდიდეს შეეძლო გაეგო ჯონ სტიუარტ მილის წიგნიდან («Essays on some Unsettled Questions of Political

Economy» London, 1844, გვ. 109—110), რომ 1) გამოთქმაში «ფულიანი კლასი» ინგლისელი გულისხმობს ფულის გამსესხებელ კლასს; რომ 2) ეს ფულის გამსესხებელი პირნი ან საერთოდ სარგებლით ცხოვრობენ, ანდა პროფესიით გამსესხებელნი არიან, როგორც, მაგალითად, ბანკირები, ბირჟის მაკლერები და ა. შ. ეს ადამიანები ყველანი, როგორც «ფულიანი კლასი», იმავე მილის შენიშვნით, უპირისპირდებიან «მწარმოებელ კლასს» (აქ მილი გულისხმობს «მრეწველ კაპიტალისტებს», და გამოთიშავს მუშებს) ანდა, ყოველ შემთხვევაში, განსხვავდებიან მისგან. მაშასადამე, ვილჰელმ თუკიდიდეს უნდა დაენახა, რომ «მწარმოებელი კლასის», ე. ი. მრეწველების, მრეწველი კაპიტალისტების ინტერესები და ფულიანი კლასის ინტერესები — ეს ორი მეტად სხვადასხვა რამაა და რომ ეს კლასები სხვადასხვა კლასებია. და შემდეგ, ვილჰელმ თუკიდიდეს უნდა დაენახა, რომ ბრძოლა მრეწველ კაპიტალისტებსა და ლენდლორდებს შორის სრულიადაც არ იყო, მაშასადამე, ბრძოლა «ფულიან ადამიანებსა» და «მიწის მესაკუთრეთა» შორის. ვილჰელმ თუკიდიდეს რომ 1815 წლის პურის კანონების ისტორია და ის ბრძოლა სცოდნოდა, რომელიც ამ კანონების ირგვლივ წარმოებდა, მაშინ მას უკვე კობეტის შრომებიდან ეცოდინებოდა, რომ მემამულენი (მიწის მესაკუთრენი) და გამსესხებელნი (ფულიანი ადამიანები) ერთად გამოდიოდნენ მრეწველი კაპიტალისტების წინააღმდეგ. მაგრამ კობეტი «უხვშია». ბოლოს, 1815—1847 წლების პერიოდის ისტორიიდან ვილჰელმ თუკიდიდეს უნდა სცოდნოდა, რომ ფულიანი ადამიანები მეტწილად და ნაწილობრივ ვაჭრებიც კი (მაგალითად, ლივერპულში) პურის კანონების ირგვლივ წარმოებულ ბრძოლაში მიწის მესაკუთრეების მოკავშირეთა შორის იმყოფებოდნენ მრეწველი კაპიტალისტების წინააღმდეგ. (500)

[502] (ბ-ნი როშერი შეეძლო გაეკვირვებინა, სულ დიდი-დიდი, იმ გარემოებას, რომ ერთი და იგივე «მოძღვრება» 1777 წელს ემსახურებოდა «მიწის მესაკუთრეთა» დაცვას, 1815 წელს კი მოგვევლინა მათ წინააღმდეგ მიმართული იარაღად და მხოლოდ მაშინ მიიქცია მან პირველად ყურადღება[47].) [502].

[500] თუ მე მოვინდომებდი ასევე დაწვრილებით გამეშუქებინა ისტორიის ყველა მსგავსი უხეში დამახინჯება, რომელთაც ადგილი აქვთ ვილჰელმ თუკიდიდესთან მის ისტორიულ-ლიტერატურულ შენიშვნებში, მაშინ მე უნდა დამეწერა ისეთივე დიდტანიანი შრომა, როგორც არის მისი «Grundlagen», და ასეთი შრომა, ჭეშმარიტად,

«არ ეღირებოდა იმ ქაღალდად, რომელზეც ის დაიწერებოდა». თუ როგორი მავნე ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს ვინმე ვილჰელმ თუკიდიდეს მეცნიერულ უვიცობას, თავის მხრივ, მეცნიერების სხვა დარგებში მომუშავე მკვლევარებზე, ამის მაჩვენებელია ა. ბ ა ს ტ ი ა ნ ი ს მაგალითი, რომელსაც თავის თხზულებაში—«Der Mensch in der Geschichte», 1860, ტომი, I, გვ. 374, შენიშვნა,—მოჰყავს ზემოაღნიშნული ნაწყვეტი ვილჰელმ თუკიდიდეს, რათა ერთი «ფსიქოლოგიური» დებულება დაამტკიცოს. ბასტიანის შესახებ, სხვათა შორის, არ შეიძლება ითქვას: «materiam superabcit opus *. პირიქით, «opus» ** აქ ვერ ართმევს თავს საკუთარ ნედლ მასალას. გარდა ამისა, იმ ცოტაოდენ მეცნიერებათა მიხედვით, რომელთაც მე «ვიცნობ», შევამჩნიე, რომ ბ-ნი ბ ა ს ტ ი ა ნ ი, «ყ ვ ე ლ ა» მეცნიერებას, რომ იცნობს, ძალიან ხშირად ენდობა ვილჰელმ თუკიდიდეს მსგავსს ავტორიტეტებს, რაც «უნივერსალური მეცნიერისათვის» საერთოდ გარდუვალია.

[501] იმედი მაქვს, რომ მე არ მისაყვედურებენ «ულმობელობაა» ვილჰელმ თუკიდიდეს მიმართ. როგორი «ულმობელობით» ექცევა ეს სკოლის პედანტი თვით მეცნიერებას! იმის შესახებ, რომ მას «სრულიად არ მოეპოვება ჭეშმარიტება», მე შემიძლია ვილაპარაკო, ყოველ შემთხვევაში, ისეთივე უფლებით, რითაც იგი ბედავს თავმომწონე-მოწყალებითი ტონით ილაპარაკოს რიკარდოს «ნახევარჭეშმარიტებათა» შესახებ [48]. ამასთან ვილჰელმ თუკიდიდე სულაც არ არის «კეთილსინდისიერი», როცა იგი საგნის ლიტერატურას ასახელებს. ვინც «არარესპექტაბელურია», ის მისთვის ისტორიულადაც არ არსებობს; ასე, მაგალითად, როდბერტუსი არ არსებობს მისთვის როგორც მიწის რენტის თეორეტიკოსი, იმიტომ რომ იგი «კომუნისტია». გარდა ამისა, ვილჰელმ თუკიდიდე არ არის ზუსტი «რესპექტაბელური მწერლების» მიმართაც. მაგალითად, მაკ-კულოხისათვის ბეილი არსებობს და იგი მის მიერ შეფასებულიც კია ისეთ ადამიანად, რომელმაც ეპოქა შექმნა. ვილჰელმ თუკიდიდესათვის ბეილი არ არსებობს. იმისათვის, რომ გერმანიაში პოლიტიკური ეკონომიის მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა [502] განვითარებინათ და პოპულარული გაეზადათ, ისეთ ადამიანებს, როგორც როდბერტუსია, უნდა დაეარსებინათ ჟურნალი, რომლის ფურცლებიც ღია იქნებოდა ყველა მკვლევა-

* — «მასალას გადააჭარბა ოსტატობამ» (ოვიდიუსი, «მეტამორფოზები»). რ ე დ.

** — ავტორის «ოსტატობა». რ ე დ.

რისათვის (მაგრამ არა სკოლის პედანტებისა და ვულგარიზატორებისათვის) და რომელიც თავის მთავარ მიზნად დაისახავდა — ემხილებინა პროფესიულ სწავლულთა უმეცრება როგორც თვით მეცნიერების დარგში, ისე მისი ისტორიის დარგშიც. [502]

* * *

[501] ანდერსონს აზრადაც არ მოსვლია განეხილა საკითხი — თუ რა მიმართებაშია მისი რენტის თეორია პოლიტიკური ეკონომიის სისტემასთან, და ამას მით უფრო ნაკლებად შეუძლია გაკვირვება გამოიწვიოს, რომ ანდერსონის პირველი წიგნი ა. სმიტის ნაწარმოების «Wealth of Nations» გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ გამოვიდა, ე. ი. ისეთ დროს, როცა «პოლიტიკური ეკონომიის სისტემა» საერთოდ ჯერ მხოლოდ პირველად ყალიბდებოდა, ვინაიდან სტიუარტის სისტემაც ასევე სულ მხოლოდ რამდენიმე წლით ადრე გაჩნდა. მაგრამ რაც შეეხება იმ მასალას, რაც ანდერსონს ჰქონდა ხელთ *განსახილველი სპეციალური საგნის ფარგლებში, ეს მასალა უდავოდ უფრო ფართო იყო, ვიდრე რიკარდოს მასალა.* მსგავსად იმისა, როგორც რიკარდოს თავის ფულის თეორიაში, რამაც იუმის თეორია აღადგინა, უმთავრესად მხოლოდ 1797 — 1809 წლების პერიოდის მოვლენები ედგა თვალწინ, ასევე რენტის შესახებ მოძღვრებაში, რამაც ანდერსონის თეორია აღადგინა, მას თვალწინ ესახებოდა მხოლოდ 1800 — 1815 წლებში პურის ფასების გადიდების ეკონომიური მოვლენები.

* * *

რიკარდოს დასახასიათებლად მეტად მნიშვნელოვანია მისი შემდეგი გამონათქვამები:

«ჩემთვის ძლიერ დასანანი იქნება, თუ *მოსაზრებანი რომელიმე ცალკეული კლასის სარგებლობის შესახებ* ქვეყნის სიმდიდრისა და ბოსახლეობის ზრდის შეფერხებას გამოიწვევს» (**Ricardo. An Essay on the Influence of a Low Price of Corn on the Profits of Stock etc. 2nd edit. London. 1815,** გვ. 49).

პურის თავისუფალი შემოზიდვისას «*მიწა ამოიღება დამუშავებიდან*» (იქვე, გვ. 46). მაშასადამე, მიწის საკუთრება მსხვერპლად ეწირება წარმოების განვითარებას.

მაგრამ პურის იმავე თავისუფალი შემოზიდვისას მოხდებოდა შემდეგი:

«არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კაპიტალის გარკვეული რაოდენობა დაიკარგებოდა. მაგრამ რას წარმოადგენს კაპიტალის ფლობა ანდა მისი შენახვა — მიზანს თუ საშუალებას? უეჭველია, საშუალებას. რაც ჩვენ გვესაჭიროება — ეს არის საქონელთა სიუხვე» (სიმდიდრე საერთოდ), «და თუ იმის დამტკიცებას შევძლებდით, რომ ჩვენი კაპიტალის ნაწილის შეწირვით შესაძლებელი იქნებოდა იმ საგნების წლიური წარმოების» (die jährliche Produktion) «გადიდება, რომელიც ჩვენს განცხრომასა და ჩვენს ბედნიერებას ხმარდება, მაშინ ჩვენ არ გვმართებდა ჩვენი ჩვენი კაპიტალის ნაწილის დაკარგვის გამო» («On Protection to Agriculture». 4th edition. London, 1822, გვ. 60)

«ჩვენს კაპიტალს» რიკარდო უწოდებს იმ კაპიტალს, რომელიც ჩვენი ან მისი კუთვნილება კი არ არის, არამედ რომელიც კაპიტალისტებმა მიწაში დაბანდეს. მაგრამ ვინ არის ეს ჩვენ? — ეს არის ერი, როგორც ერთგვაარი საშუალო. «ჩვენი» სიმდიდრის გადიდება არის გადიდება საზოგადოებრივი სიმდიდრისა, რომელიც წარმოადგენს მიზანს სწორედ როგორც საზოგადოებრივი სიმდიდრე, იმისდა მიუხედავად, თუ ვის უდევს წილი ამ სიმდიდრეში!

«ადამიანისათვის, რომელსაც 20 000 გირვ. სტერლ. აქვს, რაც მას ყოველწლიურად 2000 გირვ. სტერლ. მოგებას აძლევს, მნიშვნელობა არა აქვს, მისი კაპიტალი ს

ტომ მიწის რენტა აქ უდრის ამ ელემენტში შექმნილი პროდუქტის ღირებულების გადანამეტს ამ პროდუქტის საშუალო ფასზე. თუ ცალკეული ინდივიდის კერძო საკუთრებაში მყოფი რომელიმე ელემენტი ბუნებისა (ან ნივთიერება) შედის რომელიმე სხვა წარმოებაში, რომლის (ფიზიკურ) საფუძველს იგი არ შეადგენს, მაშინ მიწის რენტა — თუ იგი მხოლოდ იმის მეოხებით ჩნდება, რომ მოცემული ელემენტი უბრალოდ შედის წარმოებაში, — არ შეიძლება იყოს ამ პროდუქტის ღირებულების გადანამეტი საშუალო ფასზე, ის არის მხოლოდ ამ პროდუქტის საერთო საშუალო ფასის გადანამეტი მის საკუთარ საშუალო ფასზე. მაგალითად, წყალვარდნილს შეუძლია ორთქლის მანქანის მაგივრობა გაუწიოს ფაბრიკანტს და მას ნახშირის დაზოგვის შესაძლებლობა მისცეს. თუ ეს წყალვარდნილი ფაბრიკანტის განკარგულებაშია, იგი ყოველთვის გაყიდის, ვთქვათ, ნახთს მის [ინდივიდუალურ] საშუალო ფასზე უფრო მაღლა და დამატებითს მოგებას მიიღებს. ეს დამატებითი მოგება ერგება რენტის სახით მესაკუთრეს, თუ წყალვარდნილი მის მფლობელობაშია, და ბ-ნი ჰოპკინსი თავის წიგნში, სადაც რენტა განხილული, შენიშნავს, რომ ლანკაშირში წყალვარდნილები იძლევიან არა მარტო რენტას, არამედ, მათი დაცემის ბუნებრივი ძალის მიხედვით, აგრეთვე დიფერენციულ რენტასაც[49]. აქ რენტა სხვა არაფერია, თუ არა პროდუქტის საბაზრო საშუალო ფასის გადანამეტი მის ინდივიდუალურ საშუალო ფასზე {[502].

* * *

[502] {«კონკურენციაში უნდა განვასხვაოთ გათანატოლების ორნაირი მოძრაობა. კაპიტალები წარმოების ერთი და იმავე სფეროს შიგნით ამავე სფეროში წარმოებულ საქონელთა ფასებს უთანატოლებენ ერთსა და იმავე საბაზრო ფასს, სულ ერთია როგორ შეფარდებაშიც არ უნდა იყვნენ ამ საქონელთა [ინდივიდუალური] ღირებულებანი ამ საბაზრო ფასთან. საშუალო საბაზრო ფასი უნდა ყოფილიყო საქონლის [საბაზრო] ღირებულების ტოლი, თუ წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის გათანატოლება არ მოხდებოდა. ამ სხვადასხვა სფეროებს შორის კონკურენცია უთანატოლებს [საბაზრო] ღირებულებებს საშუალო ფასებს, რამდენადაც კაპიტალების ერთმანეთზე ზემოქმედებას არ აფერხებს, არ არღვევს მესამე ძალა — მიწის საკუთრება და ა. შ.}

[4) როდბერტუსის შეცდომა პროდუქტის გაძვირებისას ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების თანაფარდობის საკითხში]

სრულიად მცდარია როდბერტუსის შეხედულება, რომ თუ ერთი საქონელი მეორეზე უ ფ რ ო ძ ვ ი რ ი ა (თუ, მაშასადამე, პირველში უფრო მეტი სამუშაო დროა გასაანგარიშებული, ვიდრე მეორეში), იგი ამიტომ უნდა შეიცავდეს აგრეთვე უფრო მეტ ფ ა ს გ ა დ ა უ ხ დ ე ლ ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ს, ზ ე დ მ ე ტ ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ს — ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თ ა ნ ა ბ ა რ ი ნ ო რ მ ი ს, ანუ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ფ ე რ ო ებ შ ი მ უ შ ე ბ ი ს თ ა ნ ა ბ ა რ ი ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ი ს პ ი რ ო ბ ებ შ ი.

თ უ ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე შრომა ნაკლებნაყოფიერ ნიადაგზე (ანდა მოუსავლიან წელს) 1 კვარტერ ხორბალს იძლევა, ნაყოფიერ ნიადაგზე (ან მოსავლიან წელს) კი — 3 კვარტერს; თუ ერთი და იგივე შრომა ოქროთი ძლიერ მდიდარ მიწაზე 1 უნცია ოქროს იძლევა, ხოლო ოქროთი ნაკლებად მდიდარ ან გამოფიტულ მიწაზე — მხოლოდ $^1/_3$ უნციას; თუ თანაბარი სამუშაო დროა საჭირო როგორც 1 გირვანქა მატყლის საწარმოებლად, ისე 3 გირვანქა მატყლის ნართად გარდაქმნისათვის, — მაშინ, უწინარეს ყოვლისა, ღირებულებანი 1 კვარტერი ხორბლისა და 3 კვარტერისა, 1 უნცია ოქროსი და $^1/_3$ უნციისა, 1 გირვანქა მატყლისა და 3 გირვანქა მატყლის ნართისა (მათში მოთავსებული მატყლის ღირებულების გამოკლებით) ტოლნი არიან სიდიდით. ისინი შეიცავენ სამუშაო დროის თანაბარ რაოდენობას — მაშასადამე, თანახმად ვარაუდისა [ზედმეტი ღირებულების ნორმის ტოლობის შესახებ], აგრეთვე ზედმეტი სამუშაო დროის თ ა ნ ა ბ ა რ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა სა ც. რა თქმა უნდა, ზედმეტი შრომის რაოდენობა, რასაც [ნაკლებნაყოფიერ ნიადაგზე მოყვანილი ხორბლის] ერთი კვარტერი შეიცავს, უფრო მეტია, [ვიდრე ნაყოფიერ ნიადაგზე მოყვანილი ხორბლის ერთ კვარტერში მოთავსებული ზედმეტი შრომაა], მაგრამ სამაგიეროდ პირველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ 1 კვარტერი ხორბალი, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში — 3 კვარტერი, ანდა პირველ შემთხვევაში გვაქვს 1 გირვანქა მატყლი, მეორეში კი — 3 გირვანქა ნართი (მინუს მასალის ღირებულება). მაშასადამე, [ზედმეტი ღირებულების] მ ა ს ა ორივე შემთხვევაში თანაბარია. მაგრამ თანაბარია აგრეთვე ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო პ ო რ ც ი ო ნ ი ს ი დ ი დ ე ნ ი ც, თუ ერთი საქონლის ერთეულს და მეორე საქონლის ერთეულს ერთმა-

ნეთს შევადარებთ. 1 კვარტერი [ცუდ ნიადაგზე მოყვანილი ხორბალი] ან 1 გირვანქა მატყლი შეიცავს, ვარაუდის თანახმად, იმდენსავე შრომას, რამდენსაც 3 კვარტერი [კარგ ნიადაგზე მოყვანილი ხორბალი] ან 3 გირვანქა ნართი. ამიტომ ხელფასზე დახარჯული კაპიტალი ორივე შემთხვევაში თანაბარ შეფარდებაშია ზედმეტ ღირებულებასთან. 1 გირვანქა მატყლი სამჯერ უფრო მეტ სამუშაო დროს შეიცავს, ვიდრე 1 გირვანქა ნართი. თუ ზედმეტი ღირებულება სამჯერ უფრო დიდია, მაშინ იგი ხელფასზე დახარჯულ სამჯერ უფრო დიდ კაპიტალსაც უწევს. მაშასადამე, შეფარდება ი გ ი ვ ე რჩება.

როდბერტუსი კი აქ სრულიად არასწორად ანგარიშობს და სავსებით მცდარად ადარებს ხ ე ლ ფ ა ს ზ ე დახარჯულ კაპიტალს [503] საქონელთა იმ უფრო მეტ თუ უფრო ნაკლებ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს, რომელშიც ამ ხელფასით შესრულებული შრომა საგნობრივდება. მაგრამ ეს სრულიად არასწორი გაანგარიშებაა, თუ, როგორც როდბერტუსი ვ ა რ ა უ დ ო ბ ს, მ ო ც ე მ უ ლ ი ა ხ ე ლ ფ ა ს ი (ან ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა). შ რ ო მ ი ს ერთ ი და იგივე რ ა ო დ ე ნ ო ბ ა, მაგალითად, 12 საათი, შეიძლება გამოიხატოს x საქონლით ან $3x$ საქონლით. ერთ შემთხვევაში $1x$ საჭონელი შემცველი იქნებოდა იმდენივე შრომისა და ზედმეტი შრომისა, რამდენსაც შეიცავს $3x$ მეორე შემთხვევაში; მაგრამ ა რ ც ე რ თ ამ შემთხვევაში არ დაიხარჯებოდა ერთ სამუშაო დღეზე მეტი, და არც ერთ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმა არ იქნებოდა, მაგალითად, $^1/_5$-ზე მეტი. პირველ შემთხვევაში $^1/_6$ ერთი x-დან ისე შეეფარდებოდა x-ს, როგორც მეორე შემთხვევაში $^1/_6$ $3x$-დან შეეფარდება $3x$-ს, და თუ ჩვენ სამი x-დან დავარქმევთ x', x'', x''', მაშინ თვითეული x', x'', x''' შემცველი იქნებოდა $^4/_5$ ფასგადახდილი და $^1/_5$ ფასგადაუხდელი შრომისა. მეორე მხრივ, სავსებით მართალია, რომ თუ უფრო ნაკლები მწარმოებლობის პირობებში ი მ დ ე ნ ი ვ ე ს ა ქ ო ნ ე ლ ი უნდა იქნეს წარმოებული, რამდენიც უ ფ რ ო დ ი დ ი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ო ბ ი ს პირობებში იწარმოება, მაშინ საქონელი მეტი შრომის და, მაშასადამე, მეტი ზედმეტი შრომის შემცველი იქნებოდა. მაგრამ მაშინ შესაბამისად მეტი კაპიტალიც იხარჯება. $3x$-ის მაწარმოებლად საჭიროა (ხელფასზე) დაიხარჯოს სამჯერ უფრო მეტი კაპიტალი, ვიდრე $1x$-ის საწარმოებლად.

ეჭვს გარეშეა, რა თქმა უნდა, რომ მრეწველობას არ შეუძლია იმაზე მეტი ნედლეული გადაამუშაოს, რასაც მას მიწათმოქმედება აწვდის, — მაშასადამე, არ შეუძლია გადამუშაოს იმაზე მეტი გირვანქა მატყლი, რამდენიც წარმოებულია. ამიტომ, თუ მატყლის

რთვის მწარმოებლობა სამკეცდება, მაშინ — თუ ვიგულისხმებთ, რომ მატყლის წარმოების პირობები უ ც ვ ლ ე ლ ი რჩება,—მატყლის წარმოებაში შრომაზე უნდა დაიხარჯოს სამჯერ მეტი დრო, ვიდრე წინათ, და მატყლის საწარმოებლად უნდა გამოვიყენოთ სამჯერ მეტი კაპიტალი, მაშინ როდესაც მატყლის ამ გასამკეცებული რაოდენობის ნართად გადამუშავებისათვის საჭირო იქნება მრთველის მხოლოდ წ ა ნ ა ნ დ ე ლ ი სამუშაო დრო. მაგრამ [ზედმეტი ღირებულის] ნ ო რ მ ა იგივე დარჩება. მრთველის შრომის ერთი და იგივე რაოდენობა ისეთსავე ღირებულებას შექმნიდა, როგორსაც უწინ ქმნიდა, და ისეთივე ზედმეტი ღირებულების შემცველი იქნებოდა. მატყლის მწარმოებელი შრომა სამჯერ უფრო მეტი ზედმეტი ღირებულების შემცველი იქნებოდა, მაგრამ ამის შესაბამისად გ ა ს ა ძ კ ე ც დ ე ბ ო დ ა მთელი მატყლში მოთავსებული შრომაც ან ხელფასზე ავანსებული კაპიტალი. ამრიგად, სამჯერ უფრო მეტი ზედმეტი ღირებულება გამოიანგარიშებოდა სამჯერ უფრო მეტ კაპიტალზე. მაშასადამე, შეუძლებელია ა მ ს ა ფ უ ძ ვ ლ ი თ იმის თქმა, რომ სართავ წარმოებაში ზედმეტი ღირებულების ნორმა უფრო დაბლა დგას, ვიდრე მატყლის წარმოებაში. შეიძლებოდა მხოლოდ გვეთქვა, რომ ხელფასზე დახარჯული კაპიტალი სამჯერ უფრო დიდია უკანასკნელ დარგში, ვიდრე პირველში (ვინაიდან აქ იგულისხმება, რომ ცვლილებები რთვაში და მატყლის წარმოებაში არ გამომდინარეობენ მათი მუდმივი კაპიტალის რაიმე ცვლილებიდან).

აქ უნდა განვასხვაოთ შემდეგი. ერთი და იგივე შრომა პლუს მუდმივი კაპიტალი ნაკლებ პ რ ო დ უ ქ ტ ს იძლევა მოუსავლიან წელს, ვიდრე მოსავლიან წელს, უნაყოფო მიწაზე, ვიდრე ნაყოფიერზე, ლითონით უფრო ნაკლებ მდიდარ მაღაროში, ვიდრე უფრო მდიდარში. მაშასადამე, პირველი პ რ ო დ უ ქ ტ ი უფრო ძვირია, ე. ი. პროდუქტების ი გ ი ვ ე რაოდენობა აქ მ ე ტ შრომას და უფრო მეტ ზ ე დ მ ე ტ შ რ ო მ ა ს შეიცავს; მაგრამ მეორე შემთხვევაში მით უფრო მეტია ამ პროდუქტების რ ა ო დ ე ნ ო ბ ა. შემდეგ: შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ფასგადახდილსა და ფასგადაუხდელ შრომას შორის ორივე კატეგორიის ყოველ ცალკეულ პროდუქტში ეს სრულიად არ ეხება, რადგან თუ ცალკეული პროდუქტი ნაკლებ ფასგადაუხდელ შრომას შეიცავს, მაშინ, ვარაუდის თანახმად, იგი იმავე პროპორციით შეიცავს ნაკლებ ფასგადახდილ შრომასაც. აქ ხომ იგულისხმება, რომ თანაფარდობას კაპიტალის ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის — ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის — არავითარი ცვლილება არ განუცდია. ნავარაუდევია, რომ ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი და

მუდმივი კაპიტალის ერთი და იგივე თანხა სხვადასხვა პირობებში პროდუქტის სხვადასხვა, უფრო მეტ თუ უფრო ნაკლებ, რაოდენობებს იძლევა.

ბ-ნი როდბერტუსი, ჩანს, ყოველივე ამას ერთმანეთში ურევს და პროდუქტის უბრალო გაძვირებიდან გამოაქვს დასკვნა,—თითქოს ეს თავისთავად იგულისხმება — უფრო დიდი ზედმეტი ღირებულების შესახებ. რაც შეეხება ზედმეტი ღირებულების ნორმას, ასეთი დასკვნა მცდარია უკვე ნაგულისხმევის თანახმად, ხოლო რაც შეეხება მის ჯამს, ეს სწორია მხოლოდ იმ პირობით, თუ ერთ შემთხვევაში უფრო მეტი კაპიტალია ავანსად გაღებული, ვიდრე მეორე შემთხვევაში, ე. ი. თუ უფრო ძვირი პროდუქტი იმდენივე იწარმოება, რამდენიც უწინ უფრო იაფი პროდუქტი იწარმოებოდა, ანდა თუ უფრო იაფი პროდუქტის რაოდენობის გადიდება (როგორც ეს რთვის შესახებ ზემო მოცემულ მაგალითშია) უფრო ძვირი პროდუქტის რაოდენობის შესაბამის გადიდებას გულისხმობს.

[5) აბსოლუტური რენტის უარყოფა რიკარდოს მიერ როგორც მისი ღირებულების თეორიის შეცდომების შედეგი]

[504] ის გარემოება, რომ რენტა და, მაშასადამე, ღირებულებაც მიწისა, შეიძლება დიდდებოდეს, თუმცა რენტის ნორმა იგივე რჩება ანდა მცირდება კიდეც, რომ, მაშასადამე, დიდდება მიწათმოქმედების ნაყოფიერებაც, — რიკარდოს ზოგჯერ ავიწყდება ხოლმე, მაგრამ მან ეს იცის. ყოველ შემთხვევაში ეს იცის ანდერსონმა და იცოდნენ უკვე პეტიმ და დავენანტმა. საკითხი ეს როდია.

რიკარდო უყურადღებოდ ტოვებს საკითხს აბსოლუტური რენტის შესახებ; ამ უკანასკნელს იგი უარყოფს თეორიის გულისთვის, რადგან მცდარი წანამძღვრიდან გამოდის, თითქოს, თუ საქონელთა ღირებულება სამუშაო დროით განისაზღვრება, საქონელთა საშუალო ფასები, უნდა უდრიდეს მათს ღირებულებებს (ამიტომ იგი აკეთებს აგრეთვე პრაქტიკის საწინააღმდეგო იმ დასკვნას, რომ ნიადაგის უფრო ნაყოფიერ კატეგორიათა კონკურენცია უნდა გამორიცხავდეს დამუშავებიდან ნაკლებ ნაყოფიერ მიწებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს უკანასკნელნი უწინ რენტას იძლეოდნენ). საქონელთა ღირებულებანი და მათი საშუალო ფასები რომ იდენტურნი იყვნენ, მაშინ აბსოლუტური მიწის რენტა,—ე. ი. დამუ-

შავებულთაგან ყველაზე ცუდი ნაკვეთიდან მიღებული რენტა, ანდა თავდაპირველად დამუშავებაში მყოფი მიწიდან მიღებული რენტა,—ორივე ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. რა არის საქონლის საშუალო ფასი? მის წარმოებაზე დახარჯული ერთობლივი კაპიტალი (მუდმივი კაპიტალი პლუს ცვალებადი) პლუს ის საშუშაო დრო, რომელსაც შეიცავს საშუალო მოგება, რაც, ვთქვათ, 10%-ს შეადგენს. მაშასადამე, თუ რომელიმე ელემენტში მოქმედი კაპიტალი აწარმოებდა—მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ბუნების განსაკუთრებული ელემენტია, მაგალითად მიწა, — უფრო მაღალ ღირებულებას, ვიდრე საშუალო ფასია, მაშინ ამ საქონლის ღირებულება გადაამეტებდა მის ღირებულებას, და ეს ჭარბი ღირებულება საწინააღმდეგო იქნებოდა ღირებულების ცნებისა, რომლის მიხედვით ღირებულება სამუშაო დროის გარკვეულ რაოდენობას უდრის. გამოვიდოდა ის, რომ ბუნების ელემენტი, — რაღაც სპეციფიკურად განსხვავებული საზოგადოებრივი სამუშაო დროისაგან, — შექმნიდა ღირებულებას. მაგრამ ეს შეუძლებელია. მაშასადამე, უბრალოდ მიწაში დაბანდებულ კაპიტალს არ შეუძლია არავითარი რენტის მოცემა. უცუდესი ნიადაგი არის უბრალოდ ნიადაგი*. თუ უკეთესი ნიადაგი რენტას იძლევა, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მიწათმოქმედებაში სხვაობა საზოგადოებრივად აუცილებელ შრომასა და ინდივიდუალურად აუცილებელ შრომას შორის ფიქსირდება, რადგან მას აქ ბუნებისაგან მოცემული ბაზისი აქვს, მაშინ როდესაც მრეწველობაში იგი მუდამ ქრება.

გამოდის, რომ აბსოლუტურ მიწის რენტას არა აქვს არსებობის უფლება და რომ არსებობა შეუძლია მხოლოდ დიფერენციულ მიწის რენტას. ვინაიდან აბსოლუტური რენტის არსებობის დაშვება ნიშნავს იმას, რომ შრომის (გასაგნობრივებული, მუდმივ კაპიტალში დაბანდებული შრომის და ხელფასით ნაყიდი შრომის) ერთი და იგივე რაოდენობა ქმნის სხვადასხვა ღირებულებებს იმისდა მიხედვით, თუ რა ელემენტში ბანდდება ეს შრომა, ანდა როგორ მასალას ამუშავებს იგი. მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ ღირებულების ამ სხვაობას ადგილი აქვს, თუმცა წარმოების ყოველი სფეროს პროდუქტში მატერიალიზებული ხდება ერთი და იგივე

---

* სიტყვების თამაშია: «der schlechteste Boden» — «უცუდესი ნიადაგი», «Boden schlechthin» — «უბრალოდ ნიადაგი», «ნიადაგი საერთოდ». რედ.

სამუშაო დრო, — ნიშნავს იმის ვარაუდს, რომ სამუშაო დროკი არ განსაზღვრავს ღირებულებას, არამედ რაღაც სპეციფიკურად მისგან განსხვავებული რამ. ღირებულების სიდიდეთა ეს სხვაობა მოსპობდა ღირებულების ცნებას, გაბათილებდა იმ დებულებას, რომ ღირებულების სუბსტანციას შეადგენს საზოგადოებრივი სამუშაო დრო, რომ, მაშასადამე, ღირებულების სხვაობა შეიძლება იყოს მხოლოდ რაოდენობრივი და რომ ეს რაოდენობრივი სხვაობა შეიძლება უდრიდეს მხოლოდ დახარჯული საზოგადოებრივი სამუშაო დროის რაოდენობის სხვაობას.

ამრიგად, ამ თვალსაზრისით, ღირებულების კატეგორიის შესანარჩუნებლად — არა მარტო ღირებულების სიდიდის განსაზღვრა სამუშაო დროის სხვადასხვა სიდიდით, არამედ ღირებულების სუბსტანციის განსაზღვრაც საზოგადოებრივი შრომით, — საჭიროა აბსოლუტური მიწის რენტის უარყოფა. აბსოლუტური მიწის რენტის უარყოფა კი შეიძლება ორნაირად გამოიხატოს.

ჯერ ერთი. არ შეიძლება რენტას არ იძლეოდეს უცუდესი ნიადაგი. საუკეთესო კატეგორიის ნიადაგის რენტა აიხსნება იმით, რომ საბაზრო ფასი ერთნაირია როგორც უფრო ნაყოფიერ ნიადაგზე წარმოებული პროდუქტებისათვის, ისე ნაკლებად ნაყოფიერ ნიადაგზე წარმოებული პროდუქტებისათვისაც. უცუდესი ნიადაგი კი არის უბრალოდ ნიადაგი. თავისი თანრიგის ფარგლებში იგი არაა დიფერენცირებული. კაპიტალის სამრეწველო გამოყენებისაგან იგი განსხვავდება მხოლოდ როგორც განსაკუთრებული სფერო კაპიტალის გამოყენებისა. იგი რომ რენტას იძლეოდეს, ამ უკანასკნელის წყარო იქნებოდა ის, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროში გამოყენებული შრომის ერთი და იგივე რაოდენობა გამოხატულებას ჰპოვებდა სხვადასხვა ღირებულებაში, ასე რომ შრომის რაოდენობა თავისთავად ვერ განსაზღვრავდა ღირებულებას და შრომის თანაბარი რაოდენობის შემცველი პროდუქტები არ იქნებოდნენ ერთიმეორის ტოლნი [ღირებულების მიხედვით].

[505] ანდა [მეორე] არ შეუძლია აგრეთვე მიწის რენტის მოცემა იმ მიწას, რომელიც თავდაპირველად მუშავდებოდა. ვინაიდან რა არის თავდაპირველად დამუშავებული მიწა? «თავდაპირველად» დამუშავებული ნიადაგი არ არის არც უკეთესი, არც უცუდესი ნიადაგი. ეს არის უბრალოდ ნიადაგი, არადიფერენცირებული ნიადაგი. თავდაპირველად კაპიტალის დაბანდება მიწათმოქმედებაში შეიძლება განსხვავდებოდეს მისი მრეწველო-

ბაში დაბანდებისაგან მხოლოდ იმ სფეროთა მხრივ, რომლებშიც ეს კაპიტალი ბანდდება. მაგრამ რადგან შრომის თანაბარი რაოდენობანი თანაბარი ღირებულებით გამოიხატება, ამიტომ არ არსებობს აბსოლუტურად არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ მიწაში დაბანდებული კაპიტალი, გარდა მოგებისა, კიდევ რენტასაც იძლეოდეს, თუკი მხოლოდ ამ სფეროში დაბანდებული შრომის იგივე რაოდენობა არ აწარმოებს უფრო მეტ ღირებულებას, ასე რომ ამ ღირებულების გადანამეტი მრეწველობაში წარმოებულ ღირებულებაზე შეადგენს რენტის ტოლ დამატებითს მოგებას. მაგრამ ეს იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მიწა, როგორც ასეთი, ღირებულებას ქმნის, ე. ი. ამით მოისპობოდა თვით ცნება ღირებულებისა.

მაშასადამე, თავდაპირველად დამუშავებული მიწა ვერ მოგვცემს თავდაპირველად ვერავითარ რენტას, წინააღმდეგ შემთხვევაში ღირებულების თეორია მთლიანად უკუგდებული იქნებოდა. ამას, შემდეგ, ადვილად უკავშირდება (თუმცა სრულიადაც არა აუცილებლად, როგორც ამას ანდერსონთან ვხედავთ) წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ადამიანები თავდაპირველად დასამუშავებლად ირჩევენ, რა თქმა უნდა, არა უცუდეს, არამედ საუკეთესო მიწას, — რომ, მაშასადამე, მიწა, რომელიც თავდაპირველად რენტას არ იძლეოდა, შემდგომში უკვე იწყებს რენტის მოცემას, რადგან ადამიანები იძულებულნი არიან სულ უფრო ცუდი კატეგორიის ნიადაგზე გადავიდნენ და რომ, მაშასადამე, ამ დალმავალი მოძრაობისას, სულ უფრო ცუდ ნიადაგზე გადასვლისას, ცივილიზაციის განვითარებასა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად, რენტა უნდა წარმოიქმნებოდეს თავდაპირველად დამუშავებულ უნაყოფიერეს ნიადაგზე და შემდეგ, თანდათანობით, ხარისხის მიხედვით შემდგომ ნიადაგზე, მაშინ როდესაც უცუდესი ნიადაგი, რომელიც ყოველთვის წარმოადგენს უბრალო ნიადაგს—კაპიტალის გამოყენების განსაკუთრებულ სფეროს, — არასოდეს არავითარ რენტას არ იძლევა. ყველა ეს დებულება ცოტად თუ ბევრად დაკავშირებულია ერთიმეორესთან.

პირიქით, თუ ცნობილია, რომ საშუალო ფასები და ღირებულებანი იდენტური არაა, რომ საქონლის საშუალო ფასი შეიძლება უდრიდეს მის ღირებულებას, მაგრამ იგი შეიძლება აგრეთვე მასზე უფრო მეტი ან უფრო ნაკლები იყოს, მაშინ საკითხი მოხსნილია, მოხსნილია თვით პრობლემა, და ამასთან ერთად მოხსნილია ის ჰი-

პოთეზებიც, რომლებიც წამოყენებულია მის გადასაწყვეტად. რჩება მხოლოდ შემდეგი საკითხი: რატომაა, რომ მიწათმოქმედებაში საქონლის ღირებულება (ანდა, ყოველ შემთხვევაში, მისი ფასი) აღემატება არა მის ღირებულებას, არამედ მისს საშუალო ფასს? მაგრამ ეს საკითხი უკვე სრულიად არ ეხება თეორიის საფუძველს, ღირებულების განსაზღვრას როგორც ასეთს.

რიკარდომ, რა თქმა უნდა, იცის, რომ საქონელთა «შეფარდებითი ღირებულებანი» სახეს იცვლიან წარმოებაში შემავალ ძირითად კაპიტალსა და ხელფასზე დახარჯულ კაპიტალს შორის არსებული სხვადასხვა თანაფარდობის მიხედვით. [მაგრამ ეს ორი კაპიტალი არ წარმოადგენს დაპირისპირებულობას; ერთიმეორეს უპირისპირდება ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი; უკანასკნელი კი მოიცავს არა მარტო ხელფასს, არამედ ნედლეულსაც და დამხმარე მასალასაც. მაგალითად, სამთამადნო მრეწველობასა და მეთევზეობაში შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთივე თანაფარდობა ხელფასზე დახარჯულ კაპიტალსა და ძირითად კაპიტალს შორის, როგორიც არსებობს სამკერვალო საქმეში ხელფასზე დახარჯულ კაპიტალსა და ნედლ მასალაზე დახარჯულ კაპიტალს შორის.] მაგრამ რიკარდომ ამასთანავე ისიც იცის, რომ ეს შეფარდებითი ღირებულებანი გათანატოლებას განიცდიან კონკურენციის მეოხებით. კიდევ მეტი: აღნიშნული სახეცვლილებანი მას მხოლოდ იმისთვის შემოაქვს, რომ ამ სხვადასხვა კაპიტალდაბანდების შედეგად ერთი და იგივე საშუალო მოგება მიიღებოდეს. ეს ნიშნავს: ის შეფარდებითი ღირებულებანი, რომლებზეც იგი ლაპარაკობს, სხვა არაფერია, თუ არა საშუალო ფასები. მას აზრადაც არ მოსდის, რომ ღირებულება და საშუალო ფასი სხვადასხვაა. ამოსავალ წერტილად იგი იღებს მხოლოდ მათს იგივეობას. მაგრამ რადგან კაპიტალის ორგანული შემადგენელი ნაწილების სხვადასხვა თანაფარდობისას ასეთი იგივეობა არ არსებობს, იგი მას ვარაუდობს როგორც კონკურენციით გამოწვეულ აუხსნელ ფაქტს. ამიტომ მას არც ებადება კითხვა: რატომ არ უთანატოლდებიან მიწათმოქმედების პროდუქტების ღირებულებანი საშუალო [506] ფასებს? პირიქით, იგი გულისხმობს, რომ ისინი უთანატოლდებიან მათ და სწორედ ამ თვალსაზრისით აყენებს პრობლემას.

აბსოლუტურად გაუგებარია, ვილჰელმ თუკიდიდეს* ყაიდის

* — როშერის. რედ.

ვაჟბატონები რატომ ასე თავგამოდებით იცავენ რიკარდოს მიწის რენტის თეორიას. მ ა თ ი თვალსაზრისით რიკარდოს «ნახევარჭეშმარიტებანი», როგორც ამას თუკიდიდე მოწყალებით გამოსთქვამს, მ თ ე ლ თავიანთ მნიშვნელობას კარგავენ.

რიკარდოსთვის პრობლემა მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ღირებულება განსაზღვრულია სამუშაო დროით. ამ ვაჟბატონებთან სულ სხვა მდგომარეობაა. როშერის მიხედვით ბუნებას, რ ო გ ო რ ც ა ს ე თ ს, ღირებულება აქვს. იხ. ამის შესახებ შემდგომში[50]. ეს ნიშნავს: როშერმა აბსოლუტურად არ იცის, რა არის ღირებულება. რას შეუძლია მას ხელი შეუშალოს დაუშვას, რომ მ ი წ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა იმთავითვე შედის წარმოების ხარჯებში და წარმოქმნის რენტას, — მიწის ღირებულება, ე. ი. რენტა, რენტის ახსნის წინაპირობად გახადოს?

ფრაზა «წარმოების ხარჯების» შესახებ ამ ვაჟბატონებთან სრულიად არაფერს ნიშნავს. ამას ვხედავთ ჩვენ სეისთან. საქონლის ღირებულებას იგი განსაზღვრავს წარმოების ხარჯებით — კაპიტალით, მიწით, შრომით. ამ ხარჯებს კი განსაზღვრავს მოთხოვნითა და მიწოდებით. ეს ნიშნავს: აქ საერთოდ არ არის არავითარი განსაზღვრა ღირებულებისა. რადგან მიწა «მწარმოებლურ სამსახურს» ეწევა, რატომ არ შეიძლება, რომ ამ «სამსახურის» ფასი განისაზღვრებოდეს მოთხოვნითა და მიწოდებით — ისევე როგორც სეი განსაზღვრავს შრომით ან კაპიტალით გაწეულ სამსახურს? და რადგან «მიწის სამსახური» გამყიდველთა გარკვეული ჯგუფის მფლობელობაშია, რატომ არ უნდა ჰქონდეს მათს საქონელს საბაზრო ფასი და, მაშასადამე, რატომ არ უნდა არსებობდეს მიწის რენტა ფასის ელემენტის სახით?

ჩვენ ვხედავთ, რომ ვილჰელმ თუკიდიდეს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ასეთი თავგამოდება «გამოეჩინა» რიკარდოს თეორიისათვის.

[6) რიკარდოს დებულება პურის ფასების მუდმივი გადიდების შესახებ. 1641 — 1869 წლებში პურის საშუალო ფასების ცხრილი]

თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ აბსოლუტურ მიწის რენტას, რიკარდოს რჩება შემდეგი საკითხი:

მოსახლეობა და მასთან ერთად მოთხოვნა მიწათმოქმედების პროდუქტებისა იზრდება, რის შედეგადაც ამ პროდუქტების ფასი დიდდება, როგორც ეს ხდება მსგავს შემთხვევებში მრეწველობაში. მაგრამ მრეწველობაში ფასების ასეთი გადიდება შეწყდება ხოლმე,

როგორც კი მოთხოვნის გადიდების საფუძველზე საქონელთა მიწოდებაც გადიდდება. პროდუქტის ფასი ახლა დაიწევს თავის წინანდელ ღირებულებამდე ან უფრო დაბლაც კი. მაგრამ მიწათმოქმედებაში ეს დამატებითი პროდუქტი გამოდის ბაზარზე არა უწინდელი ფასის და არა უფრო დაბალი ფასის მიხედვით. იგი უფრო მეტი ღირს, და ეს იწვევს აქ საბაზრო ფასების მუდმივ გადიდებას და ამასთან ერთად რენტის გადიდებასაც. როგორ ავხსნათ ეს, თუ არა იმ გარემოებით, რომ ჩვენ გვიხდება სულ უფრო ნაკლებ ნაყოფიერი ნიადაგის დამუშავებაზე გადასვლა, რომ საჭიროა სულ უფრო მეტი შრომის დახარჯვა იმავე პროდუქტის საწარმოებლად, რომ მიწათმოქმედების ნაყოფიერება სულ უფრო და უფრო კლებულობს. რატომ იყო, რომ — თუ ფულის გაუფასურების გავლენას უყურადღებოდ დავტოვებთ — ინგლისში 1797 წლიდან 1815 წლამდე მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად მაღლა იწევდა მიწათმოქმედების პროდუქტების ფასები? არაფერს არ ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ეს ფასები შემდეგ ხელახლა დაეცა. არაფერს არ ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ უცხოური ბაზრებიდან შემოზიდვა აღკვეთილი იყო. სწორედ პირიქით. ამან მხოლოდ სათანადო პირობები შექმნა მიწის რენტის კანონის თავისი წმინდა სახით გამოვლენისათვის. მაგრამ სწორედ ეს მოწყვეტა საზღვარგარეთისაგან იწვევდა ქვეყნის შიგნით იძულებითს გადასვლას სულ უფრო ნაკლებნაყოფიერი ნიადაგის დამუშავებაზე. არ შეიძლება ეს ავხსნათ რენტის აბსოლუტური გადიდებით, რადგან გაიზარდა არა მარტო რენტის საერთო ჯამი, არამედ რენტის ნორმაც. ამაღლდა კვარტერი ხორბლის ფასი და ა. შ. არ შეიძლება აგრეთვე ამის ახსნა ფულის ღირებულების შემცირებითაც, რადგან ასეთ შემცირებას შეეძლო მხოლოდ აეხსნა, თუ რატომ დაეცა მრეწველობაში მწარმოებლობის დიდი განვითარებისას მრეწველობის პროდუქტების ფასი და, მაშასადამე, რატომ გადიდდა შეფარდებით მიწათმოქმედების პროდუქტების ფასი. ფულის ღირებულების დაცემას არ შეეძლო აეხსნა, თუ რატომ იზრდებოდა განუწყვეტლივ აბსოლუტურად მიწათმოქმედების პროდუქტების ფასები გარდა ამ შეფარდებითი გადიდებისა.

ასევე ნაკლებად შეიძლება ეს ჩაითვალოს მოგების ნორმის დაცემის შედეგად. მოგების ნორმის დაცემა ვერ ასოდეს ვერ აგვიხსნიდა ფასების ცვლილებას, იგი აგვიხსნიდა მხოლოდ ლენდლორდსა, მრეწველსა და მუშას შორის ღირებულების ან ფასის განაწილების ცვლილებას.

რაც შეეხება ფულის ღირებულების დაკლებას, ვივარაუდოთ, რომ წინანდელი 1 გირვ. სტერლ. ახლა უდრის 2 გირვ. სტერლინგს. კვარტერი ხორბალი, წინათ რომ 2 გირვ. სტერლ. ღირდა, ახლა ღირს 4 გირვ. სტერლინგი. დავუშვათ, რომ მრეწველობის პროდუქტი გაიაფდა 10-ჯერ, რომ უწინ მისი ღირებულება გამოიხატებოდა 20 შილინგით, ახლა კი — 2 შილინგით. მაგრამ ახლა ეს 2 შილ. უდრის 4 შილინგს. ფულის ღირებულების დაცემას — ისევე როგორც მოუსავლიანობას — შეეძლო აქ, რა თქმა უნდა, თავისი გავლენა მოეხდინა.

[507] მაგრამ, თუ ყოველივე ამას მხედველობაში არ მივიღებთ, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მიწათმოქმედების მაშინდელი მდგომარეობისას (ხორბლის მიმართ) დამუშავებაში შევიდა ნაკლებნაყოფიერი მიწა. შემდეგ კი ეს მიწა უფრო ნაყოფიერი გახდა, რადგან დიფერენციული რენტა — თავისი ნორმის მიხედვით — შემცირდა, როგორც ამას საუკეთესო ბარომეტრი — ხორბლის ფასები გვიჩვენებს.

1800 და 1801 წლების და 1811 — 1812 წლების ყველაზე მაღალი ფასებიდან პირველნი უწევს მოუსავლიან წლებს, მეორენი — ფულის ღირებულების მაქსიმალური დაცემის წლებს. ასევე 1817 და 1818 წლები ფულის ღირებულების შემცირების წლები იყო. მაგრამ თუ გამოვრიცხავთ ამ წლებს, მაშინ, უნდა ვიფიქროთ (ვნახოთ შემდეგ), რომ მივიღებთ საშუალო ფასს ამა თუ იმ პერიოდისათვის.

როცა ვადარებთ ხორბლის და ა. შ. ფასებს სხვადასხვა პერიოდებში, საჭიროა ამასთანავე შევადაროთ წარმოებული პროდუქტის მასა ერთი კვარტერის ფასს, ვინაიდან სწორედ ამ გზით მეღავნდება ის გავლენა, რასაც წარმოებული პურის დამატებითი რაოდენობა ახდენს ფასებზე.

ხორბლის საშუალო წლიური ფასები

I

	საშუალო წლიური ფასი	უმაღლესი ფასი	უმცირესი ფასი
1641 — 1649.....	60 შ. $5^2/_9$ პ.	75 შ. 6 პ. (1645)	42 შ. 8 პ. (1646)
1650 — 1659.....	45 შ. $8^9/_{10}$ პ.	68 შ. 1 პ. (1650)	23 შ. 1 პ. (1651)
1660 — 1669.....	44 შ. 9 პ.	65 შ. 9 პ. (1662)	32 შ. 0 პ. (1666) და 1667)
1670 — 1679.....	44 შ. $8^9/_{10}$ პ.	61 შ. 0 პ. (1674)	33 შ. 0 პ. (1676)
1680 — 1689.....	35 შ. $7^8/_{10}$ პ.	41 შ. 5 პ. (1681)	22 შ. 4 პ. (1687)
1690 — 1699.....	50 შ. $^5/_{10}$ პ.	63 შ. 1 პ. (1695)	30 შ. [illegible] პ. (1691

ამრიგად, 50 წლის განმავლობაში — 1650-დან 1699 წლამდე — საშუალო წლიური ფასი შეადგენს 44 შილ. $2^1/_2$ პენსს.

(9 წლის) 1641 — 1649 წლების პერიოდში უმაღლესი საშუალო წლიური ფასი — 75 შილ. 6 პენსი — უწევს რევოლუციის წელს — 1645 წელს, შემდეგ 71 შილ. 1 პენსი — 1649 წელს, 65 შილ. 5 პენსი — 1647 წელს, უმცირესი ფასი კი — 42 შილ. 8 პენსი — 1646 წელს.

II

	საშუალო წლიური ფასი	უმაღლესი ფასი (ყოველი ათი წლის პერიოდში	უმცირესი ფასი (ყოველი ათი წლის პერიოდში
1700 — 1709.....	35 შ. $^1/_{10}$ პ.	69 შ. 9 პ. (1709)	25 შ. 4 პ. (1707)
1710 — 1719.....	43 შ. $6^7/_{10}$ პ.	69 შ. 4 პ. (1710)	31 შ. 1 პ. (1719)
1720 — 1729.....	37 შ. $3^1/_{10}$ პ.	48 შ. 5 პ, (1728)	30 შ. 10 პ. (1723)
1730 — 1739.....	31 შ. $5^8/_{10}$ პ.	58 შ. 2 პ. (1735)	28 შ. 8 პ. (1732)
1740 — 1749.....	31 შ. $7^9/_{10}$ პ.	45 შ. 1 პ. (1749)	22 შ. 1 პ. (1743 და 1744)

საშუალო წლიური ფასი 50 წლის განმავლობაში — 1700-დან 1749 წლამდე — უდრის 35 შილ. 9 $^{28}/_{60}$ პენსს.

[508]

III

	საშუალო წლიური ფასი	უმაღლესი ფასი (ყოველი ათი წლის პერიოდში)	უმცირესი ფასი (ყოველი ათი წლის პერიოდში)
1750 — 1759.....	36 შ. $4^5/_{10}$ პ.	53 შ. 4 პ. (1757)	28 შ. 10 პ. (1750)
1760 — 1769.....	40 შ. $4^9/_{10}$ პ.	53 შ. 9 პ. (1768)	26 შ. 9 პ, (1761)
1770 — 1779.....	45 შ. $3^1/_{10}$ პ.	52 შ. 8 პ. (1774)	33 შ. 8 პ. (1779)
1780 — 1789.....	46 შ. $9^3/_{10}$ პ.	52 შ. 8 პ. (1783)	35 შ. 8 პ. (1780)
1790 — 1799.....	57 შ. $6^5/_{10}$ პ.	78 შ. 7 პ. (1796)	43 შ. 0 პ. (1792)

საშუალო წლიური ფასი 50 წლის განმავლობაში — 1750-დან 1799 წლამდე — უდრის 45 შილ. $3^{13}/_{60}$ პენსს.

IV

	საშუალო წლიური ფასი	უმაღლესი ფასი (ყოველი ათი წლის პერიოდში.	უმცირესი ფასი (ყოველი ათი წლის პერიოდში.
1800 — 1809.....	84 შ. $8^5/_{10}$ პ.	119 შ. 6 პ. (1801)	58 შ. 10 პ. (1803)
1810 — 1819.....	91 შ. $4^8/_{10}$ პ.	113 შ. 10 პ. (1800)	65 შ. 7, პ. (1815)
		126 შ. 6 პ. (1812)	74 შ. 4 პ. (1814)
		109 შ. 9 პ. (1813)	74 შ. 6 პ. (1819)
		106 შ. 5 პ. (1810)	44 შ. 7 პ. (1822)
1820 — 1829.....	58 შ. $9^7/_{10}$ პ.	68 შ. 6 პ. (1825)	39 შ. 4 პ. (1835)
1830 — 1839.....	56 შ. $8^5/_{10}$ პ.	66 შ. 4 პ. (1831)	44 შ. 6 პ. (1849)
1840 — 1849.....	55 შ. $11^4/_{10}$ პ.	69 შ. 5 პ. (1847)	40 შ. 4 პ. (1850)
1850 — 1859.....	53 შ. $4^2/_{10}$ პ.	74 შ. 9 პ. (1855)	

საშუალო წლიური ფასი 50 წლის განმავლობაში— 1800 დან 1849 წლამდე — უდრის 69 შილ. $6^{9}/_{50}$ პენსს.

საშუალო წლიური ფასი 60 წლის განმავლობაში— 1800-დან 1859 წლამდე — უდრის 66 შილ. 9 $^{11}/_{10}$ პენსს.

ამრიგად ჩვენ გვაქვს შემდეგი
საშუალო წლიური ფასები:

პერიოდი	შილ.	პენსები
1641 — 1649	60	$5^{2}/_{3}$
1650 — 1699	44	$2^{1}/_{6}$
1700 — 1749	35	$9^{29}/_{50}$
1750 — 1799	45	$3^{19}/_{50}$
1800 — 1849	69	$6^{9}/_{50}$
1850 — 1859	53	$4^{7}/_{10}$

* * *

უესტიეკი ამბობს:

«მიწათმოქმედების გაუმჯობესებული მდგომარეობის დროს მეორე ან მესამე ხარისხის მიწაზე შეიძლება პროდუქტის წარმოება ისეთივე ნაკლები ხარჯებით, როგორც ეს შესაძლებელია ყველაზე უკეთესი ხარისხის მიწაზე ძველი სისტემის დროს» (Sir Edw. West. Price of Corn and Wages of Labour. London 1826, გვ. 98).

[7) ჰოპკინსის ვარაუდი აბსოლუტური და დიფერენციული რენტის განსხვავების შესახებ; მიწის რენტის ახსნა მიწის ქერქის ხაჟუთრებით]

ჰოპკინსი სწორად ამჩნევს განსხვავებას აბსოლუტურ და დიფერენციულ რენტას შორის:

«კონკურენციის პრინციპი შეუძლებელს ხდის ერთსა და იმავე ქვეყანაში მოგების ორი ნორმის არსებობას; მაგრამ ამით განისაზღვრება შეფარდებითი მიწის რენტა. მაგრამ არა საერთო საშუალო რენტა» (Th. Hopkins. On Rent of Land, and its Influence on Subsistence and Population. London, 1828, გვ. 30).

[508 ა) ჰოპკინსი შემდეგნაირად განასხვავებს მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას, ანდა, როგორც იგი ამბობს, პირველადსა და მეორად შრომას.

«თუ ყველა მუშაკი გამოყენებული იქნებოდა იმ მიზნით, რა მიზნითაც ალმასის მწარმოებლებს და ოპერის მომღერლებს იყენებენ, მაშინ სულ მალე გაქრებოდა

მათი არსებობისათვის აუცილებელი სიმდიდრე, იმიტომ რომ წარმოებული სიმდიდრის არც ერთი ნაწილი არ გადაიქცევა დაკაპიტალად. მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი რომ დასაქმებული იყოს მსგავსი შრომით, მაშინ ხელფასი იქნებოდა დაბალ დონეზე, რადგან წარმოებულის მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილი იქნებოდა კაპიტალის სახით გამოყენებული; მაგრამ თუ მსგავსი შრომით დასაქმებული იქნებოდა მხოლოდ მუშაკთა მცირე რაოდენობა და, მაშასადამე, თითქმის ყველანი იქნებოდნენ მზვნელები, ფეხსაცმლის მკერავები, მქსოველები და ა. შ., მაშინ წარმოებული იქნებოდა ბევრი კაპიტალი, და ხელფასი შეიძლებოდა შედარებით მაღალი ყოფილიყო» (იქვე, გვ. 84—85). «ალმასის მწახნაგებელს და მომღერალს გვერდში უნდა ამოვუყენოთ ყველა ის, ვინც ლენდლორდებისათვის ანდა რანტიეთათვის მუშაობს და ვინც მათი შემოსავლის ნაწილს ხელფასის სახით იღებს, ე. ი. ყველა ის, ვისი მუშაობაც მხოლოდ ისეთი საგნების წარმოებით შემოიფარგლება, რომლებიც სიამოვნებას ჰგვრიან ლენდლორდებს და რანტიებს; თავიანთი შრომის საზღაურად ეს მუშაკები ღებულობენ კიდეც ლენდლორდის რენტის ნაწილს ან რანტიეს შემოსავლის ნაწილს. ისინი ყველანი მწარმოებელი მუშაკებია, მაგრამ მთელი მათი შრომა იქითკენ არის მიმართული, რათა მიწის რენტისა და ფულადი კაპიტალის შემოსავლის ფორმით არსებული სიმდიდრე გარდაქმნან რაიმე სხვა ფორმად, რომელიც უფრო მეტად დააკმაყოფილებს ლენდლორდსა და რანტიეს; ამიტომ ეს მუშაკები მეორადი მწარმოებლები არიან. ყველა სხვა მუშაკი პირველადი მწარმოებელია» (იქვე, გვ. 85).

ალმასი და სიმდერა — ორივე განიხილება აქ როგორც გასაგნობრივებული შრომა — შეიძლება, როგორც ყველა სხვა საქონელიც, გადაიქცეს ფულად, ფულის სახით კი—კაპიტალად. მაგრამ კაპიტალად ფულის ამ გადაქცევისას უნდა განვასხვაოთ ორი რამ: ყველა საქონელი შეიძლება გადაიქცეს ფულად, ფულის სახით კი — კაპიტალად იმიტომ, რომ მათ მიერ მიღებულ ფულად ფორმაში წაშლილია მათი სახმარი ღირებულება და ამ უკანასკნელის ნატურალური ფორმა. ისინი წარმოადგენენ გასაგნობრივებულ შრომას იმ საზოგადოებრივი ფორმით, რომლითაც თვით ეს შრომა შეიძლება გაიცვალოს ყოველგვარ რეალურ შრომაზე, შეიძლება, მაშასადამე, გადაიქცეს რეალური შრომის ყოველნაირ ფორმად. პირიქით, შესაძლებელია თუ არა ეს საქონელნი, შრომის პროდუქტები, სწორედ ამ პროდუქტების სახით ხელახლა შევიდნენ მწარმოებლურ კაპიტალში, როგორც მისი ელემენტები, — ეს დამოკიდებულია იმაზე, აძლევს თუ არა ამ საქონელთ მათი სახმარი ღირებულების ბუნება იმის შესაძლებლობას, რომ ხელახლა შევიდნენ ისინი წარმოების პროცესში, სულ ერთია, იქნება ეს შრომის ობიექტური პირობების სახით (წარმოების იარაღი და მასალა) თუ შრომის სუბიექტური პირობების სახით (საარსებო საშუალებანი მუშებისათვის), — მაშასადამე, მუდმივი ან ცვალებადი კაპიტალის სახით.



კ. მარქსის «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერის გვერდი, სადაც მოცემულია 1641 — 1749 წლებში ხორბლის საშუალო წლიური ფასების ცხრილები

«ირლანდიაში, ზომიერი გაანგარიშებით, 1821 წლის აღწერის თანახმად, მთელი წმინდა პროდუქტი, რაც წლად ხდება ლენდლორდებს, სახელმწიფოს და სამეათედოს მიმღებთ, შეადგენს $20^3/_4$ მილიონ გირვ. სტერლინგს, მთელი ხელფასი კი — მხოლოდ 14114000 გირვ. სტერლინგს» (ბ ო პ კ ი ნ ს ი, იქვე, გვ. 94).

«მიწათმოქმედნი იტალიაში მიწის მესაკუთრეს საერთოდ პროდუქტის ნახევარს, ნახევარზე მეტსაც კი, უხდიან რენტის სახით და ეს ხდება ისეთ პირობებში, როცა მიწათმოქმედების კულტურა დაბალია და მიწათმოქმედთა ძირითადი კაპიტალი მეტად მცირეა. მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს შეადგენენ მეორადი მწარმოებლები და მიწის მესაკუთრენი, პირველადი მწარმოებლები კი, როგორც წესი, ღარიბ და დამცირებულ კლასს წარმოადგენენ» (გვ. 101 — 102).

«ბიბლიე მდგომარეობა იყო საფრანგეთში ლუდოვიკ XIV-ის დროს [და მისი მემკვიდრეების ლუდოვიკ XV-ისა და ლუდოვიკ XVI-ის დროს]. [არტურ] იუნგის თანახმად, რენტას, სამეათედოს და გადასახადებს გამოხატავდა 140905304 გირვ. სტერ. თანხა. ამასთან მიწათმოქმედება იმყოფებოდა უბადრუკ მდგომარეობაში. საფრანგეთის მოსახლეობა შეადგენდა მაშინ 26 363 074 კაცს. მშრომელი მოსახლეობა რომ კიდეც ექვს მილიონ ოჯახს შეადგენდეს, — რაც აშკარად გადაჭარბებულია,— მაშინაც ყოველ მშრომელ ოჯახს ყოველწლიურად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უნდა მიეცა საშუალოდ დაახლოებით 23 გირვ. სტერლინგი წმინდა სიმდიდრე მიწის მესაკუთრეებისათვის, ეკლესიისათვის და მთავრობისათვის. იუნგის მონაცემების მიხედვით, — თუ გავითვალისწინებთ ყოველგვარ სხვა მოსაზრებებსაც, — მშრომელ ოჯახს ყოველწლიურად წილად ხვდება 42 გირვ. სტერლ. 10 შილ. პროდუქტი, ამასთან ამ თანხიდან 23 გირვ. სტერლინგს იგი აძლევს სხვა პირებს, 19 გირვ. სტერლ. 10 შილინგი კი თვით მას რჩება თავისი საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად» (იქვე, გვ. 102 — 104).

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე:

«ბ-ნ მალთუსისა და მის მომდევართა შეცდომა უნდა ვეძებოთ იმის ვარაუდში, რომ მუშა მოსახლეობის შემცირებას შედეგად ა რ მოჰყვება შ ე ს ა ბ ა მ ი ს ი შ ე მ ც ი რ ე ბ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა» (იქვე, გვ. 118). «ბ-ნ მალთუსს ავიწყდება, რომ მითითებენ [მუშებზე] ლიმიტირებულია ი მ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა რაოდენობით, რ ო მ ე ლ ნ ი ც ხ ე ლ ფ ა ს ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ენ, და რომ ეს საშუალებანი თავისთავად კი არ წარმოიქმნება, არამედ მუდამ წ ი ნ ა ს წ ა რ ი ქ მ ნ ე ბ ა შ რ ო მ ი თ» (იქვე, გვ. 122).

ეს სწორი შეხედულებაა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დ ა გ რ ო ვ ე ბ ა ზ ე. მაგრამ [ჰოპკინსი ვერ ხედავს, რომ] შრომის მიერ შექმნილი საშუალებანი შეიძლება გადიდდეს, — და, მაშასადამე, შეიძლება გადიდდეს ზედმეტი პროდუქტის ან ზედმეტი შრომის რაოდენობა, — მაგრამ ეს მოხდეს ისე, რომ გამოუყენებელი შრომის მასა არ გადიდდეს თანაბარი ზომით.

«უცნაურად წარმოგვიდგება ეს ძლიერი მიდრეკილება იმისა, რომ გამოვხატოთ წ მ ი ნ დ ა სიმდიდრე როგორც ს ა ს ი ყ ე ნ ო თ რამ მუშათა კლასისათვის, იმიტომ რომ იგი ს ა მ უ შ ა ო ს იძლევაო. მაგრამ სრულიად ნათელია, [509] რომ მის შეუძლია სამუშაოს მიცემა არა იმიტომ, რომ იგი წ მ ი ნ დ ა, არამედ იმიტომ, რომ ი გ ი ს ი მ დ ი დ რ ე ა, ე. ი. რაღაც ისეთი, რ ა ც შ რ ო მ ა მ შ ე ქ მ ნ ა.

მეორე მხრივ კი, იმავე დროს მუშათა მოსახლეობის დამატებითი რაოდენობა დასახელია როგორც მ ა ვ ნ ებ ელი მუშათა კლასისათვის, თუმცა ეს მუშები სამჯერ იმაზე მეტს ხარჯავენ, რასაც ისინი მოიხმარენ» (იქვე, გვ. 126).

«თუ უკეთესი მანქანების გამოყენებით მთელი პირველადი პროდუქცია 200-დან 250-მდე ან 300-დე გადიდდებოდა, მაშინ როდესაც წ მ ი ნ დ ი ა შემოსავალს და მოგებას უწინდებურად მხოლოდ 140 ერგებოდა, მაშინ ცხადია, რომ ხელფასის ფონდის სახით პირველადი მწარმოებლებისათვის დარჩებოდა 110 და 160, ნაცვლად 60-ისა» (იქვე, გვ. 128).

«მუშების მდგომარეობა უ ა რ ე ს დ ე ბ ა ან იმის გამო, რომ მათი მწარმოებლური ძალა ზიანდება, ანდა იმის გამო, რომ მათ ართმევენ იმას, რაც აწარმოოს» (გვ. 129).

«არა, ამბობს ბ-ნი მალთუსი, თქვენი სიღატაკე სრულიადაც არ აიხსნება თ ქ ვ ე ნ ი ტ ე ი რ თ ი ს ს ი მ ძ ი ნ ი თ, იგი მხოლოდ იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ არსებობს ამ ტვირთის მ ა ტ ა რ ებ ე ლ ი ძ ალ ი ან ბ ე ვ რ ი პ ი რ ი» (იქვე, გვ. 134).

«თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი მ ა ს ა ლ ა [მიწა, წყალი, მინერალები] არაა შეტანილი იმ საერთო პრინციპში, რომ ყველა საქონლის საცვლელ ღირებულებას განსაზღვრავენ წ ა რ მ ო ებ ი ს ხ ა რ ჯ ებ ი; მაგრამ ამ მასალის მ ე ს ა კ უ თ რ ე თ ა პრეტენზია პროდუქტის მიმართ [რომელიც ამ თავდაპირველი მასალით სარგებლობის შედეგად მოიღება] აწვევს იმას, რომ ღირებულებაში შედის მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა» (T h. Hopkins. Economical E'nquiries relative to the Laws which Reqnlate Rent, Profit, Wages, and the value of Money. London, 1822 გვ. 11).

«მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა, ანუ გადასახადი [მიწით] სარგებლობისათვის, ბუნებრივად გამომდინარეობს [მიწის] ს ა კ უ თ რ ებ ი დ ა ნ, ანუ კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ებ ი ს უ ფ ლ ებ ი ს დ ა წ ს ებ ი დ ა ნ» (იქვე, გვ. 13).

«რენტის მოცემა შეუძლია ყველაფერს, რასაც შემდეგი თვისებები გააჩნია: ჯერ ერთი, იგი უნდა იყოს საკმაოდ იშვიათი; მეორე, მას უნდა ჰქონდეს უნარი—ხელი შეუწყოს შრომის წარმოების დიდ სარგებლობის» (იქვე, გვ. 14). «რა თქმა უნდა, არ უნდა ვიგულისხმოთ ის შემთხვევა, როცა მიწა ისე უხვადაა მოცემული შ ე დ ა რ ებ ი თ ი მ შ რ ო მ ა ს თ ა ნ დ ა ი მ კ ა პ ი ტ ა ლ თ ა ნ, რ ო მ ე ლ თ ა გ ა მ ო ყ უ ნ ებ ა ც ა ა მ მ ი წ ა ზ ე შ ე ი ძ ლ ებ ა» სიუხვე და იშვიათობა მიწისა, რასაკვირველია, შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ა, ისინი განისაზღვრებიან შრომისა და კაპიტალის იმ რაოდენობის მიმართ, რომელიც შეიძლება ადამიანის განკარგულებაში იყოს }. «რომ შეუძლებელი გახდებოდა გადასახადის შემოღება მიწის რენტის სახით — იმის გამო, რომ მიწა არ იქნებოდა იშვიათი» (გვ. 21).

«ზოგიერთ ქვეყანაში მიწის მესაკუთრეს შეუძლია გამოწუროს 50%, ზოგიერთში კი 10%-ის გამოწურვაც არ შეუძლია. აღმოსავლეთის ნაყოფიერ ადგილებში ადამიანს შეუძლია მიწაზე გამოყენებული თავისი შრომის პროდუქტის $^1/_3$-ით იცხოვროს; პირიქით, შეიეკარიისა და ნორვეგიის ზოგიერთ რაიონში 10%-ის აღებას შეეძლო ქვეყანა გაუკაცურება... ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ სხვა ბუნებრივ საზღვრებს რენტისათვის, რომლის გამოწურვაც შეიძლებოდა, გარდა გადამხდელთა შეზღუდული შესაძლებლობისა» (გვ. 31) და «ყარდა უ ც უ ნ ე ს ი ნ ი ნ ი ა დ ა გ ი ს კ ო ნ კ ა რ ე ნ ც ი ი ს ა ს ა უ კ ე თ ე ს ო ნ ი ი ა დ ა გ თ ა გ ა ნ,—იქ, სადაც უცუდესი ხარისხის მიწა არსებობს» (გვ. 33 — 34).

«ინგლისში ბევრი ცარიელი მიწაა, რომლის ბუნებრივი ნაყოფიერება ისეთივეა, რაც ახლა დამუშავებაში მყოფი მიწის მნიშვნელოვან ნაწილს ჰქონდა, ვიდრე იგი დამუშავებაში შევიდოდა; და მიუხედავად ამისა, ასეთი ცარიელი მიწის დამუშავებულ მიწად გადაქცევისათვის საჭირო ხარჯები იმდენად დიდია, რომ მას არ შეუძლია გადაიხადოს მიწის გაუმჯობესებაზე დახარჯული ფულის ჩვეულებრივი სარგებელი, ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერებისათვის რენტის გადასახდელად კი უკვე საერთოდ აღარაფერი რჩება. და ეს—მიუხედავად ისეთი შრომის დაუყოვნებლივი გამოყენების უპირატესობისა, რომელიც სარგებლობს ოსტატურად გამოყენებული კაპიტალის დამსარებით და უზრუნველყოფილია იაფად წარმოებული სამრეწველო საქონლით, და მიუხედავად, ამას გარდა, მახლობლად გამავალი კარგი გზებისა და ა. შ. თანამედროვე მიწის მესაკუთრენი შეიძლება განეიზიოთ როგორც მფლობელები დაგროვილი შრომისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იხარჯებოდა ინისათვის, რომ მიწა მისი ნაყოფიერების დღევანდელ მდგომარეობამდე მისულიყო» (იქვე, გვ. 35).

უკანასკნელ გარემოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის რენტისათვის — განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსახლეობა უეცრად დიდად მატულობს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1780 — 1815 წლებში მრეწველობის განვითარების გამო, და როცა ამის შედეგად უეცრად დამუშავებაში შედის წინათ დაუმუშავებელი მიწების დიდი რაოდენობა. ახლად დამუშავებული მიწა შეიძლება ისევე ნაყოფიერი იყოს, როგორც ძველი, უფრო ნაყოფიერიც კი, ვიდრე ეს უკანასკნელი იყო მანამდე, სანამ მასში საუკუნეთა კულტურა არ დაგროვდა. მაგრამ ახალ მიწას, რათა იგი თავის პროდუქტს უფრო ძვირ ფასად არ ყიდდეს, — მოეთხოვება, რომ მისი ნაყოფიერება უდრიდეს, ჯერ ერთი, დამუშავებული ნიადაგის [510] ბუნებრივ ნაყოფიერებას და, მეორე, მის ხელოვნურ, კულტურის მიერ შექმნილ, მაგრამ ახლა ბუნებრივად-ქცეულ ნაყოფიერებას. ამრიგად, ახლად დამუშავებული ნიადაგი გაცილებით უფრო ნაყოფიერი უნდა იყოს, ვიდრე ძველი ნიადაგი იყო მის დამუშავებამდე.

მაგრამ გვეტყვიან:

დამუშავებული ნიადაგის ნაყოფიერება დამოკიდებულია პირველ რიგში მის ბუნებრივ ნაყოფიერებაზე. მაშასადამე, ახლად დამუშავებული ნიადაგის ბუნებრივ თვისებებზეა დამოკიდებული, აქვს თუ არა მას ეს ნაყოფიერება, რომელიც ბუნებიდან გამომდინარეობს და ბუნებრივი ფაქტორებით არის გაპირობებული. ორივე შემთხვევაში ეს ნაყოფიერება არაფერი არ ღირს. დამუშავებული მიწის ნაყოფიე-

რების მეორე ნაწილი კი ხელოვნური პროდუქტია, რომელიც თავის არსებობას უნდა უმადლოდეს კულტურას, კაპიტალის დაბანდებას. მაგრამ ნაყოფიერების ეს ნაწილი მოითხოვს წარმოების ხარჯებს, რომლებიც ნაზღაურდება მიწაში დაბანდებული ძირითადი კაპიტალის სარგებლის სახით. მიწის რენტის ეს ნაწილი არის უბრალოდ მიწასთან შეერთებული ძირითადი კაპიტალის სარგებელი. ამიტომ ეს ნაწილი შედის უკვე დიდი ხნის წინათ დამუშავებული მიწის პროდუქტის წარმოების ხარჯებში. მაშასადამე, საჭიროა მხოლოდ ასეთივე კაპიტალის დაბანდება ახლად დამუშავებულ მიწაში და მაშინ ეს უკანასკნელიც შეიძენს ნაყოფიერების ამ მეორე ნაწილს; მსგავსად იმისა, როგორც ამას ადგილი აქვს უკვე დიდი ხნის წინათ დამუშავებული მიწის მიმართ, ამ ნაყოფიერების შექმნაზე დახარჯული კაპიტალის სარგებელი პროდუქტის ფასში შედის. რატომ არ შეიძლება ასეთ შემთხვევაში ახალი მიწა, — რომელიც უფრო ნაყოფიერი არაა, — შესულიყო დამუშავებაში პროდუქტის ფასის გაუდიდებლად? თუ ბუნებრივი ნაყოფიერება ერთნაირია, მაშინ სხვაობა გაბირობებულია მხოლოდ კაპიტალის დაბანდებით, და ამ კაპიტალის სარგებელი ორივე შემთხვევაში თანაბრად შედის წარმოების ხარჯებში.

მაგრამ ეს მსჯელობა მცდარია. ყამირი მიწის დამუშავებისთვის მომზადების ხ ა რ ჯ ე ბ ი ს ნაწილი და ა. შ. შემდეგში არ ნაზღაურდება იმ მიზეზით, რომ ამ გზით შექმნილი ნაყოფიერება, როგორც ეს უკვე რ ი კ ა რ დ ო მ შენიშნა, ნაწილობრივ შეეზარდა მიწის ბ უ ნ ებ რ ი ვ თ ვ ი ს ე ბ ებ ს (მაგალითად, ხარჯები ძირკვების ამოღების, მელიორაციის, ჭაობების ამოშრობის, დაგეგმვის, მრავალგზის განმეორებითი ქიმიური პროცესების შედეგად ნიადაგის შედგენილობის ქიმიური ცვლილების ხარჯები და ა. შ.). ამრიგად,—იმისათვის, რომ თავისი პროდუქტი იმაგე ფასად გაყიდოს, რა ფასადაც უკანასკნელად დამუშავებაში შესული ნიადაგის პროდუქტი იყიდება, — ახლად დამუშავებული ნიადაგი საკმაოდ ნაყოფიერი უნდა იყოს, რათა ამ ფ ა ს ს ა დაფაროს მისთვის ყამირი მიწის დამუშავების ხარჯების ის ნაწილი, რომელიც შედის ახლად დასამუშავებელი ნიადაგის წარმოების ხარჯებში, მაგრამ რომელიც უკვე აღარ შედის წინათ ათვისებული ნიადაგის ხ ა რ ჯ ებ შ ი და შეეზარდა ნიადაგის ბუნებრივ ნაყოფიერებას.

«მოხერხებულად შედგარე წ ყ ა ლ ვ ა რ დ ნ ი ლ ი იძლევა ისეთი რენტის მაგალითს, რასაც ეხდიან საკუთრებად გადაქცეულ ბუნების ნაბოძებისთვის, რომელსაც ისეთი არაჩვეულებრივი თვისება გააჩნია, როგორიც კი შეიძლება ყაცმა

წარმოიდგინოს. ეს კარგად ესმით სამრეწველო რაიონებში, სადაც მნიშვნელოვან რენტას იხდიან პატარა წყალვარდნილებისათვის — განსაკუთრებით, თუ წყლის ვარდნის სიმაღლე დიდია. ასეთი წყალვარდნილებიდან მიღებული ძალა უდრის იმ ძალას, რასაც ორთქლის მანქანები იძლევიან; ამიტომ ამ წყალვარდნილებით სარგებლობა, დიდი რენტის გადახდის პირობებშიც კი, ისევე ხელსაყრელია, როგორც დიდი თანხების დახარჯვა ორთქლის მანქანების აგებასა და ექსპლოატაციაზე. წყალვარდნილებს შორის ზოგი დიდია, ზოგი კი პატარა. სამრეწველო საწარმოთა ადგილსამყოფელთან სიახლოვე ასევე უპირატესობაა, რომელიც მაღალ რენტას იძლევა. იორკის და ლანკასტერის საგრაფოებში ყველაზე პატარა წყალვარდნილისათვის გადახდილ რენტასა და ყველაზე დიდი წყალვარდნილისათვის გადასახდელ რენტას შორის, როგორც ჩანს, გაციცლებით უფრო დიდი სხვაობაა, ვიდრე ყველაზე ნაკლებნაყოფიერი მიწის 50 აკრზე გადასახდელ რენტასა და ჩვეულებრივი სახნავად გამოყენებული ყველაზე ნაყოფიერი მიწის 50 აკრზე გადასახდელ რენტას შორის» (ჰ ო პ კ ი ნ ს ი, იქვე, გვ. 37 — 38).

[8) ᲣᲐᲛᲘᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ. ᲞᲣᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲔᲑᲘ (1641 — 1859 ᲬᲬ.)]

თუ შევადარებთ პურის ზემოაღნიშნულ საშუალო წლიურ ფასებს * და გამოვრიცხავთ იმას, რაც გაპირობებულია, ჯერ ერთი, ფულის ღირებულების დაცემით (1809 — 1813 წწ.) და, მეორე, განსაკუთრებით მოუსავლიანი წლებით — როგორც, მაგალითად, 1800 და 1801 წლებში იყო, — დავინახავთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რამდენი ახალი მიწა შევიდა დამუშავებაში მოცემულ მომენტში ან მოცემული პერიოდის განმავლობაში. ფასის გადიდება დამუშავებულ მიწებზე გვიჩვენებს აქ მოსახლეობის ზრდას და, ამის შედეგად, პურის ფასის ნამეტს [მისი ღირებულების ზევით]; მეორე მხრივ, მოთხოვნის ეს გადიდება იწვევს ახალი მიწის დამუშავებას. თუ დამუშავებული მიწის მასა შეფარდებით ძლიერ გადიდდა, მაშინ მზარდი ფასი, უფრო მაღალი ფასი წინა პერიოდთან შედარებით, იმას ამტკიცებს მხოლოდ, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი უამირი მიწის დამუშავებისათვის მომზადების ხარჯებისა შედის წარმოებული კვების საგნების დამატებითი რაოდენობის ფასში. პურის ფასი რომ არ გადიდებულიყო, წარმოების გადიდებას ადგი-

* იხ. ეს ტომი, ნაწ. 11, გვ. 171 — 173. რ ე დ.

ლი არ ექნებოდა. ამ გადიდების შედეგი, ფასის დაცემა, შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ შემდგომ, რადგან ახლახან დაბანდებული კაპიტალების მიერ წარმოებული კვების საგნების ფასში შედის წარმოების ხარჯების ან ფასის ისეთი ელემენტი, რომელიც მიწაში კაპიტალის წინანდელ დაბანდებებში და დამუშავებული ნიადაგის წინანდელ ნაწილებში დიდი ხანია უკვე დაფარულია. სხვაობა კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, ახალი ნიადაგის დამუშავების ხარჯები რომ, შრომის ნაყოფიერების გადიდების გამო, მნიშვნელოვნად არ შემცირებულიყო იმასთან შედარებით, რასაც ისინი წინანდელ დროში შეადგენდნენ.

[511] ახალი მიწის გარდაქმნა, სულ ერთია, უფრო ნაყოფიერი იქნება ეს მიწა ძველთან შედარებით, თანაბრად ნაყოფიერი თუ ნაკლებად ნაყოფიერი, მისი მოყვანა ისეთ მდგომარეობაში (ეს მდგომარეობა კი განისაზღვრება მიწათმოქმედების კულტურის ათვისების იმ ნორმით, რაც საერთოა, გაბატონებულია უკვე დამუშავებულ მიწაზე), რომელიც მას გამოსადეგს ხდის კაპიტალისა და შრომის გამოსაყენებლად იმავე პირობებში, რა პირობებშიც კაპიტალი და შრომა გამოიყენება საშუალოდ უკვე დამუშავებაში მყოფ მიწაზე, — ეს ათვისება უნდა ანაზღაურებულ იქნეს ყამირი მიწის დამუშავებულ მიწად გადაქცევის ხარჯებით. წარმოების ხარჯების ეს სხვაობა უნდა დაფაროს ახლად დამუშავებულმა მიწამ. თუ აღნიშნული სხვაობა არ შედის ახლად დამუშავებული მიწის პროდუქტის ხარჯებში, მაშინ შესაძლებელია ამ შედეგის განხორციელების ორი შემთხვევა. ან დამუშავებაში ახლად შესული მიწის პროდუქტი არ იყიდება მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით. მისი ფასი მის ღირებულებაზე უფრო დაბლა დგას, რაც ნამდვილად მოსდის მეტწილ მიწას, რომელიც რენტას არ იძლევა, რადგან მისი პროდუქტის ფასი განისაზღვრება არა მისი საკუთარი ღირებულებით, არამედ იმ პროდუქტის ღირებულებით, რომელიც წარმოებულია უფრო ნაყოფიერ მიწაზე. ანდა დამუშავებაში ახლად შესული მიწა უნდა იყოს იმდენად ნაყოფიერი, რომ მისი პროდუქტი მისი საკუთარი, იმანენტური ღირებულების კვალობაზე გაყიდვისას, მასში გასაგნობრივებული შრომის რაოდენობის შესაბამისად, იყიდებოდეს უფრო დაბალ ფასად, ვიდრე უკვე წინათ დამუშავებული მიწის პროდუქტი იყიდება.

თუ სხვაობა უკვე დიდი ხნის წინათ დამუშავებული ნიადაგის პროდუქტის ღირებულების მიერ რეგულირებულ საბაზრო ფას-

ს ა და ახლად დამუშავებული ნიადაგის პროდუქტის შ ი ნ ა გ ა ნ ღ ი-
რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს შორის ი ქ ნ ე ბ ო დ ა, მ ა გ ა ლ ი თ ა დ, 5% და თუ,
მეორე მხრიდ, ამ პროდუქტის წარმოების ხარჯებში შემავალი და ი ე
კაპიტალზე საანგარიშებელი ს ა რ გ ებ ე ლ ი, რომელიც ინისათ-
ვის დაიხარჯა, რომ ახალი ნიადაგი იმავე წარმოებითი უნარიანობის
დონეზე აეყვანა, რაც ძველი ნიადაგისათვის ჩვეულებრივია, ასევე
5% იქნებოდა, — მაშინ ახლად დამუშავებული მიწა ისეთ პრო-
დუქტს მოგვცემდა, რომელიც ძველი საბაზრო ფასის პირობებში
ხელფასის, მოგებისა და მიწის რენტის გადახდას შეძლებდა. თუ და-
ხარჯულ კაპიტალზე გადასახდელი იქნებოდა მხოლოდ 4%, მაშინ
როდესაც ახალი მიწის ნაყოფიერება ძველი მიწის ნაყოფიერებას
4%-ზე უფრო მეტით გადააჭარბებდა, მაშინ საბაზრო ფასი, — იმ
თანხის გამოკლების შემდეგ, რაც «დამუშავებისათვის ვარგის მდგო-
მარეობაში» ახალი მიწის მოყვანაზე დახარჯულ კაპიტალს ოთხპრო-
ცენტიანი განაკვეთის კვალობაზე უწევს, — მოგვცემდა ნამეტს,
ანდა პროდუქტი შეიძლებოდა გაყიდულიყო ყველაზე ნაკლებნაყო-
ფიერი ნიადაგის პროდუქტის ღ ი რ ებ ულ ებ ით რ ე გ უ ლ ი-
რ ებ ულ ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ზ ე დაბლ. ამის გამო პროდუქტის
საბაზრო ფასთან ერთად შემცირდებოდა ყველა რენტაც.

ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ა არის ღ ი რ ებ ულ ებ ის გადანა-
შეტი ნედლი პროდუქტის ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ზ ე. დ ი ფ ე რ ე ნ ც ი-
უ ლ ი რ ე ნ ტ ა არის უფრო ნაყოფიერ მიწაზე წარმოებული პრო-
დუქტის ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ს გადანამეტი ამ უფრო ნაყოფიერი ნია-
დაგის საკუთარი პროდუქტის ღ ი რ ებ ულ ებ ა ზ ე.

ამიტომ, თუ გარკვეული დროის მონაკვეთში შედარებით მნიშვ-
ნელოვანი ნაწილი დამატებითი კვების პროდუქტებისა, რასაც მზარდი
მოსახლეობა საჭიროებს, პირველად დამუშავებულ ნიადაგზე იწარ-
მოება და იმავდროულად ნ ე დ ლ ი პ რ ო დ უ ქ ტ ის ფ ა ს ი
მატულობს ანდა უცვლელი რჩება, ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს,
რომ ნიადაგის ნაყოფიერება ქვეყანაში შემცირდა. ეს ამტკიცებს
მხოლოდ იმას, რომ ნაყოფიერება არ გადიდებულა იმდენად, რათა
დაფაროს წარმოების ხარჯების ახალი ელემენტი, ე. ი. სარგებელი იმ
კაპიტალისა, რომელიც დაიხარჯა დაუმუშავებელი მიწის წარმოების
იმ ჩვეულებრივი პირობების დონემდე აყვანისათვის, რა პირობებ-
შიც განვითარების მოცემულ სტადიაზე ძველი მიწების დამუშავება
წარმოებს.

ამრიგად, უ ც ვ ლ ე ლ ი და მ ზ ა რ დ ი ფ ა ს ი ც კ ი, — თუ
ახლად დამუშავებული ნიადაგის შეფარდებითი რაოდენობა სხვადა-

სხვაა სხვადასხვა პერიოდებში, — იმას კი არ ამტკიცებს, რომ ახალი ნიადაგი უნაყოფოა ანდა რომ იგი ნაკლებ პროდუქტს იძლევა, არამედ მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მისი პროდუქტის ღირებულებაში შედის ხარჯების ისეთი ელემენტი, რომელიც ძველად ათვისებულ ნიადაგებზე უკვე დაფარულია და რომ ხარჯების ეს ახალი ელემენტი ძალაში რჩება, თუმცა წარმოების ახალ პირობებში ყამირი მიწის დამუშავებისათვის მომზადების ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა შედარებით იმ ხარჯებთან, რომლებიც საჭირო იყო იმისათვის, რათა ძველი ნიადაგი ნაყოფიერების თავდაპირველი, ბუნებრივი მდგომარეობიდან მის ახლანდელ მდგომარეობაში ჩამდგარიყო. მაშასადამე, საჭირო იქნებოდა [512] დაგვედგინა სხვადასხვა პერიოდებში [სათემო მიწისა და მისი დასახნავად მომზადების] შემოღობვათა შეფარდებითი წილი[51].

საერთოდ კი ზემოთ მოცემული ცხრილი (გვ. 507 — 508) გვიჩვენებს შემდეგს:

თუ განვიხილავთ ათწლიან პერიოდებს, აღმოჩნდება, რომ 1641 — 1649 წლების პერიოდი უფრო მაღლა დგას, ვიდრე სხვა რომელიმე ათწლიანი პერიოდი 1860 წლამდე, 1800 — 1809 და 1810 — 1819 წლების ათწლიანი პერიოდების გამოკლებით.

თუ განვიხილავთ ორმოცდაათწლიან პერიოდებს, დავინახავთ, რომ 1650 — 1699 წლების პერიოდი უფრო მაღლა დგას. ვიდრე 1700 — 1749 წლების პერიოდი, 1750 — 1799 წლების პერიოდი კი უფრო მაღლა დგას, ვიდრე 1700 — 1749 წლების პერიოდი და უფრო დაბლა, ვიდრე 1800 — 1849 წლების (ან 1800 — 1859 წლების პერიოდი.

ფასების დაცემა ხდება რეგულარულად 1810—1859 წლების პერიოდში, მაშინ როდესაც 1750—1799 წლების პერიოდში,—თუმცა ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე საშუალო ფასი უფრო დაბალია, — ადგილი აქვს მოძრაობას აღმავალი ხაზით; ეს მოძრაობა იმდენადვე რეგულარულად მატებადია, რამდენადაც მოძრაობა 1810 — 1859 წლების მანძილზე კლებადია.

მართლაც, 1641 — 1649 წლების პერიოდთან შედარებით ხდება საერთოდ საშუალო ფასების განუწყვეტელი შემცირება ათი წლის განმავლობაში, სანამ ეს შემცირება XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ორ უკანასკნელ ათწლეულში თავის ზღვრულ წერტილს (ყველაზე დაბალ წერტილს) არ აღწევს.

XVIII საუკუნის შუა ხანიდან ხდება საშუალო ფასის გადიდება, რაც ისეთი ფასით (36 შილ. $4^{5}/_{10}$ პენსი 1750 — 1759 წწ.) იწყება, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ საშუალო ფასზე დაბალია და დაახლოებით შეესაბამება, ერთგვარი გადამეტებით, 1700 — 1749 წლების პერიოდის საშუალო ფასს — 35 შილ. $9^{29}/_{50}$ პენსს (XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საშუალო ფასს). ეს მოძრაობა აღმავალი ხაზით გრძელდება განუხრელად 1800 — 1809 და 1810 — 1819 წლების ორი ათწლიანი პერიოდის განმავლობაშიც. ამ ორიდან უკანასკნელ პერიოდში იგი აღწევს თავის უმაღლეს წერტილს. ამ დროიდან კვლავ იწყება რეგულარული მოძრაობა დაღმავალი ხაზით. თუ ავიღებთ საშუალოს 1750 — 1819 წლების გადიდების პერიოდში, მისი საშუალო ფასი (რამდენადმე მეტი, ვიდრე 57 შილინგი ერთ კვარტერზე) [დაახლოებით] უდრის შემცირების პერიოდის იმ ამოსავალ პუნქტს, რომელიც იწყება 1820 წლიდან (სახელდობრ, რამდენადმე უფრო მეტია, ვიდრე 58 შილინგი 1820 — 1829 წლების ათი წლის პერიოდისათვის), — სავსებით ისევე, როგორც ამოსავალი პუნქტი XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის [დაახლოებით] უდრის მისი პირველი ნახევრის საშუალო ფასს.

თუ რა ძლიერი გავლენა შეიძლება მოახდინონ საშუალო ციფრზე ცალკეულმა გარემოებებმა — მოუსავლიანობამ, ფულის ღირებულების დაცემამ და ა. შ., — ამას გვიჩვენებს ყოველი არითმეტიკული მაგალითი. ასე, მაგალითად, 30+20+5+5+5=65, საშუალო = 13, თუმცა აქ სამი უკანასკნელი ციფრი — სულ მხოლოდ ხუთიანია. პირიქით, 12+11+10+9+8 [=50], საშუალო = 10, თუმცა, თუ პირველ მწკრივში ამოვშლით გამონაკლისის შემადგენელ 30 და 20 რიცხვებს, ყოველი სამი წლის საშუალო მეორე მწკრივში იქნებოდა უფრო მაღალი.

თუ გამოვაკლებთ იმ კაპიტალის ასანაზღაურებელ დიფერენციულ ხარჯებს, რომელიც თანმიმდევრულად იყო გამოყენებული ყამირი მიწების დასამუშავებლად მომზადებისათვის და გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოების ხარჯებში შედიოდა როგორც. განსაკუთრებული მუხლი, მაშინ 1820 — 1859 წლების ფასები, შეიძლება, უფრო დაბალი აღმოჩნდეს, ვიდრე ყველა უწინდელი ფასი. და ეს ნაწილობრივ, უნდა ვიფიქროთ, ესახებოდათ თვალწინ იმ ჩერჩეტებს, რომლებიც რენტას ხსნიან მიწაზე დაბანდებული ძირითადი კაპიტალის სარგებლით.

[ბ) ანდერსონი მალთუსის წინააღმდეგ. მიწის რენტა ანდერსონის გაგებით. ანდერსონის დებულება მიწათმოქმედების მზარდი ნაყოფიერებისა და დიფერენციულ რენტაზე მისი გავლენის შესახებ]

ანდერსონი ამბობს თავის ნაწარმოებებში «A Calm Investigation of the Circumstances that have led to the Present Scarcity of Grain in Britain» (London, 1801).

«1700-დან 1750 წლამდე ჩვენ გვაქვს ფასების მუდმივი შემცირება კვარტერ ხორბალზე 2 გირვ. სტერ. 18 შილ. 1 პენსიდან 1 გირვ. სტერლ. 12 შილ. 6 პენსამდე; 1750-დან 1800 წლამდე — მუდმივი გადიდება ფასებისა 1 გირვ. სტერლ. 12 შილ. 6 პენსიდან 5 გირვ. სტერლ. 10 შილინგამდე კვარტერზე» (გვ. 11).

მაშასადამე, ანდერსონს, უესტისაგან, მალთუსისაგან, რიკარდოსაგან განსხვავებით, თვალწინ ჰქონდა არა ცალმხრივი მოვლენა (1750 — 1813 წლებში) პურის ფასების მზარდი სკალისა, არამედ, პირიქით, ორნაირი მოვლენა: მთელი საუკუნე, რომლის პირველი ნახევარი გვიჩვენებს პურის ფასების მუდმივად კლებად, მეორე ნახევარი კი — მუდმივად მზარდ სკალას. ამასთან ანდერსონი კატეგორიული ფორმით შენიშნავს:

«მოსახლეობა ერთნაირად იზრდებოდა XVIII საუკუნის როგორც პირველ, ისე მეორე ნახევარშიც» (იქვე, გვ. 12).

ანდერსონი მოსახლეობის თეორიის[52] სასტიკი მტერია, და იგი მთელი გარკვეულობით ხაზს უსვამს იმას, რომ მიწას გაუმჯობესების მზარდი და მუდმივი უნარი აქვს:

«მიწა შეიძლება სულ უფრო უმჯობესდებოდეს ქიმიური ზემოქმედებით და დამუშავების მეოხებით» (იქვე, გვ. 38)[53].

[513] «მეურნეობის რაციონალური სისტემის პირობებში ნიადაგის ნაყოფიერება შეიძლება იზრდებოდეს წლიდან წლამდე დროის განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში, სანამ, ბოლოს, იგი არ მიაღწევს ისეთ სიმაღლეს, რომელიც ჩვენ დღეს ძნელად თუ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ» (გვ. 35 — 36).

«დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მოსახლეობა უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რის გამოკვებაც ამ კუნძულს შეეძლო, რომ ჯერ კიდევ შორს ვართ ამ მხრივ რაიმე სერიოზული საშიშროების შექმნის შესაძლებლობიდან» (გვ. 37).

«ყველგან, სადაც მოსახლეობა იზრდება, მასთან ერთად აუცილებლად იზრდება ქვეყნის წარმოებაც, თუკი მხოლოდ ადამიანები ნებას არ მისცემენ რაიმე მორალურ ზემოქმედებებს დაარღვიონ ბუნების ეკონომიკა» (გვ. 41).

«მოსახლეობის თეორია» «ყველაზე საშიში ცრურწმენაა» (გვ. 54). ანდერსონი ცდილობს დაამტკიცოს ისტორიული მაგალითებით, რომ «მიწათმოქმედების ნაყოფიერება» იზრდება მოსახლეობის ზრდასთან ერთად და მცირდება მის შემცირებასთან ერთად (გვ. 55, 56, 60, 61 და შემდეგი).

რ ე ნ ტ ი ს სწორი გაგებისას უწინარეს ყოვლისა ბუნებრივად უნდა წარმოშობილიყო ის აზრი, რომ რენტა გამომდინარეობს არა ნიადაგიდან, არამედ მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი დ ა ნ, ე. ი. შრომიდან, შ რ ო მ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი ს, მაგალითად, ხორბლის, ფ ა ს ი დ ა ნ, — მიწათმოქმედების პროდუქტის ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ი დ ა ნ, მიწაზე გამოყენებული შრომიდან, და არა თვით მიწიდან, — და ამას მართებულად უსვამს ხაზს ანდერსონი:

«მიწის რენტა კი არ განსაზღვრავს ამ მიწის პროდუქტის ფასს, არამედ ამ პროდუქტის ფასი განსაზღვრავს მიწის რენტას, თუმცა ამ პროდუქტის ფასი ზშირად არის ხოლმე ყველაზე მაღალი იმ ქვეყნებში, სადაც მიწის რენტა ყველაზე დაბალ დონეზეა».

{მაშასადამე, რენტას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მიწათმოქმედების ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ნაყოფიერებასთან.}

«ეს გვეჩვენება პარადოქსად, რომელიც ახსნას საჭიროებს.

ყოველ ქვეყანაში არსებობს თავიანთი ნაყოფიერებით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სხვადასხვა ხარისხის ნიადაგები. ჩვენ მათ დავყოფთ სხვადასხვა თანრიგებად, რომელთაც ვუწოდებთ A, B, C, D, E, F და ა. შ. თანრიგი A მოიცავს ყველაზე დიდი ნაყოფიერების მქონე ნიადაგებს, ყველა შემდგომი ასოთი კი აღინიშნება სხვადასხვა თანრიგის ნიადაგები, რომელთაგან თვითეული თავისი ნაყოფიერებით მით უფრო დაბლა დგას, რაც უფრო დაშორებულია პირველ თანრიგს. და რადგან ყ ვ ე ლ ა ზ ე ნ ა ყ ო ფ ი ე რ ი ნ ი ა დ ა გ ი ს დ ა მ უ შ ა ვ ებ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი ი ს ე ვ ე დ ი დ ი ა, რ ო გ ო რ ც ყ ვ ე ლ ა ზ ე ნ ა ყ ო ფ ი ე რ ი ნ ი ა დ ა გ ი ს დ ა მ უ შ ა ვ ებ ი ს ხ ა რ ჯ ებ ი ც, ა ნ დ ა ა დ ე მ ა ტ ებ ი ა ნ კ ი დ ე ც მ ა თ, ამიტომ აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ, თ უ პ ი რ ის ე რ თ ი ი ა ნ ი ა ნ ი ვ ე ბ ი ნ ო ბ ა, ს უ ლ ე რ თ ი ი ა, რ ო მ ე ლ ი მ ი ნ დ ვ რ ი დ ა ნ ა ც ა რ უ ნ დ ა მ ი ი ღ ებ ო დ ე ს ი გ ი, შ ე ი ძ ლ ებ ა ე რ თ ს ა ა ნ ი მ ა ვ ე ფ ა ს ა დ ი ყ ი ნ ებ ო დ ე ს, — მაშინ ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგის დამუშავებით მიღებული მოგება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სხვა ნიადაგთა დამუშავებით მიღებული მოგება».

{საქმე ეხება [პროდუქტის] ფასის გადანამეტს ხარჯებზე, ანუ ავანსებული კაპიტალის ფასს},

«და რადგან ეს მოგება განაგრძობს შემცირებას ნაყოფიერების შემცირების კვალობაზე, აშიტომ საბოლოო ანგარიშით უნდა გ ა მ ო ვ ი დ ე ს ი ს ე, რომ ნიადაგის ზოგიერთ დაბალ თანრიგში მ ი წ ი ს დ ა მ უ შ ა ვ ებ ი ს ხ ა რ ჯ ებ ი უ თ ა ნ ა ბ ა რ დ ებ ა მ თ ე ლ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ს» (გვ. 45 — 46).

უკანასკნელი ნიადაგი არ იხდის არავითარ რენტას (ციტირებულია მაკ-კულოხის წიგნის მიხედვით «The Literature of Political Economy», London 1845, — მაკ-კულოხს აქ ციტირებული აქვს წიგნიდან «An Inquiry into the Nature of the Corn Laws» ან წიგნიდან «Recreations in Agriculture, Natural-History, Arts» etc., London» 1799 — 1802. ეს უნდა შემოწმდეს ბრიტანეთის მუზეუმში [54]).

ის, რასაც ანდერსონი აქ მთელი პროდუქტის «ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს» უწოდებს, მის წარმოდგენაში, აშკარაა, სხვა არაფერია, თუ არა ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი, რომლის კვალობაზე პროდუქტი იყიდება, სულ ერთია ეს პროდუქტი საუკეთესო ნიადაგზე მოიყვანება თუ უცუდესზე. ეს «ფასი» (ღირებულება) უფრო ნაყოფიერი თანრიგის ნიადაგისათვის იძლევა უფრო დიდ ან უფრო ნაკლებ გადანამეტს ხარჯებზე. უკანასკნელი პროდუქტი არ იძლევა ასეთ გადანამეტს. ამ პროდუქტისათვის ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ი, ე. ი. წარმოების ხარჯებით განსაზღვრული ფასი პლუს საშუალო მოგება, ემთხვევა პროდუქტის საბაზრო ფასს, — მაშასადამე, აქ არ არსებობს არავითარი დამატებითი მოგება, რომელსაც ანდერსონის აზრით, ერთადერთს შეუძლია წარმოქმნას რენტა. ანდერსონთან რენტა უდრის პროდუქტის ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ს გადანამეტს მის ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ზ ე. (ღირებულების თეორია ჯერ კიდევ სრულიად არ აწუხებს ანდერსონს.) ამრიგად, თუ ნიადაგის განსაკუთრებული უნაყოფობის გამო ამ ნიადაგის პროდუქტის ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ი ს პროდუქტის ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ს ემთხვევა, მაშინ ეს ნამეტი მოიხსნება, ე. ი. აღარ არსებობს არავითარი ფონდი რენტის წარმოსაქმნელად. ანდერსონი არ ამბობს, რომ უკანასკნელად დამუშავებულ ნიადაგს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ა რ ა ვ ი თ ა რ ი რ ე ნ ტ ი ს მ ო ც ე მ ა. იგი ამბობს მხოლოდ, რომ იმ შემთხვევაში, როცა დანახარჯი (წარმოების ხარჯები პლუს საშუალო მოგება) იმდენად დიდია, რომ სხვაობა პროდუქტის საბაზრო ფასსა და მის საშუალო ფასს შორის ქრება, მაშინ ქრება აგრეთვე რენტაც და რომ ეს გარდუვალად ხდება, თუ სულ უფრო დაბლა დავიწევთ სკალის მიყოლებით. ანდერსონი პირდაპირ აცხადებს, რომ რენტის ასეთი წარმოქმნის წანამძღვარს წარმოადგენს გარკვეული თ ა ნ ა ბ ა რ ი ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი წარმოების არათანაბრად ხელსაყრელ პირობებში წარმოებული პროდუქტების თანაბარ რაოდენობათათვის. დამატებითს მოგებას, ანუ მოგების ნამეტს, საუკეთესო ხარისხის ნიადაგზე შედარებით უცუდესი ხარისხის ნიადაგთან, ამბობს იგი, აუცილებლად აქვს ადგილი «თ უ პ ი რ ი ს ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე რ ა ო დ ე ნ ო ბ ა, ს უ ლ

ერთია, რომელი მინდვრიდანაც უნდა მიიღებოდეს იგი, შეიძლება ერთსა და იმავე ფასად იყიდებოდეს», — თუ, მაშასადამე, საერთო საბაზრო ფასი იგულისხმება.

[514] ანდერსონს სულაც არ მიაჩნია, — როგორც ეს შეიძლება მოგვჩვენებოდა ზემომოყვანილი ნაწყვეტის მიხედვით, — რომ ნაყოფიერების სხვადასხვა ხარისხი უბრალოდ ბუნების პროდუქტია. პირიქით, მისი აზრით,

«ნიადაგთა უსასრულო სხვადასხვაგვარობა» ნაწილობრივ იქიდან წარმოდგება, რომ «ეს ნიადაგები თავიანთი თავდაპირველი მდგომარეობიდან სრულიად სხვა მდგომარეობაში იქნენ ჩაყენებული დამუშავების სხვადასხვა წესების მეოხებით, რაც მათ განიცადეს, სასუქების მეშვეობით» და ა. შ. («**An Inquiry into the Causes that have hitherto retarded the Advancement of Agriculture in Europe**», **Edinburgh**, 1779, გვ. 5).

ერთი მხრივ, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განვითარება უფრო აადვილებს ახალი მიწების დამუშავებას; მაგრამ, მეორე მხრივ, მიწის დამუშავება ადიდებს სხვაობას ნიადაგთა შორის, რადგან საკმებით შესაძლებელია, რომ დამუშავებულ A ნიადაგს და დაუმუშავებელ B ნიადაგს თავდაპირველად ერთნაირი ნაყოფიერება ჰქონდათ, თუ ჩვენ A ნიადაგის ნაყოფიერებას გამოვაკლებთ ნაყოფიერების იმ წილს, რომელიც ამ ნიადაგისათვის ამჟამად, მართალია, ბუნებრივია, მაგრამ უწინ მას ხელოვნურად ჰქონდა მინიჭებული. მაშასადამე, თვით დამუშავება ნიადაგისა ადიდებს ნაყოფიერების სხვაობას დამუშავებულსა და დაუმუშავებელ მიწას შორის.

ანდერსონი გარკვევით აცხადებს, რომ იმ ნიადაგს, რომლის პროდუქტისთვისაც საშუალო ფასი და საბაზრო ფასი ერთმანეთს ემთხვევიან, არავითარი რენტის გადახდა არ შეუძლია:

«ავიღოთ ორი მინდორი, რომელთა ნაყოფიერება დაახლოებით ზემოაღნიშნულ მაგალითს შეესაბამება, სახელდობრ: ერთი მინდორი იძლევა 12 ბუშელს, რაც-ხარჯებს ფარავს, მეორე კი — 20 ბუშელს; თუ ეს მინდვრები არავითარ დაუყოვნებლივ ხარჯებს მელიორაციისათვის არ საჭიროებენ, მაშინ მეორე მინდვრისათვის მოიჯარეს შეუძლია იხადოს უფრო მეტი მიწის რენტაც კი, მაგალითად, 6 ბუშელი, მაშინ როდესაც პირველი მინდვრისათვის მას არავითარი რენტის გადახდა არ შეუძლია. თუ 12 ბუშელი სწორედ იმისათვის კმარა მხოლოდ, რომ დამუშავების ხარჯები დაფაროს, მაშინ დამუშავებული მიწისათვის, რომელიც მხოლოდ 12 ბუშელს იძლევა, არავითარი რენტის გადახდა არ შეიძლება» («**Essays relating to Agriculture and Rural Affairs**», **Edinburgh and London**, 1775 — 1896, ტომი **III**, გვ. 107 — 109).

უშუალოდ ამის მიყოლებით იგი განაგრძობს:

«მაგრამ არ უნდა მოველოდეთ, რომ მოიჯარე იმ შემთხვევაში, როცა პროდუქტის უფრო დიდი რაოდენობა უშუალოდ მიღებულ იქნა მისი საკუთარი

კაპიტალის დახარჯვის მეთოდებით და მისი ძალღონის დაძაბვით. შეძლებს რენტის სახით პროდუქტის დაახლოებით ისეთივე ნაწილის გადახდას. ხოლო თუ გარკვეული დროის განმავლობაში მიწის ნაყოფიერება მუდამ იმავე მადალ დონეზე რჩებოდა, მაშინ მოჯარე შზად იქნება რენტა იხადოს ზემოაღნიშნული მოცულობით, თუნდაც რომ თავდაპირველად ნიადაგი თავისი ნაყოფიერების გადიდებას მისი ძალღონის დახარჯვას უმადლოდეს» (იქვე, გვ. 109—110.)

ამრიგად, ვთქვათ, საუკეთესოდ დამუშავებული მიწის პროდუქტი უდრის, მაგალითად, 20 ბუშელს აკრზე; აქედან 12 ბუშელი, ვარაუდის თანახმად, ანაზღაურებს ხარჯებს (ავანსებულ კაპიტალს პლუს საშუალო მოგება). ასეთ შემთხვევაში 8 ბუშელი შეიძლება გადახდილ იქნეს რენტის სახით. დავუშვათ, რომ ბუშელი ღირს 5 შილინგი. მაშინ 8 ბუშელი, ანუ 1 კვარტერი, ღირს 40 შილინგი, ანუ 2 გირვ. სტერლინგი, 20 ბუშელი კი ($2^1/_2$ კვარტერი) ღირს 5 გირვ. სტერლინგი. ამ 5 გირვ. სტერლინგიდან ხარჯებზე მიდის 12 ბუშელი, ანუ 60 შილინგი, ე. ი. 3 გირვ. სტერლინგი. მაშინ რენტის გადასახდელად რჩება 2 გირვ. სტერლინგი, ანუ 8 ბუშელი. 3 გირვ. სტერლინგიდან, ხარჯებს რომ შეადგენს, — როცა მოგების ნორმა 10%-ს უდრის, — დანახარჯს უწევს $54^6/_{11}$ შილინგი, მოგებას კი — $5^5/_{11}$ შილინგი ($54^6/_{11} : 5^5/_{11} = 100 : 10$). ვიგულისხმოთ ახლა, რომ მოიჯარეს უნდა მოახდინოს დაუმუშავებელ მიწაზე, — რომლის ნაყოფიერება 20 ბუშელის მომცემი მიწის თავდაპირველ ნაყოფიერებას უდრის, — ყოველგვარი გაუმჯობესებანი, რათა იგი ისეთ მდგომარეობაში მოიყვანოს, რომელიც სამიწათმოქმედო კულტურის საშუალო დონეს შეესაბამება. ვთქვათ, მოიჯარეს ეს უჯდება, გარდა $54^6/_{11}$ შილ. დანახარჯისა, — ანუ, თუ ჩვენ ხარჯებში შევიტანთ აგრეთვე მოგებასაც, გარდა 60 შილინგისა, — კიდევ დამატებითი დანახარჯი $36^4/_{11}$-ის ოდენობით; მაგი 10% შეადგენს $3^7/_{11}$ შილინგს, და მხოლოდ 10 წლის შემდეგ, თუ მოიჯარე ყოველთვის გაყიდის 20 ბუშელს 5 შილინგის კვალობაზე თვითეულს, შეძლებდა რენტის გადახდას, — მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი კაპიტალი კვლავწარმოებული იქნებოდა. ამ მომენტიდან ნიადაგის ხელოვნურად შექმნილი ნაყოფიერება სათვალაში მიიღებოდა როგორც თავდაპირველი და მისგან სარგებლობა ექნებოდა ლენდლორდს.

თუმცა ახლად დამუშავებული ნიადაგი ისევე ნაყოფიერია, როგორიც თავდაპირველად იყო უკვე ათვისებულთაგან ყველაზე უძველესი ნიადაგი, მაინც ახლად დამუშავებული ნიადაგის პროდუქტისათვის საბაზრო ფასი და საშუალო ფასი ახლა ერთმანეთს ემთხვე-

ვიან, იმიტომ რომ უკანასკნელში შედის ხარჯების მუხლი, რომელიც დაფარული იყო საუკეთესო ნიადაგისათვის, რომლის ხელოვნურად შექმნილი და ბუნებრივი ნაყოფიერება, რამდენადმე ერთიმეორეს ემთხვევა. ახლად დამუშავებული ნიადაგის ნაყოფიერების ის ნაწილი კი, რომელიც შექმნილია ხელოვნურად, კაპიტალის დაბანდებით, ჯერ კიდევ სრულიად განსხვავებულია ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერებისაგან. ახლად დამუშავებულ ნიადაგს, თუნდაც რომ მას ისეთივე თავდაპირველი ნაყოფიერება ჰქონდეს, როგორიც ათვისებულთაგან საუკეთესო ნიადაგს აქვს, ა რ შეეძლო, მაშასადამე, ა რ ა-ვ ი თ ა რ ი რ ე ნ ტ ი ს გადახდა. მაგრამ ათი წლის შემდეგ მას შეეძლო გადაეხადა არა მარტო საერთოდ რენტა, არამედ იმდენივე რენტაც, კი, რამდენსაც წინათ დ ა მ უ შ ა ვ ე ბ უ ლ ი საუკეთესო თანრიგის ნიადაგი იხდიდა.

ამრიგად, ანდერსონს აქ გააზრებული აქვს ორივე მოვლენა:

1) რომ დიფერენციული რენტა, რომელსაც ლენდლორდი იღებს, ნაწილობრივ შედეგია იმ ნაყოფიერებისა, რაც მოიჯარემ ხელოვნურად მისცა ნიადაგს;

2) რომ ეს ხელოვნურად შექმნილი ნაყოფიერება გარკვეული დროის გავლის შემდეგ გვეელინება როგორც თავდაპირველი ნაყოფიერება თვით ნიადაგისა, რადგან გარდაიქმნა თვით ნიადაგი, ის პროცესი კი, რომლის მეოხებითაც ეს გარდაქმნა განხორციელდა, გაქრა, გაუჩინარდა.

[515] თუ მე დღეს ძაფსართავს მოვაწყობ და ამაზე 100000 გირვ. სტერლინგს დავხარჯავ, მაშინ უფრო მაღალი მწარმოებლობის სართავი მექნება, ვიდრე ის სართავი იყო, რომელიც ჩემმა წინამორბედმა ათი წლის წინათ მოაწყო. მე არ ვანაზღაურებ სხვაობას ამჟამად მანქანათმშენებლობაში, საერთოდ სამშენებლო საქმეში და ა. შ. არსებულ მწარმოებლობასა და ათი წლის წინათ არსებულ მწარმოებლობას შორის. პირიქით, ეს სხვაობა შესაძლებლობას მაძლევს უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ი თ ა ნ ხ ა გადავიხადო იმავე მწარმოებლობის ფაბრიკისათვის ანდა მხოლოდ ი გ ი ვ ე თ ა ნ ხ ა გადავიხადო უფრო დიდი მწარმოებლობის ფაბრიკისათვის. სხვაგვარი ვითარებაა მიწათმოქმედებაში. ნიადაგთა ნაყოფიერების სხვადასხვა ხარისხს შორის არსებული განსხვავება დიდდება ნიადაგის ეგრეთწოდებული ბუნებრივი ნაყოფიერების იმ ნაწილით, რომელიც სინამდვილეში ოდესღაც ადამიანების მიერ იყო შ ე ქ მ ნ ი ლ ი, ახლა კი ორგანულად შეერთებულია თვით მიწასთან და მისი განსხვავება მიწის თავდაპირველი ნაყოფიერებისაგან უკვე აღარ შეიძლება. იმისათვის,

რომ ერთნაირი ბუნებრივი ნაყოფიერების დაუმუშავებელი ნიადაგი ნაყოფიერების ამ ამაღლებულ დონემდე ავიყვანოთ, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების გამო, უკვე საკმარისი არ არის ის ხარჯები, რაც აუცილებელი იყო დამუშავებული ნიადაგის თავდაპირველი ნაყოფიერების ასაყვანად ნიადაგის იმ ახლანდელი ნაყოფიერების სიმაღლეზე, რომელიც ამჟამად თავდაპირველ ნაყოფიერებად გვეჩვენება; მაგრამ მაინც ამ ერთნაირი დონის მისაღწევად ახლაც უფრო მეტი ან უფრო ნაკლები ხარჯებია საჭირო. ამიტომ ახალი პროდუქტის საშუალო ფასი გამოდის ძველი პროდუქტის საშუალო ფასზე უფრო მაღალი, სხვაობა კი საბაზრო ფასსა და საშუალო ფასს შორის მცირდება და შეიძლება სრულიადაც კი გაჰქრეს. დავუშვათ ახლა, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ახლად დამუშავებული მიწა ისე ნაყოფიერია, რომ 40 შილ. დამატებითი დანახარჯის (მოგების ჩათვლით) შემდეგ იგი იძლევა არა 20, არამედ 28 ბუშელს. ამ შემთხვევაში მოიჯარეს შეეძლო რენტა გადაეხადა 8 ბუშელის ოდენობით, ე. ი. 2 გირვ. სტერლინგი. მაგრამ რატომ, იმიტომ, რომ ახლად დამუშავებული ნიადაგი იძლევა 8 ბუშელით მეტს, ვიდრე ძველი, ასე რომ იგი, მიუხედავად უფრო მაღალი საშუალო ფასისა, ერთნაირი საბაზრო ფასის პირობებში, ფასის იმდენსავე გადანამეტს იძლევა, რამდენსაც ძველი ნიადაგი იძლეოდა. ახლად დამუშავებული ნიადაგის ნაყოფიერება, თუ ეს უკანასკნელი არავითარი დამატებითი ხარჯები არ ეღირებოდა, ორჯერ უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე ძველი ნიადაგის ნაყოფიერება [56]. თუ მხედველობაში მივიღებთ დამატებითი ხარჯების არსებობას, შეიძლება ითქვას, რომ ახალი ნიადაგის ნაყოფიერება სავსებით ისეთივეა, როგორიც ძველი ნიადაგის ნაყოფიერება.

[10) რიკარდოს რენტის თეორიის როდბერტუსისეული კრიტიკის შესაფუძვლება. როდბერტუსს არ ესმის კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის თავისებურებანი]

ახლა საბოლოოდ და უკანასკნელად დავუბრუნდეთ როდბერტუსს.

«იგი» (როდბერტუსის რენტის თეორია) «ხსნის... ხელფასის, რენტის და ა. შ. ყველა მოვლენას შრომის პროდუქტის განაწილებიდან, რომელიც აუცილებლად იწყება, თუ მოცემულია ორი წინასწარი პირობა: შრომის საკმაო ნაყოფიერება და მიწისა და კაპიტალის საკუთრება. იგი ამტკიცებს, რომ შრომის მხოლოდ საკმაო ნაყოფიერება განაპირობებს ასეთი დანაწილე-

ბის ეკონომიურ შესაძლებლობას, რადგან ამ ნაყოფიერების მეოხებით პროდუქტის ღირებულება იძენს იმდენად დიდ რეალურ შინაარსს, რომ ამით შეუძლიათ იცხოვრონ აგრეთვე სხვა პირთაც, რომლებიც თვითონ არ მუშაობენ; იგი ამტკიცებს აგრეთვე, რომ მხოლოდ მიწისა და კაპიტალის საკუთრება განაპირობებს ასეთი დანაწილების სამართლებრივ სინამდვილეს და აიძულებს მუშებს თავიანთი პროდუქტი გაუყონ მიწისა და კაპიტალის არამშრომელ მფლობელებს ისეთი თანაფარდობით, რომ სწორედ ისინი, მუშები, ამ პროდუქტიდან მხოლოდ იმდენს ღებულობენ, რომ სიცოცხლე შეინარჩუნონ» (როდბერტუსი, ციტირებ. თხზ., გვ. 156 — 157).

ა. სმიტი იძლევა საკითხის ორნაირ გაგებას. [პირველი გაგება:] შრომის პროდუქტის დანაწილება, ამასთან ეს პროდუქტი განიხილება როგორც მოცემული და ლაპარაკია არსებითად სახმარ ღირებულებაში კუთვნილ ნაწილზე. ასეთივე შეხედულებისაა ბ-ნი როდბერტუსიც. ამ შეხედულებას ვხვდებით რიკარდოსთან და ეს მით უფრო უნდა ვუსაყვედუროთ მას, რომ იგი არ კმაყოფილდება ზოგადი ფრაზით სამუშაო დროით ღირებულების განსაზღვრის შესახებ, არამედ ამ განსაზღვრას სერიოზულად იღებს. ეს შეხედულება შეესაბამება ცოტად თუ ბევრად, **mutatis mutandis** *, ყველა წარმოების წესს, სადაც მუშაკები და შრომის ობიექტური პირობების მფლობელები სხვადასხვა კლასებს შეადგენენ:

პირიქით, სმიტის მეორე გაგება დამახასიათებელია კაპიტალისტური წარმოების წესისთვის. ამიტომ მხოლოდ ეს გაგება არის კიდეც თეორიულად ნაყოფიერი ფორმულა. სახელდობრ, სმიტი აქ მოგებასა და რენტას განიხილავს როგორც იმ ზედმეტი შრომიდან გამომდინარეს, რაც მუშამ შრომის საგანს მიუმატა გარდა შრომის იმ ნაწილისა, რომლითაც მუშა მარტოოდენ თავის საკუთარ ხელფასს აკვლავწარმოებს. იქ, სადაც წარმოება მხოლოდ საცვლელ ღირებულებას ემყარება, ეს თვალსაზრისი ერთადერთი სწორი თვალსაზრისია. მასში მოცემულია საფუძველი განვითარების პროცესის გასაგებად, მაშინ როდესაც პირველი გაგებისას სამუშაო დრო ნაგულისხმევია როგორც უცვლელი.

რიკარდოს ცალმხრივობა გამომდინარეობს აგრეთვე შემდეგიდან: მას სურს საერთოდ დაამტკიცოს, რომ სხვადასხვა ეკონომიური კატეგორიები ანუ ურთიერთობანი არ ეწინააღმდეგებიან ღირებულების თეორიას, ნაცვლად იმისა, რომ

* — სათანადო ცვლილებებით. რედ.

პირიქით, მათი განვითარება, მთელი მათი მოჩვენებითი წინააღმდეგობებით, ამ საფუძვლიდან გამოიყვანოს, ანდა თვით ამ საფუძვლის განვითარება გადაგვიშალოს.

[516] «როგორც თქვენთვის* ცნობილია, ყველა ეკონომისტი უკვე ა. სმიტის დროდან აღიარებს, რომ პროდუქტის ღირებულება დაიშლება ხელფასად, მიწის რენტად და კაპიტალის მოგებად; მაშასადამე, იდეა იმის შესახებ, რომ სხვადასხვა კლასების შემოსავალი და, განსაკუთრებით, რენტის ნაწილები დაფუძნებულია პროდუქტის განაწილებაზე, არ არის ახალი» (უეჭველია, არ არის ახალი!). «მაგრამ ყველა ეკონომისტი მაშინვე სცდება სწორ გზის. ყველანი, — რიკარდოს სკოლის გამოუკლებლადაც კი, — უწინარეს ყოვლისა იმ შეცდომას უშვებენ, რომ არ განიხილავენ მთელ პროდუქტს, დასრულებულ დოვლათს, მთელ ეროვნულ პროდუქტს, როგორც ერთ მთელს, რაშიაც თავიანთი წილი აქვთ მუშებს, მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს: ისინი განიხილავენ ნედლი პროდუქტის განაწილებას როგორც განსაკუთრებულ განაწილებას, რომლის დროსაც თავის წილს ღებულობს სამი მონაწილე, მრეწველობის პროდუქტის განაწილებას კი — ასევე კვლავ როგორც განსაკუთრებულ განაწილებას, რომლის დროსაც თავის წილს მხოლოდ ორი მონაწილე ღებულობს. ამრიგად, ეს სისტემები განიხილავენ უკვე თავისთავად ნედლ პროდუქტს და თავისთავად მრეწველობის პროდუქტს, თვითეულ მათგანს ცალკე — როგორც ერთგვარ განსაკუთრებულ დოვლათს, რომელიც შემოსავალს შეადგენს» (გვ. 162).

უწინარეს ყოვლისა, ა. სმიტმა, მართლაც «სწორ გზას» აცდინა ყველა შემდგომი ეკონომისტი, რიკარდოსა და აგრეთვე ბ-ნი როდბერტუსის ჩათვლით, იმით, რომ იგი «პროდუქტის მთელ ღირებულებას შლის ხელფასად, მიწის რენტად და კაპიტალის მოგებად» და ამრიგად ივიწყებს მუდმივ კაპიტალს, რომელიც ასევე ღირებულების ნაწილს შეადგენს. ამ განსხვავების [შრომის ერთობლივ პროდუქტსა და ახლადმომატებული შრომის პროდუქტს შორის] უქონლობა საკითხის ყოველგვარ მეცნიერულ გაგებას პირდაპირ შეუძლებელს ხდიდა, როგორც ეს დამტკიცებულია ამ პრობლემის ჩემს ანალიზში**. ამ მხრივ ფიზიოკრატები უფრო ახლო იყვნენ ჭეშმარიტებასთან. «თავდაპირველი და ყოველწლიური ავანსები» გამოყოფილია მათ მიერ როგორც ის ნაწილი პროდუქტის ღირებულებისა, ანდა როგორც ის ნაწილი თვით წლიური პროდუქტისა, რომელიც არც ერისათვის, არც ცალკეული პირისათვის არ დაიშლება ხელახლა ხელფასად, მოგებად და რენტად. ფიზიოკრატების წარმოდგენით, სოფლის მეურნეები უნაზღაურებენ უნა-

* — ფონ კირხმანისთვის. რედ.

** იხ. ეს ტომი, ნაწ. 1. გვ. 84 — 152. რედ.

ყოფო კლასს ნედლეულის სახით მის ავანსებს (ამ ნედლეულის გადაქცევა მანქანებად თვით «უნაყოფოთა» ხვედრს შეადგენს). მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, სოფლის მეურნეები თვითონ თავის თავს უნაზღაურებენ თავიანთი პროდუქტიდან თავიანთი ავანსების ნაწილს (თესლს, საჯიშე და მუშა პირუტყვს, სასუქს და ა. შ.), მეორე ნაწილს კი (მანქანებს და ა. შ.) ისინი ანაზღაურებენ იმით, რომ მას ნედლეულზე გაცვლის გზით «უნაყოფოთაგან» ღებულობენ.

მეორე, ბ-ნი როდბერტუსი სცდება, როცა იგი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ებ ა ს და პ რ ო დ უ ქ ტ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ებ ა ს აიგივებს. «დ ო ვ ლ ა თ ს, რ ო მ ე ლ ი ც შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ს შ ე ა დ გ ე ნ ს» არავითარი პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ი ს ამ გ ა ნ ა წ ი ლ ებ ა ს თ ა ნ. ეკონომისტებმა ისევე კარგად იციან, როგორც როდბერტუსმაც, რომ ღირებულების ის ნაწილები, რომლებიც, მაგალითად, ნართის მწარმოებელთ ერგებათ და რომელთაც ოქროს გარკვეული რაოდენობა გამოხატავს, რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა ს პოულობენ ყოველგვარ პროდუქტებში, — მიწათმოქმედების ან მრეწველობის პროდუქტებში. ეს ნ ა ვ ა რ ა უ დ ე ვ ი ა წ ი ნ ა ს წ ა რ, რადგან ეს მწარმოებლები აწარმოებენ ს ა ქ ო ნ ე ლ ს და არა პროდუქტებს თავიანთი უშუალო მოხმარებისათვის. რადგან გასანაწილებელი ღირებულება, ე. ი. ღირებულების ის შემადგენელი ნაწილი, რომელიც საერთოდ შემოსავალზე დაიყვანება, წარმოების ყოველი ცალკეული სფეროს შიგნით იქმნება სხვა სფეროთაგან დამოუკიდებლად, თუმცა წარმოების ყოველი სფერო, შრომის დანაწილების გამო, სხვა სფეროებსაც გულისხმობს, — ამიტომ როდბერტუსი უკან დგამს ნაბიჯს და არევ-დარევა შეაქვს, როცა იგი ნაცვლად იმისა, რომ ღირებულების ეს შექმნა წმინდა სახით განიხილოს, იმთავითვე ურევს საქმეს შემდეგი კითხვით: ერის არსებულ ერთობლივ პროდუქტში რა წილს უზრუნველყოფენ თავიანთი მფლობელებისათვის ღირებულების ეს შემადგენელი ნაწილები? როდბერტუსთან პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ი ს განაწილება მაშინვე გადაიქცევა ს ა ხ ლ ა რ ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ა თ ა გ ა ნ ა წ ი ლ ებ ა დ. რადგან იგი ამ არევ-დარევას სხვა ეკონომისტებს ახვევს თავს, ამიტომ საჭირო ხდება მისი კორექტივი, რომელიც მოითხოვს სამრეწველო და ნედლი პროდუქტების განხილვას en bloc*.

* — ერთად, გროვად. რ ე დ.

ე. ი. მოითხოვს განხილვის ისეთ წესს, რომელსაც ღირებულების შექმნასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და, მაშასადამე, მცდარია, თუ ამასთან მის ამოცანას ღირებულების შექმნის ახსნა შეადგენს.

მრეწველობის პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი, რამდენადაც ეს უკანასკნელი შემოსავალზე დაიყვანება და რამდენადაც მრეწველი მიწის რენტას არ იხდის, — შენობების ასაგებად საჭირო მიწის რენტა იქნება ეს, თუ წყალვარდნილებისა და ა. შ., — წილი აქვთ მხოლოდ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ს და დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ მ უ შ ა ს. მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი წილი აქვს მეტწილად სამ ადამიანს. ამას ბ-ნი როდბერტუსიც აღიარებს. ამ მოვლენის როდბერტუსისეული ახსნა არაფერს არ ცვლის თვით ფაქტში. მაგრამ თუ სხვა ეკონომისტები, განსაკუთრებით რიკარდო, გამოდიან ო რ ნ ა წ ი ლ ა დ დ ა ყ ო ფ ი დ ა ნ — კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის — და მიწის რენტის მიმღები მხოლოდ მოგვიანებით შემოჰყავთ, როგორც განსაკუთრებული სახის ხორცმეტი, ეს სავსებით შეესაბამება კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისს. გასაგნობრივებული შრომა და ცოცხალი შრომა — ეს ის ორი [517] ფაქტორია, რომელთა დაპირისპირებასაც კაპიტალისტური წარმოება ემყარება. კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა არიან წარმოების ფუნქციათა ერთადერთი მატარებელნი და მისი ის აგენტები, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება და დაპირისპირებულობა კაპიტალისტური წარმოების წესის არსებიდან გამომდინარეობს.

გარემოებანი, რომელშიაც კაპიტალისტი, თავის მხრივ, იძულებულია მის მიერ მითვისებული ზედმეტი შრომის თუ ზედმეტი ღირებულების ნაწილი არამშრომელ მესამე პირებს გაუნაწილოს, მხოლოდ მეორე ინსტანციაში იჩენენ თავს. სავსებით ასევე წარმოების ფაქტია ის, რომ — პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილის გამოკლების შემდეგ, რომელიც გადასახდელია როგორც ხელფასი, და ღირებულების იმ ნაწილისა, რომელიც მუდმივ კაპიტალს უდრის, — მ თ ე ლ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა პ ი რ დ ა პ ი რ მ უ შ ი ს ხ ე ლ ი დ ა ნ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი ს ხ ე ლ შ ი გადადის. მუშის მიმართ კაპიტალისტი მთელი ზედმეტი ღირებულების უ შ უ ა ლ ო მფლობელია, სულ ერთია — როგორც უნდა უნაწილებდეს იგი ამ ღირებულებას ფულის გამსესხებელ კაპიტალისტს, მიწის მესაკუთრეს და ა. შ. ამიტომ წარმოება, როგორც ჯემს მილი შენიშნავს [58], შეიძლებოდა შეუფერხებლად გაგრ-

ძელებულიყო იმ შემთხვევაშიც, თუ მიწის რენტის მიმღები გაქრებოდა და მის ადგილს სახელმწიფო დაიკავებდა. იგი — კერძო მიწის მესაკუთრე — სრულიადაც არ არის წარმოების აუცილებელი აგენტი კაპიტალისტური წარმოების წესისათვის, თუმცა ამ უკანასკნელისათვის აუცილებელია, რომ მიწა იყოს საკუთრება ვინმესი, მხოლოდ არა მუშისა; მაშასადამე, მაგალითად, საკუთრება სახელმწიფოსი. ფეოდალური, ანტიკური და ა. შ. წარმოების წესებისაგან განსხვავებით თვით კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს წესის არსებიდან გამომდინარეობს ის, რომ კლასები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოებაში, მაშასადამე, ასევე უშუალოდ მონაწილეობენ წარმოებული ღირებულების (ე. ი. პროდუქტის, რომელშიც ეს ღირებულება რეალიზებულია) დაყოფაში, — რომ ეს კლასები დაყვანილია კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ს ა და მ უ შ ე ბ ზ ე და რომ ა ქ გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ა მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე, რომელიც გვევლინება მხოლოდ post festum *, ბუნების ძალთა საკუთრების იმ ურთიერთობათა გამო, რომლებიც კაპიტალისტური წარმოების წესიდან კი ა რ ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ უ ლ ა, არამედ მან მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ მ ი ი ღ ო. ეს დაყვანა [წარმოების უშუალო მონაწილეებისა ორ კლასზე] არავითარ შემთხვევაში არ არის რიკარდოს და სხვ. შეცდომა, არამედ პირიქით, კაპიტალისტური წარმოების წესის ადექვატურ თეორიულ გამოხატულებას წარმოადგენს, მის differentia specifica-ს ** გამოხატავს. ბ-ნი როდბერტუსი ჯერ კიდევ მეტისმეტად ძველი პრუსიული ყაიდის «მეგმამულეა», რათა ეს გაიგოს. ყოველივე ეს გასაგები და სრულიად ნათელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალისტი მიწათმოქმედებას ეუფლება და ყველგან, როგორც ამას მეტწილად ინგლისში აქვს ადგილი, მიწათმოქმედების — სავსებით ისევე, როგორც მრეწველობის, — ხელმძღვანელი ხდება და მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე ს წარმოების პროცესში ყოველგვარი უშუალო მონაწილეობიდან გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს. ამრიგად, ის, რაც აქ- ბ-ნ როდბერტუსს «სწორი გზიდან გადახვევად» მიაჩნია, არის სწორი გზა, რომელიც მხოლოდ მან ვერ გაიგო. მთელი საქმე ისაა, რომ როდბერტუსი ჯერ კიდევ კაპიტალიზმამდელი წარმოების წესიდან გამომდინარე შეხედულებათა ტყვეობაში იმყოფება.

---

* — დღესასწაულის შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, რაც მოვლენა უკვე მოხდა; დაგვიანებით. რ ე დ.

* — სპეციფიკური განსხვავებას. რ ე დ.

«არც იგი» (რიკარდო) «ყოფს მზა პროდუქტს დაყოფის მონაწილეთა შორის, და სხვა ეკონომისტების მსგავსად თვითეულ პროდუქტს — როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის პროდუქტს — რაღაც განსაკუთრებულ, გასანაწილებელ პროდუქტად მიიჩნევს» (ციტირებ. თხზ., გვ. 167).

რიკარდო განიხილავს აქ არა პროდუქტს, ბ-ნო როდბერტუს, არამედ პროდუქტის დირებულებას, და ეს სავსებით სწორია. თქვენს მზა პროდუქტს და მის განაწილებას აბსოლუტურად არაფერი საერთო აქვს ღირებულების ამ განაწილებასთან.

«კაპიტალის საკუთრება მისთვის» (რიკარდოსთვის) «არის რაღაც მოცემული, და თანაც ჯერ კიდევ უფრო ადრე, ვიდრე მიწის საკუთრება... მაშასადამე, იგი აწყვებს პროდუქტის განაწილებას არა საფუძვლებიდან, არამედ ფაქტიდან, და მთელი მისი თეორია შემოიფარგლება იმ მიზეზების განხილვით, რომლებიც განსაზღვრავენ და სახეს უცვლიან პროდუქტის განაწილების შეფარდებას... პროდუქტის დაყოფას მხოლოდ ხელფასად და კაპიტალის მოგებად იგი განიხილავს როგორც თავდაპირველს და როგორც თავდაპირველად ერთადერთს» (გვ. 167).

ეს თქვენ, ბ-ნო როდბერტუს, კვლავ არ გესმით. კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით კაპიტალის საკუთრება მართლა გვევლინება «როგორც თავდაპირველი», რადგან იგი საკუთრების ის სახეობაა, რომელსაც კაპიტალისტური წარმოება ეყრდნობა და რომელიც წარმოების ამ სისტემაში გამოდის როგორც წარმოების აგენტი და მისი ფუნქციების მატარებელი, რასაც ადგილი არა აქვს მიწის საკუთრების მიმართ. ეს უკანასკნელი გვევლინება აქ როგორც რაღაც წარმოებული, რადგან თანამედროვე მიწის საკუთრებამ, რომელიც სინამდვილეში ფეოდალური ია, სახე შეიცვალა იმ ზემოქმედებით, რაც მასზე კაპიტალმა მოახდინა; მაშასადამე, იმ ფორმით, რაც ახასიათებს მას როგორც თანამედროვე მიწის საკუთრებას, იგი მეორადია, კაპიტალისტური წარმოების წესის შედეგია. ის გარემოება, რომ ამ ფაქტს, როგორც ის არის და როგორც ის ვლინდება თანამედროვე საზოგადოებაში, რიკარდო განიხილავს აგრეთვე როგორც რაღაც ისტორიულად თავდაპირველს (მაშინ როდესაც თქვენ, ბ-ნო როდბერტუს, ნაცვლად იმისა, რომ თანამედროვე ფორმა გამოიკვლიოთ, არ შეგიძლიათ თავიდან მოიშოროთ მემამულური მოგონებანი), ერთ-ერთი გამოვლენაა იმ შეცდომისა, რასაც ბურჟუაზიული ეკონომისტები უშვებენ ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა იმ ეკონომიური კანონის განხილვისას, რომლებიც მათ წარმოად-

გებათ როგორც «ბუნების კანონები» და ამიტომ აგრეთვე როგორც ისტორიული prius *.

[518] მაგრამ რომ იქ, სადაც ლაპარაკია არა პროდუქტის დირებულებაზე, არამედ თვით პროდუქტზე, რიკარდოს მხედველობაში აქვს მთელი «მზა», პროდუქტის განაწილება, — ეს ბ-ნ რიდბერტუსს შეეძლო უკვე მისი წინასიტყვაობის პირველი ფრაზიდან დაენახა:

«მიწის პროდუქტი, — ყველაფერი, რაც მიწის ზედაპირიდან მიიღება შრომის, მანქანებისა და კაპიტალის შეერთებული გამოყენებით, — იყოფა საზოგადოების სამ კლასს შორის, სახელდობრ, მიწის მესაკუთრეს, ამ მიწის დასამუშავებლად საჭირო ფონდის, ან კაპიტალის, მფლობელსა და იმ მუშებს შორის, რომელთა შრომითაც ეს მიწა მუშავდება» («Principles of Political Economy», წინასიტყვაობა, მე-3 გამოცემა, ლონდონი, 1821).

უშუალოდ ამის მიყოლებით რიკარდო განაგრძობს:

«მაგრამ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მეტად სხვადასხვაა მიწის მთელი პროდუქტის წილი, რომელიც ამ კლასებიდან თვითეულს ერგება რენტის, მოგებისა და ხელფასის სახით» (იქვე).

აქ ლაპარაკია «მთელი პროდუქტის» და არა მრეწველობის პროდუქტის ანდა ნედლი პროდუქტის განაწილებაზე. მაგრამ ეს წილი «მთელი პროდუქტისაა», თუ იგულისხმება, რომ ეს უკანასკნელი მოცემულია, განისაზღვრება მხოლოდ იმ წილით, რაც წარმოების ყოველი სფეროს შიგნით გაყოფის თვითეულ მონაწილეს აქვს თავისი საკუთარი პროდუქტის «ღირებულებაში». ამ «ღირებულებას» შესწევს უნარი — გადაიქცეს «მთელი პროდუქტის» გარკვეულ, სათანადო წილად და მასში ჰპოვოს გამოხატულება. რიკარდო აქ, ა. სმიტის გზას მიჰყვება და ცდება მხოლოდ იმაში, რომ ივიწყებს შემდეგს: რენტად, მოგებად და ხელფასად დაიშლება არა «მთელი პროდუქტი», რადგან მისი ნაწილი კაპიტალის სახით «წილად ხვდება» ამ სამი კლასიდან ერთს ან რამდენიმეს.

«შეიძლება, თქვენ მოისურვებდით იმის მტკიცებას, რომ, მსგავსად, იმისა, როგორც თავდაპირველად კაპიტალის მოგების ტოლობის კანონს უნდა დაეწია ნედლი პროდუქტების ფასები მანამდე, ვიდრე მიწის რენტა არ გაჭრებოდა, შემდეგ კი, ფასების გადიდების გამო, ეს მიწის რენტა კვლავ უნდა წარ-

* — პირველადი, წინამავალი. რედ.

მოქმნილიყო მოსაკლიანობის მხრივ უფრო ნაყოფიერ და ნაკლებნაყოფიერ ნიადაგს შორის არსებული სხვაობიდან, — სავსებით ასევე ამჟამადაც კაპიტალის ჩვეულებრივი მოგების გარდა მიწის რენტით მიღებულ სარგებლობას სტიმული უნდა მიეცა კაპიტალისტებისათვის დაეხარჯათ კაპიტალი ახალი ყამირი მიწების თავისებაზე და ძველი მიწების გაუმჯობესებაზე, ვიდრე ამით გამოწვეული ბაზრის პირთამდე გავსება არ დასწევდა ფასებს იმდენად, რომ უფრო ნაკლებად ხელსაყრელ კაპიტალდაბანდებათა პირობებში მიწის რენტა გაქრებოდა. სხვა სიტყვებით, ეს იქნებოდა იმის მტკიცება, რომ კაპიტალის მოგებათა ტოლობის კანონი აუქმებს ნედლი პროდუქტისათვის მეორე კანონს, რომლის თანახმად პროდუქტთა ღირებულება განისაზღვრება დახარჯული შრომით, მაშინ როდესაც სწორედ რიკარდო თავის შრომის პირველ თავში იყენებს პირველ კანონს მეორის დამამტკიცებელ საბუთად» (როდბერტუსი, ციტირ. თხზ., გვ. 174).

რა თქმა უნდა, ბ-ნი როდბერტუს, «კაპიტალის მოგებათა ტოლობის» კანონი არ აუქმებს იმ კანონს, რომ პროდუქტების «ღირებულება» განისაზღვრება «დახარჯული შრომით»; მაგრამ იგი ნამდვილად აუქმებს რიკარდოს იმ წანამძღვარს, რომ პროდუქტთა საშუალო ფასი უდრის მათს «ღირებულებას». მაგრამ საქმე კვლავ ის კი არაა, რომ «ნედლი პროდუქტის» ღირებულება საშუალო ფასამდე ეცემა. სწორედ — პირიქით: «ნედლი პროდუქტი» — მიწის კერძო საკუთრების არსებობის გამო — იმ პრივილეგიით განსხვავდება, რომ მისი ღირებულება არ დაიწევს საშუალო ფასამდე. თუ მისი ღირებულება მართლა დაიწევდა, — ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მიუხედავად იმისა, რომ მასში მოცემულია ის, რასაც თქვენ «მასალის ღირებულებას» უწოდებთ, — ერთ დონემდე საქონელთა საშუალო ფასთან ერთად, მაშინ მიწის რენტა გაქრებოდა. ისეთი ხარისხის ნიადაგები, რომლებიც ამჟამად, შესაძლოა, არავითარ რენტას არ იძლევიან, ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან იმიტომ, რომ ნედლი პროდუქტების საბაზრო ფასი უდრის ამ ხარისხის ნიადაგთა პროდუქტების საკუთარ საშუალო ფასს, ასე რომ ისინი უფრო ნაყოფიერ ნიადაგთა კონკურენციის გამო — კარგავენ პრივილეგიას: თავიანთი პროდუქტი მისი «ღირებულების» მიხედვით გაყიდონ.

«შეიძლება თუ არა მართალი იყოს, რომ ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე საერთოდ მიწათმოქმედებაზე გადასვლა მოხდებოდეს, უკვე არსებობენ კაპიტალისტები, რომლებიც მოგებას იღებენ და თავიანთ კაპიტალს მოგების ტოლობის კანონის შესაბამისად აბანდებენ?» (რა სისულელეა!) «...მე შესაძლებლად მიმაჩნია, რომ თუ ამჟამად ცივილიზებული ქვეყნებიდან [519] ახალ, ხელუხლებელ ქვე-

ყანაში ექსპედიცია ეწყობა, თანაც ამ ექსპედიციის უფრო მდიდარი მონაწილენი უზრუნველყოფილი არიან უკვე ძველი კულტურის მარაგითა და იარაღებით— კაპიტალით, უფრო ღარიბნი კი უფრო მდიდრებს უვრთდებიან იმ იმედით, რომ მათს სამსახურში მყოფნი მაღალ ხელფასს მიიღებენ, — მაშინ ამ შემთხვევაში კაპიტალისტები იმ გადანამეტს, რაც მათ მუშების ხელფასის გამოკლების შემდეგ დარჩებათ, განიხილავენ როგორც თავიანთ მოგებას, რადგან მათ მეტროპოლიიდან თან მოიტანეს ძველთაგან არსებული საგნები და ცნებები» (გვ. 174—175).

აი სწორედ, ბ-ნო როდბერტუს! რიკარდოს მთელ კონცეფციას აზრი აქვს მხოლოდ იმ წანამძღვრის პირობებში, თუ გაბატონებულია კაპიტალისტური წარმოების წესი. თუ რა ფორმით გამოხატავს რიკარდო ამ წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს, უშვებს თუ არა იგი ამასთან ისტორიის დარგში hysteron proteron-ს *, — ამას საქმის არსებისათვის არა აქვს მნიშვნელობა. ამ წ ა ნ ა მ ძ ღ ვ რ ი ს დაშვება აუცილებელია; მაშასადამე, არ შეიძლება, როგორც თქვენ ამას აკეთებთ, შემოვიტანოთ აქ გლეხური მეურნეობა, რომელიც არ იცნობს კაპიტალისტურ ბუღალტერიას და ამიტომ თესლს და ა. შ. არ მიათვლის ავანსად გაღებულ კაპიტალს! «უაზრობაშია» ბრალი უდევს არა რიკარდოს, არამედ როდბერტუსს, რომელიც რიკარდოს იმ აზრს მიაწერს, რომ კაპიტალისტები და მუშები «ნიადაგის დამუშავებამდე» არსებობენო (გვ. 176).

«მხოლოდ მაშინ, როცა... საზოგადოებაში კაპიტალი წარმოიშვა, როცა კაპიტალის მოგება ცნობილი და, გადასახდელი გახდა, დაიწყო, რიკარდოს შეხედულების თანახმად, ნიადაგის დამუშავება» (გვ. 178).

რა სისულელეა! მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალისტი მოიჯარის სახით მიწათმოქმედსა და მიწის მესაკუთრეს შორის შეიჭრა — სულ ერთია ხდება ეს ისე, რომ ლენის მფლობელი თაღლითური გზით იქცევა კაპიტალისტურ მოიჯარედ, თუ მრეწველი თავის კაპიტალს აბანდებს არა მრეწველობაში, არამედ მიწათმოქმედებაში, — მხოლოდ მაშინ იწყება, რა თქმა უნდა, არა საერთოდ «ნიადაგის დამუშავება», არამედ მისი «კაპიტალისტური» დამუშავება, რომელიც ფორმითა და შინაარსით ძლიერ განსხვავდება მიწათმოქმედების წინანდელი ფორმებისაგან.

---

* — შეცდომას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შემდგომი და მერმინდელი (hysteron) მიღებულია როგორც პირველადი და წინამავალი (proteron); ნამდვილი თანმიმდევრულობის დამახინჯებას. რ ე დ.

«ყოველ ქვეყანაში მიწის უდიდესი ნაწილი კერძო საკუთრებად იქცა უკვე დიდი ხნით ადრე ამ მიწის დამუშავებამდე, — ყოველ შემთხვევაში დიდი ხნით ადრე მანამდე, ვიდრე მრეწველობაში კაპიტალის მოგების განაკვეთი ჩამოყალიბდებოდა» (გვ. 179).

იმისათვის, რომ ამ საკითხში რიკარდოს კონცეფცია გაეგო, როდბერტუსი უნდა ყოფილიყო ინგლისელი, და არა პომერანელი მემამულე, და სცოდნოდა სათემო მიწების და ცარიელი ადგილების შემოღობვის ისტორია. ბ-ნ როდბერტუსს მოჰყავს ამერიკის მაგალითი. სახელმწიფო აქ მიწას მიჰყიდის.

«ცალკეულ ნაკვეთებად ახალმოსახლეთ, მართალია, მცირე ფასში, მაგრამ ეს ფასი მაინც ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ში უკვე მიწის რენტას უნდა წარმოადგენდეს» (გვ. 179 — 180).

სრულიადაც არა. ამ ფასს ისევე არ შეუძლია წარმოქმნას მიწის რენტა, როგორც, ვთქვათ, საყოველთაო სარეწაო გადასახადს არ შეუძლია წარმოქმნას ს ა რ ე წ ა ო რ ე ნ ტ ა ანდა საერთოდ რაიმე გადასახადს — რაიმე «რენტა».

«b პუნქტში აღნიშნული მიზეზი რენტის გადიდებისა» [მოსახლეობის ზრდის, ანუ გ ა მ ო ყ ე ნ ებ ე ლ ი შ რ ო მ ის რ ა ო დ ე ნ ბ ის გადიდების გამო] «შეადგენს, ვამტკიცებ მე, მიწის რენტის უპირატესობას კაპიტალის მოგებასთან შედარებით. ამ მიზეზს ა რ ა ს ო დ ე ს არ შეუძლია გაადიდოს კაპიტალის მოგება. მართალია, მთელი ეროვნული პროდუქტის ღირებულების გადიდების გამო თ ა ნ ა ბ ა რ ი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ობ ის, მაგრამ გადიდებული [რიცხვის მიხედვით] მწარმოებლური ძალის [გაზრდილი მოსახლეობის დროს] პირობებში ერი კაპიტალის მ ე ტ მოგებას ღებულობს, მაგრამ კაპიტალის ეს გ ა დ ი დ ებ უ ლ ი მოგება ყოველთვის წილად ხვდება იმავე პ რ ო პ ო რ ც ი ი თ ი გ ა დ ი დ ებ უ ლ კაპიტალს; მაშასადამე, მოგების განაკვეთი რჩება იმავე დონეზე» (გვ. 184 — 185).

ეს არაა სწორი. ფასგადაუხდელი, ზედმეტი შრომის რაოდენობა იზრდება, თუ, მაგალითად, 2 საათის ნაცვლად, ზედმეტი სამუშაო დრო შეადგენს 3, 4, 5 საათს. ამ ფ ა ს გ ა დ ა უ ხ დ ე ლ ი, ზედმეტი შრომის მასის გადიდებასთან ერთად ავანსებული კაპიტალის მასა არ იზრდება [იმავე პროპორციით], ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ზედმეტი შრომის ეს ახალი ნამეტი არ ნაზღაურდება, ე. ი. არ იწვევს კაპიტალის არავითარ ახალ დახარჯვას; მეორე, იმიტომ, რომ ძირითად კაპიტალზე გაღებული ხარჯები არ იზრდება იმ პროპორციით, რითაც აქ ამ კაპიტალის გამოყენება იზრდება. არ იზრდება თითისტართა რაოდენობა და ა. შ. რა თქმა უნდა, თითისტართა გაკვეთა უფრო სწრაფად ხდება, მაგრამ არა ისეთი პროპორციით, როგორც მათი გამოყენება ი ზ რ დ ე ბ ა. მაშასადამე, თანაბარი მწარმოებლობის პირობებში მოგება აქ იზრდება,

რადგან გაიზარდა არა მარტო ზედმეტი ღირებულება, არამედ ზედმეტი ღირებულების ნორმაც. მიწათმოქმედებაში ეს ბუნებრივი პირობების გამო შეუძლებელია. მეორე მხრივ, მწარმოებლობა სწრაფად იცვლება დაბანდებული კაპიტალის გადიდებასთან ერთად. თუმცა დაზარჯული კაპიტალი აბსოლუტურად დიდია, მაგრამ წარმოების პირობების ეკონომიის გამო იგი არ არის შეფარდებით იმდენად დიდი, — რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე შრომის დანაწილებაზე და მანქანებზე. მაშასადამე, მოგების ნორმა შეიძლება გადიდებულიყო მაშინაც კი, თუ ზედმეტი ღირებულება (არა მარტო მისი ნორმა) იგივე დარჩებოდა.

[520] სრულიად მცდარი და პომერანულ-მემამულურია როდბერტუსის შემდეგი მტკიცება:

«შესაძლოა, რომ ამ ოცდაათი წლის განმავლობაში» (1800-დან 1830 წლამდე) «მიწის დაჭუცმაცების მეოხებით და ახალი მიწების დახვნითაც კი ბევრი ახალი მფლობელობა წარმოიშვა და გადიდებული მიწის რენტა, მაშასადამე, უფრო მეტ მფლობელს შორისაც ნაწილდებოდა, მაგრამ 1830 წელს იგი არ ნაწილდებოდა უფრო მეტ მორგენზე, ვიდრე 1800 წელს; ეს ახალი, ახლად გამოყოფილი ანდა დამუშავებაში ახლად შესული მიწის ნაკვეთები მთელი თავიანთი ფართობით შედიოდნენ უწინ უფრო ადრე არსებულ მიწის ნაკვეთებში, და, მაშასადამე, უფრო მცირე მიწის რენტა 1800 წელს ისევე ნაწილდებოდა მათ შორის და ისევე ახდენდა თავის გავლენას ინგლისის მიწის რენტის სიმაღლეზე, საერთოდ, როგორც უფრო დიდი რენტა — 1830 წელს» (გვ. 186).

ძვირფასო პომერანელო! რატომ უნდა გადაიტანოთ თავდაჯერებულად წამდაუწუმ თქვენი პრუსიული ურთიერთობანი ინგლისში? ინგლისელს სრულიად არ მიაჩნია, რომ თუ, როგორც ეს ფაქტიურად იყო (ეს უნდა შემოწმდეს), 1800-დან 1830 წლამდე «შემოლობილ» იქნა 3-დან 4 მილიონ აკრამდე [57], ამიტომ რენტა ნაწილდებოდა აგრეთვე ამ 4 მილიონ აკრზე 1830 წლამდეც, ასევე 1800 წელსაც. ეს ოთხი მილიონი აკრი იყო, პირიქით, დაუმუშავებელი ანდა სათემო მიწა, არავითარ რენტას რომ არ იძლეოდა და არავის რომ არ ეკუთვნოდა.

თუ როდბერტუსი, როგორც კერიც (მაგრამ სხვა ყაიდაზე), ცდილობს რიკარდოს დაუმტკიცოს, რომ «ყველაზე ნაყოფიერი» ნიადაგი მეტწილად, ფიზიკური და სხვა მიზეზების გამო, პირველ რიგში არ მუშავდებოდა, ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს რიკარდოსთან, «ყველაზე ნაყოფიერი» ნიადაგი — ეს არის ყოველთვის «ყველაზე ნაყოფიერი» ნიადაგი წარმოების მოცემულ პირობებში.

როდბერტუსის მიერ რიკარდოს წინააღმდეგ წამოყენებულ საწინააღმდეგო მოსაზრებათა მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი იქიდან გამომდინარეობს, რომ როდბერტუსი გულუბრყვილოდ აიგივებს «პომერანულ» და «ინგლისურ» წარმოებით ურთიერთობებს. რიკარდო ვარაუდობს კაპიტალისტურ წარმოებას, რომლის დროსაც — იქ, სადაც იგი განვითარებული სახით არსებობს, როგორც ინგლისში, — კაპიტალისტური მოიჯარე ჩამოცილებულია მიწის მესაკუთრეს. როდბერტუსი კი იღებს ისეთ ურთიერთობას, რომელიც თავისთავად უცხოა კაპიტალისტური წარმოების წესისათვის და რომლისთვისაც ეს წარმოების წესი მხოლოდ ზედნაშენია. ასე, მაგალითად, ის, რასაც ბ-ნი როდბერტუსი სამეურნეო კომპლექსში სამეურნეო ცენტრების მდგომარეობაზე ლაპარაკობს, სავსებით შესაფერია პომერანიისათვის, მაგრამ არა ინგლისისათვის, სადაც კაპიტალისტურმა წარმოების წესმა, რომელიც სულ უფრო და უფრო ძალაში შედიოდა XVI საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან დაწყებული, ყველა არსებული პირობის ასიმილაცია მოახდინა და სხვადასხვა ჰერიოდებში სრულიად მოსპო ერთიმეორეზე მიყოლებით ისტორიის მიერ შექმნილი წანამძღვრები — სოფლები, შენობები და ადამიანები, — რათა კაპიტალის «ყველაზე მწარმოებლური» გამოყენება უზრუნველეყო.

მცდარია აგრეთვე ისიც, რასაც როდბერტუსი «კაპიტალის გამოყენებაზე» ლაპარაკობს:

«რიკარდო შემოსაზღვრავს მიწის რენტას იმ ჯამით, რასაც მიწათმფლობელს უხდიან ნიადაგის თავდაპირველი, ბუნებრივი და უღვევი ძალების სარგებლობისათვის. ამით მას უნდა გამოაკლოს მიწის რენტას ყოველივე ის, რაც უკვე დამუშავებაში შესულ მიწის ნაკვეთებზე კაპიტალს უნდა მიკუთვნებოდა. მაგრამ ცხადია, რომ მას არ შეუძლია მიწის ნაკვეთიდან მიღებული შემოსავლიდან კაპიტალს მითვალოს იმაზე მეტი, რაც მთლიანად ქვეყანაში არსებულ ჩვეულებრივ სარგებელს შეადგენს. ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მას უნდა ეგარაუდნა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში მოგების სხვადასხვა განაკვეთი — სასოფლო-სამეურნეო, რომელიც უფრო მეტ მოგებას მოიტანდა, ვიდრე მრეწველობაში გაბატონებული მოგება, და მეორე, მრეწველობაში რომ არსებობს, — გარაუდი, რაც, სხვათა შორის, თავდაყირა დააყენებდა მთელ მის სისტემას, რომელიც სწორედ მოგების განაკვეთის ტოლობაზეა დაფუძნებული» (გვ. 215 — 216).

ეს არის კვლავ წარმოდგენა პომერანული მემამულისა, რომელიც კაპიტალს სესხულობს, რათა თავისი მიწის საკუთრება უფრო შემოსავლიანი გახადოს, მაშასადამე, თეორიულ და პრაქტიკულ მოსაზრებათა გამო, მას სურს გამსესხებელს უხადოს მხოლოდ

«მოცემული ქვეყნის ჩვეულებრივი სარგებელი». მაგრამ ინგლისში საქმის ვითარება სხვაგვარადაა. იქ ნიადაგის გასაუმჯობესებლად კაპიტალს ხარჯავს მოიჯარე, კაპიტალისტური ფერმერი. ამ კაპიტალიდან, სავსებით ისევე როგორც მის მიერ უშუალოდ წარმოებაში დაბანდებული კაპიტალიდან, მოიჯარე მოითხოვს არა მოცემული ქვეყნის ჩვეულებრივ სარგებელს, არამედ ამ ქვეყნის ჩვეულებრივ მოგებას. იგი არ მიასესხებს მემამულეს კაპიტალს, რაშიაც ამ უკანასკნელმა მას «მოცემული ქვეყნის ჩვეულებრივი» სარგებელი უნდა უხადოს. იგი, შეიძლება, თვით ესესხულობს კაპიტალს ანდა თავის საკუთარ დამატებითს კაპიტალს იხდის იმ ანგარიშით, რომ ამ კაპიტალმა მას მოუტანოს «მოცემული ქვეყნის ჩვეულებრივი» ნორმის შესაბამისი მოგება, რასაც მრეწველი კაპიტალისტი ღებულობს და რაც, სულ მცირე, ორჯერ აღემატება მოცემული ქვეყნის ჩვეულებრივ სარგებელს.

ამასთან რიკარდომ იცის ის, რაც უკვე ანდერსონმა იცოდა. კიდევ მეტი: რიკარდომ გარკვეეთ აცხადებს, რომ [521] ამ წესით კაპიტალის მიერ შექმნილი მწარმოებლური ძალა ნიადაგისა შემდგომში უერთდება მის «ბუნებრივ» მწარმოებლურ ძალას და ამიტომ რენტას ადიდებს. როდბერტუსმა ამის შესახებ არაფერი არ იცის და ამიტომ სისულელეს როშავს.

მე უკვე სავსებით სწორად ავხსენი თანამედროვე მიწის საკუთრება:

«რენტა, რიკარდოს აზრით, არის მიწის საკუთრება მისი ბურჟუაზიული სახით, ე. ი. ფეოდალური საკუთრება, რომელიც ბურჟუაზიული წარმოების პირობებს დაექვემდებარა» («Misére de la Philosophie, Paris», 1847, გვ. 156) 58.

იქ მე უკვე მართებულად შევნიშნე:

«რიკარდო ბურჟუაზიულ წარმოებას გულისხმობს როგორც რენტის არსებობის აუცილებელ პირობას და მიუხედავად ამისა თავის რენტის ცნებას იყენებს ყველა დროისა და ხალხის მიწის საკუთრების მიმართ. ეს არის საერთო შეცდომა ყველა ეკონომისტისა, რომელთაც ბურჟუაზიული წარმოების ურთიერთობანი შარადიულ კატეგორიებად მიაჩნიათ» (იქვე, გვ. 160) 59.

მე ასევე სწორად შევნიშნე, რომ «მიწა-კაპიტალები» შეიძლება ისევე დიდდებოდეს, როგორც ყველა სხვა კაპიტალებიც:

«მიწა-კაპიტალის რაოდენობა შეიძლება სავსებით ისევე დიდდებოდეს, როგორც ყველა სხვა წარმოების საშუალების რაოდენობაც. ჩვენ არაფერს არ ვუმატებთ მატერიას, პრუდონის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მაგრამ ვადიდებთ მიწის ნაკვეთების რაოდენობას, რომლებიც წარმოების საშუალებას წარმოადგენენ. უკვე წარმოების საშუალებე-

ბად გადაქცეულ მიწის ნაკვეთებში მარტოოდენ ახალი კაპიტალდაბანდებით ადამიანები ადიდებენ მიწა-კაპიტალს მიწა-მატერიის, ე. ი. მიწის სივრცის ყოველგვარი გადიდების გარეშე» (იქვე, გვ. 165) 60.

კვლავ მართებული რჩება ის განსხვავება მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის, რაც მე მაშინ ხაზგასმით აღვნიშნე:

«უწინარეს ყოვლისა, აქ შეუძლებელია, როგორც სამრეწველო წარმოებაში, სურვილისამებრ გავადიდოთ ერთნაირი მწარმოებლობის წარმოების იარაღების რაოდენობა, ე. ი. ერთნაირი ნაყოფიერების მქონე მიწების რაოდენობა. შემდეგ, მოსახლეობის თანდათანობითი ზრდა აწევებს აქ უფრო დაბალი ხარისხის მიწების დამუშავებაზე გადასვლას ანდა წინანდელ მიწის ნაკვეთებში ახალ კაპიტალდაბანდებას, რომელიც შეფარდებით ნაკლებ მწარმოებლობისაა, ვიდრე თავდაპირველი კაპიტალდაბანდებანი» (იქვე, გვ. 157) 61.

როდბერტუსი ამბობს:

«მაგრამ მე უეჭველდება უნდა მივაქციო კიდევ მეორე გარემოებას, რომელიც, მართალია, უფრო თანდათანობით, მაგრამ სამაგიეროდ გაცილებით უფრო ხშირად ცუდი სასოფლო-სამეურნეო მანქანებს უკეთეს მანქანებად აქცევს 62. ეს არის მიწის ნაკვეთის უწყვეტი დამუშავება, რაც თუკი იგი მხოლოდ რაციონალური სისტემით წარიმართება, უკვე თავისთავად აუმჯობესებს მიწას მცირეოდენი არაჩვეულებრივი კაპიტალდაბანდების გარეშე კი» (გვ. 222).

ამას უკვე ანდერსონი ლაპარაკობდა. დამუშავება აუმჯობესებს მიწას.

[შემდეგ როდბერტუსი ამბობს:]

«თქვენ უნდა დაგემტკიცებინათ, რომ მიწათმოქმედებაში დასაქმებული მოსახლეობა დროთა გეზარებაში უფრო დიდი პროპორციით გაიზარდა, ვიდრე საარსებო საშუალებათა წარმოება, ანდა თუნდაც ქვეყნის მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი. მარტო აქედან შეიძლებოდა უცილობელი დასკვნის გაკეთება, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებასთან ერთად აუცილებელი ხდებოდა ამ წარმოების დარგში სულ უფრო მეტი შრომის დახარჯვა. მაგრამ სწორედ ამ მხრივ თქვენ ვეწინააღმდეგებათ სტატისტიკას» (გვ. 274). «დღეს, თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ კიდეც იმ საყოველთაოდ გაბატონებულ წესში, რომ რაც უფრო მჭიდროა ქვეყნის მოსახლეობა, მით უფრო ნაკლები პროპორციით მისდევენ ადამიანები მიწათმოქმედებას... ასეთივე შოკლენა შეიმჩნევა ერთსა და იმავე ქვეყანაში მოსახლეობის გადიდებისას; მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მიწათმოქმედებას არ მისდევს, თითქმის ყველგან უფრო მეტი პროპორციით გადიდდება» (გვ. 275).

მაგრამ ეს ხდება ნაწილობრივ იმიტომ, რომ უფრო მეტი სახნავი მიწა პიროტეკვის, ცხვრების საძოვრებად იქცევა, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ წარმოების დიდი მასშტაბის პირობებში — მსხვილი მიწათმოქმედების დროს — შრომა უფრო ნაყოფიერი ხდება. ეს ხდება

ა გ რ ე თ ვ ე ი მ ი ტ ო მ ა ც — და ამ გარემოებას ბ-ნი როდბერტუსი სრულიად ვერ ამჩნევს, — რომ ა რ ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს მნიშვნელოვანი ნაწილი შრომას ეწევა მიწათმოქმედების მომსახურეობის ხაზით და მიწათმოქმედებას აწვდის მუდმივ კაპიტალს (ეს უკანასკნელი კი იზრდება სამიწათმოქმედო კულტურის პროგრესთან ერთად) — როგორიცაა, მაგალითად, მინერალური სასუქი, საზღვარგარეთული თესლი, ყოველგვარი მანქანები.

ბ-ნ როდბერტუსის მიხედვით,

«ამჟამად» (ბომერანიაში) «ხოფლის მეურნე მუშა პირუტყვისათვის თავის საკუთარ მეურნეობაში წარმოებულ საკვებს არ განიხილავს როგორც კაპიტალს» (გვ. 78).

[522] «კაპიტალი თავისთავად, ანდა სახალხო-სამეურნეო აზრით, არის პროდუქტი, რომელიც შემდგომი წარმოებისათვის გამოიყენება... მაგრამ იმ განსაკუთრებული «მოგების» მიმართ, რასაც იგი უნდა იძლეოდეს, — სხვა სიტყვებით, იმ აზრით, რა აზრითაც კაპიტალი ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მ ე წ ა რ მ ე ე ბ ს ესმით, — იგი, იმისათვის, რომ კაპიტალი იყოს, აუცილებლად უნდა გამოდიოდეს «დ ა ნ ა ხ ა რ ჯ ი ს» სახით» (გვ. 77).

მაგრამ ეს «დანახარჯის» ცნება არ მოითხოვს, როგორც როდბერტუსი ფიქრობს, რომ პროდუქტი საქონლის სახით სხვებისაგან იყოს ნაყიდი. თუ პროდუქტის ესა თუ ის ნაწილი, ნაცვლად იმისა, რომ საქონლის სახით გ ა ი ყ ი დ ო ს, ხელახლა შედის წარმოებაში, მაშინ იგი შედის მასში როგორც ს ა ქ ო ნ ე ლ ი. იგი ფასდება ჯერ როგორც «ფული», და ეს მით უფრო მკაფიოდ შეიცნობა, რომ ყველა ეს «დანახარჯი», მათ რიცხვში ისიც, რასაც ადგილი აქვს მიწათმოქმედებაში, იმავდროულად ბაზარზე გამოდის როგორც საქონელი — პირუტყვი, საკვები, სასუქი, სათესლე ხორბალი, საერთოდ ყოველგვარი თესლი. მაგრამ «პომერანიაში», როგორც ჩანს, ყოველივე ეს არ შეაქვთ «დანახარჯთა» რუბრიკაში.

«ამ სხვადასხვა სახის შრომის განსაკუთრებული შედეგების ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა» (მრეწველობასა და ნედლეულის წარმოებაში) «ჯერ კიდევ არ შეადგენს მათი მფლობელის ხვედრ შემოსავალს, არამედ მხოლოდ საზომია ამ შემოსავლის გამოსაანგარიშებლად. თვით ეს შემოსავალი, რასაც ესა თუ ის პირი ღებულობს, ნაწილია საზოგადოებრივი შემოსავლისა, რომელსაც მხოლოდ ერთობლივი შრომა — სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო — ქმნის და რომლის ნ ა წ ი ლ ე ბ ი ც, მაშასადამე, ასევე მხოლოდ ამ ერთობლივი შრომით იქმნება» (გვ. 36).

მერე რა გამოდის აქედან? ამ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს რეალიზაცია შეიძლება იყოს მხოლოდ მისი რეალიზაცია სახმარ ღირებულებაში. მაგრამ აქ სრულიად არ არის ამაზე ლაპარაკი. გარდა ამისა, ა უ ც ი-ლ ე ბ ე ლ ი ხ ე ლ ფ ა ს ი ს ცნება უკვე შეიცავს იმას, თუ რამდენ ღირებულებას გამოხატავენ მუშის შესანახად აუცილებელი საარსებო საშუალებანი — სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქტები.

ეს დამთავრებულია

[თავი მეათე]

რიკარდოსა და ადამ სმიტის ხარჯთფასის[63] თეორია (უარყოფა)

[ა. რიკარდოს ხარჯთფასის თეორია]

[1) ფიზიოკრატების თეორიის კრახი და მიწის რენტაზე შეხედულებათა შედგომი განვითარება]

ანდერსონის დებულებამ (რასაც ნაწილობრივ ა. სმიტთანაც ვხვდებით) იმის შესახებ, რომ «მიწიდან მიღებული რენტა კი არ განსაზღვრავს მისი პროდუქტის ფასს, არამედ ამ პროდუქტის ფასი განსაზღვრავს მიწის რენტას» *, — სრულიად გააბათილა ფიზიოკრატების მოძღვრება. ამრიგად, რენტის წყაროდ აღიარებულ იქნა მიწათმოქმედების პროდუქტის ფასი და არა თვით ეს პროდუქტი და არა მიწა. ამით უარყოფილ იქნა ის შეხედულება, რომ რენტა არის შედეგი მიწათმოქმედების განსაკუთრებული მწარმოებლობისა, რაც, თავის მხრივ, თითქოს შედეგია ნიადაგის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნაყოფიერებისა. თუკი შრომის იგივე რაოდენობა გამოყენებული იქნებოდა განსაკუთრებულად ნაყოფიერ დარგში და ამიტომ განსაკუთრებულად ნაყოფიერი იქნებოდა თვით შრომაც, მაშინ ეს შეიძლება გამოხატულიყო იმით, რომ იგი წარმოდგენილი იქნებოდა პროდუქტთა შედარებით უფრო დიდი მასით და ამიტომ ცალკეული პროდუქტის ფასი შეფარდებით დაბალი იქნებოდა, მაგრამ ეს ვერასგზით ვერ გამოიხატებოდა ტაპირისპირო შედეგით, ე. ი. იმით, რომ ამ შრომის პროდუქტის ფასი იქნებოდა უფრო მაღალი, ვიდრე სხვა პროდუქტე-

* იხ. ეს ტომი, ნაწ. II, გვ. 187. რედ.

14. კ. მარქსი, ტ. IV, ნაწ. II.

ბისა, რომლებშიც გასაგნობრივებულია შრომის იგივე რაოდენობა, და რომ ამის გამო მისი ფასი, სხვა საქონელთაგან განსხვავებით, გარდა მოგებისა და ხელფასისა კიდევ რენტასაც მოგვცემდა. (რენტის განხილვისას ა. სმიტი ნაწილობრივ კვლავ უბრუნდება ფიზიოკრატულ შეხედულებას, მას შემდეგ, რაც მან იგი წინათ უარყო ან, ყოველ შემთხვევაში, უკუაგდო რენტის—როგორც ზედმეტი შრომის ნაწილის — თავისი თავდაპირველი განმარტებით.)

ფიზიოკრატული შეხედულების ამ უარყოფას ბიუკენენი რეზიუმეს უკეთებს შემდეგი სიტყვებით:

«ის შეხედულება, თითქოს მიწათმოქმედება იძლევა პროდუქტს და მისგან გამომდინარე რენტას იმიტომ, რომ მიწის დამუშავების პროცესში ადამიანის შრომასთან ერთად ბუნებაც მონაწილეობს, — ეს შეხედულება უბრალოდ ფანტაზიაა. მიწის რენტა გამომდინარეობს არა პროდუქტიდან, არამედ ფასიდან, რომლის კვალობაზეც პროდუქტი იყიდება; და ამ ფასს მიწათმოქმედების პროდუქტად ღებულობს არა იმიტომ, რომ იგი ბუნების დახმარებით იწარმოება, არამედ იმიტომ, რომ ეს არის ფასი, რომელსაც მოხმარება შესაბამისობაში მოჰყავს მიწოდებასთან» [64].

როცა უკუგდებულ იქნა ფიზიოკრატების ეს შეხედულება, — რომელიც, უნდა ითქვას, სავსებით მართებული იყო თავისი უფროლრმა აზრით, რადგან ფიზიოკრატები რენტას განიხილავდნენ როგორც ზედმეტი ღირებულების ერთადერთ ფორმას, კაპიტალისტებსა და მუშებს კი, ერთად აღებულთ, მხოლოდ როგორც მიწის მესაკუთრის დაქირავებულ მუშაკებს, — შესაძლებელი დარჩა მხოლოდ შემდეგი შეხედულებანი:

[523] [პირველი:] შეხედულება, რომ რენტა წარმოიქმნება მიწათმოქმედების პროდუქტების მონოპოლიური ფასიდან, მონოპოლიური ფასი კი — იქიდან, რომ მიწის მესაკუთრეებს მიწის მონოპოლია აქვთ*. ამ შეხედულების თანახმად, მიწათმოქმედების პროდუქტის ფასი ყოველთვის აღემატება მის ღირებულებას. აქ ჩვენ გვაქვს ფასის წანამატი, და საქონელთა ღირებულების კანონი ირღვევა მიწის საკუთრების მონოპოლიით.

რენტა წარმოიქმნება მიწათმოქმედების პროდუქტთა მონოპოლიური ფასიდან იმიტომ, რომ პროდუქტთა მიწოდება, ამ შეხედულების თანახმად, ყოველთვის მოთხოვნის დონეზე დაბლა დგას, ანდა მოთხოვნა ყოველთვის დგას მიწოდების დონეზე მაღ-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 32. რედ.

ლ ა. მაგრამ რატომ მიწოდება არ ადის მოთხოვნის დ ო ნ ე მ დ ე? რატომ არ ათანაბრებს დამატებითი მიწოდება ამ შეფარდებას და არ სპობს ამით, ამ თეორიის თანახმად, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ რენტას? ამის ასახსნელად მალთუსი მიმართავს, ერთი მხრივ, იმ ფიქციას, თითქოს მიწათმოქმედების პროდუქტები უშუალოდ ქმნიან თავისთვის მოთხ-მარებელთ (ამაზე — შემდეგში, რიკარდოსთან მისი პოლემიკის განხილვისას), მეორე მხრივ კი — ანდერსონის თეორიას, [რომლიდანაც მალთუსი იმ დასკვნას აკეთებს, რომ] რადგან დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი მ ი წ ო დ ე ბ ა შრომის მეტი რაოდენობა ღირს, ამიტომ მიწათმოქმედება ნაკლებნაყოფიერი ხდება. ამრიგად, ეს შეხედულება — იმდენად, რამდენადაც იგი უბრალო ფიქციას არ ემყარება, — ემთხვევა რიკარდოს თეორიას. აქაც ფ ა ს ი ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა ღირებულებას, ადგილი აქვს წანამატს.

[მეორე:] რ ი კ ა რ დ ო ს თ ე ო რ ი ა: არ ა რ ს ე ბ ო ბ ს ა ბ. ს ო ლ უ ტ უ რ ი მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა, არის მხოლოდ დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი რ ე ნ ტ ა. აქაც აგრეთვე რენტის მომცემი მიწათმოქმედების პროდუქტების ფ ა ს ი ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა მათს ინდივიდუალურ ღირებულებას, და თუ საერთოდ რენტა არსებობს, იგი არსებობს იმის მეოხებით, რომ მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს ფ ა ს ი ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა მათს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს. მაგრამ აქ ეს ფასის ნამეტი ღირებულების ზ ე ვ ი თ არ ეწინააღმდეგება ღირებულების ზოგად თეორიას (თუმცა თვით ფაქტი ძალაში რჩება), რადგან წარმოების თვითეულ სფეროს შიგნით ამ სფეროს კუთვნილ საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა განისაზღვრება არა საქონლის ინდივიდუალური ღირებულებით, არამედ იმ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი თ, რომელიც საქონელს აქვს მოცემული სფეროს წარმოების ს ა ე რ თ ო პირობებში. აქაც რენტის მომცემი პროდუქტების ფასი მ ო ნ ო პ ო ლ ი უ რ ი ფ ა ს ი ა, მაგრამ ეს არის იგივე მონოპოლია, რაც წარმოების ყველა სფეროში ვვხვდება და რაც მხოლოდ მოცემულ სფეროში ფიქსირდება და ამიტომ ზემოგებისაგან განსხვავებულ რენტის ფორმას ღებულობს. აქაც ასევე მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს ეს ნ ა მ ე ტ ი მ ი წ ო დ ე ბ ი ს ზ ე ვ ი თ, ანდა, რაც იგივეა, დამატებითი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება დამატებითი მიწოდებით იმ ფ ა ს ე ბ ი ს კვალობაზე, რაც თავდაპირველი მიწოდების დროს არსებობდა, მანამდე, ვიდრე ფასები გაიზრდებოდა მიწოდებაზე მოთხოვნის გადამეტების გამო. აქაც რ ე ნ ტ ა (დიფერენციული რენტა) იმის შედეგად წ ა რ მ ო ი ო შ ე ბ ა, რომ ფასი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა, იმის გამო, რომ უკეთესი მიწიდან მიღებული პროდუქ-

ტების ფასი მათს ღირებულებაზე უფრო მაღლა იწევს, რაც სწორედ დამატებითს მიწოდებას იწვევს.

[მესამე:] რენტა — ეს არის მხოლოდ მიწაში დაბანდებული კაპიტალის სარგებელი*. ამ შეხედულებას რიკარდოს შეხედულებასთან ის საერთო აქვს, რომ იგი უარყოფს აბსოლუტურ მიწის რენტას. იგი იძულებულია დიფერენციული რენტა აღიაროს იმ შემთხვევაში, როცა მიწის ნაკვეთები, რომლებშიც თანაბარი კაპიტალებია დაბანდებული, სხვადასხვა სიდიდის რენტას იძლევიან. სინამდვილეში ეს შეხედულება იგივეა, რაც რიკარდოს შეხედულება, რომ გარკვეული სახის მიწა არ იძლევა რენტას და რომ იქ, სადაც რენტა მიიღება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ეს არის დიფერენციული რენტა. მაგრამ ამ შეხედულებას აბსოლუტურად არ შეუძლია ახსნას ისეთი მიწიდან მიღებული რენტა, რომელშიც არავითარი კაპიტალი არაა დაბანდებული, მაგალითად, წყალვარდნილის რენტა, მაღაროების რენტა და ა. შ. სინამდვილეში ეს შეხედულება მხოლოდ იმის ცდა იყო, რომ კაპიტალისტური პოზიციიდან გადაერჩინათ რენტა — სარგებლის სახელწოდებით — რიკარდოს თავდასხმათაგან.

ბოლოს [მეოთხე:] რიკარდო ფიქრობს, რომ მიწაზე, რომელიც რენტას არ იძლევა, პროდუქტის ფასი უდრის მის ღირებულებას, რადგან იგი უდრის საშუალო ფასს, ე. ი. ავანსებულ კაპიტალს პლუს საშუალო მოგება. მაშასადამე, რიკარდო შეცდომით ფიქრობს, რომ საქონლის ღირებულება უდრის საქონლის საშუალო ფასს. თუ ეს მცდარი წანამძღვარი მოიხსნება, შესაძლებელი აღმოჩნდება აბსოლუტური რენტა, რადგან მიწათმოქმედების პროდუქტების ღირებულება, ისევე როგორც ყველა სხვა საქონელთა დიდი ჯგუფის ღირებულებაც, აღემატება მათს საშუალო ფასს, მაგრამ მიწის საკუთრების არსებობის გამო იგი არ უთანატოლდება საშუალო ფასს, როგორც ამას ადგილი აქვს აღნიშნულ სხვა საქონელთა მიმართ. მაშასადამე, ეს უკანასკნელი შეხედულება მონოპოლიის თეორიასთან ერთად აღიარებს, რომ მიწის საკუთრებას, როგორც ასეთს, უშუალო დამოკიდებულება აქვს რენტასთან; რიკარდოსთან ერთად იგი აღიარებს დიფერენციულ რენტას; დასასრულ, მას მიაჩნია, რომ აბსოლუტური რენტის არსებობა სრულიადაც არ არღვევს ღირებულების კანონს.

---

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 32, 180 — 181 და 186 რედ.

[2) ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით, როგორც რიკარდოს თეორიის ძირითადი დებულება. კვლევის რიკარდოსეული მეთოდი, როგორც აუცილებელი საფეხური ეკონომიური მეცნიერების განვითარებაში, და მისი ნაკლოვანებანი. რიკარდოს ფიგნის მცდარი არქიტექტონიკა]

რიკარდო გამოდის იმ დებულებიდან, რომ საქონელთა შეფარდებითი ღირებულებანი (ანუ საცვლელი ღირებულებანი) განისაზღვრება «შ რ ო მ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ». (შემდეგში ჩვენ გავარკვევთ სხვადასხვა მნიშვნელობას, რომლითაც რიკარდო ხმაროობს სიტყვას «ღირებულება». ამას ემყარება ბეილის კრიტიკა რიკარდოს თეორიისა და ამასთანავე ამაშია ღირებულების რიკარდოსეული გაგების ნ ა კ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა ნ ი). ღირებულების განმსაზღვრელი «შრომის» ხასიათის შემდგომ გამოკვლევას რიკარდო არ იძლევა. თუ ორი საქონელი ეკვივალენტებია, ან ეკვივალენტებია გ ა რ კ ვ ე უ ლ ი პ რ ო პ ო რ ც ი ი თ, ანდა, რაც იგივეა, თუ ისინი ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ნ ი ა რ ი ა ნ თ ა ვ ი ა ნ თ ი ს ი დ ი დ ი თ [524] «შ რ ო მ ი ს» ი მ რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს მიხედვით, რასაც ისინი შეიცავენ, მაშინ ნათელია, ამასთანავე, რომ თავიანთი ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ი თ — რამდენადაც ისინი საცვლელი ღირებულებანია — ისინი ერთნაირი არიან. მათი სუბსტანცია არის შრომა. ამიტომ ისინი «ღირებულებანია». მათი სიდიდე სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, უფრო მეტი თუ ნაკლები რაოდენობით შეიცავენ ისინი ამ სუბსტანციას, ფორმას კი — შრომის, როგორც საცვლელი ღირებულების შემქმნელის, ანდა საცვლელი ღირებულებით გამოხატულის, განსაკუთრებულ განსაზღვრულობას,—ამ შრომის ხ ა ს ი ა თ ს, რ ი კ ა რ დ ო ა რ ი კ ვ ლ ე ვ ს. ამიტომ რიკარდოს არ ესმის ამ შ რ ო მ ი ს კავშირი ფ უ ლ თ ა ნ, ე. ი. არ ესმის ის, რომ ამ შრომამ აუცილებლად უნდა ჰპოვოს თავისი გამოხატულება ფ უ ლ ი ს სახით. ამიტომ მას სრულიად არ ესმის, რომ სამუშაო დროით საქონლის საცვლელი ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებულია ის, რომ საქონელნი თავიანთ განვითარებაში აუცილებლად უნდა მივიდნენ ფულის წარმოქმნამდე. აქედან წარმოდგება მისი მცდარი თეორია ფულის შესახებ. მასთან იმთავითვე ლაპარაკია მხოლოდ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ი დ ი დ ე ზ ე, ე. ი. იმაზე, რომ საქონელთა ღირებულების სიდიდენი ისე შეეფარდებიან ერთიმეორეს, როგორც ამ საქონელთა წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობანი. აქედან გამოდის რიკარდო. იგი გარკვევით აღნიშნავს, რომ მისი ამოსავალი პუნქტია ა. სმიტი (თავი 1-ლი, განყოფილება I) [85].

რიკარდოს მეთოდი შემდეგია: იგი გამოდის სამუშაო დროით საქონლის ღირებულების სიდიდის განსაზღვრიდან და შემდეგ იკვლევს, ეწინააღმდეგება თუ არა სხვა ეკონომიური ურთიერთობანი, (სხვა ეკონომიური კატეგორიები) ღირებულების ამ განსაზღვრას, ანდა რამდენად იწვევენ ისინი მის მოდიფიკაციას. პირველი შეხედვისთანავე ნათელია როგორც ისტორიული მართებულობა ასეთი მეთოდისა, მისი მეცნიერული აუცილებლობა პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში, ისე, ამასთანავე, მისი მეცნიერული ნაკლი, — ნაკლი, რაც არა მარტო გადმოცემის წესში (ფორმის მხრივ), ვლინდება, არამედ რასაც აგრეთვე მცდარ დასკვნამდე მიეყვანართ, რადგან ეს მეთოდი აუცილებელ შუალედურ რგოლებს გადაუხტება და უშუალო გზით ცდილობს დამტკიცოს ეკონომიურ კატეგორიათა ურთიერთდამოკიდებულება.

ისტორიულად გამოკვლევის ეს წესი მართებული და აუცილებელი იყო. ა. სმიტის სისტემაში პოლიტიკური ეკონომია განვითარდა გარკვეულ ერთიანობად, დარგმა, რომელიც მან მოგვცა, რამდენადმე დასრულებული მოხაზულობანი მიიღო, ასე რომ სეის შეეძლო იგი ბანალურ-სისტემატურად გადმოეცა სასკოლო სახელმძღვანელოში. სმიტსა და რიკარდოს შუა არსებულ პერიოდში ჩნდება გამოკვლევები მხოლოდ ცალკეულ საკითხებზე — მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომაზე, ფულზე, მოსახლეობის თეორიაზე, მიწის საკუთრებასა და გადასახადებზე. თვით სმიტი დიდი გულუბრყვილობით მუდმივ წინააღმდეგობაში ტრიალებს: ერთი მხრივ იგი ქვალდაკვალ მიჰყვება ეკონომიურ კატეგორიათა შინაგან კავშირს, ანუ ბურჟუაზიული ეკონომიური სისტემის ფარულ სტრუქტურას. მეორე მხრივ, იგი ამის გვერდით აყენებს კავშირს, როგორც ეს უკანასკნელი მოცემულია გარეგნულად კონკურენციის მოვლენებში, და როგორც იგი. მაშასადამე, წარმოუდგება მეცნიერებისათვის უცხო დამკვირვებელს, ასევე იმ ადამიანს, რომელიც პრაქტიკულად გატაცებულია ბურჟუაზიული წარმოების პროცესით და პრაქტიკულად დაინტერესებულია ამით. გაგების ეს ორივე წესი, რომელთაგანაც ერთი ბურჟუაზიული სისტემის შინაგან კავშირში, ასე ვთქვათ, მის ფიზიოლოგიაში იჭრება, მეორე კი მხოლოდ აგვიწერს, აკატალოგებს, გვიამბობს და ცნებათა სქემატურ განსაზღვრებებში ათავსებს იმას, რაც გარეგნულად ვლინდება სასიცოცხლო პროცესში, იმ სახით, როგორც იგი მეღავნდება და ზედაპირზე გვევლინება, — გაგების ორივე ეს წესი სმიტის სისტემაში არა მარტო მშვიდად თავსდება ერთიმეორის გვერდით, არამედ ისინი ერთმანეთს გადაეხლართვიან და მუდამ ერ-

-თი მეორეს ეწინააღმდეგებიან. სმიტთან ამას თავისი გამართლება აქვს (ფულის შესახებ ცალკეულ სპეციალურ გამოკვლევათა გამოკლებით), რადგან მისი ამოცანა სინამდვილეში ორგვარი იყო. ერთი მხრივ, ეს იყო ცდა ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგან ფიზიოლოგიაში შეჭრისა; მეორე მხრივ კი, სმიტი ესწრაფვოდა: ნაწილობრივ — პირველად აეწერა ამ საზოგადოების გარეგნულად გამოვლინებადი სასიცოცხლო ფორმები, გამოეხატა მისი გარეგნულად გამოვლინებადი კავშირი, ნაწილობრივ კი—მოენახა კიდევ ამ მოვლენებისათვის ნომენკლატურა და შესაბამისი განსჯითი ცნებები, ე. ი. ნაწილობრივ — პირველად აესახა ისინი ენაში და აზროვნების პროცესში. ერთი სამუშაო მას იმდენადვე აინტერესებს, რამდენადაც მეორე, ან რადგან ორივე ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, ამიტომ აქ ვღებულობთ სრულიად წინააღმდეგობრივ წარმოდგენის წესს: ერთი შეხედულება ჭეშმარიტად თუ ცოტად სწორად გამოხატავს შინაგან კავშირს, მეორე კი,—რომელიც გვევლინება როგორც იმდენადვე მართებული და გაგების პირველ წესთან ყოველგვარი შინაგანი ურთიერთდამოკიდებულების გარეშე, მასთან ყოველგვარი შინაგანი კავშირის გარეშე, — გამოხატავს გ ა რ ე გ ნ უ ლ ა დ გ ა მ ო ვ ლ ე ნ ი ლ კავშირს.

სმიტის მემკვიდრეებს, რამდენადაც მათი შეხედულებანი არ წარმოადგენს გაგების უფრო ძველი, უკვე დაძლეული ჰიზიციებიდან გამომდინარე რეაქციას მის წინააღმდეგ, შეუძლიათ შეუფერხებლად წავიდნენ წინ თავიანთ სპეციალურ გამოკვლევებსა და მსჯელობებში და ყოველთვის განიხილონ ა. სმიტი როგორც თავიანთი საფუძველი, იმისდა მიუხედავად, მისი ნაწარმოების ეზოთერულ ნაწილს ემხრობიან ისინი თუ ეგზოთერულ ნაწილს თუ, როგორც ამას თითქმის ყოველთვის აქვს ადგილი, ორივეს ერთმანეთში ურევენ. მაგრამ აი, ბოლოს, მათ შორის ჩნდება რიკარდო და მეცნიერებას შესძახებს: «შესდექ!». საფუძველი, ამოსავალი წერტილი ბურჟუაზიული სისტემის ფიზიოლოგიისათვის — მისი შინაგანი ორგანული კავშირისა და მისი სასიცოცხლო პროცესის გაგებისათვის — არის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს განსაზღვრა ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ი თ. აქედან გამოდის რიკარდო და აიძულებს შემდეგ მეცნიერებას მიატოვოს ძველი რუტინა და ნათლად წარმოიდგინოს, თუ რამდენად შეეფერება ან ეწინააღმდეგება ამ საფუძველს, ამ ამოსავალ წერტილს მის მიერ განვითარებული და წამოყენებული დანარჩენი კატეგორიები, — წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობანი; საერთოდ, მეცნიერება, რომელიც ასახავს, აღადგენს პროცესის გამოვლენის გარეგან

ფორმას და, მაშასადამე, თვით ამ გამოვლენასაც, რამდენად შეეფერება იმ საფუძველს, რასაც ემყარება შინაგანი კავშირი, ნამდვილი ფიზიოლოგია ბურჟუაზიული საზოგადოებისა, და რაც მეცნიერების ამოსავალ წერტილს შეადგენს; ნათლად წარმოიდგინოს, თუ როგორია საქმის ვითარება სისტემის მოჩვენებითსა და ნამდვილ მოძრაობას შორის არსებული წინააღმდეგობის მიმართ. ეს არის სწორედ რიკარდოს დიდი [525] ისტორიული მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, და აი რატომაა, რომ უგვანო სეიმ, რომელსაც მან ნიადაგი გამოაცალა ფეხქვეშ, თავისი გაბრაზება შემდეგ ფრაზაში გადმოანთხია:

«მისი» (მეცნიერების) «ფარგლების გაფართოების მიზნით, იგი სიცარიელეში ჩააგდეს» [66].

ამ მეცნიერულ დამსახურებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ის, რომ რიკარდო ამყღავნებს და აყალიბებს კლასთა ეკონომიურ დაპირისპირებულობას — ისე, როგორც ამას გვიჩვენებს შინაგანი კავშირი — და რომ ამის შედეგად პოლიტიკურმა ეკონომიამ ხელი ჩასჭიდა და ცხადჰყო ისტორიული ბრძოლისა და განვითარების ისტორიული პროცესის ფესვები. ამიტომ კერი — მოინახოს შემდგომში სათანადო ადგილი — აბეზღებს რიკარდოს როგორც კომუნიზმის მამას:

«ბ-ნ რიკარდოს სისტემა — ეს არის განხეთქილების სისტემა... მთელი ამ სისტემის ტენდენციაა ისაა, რომ კლასებსა და ერებს შორის მტრობა წარმოშვას... მისი ნაწერები ნამდვილი სახელმძღვანელოა დემაგოგისათვის, რომელიც აგრარული რეფორმების, ომისა და ძარცვის მეშვეობით ძალაუფლებისაკენ ისწრაფვის» (H. Carey, The Past, the Present, and the Future, Philadelphia, 1848, გვ. 74 — 75).

ამრიგად, თუ ერთი მხრივ, შეიმჩნევა მეცნიერული მართებულობა და დიდი ისტორიული მნიშვნელობა გამოკვლევის რიკარდოსეული წესისა, მეორე მხრივ, ნათელია აგრეთვე მისი მეცნიერული ნაკლიც, როგორც ეს შემდგომ დაწერილებით იქნება ნაჩვენები.

აქედან წარმოდგება მისი წარმოების უაღრესად უცნაური და აუცილებლად უკუღმართი არქიტექტონიკა. მთელი ნაწარმოები შედგება (მესამე გამოცემა) 32 თავისაგან. აქედან 14 თავი განიხილავს გადასახადებს, მაშასადამე, შეიცავს მხოლოდ თეორიული პრინციპების გამოყენებას [67]. თავი მე-20 — «ღირებულება დიდ სიდიდე, მათი განმასხვავებელი ნიშნები»—სხვა არაფერია, თუ არა გამოკვლევა სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის არსებული განსხვავებისა: მაშასადამე, იგი დამატებაა 1-ლი თა-

ვისა — «ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ». თავი 24-ე — « ა. სმიტის მოძღვრება მიწის რენტაზე», ასევე თავი 28-ე — «ოქროს, პუერისა და შრომის შედარებითი ღირებულების შესახებ» და ა. შ. და თავი 32-ე — «მალთუსის შეხედულებანი რენტაზე» — წარმოადგენენ მხოლოდ მიწის რენტის რიკარდოსეული თეორიის დამატებას და ნაწილობრივ ამ თეორიის დაცვას, ე. ი. ეს თავები მხოლოდ დამატებაა მე-2 და მე-3 თავებისა, სადაც განხილული რენტა. თავი 30-ე — «ფასებზე მოთხოვნისა და მიწოდების გავლენის შესახებ» — მხოლოდ დანართია მე-4 თავისა — «ბუნებრივი და საბაზრო ფასის შესახებ». ამ თავის მეორე დანართს შეადგენს მე-19 თავი — «ვაჭრობის მსვლელობაში უეცარი ცვლილებების შესახებ». თავი 31-ე — «მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ»—უბრალოდ დამატებაა მე-5 და მე-6 თავებისა: «ხელფასის შესახებ» და «მოგების შესახებ». თავი მე-7 — «საგარეო ვაჭრობის შესახებ» — და თავი 25-ე — «კოლონიური ვაჭრობის შესახებ» — ისევე როგორც თავები გადასახადის შესახებ, წარმოადგენენ მხოლოდ წინა თავებში წამოყენებული პრინციპების გამოყენებას. თავი 21-ე — «დაგროვების გავლენა მოგებასა და სარგებელზე» — დამატებაა თავებისა მიწის რენტის, მოგებისა და ხელფასის შესახებ. თავი 26-ე — «მთლიანი და წმინდა შემოსავლის შესახებ» — დამატებაა თავებისა ხელფასის, მოგებისა და რენტის შესახებ. ბოლოს, თავი 27-ე — «ფ უ ლ ი ს მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს ა და ბ ა ნ კ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» — სრულიად იზოლირებულადაა მოცემული წიგნში და მხოლოდ შემდგომი განვითარებაა, ნაწილობრივ კი მოდიფიკაცია რიკარდოს იმ შეხედულებებისა, რომლებიც გამოთქმული იყო მის ადრინდელ თხზულებებში ფულის შესახებ.

ამრიგად, რიკარდოს თეორიას შეიცავს მისი წიგნის მხოლოდ ექვსი პირველი თავი. როცა ამ წიგნის არასწორ არქიტექტონიკაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს სწორედ ეს ნაწილი. მეორე ნაწილი (იმ განყოფილების გამოკლებით, რომელიც ფულს შეეხება) შედგება პრაქტიკულ გამოყენებათაგან, განმარტებათაგან და დამატებათაგან, რომლებიც თავიანთი შინაარსის ხასიათის მიხედვით უწესრიგოდ არიან გაფანტული და რაიმე არქიტექტონიკის პრეტენზიას არ შეიცავენ. რაც შეეხება თეორიული ნაწილის (პირველი ექვსი თავის) არასწორ არქიტექტონიკას, იგი არაა შემთხვევითი, არამედ გაპირობებულია რიკარდოს გამოკვლევის თვით წესით და იმ გარკვეული ამოცანით, რაც მან თავის გამოკვლევაში მიზნად დაისახა. ეს არქიტექტონიკა გამოხატავს თვით ამ გამოკვლევის წესის მეცნიერულ ნაკლს.

პირველი თავი განიხილავს «ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს». იგი იყოფა თავის მხრივ შვიდ განყოფილებად. პირველ განყოფილებაში განხილულია საკუთრივ შემდეგი: ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა თ უ ა რ ა ხ ე ლ ფ ა ს ი საქონელთა ღირებულების განსაზღვრას მათში მოთავსებული სამუშაო დროით? მესამე განყოფილებაში მტკიცდება, რომ საქონლის ღირებულებაში იმის შესვლა, რასაც მე მუდმივ კაპიტალს ვუწოდებ, ა რ ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა ღირებულების განსაზღვრას და რომ ხელფასის აწევა ან დაცემა ასევე არ ახდენს გავლენას საქონელთა ღირებულებაზე. მეოთხე განყოფილებაში გამოკვლეულია, თუ მანქანებისა და სხვა ძირითადი და ხანგრძლივად არსებული კაპიტალის გამოყენება, — რამდენადაც ეს უკანასკნელი წარმოების სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა პროპორციით შედის ერთობლივ კაპიტალში, — რამდენად ცვლის საქონელთა ღირებულების განსაზღვრას სამუშაო დროით. მეხუთე განყოფილება იკვლევს, თუ რამდენად უცვლის სახეს ხელფასის აწევა თუ დაცემა ღირებულებათა სამუშაო დროით განსაზღვრას, როცა წარმოების სხვადასხვა სფეროში გამოიყენება არაერთნაირი ხანგრძლიობისა და განსხვავებული გადაბრუნების დროის მქონე კაპიტალები. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ პირველ თავში ნაგულისხმევია არა მარტო ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა არსებობა, — და ღირებულების როგორც ასეთის განხილვისას არავითარი სხვა წანამძღვარი არაა საჭირო—არამედ ნაგულისხმევია როგორც რაღაც მოცემული და აგრეთვე ხელფასი, კაპიტალი, მოგება და, როგორც დავინახავთ, მოგების საერთო ნორმაც კი, კაპიტალის სხვადასხვა ფორმები იმ საბით, რა საბითაც ისინი მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარეობენ, ასევე ნაგულისხმევია განსხვავებაც «ბუნებრივსა და საბაზრო ფასს» შორის, რაც ორ შემდგომ თავში («რ ე ნ ტ ა ზ ე» და «მაღაროების რ ე ნ ტ ა ზ ე») გადამწყვეტ როლსაც კი ასრულებს.

ეს მე-2 თავი («რ ე ნ ტ ა ზ ე»), [526] — მე-3 თავი («მაღაროების რ ე ნ ტ ა ზ ე») მხოლოდ შევსებაა მე-2 თავისა — რიკარდოს გამოკვლევის მსვლელობის სავსებით შესაბამისად, კვლავ იწყება საკითხით: ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა თუ არა მიწის საკუთრება და მიწის რ ე ნ ტ ა საქონელთა ღირებულების განსაზღვრას სამუშაო დროით?.

«მაგრამ განსაბილველად გვრჩება კიდევ», — ასე იწყებს რიკარდო მე-2 თავს («რ ე ნ ტ ა ზ ე»), — «გამოიწვევს თუ არა მიწის მითვისება საკუთრებად და ამის შედეგად რენტის წარმოქმნა საქონელთა წარმოებისათვის აუცილებელი შრომის რაოდენობისაგან დამოუკიდებელ რაიმე ცვლილებას მათს შეფარდებითს ღირებულებაში» (**«Principles of Political Economy». 3rd ldition, London, 1821,** გვ. 53).

ამ გამოკვლევის შესასრულებლად რიკარდოს არა მარტო შემოაქვს en passent * თანაფარდობა «საბაზრო ფასსა» და «ნამდვილ ფასს» (ღირებულების ფულად გამოხატულებას) შორის, არამედ ვარაუდობს კიდეც, როგორც რაღაც მოცემულს, მთელ კაპიტალისტურ წარმოებას და ხელფასსა და მოგებას შორის თანაფარდობის მთელ თავის კონცეფციას. ამიტომაც მოხდა, რომ ის, რაზეც ლაპარაკია მე-4 თავში («ბუნებრივი და საბაზრო ფასის შესახებ»), მე-5 თავში («ხელფასის შესახებ») და მე-6 თავში («მოგების შესახებ»), არა მარტო უკვე ნავარაუდევია, არამედ დაწვრილებით განვითარებულიცაა პირველ ორ თავში («ღირებულების შესახებ» და «რენტის შესახებ»), ასევე მე-3 თავში, რომელიც მე-2 თავის დამატებას წარმოადგენს. შემდგომ სამ თავში, რამდენადაც ისინი თ ე ო რ ი უ ლ ა დ რაიმე ახალს იძლევიან, მხოლოდ აქა-იქ არის შევსებული ხარვეზები, დამატებით მოცემულია უფრო ზუსტი განსაზღვრანი, რომლებიც თავის კანონით მეტწილად პირველსა და მეორე თავში უნდა გაშუქებულიყო.

ამრიგად, რიკარდოს მთელი ნაწარმოები მოთავსებულია მის პირველ ორ თავში. აქ განვითარებული ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი, მაშასადამე, აქ განვითარებული კატეგორიებიც პოლიტიკური ეკონომიისა, შეპირისპირებულია მათს პრინციპთან, ღირებულების განსაზღვრასთან და მოწმდებიან იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი უშუალოდ ამ პრინციპს, ანდა იმის გასარკვევად, თუ როგორია საქმის ვითარება იმ მოჩვენებითი გადახრების შესახებ, რომელნიც მათ შეაქვთ საქონელთა ღირებულებითს შეფარდებაში. რიკარდოს წიგნის ეს ორი თავი შეიცავს ადრინდელი პოლიტიკური ეკონომიის მთელ რიკარდოსეულ კრიტიკას, კატეგორიულად კავშირის გაწყვეტას გამოკვლევის ეზოტერიულსა და ეკზოტერიულ წესს შორის არსებულ იმ წინააღმდეგობასთან, რაც ა. სმიტისათვისაა დამახასიათებელი და რაც მთელ მის ნაწარმოებს გამსჭვალავს, და ამ კრიტიკის მეოხებით ეს ორი თავი ამასთანავე რაღაც სრულიად ახალ და გასაოცარ შედეგებს იძლევა. აქედან წარმოდგება ის დიდი თეორიული სიამოვნება, რასაც ეს ორი პირველი თავი გვგვრის, რადგან ისინი მოკლედ და ხარტად იძლევიან ფართოდ მოფენილ და ჩიხში მომწყვდევ ძველ წარმოდგენათა კრიტიკას და გვიხატავენ მთელ ბურჟუაზიულ ეკონომიურ სისტემას როგორც ერთი ძირითადი კანონისადმი დაქვემდებარებულს, გამოყოფენ და

* — სხვათა შორის. რ ე დ.

კონცენტრაციას უწევენ იმას, რაც ყველაზე არსებითია განცალკევებულ და მრავალფეროვან მოვლენებში. მაგრამ ის თეორიული სიამოვნება, რასაც ეს ორი პირველი თავი გვგვრის თავისი ორიგინალობით, ძირითადი შეხედულების ერთიანობით, გადმოცემის სისადავით, კონცენტრაციით, სიღრმით, სიახლითა და გადმოცემის სისხარტითა და სიმოკლით, აუცილებლად ქრება წიგნის შემდგომი კითხვისას. ალაგ-ალაგ აქაც გვატყვევებს ცალკეულ მსჯელობათა ორიგინალობა. მაგრამ მთლიანად აღებული გადმოცემა დამღლელი და მოსაწყენია. გადმოცემის შემდგომი მსვლელობა უკვე აღარ წარმოადგენს აზრის შემდგომ განვითარებას. იქ, სადაც გადმოცემა არ არის მონოტონური ფორმალური გამოყენება ერთი და იმავე პრინციპებისა სხვადასხვაგვარი, გარეგნული ნიშნების მიხედვით მოტანილი მასალის მიმართ, ანდა სადაც არ არის ამ პრინციპების პოლემიკური დაცვა, — იგი შეიცავს მხოლოდ ან გამეორებებს, ანდა დამატებებს; საუკეთესო შემთხვევაში წიგნის უკანასკნელ ნაწილებში ალაგ-ალაგ ესა თუ ის გასაოცარი დასკვნა კეთდება.

რიკარდოს გაკრიტიკების დროს ჩვენ უნდა განვასხვაოთ ის, რასაც თვით იგი არ განასხვავებდა. [ჯერ ერთი,] მისი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა — ეს თეორია, რა თქმა უნდა, რიკარდოს მოეპოვება, თუმცა იგი არ ახდენს ამ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ფიქსაციას მისი განსაკუთრებული ფორმებისაგან: მოგებისაგან, რენტისაგან და სარგებლისაგან განსხვავებით. მეორე, მისი მ ო გ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა. დავიწყებთ მოგების რიკარდოსეული გაგების ანალიზით, თუმცა მისი ადგილი არის არა ამ განყოფილებაში, არამედ III გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს[68] ისტორიულ დამატებაში.

[3) რიკარდოს დაგნეულობა აბსოლუტური და შეფარდებითი ღირებულების საკითხში. ღირებულების ფორმის გაუგებლობა]

წინასწარ რამდენიმე შენიშვნა იმის შესახებ, თუ როგორ უწესრიგოდ ურევს ერთმანეთში რიკარდო «ღირებულების» [სხვადასხვა] განსაზღვრას. ამას ემყარება ბეილის პოლემიკა რიკარდოს წინააღმდეგ. მაგრამ ეს მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც.

რიკარდო ჯერ ღირებულებას «ს ა ც ვ ლ ე ლ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს» უწოდებს და ა. სმიტთან ერთად მას განსაზღვრავს როგორც «ს ხ ვ ა დ ო ვ ლ ა თ ი ს ყ ი დ ვ ი ს უ ნ ა რ ს» («principles», გვ. 1). ეს არის საცვლელი ღირებულება იმ სახით, როგორც ის უწინა-

ჩეს ყოვლისა გ ვ ე ვ ლ ი ნ ე ბ ა. მაგრამ შემდეგ იგი გადადის ღირებულების ნამდვილ განსაზღვრაზე:

«საქონელთა ამჟამად არსებული ან წარსული შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა განისაზღვრება საქონელთა იმ შედარებითი რაოდენობით, რასაც შრომა აწარმოებს» (იქვე, გვ. 9).

«შეფარდებითი ღირებულება» აქ ეწოდება მხოლოდ სამუშაო დროით განსაზღვრულ საცვლელ ღირებულებას. მაგრამ შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე სხვა აზრიც, სახელდობრ — რამდენადაც ერთი საქონლის საცვლელ ღირებულებას მე გამოვხატავ მეორე საქონლის სახმარი ღირებულებით, მიგალითად, შაქრის საცვლელ ღირებულებას — ყავის სახმარი ღირებულებით.

«ორი საქონლის შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა იცვლება, და ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რომელ მათგანში მოხდა ც ვ ლ ი ლ ე ბ ა» (იქვე, გვ. 9).

რა ცვლილება? ამ «შეფარდებითს ღირებულებას» რიკარდო შემდეგში უწოდებს აგრეთვე «შ ე დ ა რ ე ბ ი თ ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს» (იქვე, გვ. 448 და შემდ.) ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რომელ საქონელში მოხდა «ცვლილება», ე. ი. ჩვენ გვინდა განვსაზღვროთ იმ «ღირებულების» ცვლილება, რომელსაც ზემოთ შეფარდებითი ღირებულება ეწოდებოდა. მაგალითად, 1 გირვანქა შაქარი=2 გირვანქა ყავას. შემდეგ კი 1 გირვანქა შაქარი =4 გირვანქა ყავას. «ცვლილება», რომლის გაგებაც ჩვენ გვინდა, შემდეგია: იცვლება თუ არა «ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ს ა მ უ შ ა ო დ რ ო» შაქრისათვის ანდა ყავისათვის, ღირს თუ არა ახლა შაქარი ორჯერ უფრო მეტი სამუშაო დროის რაოდენობა, ვიდრე უწინ, ანდა ღირს თუ არა ყავა ორჯერ უფრო ნაკლები სამუშაო დროის რაოდენობა, ვიდრე უწინ, და სამუშაო დროის, შესაბამისად ამ საქონელთა წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროის, ამ «ცვლილებებიდან» რომელმა გამოიწვია ეს ცვლილება მათს ს ა ც ვ ლ ე ლ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი. ამრიგად, შაქრის თუ ყავის ეს «შეფარდებითი, ანუ შედარებითი, ღირებულება», — ის თანაფარდობა, რომლის მიხედვითაც მათი ერთმანეთზე გაცვლა წარმოებს, — განსხვავდება შეფარდებითი ღირებულებისაგან პირველი აზრით. შაქრის შეფარდებითი ღირებულება მისი პირველი აზრით განისაზღვრება შაქრის იმ მასით, რომელიც [527] შეიძლება წარმოებულ იქნეს გარკვეული სამუშაო დროის განმავლობაში. მეორე შემთხვევაში შაქრის [და ყავის] შეფარდებითი ღირებულება გამოხატავს იმ თანაფარდობას, რომლის მიხედვითაც მა-

თი ერთმანეთზე გაცვლა ხდება, ცვლილებანი კი ამ თანაფარდობაში შეიძლება იქიდან წარმოდგებოდეს, რომ «შეფარდებითი ღირებულება» პირველი აზრით შეიცვალა ყავისათვის ან შაქრისათვის. ის თანაფარდობა, რომლის კვალობაზეც მათი ერთმანეთზე გაცვლა ხდება, შეიძლება ი გ ი ვ ე დარჩეს, თუმცა მათი «შეფარდებითი ღირებულებანი» პირველი აზრით შეიცვალა. 1 გირვანქა შაქარი შეიძლება უწინდებურად 2 გირვანქა ყავას უდრიდეს, თუმცა შაქრისა და ყავის წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დრო გადიდდა ორჯერ ან შემცირდა სანახევროდ. ც ვ ლ ი ლ ებ ა ნ ი მათს შ ე დ ა რ ე ბ ი თ ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ა შ ი, ე. ი. იმ შემთხვევაში, როცა შაქრის საცვლელი ღირებულება გამოიხატება ყავით და პირიქით, გამომჟღავნდება მხოლოდ მაშინ, თუ მათი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ა ნ ი პირველი აზრით, ე. ი. შრომის რაოდენობით განსაზღვრული ღირებულებანი შ ე ი ც ვ ა ლ ა ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ი ზ ო მ ი თ — მაშასადამე, თუ ცვლილება მოხდა მათს თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა შ ი. აბსოლუტური ცვლილებანი, თუ ისინი თავდაპირველ თანაფარდობას არ შეცვლიან, ე. ი. თუ ისინი ერთნაირნი არიან თავიანთი სიდიდით და ერთი და იმავე მიმართულებით მიმდინარეობენ. ვერ გამოიწვევენ ვერავითარ ცვლილებას ამ საქონელთა შედარებითს ღირებულებებში და ასეევ მათს ფ უ ლ ად ფ ა ს ებ შ ი ც, რადგან ფულის ღირებულება, თუ იგი იცვლება, ორივესთვის თანაბრად იცვლება. ამიტომ, გამოვხატავ ორი საქონლიდან თვითეულის ღირებულებას მეორის სახმარი ღირებულებით თუ მათი ფულადი ფასით, წარმოვადგენ რა ორივე ღირებულებას მესამე საქონლის სახმარ ღირებულებაში, სულ ერთია, — ეს შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი, ანუ შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ნ ი, ანუ ფასები, იგივე რჩება, და მათი ცვლილებანი უნდა განვასხვაოთ პირველი აზრით აღებული მათი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს ცვლილებებისაგან, ე. ი. რამდენადაც ისინი გამოხატავენ მარტოოდენ მათი ს ა კ უ თ ა რ ი წარმოებისათვის აუცილებელი, ე. ი. თ ვ ი თ მ ა თ შ ი გ ა ს ა ა გ ნ ო ბ რ ი ვ ებ უ ლ ი სამუშაო დროის რაოდენობის ცვლილებას. ეს უკანასკნელი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ა, წარმოგვიდგება, მაშასადამე, როგორც «ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ა» შედარებით შეფარდებითს ღირებულებებთან მეორე აზრით, იმ აზრით, რომ ერთი საქონლის საცვლელი ღირებულება რეალურ გამოხატულებას პოულობს მეორე საქონლის სახმარ ღირებულებაში ან ფულში. ამიტომაა სწორედ, რომ რიკარდოსთან პირველი აზრით აღებუ-

ლი«შეფარდებითი ღირებულების» აღსანიშნავად გვხვდება კიდეც გამოთქმა «ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა».

თუ ზემოდასახელებულ მაგალითში 1 გირვანქა შაქარი უწინდებურად სამუშაო დროის იმდენივე რაოდენობა ღირს, რამდენიც წინათ ღირდა, მაშინ მისი «შეფარდებითი ღირებულება» პირველი აზრით არ შეცვლილა. თუკი ყავა შრომის ორჯერ უფრო ნაკლები რაოდენობა ღირს, მაშინ ყავით გამოხატული შაქრის ღირებულება შეიცვალა, რადგან შეიცვალა ყავის «შეფარდებითი ღირებულება» მისი პირველი აზრით. ამრიგად, შაქრისა და ყავის შეფარდებითი ღირებულებანი გვევლინებიან როგორც განსხვავებულნი მათი «აბსოლუტური ღირებულებებისაგან», და ეს სხვაობა მჟღავნდება იმიტომ, რომ შედარებითი ღირებულებაც, მაგალითად, შაქრისა არ შეცვლილა იმ საქონლებთან შედარებით, რომელთა აბსოლუტური ღირებულებანი უ ც ვ ლ ე ლ ი დარჩა.

«გამოკვლევა, რომელზეც მე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო, შეეხება ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი დ ა არ ა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ც ვ ლ ი ლ ებ ა თ ა გ ავ ლ ენ ას» (იქვე, გვ. 15).

ამ «აბსოლუტურ» ღირებულებას რიკარდო სხვა შემთხვევებში უწოდებს აგრეთვე «ნამდვილ ღირებულებას» ან უბრალოდ «ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს» (მაგალითად, მე-16 გვერდზე).

იხილე ბეილის პოლემიკა რიკარდოს წინააღმდეგ წიგნში: «A Critical Dissertation on the Nature,Measures, and Causes of Value; chiefly in reference to the Writings of Mr. Ricardo and his Followers. By the Author of Essays on the Formation nnd Publication of Opinions». London, 1825 (იხ. აგრეთვე იმავე ავტორის: «A Letter to a Political Economist; occasioned by an article in the Westminister Review» etc., London, 1826). ბეილის მთელი პოლემიკა ტრიალებს ნაწილობრივ ამ სხვადასხვა მომენტების ირგვლივ ღირებულების ცნების განსაზღვრაში; ეს მომენტები რიკარდოს არა აქვს განვითარებული; ისინი მხოლოდ ფაქტიურად არსებობენ მის სისტემაში, და არეული არიან ერთმანეთში და ბეილი მათში მხოლოდ «წინააღმდეგობებს» პოულობს. მეორე, ბეილის პოლემიკა მიმართულია «აბსოლუტური ღირებულების», ანუ «ნამდვილი ღირებულების» წინააღმდეგ, განსხვავებით შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ი ს ა გ ან (ანუ შეფარდებითი ღირებულებისაგან მეორე აზრით).

«იმის ნაცვლად, რომ განიხილონ ღირებულება როგორც შეფარდება ორ ნივთს შორის», — ამბობს ბეილი პირველში დასახელებულ ნაწარმოებთაგან, — «ისინი» (რიკარდო და მისი მომდევრები) «უყურებენ მას როგორც შრომის გარკვეული რაოდენობით წარმოებულ დადებითს შედეგს» (დასახელ. თხზ. გვ. 30). ისინი განიხილავენ «ღირებულებას როგორც რაღაც შინაგანსა და აბსოლუტურს» (იქვე, გვ. 8).

უკანასკნელი საყვედური გამოწვეულია პრობლემის რიკარდოსეული განხილვის ნაკლით, რადგან რიკარდო სრულიად არ იკვლევს ღირებულებას ფორმის მხრივ — იმ განსაზღვრული ფორმისა, რასაც იღებს შრომა როგორც ღირებულების სუბსტანცია, — არამედ იკვლევს მხოლოდ ღირებულების სიდიდეებს, ე. ი. ამ აბსტრაქტულად საყოველთაო და, ამ ფორმით, საზოგადოებრივი შრომის ამა თუ იმ რაოდენობებს, რომლებიც განაპირობებენ საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ი დ ი დ ე თ ა სხვაობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბეილი დაინახავდა, რომ ღირებულების ცნების ფარდობითობა სრულიადაც არ ისპობა იმით, რომ ყველა საქონელი, რამდენადაც ისინი საცვლელი ღირებულებანია, სხვა არაფერია, თუ არა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი გამოხატულებანი საზოგადოებრივი შრომისა, საზოგადოებრივი სამუშაო დროისა, და მისთვის ნათელი გახდებოდა, რომ საქონელთა ფარდობითობა სრულიადაც არ მდგომარეობს მარტო იმ თანაფარდობაში, რომლითაც ისინი ერთმანეთზე გაიცვლებიან, არამედ იგი მდგომარეობს აგრეთვე ყველა საცვლელი ღირებულების შეფარდებაში ამ საზოგადოებრივ შრომასთან როგორც თავის სუბსტანციასთან.

პირიქით, როგორც შემდეგ დავინახავთ, რიკარდოს უფრო ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ იგი ძლიერ ხშირად ივიწყებს ამ «ნამდვილ ღირებულებას», ანუ «აბსოლუტურ ღირებულებას», და მხედველობაში აქვს მხოლოდ «შეფარდებითი ღირებულება», ანუ «შედარებითი ღირებულება».

[528] ამრიგად:

[4)] ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ, ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲘᲡ, ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ Ა. Შ. ᲠᲘᲙᲐᲠᲓᲝᲡᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ

[Ა) ᲠᲘᲙᲐᲠᲓᲝᲡ ᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲫᲪᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲘᲐᲓᲨᲘ ᲓᲐ ᲪᲕᲚᲐᲚᲔᲑᲐᲓᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲠᲣᲜᲐᲕᲨᲘ. «ᲨᲔᲤᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲦᲘᲠᲘᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ» ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲧᲝᲤᲜᲔᲑᲐ]

1-ლი თავის III განყოფილებაში რიკარდო ავითარებს შემდეგ აზრს: თუ ჩვენ ვამბობთ, რომ საქონლის ღირებულება სამუშაო

დროით განისაზღვრება, ეს ვრცელდება როგორც იმ შრომაზე, რომელიც უკანასკნელ შრომის პროცესში მოცემული საქონლის წარმოებაზე უშუალოდ დაიხარჯა, ისე იმ სამუშაო დროზეც, რაც ამ საქონლის საწარმოებლად საჭირო ნედლ მასალასა და შრომის საშუალებებზე დაიხარჯა; მაშასადამე, ეს ვრცელდება არა მარტო სამუშაო დროზე, რასაც ახლად მიმატებული, ხელფასით გადახდილი, ნაყიდი შრომა შეიცავს, არამედ აგრეთვე იმ სამუშაო დროზეც, რასაც საქონლის ის ნაწილი შეიცავს, რომელსაც მე მუდმივ კაპიტალს ვუწოდებ. ამ საკითხის რიკარდოსეული განხილვის ნაკლი უკვე 1-ლი თავის ამ III განყოფილების სათაურშივე მეღავნდება. იქ ნათქვამია:

«საქონლის ღირებულებაზე გავლენას ახდენს არა მარტო საქონლის წარმოებაზე უშუალოდ დახარჯული შრომა, არამედ ის შრომაც, რომელიც ამ შრომის ხელშემწყობ იარაღებსა, ინსტრუმენტებსა და შენობებზე დაიხარჯა» (გვ. 16).

აქ გამოტოვებულია ნედლი მასალა, თუმცა ნედლ მასალაზე დახარჯული შრომა სავსებით ისევე განსხვავდება «საქონლის წარმოებაზე უშუალოდ დახარჯული შრომისაგან», როგორც შრომის საშუალებებზე — «იარაღებსა, ინსტრუმენტებსა და შენობებზე» — დახარჯული შრომაც. მაგრამ რიკარდოს უკვე გააზრებული აქვს შემდგომი განყოფილება. III განყოფილებაში იგი ვარაუდობს, რომ გამოყენებული შრომის საშუალებანი სხვადასხვა საქონელთა წარმოებაში ღირებულების თანაბარი შემადგენელი ნაწილებით შედიან. მომდევნო განყოფილებაში კი განხილულია იქიდან გამომდინარე განსხვავება, რომ ძირითადი კაპიტალი წარმოებაში შედის სხვადასხვა პროპორციით. ამიტომაც რიკარდო არ გადადის მუდმივი კაპიტალის ცნებაზე, რომლის ერთი ნაწილი შედგება ძირითადი კაპიტალისაგან, მეორე ნაწილი კი—ნედლეული და დამხმარე მასალა—საბრუნავი კაპიტალისაგან, სავსებით ისევე როგორც საბრუნავი კაპიტალი არა მარტო შეიცავს ცვალებად კაპიტალს, არამედ მოიცავს ნედლეულსაც და ა. შ., აგრეთვე ყველა იმ საარსებო საშუალებას, რომლებიც შედის მოხმარებაში საერთოდ[69] (და არა მხოლოდ მუშების მოხმარებაში).

ის პროპორცია, რითაც მუდმივი კაპიტალი საქონელში შედის, გავლენას ახდენს არა საქონელთა ღირებულებაზე, არა საქონელში მოთავსებული შრომის შეფარდებითს რაოდენობაზე, არამედ უშუალოდ ახდენს გავლენას სამუშაო დროის თანაბარი რაოდენობის შემცველ სხვადასხვა საქონელში მოთავსებული ზედმეტი

ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ანუ ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ი ს სხვადასხვა რაოდენობაზე. ეს სხვადასხვა პროპორცია იწვევს ამიტომ ღირებულებათაგან განსხვავებულ ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ებ ს.

პირველი თავის IV და V განყოფილებათა შესახებ უნდა აღინიშნოს უწინარეს ყოვლისა შემდეგი: ნაცვლად იმისა, რომ გაერკვია უარრესად მნიშვნელოვანი და ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს უ შ უ ა ლ ო წ ა რ მ ო ე ბ ა ზ ე გავლენის მომხდენი განსხვავება იმ პროპორციისა, რომლითაც მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი თანაბარი მასის შემადგენელ ნაწილებს შეადგენენ წარმოების სხვადასხვა სფეროში, რიკარდო ცდილობს გაარკვიოს მხოლოდ ის განსხვავებანი კაპიტალის ფორმაში და იმ პროპორციულ წილში, რაც ამა თუ იმ ფორმას უწევს თანაბარი სიდიდის კაპიტალების შედგენილობაში, — ი ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ებ ა ნ ი ფ ო რ მ ი ს ა, რ ო მ ე ლ ნ ი ც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს პ რ ო ც ე ს ი დ ა ნ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ე ნ: ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი, კაპიტალი, მეტად თუ ნაკლებად ძირითადი (ე. ი. სხვადასხვა ხანგრძლიობის ძირითადი კაპიტალი) და კაპიტალის მიმოქცევის თუ გადაბრუნების არათანაბარი სისწრაფე. თანაც რიკარდო თავის გამოკვლევას შემდეგი წესით წარმართავს: იგი გულისხმობს, რომ წინასწარ მოცემულია მ ო გ ებ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ა, ანუ თ ა ნ ა ბ ა რ ი ს ი დ ი დ ი ს ს ა შ უ ა ლ ო მ ო გ ებ ა თანაბარი ოდენობის სხვადასხვა კაპიტალდაბანდებებისათვის ანდა წარმოების სხვადასხვა სფეროსათვის, სადაც გამოყენებულია ტოლდიდი კაპიტალები, ანუ, რაც იმასვე ნიშნავს, იგი გულისხმობს წინასწარ, რომ მოგება წარმოების სხვადასხვა სფეროში გამოყენებული კაპიტალების ს ი დ ი დ ი ს პროპორციულია. რიკარდოს, ნაცვლად იმისა, რომ მ ო გ ებ ი ს ე ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ა წ ი ნ ა ს წ ა რ ე გ უ ლ ი ს ხ მ ა, პირიქით, უნდა გამოეკვლია, რამდენად შეეფერება საერთოდ ამ ნორმის ა რ ს ე ბ ო ბ ა ღირებულებათა განსაზღვრას სამუშაო დროით, და მაშინ იგი დაინახავდა, რომ ნაცვლად იმისა, რომ იგი ამ განსაზღვრას შეესაბამებოდეს prima facie * მას ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ებ ა, რომ, მაშასადამე, მისი არსებობა საჭიროა ჯერ კიდევ გამოვიყენოთ [entwickeln] მთელი რიგი შუალედური რგოლების დახმარებით — და ეს გამოყენება ფრიად განსხვავდება ღირებულების კანონისადმი მისი უბრალო მიყენებისაგან. რიკარდო მაშინ საერთოდ სულ სხვა წარმოდგენას მი-

* — ერთი შეხედვით. რ ე დ.

იღებდა მოგების ბუნებაზე და არ გააიგივებდა ამ მოგებას უშუალოდ ზედმეტ ღირებულებასთან.

რიკარდო გამოთქვამს ამ წანამძღვარს და შემდეგ აყენებს საკითხს: რა გავლენას მოახდენს «შეფარდებითს ღირებულებაზე» ხელფასის აწევა ან დაცემა, თუ ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი სხვადასხვა პროპორციით შედის წარმოებაში? ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მას წარმოუდგენია, რომ საკითხს განიხილავს სწორედ ასე. სინამდვილეში კი იგი სრულიად სხვაგვარად განიხილავს საკითხს. იგი განიხილავს საკითხს შემდეგნაირად: ის კითხულობს, როგორ გავლენას მოახდენს ხელფასის აწევა ან დაცემა მოგებაზე, რომელიც შესაბამისად ისეთი კაპიტალებიდან მიიღება, რომელთა გადაბრუნების დროც სხვადასხვაა და რომლებიც კაპიტალის სხვადასხვა ფორმებს სხვადასხვა პროპორციით შეიცავენ. და აქ იგი, ბუნებრივია, ნახულობს, რომ იმისდა მიხედვით, ბევრი ძირითადი ნაწილი შედის კაპიტალში თუ ცოტა და ა. შ., ხელფასის აწევამ ან დაცემამ მეტად სხვადასხვა გავლენა უნდა იქონიოს კაპიტალებზე, იმის კვალობაზე, ამ უკანასკნელთა უფრო დიდ თუ უფრო მცირე ნაწილს წარმოადგენს ცვალებადი კაპიტალი, ე. ი. უშუალოდ ხელფასზე დახარჯული კაპიტალი. მაშასადამე, იმისათვის, რათა ხელახლა გათანაბრდეს მოგებანი წარმოების სხვადასხვა [529] სფეროში, სხვა სიტყვებით, რათა აღდგენილ იქნეს მოგების საერთო ნორმა, საქონელთა ფასები — მათი ღირებულებებისაგან განსხვავებით—სხვადასხვაგვარად უნდა რეგულირდებოდეს. მაშასადამე, — დაასკვნის იგი შემდეგ, — ხელფასის გადიდებისას თუ შემცირებისას აღნიშნული სხვაობანი გავლენას ახდენენ «შეფარდებითს ღირებულებებზე». მას უნდა ეთქვა პირიქით: თუმცა ეს სხვაობანი სრულიად არ ეხება ღირებულებას თავისთავად, მაგრამ ისინი, იმით, რომ მათი გავლენა მოგებაზე წარმოების სხვადასხვა სფეროში არაერთნაირია, მაინც ქმნიან თვით ღირებულებათაგან განსხვავებულ საშუალო ფასებს, ანდა, როგორც ამიერიდან ვიტყვით, ხარჯთფასებს, რომელთაც განსაზღვრავენ არა პირდაპირ საქონელთა ღირებულებანი, არამედ ამ საქონელთათვის ავანსად გაღებული კაპიტალი პლუს საშუალო მოგება. მაშასადამე, რიკარდოს უნდა ეთქვა: ეს საშუალო ხარჯთფასები განსხვავებულია საქონელთა ღირებულებათაგან. ნაცვლად ამისა იგი დაასკვნის, რომ ისინი იდენტურნი არიან, და ამ მცდარი წანამძღვრით გადადის მიწის რენტის განხილვაზე.

ასევე რიკარდო სცდება, როცა ფიქრობს, რომ მის მიერ გამოკვლეულ მხოლოდ სამ შემთხვევას იგი მიჰყავს «შეფარდებითი ღირებულებების» ისეთ «ცვლილებებამდე», რომლებიც წარმოიქმნებიან საქონელში მოთავსებული სამუშაო დროისაგან დამოუკიდებლად, მაშასადამე, მიჰყავს ხარჯთფასსა და საქონელთა ღირებულებას შორის არსებულ განსხვავებამდე. ეს განსხვავება მან უკვე დაუშვა, როცა მოგების საერთო ნორმა იგულისხმა, ე. ი. როცა იგულისხმა, რომ მიუხედავად სხვადასხვა თანაფარდობისა კაპიტალების ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის, ეს კაპიტალები იძლევიან მათი სიდიდის პროპორციულ მოგებას, მაშინ როდესაც მათ მიერ მოცემული ზედმეტი ღირებულება მთლიანად განისაზღვრება ფასგადაუხდელი სამუშაო დროის რაოდენობით, რასაც ისინი შეიწოვენ და რაც, არსებული ხელფასის პირობებში, მთლიანად დამოკიდებულია კაპიტალის იმ ნაწილის ოდენობაზე, რაც ხელფასზე დაიხარჯა, და არა კაპიტალის აბსოლუტურ სიდიდეზე.

სინამდვილეში რიკარდო იკვლევს შემდეგს: რაკი საქონელთა ღირებულებებისაგან განსხვავებული ხარჯთფასები იგულისხმა, — მოგების საერთო ნორმის დაშვებით კი ეს განსხვავება უკვე ნაგულისხმევია,—რიკარდო იკვლევს, თუ როგორ განიცდიან მოდიფიკაციას ერთიმეორის მიმართ ეს ხარჯთფასები (რომელთაც ახლა მრავალნაირობისათვის «შეფარდებითი ღირებულებანი» ეწოდება) ხელფასის აწევისას თუ დაცემისას და კაპიტალის ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის სხვადასხვა თანაფარდობის დროს. საქმეში უფრო ღრმად ჩახედვისას რიკარდო დაინახავდა, რომ უკვე მარტო არსებობა მოგების საერთო ნორმისა, — კაპიტალის ორგანული შემადგენელი ნაწილების განსხვავების პირობებში, როცა ეს განსხვავება ჯერ, უშუალო წარმოების პროცესში, გვევლინება როგორც განსხვავება ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის, შემდეგ კი კიდევ უფრო იზრდება მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე განსხვავებათა მეოხებით, — განაპირობებს ღირებულებათაგან განსხვავებულ ხარჯთფასებს, თუნდაც ვიგულისხმოთ კიდეც, რომ ხელფასი უცვლელი რჩება. სხვა სიტყვებით, რიკარდო დაინახავდა, რომ მოგების საერთო ნორმის მარტო უკვე არსებობა განაპირობებს ხელფასის აწევისა და დაცემისაგან სრულიად დამოუკიდებელ განსხვავებას და ფორმის ახალ განსაზღვრას. რიკარდო დაინახავდა, აგრეთვე, რომ ამ განსხვავების გაგებას მთლიანად აღებული თეორი-

ისათვის შეუდარებლად უფრო დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საქონელთა ხარჯთფასების იმ ცვლილებათა ჭის ანალიზს, რომელთაც ხელფასის გადიდება თუ შემცირება იწვევს. დასკვნა, რომლითაც ის კმაყოფილდება, — ამ დასკვნით დაკმაყოფილება კი მისი გამოკვლევის მთელ ხასიათს შეეფერება, — შემდეგია: თუ დავუშვებთ და გავითვალისწინებთ იმ ცვლილებებს საქონელთა ხარჯთფასებში (ანუ, როგორც იგი ამბობს, «შეფარდებითს ღირებულებებში»), რომლებიც სხვადასხვა სფეროში დაბანდებული კაპიტალების განსხვავებული ორგანული შედგენილობის დროს ხელფასის ცვლილებებიდან, მისი გადიდებიდან ან შემცირებიდან გამომდინარეობენ, — მაშინ კანონი რჩება სწორი: აქ არაფერი არ ეწინააღმდეგება იმ კანონს, რომ საქონელთა «შეფარდებითი ღირებულებანი» განისაზღვრება სამუშაო დროით, რადგან ყველა დანარჩენი წუთიერზე უფრო ხანგრძლივი ცვლილება საქონელთა ხარჯთფასებში შეიძლება ავხსნათ მხოლოდ სამუშაო დროის იმ რაოდენობის ცვლილებით, რაც შესაბამისად აუცილებელია ამ საქონელთა საწარმოებლად.

პირიქით, დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ რიკარდო იძლევა ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავებათა შეპირისპირებას კაპიტალის გადაბრუნების დროში არსებულ განსხვავებებთან და ყველა ეს განსხვავება მას გამოჰყავს მიმოქცევის სხვადასხვა დროიდან — მაშასადამე, სინამდვილეში კაპიტალის მიმოქცევის დროიდან, ანუ კაპიტალის ქვლავწარმოების დროიდან.

განვიხილოთ ჯერ თვით ეს განსხვავებანი იმდენად, რამდენადაც რიკარდო გადმოგვცემს მათ უწინარეს ყოვლისა (1-ლი თავის) IV განყოფილებაში, შემდეგ კი ის ხერხი, რომლითაც ისინი მის გადმოცემაში მოქმედებენ და «შეფარდებითი ღირებულებების» ცვლილებებს იწვევენ.

1) «საზოგადოების ყოველნაირ მდგომარეობაში სხვადასხვა დარგში გამოყენებულ იარაღებს, ინსტრუმენტებს, შენობებს და მანქანებს შეიძლება ახასიათებდეს სხვადასხვა ხანგრძლიობა და ისინი თავიანთი წარმოებისათვის შრომის სხვადასხვა რაოდენობას საჭიროებდნენ» (ციტირ. თხზ., გვ. 25).

რაც შეეხება მათი «წარმოებისათვის საჭირო შრომის სხვადასხვა რაოდენობებს», ეს შეიძლება ნიშნავდეს,—და, ჩანს, რიკარდოს მხოლოდ ეს აქვს აქ მხედველობაში, — რომ ნაკლებად ხანგრძლივი იარაღები მოითხოვენ ნაწილობრივ თავისი რემონტისათვის, ნაწილობ-

რივ თავისი კვლავწარმოებისათვის შრომის (განმეორებადი უშუალო შრომის) უფრო მეტ რაოდენობას, ანდა ეს შეიძლება აგრეთვე ნიშნავდეს, რომ ხანგრძლიობის ერთნაირი ხარისხის მქონე მანქანები და ა. შ. შეიძლება იყოს მეტად თუ ნაკლებად ძვირი, შეიძლება წარმოადგენდნენ შრომის მეტი თუ ნაკლები რაოდენობის პროდუქტს. ამ უკანასკნელ თვალსაზრისს, რომელიც მნიშვნელოვანია ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის არსებული თანაფარდობის გასაგებად, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ საკითხთან, რომელსაც რიკარდო განიხილავს, და ამიტომაც რიკარდო არსად არ იღებს მას როგორც დამოუკიდებელ თვალსაზრისს.

[330] 2) «ასევე შესაძლებელია, რომ შრომის შესანახად განკუთვნილი კაპიტალის» (ცვალებადი კაპიტალის) და «იარაღებსა, მანქანებსა და შენობებში დაბანდებული კაპიტალის» (ძირითადი კაპიტალის) «ერთმანეთს შორის კომბინირება ხდებოდეს სხვადასხვა თანაფარდობით». ამრიგად, ჩვენ გვაქვს «განსხვავება ძირითადი კაპიტალის ხანგრძლიობის ხარისხში და შრომასახელობა თანაფარდობისა, რომლითაც ამ ორი სახის კაპიტალის კომბინირება შეიძლება» (გვ. 25).

ერთბაშად ჩანს, თუ რატომ არ აინტერესებს რიკარდოს მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ნედლი მასალის სახით არსებობს. ეს უკანასკნელი თვით ეკუთვნის საბრუნავ კაპიტალს. თუ ხელფასი დიდდება, ეს არ იწვევს ხარჯების გადიდებას კაპიტალის იმ ნაწილისათვის, რომელიც მანქანებისაგან შედგება და შენაცვლებას არ მოითხოვს, არამედ განაგრძობს არსებობას, მაგრამ ეს იწვევს ხარჯების გადიდებას იმ ნაწილისათვის, რომელიც ნედლი მასალისაგან შედგება, რადგან ამ უკანასკნელის მუდმივად შევსება და, მაშასადამე, მუდმივად კვლავწარმოება უნდა ხდებოდეს.

«სპეციალელ და ტანსაცმელს, მუშა რომ ხმარობს, შენობას, სადაც იგი მუშაობს, იარაღებს, მის შრომას რომ ხელს უწყობენ, — ყოველივე ამას წარმავალი ხასიათი აქვს. მაგრამ არსებობს დიდი განსხვავება იმ დროში, რომლის განმავლობაშიც ყველა ეს სხვადასხვა კაპიტალი სამსახურს ეწევა... ამისდა მიხედვით, სწრაფად ისობა კაპიტალი და ხშირად საჭიროებს კვლავწარმოებას თუ ნელი მოიხმარება, იგი განეკუთვნება ან საბრუნავ, ან ძირითად კაპიტალს» (გვ. 26).

ამრიგად, აქ განსხვავება ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის დაყვანილია განსხვავებაზე კვლავწარმოების დროში (რაც მიმოქცევის დროს ემთხვევა).

3) «უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ საბრუნავი კაპიტალი შეიძლება მიმოიქცეოდეს, ანდ უკან უბრუნდებოდეს თავის პატრონს,

მეტად არათანაბარ დროის მონაკვეთებში. ფერმერის მიერ დასათესად ნაყიდი ხორბალი* ძირითადი კაპიტალია იმ ხორბალთან შედარებით, რომელიც მეფუნთუშემ იყიდა პურის დასამზადებლად. ერთი მას მიწაში ტოვებს და ერთ წელზე უფრო ადრე ვერ მიიღებს; მეორეს კი შეუძლია იგი დაფქვას და პურის სახით თავის მუშტრებს მიჰყიდოს, რის შედეგადაც ერთი კვირის შემდეგ მისი კაპიტალი განთავისუფლდება იმავე საქმისათვის ანდა იმისათვის, რომ რაიმე ახალი საქმე დაიწყოს» (გვ. 26 — 27).

საიდან წარმოდგება ეს განსხვავება სხვადასხვა საბრუნავი კაპიტალის მიმოქცევის დროში? იქიდან, რომ ერთი და ივიეე კაპიტალი ერთ შემთხვევაში უფრო დიდხანს ჩერდება წარმოების სფეროში ამ სიტყვის ნამდვილი აზრით, თუმცა შრომის პროცესი არ გრძელდება მთელი ამ დროის განმავლობაში. ასეთი მდგომარეობა გვაქვს ღვინის მიმართ, რომელიც სარდაფში ინახება, რათა დაღვინდეს, გარკვეული ქიმიური პროცესების მიმართ ტყავის თრიმლვისას, შეღებვისას და ა. შ.

«მაშასადამე, მეურნეობის ორ დარგს შეუძლია თანაბარი სიდიდის კაპიტალი გამოიყენოს; მაგრამ ეს კაპიტალი შეიძლება მეტად სხვადასხვანაირად იყოფოდეს ძირითად და საბრუნავ ნაწილებად» (გვ. 27).

4) «შემდეგ, ორ ფაბრიკანტს შეუძლია ერთი და იმავე სიდიდის ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი გამოიყენოს; მაგრამ მათი ძირითადი კაპიტალების ხანგრძლივობა» (მაშასადამე, მათი კვლევწარმოების დროც) «შეიძლება მეტად სხვადასხვა იყოს. ერთს შეუძლია ჰქონდეს 10000 გირვ. სტერლ. ღირებულების მქონე ორთქლის მანქანები, მეორეს კი — ამდენივე ღირებულების მქონე გემები» (გვ. 27 — 28).

«კაპიტალების ხანგრძლიობის სხვადასხვა ხარისხი..., ანუ, რაც იგივეა, ..., სხვადასხვანი იმ დროში, რამაც უნდა განვლოს, ვიდრე ამა თუ იმ საქონელთა პარტია ბაზარზე გაიტანება» (გვ. 30).

5) «საეჭვოა, საჭირო იყოს იმაზე ლაპარაკი, რომ საქონელნი, რომელთა წარმოებაზე შრომის თანაბარი რაოდენობა დაიხარჯა, განსხვავებულნი იქნებიან ერთმეორისაგან საცვლელი ღირებულების მიხედვით, თუ მათი ბაზარზე გატანა დროის თანაბარ მონაკვეთში არ ხდება» (გვ. 34).

ამრიგად, ჩვენ გვაქვს: 1) განსხვავება თანაფარდობაში ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის; 2) განსხვავება საბრუნავი კაპიტალის მიმოქცევაში შრომის პროცესის შეწყვეტის გამო, მაშინ როდესაც წარმოების პროცესი გრძელდება; 3) განსხვავება ძირითადი კაპიტალის ხანგრძლიობაში; 4) განსხვავება იმ მიმართებით, თუ საერთოდ საქონელი (სამუშაო დროის შეწყვეტათა ანგარიშში მიუღებლად, წარმოების დროსა და სამუშაო დროს შორის განსხვა-

* აქ შეუძლია ბ-ნ როდბერტუსს დარწმუნდეს, რომ თესლს ინგლისში «ყიდულობენ».

ვეპის მიუხედავად) რამდენ ხანს ექვემდებარება შრომის პროცესს, ვიდრე იგი შეავდოდეს მიმოქცევის პროცესში ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. უკანასკნელ შემთხვევას რიკარდო ასე გვიხატავს:

«დავუშვათ, რომ წლის განმავლობაში დასაქმებული მყავს რომელიმე საქონლის საწარმოებლად 20 მუშა და მათზე ვხარჯავ 1000 გირვ. სტერლინგს და ერთი წლის გასვლის შემდეგ ხელახლა ვამუშავებ 20 მუშას შემდგომი წლის განმავლობაში და ხელახლა ვხარჯავ მათზე 1000 გირვ. სტერლინგს — იმავე საქონლის საბოლოო დამზადებისა ან უფრო სრულყოფილი დამუშავებისათვის — და შეორე წლის ბოლოს საქონელი გამაქვს ბაზარზე. თუ მოგება 10%-ს შეადგენს, ჩემი საქონელი უნდა გაიყიდოს 2 310 გირვ. სტერლინგად, იმიტომ რომ პირველი წლის განმავლობაში მე გამოვიყენე 1000 გირვ. სტერლ. კაპიტალი, შემდგომი წლის განმავლობაში კი — 2100 გირვ. სტერლ. კაპიტალი. მეორე ადამიანი იყენებს ზუსტად შრომის იმავე რაოდენობას, მაგრამ იგი იყენებს მას მთლიანად პირველი წლის განმავლობაში; იგი ამუშავებს 40 მუშას და მათზე ხარჯავს 2000 გირვ. სტერლინგს, და პირველი წლის ბოლოს თავის საქონელს ყიდის 10%-ის მოგებით, ე. ი. 2200 გირვ. სტერლინგად. ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს ორი საქონელი; მათზე დაიხარჯა შრომის სავსებით თანაბარი რაოდენობა და მათგან ერთი იყიდება 2310 გირვ. სტერლინგად, მეორე კი — 2 200 გირვ. სტერლინგად» (გვ. 34).

[531] მაგრამ როგორაა, რომ ეს განსხვავება — სულ ერთია, იქნება ეს ძირითადი კაპიტალის ხანგრძლივობაში ან საბრუნავი კაპიტალის მიმოქცევის დროში თუ იმ თანაფარდობაში, რომლითაც ამ ორი სახის კაპიტალის ერთმანეთს შორის კომბინირება ხდება, ანდა, ბოლოს, იმ დროში, რაც სჭირდება [ბაზარზე გატანისათვის] სხვადასხვა საქონელს, რომლებზეც დახარჯულია შრომის თანაბარი რაოდენობა, — როგორაა, რომ ეს განსხვავება იწვევს ამ საქონელთა შეფარდებითი ღირებულების ცვლილებას? რიკარდო ჯერ ამბობს, ეს იქიდან წარმოდგებაო, რომ

«ეს განსხვავება... და თანაფარდობათა მრავალსახეობა» და ა. შ. «იძლევა საქონელთა შეფარდებითი ღირებულებების ცვლილების სხვა მიზეზს გარდა ამ საქონელთა წარმოებისათვის საჭირო შრომის მეტი თუ ნაკლები რაოდენობისა: ეს მიზეზი არის შრომის ღირებულების გადიდება ან შემცირება» (გვ. 25 — 26).

და როგორ ხდება ამის დამტკიცება?

«ხელფასის გადიდება აუცილებლად არათანაბარ ზეგავლენას უნდა იქონიოს ესოდენ განსხვავებულ პირობებში წარმოებულ საქონელზე» (გვ. 27).

სახელდობრ, იქ, სადაც — მეურნეობის სხვადასხვა დარგში თანაბარი სიდიდის კაპიტალების გამოყენებისას — ერთი კაპიტალი შედგება უმთავრესად ძირითადი კაპიტალისაგან და მასში მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია «შრომის შენახვაზე დახარჯუ-

ლი» კაპიტალისა, მაშინ როდესაც მეორე კაპიტალის მიმართ საქმის ვითარება სწორედ პირიქითაა. უწინარეს ყოვლისა, სისულელეა «საქონელზე» ზემოქმედების შესახებ ლაპარაკი. რიკარდოს მხედველობაში აქვს საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი. მაგრამ რამდენად განიცდიან ღირებულებანი ამ გარემოებათა ზეგავლენას? საერთოდ არ განიცდიან! ის, რაც ზეგავლენას განიცდის, ეს არის ორივე შემთხვევაში — მოგება. მაგალითად, ადამიანს, რომელიც ცვალებადი კაპიტალის სახით თავისი კაპიტალის მხოლოდ $\frac{1}{5}$-ს ხარჯავს, ერთნაირი ხელფასისა და ზედმეტი შრომის ერთნაირი ნორმის პირობებში, შეუძლია აწარმოოს 100-ზე, — თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა 20%-ს უდრის, — ზედმეტი ღირებულების მხოლოდ 4 ერთეული; მეორე კი, რომელმაც ცვალებადი კაპიტალის სახით თავისი კაპიტალის $\frac{4}{5}$ დახარჯა, აწარმოებს ზედმეტი ღირებულების 16 ერთეულს. ვინაიდან პირველ შემთხვევაში ხელფასზე დახარჯული კაპიტალი უდრის $\frac{100}{5}$, ე. ი. 20-ს, $\frac{1}{5}$ (ანუ 20%) ოციდან კი იქნება 4. მეორე შემთხვევაში კი ხელფასზე დახარჯული კაპიტალი უდრის $\frac{4}{5} \times 100$, ე. ი. 80-ს. $\frac{1}{5}$ (ანუ 20%) კი ოთხმოციდან იქნება 16. პირველ შემთხვევაში მოგება იქნებოდა 4, მეორეში კი 16. საშუალო მოგება ორივე კაპიტალისათვის იქნებოდა $\frac{16+4}{2}$, ანუ $\frac{20}{2}$, ე. ი. 10%. ეს არის სწორედ ის შემთხვევა, რომელზეც რიკარდო ლაპარაკობს. ამრიგად, თუ ორივე მეწარმე ხარჯთფასების კვალობაზე გაყიდდა, — ამას გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს სწორედ რიკარდო, — მაშინ თვითეული მათგანი თავის საქონელს გაყიდდა 110-ად. დავუშვათ ახლა, რომ ხელფასი იზრდება, მაგალითად, თავისი წინანდელი თანხის 20%-ით. წინათ მეწარმეს მუშა უჯდებოდა 1 გირვ. სტერლ., ახლა კი იგი უჯდება 1 გირვ. სტერლ. 4 შილინგი, ანუ 24 შილინგი. ამ ორი მეწარმიდან პირველმა უწინდებურად უნდა ხარჯოს მუდმივი კაპიტალის სახით 80 გირვ. სტერლინგი (რადგან რიკარდო აქ მხედველობის გარეშე ტოვებს შრომის მასალას, ამიტომ ჩვენც ასე შეგვიძლია მოვიქცეთ), 20 მუშის გასასტუმრებლად კი, რომელთაც იგი იყენებს, იგი დახარჯავს გარდა 20 გირვ. სტერლინგისა კიდევ 80 შილინგს, ე. ი. 4 გირვ. სტერლინგით მეტს. ამრიგად, მისი კაპიტალი ახლა უნდა უდრიდეს 104 გირვ. სტერლინგს. და 110 გირვანქა სტერლინგიდან მას წილად

შეხვდება მხოლოდ 6 გირვ. მოგება, რადგან მუშებმა მისთვის ნაცვლად უფრო მეტი ზედმეტი ღირებულებისა უფრო ნაკლები ზედმეტი ღირებულება აწარმოეს. 6 გირვ. სტერლინგი 104-ზე შეადგენს 5 $^{10}/_{13}$%. პირიქით, მეორე მეწარმეს, რომელიც 80 მუშას ამუშავებს, უნდა ეხადა 320 შილინგით, ე. ი. 16 გირვ. სტერლინგით, მეტი. მას მოუხდებოდა, მაშასადამე, 116 გირვ. სტერლინგის დახარჯვა. და თუ იგი იძულებული იქნებოდა თავისი საქონელი 110-ად გაეყიდა, მას, მოგების ნაცვლად, 6 გირვ. სტერლ. ზარალი ექნებოდა. მაგრამ ამ შემთხვევას ადგილი აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ საშუალო მოგებამ უკვე სახე შეუცვალა შეფარდებას შრომაზე მოცემული მეწარმის მიერ გაწეულ დანახარჯსა და მის საკუთარ საწარმოში წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას შორის.

ამრიგად, ნაცვლად იმ საკითხის გამოკვლევისა, თუ რა ცვლილებები უნდა მოხდეს იმისათვის, რათა ერთი მეწარმე, რომელიც ხელფასზე 100-დან 80 გირვ. სტერლინგს ხარჯავს, არ იღებდეს ოთხჯერ უფრო მეტ მოგებას, ვიდრე მეორე, რომელიც ხელფასზე 100-დან მხოლოდ 20 გირვ. სტერლინგს ხარჯავს, — რიკარდო იკვლევს მეორეხარისხოვან საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება, რომ მას შემდეგ, რაც ეს მნიშვნელოვანი განსხვავება გათანაბრდა, — მაშასადამე, მოგების მოცემული ნორმის დროს, — მოგების ამ ნორმის ყოველგვარი ცვლილება, მაგალითად, ხელფასის გადიდების გამო, გაცილებით უფრო ეხება იმ მეწარმეს, რომელიც 100 გირვ. სტერლ. კაპიტალით ბევრ მუშას ამუშავებს, ვიდრე მეორეს, რომელიც 100 გირვ. სტერლ. კაპიტალით ცოტა მუშას ამუშავებს, და რომ ამიტომ — მოგების თანაბარი ნორმის დროს — საქონელთა ფასები, ანუ ხარჯთფასები, ერთთან უნდა იზრდებოდეს, მეორესთან კი — ეცემოდეს, რათა მოგების ნორმა შემდეგაც თანაბარი რჩებოდეს.

რიკარდოს მიერ მოცემულ პირველ ილუსტრაციას აბსოლუტურად არავითარი დამოკიდებულება არა აქვს «შრომის ღირებულების გადიდებასთან», თუმცა რიკარდომ წინასწარ გვამცნო კიდეც, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო უნდა ხდებოდეს მთელი ცვლილება «შეფარდებითს ღირებულებებში». ეს ილუსტრაცია შემდეგია:

«დავუშვათ, რომ ორი პიროვნება წლის განმავლობაში იყენებს ას-ას მუშას ორი მანქანის ასაგებად, მესამე პიროვნება კი მუშების ასეთსავე რაოდენობას იყენებს პურის საწარმოებლად; წლის ბოლოს თვითეულ მანქანას ექნება ისეთივე ღირებულება, რაც პურსა იქვს, რადგან ყველა ამ სამი საქონლიდან თვითეული წარმოებული იქნება შრომის ერთი და იმავე რაოდენობით. დავუშვათ ახლა, რომ მანქანების მფლობელებიდან ერთი თავის მანქანას შემდგომ წელს მოიხმარს მაუდის საწარმოებლად ასი მუშის დახმარებით, მეორე კი თავის მანქანას გამოიყენებს ჩი-

თის დასამზადებლად, ასევე ასი მუშის დახმარებით, მაშინ როდესაც ფერმერი უწინდებურად განაგრძობს 100 მუშის გამოყენებას პურის საწარმოებლად. მეორე წელს ყველა ისინი შრომის თანაბარ რაოდენობას გამოიყენებენ».

{ე. ი. ისინი დახარჯავენ თანაბარ კაპიტალს ხელფასზე, მაგრამ სრულიადაც არ გამოიყენებენ შრომის თანაბარ რაოდენობას},

«მაგრამ მაუდის ფაბრიკანტის პროდუქტები მის მანქანასთან ერთად [532] და ჩითის ფაბრიკანტის პროდუქტები, ასევე მის მანქანასთან ერთად, შედეგი იქნება ორასი მუშის წლიური შრომისა, ანუ, უფრო სწორად, ასი მუშის შრომისა ორი წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც პური იქნება ასი მუშის შრომის შედეგი ერთი წლის განმავლობაში; მაშასადამე, თუ პურის ღირებულება 500 გირვ. სტერლინგია, მაშინ მაუდის ფაბრიკანტის მანქანა და მაუდი ერთად უნდა ღირდეს 1000 გირვ. სტერლინგი; სავსებით ასევე ჩითის ფაბრიკანტის მანქანასა და ჩითს უნდა ჰქონდეთ ღირებულება, რომელიც ორჯერ აღემატება პურის ღირებულებას. მაგრამ ისინი გადაიკარგებენ პურის ღირებულებას ორჯერ და კიდევ უფრო მეტად, რადგან მაუდის ფაბრიკანტისა და ჩითის ფაბრიკანტის კაპიტალის მოგება პირველ წელიწადს მიემატა მათ კაპიტალებს, მაშინ როდესაც ფერმერმა თავისი მოგება თავის პირად საჭიროებასა და სიამოვნებაზე დახარჯა. მაშასადამე, მათი კაპიტალების ხანგრძლივობის სხვადასხვა ხარისხის გამო, ანუ, რაც იგივეა, იმ დროის განსხვავების გამო, რამაც უნდა განვლოს, ვიდრე შესაძლებელი გახდება ამა თუ იმ საქონელთა პარტიის ბაზარზე გატანა, ამ საქონელთა ღირებულებანი არ იქნება მათზე დახარჯული შრომის რაოდენობათა ზუსტად პროპორციული. ამ შემთხვევაში ღირებულებათა შეფარდება იქნება არა 2 : 1, არამედ რამდენადმე მეტი, რათა მიღებულ იქნეს იმ უფრო ხანგრძლივი დროის კომპენსაცია, რომელიც უნდა განვლოს, ვიდრე შესაძლებელი გახდება უფრო ძვირი საქონლის ბაზარზე გატანა. დავუშვათ, რომ ყოველი მუშის შრომის ანაზღაურებაზე წელიწადში იხარჯება 50 გირვ. სტერლინგი, ანდა რომ მოხმარებულია 5000 გირვ. სტერლ. კაპიტალი, მოგება კი შეადგენს 10%-ს; მაშინ თვითეული მანქანის ღირებულება, ასევე პურის ღირებულებაც, პირველი წლის ბოლოს შეადგენს 5 500 გირვ. სტერლინგს. მეორე წლის განმავლობაში როგორც ფაბრიკანტები, ისე ფერმერიც კვლავ დახარჯავენ თვითეული 5000 გირვ. სტერლინგს შრომის შენახვაზე და ამიტომ ისინი ხელახლა გაყიდიან თავიანთ პროდუქტებს 5 500 გირვ. სტერლინგად. მაგრამ იმისათვის, რომ ფერმერთან თანაბარ პირობებში დარჩნენ, მანქანების გამომყენებელმა ორივე ფაბრიკანტმა უნდა მიიღოს არა მარტო 5 500 გირვ. სტერლინგი ფერმერთან თანაბარ კაპიტალში, ე. ი. 5000 გირვ. სტერლინგში, რაც მათ შრომაზე დახარჯეს, არამედ მათ უნდა მიიღონ კიდევ დამატებითი თანხა 550 გირვ. სტერლინგის ოდენობით როგორც მოგება ამ 5500 გირვ. სტერლინგისა, რაც მათ მანქანებში დაებანდეს, და, მაშასადამე» (სწორად

იმიტომ, რომ მოგების თანაბარი წლიური ნორმა 10%-ის რაოდენობით იგულისხმება როგორც უეცილებობა და კანონი), «მათი პროდუქტები უნდა გაიყიდოს 6050 გირვ. სტერლინგად».

{ ამრიგად, საშუალო მოგების შედეგად — მოგების იმ საერთო ნორმის შედეგად, რომელსაც რიკარდო წინასწარ გულისხმობს, — წარმოიქმნება საქონელთა ღირებულებებისაგან განსხვავებული საშუალო ფასები, ანუ ხარჯთ-ფასები. }

«აქ, მაშასადამე, ვხედავთ, რომ კაპიტალისტები წლის განმავლობაში შრომის სრულიად თანაბარ რაოდენობას იყენებენ თავიანთი საქონლის საწარმოებლად, და მიუხედავად ამისა მათ მიერ წარმოებული საქონელნი განსხვავდებიან თავიანთი ღირებულებით იმის გამო, რომ თვითეული კაპიტალისტის მიერ გამოყენებული ძირითადი კაპიტალის, ანუ დაგროვილი შრომის რაოდენობანი განსხვავებულია».

{ არა ამის გამო არამედ იმის გამო, რომ ყველა ეს არამზადა შეპყურობილია აკვიატებული იდეით *, რომ თვითეულმა მათგანმა უნდა მიიღოს ერთნაირი ნადავლი როგორც შედეგი იმ «დახმარებისა», რაც მათ შრომას გაუწიეს», ანდა რომ მათი საქონელი, როგორიც არ უნდა იყოს მისი ღირებულება, უნდა იყიდებოდეს საშუალო ფასების კვალობაზე, რაც თვითეულ მათგანს მოგების თანაბარ ნორმას აძლევს. }

«მაუდსა და ჩითს თანაბარი ღირებულება აქვთ, რადგან ისინი შრომის თანაბარ რაოდენობათა და ძირითადი კაპიტალის თანაბარ რაოდენობათა პროდუქტებია; მაგრამ პურს არა აქვს იგივე ღირებულება» { საჭირო იყო თქმა: ხარჯთფასი }, რაც მაუდსა და ჩითს აქვთ, იმიტომ რომ, რამდენადაც საქმე ეხება ძირითად კაპიტალს, პური სხვა პირობებში იწარმოება» (გვ. 29 — 31).

ამ უაღრესად ტლანქ და ესოდენ არეულ-დარეულ მაგალითს იძლევა რიკარდო მეტად მარტივი რამის საილუსტრაციოდ — ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ ეთქვა: რადგან თანაბარი კაპიტალები, როგორიც არ უნდა იყოს მათი ორგანული ნაწილების თანაფარდობა და როგორიც არ უნდა იყოს მათი მიმოქცევის დრო თანაბარ მოგებებს იძლევიან, რაც შეუძლებელია, თუ საქონელთა გაყიდვა მათი ღირებულების მიხედვით ხდება და ა. შ., ამიტომ არსებობს ამ ღირებულებათაგან განსხვავებული საქონელთა

* სიტყვების თამაში: «fixed capital «ძირითადი კაპიტალი», fixed idea» — «აკვიატებული აზრი». რედ.

ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ი. თანაც ამას უკვე შეიცავს მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ი ს ც ნ ე ბ ა.

გავარჩიოთ ეს რთული მაგალითი და დავიყვანოთ იგი მის სრულიადაც არა «რთულ» ჭეშმარიტ მასშტაბზე. ამასთან დავიწყოთ ბოლოდან და ახლავე, რათა უფრო ნათელი იყოს გასაგებად, აღვნიშნოთ, რომ, რიკარდოს «ვარაუდის» თანახმად, ფერმერს და ბამბის ვაჟბატონს ნედლი მასალა არაფერი არ უჯდებათ; რომ ფერმერი, შემდეგ, არავითარ კაპიტალს არ ხარჯავს შრომის იარაღებზე; რომ, ბოლოს, ბამბის ქოფაკის მიერ დაბანდებული ძირითადი კაპიტალის არც ერთი ნაწილი არ შედის მის პროდუქტში გაცვეთის ანაზღაურების სახით. თუმცა ყველა ეს ვარაუდი სისულელეა, მაგრამ თავისთავად ისინი სულაც არ უშლიან ხელს ილუსტრაციას.

ყველა ამ ვარაუდისას რიკარდოს მიერ მოცემული მაგალითი, თუ ბოლოდან დავიწყებთ, ასეთია: ფერმერი ხარჯავს 5000 გირვ. სტერლინგს ხელფასზე; ბამბის მამაძაღლი 5000-ს ხარჯავს ხელფასზე და 5500-ს მანქანებზე. მაშასადამე, პირველი ხარჯავს 5000 გირვ. სტერლინგს, მეორე კი — 10500-ს, ე. ი. [533] ორჯერ და კიდევ მეტს პირველთან შედარებით. თუ ერთმაც და მეორემაც 10% მოგება უნდა მიიღოს, მაშინ ფერმერმა თავისი საქონელი უნდა გაყიდოს 5500-ად, ბამბის ვაჟბატონმა კი — 6050 გირვ. სტერლინგად (რადგან იგულისხმება, რომ მანქანებში დაბანდებული 5 500-დან არც ერთი წილი არ შეადგენს პროდუქტის ღირებულების ნაწილს მანქანების გაცვეთის ანაზღაურების სახით). აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რა გაარკვია რიკარდომ გარდა იმისა, რომ საქონლის ხარჯთფასები, რამდენადაც ეს უკანასკნელი განისაზღვრება საქონელში მოთავსებული ავანსების ღირებულებით პლუს მოგების ერთი და იგივე წლიური პროცენტი, გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა საქონელთა ღირებულებისაგან და რომ ეს განსხვავება იქიდან გამომდინარეობს, რომ საქონელთა გაყიდვა ხდება ისეთი ფასების კვალობაზე, რომლებიც მ ო გ ე ბ ი ს ერთსა და იმავე ნ ო რ მ ა ს იძლევიან ავანსებულ კაპიტალზე; რომ ეს განსხვავება ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ს ა და ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ებ ს შ ო რ ი ს, მოკლედ რომ ვთქვათ, მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ი ს იდენტურია. ის განსხვავებაც კი ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის, რასაც რიკარდო აქ იძლევა, ამ მაგალითში მხოლოდ წმინდა ხრიკია. თუ, მაგალითად, ის დამატებითი 5 500 გირვ. სტერლინგი, რასაც ჩითის ფაბრიკანტი იყენებს, ნედლი მასალის გამომხატველი იქნებოდა, მაშინ როდესაც ფერმერს აღარ დასჭირდებოდა თესლი და ა. შ. მაშინაც სავსებით იმავე შედეგს მივიღებდით.

ეს მაგალითი არ გვიჩვენებს აგრეთვე, წინააღმდეგ რიკარდოს მტკიცებისა, რომ

«მათ» (ჩითის ფაბრიკანტისა და ფერმერის) «მიერ წარმოებული საქონელი განსხვავდება ერთმეორისაგან თავისი ღირებულებით ი მ ი ს გ ა მ ო, რ ო მ თვითეული მათგანის მიერ გამოყენებული ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს, ანუ დაგროვილ შრომის რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა» (გვ. 31).

ეს იმიტომ რომ, რიკარდოს ვარაუდის თანახმად, ბამბის ფაბრიკანტის ძირითადი კაპიტალი უდრის 5 500 გირვ. სტერლინგს, ფერმერისა კი — ნულს; ერთი იყენებს ძირითად კაპიტალს, მეორე კი—არ იყენებს. მაშასადამე, ისინი სულაც არ იყენებენ მას «სხვადასხვა რაოდენობითს», სავსებით ისევე როგორც ვერ ვიტყვით ორ ადამიანზე, რომელთაგან ერთი მოიხმარს ხორცს, მეორე კი არ მოიხმარს მას, რომ ორივენი ხორცს «სხვადასხვა რაოდენობით» ხმარობენ. პირიქით სწორია ის (თუმცა აქ ეს სრულიად უმართებულოდ არის კონტრაბანდით შემოტანილი სიტყვა «ან»-ის მეშვეობით), რომ ჩითის ფაბრიკანტი და ფერმერი «სხვადასხვა რაოდენობით» იყენებენ «დაგროვილ შრომას», ე. ი. გასაგნობრივებულ შრომას, სახელდობრ — ერთი ხარჯავს ამ შრომაზე 10500 გირვ. სტერლინგს, მეორე კი მხოლოდ 5000-ს. მაგრამ მათ მიერ «დაგროვილი შრომის სხვადასხვა რაოდენობის» გამოყენება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ საწარმოებში «კაპიტალის სხვადასხვა რაოდენობას» აბანდებენ, რომ მოგების მასა დამოკიდებულია მათ მიერ გამოყენებული კაპიტალების სიდიდის ამ განსხვავებაზე, რადგან ნაგულისხმევია მ ო გ ე ბ ი ს ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე ნ ო რ მ ა, და რომ, ბოლოს, ეს განსხვავება მოგების მასისა, რაც კაპიტალების სიდიდის პროპორციულია, თავის გამოხატულებას, თავის გამოვლენას საქონელთა სათანადო ხარჯთფასებში პოულობს.

მაგრამ საიდან გამომდინარეობს რიკარდოს მიერ მოცემული ილუსტრაციის სიტლანქე?

«აქ, მაშასადამე, ვხედავთ, რომ კაპიტალისტები წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი შ რ ო მ ი ს სრულიად თ ა ნ ა ბ ა რ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს იყენებენ თავიანთი საქონლის საწარმოებლად, და მიუხედავად ამისა მათ მიერ წარმოებული საქონელი განსხვავდება ერთმეორისაგან თავისი ღირებულებით» (გვ. 30 — 31).

ეს ნიშნავს, რომ ისინი იყენებენ არა საერთოდ შრომის—ერთად აღებული უშუალო შრომისა და დაგროვილი შრომის, — თანაბარ რაოდენობას, არამედ ხელფასზე დახარჯული ცვალებადი კაპიტალის თანაბარ რაოდენობას, ცოცხალი შრომის თანაბარ რაოდენობას. და რადგან ფული გაიცვლება დაგროვილ შრომაზე, ე. ი. მანქანების

ფორმით არსებულ საქონელზე და ა. შ., მხოლოდ საქონელთა გაცვლის კანონის შესაბამისად; რადგან ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ა მხოლოდ იქიდან წარმოიქმნება, რომ გამოყენებული ცოცხალი შრომის ნაწილის მითვისება აუნაზღაურებლად ხდება, — ამიტომ ნათელია (ვინაიდან, ნავარაუდევის თანახმად, მანქანების არც ერთი ნაწილი არ შედის საქონელში გაცვეთის სახით), რომ ორივე კაპიტალისტს ერთი და იმავე მოგების მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მოგება და ზედმეტი ღირებულება იდენტურნი არიან. ბამბის ფაბრიკანტს თავისი საქონელი უნდა გაეყიდა, ისევე როგორც ფერმერსაც, 5 500 გირვ. სტერლინგად, თუმცა იგი ორჯერ და კიდევ მეტ კაპიტალს ხარჯავს. მაშინაც კი, თუ მანქანები მთლიანად შევიდოდა საქონლის ღირებულებაში, ჩითის ფაბრიკანტი თავისი საქონლის გაყიდვას მხოლოდ 11 000 გირვ. სტერლინგად შეძლებდა, ე.ი. იგი ვერ მიიღებდა 5% მოგებასაც კი, მაშინ როდესაც ფერმერი 10%-ს ღებულობს. მაგრამ ასეთი ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ი მოგების დროს ფერმერი და ფაბრიკანტი გაყიდდნენ თავიანთ საქონელს მისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით, თუ ვიგულისხმებთ, რომ 10%, რასაც ფერმერი იღებს, წარმოადგენს ნამდვილ, მის საქონელში მოთავსებულ ფასგადაუხდელ შრომას. მაშასადამე, თუ ისინი თავიანთ საქონელს თანაბარი მოგებით ყიდიან, მაშინ ორიდან აუცილებელია ერთი: ან ფაბრიკანტი თავის საქონელს თვითნებურად წაუმატებს 5%-ს, და ამ შემთხვევაში ფაბრიკანტისა და ფერმერის საქონელნი, ერთად აღებულნი, მათს ღირებულებაზე უფრო მ ა ღ ლ ა იყიდება; ანდა ფერმერის მიერ მიღებული ნამდვილი ზედმეტი ღირებულება შეადგენს ღაახლოებით 15%-ს, და ორივე თავის საქონელში ღებულობს 10%, საშუალო მოგებას ამ უკანასკნელ შემთხვევაში, თუმცა სათანადო საქონლის ხარჯთფასი ყოველთვის მის ღირებულებაზე უფრო მაღლა ან უფრო დაბლა დგას, საქონელთა ჯ ა მ ი ი ყ ი დ ებ ა მ ა თ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ, თვით მოგებათა გათანაბრებას კი განსაზღვრავს საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულების ჯამი. აქ, რიკარდოს ზემომოყვანილი ფრაზა, თუ მას სათანადოდ შევუცვლით სახეს, შეიცავს იმ სწორ აზრს, რომ განსხვავება თანაფარდობისა ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის გარდუვალად იწვევს იმას, რომ დახარჯული კაპიტალის თანაბარი სიდიდის პირობებში უნდა იწარმოებოდეს სხვადასხვა ღირებულების მქონე საქონელნი, რომელნიც ამიტომ სხვადასხვა მოგებას იძლევიან; რომ ამ მოგებათა გათანაბრებამ ამის გამო უნდა წარმოქმნას საქონელთა ღირებულებებისაგან გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ებ უ ლ ი ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ი.

«აქ, მაშასადამე, ვხედავთ, რომ კაპიტალისტები წლის განმავლობაში შრომის» (უშუალო, ცოცხალი შრომის) «სრულიად თანაბარ რაოდენობას იყენებენ თავიანთი საქონლის საწარმოებლად, და მიუხედავად ამისა მათ მიერ წარმოებული საქონელი განსხვავდება ერთიმეორისაგან თავისი ღირებულებით» (ე. ი. ამ საქონელს აქვს თავისი ღირებულებისაგან განსხვავებული ხარჯთფასი) «იმის გამო, რომ თვითეული მათგანის მიერ გაოცენებული... დაგროვილი შრომის რაოდენობანი განსხვავებულია». მაგრამ ეს მიხვედრა რიკარდოს გამოუთქმელი რჩება. იგი მხოლოდ იმას გვიხსნის, თუ რა აბნეული და აშკარად მცდარია რიკარდოს მიერ მოცემული ილუსტრაცია, რომელსაც აქამდე არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა «კაპიტალისტების მიერ გამოყენებული ძირითადი კაპიტალის განსხვავებულ რაოდენობებთან».

განვაგრძოთ ახლა ჩვენი ანალიზი. ფაბრიკანტი პირველ წელიწადს ააგებს მანქანას და ამისათვის ქირაობს 100 მუშას; ფერმერი ამავე დროის განმავლობაში აწარმოებს პურს და ასევე ქირაობს 100 მუშას; მეორე წელს ფაბრიკანტი აამუშავებს მანქანას და მისი საშუალებით აწარმოებს ჩითს, რისთვისაც იგი ისევე ქირაობს 100 მუშას. ფერმერი, პირიქით, ისევ ქირაობს 100 მუშას პურის მოსაყვანად. დავუშვათ, ამბობს რიკარდო, რომ პურის ღირებულება ყოველწლიურად შეადგენს 500 გირვ. სტერლინგს. ვიგულისხმოთ, რომ ფასგადაუხდელი შრომა ფასგადახდილი შრომის 25%-ს შეადგენს. ე. ი. ფასგადახდილი შრომის 400 ერთეულს უწევს ფასგადაუხდელი შრომის 100 ერთეული. მაშინ მანქანას პირველი წლის ბოლოს ექნებოდა აგრეთვე 500 გირვ. სტერ. ღირებულება, საიდანაც 400 გირვ. სტერლინგი უდრის ფასგადახდილ შრომას, 100 გირვ. სტერლინგი კი ფასგადაუხდელ შრომას წარმოადგენს. დავუშვათ, [534] რომ მეორე წლის ბოლოს მთელი მანქანა საცვლითა და ჩითის ღირებულებაში შევიდა. სინამდვილეში რიკარდო სწორედ ამას გულისხმობს, რადგან მეორე წლის დასასრულს «პურის ღირებულებას» მან უნდა შეადაროს არა მარტო ჩითის ღირებულება, არამედ «ჩითისა და მანქანის ღირებულება».

ჩინებულია! ჩითის ღირებულება ამ შემთხვევაში მეორე წლის ბოლოს უნდა უდრიდეს 1000 გირვ. სტერლინგს, სახელდობრ 500 გირვ. სტერლინგი იქნება მანქანის ღირებულება, და 500 — შრომის ახლად მიმატებული ღირებულება. პირიქით, პურის ღირებულება იქნება 500 გირვ. სტერლინგი, სახელდობრ 400 გირვ. სტერ. — ხელფასი და 100 გირვ. სტერლ. — ფასგადაუხდელი შრომა. აქამდე ამ შემთხვევა-

ში ჯერ ისეთი არაფერია, რაც ღირებულების კანონს ეწინააღმდეგებოდეს. ბამბის ფაბრიკანტი იღებს 25% მოგებას სავსებით ისევე, როგორც პურის ფაბრიკანტიც; მაგრამ პირველის საქონელი უდრის 1000 გირვ. სტერლინგს, მეორის საქონელი კი—500 გირვ. სტერლინგს, რადგან პირველის საქონელი შეიცავს 200 მუშის შრომას, მეორის საქონელი კი ყოველწლიურად შეიცავს მხოლოდ 100 მუშის შრომას. შემდეგ: ის 100 გირვ. სტერლ. მოგება (ზედმეტი ღირებულება), რაც პირველ წელს ჩითის ფაბრიკანტმა მიიღო იმ მანქანის აგების შედეგად, რომელშაც აუნაზღაურებლად შთანთქა მისი მშენებელი მუშების სამუშაო დროის $^1/_5$ — ეს 100 გირვ. სტერლინგი რეალიზებული ხდება მისთვის მხოლოდ მეორე წელს, რადგან იგი მხოლოდ ახლა ახორციელებს ჩითის ღირებულებაში აგრეთვე მანქანის ღირებულებას. მაგრამ სწორედ აქ ჩენს თავს დაბრკოლება. ჩითის ფაბრიკანტი თავის საქონელს ყიდის ისეთ ფულად თანხად, რომელიც 1000 გირვ. სტერლინგს აღემატება, ე. ი. ყიდის უფრო მაღალი ღირებულების მიხედვით, ვიდრე მისი საქონელი შეიცავს, მაშინ როდესაც ფერმერი პურს ყიდის 500 გირვ. სტერლინგად, ე. ი. ვარაუდის თანახმად, პურის ღირებულების კვალობაზე. ამრიგად, თუ გაცვლა მხოლოდ ამ ორ პიროვნებას შორის მოხდებოდა, ე. ი. ფაბრიკანტი გაცვლის გზით პურს მიიღებდა ფერმერისაგან, ფერმერი კი ჩირს — ფაბრიკანტისაგან, მაშინ იგივე მდგომარეობა გვექნებოდა, რაც იმ შემთხვევაში, თუ ფერმერი თავის საქონელს მის ღირებულებაზე უფრო დაბლა გაყიდდა და 25%-ზე ნაკლებ მოგებას მიიღებდა, ფაბრიკანტი კი ჩითს მის ღირებულებაზე უფრო მაღლა გაყიდდა. დავანებოთ თავი აქ ორ კაპიტალისტს (მაუდის ფაბრიკანტსა და ჩითის ფაბრიკანტს), რომელნიც რიკარდოს შემოჰყავს თავის მაგალითში სრულიად ზედმეტად, და შეეუცვალოთ სახე ამ მაგალითს ისე, რომ ლაპარაკი იყოს მხოლოდ ერთ ჩითის ფაბრიკანტზე. ჩვენ მიერ განსახილველი ილუსტრაციისათვის ეს ორმაგი ანგარიში ჯერჯერობით სრულიად უსარგებლოა. ამრიგად:

«მაგრამ იგი» (ბამბეულის საქონელი) «პურის ღირებულებას ორჯერ და კიდევ უფრო მეტად გადააჭარბებს, რადგან ჩითის ფაბრიკანტის კაპიტალის მოგება პირველ წელს მიემატა მის კაპიტალს, მაშინ როდესაც ფერმერმა თავისი მოგება პირად საჭიროებასა და სიამოვნებაზე დახარჯა».

(ეს უკანასკნელი, ბურჟუაზიულ ყაიდაზე შელამაზებული ფრაზა აქ თეორიულად სავსებით მოკლებულია აზრს. მორალურ მოსაზრებებს აქ არაფერი აქვს საერთო განსახილველ საკითხთან.)

«მაშასადამე, მათი კაპიტალების ხანგრძლიობის სხვადასხვა ხარისხის გამო, ანუ, რაც იგივეა, იმ დროის განსხვავების გამო, რამაც უნდა განვლოს, ვიდრე შესაძლებელი გახდება ამა თუ იმ საქონელთა პარტიის ბაზარზე გატანა, ამ საქონელთა ღირებულებანი არ იქნება მათზე დახარჯული შრომის რაოდენობათა ზუსტად პროპორციული. ამ შემთხვევაში ღირებულებათა შეფარდება იქნება არა 2 : 1, არამედ რამდენადმე მეტი, რათა მიღებულ იქნეს იმ უფრო ხანგრძლივი დროის კომპენსაცია, რომელმაც უნდა განვლოს, ვიდრე შესაძლებელი გახდება უფრო ძვირი საქონლის ბაზარზე გატანა» (გვ. 30).

თუ ფაბრიკანტი თავის საქონელს მისი ღირებულების მიხედვით გაყიდდა, იგი გაყიდდა მას 1000 გირვ. სტერლინგად, პურზე ორჯერ უფრო ძვირად, რადგან მის საქონელში მოთავსებულია ორჯერ მეტი შრომა: 500 გირვ. სტერლინგი დაგროვილი შრომა მანქანების სახით (ამ 500 გირვ. სტერლინგიდან მას არ გადაუხდია 100) და 500 გირვ. სტერლ. ჩითის საწარმოებლად საჭირო შრომის სახით, საიდანაც ფაბრიკანტს ასევე 100 არ გადაუხდია. მაგრამ ის ანგარიშობს შემდეგნაირად: პირველ წელს მე დავხარჯე 400 გირვ. სტერლინგი და ამით მუშების ექსპლოატაციის მეოხებით შევქმენი მანქანა, რომელიც 500 გირვ. სტერლ. ღირს. მაშასადამე, მე მივიღე 25% მოგება. მეორე წელს ვხარჯავ 900 გირვ. სტერლინგს, სახელდობრ 500-ს ხსენებული მანქანის სახით და 400-ს კვლავ შრომის სახით. რათა 25% ხელახლა მივიღო, მე უნდა ჩითი გავყიდო 1125 გირვ. სტერლინგად, ე. ი. მის ღირებულებაზე 125 გირვ. სტერლინგით უფრო მაღლა. ვინაიდან ეს 125 გირვ. სტერლინგი არ წარმოადგენს არავითარ ჩითში მოთავსებულ შრომას, არც პირველ წელს დაგროვილს, არც მეორე წელს ახლად მიმატებულს. ჩითში მოთავსებული შრომის საერთო ჯამი შეადგენს მხოლოდ 1000 გირვ. სტერლინგს. ვიგულისხმოთ, მეორე მხრივ, რომ ორივენი ერთმანეთს თავიანთ საქონელს უცვლიან, ანდა რომ კაპიტალისტების ნახევარი იმყოფება ბამბის ფაბრიკანტის მდგომარეობაში, მეორე ნახევარი კი — ფერმერის მდგომარეობაში. საიდან მიიღებს კაპიტალისტების პირველი ნახევარი იმ 125 გირვ. სტერლინგს, რაც მას უნდა გადაუხადონ? რა ფონდიდან? აშკარაა, იგი მიიღებს მას მხოლოდ კაპიტალისტების მეორე ნახევრისაგან. მაგრამ მაშინ ნათელია, რომ კაპიტალისტების ეს მეორე ნახევარი არ ღებულობს 25% მოგებას. ამრიგად, კაპიტალისტების პირველი ნახევარი მოატყუებდა მეორე ნახევარს მოგების საერთო ნორმის მომიზეზებით, მაშინ როდესაც სინამდვილეში მოგების ნორმა შეადგენს ფაბრიკანტისათ-

ვის 25%-ს, ფერმერისათვის კი — 25%-ზე ნაკლებს. მაშასადამე, საქმის ვითარება სხვაგვარად უნდა იყოს.

ილუსტრაცია რომ უფრო სწორი და უფრო თვალსაჩინო გავხადოთ, ვივარაუდოთ, რომ ფერმერი მეორე წელს ხარჯავს 900 გირვ. სტერლინგს. მაშინ, თუ მოგების ნორმა 25%-ია, იგი მიიღებს პირველ წელს 100 გირვ. სტერლ. მოგებას მის მიერ დახარჯულ 400 გირვ. სტერლინგზე, მეორე წელს კი — 225-ს, სულ კი 325 გირვ. სტერლინგს. პირიქით, ფაბრიკანტი ღებულობს პირველ წელს 25%-ს 400 გირვ. სტერლინგზე, მეორე წელს კი — მხოლოდ 100 გირვ. სტერლინგს 900 გირვ. სტერლინგზე (რადგან მანქანებში დაბანდებული 500 გირვ. სტერლინგი არ იძლევა ზედმეტ ღირებულებას, არამედ ზედმეტ ღირებულებას იძლევა მხოლოდ ხელფასზე დახარჯული 400 გირვ. სტერლინგი), რაც მხოლოდ 11 $^1/_9$%-ს შეადგენს. ანდა, ვთქვათ, ფერმერი კვლავ დახარჯავს 400 გირვ. სტერლინგს; მაშინ იგი როგორც პირველ, ისე მეორე წელს მიიღებს 25%-ს; სულ ორივე წელს ერთად მიიღებს 200 გირვ. სტერლინგს დახარჯულ 800 გირვ. სტერლინგზე, ე. ი. ასევე 25%-ს. პირიქით, ფაბრიკანტი ღებულობს პირველ წელს 25%-ს, მეორე წელს — 11$^1/_9$%-ს, ორ წელს—200 გირვ. სტერლინგს დახარჯულ 1300 გირვ. სტერლინგზე, ე. ი. 15 $^5/_{13}$%-ს. ამრიგად, მოგებათა გათანაბრებისას ფაბრიკანტი მოიგებდა 20 $^5/_{26}$%-ს და ამდენს ამოიგებდა ფერმერიც[7]. ეს იქნებოდა საშუალო მოგება. ეს მოგვცემდა [მეორე წელს] ფერმერის საქონლისათვის 500 გირვ. სტერლინგზე ნაკლებ ხარჯთფასს, ფაბრიკანტის საქონლისათვის — 1000 გირვ. სტერლინგზე მეტს.

[535] ყოველ შემთხვევაში ფაბრიკანტი ხარჯავს აქ პირველ წელს 400 გირვ. სტერლინგს, მეორე წელს — 900 გირვ. სტერლინგს, მაშინ როდესაც ფერმერი ყოველთვის ხარჯავს მხოლოდ 400 გირვ. სტერლინგს. თუ ფაბრიკანტი ბამბეულის წარმოების ნაცვლად სახლს აშენებდა (ე. ი. თუ იგი მშენებელი იქნებოდა), მაშინ პირველი წლის ბოლოს დაუმთავრებელ სახლში მოთავსებული იქნებოდა 500 გირვ. სტერლინგი, და მას დასჭირდებოდა კიდევ 400 გირვ. სტერლინგის დახარჯვა შრომაზე სახლის შენების დასამთავრებლად. ფერმერს, რომლის კაპიტალი წლის განმავლობაში გადაბრუნდა, შეუძლია 100 გირვ. სტერ. მოგებიდან ხელახლა კაპიტალად აქციოს გარკვეული ნაწილი, მაგალითად, 50 გირვ. სტერლინგი, ხელახლა დახარჯოს იგი შრომაზე, რის გაკეთებაც ნავარაუდევ შემთხვევაში ფაბრიკანტს არ შეუძლია. და იმისათვის, რომ ორივე შემთხვევაში მოგების ნორმა

ერთი და იგივე იყოს, ერთის საქონელი უნდა გაიყიდოს მის ღირებულებაზე უფრო მაღლა, მეორის საქონელი კი — მის ღირებულებაზე უფრო დაბლა. რადგან კონკურენცია იმას ესწრაფვის, რომ ღირებულებანი ხარჯთფასებს გაუთანატოლოს, სინამდვილეში ეს ასეც ხდება.

მაგრამ რიკარდო ცდება, როცა ამბობს, რომ შეფარდებითი ღირებულების ცვლილებას აქ ადგილი აქვს «კაპიტალების ხანგრძლიობის განსხვავებული ხარისხის გამო», ანდა «იმ დროის განსხვავების გამო, რამაც უნდა განვლოს, ვიდრე შესაძლებელი გახდება ამა თუ იმ საქონელთა პარტიის ბაზარზე გატანა. პირიქით, სწორედ წინასწარ ნაგულისხმევი მოგების საერთო ნორმა ქმნის, მიმოქცევის პროცესით გაპირობებულ ღირებულებათა სხვაობის მიუხედავად, ერთნაირ ხარჯთფასებს, რომლებიც განსხვავდებიან მარტოოდენ სამუშაო დროით განსაზღვრულ ღირებულებათაგან.

რიკარდოს ილუსტრაცია იყოფა ორ მაგალითად. უკანასკნელ მათგანში არავითარ როლს არ ასრულებს ხანგრძლიობა კაპიტალისა, ანუ ხასიათი მისი როგორც ძირითადი კაპიტალისა. ლაპარაკია მხოლოდ სხვადასხვა სიდიდის კაპიტალებზე, რომელთაც, მართალია, ხელფასზე კაპიტალის თანაბარი თანხა, თანაბარი ცვალებადი კაპიტალი ეხარჯებათ, მაგრამ მოგებანი ერთნაირი უნდა ჰქონდეთ, თუმცა მათი ზედმეტი ღირებულებანი და ღირებულებანი აუცილებლად განსხვავებულია.

პირველ მაგალითში კაპიტალის ხანგრძლიობა კვლავ არ შედის. ლაპარაკია უფრო ხანგრძლივ შრომის პროცესზე—წარმოების სფეროში საქონლის უფრო ხანგრძლივ ყოფნაზე მანამდე, ვიდრე ის მიმოქცევაში შესვლას შეძლებს, მანამდე, ვიდრე იგი დამზადდება. აქ რიკარდოს მიხედვით ფაბრიკანტიც მეორე წელს უფრო დიდ კაპიტალს იყენებს, ვიდრე ფერმერი, თუმცა ორივე წლის განმავლობაში იგი ფერმერთან ერთად თანაბარ ცვალებად კაპიტალს ხარჯავს. მაგრამ ფერმერს იმის გამო, რომ მისი საქონელი უფრო ხანმოკლე დროის განმავლობაში იმყოფება შრომის პროცესში, იმის გამო, რომ საქონელი უფრო სწრაფად იქცევა ფულად, შეუძლია მეორე წელს უფრო მეტი ცვალებადი კაპიტალი გამოიყენოს. გარდა ამისა, მოგების ის ნაწილი, შემოსავლის სახით რომ მოიხმარება, ფერმერთან შეიძლება მოხმარებაში შევიდეს პირველი წლის ბოლოს, ფაბრიკანტთან კი — მხოლოდ მეორე წლის დასასრულს. მაშასადამე, ფაბრიკანტმა თავისი თავის შესანახად უნდა დამატებითი

კაპიტალი ხარჯოს, იგი ავანსად უნდა აძლიოს თავის თავს. სხვათა შორის ეს აქ მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ წლის განმავლობაში მიმოქცევაში მყოფი კაპიტალები რა ოდენობით გადააქცევენ ხელახლა კაპიტალად თავიანთ მოგებას, მაშასადამე, დამოკიდებულია შექმნილ მოგებათა ნამდვილ სიდიდეზე, რათა შესაძლებელი იყოს მეორე შემთხვევის კომპენსირება, მოგებათა გათანაბრება. იქ, სადაც არაფერია, გასათანაბრებელიც არაფერია. თანაც აქ კაპიტალები აწარმოებენ ღირებულებებს, მაშასადამე, ზედმეტ ღირებულებებს, ე. ი. მოგებებსაც, არა თავიანთი სიდიდის პროპორციულად. ამ პროპორციულობას რომ ადგილი ექნეს, ამისათვის უნდა არსებობდეს ღირებულებებისაგან განსხვავებული ხარჯთფასები.

რიკარდო იძლევა კიდევ მესამე ილუსტრაციას, მაგრამ ეს უკანასკნელი ზუსტად ემთხვევა პირველი ილუსტრაციის პირველ მაგალითს და არც ერთ ახალ სიტყვას არ შეიცავს.

«დაუშვათ, რომ წლის განმავლობაში დასაქმებული მყავს რომელმე საქონლის საწარმოებლად 20 მუშა და მათზე ვხარჯავ 1000 გირვ. სტერლინგს და ერთი წლის გასვლის შემდეგ ხელახლა ვამუშავებ 20 მუშას შემდგომი წლის განმავლობაში და ხელახლა ვხარჯავ მათზე 1000 გირვ. სტერლინგს — იმავე საქონლის საბოლოო გამზადებისა ან უფრო სრულყოფილი დამუშავებისათვის — და მეორე წლის ბოლოს საქონელი გამაქვს ბაზარზე. თუ მოგება 10%-ს შეადგენს, ჩემი საქონელი უნდა გაიყიდოს 2310 გირვ. სტერლინგად, იმიტომ, რომ პირველი წლის განმავლობაში მე გამოვიყენე 1000 გირვ. სტერლ. კაპიტალი, შემდგომი წლის განმავლობაში კი — 2100 გირვ. სტერლ. კაპიტალი. მეორე ადამიანი იყენებს ზუსტად შრომის ამავე რაოდენობას, მაგრამ იგი იყენებს მას მთლიანად პირველი წლის განმავლობაში; იგი ამუშავებს 40 მუშას და მათზე ხარჯავს 2000 გირვ. სტერლინგს, და პირველი წლის ბოლოს თავის საქონელს ყიდის 10%-ის მოგებით, ე. ი. 2200 გირვ. სტერლინგად. ამრიგად, აქ, ჩვენ გვაქვს ორი საქონელი; მათზე დაიხარჯა შრომის სავსებით თანაბარი რაოდენობა და მათგან ერთი იყიდება 2310 გირვ. სტერლინგად, მეორე კი — 2 200 გირვ. სტერლინგად. ეს შემთხვევა გარეგნულად განსხვავდება წინა შემთხვევისაგან, მაგრამ არსებითად მისი თანაბარია» (გვ. 34 — 35).

ეს შემთხვევა წინა შემთხვევის თანაბარია არა მარტო «არსებითად», არამედ «გარეგნულადაც», იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ წინა შემთხვევაში საქონელს ეწოდება «მანქანა», აქ კი — უბრალოდ

«ხაქონელი». პირველ მაგალითში ფაბრიკანტი ხარჯავდა პირველ წელს 400 გირვ. სტერლინგს და მეორე წელს — 900 გირვ. სტერლინგს, ამჯერად კი პირველ წელს იხარჯება 1000 და მეორე წელს — 2100 გირვ. სტერლინგი. ფერმერი წინა მაგალითში პირველ წელს ხარჯავდა 400 გირვ. სტერლინგს და მეორე წელს — ასევე 400-ს. ამჯერად მეორე მეწარმე პირველ წელს ხარჯავს 2000 სტერლინგს, მეორე წელს კი—სრულიად არაფერს. ამაშია მთელი განსხვავება. მაგრამ «fabula docet»* ეკუთვნის ორივე შემთხვევაში იმ გარემოებას, რომ ერთ-ერთი მეწარმე მეორე წელს ხარჯავს პირველი წლის მთელ პროდუქტს (ზედმეტი ღირებულების ჩათვლით) და კიდევ დამატებით თანხას.

ამ მაგალითების სიტლანქე გვიჩვენებს, რომ რიკარდო ისეთ სიძნელეს ებრძვის, რომელიც თვით მისთვის ნათელი არაა და რომელსაც იგი ვერასგზით ვერ გადალახავს. სიტლანქე შემდეგშია: პირველი ილუსტრაციის პირველმა მაგალითმა უნდა შემოიტანოს კაპიტალის ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ო ბ ა; მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ გამოდის; რიკარდომ ეს თავისთვის შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი გახადა, იმიტომ რომ მას არ შეაქვს საჭონლის ღირებულებაში, გაცვეთის სახით, ძირითადი კაპიტალის არც ერთი ნაწილი, ე. ი. გაშვებული აქვს სწორედ ის მომენტი, რომელშიც ვლინდება ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს თ ა ვ ი ს ებ უ რ ი წ ე ს ი. რიკარდო მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ შრომის პროცესის უფრო დიდი ხანგრძლიობის გამო უ ფ რ ო დ ი დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი გამოიყენება, ვიდრე მაშინ, როცა შრომის პროცესი ნაკლებად ხანგრძლივია. მესამე მაგალითი უნდა იძლეოდეს ამისაგან რაიმე განსხვავებულის ილუსტრაციას, მაგრამ სინამდვილეში იმავეს გვისურათებს. პირველი [536] ილუსტრაციის მ ე ო რ ე მ ა გ ა ლ ი თ ს კ ი უნდა ეჩვენებინა, რა განსხვავებანი წარმოიქმნება ძირითადი კაპიტალის სხვადასხვა პროპორციათა გამო. ნაცვლად ამისა იგი გვიჩვენებს მხოლოდ იმ განსხვავებას, რაც ორი ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ი სიდიდის მქონე კაპიტალის დახარჯვისას მიიღება, როცა ხელფასზე მიუხედავად ამისა ორივე შემთხვევაში კაპიტალის ერთი და იგივე თანხა იხარჯება. ამასთან აქ გამოდის ფაბრიკანტი, რომელიც უბამბოდ და უნარათოდ მოქმედებს, და ფერმერი, რომელიც უთესლოდ და უიარაღოდ მოქმედებს! ამ ილუსტრაციის სრული უსაფუძვლობა, უეზრობაც კი აუცილებლად მისი შინაგანი ბუნდოვანობიდან გამომდინარეობს.

* სიტყვასიტყვით: «ეგავ-არაკი გვასწავლის»; გადატანით მნიშვნელობით: რაიმედან გამოყვანილი (მორალს შემცველი) დასკვნა, «ეგავ-არაკის მორალი». რ ე დ.

[ბ) ხარჯთფასისა და ღირებულების ერთმანეთში არევა რიკარდოს მიერ და აქედან გამომდინარე ფინაალმდეგობანი მის ღირებულების თეორიაში. მოგების ნორმის გათანაბრებისა და ხარჯთფასებად ღირებულებათა გარდაქმნის პროცესის გაუგებლობა მის მიერ]

საბოლოოდ რიკარდო ასე გამოთქვამს ყველა ზემოთგანხილული ილუსტრაციის მორალს:

«ღირებულების სხვაობა ორივე შემთხვევაში იქიდან წარმოდგება, რომ მოგებანი გროვდება როგორც კაპიტალი, და ეს სხვაობა მხოლოდ სამართლიანი კომპენსაციაა» (თითქოს აქ ლაპარაკი იყოს სამართლიანობაზე) «იმ დროისათვის, რომლის განმავლობაშიც მოგების გამოყენება შეუძლებელი იყო» (გვ. 35).

ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მიმოქცევის გარკვეულ პერიოდში, მაგალითად ერთ წელიწადში, კაპიტალმა უნდა მოგვცეს 10% იმისდა მიუხედავად, თუ როგორია მისთვის დამახასიათებელი მიმოქცევის დრო, და სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, თუ როგორ განსხვავდებიან ზედმეტი ღირებულებანი, რომელთაც ტოლდიდი კაპიტალები უნდა აწარმოებდნენ წარმოების სხვადასხვა დარგებში მათი ორგანული შემადგენელი ნაწილების თანაფარდობის შესაბამისად, თუნდაც მხედველობის გარეშე დავტოვოთ მიმოქცევის პროცესი.

თავისი ილუსტრაციებიდან რიკარდოს უნდა გაეკეთებინა შემდეგი დასკვნა:

[ჯერ ერთი,] ტოლდიდი კაპიტალები აწარმოებენ არათანაბარი ღირებულების მქონე საქონელთ და ამიტომ იძლევიან არათანაბარ ზედმეტ ღირებულებას ან მოგებას, რადგან ღირებულება განისაზღვრება სამუშაო დროით, კაპიტალის მიერ რეალიზებული სამუშაო დროის მასა კი დამოკიდებულია არა მის აბსოლუტურ სიდიდეზე, არამედ ხელფასზე დახარჯული კაპიტალის, ცვალებადი კაპიტალის, სიდიდეზე. მეორე, მაშინაც კი, თუ ვიგულისხმებთ, რომ ტოლდიდი კაპიტალები თანატოლ ღირებულებებს აწარმოებენ (თუმცა უმრავლეს შემთხვევაში მიმოქცევის სფეროში უთანაბრობის გვერდით შეიმჩნევა აგრეთვე უთანაბრობა წარმოების სფეროში), მაინც მათი მიმოქცევის პროცესის მიხედვით განსხვავებულია დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მათ შეუძლიათ მიითვისონ და ფულად აქციონ ფასგადაუხდელი შრომის თა-

ნ ა ბ ა რ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ნ ი. მაშასადამე, ეს ქმნის იმ ღირებულებათა, ზედმეტ ღირებულებათა და მოგებათა მეორე სხვაობას, რომელთაც ტ ო ლ დ ი დ ი კაპიტალები უნდა იძლეოდნენ წარმოების სხვადასხვა დარგებში გარკვეულ დ რ ო ი ს მ ო ნ ა კ ვ ე თ შ ი.

ამიტომ, თუ მ ო გ ე ბ ა ნ ი ტოლნი უნდა იყვნენ თავიანთ პროცენტულ შეფარდებაში კაპიტალთან — მაგალითად წლის განმავლობაში, — რის შედეგადაც ტოლდიდი კაპიტალები უნდა იძლეოდნენ თანაბარ მოგებებს თანაბარ დროის მონაკვეთებში, მაშინ საქონელთა ფ ა ს ე ბ ი აუცილებლად განსხვავდება მათი ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ებ ი ს ა გ ან. ერთად აღებული ყველა საქონლის ეს ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ი, მათი ჯამი ამ საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ტ ო ლ ი იქ ნ ებ ა. სავსებით ასევე ერთობლივი მოგება ტოლი იქნება ერთობლივი ზედმეტი ღირებულებისა, რასაც ერთად აღებული ეს კაპიტალები იძლევიან, მაგალითად, წლის განმავლობაში. ს ა შ უ ა ლ ო მ ო გ ე ბ ა და, მაშასადამე, ხარჯთფასებიც რადაც წარმოსახვითი და საყრდენს მოკლებული იქნებოდა, ჩვენ რომ საფუძვლის სახით ღირებულების განსაზღვრა არ აგვეღო. ზედმეტ ღირებულებათა გათანაბრება წარმოების სხვადასხვა დარგებში არაფერს არ ცვლის ამ ერთობლივი ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეში, იგი ცვლის მხოლოდ მის გ ა ნ ა წ ი ლ ებ ა ს წარმოების სხვადასხვა დარგების მიხედვით. მაგრამ თვით ამ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა გამომდინარეობს მხოლოდ სამუშაო დროით ღირებულების განსაზღვრიდან. ამ განსაზღვრის გარეშე საშუალო მოგება არის საშუალო ა რ ა ფ რ ი ს ა გ ან, წმინდა ფასტაზია. და მაშინ იგი შეიძლებოდა ყოფილიყო თანაბრად როგორც 1000%, ისე 10%-იც.

ყველა ილუსტრაცია რიკარდოს მხოლოდ იმისთვის ემსახურება, რომ კონტრაბანდული გზით შემოიტანოს მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ი ს წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი. და ეს ხდება 1-ლ თავში («ღირებულების შესახებ»), მაშინ როდესაც ხელფასის განხილვას იგი იწყებს თითქოს მხოლოდ მე-5 თავში, მოგების განხილვას კი — მხოლოდ მე-6 თავში. თუ როგორ გამომდინარეობს საქონელთა «ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს» მარტოოდენ განსაზღვრიდან მათში მოთავსებული ზედმეტი ღირებულება, მოგება, შემდეგ კი მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ა ც კი, — ეს რიკარდოსათვის წყვდიადითაა დაფარული. ერთადერთი, რასაც იგი ნამდვილად გვიჩვენებს ზემოაღნიშნულ ილუსტრაციებში, ეს არის ის, რომ საქონელთა ფ ა ს ე ბ ი, რამდენადაც მათ მოგების საერთო ნორმა განსაზღვრავს, სრულიად განსხვავებულია საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ებ ი ს ა გ ან. და ამ გან-

სხვავებამდე იგი მიდის იმიტომ, რომ წინასწარ ვარაუდობს მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა ს როგორც კანონს. ჩვენ ვხედავთ, რომ თუ რიკარდოს მეტად დიდ აბსტრაქტულობას უსაყვედურებენ, სამართლიანი იქნებოდა საპირისპირო საყვედური, სახელდობრ ის, რომ მას არ შესწევს აბსტრაქციის საკმაო ძალა, უნარი იმისა, რომ საქონელთა ღირებულების განხილვისას დაივიწყოს მოგება — ფაქტი, რომელიც მის თვალწინ აღიმართება კონკურენციის სფეროდან.

რადგან რიკარდო, იმის ნაცვლად, რომ ღირებულების თვით განსაზღვრიდან განავითაროს ხარჯთფასების განსხვავება ღირებულებათაგან, ვარაუდობს, რომ სამუშაო დროისაგან დამოუკიდებელი გავლენანი განსაზღვრავენ თვით «ღირებულებებს» (აქ მისთვის უფრო შესაბამისი იქნებოდა დაეცვა ცნება «აბსოლუტური», ან «ნამდვილი ღირებულებისა», ანდა უბრალოდ «ღირებულებისა») და ზოგჯერ არღვევენ მათს კანონს, ამიტომ ამას ხელი ჩასჭიდეს მისმა მოწინააღმდეგეებმა — ისეთებმა, როგორც მალთუსია, — რათა თავს დასხმოდნენ მთელ მის [537] ღირებულების თეორიას. ამასთან მალთუსი სამართლიანად შენიშნავს, რომ სხვაობანი კაპიტალის ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის და სხვაობანი სხვადასხვა დარგში კაპიტალის გადაბრუნების დროში წარმოების პროგრესთან ერთად ვითარდება, ასე რომ საჭირო იყო ა. სმიტის თვალსაზრისამდე მისვლა, რომლის მიხედვითაც სამუშაო დროით ღირებულების განსაზღვრა სულ უფრო და უფრო აღარ შეეფერება უკვე «ცივილიზებულ» ხანას. (იხ. აგრეთვე ტ ო რ ე ნ ს ი.) მეორე მხრივ, რიკარდოს მოწაფეები ყველაზე უბადრუკ სქოლასტიკურ ჩმახვას მიმართავდნენ, რათა ეს მოვლენები ძირითადი პრინციპის ადეკვატური გაეხადათ. (იხ. [ჯ ე მ ს] მ ი ლ ი და საბრალო მოლაყბე მ ა კ-ა ე ს ლ ო ხ ი) [72].

რიკარდო არ ჩერდება იმ დ ა ს კ ვ ნ ა ზ ე, რ ო მ ე ლ ი ც მ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ე ბ ი დ ა ნ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს, სახელდობრ იმაზე, რომ ხელფასის ზრდისა თუ დაცემისაგან ს რ უ ლ ი ა დ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ, — როცა ნაგულისხმევია, რომ ხელფასი უცვლელია, — საქონელთა ხარჯთფასები უნდა განსხვავდებოდეს მათი ღირებულებებისაგან, თუ ხართჯფასები მოგების ერთი და იმავე პროცენტით განისაზღვრება, — იგი ამ განყოფილებაში გადადის იმ გავლენის განხილვაზე, რასაც ხელფასის ზრდა თუ დაცემა ახდენს ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ზ ე, რომლებთანაც უკვე გათანაბრებული ღირებულებანი.

საქმის დედაარსი თავისთავად უაღრესად მარტივია.

ფერმერი ხარჯავს 5000 გირვ. სტერლინგს 10% მოგების პირო-

ბებში; მისი საქონლის ფულადი ფასი არის 5 500 გირვ. სტერლინგი. თუ მოგება მცირდება 1%-ით, 10%-დან 9%-მდე, იმის შედეგად, რომ ხელფასი გადიდდა და მისმა გადიდებამ მოგების შემცირება გამოიწვია, მაშინ ფერმერი თავის საქონელს უწინდებურად 5 500 გირვ. სტერლინგად ყიდის (რადგან ნაგულისხმევია, რომ მან მთელი თავისი კაპიტალი ხელფასზე დახარჯა). მაგრამ ამ 5 500 გირვ. სტერლინგიდან მისი მოგება იქნებოდა უკვე არა 500, არამედ მხოლოდ 454 $^{14}/_{109}$. ფაბრიკანტის კაპიტალს შეადგენს 5 500 გირვ. სტერლ. მანქანებისათვის და 5 000 გირვ. სტერლ. შრომისათვის. ეს უკანასკნელი 5 000 გირვ. სტერლინგი თავის გამოხატულებას უწინდებურად 5 500 ყირვ. სტერლინგში პოულობს, მაგრამ ფაბრიკანტი ახლა ხარჯავს არა 5 000 გირვ. სტერლინგს, არამედ 5 045 $^{95}/_{109}$-ს და ამ თანხიდან მხოლოდ 454 $^{14}/_{109}$ გირვ. სტერლ. მოგებას ღებულობს, ისევე როგორც ფერმერიც. 5 500 გირვ. სტერლ. ძირითად კაპიტალზე კი მას შეუძლია დაარიცხოს უკვე არა 10%, ანუ 550 გირვ. სტერლინგი, არამედ მხოლოდ 9%, ანუ 495 გირვ. სტერლინგი. მაშასადამე, იგი თავის საქონელს 6 050 გირვ. სტერლინგის ნაცვლად 5 995 გირვ. სტერლინგად ყიდის; ამრიგად, ხელფასის გადიდების შედეგად ფერმერის საქონლის ფულადი ფასი იგივე დარჩა, ფაბრიკანტის საქონლის ფულადი ფასი კი დაეცა; მაშასადამე, ფერმერის საქონლის ღირებულება ფაბრიკანტის საქონლის ღირებულებასთან შედარებით გადიდდა. საქმე აქ იმაშია, რომ თუ ფაბრიკანტი თავის საქონელს იმავე ღირებულების მიხედვით გაყიდდა, როგორც წინათ ყიდდა, მაშინ საშუალოზე მეტ მოგებას მიიღებდა, რადგან ხელფასის გადიდება უშუალოდ ეხება კაპიტალის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ხელფასზე იხარჯება. ამ ილუსტრაციაში უკვე წინასწარ იგულისხმება ხარჯთფასები, რომელთაც არეგულირებს 10%-იანი საშუალო მოგება და რომლებიც საქონელთა ღირებულებებისაგან განსხვავდებიან. საკითხი რიკარდოს იმაზე დაჰყავს, თუ რა გავლენას ახდენს მოგების გადიდება თუ შემცირება ხარჯთფასებზე დახარჯულ კაპიტალში ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის არსებული სხვადასხვა თანაფარდობის მიხედვით. ძირითად საკითხთან ხარჯთფასებად ღირებულებათა გადაქცევასთან, ამ ილუსტრაციას (რიკარდოსთან გვ. 31 — 32) არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. მას არა უშავს რა, რადგან რიკარდო აქ გვიჩვენებს საერთოდ, რომ ხელფასის გადიდება, რომელიც კაპიტალების ერთნაირი შედგენილობის დროს გამოიწვევდა მხოლოდ მოგების შემცირებას ისე, რომ ზეგავლენას არ მოახდენდა — წინააღმ-

დეგ ვულგარული შეხედულებისა — საქონელთა ღირებულებაზე, კაპიტალების ერთნაირი შედგენილობის დროს იწვევს მხოლოდ ზოგიერთი-საქონლის- ფასის დაცემას, და არა ყველა საქონლის ფასების გადიდებას, როგორც ამას ვულგარული შეხედულება ვარაუდობს. რიკარდოსეულ მაგალითში საქონელთა ფასების დაცემას ადგილი აქვს იმის შედეგად, რომ მოგების ნორმა ეცემა, ანუ, რაც [რიკარდოსათვის] იგივეა, ხელფასი დიდდება. საქონლის ხარჯთფასის მნიშვნელოვანი ნაწილი ფაბრიკანტთან დაკავშირებით ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იმ საშუალო ნორმით განისაზღვრება, რომელსაც იგი ძირითად კაპიტალზე დაარიცხავს. მაშასადამე, თუ ეს მოგების ნორმა ეცემა ან იზრდება ხელფასის ზრდის თუ დაცემის გამო, მაშინ ამ საქონელთა ფასი შესაბამისად დაეცემა (ფასის იმ ნაწილის შესაბამისად, რომელიც წარმოიქმნება ძირითად კაპიტალზე დარიცხული მოგებიდან) ან გაიზრდება. იგივე ითქმის იმ «საბრუნავი კაპიტალების შესახებ, რომლებიც უკუმოედინებიან უფრო ხანგრძლივი პერიოდების შემდეგ, და პირიქით» (მაკ-კულოხი) [«The Principles of Political Economy», Edinburgh, 1825, გვ. 300]. თუ კაპიტალისტები, რომლებიც ნაკლებ ცვალებად კაპიტალს იყენებენ, გაგრძელებდნენ საქონლის ფასზე თავიანთი ძირითადი კაპიტალის დარიცხვას მოგების წინანდელი ნორმის მიხედვით, მაშინ მათი მოგების ნორმა გაიზრდებოდა, და თანაც იმდენად, რამდენადაც ისინი უფრო მეტ ძირითად კაპიტალს იყენებენ, ვიდრე ის კაპიტალისტები, რომელთა კაპიტალიც მეტწილად ცვალებადი კაპიტალისაგან შედგება. კონკურენცია გაათანაბრებდა ამას.

«რიკარდო», — ამბობს ბუნდი მაკი, — «პირველი იყო, ვინც გამოიკვლია ხელფასის ცვლის გავლენა საქონელთა ღირებულებაზე, როცა მათს წარმოებაში დაბანდებული კაპიტალები არათანაბარი ხანგრძლივობის არიან». «რიკარდომ აჩვენა მარტო გვიჩვენა, რომ ხელფასის გადიდებას არ შეუძლია ყველა საქონლის ფასის გადიდება, არამედ მან დაადგინა აგრეთვე, რომ ბევრ შემთხვევაში ხელფასის გადიდება აუცილებლად იწვევს ფასების დაცემას, ხელფასის დაცემა კი — ფასების გადიდებას» (Mac Culeoch. The Principles of Political Economy, Ebinburgh, 1825, გვ. 298 — 299).

რიკარდო თავის დებულებას ამტკიცებს იმით, რომ, ჯერ ერთი. გულისხმობს მოგების საერთო ნორმით რეგულირებულ ხარჯთფასებს.

მეორე, იმაზე მითითებით, რომ «შრომის ღირებულების გადიდება შეუძლებელია მოგების შეუმცირებლად» (გვ. 31).

ამრიგად, უკვე 1-ლ თავში («ღირებულების შესახებ») ნაგულისხმევია ისეთი კანონები, რომლებიც მე-5 და მე-6 თავებში («ხელფასის შესახებ» და «მოგების შესახებ») გამოყვანილი უნდა იქნენ თავიდან «ღირებულების შესახებ». შევნიშნავთ გაკვრით, რომ [538] რიკარდო აკეთებს სავსებით მცდარ დასკვნას, რომ რადგან «შრომის ღირებულების გადიდება შეუძლებელია მოგების შეუმცირებლად», ამიტომ შეუძლებელია აგრეთვე მოგების ნორმის გადიდებაც შრომის ღირებულების შეუმცირებლად. პირველი კანონი შეეხება ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ რადგან მოგება არის ზედმეტი ღირებულების შეფარდება მთელ ავანსებულ კაპიტალთან, ამიტომ მოგება შეიძლება იზრდებოდეს შრომის იმავე ღირებულების დროს, თუ მუდმივი კაპიტალის ღირებულება ეცემა. რიკარდო საერთოდ ერთმანეთში ურევს ზედმეტ ღირებულებას და მოგებას. აქედან წარმოდგება მისი არასწორი კანონები მოგებისა და მოგების ნორმის შესახებ.

უკანასკნელი ილუსტრაციის ზოგადი მორალი ასეთია:

«საქონელთა შეფარდებითი ღირებულების ამ ცვლილების ხარისხი, რომელიც გამოწვეულია შრომის ღირებულების გადიდებით ან შემცირებით» (ანუ, რაც იგივეა, მოგების ნორმის გადიდებით ან შემცირებით), «დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ მთელი დახარჯული კაპიტალის რა წილს შეადგენს ძირითადი კაპიტალი. შემცირდება შეფარდებითი ღირებულება ყველა იმ საქონლისა, რომლებიც იწარმოება ძლიერ ძვირად ღირებული მანქანებით ან ძლიერ ძვირად ღირებულ შენობებში ანდა რომლებიც მნიშვნელოვან დროს მოითხოვენ, ვიდრე მათი ბაზარზე გატანა შესაძლებელი გახდება, მაშინ როდესაც შეფარდებითი ღირებულება ყველა იმ საქონლისა, რომელიც უმთავრესად შრომით იწარმოება, ანდა რომელიც სწრაფად გადის ბაზარზე, გაიზრდება» (გვ. 32).

რიკარდო კვლავ უბრუნდება იმას, რაც მას, კაცმა რომ თქვას, მარტოოდენ აინტერესებს თავის გამოკვლევაში. იგი ლაპარაკობს, რომ საქონელთა ხარჯთფასების ეს ცვლილებანი, რასაც ხელფასის გადიდება ან შემცირება იწვევს, უმნიშვნელოა იმ ცვლილებებთან შედარებით, რაც ამავე ხარჯთფასებში საქონელთა ღირებულებების ცვლილებებიდან გამომდინარეობს { რიკარდოს აზრადაც არა აქვს ასეთი ადეკვატური ტერმინებით გამოხატოს ეს ჭეშმარიტება }, ე. ი. მათი წარმოებისათვის მოხმარებული შრომის რაოდენობის ცვლილებებიდან. ამიტომ შეიძლებაო საერთოდ და მთლიანად ამის «მხედველობის გარეშე დატოვება» და მაშინ ღირებულების კანონი აგრეთვე პრაქტიკულადაც სწორი რჩება. (რიკარდოს უნდა დაემატებინა, რომ თვით ხარჯთფასები აუხსნელი რჩება სამუშაო დროით განსაზღვრულ ღირებულებათა გარეშე.) ასეთია მისი გამოკვლევის ნამ-

დვილი მსვლელობა. და მართლაც, ნათელია, რომ მიუხედავად საქონელთა ღირებულებების ხარჯთფასებად გადაქცევისა, რაკი ჩვენ უკვე ვიგულისხმეთ ხარჯთფასები (ეს ხარჯთფასები კი უნდა განვასხვაოთ საბაზრო ფასებისაგან; ისინი წარმოადგენენ საქონელთა საშუალო საბაზრო ფასებს სხვადასხვა დარგებში. თვით საბაზრო ფასი უკვე იმდენად შეიცავს რაღაც საშუალოს, რამდენადაც წარმოების ერთი და იმავე დარგის საქონელთა ფასები განისაზღვრება იმ საქონელთა ფასებით, რომლებიც წარმოებულია ამ სფეროს წარმოების საშუალო პირობებში. არამც და არამც ყველაზე ცუდ პირობებში, როგორც ამას რიკარდო ვარაუდობს რენტის განხილვისას. ვინაიდან საშუალო მოთხოვნა დამოკიდებულია გარკვეულ ფასზე, პურის მიმართაც კი. მაშასადამე, ბაზარზე გატანილ საქონელთა გარკვეული რაოდენობა არ იყიდება ამ ფასზე უფრო მაღლა. სხვაგვარად მოთხოვნა დაეცემოდა. ამიტომ ის, ვინც საქონელს აწარმოებს არა საშუალო პირობებში, არამედ საშუალოზე უფრო დაბალ პირობებში, ხშირად იძულებულია თავისი საქონელი გაყიდოს არა მარტო მის ღირებულებაზე უფრო დაბლა, არამედ მის ხარჯთფასზე უფრო დაბლაც (— რომ, მიუხედავად საქონელთა ღირებულებების ხარჯთფასებად გადაქცევისა, ამ ხარჯთფასების ყოველი ისეთი ცვლილება, რომელიც არ არის შედეგი მოგების ნორმის რაიმე მუდმივი ღაცემისა თუ გადიდებისა, მოგების ნორმის მუდმივი ცვლილებისა, რის დადგენაც შესაძლებელია მხოლოდ მრავალი წლის მანძილზე, — შეიძლება გაპირობებული იყოს მარტოოდენ ამ საქონელთა ღირებულების ცვლილებით, მათი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროის რაოდენობის ცვლილებით.

«მაგრამ მკითხველმა უნდა შეამჩნიოს, რომ საქონელთა ცვლილების» (ე. ი. საქონელთა ხარჯთფასების, ანუ, როგორც რიკარდო ფიქრობს, შეფარდებითი ღირებულებების ცვლილების) «ეს მიზეზი შედარებით სუსტად მოქმედებს... სხვაგვარადაა საქმე საქონელთა ღირებულების მეორე მნიშვნელოვანი მიზეზის მიმართ, სახელდობრ — მათი წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობის გადიდებისა თუ შემცირების მიმართ... მოგების მუდმივი ნორმის რამდენადმე მნიშვნელოვანი ცვლილება შედეგია იმ მიზეზებისა, რომლებიც თავიანთ მოქმედებას მხოლოდ მთელი რიგი წლების მანძილზე ახორციელებენ, მაშინ როდესაც საქონელთა წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობის ცვლილებანი ყოველდღიურად ხდება. მანქანების, ინსტრუმენტების, შენობების, ნედლეულის მოპოვების ყოველი გაუმჯობესება ზოგავს შრომას და შესაძლებლობას გვაძლევს საქონელი, რომლის საწარმოებლად ეს გაუმჯობესება გამოიყენება, ძლიერ ადვილად დავამზადოთ, რის გამოც მისი ღირებულება იცვლება. ამრიგად, თუმცა საქონელთა ღირებუ-

ლების ცვლილებათა მიზეზების გამოკვლევისას არასწორი იქნებოდა სრულიად მხედველობიდან გაგვეშვა შრომის ღირებულების ზრდის თუ დაცემის მოქმედება. მაგრამ ასევე არასწორი იქნებოდა მისთვის დიდი მნიშვნელობა მიგვეკუთვნებინა» (გვ. 32 — 33).

ამიტომ იგი, რიკარდო, შრომის ღირებულების ცვლილებებს მხედველობის გარეშე ტოვებს.

1-ლი თავის მთელი ეს IV განყოფილება («ღირებულების შესახებ») იმდენად არეულ-დარეულია, რომ, თუმცა რიკარდო შესაფილ აბზაცში აცხადებს, რომ მას სურს გ ა ნ ი ხ ი ლ ო ს ი მ ც ვ ლ ი ლ ებ ა თ ა ა გავლენა, რ ო მ ე ლ თ ა ც ხ ე ლ ფ ა ს ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა თ უ შ ე მ ც ი რ ე ბ ა იწვევს საქონელთა ღირებულებაში კაპიტალის სხვადასხვა შედგენილობის გამო, მაგრამ სინამდვილეში იგი ამის საილუსტრაციო მაგალითებს მხოლოდ გაკვრით იძლევა და, პირიქით, IV განყოფილების მთავარ ნაწილს ფაქტიურად ისეთი ილუსტრაციებით ავსებს, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ხელფასის გ ა დ ი დ ე ბ ი ს ა თ უ შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს ა გ ა ნ ს რ უ ლ ი ა დ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ—როცა თვით მის მიერ მ უ დ მ ი ვ ი ხელფასია ნაგულისხმევი—მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ი ს ვ ა რ ა უ დ მ ა [539] უნდა მიგვიყვანოს ღირებულებებისაგან განსხვავებულ ხარჯ-ფასებამდე და თანაც კვლავ ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის არსებული თანაფარდობის განსხვავებათაგან დამოუკიდებლადაც კი. ამას იგი ისევ იეიწყებს განყოფილების დასასრულს.

IV განყოფილებაში მოცემულ გამოკვლევას იგი იწყებს შემდეგი სიტყვებით:

«ეს განსხვავება ძირითადი კაპიტალის ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ო ბ ი ს ხარისხში და ეს მ რ ა ვ ა ლ ს ა ხ ე ო ბ ა თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ი ს ა, რომლითაც ამ ორი სახის კაპიტალის კომბინირება შეიძლება, იძლევა საქონელთა შეფარდებითი ღირებულებების ცვლილების ს ხ ვ ა მ ი ზ ე ზ ს გარდა ამ საქონელთა წარმოებისათვის საჭირო შრომის მეტი თუ ნაკლები რაოდენობისა: ე ს მ ი ზ ე ზ ი ა რ ი ს შ რ ო მ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს გ ა დ ი დ ებ ა ან დ ა ც ე მ ა» (გვ. 25 — 26).

სინამდვილეში კი იგი თავისი ილუსტრაციებით უწინარეს ყოვლისა იმას გვიჩვენებს, რომ მხოლოდ მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ა აძლევს კაპიტალის (სახელდობრ — ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის, და ა. შ.) სახეობათა სხვადასხვა კომბინაციას შესაძლებლობას მოახდინოს ისეთი გავლენა, რომელიც საქონელთა ფასებს მათი ღირებულებებისაგან განსხვავებულს ხდის; მაშასადამე, სწორედ მოგების საერთო ნორმა, და არა შრომის ღირებულება, რაც აქ ნაგულისხმევია როგორც მუდმივი, არის ამ ცვლილებათა მი-

ზ ე ზ ი. შემდეგ, მხოლოდ მეორე რიგში, გულისხმობს იგი როგორც მოცემულს მოგების საერთო ნორმის გამო უკვე ღირებულებებისაგან განსხვავებულ ხარჯთფასებს და იკვლევს, თუ რა გავლენას ახდენენ მათზე შრომის ღირებულების ცვლილებანი. პირველ, მთავარ საკითხს იგი არ იკვლევს, მას სრულიად ივიწყებს და ამ განყოფილებას იმითვე ამთავრებს, რითაც დაიწყო:

«ამ განყოფილებაში ნაჩვენები იყო, რომ როცა შრომის რაოდენობის რაიმე ცვლილებას არა აქვს ადგილი, მარტო შ რ ო მ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს გადიდება გამოიწვევს იმ საქონლთა საცვლელი ღირებულების შემცირებას, რომელთა წარმოებაშიც ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი გამოიყენება, და რაც უფრო დიდ ნაწილს შეადგენს ძირითადი კაპიტალი, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება მისი შემცირება» (გვ. 35).

(1-ლი თავის) შემდგომ V განყოფილებაში კი იგი განაგრძობს იმავე ხაზს, ე. ი. იგი იკვლევს მხოლოდ იმას, თუ რა ცვლილებები შეიძლება განიცადონ საქონელთა ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ებ მ ა შ რ ო მ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს, ა ნ უ ხ ე ლ ფ ა ს ი ს, ც ვ ლ ი ლ ებ ი ს გამო არა იმ შემთხვევაში, როცა წარმოების სხვადასხვა დარგში ორი ტოლდიდი კაპიტალის ძირითადსა და საბრუნავ ნაწილებს შორის არსებული თანაფარდობა განსხვავებულია, არამედ იმ შემთხვევაში, როცა მოცემულია «ძირითადი კაპიტალის ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ი ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ო ბ ა» ან «ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ი ს ი ს წ რ ა ფ ე კაპიტალების უ კ უ მ ო დ ი ნ ებ ი ს ა მათს მ ე ს ა კ უ თ რ ე ებ თ ა ნ». ის სწორი მიხვედრა, რასაც ჯერ კიდევ IV განყოფილება შეიცავდა, მოგების საერთო ნორმის გამო ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ს ა და ღ ი რ ებ უ ლ ებ ებ ს შ ო რ ი ს განსხვავების შესახებ, აქ უკვე აღარ გამოსჭვივის. განხილულია მხოლოდ მ ე ო რ ა დ ი ს ა კ ი თ ხ ი თ ვ ი თ ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ი ს ც ვ ლ ი ლ ებ ებ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. ამიტომ ეს განყოფილება არსებითად თითქმის არ წარმოადგენს თეორიულ ინტერესს, გარდა აქ შემთხვევით აღძრული საკითხისა კაპიტალების ფორმის იმ სხვაობათა შესახებ, რომლებიც მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარეობს.

«რაც უფრო ნაკლებ ხანგრძლივია ძირითადი კაპიტალი, მით უფრო უახლოვდება იგი თავისი ხასიათით საბრუნავ კაპიტალს. მისი მოხმარება და მისი ღ ი რ ებ უ ლ ებ ებ ი ს კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ა, ფაბრიკანტის კაპიტალის შესანარჩუნებლად, უ ფ რ ო მ ო კ ლ ე ვ ა დ ა შ ი მ ო ხ დ ებ ა» (გვ. 36).

ამრიგად, კაპიტალის ნაკლები ხანგრძლიობაც და საერთოდ სხვაობაც ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის რიკარდოს დაჰყავს კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ი ს დ რ ო ი ს სხვაობაზე. ეს, უდავოდ, მე-

ტად მნიშვნელოვანი განსაზღვრაა, მაგრამ სრულიადაც არა ერთადერთი. ძირითადი კაპიტალი მთლიანად შედის შრომის პროცესში და მხოლოდ თანდათანობით და ნაწილ-ნაწილ — ღირებულების წარმოქმნის პროცესში. ამაშია მეორე ძირითადი განსხვავება ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის მიმოქცევის ფორმისა. შემდეგ: ძირითადი კაპიტალი აუცილებლად მხოლოდ თავისი საცვლელი ღირებულებით შედის მიმოქცევის პროცესში, მაშინ როდესაც მისი სახმარი ღირებულება შრომის პროცესში მოიხმარება და იქიდან არსად არ გადის. ამაშია კიდევ მიმოქცევის ფორმის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება. მიმოქცევის ფორმის ორივე ეს განსხვავება შეეხება აგრეთვე მიმოქცევის დროსაც, მაგრამ ისინი სულაც არ არიან [კაპიტალების ხანგრძლიობის] ხარისხისა და მიმოქცევის დროის იდენტურნი.

ნაკლებად ხანგამძლე კაპიტალი მოითხოვს მუდმივად სახარჯავი შრომის უფრო მეტ რაოდენობას

«თავისი თავდაპირველი ეფექტიანობის შესანარჩუნებლად, მაგრამ ამაზე მოხმარებული შრომა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ნამდვილად დახარჯული დამზადებულ საქონელზე, რომელზეც ამბოლ უნდა გადადიოდეს ამ შრომის პროპორციული ღირებულება» (გვ. 36 — 37). «თუ მანქანის გაცვეთა დიდი იქნებოდა, თუ წლის განმავლობაში საჭირო იქნებოდა ორშო�dათი მუშის შრომა წესიერ მდგომარეობაში ამ მანქანის შესანახად, მაშინ მე ჩემს საქონელში მოვითხოვდი დამატებითს ფასს, იმ ფასის ტოლს, რასაც მიიღებდა თავის საქონელში ყოველი სხვა ფაბრიკანტი, რომელიც ორშოcdაათ მუშას ამუშავებს სხვა საქონლის საწარმოებლად და სრულიად არ იყენებს მანქანებს. მაგრამ ხელფასის გადიდება სხვადასხვანაირად იმოქმედებდა იმ მანქანით წარმოებულ საქონელზე, რომელიც სწრაფად ცვდება, და იმ მანქანით წარმოებულზე, რომელიც ნელა ცვდება. პირველთა წარმოებისას წარმოებულ საქონელზე განუწყვეტლივ გადაიტანებოდა შრომის დიდი რაოდენობა»

{წინამძღვრის სახით აღებული თავისი მოგების საერთო ნორმით რიკარდო ვერ ამჩნევს, რომ ამასთანავე საქონელზე განუწყვეტლივ გადაიტანებოდა აგრეთვე ზედმეტი შრომის შედარებით დიდი რაოდენობაც} .

«მეორეთა წარმოებისას კი — ძლიერ ცოტა»

{ მაშასადამე, ძლიერ ცოტა ზედმეტი შრომაც, ე. ი. გაცილებით

ნაკლები [ზედმეტი] ღირებულება, თუ საქონელთა გაცვლა მათი ღირებულების მიხედვით ხდება».

«ამიტომ ხელფასის ყოველი გადიდება, ანუ, რაც იგივეა, [540] მოგების ყოველი დაცემა, შეამცირებს იმ საქონელთა შეფარდებითს ღირებულებას, რომელთაც აწარმოებს დიდი ხანგრძლივობის მქონე კაპიტალი და შესაბამისად გადიდებს იმ საქონელთა ღირებულებას, რომელთაც აწარმოებს უფრო სწრაფად წარმოებული კაპიტალი. ხელფასის დაცემა პირდაპირ საწინააღმდეგოდ იმოქმედებდა» (გვ. 37 — 38).

სხვა სიტყვებით: ფაბრიკანტი, რომელიც უფრო ნაკლები ხანგრძლიობის მქონე ძირითად კაპიტალს იყენებს, შესაბამისად უფრო ნაკლებ ძირითად და შესაბამისად ხელფასზე დასახარჯავ მეტ კაპიტალს იყენებს, ვიდრე ის, ვინც უფრო მეტი ხანგრძლიობის მქონე კაპიტალს იყენებს. მაშასადამე, ეს შემთხვევა იდენტურია წინა შემთხვევისა, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს ხელფასის ცვლილება ისეთ კაპიტალზე, რომელთაგან ერთი იყენებს შეფარდებით, პროპორციულად უფრო მეტ ძირითად კაპიტალს, ვიდრე მეორე. აქ ახალი არაფერია.

განხილვა იმისა, რასაც რიკარდო კიდევ მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს შესახებ ლაპარაკობს (გვ. 38 — 40), უნდა გადიდოს 31-ე თავის («მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ») განხილვამდე *.

ღირსშესანიშნავია, თუ როგორ უახლოვდება რიკარდო V განყოფილების დასკვნითს ნაწილში სწორ შეხედულებას საგანზე, — იქამდეც კი, რომ თითქმის შესაბამის ს ი ტ ყ ვ ა ს პოულობს, — რათა იქვე მიატოვოს სწორი გზა, და ამ სწორ შეხედულებასთან მიახლოების შემდეგ, რის ილუსტრირებასაც ჩვენ ახლავე მოვახდენთ მოხერ ივი სიტყვებით, კვლავ უბრუნდება მის აზროვნებაში გაბატონებულ იდეას ხართჯფასზე შრომის ღირებულების ცვლილების გავლენის შესახებ — და თავის გამოკვლევას ამთავრებს დასკვნებით ამ მ ე ო რ ე ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ს ა კ ი თ ხ ზე.

სათანადო ადგილას ნათქვამია:

«ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, როცა ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ბევრი შენქანა, ანდა ხანგრძლივი კაპიტალი, თ ა ნ ა ბ ა რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი თ წარმოებულ საქონელთ ექნებათ დაახლოებით თ ა ნ ა ბ ა რ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ა და ერთი მეორის მიმართ მათი აწეევი თუ დაცემა დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმაზე, უფრო მეტი თუ უფრო ნაკლები შრომაა საჭირო მათ საწარმოებლად».

* იხილეთ ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 738 — 740, რ ე დ.

{ ფრაზის უკანასკნელი ნაწილი ცუდადაა ფორმულირებული, იგი ეხება არა ღირებულებას, არამედ საქონელთ, რის გამოც მოკლებულია აზრს, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ მათ ფასებს; მართლაც, თქმა იმისა, რომ ღირებულებანი ეცემა სამუშაო დროის პროპორციულად, ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ ღირებულებანი იზრდება ან მცირდება იმდენად, რამდენადაც ისინი იზრდებიან ან მცირდებიან };

«მაგრამ ამ ძვირი და ხანგრძლივი იარაღების შემოღების შემდეგ თანაბარი კაპიტალების დახარჯვით წარმოებულ საქონელთ ექნებათ მეტად უთანაბრო ღირებულება, და თუმცა უშინდებურად ერთი მეოთხის მიმართ მათი ღირებულების აწევა თუ დაცემა დამოკიდებული იქნება იმაზე, უფრო მეტი შრომაა ახლა საჭირო მათ საწარმოებლად თუ უფრო ნაკლები. მაგრამ ამასთანავე ერთად მათ უნდა განიცადონ კიდევ მეორე, მართალია უფრო მცირე, ცვლილება, გამოწვეული ხელფასისა და მოგების გადიდებით ან დაცემით. რადგან 5000 გირვ. სტერლინგად გასაყიდი საქონელი შეიძლება იყოს პროდუქტი სიდიდით იმ კაპიტალის ტოლი კაპიტალისა, რომლითაც წარმოებულია 10 000 გირვ. სტერლინგად გასაყიდი სხვა საქონელი, ამიტომ მათი წარმოებიდან მისაღები მოგებანი ერთი და იგივე იქნება; მაგრამ ეს მოგებანი უთანაბრო იქნებოდნენ, საქონელთა ფასები რომ არ იცვლებოდნენ მოგების ნორმის გადიდებასთან ან დაცემასთან ერთად» (გვ. 40—41).

ფაქტიურად რიკარდო აქ ლაპარაკობს შემდეგს:

ტოლდიდი კაპიტალები აწარმოებენ თანაბარი ღირებულების საქონელთ, თუ თანაფარდობა მათს ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის ერთი და იგივეა, თუ მათ ხელფასსა და შრომის პირობებზე თანაბარი ნაწილები დახარჯეს. მაშინ მათ მიერ წარმოებულ საქონელში განსახიერებულია შრომის თანაბარი რაოდენობანი, მაშასადამე, თანაბარი ღირებულებანიც } თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ სხვაობას, რაც შეიძლება შეიტანოს მიმოქცევის პროცესმა }. პირიქით, სიდიდით თანაბარი კაპიტალები აწარმოებენ მეტად არათანაბარი ღირებულების საქონელთ, თუ მათი ორგანული შედგენილობა განსხვავებულია, განსაკუთრებით—თუ ძირითადი კაპიტალის სახით არსებული მათი ნაწილი მეტად სხვადასხვა შეფარდებაშია ხელფასზე დახარჯულ ნაწილთან. ჯერ ერთი, მხოლოდ ძირითადი კაპიტალის ნაწილი შედის საქონელში როგორც ღირებულების შემადგენელი ნაწილი, რის შედეგადაც, მაშასადამე, ღირებულების სიდიდენი მეტად განსხვავებულნი უნდა იყვნენ უკვე იმისდა მიხედვით, ბევრი თუ ცოტა ძირითადი კაპიტალი იქნა გამოყენებული საქონლის წარ-

მოებისას. მეორე, ხელფასზე დახარჯული ნაწილი, — თუ ვიანგარიშებთ 100-ზე, კაპიტალის ტოლდიდ მასაზე, — [დიდი ძირითადი კაპიტალის პირობებში] იქნება გაცილებით უფრო ნაკლები, მაშასადამე, უფრო ნაკლები იქნება აგრეთვე საქონელში განსახიერებული მთელი [ახლად მიმატებული] შრომა, მაშასადამე, ზედმეტი შრომაც { როცა სამუშაო დღის ხანგრძლივობა ერთნაირია }, რომელიც ზედმეტ ღირებულებას ქმნის. ამიტომ, თუ ეს ტოლდიდი კაპიტალები, რომლებიც აწარმოებენ ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ი ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ი ს მქონე საქონელთ, და ეს ღირებულებანი კი შეიცავენ ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ებ ს, მაშასადამე, ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ მ ო გ ებ ებ ს ა ც, — თუ ასეთი კაპიტალები, იმის გამო, რომ ისინი სიდიდით ტოლნი არიან, უნდა იძლეოდნენ თანაბარ მოგებებს, მაშინ ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ფ ა ს ებ ი (რამდენადაც ამ ფასებს განსაზღვრავს მოცემული ხარჯების შესაბამისი მოგების საერთო ნორმა) აუცილებლად ძალიან უნდა განსხვავდებოდნენ ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ა თ ა გ ან. აქედან გამომდინარეობს არა ის დასკვნა, რომ ღირებულებებმა შეიცვალეს თავიანთი ბუნება, არამედ ის, რომ ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ებ ი განსხვავდებიან ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ა თ ა გ ან. რიკარდო თუ ამ დასკვნამდე ვერ მივიდა, ეს მით უფრო გასაოცარია, რომ იგი ხომ ამჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვივარაუდებთ ხარჯთფასებს, — რომელთაც მოგების საერთო ნორმა განსაზღვრავს, — მოგების ნორმის (ან ხელფასის ნორმის) შეცვლამ აუცილებლად უნდა გამოიწვიოს ამ ხარჯთფასების შეცვლა, რათა მოგების [541] ნორმა წარმოების სხვადასხვა დარგში ერთი და იგივე დარჩეს. მაშასადამე, რამდენად უფრო ძლიერი უნდა იყოს უთანაბრო ღირებულებათა ის ცვლილება, რასაც მოგების საერთო ნორმის დამყარება იწვევს, რადგან ეს მ ო გ ებ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ა ხომ სხვა არაფერია, თუ არა ზედმეტი ღირებულების იმ სხვადასხვა რაოდენობათა გათანაბრება, რომელთაც ტოლდიდი კაპიტალების მიერ წარმოებული სხვადასხვა საქონელი შეიცავს.

ეს შემდეგ, რაც რიკარდომ, თუ ვერ განავითარა და ვერ გაიგო განსხვავება ხარჯებსა და ღირებულებებს შორის, ხარჯთფასებსა და საქონელთა ღირებულებებს შორის, ყოველ შემთხვევაში ფაქტიურად თვით დაადასტურა ეს განსხვავება აღნიშნული წესით, — **ამის** შემდეგ იგი თავის მსჯელობას შემდეგი ფრაზით ამთავრებს:

«ბ-ნი მალთუსი, ეტყობა, ფიქრობს, რომ ჩემი თეორიის შემადგენელი ნაწილი არის ამა თუ იმ ნივთის ხ ა რ ჯ ებ ი ს ა და ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს გ ა ი გ ივ ებ ა. ეს ს წ ო რ ი ა, თუ ხარჯებში იგი გულისხმობს წ ა რ მ ო ებ ი ს ხ ა რ ჯ ებ ს»,

მოგების ჩათვლით» (გვ. 46, შენიშვნა) (მაშასადამე — დანახარჯს პლუს მოგების საერთო ნორმით განსაზღვრული მოგება).

ხარჯთფასისა და ღირებულების ამ მცდარი არევით, რაც თვით მანვე უარყო, რიკარდო შემდეგ გადადის რენტის განხილვაზე.

აი რას ამბობს რიკარდო 1-ლი თავის VI განყოფილებაში ოქროს ხარჯთფასზე შრომის ღირებულების ცვლილებათა გავლენის შესახებ:

«განა არ შეიძლება განვიხილოთ ოქრო როგორც საქონელი, წარმოებული ორი სახის კაპიტალის ისეთი თანაფარდობის პირობებში, რომელიც ყველაზე ახლოსაა საქონელთა უმრავლესობის საწარმოებლად აღებულ საშუალო შეფარდებასთან? განა ჩვენ არ შეგვიძლია განვიხილოთ ეს თანაფარდობა როგორც თანაბრად დაშორებული ორივე უკიდურესობის, როცა ერთ შემთხვევაში შრომაზარება ცოტა ძირითადი კაპიტალი, მეორეში კი გამოიყენება ცოტა შრომა, და განა ამ თანაფარდობას არ უკავია საშუალო ადგილი მათ შორის?» (გვ. 44), —

რიკარდოს ეს სიტყვები შეეხება უფრო იმ საქონელთ, რომელთაც ღირებულების სხვადასხვა ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის საშუალო თანაფარდობა ახასიათებს. ასევე მათი მიმოქცევისა და კვლავწარმოების დროც საშუალოა. ამ საქონელთათვის ხარჯფასი და ღირებულება ერთმანეთს ემთხვევა, რადგან მათი საშუალო მოგება მათს ნამდვილ ზედმეტ ღირებულებას ემთხვევა, მაგრამ ამას ადგილი აქვს მხოლოდ ასეთ საქონელთა მიმართ.

რამდენადაც არადამაკმაყოფილებელია 1-ლი თავის IV და V განყოფილებებში მოცემული გამოკვლევა (თეორიულად) მეორეხარისხოვანი საკითხისა «შეფარდებითს ღირებულებებზე» შრომის ღირებულების ცვლილებათა გავლენის შესახებ შედარებით იმ საკითხთან, რომელიც ეხება ღირებულებათა გადაქცევას ხარჯთფასებად მოგების საშუალო ნორმის საფუძველზე, — ამდენადვე მნიშვნელოვანია დასკვნა, რომელსაც აკეთებს აქედან რიკარდო იმით, რომ უკუაგდებს ერთ-ერთ მთავარ შეცდომას, მუდამ რომ ებღაუჭებოდნენ ა. სმიტის დროიდან მოყოლებული, იმ შეცდომას, თითქოს ხელფასის გადიდება, ნაცვლად იმისა, რომ მოგების დაცემა გამოიწვიოს, ადიდებს საქონელთა ფასებს. მართალია, ამას შეიცავს უკვე თვით ღირებულებათა ცნება და ეს დებულება სრულიად არ განიცდის მოდიფიკაციას იმით, რომ ღირებულებანი ხარჯთფასებად გადაიქცევა, რადგან ეს უკანასკნელი საერთოდ ეხება მხოლოდ ერთობლივ კაპიტალის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების განაწილებას სხვადასხვა დარგებს შორის ანდა სხვადასხვა კაპიტალებს შორის წარმოების სხვადასხვა სფეროებში. მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ რიკარდომ ხაზ-

გასმით აღნიშნა ეს საკითხი და გვიჩვენა, რომ საქმის ვითარება პირიქითიც კი არის. ამიტომ იგი სამართლიანად ლაპარაკობს 1-ლი თავის VI განყოფილებაში:

«ვიდრე ამ თემას დავტოვებდეთ, უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ ადამ სმიტი და ყველა მომდევნო მწერალი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე — რამდენადაც მე ვიცი — ამტკიცებდნენ, რომ შრომის ფასის გადიდება აუცილებლად გამოიწვევდა ყველა საქონლის ფასების გადიდებას».

{ ეს შეესაბამება ღირებულების მეორე სმიტისეულ განსაზღვრას, რომლის მიხედვით ღირებულება უდრის შრომის იმ რაოდენობას, რის ყიდვაც მოცემული საქონლით შეიძლება. }

«ვიმოდოვნებ, შევძელი მეჩვენებინა, რომ ასეთი ვარაუდისათვის არ არსებობს არავითარი საფუძველი და რომ გადიდება მხოლოდ იმ საქონელთა ფასები, რომლებიც იწარმოება ძირითადი კაპიტალის მცირე რაოდენობით შედარებით შუამავლის როლის შემასრულებელ იმ საქონელთან, რომლითაც გამოხატულია ფასი» (აქ «შეფარდებითი ღირებულება» უთანატოლდება ღირებულების გამოხატულებას ფულში), «და რომ ყველა იმ საქონლის ფასი, რომლებიც ძირითადი კაპიტალის უფრო დიდი რაოდენობით იწარმოება, აუცილებლად დაეცემა, თუ ხელფასი გადიდდება. პირიქით, თუ ხელფასი დაეცემა, დაეცემა მხოლოდ იმ საქონელთა ფასი, რომლებიც იწარმოება ძირითადი კაპიტალის უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე შუამავლის როლის შემსრულებელი ის საქონელი, რომლითაც გამოხატულია ფასი; ყველა იმ საქონლის ფასი კი, რომლებიც ძირითადი კაპიტალის უფრო დიდი რაოდენობით იწარმოება, აუცილებლად აიწევს» (გვ. 45).

ფ უ ლ ა დ ი ფასების მიმართ ეს წარმოგვიდგება უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო დ. თუ ოქროს ღირებულება რაიმე მიზეზების გამო იზრდება ან ეცემა, იგი [იზრდება ან] ეცემა ერთნაირად ყველა საქონლის მიმართ, რომელთა შეფასებაც ამ ოქროთი ხდება. ამიტომ, მიუხედავად თავისი ცვალებადობისა, ოქრო გვევლინება როგორც შეფარდებით უცვლელი შუამავალი საქონელთა შორის. და რაკი ეს ასეა, აბსოლუტურად გაუგებარია, თუ როგორ შეუძლია ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ამა თუ იმ შეფარდებითს კომბინაციას, რასაც ადგილი აქვს ოქროს წარმოებაში, სხვა საქონელთან შედარებით, გამოიწვიოს რაიმე სხვაობა. მაგრამ სწორედ აქ მეჭღავნდება რიკარდოს მ ც დ ა რ ი წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი იმის შესახებ, რომ ფული, რამდენადაც იგი მიმოქცევის საშუალებაა, იცვლება საქონელზე როგორც საქონელი. საქონელთა შეფასება ფულით მანამდე ხდება, სანამ ფული მათ მიმოქცევაში შეიყვანს. დავუშვათ, რომ ოქროს ნაცვლად შუამავლის როლს ასრულებს ხორბალი. თუ, მაგალითად, ხელფასის გადიდების გამო გაიზრდებოდა შეფარდებით წარმოების ფასი [Produktionspreis]

ხორბლისა—როგორც ისეთი საქონლისა, რომელშიც ცვალებადი კაპიტალი, მის თანაფარდობაში მუდმივთან, ისეთი ოდენობით შედის, რაც ამ თანაფარდობის საშუალო დონეს აღემატება, — მაშინ ყველა საქონელი შეფასდებოდა ხორბლით, რომელსაც უფრო მაღალი «შეფარდებითი ღირებულება» აქვს. ის საქონელი, რომელშიც მეტი ძირითადი კაპიტალი შედის, გამოიხატებოდა ხორბლის უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე უწინ, არა იმიტომ, რომ მისი სპეციფიკური ფასი დაეცა ხორბლის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ ფასი საერთოდ დაეცა. საქონელი, რომელიც სწორედ იმდენსავე [ცოცხალ] შრომას, — დაგროვილი შრომის საპირისპიროდ, — შეიცავს, რამდენსაც ხორბალი, თავისი ფასის გადიდებას იმით გამოამჟღავნებდა, რომ მისი გამომხატველი იქნებოდა ხორბლის უფრო დიდი რაოდენობა, [542] ვიდრე ისეთი საქონელი, რომლის ფასიც ხორბლის მიმართ დაეცა. თუ იგივე მიზეზები, რომლებიც ხორბლის ფასის ზრდას იწვევენ, ადიდებენ, მაგალითად, მზა ტანსაცმლის ფასს, მაშინ მართალია მზა ტანსაცმლის გამომხატველი არ იქნება ხორბლის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე წინათ, მაგრამ ის საქონელი, რომლის ფასიც დაეცა შედარებით ხორბალთან, მაგალითად, ჩითი, გამოხატულებას ჰპოვებს ხორბლის უფრო ნაკლებ რაოდენობაში. ჩითი და მზა ტანსაცმელი თავიანთი ფასების განსხვავებას გამოხატავდნენ ხორბლით როგორც თავიანთი შუამავლით.

მაგრამ რიკარდოს მხედველობაში აქვს სხვა რამ. მას მხედველობაში აქვს შემდეგი: ხელფასის გადიდების შედეგად ხორბალი მოიმატებდა ფასში ჩითის მიმართ, მაგრამ არა მზა ტანსაცმლის მიმართ; მაშასადამე, მზა ტანსაცმელი გაიცვლებოდა ხორბალზე ამ უკანასკნელის ძველი ფასის კვალობაზე, ჩითი კი გაიცვლებოდა ხორბალზე ამ უკანასკნელის გადიდებული ფასის კვალობაზე. უაღრესად უაზროა თავისთავად ვარაუდი იმისა, რომ ხელფასის ცვლილებანი ინგლისში გამოიწვევდა, მაგალითად, ოქროს ხარჯთფასის ცვლილებას კალიფორნიაში, სადაც ხელფასი არ გადიდებულა. ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა გათანაბრება სამუშაო დროით და მით უმეტეს ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ი ს გათანაბრება მოგების საერთო ნორმით არ ხდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის ასეთი უშუალო ფორმით. მაგრამ ავიღოთ თუნდაც ხორბალი, ადგილობრივი პროდუქტი. კვარტერი ხორბლის ფასი გადიდდა, ვთქვათ, 40-დან 50 შილინგამდე, ე. ი. 25%-ით. თუ მზა ტანსაცმლის ფასიც ასევე 25%-ით გადიდდა, მაშინ ტანსაცმელი უწინდებურად 1 კვარტერი ხორბალი ეღირება. თუ ჩითის ფასი 25%-ით დაეცა, მაშინ ჩითის იგივე რაოდენობა, რომელიც უწინ 1

კვარტერი ხორბალი ღირდა, ახლა ეღირება მხოლოდ 6 ბუშელი ხორბალი [73]. და ეს გამოხატავ ხორბლით ზუსტად წარმოგვიდგენს ჩითისა და მზა ტანსაცმლის ფასების თანაფარდობას, რადგან მათი გაზომვა ხდება ერთი და იმავე საზომით, 1 კვარტერი ხორბლით.

ამასთან რიკარდოს შეხედულება კიდევ უფრო უაზროა. ფასი საქონლისა, რომელიც ღირებულებათა საზომს და ამიტომ ფულს წარმოადგენს, საერთოდ არ არსებობს; ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მე უნდა მქონოდა, გარდა იმ საქონლისა, რომელიც ფულს წარმოადგენს, კიდევ მეორე საქონელი, ფულს რომ წარმოადგენს, — ღირებულებათა ორმაგი საზომი. ფულის შეფარდებითი ღირებულება გამოხატულია ყველა საქონლის ურიცხვი ფასებით; ვინაიდან თვითეული ამ ფასით, რომელიც საქონლის საცვლელი ღირებულების ფულით გამოხატვაა, საცვლელი ღირებულება ფულისა გამოხატულია მოცემული საქონლის სახმარი ღირებულებით. ამიტომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ ფულის ფასის (des Preises) გადიდებაზე ან დაცემაზე. მე შემიძლია ვთქვა: ფულის ფასი ხორბალში, ანდა ფულის ფასი მზა ტანსაცმელში, იგივე დარჩა: ფულის ფასი ჩითში კი გადიდდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩითის ფულადი ფასი დაეცა. მაგრამ მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ფულის ფასი გადიდდა ან დაეცა. რიკარდო კი მართლა ფიქრობს, რომ ფულის ფასი, მაგალითად, ჩითში, გადიდდა, ანუ ჩითის ფულადი ფასი დაეცა, სწორედ იმიტომ, რომ გადიდდა ფულის შეფარდებითი ღირებულება ჩითის მიმართ, მაშინ როდესაც მზა ტანსაცმლის ან ხორბლის მიმართ ფულმა იგივე ღირებულება შეინარჩუნა. ამრიგად, ეს ორი ღირებულება იზომება არა ერთნაირი საზომით.

ეს VI განყოფილება («ღირებულების უცვლელი საზომის შესახებ») განიხილავს «ღირებულებათა საზომს», მაგრამ მასში მნიშვნელოვანი არაფერია. კავშირი ღირებულებასა, მის იმანენტურ საზომსა — სამუშაო დროსა, — და საქონლურ ღირებულებათა გარეგანი საზომის აუცილებლობას შორის სრულიად არ არის გაგებული, საკითხი მის შესახებ დასმულიც კი არაა.

VI განყოფილების უკვე თვით დასაწყისი ამეღავნებს პრობლემის ზერელე განხილვას:

«თუ საქონელთა შეფარდებითი ღირებულება შეიცვალა, სასურველი იქნებოდა გვქონოდა საშუალება იმის დასადგენად, თუ რომელმა მათგანმა განიცადა თავისი ნამდვილი ღირებულების დაცემა და რომელმა მისი ზრდა; ამის მიღწევა კი

შეიძლებოდა მხოლოდ იმ გზით. რომ ამ საქონელთ, ერთი მეორეზე მიყოლებით, შეეადარებდით რომელიმე უცვლელ სტანდარტულ საზომს. რომელიც თვითონ არ დაექვემდებარებოდა არც ერთ რყევას, რასაც სხვა საქონელნი განიცდიან». მაგრამ «არ არის არც ერთი ისეთი საქონელი, რომელიც თვით არ ექვემდებარებოდეს ამ რყევას, ე. ი. არ არის არც ერთი ისეთი საქონელი, რომელიც თავისი წარმოებისათვის არ მოითხოვდეს ხან მეტ, ხან ნაკლებ შრომას» (გვ. 41 — 42).

მაგრამ კიდეც რომ არსებობდეს ასეთი საქონელი, მაშინაც გავლენანი ხელფასის გადიდებისა თუ დაცემისა და გავლენანი ძირითადი დასაბრუნავი კაპიტალის სხვადასხვა კომბინაციებისა, ძირითადი კაპიტალის ხანგრძლიობის სხვადასხვა ხარისხისა, დროის არათანაბარი შუალედებისა, რომლებიც საქონელმა უნდა გაიაროს, ვიდრე ბაზარზე მისი გატანა შესაძლებელი გახდება და ა. შ., ნაწილობრივ ხელს შეუშლიდნენ მას

«ყოფილიყო ღირებულების სრულყოფილი საზომი, რომლის შემწეობითაც ჩვენ შეგვეძლო ზუსტად დაგვედგინა ყველა დანარჩენი ნივთის ღირებულების ცვლილებანი. ასეთი საქონელი «იქნებოდა ღირებულების სრულყოფილი საზომი ყველა ნივთისათვის, რომლებიც წარმოებულია ზუსტად იმავე პირობებში, რო. გორშიაც თვით იგი, მაგრამ იგი არ იქნებოდა ასეთი საზომი არც ერთი სხვა ნივთისათვის» (გვ. 43).

სხვანაირად რომ ვთქვათ, «დანარჩენი ნივთების» ამ ორი ჯგუფიდან პირველის ფასების შეცვლისას ჩვენ შეგვეძლო (თუ ფულის ღირებულება არ გადიდდებოდა ან არ დაეცემოდა) გვეთქვა, რომ ცვლილება ხდება «მათი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი ს», ე. ი. მათი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროის გადიდების თუ შემცირების გამო. სხვა ნივთების შესახებ კი ჩვენ არ შეგვეძლო გვცოდნოდა, ხდება თუ არა მათი ფულადი ფასების «ცვლილებანი» სხვა მ ი ზ ე ზ ე ბ ი ს გამო და ა. შ. ამ მეტად უხეირო მსჯელობას საჭირო იქნება დავუბრუნდეთ უფრო მოგვიანებით (ფულის თეორიის შემდგომი გადასინჯვის დროს).

თ ა ვ ი 1-ლ ი, გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა VII. გარდა მნიშვნელოვანი მოძღვრებისა «შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი» ხელფასის, მოგებისა და რენტის შესახებ, რასაც შემდგომში უნდა დავუბრუნდეთ *, ეს განყოფილება შეიცავს მხოლოდ დებულებას იმის შესახებ, რომ ფულის ღირებულების დაცემის ან გადიდების დროს ხელფასის, მოგებისა და რენტის შესაბამისი გადიდება ან დაცემა მათ შორის არსებულ თანაფარდობაში რამეს კი არ ცვლის, არამედ ცვლის მხოლოდ

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 560 — 567. რ ე დ.

მათს ფულად გამოხატულებას. თუ იმავე ხაქონლის ღირებულება გამოიხატება გირვანქა სტერლინგების ორმაგი რაოდენობით, ორკეცდება აგრეთვე ამ ღირებულების ის ნაწილიც, რომელიც გადაიქცევა მოგებად, ხელფასად ან რენტად. მაგრამ თანაფარდობა ამ ს

გორც ყველაზე არახელსაყრელი იმ პირობებიდან, რომელთა არსებობისას აუცილებელია წარმოების გაგრძელება პროდუქტის საჭირო რაოდენობის დამზადების მიზნით» (გვ. 60—61).

უკანასკნელი შენიშვნა მთლად სწორი არაა. «პროდუქტის საჭირო რაოდენობა» არ არის რაღაც უცვლელი სიდიდე. სწორი იქნებოდა ეთქვა: პროდუქტის გარკვეული რაოდენობა, რომელიც საჭიროა გარკვეული ფასების ფარგლებში. თუ ფასების ზრდა ამ ფარგლებს სცილდება, მაშინ მოთხოვნასთან ერთად ეცემა აგრეთვე «საჭირო რაოდენობა».

ზემოდასახელებული დებულება შეიძლება ზოგადი სახით ასე გამოთქმულიყო: ღირებულება საქონლისა, — რომელიც წარმოების რომელიმე განსაკუთრებული სფეროს პროდუქტია, — განისაზღვრება შრომით, რომელიც საჭიროა წარმოების ამ სფეროს საქონელთა მთელი მასის, საერთო ჯამის საწარმოებლად, და არა იმ განსაკუთრებული სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა ყოველ ცალკეული კაპიტალისტისა თუ მეწარმისათვის წარმოებს ამ სფეროს შიგნით. წარმოების საერთო პირობები და შრომის საერთო ნაყოფიერება წარმოების ამ განსაკუთრებულ სფეროში, მაგალითად, ბამბეულის მრეწველობაში, ეს არის წარმოების საშუალო პირობები და შრომის საშუალო ნაყოფიერება ამ სფეროში, ბამბეულის მრეწველობაში. მაშასადამე, შრომის რაოდენობა, რომელიც განსაზღვრავს, მაგალითად, არშინი ჩითის ღირებულებას, არის არა შრომის ის რაოდენობა, რასაც იგი შეიცავს, რაც მასზე ფაბრიკანტმა დახარჯა, არამედ ის საშუალო რაოდენობა, რომელსაც არშინი ჩითის საწარმოებლად ხარჯავს ბაზარზე გამომსვლელი ყველა ბამბეულის ფაბრიკანტი. ხოლო განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც ცალკეული კაპიტალისტები აწარმოებენ, მაგალითად, ბამბეულის მრეწველობაში, აუცილებლად დაიყოფა სამ ჯგუფად. ერთნი აწარმოებენ საშუალო პირობებში; ეს ნიშნავს, რომ წარმოების ინდივიდუალური პირობები, რომელშიაც ისინი აწარმოებენ, ემთხვევა ამ სფეროს წარმოების საერთო პირობებს. საშუალო თანაფარდობა არის მათი ნამდვილი თანაფარდობა. მათი შრომის ნაყოფიერება საშუალო დონეზე მდგომარეობს. მათი საქონლის ინდივიდუალური ღირებულება ემთხვევა ამ საქონელთა საერთო ღირებულებას. თუ ისინი, მაგალითად, არშინ ჩითს აყიდიან 2 შილინგად, ე. ი. მისი საშუალო ღირებულების მიხედვით, ისინი აყიდიან მას იმ ღირებულების მიხედვით, რომელსაც წარმოადგენენ in natura * მათ მიერ წარმოებული ჩითის არშინები. მეწარმეთა

* — ნატურით, თავიანთი ნატურალური ფორმით. რედ.

მეორე ჯგუფი აწარმოებს საშუალზე უკეთეს პირობებში. მათი საქონლის ინდივიდუალური ღირებულება მოცემული სახის საქონელთა საერთო ღირებულებაზე უფრო დაბალია. და თუ ისინი თავიანთ საქონელს ამ საერთო ღირებულების მიხედვით ყიდიან, ისინი ყიდიან საქონელს მის ღირებულებაზე უფრო მაღლა. ბოლოს, მეწარმეთა მესამე ჯგუფი აწარმოებს საშუალოზე უფრო დაბალ წარმოების პირობებში.

როგორც ითქვა, წარმოების მოცემული განსაკუთრებული სფეროს «პროდუქტის საჭირო რაოდენობა» არ არის რაღაც უცვლელი სიდიდე. თუ საქონელთა ღირებულება საშუალო ღირებულების ფარგლებს სცილდება, მაშინ «პროდუქტის საჭირო რაოდენობა» ეცემა ანდა ეს რაოდენობა საჭიროა მხოლოდ მოცემული ფასის პირობებში — ან, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ფასების ფარგლებში. ამიტომ შესაძლებელია აგრეთვე ისიც, რომ მეწარმეთა უკანასკნელი ჯგუფი იძულებულია თავისი საქონელი ინდივიდუალურ ღირებულებაზე დაბლა გაყიდოს, მსგავსად იმისა, როგორც საუკეთესო პირობებში მყოფი მეწარმეთა ჯგუფი თავის საქონელს ყოველთვის ინდივიდუალურ ღირებულებაზე მაღლა ყიდის. სწორედ ამ ჯგუფების[74] რიცხვზე ანდა მათ სიდიდეთა პროპორციულ თანაფარდობაზე იქნება დამოკიდებული, რომელი მათგანი დაადგენს საბოლოოდ საშუალო ღირებულებას. თუ საშუალო ჯგუფი მნიშვნელოვნად მეტია რიცხობრივად, მაშინ იგი დაადგენს კიდეც საშუალო ღირებულებას. თუ ეს ჯგუფი რიცხობრივად მცირეა, საშუალოზე უფრო დაბალ პირობებში მწარმოებელი ჯგუფი კი რიცხობრივად დიდია და დანარჩენთ აღემატება, მაშინ იგი ადგენს მოცემული სფეროს პროდუქტის საერთო ღირებულებას, თუმცა ამით სულაც არაა ნათქვამი და ძნელად დასაჯერებელიც კია, რომ საქმის გადამწყვეტია სწორედ ის ცალკეული კაპიტალისტი ამ ჯგუფის შიგნით, რომელიც, თავის მხრივ, ჩაყენებულია აქ ყველაზე არახელსაყრელ პირობებში (იხ. კორბეტი)[75].

მაგრამ თავი დავანებოთ ამას. საერთო შედეგი ასეთია: საერთო ღირებულება, რაც მოცემული სახის პროდუქტებს აქვთ, ერთნაირია ყველა მათთვის, სულ ერთია როგორიც არ უნდა იყოს მისი შეფარდება ყოველი ცალკეული საქონლის ინდივიდუალურ ღირებულებასთან. მოცემული სახის საქონელთათვის ეს საერთო ღირებულება არის მათი საბაზრო ღირებულება, ის ღირებულება, რომლითაც ისინი ბაზარზე გამოდიან. ფულით გა-

მოხატული ეს საბაზრო ღირებულება არის საბაზრო ფასი, მსგავსად იმისა, როგორც საერთოდ ფულით გამოხატული ღირებულება არის ფასი. ნამდვილი საბაზრო ფასი ხან უფრო მაღლაა, ხან კი უფრო დაბლა ამ საბაზრო ღირებულებაზე და მას მხოლოდ შემთხვევით ემთხვევა. მაგრამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მერყეობანი თანაბრდება, და ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი საბაზრო ფასების საშუალო არის სწორედ ის საბაზრო ფასი, რომელიც საბაზრო ღირებულებას გამოხატავს. ემთხვევა მოცემულ მომენტში ნამდვილი საბაზრო ფასი თავისი სიდიდით, რაოდენობრივად, ამ საბაზრო ღირებულებას თუ არა, ყოველ შემთხვევაში საბაზრო ფასს საბაზრო ღირებულებასთან ის საერთო თვისებრივი განსაზღვრა აქვს, რომ წარმოების ერთი და იმავე სფეროს ყველა ბაზარზე მყოფ საქონელს (იგულისხმება, რომ ხარისხი მათი, რა თქმა უნდა, ერთნაირია) ერთი და იგივე ფასი აქვს, ანდა ისინი ამ სფეროს საქონელთა საერთო ღირებულების ფაქტიური წარმომადგენელნი არიან.

[544] ამიტომ რიკარდოს ზემოდასახელებული დებულება, რომ,-ლიც მან რენტის თეორიასთან დაკავშირებით წამოაყენა, მისმა მოწაფეებმა ჩამოაყალიბეს იმ აზრით, რომ ერთსა და იმავე ბაზარზე არ შეიძლება არსებობდეს ერთდროულად ორი სხვადასხვა საბაზრო ფასი, ანდა რომ ბაზარზე ერთდროულად მყოფ ერთი და იმავე სახის პროდუქტებს აქვთ ერთი და იგივე ფასი, ან, — რადგან ჩვენ აქ შეგვიძლია ამ ფასის შემთხვევითობა უყურადღების გარეშე დავტოვოთ, — ერთი და იგივე საბაზრო ღირებულება.

ამრიგად, კონკურენცია — ნაწილობრივ კაპიტალისტებისა ერთმანეთს შორის, ნაწილობრივ საქონელთა მეიდველებისა კაპიტალისტებთან და ურთიერთ შორის — იწვევს აქ იმას, რომ ყოველი ცალკეული საქონლის ღირებულება წარმოების რომელიმე განსაკუთრებულ სფეროში განისაზღვრება საზოგადოებრივი სამუშაო დროის ერთობლივი მასით, რასაც მოითხოვს საზოგადოებრივი წარმოების ამ განსაკუთრებული სფეროს საქონელთა ერთობლივი მასა, და არა ცალკეულ საქონელთა ინდივიდუალური ღირებულებებით, სხვა სიტყვებით — არა იმ სამუშაო დროით, რაც ცალკეული საქონელი უღირდა მის განსაკუთრებულ მწარმოებლებს და გამყიდველებს.

მაგრამ აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ პირველი

ჯგუფის კაპიტალისტები, ჯგუფისა, რომელსაც წარმოების უფრო ხელსაყრელი პირობები აქვს, ვიდრე წარმოების საშუალო პირობებია, ყველა გარემოებაში ღებულობენ გარკვეულ ზემოგებას, ე. ი. რომ მათი მოგება აღემატება ამ სფეროს მოგების საერთო ნორმას. მაშასადამე, კონკურენცია ამყარებს საბაზრო ღირებულებას, ანუ საბაზრო ფასს, არა მოგებათა გათანაბრებით წარმოების ცალკეული სფეროს შიგნით. (ამ გამოკვლევისათვის სხვაობას საბაზრო ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის მნიშვნელობა არა აქვს, რადგან წარმოების პირობების განსხვავებანი და აქედან გამომდინარე მოგების განსხვავებული ნორმები ძალაში რჩება ერთი და იმავე სფეროს ცალკეული კაპიტალისტებისათვის, სულ ერთია — როგორიც არ უნდა იყოს საბაზრო ფასის შეფარდება საბაზრო ღირებულებასთან.) ნირიქით: კონკურენცია სხვადასხვა ინდივიდუალურ ღირებულებას უთანატოლებს აქ ერთნაირ, განსხვავებებს მოკლებულ ღირებულებას სწორედ იმ გზით, რომ მას შესაძლებლად მიაჩნია განსხვავებანი ინდივიდუალურ მოგებებს შორის, ცალკეული კაპიტალისტების მოგებებს შორის, და ამ ინდივიდუალურ მოგებათა გადახრები მოცემული სფეროს მოგების საშუალო ნორმიდან. იგი ქმნის კიდეც ამ გადახრებს ერთი და იმავე საბაზრო ღირებულების დამყარებით ისეთ საქონელთათვის, რომლებიც წარმოებულია არათანაბრად ხელსაყრელ წარმოების პირობებში — მაშასადამე, შრომის არათანაბარი ნაყოფიერების პირობებში — და რომლებიც, მაშასადამე, წარმოადგენენ სამუშაო დროის ინდივიდუალურ, არატოლდიდრაოდენობებს. უფრო ხელსაყრელ პირობებში წარმოებული საქონელი შეიცავს სამუშაო დროის უფრო ნაკლებ რაოდენობას, ვიდრე ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში წარმოებული საქონელი; მაგრამ იგი იყიდება იმავე ფასად, იმავე ღირებულების მქონეა, თითქოს იმავე სამუშაო დროს შეიცავდეს, რასაც სინამდვილეში არ შეიცავს.

[ბ) რიკარდო ერთმანეთში ურევს წარმოების ერთი და იმავე სფეროს შიგნით საბაზრო ღირებულების წარმოქმნის პროცესს და წარმოების სხვადასხვა სფეროებში ხარჯთფასის წარმოქმნის პროცესს]

თავისი რენტის თეორიის ასაგებად რიკარდოს სჭირდება ამასთანავე ორი დებულება, რომლებიც არა თუ არ გამოხატავენ კონკუ-

რენტის ერთსა და იმავე მოქმედებას, არამედ სწორედ მის საპირისპირო მოქმედებებს გამოხატავენ. პირველი დებულება გვეუბნება, რომ ერთი და იმავე სფეროს პროდუქტები ერთი და იმავე საბაზრო ღირებულების კვალობაზე იყიდება, რომ კონკურენცია, მაშასადამე, იძულებითი წესით იწვევს მოგების სხვადასხვა ნორმებს, ე. ი. გადახრებს მოგების საერთო ნორმიდან. მეორე დებულება გვეუბნება, რომ მოგების ნორმა უნდა იყოს ერთი და იგივე კაპიტალის ყოველი დანახარჯისათვის, ანდა რომ კონკურენცია ქმნის მოგების საერთო ნორმას. პირველ კანონს ძალა აქვს წარმოების ერთსა და იმავე სფეროში დაბანდებული სხვადასხვა დამოუკიდებელი კაპიტალებისათვის. მეორე კანონს კი ძალა აქვს კაპიტალებისათვის, რამდენადაც ისინი დაბანდებულია წარმოების სხვადასხვა სფეროში. თავისი პირველი მოქმედებით კონკურენცია ქმნის საბაზრო ღირებულებას, ე. ი. ერთსა და იმავე ღირებულებას წარმოების ერთი და იმავე სფეროს საქონელთათვის, თუმცა ამ იდენტურმა ღირებულებამ უნდა წარმოშვას სხვადასხვა მოგება; მაშასადამე, თავისი პირველი მოქმედებით კონკურენცია ქმნის ერთსა და იმავე ღირებულებას მიუხედავად ანდა, უფრო სწორად, იმის გამო, რომ არსებობს მოგების არათანაბარი ნორმები. თავისი მეორე მოქმედებით (რაც, სხვათა შორის, სხვაგვარადაც ხორციელდება; ეს არის კაპიტალისტების კონკურენცია სხვადასხვა სფეროებში, რომელიც კაპიტალს ერთი სფეროდან მეორეში გადაისვრის, მაშინ როდესაც ზემოაღნიშნულ კონკურენციას, რამდენადაც იგი ხდება არა მყიდველებს შორის, ადგილი აქვს ერთი და იმავე სფეროს კაპიტალებს შორის) კონკურენცია ქმნის ხარჯთფასს, ე. ი. მოგების ერთსა და იმავე ნორმას წარმოების სხვადასხვა სფეროში, თუმცა ეს მოგების იდენტური ნორმა ეწინააღმდეგება ღირებულებათა უტოლობას და, მაშასადამე, შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ღირებულებათაგან განსხვავებული ფასების საშუალებით.

რადგან თვით რიკარდოს თავისი მიწის რენტის თეორიისათვის ერთიც სჭირდება და მეორეც — თანაბარი ღირებულება, ანუ ფასი, არათანაბარი მოგების ნორმის დროს და თანაბარი მოგების ნორმა არათანაბარი ღირებულების დროს, — ამიტომ მეტად უცნაურია, რომ მან ვერ მო-

ნახა ეს ორგვარი განსაზღვრა და რომ იმ განყოფილებაშიც კი, სადაც იგი ex professo *. ლაპარაკობს საბაზრო ფასზე, მე-4 თავში («ბუნებრივი და საბაზრო ფასის შესახებ»), იგი სრულიად არ განიხილავს საბაზრო ფასს, ანუ საბაზრო ღირებულებას, თუმცა ზემოდასახელებულ ადგილას** ის მაინც საფუძვლად იღებს უკანასკნელს, რათა დიფერენციული რენტა ახსნას როგორც დამატებითი მოგება, რომელიც რენტად ყალიბდება. [545] პირიქით, მე-4 თავში იგი განიხილავს მხოლოდ წარმოების სხვადასხვა სფეროებში ფასების დაყვანას ხარჯთფასებზე, ანუ საშუალო ფასებზე, ე. ი. განხილავს წარმოების სხვადასხვა სფეროთა საბაზრო ფასებს მათს ურთიერთობაში, მაგრამ არა ყოველ განსაკუთრებულ სფეროში საბაზრო ღირებულების წარმოქმნის პროცესს, და ამ პროცესის გარეშე ხომ არ არსებობს საერთოდ არავითარი საბაზრო ღირებულებანი.

წარმოების ყოველი განსაკუთრებული სფეროს საბაზრო ღირებულებანი, მაშასადამე, ყოველი განსაკუთრებული სფეროს საბაზრო ფასებიც (თუ საბაზრო ფასი შეესაბამება «ბუნებრივ ფასს», ე. ი. უბრალოდ ღირებულებას გამოხატავს ფულით), მოგვცემდნენ მეტად განსხვავებულ მოგების ნორმებს, რადგან ტოლდიდი კაპიტალები წარმოების სხვადასხვა სფეროში (თუ სრულიად მხედველობის გარეშე დავტოვებთ მათი სხვადასხვა მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე განსხვავებებს) მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს მეტად არათანაბარი პროპორციებით იყენებენ და ამის გამო იძლევიან მეტად არათანაბარ ზედმეტ ღირებულებებს, და, მაშასადამე, მოგებებსაც. ამიტომ სხვადასხვა საბაზრო ღირებულებათა ისეთი გათანაბრება, რომლის შედეგადაც სხვადასხვა სფეროებში მოგების ერთნაირი ნორმა მყარდება და ტოლდიდი კაპიტალები თანაბარ საშუალო მოგებას იძლევიან, შეუძლებელი ხდება მხოლოდ იმ გზით, რომ საბაზრო ღირებულებანი გადაიქცევა ნამდვილ ღირებულებათაგან განსხვავებულ ხარჯთფასებად ***.

კონკურენცია წარმოების ერთსა და იმავე სფეროში

* — სპეციალურად. რედ.

** იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 265 — 266. რედ.

*** შეიძლება, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა არ გათანაბრდეს წარმოების სხვადასხვა სფეროებში (მაგალითად, სამუშაო დროის არათანაბარი ხანგრძლივობის გამო). ზედმეტი ღირებულების ნორმის გათანაბრება იმიტომ არ არის აუცილებელი, რომ თანაბრდებიან თვით ზედმეტი ღირებულებანი.

იმას ახორციელებს, რომ ამ სფეროში წარმოებული საქონლის ღირებულება განისაზღვრება ამ სფეროსათვის საჭირო საშუალო სამუშაო დროით; მაშასადამე, ეს არის საბაზრო ღირებულების დავყარება. კონკურენცია წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის ახორციელებს მოგების ერთი და იმავე საერთო ნორმის დამყარებას სხვადასხვა სფეროებში სხვადასხვა საბაზრო ღირებულებათა ისეთ საბაზრო ფასებთან გათანატოლებით, რომლებიც წარმოადგენენ ნამდვილ საბაზრო ღირებულებათაგან განსხვავებულ ხარჯთფასებს. ამრიგად, კონკურენცია ამ მეორე შემთხვევაში სრულიადაც არ ესწრაფვის საქონელთა ფასები შეუფარდოს მათს ღირებულებებს, არამედ, პირიქით, ცდილობს საქონელთა ღირებულებანი დაიყვანოს მათგან განსხვავებულ ხარჯთფასებზე. მოხსნას განსხვავებანი მათს ღირებულებებსა და ხარჯთფასებს შორის.

მხოლოდ ამ უკანასკნელ მოძრაობას განიხილავს რიკარდო მე-4 თავში; ამასთან იგი, თუმცა ეს მეტად უცნაურია, განიხილავს მას როგორც საქონელთა ფასების დაყვანას — კონკურენციის მეოხებით — მათს ღირებულებებზე, როგორც «საბაზრო ფასის» (ღირებულებისაგან განსხვავებული ფასის) დაყვანას «ბუნებრივ ფასზე» (ფულით გამოხატულ ღირებულებაზე). ეს შეცდომა გამოწვეულია. სხვათა შორის, იმით, რომ უკვე 1-ლ თავში («ღირებულების შესახებ») მოცემულია ხარჯთფასისა და ღირებულების მცდარი გაიგივება *, რაც, თავის მხრივ, იმიტომ მოხდა, რომ რიკარდომ იმ ადგილას, სადაც მას მხოლოდ «ღირებულება» უნდა განევითარებინა, ე. ი. სადაც მას თვალწინ ჯერ მხოლოდ «საქონელი» აქვს, მან ჩაურთო მოგების საერთო ნორმა და უფრო განვითარებული კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა წანამძღვარი.

ამიტომ მთელი აზრთა მსვლელობაც, რომელსაც რიკარდო მისდევს მე-4 თავში, უადრესად ზერელეა. იგი გამოდის საქონელთა «ფასის შემთხვევითი და დროებითი ცვლილებებიდან» (გვ. 80), რაც მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებად თანაფარდობათა შედეგია.

ფასების ზრდასა ან დაცემასთან ერთად მოგების საერთო დონეზე ან მაღლა იწევს ან დაბლა ეცვმა. კაპიტალს ან სტიმული ეძლევა გადავიდეს მისი გამოყენების იმ ცალკეულ დარგში, სადაც ასეთი

* იხ. ეს ტომი. ნაწილი II, გვ. 259 — 260. რედ.

ცვლილება დაიწყო, ანდა წინასწარი გაფრთხილება ეძლევა ამ დარგიდან წასვლის აუცილებლობის შესახებ» (გვ. 80).

აქ უკვე ნავარაუდევია «მოგების საერთო დონის» არსებობა წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის, «კაპიტალის გამოყენების ცალკეულ დარგებს შორის. ნამდვილად კი ჯერ საჭირო იყო იმის განხილვა, თუ როგორ მყარდება ფასების საერთო დონე კაპიტალის გამოყენების ერთსა და იმავე დარგში და მოგების საერთო დონე მისი გამოყენების სხვადასხვა დარგებს შორის. რიკარდო დაინახავდა მაშინ, რომ უკანასკნელი ოპერაციით უკვე იგულისხმება კაპიტალის უწყვეტი გადაადგილება ანუ კონკურენციის მიერ განსაზღვრული განაწილება მთელი საზოგადოებრივი კაპიტალისა მისი გამოყენების სხვადასხვა სფეროებს შორის. რაკი ნავარაუდევია, რომ სხვადასხვა სფეროებში საბაზრო ღირებულებანი, ანუ საშუალო საბაზრო ფასები, დაყვანილია ხარჯთფასებზე, რომლებიც მოგების ერთსა და იმავე საშუალო ნორმას იძლევიან { თუმცა ამას ადგილი აქვს მხოლოდ ისეთ წარმოების სფეროებში, სადაც არ არის ჩარეული მიწის საკუთრება; იმ სფეროებში, სადაც ეს ჩარევა არის. კონკურენციას ამ სფეროთა შიგნით შეუძლია დაიყვანოს ფასები ღირებულებაზე და ღირებულება საბაზრო ღირებულებაზე, მაგრამ არ შეუძლია ამ უკანასკნელის დაყვანა ხარჯთფასზე },—რაკი ეს ნავარაუდევია, საბაზრო ფასის ცოტად თუ ბევრად მუდმივი გადახრანი — ზევით ან ქვევით — ხარჯთფასისაგან, რაც ამა თუ იმ განსაკუთრებულ სფეროებში ხდება, გამოიწვევენ საზოგადოებრივი კაპიტალის ახალ გადაადგილებას და ახალ განაწილებას. პირველი გადაადგილება ხდება ღირებულებათაგან განსხვავებული ხარჯთფასების დასადგენად; მეორე — ნამდვილი საბაზრო ფასების გასათანაბრებლად ხარჯთფასებთან, რამდენადაც საბაზრო ფასები ხარჯთფასებზე მაღლა იწევენ ან დაბლა ეცემიან. პირველი გადაადგილება არის ღირებულებათა გადაქცევა ხარჯთფასებად, მეორე არის სხვადასხვა სფეროებში ნამდვილი, [546] შემოხვევითი საბაზრო ფასების ტრიალი იმ ხარჯთფასის გარშემო, რომელიც გვევლინება ახლა როგორც «ბუნებრივი ფასი», თუმცა იგი განსხვავდება ღირებულებისაგან და მარტოოდენ საზოგადოებრივი მოქმედების შედეგს წარმოადგენს.

სწორედ ამ უკანასკნელ, უფრო ზერელე მოძრაობას განიხილავს რიკარდო და შეუცნობლად ურევს მას ზოგჯერ მეორე მოძრაობაში.

ორიეე ამ მოკლეობას იწვევს, რა თქმა უნდა, ‘ერთი და იგივე პრინციპი», სახელდობრ ის პრინციპი, რომ

«ყოველ ადამიანს თავისუფლად შეუძლია თავისი კაპიტალი იქ დაბანდოს, სადაც ნებავს..., იგი, ბუნებრივია, თავისი კაპიტალისთვის ყველაზე ხელსაყრელ გამოყენებას ეძებს; თუმცა ადამიანი ამას ადვილად აკეთებს, ბაბრ-იგი არ დაკმაყოფილდება 10% მოგებით, თუ მას თავისი კაპიტალის სხვა სფეროში დაბანდებით 15% მოგების მიღება შეუძლია. ყველა კაპიტალისტის ეს დაუღალავი მისწრაფება — მიიტოვონ ნაკლებად მომგებიანი საქმე უფრო ხელსაყრელი გულისთვის — ქმნის ყველა მოგებიანთა ერთიანობის ბალანსირებას ანუ ეს ეაუზენ ბალანსირებულ ოდენობით დაყოფილ ძალიან ტანდენციას, რომელიც, დაბანდებულ მასალა ანუ ფასი, აწინაწყრებენ ერთიმეორეს ნამდვილ ან მოსალოდნელ ეპინტეტისობებს მეორეთა წინაშე» (გვ. 81).

ეს ტანდენციაა იმას ეწინააღმდეგება, რომ საზოგადოებრივი სამეურნეო დერეფენ ერთიანობელი ბალ, საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შესაბამისად, ანაწილდება. წარმოებაში სხვადასხვა ფერ ოდენობა ან შრომა ან ამასთანავე დიფერენციალური სხვადასხვა სფეროებში აბნის მეორეებიო ეკონომიკური ხარჯთაღრიცხვებულ, მეორე მხრივ კი (ეკონომიურ სფეროებში დაბანდებულებიან ნამდვილი ფასების ეკონომიური ხარჯთაღრიცხვებისაგან.

ყოველივე ეს მოკლედ ნარეკლებულ ‘ სტატიებში, რიკარდო თვითონ ამბობს:

«ამა ან ამ შეფასებულ-ი სხვაობა მეორე დაბანდებულებებ და ტანდენციასა-მიანად ან უნაკლოა კაპიტალის ტანდენცია — მიიტოვოს გამოყენების ის დარგები, სადაც წარმოებული საქონელი ვერ ფარავს თავისი ფასით მისი წარმოებისა და ბაზარზე გაანალიზებისაკენ საჭირო ყველა ხარჯს, ნაკლებ-ოდ ან ამ ოგებ ნაკლებ ოდენობით (მაშასადამე, ფერ ფარავს ხარჯთაღრიცხვებს)» (გვ. 142, ზენაშიგნა).

რიკარდოს დამსახურებაა, — მისი მარცხი კი საკმაოდ ნაჩქარევ მოძღვინარეობს, რომ ოვი აქ ა ო ა ა ა

[illegible]

[illegible]

[illegible]

[ბ) «ბუნებრივი ფასის» ორი სხვადასხვა განსაზღვრა რიკარდოს მიერ. ხარჯთფასების ცვლილებანი შრომის ნაყოფიერების ცვლილებათა საფუძველზე]

მე-4 თავის დასაწყისში რიკარდო ამბობს, რომ «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი» მას ესმის როგორც საქონელთა «ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა», ე. ი. როგორც ფ ა ს ი, რომელიც განისაზღვრება მათი შეფარდებითი სამუშაო დროით, «ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი» კი მას ესმის როგორც შემთხვევითი და დროებითი გადახრანი «ღირებულებასთან» გაიგივებული ამ «ბუნებრივი ფასიდან». [547] მაგრამ შემდგომში ამ თავის მთელი შინაარსის მიხედვით — თანაც სრულიად გარკვეული გამოთქმებითაც კი — «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ფ ა ს ს» იგი ახასიათებს როგორც სრულიად სხვა რაიმეს, სახელდობრ როგორც ღირებულებისაგან განსხვავებულ ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს. ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ გვიჩვენოს, როგორ გადააქცევს კონკურენცია ღირებულებებს ხარჯთფასებად და, მაშასადამე, ქმნის მუდმივ გადახრებს ღირებულებათაგან, იგი გადმოგვცემს ა. სმიტის მიხედვით, თუ როგორ დაჰყავს კონკურენციას ხარჯთფასებზე წარმოების სხვადასხვა, ურთიერთქმედებაში მყოფ დარგებში არსებული საბაზრო ფასები.

ასე, მაგალითად, მე-4 თავის დასაწყისში ნათქვამია შემდეგი:

«თუ ჩვენ შ რ ო მ ა ს მივიჩნევთ საქონელთა ღირებულების ს ა ფ უ ძ ვ ლ ე დ, ხოლო მათი წარმოებისათვის აუცილებელ შ რ ო მ ი ს შ ე დ ა რ ე ბ ი თ ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს საზომად, რომელიც განსაზღვრავს ერთმეორეზე გასაცვლელ საქონელთა შესაბამის რაოდენობებს, აქედან ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ უარყოფთ საქონელთა ფ ა ქ ტ ი უ რ ი, ანუ ს ა ბ ა ზ რ ო, ფ ა ს ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ს ა და დ რ ო ე ბ ი თ ს ა გ ა დ ა ხ რ ებ ს ამ მათი პ ი რ ვ ე ლ ა დ ი და ბ უ ნ ებ რ ი ვ ი ფ ა ს ი დ ა ნ» (გვ. 80).

აქ, მაშასადამე, «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი» გაიგივებულია ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს თ ა ნ, საბაზრო ფასი კი სხვას არაფერს გამოხატავს, თუ არა ფაქტიური ფასის გადახრას ღირებულებიდან.

პირიქით:

«დავუშვათ, რომ ყველა საქონელი იყიდება თავისი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი ს კ ვ ა ლ ობ ა ზ ე და, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ო გ ებ ი ს ნ ო რ მ ებ ი ყ ვ ე ლ ა დ ა რ გ ა ში ს ა ვ ს ებ ი თ ე რ თ ნ ა ი ბ ი ნ ა ანდა განსხვავდებიან ერთიმეორისაგან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ განსხვავებას, დაინტერესებულ მხარეთა აზრით, აწონასწორებს რაიმე ნამდვილი ან წარმოსახვითი სარგებლობა, რასაც ძალი გაცვლის შედეგად შეიძენენ ან დაკარგავენ» (გვ. 83).

აქ, მაშასადამე, «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი» გაიგივებულია ხ ა რ ჯ თ ფ ა ს თ ა ნ, ე. ი. იმ ფასთან, რომლის დროსაც მოგების შეფარდება საქონელში მოთავსებულ დანახარჯთან ერთი და იგივეა

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სფეროებში კაპიტალების მიერ წარმოებულ საქონელთა თანაბარი ღირებულებანი შეიცავენ მეტად არათანაბარ ზედმეტ ღირებულებებს, მაშასადამე, არათანაბარ მოგებებსაც. იმისათვის, რომ ერთისა და იმავე მოგებას იძლეოდეს, ფასი, მაშასადამე, უნდა განსხვავდებოდეს საქონლის ღირებულებისაგან. მეორე მხრივ ტოლდიდი კაპიტალები აწარმოებენ მეტად არათანაბარი ღირებულების საქონელთ იმისდა მიხედვით, ძირითადი კაპიტალის უფრო მეტი თუ უფრო ნაკლები ნაწილი შედის საქონელში. მაგრამ ამაზე — კაპიტალების მიმოქცევის განხილვისას.

ამრიგად, კონკურენციის გამათანაბრებელი მოქმედება რიკარდოს გაგებული აქვს როგორც მარტოოდენ გადახრილობანი ფაქტიური ფასებისა, ანუ ფაქტიური საბაზრო ფასებისა, ხარჯთფასის, ანუ ღირებულებისაგან განსხვავებული «ბუნებრივი ფასის» ირგვლივ, — როგორც დაყვანა საბაზრო ფასებისა სხვადასხვა დარგში საერთო ხარჯთფასებზე, ე. ი. სწორედ იმ ფასებზე, რომლებიც განსხვავდებიან ნამდვილ ღირებულებათაგან წარმოების ამა თუ იმ დარგში:

«ამრიგად, ყოველი კაპიტალისტის მისწრაფება — ამოიღოს თავისი ფონდები ნაკლებ მოგებებიანი საქმიდან და მოთავსოს ისინი უფრო მომგებიან საქმეში შესაძლებლობას არ აძლევს საქონელთა საბაზრო ფასს დიდხანს დარჩეს მათს ბუნებრივ ფასზე ან ბევრად უფრო მაღლა ანდა ბევრად უფრო დაბლა. სწორედ ეს კონკურენცია ისე არეგულირებს საქონელთა საცვლელ ღირებულებას» { ასევე სხვადასხვა ნამდვილ ღირებულებებსაც» } «რომ მათ საწარმოებლად საჭირო შრომისათვის ხელფასის გასტუმრების შემდეგ და იმ ყველა დანარჩენი ხარჯების დაფარვის შემდეგ, რასაც გამოყენებული კაპიტალი საჭიროებს, რათა თავისი თავდაპირველი ეფექტიანობა შეინარჩუნოს, დარჩენილი ნაშთი ღირებულებისა, ანუ მისი ნამეტი, დახარჯული კაპიტალის ღირებულების პროპორციული იქნება ყოველ დარგში» (გვ. 84).

ეს სავსებით სწორია. კონკურენცია არეგულირებს ფასებს სხვადასხვა დარგებში ისეთნაირად, რომ ღირებულების ნაშთი, ანუ მისი ნამეტი, ე. ი. მოგება, შეესაბამება დახარჯული კაპიტალის ღირებულებას და არა საქონლის ნამდვილ ღირებულებას, არა ღირებულების ნამდვილ ნამეტს, რომელსაც საქონელი შეიცავს ხარჯების გამოკლების შემდეგ, ამ რეგულირების განხორციელებისათვის ერთი საქონლის ფასმა უნდა აიწიოს თავის შესაბამის ნამდვილ ღირებულებაზე უფრო მაღლა, მეორე საქონლის ფასმა კი უნდა დაიწიოს თავის შესაბამის

ნაშდვილ ლირიულებაზე უფრო დაბლა. კონკურენცია აიძულებს სა-ბაზრო ფასებს წარმოების სხვადასხვა დარგებში ტენდენციურად არა სა-ქონელთა ლირებულების ირგვლივ, არაუშუალოდ მათი ნაკუთვნების ირგვ-ლივ, ე. ი. საქონელში ფოთავსებულ დანახარჯთა ირგვლივ ეწოდეს ფა-ფების საერთო ნორმა

რიკარდო განიმარტავს:

«ახლანდელ სამდიდრეს» მე-7 თავში «ფასსა-ზეზეკავად არის განხილული ყველაფერი ის, რაც ამ საკითხს შეეხება» (§§. 84).

ფაქტობრივ, სწორედ სამეცნიერო ტრადიციის ინსტიტუციონალ-ურ ფენა აცდენს აქ რიკარდოს სწორ გზას.

რიკარდო ამტკიცებს ოთვს, ზეფულებრივ, ეს ეფუნქციებიდან, რომ შეიძლებოდა გამოკვლევაში იგი «ეფორტლად ეფუნქციონალად დატოვებულა» (§§. 85) საბაზრო ფასების ფენომენური ხასიათის ეფუნქციებს ნაკუთვნ ფასისაგან, მაგრამ იგი მხედველობიდან აშეშებდა, რომ სრულიად უეჭველია, დატოვა საბაზრო ფასების ფენომენი ეფუნქციონალ-ურ ფენა ნაკუთვნებზე, ეფუნქციონალ-ურ ფენა ნაკუთვნებზე, ხანონელიან ნაშდ-ვილ ლირებულებებზე და ლირებულება შეცვალა ნაკუთვნებით.

30-ე თავს ეწოდება «ფასებზე მწარმოებელ ნაწილის ფენ-ფენ მიწოდების გავლენის შესახებ».

ამ ფენომენ ეფ ფენ-ფენ ეფ ეფ ეფ

ლებასთან ერთად იცვლება მათი ხარჯთფასებიც. წარმოიქმნება «ბ ა ლ ი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი» (გვ. 460). თუ, მაგალითად, შუშას შეუძლია აწარმოოს 20 ქუდი იმ დროის განმავლობაში, რომელშიც იგი უწინ 10 ქუდს აწარმოებდა, და თუ ხელფასი ქუდის წარმოების ხარჯების ნახევარს შეადგენდა, მაშინ 20 ქუდის წარმოების ხარჯები, რამდენადაც ამ ხარჯებს ხელფასი შეადგენს, შემცირებულია სანახევროდ. ვინაიდან ახლა 20 ქუდის საწარმოებლად ისეთსავე ხელფასს იხდიან, რასაც უწინ 10 ქუდის საწარმოებლად ხდიდნენ. თვითეული ქუდი, მაშასადამე, ახლა შეიცავს ხელფასზე გაწეული წინანდელი ხარჯების მხოლოდ ნახევარს. თუ ფაბრიკანტი თავის ქუდებს უწინდელი ფასის კვალობაზე გაყიდდა, ის გაყიდდა [ათ] ხარჯთფასზე უფრო მეტად. თუ მოგება უწინ 10%-ს უდრიდა (რაც, ეარაუდის თანახმად, ქუდების გარკვეული რაოდენობის დასაბრუნებლად საჭირო დანახარჯი თავდაპირველად შეადგენდა 50-ს ნედლეულზე და ა. შ. და 30 — შრომაზე), ახლა იგი იქნებოდა [26⅔%], რადგან იმავე რაოდენობის ქუდების წარმოების ხარჯები შეადგენს ახლა 50-ს ნედლეულზე და ა. შ. და 25-ს — ხელფასზე. ამრიგად, თუ საქონელი უწინდელი ფასის კვალობაზე იყიდება, შეუძლია უნდა შეადგინოს ახლა 33⅓, ანუ 46⅔% ხალი «ბუნებრივი ფასი» დაიწევს, მაშასადამე, ღირებულების შემცირების გამო [ფენომენი], რომ ფასი მხოლოდ 10% შეგებას მოგვცემდა, ღირებულების, ანუ საქონლის წარმოებისათვის საჭირო საშუალო დროის, შეცვლა შეიძლება იმით, რომ საქონლის ი ნ ა ვ ე ს ტ ი ც ი ა ს ზ ე ნ ა ბ ა ზ ე ინახავენ უფრო ნაკლები საშუალო დრო, მაშასადამე, უფრო ნაკლები ფ ა ს გ ა ვ ა ნ ი ლ ი ს ა ბ ა ზ ი ს ა ა ნ ა ბ ა ზ ი, ნაკლები ნ ე ლ ფ ა ს ი, და რომ ამიტომ შემცირდება აგრეთვე ხელფასის ის ნაწილიც (ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ს ი დ ი დ ე ს ა ბ ა ზ ი, ეს ა რ გ ულ ა ს ბ ზ ო ბ ს ხ ე ლ ფ ა ს ი ს ნ ო რ მ ი ს შემცირებას), რომელსაც იწდიან პროპორციულად საქონლის ყ ო ვ ე ლ ი ე რ თ ე ულ ი ს წარმოებისათვის.

ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ ღირებულების ცვლილება თვით ქუდების წარმოებაში მოხდა. თუ ეს ნედლეულის ან შრომის იარაღების წარმოებაში მოხდებოდა, მაშინ ამ სფეროებში ეს გამოხატულებას ჰპოვებდა აგრეთვე პროდუქტის გარკვეული რაოდენობის საწარმოებლად საჭირო ხელფასის ხარჯების შემცირების სახით, ქუდების ფაბრიკანტისათვის კი ეს თავის გამოხატულებას ჰპოვებდა იმაში, რომ მისი მუდმივი კაპიტალი მისთვის უფრო ნაკლები ღირებულებისა.

ხარჯთფასებმა, ანუ «ბუნებრივმა ფასებმა» (რომელთაც სრულიად არავითარი საერთო არა აქვთ «ბუნებასთან») შეიძლება ორნაირად განიცადონ ცვლილება იმის გამო, რომ შეიცვლება — მოცემულ შემთხვევაში შემცირდება — საქონელთა ღირებულებანი:

ჯერ ერთი, როცა მცირდება საქონელთა მოცემული რაოდენობის საწარმოებლად დასახარჯი ხელფასი იმის შედეგად, რომ მცირდება საქონელთა ამ რაოდენობაზე დასახარჯი შრომის — როგორც ფასგადახდილის, ისე ფასგადაუხდელის — მთელი აბსოლუტური მასა;

მეორე, როცა შრომის გადიდებული ან შემცირებული ნაყოფიერების გამო (ერთიც შეიძლება მოხდეს და მეორეც: პირველი, როცა ცვალებადი კაპიტალი მცირდება მუდმივთან შედარებით; მეორე, როცა ხელფასი იზრდება საარსებო საშუალებათა გაძვირების შედეგად) იცვლება ზედმეტი ღირებულების შეფარდება საქონლის ღირებულებასთან ანდა ამ საქონელში მოთავსებული [ახლადმიმატებული] შრომით შექმნილ ღირებულებასთან; როცა, მაშასადამე, მაღლა იწევს ან ეცემა მოგების ნორმა; როცა იცვლება ის თანაფარდობა, რითაც [ახლადმიმატებული] შრომის მთელი მასა იყოფა ფასგადახდილ და ფასგადაუხდელ შრომად.

ამ უკანასკნელ გარემოებას მხოლოდ იმდენად შეეძლო გამოეწვია წარმოების ფასების, ანუ ხარჯთფასების, ცვლილება, რამდენადაც მათზე მოქმედებენ შრომის ღირებულებაში მომხდარი ცვლილებანი. პირველ შემთხვევაში შრომის ღირებულება იგივე რჩება. უკანასკნელ შემთხვევაში კი იცვლება არა საქონელთა ღირებულებანი, არამედ მარტოოდენ განაწილება [აუცილებელ] შრომასა და ზედმეტ შრომას შორის. მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც მოხდებოდა [შრომის] ნაყოფიერების ცვლილება, მაშასადამე, საქონლის ყოველი ერთეულის ღირებულების ცვლილებაც. ერთმა და იმავე კაპიტალმა ერთ შემთხვევაში უნდა აწარმოოს მეტი, მეორეში — ნაკლები, ვიდრე უწინ. საქონელთა მასას, რომლითაც ეს კაპიტალია წარმოდგენილი, ექნებოდა იგივე ღირებულება, მაგრამ ცალკეულ საქონელს ექნებოდა წინანდელისაგან განსხვავებული ღირებულება. მართალია ხელფასის ღირებულება არ განსაზღვრავს საქონელთა ღირებულებებს, მაგრამ (მუშათა მოხმარებაში შემავალ) საქონელთა ღირებულება განსაზღვრავს ხელფასის ღირებულებას.

რაკი მოცემულია საქონელთა ხარჯთფასები სხვადასხვა დარგებ-

ში, მათი ზრდა თუ დაცემა ერთიმეორესთან შეფარდებით ხდება საქონელთა ღირებულების ცვლილებასთან ერთად. თუ იზრდება შრომის ნაყოფიერება, ე. ი. მცირდება გარკვეული საქონლის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო და, მაშასადამე, ეცემა მისი ღირებულება — სულ ერთია, უკანასკნელ სტადიაში დახარჯული შრომის ნაყოფიერება იცვლება თუ იმ შრომისა, რომელსაც შეიცავს მოცემული საქონლის წარმოებისათვის საჭირო მუდმივი კაპიტალი, — მაშინ ამ საქონლის ხარჯთფასიც შესაბამისად უნდა დაეცეს. მასზე დახარჯული შრომის აბსოლუტური მასა შემცირდა, მაშასადამე, შემცირდა აგრეთვე ამ საქონელში მოთავსებული ფასგადახდილი შრომის მასაც, მასზე დახარჯული ხელფასის მასა, კიდევაც რომ ხელფასის ნორმა წინანდელი დარჩენილიყო. თუ საქონელი თავის ძველი ხარჯთფასის კვალობაზე გაიყიდებოდა, იგი მოგვცემდა უფრო დიდ მოგებას, ვიდრე მოგების საერთო ნორმაა, იმიტომ რომ უწინ ეს მოგება უდრიდა 10%-ს უფრო დიდი ხარჯების პირობებში. მაშასადამე, ახლა შემცირებული ხარჯებისას მოგება შეადგენდა 10%-ზე მეტს. პირიქით, როცა შრომის ნაყოფიერება ეცემა, საქონელთა ნამდვილი ღირებულება იზრდება. თუ მოცემულია მოგების ნორმა, ანუ, რაც იგივეა, თუ მოცემულია ხარჯთფასები, მაშინ ამ ფასების შეფარდებითი ზრდა ან დაცემა დამოკიდებულია საქონელთა ნამდვილი ღირებულების ზრდაზე თუ დაცემაზე, ამ ღირებულების ცვლილებაზე. ამ ცვლილების გამო ძველი ფასების ადგილას გამოდის ახალი ხარჯთფასები, ანუ, როგორც რიკარდო სმიტის მიხედვით ამბობს: «ახალი ბუნებრივი ფასები».

ზემოდასახელებულ 30-ე თავში რიკარდო სახელწოდებითაც კი აიგივებს «ბუნებრივ ფასს», ე. ი. ხარჯთფასს, «ბუნებრივ ღირებულებასთან», ე. ი. სამუშაო დროით განსაზღვრულ ღირებულებასთან:

«მათ ფასს» (შონოპოლიზებულ საქონელთა ფასს) «არავითარი აუცილებელი კავშირი არა აქვს მათს ბუნებრივ ღირებულებასთან: მაგრამ იმ საქონელთა ფასები, რომლებიც კონკურენციის მოქმედებას ექვემდებარებიან... საბოლოო ანგარიშით დამოკიდებული იქნება... მათი წარმოების ხარჯებზე...», (გვ. 465).

აქ, მაშასადამე, ხარჯთფასები, ანუ «ბუნებრივი ფასები», პირდაპირ [549] გაიგივებულია «ბუნებრივ ღირებულებასთან», ე. ი. «ღირებულებასთან».

ამ არევ-დარევით აიხსნება ის, თუ რატომ მოხდა, რომ რიკარდოს შემდეგ ბევრმა შემდგომდროინდელმა ვაჟბატონმა, თვით სეის მსგავსად, «წარმოების ხარჯები» ფასების უკანასკნელ რეგულიატორად

მიიჩნია, და თანაც ისე, რომ მათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონიათ სამეფო ლროით ღირებულების განსაზღვრაზე, უფრო მეტიც, პირდაპირ უარყოფდნენ კიდეც ამ განსაზღვრას და იმავე ლროს იცავდნენ «წარმოების ხარჯებს».

რიკარდოს ეს მარცხი და აქედან გამომდინარე ორასწორი გაცვლა მიწის რენტისა და ა. შ., ასევე არასწორი კანონი მოგების ნორმის შესახებ და ა. შ., იქიდან წარმოდგება, რომ რიკარდო არ გაანალიზებს ზედმეტ ღირებულებას მოგებისაგან და ხაზგასმით, დანარჩენი ეკონომისტების მსგავსად, უნებლად და გაუგებლად ეპყრობა ფორმის განსაზღვრებებს. თუ როგორ ხოლოდ ეს სიტის ტყვეობაში, ეს შემდგომიდან ჩანს. [549]

* * *

[XII — 636] (ბეგმონოთქვამს უნდა დოემატოს კიდევ შემდეგი შენიშვნა:

«რიკარდომ არ იცის არავითარი სხვა განსხვავება ლირ ვ ბ ულ ებ ასა და ა ბ უ ნ ებ ი ვ ფ ასს. ზოგიერთ გარდა იმ განსხვავებისა, რომ ბუნებრივი ფასი არის ღირებულების ფულადი გამოსახულება, ამასადამე, შეიძლება იცვლებოდეს ძვირფასი ლითონების ლირებულების ცვლილების შედეგად, თვით საქონლის ლირებულების შეცვლილობის პირობებში, ბუნებრივი ფასის ამგვარ ცვლილება უნდა მხოლოდ ღირებულების შეცვლაზეა მხოლოდ მის გამოხატულებას ეფუძნოთ. ასე, მაგალითად, ინგლისში ლებანა კობს:

«ფასი» (საბაზო ფასრობის) «რეგულირება შეიძლება მხოლოდ ბუნ ებ რივ ფ ასის ცვლილებით, და კი ბუ ნ ებ რ ივ ი ღ ირ ებ ულ ებ ის ცვლილებით, რომლის მიხედვითაც საქონლის წარმოება შეიძლება ცალკეულ ქვეყნებში, ბუნებრივი ფასის ამ ცვლილებას კი იწვევს ძვირფასი ლითონების განსაზღვრების ცვლილება» (ციტირ. თხზ., გვ. 402). [XII — 636]

[ბ. სმიტის ხარჯთფასის თეორია]

[1) სმიტის ხარჯთფასის თეორიის მცდარი წანამძღვრებენ. არამარტივიდევროა რიკარდოსი, რომელიც შეინარჩუნა ღირებულებისა და ხარჯთფასის სმიტისეული გაბნევა]

[XII — 549] ა. სმიტის შესახებ უნდა შევნიშნოთ ეფინარეს ყოვლისა, რომ მისი აზრითაც

«ჩვენამ არსებობს ზოგიერთი საქონელი, რომლის ფასი ორ ნაწილად იყოფა ნელფასად და კაპიტალის მოგებად» (წიგნი I, თავი 6, ტომი 1 [1802 წლის ფრანგული გამოცემა], გვ. 103).

განსხვავება სმიტსა და რიკარდოს შორის ამ საკითხში შეიძლება, მაშასადამე, აქ საგანთით უეჭველად დასტურდეს.

მას შემდეგ, რაც დასაწყისში სმიტმა ის შეხედულება განავითარა, რომ საცვლელი ღირებულება დაიყვანება ზრდომის გარკვეულ რაოდენობაზე და რომ ღირებულება, რასაც საცვლელი ღირებულება შეიცავს, ნედლეულისა და სხვ. გამოკლების შემდეგ, დიშლება ზრდომის იმ ნაწილად, რომელიც უნაზღაურდება მუშას, და ნაწილად, რომელიც მას ეკ უნაზღაურდება, ამასთან ეს აუნაზღაურებელი ნაწილნ დაანაწილებ მოგებად ან რენტად (მოგება კი, თავის მხრივ, შეიძლება დაანაწილონ მოგებად და საბანკოდ), — ამის შემდეგ იგი უეცარ ნაკეთობად იცვლის შეხედულებას და, საცვლელ იმისა, რომ საცვლელი ღირებულება დაშლილა ხელფასად, მოგებად და რენტად, შეაერთებს ამ ტრიადურ ფასებად ფასებად, რომლებიც საცვლელი ღირებულებაა ქმნიან, ანუ ეს ის, რაც ეკონომიკოსებმა საცვლელი ღირებულებად აღიარეს. ეს ბოლო ეტაპი ეკ. ეკ. ეკ.

ნ ო ბ ი დ ა ნ აღებულ მცდარ შეხედულებაზე, თითქოს საქონელთა საცვლელი ღირებულება წარმოიქმნება ხელფასის, მოგებისა და რენტის დამოუკიდებლად განსაზღვრულ ღირებულებათა შეკრების გზით. რიკარდო ყველგან იბრძვის ამ შეხედულების წინააღმდეგ, მაგრამ იღებს მ ა ს ზ ე დამყარებულ ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა დ ა ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ი ს, ა ნ უ «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი ს» არევას ან გაიგივებას, რასაც ა. სმიტთან ვხედავთ. სმიტის ეს არევა შეიძლება გავამართლოთ, რადგან მთელი მისი გამოკვლევა «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი ს» შესახებ გ ა მ ო დ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე მისი მეორე, მცდარი შეხედულებიდან. რიკარდოსთან კი იგი არაფრით არაა გამართლებული, რადგან რიკარდო არსად არ იღებს სმიტის ამ მცდარ შეხედულებას, არაშედ, პირიქით, ex professo უარყოფს მას როგორც არათანამიმდევრობას. მაგრამ სმიტმა მოახერხა რიკარდოს წამოგება ანკესზე «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი ს» მეოხებით.

მას შემდეგ, რაც სმიტმა საქონლის ღირებულება შ ე კ რ ი ბ ა მისგან დამოუკიდებლად განსაზღვრულ ხ ე ლ ფ ა ს ი ს, მ ო გ ე ბ ი ს ა დ ა რ ე ნ ტ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა გ ა ნ, იგი ეკითხება თავის თავს, როგორღა განისაზღვრება ეს ელემენტარული ღირებულებანი. აქ სმიტი ამოსავალ წერტილად იღებს მოვლენას და განიხილავს მას იმ სახით, რაც მას კონკურენციაში აქვს.

I წ ი გ ნ ი ს მ ე-7 თ ა ვ ი ს სათაურია «ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი ს ა დ ა მ ა თ ი ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ს შ ე ს ა ხ ე ბ».

«ყოველ საზოგადოებაში ანდა ყოველ ადგილას ა რ ს ე ბ ო ბ ს ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი, ანუ ს ა შ უ ა ლ ო, ნ ო რ მ ა ხელფასის, მოგებისა და რენტისათვის». ამ «საშუალო ნორმას შეიძლება ეწოდოს ხელფასის, მოგებისა და რენტის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ნ ო რ მ ა იმ დროისა და ადგილისათვის, როცა და სადაც ეს ნორმა საერთოდ ბატონობს». «თუ რომელმე საქონლის ფ ა ს ი სწორედ ისეთია, რომ იგი საკმარისია რენტის, ხელფასისა და მოგების გადასახდელად მათ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ნორმების შესაბამისად, მაშინ ეს საქონელი იყიდება მისი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი ს (natural price) მიხედვით» (გვ. 110 — 111).

ეს ბუნებრივი ფასი არის მაშინ საქონლის ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ი, ხარჯთფასი კი გაიგივებულია საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს თ ა ნ, რადგან უკვე ნაგულისხმევია, რომ საქონლის ღირებულება წარმოიქმნება ხელფასის, მოგებისა და რენტის ღირებულებათაგან.

«საქონელი [550] ასეთ შემთხვევაში ი ყ ი დ ე ბ ა ს წ ო რ ე დ ი მ ა დ, რ ა ც დ ი რ ს» (საქონელი მაშინ იყიდება თავისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით), «ანა» (ანს) «იმად, რაც ი გ ი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ უ ჯ დ ე ბ ა იმას, ვისაც იგი ბ ა ზ ა რ ზ ე გ ა ა ქ ვ ს»

(მისი ღირებულების ან ხარჯთფასის მიხედვით იმისათვის, ვისაც ეს საქონელი ბაზარზე გაავს), «რადგან, თუმცა ჩვეულებრივი სიტყვაა ხმარებისას, როცა საქონლის წარმოების ხარჯებზე ლაპარაკობენ, მათში არ შეაქვთ იმ ადამიანის მოგება, რომელიც მის მიერ წარმოებულ საქონელს ყიდის, მიუხედავად ამისა, ამ ადამიანს, უეჭველია, ზარალი მოუვიდოდა თავის საქმეში, თუ იგი თავის საქონელს ისეთ ფასში გაყიდდა, რომელიც მის ინდივიდუალისათვის ჩვეულ მოგებას არ აძლევს, იმიტომ რომ ამ მოგების მიღება მას შეეძლო, თუკი, თავის კაპიტალს რაიმე სხვა წესით გამოიყენებდა» (გვ. 111).

აქ ჩვენ გვაქვს «ბუნებრივი ფასის» წარმოქმნის მთელი ისტორია, თანაც კიდევ საკვსებით შესაბამისი ენით გამოხატული და საკვსებით შესაბამისი ლოგიკით აგებული. რადგან, სმიტის თანახმად, საქონლის ღირებულება წარმოიქმნება ხელფასის, მოგებისა და რენტის ფასებით, უკანასკნელთა ნამდვილი ღირებულება კი, თავის მხრივ, ამგვარადვე წარმოიქმნება, ამიტომ ცხადია, რომ იმ შემთხვევებში, როცა ისინი, თავიანთი ბუნებრივ დონეზე არიან, საქონლის ფასი მისი ხარჯთფასის იდენტურია, ხოლო ეს უკანასკნელი — საქონლის «ბუნებრივი ფასი». მოგების დონე, ე. ი. მოგების ნორმა, ისევე როგორც ხელფასის ნორმაც, ნავარაუდევია როგორც წინასწარ მოცემული რამ. ხარჯთფასის წარმოსაქმნელად ისინი, მართლაც, მოცემულია. მისთვის ისინი წანამძღვრებია. ამიტომ ცალკეულ კაპიტალისტსაც ისინი წარმოუდგება როგორც მოცემული. მას სრულიად არ აინტერესებს, როგორ, სად და რატომ ჩნდებიან ისინი. სმიტი აქ დგება იმ ცალკეული კაპიტალისტის, კაპიტალისტური წარმოების აგენტის თვალსაზრისზე, რომელიც თავისი საქონლის ხარჯთფასს აწესებს. ამდენი და ამდენი მიდის ხელფასზე და ა. შ., ამდენს კი შეადგენს მოგების საერთო ნორმა. Ergo *... ასე წარმოუდგება ამ კაპიტალისტს ის ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც დგინდება საქონლის ხარჯთფასი, ანუ, როგორც ეს იმას შემდგომ წარმოუდგება, საქონლის ღირებულება, ვინაიდან მან იცის აგრეთვე, რომ საბაზრო ფასი ხან უფრო დიდია, ხან კი ნაკლები ამ ხარჯთფასზე, რომელიც ამიტომ კაპიტალისტს წარმოუდგება საქონლის იდეალურ ფასად, მის აბსოლუტურ ფასად, განსხვავებით მისი ფასის რყევისაგან, მოკლედ — წარმოუდგება ღირებულებად, — რამდენადაც კაპიტალისტს საერთოდ ასეთ რამეებზე ფიქრისათვის დრო აქვს. და, კონკურენციის შუაგულში შესული,

* — მაშასადამე (ამ სიტყვით ჩვეულებრივ იწყება დასკვნა, რომელსაც ამა თუ იმ მოცემული წანამძღვრებიდან აკეთებენ). რედ.

სმიტი მყისვე იწყებს თავის მსჯელობათა დამახინჯებულად აგებას, ამ სტატისტიკურად შეპყრობილი კაპიტალისტის თავდასტური ლოგიკის შესაბამისად. იგი აყენებს საწინააღმდეგო მოსაზრებას: ყოველდღიურ ცხოვრებაში ხარჯებად კი მიაჩნიათ მოგება, რომელსაც გამყიდველი ღებულობს (და რომელიც აუცილებლად მისი დანახარჯის ნამეტს შეადგენს); რატომ შეგაქვს შენ მოგება ხარჯთაღრიცხვაში? ლორდ ლაუდერდეილ კაპიტალისტთან ერთად, რომელსაც ამ კითხვას ეუბნებიან, ა. სმიტი ასე პასუხობს:

„მოგება საერთოდ უნდა შედიოდეს ხარჯთაღრიცხვაში, რადგან მე მოგებულად ვიქნებოდი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხარჯთაღრიცხვაში შევიდოდა მოგება სულ მხოლოდ 9%-ის ოდენობით ხაცალად 10%-ის ნაცვლად[77].

ეს გვიდასტურებს, რომელიც სმიტი, ერთი მხრივ, საგანებს განიხილავს კაპიტალისტური წარმოების აგენტის თვალთახედვით და, გვიჩვენებს მათ საკუთარი ისე, როგორც ისინი ამ შეგანასნელს წარმოუდგებიან, ანალიზებულია, რაც ფორმალურ ისეთი მის პრაქტიკულ საქმიანობას განსაზღვრავენ, ანალიზებულია, ასევე, ეს ფორმა, გარეგნულად მიღებული ექნა, მაშინ, როდესაც სმიტი, მეორე მხრივ, ანალიზებულია მოვლენათა შეგრძნებაზე კაპიტალისტის ამ ფსიქიკის, ამ ფსიქიკის, ამ ფსიქიკის,

რედ, თუ არა ხელფასის, მოგების და რენტის ბუნებრივ ღირებულებათა ჯამი.

[551] დანარჩენში სმიტი, რაკი ეხი კონკურენციის თვალსაზრისზე დგება და მოგების ნორმას და ა. შ. მ ო ც ე მ ულ რ ა მ ე დ, გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს, სწორად აკეთარებს «ბ უ ნ ებ რ ი ვ ფ ა ს ს», ანუ ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს, სახელდობრ — ამ ხარჯთფასს საბაზრო ფასისაგან განსხვავებით.

«ბ უ ნ ებ რ ი ვ ი ფ ა ს ი», ანუ ერთობლივი დ ი ნ ებ ულ ებ ა რენტის, მოგების და ხელფასისა, რომელთა გადახდაც აუცილებელია, რათა იყო (საქონელი) ბაზარზე გაყვანილი.

«საქონლის ეს ხარჯთფასი განსხვავდება მისი «ფ ა ქ ტ ი ურ ი ფ ა ს ი ს ა გ ან», ანუ «ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ს ა გ ან» (გვ. 112). უკანასკნელი დამოკიდებულია მოთხოვნისა და მიწოდებაზე.

საქონლის წ ა რ მ ო ებ ის ხ ა რ ჯ ებ ი, ანუ ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ი, არის სწორედ ე რ თ ი ო ბ ლ ივ ი ღ ი ნ ებ ულ ებ ა «რენტის, ხელფასისა და მოგებისა», რომელთა გადახდაც აუცილებელია, რათა ეს საქონელი ბაზარზე გავიდეს. თუ მდთხოვნა და მიწოდება ერთიმეორესთან შესაბამისობაშია, «საბაზრო ფასი» უდრის «ბუნებრივ ფასს».

«თუ ეს ფასი [illegible] [illegible] [illegible]

დ ა ს ხ ვ ა საქონელთა საბაზრო ფასების გათანატოლება ხარჯთფასთან აქ ჯერ კიდევ ქაოტურადაა ერთიმეორესთან გადახლართული.

სმიტი აქ სრულიად გაკვრით ეხება საკითხს «ბუნებრივ ფასებზე», ანუ ხარჯთფასებზე საქონელთა ნამდვილი ღირებულების ცვალებადობის გავლენის შესახებ.

სახელდობრ, იგი ამბობს:

მიწათმოქმედებაში «შრომის ერთი და იგივე რაოდენობა სხვადასხვა წელს საქონლთა მეტად სხვადასხვა რაოდენობას აწარმოებს, მაშინ როდესაც წარმოების სხვა დარგებში იგი ყოველთვის ერთსა და იმავე ანდა თითქმის ერთსა და იმავე რაოდენობას აწარმოებს. მუშების ერთმა და იმავე რაოდენობამ მიწათმოქმედებაში სხვადასხვა წელს პურის, ღვინის, მცენარეული ზეთის, სვიის და სხვ. მეტად სხვადასხვა რაოდენობა უნდა აწარმოოს. მაგრამ მრთველთა და მქსოველთა ერთი და იგივე რიცხვი ყოველ წელს ტილოს ან მაუდის ერთსა და იმავე ანდა თითქმის ერთსა და იმავე რაოდენობას აწარმოებს... წარმოების სხვა დარგებში» (არა მიწათმოქმედებაში), «ს ა დ ა ც შ რ ო მ ი ს თ ა ნ ა ბ ა რ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა თ ა პ რ ო დ უ ქ ტ ი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს თ ა ნ ა ბ ა რ ი ან თითქმის თანაბარი რჩ ე ბ ა» (ვ. ი. სანამ წარმოების პირობები ე რ თ ი დ ი გ ი ვ ე რჩება), «იგი შეიძლება უფრო ზუსტად შეესაბამებოდეს ნამდვილ მოთხოვნას» (გვ. 117 — 118).

აქ სმიტი ხედავს, რომ «შრომის თანაბარ რაოდენობათა» ნაყოფიერების უბრალო ცვლილება — მაშასადამე, საქონელთა ნამდვილი ღირებულების ცვლილება ცვლის ხარჯთფასებს. იგი ამას კვლავ აუგვანოებს, როცა მთელი საქმე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებულ თანაფართობაზე დაჰყავს. მისივე საკუთარი მსჯელობის თანახმად, საკითხის ასე გაგება არაა სწორი. ვინაიდან თუ მიწათმოქმედებაში «შრომის თანაბარი რაოდენობანი» ამინდის და სხვ. პირობების გამო პროდუქტთა სხვადასხვა რაოდენობას იძლევიან, მაშინ სმიტმა ხომ თვითონ გვიჩვენა, თუ როგორ იძლევიან «შრომის თანაბარი რაოდენობანი» მანქანების, შრომის დანაწილებისა და სხვ. მეთხებით პროდუქტის მეტად სხვადასხვა რაოდენობას აგრეთვე მრეწველობაშიც და ა. შ. ამრიგად, ა მ ა შ ი რ როდია განსხვავება მიწათმოქმედებასა და წარმოების სხვა დარგებს შორის. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ერთ შემთხვევაში «მწარმოებლური ძალა» გამოიყენება «წინასწარ განსაზღვრული ოდენობით», მეორე შემთხვევაში კი იგი დამოკიდებულია ბუნების შემთხვევითობაზე. მაგრამ შედეგად რჩება ის, რომ ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ა, ანუ შრომის ის რაოდენობა, რომელიც უნდა დაიხარჯოს, შრომის ნაყოფიერების მიხედვით, ამა თუ იმ მოცემულ საქონელთა წარმოებაზე, ცვლის ამ საქონელთა ხარჯთფასს.

ა. სმიტის ქვემომოყვანილი დებულება უკვე შეიცავს იმ აზრსაც,

რომ კაპიტალის გადასვლა წარმოების ერთი დარგიდან მეორეში ამ-ყარებს ხარჯთფასს სხვადასხვა დარგებში. მაგრამ სმიტს ეს ისე ნათ-ლად არა აქვს გამოთქმული, როგორც რიკარდოს. ვინაიდან [552] საქონლის ფასი მის «ბუნებრივ ფასზე» უფრო დაბლა ეცემა, ეს ხდება, სმიტის მსჯელობის თანახმად, იმიტომ, რომ ამ ფასის ერთ-ერთი ელემენტი ბუნებრივ დონეზე, ანუ ბუნებრივ ნორმაზე, უფრო დაბლა ეცემა. ამიტომ [საქონლის ფასის ასეთი დაცემა ისპობა] არა მარტოოდენ კაპიტალების მიქცევით, ანუ მათი გადაადგილებით, არამედ იმით, რომ ან შრომა, ან კაპიტალი, ანდა მიწა ერთი დარგიდან მეორეში გადადის. აქ სმიტის შეხედულე-ბა უფრო თანამედროვეულია, ვიდრე რიკარდოსი, მაგრამ მცდარია.

«ამ ფასის» (ბუნებრივი ფასის) «რომელი ნაწილიც არ უნდა ნაზღაურდებოდეს თავის ბუნებრივ ნორმაზე დაბლა, ის ადამიანები, რომელთა ინტერესებიც ამით ილახება, მალე შეამჩნევდნენ თავიანთ ზარალს და დაუყოვნებლივ ამოიღებდნენ წარმოების ამ მოცემული დარგიდან იმდენ მიწას ან შრომას ანდა კაპიტალს, რომ ბაზარზე გატანილი ამ საქონლის რაოდენობა მალე საკმარისი აღმოჩნდებოდა მხოლოდ ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, ამ საქონლის საბაზრო ფასი მალე აიწევს მისი ბუნებრივი ფასის დონემდე; ყოველ შემთხვევაში ეს მოხდება იქ, სადაც სრული თავისუფლება ბატონობს» (გვ. 125).

აქ სმიტსა და რიკარდოს შორის არსებით განსხვავებას «ბუნებ-რივ ფასზე» დაყვანის გაგება იწვევს. სმიტის გაგება ემყარება მის მცდარ ვარაუდს, თითქოს სამი აღნიშნული ელემენტი დამოუკიდებ-ლად განსაზღვრავს საქონლის დირებულებას, მაშინ როდესაც რი-კარდოს გაგება იმ სწორ ვარაუდს ემყარება, რომ ხარჯთფასებს ამ-ყარებს მხოლოდ მოგების საშუალო ნორმა (როცა ხელფასი მოცემულია).

[2) სმიტის თეორია ხელფასის, მოგებისა და რენტის «ბუნებრივი ნორმის» შესახებ]

«ბუნებრივი ფასი» თვით იცვლება თვითეული მისი შემადგენელი ნა-წილის — ხელფასის, მოგებისა და რენტის — ბუნებრივი ნორმის შეცვ-ლასთან ერთად» (გვ. 127).

და აი სმიტი ცდილობს პირველი წიგნის 8, 9, 10 და 11 თავებში განსაზღვროს «ბუნებრივი ნორმა» ამ «ფასის შემადგენელი ნაწილები-სა»—ხელფასის, მოგების და რენტისა—და ამ ნორმის ცვლილებანი.

მე-8 თავის სათაურია «ხელფასის შესახებ».

ამ თავის დასაწყისში, რომელიც ხელფასს ეხება, სმიტი ტოვებს

კონკურენციის ილუზორულ თვალსაზრისს და ანალიზს უკეთებს უწინარეს ყოვლისა ზედმეტი ღირებულების ნამდვილ ბუნებას, მოგებას და რენტას განიხილავს როგორც მარტოოდენ ზედმეტი ღირებულების ფორმებს.

ხელფასის განხილვისას სმიტს აქვს მტკიცე ამოსავალი პუნქტი ამ ხელფასის «ბუნებრივი ნორმის» განსასაზღვრავად, სახელდობრ-- თვით სამუშაო ძალის ღირებულება: აუცილებელი ხელფასი.

«ადამიანი იძულებულია თავისი შრომით იარსებოს, და მისი ხელფასი, სულ ცოტა, საკმარისი უნდა იყოს მისი არსებობისათვის. ეს ხელფასი უმრავლეს შემთხვევაში რამდენადმე უნდა აღემატებოდეს კიდეც ამ დონეს, რადგან სხვანაირად მუშისათვის შეუძლებელი იქნებოდა ოჯახის რჩენა, და ამ მუშების რასა ამოწყდებოდა პირველსავე მოდგმაში» (გვ. 136).

მაგრამ სმიტის ეს დებულება, მეორე მხრივ, კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას, იმიტომ რომ სმიტი არც ერთხელ არ უსვამს თავის თავს კითხვას, თუ რით განისაზღვრება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულება, ე. ი. არ აყენებს კითხვას იმის შესახებ, თუ რით განისაზღვრება საერთოდ საქონლის ღირებულება. და რადგან სმიტმა მიატოვა თავისი ძირითადი შეხედულება, იგი იძულებულია აქ თქვას: შრომის საზღაურის ფასი განისაზღვრება საარსებო საშუალებათა ფასით, საარსებო საშუალებათა ფასი კი განისაზღვრება შრომის საზღაურის ფასით. რაკი წინასწარ ფიქსირებულია, სმიტი შემდეგ ზუსტად აგვიწერს მის რყევას იმ სახით, რა სახითაც იგი კონკურენციაში მეღავნდება, და იმ გარემოებებს, რომლებიც ამ რყევას იწვევენ. ეს ეკუთვნის [სმიტის შეხედულებათა] ეგზოტერიულ ნაწილს და ჩვენ აქ სრულიად არ გვეხება.

განსაკუთრებით სმიტი აგვიწერს კაპიტალის «ზრდის» (დაგროვების) გავლენას [ხელფასზე], მაგრამ არ გვეუბნება, რით არის ეს ზრდა გამოწვეული. ამ «ზრდას» შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ორ შემთხვევაში: ან იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის ნორმა შეფარდებით დაბალია, შრომის ნაყოფიერება კი — დიდი (ამ შემთხვევაში ხელფასის გადიდება ყოველთვის შედეგია მისი დაბალი დონისა მთელი წინა დროის განმავლობაში), ანდა იმ შემთხვევაში, თუ დაგროვების ნორმა დაბალია [ე. ი. დაბალია მოგების ნორმა], მაგრამ შრომის ნაყოფიერება დიდია. პირველ შემთხვევაში სმიტს, თავისი თვალსაზრისის თანახმად, ხელფასის ნორმა უნდა გამოეყვანა მოგების ნორმიდან (ე. ი. ხელფასის ნორმიდან), მეორე შემთხვევაში

კი — მოგების მასიდან. მაგრამ აქ კვლავ აუცილებელი იქნებოდა საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გამოკვლევა.

სმიტს უნდა საქონლის ღირებულება გამოიყვანოს შრომის — როგორც ერთ-ერთი მისი შემადგენელი ნაწილის — ღირებულებიდან. ხელფასის სიმაღლე კი მას გამოჰყავს, მეორე მხრივ, იქიდან, რომ

«ხელფასი... არ მისდევს პროდუქტების ფასების რყევას» (გვ. 149) და რომ «ხელფასი სხვადასხვა ადგილას ერთიმეორისაგან უფრო მეტად განსხვავდება, ვიდრე საკვები პროდუქტების ფასები» (გვ. 150).

ფაქტიურად მთელი ეს თავი არაფერს ისეთს არ შეიცავს, რაც საქმეს ეხება, გარდა ხ ე ლ ფ ა ს ი ს მ ი ნ ი მ უ მ ი ს, alias * საშუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრისა. შემდეგ სმიტი ინსტინქტურად ხელახლა აყენებს უფრო ღრმა შეხედულებას, მერმე კი კვლავ ტოვებს მას, ისე რომ ზემოხსენებული განსაზღვრაც კი მასთან არაფერს არ ნიშნავს. მართლაც, რით აიხსნება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, მაშასადამე, საერთოდ საქონელთა ღირებულება? ნაწილობრივ «შრომის ბუნებრივი ფასით». და ეს უკანასკნელი რით განისაზღვრება? საარსებო საშუალებათა ანუ საერთოდ საქონელთა ღირებულებით. ეს არის უბადრუკი ტრიალი წრეში, რომლიდანაც გამოსავალი არაა. დანარჩენში ეს თავი ერთ სიტყვასაც არ შეიცავს თვით საგნის შესახებ, «შ რ ო მ ი ს ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი ს» შესახებ, [533] იგი შეიცავს მხოლოდ გამოკვლევას «ბუნებრივ ნორმაზე» მაღლა ხელფასის აწევის შესახებ, სახელდობრ — კაპიტალის დაგროვების სისწრაფის, მისი მზარდი დაგროვების შესაბამისად. შემდეგ გამოკვლეულია საზოგადოების სხვადასხვა მდგომარეობა, სადაც ამას ადგილი აქვს, დასასრულ კი სმიტი პირდაპირ ლახვარს სცემს საქონლის ღირებულების განსაზღვრას ხელფასით, ხელფასისას კი — აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებით და ამტკიცებს, ინგლისში ამას, როგორც ჩანს, ადგილი არა აქვსო. აქვე — რადგან ხელფასი განისაზღვრება იმ საშუალებათა რაოდენობით, რაც აუცილებელია არა მარტო არსებული მოსახლეობის სიცოცხლისათვის, არამედ მისი კვლავწარმოებისათვის, — მოცემულია მალთუსისეული მოსახლეობის თეორიის მსგავსი რაღაც.

სახელდობრ, მას შემდეგ, რაც ა. სმიტი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ხელფასი XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით ინგლისში, გ ა-

* — სხვანაირად რომ ეთქვათ. რ ე დ.

დ ი დ დ ა, იგი აყენებს საკითხს, შეიძლება თუ არა ეს ჩავთვალოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო თუ საზიანო მოვლენად» (გვ. 159). ამასთან დაკავშირებით იგი შემდეგ ისევ უბრუნდება გაკვრით თავის უფრო ღრმა შეხედულებას, რომლის თანახმად მოგება და რენტა — უბრალოდ ნაწილებია, რომლებიც მუშის შრომის პ რ ო დ უ ქ ტ ი-დ ან მიიღება. მუშები, ამბობს იგი,

«ჯერ ერთი, შეადგენენ საზოგადოების დიდ უმრავლესობას. და განა შეიძლება ოდესმე ჩავთვალოთ მთელისათვის საზიანოდ ის, რაც ამ მთელის უფრო დიდი ნაწილის ხვედრს აუმჯობესებს? საზოგადოება, უეჭველია, არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ბედნიერი და წარმატების მქონე, თუ საზოგადოების წევრთა უდიდესი ნაწილი ღარიბი და უბედური რჩება. გარდა ამისა, უბრალო სამართლიანობა მოითხოვს, რომ მათ, ვინც მ თ ე ლ ე რ ს ქვეშაგს, მოსავს და ბინებით უზრუნველყოფს, ი ს ე თ ი წ ი ლ ი ჰქონდეთ თ ა ვ ი ა ნ თ ი ს ა კ უ თ ა რ ი შ რ ო მ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ შ ი, რომელიც ყოველ შემთხვევაში ს ა კ მ ა რ ი ს ი იქნებოდა იმისათვის, რომ თვით მათ მოეპოვებოდეთ რიგიანი საკმელი, ტანსაცმელი და ბინა» (გვ. 159 — 160).

ამასთან დაკავშირებით ეხება სმიტი მოსახლეობის თეორიას.

«თუმცა სიღარიბე, ეჭვს გარეშეა, თავს აკავებინებს მსურველებს დაქორწინებისაგან, იგი მაინც ყოველთვის როდი ხდის შეუძლებელს ქორწინებას; იგი თითქოს ხელსაც კი უწყობს გამრავლებას... უნაყოფობა, რაც ესოდენ ხშირი მოვლენაა მაღალი საზოგადოების ქალებში, მეტად იშვიათად გვხვდება დაბალი მდგომარეობის ქალებში... მაგრამ თუ სიღარიბე ხელს არ უშლის ბავშვთა დაბადებას, იგი ძლიერ აძნელებს მათ აღზრდას. ნაწი მცენარე აღმოცენდა, მაგრამ ისეთ ცივ ნიადაგზე და ისე ფაცარ ჰაეაში, რომ იგი მალე ჭკნება და იღუპება... ცხოველთა ყოველი სახეობა ბუნებრივად მრავლდება მისთვის მოცემულ საარსებო საშუალებათა რაოდენობის შესაბამისად, და არც ერთ სახეობას ამ საზღვრების იქით გამრავლება არ შეუძლია. მაგრამ ცივილიზებულ საზოგადოებებში საარსებო საშუალებათა ნაკლებობას შეუძლია ზღვარი დაუდოს ადამიანთა მოდგმის შემდგომ გამრავლებას ხალხის მხოლოდ დაბალ კლასებზე. მ ო თ ხ ო ვ ნ ა ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს ა ძ ლ ა უ ნ ებ უ რ ა ვ ა ა რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ს ა დ ა მ ი ა ნ თ ა წ ა რ მ ო ე ბ ა ს სავსებით ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს ყოველი სხვა საქონლის მიმართ; ეს მოთხოვნა აჩქარებს ადამიანთა წარმოებას, როცა იგი ძლიერ ნელა მიმდინარეობს, და აფერხებს მას, როცა იგი ძლიერ ჩქარა მიდის...» (გვ. 160 — 163).

ხელფასის მინიმუმის კავშირი საზოგადოების სხვადასხვა მდგომარეობასთან ასეთია:

«ხელფასი, რასაც დღიურ მუშებს და ყოველგვარ მსახურებს უხდიან, საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ, საერთოდ და მთლიანად, გ ა მ-რ ა ვ ლ ე ბ ა იმის შესაბამისად, ძლიერდება, კლებულობს თუ უცვლელი რჩება მათი მოთხოვნა საზოგადოების მხრივ» (გვ. 164).

სმიტი გვიჩვენებს შემდეგ, რომ მონა «უფრო ძვირი» ჯდება თავისუფალ მუშაზე, იმიტომ რომ ეს უკანასკნელი თ ვ ი თ ო ნ წ ინ-

დახედულად ადევნებს თვალყურს თავის «გაცვეთას», მაშინ როდესაც პირველის მიმართ ზრუნვა ამ «გაცვეთის» ანაზღაურებაზე «არასაკმაოდ ყურადღებიან პატრონს» ანდა დაუდეკარ ზედამხედველს» აკისრია (გვ. 163 და შემდ.). «გაცვეთის» ასანაზღაურებელ «ფონდს» მუშა ხარჯავს «ყაირათიანად», მაშინ როდესაც მონასთან იგი უწესრიგო გამგებლობის შედეგად იფლანგება.

«ფონდი, განკუთვნილი იმისათვის, რომ აანაზღაუროს, ასე ვთქვათ, მონის ძალონის ის გაცვეთა, რაც მისი ხანგრძლივი სამსახურის შედეგია, ჩვეულებრივ არასაკმაოდ ყურადღებიანი პატრონის ანდა დაუდეკარი ზედამხედველის გამგებლობაშია. პირიქით, ფონდს, რომელიც იმავე მიზანს ემსახურება თავისუფალ მუშასთან, ეკონომიურად განაგებს თვით მუშა. პირველი ფონდის გამგებლობაში ბუნებრივად იჩენს თავს უწესრიგობა, გაბატონებული ჩვეულებრივ მდიდარი ადამიანების მეუფრნეობაში; ღარიბის მკაცრ თავშეკავებულობას და ყაირათიან მომჭირნეობას ასევე ბუნებრივად ადგილი აქვს მეორე ფონდის გამგებლობაში» (გვ. 164).

ხელფასის, ანუ «შრომის ბუნებრივი ფასის», მინიმუმის განსაზღვრაში შედის ის, რომ ეს ფასი თავისუფალ დაქირავებულ მუშასთან უფრო დაბალია, ვიდრე მონასთან. ეს აზრი გამოსქვივის სმიტთან:

«თავისუფალ ადამიანთა შრომა უფრო იაფი ჯდება, საბოლოო ანგარიშით, ვიდრე მონების შრომა» (გვ. 165). «თუ შრომის უხვი ანაზღაურება ეროვნული სიმდიდრის ზრდის შედეგია, მაშინ იგი მოსახლეობის ზრდის მიზეზიც ხდება. უმიოდე შრომის უხვ ანაზღაურებას [554] — ეს ნიშნავს უკმაყოფილო იყო იმით, რაც ერთსა და იმავე დროს უდიდესი საზოგადოებრივი კეთილდღეობის შედეგიც არის და მიზეზიც» (გვ. 165).

სმიტი შემდეგ იცავს მაღალ ხელფასს:

იგი «არა მარტო სტიმულს აძლევს მოსახლეობის ზრდას», არამედ «მდაბიო ხალხის შრომისმოყვარეობასაც ადიდებს. ხელფასი არის წყალუზება შრომისმოყვარეობისა, ეს უკანასკნელი კი, ისევე როგორც ადამიანის ყოველი სხვა თვისება, სრულყოფილი ხდება იმ სტიმულის შესაბამისად, რომელიც მას ეძლევა. უხვი კვება ადიდებს მუშის ფიზიკურ ძალას, მისი გამამხნევებელი იმედი კი თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისა... აიძულებს მას უკიდურესობამდე დაძაბოს თავისი ძალღონე. ამიტომაც ჩვენ ვხედავთ, რომ იქ, სადაც ხელფასი მაღალია, მუშები უფრო ენერგიულნი, უფრო ბეჯითნი და უფრო მარდნი არიან, ვიდრე იქ, სადაც ხელფასი დაბალ დონეზეა (გვ. 166).

მაგრამ მაღალი ხელფასი იმისკენაც უბიძგებს მუშებს, რომ ზედმეტად დაძაბონ და ნაადრევად გამოიყვანონ მწყობრიდან თავიანთი სამუშაო ძალა:

«მუშებს, რომლებიც მაღალ ცალობრივ ხელფასს ღებულობენ, მიღრეკილება აქვთ ზომაზე მეტად იმუშაონ და თავიანთი ჯანმრთელობა და ღონე რამდენიმე

წლის განმავლობაში შეარყიონ» (გვ. 166 — 167). «მეპატრონენი რომ ყოველთვის ყურს უგდებდნენ გონებისა და ადამიანობის ღაღადს, მაგ ხშირად ექნებოდათ ამის საფუძველი, რომ ბევრი თავიანთი მუშის გულმოდგინება კი არ წაიხალისებინათ, არამედ შეენელებინათ» (გვ. 168). შემდეგ სმიტი იღაშქრებს ამ მტკიცეების წინააღმდეგ, რომ «ზედმეტ კეთილდღეობას შეუძლია მუშების გაზარმაცებაო» (გვ. 169).

სმიტი იკვლევს შემდეგ, მართალია თუ არა, რომ მოსავლიან წლებში მუშები უფრო ზარმაცნი არიან, ვიდრე მოუსავლიან წლებში, იგი არკვევს აგრეთვე, საერთოდ რა თანაფარდობა არსებობს ხელფასსა და საქონელთა ფასს შორის. აქ ის კვლავ ვარდება არათანამიმდევრობაში:

«შრომის ფულადი ფასი აუცილებლად განისაზღვრება ორი გარემოებით: შრომის მოთხოვნით და აუცილებელ საარსებო საშუალებათა და კეთილმოწყობილობის საგანთა ფასებით... შრომის ფულადი ფასი განისაზღვრება ფულის ჯამით, რომელიც საჭიროა გარკვეული რაოდენობის საგნებისა (საარსებო საშუალებათა და კეთილმოწყობის საგნების) «საყიდლად» (გვ. 175).

შემდეგ სმიტი იკვლევს, რატომ შეიძლება — შრომის მოთხოვნასთან დაკავშირებით — ხელფასი დიდდებოდეს მოსავლიან წლებში და მცირდებოდეს მოუსავლიან წლებში (გვ. 176 და შემდგომი).

კარგსა და ცუდ წლებში [ხელფასის აწევისა და დაწევის] მიზეზები აბათილებენ ერთიმეორეს.

«ნაკლებობა სიძვირის წლებში ამცირებს შრომის მოთხოვნას და ტენდენციაა აქვს დასწიოს შრომის ფასი, მაშინ როდესაც საარსებო საშუალებათა მაღალ ფასს მისი გადიდების ტენდენცია აქვს. პირიქით, სიიაფის წლებში სიუხვე ადიდებს შრომის მოთხოვნას და ტენდენცია აქვს გაადიდოს შრომის ფასი, მაშინ როდესაც საარსებო საშუალებათა სიიაფე ამ ფასის შემცირებას იწვევს. საარსებო საშუალებათა ფასების რყევის დროს ეს ორი საპირისპირო მიზეზი, ეტყობა, აწონასწორებს ერთიმეორეს; ეს, ალბათ, ნაწილობრივ გვიხსნის კიდეც იმას, თუ რატომ არის ხელფასი ყველგან გაცილებით უფრო მყარი და მუდმივი, ვიდრე საარსებო საშუალებათა ფასი» (გვ. 177).

დასასრულ, ყველა ამ ზიგზაგის შემდეგ, სმიტი კვლავ უპირისპირებს შეხედულებას ხელფასზე, როგორც საქონელთა ღირებულების წყაროზე, თავის თავდაპირველ, უფრო ღრმა შეხედულებას, რომ საქონელთა ღირებულება განისაზღვრება შრომის რაოდენობით და რომ თუ კარგ წლებში ანდა კაპიტალის ზრდის დროს მუშა მეტ საქონელს იღებს, სამაგიეროდ იგი ამ საქონელთა უფრო მეტ რაოდენობასაც აწარმოებს, ანდა რომ ცალკეული საქონელი ასეთ შემთხვევაში შრომის ნაკლებ რაოდენობას შეიცავს. მაშასადამე, მუშას შეუძლია საქონელთა მეტი რაოდენობა მიიღოს მაშინაც, როცა სა-

ქონელთა ღირებულება უფრო მცირეა, და ამრიგად, — ეს ლოგიკური დასკვნაა, — მოგება შეიძლება იზრდებოდეს, მიუხედავად აბსოლუტური ხელფასის გადიდებისა:

«ხელფასის გადიდება აუცილებლად ადიდებს ბევრი საქონლის ფასს მ ა ო ი ფ ა ს ი ს ი მ ნ ა წ ი ლ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ი თ, რ ო მ ე ლ ი ც ხ ე ლ ფ ა ს ს ზ ე დ ა ი ყ ვ ა ნ ე ბ ა, და ამდენად მას ტენდენცია აქვს შეამციროს ამ საქონელთა მოხმარება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. მაგრამ იმავე მიზეზს, რომელიც ხელფასის გადიდებას იწვევს, სახელდობრ კაპიტალების ზრდას, ტენდენცია აქვს გაადიდოს შრომის მწარმოებლური ძალა, ასე რომ შრომის უფრო მცირე რაოდენობას შეუძლია პროდუქტის უფრო მეტი რაოდენობა აწარმოოს»... შრომის დანაწილება, მანქანების გამოყენება, გამოგონებანი და ა. შ. ... «ყველა ამ გაუმჯობესების შედეგად ახლა შესაძლებელი ხდება ძლიერ ბევრი საქონლის წარმოება გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ი შ რ ო მ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ, ვ ი დ რ ე უ წ ი ნ, ა ს ე რ ო მ ა მ შ რ ო მ ი ს ფ ა ს ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა ს მ ი ს ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა ა რ ა მ ა რ ტ ო ა წ ო ნ ა ს წ ო რ ებ ს, ა რ ა მ ე დ კ ი დ ე ვ ა ც გ ა დ ა ა ჭ ა რ ბ ებ ს» (გვ. 177 — 178).

შრომა უკეთ ნაზღაურდება, მაგრამ ყოველი ცალკეული საქონელი უფრო ნაკლებ შრომას შეიცავს; მაშასადამე, ასანაზღაურებელია შრომის უფრო ნაკლები რაოდენობა. ასე უარყოფს სმიტი თავის მცდარ თეორიას, რომლის მიხედვით საქონლის ღირებულებას განსაზღვრავს ხელფასი როგორც ღირებულების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, ან, უფრო სწორად, სმიტი აქ აბათილებს ამ მცდარ თეორიას, აწონასწორებს მას თავისი სწორი თეორიით, რომლის თანახმად საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასში მოთავსებული შრომის რაოდენობით.

[555] მე-9 თავის სათაურია «კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ო გ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ».

აქ, მაშასადამე, უნდა განისაზღვროს «ბუნებრივი ნორმა» მეორე ელემენტისა, რომელიც მონაწილეობს საქონელთა «ბუნებრივი ფასის», ა ნ უ ღირებულების განსაზღვრასა და შედგენაში. ის, რასაც სმიტი მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ი ს დ ა ც ე მ ი ს მიზეზზე ლაპარაკობს (გვ. 179, 189, 190, 193, 196, 197 და ა. შ.,) განსახილველია შემდეგში *.

აქ სმიტი დიდ გასაჭირშია. ის ამბობს, რომ უკვე ხელფასის «საშუალო ნორმის» განსაზღვრა დაიყვანება მხოლოდ იმაზე, რომ ეს არის «ხელფასის ჩვეულებრივი დონე» (გვ. 179), ხელფასის ფაქტიურად მოცემული დონე.

«მ ა გ რ ა მ ე ს ე ც კ ი ი ზ ვ ი ა თ ა დ თ უ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ო გ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ» (გვ. 179). გარდა მეწარ-

* იხ. ეს ტომი, ნაწ. II, გვ. 586 და 627 — 628. რ ე დ.

მის ბედისა თუ უბედობისა, «ეს მოგება დამოკიდებულია საქონელთა ფასის ყოველ ცვლილებაზე» (გვ. 180).

ნამდვილად კი ამ საქონელთა «ბუნებრივი ფასი» უნდა განვსაზღვროთ სწორედ «მოგების ბუნებრივი ნორმის» — როგორც «ღირებულების» ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის — მეოხებით. მოგების საშუალო ნორმის განსაზღვრა ძნელია უკვე ცალკეულ დარგში ცალკეული კაპიტალისტისათვის.

«კიდევ უფრო ძნელი უნდა იყოს საშუალო მოგების განსაზღვრა მეურნეობის ყველა მრავალნირ დარგში, რომლებიც ვრცელ სამეფოში არსებობენ» (გვ. 180).

მაგრამ «კაპიტალის საშუალო მოგებაზე» შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ «ფ უ ლ ა დ ი ს ა რ გ ებ ლ ი ს ს ი მ ა ღ ლ ი ს მიხედვით»:

«შეიძლება იმ პრინციპის დადგენა, რომ იქ, სადაც რაიმე საქმეში ფულის დაბანდებით დიდი მოგების მიღება შეიძლება, ჩვეულებრივ ბეგრს იძლევიან ფულით სარგებლობისათვის, იქ კი, სადაც ცოტა მოგების მიღება შეიძლება, ფულით სარგებლისათვის ჩვეულებრივ ნაკლებს იხდიან» (გვ. 180 — 181).

სმიტი არ ამბობს, რომ სარგებლის ნორმა მოგების ნორმას განსაზღვრავს. იგი სრულიად გარკვევით საწინააღმდეგოს ამბობს. მაგრამ სარგებლის ნორმის შესახებ სხვადასხვა ეპოქაში და ა. შ. ჩვენ მოგვეპოვება ჩანაწერები, მოგების ნორმის შესახებ კი ასეთი რამ არ არსებობს. ამრიგად, სარგებლის ნორმები — ეს არის **სიმპტომები**, რომელთა მიხედვით შეიძლება დაახლოებით ვიმსჯელოთ მოგების ნორმის მდგომარეობაზე. მაგრამ ამოცანას შეადგენდა არა მოგების მოცემულ სხვადასხვა ნორმათა შედარება, არამედ «მ ო გ ე ბ ი ს ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ნ ო რ მ ი ს» განსაზღვრა. სმიტი თავს ამით შველის, რომ მიმართავს მეორეხარისხოვან გამოკვლევას სარგებლის განაკვეთის დონის შესახებ სხვადასხვა ეპოქაში, რასაც სრულიად არავითარი კავშირი არა აქვს იმ პრობლემასთან, რომელიც მან დაისახა. იგი ზოგად ხაზებში გვიხატავს სხვადასხვა ეპოქას ინგლისში, ადარებს შემდეგ ინგლისს შოტლანდიას, საფრანგეთს, ჰოლანდიას და ნახულობს, რომ, ამერიკული კოლონიების გამოკლებით,

«მ ა ღ ა ლ ი ხ ე ლ ფ ა ს ი დ ა მ ა ღ ა ლ ი მ ო გ ებ ა, ბ უ ნ ებ რ ი ვ ი ა, ი ს ე თ ი რ ა მ ა ა, რ ა ც ი ზ ვ ი ა თ ა დ გ ვ ხ ვ დ ებ ა ე რ თ ა დ, თუ არ ვ ი ლ ა პ ა რ ა კ ებ თ მ ხ ო ლ ო დ რ ა მ ე ლ ნ ი მ ე ა ხ ა ლ ი კ ო ლ ო ნ ი ი ს თ ვ ი ს ე ბ უ რ ი პ ი რ ო ნ ებ ებ ზ ე» (გვ. 187).

აქ ა. სმიტი უკვე ცდილობს, დაახლოებით იმგვარადვე, როგორც რიკარდო, მხოლოდ რამდენადმე უფრო მოხერხებულად, ახსნას მაღალი მოგებანი:

«ახალ კოლონიას გარკვეული დროის განმავლობაში მუდამ უნდა ჰქონდეს — სხვა ქვეყნების უმრავლესობასთან შედარებით — ნაკლები კაპიტალი თავისი ტერიტორიის მოცულობასთან შეფარდებით და უნდა ჰყავდეს ნაკლები მოსახლეობა თავისი კაპიტალის მოცულობასთან შეფარდებით. კოლონისტებს უფრო მეტი მიწა აქვთ, ვიდრე მის დასამუშავებლად საჭირო კაპიტალი. ამიტომ თავიანთ კაპიტალს ისინი იყენებენ მხოლოდ ყველაზე ნაყოფიერი და ყველაზე მოხერხებულად მდებარე, სახელდობრ ზღვის სანაპიროზე და სანაოსნო მდინარეთა ნაპირებზე მდებარე მიწების დასამუშავებლად. ამასთან ასეთ მიწას ხშირად ისეთ ფასად ყიდულობენ, რომელიც ამ მიწაზე ბუნებრივად აღმოცენებული პროდუქტების ღირებულებასაც კი ვერ აღწევს». (მაშასადამე, სანამდვილეში იგი არაფერი არ ღირს.) ასეთი მიწების ყიდვასა და გაუმჯობესებაზე დახარჯული კაპიტალი უნდა იძლეოდეს ძალიან დიდ მოგებას და, მაშასადამე, უნდა იძლეოდეს ამ კაპიტალით სარგებლობისათვის ძალიან მაღალი სარგებლის გადახდის შესაძლებლობას. ამ კაპიტალის სწრაფი დაგროვება ესოდენ მომგებიან საწარმოში პლანტატორს შესაძლებლობას აძლევს თავისი მუშების რიცხვი უფრო სწრაფად გაადიდოს, ვიდრე მათი მონახვა შეუძლია ახალშეწყობილ ადგილებში; ამიტომაც ისინი, ვისი მონახვაც მას შეუძლია, უხვ გასამრჯელოს ღებულობენ. კოლონიის გადიდების კვლობაზე მცირდება კაპიტალის მოგება. როცა ყველაზე ნაყოფიერი და ყველაზე მოხერხებულად მდებარე მიწები უკვე დაკავებულია, ნაკლებად ხელსაყრელი, როგორც ნაყოფიერებით, ისე ადგილმდებარეობით, მიწის ნაკვეთების დამუშავებას შეუძლია მოგვცეს მხოლოდ ნაკლები მოგება, საქმეში გამოყენებული კაპიტალისათვის კი შესაძლებელი ხდება ნაკლები სარგებლის გადახდა. აი რატომ დაეცა მნიშვნელოვნად სარგებლის ნორმა.... ჩვენი კოლონიების მეტ ნაწილში ამ საუკუნის განმავლობაში» (გვ. 187 — 189).

ეს, თუმცა სხვაგვარი დასაბუთებით, შეადგენს მოგების დაცემის რიკარდოსეული ახსნის ერთ-ერთ საფუძველს. მთლიანად, სმიტი აქ ყველაფერს ხსნის კაპიტალების კონკურენციით, რომელთა ზრდასთან ერთად მოგება ეცემა და რომელთა შემცირებასთან ერთად იგი იზრდება, მაშინ როდესაც ხელფასი, ამასთან, პირიქით, პირველ შემთხვევაში იზრდება, მეორეში კი ეცემა.

[556] «მოულოდნელი შემცირება საზოგადოების კაპიტალისა, ანუ ფონდისა, რომელიც წარმოების მიზნებისათვის არის განკუთვნილი, ამცირებს მუშების ხელფასს, მაგრამ ასევე ადიდებს კაპიტალის მოგებას და, მაშასადამე, სარგებლის ნორმასაც. რადგან ხელფასი მცირდება, იმ კაპიტალის მფლობელებს, რომელიც საზოგადოებას რჩება, შეუძლიათ თავიანთი საქონელი ბაზარზე უფრო ნაკლებ დანახარჯით გაიტანონ, ვიდრე უწინ გაჰქონდათ, და რადგან ბაზრის მომარაგება საქონლით ახლა კაპიტალების უფრო ნაკლები რაოდენობით ხორციელდება, კაპიტალისტებს შეუძლიათ თავიანთი საქონელი უფრო ძვირად გაყიდონ» (გვ. 191—192).

შემდეგ სმიტი ლაპარაკობს მოგების რაც შეიძლება მაღალ და რაც შეიძლება დაბალ ნორმაზე.

«მოგების უმაღლესი ნორმა» — ეს არის ის, «რომელიც საქონელთა ფასიდან ნაჭედს ყველაფერს, რაც წილად უნდა ხვდენოდა მიწის რენტას, და ტოვებს მხოლოდ იმდენს, რამდენიც საჭიროა საქონლის დასამზადებლად და ბაზარზე მის გასატანად დახარჯული შრომის ასანაზღაურებლად, ხელფასის ყველაზე დაბალი ნორმის მიხედვით, რომელიც კი სადმე შეიძლება გადახდილ იქნეს, ე. ი. მისი ისეთი ნორმის მიხედვით, რაც საკმარისია მხოლოდ მუშის არსებობის შესანარჩუნებლად» (გვ. 197 — 198).

«ჩვეულებრივი მოგების უმცირესი ნორმა ყოველთვის რამდენადმე მეტი უნდა იყოს იმაზე, რაც საკმარისია კაპიტალის ყოველი დაბანდების დროს შესაძლო შეშფოთებათა დასაკარგების დასაფარავად. მხოლოდ ეს ნამეტი შეადგენს სწორედ წმინდა მოგებას» (გვ. 196).

ფაქტიურად სმიტი თვით ახასიათებს თავის შეხედულებას «მოგების ბუნებრივ ნორმაზე»:

«დიდ ბრიტანეთში სარგებლის გაორკეცებული ოდენობა ითვლება იმად, რასაც ვეძრება სამართლიან, ზომიერ, მისაღებ მოგებას უწოდებენ; ეს გამოთქმანი, ჩემის აზრით, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ყოველდღიურ, ჩვეულებრივ მოგებას» (გვ. 198).

და მართლაც, თუმცა სმიტი ამ «ყოველდღიურ და ჩვეულებრივ მოგებას» არ უწოდებს არც ზომიერს, არც სამართლიანს, იგი მაინც მას «მოგების ბუნებრივი ნორმის» სახელწოდებას აძლევს; მაგრამ სმიტი სრულიად არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა არის ეს, ანდა რით განისაზღვრება ეს მოგების ნორმა, თუმცალა ჩვენ, სმიტის მიხედვით, სწორედ ამ «მოგების ბუნებრივი ნორმის» საშუალებით უნდა ვსაზღვრავდეთ საქონლის «ბუნებრივ ფასს».

«ქვეყნებში, რომლებიც სწრაფად მდიდრდებიან, მაღალი ხელფასი შეიძლება გაწონასწორდეს ბევრი საქონლის ფასში მოგების დაბალი ნორმით, რაც შესაძლებლობას აძლევს ამ ქვეყნებს თავიანთი საქონელი ისევე იაფად გაყიდონ, როგორც ამას აკეთებენ ნაკლები წარმატების მქონე მათი მეზობლები, რომლებთანაც უფრო დაბალი ხელფასია» (გვ. 199).

დაბალი მოგებანი და მაღალი ხელფასი არ უპირისპირდებიან აქ ერთიმეორეს როგორც ურთიერთქმედებაში მყოფნი, არამედ ერთი და იგივე შიზეზი — კაპიტალის სწრაფი ზრდა, ანუ დაგროვება — წარმოშობს ერთსაც და მეორესაც. მოგებაც და ხელფასიც შედიან ფასში, შეადგენენ მას. ამიტომ, თუ ერთი მაღალია, მაშინ როდესაც მეორე დაბალია, ფასი უცვლელი რჩება და ა. შ.

სმიტს მოგება ესმის აქ მხოლოდ როგორც წანამატი [ფასისა], რადგან იგი ამ თავის დასასრულს ამბობს:

«სინამდვილეში მაღალი მოგება გაცილებით უფრო მეტად იწვევს ნაწარმის ფასის გადიდებას, ვიდრე მაღალი ხელფასი» (გვ. 199). მაგალითად, თუ ტილოს წარმოებაში დასაქმებული ყველა მუშის ხელფასი გადიდებოდა 2 პენსით დღეში, ეს გაადიდებდა «ნაჭერი ტილოს» ფასს არა იმ თანხაზე მეტით, რაც მიიღება ამ ორი პენსის გამრავლებით მის დამზადებაზე დასაქმებულ მუშათა რიცხვზე და ამ უკანასკნელის გამრავლებით ამ დღეების რიცხვზე, რომელთა განმავლობაშიც მუშები იყვნენ ამით დასაქმებულნი. საქონლის ფასის ის ნაწილი, რომელიც ხელფასზე დაიყვანება, გადიდდებოდა საქონლის წარმოების ყოველ სხვადასხვა სტადიაში დახარჯული ხელფასის ზრდის პარალელურად მხოლოდ არითმეტიკული პროპორციით. მაგრამ თუ ამ მუშების დამჭირავებელ ყველა სხვადასხვა მეწარმეთა მოგებანი გადიდებოდა 5%-ით, მაშინ საქონლის ფასის ის ნაწილი, რომელიც მოგებაზე დაიყვანება, მოგების ნორმის გადიდების შედეგად წარმოების ერთი სტადიიდან მეორე სტადიამდე გაიზრდებოდა მოგების ნორმის ამ გადიდების გეომეტრიული პროპორციით... ხელფასის გადიდება ადიდებს საქონლის ფასს ისევე, როგორც მარტივი სარგებელი ადიდებს ეალის ჯამს. მოგების გადიდება მოქმედებს როგორც რთული სარგებელი» (გვ. 200 — 201).

ამ თავის დასასრულს სმიტი გვეუბნება აგრეთვე, თუ საიდან აიღო მან მთელი თავისი შეხედულება, რომლის თანახმად საქონლის ფასი—ანუ მისი ღირებულება—შედგება ხელფასისა და მოგების ღირებულებათაგან, სახელდობრ—«amis gu commorce»-საგან *, კონკურენციის პრაქტიკული ფანატიკოსებისაგან.

«ჩვენი ვაჭრები და მრეწველები მუდამ უჩივიან მაღალი ხელფასის მავნე მოქმედებას, რაოდენ ასეთი ხელფასი აძვირებს მათ საქონელს და ამის შედეგად ამცირებს ამ საქონლის გასაღებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ; ისინი არაფერს აჩ ლაპარაკობენ მაღალი მოგების მავნე მოქმედებაზე; კრინტს არა სძრავენ [557] მათი საკუთარი შემოსავლის დამღუპველ მოქმედებაზე. ისინი მხოლოდ სხვის შემოსავალს უჩივიან» (გვ. 201).

მე-10 თავის სათაურია «ხელფასისა და მოგების შესახებ შრომისა და კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა დარგებში». იგი ეხება მხოლოდ დეტალებს, — მაშასადამე, წარმოადგენს თავს კონკურენციის შესახებ და თავისებურად ძალიან კარგია. იგი სავსებით ეგზოტერიულ ხასიათს ატარებს.

{ მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომა:

«იურისპრუდენციის პროფესიის ლატარია ძლიერ შორსაა იმისაგან, რომ სრულიად სამართლიანი იყოს, და ამ დარგის მუშაკი, ისევე როგორც სხვა თავისუფალ და საპატიო პროფესიათა უმრავლესობაც, ფულიდი შემოსავლის მხრივ, უეჭველი, არასაკმაო გასამრჯელოს იღებს» (გვ. 216 — 217).

---

* — «ვაჭრობის მეგობრებისაგან» (ფურიეს გამოთქმა). რედ.

ამასვე ლაპარაკობს იგი ჯარისკაცებზე:

«მათი ჯამაგირი უბრალო დღიური მუშის ხელფასზე უფრო მცირეა, მაშინ როდესაც ნამდვილი სამსახურის დროს მათი ძალღონის დაძაბვა გაცილებით უფრო დიდია» (გვ. 223).

სამხედრო ფლოტის მატროსებზე:

«თუმცა მათი საქმიანობა გაცილებით მეტ ცოდნასა და გაწაფულობას მოითხოვს, ვიდრე თითქმის ყოველი სხვა ხელობა, და თუმცა მატროსის მთელი ცხოვრება გაჭირვებათა და საშიშროებათა უწყვეტ ჯაჭვს წარმოადგენს,.. მათი ხელფასი არ აღემატება ნაესადგურის უბრალო მუშების ხელფასს, რომელიც არეგულირებს მეზღვაურთა ხელფასის ნორმას» (გვ. 224).

ირონიულად:

«უეჭველია, უხამსობა იქნებოდა, თუ მღვდელს ან კაპელანს შეგადარებდით დღიურ მუშას. მიუხედავად ამისა, შეიძლება სრული უფლებით ითქვას, რომ მღვდლის ან კაპელანის ჯამაგირი იმავე ბუნებისაა, როგორისაც დღიური მუშის ხელფასი» (გვ. 271).

რაც შეეხება ლიტერატორებს», სმიტს გარკვევით მიაჩნია, რომ ისინი მეტად დაბალ ხელფასს ღებულობენ მათი ძალიან დიდი რიცხვის გამო, და მოგვაგონებს, რომ წიგნის ბეჭდვის გამოგონებამდე «სტუდენტი და მათხოვარი (გვ. 276 — 277) ერთსა და იმავეს ნიშნავდნენ, და სმიტი, ეტყობა, ამას გარკვეული აზრით აგრეთვე ლიტერატორებზეც ავრცელებს.)

ეს თავი აღსავსეა ნატიფი დაკვირვებებითა და მნიშვნელოვანი შენიშვნებით.

«ერთსა და იმავე საზოგადოებაში ანდა ერთსა და იმავე ადგილას მოგების საშუალო და ჩვეულებრივი ნორმები კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა დარგებში გაცილებით უფრო ახლოსაა ერთსა და იმავე დონესთან, ვიდრე სხვადასხვა სახის შრომის ფულადი ანაზღაურებანი» (გვ. 228).

«ბაზრის გაფართოება, რაც უფრო დიდი კაპიტალების დაბანდების შესაძლებლობას იძლევა, ამცირებს ხელულ მოგებას; მაგრამ ამასთანავე ერთად მოითხოვს საქონლის მოტანას უფრო შორეული მანძილიდან და ამით ადადებს თვითღირებულებას. ეს მოგების შემცირება და თვითღირებულების გადიდება ბევრ შემთხვევაში, ეტყობა, დაახლოებით აწონასწორებენ ერთმეორეს» (ლაპარაკია ისევ საქონლთა ფასზე, როგორიცაა პური, ხორცი და ა. შ.) (გვ. 232).

«პატარა ქალაქებსა და სოფლებში ბაზრის შეზღუდულობის გამო ყოველთვის როდია შესაძლებელი ვაჭრობის გაფართოება კაპიტალის ზრდის შესაბამისად. ამიტომ, თუმცა ასეთ ადგილებში ცალკეული პირის მოგების ნორმა შეიძლება ძლიერ მაღალი იყოს, მაგრამ მოგების საერთო ჯამი, ანუ მასა, არასოდეს არ შეიძლება იყოს ძალიან დიდი, მაშასადამე, არ შეიძლება დიდი იყოს მისი ყოველწლიური დაგროვებაც. პირიქით, დიდ ქალაქებში საწარმო შეიძლება გაფართოვდეს კაპიტალის ზრდის შესაბამისად, მომჭირნე და წარმატების მქონე კაცის

კრედიტი კი კიდევ უფრო სწრაფად დიდდება, ვიდრე მისი კაპიტალი. მისი საწარმო ფართოვდება ორთავეს ზრდის შესაბამისად» (გვ. 233).

ხელფასის დონის შესახებ, მაგალითად, XVI, XVII საუკუნეებში და ა. შ. მცდარ სტატისტიკურ გამოანგარიშებათა გამო სმიტი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ეს იყო მხოლოდ ხელფასი, მაგალითად, კოტერებისა *, რომლებიც იმ დროებში, როცა ისინი არ მუშაობდნენ თავიანთ კოტეჯებში ანდა თავიანთი მეპატრონეებისათვის (რომლებიც აძლევდნენ მათ «პატარა სახლსა და ბოსტანს, იმდენ სათიბს, რამდენიც საჭიროა ერთი ძროხის გამოსაკვებად, და, შესაძლოა, კიდევ ერთ ან ორ აკრ ცუდ სახნავ მიწას» და უხდიდნენ მათ ძალიან მცირე ხელფასს, როცა სამუშაოს მისცემდნენ ხოლმე),

«თავიანთ თავისუფალ დროს ისინი სიამოვნებით აძლევდნენ სრულ განკარგულებაში ყველას, ვინც კი მათ დაქირავებას მოისურვებდა, და უფრო მცირე ხელფასზე მუშაობდნენ, ვიდრე სხვა მუშები» (გვ. 241). «სხვათა შორის, ბევრი მწერალი, რომლებიც შრომისა და საარსებო საშუალებათა ფასების შესახებ უწინდელ დროში ცნობებს აგროვებდნენ და სიამოვნებას იმაში ნახულობდნენ, რომ ამ ფასებს გვიხატავდნენ როგორც გასაოცრად დაბალს, ეტყობა, ამ შემთხვევითი ხასიათის დამატებითს გამომუშავებას განახილავდნენ როგორც ამ მუშების სრულ ხელფასს» (გვ. 242).

ზემოთ სმიტი იძლევა სწორ ზოგად შენიშვნას:

«შრომისა და კაპიტალის სხვადასხვა სახეობათა გამოყენების ხელსაყრელობათა და არახელსაყრელობათა თანატოლობას საერთო ჯამში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოსაქმეობის მხოლოდ ისეთ დარგებში, რომლებიც ერთადერთ და მთავარ საშუაოს შეადგენენ იმათთვის, ვინც იქ მუშაობს» (გვ. 240).

სხვათა შორის, ეს აზრი კარგად აქვს განვითარებული სტიუარტს, განსაკუთრებით ხელფასის შესახებ სოფლის მეურნეობაში — იმ მოშენტიდან, როგორც კი ადამიანები «დროის დაფასებას იწყებენ» [78].

[558] საქალაქო კაპიტალის დაგროვების შესახებ შუა საუკუნეებში სმიტი სწორედ შენიშნავს ამ თვალში, რომ ეს დაგროვება გაბატონებული იყო უმთავრესად სოფლის ექსპლოატაციით (როგორც ვაჭრების, ისე ხელოსნების მიერ). ამათ მიემატნენ მევახშენი; აგრეთვე haute finance **, ერთი სიტყვით, ფულით მოვაჭრენი).

* მოჯამაგირეთა, რომლებიც მიწის მესაკუთრისაგან ანდა მოიჯარე-ფერმერისაგან, რომლისთვისაც ისინი მუშაობდნენ, ღებულობდნენ პატარა ხის სახლს (კოტეჯს) და მის გვერდით მიწის ნაკვეთს. რ ე დ.

** — ფინანსური არისტოკრატია, ფულიანი ბობოლები, ბანკირები. რ ე დ.

«ქალაქის საკანონმდებლო-სამრეწველო მოსახლეობის ყოველი კლასი» (ყველა მრეწველობიანი ადამიანი ქალაქების შიგნით) «ამ რეგლამენტაციების შედეგად, რა თქმა უნდა, იძულებული აღმოჩნდებოდა ხოლმე ის საქონელი, რომლის ყიდვაც მას სხვა კლასთა ვაჭრებისაგან და ხელოსნებისაგან უხდებოდა, რამდენადმე უფრო ძვირად ეყიდნა, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რეგლამენტაციები არ იარსებებდა. მაგრამ სამაგიეროდ მას შესაძლებლობა ჰქონდა თავისი საქონელი ამდენადვე უფრო ძვირად გაეყიდა, და ამის გამო იმდენსვე იგებდა, რამდენსაც კარგავდა. ქალაქის შიგნით ცალკეულ კლასებს შორის გარიგებებში არც ერთი მათგანი არაფერს არ კარგავდა ამ რეგლამენტაციების გამო. მაგრამ სოფლთან გარიგებებში ისინი ყველანი დიდ სარგებლობას დებულობდნენ, და ამ უკანასკნელი სახის გარიგებებში მდგომარეობს სწორედ ის ვაჭრობა, რითაც ქალაქები არსებობენ და მდიდრდებიან. ყოველი ქალაქი სურსათს და ნედლეულს თავისი მრეწველობისათვის სოფლიდან დებულობს. მათში საფასურს იხდის იგი უმთავრესად ორგვარი წესით: ჯერ ერთი, იმით, რომ სოფელს უბრუნებს ამ ნედლეულის ნაწილს გადამუშავებული სახით, — ამ შემთხვევაში ნედლეულის ფასს ემატება მუშების ხელფასი და მათი მეპატრონეების, ან უშუალო დამქირავებლების მოგება; მეორე, იმით, რომ ქალაქი აგზავნის სოფლიში პროდუქტს — როგორც ნედლეულის სახით, ისე გადამუშავებული სახითაც, — პროდუქტს, რომელიც შემოტანილია ან სხვა ქვეყნებიდან, ან იმავე ქვეყნის შორეული ადგილებიდან; ამასთან ამ შემთხვევაში მოცემული საქონლის თავდაპირველ ფასს ემატება კვლავ გადამზიდავთა ან მატროსთა ხელფასი და მათი დამქირავებელი ვაჭრების მოგება. ვაჭრობის პირველი დარგიდან მიღებული თანხა შეადგენს მთელ იმ სარგებლობას; რასაც ქალაქი თავისი მრეწველობიდან იღებს. მეორე დარგიდან მიღებული თანხა შეადგენს მთელ იმ სარგებლობას, რასაც ქალაქს მისი საშინაო და საგარეო ვაჭრობა აძლევს. მუშების ხელფასი და ამ მუშების დამქირავებელთა მოგება შეადგენს იმ ერთობლივ თანხას, რომელიც ვაჭრობის ორივე დარგიდან მიიღება. ამრიგად, მთელი რეგლამენტაციები, რომელთა მიზანს შეადგენს ამ ხელფასთა და მოგებათა გადიდება მათს ბუნებრივ დონეზე უფრო მაღლა, იმ მიმართულებით მოქმედებენ, რომ შესაძლებლობა მისცენ ქალაქს თავისი შრომის უფრო ნაკლები რაოდენობით იყიდოს სოფლად დახარჯული შრომის უფრო დიდი რაოდენობით შექმნილი პროდუქტი».

{ აქ სმიტი, მაშასადამე, უბრუნდება ღირებულების სწორ განსაზღვრას. ეს მოცემულია 259 გვერდზე. ღირებულება განისაზღვრება შრომის რაოდენობით. საჭიროა ამის დასახელება მაგალითის სახით ზედმეტი ღირებულების სმიტისეული გაგების განხილვისას. თუ იმ საქონელთა ფასები, რომელთაც ქალაქი და სოფელი ერთიმეორეს უცვლიან, ისეთია, რომ ისინი წარმოადგენენ შრომის თანაბარ რაოდენობებს, მაშინ ისინი უდრიან საქონელთა ღირებულებებს. მაშასადამე, მოგება და ხელფასი, რომელთაც ადგილი აქვთ

ორივე მხარეზე, ვერ განსაზღვრავენ ამ ღირებულებებს, — პირიქით, ამ ღირებულებათა დანაწილება განსაზღვრავს მოგებას და ხელფასს. ამიტომ სმიტი ფიქრობს, რომ ქალაქი, რომელიც შრომის ნაკლებ რაოდენობას ცვლის სოფლის შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე, ღებულობს თავის ურთიერთობაში სოფელთან დამატებითს მოგებას და დამატებითს ხელფასს. ეს არ მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ქალაქი არ მიყიდდა სოფელს თავის საქონელს მის ღირებულებაზე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში «მოგება და ხელფასი» ვერ აიწევდა «მათს ბ უ ნ ე ბ რ ი ვ დ ო ნ ე ზ ე უფრო მაღლა». მაშასადამე, თუ მოგება და ხელფასი «მათს ბუნებრივ დონეზე» იმყოფებიან, მაშინ ისინი კი არ განსაზღვრავენ საქონელთა ღირებულებას, არამედ, პირიქით, თვით ისინი განისაზღვრებიან ამ ღირებულებით. მაშინ მოგება და ხელფასი შეიძლება წარმოიშვან მხოლოდ საქონლის მ ო ც ე მ უ ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს დანაწილებიდან, ღირებულებისა, რომელიც მათ წამძღვარებული აქვთ; მაგრამ ეს ღირებულება არ შეიძლება განისაზღვროს მოგებითა და ხელფასით, არ შეიძლება გამოყვანილ იქნეს მოგებიდან და ხელფასიდან, რომლებიც თვით ამ ღირებულებას წამძღვარებული აქვს. }

«ეს რეგლამენტაციები ვაჭრებსა და ხელოსნებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებენ სოფლის მიწის მესაკუთრეებთან, ფერმერებთან და დაქირავებულ მუშებთან შედარებით და არღვევენ იმ ბუნებრივ თანასწორობას, რომელიც იარსებებდა ვაჭრობაში ქალაქსა და სოფელს შორის, ასეთი რეგლამენტაციები რომ არ ყოფილიყო. მ ო ც ე მ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს შ რ ო მ ი ს მ თ ე ლ ი წ ლ ი უ რ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი იყოფა მოსახლეობის ამ ორ სხვადასხვა ნაწილს შორის. ამ «(ქალაქის)» რეგლამენტაციების შედეგად ქალაქის მცხოვრებნი პროდუქტის უ ფ რ ო დ ი დ ნ ა წ ი ლ ს ღებულობენ, ვიდრე ამ რეგლამენტაციათა არარსებობის პირობებში მიიღებდნენ, სოფლების მცხოვრებლებს კი წილად ხვდება უფრო მცირე ნაწილი. ფ ა ს ი, რასაც ქალაქი ფაქტიურად იხდის მის მიერ ყოველწლიურად შემოტანილ სურსათსა და ნედლეულში, ეს არის სამრეწველო ნაწარმისა და სხვა საქონელთა ის მასა, რაც ქალაქს ყოველწლიურად გააქვს. რ ა ც უ ფ რ ო ძ ვ ი ნ ა დ გ ა ი ყ ი დ ე ბ ა ე ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ნ ი, მით უფრო იაფად შეიძინება პირველნი. ქალაქის სარეწაო საქმიანობა ამის შედეგად უფრო ხელსაყრელი ხდება, სოფლის სარეწაო საქმიანობა კი—ნაკლებ ხელსაყრელი» (გვ. 258 — 260).

ამრიგად, საკითხის სმიტისეული გაშუქების თანახმად, თუ ქალაქისა და სოფლის საქონელი შ რ ო მ ი ს ი მ რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს პროპორციულად გაიყიდებოდა, რასაც იგი შესაბამისად შეიცავს, მაშინ ეს საქონელი გაიყიდებოდა თავისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით, და, მაშასადამე, მოგებას და ხელფასს, ორივე მხარეზე რომ არის, არ შეეძლოთ განესაზღვრათ ეს ღირებულება, არამედ, პირიქით, თვით მათ განსაზღვრავდა საქონელთა ღირებულება. კაპიტალის

სხვადასხვა ორგანული შედგენილობის შედეგად მოცემულ სხვადასხვა მოგებათა გათანაბრებაზე ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ, რადგან იგი არათუ არ ქმნის მოგებათა სხვაობას, არამედ, პირიქით, ეს მოგებანი თანაბარ ნორმაზე დაპყავს.

[559] «ქალაქის მცხოვრებლებს, რომელნიც ერთ ადგილას არიან თავმოყრილნი, ადვილად შეუძლიათ ერთმანეთთან კავშირის დაჭერა და შეთანხმება. ამიტომ ქალაქებში არსებული ყველაზე უმნიშვნელო სარეწებიც კი თითქმის ყველგან საამქროებად იქნენ ორგანიზებული...» (გვ. 261), «სოფლის მცხოვრებლებს, რომელნიც გაფანტულად და ერთმანეთისაგან ძლიერ დაშორებით ცხოვრობენ, არ შეუძლიათ ისე ადვილად გაერთიანდნენ კავშირებად. მათ არათუ არასოდეს არ შეუქმნიათ საამქროები, არამედ ამქრული კარჩაკეტილობის სულიც კი არასდროს არ ყოფილა მათ შორის გაბატონებული. არასდროს საჭიროდ არ მიუჩნევიათ შეგირდობის დაწესება მიწათმოქმედებაში, სოფლის ამ ძირითად წარმოების დარგში, სამუშაოდ დაშვებისათვის» (გვ. 262).

ამასთან დაკავშირებით სმიტი ეხება საკითხს «შრომის დანაწილების» უარყოფითი მხარეების შესახებ. გლეხის შრომა უფრო მეტად წარმოადგენს გონებრივ შრომას, ვიდრე მანუფაქტურის მუშისა, რომელიც შრომის დანაწილებას ექვემდებარება:

«ისეთი სამუშაოების შესრულება, რომელთა შეცვლა აუცილებელი ხდება ამინდის ყოველ შეცვლასთან და სხვა მრავალ გარემოებასთან დაკავშირებით, გაცილებით უფრო მეტ მოსაზრებულობას და წინდახედულობას მოითხოვს, ვიდრე ერთი და იმავე ან თითქმის ერთი და იმავე ოპერაციების შესრულება» (გვ. 263).

შრომის დანაწილება ავითარებს შრომის საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალას, ანუ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურ ძალას, მაგრამ იგი ამას აკეთებს მუშის საერთო მწარმოებლური უნარის ხარჯზე. ამიტომ საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის გადიდება უპირისპირდება მუშას როგორც გადიდებული მწარმოებლური ძალა არა მისი შრომისა, არამედ მასზე გაბატონებული ძალისა — კაპიტალისა. თუ ქალაქის მუშა უფრო განვითარებულია, ვიდრე სოფლის მუშა, ეს გაპირობებულია მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მისი შრომის ხასიათი აიძულებს მას იცხოვროს საზოგადოებაში, მაშინ როდესაც მიწათმოქმედის შრომა აიძულებს მას კავშირი ჰქონდეს უშუალოდ ბუნებასთან.

«ის უპირატესობა, რასაც ყველგან ევროპაში ქალაქის სარეწაო საქმიანობამ მიაღწია სოფლის სარეწაო საქმიანობასთან შედარებით, უნდა მივწეროს არა მხოლოდ საამქროებსა და მათს რეგლამენტაციებს, იგი ემყარება აგრეთვე მრავალრიცხოვან სხვა ლონისძიებებს: მაღალი ბაჟები ყველა საზღვარგარეთულ სამრეწველო ნაწარმზე და ყველა საქონელზე, უცხოელ ვაჭრებს რომ შემოაქვთ,

იმავე მიზანს ემსახურება» (გვ. 265). «ეს ღონისძიებანი იცავენ მათ» (ქალაქებს) «უცხოელთა კონკურენციისაგან» (იქვე).

ეს არის საქმე უკვე არა ცალკეული ქალაქების ბურჟუაზიისა, არამედ ისეთი ბურჟუაზიისა, რომელიც კანონმდებელია ეროვნული მასშტაბით, როგორც corps de nation * ან თუნდაც როგორც გენერალური შტატების მესამე წოდება ანდა როგორც ქვედა პალატა. სპეციფიკური ღონისძიებანი ქალაქის ბურჟუაზიისათვის, რომლებიც მიმართულია სოფლის წინააღმდეგ, ეს არის აქციზები და გამოსაღები კარიბჭეებთან, საერთოდ — არაპირდაპირი გადასახადები, ქალაქური წარმოშობისა (იხ. ჰ ი უ ლ მ ა ნ ი) [79], მაშინ როდესაც პირდაპირი გადასახადები სოფლური წარმოშობისაა. შესაძლოა მოგვჩვენებოდა, რომ, მაგალითად, აქციზი ისეთი გადასახადია, რომლითაც ქალაქი არაპირდაპირ თავის თავს ბეგრავს. სოფლის მცხოვრები იძულებულია ეს გადასახადი ავანსად გაიღოს, მაგრამ იძულებითი გზითვე უკან იბრუნებს მას პროდუქტის ფასში. შუა საუკუნეებში კი ასე როდი იყო. სოფლის მცხოვრების შრომის პროდუქტების მოთხოვნა — რამდენადაც იგი საერთოდ ამ პროდუქტებს საქონლად და ფულად აქცევდა, — უმრავლეს შემთხვევაში ნაძალადევად შეზღუდული იყო ქალაქის ტერიტორიის ფარგლებით, ასე რომ სოფელს არ ჰქონდა შესაძლებლობა თავისი პროდუქტის ფასი გაედიდებინა საქალაქო გადასახადის მთელი ჯამის ოდენობით.

«დიდ ბრიტანეთში ქალაქის სარეწაო საქმიანობას წინანდელ დროში სოფლის სარეწაო საქმიანობასთან შედარებით, ეტყობა, მეტი უპირატესობანი ჰქონდა, ვიდრე ახლა. ამჟამად სოფლის მუშების ხელფასი უფრო მეტად უახლოვდება შრომის ანაზღაურებას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული კაპიტალის მოგება კი უფრო მეტად უახლოვდება ვაჭრობასა და მრეწველობაში გამოყენებული კაპიტალის მოგებას, ვიდრე ეს იყო, როგორც ჩანს, გასულ «(მეჩვიდმეტე) «საუკუნეში» «და მიმდინარე» (მეთვრამეტე)» საუკუნის დასაწყისში. ეს ცვლილება შეიძლება განვიხილოთ როგორც აუცილებელი, თუმცა მეტად დაგვიანებული შედეგი იმ არაჩვეულებრივი წახალისებისა, რაც ქალაქების სარეწაო საქმიანობამ მიიღო. ქალაქებში დაგროვილი კაპიტალი დროთა ვითარებაში იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ უკვე შეუძლებელია მისი გამოყენება ქალაქებისათვის ჩვეულ სარეწაოებში წინანდელი მოგებით. ამ სარეწაოებს, ისევე როგორც საერთოდ ყველა სარეწაოს, თავისი ფარგლები აქვთ და კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი ს ზ რ დ ა მ, რ ა ც კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა ს ა ძ ლ ი ე რ ებ ს, აუცილებლად უნდა დასწიოს მოგება. მ ო გ ებ ი ს დ ა წ ე ვ ა ქ ა ლ ა ქ ებ შ ი ი წ ვ ე ვ ს კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი ს მ ი ქ ც ე ვ ა ს ს ო ფ ე ლ შ ი, სადაც იგი ქმნის სამიწათმოქმედო შრომის დამატებითს მოთხოვნას და ამით ადიდებს ამ შრომის ანაზღაურებას. მ ა შ ი ნ

* — ერის მთავარი ნაწილი. რ ე დ.

კაპიტალი მოეფინება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვეყნის მთელ ზედაპირზე და გამოყენებას პოულობს სოფლის მეურნეობაში; ასე უბრუნდება იგი ნაწილობრივ სოფელს, რომლის ხარჯზეც უმთავრესად იგი თავდაპირველად ქალაქებში დაგროვდ.» (გვ. 266 — 267).

მე-11 თავში სმიტი ცდილობს განსაზღვროს «მიწის რენტის ბუნებრივი ნორმა», — საქონლის ღირებულების შემადგენელი მესამე ელემენტისა. ჩვენ განვიხილავთ ამას უფრო გვიან, როცა ხელახლა რიკარდოს დავუბრუნდებით.

ყოველივე ზემონათქვამიდან ნათელია შემდეგი: თუ სმიტი აიგივებს საქონლის «ბუნებრივ ფასს», ანუ ხარჯთფასს, საქონლის ღირებულებასთან, ეს ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან წინასწარ მიაღოვა თავისი სწორი შეხედულება ღირებულებაზე და შეცვალა იგი იმ შეხედულებით, რომელსაც თავს გვახვევენ კონკურენციის მოვლენები და რომელიც ამ მოვლენებიდან გამომდინარეობს. კონკურენციაში არა ღირებულება, არამედ ხარჯთფასი გვევლინება საბაზრო ფასების რეგულატორად, ასე ვთქვათ, როგორც იმანენტური ფასი — როგორც საქონელთა ღირებულება. თვით ეს ხარჯთფასი კი გვევლინება კონკურენციაში, თავის მხრივ, როგორც მოცემული რამ, როგორც ხელფასის, მოგებისა და რენტის საშუალო ნორმით განსაზღვრული რამ. ამიტომაც სმიტი ცდილობს დაადგინოს ხელფასი, მოგება და რენტა საქონლის ღირებულებისაგან დამოუკიდებლად, განიხილავს რა მათ, პირიქით, როგორც «ბუნებრივი ფასის» ელემენტებს. რიკარდომ, რომლის მთავარი საქმეც ამ სმიტისეული [560] აბერაციის უარყოფა იყო, მაინც გადმოიღო ამ აბერაციის აუცილებელი, მაგრამ თვით რიკარდოსათვის, თუ იგი თანამიმდევრული იქნებოდა, შეუძლებელი შედეგი — ღირებულებათა და ხარჯთფასების გაიგივება.

[თავი მეთერთმეტე]

რიკარდოს რენტის თეორია

[1) ანდერსონისა და რიკარდოს რენტის თეორიის განვითარების ისტორიული პირობები]

მთავარი გამორკვეულია როდბერტუსის თეორიის განხილვისას. აქ საჭიროა მხოლოდ რამდენიმე დამატება.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ისტორიული ვითარება.

რიკარდოს თვალწინ აქვს პირველ ყოვლისა ის პერიოდი, რომლის ცოცხალი მოწმე რამდენადმე თვითონ იყო, 1770 — 1815 წლების პერიოდი, როცა ხორბლის ფასები განუწყვეტლივ იზრდებოდა; ანდერსონს კი თვალწინ აქვს XVIII საუკუნე, რომლის დასასრულსაც ის წერდა. ამ საუკუნის დასაწყისიდან მის შუა ხანამდე ხდებოდა ხორბლის ფასების დაცემა, შუა ხანიდან დასასრულამდე კი — მათი აწევა. ამიტომ ანდერსონი არსად არ უკავშირებს თავის მიერ აღმოჩენილ კანონს მიწათმოქმედების კლებად ნაყოფიერებას, ანდა პროდუქტის ნორმალურ გაძვირებას [ანდერსონის თანახმად, ეს გაძვირება რაღაც არაბუნებრივია]. რიკარდო კი გარკვევით უკავშირებს მათ ერთიმეორეს. ანდერსონი ფიქრობდა, რომ პურის კანონების გაუქმებამ (იმ დროს ეს იყო საექსპორტო პრემიები) გამოიწვია ფასების გაფიდება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. რიკარდომ იცოდა, რომ პურის კანონების შემოღებას (1815 წელს) მიზნად ჰქონდა ხელი შეეშალა ფასების დაცემისათვის და, გარკვეული ზომით, აუცილებლად უნდა შეეშალა ხელი ამ დაცემისათვის. ამასთან დაკავშირებით რიკარდო ხაზგასმით აღნიშნავდა კიდეც, რომ თავის ნებაზე მიშვებულმა მიწის რენტის კანონმა აუცილებლად უნდა გამოიწვიოს — *გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში* — ნაკლებნაყოფიერი მიწის დამუშავება, მაშასადამე, მიწათმოქმედების

პროდუქტების დაძვირება, რენტის ზრდა მრეწველობისა და მოსახლეობის მასის ხარჯზე. და რიკარდო აქ მართალი იყო პრაქტიკული და ისტორიული თვალსაზრისით. ანდერსონი, პირიქით, ფიქრობდა, რომ პურის კანონებმა — იგი მხარს უჭერს აგრეთვე შემოზიდვის ბაჟებს — აუცილებლად ხელი უნდა შეუწყონ მიწათმოქმედების თანაბარზომიერ განვითარებას გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში, რომ მიწათმოქმედების თავისი თანაზომიერი განვითარებისათვის სჭირდება გარანტიები და რომ, მაშასადამე, ამ წესვლით განვითარებას თავისთავად, ანდერსონის მიერ აღმოჩენილი მიწის რენტის კანონის ძალით, აუცილებლად უნდა გამოეწვია მიწათმოქმედების ნაყოფიერების გადიდება, ამის შედეგად კი მიწათმოქმედების პროდუქტების საშუალო ფასების დაცემა.

მაგრამ ორივენი გამოდიან ისეთი შეხედულებიდან, რომელიც კონტინენტზე მეტად უცნაურად გვეჩვენება, სახელდობრ იმ შეხედულებიდან, რომ: 1) სრულიად არ არსებობს მიწის საკუთრება როგორც დაბრკოლება მიწათმოქმედებაში კაპიტალის დაბანდებისათვის; 2) რომ მიწათმოქმედნი უკეთესი მიწებიდან უცუდეს მიწებზე გადადიან (რიკარდოსათვის ამ წანამძღვარს აბსოლუტური მნიშვნელობა აქვს, თუ არ ჩავთვლით იმ შეწყვეტებს განვითარების ამ მსვლელობაში, რომელთაც მეცნიერებისა და მრეწველობის ჩარევა წარმოშობს; ანდერსონისათვის კი ეს წანამძღვარი შეფარდებითია, რადგან ცუდი ნიადაგი ისევ უკეთეს ნიადაგად იქცევა; 3) რომ მუდამ არსებობს კაპიტალი, არსებობს კაპიტალის საკმაო მასა მიწაში დასაბანდებლად.

რაც შეეხება 1 და 2 პუნქტებს, კონტინენტის მცხოვრებლებს აუცილებლად მეტად უცნაურად უნდა მოეჩვენოს ის გარემოება, რომ ისევ ქვეყანაში, სადაც, მათი წარმოდგენით, ფეოდალური მიწის საკუთრება ყველაზე ხელუხლებელი სახით არის შემონახული, ეკონომისტები — ანდერსონიც და რიკარდოც — იმ ვარაუდიდან გამოდიან, რომ არ არსებობს მიწის საკუთრება. ეს გარემოება აიხსნება:

ჯერ ერთი, ინგლისის «law of enclosures»-ის * თავისებურებით, რასაც სრულიად არაფერი საერთო აქვს საზოგადო მიწების კონტინენტურ დაყოფას.

მეორე, არსად მსოფლიოში კაპიტალისტური წარმოება, ჰენ-

* — «ნათემო მიწების შემოღობვის კანონის». რედ.

რიხ VII-ის ეპოქიდან დაწყებული, ისე ულმობლად არ გასწორებია ტ რ ა დ ი ც ი ე ს სამიწათმოქმედო წესწყობილებას, არსად არ შეუქმნია მას თავისთვის ისეთი ადეკვატური პირობები და არ დაუქვემდებარებია თავისადმი ეს პირობები ისე, როგორც ყოველივე ეს ინგლისში მოხდა. ინგლისი ამ მხრივ ყველაზე რევოლუციური ქვეყანაა მსოფლიოში. ყველა ისტორიულად გადმოცემული მემკვიდრეობითი განაწესი, იქ, სადაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური წარმოების პირობებს ანდა არ შეესაბამებოდნენ ამ პირობებს, ულმობლად იქნენ აღგვილი პირისაგან მიწისა: არა მარტო შეიცვალა სოფლის ახალშენების განლაგება, არამედ აღგვილ იქნა პირისაგან მიწისა თვით ეს ახალშენები; აღგვილ იქნა არა მარტო საცხოვრებლები და დასახლების ადგილები სოფლის მოსახლეობისა, არამედ თვით ეს მოსახლეობაც; აღგვილ იქნა პირისაგან მიწისა არა მარტო ძველისძველი ცენტრები მეურნეობისა, არამედ თვით ეს მეურნეობაც. გერმანელებთან, მაგალითად, ეკონომიური განაწესები განსაზღვრულია სხვადასხვა მიწის მფლობელობათა ურთიერთობით, სამეურნეო ცენტრების განლაგებით, მოსახლეობის თავმოყრის გარკვეული ადგილებით. ინგლისელებთან მიწათმოქმედების ისტორიული განაწესები თანდათან იყო შ ე ქ მ ნ ი ლ ი კაპიტალის მიერ, დაწყებული XV საუკუნის დასასრულიდან. შეერთებულ სამეფოში ჩვეულებრივი გამოთქმა «clearing of estates» არც ერთ კონტინენტურ ქვეყანაში არ გვხვდება. და რას ნიშნავს ეს «clearing of estates»? ეს ნიშნავს, რომ სრულიად არ უწევდნენ ანგარიშს არც მობინადრე მოსახლეობას — მას აძევებდნენ, — არც არსებულ სოფლებს — მათ მიწასთან ასწორებდნენ, — არც სამეურნეო შენობებს — მათ ანგრევდნენ, — არც სოფლის მეურნეობის მოცემულ სახეობებს — მათ ერთი ხელის მოსმით ცვლიდნენ, გადააქცევდნენ რა, მაგალითად, სახნავ მინდვრებს პირუტყვის საძოვრებად;— ერთი სიტყვით, არ იღებდნენ წარმოების ყველა პირობას იმ სახით, რა სახითაც ისინი არსებობდნენ ტრადიციით, არამედ ისტორიულად ქ მ ნ ი დ ნ ე ნ ამ პირობებს ისეთი ფორმით, რომ მათ ეპასუხათ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კაპიტალის ყველაზე ხელსაყრელი გამოყენების მოთხოვნისათვის. ამდენად, მაშასადამე, ნამდვილად ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ა; ეს საკუთრება კაპიტალს— ფერმერს — ანიჭებს მეურნეობის გამგებლობის თავისუფლებას, რადგან მას აინტერესებს მხოლოდ ფულადი შემოსავლის მიღება.

---

* «მამულების გაწმენდა». რ ე დ.

ვინმე პომერანელ მემამულეს *, რომელსაც თავში უტრიალებს მხოლოდ ძველთაძველი [angestammte] მიწათმფლობელობანი, მეურნეობის ცენტრები, სასოფლო-სამეურნეო კოლეგია და ა. შ., შეუძლია ამიტომ გაოცებულმა თავში ხელი შემოიკრას იმ «არაისტორიულია» შეხედულების გამო, რომელიც რიკარდოს აქვს [561] მიწათმოქმედების განაწესების განვითარების შესახებ. მაგრამ ამით იგი ფეიჩვენებს მხოლოდ, რომ გულუბრყვილოდ ურევს ერთმანეთში პომერანიისა და ინგლისის პირობებს. მეორე მხრივ, სულაც არ შეიძლება იმის თქმა, რომ რიკარდო, რომელიც ამ შემთხვევაში ინგლისის პირობებიდან გამოდიოდა, ისევე შეზღუდულია, როგორც პომერანელი მემამულე, პომერანიის ურთიერთობათა ფარგლებში რომ აზროვნებს. ეს იმიტომ, რომ ინგლისის პირობები — ერთადერთი პირობებია, რომელშიაც ადეკვატურად განვითარდა თანამედროვე მიწის საკუთრება, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების მიერ სახეშეცვლილი მიწის საკუთრება. ინგლისური თეორია ამ პუნქტში კლასიკურია თანამედროვე, ე. ი. კაპიტალისტური, წარმოების წესისათვის. პომერანული თეორიაკი, პირიქით, განიხილავს განვითარებულ პირობებს ურთიერთობათა ისტორიულად უფრო დაბალი, ჯერ კიდევ არა ადეკვატური ფორმის თვალსაზრისით.

კიდევ მეტი, რიკარდოს კონტინენტური კრიტიკოსების მეტი ნაწილი ისეთი ურთიერთობიდანაც კი გამოდის, რომლის დროსაც კაპიტალისტური წარმოების წესი ჯერ კიდევ სრულიად არ არსებობს, არც ადეკვატური, არც არაადეკვატური ფორმით. ეს იგივე იქნებოდა, თუ, მაგალითად, რომელიმე ამქრის ოსტატი მოინდომებდა ა. სმიტის მიერ წამოყენებული კანონები, რომლებიც თავისუფალ კონკურენციას გულისხმობენ, მთლიანად გამოეყენებინა თავისი ამქრული მეურნეობის მიმართ.

უკეთესი მიწიდან უფრო ცუდზე გადასვლის წანამძღვარი — შეფარდებით, შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების ყოველი მოცემული საფეხურისათვის, როგორც ამას ეხედავთ ანდერსონთან, და არა აბსოლუტურად, როგორც რიკარდოსთან არის, — შეიძლებოდა წარმომობილიყო მხოლოდ ისეთ ქვეყანაში, როგორც ინგლისია, სადაც შედარებით ძლიერ პატარა ტერიტორიის ფარგლებში კაპიტალი ასე ულმობლად მბრძანებლობდა და გამგებლობდა, საუკუნეთა მანძილზე დაუნდობლად ცდილობდა მიწათმოქმედების ყველა ტრადიციული პირობა თავისი თავის ადეკვატური გაეხადა. მაშასა-

* გადაკვრით ნათქვამია როდბერტუსზე. რ ე დ.

დაშე, ეს წანამძღვარი შეიძლებოდა მხოლოდ იქ წარმოშობილიყო, სადაც კაპიტალისტური წარმოება მიწათმოქმედებაში გუშინდელი დღიდან როდი არსებობს, როგორც ეს კონტინენტზეა, და სადაც იგი უკვე აღარ ებრძვის ძველ ტრადიციას.

ინგლისელებთან მეორე გარემოება იყო მათი კოლონიებიდან აღებული შეხედულება. ჩვენ დავინახეთ *, რომ უკვე სმიტს მოეპოვება — პირდაპირი მითითებით კოლონიებზე — რიკარდოს მთელი შეხედულების საფუძველი. ამ კოლონიებში — განსაკუთრებით ისეთებში, სადაც მხოლოდ ვაჭრობისათვის განკუთვნილი პროდუქტები იწარმოებოდა, როგორც, მაგალითად, თამბაქო, ბამბა, შაქარი და ა. შ., და არა ჩვეულებრივი კვების საგნები, სადაც კოლონისტები იმთავითვე საზრდოს კი არ ეძებდნენ, არამედ კომერციულ საწარმოებს აარსებდნენ, — გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ბუნებრივია, მიწის მოცემული ადგილმდებარეობის დროს — ნაყოფიერებას, მოცემული ნაყოფიერების დროს კი — მიწის ადგილმდებარეობას. კოლონისტები აქ ისე როდი იქცეოდნენ, როგორც გერმანელები, რომელნიც გერმანიაში იმისათვის დაბინადრდნენ, რომ იქ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი მოეწყოთ, არამედ როგორც ადამიანები, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ბურჟუაზიული წარმოების მოტივებით და რომელთაც საქონლის წარმოება სურდათ ისეთი თვალსაზრისით, რაც იმთავითვე განისაზღვრებოდა არა პროდუქტით, არამედ პროდუქტის გაყიდვით. ის გარემოება, რომ რიკარდომ და სხვა ინგლისელმა მწერლებმა კოლონიებიდან გადაიტანეს ეს შეხედულება — გამომდინარე იმ ადამიანებიდან, რომელნიც თვით იყვნენ უკვე კაპიტალისტური წარმოების წესის პროდუქტები — მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე, რომ ისინი საერთოდ კაპიტალისტურ წარმოების წესს განიხილავდნენ მიწათმოქმედების მიმართ რაღაც წინამორბედად, როგორიც იყო ეს წარმოების წესი კიდეც ამ კოლონისტებისათვის, — ეს აიხსნება იმით, რომ დასახლებულ კოლონიებში მათ საერთოდ ნახეს, მხოლოდ უფრო თვალსაჩინო სახით, ტრადიციულ ურთიერთობებთან ბრძოლის გარეშე, მაშასადამე, არაბუნდოვან ფორმაში, კაპიტალისტური წარმოების იგივე ბატონობა მიწათმოქმედებაში, რომელიც მათს საკუთარ ქვეყანაში ყოველ ნაბიჯზე თვალ-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 297 — 298. რედ.

ში გვეცემა. ამიტომ, თუ გერმანელი პროფესორი ან გერმანელი მემამულე, გაზრდილი ისეთ ქვეყანაში, რომელიც ყველა სხვა ხალხისაგან იმით განსხვავდება, რომ იქ აბსოლუტურად არ არსებობს კოლონიები, ასეთ შეხედულებას «ბ ც დ ა რ» შეხედულებად მიიჩნევს, ეს სავსებით გასაგებია.

ბოლოს, წარმოების ერთი დარგიდან მეორეში კაპიტალის მუდმივი გადასვლის წანამძღვარი, რ ი კ ა რ დ ო ს ე ს ძ ი რ ი თ ა დ ი წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა განვითარებული კაპიტალისტური წარმოების ბატონობის წანამძღვარს. იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოება ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა, არც ეს წანამძღვარი არსებობს. პომერანელ მემამულეს, მაგალითად, უცნაურად მოეჩვენება, რომ რიკარდოს და სხვა ინგლისელ მწერლებს აზრადაც არ მოსდით, რომ მიწათმოქმედება შეიძლება განიცდიდეს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ნ ა კ ლ ე ბ ო ბ ა ს. ინგლისელი შეიძლება, რა თქმა უნდა, უჩიოდეს მიწის ნაკლებობას კაპიტალთან შედარებით, მაგრამ იგი ა რ ა ს დ რ ო ს არ უჩივის კაპიტალის ნაკლებობას მიწასთან შედარებით. ამ გარემოებათაგან პირველით უ ე კ ფ ი ლ დ ი, ჩ ა ლ მ ე რ ს ი და სხვები ცდილობენ ახსნან მოგების ნორმის დაცემა. აღნიშნულ გარემოებათაგან მეორეს არ იხსენიებს არც ერთი მწერალი ინგლისის, სადაც (რასაც კორბეტი აღნიშნავს როგორც თავისთავად საგულისხმო ფაქტს) კ ა პ ი ტ ა ლ ი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს უ ხ ვ ა დ მ ო ი პ ო ვ ე ბ ა ყ ვ ე ლ ა დ ა რ გ შ ი. თუ წარმოვიდგენთ გერმანიის პირობებს, იმ სიძნელეთ, რასაც აქ მიწის მესაკუთრე განიცდის ფულის სესხებისას — იმიტომ რომ მიწათმოქმედებას მეტწილად თვითონ ეწევა და არა მისგან სრულიად დამოუკიდებელი კაპიტალისტთა კლასი, — მაშინ გასაგები გახდება, მაგალითად, რატომ გამოთქვამს ბ-ნი როდბერტუსი გაკვირვებას «რიკარდოსეული ფიქციის გამო, თითქოს კაპიტალის მ ა რ ა გ ი შეესაბამება მისი გამოყენების სურვილს» (ციტირ. თხზ., გვ. 211). თუ ინგლისელს მართლა რაიმე აკლია, ეს არის სწორედ «მოქმედების არე», ადგილი კაპიტალის არსებული მარაგის გამოსაყენებლად. მაგრამ «დარდი კაპიტალზე», რომლის «გამოყენებაც» სასურველი იქნებოდა, ინგლისში არ არსებობს იმ ერთადერთი კლასისათვის, რომელმაც უნდა დაამანდოს კაპიტალი, — კაპიტალისტთა კლასისათვის.

[562] ამ «დარდს კაპიტალზე» პომერანიის სუნი დაჰკრავს.

ინგლისელმა მწერლებმა რიკარდოს წინააღმდეგ წამოაყენეს არა ის მოსაზრება, რომ კაპიტალი მოიპოვება არა ყოველნაირი რაოდენობით, რაც საჭიროა ყოველ განსაკუთრებულ შემთხვევაში მის გა-

მოსაყენებლად, არამედ ის, რომ მიწათმოქმედებიდან კაპიტალის წასვლა სპეციფიკურ ტექნიკურ და სხვა სიძნელეებს აწყდება.

რიკარდოს კრიტიკულ-კონტინენტური გაბიაბრუების აღნიშნული წესი ადასტურებს მხოლოდ წარმოების პირობების განვითარების უფრო დაბალ საფეხურს, საიდანაც ეს «ბრძენნი» გამოდიან.

[2) რიკარდოს რენტის თეორიის კავშირი ხარჯთფასის მის გაგებასთან]

ახლა თვით საკითხის დედაარსის შესახებ.

უწინარეს ყოვლისა, პრობლემა რომ წმინდა სახით წარმოიდგინოთ, დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი რ ე ნ ტ ა,—რიკარდოს აზრით კი არსებობს მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ეს რენტა,—სრულიად მხედველობის გარეშე უნდა დავტოვოთ. დიფერენციული რენტა მე მესმის როგორც გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა რენტის ს ი დ ი დ ე შ ი—როგორც უფრო დიდი ან უფრო პატარა რენტა, რომელიც ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა თ ა ნ რ ი გ ი ს ნ ი ა დ ა გ თ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს ა ს წარმოიქმნება. (თუ ერთნაირი ნაყოფიერება გვაქვს, დიფერენციული რენტა შეიძლება წარმოიქმნას დაბანდებული კაპიტალის სხვადასხვა ოდენობიდან. ეს შემთხვევა არ არსებობს ჩვენი პრობლემისათვის, იგი არ ეხება მას.) ეს დიფერენციული რენტა შეესაბამება უბრალოდ იმ ზ ე მ ო გ ე ბ ა ს, რასაც ღებულობს მოცემული ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ს, ანუ, უფრო სწორად, ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს, დროს მრეწველობის ყოველ დარგში — მაგალითად, ბამბის სართავ დარგში — ი ს კაპიტალისტი, რომელსაც წარმოების უ კ ე თ ე ს ი პირობები აქვს, ვიდრე ამ გარკვეული დარგის წარმოების საშუალო პირობებია. ეს იმიტომ, რომ წარმოების გარკვეული სფეროს საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა განისაზღვრება არა შ რ ო მ ი ს იმ რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ, რაც ესა თუ ის ცალკეული საქონელი ღირს, არამედ ი მ საქონელზე დახარჯული შრომის რაოდენობით, რომელიც მოცემული სფეროს ს ა შ უ ა ლ ო პირობებში იწარმოება. აქ განსხვავება მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის მხოლოდ ისაა, რომ მრეწველობაში ზემოგება თვით კაპიტალისტის ჯიბეში მიდის, მაშინ როდესაც მიწათმოქმედებაში იგი მიწის მესაკუთრის ჯიბეში აღმოჩნდება; შემდეგ, განსხვავება ისაა, რომ მრეწველობაში ეს ზემოგება ხასიათდება დ ე ნ ა დ ო ბ ი თ, მოკლებულია მყარ მდგომარეობას, ხან ერთი კაპიტალისტი ჩაიჯიბავს მას, ხან მეორე და მუდამ ისევ გაქრება ხოლმე იგი, მაშინ როდესაც მიწათმოქმედებაში ხდება მისი ფ ი ქ-

სირეგბა თავისი მყარი (ყოველ შემთხვევაში ბევრად თუ ცოტად ხანგრძლივი დროისათვის) ბუნებრივი საფუძვლის შემწეობით, რასაც ნიადაგის სხვაობა განაპირობებს.

ამრიგად, ჩვენ მზედველობის გარეშე უნდა დავტოვოთ ეს დიფერენციული რენტა, მაგრამ ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი თანაბრად შესაძლებელია როგორც უკეთესი მიწიდან უფრო ცუდზე გადასვლის, ისე უცუდესი მიწიდან უკეთესზე გადასვლის დროს. ოღონდ ორივე შემთხვევაში იგულისხმება, რომ ახლად დამუშავებული მიწა აუცილებელია დამატებითი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ რომ იგი საკმარისია მარტო ამ დამატებითი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. თუ ახლად დამუშავებული უკეთესი მიწა იმაზე მეტს მოგვცემდა, რაც აუცილებელია ამ დამატებითი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ცუდი მიწის ნაწილის ანდა, დამატებითი მოთხოვნის მიხედვით, მთელი ცუდი მიწის დამუშავება შეწყდებოდა, ყოველ შემთხვევაში, შეწყდებოდა ამ მიწაზე იმ პროდუქტის მოყვანა, რომელიც სამიწათმოქმედო რენტის ბაზისს შეადგენს, ე. ი. ხორბლის მოყვანა ინგლისში, ბრინჯისა — ინდოეთში. ამრიგად, დიფერენციული რენტა არ გულისხმობს მიწათმოქმედების მზარდ გაუარესებას, იგი შეიძლება გამომდინარეობდეს აგრეთვე მისი მზარდი გაუმჯობესებიდანაც. იქაც კი, სადაც დიფერენციული რენტა უფრო ცუდი ხარისხის ნიადაგზე გადასვლას გულისხმობს, ასეთი გადასვლა დაღმავალი ხაზით, შეიძლება, ჯერ ერთი, გაპირობებული იყოს მიწათმოქმედების მწარმოებლური ძალების გაუმჯობესებით, იმიტომ რომ მხოლოდ უფრო მაღალი მწარმოებლური ძალის მეობებით ხდება შესაძლებელი უფრო ცუდი ნიადაგის დამუშავება ისეთი ფასის დროს, რომლის ნებასაც მოთხოვნა იძლევა. მეორე, ცუდი ნიადაგი შეიძლება გაუმჯობესდეს და მაინც განსხვავება ამასთან რჩება, თუმცა იგი მნიშვნელოვნად წონასწორდება, ასე რომ შედეგის სახით რჩება მხოლოდ შეფარდებითი, შედარებითი შემცირება ნაყოფიერებისა, მაშინ როდესაც აბსოლუტური ნაყოფიერება დიდდება. ანდერსონისათვის, რიკარდოსეული კანონის პირველი ავტორისათვის. ეს წანამძღვარსაც კი შეადგენს.

შემდეგ, აქ მზედველობაში უნდა ვიქონიოთ მხოლოდ საკუთრივ სამიწათმოქმედო რენტა, ე. ი. რენტა იმ მიწიდან, რომელიც კვების მთავარ მცენარეულ საგანს იძლევა. უკვე ცხადია გაარკვია, რომ რენტა იმ მიწიდან, რომელიც სხვა პროდუქტებს (მესა-

ქონლეობის და სხვ. პროდუქტებს) იძლევა, განისაზღვრება ზ ე მ ო-ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი რ ე ნ ტ ი თ და, მაშასადამე, უკვე მ ე ო რ ა დ ი რენტაა, ისეთი, რომელიც განისაზღვრება რენტის კანონით, და არა ისეთი, თვითონ რომ განსაზღვრავს მას; მაშასადამე, თუ მეორად რენტას განვიხილავთ თავისთავად, იგი არ იძლევა მასალას რენტის კანონის გასაგებად მის თავდაპირველ წმინდა პირობებში. მასში არ არის არაფერი პირველადი.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ საკითხი დაიყვანება შემდეგზე: არსებობს თუ არა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ა, ე. ი. ისეთი რენტა, რომელიც იქიდან გამომდინარეობს, რომ კაპიტალი დაბანდებულია მიწათმოქმედებაში და არა მრეწველობაში, და რომელიც სრულიად არ არის დამოკიდებული დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ რ ე ნ ტ ა ზ ე, ანუ დ ა მ ა ტ ებ ი თ ს მ ო გ ებ ებ ზ ე, რასაც უკეთეს მიწაში დაბანდებული კაპიტალი იძლევა?

ცხადია, რომ რიკარდო სავსებით თანმიმდევრულად იძლევა უ ა რ-ყ ო ფ ი თ პასუხს ამ კითხვაზე, მას შემდეგ, რაც მან უკვე აიღო ამოსავალ პუნქტად მ ც დ ა რ ი წანამძღვარი, თითქოს ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ნ ი დ ა ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ებ ი ი დ ე ნ ტ უ რ-ნ ი ა რ ი ა ნ. მივიღოთ ერთი წუთით ეს წანამძღვარი. ტავტოლოგიაა იმის მტკიცება, რომ თუ [563] მიწათმოქმედების პროდუქტების ფასი მუდამ იძლევა საშუალო მოგების გარდა კ ი დ ე ვ რ ე ნ ტ ა-ს ა ც, იძლევა ამ საშუალო მოგების ზევით მუდმივ ნამეტს, მაშინ მიწათმოქმედების პროდუქტთა ფასი ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა მათს ხ ა რ ჯ თ-ფ ა ს ს, რადგან ეს ხარჯთფასი უდრის დახარჯულ კაპიტალს პლუს საშუალო მოგება, და მეტს არაფერს. მიწათმოქმედების პროდუქტთა ფასები რომ მათს ხარჯთფასებს ა ღ ე მ ა ტ ებ ო დ ნ ე ნ, ისინი რომ აუცილებლად დამატებითს მოგებას იძლეოდნენ, მაშინ ისინი — ზემოაღნიშნული წანამძღვრის პირობებში — მათს ღირებულებაზე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა იქნებოდნენ. სხვა აღარაფერი დაგვრჩებოდა, გარდა იმ ვარაუდისა, რომ მიწათმოქმედების პროდუქტები მუდამ თავის ღირებულებაზე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა იყიდება, ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ყველა სხვა პროდუქტი თავის ღირებულებაზე დ ა ბ ლ ა იყიდება, ანდა რომ ღირებულება საერთოდ არის რაღაც სავსებით განსხვავებული იმისაგან, რაც ჩვენ აუცილებლად ამ ღირებულებად მიგვაჩნია თეორიაში. შ რ ო მ ი ს (უშუალო და დაგროვილი შრომის) ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე რ ა ო დ ე ნ ო ბ ა — თუ საბოლოოდ ბოლოს ვიღებთ ყველა გათანაბრებას, რასაც ადგილი აქვს სხვადასხვა კაპიტალებს შორის მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე

მათი განსხვავების გამო, — მიწათმოქმედებაში უფრო მაღალ ღირებულებას შექმნიდა, ვიდრე მრეწველობაში. საქონლის ღირებულება, მაშასადამე, არ იქნებოდა განსაზღვრული მასში მოთავსებული შრომის რაოდენობით. ამით პოლიტიკური ეკონომიის მთელი საფუძველი დანგრეული აღმოჩნდებოდა. მაშასადამე, სწორად დასკვნის რიკარდო, არ არსებობს არავითარი აბსოლუტური რენტა. შესაძლებელია მხოლოდ დიფერენციული რენტა; სხვა სიტყვებით, ყველაზე ცუდ ნიადაგზე წარმოებული მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება, ისევე როგორც ყოველი სხვა საქონლის ღირებულება, უდრის პროდუქტის ხარჯთფასს. ყველაზე ცუდ ნიადაგში დაბანდებული კაპიტალი — ეს ისეთი კაპიტალია, რომელიც მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალისაგან განსხვავდება მხოლოდ გამოყენების წესით, განსხვავდება მხოლოდ როგორც კაპიტალის გამოყენების განსაკუთრებული სახეობა. აქ, მაშასადამე, ვლინდება ღირებულების კანონის საერთო მნიშვნელობა. დიფერენციული რენტა (ეს კი, რიკარდოს თანახმად, ერთადერთი რენტაა) — უკეთეს მიწაზე — სხვა არაფერია, თუ არა დამატებითი მოგება, რასაც იძლევიან, წარმოების ყოველ სფეროში ერთიანი იდენტური საბაზრო ღირებულების არსებობის გამო, ის კაპიტალები, რომლებიც საშუალოზე უკეთეს პირობებში მუშაობენ. ამ დამატებითი მოგების ფიქსირება ხდება მხოლოდ მიწათმოქმედებაში — ამ უკანასკნელის ბუნებრივი საფუძვლის მეოხებით; გარდა ამისა, რადგან ამ ბუნებრივი საფუძვლის წარმომადგენელი მიწის მესაკუთრეა, აღნიშნული დამატებითი მოგება მიდის არა კაპიტალისტის, არამედ მიწის მესაკუთრის ჯიბეში.

რიკარდოს მსჯელობის მთელი ეს შინაარსი მთლიანად ინგრევა ხარჯთფასისა და ღირებულების ტოლობის წანამძღვართან ერთად. იკარგება ის თეორიული ინტერესი, რომელიც აიძულებს რიკარდოს უარყოს აბსოლუტური მიწის რენტის არსებობა. თუ საქონლის ღირებულება განსხვავდება მისი ხარჯთფასისაგან, თუ ყველა საქონელი აუცილებლად ნაწილდება სამ კატეგორიად, ასე რომ ერთი ჯგუფის საქონელთა ხარჯთფასი უდრის მათს ღირებულებას, მეორე ჯგუფის საქონელთა ღირებულება მათს ხარჯთფასზე უფრო დაბალია, მესამე ჯგუფის საქონელთა ღირებულება კი მათს ხარჯთფასზე უფრო მაღალია, — მაშინ ის გარემოება, რომ მიწათმოქმედების პროდუქტთა ხარჯთფასი მიწის რენტას იძლევა, იმის დამამტკიცებელი იქნებოდა მხოლოდ.

რომ მიწათმოქმედების პროდუქტი ეკუთვნის იმ საქონელთ, რომელთა ღირებულება აღემატება მათს ხარჯთფასს. ერთადერთი პრობლემა, რომელიც გადასაწყვეტად დარჩებოდა, იქნებოდა შემდეგი: რატომაა, რომ სხვა საქონელთაგან განსხვავებით, რომელთა ღირებულება ავრეთვე აღემატება მათს ხარჯთფასს, მიწათმოქმედების პროდუქტთა ღირებულება არ დაჰყავს კაპიტალების კონკურენციას მათს ღირებულებაზე უფრო დაბლა მდგომ ხარჯთფასზე? პასუხს უკვე თვით საკითხი შეიცავს. იმიტომ, რომ, ვარაუდის თანახმად, ამას ადგილი აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კაპიტალების კონკურენციას შეუძლია განახორციელოს ეს გათანაბრება, ამას კი, თავის მხრივ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც წარმოების ყველა პირობა ან თვით კაპიტალის მიერ იქმნება, ანდა თანაბრად იმყოფება მის განკარგულებაში როგორც ბუნების ელემენტარული ძალები. მიწის მიმართ ამას არა აქვს ადგილი, რადგან არსებობს მიწის საკუთრება, და კაპიტალისტური წარმოება თავის მოძრაობას იწყებს იმ წანამძღვრის პირობებში, რომ არსებობს მიწის საკუთრება, რომელიც კაპიტალისტური წარმოებიდან კი არ წარმოშობილა, არამედ უკვე მანამდე არსებობდა. ამრიგად, კითხვაზე პასუხს იძლევა თვით ფაქტი მიწის საკუთრების არსებობისა. კაპიტალს მხოლოდ ის შეუძლია გააკეთოს, რომ მიწათმოქმედება კაპიტალისტური წარმოების პირობებს დაუქვემდებაროს. მაგრამ მას არ ძალუძს წაართვას მიწის საკუთრებას მიწათმოქმედების პროდუქტის იმ ნაწილის მიტაცების შესაძლებლობა, რომლის მითვისებაც კაპიტალს შეეძლო მხოლოდ მიწის საკუთრების არარსებობის პირობებში და არა თავისი საკუთარი საქმიანობის მეოხებით. მიწის საკუთრების არსებობის პირობებში კი კაპიტალი იძულებულია დაუტოვოს მიწის მესაკუთრეს ღირებულების ნამეტი ხარჯთფასის ზეეით. მაგრამ თვით ეს განსხვავება ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის გამომდინარეობს იმ განსხვავებიდან, რომელიც კაპიტალის ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის არსებულ თანაფარდობაშია. ყველა ის საქონელი, რომელთა ღირებულება, ამ ორგანული შედგენილობის შესაბამისად, ხარჯთფასს აღემატება, იმის მაჩვენებელია, რომ ისინი შექმნილია შეფარდებით ნაკლებ ნაყოფიერი შრომით, ვიდრე ის საქონელნი, რომელთა ღირებულება უდრის ხარჯთფასს, და კიდევ უფრო ნაკლებნაყოფიერი შრომით, ვიდრე ისინი, რომელთა ღირებულება ხარჯთფასზე უფრო დაბალია; ეს იმიტომ, რომ ისინი მოითხოვენ უშუალო შრომის

უფრო მეტ რაოდენობას იმ წარსულ შრომასთან შედარებით, რომელსაც მუდმივი კაპიტალი შეიცავს, მოითხოვენ შრომის მეტ რაოდენობას გარკვეული კაპიტალის მოძრაობაში მოსაყვანად. ეს სხვაობა ისტორიულია; იგი შეიძლება, მაშასადამე, გაქრეს. სწორედ ის არგუმენტაცია, რომელიც აკვიჩვენებს, რომ აბსოლუტური მიწის რენტის არსებობა შესაძლებელია, იმასაც გვიჩვენებს აგრეთვე, რომ მისი ნამდვილობა, მისი არსებობა მარტოოდენ ისტორიული ფაქტია, რომელიც მიწათმოქმედების განვითარების გარკვეული საფეხურის დამახასიათებელია, უფრო მაღალ საფეხურზე კი შეიძლება გაქრეს.

დიფერენციულ რენტას რიკარდო ხსნის მიწათმოქმედების ნაყოფიერების აბსოლუტური შემცირებით, რაც სრულიად არ არის დიფერენციული რენტის წანამძღვარი და არც ანდერსონს წამოუყენებია იგი ასეთი წანამძღვრის სახით. აბსოლუტურ მიწის რენტას კი რიკარდო იმიტომ უარყოფს, რომ მისი [564] ვარაუდით კაპიტალის ორგანული შეერწყმა მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში ერთნაირია; ამით იგი უარყოფს მხოლოდ ისტორიული ფაქტის სახით არსებულ შრომის მწარმოებლური ძალის უფრო დაბალ განვითარებას მიწათმოქმედებაში შედარებით მრეწველობასთან. ამიტომ რიკარდო ორმაგ ისტორიულ შეცდომას უშვებს. ერთი მხრივ, იგი აღიარებს, რომ აბსოლუტურად ერთნაირია შრომის ნაყოფიერება მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში, მაშასადამე, უარყოფს მხოლოდ ისტორიული ხასიათის მქონე განსხვავებას მათი განვითარების მოცემულ საფეხურებს შორის. მეორე მხრივ კი — გულისხმობს მიწათმოქმედების ნაყოფიერების აბსოლუტურ შემცირებას და ამას მისი განვითარების კანონად აცხადებს. პირველს იგი იმისათვის აკეთებს, რომ ხარჯთფასი ცუდ მიწაზე გაუთანაბროს ღირებულებას; მეორეს კი — იმისათვის, რომ აგვიხსნას არსებული სხვაობანი ფასებსა, რომელთა მიხედვითაც უკეთესი მიწების პროდუქტები იყიდება, და ამ პროდუქტთა ღირებულებას შორის. მთელი შეცდომა იქიდან გამომდინარეობს, რომ ერთმანეთში არეულია ხარჯთფასები და ღირებულებანი.

ამით, მაშასადამე, რიკარდოს თეორია ბათილდება. დანარჩენზე ნათქვამია ზემოთ როდბერტუსის თეორიის განხილვისას.

[8) რენტის რიკარდოსეული განსაზღვრის არადამაკმაყოფილებლობა]

როგორც უკვე აღვნიშნე *, თავს მიწის რენტის შესახებ რიკარდო იმით იწყებს, რომ საჭიროდ მიაჩნია გამოკვლეულ იქნეს, ეთანხმება თუ არა «მიწის გადაქცევა საკუთრებად და ამის შედეგად რენტის წარმოქმნა» (გვ. 53) სამუშაო დროით ღირებულების განსაზღვრას. და შემდეგ:

«ადამ სმიტი... არ შეიძლება მართალი იყოს, როცა ვარაუდობს, რომ საქონელთა საცვლელი ღირებულების მარგეულირებელი თავდაპირველი წესი, — სახელდობრ, შრომის შედარებითი რაოდენობა, რომლითაც ისინია წარმოებული, — შეიძლება საერთოდ შეიცვალოს საკუთრებად მიწის გადაქცევისა და რენტის გადახდის გამო» (გვ. 67).

ეს პირდაპირი და შეცნობილი კავშირი, რაც რიკარდოს რენტის თეორიას ღირებულების განსაზღვრასთან აქვს, შეადგენს რიკარდოს თეორიულ დამსახურებას. დანარჩენში ეს მე-2 თავი («რენტის შესახებ»), თითქოს, უფრო ცუდია, ვიდრე ამავე საკითხის უესტისეული დალაგება. მასში ბევრი რამ საეჭვოა, გვხვდება petitio principii** და ბიკერძოებული მიდგომა პრობლემისადმი.

საკუთრივ სამწათმოქმედო რენტის შემთხვევაში, რომელსაც რიკარდო სამართლიანად განიხილავს აქ როგორც რენტას κατ'ἐξοχήν***რენტა არის ის, რასაც იხდიან ნებართვისათვის, რომ დააბანდონ კაპიტალი წარმოების იმ ელემენტში, რომელსაც წარმოადგენს მიწა, აწარმოონ მასში კაპიტალისტურად. მიწა აქ — წარმოების ელემენტია. სხვაგვარადაა საქმის ვითარება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა რენტას იხდიან ნაგებობათათვის, წყალვარდნილებისათვის და ა. შ. ბუნების ის ძალები, რომელთა სარგებლობისათვის აქ რენტას იხდიან, შედიან წარმოებაში როგორც მისი პირობა, სულ ერთია, იქნება ეს მწარმოებლური ძალის სახით თუ conditio sine qua non-ის **** სახით, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ წარმოების

---

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 218. რედ.

** — ლოგიკური შეცდომა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რაიმე თეზისის დამტკიცება ხდება ისეთი არგუმენტით, რომელსაც ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასამტკიცებელი თეზისის ჭეშმარიტებას დავუშვებთ. რედ.

*** — უპირატესად, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. რედ.

**** — პირობის, ურომლისოდაც რაიმე შეუძლებელია, აუცილებელი პირობის. რედ.

თვით ამ გარკვეული სფეროს ელემენტს. შემდეგ, სამადნეებისათვის, ქვანახშირის მაღაროებისათვის და ა. შ. გადასახდელი რენტის შემთხვევაში მიწა გამოდის როგორც რეზერვუარი სახმარი ღირებულებებისა, რომლებიც უნდა ამოღებულ იქნან მისი წიაღიდან. აქ მიწისათვის ფასს იხდიან არა იმიტომ, რომ ეს მიწა, ისე როგორც ამას მიწათმოქმედებაში აქვს ადგილი, იმ ელემენტს წარმოადგენს, რომელშიც წარმოება უნდა ხორციელდებოდეს, და არა იმიტომ, რომ იგი შედის წარმოების პროცესში წარმოების ერთ-ერთი პირობის სახით, როგორც ეს წყალვარდნილისა და სამშენებლო ნაკვეთების შემთხვევაშია, არამედ იმიტომ, რომ იგი, როგორც რეზერვუარი, შეიცავს იმ სახმარ ღირებულებებს, რომელთა დაუფლებაც საწარმოო საქმიანობის მეშვეობით უნდა მოხდეს.

რიკარდოსეული ფანსაზღვრა:

«რენტა — ეს არის მიწის პროდუქტის ის ნაწილი, რასაც უხდიან მიწის მესაკუთრეს ნიადაგის თავდაპირველი და დაუნგრეველი ძალებით სარგებლობისათვის» (გვ. 53).

— ცუდია. ჯერ ერთი, ნიადაგს არ გააჩნია «დაუნგრეველი ძალები». (ამის შესახებ შენიშვნა უნდა გაკეთდეს მოცემული განყოფილების ბოლოს.) მეორე, მას არ გააჩნია ასევე «თავდაპირველი» ძალებიც, რამდენადაც ნიადაგი არ წარმოადგენს საერთოდ რაიმე «თავდაპირველს», არამედ იგი ბუნებრივისტორიული პროცესის პროდუქტია. მაგრამ დავანებოთ ამას თავი. ნიადაგის «თავდაპირველი» ძალები უნდა გავიგოთ აქ როგორც ისეთი ძალები, რომლებიც მას გააჩნია ადამიანის წარმოებითი საქმიანობის ზემოქმედებისაგან დამოუკიდებლად, თუმცა, მეორე მხრივ, ადამიანის წარმოებითი საქმიანობით მისთვის მინიჭებული ძალები სავსებით ისევე იქცევიან ნიადაგის თავდაპირველ ძალებად, როგორც ის ძალებიც, რომლებიც მას ბუნებაში მიმდინარე პროცესებმა მიანიჭეს. დანარჩენში სწორი რჩება ის, რომ რენტას იხდიან ბუნების საგნებით «სარგებლობისათვის» — სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, ნიადაგის «თავდაპირველი ძალებით» სარგებლობაზეა ლაპარაკი, თუ წყალვარდნილის ვარდნის ძალით, ანდა სამშენებლო ნაკვეთით სარგებლობაზე, თუ იმ ამოსაღები განძით სარგებლობაზე, რასაც წყალი ან მიწის წიაღი შეიცავს.

საკუთრივ სამიწათმოქმედო რენტისაგან განსხვავებით ა. სმიტი (აღნიშნავს რიკარდო) ლაპარაკობს რენტაზე, რო-

მელსაც იხდიან ხელუხლებელი ტყეების მერქნისათვის, ქვანახშირის მაღაროებისა და ქვის სამტეხლოთა რენტაზე. წესი, რომლითაც ამას რიკარდო უკუაგდებს, რამდენადმე უცნაურია.

რიკარდო იმით იწყებს, რომ მიწის რენტაში არ უნდა ავურიოთ სარგებელი და მოგება კაპიტალისა (გვ. 53), სახელდობრ იმ კაპიტალისა,

«რომელიც მოხმარდა ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესებას და პროდუქტის შენახვისად და გაფუქებისაგან მის დასაცავად საჭირო შენობათა აგებას» (გვ. 54).

აქედან რიკარდო მაშინვე გადადის ზემოდასახელებულ რენტის შემთხვევებზე, რომლებზეც მიგვითითებს ა. სმიტი. ხელუხლებელი ტყეების შესახებ რიკარდო ამბობს:

«მაგრამ განა ცხადი არაა, რომ იმ პირმა, რომელმაც გადაიხადა ის, რასაც იგი» (სმიტი) «რენტას უწოდებს, გადაიხადა რენტა, რადგან მხედველობაში ჰქონდა ბუნებრივად აღმოცენებული ძვირფასი საქონელი, რომელიც მაშინ მოცემულ მიწის ნაკვეთზე იმყოფებოდა, და რომ ამ პირმა ნამდვილად აინაზღაურა მოგებით თავისი ფული მერქნის გაყიდვით?» (გვ. 54).

ასეთივე მდგომარეობაა ქვის სამტეხლოებისა და ქვანახშირის მაღაროების მიმართ:

«მაღაროებისა ან ქვის სამტეხლოებისათვის [565] გასაცემენ საზღაურს იხდიან იმ ნახშირის ან ქვის ღირებულებისათვის, რომელთა მიღებაც იქიდან შეიძლება, და ეს საზღაური არავითარ კავშირში არ იმყოფება ნიადაგის თავდაპირველ და დაუნგრეველ ძალებთან. ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს რენტისა და მოგების გამოკვლევისას; რადგან ირკვევა, რომ რენტის მოძრაობის მარეგულირებელი კანონები ძლიერ განსხვავდებიან მოგების მოძრაობის მარეგულირებელი კანონებისაგან, და რომ ეს კანონები იშვიათად მოქმედებენ ერთი და იმავე მიმართულებით» (გვ. 54 — 55).

ეს მეტად უცნაური ლოგიკაა. უნდა განვასხვაოთ, ამბობს რიკარდო, რენტა, რასაც მიწის მესაკუთრეს უხდიან «ნიადაგის თავდაპირველი და დაუნგრეველი ძალებით სარგებლობისათვის», და სარგებელი და მოგება, რომელთაც მას უხდიან ნიადაგის და სხვ. გაუმჯობესებაზე მის მიერ დახარჯული კაპიტალისათვის. «საზღაური», რასაც ბუნებრივად გაზრდილი ტყეების მესაკუთრეს უხდიან იმ უფლებისათვის, რომ ამ ტყეებიდან მერქანი «მიიღონ», ანდა რასაც ქვის სამტეხლოთა და ქვანახშირის მაღაროთა მფლობელს უხდიან იმ უფლებისათვის, რომ იქიდან ქვა და ნახშირი მიიღონ, არ წარმოადგენს რენტას, რადგან მას იხდიან არა «ნიადაგის თავდაპირველი და დაუნგრე-

ველი ძალებით» სარგებლობისათვის. ძალიან კარგია! მაგრამ რიკარდო თავის მსჯელობას ისე წარმართავს, თითქოს ეს «საზღაური» იგივე იყოს, რაც მოგება და სარგებელია, რასაც მიწის გაუმჯობესებ:ში დაბანდებული კაპიტალისათვის იხდიან! მაგრამ ეს სავსებით მცდარია! განა «ხელუხლებელი ტყის» მფლობელმა მიწაში «კაპიტალი» დაბანდა, რათა ამ ხელუხლებელმა ტყემ მერქანი მისცეს? ანდა განა ქვის სამტეხლოთა და ქვანახშირის მაღაროთა მფლობელმა მათში «კაპიტალი» დაბანდა, რათა ისინი «ქვებსა» და «ნახშირს» შეიცავდნენ? მაშ საიდან მომდინარეობს მის მიერ მიღებული «საზღაური»? იგი არავითარ შემთხვევაში არ არის კაპიტალის მოგება ან სარგებელი, როგორც ეს რიკარდოს სურს გაატაროს. მაშასადამე, ეს სხვა არაფერია, თუ არა «რ ე ნ ტ ა», თუმცა იგი არც რენტაა იმ აზრით, რა აზრითაც განსაზღვრა რიკარდომ რ ე ნ ტ ა. მაგრამ ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ რენტის რიკარდოსეული განსაზღვრა გამორიცხავს იმ ფორმებს, სადაც «საზღაურს» იხდიან მარტოოდენ ბ უ ნ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რომლებშიც არ არის განსხორციელებული არავითარი შრომა ადამიანისა, ამასთან უხდიან ამ ბუნების საგნების მ ე ს ა კ უ თ რ ე ს და მხოლოდ იმიტომ, რომ იგი «მესაკუთრეა», მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე, განურჩევლად იმისა, სახნავი მიწა იქნება ეს, ტყე, ტბორი თევზსათვის, წყალსადენი, სამშენებლო ნაკვეთი თუ სხვ. და ა. შ. მაგრამ, ამბობს რიკარდო, ადამიანი, რომელიც ფ უ ლ ს ი ხ დ ი ს იმის უფლებისათვის, რომ ხეები მოჭრას უღრან ტყეში, იხდის მას, რადგან «მხედველობაში ჰქონდა ის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ა დ ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ უ ლ ი ძ ვ ი რ ფ ა ს ი ს ა ქ ო ნ ე ლ ი, რომელიც მაშინ მ ო ც ე მ უ ლ მ ი წ ი ს ნ ა კ ვ ე თ ზ ე ი მ ყ ო ფ ე ბ ო დ ა, და რომ ეს ადამიანი ნამდვილად ი ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ ს მ ო გ ე ბ ი თ ა ვ ი ს ფ უ ლ ს მერქნის გაყიდვით». სდექ! თუ რიკარდო აქ «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ა დ ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ უ ლ ძ ვ ი რ ფ ა ს ს ა ქ ო ნ ე ლ ს» უწოდებს იმ ხეებს, რომლებიც უღრან ტყეში იზრდება, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი δυναμει* წარმოადგენენ სახმარ ღირებულებას. და ეს სახმარი ღირებულება გამოხატულია აქ სიტყვით «ძვირფასი». მაგრამ ეს სრულიადაც არ არის «ს ა ქ ო ნ ე ლ ი». იმიტომ რომ ამისათვის აღნიშნული ხეები ამასთანავე ერთად უნდა წარმოადგენდნენ საცვლელ ღირებულებას, ე. ი. მათზე დახარჯული შრომის გარკვეული რაოდენობის გასაგნობრივებას. საქონლად ისინი იქცევიან მხოლოდ იმის მეოხებით, რომ

* — პოტენციურად, შესაძლებლობით. რ ე დ.

მათ გამოჰყოფენ გაუჩეხელი ტყისაგან, მოჭრიან, გამოათრევენ, გადაზიდავენ, ხის ღეროსაგან ტყის მასალად გადააქცევენ. ანდა, შეიძლება, ისინი საქონლად იქცევიან მხოლოდ იმის მეოხებით რომ მათ ყიდიან? მაშინ სახნავი მიწაც ასევე იქცევა საქონლად მხოლოდ გაყიდვის აქტის შესრულების გამო!

მაშასადამე, ჩვენ უნდა გვეთქვა ასე: რენტა — ეს არის ფასი, რასაც ბუნების ანდა უბრალოდ ბუნების პროდუქტების მესაკუთრეს უხდიან ამ ძალებით სარგებლობის უფლებისათვის ანდა ამ პროდუქტების მითვისების (შრომის გამოყენების გზით) უფლებისათვის. ასეთია სწორედ სინამდვილეში ის ფორმა, რომლითაც თავდაპირველად ყოველი რენტა გვევლინება. მაგრამ მაშინ გადასაწყვეტი რჩება საკითხი, თუ როგორ შეიძლება, რომ ფასი ჰქონდეთ ნივთებს, რომელთაც ღირებულება არა აქვთ, და როგორ ეთანხმება ეს ღირებულების საერთო თეორიას. საკითხს, რა მიზნით იხდის ადამიანი საფასურს იმ უფლებისათვის, რომ გაჩეხოს ტყე მიწაზე, რომელზეც იგი იზრდება, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ნამდვილ საკითხთან. საკითხი დგას ასე: რა ფონდიდან იხდის ეს ადამიანი? რიკარდო გვეუბნება: «მერქნის გაყიდვით მიღებული თანხიდან». მაშასადამე, მერქნის ფასიდან. თანაც მისი ფასი ისეთი იყო, რომ ამ ადამიანმა, როგორც რიკარდო ამბობს, «ნამდვილად აინაზღაურა მოგებით თავისი ფული». ამრიგად, ახლა ჩვენ ვიცით, რაშია საქმე. მერქნის ფასი უნდა უდრიდეს სულ ცოტა ფულის ჯამს, რომელიც წარმოადგენს შრომის იმ რაოდენობას, რაც აუცილებელია ხეების მოსაჭრელად, გამოსათრევად, გადასაზიდად და ბაზარზე გასატანად. და აი, არის თუ არა მოგება, რითაც ადამიანი «თავის ფულს ინაზღაურებს», წანამატი ამ ღირებულებისა, საცვლელი ღირებულებისა, რომელიც ახლა მიენიჭა მოჩეხილ ტყეს მასზე დახარჯული შრომით? თუ რიკარდო ამას იტყოდა, ამით ის დაეშვებოდა მის საკუთარ თეორიაზე უფრო დაბლა მდგომ ყველაზე უხეშ წარმოდგენამდე. არა. მოგება, თუ ვიგულისხმებთ, რომ ეს ადამიანი კაპიტალისტი იყო, ის ნაწილია მის მიერ «მერქნის» წარმოებაში გამოყენებული შრომისა, რომლის საფასურიც მას არ გადაუხდია, და იგი, შეგვეძლო ჩვენ გვეთქვა, ასეთსავე მოგებას მიიღებდა, თუ შრომის იმავე რაოდენობას აამოქმედებდა ბამბის სართავ ფაბრიკაში. (თუ ეს კაცი კაპიტალისტი არ არის, მაშინ მოგება უდრის მისი შრომის იმ რაოდენობას, რომელიც ქმნის მისი ხელფასის ანაზღაურების ნამეტს და რომელიც კაპიტალისტის მოგება

იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალისტი დაიქირავებდა ამ ადამიანს, მაგრამ რომელიც ახლა შეადგენს უკანასკნელის საკუთარ მოგებას, იმიტომ რომ იგი თავისი საკუთარი დაქირავებული მუშა და თავისი საკუთარი კაპიტალისტია ერთსა და იმავე პიროვნებაში.) მაგრამ აქ ნახმარია შეუსაბამო გამოთქმა, რომ ეს ხეტყის მრეწველი «ნამდვილად ინაზღაურებს მოგებით თავის ფულს». ეს მთელ საქმის ვითარებას მეტად ზერელე ხასიათს ანიჭებს და იმ უხეშ წარმოდგენას შეეფერება, რომელიც შეიძლება ჰქონდეს თავისი მოგების წყაროზე თვით კაპიტალისტს, ტყეს რომ ანადგურებს. ჯერ იგი საფასურს აძლევს გაუჩეხავი ტყის მფლობელს იმ ხეების სახმარ ღირებულებაში, რომელთაც არავითარი «ღირებულება» (საცვლელი ღირებულება) არ გააჩნიათ და ჯერ «კიდევ მიწაზე დგანან», არ გააჩნიათ სახმარი ღირებულებაც კი. იგი უხდის ტყის მფლობელს, ვთქვათ, 5 გირვ. სტერლინგს ტონაში. შემდეგ კი იგი იმავე მერქანს მიჰყიდის საზოგადოებას (თუ არ ვიანგარიშებთ მის სხვა ხარჯებს) 6 გირვ. სტერლინგად და, ამრიგად, ნამდვილად ინაზღაურებს 5 გირვ. სტერლინგს 20%-ის მოგებით. «მან ნამდვილად ინაზღაურა მოგებით თავისი ფული». თუ ტყის მფლობელი «საზღაურს» მოითხოვდა სულ მხოლოდ 2 გირვ. სტერლ. (40 შილ.) ოდენობით, მაშინ ხე-ტყის მრეწველი ტონა მერქანს გაყიდდა 2 გირვ. სტერლ. 8 შილინგად ნაცვლად 6 გირვ. სტერლინგისა. [566] რადგან ხე-ტყეს მრეწველი ყოველთვის დაუმატებს ხოლმე მოგების ერთსა და იმავე პროცენტს, ამიტომ აქ, მაშასადამე, მერქნის ფასი ან უფრო მაღალი იქნებოდა ან უფრო დაბალი, იმისდა მიხედვით, მაღალია თუ დაბალი რენტა. უკანასკნელი შევიდოდა ფასში როგორც მისი ჩამოყალიბებელი ელემენტი და სრულიად არ იქნებოდა ფასის შედეგი. უხდიან «რენტას» («საზღაურს») მიწის მფლობელს მიწის «ძალებით» სარგებლობისათვის თუ მიწის «ბუნებრივი პროდუქტებით» სარგებლობისათვის, ამას აბსოლუტურად არავითარი ცვლილება არ შეაქვს ეკონომიურ ურთიერთობაში, არაფერს არ ცვლის იმაში, რომ საფასურს იხდიან «რაღაც ბუნებით მოცემულისათვის», მიწის ძალებისა თუ პროდუქტებისათვის, რომლებზეც მანამდე არ დახარჯულა არავითარი შრომა ადამიანისა. და ამგვარად რიკარდო «რენტის შესახებ» ამ თავის მეორე გვერდზე—წამოჭრილი სიძნელისათვის გვერდის ავლის მიზნით — თავდაყირა აყენებს მთელ თავის თეორიას. ა. სმიტი, ჩანს, აქ გაცილებით უფრო შორსმჭვრეტელი იყო.

ასეთივე მდგომარეობაა ქვის სამტეხლოებისა და ქვანახშირის მაღაროების მიმართ.

«მაღაროებისა ან ქვის სამტეხლოებისათვის გასაცემ საზღაურს იხდიან იმ ნახშირის ან ქვის ღირებულებისათვის, რომელთა მიღებაც იქიდან შეიძლება, და ეს საზღაური არავითარ კავშირში არ იმყოფება ნიადაგის თავდაპირველ და დაუნგრეველ ძალებთან» (გვ. 54 — 55).

არავითარ კავშირში! მაგრამ ამ საზღაურს შეტად არსებითი კავშირი აქვს «მიწის თავდაპირველ და ნგრევისადმი დაქვემდებარებულ პროდუქტებთან». სიტყვა «ღირებულება» აქ ისევე შეუსაბამოა, როგორც ზემოთ მოცემული სიტყვები «ინაზღაურებს მოგებით».

რიკარდო არასდროს არ ხმარობს სიტყვას «ღირებულება» სარგებლობის, ან ვარგისობის, ანდა «სახმარი ღირებულების» ალსანიშნავად. მაშასადამე, ხომ არ უნდა მას იმის თქმა, რომ «საზღაურს უხდიან ქვის სამტეხლოებისა და ქვანახშირის მაღაროების მესაკუთრეს იმ «ღირებულებისათვის», რაც ნახშირსა და ქვას გააჩნიათ მანამდე, სანამ მათ ამოიღებდნენ ქვის სამტეხლოებიდან და მაღაროებიდან, ე. ი. თავიანთ თავდაპირველ მდგომარეობაში? ასეთ შემთხვევაში იგი საკუთრივ აბათილებს თავის მოძღვრებას ღირებულების შესახებ. ანდა რომ ღირებულება, როგორც ეს საკირო იყო გვეთქვა, ნიშნავს აქ შესაძლებელ სახმარ ღირებულებას, მაშასადამე, ნახშირისა და ქვის მოსალოდნელ საცვლელ ღირებულებასაც ავრეთვე? მაშინ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მათს მესაკუთრეს რენტას უხდიან იმ ნებართვისათვის, რომ გამოიყენონ «მიწის თავდაპირველი კომპონენტები» ნახშირისა და ქვის ამოსადებად. და აბსოლუტურად შეუძლებელია იმის გაგება, თუ რატომ არ უნდა ეწოდებოდეს ამასაც ასევე რენტა, როგორც იმ შემთხვევაშიც, როცა ნებადართულია მიწის «ძალების» გამოყენება ხორბლის საწარმოებლად. სხვანაირად ჩვენ ხომ კვლავ მივალთ რენტის მთელი თეორიის გაბათილებამდე, როგორც ეს ტყის მაგალითზე ვაირკვა. სწორი თეორიის პირობებში საკითხი სრულიად არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ხე-ტყის, ნახშირის, ქვის «წარმოებაზე» (არა კვლავწარმოებაზე) დახარჯული შრომა (რომელიც, მართალია, არ ქმნის ბუნების ამ პროდუქტებს, მაგრამ წყვეტს მათს თავდაპირველ კავშირს მიწასთან და ამრიგად «აწარმოებს» მათ როგორც ხმარებისათვის გამოსადეგ ხე-ტყეს, ნახშირს, ქვას) და კაპიტალი ეკუთვნის, ცხადია, წარმოების იმ სფეროებს, სადაც ხელფასზე დახარჯული ნაწილი კაპიტალისა უფრო მეტია, ვიდრე მუდმივ კაპიტალზე დახარჯული; უშუალო შრომა აქ უფრო მეტია, ვიდრე ის «წარსული» შრომა, რომლის შედეგიც წარმოების საშუალებას წარ-

მოადგენს. მაშასადამე, თუ საქონელი აქ თავისი ღირებულების მიხვდვით იყიდება, ეს ღირებულება აღემატება მის ხ ა ჯ თ ფ ა ს ს, ე. ი. იარაღების გაცვეთას, ხელფასსა და საშუალო მოგებას. ნ ა მ ე ტ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა, მაშასადამე, რენტის სახით საზღაურად მიეცეს ტყის, ქვის სამტეხლოს ან ქვანახშირის მაღაროს მესაკუთრეს.

მაგრამ რით აიხსნება რიკარდოს ეს უხეში მანევრები, უმართებულო ხმარება სიტყვისა «ღირებულება» და ა. შ.? რატომ ებღაუჭება იგი რენტის იმ განსაზღვრას, რომლის თანახმად იგი წარმოადგენს საზღაურს «ნიადაგის თავდაპირველი და დაუნგრეველი ძალებით» სარგებლობისათვის? პასუხს ჩვენ, ალბათ, შემდეგში მივიღებთ. ყოველ შემთხვევაში, რიკარდოს სურს გამოჰყოს საკუთრივ სამიწათმოქმედო რენტა, ხაზი გაუსვას მის სპეციფიკურ ნიშნებს და ამასთანავე საფუძველი ჩაუყაროს დიფერენციული რენტის თეორიას იმაზე მითითებით, რომ თავდაპირველი ძალების ანაზღაურება იმდენად შეიძლება, რამდენადაც ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურს აღწევენ.

[თ ა ვ ი მ ე თ ო რ ე ს ე ტ ე]

დიფერენციული რენტის ცხრილები ახსნა-განმარტებებით

[1) ცვლილებები რენტის მასასა და ნორმაში]

ზემონათქვამს უნდა დაემატოს კიდევ შემდეგი:

დავუშვათ, რომ აღმოჩენილ იქნა უფრო პროდუქტიული ანდა უკეთ განლაგებული ქვანახშირის მაღაროები და ქვის სამტეხლოები, ასე რომ შრომის იმავე რაოდენობის დახარჯვით ისინი მოგვცემდნენ უფრო მეტ პროდუქტს, ვიდრე ძველი მაღაროები და ქვის სამტეხლოები, ამასთან პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ი ს ე თ რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს, რომელიც მთელ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. მაშინ ნახშირის, ქვის, მერქნის ფასი დაიწევდა, იმიტომ რომ დაიწევდა მათი ღირებულება, და ამის გამო აუცილებლად დაიხურებოდა ძველი ქვანახშირის მაღაროები და ქვის სამტეხლოები. ისინი აღარ მოგვცემდნენ არც მოგებას, არც ხელფასს, არც რენტას. მიუხედავად ამისა, ა ხ ა ლ ი მაღაროები მოგვცემდნენ რენტას, როგორც წინათ ძველი მაღაროები, თუმცა უ ფ რ ო მ ც ი რ ე ს (თავისი ნორმის მიხედვით). შრომის ნაყოფიერების ყოველი გადიდება ხომ ამცირებს ხელფასზე დახარჯულ კაპიტალს მის შეფარდებაში მუდმივ კაპიტალთან, აქ — წარმოების იარაღებში დაბანდებულ კაპიტალთან. სწორია თუ არა ეს? სწორია თუ არა მოცემულ შემთხვევაში, როცა შრომის ნაყოფიერების ცვლილება ხდება იმის შედეგად, რომ იცვლება არა თვით წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ე ს ი, არამედ ბუნებრივი პროდუქტიულობა ქვანახშირის მაღაროსი ან ქვის სამტეხლოსი ანდა მათი ადგილმდებარეობისა? ერთადერთი, რის თქმაც აქ შეგვიძლია, ეს ისაა, რომ კაპიტალის ი გ ი ვ ე რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ამ შემთხვევაში მეტ ტონა ნახშირს ან ქვას იძლევა, რომ,მაშასადამე, ყოველი ცალკეული ტონა ნაკლებ

შრომას შეიცავს, მაგრამ ყველა ტონა, ერთად აღებული, შეიცავს იმ-დენსავე შრომას ანდა მეტსაც კი, თუ ახალი მაღაროები ან ქვის სამ-ტეხლოები, გარდა წინანდელი მოთხოვნისა, რასაც ძველი მაღაროები და ქვის სამტეხლოები აკმაყოფილებდნენ, აკმაყოფილებენ კიდევ დამატებითს მოთხოვნას, სახელდობრ ისეთ დამატებითს მოთხოვნას, რომელიც აღემატება ძველი და ახალი მაღაროებისა და ქვის სამტეხ-ლოების ნაყოფიერების სხვაობას. მაგრამ ამით გ ა ძ ო ყ ე ნ ებ უ-ლი კაპიტალის ო რ გ ა ნ უ ლ ი შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა არ შეიცვ-ლებოდა. მ. რთალია, ერთი ტონის, ყოველი ცალკეული ტონის ფასი ნაკლები რენტის შემცველი იქნებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველ ტონაში საერთოდ ნაკლები შრომა, მაშასადამე, ნაკლები ხელფასი და ნაკლები მოგება იქნებოდა მოთავსებული. მაგრამ რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ი ს შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ს მოგებასთან ეს არ შეეხ-ებოდა. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია (567) ვთქვათ მხოლოდ შემდეგი:

თუ მოთხოვნა იგივე რჩება, თუ, მაშასადამე, საჭიროა ნახშირისა და ქვის ი ს ე თ ი ვ ე რაოდენობის წარმოება, რამდენიც უწინ აწარ-მოებოდა,—მაშინ საქონელთა ი მ ა ვ ე მასის საწარმოებლად ახალ, უფრო პროდუქტიულ მაღაროებსა და ქვის სამტეხლოებში ახლა უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი გამოიყენება, ვიდრე წინათ ძველებში გამოიყენებოდა. ამასთან ერთად ეცემა საქონელთა მთელ მასის ერთობლივი ღირებულება; მაშასადამე, მცირდება რენტის, მოგების, ხელფასისა და გამოყენებული მუდმივი კაპიტალის მთელი ჯამიც. მაგრამ თანაფარდობა რენტასა და მოგებას შორის არ იცვლე-ბა, სავსებით ისევე როგორც არ იცვლება აგრეთვე თანაფარდობა მოგებასა და ხელფასს შორის ანდა მოგებასა და დახარჯულ კაპი-ტალს შორის, რადგან არ მომხდარა არავითარი ო რ გ ა ნ უ ლ ი ცვლილება გამოყენებულ კაპიტალში. შეიცვალა მხოლოდ ს ი დ ი-დ ე, მაგრამ არა შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა გამოყენებული კაპიტალისა, მაშასადამე, არც წარმოების წესი.

თუ საჭიროა დ ა მ ა ტ ებ ი თ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს დაკმაყოფი-ლება, მაგრამ ისეთი დამატებითი მოთხოვნისა, რომელიც უდრას ახალი და ძველი მაღაროებისა და ქვის სამტეხლოების პროდუქტი-ულობის სხვაობას, — მაშინ უწინდებურად ი მ ა ვ ე ს ი დ ი დ ის კ ა პ ი ტ ა ლ ი გამოიყენება. ყოველი ცალკეული ტონის ღირებუ-ლება ეცემა. მაგრამ ტონათა ერთობლივ რაოდენობას იგივე ღირე-ბულება აქვს, რაც უწინ ჰქონდა. თუ ყოველ ცალკეულ ტონას გან-ვიხილავთ, მასში მოთავსებულ ღირებულებასთან ერთად შემცირდა ღირებულების იმ ნაწილების სიდიდეც, რომლებიც მოგებად და

რენტად იქცევიან. მაგრამ რადგან კაპიტალის სიდიდე და ამასთან ერთად მისი პროდუქტის ერთობლივი ღირებულება უცვლელი დარჩა, ასევე არ მომხდარა ორგანული ცვლილებაც მის შედგენილობაში, ამიტომ რენტისა და მოგების აბსოლუტური მასა იგივე დარჩა.

თუ დამატებითი მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ წინანდელი კაპიტალდაბანდების პირობებში ახალი და ძველი მაღაროებისა და ქვის სამტეხლოების პროდუქტიულობის განსხვავებას არ შეუძლია ამ მოთხოვნის დაფარვა, მაშინ ახალ მაღაროებში აუცილებელია დამატებითი კაპიტალის გამოყენება. ამ შემთხვევაში, — თუ მთელი დაბანდებული კაპიტალის გადიდებასთან ერთად ცვლილება არ ხდება შრომის დანაწილებაში, მანქანების გამოყენებაში, თუ, მაშასადამე, არავითარი ცვლილება არ ხდება კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში, — იზრდება რენტისა და მოგების მასა, რადგან გაიზარდა ერთობლივი პროდუქტის ღირებულება, ტონათა ერთობლივი რაოდენობის ღირებულება, თუმცა ყოველი ცალკეული ტონის ღირებულება დაეცა, მაშასადამე, დაეცა ერთი ტონის ღირებულების ის ნაწილიც, რომელიც რენტად და მოგებად იქცევა.

ყველა ამ შემთხვევაში არავითარი ცვლილება არ ხდება რენტის ნორმაში, რადგან არ იცვლება გამოყენებული კაპიტალის ორგანული შედგენილობა (როგორც არ უნდა იცვლებოდეს მისი სიდიდე). თუკი, პირიქით, ცვლილება მოხდებოდა კაპიტალის ორგანული შედგენილობის გამო, იმის გამო, რომ შემცირდებოდა ხელფასზე დახარჯული კაპიტალი შედარებით მანქანაზე და ა. შ. დახარჯულ კაპიტალთან, — ასე რომ, მაშასადამე, შეიცვლებოდა თვით კაპიტალისტური წარმოების წესი, — მაშინ რენტის ნორმა დაეცემოდა, რადგან შემცირდებოდა სხვაობა საქონლის ღირებულებასა და მის ხარჯთფასს შორის. ზემოთ განხილულ სამ შემთხვევაში ეს სხვაობა არ მცირდება; ეს იმიტომ, რომ, თუ ეცემა ცალკეული საქონლის ღირებულება, ეცემა აგრეთვე მისი ხარჯთფასიც, რადგან ცალკეულ საქონელზე იხარჯება ნაკლები შრომა, ფასგადახდილი და ფასგადაუხდელი.

ამრიგად, ზემოგადმოცემულის თანახმად, თუ შრომის ნაყოფიერების გადიდება — ანდა წარმოებულ საქონელთა გარკვეული რაოდენობის ღირებულების შემცირება — გამოწვეულია მხოლოდ ბუნებრივი ელემენტების ნაყოფიერების ცვლილებით, ნიადაგის ნაყოფიერების, მაღაროთა, ქვის სამტეხლოთა და ა. შ. სიმდიდრის ბუნებ-

რიკი დონის სხვაობით, მაშინ რენტის მასა შეიძლება დაეცეს იმის გამო, რომ შეცვლილ პირობებში კაპიტალის უფრო ნაკლები რაოდენობა გამოიყენება; იგი შეიძლება უცვლელი დარჩეს დამატებითი მოთხოვნის არსებობის დროს; იგი შეიძლება გაიზარდოს, თუ დამატებითი მოთხოვნა აღემატება წარმოების ძველი, წინათ ექსპლოატაციაში მყოფი და ამჟამად ექსპლოატირებული ბუნებრივი ფაქტორების ნაყოფიერებაში მოცემულ სხვაობას. მაგრამ რენტის ნორმა შეიძლებოდა შეცვლილიყო მხოლოდ გამოყენებული კაპიტალის ორგანული შედგენილობის ცვლილებასთან ერთად.

ამრიგად, არ არის აუცილებელი, რომ რ ე ნ ტ ი ს მ ა ს ა ეცემოდეს, როცა შეწყდება ხოლმე ცუდი მიწის, ცუდი ქვის სამტეხლოს, ცუდი შახტის და ა. შ. დამუშავება. კიდევ მეტი, რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ა არც შეიძლება არასოდეს დაეცეს იმ შემთხვევებში, როცა ცუდი მიწის ნაკვეთების დამუშავების შეწყვეტა მხოლოდ მათი ნ ა კ ლ ე ბ ი ბუნებრივი ნაყოფიერების შედეგია.

რიკარდო დაუშვებელი წესით ურევს იმ სწორ დებულებას, რომ ამ შემთხვევაში რ ე ნ ტ ი ს მ ა ს ა მოთხოვნის გარკვეული მდგომარეობის დროს შეიძლება ეცემოდეს, — ე. ი. რომ იგი დამოკიდებულია იმაზე, მცირდება, უცვლელი რჩება თუ იზრდება გ ა მ ო ყ ე ნ ებ უ ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ი დ ი დ ე, — სავსებით მცდარ დებულებაში, თითქოს აქ უნდა ეცემოდეს რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ა, რაც მოცემული წანამძღვრის პირობებში შეუძლებელია, რადგან იგულისხმება, რომ ა რ ა ვ ი თ ა რ ი ც ვ ლ ი ლ ებ ა არ მომხდარა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ო რ გ ა ნ უ ლ შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა ში, ე. ი. არ მომხდარა ისეთი ცვლილება, რომელიც შეეხებოდა თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ს ა და ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს შ ო რ ის — ერთადერთ თანაფარდობას, რომელიც [აბსოლუტური] რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ა ს განსაზღვრავს.

[2) დიფერენციული და აბსოლუტური რენტის სხვადასხვა კომბინაციები. ცხრილები A, B, C, D, E]

როგორღა დგას ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი რ ე ნ ტ ი ს საკითხი?

დავუშვათ, რომ ექსპლოატაციაშია სამი თანრიგის ქვანახშირის მადაროები, I, II, III, ამასთან I თანრიგი იძლევა აბსოლუტურ რენტას, II იძლევა ორჯერ უფრო მეტს, ვიდრე I, III კი — ორჯერ უფრო მეტს; ვიდრე II, ანუ ოთხჯერ უფრო მეტს, ვიდრე I. ასეთ შემთხვევაში I თანრიგი იძლევა აბსოლუტურ რენტას რ, II იძლევა რენ-

ტას 2რ და III—4რ-ს. ვთქვათ, აღმოჩნდა ახალი თანრიგი IV, უფრო ნაყოფიერი, ვიდრე I, II და III, და იმდენად დიდი თავისი მოცულობით, რომ მასში შეიძლება იმდენივე კაპიტალის დაბანდება, რამდენიც დაბანდებულია 1-ში. ამ შემთხვევაში, მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს უ ც ვ ლ ე ლ ო ბ ი ს ა ს, IV თანრიგში ბანდდება იგივე კაპიტალი, რომელიც უწინ I-ში ბანდდებოდა. ამის შედეგად I დაიხურებოდა. საჭირო იქნებოდა II-ში დაბანდებული კაპიტალის ნაწილის ამოღებაც. IV თანრიგი საკმარისი იქნებოდა I-ის მთლიანად და II-ის ნაწილის, შესაცვლელად, მაგრამ ორივე უმაღლესი თანრიგი, III და IV, ვეღარ დაკმაყოფილებდა მთელ მოთხოვნას, თუ ექსპლოატაციაში არ დარჩებოდა II თანრიგის ნაწილი. იმისათვის, რომ კონკრეტული მაგალითით მოვახდინოთ ყოველივე ამის ილუსტრაცია, დავუშვათ, რომ IV თანრიგს შეუძლია ისეთი კაპიტალით, როგორიც I-ში იყო დაბანდებული, მოგვცეს I თანრიგის მთელი ამოღება და II-ის ამოღების ნახევარი. მაშასადამე, თუ II თანრიგში დაბანდებული იქნებოდა წინანდელი კაპიტალის ნახევარი, III-ში — წინანდელი კაპიტალი, IV-ში კი — ახალი კაპიტალი, მაშინ ბაზარი მთლიანად მომარაგებული იქნებოდა.

[568] როგორიღა იქნებოდა ამ შემთხვევაში მომხდარი ცვლილებანი ანდა როგორ გავლენას მოახდენდნენ ისინი რენტის საერთო ჯამზე, I, II, III და IV თანრიგთა რენტებზე?

IV თანრიგიდან მიღებული ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ა თავისი მასისა და ნორმის მიხედვით იგივე იქნებოდა, რაც წინათ 1-დან მიიღებოდა; მართლაც, ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ა უწინაც თავისი მასისა და ნორმის მიხედვით ერთი და იგივე იქნებოდა I, II და III თანრიგებში, თუ მუდამ იმ ვარაუდიდან გამოვალთ, რომ ამ სხვადასხვა თანრიგებში გამოყენებულია თ ა ნ ა ბ ა რ ი ო დ ე ნ ო ბ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი. IV თანრიგის პროდუქტის ღირებულება ზუსტად 1-ის წინანდელი პროდუქტის ღირებულების ტოლი იქნებოდა, იმიტომ რომ ეს იქნებოდა თ ა ნ ა ბ ა რ ი სიდიდისა და თ ა ნ ა ბ ა რ ი ო რ გ ა ნ უ ლ ი შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი ს მქონე კაპიტალის პროდუქტი. ამიტომ სხვაობაც ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის, მაშასადამე, რენტის ნორმაც აგრეთვე იგივე უნდა დარჩეს. გარდა ამისა, რენტის მასაც აგრეთვე იგივე უნდა დარჩეს, რადგან — რენტის მოცემული ნ ო რ მ ი ს პირობებში — გამოყენებული იქნებოდა თანაბარი სიდიდის კაპიტალები. მაგრამ რადგან ნახშირის [საბაზრო] ღირებულება განისაზღვრება არა IV თანრიგში მოპოვებული ნახშირის [ინდივიდუალური] ღირებულებით, ამიტომ IV-ში მი-

ღებული ნახშირი მოგვცემდა დამატებითს რენტას, ანუ გარკვეულ ნამეტს მის ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ რ ე ნ ტ ა ს თ ა ნ შედარებით, — რენტას, რომელსაც იძლევა არა სხვაობა ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის, არამედ სხვაობა IV თანრიგის პროდუქტის ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა და ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს შორის.

როცა ვამბობთ, რომ აბსოლუტური რენტა, ანუ სხვაობა ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის, ე რ თ ი და ი გ ი ვ ე ა I, II, III და IV თანრიგებში იმ პირობით, რომ მათში დაბანდებული კაპიტალის ს ი დ ი დ ე, მაშასადამე, რენტის მასაც რენტის მოცემული ნორმის დროს ერთი და იგივეა, ეს უნდა გავიგოთ ამნაირად: I-ის ნახშირის ღირებულება (ინდივიდუალური) უფრო მაღალია II-ის ნახშირის ღირებულებაზე, II-ის ნახშირის ღირებულება კი — უფრო მაღალია III-ის ნახშირის ღირებულებაზე, რადგან I-ის ნახშირის ე რ თ ი ტ ო ნ ა უფრო მეტ შრომას შეიცავს, ვიდრე II-ის ნახშირის ერთი ტონა, და II-ის ერთი ტონა — უფრო მეტს, ვიდრე III-ის ერთი ტონა. მაგრამ რადგან კაპიტალის ო რ გ ა ნ უ ლ ი შ ე ვ დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა ყველა სამივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, ეს სხვაობა არ ახდენს გავლენას ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ რ ე ნ ტ ა ზ ე, რასაც I, II და III თანრიგები იძლევიან. ეს იმიტომ რომ, თუ I-ის ტონის ღირებულება უფრო დიდია, მაშინ უფრო დიდია ხარჯთფასიც; იგი უფრო დიდია მხოლოდ იმ შეფარდებით, რომლითაც თანაბარი ორგანული შედგენილობის უ ფ რ ო დ ი დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ა გამოყენებული ე რ თ ი ტონის საწარმოებლად I თანრიგში, შედარებით II-სთან, II-ში კი — შედარებით III-თან. მაშასადამე, ეს განსხვავება თანრიგთა ღირებულებებს შორის ზუსტად უდრის განსხვავებას მათს ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ებ ს შორის, ე. ი. განსხვავებას I, II და III თანრიგებში ერთი ტონა ნახშირის წარმოებაზე დახარჯულ შეფარდებითს კაპიტალებს შორის. მაშასადამე, სხვაობა ღირებულების სიდიდეთა შორის სამ თანრიგში ვერ ახდენს გავლენას ს ხ ვ ა ო ბ ა ზ ე ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა და ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს შ ო რ ი ს სხვადასხვა თანრიგში. თუ ღირებულება უფრო დიდია, შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ უ ფ რ ო დ ი დ ი ა ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ი კ ი; ეს იმიტომ, რომ ღირებულება დიდდება მხოლოდ იმ პროპორციით, რითაც დიდდება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ან შრომის დანახარჯი; მაშასადამე, რჩება იგივე თანაფარდობა ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის, მაშასადამე, ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ა ც უცვლელი რჩება.

მაგრამ ვნახოთ, შემდეგ, როგორია საქმის ვითარება **დიფ-ერენციული რენტის მიმართ.**

ჯერ ერთი, ნახშირის მთელ წარმოებაში — II, III და IV თანრიგებში — **უფრო ნაკლები** კაპიტალი გამოიყენება. ეს იმიტომ რომ IV-ის კაპიტალი თავისი სიდიდით უდრის I-ის კაპიტალს, და გარდა ამისა, ამოღებულია II-ში გამოყენებული კაპიტალის ნახევარი; მაშასადამე, რენტის მასა II თანრიგში, ყოველ შემთხვევაში, სანახევროდ მცირდება. რაც შეეხება კაპიტალდაბანდებას, ცვლილება მოხდა მხოლოდ II თანრიგში, იმიტომ რომ IV-ში ბანდდება იმდენივე კაპიტალი, რამდენიც წინათ ბანდდებოდა I-ში. ჩვენ ვიგულისხმეთ, შეწდეგ, რომ I, II და III თანრიგებში დაბანდებული იყო ტოლდიდი კაპიტალები, მაგალითად 100 გირვ. სტერლ. თვითეულში, სულ კი 300 გირვ. სტერლინგი. ახლა, მაშასადამე, II, III და IV-ში დარჩა სულ მხოლოდ 250 გირვ. სტერლინგი; სხვა სიტყვებით, კაპიტალის ერთი მეექვსედი ამოღებულ იქნა ნახშირის წარმოებიდან.

მაგრამ, შემდეგ, დაეცა ნახშირის **საბაზრო ღირებულება.** ჩვენ დავინახეთ, რომ I თანრიგი იძლევა რ-ს, II — 2რ-ს და III — 4რ-ს. თუ მივიღებთ, რომ I თანრიგში 100 გირვ. სტერლინგის დახარჯვისას წარმოებული პროდუქტის ღირებულება უდრის 120 გირვ. სტერლინგს, საიდანაც 10 შეადგენს რენტას და 10 — მოგებას, მაშინ II-ის საბაზრო ღირებულება შეადგენს 130 გირვ. სტერლინგს (10—მოგება და 20 რენტა), III-ის საბაზრო ღირებულება კი შეადგენს 150 გირვ. სტერ. (10—მოგება და 40—რენტა). თუ I-ის პროდუქტი უდრიდა 60 ტონას (ტონა — 2 გირვ. სტერლინგს), II-ის პროდუქტი უდრის 65 ტონას, III-ის პროდუქტი — 75 ტონას, ერთობლივი პროდუქცია კი უდრის 60+65+75=200 ტონას. და რადგან ახლა IV თანრიგში 100 გირვ. სტერლ. იმდენსავე აწარმოებს, რამდენსაც შეადგენდა I თანრიგის მთელი პროდუქცია და II-ის პროდუქციის ნახევარი, ე. ი. $60+32^1/_2=92^1/_2$ ტონას, ამიტომ ეს $92^1/_2$ ტონა წინანდელი საბაზრო ღირებულების კვალობაზე ეღირებოდა 185 გირვ. სტერლ. და, მაშასადამე, მოგვცემდა 75 გირვ. სტერლინგის რენტას, რადგან მოგება=10 გირვ. სტერლინგს; და, მაშასადამე, რადგან აბსოლუტური რენტა=10 გირვ. სტერლინგს, რენტის სიდიდე IV თანრიგში იქნებოდა $7^1/_2$ რ.

II, III IV უწინდებურად იმავე 200 ტონა ნახშირს იძლევიან, იმიტომ რომ $32^1/_2+75+92^1/_2=200$ ტონას. მაგრამ როგორია ახლა საქმის ვითარება საბაზრო ღირებულებისა და დიფერენციულ რენტათა მიმართ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ უნდა ვნახოთ, როგორია ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ინ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი რ ე ნ ტ ი ს სიდიდე II თანრიგში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ აბსოლუტური სხვაობა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა დ ა ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს შორის წარმოების ამ სფეროში უდრის 10 გირვ. სტერლინგს, ე. ი. უდრის იმ რენტას, რომელსაც იძლეოდა ყველაზე ცუდი შახტი, თუმცა ეს ვარაუდი არც არის აუცილებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა I თანრიგი თავისი ღირებულებით აბსოლუტურად განსაზღვრავდა ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს. [569] ამას რომ ნამდვილად ჰქონდეს ადგილი, მაშინ რენტა I თანრიგში (თუ 1-ის ნახშირი მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდებოდა) იქნებოდა ღირებულების ნამეტი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ამ ს ფ ე რ ო შ ი მისი [I-ის ნახშირის] საკუთარი ხარჯთფასის და საქონელთა საერთო ხარჯთფასის ზევით. მაშასადამე II ყიდის თავის პროდუქტებს მათი ღირებულების კვალობაზე, თუ იგი თავის 65 ტონას ყიდის 120 სტერლინგად, ე. ი. ყოველ ტონას $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგად. ის გარემოება, რომ იგი ტონას ყიდდა ნაცვლად ამისა 2 გირვ. სტერლინგად, გაპირობებული იყო მხოლოდ იმით, რომ I თანრიგით განსაზღვრული საბაზრო ღირებულება აღემატებოდა მის [II-ის ნახშირის] ინდივიდუალურ ღირებულებას, ე. ი. მისი [II-ის ნახშირის] ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა კი არ აღემატებოდა მ ი ს ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს, არამედ მისი ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა.

შემდეგ, II ყიდის ახლა, ვარაუდის თანახმად, 65-ის ნაცვლად მხოლოდ $32^1/_2$ ტონას, რადგან იგი აბანდებს შახტში 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის ნაცვლად მხოლოდ 50 გირვ. სტერლ. კაპიტალს.

მაშასადამე, II ყიდის ახლა $32^1/_2$ ტონას 60 გირვ. სტერლინგად. 50 გირვ. სტერლინგის [ავანსებული კაპიტალის] მივართ 10 გირვ. სტერლ. შეადგენს 20%-ს. 60 გირვ. სტერლინგიდან 5 გირ. სტერლ. უწევს მოგებას და 5 გირვ. სტერლ. რენტას.

ა მ ბ ი ო ბ ა დ, ჩ ვ ე ნ ვ ვ ა ქ ვ ს II-თ ვ ი ს: ერთი ტონა პროდუქტის ღირებულება — $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლ.; ტონათა რიცხვი — $32^1/_2$; ერთობლივი პროდუქტის ღირებულება — 60 გირვ. სტერლ.; რ ე ნ ტ ა — 5 გირვ. სტერლ. 20 გირვ. სტერლინგიდან რენტა დაეცა 5 გირვ. სტერლინგამდე. თუ ჯერ კიდევ გამოყენებული იქნებოდა წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი ო დ ე ნ ო ბ ი ს კაპიტალი, რენტა დაეცემოდა მხოლოდ 10 გირვ. სტერლინგამდე. მაშასადამე, თავისი ნორმის მიხედვით რენტა დაეცა მხოლოდ სანახევროდ. სხვა სიტყვებით, იგი შემ-

ცირდა მთელი იმ სხვაობით, რომლითაც I თანრიგით განსაზღვრული საბაზრო ღირებულება აღემატებოდა II-ის ნახშირის საკუთარ ღირებულებას, ანდა შემცირდა იმ რაოდენობით, რითაც აღემატებოდა იმ სხვაობას, რაც II-ის ნახშირის საკუთარ ღირებულებასა და მის ხარჯთფასს შორის არსებული სხვაობიდან გამომდინარეობს. მისი დიფერენციული რენტა უდრიდა 10 გირვ. სტერლინგს; ახლა მთელი მისი რენტა უდრის 10 გირვ. სტერლინგს, ე. ი. მის აბსოლუტურ რენტას. ამრიგად II თანრიგში საბაზრო ღირებულების (II-ის ნახშირის) ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა მ დ ე შემცირებასთან ერთად დიფერენციული რენტა გაქრა, მაშასადამე, გაქრა აგრეთვე ამ დიფერენციული რენტის მეოხებით გაბერილი, გაორკეცებული ნორმაც რენტისა. იგი დაეცა 20-დან 10-მდე. და შემდეგ, რენტამ დაიწია 10-დან 5-მდე, რადგან რ ე ნ ტ ი ს მ ო ც ე მ უ ლ ი ნ ო რ მ ი ს დროს სანახევროდ შემცირდა II თანრიგის შახტებში დაბანდებული კაპიტალი.

რადგან ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ახლა განისაზღვრება II-ის ნახშირის ღირებულებით, რომელიც უდრის $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგს ტონაზე, ამიტომ III თანრიგში წარმოებული 75 ტონის ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა უდრის ახლა $138^{6}/_{13}$ გირვ. სტერლინგს; აქედან რენტა შეადგენს $28^{6}/_{13}$ გირვ. სტერლინგს. უწინ რენტა შეადგენდა 40 გირვ. სტერლინგს; მაშასადამე, იგი შემცირდა $11^{7}/_{13}$ გირვ. სტერლინგით. უწინ იგი აბსოლუტურ რენტას აღემატებოდა 30-ით, ახლა კი — სულ მხოლოდ $18^{6}/_{13}$ გირვ. სტერლინგით (რადგან $18^{6}/_{13}+10=28^{6}/_{13}$). უწინ იგი უდრიდა 4 რ-ს, ახლა კი უდრის მხოლოდ $2р+8^{6}/_{13}$ გირვ. სტერლ. რადგან III თანრიგში დაბანდებული კაპიტალის ოდენობა უცვლელი დარჩა, რენტის ეს შემცირება გაპირობებულია მარტოოდენ დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი რ ე ნ ტ ი ს ნ ო რ მ ი ს დაცემით, ე. ი. იმით, რომ შემცირდა III-ის ნახშირის საბაზრო ღირებულების ნამეტი მის ინდივიდუალურ ღირებულებასთან შედარებით. უწინ რენტის მთელი ჯამი III თანრიგში უდრიდა უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გადანამეტს ხარჯთფასზე; ახლა კი იგი უდრის უ ფ რ ო დ ა ბ ა ლ ი საბაზრო ღირებულების გადანამეტს ხარჯთფასზე[80]. ამრიგად, ეს სხვაობა უახლოვდება III თანრიგის აბსოლუტურ რენტას. III თანრიგი 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვისას აწარმოებს 75 ტონა ნახშირს, რომლის [ინდივიდუალური] ღირებულება უდრის 120 გირვ. სტერლინგს; მაშასადამე, 1 ტონა ღირს $1^{3}/_{5}$ გირვ. სტერლინგი. ნაცვლად ამისა III თანრიგი წინანდელი საბაზრო ფასის პირობებში ერთ

ტონას ყიდდა 2 გირვ. სტერლინგად, ე. ი. $^{2}/_{5}$ გირვ. სტერლინგით უფრო ძვირად. 75 ტონაზე ეს შეადგენდა $^{2}/_{5} \times 75$, ე. ი. 30 გირვ. სტერლინგს, — და, მართლაც. ასეთი იყო დიფერენციული რენტა III-ის რენტის საერთო ჯამში, რადგან მისი რენტა უდრიდა 40 გირვ. სტერლინგს (10 აბსოლუტური რენტა და 30 — დიფერენციული რენტა). ახლა III თანრიგი ტონას ყიდის ახალი საბაზრო ღირებულების მიხედვით, მხოლოდ $1^{1}/_{3}$ გირვ. სტერლინგად. რამდენად აღემატება III-ის ტონა ნახშირის ფასი მის [ინდივიდუალურ] ღირებულებას? $^{3}/_{5} = {}^{39}/_{65}$ და $^{11}/_{13} = {}^{55}/_{65}$. მაშასადამე, III ნახშირ ტონას ყიდის მის [ინდივიდუალურ] ღირებულებაზე $^{16}/_{65}$ გირვ. სტერლინგით უფრო ძვირად ^{81}. 75 ტონაზე ეს შეადგენს $18^{6}/_{13}$ გირვ. სტერლინგს, და ეს არის სწორედ დიფერენციული რენტა, რომელიც მაშასადამე, ყოველთვის უდრის ტონათა რაოდენობას, გამრავლებულს იმ ნამეტზე, რითაც ტონის საბაზრო ღირებულება ტონის [ინდივიდუალურ] ღირებულებას აღემატება. ახლა გვრჩება კიდევ გამოსაანგარიშებელი, როგორ მიიღება რენტის შემცირება $11\ ^{7}/_{13}$ გირვ. სტერლინგით. III-ის ნახშირის საბაზრო ფასის გადანამეტი მის ღირებულებაზე შემცირდა $^{2}/_{5}$ გირვ. სტერლინგიდან ტონაზე (როცა იგი იყიდებოდა 2 გირვ. სტერლინგის კვალობაზე) $^{16}/_{65}$ გირვ. სტერლინგამდე ტონაზე ($1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგის კვალობაზე ტონა ნახშირის გაყიდვისას), მაშასადამე, შემცირდა $^{26}/_{65}$ გირვ. სტერლინგიდან $^{16}/_{65}$ გირვ. სტერლინგამდე, ე. ი. $^{10}/_{65}$ გირვ. სტერლინგით. 75 ტონაზე ეს შეადგენს $^{750}/_{65} = {}^{150}/_{13} = 11^{7}/_{13}$-ს და ასეთია ზუსტად ის ჯამი, რითაც რენტა შემცირდა III თანრიგში.

[570] IV თანრიგის $92^{1}/_{2}$ ტონა ღირს $1^{11}/_{12}$ გირვ. სტერლ. ფასის დროს $170^{10}/_{13}$ გირვ. სტერლინგი. აქ რენტა შეადგენს $60^{10}/_{13}$-ს, დიფერენციული რენტა კი — $50^{10}/_{13}$ გირვ. სტერლინგს. თუ $92^{10}/_{13}$ ტონა თავისი ღირებულების კვალობაზე გაიყიდებოდა, ე. ი. 120 გირვ. სტერლინგად, მაშინ 1 ტონა ეღირებოდა $1^{11}/_{37}$ გირვ. სტერლინგი. ნაცვლად ამისა იგი იყიდება $1^{11}/_{13}$-ის კვალობაზე. მაგრამ $^{11}/_{13} = {}^{407}/_{481}$, $^{11}/_{37}$ კი $= {}^{143}/_{481}$. ეს იძლევა IV თანრიგის ნახშირის საბაზრო ღირებულების გადანამეტს მის ღირებულებაზე $^{264}/_{481}$ გირვ. სტერლ. ოდენობით. $92^{1}/_{2}$ ტონაზე ეს შეადგენს ზუსტად $50^{10}/_{13}$ გირვ. სტერლინგს, IV თანრიგის დიფერენციულ რენტას.

შევადაროთ ახლა ორივე განხილული შემთხვევა A და B ცხრილების სახით:

A

თანრიგი	კაპიტალი	აბსოლ. რენტა	ტონათა რაოდ.	საბაზრო ღირ.	ინდივიდუალური ღირ.	ერთობლივი პროდუქტის ღირებ.	დიფერენციული რენტა
	გირ. სტ.	გირ. სტ.		გირ. სტ.	გირ. სტ.	გირ. სტ.	გირ. სტ.
I	100	10	60	2	2	120	0
II	100	10	65	2	$1^{11}/_{13}$	130	10
III	100	10	75	2	$1^{8}/_{5}$	150	30
სულ.....	300	30	200			400	40

ტონათა საერთო რაოდენობა — 200. მთელი აბსოლუტური რენტა — 30 გირვ. სტერლინგი. მთელი დიფერენციული რენტა — 40 გირვ. სტერლინგი. ერთობლივი რენტა — 70 გირვ. სტერლინგი.

B

თანრიგი	კაპიტალი	აბსოლ. რენტა	ტონათა რაოდ.	საბაზრო ღირებ.	ინდივიდუალური ღირ.	ერთობლივი პროდუქტის ღირებულ.	დიფერენციული რენტა
	გირ. სტ.	გირ. სტ.		გირ. სტ.	გირ. სტ.	გირ. სტ.	გირ. სტ.
II	50	5	$32^{3}/_{2}$	$1^{11}/_{13}$	$1^{11}/_{13}$	60	0
III	100	10	75	$1^{11}/_{13}$	$1^{9}/_{5}$	$138^{6}/_{13}$	$18^{6}/_{13}$
IV	100	10	$92^{1}/_{3}$	$1^{11}/_{13}$	$1^{11}/_{31}$	$170^{10}/_{13}$	$50^{10}/_{13}$
სულ.....	250	25	200			$365^{3}/_{13}$	$69^{3}/_{13}$

მთელი კაპიტალი — 250 გირვ. სტერლინგი. აბსოლუტური რენტა — 25 გირვ. სტერლინგი. დიფერენციული რენტა — $69^{3}/_{13}$ გირვ. სტერლინგი. ერთობლივი რენტა — $94^{3}/_{13}$ გირვ. სტერლინგი. 200 ტონის ერთობლივი ღირებულება შემცირდა 400-დან $369^{3}/_{13}$ გირვ. სტერლინგამდე.

ეს ორი ცხრილი საბაბს იძლევა მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრებისათვის.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ ვხედავთ, რომ თავისი ჯამის მიხედვით აბსოლუტური რენტა იზრდება ან მცირდება მიწათმოქმედებაში [82] დაბანდებული კაპიტალის შესაბამისად, I, II, III თანრიგებში დაბანდებულ კაპიტალის ერთობლივ მასათა შესაბამისად. ამ აბსოლუტური რენტის ნორმა სრულიად არ არის დამოკიდებული დაბანდებული კაპიტალების ოდენობაზე, რადგან იგი სრულიად არ არის დამოკიდებული ნიადაგის კატეგორიათა განსხვავებაზე, არამედ, პირიქით, გამომდინარეობს ღირებულებასა და

ხარჯთფასს შორის არსებული სხვაობიდან, ამასთან თვით ეს სხვაობა განისაზღვრება სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანულ შედგენილობით, წარმოების წესით, და არა ნიადაგით. II თანრიგში აბსოლუტური რენტის ჯამი მცირდება 10-დან 5-მდე იმ მიზეზით, რომ კაპიტალი შემცირდა 100-დან 50-მდე, რომ კაპიტალის ნახევარი [571] ამოღებულ იქნა.

ვიდრე ამ ორი ცხრილის შესახებ შემდგომ მოსაზრებებს გამოვთქვამდეთ, ავიღებთ კიდევ სხვა ცხრილებს. ჩვენ დავინახეთ, რომ B-ში საბაზრო ღირებულება დაეცა $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგამდე ტონაზე. მაგრამ ამ ღირებულების დროს ჯერ კიდევ არ იქნება აუცილებელი, რომ I A-ს პროდუქტი სრულიად გაჭრეს ბაზრიდან და რომ თანრიგი IIB იძულებული იყოს წინანდელი კაპიტალის მხოლოდ ნახევარი გამოიყენოს. რადგან I თანრიგში, როცა საქონლის ერთობლივი ღირებულება 120 გირვ. სტერლინგია, რენტა უდრის 10 გირვ. სტერლინგს, ე. ი. ერთობლივი ღირებულების $^1/_{12}$-ს, ამიტომ იგივე ითქმის ცალკეული ტონის ღირებულებაზე, რომელიც უდრის 2 გირვ. სტერლინგს. მაგრამ $^2/_{12}$ გირვ. სტერლ. $=^1/_6$ გირვ. სტერლ., ანუ $3^1/_3$ შილ. (რადგან $3^1/_3$ შილ. $\times 60 = 10$ გირვ. სტერლ.). ტონის ხარჯთფასი I თანრიგში შეადგენს, მაშასადამე, [2 გირვ. სტერლ. — $3^1/_3$ შილ., ე. ი.] 1 გირვ. სტერლ. $16^2/_3$ შილ. [ახალი] საბაზრო ღირებულება შეადგენს $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერ, ანუ 1 გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილ. მაგრამ $16^2/_3$ შილ. უდრის 16 შილ. 8 პენსს, ანუ $16^{26}/_{39}$ შილინგს. ამასთან შედარებით $16^{12}/_{13}$ (ანუ $16^{36}/_{39}$) შილ. $^{10}/_{39}$ შილინგით მეტი. ეს იქნებოდა ერთ ტონაზე მისადები რენტა ახალი საბაზრო ღირებულების პირობებში და 60 ტონაზე იგი შეადგენდა $15^5/_{13}$ შილ. მაშასადამე, რენტა არ მომცემდა მე 1%-საც კი 100 გირვ. სტერლ. კაპიტალზე. იმისათვის, რომ I A თანრიგმა სრულიად არ მოგვცეს რენტა, საბაზრო ღირებულება უნდა დაეცეს მისი [ამ თანრიგის] ხარჯთფასის დონემდე. ე. ი. 1 გირვ. სტერლ. $16^2/_3$ შილ.-მდე, ანუ $1^5/_6$ გირვ. სტერლ-დე (ანდა $1^{10}//_{12}$ გირვ. სტერლ-მდე). ამ შემთხვევაში რენტა I A თანრიგში გაჭრებოდა. მაგრამ ამ თანრიგის ექსპლოატაცია უწინდებურად გაგრძელდებოდა და იგი მოგვცემდა 10% მოგებას. ეს შეწყდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემდეგში საბაზრო ღირებულება $1^5/_6$ გირვ. სტერლინგზე უფრო დაბლა დაეცემოდა.

რაც შეეხება II B-ს, B ცხრილში ივარაუდება, რომ კაპიტალის ნახევარი წარმოებიდან ამოიღება. მაგრამ რადგან $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგის ოდენობით დამყარებული საბაზრო ღირებულება კიდევ იძლევა 10% რენტას, ამიტომ იგი ამ რენტას თანაბრად იძლევა რო-

გორც 100 გირვ. სტერლინგზე, ისე 50 გირვ. სტერლინგზეც. ნაშასადამე, თუ იგულისხმება, რომ კაპიტალის ნახევარი ამოღებულია წარმოებიდან, ეს იგულისხმება მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პირობებში თანრიგი II B ჯერ კიდევ იძლევა აბსოლუტურ რენტას 10%-ის ოდენობით. მართლაც, თუ II B განაგრძობდა $32^1/_2$-ის ნაცვლად 65 ტონის წარმოებას, ბაზარზე ზედმეტი ქვანახშირი აღმოჩნდებოდა და საბაზრო ღირებულება, ბაზარზე IV-ის ნახშირის ბატონობის პირობებში, იმდენად დაეცემოდა, რომ აუცილებელი იქნებოდა კაპიტალის დაბანდების შემცირება II B თანრიგში, რათა მას აბსოლუტური რენტა მოეცა. მაგრამ ნათელია, რომ როცა მთელი 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი 9% რენტას იძლევა, რენტის საგრთო ჯამი უფრო მეტია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა 50 გირვ. სტერლ. კაპიტალი 10% რენტას იძლევა. მაშასადამე, თუ ბაზრის მდგომარეობის მიხედვით არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნებოდა II თანრიგში მხოლოდ 50 გირვ. სტერლ. კაპიტალის გამოყენება, რენტა აუცილებლად დაიწევდა 5 გირვ. სტერლინგამდე. მაგრამ ნამდვილად იგი კიდევ უფრო დაიწევდა, თუ ვიგულისხმებთ, რომ დამატებითი $32^1/_2$ ტონა ვერ გასაღდებოდა და, მაშასადამე, გაძევებული იქნებოდა ბაზრიდან. საბაზრო ღირებულება ისე დაბლა დაეცემოდა, რომ II B თანრიგში არა მარტო გაჭრებოდა რენტა, არამედ ეს ძოგებასაც შეეხებოდა. მაშინ ამას მოჰყვებოდა კაპიტალის ამოღება წარმოებიდან, რათა შემცირებულიყო მიწოდება, — ვიდრე კაპიტალი არ შეიკვეცებოდა სათანადო ოდენობამდე, 50 გირვ. სტერლინგამდე, და მაშინ დამყარდებოდა საბაზრო ღირებულება $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგის ოდენობით, რომლის დროსაც იგი კვლავ მოგვცემდა აბსოლუტურ რენტას II B თანრიგში, თუმცა მასში წინათ დაბანდებული კაპიტალის მხოლოდ ნახევრისათვის. ამ შემთხვევაშიც აგრეთვე გადამწყვეტ როლს შეასრულებდნენ ბაზარზე გაბატონებული IV და III თანრიგები.

მაგრამ, თუ ბაზარი, როცა ტონის ფასი $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგია, მხოლოდ 200 ტონას ნთქავს, აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ მას არ შეუძლია შთანთქას კიდევ $32^1/_2$ ტონა, როცა საბაზრო ღირებულება ეცემა, როცა, მაშასადამე, იმ ზეგავლენის გამო, რასაც ბაზარზე $32^1/_2$ დამატებითი ტონა ახდენს, საბაზრო ღირებულება $232^1/_2$ ტონისა დაბლა ეცემა. ერთი ტონის ხარჯთფასი II B თანრიგში შეადგენს [110 : 65, ე. ი.] $1^9/_{13}$ გირვ. სტერლინგს, ანუ 1 გირვ. სტერლ. $13^{11}/_{13}$ შილ., საბაზრო ღირებულება კი — $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლ., ანუ 1 გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილ. თუ საბაზრო ღირებულე-

ბა იმდენად დაეცემოდა, რომ თანრიგი I A აღარ მოგვცემდა უკვე არავითარ რენტას, ე. ი. თუ იგი დაეცემოდა I A თანრიგის ხარჯთფასის დონემდე, 1 გირვ. სტერლ. $16^2/_3$ შილინგამდე, ანუ $1^5/_6$ გირვ. სტერლინგამდე, ანდა $1^{10}//_{12}$ გირვ. სტერლინგამდე, მაშინ იმისათვის, რომ II B-ს მთელი თავისი კაპიტალი გამოეყენებინა, მოთხოვნა უკვე საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო, ვინაიდან I A თანრიგში შესაძლებელი იქნებოდა შახტების ექსპლოატაციის გაგრძელება, რადგან იგი მოგვცემდა ჩვეულებრივ მოგებას. ბაზარს უნდა შთაენთქა უკვე არა $32^1/_2$ ტონით მეტი, არამედ $92^1/_2$-ით, ნაცვლად 200-ისა — $292^1/_2$ ტონა, მაშასადამე, [თითქმის] სანახევროდ მეტი. ეს მოთხოვნის უკვე მეტად მნიშვნელოვან გადიდებას გულისხმობს. მაშასადამე, იმისათვის, რომ ჩვენ მიერ ნაგულისხმევი გადიდება მოთხოვნისა ზომიერი იყოს, საბაზრო ღირებულება უნდა დაეცეს ისე დაბლა, რომ I A განიდევნოს ბაზრიდან. სხვა სიტყვებით, საბაზრო ფასი უნდა დაეცეს I A თანრიგის ხარჯთფასზე უფრო დაბლა, ე. ი. $1^{10}/_{12}$ გირვ. სტერლინგზე უფრო დაბლა, ვთქვათ, $1^9/_{12}$, ანუ 1 გირვ. სტერლ. 15 შილინგამდე. იგი ამის შემდეგაც მნიშვნელოვნად მეტი იქნებოდა, ვიდრე II B თანრიგის ხარჯთფასი.

ამრიგად, A და B ცხრილებს ჩვენ დავუმატებთ კიდევ სამ ცხრილს — C, D და E. C ცხრილისათვის ვივარაუდოთ, რომ მოთხოვნა იზრდება იმდენად, რომ A და B ცხრილების ყველა თანრიგს შეუძლია განაგრძოს წარმოება, მაგრამ B-ს საბაზრო ღირებულების მიხედვით, ამასთან I A თანრიგი ჯერ კიდევ იძლევა რენტას. D ცხრილისათვის ვივარაუდოთ, რომ მოთხოვნა საკმაოდ დიდია იმისათვის, რათა თანრიგი I A უკვე რენტის მოუცემლად ჯერ კიდევ იძლეოდეს ჩვეულებრივ მოგებას. E ცხრილისათვის კი ვივარაუდოთ, რომ ფასი იმდენად მცირდება, რომ თანრიგი I A განიდევნება ბაზრიდან, [572] მაგრამ ამასთანავე ფასის შემცირება იწვევს იმას, რომ ბაზარი ნთქავს II B თანრიგის $32^1/_2$ დამატებითს ტონას.

A და B ცხრილებით წარმოდგენილი შემთხვევა შესაძლებელია. შესაძლოა, რომ 10 გირვ. სტერლინგიდან არასრულ 16 შილინგამდე რენტის შემცირებისას I A შეწყვეტს თავისი მიწის მოცემული სახის ექსპლოატაციას და მას იჯარით გასცემს სხვაგვარი გამოყენებისათვის, რომლის დროსაც იგი უფრო მაღალი მიწის რენტის მომცემი იქნება. მაგრამ ამ შემთხვევაში II B იძულებული იქნებოდა, ზემოაღწერილი პროცესის შედეგად, თავისი კაპიტალის ნახევარი ამოეღო წარმოებიდან, თუკი ახალი საბაზრო ღირებულების დამყარებასთან ერთად არ მოხდებოდა ბაზრის გაფართოება.

C

თანრიგი	კაპიტალი	აბსოლ. რენტა	ტონათა რაოდ.	ტონის საბაზრო ღირებ.	ტონის ინდ. ღირებ.	ერთობლივი პროდ. საბაზრო ღირებ.	რენტა	დიფერენც. რენტა
	გირ. სტ.	გირ. სტ.		გირ. სტ.	გირ. სტ.	გირ. სტ.	გირ. სტ.	გირ. სტ.
I	100	$^{10}/_{13}$	60.	$1^{11}/_{13}$	2	$110^{10}/_{13}$	$^{10}/_{13}$	— $9^{3}/_{13}$
II	100	10	65	$1^{11}/_{13}$	$1^{11}/_{13}$	120		0
III	100	10	75	$1^{11}/_{13}$	$1^{3}/_{5}$	$138^{9}/_{13}$		+ $18^{9}/_{13}$
IV	100	10	$92^{1}/_{2}$	$1^{11}/_{13}$	$1^{11}/_{27}$	$170^{10}/_{13}$		+$50^{10}/_{13}$
ს უ ლ.	400	$30^{10}/_{12}$	$292^{1}/_{2}$			540		$69^{3}/_{13}$

D

თანრიგი	კაპიტალი	აბსოლ. რენტა	ტონის საბაზრო ღირებ.	ხარჯვადი	ტონათა რაოდ.	ერთობლივი პროდ. საბაზრო ღირებ.	დიფერენც. რენტა
	გირ. სტ.	გირ. სტ.	გირ. სტ.			გირ. სტ.	გირ. სტ.
I	100	0	$1^{5}/_{6}$	$1^{5}/_{6}$	60	110	0(—)
II	100	$9^{1}/_{6}$	$1^{5}/_{6}$		65	$119^{1}/_{6}$	— (ფარული)
III	100	10	$1^{5}/_{6}$		75	$137^{1}/_{2}$	+ $17^{1}/_{2}$
IV	100	10	$1^{5}/_{6}$		$92^{1}/_{3}$	$169^{1}/_{12}$	+$49^{7}/_{12}$
ს უ ლ.....400		$29^{1}/_{6}$			$292^{1}/_{2}$	$536^{1}/_{4}$	$67^{1}/_{12}$

E

თანრიგი	კაპიტალი	აბსოლ. რენტა.	ტონის საბაზრო ღირებ.	ხარჯვადი	ტონათა რაოდ.	ერთობლივი პროდ. საბაზრო ღირებ.	დიფერენც. რენტა
	გირ. სტ.	გირ. სტ.	გირ. სტ.	გირ. სტ.		გირ. სტ.	გირ. სტ.
II	100	$3_{3}/_{4}$	$1^{3}/_{4}$	$1^{9}/_{12}$	65	$113^{3}/_{4}$	—(არ არის)
III	100	10	$1^{9}/_{4}$		75	$131^{1}/_{4}$	+ $11^{1}/_{4}$
IV	100	10	$1^{9}/_{4}$		$92^{1}/_{2}$	$161^{7}/_{8}$	+ $41^{7}/_{8}$
ს უ ლ.	300	$23^{3}/_{4}$			$232^{1}/_{2}$	$406^{7}/_{8}$	$53^{7}/_{8}$

[573] შევადაროთ ახლა ცხრილები A, B, C, D და E ერთი კრებსითი ცხრილის სახით, მაგრამ ისე, როგორც ეს იმთავითვე უნდა გაკეთებულიყო: კაპიტალი, ერთობლივი ღირებულება, ერთობლივი პროდუქტი, ტონის საბაზრო

ღირებულება, ინდივიდუალური ღირებულება, დიფერენციული ღირებულება[83], ხარჯთფასი, აბსოლუტური რენტა, აბსოლუტური რენტა ტონობით, დიფერენციული რენტა, დიფერენციული რენტა ტონობით, ერთობლივი რენტა. შემდეგ კი ჯამები ყველა თანრიგის მიხედვით თვითეულ ცხრილში[84].

[იხ. ჩაწებებული ფურცელი 353—354 გვერდებს შორის.]

[575] ცხრილის ახსნა-განმარტება

იგულისხმება, რომ დაიხარჯა კაპიტალი 100-ის ოდენობით (მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი) და რომ მის მიერ მოძრაობაში მოყვანილი შრომა იძლევა ზედმეტ შრომას (ფასგადაუხდელ შრომას), რომელიც უდრის მთელი ავანსებული კაპიტალის $^1/_5$-ს, ანუ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც უდრის $^{100}/_5$-ს. თუ, მაშასადამე, ავანსებული კაპიტალი 100 გირვ. სტერლინგს უდრის, ერთობლივი პროდუქტის ღირებულება 120 გირვ. სტერლინგი იქნებოდა. შემდეგ იგულისხმება, რომ საშუალო მოგება უდრის 10%-ს; ასეთ შემთხვევაში 110 გირვ. სტერლინგი იქნება ხარჯთფასი ერთობლივი პროდუქტისა, ზემოხსენებულ მაგალითში — ნახშირისა. 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი გადაიქცევა ზედმეტი ღირებულების ან ზედმეტი შრომის მოცემული ნორმის დროს 120 გირვ. სტერლ. ღირებულებად, მიუხედავად იმისა, მდიდარი შახტების ექსპლოატაცია წარმოებს, თუ ღარიბი შახტებისა; ერთი სიტყვით, შრომის სხვადასხვა ნაყოფიერება, სულ ერთია შრომის სხვადასხვა ბუნებრივი პირობების შედეგია იგი თუ მისი სხვადასხვა საზოგადოებრივი პირობებისა ანდა სხვადასხვა ტექნოლოგიური პირობებისა, არაფერს არ ცვლის იმ მდგომარეობაში, რომ საქონელთა ღირებულება უდრის მაში მატერიალიზებულ შრომის რაოდენობას.

ამრიგად, როცა ამბობენ, 100 გირვ. სტერლ. კაპიტალით წარმოებული პროდუქტის ღირებულება 120 გირვ. სტერლ. უდრისო, ეს ნიშნავს, მხოლოდ იმას, რომ პროდუქტი შეიცავს 100 გირვ. სტერლ. კაპიტალში მატერიალიზებულ სამუშაო დროს პლუს ფასგადაუხდელი, მაგრამ კაპიტალისტის მიერ მითვისებული სამუშაო დრო, რაც მთელი დახარჯული სამუშაო დროის $^1/_6$ შეადგენს. პროდუქტის ერთობლივი ღირებულება უდრის 120 გირვ. სტერლინგს, მიუხედავად იმისა, აწარმოებს თუ არა 100 გირვ. სტერლინგი კაპიტალი შახტების ერთ თანრიგში 60 ტონას, სხვა თანრიგებში — 65, ან 75, ანდა $92^1/_2$. მაგრამ ნათელია, რომ ცალკეული

პროდუქტის ღირებულება, სულ ერთია, იზომება იგი ტონებით, როგორც მოცემულ შემთხვევაშია, თუ კვარტერებით, არშინებით და ა. შ., სრულიად სხვადასხვაა შრომის ნაყოფიერების მიხედვით. თუ ავიღებთ ჩვენს ცხრილს (იგივე ითქმის ყველა სხვა საქონელთა მასაზე, რომელიც კი კაპიტალისტური წარმოების შედეგია), ერთი ტონის ღირებულება იქნება 2 გირვ. სტერლინგი, როცა კაპიტალის ერთობლივი პროდუქტი 60 ტონას შეადგენს; მაშასადამე, 60 ტონა ღირს 120 გირვ. სტერლინგი. სხვა სიტყვებით, 60 ტონაში წარმოდგენილია სამუშაო დრო, რომელიც უდრის 120 გირვ. სტერლინგში მატერიალიზებულ სამუშაო დროს. თუ ერთობლივი პროდუქტი შეადგენს 65 ტონას, ყოველი ცალკეული ტონის ღირებულება უდრის 1 გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილინგს, ანუ $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგს; თუ ერთობლივი პროდუქტი 75 ტონას შეადგენს, ყოველი ცალკეული ტონის ღირებულება იქნება $1^{3}/_{5}$ გირვ. სტერლინგი, ანუ 1 გირვ. სტერლ. 12 შილინგი; ბოლოს, თუ ერთობლივი პროდუქტი $92^{1}/_{2}$ ტონას შეადგენს, ყოველი ტონის ღირებულება იქნება $1^{11}/_{37}$ გირვ. სტერლ., ანუ 1 გირვ. სტერლ. $5^{35}/_{37}$ შილინგი. რადგან 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის მიერ წარმოებულ საქონელთა ან ტონათა ერთობლივ მასას ყოველთვის ერთი და იგივე ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა აქვს, რომელიც 120 გირვ. სტერლინგს უდრის, რადგან მასში ყოველთვის წარმოდგენილია შ რ ო მ ი ს ერთი და იგივე ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ა, რასაც 120 გ ი რ ვ. ს ტ ე რ ლ ი ნ გ ი შეიცავს, სწორედ ამიტომ ყოველი ცალკეული ტონის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, გამოიხატება ე რ თ ი და ი გ ი ვ ე ღირებულება 60, 65, 75 თუ $92^{1}/_{2}$ ტონით, ე. ი. შრომის ნაყოფიერების სხვაობის მიხედვით. შრომის ნაყოფიერების ეს სხვაობა განაპირობებს სწორედ იმას, რომ შ რ ო მ ი ს ერთი და ი გ ი ვ ე რ ა ო დ ე ნ ო ბ ა გამოიხატება საქონელთა ხან უფრო ნაკლები, ხან უფრო მეტი მასით და, მაშასადამე, ამ ერთობლივი მასის ყ ო ვ ე ლ ი ც ა ლ კ ე უ ლ ი ნ ა წ ი ლ ი შეიცავს დახარჯული შრომის ხან უფრო მეტ, ხან უფრო ნაკლებ აბსოლუტურ რაოდენობას, ე. ი. ამის შესაბამისად, ხან უფრო მეტი ღირებულება აქვს, ხან უფრო ნაკლები. ცალკეულ ტონათა ეს სხვადასხვა ღირებულება, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, დაბანდებულია 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი უფრო მდიდარ თუ ნაკლებად მდიდარ შახტებში, ე. ი. დამოკიდებულია შრომის სხვადასხვა ნაყოფიერებაზე, არის სწორედ ის, რაც ცხრილში გამოდის როგორც ცალკეული ტონის ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა.

ამიტომ არაფერია უფრო მცდარი, ვიდრე იმის წარმოდგენა, თითქოს თუ ცალკეული საქონლის ღირებულება შრომის მზარდი ნაყოფიერების დროს ეცემა, გარკვეული კაპიტალით, — მაგალითად, 100 გირვ. სტერლინგით,—წარმოებული პროდუქტის ერთობლივი ღირებულება დიდდება იმის გამო, რომ გაჯიდდა იმ საქონელთა მასა, რომლებშიც ეს ერთობლივი ღირებულება არის წარმოდგენილი. ცალკეული საქონლის ღირებულება ხომ მარტო იმიტომ ეცემა, რომ ერთობლივი ღირებულება — დახარჯული შრომის ერთობლივი რაოდენობა — სახმარ ღირებულებათა, პროდუქტთა უფრო მეტი მასით ვამოიხატება, რის ვამოც ცალკეულ პროდუქტს ერთობლივი ღირებულების (ანუ დახარჯული შრომის) უფრო ნაკლები პროპორციული წილი უწევს, და თანაც იმ ზომით, რა ზომითაც ცალკეული პროდუქტი შრომის უფრო ნაკლებ რაოდენობას ნთქავს, ანდა რა ზომითაც მას ერთობლივი ღირებულების უფრო მცირე წილი ხვდება.

თავდაპირველად ჩვენ განვიხილავდით ცალკეულ საქონელს როგორც შრომის გარკვეული რაოდენობის შედეგს და უშუალო პროდუქტს. ახლა, როცა საქონელი კაპიტალისტური წარმოების პროდუქტის სახით გვევლინება, საქმე ფორმალურად შემდეგნაირად იცვლება:

სახმარ ღირებულებათა წარმოებული მასით წარმოდგენილია სამუშაო დროის გარკვეული რაოდენობა, რომელიც უდრის სამუშაო დროის რაოდენობას, რასაც შეიცავს მის წარმოების დროს მოხმარებული კაპიტალი (მუდმივი და ცვალებადი) პლუს კაპიტალისტის მიერ მითვისებული ფასგადაუხდელი სამუშაო დრო. თუ კაპიტალში მოთავსებული სამუშაო დრო, ფულით გამოხატული, 100 გირვ. სტერლინგს უდრის, თუ ეს 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი ხელფასზე დახარჯულ 40 გირვ. სტერლ. კაპიტალს შეიცავს, და თუ ზედმეტი სამუშაო დრო ცვალებადი კაპიტალის 50%-ს შეადგენს, ე. ი. თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა 50%-ს უდრის, მაშინ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალით წარმოებულ საქონელთა ერთობლივი მასის ღირებულება იქნება 120 გირვ. სტერლინგი. იმისათვის, რომ საქონელთა მიმოქცევა შესაძლებელი გახდეს, მათი საცვლელი ღირებულება, როგორც ეს ამ თხზულების პირველ ნაწილში დავინახეთ [86], წინასწარ უნდა გადაიქცეს ფასად, ე. ი. უნდა ვამოიხატოს ფულით. მაშასადამე, [576] თუ ერთობლივი პროდუქტი არ არის რომელიმე განუყოფელი საგანი (მაგალითად, სახლი), რომლითაც წარმოდგენილია მთელი კაპიტალი, არ არის რაიმე ერთადერთი სა-

ქ ო ნ ე ლ ი, რომლის ფასიც, ვარაუდის თანახმად, იქნება 120 გირვ. სტერლინგი, ე. ი. ფულით გამოხატული ერთობლივი ღირებულება, მაშინ კაპიტალისტმა, ვიდრე იგი საქონელს ბაზარზე გაიტანდეს, უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიანგარიშოს ცალკეული საქონლის ფ ა ს ი. ფ ა ს ი ნიშნავს აქ ღირებულების ფულად გამოხატულებას.

შრომის სხვადასხვა ნაყოფიერების მიხედვით 120 გირვ. სტერლ. ერთობლივი ღირებულება განაწილდება პროდუქტების უფრო მეტ ან უფრო ნაკლებ რაოდენობაზე და, მაშასადამე, ც ა ლ კ ე უ ლ ი პროდუქტის ღირებულება იქნება ამის შესაბამისად — პროპორციულად — 120 გირვ. სტერლინგის უფრო ნაკლები ან უფრო მეტი სათანადო ნაწილის ტოლი. გაანგარიშება აქ მეტად მარტივია. თუ მთელი პროდუქტი შეადგენს, მაგალითად, 60 ტონა ნახშირს, 60 ტონა უდრის 120 გირვ. სტერლინგს, 1 ტონა კი უდრის $^{120}/_{60}$, ე. ი. 2 გირვ. სტერლინგს; თუ პროდუქტი შეადგენს 65 ტონას, ერთი ტონის ღირებულება იქნება $^{120}/_{65}$, ე. ი. $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლ., ანუ 1 გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილინგი (1 გირვ. სტერლ. 16 შილ. $11^{1}/_{13}$ პენსი); თუ პროდუქტი შეადგენს 75 ტონას, ერთი ტონის ღირებულება იქნება $^{120}/_{75}$ გირვ. სტერლ., ე. ი. 1 გირვ. სტერლ. 12 შილინგი; თუ პროდუქტი შეადგენს $92^{1}/_{2}$ ტონას, ერთი ტონის ღირებულება იქნება $1^{11}/_{37}$ გირვ. სტერლ., ანუ 1 გირვ. სტერლ. $5^{36}/_{37}$ შილინგი. ამრიგად, ცალკეული საქონლის ღირებულება (ფასი) უდრის პროდუქტის ე რ თ ო ბ ლ ი ვ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, გაყოფილს პროდუქტთა ერთობლივ რაოდენობაზე, რომელიც იზომება ამ პროდუქტთა, როგორც სახმარ ღირებულებათა, შესაბამისი საზომით: ტონებით (როგორც, მაგალითად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში) ანდა კვარტერებით, არშინებით და ა. შ.

ამრიგად, თუ ცალკეული საქონლის ფასი უდრის 100 გირვ. სტერლ. კაპიტალით წარმოებულ საქონელთა მასის ერთობლივ ღირებულებას, გაყოფილს საქონელთა ერთობლივ რაოდენობაზე, მაშინ ერთობლივი ღირებულება უდრის ცალკეული საქონლის ფასს, გამრავლებულს ამ საქონელთა ერთობლივ რაოდენობაზე, ანდა საქონლის გარკვეული, ერთეულად მიღებული საქონლის ფასს, გამრავლებულს ამ ერთეულით გაზომილ მთელ საქონლურ მასაზე. შემდეგ, ერთობლივ ღირებულებას შეადგენს: წარმოებაში ავანსებული კაპიტალის ღირებულება პლუს ზედმეტი ღირებულება; სამუშაო დრო, რასაც ავანსებული კაპიტალი შეიცავს, პლუს კაპიტალის მიერ მითვისებული ზედმეტი სამუშაო დრო, ანუ ფასგადაუხდელი საჭუ-

შაო დრო. მაშასადამე, საქონელთა მასის ყოველი ცალკეული ნაწილი შეიცავს ზედმეტ ღირებულებას იმავე პროპორციით, რითაც ეს ნაწილი შეიცავს ღირებულებას. იმისდა მიხედვით, ნაწილდება 120 გირვ. სტერლ. 60, 65, 75 თუ $92^1/_2$ ტონაზე, მათზე ნაწილდება აგრეთვე 20 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულებაც. თუ ტონათა რიცხვი უდრის 60-ს და, მაშასადამე, ერთი ტონის ღირებულება უდრის $^{120}/_{60}$-ს, ე. ი. 2 გირვ. სტერლინგს, ანუ 40 შილინგს, მაშინ $^1/_6$ აბ 40 შილინგიდან, ანუ 2 გირვ. სტერლინგიდან, ე. ი. $6^2/_3$ შილ., არის ის წილი ზედმეტი ღირებულებისა, რაც ერთ ტონას უწევს. შეფარდებითი წილი ზედმეტი ღირებულებისა ერთ ტონაში, რომელიც 2 გირვ. სტერლ. ღირს, ისევითვეა, როგორც 60 ტონაში, რომელიც 120 გირვ. სტერლ. ღირს. ზედმეტი ღირებულების შეფარდება ღირებულებასთან ცალკეული საქონლის ფასში იგივე რჩება, როგორიც საქონელთა მთელი მასის ერთობლივ ღირებულებაშია. ზემოდასახელებულ მაგალითში ყოველი ცალკეული საქონელი ერთობლივი ზედმეტი ღირებულებიდან შეიცავს $^{20}/_{60} = ^2/_6 = ^1/_3$ გირვ. სტერლ., ანუ $^1/_6$-ს 40 შილინგიდან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. ამიტომ ერთი ტონის ზედმეტი ღირებულება, გამრავლებული 60-ზე, უდრის კაპიტალის მიერ წარმოებულ ერთობლივ ზედმეტ ღირებულებას. თუ ღირებულების ნაწილი, რომელიც ცალკეულ პროდუქტს უწევს, ერთობლივი ღირებულების პროპორციული ნაწილი, მცირდება იმის გამო, რომ გადიდდა წარმოებულ საქონელთა რაოდენობა, ე. ი. იმის გამო, რომ გადიდდა შრომის ნაყოფიერება, მაშინ ნაკლები იქნება აგრეთვე ზედმეტი ღირებულების ის ნაწილიც, რომელიც წილად ხვდება ყოველ ცალკეულ პროდუქტს, ერთობლივი ღირებულების ის სათანადო ნაწილი, რასაც ცალკეული პროდუქტი შეიცავს. მაგრამ ეს არ ცვლის ზედმეტი ღირებულების, ახლადშექმნილი ღირებულების, შეფარდებას, ავანსებულ და მხოლოდ კვლავწარმოებულ ღირებულებასთან. მართალია, ჩვენ დავინახეთ *, რომ თუმცა შრომის ნაყოფიერება გავლენას არ ახდენს პროდუქტის ერთობლივ ღირებულებაზე, მაგრამ მას შეუძლია გაადიდოს ზედმეტი ღირებულება, თუ პროდუქტი შედის მუშის მოხმარებაში, თუ, მაშასადამე, მცირდება ნ ო რ მ ა ლ უ რ ი ხ ე ლ ფ ა ს ი, ანუ, რაც იგივეა, მცირდება ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა იმის შედეგად, რომ დაბლა იწევს ცალკეულ საქონელთა ფასი, ანუ, რაც იგივეა, საქონელთა მოცემული რაოდენობის ფასი. რამდენადაც შრომის უფრო დიდი ნაყო-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 238 — 241. რ ე დ.

ფიერება შეფარდებითს ზედმეტ ღირებულებას ქმნის, იგი ადიდებს პროდუქტის არა ერთობლივ ღირებულებას, არამედ ამ ერთობლივი ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას, ე. ი. ფასგადაუხდელ შრომას. ამრიგად, თუ შრომის უფრო დიდი ნაყოფიერების დროს ცალკეულ პროდუქტს ღირებულების უფრო ნაკლები წილი ხვდება — რადგან გადიდდა საქონელთა ერთობლივი მასა, რითაც წარმოდგენილია ღირებულება, — თუ, მაშასადამე, ცალკეული პროდუქტის ფასი მცირდება, მაშინ მაინც, ზემოხსენებულ პირობებში, გადიდდება ამ ფასის ის ნაწილი, რომლითაც წარმოდგენილია ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, ე. ი. გაიზრდება ზედმეტი ღირებულების შეფარდება კვლავწარმოებულ ღირებულებასთან { აქ, სადაც ჯერ კიდევ მოგებაზე ლაპარაკი არაა, საჭიროა მაინც ვილაპარაკოთ უწინარეს ყოვლისა საკუთრივ ცვალებად კაპიტალთან შეფარდებაზე }, მაგრამ ამის ადგილი აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ პროდუქტის ერთობლივ ღირებულებაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გამო გაიზარდა ზედმეტი ღირებულება. იგივე მიზეზი — შრომის გადიდებული ნაყოფიერება, — რომლის ძალითაც შრომის ერთი და იგივე რაოდენობა გამოიხატება პროდუქტთა უფრო დიდი მასით, მაშასადამე, მცირდება ამ მასის ყოველი ნაწილის ღირებულება ანუ ცალკეული საქონლის ფასი, — სწორედ ეს მიზეზი ამცირებს სამუშაო ძალის ღირებულებას და ამიტომ ადიდებს ზედმეტ, ანუ ფასგადაუხდელ, შრომას, რომელსაც შეიცავს ერთობლივი პროდუქტის ღირებულება, მაშასადამე, ცალკეული საქონლის ფასიც. ამიტომ, თუმცა ცალკეული საქონლის ფასი დაბლა იწევს, თუმცა მასში მოთავსებული შრომის ერთობლივი რაოდენობა, მაშასადამე, მისი ღირებულებაც, მცირდება, მაინც ამ ღირებულების ის პროპორციული შემადგენელი ნაწილი, რომელიც ზედმეტი ღირებულებისაგან შედგება, დიდდება; სხვა სიტყვებით, შრომის უფრო მცირე ერთობლივ [577] რაოდენობაში, რასაც ცალკეული საქონელი შეიცავს, მოთავსებულია ფასგადაუხდელი შრომის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე უწინ, როცა შრომა უფრო ნაკლებნაყოფიერი იყო და ამიტომ ცალკეული საქონლის ფასი უფრო მაღალი, ცალკეულ საქონელში მოთავსებული შრომის ერთობლივი რაოდენობა კი უფრო მეტი იყო. თუმცა ერთი ტონა ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებ შრომას შეიცავს და ამიტომ უფრო იაფია, იგი შეიცავს უფრო მეტ ზედმეტ შრომას და ამიტომ უფრო მეტ ზედმეტ ღირებულებასაც იძლევა.

რადგან კონკურენციის პირობებში ყველაფერი მცდარი, დამახინჯებული სახით ვვეკლინება, ცალკეულ კაპიტალისტს წარმოუდგენია: 1) რომ მას საქმე აქვს იმ მოგების შემცირებასთან, რასაც იგი ლებულობს ცალკეულ საქონელზე მისი ფასის შემცირების შედეგად, მაგრამ რომ იგი უფრო დიდ მოგებას იღებს საქონელთა მასის გადიდების გამო (აქ ეს არეულია კიდევ გარდა ამისა მოგების მასის გადიდებასთან, რაც გამოყენებული კაპიტალის გადიდების გამო მოგების უფრო დაბალი ნორმის დროსაც კი მიიღება); 2) რომ იგი აწესებს ცალკეული საქონლის ფასს და გამრავლების მეშვეობით განსაზღვრავს პროდუქტის ერთობლივ ღირებულებას; მაშინ როდესაც თავდაპირველი პროცესი არის გაყოფა, გამრავლებას კი ადგილი აქვს მხოლოდ მეორე რიგში და ემყარება ამ გაყოფას როგორც თავის წანამძღვარს. ვულგარული ეკონომისტი ფაქტიურად იმით კმაყოფილდება, რომ კონკურენციაში ჩაფლული კაპიტალისტების უცნაურ წარმოდგენებს ის თარგმნის ვითომდა უფრო თეორიულ ენაზე და თავისი კონსტრუქციებით ცდილობს დაასაბუთოს ამ წარმოდგენათა სიცწორე.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს ცხრილს.

10 გირვ. სტერლ. კაპიტალით შექმნილი პროდუქტის, ანუ მის მიერ შექმნილ საქონელთა მასის, ერთობლივი ღირებულება უდრის 120 გირვ. სტერლინგს; საქონელთა მასა შეიძლება იყოს დიდი ან პატარა შრომის ნაყოფიერების სხვადასხვა დონის მიხედვით. ხარჯთფასი ამ ერთობლივი პროდუქტისა, როგორიც არ უნდა იყოს მისი სიდიდე, უდრის 110 გირვ. სტერლინგს, თუ, როგორც ვივარაუდეთ, საშუალო მოგება 10%-ს შეადგენს. ერთობლივი პროდუქტის ღირებულება, როგორიც არ უნდა იყოს მისი სიდიდე, აღემატება ხარჯთფასს 10 გირვ. სტერლინგით, ე. ი. ერთობლივი ღირებულების $^1/_{12}$-თ, ანუ ავანსებული კაპიტალის $^1/_{10}$-თ. ერთობლივი პროდუქტის ღირებულების ეს გადაჭარბება ხარჯთფასზე, ეს 10 გირვ. სტერლ. შეადგენს რენტას. ეს უკანასკნელი, ცხადია, სრულიად არ არის დამოკიდებული შრომის ნაყოფიერების განსხვავებაზე, რაც შედეგია ქვანახშირის მაღაროთა პროდუქტიულობის, ნიადაგთა ნაყოფიერების განსხვავებული ხარისხისა, — ერთი სიტყვით შედეგია ბუნების იმ ელემენტის ნაყოფიერებისა, რომლის მიმართაც გამოიყენება 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი, — რადგან გამოყენებული შრომის ნაყოფიერების ეს სხვადასხვა ხარისხი, გაპირობებული ბუნებრივი ფაქტორის არაერთნაირი ნაყოფიერებით, ხელს არ უშლის იმას, რომ ერთობლივ პროდუქტს ჰქონდეს 120 გირვ. სტერლ. ღირე-

ბულება, ხოლო ხარჯთფასი — 110 გირვ. სტერლინგი, მაშასადამე, ჰქონდეს ხარჯთფასის ზევით ღირებულების ნამეტი, რომელიც უდრის 10 გირვ. სტერლინგს. ყველაფერი, რის გაკეთებაც კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი ს კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა ს შ ე უ ძ ლ ი ა, მხოლოდ ისაა, რომ იმ საქონელთა ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ი, რომელთაც კაპიტალისტი 100 გირვ. სტერლინგით ქმნის ქვანახშირის წარმოებაში, წარმოების ამ განსაკუთრებულ სფეროში, უდრიდეს 110 გირვ. სტერლინგს. მაგრამ კონკურენციას არ შეუძლია აიძულოს ეს კაპიტალისტი, რომ მან თავისი პროდუქტი 110 გირვ. სტერლინგად გაყიდოს, თუმცა ეს პროდუქტი 120 გირვ. სტერლინგი ღირს,— ასეთი იძულება წარმოების დანარჩენ დარგებში ხორციელდება. ეს იმიტომ რომ აქ საქმეში ერევა მიწის მესაკუთრე და ეპატრონება 10 გირვ. სტერლინგს. ამიტომ ამ რენტას მე ვუწოდებ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ რ ე ნ ტ ა ს. ამიტომ იგი ცხრილში მუდამ ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე რ ჩ ე ბ ა, როგორც არ უნდა იცვლებოდეს ქვანახშირის მაღაროთა პროდუქტიულობა, და ამის შედეგად შრომის ნაყოფიერებაც. მაგრამ იგი გამოიხატება არა ტ ო ნ ა თ ა ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ, როცა მაღაროთა პროდუქტიულობა, და ამის გამო შრომის ნაყოფიერებაც, სხვადასხვა ხარისხისაა. ეს იმიტომ რომ შრომის სხვადასხვა ნაყოფიერების მიხედვით შრომის რაოდენობა, რასაც 10 გირვ. სტერლინგი შეიცავს, გამოიხატება სახმარ ღირებულებათა მეტი ან ნაკლები რაოდენობით, ტონათა მეტი ან ნაკლები რაოდენობით. ეს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ა, ნაყოფიერების სხვადასხვა ხარისხის დროს, ყოველთვის მთლიანად ნაზღაურდება, თუ ზოგჯერ მხოლოდ ნაწილობრივ, — ეს გამომჟღავნდება ცხრილის შემდგომი ანალიზისას.

მაგრამ, შემდეგ, ბაზარზე არის ნახშირი, მოპოვებული არათანაბარი მწარმოებლობის შახტებში, რომლებიც მე აღვნიშნე ციფრებით I, II, III, IV, დაწყებული ნაყოფიერების ყველაზე დაბალი ხარისხით. ასე. მაგალითად: პირველი თანრიგი, სადაც 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის პროდუქტი შეადგენს 60 ტონას; მეორე თანრიგი, სადაც იგი შეადგენს 65 ტონას, და ა. შ. ამრიგად, თანაბარი ორგანული შედგენილობის ტოლდიდი კაპიტალი — 100 გირვ. სტერლინგი — წარმოების ერთსა და იმავე სფეროში არათანაბარი მწარმოებლობით ხასიათდება, იმიტომ რომ შრომის ნაყოფიერების ხარისხი სხვადასხვაა შახტის, ნიადაგის, მოკლედ — ბუნებრივი ფაქტორის ნაყოფიერების მიხედვით. მაგრამ კონკურენცია ამყარებს ე რ თ ი ა ნ ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ამ პროდუქტებისათვის, რომელთაც სხვადასხვა ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა აქვთ. თვით ეს

საბაზრო ღირებულება არასოდეს არ შეიძლება იყოს ყველაზე ნაკლებად ნაყოფიერი თანრიგის ინდივიდუალურ ღირებულებაზე უფრო მეტი. იგი რომ უფრო მაღალი იყოს, ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ საბაზრო ფასი აღემატება საბაზრო ღირებულებას. მაგრამ საბაზრო ღირებულება უნდა გამოხატავდეს ნამდვილ ღირებულებას. რაც შეეხება ცალკეულ თანრიგთა პროდუქტებს, რა თქმა უნდა, შეესაძლებელია, რომ მათი [ინდივიდუალური] ღირებულება საბაზრო ღირებულებაზე უფრო მაღალი ან უფრო დაბალია. თუ იგი საბაზრო ღირებულებაზე უფრო მაღალია, მაშინ სხვაობა საბაზრო ღირებულებასა და პროდუქტთა ხარჯთფასს შორის უფრო ნაკლებია მათს ინდივიდუალურ ღირებულებასა და მათს ხარჯთფასს შორის არსებულ სხვაობაზე. მაგრამ რადგან აბსოლუტური რენტა უდრის სხვაობას მათს ინდივიდუალურ [578] ღირებულებასა და მათს ხარჯთფასს შორის, ამიტომ ამ შემთხვევაში ასეთ პირობებში წარმოებული პროდუქტების საბაზრო ღირებულება არ შეიძლება იძლეოდეს აბსოლუტურ რენტას მთლიანად. თუ საბაზრო ღირებულება მათს ხარჯთფასამდე დაიწევდა, იგი სრულიად არ მოგვცემდა რენტას მოცემული თანრიგის პროდუქტებიდან. ამ პროდუქტების მწარმოებელთ არ შეეძლო არავითარი რენტის მოცემა, რადგან [ერთობლივი] რენტა არის მხოლოდ სხვაობა [საბაზრო] ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის, პროდუქტებისათვის კი, ინდივიდუალურად, მოცემული საბაზრო ღირებულების დროს ეს სხვაობა მოიხსნებოდა. მოცემული შემთხვევაში სხვაობა მათს საბაზრო ღირებულებასა და ინდივიდუალურ ღირებულებას შორის იქნება უარყოფითი, ე. ი. საბაზრო ღირებულება განსხვავებული იქნება მათი ინდივიდუალური ღირებულებისაგან უარყოფითი სიდიდით. სხვაობას საბაზრო ღირებულებასა და ინდივიდუალურ ღირებულებას შორის მე საერთოდ უწოდებდ დიფერენციულ ღირებულებას. აღნიშნულ პირობებში მყოფ საქონელთათვის დიფერენციული ღირებულების წინ მე დავსვი ნიშანი მინუსი.

პირიქით, თუ ქვანახშირის მაღაროთა რომელიმე თანრიგის (მიწის თანრიგის) პროდუქტთა ინდივიდუალური ღირებულება საბაზრო ღირებულებაზე უფრო დაბლა დგას, ეს ნიშნავს, რომ საბაზრო ღირებულება მათს ინდივიდუალურ ღირებულებაზე უფრო მაღლა დგას. ამ პროდუქტების წარმოების სფეროში გაბატონებული ღირებულება, ანუ საბაზრო ღირებულება,

იძლევა, მაშასადამე, გარკვეულ ნამეტს მათი ინდივიდუალური ღირებულების ზევით. თუ, მაგალითად, ტონის საბაზრო ღირებულება 2 გირვ. სტერლინგს უდრის, იმ ტონის დიფერენციული ღირებულება, რომლის ინდივიდუალური ღირებულება 1 გირვ. სტერლ. 12 შილინგს უდრის, შეადგენს 8 შილინგს. და რადგან იმ თანრიგში, სადაც ტონის ინდივიდუალური ღირებულება 1 გირვ. სტერლ. 12 შილინგს უდრის, 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი 75 ტონას აწარმოებს, ერთობლივი დიფერენციული ღირებულება ამ 75 ტონისათვის შეადგენს 8 შილ. X 75, ე. ი. 30 გირვ. სტერლინგს. მოცემული ერთობლივი პროდუქტის საბაზრო ღირებულების ეს ნამეტი მისი ინდივიდუალური ღირებულების ზევით, გაპირობებული მიწის შეფარდებით უფრო დიდი ნაყოფიერებით ანდა შახტის შეფარდებით უფრო დიდი მწარმოებლობით, შეადგენს დიფერენციულ რენტას, რადგან ხარჯთფასი კაპიტალისათვის იგივე რჩება, რაც უწინ იყო. ეს დიფერენციული რენტა არის ხოლმე ან მეტი ან ნაკლები იმისდა მიხედვით, მეტია თუ ნაკლები საბაზრო ღირებულების ნამეტი ინდივიდუალური ღირებულების ზევით, ნამეტი, რომელიც, თავის მხრივ, ან მეტია ხოლმე ან ნაკლები იმისდა მიხედვით შეფარდებით მეტია თუ ნაკლები მაღაროების ან მიწის იმ თანრიგის ნაყოფიერება, სადაც წარმოებულია მოცემული პროდუქტი, შედარებით იმ ნაკლებნაყოფიერ თანრიგთან, რომლის პროდუქტიც ადამწყვეტ გავლენას ახდენს საბაზრო ღირებულებაზე.

დასასრულ, საჭიროა კიდევ აღინიშნოს, რომ სხვადასხვა თანრიგთა პროდუქტების ინდივიდუალური ხარჯთფასები სხვადასხვაა. მაგალითად, იმ თანრიგისათვის, რომელშიც 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი 75 ტონას იძლევა, ცალკეული საქონლის ხარჯთფასი იქნებოდა 1 გირვ. სტერლ. $9^1/_2$ შილ., რადგან ერთობლივი ღირებულება უდრის 120 გირვ. სტერლინგს, ერთობლივი ხარჯთფასი კი — 110 გირვ. სტერლინგს, და საბაზრო ღირებულება ტონის ინდივიდუალურ ღირებულებას, ე. ი. 1 გირვ. სტერლ. 12 შილინგს რომ უდრიდეს ამ თანრიგში, მაშინ 75 ტონა, 120 გირვ. სტერლინგად გაყიდული, მოგვცემდა 10 გირვ. სტერლ. რენტას, მაშინ როდესაც 110 გირვ. სტერლინგი იქნებოდა მათი ხარჯთფასის გამომხატველი.

მაგრამ ცალკეული ტონის ინდივიდუალური ხარჯთფასი, რა თქმა უნდა, განსხვავებული იქნებოდა ტონათა იმ რაოდენობის მიხედვით, რომლითაც გამოიხატება 100 გირვ. სტერლ. კა-

პიტალი, ანდა სხვადასხვა თანრიგებში ცალკეული პროდუქტის ინ-დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით. მაგალითად, თუ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი 60 ტონას აწარმოებს, ტონის ღირებულება უდრის 2 გირვ. სტერლინგს, მისი ხარჯთფასი კი — 1 გირვ. სტერლ. $16^2/_3$ შილინგს; 55 ტონა იქნებოდა 110 გირვ. სტერლინგის, ანუ ერთობლივი პროდუქტის ხარჯთფასის ტოლი. თუ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი 75 ტონას აწარმოებს, ტონის ღირებულება უდრის 1 გირვ. სტერლ. 12 შილინგს, მისი ხარჯთფასი — 1 გირვ. სტერლ. $9^1/_3$ შილინგს, და ერთობლივი პროდუქტიდან $68^3/_4$ ტონა ეღირებოდა 110 გირვ. სტერლინგი, ე. ი. ანაზღაურებდა ხარჯთფასს. იმავე პროპორციით, რა პროპორციითაც სხვადასხვაა ი ნ დ ი ვ ი-დ უ ა ლ უ რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, სხვადასხვაა ინდივიდუალური ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ი ც, ე. ი. ყ ო ვ ე ლ ი ც ა ლ კ ე უ ლ ი ტ ო ნ ი ს ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ი სხვადასხვა თანრიგში.

ხუთიე ცხრილი გვიჩვენებს, რომ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ-ტ ა ყოველთვის უდრის საქონლის [ინდივიდუალური] ღირებულების გადანამეტს მის საკუთარ ხარჯთფასზე; დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი რ ე ნ ტ ა კი უდრის საქონლის საბაზრო ღირებულების გადანამეტს მის ინდივიდუალურ ღირებულებაზე; ხოლო ერთობლივი რენტა, როცა გარდა აბსოლუტური რენტისა კიდევ დიფერენციული რენ-ტაც არსებობს, უდრის საბაზრო ღირებულების გადანამეტს ინდივი-დუალურ ღირებულებაზე პლუს ინდივიდუალური ღირებულების გა-დანამეტი ხარჯთფასზე, ანუ საბაზრო ღირებულების გადანამეტს ინ-დივიდუალურ ხარჯთფასზე.

რადგან აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ განვავითარო რენტის ზოგადი კანონი როგორც ილუსტრაცია ღირებულებათა და ხარჯთ-ფასთა შესახებ ჩემი თეორიისა, მაშინ როდესაც მიწის რენტას დე-ტალურად განვიხილავდი მხოლოდ იქ, [579] სადაც მე ex professio * შევუდგებოდი მიწის საკუთრების განხილვას, — ამიტომ მე აქ გამოვ-თიშე საქმის გამართულებელი ყველა მომენტი: შახტებისა და სხვა-დასხვა მიწების ა დ გ ი ლ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ა; ე რ თ-ს ა დ ა ი მ ა ვ ე შახტში ან ე რ თ ს ა დ ა ი მ ა ვ ე მიწაზე გა-მოყენებულ კაპიტალის დოზათა მწარმოებლობის სხვადასხვა ხარის-ხი; თანაფარდობა იმ რენტათა შორის, რომლებსაც იძლევიან წარ-მოების ერთი და იმავე სფეროს სხვადასხვა ქვედანაყოფები, მაგალი-თად, მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგები; თანაფარდობა იმ რენ-ტათა შორის, რომელთაც იძლევიან წარმოების სხვადასხვა, მაგრამ

* — სპეციალურად. რედ.

ერთიმეორად გადაქცევის უნარმქონე დარგები, როგორიცაა, მაგალითად, მიწის ამოღება მიწათმოქმედებიდან იმ მიზნით, რომ იგი სახლების ასაშენებლად და ა. შ. გამოიყენონ. ყოველივე ეს აქ განსახილველი არაა.

[3) ცხრილების ანალიზი]

ახლა გადავიდეთ ცხრილების განხილვაზე. ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ გვიხსნის ზოგადი კანონი კომბინაციათა დიდ ნაირსახეობას, მაშინ როდესაც რიკარდოს, იმის გამო, რომ რენტის ზოგადი კანონი მისთვის უცნობია, მხოლოდ ცალმხრივად ესმის დიფერენციული რენტის დედაარსიც და ამიტომ ნაძალადევი აბსტრაქციის საშუალებით სურს მოვლენათა დიდი მრავალნაირობა ერთადერთ შემთხვევაზე დაიყვანოს. თვით ცხრილებმა უნდა გვიჩვენონ არა საერთოდ ყველა შესაძლებელი კომბინაცია, არამედ მხოლოდ უმნიშვნელოვანესი, განსაკუთრებით ჩვენი სპეციალური მიზნისათვის.

[ა)] A ცხრილის შესახებ [თანაფარდობანი სხვადასხვა თანრიგში ინდივიდუალურ დირებულებასა და საბაზრო დირებულებას შორის]

A ცხრილში ტონა ნახშირის საბაზრო დირებულება განისაზღვრება ტონა ნახშირის ინდივიდუალური დირებულებით I თანრიგში, სადაც შახტები ყველაზე ნაკლებად პროდუქტიულია, სადაც, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერება ყველაზე დაბალია და, მაშასადამე, პროდუქტთა მასა, რასაც დაბანდებული 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი იძლევა, — ყველაზე მცირეა, და სადაც ამიტომ ცალკეული პროდუქტის დირებულებით განსაზღვრული ფასი ყველაზე მაღალია.

იგულისხმება, რომ ბაზარი ნთქავს 200 ტონას, არც მეტს, არც ნაკლებს.

ს ა ბ ა ზ რ ო დ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა არ შეიძლება იყოს I თანრიგში წარმოებული ტონის დირებულებაზე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა, ე. ი. ყველაზე არახელსაყრელ პირობებში წარმოებული საქონლის დირებულებაზე უფრო მაღლა. ის გარემოება, რომ თანრიგები II და III ტონას მის ინ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ დ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე უფრო მაღლა ყიდიან, იმით აიხსნება, რომ აქ წარმოების პირობები უფრო ხელსაყრელია, ვიდრე წარმოების ამავე ს ფ ე რ ო შ ი (დარგში) წარმოებულ სხვა საქონელთათვის; მაშასადამე, ეს არ არღვევს ღი-

რებულების კანონს. პირიქით, თუ საბაზრო ღირებულება გადააჭარბებდა I თანრიგში წარმოებული ტონის ღირებულებას, ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ I თანრიგის პროდუქტი, სრულიად დამოუკიდებლად საბაზრო ღირებულებისაგან, თავის ღირებულებაზე უფრო მაღლა გაიყიდებოდა. საერთოდ სხვაობას საბაზრო ღირებულებასა და [ინდივიდუალურ] ღირებულებას შორის ადგილი აქვს არა იმიტომ, რომ პროდუქტების გაყიდვა ხდება აბსოლუტურად მათს ღირებულებაზე უფრო მაღლა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ღირებულება, რაც წარმოების მთელი სფეროს პროდუქტს აქვს, შეიძლება განსხვავდებოდეს ცალკეული პროდუქტის ღირებულებისაგან, ე. ი. იმიტომ, რომ სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია ერთობლივი პროდუქტის — მოცემულ შემთხვევაში 200 ტონის — საწარმოებლად, შეიძლება განსხვავებული იყოს იმ სამუშაო დროისაგან, რომლის განმავლობაშიც იწარმოება ამ ტონათა ნაწილი (ამ შემთხვევაში ლაპარაკია II და III თანრიგებში მოპოვებულ ტონებზე); ერთი სიტყვით, იმიტომ, რომ მიღებული ერთობლივი პროდუქტი ნაყოფიერების სხვადასხვა ხარისხის მქონე შრომის პროდუქტია. ამიტომ სხვაობა პროდუქტის საბაზრო ღირებულებასა და მის ინდივიდუალურ ღირებულებას შორის შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ნაყოფიერების იმ ხარისხთა სხვაობასთან, რომელთა პირობებშიც შრომის გარკვეული რაოდენობა ერთობლივი პროდუქტის სხვადასხვა წილს აწარმოებს. ეს სხვაობა არასოდეს არ შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ღირებულება განისაზღვრება საერთოდ წარმოების მოცემულ სფეროში გამოყენებული შრომის რაოდენობისაგან დამოუკიდებლად. თუ ტონის საბაზრო ღირებულება 2 გირვ. სტერლინგს გადააჭარბებდა, ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ I თანრიგი, II და III თანრიგებთან მისი თანაფარდობისაგან დამოუკიდებლად, საერთოდ თავის პროდუქტს მის ღირებულებაზე უფრო მაღლა გაყიდდა. ამ შემთხვევაში ბაზარზე არსებული ვითარების, ე. ი. მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის გამო, საბაზრო ფასი აღემატებოდა საბაზრო ღირებულებას. მაგრამ ის საბაზრო ღირებულება, რომელზეც აქ ლაპარაკია და რომელსაც აქ, ვარაუდის თანახმად, საბაზრო ფასი უდრის, არ შეიძლება თავის თავზე უფრო მაღალი იყოს.

მოცემულ შემთხვევაში საბაზრო ღირებულება უდრის I თანრიგის პროდუქტის ღირებულებას, თანრიგისა, რომელიც ამასთა-

ნავე ბაზარზე მყოფი მთელი პროდუქტის $^{3}/_{10}$-ს იძლევა, რადგან II და III თანრიგები მხოლოდ იმდენ პროდუქტს იძლევიან, რამდენიც აუცილებელია მოთხოვნის მთლიანად დასაფარავად, დამატებითი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, გარდა იმ მოთხოვნისა, რომელსაც I თანრიგი ფარავს. II და III თანრიგებს ამიტომ არავითარი საფუძველი არა აქვთ თავიანთი პროდუქტი 2 გირვ. სტერლინგზე უფრო იაფად გაყიდონ, რადგან მთელი პროდუქტი შეიძლება გაიყიდოს 2 გირვ. სტერლ. კვალობაზე. მათ არ შეუძლიათ თავიანთი პროდუქტი გაყიდონ აგრეთვე [580] 2 გირვ. სტერლინგზე უ ფ რ ო ძ ვ ი რ ა დ, რადგან I თანრიგი ტონას ყიდის 2 გირვ. სტერლინგად.

ამ კანონს, რომლის თანახმად ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ებ უ ლ ებ ა არ შეიძლება აღემატებოდეს იმ პროდუქტის ინ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ს, რომელიც წ ა რ მ ო ე ბ ი ს უ ვ ე ლ ა ზ ე ც უ დ პ ი რ ო ბ ებ შ ი შეიქმნა და რომელიც აუცილებელი მიწოდების ნაწილს შეადგენს, რიკარდო აყალიბებს დამახინჯებულ აზრად, თითქოს საბაზრო ღირებულება არ შეიძლება დაეცეს ამ პროდუქტის ღირებულებაზე უ ფ რ ო დ ა ბ ლ ა, ე. ი. ყოველთვის უნდა განისაზღვრებოდეს ამ ღირებულებით. შემდეგში ჩვენ დავინახავთ, თუ რამდენად მცდარია ეს.

რადგან I თანრიგში ტონის საბაზრო ღირებულება და ინდივიდუალური ღირებულება ერთმანეთს ემთხვევა, რ ე ნ ტ ა, რომელსაც ისინი იძლევიან, წარმოადგენს პროდუქტის ღირებულების აბსოლუტურ გადანამეტს მის ხარჯთფასზე, ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ რ ე ნ ტ ა ს, რომელიც 10 გირვ. სტერლინგს უდრის. II თანრიგი იძლევა 10 გირვ. სტერლინგ დიფერენციულ რენტას, III თანრიგი კი — 30 გირვ. სტერლ. დიფერენციულ რენტას, რადგან I თანრიგის მიერ განსაზღვრული საბაზრო ღირებულება II თანრიგს აძლევს 10 გირვ. სტერლ. გადანამეტს, III თანრიგს კი — 30 გირვ. სტერლ. გადანამეტს მათი პროდუქტების ინ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ზ ე, მაშასადამე, 10 გირვ. სტერლ. აბსოლუტურ რენტაზეც, რომლითაც წარმოდგენილია ინდივიდუალური ღირებულების გადანამეტი ხარჯთფასზე. ამიტომ II თანრიგი იძლევა 20 გირვ. სტერლ. ერთობლივ რენტას, III თანრიგი კი — 40 გირვ. სტერლ. ერთობლივ რენტას; ვინაიდან საბაზრო ღირებულება იძლევა 20 გირვ. სტერლ., შესაბამისად 40 გირვ. სტერლ., გადანამეტს მათს ხარჯთფასზე.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ გადასვლა ხდება შახტების ნაკლებად პროდუქტიული I თანრიგიდან უფრო პროდუქტიულ II თანრიგზე და ამ უკანასკნელიდან — კიდევ უფრო პროდუქტიულ III თანრიგ-

ზე. თუმცა II და III თანრიგები უფრო პროდუქტიულია, ვიდრე I, მაგრამ ისინი აკმაყოფილებენ მთელი მოთხოვნის მხოლოდ $^{7}/_{10}$-ს და ამიტომ, როგორც ეს ახლახან განმარტებული იყო, მათ შეუძლიათ თავიანთი პროდუქტი გაყიდონ 2 გირვ. სტერლინგის კვალობაზე, თუმცა მისი ღირებულება შეადგენს შესაბამისად მხოლოდ I გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილინგს და I გირვ. სტერლ. 12 შილინგს. ცხადია, რომ როცა არსებობს პროდუქტის გარკვეული რაოდენობა, რაც საჭიროა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, და მოცემულია ამ მოთხოვნის სხვადასხვა ნაწილის დამაკმაყოფილებელი შრომის ნაყოფიერების გრადაცია, მაშინ, სულ ერთია — ხდება ეს გადასვლა ერთი თუ მეორე მიმართულებით, ორივე შემთხვევაში უფრო პროდუქტიული თანრიგების საბაზრო ღირებულება მ ა თ ს ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ურ ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ზ ე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა ი წ ევ ს: ერთ შემთხვევაში იმიტომ, რომ ა რ ს ებ ო ბ ს ნაკლებპროდუქტიული თანრიგი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი საბაზრო ღირებულება, დამატებითი მიწოდება კი მათი მხრივ საკმაოდ დიდი არ არის იმისათვის, რომ რამე საბაბი მისცეს I თანრიგით განსაზღვრული საბაზრო ღირებულების ცვლილებას; მეორე შემთხვევაში კი იმიტომ, რომ საბაზრო ღირებულება, რომელსაც თავდაპირველად ისინი განსაზღვრავდნენ, ე. ი. III და II თანრიგები განსაზღვრავდნენ, ახლა განისაზღვრება I თანრიგით, რომელიც ბაზრისათვის საჭირო დამატებითის მიწოდებას აკმაყოფილებს და რომელსაც შეუძლია ეს დამატებითი მიწოდება დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ უფრო მაღალი ღირებულების მიხედვით, რაც ახლა საბაზრო ღირებულებას განსაზღვრავს.

[ბ) რიკარდოს რენტის თეორიის კავშირი მიწათმოქმედების კლებადი ნაყოფიერების კონცეფციასთან. აბსოლუტური რენტის ცვლილებათა თანაფარდობა მოგების ნორმის ცვლილებებთან]

რიკარდო, მაგალითად, A ცხრილით წარმოდგენილ შემთხვევაში იტყოდა: ამოსავალი წერტილია III თანრიგი; დამატებითს მიწოდებას აკმაყოფილებს პირველად II თანრიგი; ბოლოს, უკანასკნელ დამატებითს მიწოდებას, რასაც ბაზარი მოითხოვს, აკმაყოფილებს I თანრიგი; და რადგან I თანრიგს დამატებითი 60 ტონა შეუძლია მოგვცეს მხოლოდ 120 გირვ. სტერლინგად, ტონა 2 გირვ. სტერლინგად, ამ მიწოდებას კი ბაზარი საჭიროებს, იმიტომ ტონის საბაზრო ღირებულება, რაც თავდაპირველად 1 გირვ. სტერლ. 12 შილინგს, შემდეგ კი 1 გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილინგს შეადგენდა, ახლა 2 გირვ. სტერ-

ლინგამდე ადის. მაგრამ ამდენადვე სწორია ისიც, რომ იმ შემთხვევაში, როცა, პირიქით, ამოსავალ წერტილად აღებულია I თანრიგი, რომელიც აკმაყოფილებს 60 ტონის მოთხოვნას 2 გირვ. სტერლ. კვალობაზე, შემდეგ კი დამატებითს მიწოდებას II თანრიგი აკმაყოფილებს, II თანრიგის პროდუქტი გაიყიდება 2 გირვ. სტერლ. საბაზრო ღირებულების მიხედვით, თუმცა მისი ინდივიდუალური ღირებულება შეადგენს მხოლოდ 1 გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილინგს; ვინაიდან ბაზრისათვის საჭირო 125 ტონა შეიძლება, ისევე როგორც უწინ, მივიღოთ მხოლოდ იმ პირობებში, თუ I თანრიგი მოგვაწოდებს თავის 60 ტონას, რომლის ღირებულებაც შეადგენს 2 გირვ. სტერლინგს ტონაზე. იგივე იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ აუცილებელი გახდება ახალი დამატებითი მიწოდება 75 ტონის ოდენობით, III თანრიგი კი იძლევა მ ხ ო ლ ო დ 75 ტონას, აკმაყოფილებს მხოლოდ ამ დამატებითს მოთხოვნას, ასე რომ უწინდებურად საჭიროა კიდევ 60 ტონა I თანრიგისა 2 გირვ. სტერლ. კვალობაზე. თუ I თანრიგი დააკმაყოფილებდა მთელი 200 ტონის მოთხოვნას, ეს 200 ტონა გაიყიდებოდა 400 გირვ. სტერლინგად. სწორედ ამ ფასად იყიდება ახლა ოდენ, რადგან II და III თანრიგები თავიანთ პროდუქტს ყიდიან არა იმ ფასის კვალობაზე, რომლითაც მათ შეეძლოთ დაკმაყოფილება 400 ტონის ოდენობით დამატებითი მოთხოვნისა, [XII — 581], არამედ იმ ფასის კვალობაზე, რომლითაც მისი დაკმაყოფილება შეეძლო I თანრიგს, რომელიც პროდუქტის მხოლოდ $^3/_{10}$-ს იძლევა. ბაზრისათვის საჭირო პროდუქტის მთელი მასა, რაც 200 ტონის უდრის, იყიდება აქ თითო ტონა 2 გირვ. სტერლინგად, იმიტომ რომ ამ რაოდენობის $^3/_{10}$ შეიძლება წარმოებულ იქნეს მხოლოდ ტონა 2 გირვ. სტერლინგად, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა წესით ხდებოდა პროდუქტის იმ დამატებითი რაოდენობის წარმოება, რაც საჭიროა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად: დაწყებული III-იდან II-ის მეშვეობით I-საკენ თუ დაწყებული I-დან II-ის მეშვეობით III-ისაკენ.

რიკარდო ამბობს: თუ ამოსავალ წერტილს III და II თანრიგთა პროდუქტები წარმოადგენენ, მათმა საბაზრო ღირებულებამ უნდა აიწიოს I თანრიგის პროდუქტის ღირებულებამდე (რიკარდოს მიხედვით — ხარჯთფასამდე), რადგან ის $^3/_{10}$, რასაც I თანრიგი იძლევა, აუცილებელია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; სხვა სიტყვებით, რადგან აქ ლაპარაკია პ რ ო დ უ ქ ტ ი ს მთელ ს ა ჭ ი რ ო მ ა სა ზ ე და არა ამ მასის განსაკუთრებული ნაწილების ინდივიდუალურ ღირებულებაზე. მაგრამ ასევე სწორია ისიც, რომ როცა ამოსავალ წერტილს I თანრიგი წარმოადგენს, II და III თანრიგები კი

მ ხ ო ლ ო დ დამატებითს მიწოდებას აკმაყოფილებენ, $^{3}/_{10}$, რასაც I თანრიგი იძლევა, უწინდებურად თანაბრად აუცილებელი რჩება; ამრიგად, თუ I თანრიგი განსაზღვრავს საბაზრო ღირებულებას დალმავალი ხაზით, იგი ი მ ა ვ ე მ ი ზ ე ზ ე ბ ი ს ძ ა ლ ი თ განსაზღვრავს მას ალმავალი ხაზითაც. მაშასადამე, ცხრილი A გვიჩვენებს, რომ მცდარია რიკარდოს შეხედულება, თითქოს დიფერენციული რენტა გ ა პ ი რ ო ბ ებ უ ლ ი ა უფრო პროდუქტიული შახტიდან ამ ნიადაგიდან უფრო ნაკლებ პროდუქტიულზე გადასვლით, ე. ი. თითქოს იგი გაპირობებულია შრომის ნაყოფიერების შემცირებით. დიფერენციული რენტა სავსებით შეიძლება წარმოსდგეს ავრეთვე პ ი რ უ კ უ მოძრაობიდანაც, მაშასადამე შრომის მზარდი ნაყოფიერებიდანაც. თუ ამ ორი მოძრაობიდან რომელს აქვს ადგილი ან ერთ ან მეორე შემთხვევაში, — ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც დიფერენციული რენტის რაობასთან, არც მისი არსებობის ფაქტთან, არამედ ი ს ტ ო რ ი ულ საკითხს წარმოადგენს. რეალურ სინამდვილეში ალმავალი და დალმავალი ხაზები გადაეჯვარედინება ერთმეორეს, დამატებითი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება მიწის, ქვანახშირის საბადოების და სხვა მსგავსი ბუნებრივი ფაქტორების ხან უფრო პროდუქტიულ, ხან ნაკლებპროდუქტიულ თანრიგზე გადასვლით. ამასთან მუდამ იგულისხმება, რომ მიწოდება, რომელიც ახალი, სხვებისაგან განსხვავებული თანრიგის ბუნებრივ პირობებში ხორციელდება — იქნება ეს თანრიგი უფრო პროდუქტიული თუ ნაკლებპროდუქტიული, — მარტოოდენ დამატებითს მოთხოვნას უდრის, ე. ი. არ იწვევს არავითარ ცვლილებას მ ო თ ხ ო ვ ნ ა ს ა და მ ი წ ო დ ებ ას შ ო რ ის ა რ ს ებ ულ თ ა ნ ა ფ ა რ დ ობ ა ში და, მაშასადამე, თ ვ ი თ ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ებ უ ლ ებ ის ცვლილებას იწვევს არა მაშინ, როცა მიწოდება შეიძლება განხორციელდეს უფრო ნაკლები დანახარჯით, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა მისი განხორციელება მხოლოდ უფრო მეტი დანახარჯით შეიძლება.

ამრიგად, ც ხ რ ი ლ ი A თავიდანვე ამეღავნებს რიკარდოს ამ ძირითადი წანამძღვრის მცდარობას, რომელიც, როგორც ამას ანდერსონის მაგალითი გვიჩვენებს, არ იყო აუცილებელი აბსოლუტური რენტის საკითხში არასწორი კონცეფციის პირობებშიც კი.

თუ ადგილი აქვს გადასვლას III-დან II-ზე და II-იდან I-ზე, — ე. ი. დალმავალი ხაზით, როცა მიმართავენ წარმოების სულ უფრო ნაკლებად ნაყოფიერ ბუნებრივ პირობებს, — დასაწყისში III თანრიგი, სადაც 100 გირვ. სტერლ. კაპიტალია დაბანდებული, თავის საქონელს ყიდის მისი ღირებულების მიხედვით, 120 გირვ. სტერ-

ლინგად. ეს შეადგენს I გირვ. სტერლ. 12 შილინგს ტონაზე, რადგან III თანრიგი აწარმოებს 75 ტონას. თუ აუცილებელი ხდება დამატებითი მოთხოვნის — 65 ტონის — დაკმაყოფილება, II თანრიგი, რომელიც 100 გირვ. სტერლ. კაპიტალს იყენებს, ასევე თავის პროდუქტს ყიდის მისი ღირებულების მიხედვით, 120 გირვ. სტერლინგად. ეს შეადგენს I გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილინგს ტონაზე. თუ, ბოლოს, აუცილებელი ხდება დამატებითი მიწოდება 60 ტონის ოდენობით, რომლის უზრუნველყოფაც მხოლოდ I თანრიგს შეუძლია, მაშინ ეს უკანასკნელიც აგრეთვე თავის პროდუქტს ყიდის მისი ღირებულების მიხედვით, ე. ი. 120 გირვ. სტერლინგად, რაც შეადგენს 2 გირვ. სტერლინგს ტონაზე. საქმის ასეთ ვითარებაში III თანრიგი მოგვცემდა დიფერენციულ რენტას $18^{6}/_{13}$ გირვ. სტერლ. ოდენობით ბაზარზე II თანრიგის პროდუქტების გამოჩენისთანავე, მაშინ როდესაც უწინ იგი იძლეოდა მხოლოდ აბსოლუტურ რენტას 10 გირვ. სტერლ. ოდენობით. II თანრიგი მოგვცემდა 10 გირ. სტერლ. დიფერენციულ რენტას, როგორც კი სცენაზე გამოვიდოდა I თანრიგი, III თანრიგის დიფერენციული რენტა კი აიწევდა 30 გირვ. სტერლინგამდე.

თუ რიკარდო, როცა III თანრიგიდან 1-ზე გადადის, I თანრიგში უკვე ვეღარ პოულობს რენტას, ეს იმიტომ ხდება, რომ III თანრიგის განხილვისას იგი გამოდიოდა იქიდან, რომ არავითარი აბსოლუტური რენტა არ არსებობს.

რა თქმა უნდა, ალმავალ და დაღმავალ ხაზებს შორის გარკვეული სხვაობაა. თუ გადასვლა ხდება I თანრიგიდან III-ზე, ასე რომ II და III თანრიგები მხოლოდ დამატებითს მიწოდებას უზრუნველყოფენ, მაშინ საბაზრო ღირებულება რჩება I თანრიგის პროდუქტის ინდივიდუალური ღირებულების ტოლი, ე. ი. უდრის 2 გირვ. სტერლინგს. და თუ საშუალო მოგება, როგორც აქ ნავარაუდევია, 10%-ს შეადგენს, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მის გამოანგარიშებაში შევიდა ნახშირის ფასი (შესაბამისად, ხორბლის ფასი; შეიძლება ტონა ნახშირი ყველგან შეეცვალოთ კვარტერი ხორბლით და ა. შ.), რადგან ნახშირი შედის როგორც მუშის მოხმარებაში საარსებო საშუალების სახით, ისე მნიშვნელოვანი წილით მუდმივ კაპიტალშიც დამხმარე მასალის სახით. მაშასადამე, შეიძლება სავსებით ასევე ვიგულისხმოთ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა იქნებოდა უფრო მაღალი, ამით კი თვით ზედმეტი ღირებულებაც უფრო დიდი, მაშასადამე, მოგების ნორმაც 10%-ზე უფრო მაღალი, თუ I თანრიგი უფრო პროდუქტიული იქნებოდა, ანდა თუ ტონა ნახშირის ღირებუ-

ლება 2 გირვ. სტერლინგზე უფრო დაბლა იქნებოდა. მაგრამ სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როცა ამოსავალი წერტილი იყო III თანრიგი. ტონა ნახშირის ღირებულება [ბაზარზე], რომელიც მაშინ მხოლოდ I გირვ. სტერლ. 12 შილინგს უდრიდა, გადიდდა [582] ბაზარზე II თანრიგის პროდუქტის გამოჩენისას I გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილინგამდე და, ბოლოს, 2 გირვ. სტერლინგამდე — I თანრიგის პროდუქტის გამოჩენისას. შეიძლება, მაშასადამე, ჩავთვალოთ, — თუ ვიგულისხმებთ, რომ ყველა დანარჩენი გარემოება: ზედმეტი შრომის ხანგრძლიობა, წარმოების სხვა პირობები და ა. შ. მუდმივი და უცვლელია, — რომ, როცა მხოლოდ III თანრიგი მუშავდებოდა, მოგების ნორმა უფრო მაღალი იყო (ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი იყო, რადგან ხელფასის ერთ-ერთი ელემენტი უფრო იაფი იყო; უკვე ზედმეტი ღირებულების უფრო მაღალი ნორმის შედეგად უფრო მაღალი იყო ზედმეტი ღირებულების მასაც, მაშასადამე, მოგების ნორმაც; მაგრამ გარდა ამისა, ამგვარად სახეშეცვლილი ზედმეტი ღირებულების დროს მოგების ნორმა უფრო მაღალი იყო კიდევ იმიტომაც, რომ მუდმივი კაპიტალის დანახარჯდა ერთ-ერთი ელემენტი უფრო იაფი იყო), რომ მოგების ნორმამ დაიწია ბაზარზე II თანრიგის პროდუქტის გამოჩენისას და დავიდა, ბოლოს 10%-მდე, როგორც ყველაზე დაბალ დონემდე, I თანრიგის პროდუქტის ბაზარზე გამოჩენისას. ამრიგად, ამ შემთხვევაში უნდა გვევარაუდნა, რომ მოგების ნორმა იქნებოდა (იმის სათვალავში მიუღებლად, რაც მიღებული იყო ამოსავალი მონაცემების სახით), მაგალითად, 12%, როცა მხოლოდ III თანრიგის დამუშავება ხდებოდა, რომ იგი შემცირდა 11%-მდე, როცა სეკნაზე გამოვიდა II თანრიგი, და, ბოლოს, 10%-მდე, როცა ბაზარზე გამოვიდა I თანრიგი. ამ შემთხვევაში III-ის აბსოლუტური რენტა შეადგენდა 8 გირვ. სტერლინგს, რადგან ხარჯთფასი იქნებოდა 112 გირვ. სტერლ.; იგი შეადგენდა 9 გირვ. სტერლინგს ბაზარზე II თანრიგის პროდუქტის გამოჩენის შემდეგ, რადგან ხარჯთფასი იქნებოდა ახლა 111 გირვ. სტერლინგი, და აიწევდა, ბოლოს, 10 გირვ. სტერლინგამდე, ვინაიდან ხარჯთფასი დაიწევდა 110 გირვ. სტერლინგამდე. აქ, მაშასადამე, ცვლილება მოხდებოდა თვით აბსოლუტური რენტის ნორმაში, თანაც პირუკუ შეფარდებით მოგების ნორმის ცვლილებასთან. რენტის ნორმა პროგრესიულად გაიზრდებოდა, რადგან მოგების ნორმა პროგრესიულად დაეცემოდა. ეს უკანასკნელი კი დაეცემოდა იმის გამო, რომ შემცირდებოდა შრომის ნაყოფიერება

შახტებში, მიწათმოქმედებაში და ა. შ. და ამის შესაბამისად სულ უფრო გაძვირდებოდა საარსებო საშუალებანი და დამხმარე მასალა.

[B)] განხილვა საარსებო საშუალებათა და ნედლეულის ღირებულების (მაშასადამე, ასევე მანქანათა ღირებულების) ცვლილების გავლენისა კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში რენტის ნორმა იმიტომ გაიზარდა, რომ მოგების ნორმა აქ იმიტომ ხომ არ დაეცა, რომ ცვლილება მოხდა კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში? თუ კაპიტალის საშუალო შედგენილობა იყო 80c+20v, დარჩა თუ არა შედგენილობა ასეთივე? იგულისხმება რომ ნორმალური სამუშაო დღე უცვლელი რჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში საარსებო საშუალებათა გაძვირება შეიძლება პარალიზებული დარჩეს. აქ უნდა განვასხვაოთ ორი მომენტი. ჯერ ერთი, საარსებო საშუალებათა გაძვირება, რაც ზედმეტი შრომისა და ზედმეტი ღირებულების შემცირებას იწვევს. მეორე, მუდმივი კაპიტალის გაძვირება: ასე, მაგალითად, შეიძლება დამხმარე მასალის, ვთქვათ ნახშირის, ღირებულება გადიდდეს; თუ ლაპარაკია ხორბალზე, აქ შეიძლება გაიზარდოს მუდმივი კაპიტალის მეორე შემადგენელი ნაწილის, ე. ი. თესლის, ღირებულება, ანდა, ხორბლის გაძვირების გამო, შეიძლება გაიზარდოს რომელიმე სხვა ნედლი პროდუქტის (ნედლი მასალის) ხარჯთფასი. თუ, ბოლოს, გაძვირებული პროდუქტი იყო რკინა, სპილენძი და ა. შ., გადიდდებოდა მრეწველობის ზოგიერთი დარგისათვის საჭირო ნედლეულისა და იმ ნედლეულის ღირებულება, რომლადანაც მზადდება მოწყობილობა (სხვადასხვა ჭურჭლეულობის ჩათვლით) წარმოების ყველა დარგისათვის.

ერთი მხრივ იგულისხმება, რომ კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში არ მომხდარა ცვლილება; ე. ი. არ მომხდარა წარმოების წესში ისეთი ცვლილება, რომელიც გამოყენებული კაპიტალის მასასთან შეფარდებით გაადიდებდა ან შეამცირებდა ცოცხალი შრომის იმ რაოდენობას, რომლის გამოყენებაც საჭიროა. საჭიროა, ისევე როგორც უწინ, მუშათა იგივე რაოდენობა (ნორმალური სამუშაო დღის უცვლელი საზღვრების პირობებში) მანქანათა და ა. შ. იმავე რაოდენობის სამუშაოებით ნედლეულის იმავე მასის გადასამუშავებლად ანდა — იქ, სადაც ნედლეული არ არის,—

მანქანების, ინსტრუმენტებისა და ა. შ. იმავე რაოდენობის მოძრაობაში მოსაყვანად. მაგრამ ეს პირველი თვალსაზრისი, რომელიც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როცა ლაპარაკია კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე, უნდა შეიესოს კიდევ მეორითაც, სახელდობრ — კაპიტალის ელემენტების დირებულების ცვლილების განხილვით, თუმცა ეს ელემენტები, როგორც სახმარი ღირებულებანი, იმავე რაოდენობით გამოიყენება, როგორც უწინ. აქ, თავის მხრივ, უნდა განვასხვაოთ შემდეგი შემთხვევები.

ჯერ ერთი: ღირებულების ცვლილება ორივე ელემენტს — ცვალებად და მუდმივ კაპიტალს — ერთნაირად ეხება. პრაქტიკულად ეს, როგორც ჩანს, არასოდეს არ ხდება. მიწათმოქმედების ისეთი პროდუქტების ღირებულების გადიდება, როგორიც არის ხორბალი და ა. შ. აძვირებს (აუცილებელ) ხელფასს და ნედლეულს (მაგალითად, თესლს). ნახშირის გაძვირება ადიდებს აუცილებელ ხელფასს და დამხმარე მასალის ღირებულებას მრეწველობის მეტწილ დარგებში. მაგრამ პირველ შემთხვევაში ხელფასის გადიდება ხდება წარმოების ყველა დარგში, ნედლეულის გაძვირება კი — ზოგიერთებში. რაც შეეხება ნახშირს, ხელფასში იგი უფრო ნაკლები წილით შედის, ვიდრე წარმოებაში. მაშასადამე, ერთობლივ კაპიტალში ნახშირისა და ხორბლის ღირებულების ცვლილება ძნელად დასაჯერებელია, რომ თანაბრად შეეხოს კაპიტალის ორივე ელემენტს. მაგრამ დავუშვათ, რომ ასეთი შემთხვევა შესაძლებელია.

ვთქვათ, 80c+20v კაპიტალით წარმოებული პროდუქტის ღირებულება უდრის 120-ს. ერთობლივი კაპიტალისათვის პროდუქტის ღირებულება ემთხვევა პროდუქტის ხარჯთფასს. სხვაობა ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის სწორედ გათანაბრებულია ერთობლივი კაპიტალისათვის. ვთქვათ, ისეთი საგნის ღირებულების გადიდება, როგორიც არის ნახშირი, რომელიც, ვარაუდის თანახმად, პროპორციულად თანაბრად შედის კაპიტალის ორივე შემადგენელ ნაწილში, ორივე ელემენტისათვის იწვევს ხარჯების გადიდებას $^1/_{10}$-ით. ასეთ შემთხვევაში 80c-ით შეიძლება მხოლოდ იმდენი საქონლის ყიდვა, რამდენის ყიდვაც უწინ შეიძლებოდა [დაახლოებით] 70c-ით, 20v-ით კი—გასტუმრება მუშების მხოლოდ იმ რაოდენობისა, რა რაოდენობის გასტუმრებაც უწინ [დაახლოებით] 18v-ით შეიძლებოდა. ანდა, რათა წარმოება წინანდელი მასშტაბით გაგრძელდეს, ახლა საჭიროა

დაიხარჯოს [დაახლოებით] 90c და 22v. პროდუქტის ღირებულება, როგორც უწინ, შეადგენს 120, მაგრამ დანახარჯი ახლა არის 112 (90 — მუდმივი კაპიტალი და 22 — ცვალებადი). მაშასადამე, მოგება უდრის 8-ს, და ეს 112-ზე შეადგენს $^1/_{14}$-ს, ე. ი. $7^1/_7$%-ს. ღირებულება კი პროდუქტისა, რომლის წარმოებაზე 100 კაპიტალი დაიხარჯა, უდრის ახლა, მაშასადამე, $107^1/_7$-ს.

რა თანაფარდობით შედიან ახლა ამ ახალ კაპიტალში c და v? უწინ v და c ისე შეეფარდებოდნენ ერთმანეთს, როგორც 20 : 80, ე. ი. როგორც 1 : 4, ახლა კი — როგორც 22 : 90, ანუ როგორც 11 : 45. $^1/_4 = ^{45}/_{180}$; $^{11}/_{45} = ^{44}/_{180}$. ამრიგად, ცვალებადი კაპიტალი, [583] მუდმივთან შედარებით, შემცირდა $^1/_{180}$-ით. მაშასადამე, რათა ჩავთვალოთ, ვარაუდის თანახმად, რომ ნახშირის და სხვ. გაძვირება პროპორციულად თანაბრად მოქმედებს კაპიტალის ორივე ნაწილზე, ჩვენ უნდა ავიღოთ 88c + 22v. ეს იმიტომ რომ პროდუქტის ღირებულება უდრის 120-ს; დახარჯულია 88+22 = =110. რჩება მოგების სახით 10. 22 : 88 = 20 : 80. c-ს შეფარდება v-სთან იგივე დარჩა, რაც წინანდელ კაპიტალში იყო. როგორც უწინ, თანაფარდობაა v : c = 1 : 4, მაგრამ 10 მოგება 110-ზე შეადგენს $^1/_{11}$, ე. ი. $9^1/_{11}$%-ს. თუ, მაშასადამე, წარმოება წინანდელი მასშტაბით უნდა გაგრძელდეს, მაშინ საჭიროა 110 კაპიტალის დაბანდება, როგორც უწინ საჭირო იყო 100-ის დაბანდება, პროდუქტის ღირებულება კი, როგორც უწინ, უდრის 120-ს[86]. 100 ერთეული კაპიტალისათვის კი მივიღებდით ორგანულ შედგენილობას 80c + 20v, როცა პროდუქტის ღირებულება იქნებოდა $109^1/_{11}$.

[მეორე:] თუ ზემოდასახელებულ მაგალითში 80c-ს ღირებულება უცვლელი დარჩებოდა, ხოლო შეიცვლებოდა მხოლოდ v-ს ღირებულება, ასე რომ 20v-ის ნაცვლად გვექნება 22v, მაშინ წინანდელი თანაფარდობა 20 : 80, ანუ 10 : 40, გადაიქცეოდა ახლა თანაფარდობად 22 : 80, ანუ 11 : 40. და აი, თუ ამგვარი ცვლილება მოხდებოდა, მაშინ კაპიტალი იქნებოდა 80c+22v, პროდუქტის ღირებულება კი — 120; მაშასადამე, დანახარჯი იქნებოდა 102, მოგება კი 18, ე. ი. $17\ ^{33}/_{51}$%. 22 : 18 = $21^{29}/_{51} : 17^{33}/_{51}$. თუ 22v შეადგენს კაპიტალს, რომელიც აუცილებლად ხელფასზე უნდა დაიხარჯოს, რათა ამოქმედდეს მუდმივი კაპიტალი 80-ის ღირებულებისა, მაშინ $21^{29}/_{51}$ საჭიროა იმისათვის, რომ ამოქმედდეს მუდმივი კაპიტალი $78^{22}/_{51}$ ღირებულებისა. ასეთი თანაფარდობისას 100 ერთეული კაპიტალიდან მანქანებსა და ნედლეულს მოუწევდა მხოლოდ $78^{22}/_{51}$,

ხელფასს კი უნდა რგებოდა $21^{29}/_{51}$, მაშინ როდესაც წინათ 80 უწევდა ნედლეულს და ა. შ. და მხოლოდ 20 — ხელფასს. პროდუქტის ღირებულება ახლა უდრის $117^{33}/_{51}$-ს, კაპიტალის შედგენილობა კი იქნება $78^{22}/_{51}c+21^{29}/_{51}v$. მაგრამ $21^{29}/_{51}+17^{33}/_{51}=39^{11}/_{51}$-ს. მთელი მიმატებული შრომა კაპიტალის წინანდელი შედგენილობისას უდრიდა 40-ს; ახლა იგი უდრის $39^{11}/_{51}$-ს, ანუ $^{49}/_{51}$-ით ნაკლებია წინანდელთან შედარებით; ეს ცვლილება იმიტომ მოხდა, რომ ახლა, თუმცა მუდმივი კაპიტალის ღირებულება არ შეცვლილა, საჭიროა ნაკლები მუდმივი კაპიტალის გამოყენება და, მაშასადამე, 100 ერთეული კაპიტალით შეიძლება ამოქმედებულ იქნეს რამდენადმე ნაკლები შრომა, ვიდრე უწინ, თუმცა უფრო ძვირად ასანაზღაურებელი.

ამრიგად, თუ დანახარჯთა რომელიმე ელემენტში მომხდარი ცვლილება — აქ გაძვირება, ღირებულების გადიდება — იწვევს მხოლოდ ხელფასის (აუცილებელი ხელფასის) ცვლილებას, მაშინ ხდება შემდეგი: ჯერ ერთი, დაბლა იწევს ზედმეტი ღირებულების ნორმა; მეორე, მოცემული კაპიტალის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაკლები მუდმივი კაპიტალი, ნაკლები ნედლეული და მანქანები. კაპიტალის მუდმივი ნაწილის აბსოლუტური მასა მცირდება შედარებით ცვალებად კაპიტალთან, რამაც სხვა უცვლელ პირობებში ყოველთვის უნდა გამოიწვიოს მოგების ნორმის გადიდება (თუ მუდმივი კაპიტალის ღირებულება უცვლელი რჩება). მუდმივი კაპიტალის მასა მცირდება, თუმცა მისი ღირებულება უცვლელი რჩება. მაგრამ ზედმეტი ღირებულების ნორმა და თვით ზედმეტი ღირებულება მცირდება, რადგან ზედმეტი ღირებულების ნორმის შემცირებისას დასაქმებული მუშების რიცხვი არ იზრდება. ზედმეტი ღირებულების — ზედმეტი შრომის — ნორმა უფრო მეტი ოდენობით ეცემა, ვიდრე მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის არსებული შეფარდების ნორმა. ახლა იმისათვის, რომ მოძრაობაში მოვიყვანოთ მუდმივი კაპიტალის იგივე მასა, საჭიროა დავასაქმოთ მუშების იმდენივე რიცხვი, რამდენიც უწინ იყო დასაქმებული, ე. ი. გამოვიყენოთ შრომის ოდენობა. მაგრამ შრომის ამ აბსოლუტური რაოდენობიდან უფრო მეტი უწევს აუცილებელ და უფრო ნაკლები ზედმეტ შრომას. მაშასადამე, შრომის იგივე რაოდენობა უფრო ძვირად უნდა ანაზღაურდებოდეს. აბიტომ იგივე კაპიტა-

ლი — მაგალითად, 100 — ნაკლებს ხარჯავს მუდმივ კაპიტალზე, რადგან მან მეტი უნდა დახარჯოს ცვალებად კაპიტალზე, რათა მოძრაობაში მოიყვანოს უფრო ნაკლები მუდმივი კაპიტალი. ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემა არ არის აქ დაკავშირებული გარკვეული კაპიტალის მიერ გამოყენებული შრომის აბსოლუტური რაოდენობის გადიდებასთან ან მის მიერ დასაქმებული მუშების რიცხვის გადიდებასთან. მაშასადამე, თვით ზედმეტი ღირებულება არ შეიძლება აქ იზრდებოდეს ზედმეტი ღირებულების ნორმის შემცირებისას.

ამრიგად, თუ კაპიტალის ორგანული შედგენილობა უცვლელი რჩება იმდენად, რამდენადაც მისი შემადგენელი ნაწილები განიხილება მათი მატერიალური მხრივ, როგორც საბრძოლო ღირებულებანი; თუ, მაშასადამე, კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში მოვხდარი ცვლილება გამოწვეულია არა წარმოების წესის შეცვლით წარმოების იმ სფეროს შიგნით, რომელშიც ეს კაპიტალია დაბანდებული, არამედ მხოლოდ სამუშაო ძალის ღირებულების გადიდებით და ამიტომ აუცილებელი ხელფასის გადიდებით, რაც ნიშნავს ზედმეტი შრომის შემცირებას, ანუ ზედმეტი ღირებულების ნორმის დაწევას, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არც მთლიანად, არც ნაწილობრივ არ შეიძლება პარალიზებულ იქნეს მოცემული სიდიდის, მაგალითად, 100 ერთეულის, კაპიტალის მიერ გამოყენებულ მუშათა რიცხვის გადიდებით, — მაშინ მოგების ნორმის დაცემა გაპირობებულია უბრალოდ თვით ზედმეტი ღირებულების დაცემით. იმავე მიზეზით არის გამოწვეული მაშინ კაპიტალის ორგანული შედგენილობის ცვლილება. ეს ცვლილება — როცა უცვლელია წარმოების წესი და ასევე თანაფარდობა უშუალო და დაგროვილი შრომის გამოყენებულ მასებს შორის — გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ უშუალო და დაგროვილი შრომის გამოყენებულ მასათა ღირებულება (პროპორციული ღირებულება) შეიცვალა. იგივე კაპიტალი ნაკლებ უშუალო შრომას იყენებს [584], შეფარდებით მის მიერ გამოყენებული მუდმივი კაპიტალის ნაკლებ რაოდენობასთან, მაგრამ შრომის ამ ნაკლებ რაოდენობას იგი უფრო ძვირად ანაზღაურებს. ამიტომ მას შეუძლია გამოიყენოს მუდმივი კაპიტალის მხოლოდ ნაკლები რაოდენობა, რადგან შრომის ის ნაკლები რაოდენობა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მუდმივი კაპიტალის ეს ნაკლები რაოდენობა, ერთობლივი კაპიტალის უფრო დიდ ნაწილს ნთქავს. 78 ერთეული კაპიტალის მოძრაობაში მოსაყვანად კაპიტალისტმა ახლა ცვა-

ლებად კაპიტალზე უნდა დახარჯოს, ვთქვათ, 22 ერთეული, მაშინ როდესაც უწინ 80 c-ის მოძრაობაში მოსაყვანად საკმარისი იყო სულ მხოლოდ 20v-ს დახარჯვა.

ასეთია, მაშასადამე, ის შემთხვევა, როცა გაძვირება იმ პროდუქტისა, რომლის წარმოებაც მიწის საკუთრებაზეა დამოკიდებული, მხოლოდ ხელფასს ეხება. საპირისპირო შედეგს ექნებოდა აღგილი ამ პროდუქტის გაიაფებისას.

მაგრამ ავიღოთ ზემოთ [რუბრიკაში «ჯერ ერთი»] ნავარაუდევი შემთხვევა. ვთქვათ, მიწათმოქმედების პროდუქტის გაძვირება პროპორციულად თანაბრად ეხება მუდმივ და ცვალებად კაპიტალს. აქ, მაშასადამე, ვარაუდის თანახმად, არავითარი ცვლილება არ ხდება კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში. ჯერ ერთი, არა გვაქვს ცვლილება წარმოების წესში. უშუალო შრომის იმავე აბსოლუტურ რაოდენობას მოძრაობაში მოჰყავს დაგროვილი შრომის იგივე, ე. ი. წინანდელი, რაოდენობა. თანაფარდობა შრომის ამ ნაწილს შორის რჩება წინანდელი. მეორე, არა გვაქვს ცვლილება დაგროვილი და უშუალო შრომის ღირებულებრივ თანაფარდობაში. თუ ერთი მათგანის ღირებულება მატულობს ან კლებულობს, ამის პროპორციულად მეორის ღირებულების სათანადო ცვლილება ხდება და, მაშასადამე, თანაფარდობა მათ შორის უცვლელი რჩება. მაგრამ წინათ ჩვენ გვქონდა 80c+ +20v. პროდუქტის ღირებულება=120. ახლა გვაქვს 88c+22v. პროდუქტის ღირებულება=120. ეს იძლევა 10-ს 110-ზე, ანუ მოგების $9^1/_{11}$%-ს. მაშასადამე, 80c+20v კაპიტალზე პროდუქტის ღირებულება შეადგენს $109^1/_{11}$-ს.

წინათ გვქონდა:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	მოგების ნორმა	ზედმეტი ღირებ. ნორმა
80	20	20	20%	100%

ახლა გვაქვს:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	მოგების ნორმა	ზედმეტი ღირებ. ნორმა
80	20	$9^1/_{11}$	$9^1/_{11}$%	$45^5/_{11}$%

80c წარმოადგენს აქ ნედლეულის და ა. შ. უფრო ნაკლებ რაოდენობას; 20v კი — შესაბამისად შრომის უფრო ნაკლებ აბსოლუტურ რაოდენობას. ნედლეული და ა. შ. უფრო გაძვირდა; ამიტომ 80-ით ნაყიდი ნედლეულის და ა. შ. რაოდენობა შემცირდა. მაშა-

სადმე, იგი მოითხოვს, რადგან წარმოების წესი უცვლელი დარჩა, უშუალო შრომის ნაკლებ რაოდენობას. მაგრამ უშუალო შრომის ეს უფრო ნაკლები რაოდენობა იმდენივე ღირს, რამდენიც უწინ მისი უფრო დიდი რაოდენობა ღირდა, და გაძვირდა იგი სწორედ იმდენად, — მაშასადამე, შემცირდა აგრეთვე იმდენად, — რამდენადაც ნედლეულიც და ა. შ. მაშასადამე, თუ ზედმეტი ღირებულება უცვლელი დარჩებოდა, მოგების ნორმა დაიწევდა იმდენადვე, რამდენადაც გაძვირდა ნედლეული და ა. შ., რამდენადაც შეიცვალა ცვალებადი კაპიტალის ღირებულების შეფარდება მუდმივი კაპიტალის ღირებულებასთან. მაგრამ ზედმეტი ღირებულების ნორმა არ დარჩენილა წინანდელი, არამედ შეიცვალა ცვალებადი კაპიტალის ღირებულების გადიდების შესაბამისად.

ავიღოთ [მეორე] მაგალითი.

გირვანქა ბამბის ღირებულება გადიდდა 1 შილინგიდან 2 შილინგამდე. 80 გირვ. სტერლინგით { ვიგულისხმოთ აქ, რომ მანქანები და ა. შ. უდრის 0-ს } უწინ შეიძლებოდა 1000 გირვანქა ბამბის ყოდვა, ახლა კი 80 გირვ. სტერლინგით შეიძლება მხოლოდ 800 გირვანქა ბამბის ყიდვა. 1600 გირვანქა ბამბის ნართად გადამუშავებისათვის წინათ საჭირო იყო ხელფასზე 20 გირვ. სტერლინგის დახარჯვა, რაც შეესაბამება, ვთქვათ, 20 მუშას. 800 გირვანქის გადასამუშავებლად საჭიროა მხოლოდ 10 მუშა, რადგან წარმოების წესი უცვლელი დარჩა. 10 მუშა უწინ ეღირებოდა 10 გირვ. სტერლინგი, ახლა მათი ღირებულებაა 20 გირვ. სტერლინგი, სავსებით ისევე როგორც 800 გირვანქა ბამბა, წინათ რომ 40 გირვ. სტერლ. ღირდა, ახლა ღირს 80. დავუშვათ, რომ მოგება შეადგენდა უწინ 20%. ამრიგად, ნავარაუდევია შემდეგი:

	მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულ.
I	80 გ. სტ.=1600 გ. ბამბას	20 გ. სტ.=20 მუშას	20 გირვ. სტერლ.
II	80 გ. სტ.=800 გ. ბამბას	20 გ. სტ.=10 მუშას	10 გირვ. სტერლ.

	ზედმეტი ღირებულების ნორმა	მოგების ნორმა	პროდუქტი	გირვანქა ნართის ფასი
I	100%	20%	1600 გირვ. ნართი	1 შილ. 6 პენსი
II	50%	10%	800 გირვ. ნართი	2 შილ. 9 პენსი

და მართლაც, თუ ზედმეტი ღირებულება, რასაც 20 მუშა ქმნის, 20 გირვ. სტერლინგს უდრის, 10 მუშის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება იქნება 10 გირვ. სტერლინგი; მაგრამ ამ ზედმეტი ღირებულების საწარმოებლად საჭიროა უწინდებურად 20 გირვ. სტერლინგის გადახდა, მაშინ როდესაც წინანდელ პირობებში გადასახდელი იქნებოდა მხოლოდ 10. პროდუქტის, [585] გირვანქა ნართის, ღირებულება აქ ყოველ შემთხვევაში უნდა გადიდდეს, რადგან პროდუქტი შეიცავს მეტ შრომას, დაგროვილ შრომას (ბამბაში, რომელიც გირვანქა ნართში შედის) და უშუალო შრომას.

თუ გაიზრდებოდა მხოლოდ ბამბის ღირებულება, ხელფასი კი უცვლელი დარჩებოდა, მაშინ 800 გირვანქა ბამბის ნართად გადამუშავებისათვის საჭირო იქნებოდა უწინდებურად მხოლოდ 10 მუშა, მაგრამ ეს 10 მუშა ეღირებოდა მხოლოდ 10 გირვ. სტერლინგი. მასასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა უწინდებურად 100% იქნებოდა. 800 გირვ. ბამბის ნართად გადაქცევისათვის საჭიროა 10 მუშა, რომლებზეც უნდა დაიხარჯოს 10 გირვ. სტერლ. კაპიტალი. ამასასადამე, კაპიტალის ერთობლივი დანახარჯი უდრის 90 გირვ. სტერლინგს. ამასთან ყოველთვის უნდა გვევარაუდნა, რომ 80 გირვ. ბამბას უწევს 1 მუშა. ამიტომ 800 გირვანქას მოუწევს 10 მუშა და 1600 გირვანქას — 20 მუშა. მაშასადამე, რამდენი გირვანქა ბამბა შეეძლო ნართად გადაექცია მთელ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალს? $88^8/_9$ გირვ. სტერლინგით შეიძლებოდა ბამბის ყიდვა, $11^1/_9$ გირვ. სტერლინგი კი შეიძლებოდა ხელფასზე დახარჯულიყო.

თანაფარდობა იქნებოდა ასეთი:

	მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება
III	$88^8/_9$ გ. სტ=$888^8/_9$ გ.ბამბას	$11^1/_9$ გ. სტ.=$11^1/_9$ მუშას	$11^1/_9$ გ. ს.

	ზედმეტი ღირებულების ნორმა	მოგების ნორმა	პროდუქტი	გირვანქა ნართის ფასი
III	100%	$11^1/_9$%	$888^8/_9$ გირვ. ნართი	2 შილ. 6 პენსი

ამ შემთხვევაში არ ხდება ცვლილება ცვალებადი კაპიტალის ღირებულებაში, და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა უცვლელი რჩება.

I შემთხვევაში ცვალებადი კაპიტალი ისე შეეფარდება მუდმივს, როგორც 20 : 80, ანუ როგორც 1 : 4. III შემთხვევაში იგი ისე შეეფარდება მუდმივ კაპიტალს, როგორც $11^1/_9 : 88^8/_9$, ანუ როგორც 1 : 8; მაშასადამე, ცვალებადი კაპიტალი აქ შეფარდებით ორჯერ შემცირდა, იმიტომ რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება გაორკეცდა. მუშების იგივე რაოდენობა ბამბის იმავე რაოდენობას აქცევს ნართად, მაგრამ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალს ახლა შეუძლია დასაქმოს მხოლოდ $11^1/_9$ მუშა, მაშინ როდესაც დარჩენილი $88^8/_9$ გირვ. სტერლინგით შეიძლება მხოლოდ $888^8/_9$ გირვ. ბამბის ყიდვა ნაცვლად 1600 გირვანქისა, როგორც ეს I შემთხვევაშია. ზედმეტი ღირებულების ნორმა იგივე დარჩა. მაგრამ იმის გამო, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება შეიცვალა, აღარ შეიძლება უკვე 100 გირვ. სტერლ. კაპიტალით მუშათა წინანდელი რაოდენობის დასაქმება; თანაფარდობა ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის შეიცვალა. ამის შედეგად მცირდება ზედმეტი ღირებულების მასა, მასთან ერთად კი მოგებაც, რადგან ეს ზედმეტი ღირებულება უწინდებურად იმავე კაპიტალდანახარჯის კვალობაზე გამოიანგარიშება. პირველ შემთხვევაში ცვალებადი კაპიტალი (ე. ი. 20 გირვ. სტერლ.) შეადგენდა მუდმივის $^1/_4$-ს (20 : 80) და ერთობლივი კაპიტალის $^1/_5$-ს. ახლა იგი ($11^1/_9$ გირვ. სტერლ.) შეადგენს მუდმივი კაპიტალის სულ მხოლოდ $^1/_8$-ს ($11^1/_9 : 88^8/_9$) და 100 გირვ. სტერლინგის, ერთობლივი კაპიტალის, $^1/_9$-ს. მაგრამ 100% $^{100}/_5$ გირვ. სტერლინგზე, ანუ 20 გირვ. სტერლინგზე, შეადგენს 20 გირვ. სტერლინგს, ხოლო 100% $^{100}/_9$ გირვ. სტერლინგზე, ანუ $11^1/_9$ გირვ. სტერლინგზე, — მხოლოდ $11^1/_9$ გირვ. სტერლინგს. უცვლელი ხელფასის, ანუ ცვალებადი კაპიტალის უცვლელი ღირებულების დროს ცვალებადი კაპიტალის აბსოლუტური ოდენობა აქ მცირდება, იმიტომ რომ გადიდდა მუდმივი კაპიტალის ღირებულება. ამიტომ მცირდება ცვალებადი კაპიტალის პროცენტული ნაწილი და ამასთან ერთად თვით ზედმეტი ღირებულებაც, მისი აბსოლუტური სიდიდე, მაშასადამე, მოგების ნორმაც.

მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილება [მოცემულ შემთხვევაში — გადიდება], როცა უცვლელი რჩება ცვალებადი კაპიტალის ღირებულება და უცვლელია წარმოების წესი (მაშასადამე, შენარჩუნებულია წინანდელი თანაფარდობა შრომის, ნედლეულისა და მანქანების გამოყენებულ მასათა შორის), კაპიტალის შედგენილობაში იწვევს ისეთსავე ცვლილებას, როგორსაც

ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მუდმივი კაპიტალის ღირებულება კი არ შეიცვლებოდა, არამედ გამოყენებული იქნებოდა უფრო დიდი მასა ღირებულების მხრივ უცვლელად დარჩენილი [მუდმივი] კაპიტალისა (მაშასადამე, ამავე კაპიტალის ღირებულების უფრო დიდი ჯამიც, შრომაზე დახარჯულ კაპიტალთან შედარებით. ამის აუცილებელი შედეგია მოგების დაცემა. (პირიქით ხდება, როცა მუდმივი კაპიტალის ღირებულება ეცემა).

პირიქით, ცვალებადი კაპიტალის ღირებულების ცვლილება (მოცემულ შემთხვევაში — გადიდება) ადიდებს ცვალებად კაპიტალს მუდმივთან შეფარდებით, მაშასადამე, ადიდებს ცვალებადი კაპიტალის პროცენტულ წილსაც, ანუ ცვალებადი კაპიტალის იმ პროპორციულ წილს, რასაც იგი შეადგენს ერთობლივ კაპიტალში. მიუხედავად ამისა, მოგების ნორმა აქ არ იზრდება, არამედ ეცემა. ეს ხდება იმიტომ, რომ წარმოების წესი იგივე დარჩა. გამოიყენება ცოცხალი შრომის იგივე რაოდენობა, რაც უწინ, რათა ნედლეულის, მანქანების და ა. შ. იგივე მასა პროდუქტად გადააქციოს. აქ, ისევე როგორც ზემოდასახელებულ შემთხვევაში, იმავე კაპიტალით, 100 გირვ. სტერლინგით, შეიძლება [586] მოძრაობაში მოყვანილ იქნეს უშუალო და დაგროვილი შრომის მხოლოდ ნაწილი მასა, მაგრამ უშუალო შრომის ეს შემცირებული რაოდენობა უფრო მეტი ღირს. აუცილებელი ხელფასი გადიდდა. უშუალო შრომის ამ შემცირებული რაოდენობის უფრო დიდი ნაწილი ანაზღაურებს აუცილებელ შრომას, და, მაშასადამე, მისი უფრო დიდი ნაწილი შეადგენს ზედმეტ შრომას. ზედმეტი ღირებულების ნორმა დაეცა და ამასთან ერთად შემცირდა მუშების რიცხვი, ანუ იმავე კაპიტალის მბრძანებლობაში მყოფი შრომის ერთობლივი რაოდენობა. ცვალებადი კაპიტალი გადიდდა მუდმივ კაპიტალთან შეფარდებით და ამიტომ ერთობლივ კაპიტალთანაც, თუმცა მუდმივი კაპიტალის მასის პროპორციულად გამოყენებული შრომის მასა შემცირდა. ამიტომ ზედმეტი ღირებულება ეცემა, და მასთან ერთად ეცემა მოგების ნორმაც. წინა შემთხვევაში მოგების ნორმა დაეცა იმიტომ, რომ ზედმეტი ღირებულების უცვლელი ნორმის დროს ცვალებადი კაპიტალი შემცირდა მუდმივ კაპიტალთან შეფარდებით, მაშასადამე, ერთობლივ კაპიტალთან შეფარდებითაც; სხვა სიტყვებით, ზედმეტი ღირებულება დაეცა იმიტომ, რომ ზედმეტი ღირებულების უცვლელი ნორ-

მის დროს შემცირდა მუშების რიცხვი, შემცირდა ზედმეტი ღირებულების მამრავლიც. ამჯერად მოგების ნორმა იმიტომ ეცემა, რომ იზრდება ცვალებადი კაპიტალი მუდმივ კაპიტალთან შეფარდებით, მაშასადამე, ერთობლივ კაპიტალთან შეფარდებითაც, მაგრამ ცვალებადი კაპიტალის ამ ზრდას თან ახლავს გამოყენებული შრომის (იმავე კაპიტალის მიერ გამოყენებული შრომის) რაოდენობის შემცირება; სხვა სიტყვებით, ზედმეტი ღირებულება აქ იმიტომ ეცემა, რომ მისი ნორმის დაწევა დაკავშირებულია გამოყენებული შრომის რაოდენობის შემცირებასთან. ფასგადახდილი შრომა გადიდდა მუდმივ კაპიტალთან შეფარდებით, მაგრამ გამოყენებული შრომის ერთობლივი რაოდენობა შემცირდა.

მაშასადამე, ღირებულების ეს ცვლილებანი ყოველთვის მოქმედებენ თვით ზედმეტ ღირებულებაზე, რომლის აბსოლუტური მასა ორივე შემთხვევაში მცირდება, რადგან მცირდება მისი ორი ფაქტორიდან ერთი ანდა ორივე ეს ფაქტორი იმავდროულად მცირდება; ერთ შემთხვევაში იგი მცირდება იმიტომ, რომ ზედმეტი ღირებულების იმავე ნორმის დროს მცირდება მუშების რიცხვი; მეორე შემთხვევაში იგი მცირდება იმიტომ, რომ მცირდება ზედმეტი ღირებულების ნორმაც და 100 ერთეული კაპიტალით დასაქმებული მუშების რიცხვიც.

დასასრულ, ჩვენ გადავდივართ იმ II შემთხვევაზე, სადაც მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულებაში მომხდარი ცვლილება პროპორციულად თანაბრად მოქმედებს კაპიტალის ორივე ნაწილზე და სადაც, მაშასადამე, ღირებულების ამ ცვლილებას თან არ ახლავს კაპიტალის ორგანული შედგენილობის ცვლილება.

გირვანქა ნართის ღირებულება იზრდება ამ შემთხვევაში (იხ. გვ. 384) * 1 შილ. 6 პენსიდან 2 შილ. 9 პენსამდე, რადგან ახლა იგი უფრო მეტი სამუშაო დროის პროდუქტს წარმოადგენს, ვიდრე უწინ. თუმცა ახლა ფირვანქა ნართი იმდენსავე უშუალო შრომას შეიცავს, რამდენსაც წინათ შეიცავდა (თანაც უფრო მეტ ფასგადახდილ და უფრო ნაკლებ ფასგადაუხდელ შრომას), მაგრამ დაგროვილი შრომა მასში ახლა უფრო მეტია, ვიდრე უწინ. ბამბის ღირებულების ცვლილება 1 შილინგიდან 2 შილინგამდე იწვევს იმას, რომ

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 368. რედ.

გირვანქა ნართის ღირებულებაში ახლა 1 შილინგის ნაცვლად 2 შილინგი შედის.

მაგრამ მაგალითი II 584 გვერდზე შედგენილია არასწორად. ჩვენ გვქონდა:

	მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება
I	80 გ. სტ.=1600 გირ. ნართს	20 გ. სტ. = 20 მუშას	20 გირ სტერ.

	ზედმეტი ღირებ. ნორმა	მოგების ნორმა	პროდუქტი	გირვანქა ნართის ფასი
I	100%	20%	1600 გირვ. ნართი	1 შილ. 6 პენსი

20 მუშის შრომამ გამოხატავს 40 გირვ. სტერლინგი. ამ ჯამის ნახევარი აქ ფასგადაუხდელი შრომაა; ამიტომ ზედმეტი ღირებულება შეადგენს 20 გირვ. სტერლინგს. ამ თანაფარდობის თანახმად, 10 მუშა აწარმოებს 20 გირვ. სტერლინგს, საიდანაც 10 გირვ. სტერლ. შეადგენს ხელფასს და 10 გირვ. სტერლინგი — ზედმეტ ღირებულებას.

თუ, მაშასადამე, სამუშაო ძალის ღირებულება გადიდდებოდა იმავე პროპორციით, როგორც ნედლეულის ღირებულებაც, ე. ი. თუ იგი გაორკეცდებოდა, მაშინ იგი იქნებოდა 20 გირვ. სტერლ. 10 მუშისათვის, მსგავსად იმისა, როგორც უწინ იგი უდრიდა 20 გირვ. სტერლინგს 20 მუშისათვის. ამ შემთხვევაში არავითარი ზედმეტი შრომა არ იქნებოდა. ვინაიდან თუ 20 მუშის მიერ წარმოებული ღირებულება ფულადი გამოხატულებით 40 გირვ. სტერლინგს უდრის, 10 მუშის მიერ წარმოებული ღირებულება ფულადი გამოხატულებით უდრის 20 გირვ. სტერლინგს. [ე. ი. მთელი ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას II შემთხვევაში]. ეს შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში გაქრებოდა კაპიტალისტური წარმოების მაზისი.

მაგრამ რადგან, ვარაუდის თანახმად, მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულების ცვლილება ერთნაირი (პროპორციულად) უნდა იყოს, ამიტომ ეს შემთხვევა ჩვენ სხვანაირად უნდა წარმოვიდგინოთ. თუ ვიგულისხმებთ, რომ ბამბის ღირებულება $^1/_3$-ით გადიდდა, მაშინ 80 გირვ. სტერლინგით შეიძლება აბლა 1200 გირვანქა ბამბის ყიდვა, მაშინ როდესაც უწინ ამ ფულით 1600 გირვანქა ბამბის ყიდვა შეიძლებოდა. უწინ 1 გირვ. სტერლ.

უდრიდა 20 გირვანქა ბამბას, ანუ 1 გირვანქა ბამბა უდრიდა $^1/_{20}$ გირვ. სტერლინგს; ე. ი. 1 შილინგს. ახლა 1 გირვ. სტერლ. უდრის 15 გირვანქა ბამბას, ანუ 1 გირვანქა ბამბა უდრის $^1/_{15}$ გირვ. სტერლინგს, ე. ი. $1^1/_3$ შილინგს, ანუ 1 შილ. 5 პენსს. წინათ 1 მუშა ჯდებოდა 1 გირვ. სტერლინგი, ახლა იგი ჯდება $1^1/_3$ გირვ. სტერლინგი, ე. ი. 1 გირვ. სტერლ. $6^2/_3$ შილინგი, ანუ 1 გირვ. სტერლ. 6 შილ. 8 პენსი. 15 მუშაზე ეს შეადგენს 20 გირვ. სტერლინგს (15 გირვ. სტერლ.+$^{15}/_3$ გირვ. სტერლ.). [587] რადგან 20 მუშა 40 გირვ. სტერლ. ღირებულებას აწარმოებს, 15 მუშა აწარმოებს 30 გირვ. სტერლ. ღირებულებას. ამ ღირებულებიდან 20 გირვ. სტერლ. შეადგენს ახლა მათს ხელფასს, 10 გირვ. სტერლინგი კი შეადგენს ზედმეტ ღირებულებას, ანუ ფასგადაუხდელ შრომას.

ჩვენ გვაქვს, მაშასადამე:

	მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებ.
IV	80 გ. სტ.=1200 გირ. ბამბას	20 გ. სტ.=15 მუშას	10 გირ. სტერლ.

	ზედმეტი ღირებ. ნორმა	მოგების ნორმა	პროდუქტი	გირვანქა ნართის ფასი
IV	50%	10%	1200 გირ. ნართი	1 შილ. 10 პენსი

ამ 1 შილ. 10 პენსიდან ბამბას უწევს 1 შილ. 4 პენსი, შრომას კი — 6 პენსი.

პროდუქტი გაძვირდა იმიტომ, რომ ბამბა $^1/_3$-ით უფრო გაძვირდა. მაგრამ პროდუქტი $^1/_3$-ით არ გაძვირებულა. წინათ, I შემთხვევაში, იგი 18 პენსი ღირდა; მაშასადამე ის რომ $^1/_3$-ით გაძვირებულიყო, ახლა ეღირებოდა 18+6, ე. ი. 24 პენსი. ნამდვილად კი იგი ღირს მხოლოდ 22 პენსი. უწინ 1600 გირვანქა ნართი შეიცავდა 40 გირვ. სტერლ. შრომას, 1 გირვანქა ნართი, მაშასადამე, — $^1/_{40}$ გირვ. სტერლ., ე. ი. $^{20}/_{40}$, ანუ $^1/_2$ შილ., ე. ი. 6 პენსს. ახლა 1200 გირვანქა ნართი შეიცავს 30 გირვ. სტერლ. შრომას; მაშასადამე, შრომა, რომელიც 1 გირვანქა ნართს უწევს, შეადგენს აგრეთვე $^1/_{40}$ გირვ. სტერლინგს, ე. ი. $^1/_2$ შილ., ანუ 6 პენსს. თუმცა შრომა იმდენადვე გაძვირდა, რამდენადაც ნედლეული, გირვანქა ნართში მოთავსებული უშუალო შრომის რაოდენობა კი, მაინც წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი დარჩა. მაგრამ ეს რაოდენობა ახლა შეიცავს მეტ ფასგადახდილ შრომას

და ნაკლებ ფასგადაუხდელს. ამიტომ ხელფასის ღირებულების ასეთი ცვლილება არაფერს არ ცვლის გირვანქა ნართის, პროდუქტის ღირებულებაში. აქ შრომას უწინდებებრად მხოლოდ 6 პენსი უწევს, მაშინ როდესაც ბამბას ახლა უწევს 1 შილ. 4 პენსი ნაცვლად 1 შილინგისა, როგორც ეს წინათ იყო. და საერთოდ, თუ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება, ხელფასის ღირებულების ცვლილებას არ შეუძლია გამოიწვიოს პროდუქტის ფასის ცვლილება. მაგრამ უწინ 6 პენსიდან ხელფასს უწევდა 3 პენსი და ზედმეტ ღირებულებასაც ასევე 3 პენსი. ახლა 6 პენსიდან 4 პენსი შეადგენს ხელფასს და 2 პენსი — ზედმეტ ღირებულებას. მართლაც, ხელფასის 3 პენსი ერთ გირვანქა ნართზე შეადგენს 1600 გირვანქა ნართისათვის 3×1600 პენსს, ე. ი. 20 გირვ. სტერლინგს. 4 პენსი კი 1 გირვანქაზე შეადგენს 1200 გირვანქა ნართისათვის 4×1200 პენსს, ე. ი. 20 გირვ. სტერლინგს. მაგრამ 3 პენსი 15 პენსის მიმართ (1 შილ. ნართისა პლუს 3 პენსი ხელფასისა) შეადგენს პირველ შემთხვევაში მოგების $^1/_5$-ს, ე. ი. 20%-ს. პირიქით, 2 პენსი 20 პენსის მიმართ (16 პენსი ბამბისა პლუს 4 პენსი ხელფასისა) შეადგენს მოგების $^1/_{10}$-ს, ანუ 10%-ს.

ზემოდასახელებულ მაგალითში ბამბის ფასი უწინდელი რომ დარჩენილიყო, ჩვენ გვექნებოდა შემდეგი. 1 მუშა ნართად გადაამუშავებს, — რადგან წარმოების წესი ყველა მაგალითში ი გ ი ვ ე რჩება, — 80 გირვანქა ბამბას, გირვანქა ბამბა კი ერლავ=1 შილინგს.

კაპიტალი ახლა დაიშლება შემდეგნაირად[87]:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულ.
$73^1/_3$ გ. სტ. — $1466^2/_3$ გ. ბამბას	$26^2/_3$ გ. სტ. (20 მუშა)	$13^1/_3$ გ. სტ.

ზედმეტი ღირებულების ნორმა	მოგების ნორმა	პროდუქტი	გირვანქა ნართის ფასი
50%	$13^1/_3$%	$1466^2/_3$ გირ. ნართი	$1^9/_{11}$ შილ.

ეს ფაანგარიშება შეუძლებელია; იმიტომ, რომ თუ ერთი მუშა 80 გირვანქა ბამბას გადაამუშავებს ნართად, 20 მუშა გადაამუშავებს 1600 გირვანქას და არა 1466, რადგან ნავარაუდევია, რომ წარმოების წესი შეცვლილი დარჩა. მუშის სხვადასხვა

საზღაურს ამ ფაქტში არაფრის შეცვლა არ შეუძლია. მაშასადამე, მაგალითი უნდა შედგეს სხვანაირად:

	მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებ.	ზედმეტი ღირებ. ნორმა	მოგების ნორმა	პროდუქტი	გირვანქა ნართის ფასი
II	75 გ. სტ.= 15000 გირ. ბაჯ.ბას	25 გ. სტ. ($18^3/_4$ მუშა)	$12^1/_2$ გირ. სტ.	50%	$12^1/_2$%	1500 გირ. სტ.	1 შილ. 6 პენსი

ამ 6 პენსიდან ხელფასს უწევს 4 პენსი, მოგებას კი ხვდება 2 პენსი. 2 პენსი 16 პენსის მიმართ [1 შილ. ნართისა პლუს 4 პენსი ხელფასისა] შეადგენს $^1/_8$, ე. ი. $12^1/_2$%-ს.

თუ, დასასრულ, ცვალებადი კაპიტალის ღირებულება უცვლელი დარჩებოდა (1 მუშა=1 გირვ. სტერლ.), მაშინ როდესაც მუდმივი კაპიტალის ღირებულება შეიცვლებოდა, ასე რომ 1 გირვანქა ბამბა 1 შილინგის ნაცვლად ეღირებოდა 1 შილ. 4 პენსი, ანუ 16 პენსი, მაშინ ჩვენ გვექნებოდა შემდეგი:

	მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებ.	ზედმეტი ღირებ. ნორმა	მოგების ნორმა	პროდუქტი	გირვანქა ნართის ფასი
III	$84^4/_{19}$ გ. სტ.=$1263^3/_{19}$ გ. ბამბას	$15^{15}/_{19}$ გირ. სტ.= ($15^{15}/_{19}$ მუშა	$15^{15}/_{19}$	100%	$15^{15}/_{19}$%	$1263^3/_{19}$ გირვანქა ნართი	1 შილ. 10 პენსი

[588] მოგება = 3 პენსს. 19 პენსის მიმართ [16 პენსი ბამბისა პლუს 3 პენსი ხელფასისა] ეს შეადგენს ზუსტად $15^{15}/_{19}$%-ს.

ახლა შეადაროთ ოთხივე შემთხვევა, დაწყებული I-დან, სადაც ღირებულების ცვლილება ჯერ არ მომხდარა

	მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებ.	ზედმეტი ღირებ. ნორმა	მოგების ნორმა	პროდუქტი	გირვ. ნართის ფასი	მოგება
I	80 გ. სტ. = 1600 გირ. ბამბას	20 გ. სტ. = 20 მუშას	20 გ. სტ.	100%	20%	1600 გ. ნართი	1 შილ. 6 პენსი	3 პენსი
II	75 გ.სტ. = 1500 გირ. ბამბას	25 გ. სტ.= $18^3/_4$ მუშას	$12^1/_2$ გირ. სტ.	50%	$12^1/_2$%	1500 გ. ნართი	1 შილ. 6 პენსი	2 პენსი

	მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებ.	ზედმეტი ღირებ. ნორმა	მოგების ნორმა	პროდუქტი	გირვ. ნართის ფასი	მოგება
III	84 $^{4}/_{19}$ გირ. სტ.=1263 $^{1}/_{19}$ გირ. ბამბას	15 $^{15}/_{19}$ გ. სტ. = =15 $^{15}/_{19}$ მუშას	15 $^{15}/_{19}$ გ. სტ.	100%	15 $^{15}/_{19}$% გირ. ნართი	1263 $^{1}/_{19}$ გ. ნართი	1 შილ. 10 პენსი	3 პენსი
IV	80 გ. სტ.= = 1200 გირ. ბამბას	20 გირ. სტ.=15 მუშას	10 გ. სტ.	50%	10%	1200 გირ. ნართი	1 შილ. 10 პენსი	2 პენსი

პროდუქტის ფასი იცვლება III-სა და IV-ში იმიტომ, რომ შეიცვალა მუდმივი კაპიტალის ღირებულება. პირიქით, ცვალებადი კაპიტალის ღირებულების ცვლილება არ იწვევს არავითარ ცვლილებას პროდუქტის ფასში, რადგან უშუალო შრომის აბსოლუტური რაოდენობა უცვლელი რჩება და მხოლოდ სხვადასხვანაირად იყოფა აუცილებელ და ზედმეტ შრომად.

მაგრამ როგორია საქმის ვითარება IV შემთხვევაში, სადაც ღირებულების ცვლილება მუდმივ და ცვალებად კაპიტალს პროპორციულად თანაბრად შეეხო, სადაც ორივეს ღირებულება $^{1}/_{3}$-ით გაიზარდა?

თუ გადიდდებოდა მხოლოდ ხელფასი (შემთხვევა II), მოგება დაეცემოდა 20%-დან $12^{1}/_{2}$%-მდე, ე. ი. $7^{1}/_{2}$ ერთეულით. თუ გადიდდებოდა მხოლოდ მუდმივი კაპიტალის ღირებულება (შემთხვევა III), მოგება დაეცემოდა 20%-დან $15^{15}/_{19}$%-მდე, ე. ი. $4^{4}/_{19}$ ერთეულით. რადგან IV შემთხვევაში, რომელიც ჩვენი განხილვის საგანია, თანაბრად დიდდება ხელფასიც და მუდმივი კაპიტალის ღირებულებაც, მოგება ეცემა 20%-დან 10%-მდე, ე. ი. 10 ერთეულით. მაგრამ რატომ არ ეცემა $7^{1}/_{2}+4^{4}/_{19}$-ით, ე. ი. $11^{27}/_{38}$-ით, რაც II-ისა და III-ის განსხვავებათა ჯამს შეადგენს? საჭიროა გავარკვიოთ ეს $1^{27}/_{38}$, რომლის გამოც მოგება უნდა დაცემულიყო (IV შემთხვევაში) არა 10%-მდე, არამედ $8^{11}/_{38}$%-მდე. მოგების მასა განისაზღვრება ზედმეტი ღირებულების ჯამით, ეს ჯამი კი, ზედმეტი შრომის მოცემული ნორმის დროს, განისაზღვრება მუშების რაოდენობით. I შემთხვევაში 20 მუშაა, და მათი სამუშაო დროის ნახევარი არ არის ანაზღაურებული. II შემთხვევაში ერთობლივი შრომის მხოლოდ $^{1}/_{3}$ შეადგენს ფასგადაუხდელ შრომას; ამის შედეგია ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემა; გარდა ამისა, გამოყენებულია $1^{1}/_{4}$-ით უფრო ნაკლები მუშა, ვიდრე I შემთხ-

ვევაში, მაშასადამე, შემცირებულია აგრეთვე მუშების რიცხვი, ანუ, ერთობლივი შრომა. III შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმა კვლავ ისეთია, როგორიც I შემთხვევაში, სამუშაო დღის ის ნახევარი ფასგადაუხდელია, მაგრამ მუდმივი კაპიტალის ღირებულების გადიდების გამო მუშების რიცხვი მცირდება 20-დან $15^{15}/_{19}$-მდე, ანუ $4^{4}/_{19}$-ით. IV შემთხვევაში მუშების რიცხვი მცირდება (მას შემდეგ, რაც ზედმეტი ღირებულების ნორმა კვლავ დაეცა ისეთ დონემდე, როგორიც II შემთხვევაშია, სახელდობრ სამუშაო დღის $^{1}/_{3}$-მდე) 5 კაცით, სახელდობრ 20-დან 15 კაცამდე. I შემთხვევასთან შედარებით მუშების რიცხვი IV შემთხვევაში შემცირდა 5 კაცით, II-თან შედარებით — $3^{3}/_{4}$-ით, III-თან შედარებით კი — $^{15}/_{19}$-ით; მაგრამ იგი არ შემცირებულა I-თან შედარებით $1^{1}/_{4}$ + $4^{4}/_{19}$-ით, ე. ი. $5^{35}/_{76}$-ით. სხვანაირად დასაქმებული მუშების რიცხვი IV შემთხვევაში იქნებოდა $14^{41}/_{76}$.

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

მუდმივ ან ცვალებად კაპიტალში შემავალ საქონელთა ღირებულებაში მომხდარი ცვლილებანი — როცა უცვლელია წარმოების წესი, ანუ უცვლელია კაპიტალის ნივთობრივი შედგენილობა (ე. ი. უცვლელია თანაფარდობა გამოყენებულ უშუალო და დაგროვილ შრომას შორის), — არ იწვევენ კაპიტალის ორგანული შედგენილობის ცვლილებას, თუ ისინი პროპორციულად თანაბრად ეხებიან ცვალებად და მუდმივ კაპიტალს, როგორც ეს IV შემთხვევაშია (სადაც, მაგალითად, ბამბა ძვირდება იმდენადვე, რამდენადაც მუშების მიერ მოხმარებული ხორბალიც). მოგების ნორმა აქ ეცემა (მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულების გადიდებისას), ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ხელფასის გადიდების გამო ეცემა ზედმეტი ღირებულების ნორმა, და, მეორე, იმიტომ, რომ მცირდება მუშების რიცხვი.

როცა ღირებულების ცვლილება მხოლოდ მუდმივ ან მხოლოდ ცვალებად კაპიტალს ეხება, იგი მოქმედებს როგორც ცვლილება კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში და ასეთსავე ცვლილებას იწვევს კაპიტალის შემადგენული ნაწილების ღირებულებრივ თანაფარდობაში, თუმცა წარმოების წესი უცვლელი რჩება.

თუ ღირებულების ცვლილება მხოლოდ ცვალებად კაპიტალს ეხება, ეს უკანასკნელი იზრდება მუდმივ კაპიტალთან [589] და ერ-

თობლივ კაპიტალთან შეფარდებით. მაგრამ ამ შემთხვევაში მცირდება არა მარტო ზედმეტი ღირებულების ნორმა, არამედ დასაქმებული მუშების რიცხვიც. აი რატომ გამოიყენება ამ შემთხვევაში (II შემთხვევაში) აგრეთვე ნაკლები მუდმივი კაპიტალიც (რომლის ღირებულება უცვლელი დარჩა).

თუ ღირებულების ცვლილება მხოლოდ მუდმივ კაპიტალს ეხება, ცვალებადი კაპიტალი მცირდება მუდმივ კაპიტალთან და ერთობლივ კაპიტალთან შეფარდებით. თუმცა ზედმეტი ღირებულების ნორმა იგივე რჩება, ზედმეტი ღირებულების მასა მცირდება, რადგან მცირდება დასაქმებული მუშების რიცხვი (III შემთხვევა).

დასასრულ, შესაძლოა, რომ ღირებულების ცვლილება შეეხოს მუდმივ კაპიტალსაც და ცვალებადსაც, მაგრამ არა თანაბრად. ეს შემთხვევა საჭიროა დავიყვანოთ ზემოაღნიშნულ შემთხვევებზე, ვთქვათ, მაგალითად, ღირებულების ცვლილება ისეთ ზემოქმედებას ახდენს მუდმივსა და ცვალებად კაპიტალზე, რომ პირველის ღირებულება იზრდება 10%-ით, მეორისა კი — 5%-ით, მაშინ, რამდენადაც ისინი ორივენი 5%-ით გაძვირდნენ, ერთი 5+5-ით, მეორე კი — 5-ით, ჩვენ გვექნებოდა შემთხვევა IV. მაგრამ რამდენადაც მუდმივი კაპიტალი გაზრდა ამისა შეიცვლებოდა კიდევ 5%-ით, ჩვენ გვექნებოდა შემთხვევა III.

ზემოთ ჩვენ ვვარაუდობდით მხოლოდ ღირებულების გადიდებას. მისი შემცირებისას ადგილი აქვს საწინააღმდეგო შედეგს. მაგალითად, IV შემთხვევიდან I-ზე გადასვლისას განხილული იქნებოდა ის შემთხვევა, როცა ხდება ღირებულების პროპორციული დაცემა, რომელიც თანაბრად ეხება კაპიტალის ორივე შემადგენელ ნაწილს. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შედეგამდე მივყავართ კაპიტალის მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილის ღირებულების დაცემას, საჭირო იქნებოდა შესაბამისად შეგვეცვალა სახე II და III შემთხვევებისათვის. [589]

* * *

[600] ზემოთქმულს [ნედლეულის, მანქანებისა და საარსებო საშუალებათა] ღირებულების ცვლილების გავლენის შესახებ კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე, დავუმატებ კიდევ შემდეგ შენიშვნას: წარმოების სხვადასხვა დარგში დაბანდებული კაპიტალების ორგანული შედგენილობის განსხვავებანი, როცა

სხვა მხრივ ამ კაპიტალების ნივთობრივი შედგენილობა ერთნაირია, შეუძლია გამოიწვიოს მათ მიერ გამოყენებული მანქანების ან მასალათა უფრო მაღალ ღირებულებას. მაგალითად, თუ ბამბეულის, აბრეშუმის, სელისა და შალეულის მრეწველობას კაპიტალს საკმაებით თანაბარი ნივთობრივი შედგენილობა ექნებოდათ, მაშინ მარტოოდენ მათ მიერ გამოყენებულ მასალათა ღირებულების სხვაობა განაპირობებდა შესაბამისი კაპიტალების ორგანული შედგენილობის არაერთგვაროვნებას. [600]

[დ) ერთობლივი რენტის ცვლილებათა დამოკიდებულება საბაზრო ღირებულების ცვლილებაზე]

[589] დაკუბრუნდეთ A ცხრილს. როგორც დავინახეთ *, ეარაუდი, რომ მოგების ნორმა 10%-ის ოდენობით წარმოიქმნა მოგების ნორმის დაცემის შედეგად (ასე რომ თავდაპირველად, როცა დამუშავებაში იმყოფებოდა მხოლოდ III თანრიგი, მოგების ნორმა უფრო მაღალი იყო, შემდეგ, II თანრიგის დამუშავება რომ დაიწყო, უფრო დაბალი გახდა, ვიდრე მაშინ, როცა მხოლოდ III თანრიგი მუშავდებოდა, მაგრამ მაინც აღემატებოდა 10%-ს), — რომ ეს ეარაუდი გარკვეულ პირობებში შეიძლება სწორი აღმოჩნდეს, სახელდობრ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ნამდვილად გვაქვს განვითარების დაღმავალი ხაზი, მაგრამ იგი სრულიადაც არ გამომდინარეობს აუცილებლად რენტათა სხვაობიდან, მარტოოდენ დიფერენციულ რენტათა არსებობიდან; აღმავალი ხაზის დროს რენტათა ეს სხვაობა, პირიქით, იგულისხმობს, რომ მოგების ნორმა მუდამ უცვლელი რჩება.

B ცხრილი. აქ, როგორც უკვე ზემოთ განმარტეთ **, III და IV თანრიგთა კონკურენცია აიძულებს II თანრიგს ამოიღოს წარმოებიდან თავისი კაპიტალის ნახევარი. დაღმავალი ხაზის დროს ეს, პირიქით, ისეთი სახით წარმოგვიდგებოდა, რომ დამატებითი მიწოდება საჭიროა მხოლოდ $32^1/_2$ ტონის მოცულობით, და ამიტომ II თანრიგში უნდა დაბანდდეს მხოლოდ 50 გირვ. სტერლ. კაპიტალი.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ამ ცხრილში შემდეგია: წინათ დაბანდებული იყო 300 გირვ. სტერლინგი კაპიტალი, ახლა კი — 250 გირვ. სტერლ., ე. ი. $^1/_6$-ით ნაკლები; პროდუქტის რაოდენობა კი

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 359 — 360. რ ე დ.

** იქვე, გვ. 330 — 331 და შემდგომი. რ ე დ.

დარჩა წინანდელი — 200 ტონა. მაშასადამე, შრომის ნაყოფიერება გადიდდა, ცალკეული საქონლის ღირებულება კი დაეცა. სავსებით ასევე საქონლის ერთობლივი ღირებულებაც დაეცა 400 გირვ. სტერლინგიდან $369^{3}/_{13}$ გირვ. სტერლინგამდე. A-სთან შედარებით ტონის საბაზრო ღირებულება დაეცა 2 გირვ. სტერლინგიდან 1 გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილინგამდე, რადგან ახალი საბაზრო ღირებულება განისაზღვრება II თანრიგის პროდუქტის ინდივიდუალური ღირებულებით და არა I თანრიგის პროდუქტის უფრო მაღალი ინდივიდუალური ღირებულებით, როგორც ეს უწინ იყო. მიუხედავად ყველა ამ გარემოებისა — დაბანდებული კაპიტალის შემცირება, პროდუქციის მასის უცვლელობისას პროდუქტის ერთობლივი ღირებულების შემცირება, საბაზრო ღირებულების დაცემა, უფრო ნაყოფიერ თანრიგთა ექსპლოატაცია,— რენტა B-ში, A-სთან შედარებით, გაიზარდა აბსოლუტური გამოხატულებით $24^{3}/_{13}$ გირვ. სტერლინგით ($94^{3}/_{13}$ გირვ. სტერლ. წინააღმდეგ 70 გირვ. სტერლინგისა). თუ დავაკვირდებით, რამდენად მონაწილეობენ ცალკეული თანრიგები რენტის ერთობლივი ჯამის გადიდებაში, ვნახავთ, რომ II თანრიგში აბსოლუტური რენტა თავისი ნორმის მიხედვით უწინდელი დარჩა, რადგან 5 გირვ. სტერლ. 50 გირვ. სტერლინგზე შეადგენს 10%-ს, მაგრამ რენტის მასა შემცირდა სანახევროდ, 10 გირვ. სტერლინგიდან 5 გირვ. სტერლინგამდე, რადგან კაპიტალდაბანდება II B-ში სანახევროდ შემცირდა, 100 გირვ. სტერლინგიდან 50 გირვ. სტერლინგამდე. რენტის საერთო ჯამის გადიდების ნაცვლად თანრიგში II B იგი მცირდება 5 გირვ. სტერლინგით. შემდეგ, დიფერენციული რენტა II B-თვის სრულიად მოხსნილია, რადგან საბაზრო ღირებულება ახლა უდრის 22 თანრიგის პროდუქტის ინდივიდუალურ ღირებულებას. ეს იძლევა რენტის საერთო ჯამის მეორედ შემცირებას 10 გირვ. სტერლინგით. ამრიგად, საერთო ჯამში რენტის შემცირება II თანრიგისათვის შეადგენს 15 გირვ. სტერლინგს.

III თანრიგში აბსოლუტური რენტის ჯამი წინანდელი დარჩა, მაგრამ პროდუქტის საბაზრო ღირებულების შემცირების გამო შემცირდა აგრეთვე მისი დიფერენციული ღირებულებაც, ამის შედეგად კი შემცირდა დიფერენციული რენტაც. იგი შეადგენდა 30 გირვ. სტერლინგს. ახლა იგი შეადგენს მხოლოდ $18^{6}/_{13}$ გირვ. სტერლინგს, ე. ი. $11^{7}/_{13}$ გირვ. სტერლინგით ნაკლებს. მაშასადამე, ერთად აღებული II და III თანრიგისათვის რენტა დაეცა $26^{7}/_{13}$ გირვ. სტერლინგით. ამრიგად, გასარკვევია რენტის საერთო ჯამის გადიდება არა $24^{3}/_{13}$

გირვ. სტერლინგით, როგორც ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება, არაბ ედ [$24^3/_{13}+26^7/_{13}$-ით, ე. ი.] $50^{10}/_{13}$ გირვ. სტერლინგით. მაგრამ, შემდეგ, B-თვის, A-სთან შედარებით I A-ს აბსოლუტური რენტა მოიხსნა თვით I თანრიგის მოხსნასთან ერთად. ეს შეადგენს, მაშასადამე, რენტის საერთო ჯამის შემდგომ შემცირებას 10 გირვ. სტერლინგით. ამრიგად, საერთო ჯამში ჩვენთვის გასარკვეევია $60^{10}/_{13}$ გირვ. სტერლინგი. მაგრამ ასეთია სწორედ ახალ თანრიგ IV B-ს რენტის საერთო ჯამი. მაშასადამე, რენტის საერთო ჯამის გადიდება B-ში შეიძლება აიხსნას მხოლოდ თანრიგ IV B-ს რენტით. თანრიგ IV B-ს აბსოლუტური რენტა, როგორც ყველა სხვა თანრიგისა, უდრის 10 გირვ. სტერლინგს. დიფერენციული რენტა კი $50^{10}/_{13}$ გირ. სტერ. ოდენობით იქიდან მიიღება [590], რომ IV თანრიგის პროდუქტის დიფერენციული ღირებულება შეადგენს $10^{470}/_{481}$ შილინგს ტონაზე და უნდა გამრავლდეს $92^1/_2$-ზე, რადგან ასეთია ამ თანრიგში მოპოვებულ ტონათა რიცხვი. II და III თანრიგთა ნაყოფიერება უცვლელი დარჩა; ყველაზე ნაკლებნაყოფიერი თანრიგი სრულიად მოცილებულია, და მიუხედავად ამისა რენტის საერთო ჯამი იზრდება, რადგან დიფერენციული რენტა მარტოოდენ IV თანრიგისა, მისი შეფარდებით მაღალნაყოფიერების გამო, უფრო მეტია, ვიდრე ერთობლივი დიფერენციული რენტა იყო A-ში. დიფერენციული რენტა არ არის დამოკიდებული დამუშავებულ თანრიგთა ნაყოფიერებაზე, იმაზე, რომ $^1/_2$ II, III, IV უფრო ნაყოფიერია, ვიდრე I, II, III; მიუხედავად ამისა დიფერენციული რენტა II, III, IV-ის $^1/_2$-თვის მეტია, ვიდრე იგი იყო I, II, III-თვის A-ში. ეს იმიტომ ხდება, რომ მისაწოდებელი პროდუქტის — $92^1/_2$ ტონის—უდიდესი ნაწილი ისეთი თანრიგისაგან მიიღება, რომლის დიფერენციული ღირებულებაც უფრო მეტია, ვიდრე საერთოდ A ცხრილის რომელიმე თანრიგშია. თუ ამა თუ იმ თანრიგისათვის დიფერენციული ღირებულება მ ო ც ე მ უ ლ ი ა, მისი დიფერენციული რენტის აბსოლუტური ჯამი დამოკიდებულია, რასაკვირველია, ამ თანრიგის პროდუქტის რაოდენობაზე. მაგრამ თვით ეს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა უკვე სათვალავშია მიღებული დიფერენციული ღირებულების გამოანგარიშებისას და მისი წარმოქმნის პროცესის განხილვისას. რადგან თანრიგი IV, როცა კაპიტალი 100 გირვ. სტერლინგია, აწარმოებს $92^1/_2$ ტონას — არც მეტს, არც ნაკლებს, — ამიტომ მისი დიფერენციული ღირებულება B ცხრილში, სადაც ტონის საბაზრო ღირებულება 1 გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილინგს უდრის, შეადგენს $10^{470}/_{481}$ შილინგს ტონაზე.

რენტის მთელი ჯამი A ცხრილში შეადგენს 70 გირვ. სტერლ. 300 გირვ. სტერლ. კაპიტალზე, ე. ი. $23\frac{1}{3}$%-ს. პირიქით, B ცხრილში, თუ $^{3}/_{13}$-ს უკუვაგდებთ, იგი შეადგენს 94-ს 250-ზე, ე. ი. $37\frac{3}{8}$%-ს.

ცხრილი C. აქ ნაგულისხმევია, რომ მას შემდეგ, რაც IV თანრიგი დამუშავებაში შეეიდა და საბაზრო ღირებულების განსაზღვრა II თანრიგმა იწყო, მოთხოვნა არ რჩება უცვლელი, როგორც B ცხრილშია, არამედ იზრდება ფასის შემცირებასთან ერთად, ასე რომ მთელ დამატებითს რაოდენობას $92\frac{1}{2}$ ტონის რაოდენობით, რასაც IV თანრიგი იძლევა, ნთქავს ბაზარი. თუ ტონის ფასი 2 გირვ. სტერლ. იქნებოდა, ბაზარი შთანთქავდა მხოლოდ 200 ტონას; თუ ეს ფასი $1\frac{11}{13}$ გირვ. სტერლინგია, მოთხოვნა იზრდება $292\frac{1}{2}$ ტონამდე. შეცდომა იქნებოდა გვეგონა, რომ ბაზრის საზღვრები, როცა ტონის ფასი $11\frac{11}{13}$ გირვ. სტერლინგია, უეჭველად იგივე რჩება, როგორიც მაშინ არის, როცა ტონის ფასი 2 გირვ. სტერლინგია. პირიქით, ფასის შემცირებასთან ერთად ბაზარი რამდენადმე, ყოველთვის ფართოვდება — მაშინაც კი, თუ ლაპარაკია ისეთ საყოველთაო საარსებო საშუალებაზე, როგორიცაა ხორბალი.

ასეთია ის ერთადერთი პუნქტი, რომელიც ჩვენ გვინდა უწინარეს ყოვლისა აღვნიშნოთ C ცხრილის შესახებ.

ცხრილი D. აქ ნაგულისხმევია, რომ ბაზარი ნთქავს $292\frac{1}{2}$ ტონას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საბაზრო ღირებულება ეცემა $1\frac{5}{6}$ გირვ. სტერლინგამდე, რაც შეადგენს ხარჯთფასს იმ I თანრიგის ტონისათვის, რომელიც, მაშასადამე, არ იძლევა არავითარ რენტას და იძლევა მხოლოდ ჩვეულებრივ მოგებას 10%-ის ოდენობით. ეს ის შემთხვევაა, რომელიც რიკარდოს ნორმალურ შემთხვევად მიიჩნია, და ამიტომ საჭიროა მასზე უფრო დაწვრილებით შეეჩერდეთ.

აქ ჯერ აღებულია, ისევე როგორც ცხრილებშიც, აღმავალი ხაზი; შემდგომში ჩვენ განვიხილავთ იმავე პროცესს დაღმავალი ხაზის პირობებში.

თუ II, III და IV თანრიგები მოგვცემდნენ მხოლოდ დამატებითს მოთხოვნას 140 ტონის რაოდენობით *, ე. ი. ისეთ დამატებითს მოთხოვნას, რომელსაც ბაზარი ნთქავს, როცა ტონა 2 გირვ. სტერლ. ღირს, მაშინ I თანრიგი განაგრძობდა საბაზრო ღირებულების განსაზღვრას.

---

* — დამატებითს იმ 60 ტონის მიმართ, რომელსაც I თანრიგი აწარმოებს და ბაზარს მიაწოდებს. რ ე დ.

მაგრამ საქმის ვითარება ასეთი როდია. ბაზარზე მოიპოვება IV თანრიგის მიერ წარმოებული ნამეტი $92^1/_2$ ტონის რაოდენობით. ეს რაოდენობა რომ იყოს საერთოდ ნაპარმი პროდუქცია, რომელიც აბსოლუტურად აღემატება ბაზრის მოთხოვნილებას, მაშინ I თანრიგი აღმოჩნდებოდა სრულიად ვანდევნილი ბაზრიდან, II თანრიგი კი იძულებული იქნებოდა თავისი კაპიტალის ნახევარი ამოეღო წარმოებიდან, როგორც ამას ადგილი აქვს B ცხრილში. მაშინ საბაზრო ღირებულებას განსაზღვრავდა II თანრიგი, როგორც ეს B ცხრილშია. მაგრამ ახლა ჩვენ ნაფულისმაგვარ ვგულვრ, რომ საბაზრო ღირებულების შემდგომი შემცირებისას ბაზარს შეუძლია შთანთქას ეს $92^1/_2$ ტონა. როგორ მოხდება ეს პროცესი? თანრიგები IV, III და $^1/_2$ II აბსოლუტურად ბატონობენ ბაზარზე. ეს ნიშნავს, რომ, თუ ბაზარი შეძლებდა შთაეთქა აბსოლუტურად მხოლოდ 200 ტონა, ეს თანრიგები გააძევებდნენ ბაზრიდან I თანრიგს.

მაგრამ ავიღოთ თავდაპირველად საქმის ფაქტიური მდგომარეობა. ბაზარზე არის $292^1/_2$ ტონა, მაშინ როდესაც წინათ იქ იყო მხოლოდ 200 ტონა. II თანრიგი ვაყიდდა საქონელს მისი ინდივიდუალური ღირებულების კვალობაზე, $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგად, რათა დამკვიდრებულიყო ბაზარზე და ვანდევნა იქიდან I თანრიგის პროდუქტები, რომელთა ინდივიდუალური ღირებულება 2 გირ. სტერლინგს უდრის. მაგრამ რადგან ასეთი საბაზრო ღირებულების დროსაც ადგილი არ არის $292^1/_2$ ტონისათვის, IV და III თანრიგები ავიწროებენ II თანრიგს მანამდე, სანამ საბაზრო ფასი არ დაეცემა $1^5/_5$ გირვ. სტერლინგამდე; ამ ფასის დროს IV, III, II და I თანრიგები თავიანთი პროდუქტებისათვის ვასაღებას პოულობენ ბაზარზე, რომელიც ამ (591) საბაზრო ფასის კვალობაზე ნთქავს მთელ პროდუქტს. ფასის ასეთი შემცირების მეოხებით მყარდება წონასწორობა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. როგორც კი დამატებითი მიწოდება დაწყებს ბაზრის იმ ტევადობის გადამეტებას, რომელსაც ადგილი აქვს წინანდელი საბაზრო ღირებულების პირობებში, თვითეული თანრიგი, ბუნებრივია, შეეცდება მთელი თავისი პროდუქტი ბაზარზე გადაისროლოს და სხვა თანრიგთა პროდუქტი ვანდევნოს. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ფასის დაწევით, სახელდობრ ფასის დაწევით ისეთ დონემდე, რომლის დროსაც ყველანი პოულობენ ვასაღებას. თუ ფასის ეს დაწევა ისე დიდია, რომ I, II და ა. შ. თანრიგებს საქონლის ვაყიდდა ზარალზე[88] უფრო დაბლა უხდებათ, მაშინ ისინი, ბუნებრივია, იძულებული იქნებიან თავიანთი კაპიტალი წარმოებიდან ამოიღონ.

თუ აღმოჩნდება, რომ ბაზრის მდგომარეობასა და პროდუქტის რაოდენობას შორის შესაბამისობის დამყარებისათვის აუცილებელი არ არის ფასის ესოდენ მნიშვნელოვანი დაწევა, მაშინ მთელ კაპიტალს შეუძლია მომავალშიც განაგრძოს მუშაობა წარმოების მოცემულ სფეროში პროდუქტის ამ ახალი საბაზრო ღირებულების პირობებში.

მაგრამ, შემდეგ, ნათელია, რომ ამ პირობებში პროდუქტის საბაზრო ღირებულებას განსაზღვრავენ არა I და II თანრიგთა უცუდესი მიწის ნაკვეთები, არამედ III და IV თანრიგების საუკეთესო ნაკვეთები, და, რომ, მაშასადამე, საუკეთესო მიწის ნაკვეთებიდან მიღებული რენტა განსაზღვრავს უფრო ნაკლებნაყოფიერი ნაკვეთების რენტას, როგორც ეს სწორად გაიგო მოცემული შემთხვევისათვის შტორხმა[89].

IV თანრიგი ყიდის იმ ფასის კვალობაზე, რომლის დროსაც მას შეუძლია მთელი თავისი პროდუქტი ბაზარზე გაიტანოს და ყოველგვარი წინაღმდეგობა, რასაც სხვა თანრიგები მას უწევენ, გადალახოს. ეს ფასი შეადგენს $1^5/_6$ გირვ. სტერლინგს. თუ IV თანრიგი უფრო მაღალ ფასში გაყიდდა, ბაზრის ტევადობა შემცირდებოდა და ურთიერთგაძევების პროცესი ხელახლა დაიწყებოდა.

I თანრიგი საბაზრო ღირებულებას განსაზღვრავს მხოლოდ ისეთი ვარაუდის დროს, რომ სხვა, უფრო ნაყოფიერ თანრიგთა დამატებითი მიწოდება შეადგენს მხოლოდ იმ დამატებითს მიწოდების, რომელსაც ბაზარი ითვალს I თანრიგის პროდუქტით განსაზღვრული ამ საბაზრო ღირებულების მიხედვით. თუ დამატებითი მიწოდება ამ ფარგლებს სცილდება, მაშინ I თანრიგი სრულიად პასიურ როლს ასრულებს და მის მიერ ბაზარზე დაკავებული ადგილით მხოლოდ სათანადო რეაქციას იწვევს II, III, IV თანრიგების მხრივ, სანამ ფასი არ შემცირდება იმდენად, რომ ბაზარი აღმოჩნდება საკმაოდ ტევადი, რათა მთელი წარმოებული პროდუქტი შთანთქას. მაშინ ირკვევა, რომ ასეთი, ფაქტიურად IV თანრიგით განსაზღვრული, საბაზრო ღირებულების დროს, ეს თანრიგი გარდა აბსოლუტური რენტისა იხდის კიდევ დიფერენციულ რენტას $49^7/_{12}$ გირვ. სტერლ. ოდენობით, III თანრიგი გარდა აბსოლუტური რენტისა იხდის კიდევ დიფერენციულ რენტას $17^1/_2$ გირვ. სტერლინგის ოდენობით, II თანრიგი კი არავითარ დიფერენციულ რენტას არ იხდის, არამედ იხდის მხოლოდ აბსოლუტური რენტის ნაწილს, $9^1/_6$ გირვ. სტერლინგს ნაცვლად 10 გირვ. სტერლინგისა, ე. ი. აბსოლუტური რენტის არა მთელ ჯამს. რატომ? იმიტომ რომ ახალი საბაზრო ღი-

რებულება $1^{6}/_{6}$ გირვ. სტერლ. ოდენობით, თუმცა იგი აღემატება II თანრიგის პროდუქტის ხარჯთფასს, მაინც მის ინდივიდუალურ ღირებულებაზე ნაკლებია. იგი რომ მის ინდივიდუალურ ღირებულებას უდრიდეს, მაშინ II თანრიგი გადაიხდიდა აბსოლუტურ რენტას 10 გირვ. სტერლ. ოდენობით, რაც უდრის სხვაობას ინდივიდუალურ ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის. მაგრამ რადგან ახალი საბაზრო ღირებულება II თანრიგის პროდუქტის ინდივიდუალურ ღირებულებაზე ნაკლებია, — ფაქტიური რენტა, რომელსაც იგი იხდის, უდრის სხვაობას საბაზრო ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის, ეს სხვაობა კი უფრო ნაკლებია მის ინდივიდუალურ ღირებულებასა და მის ხარჯთფასს შორის არსებულ სხვაობაზე, — ამიტომ იგი იხდის თავისი აბსოლუტური რენტის მხოლოდ ნაწილს, $9^{1}/_{6}$ გირვ. სტერლინგს ნაცვლად 10 გირვ. სტერლინგისა.

{ ფაქტიური რენტა უდრის სხვაობას საბაზრო ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის. }

აბსოლუტური რენტა უდრის სხვაობას ინდივიდუალურ ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის.

დიფერენციული რენტა უდრის სხვაობას საბაზრო ღირებულებასა და ინდივიდუალურ ღირებულებას შორის.

ფაქტიური, ანუ ერთობლივი, რენტა უდრის აბსოლუტურ რენტას პლუს დიფერენციული რენტა; სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი უდრის საბაზრო ღირებულების გადანამეტს ინდივიდუალურ ღირებულებაზე პლუს ინდივიდუალური ღირებულების გადანამეტი ხარჯთფასზე, ე. ი. იგი უდრის სხვაობას საბაზრო ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის.

მაშასადამე, თუ საბაზრო ღირებულება ინდივიდუალურ ღირებულებას უდრის, დიფერენციული რენტა უდრის ნულს, ერთობლივი რენტა კი უდრის სხვაობას ინდივიდუალურ ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის.

თუ საბაზრო ღირებულება ინდივიდუალურ ღირებულებაზე მეტია, დიფერენციული რენტა უდრის საბაზრო ღირებულების გადანამეტს ინდივიდუალურ ღირებულებაზე, ერთობლივი რენტა კი უდრის ამ დიფერენციულ რენტას პლუს აბსოლუტური რენტა.

თუ საბაზრო ღირებულება ინდივიდუალურ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგრამ ხარჯთფასზე მეტი, მაშინ დიფერენციული რენტა უარყოფითი სიდიდეა; მაშასადამე, ერთობლივი რენტა უდრის აბ-

სოლუტურ რენტას პლუს ეს უარყოფითი დიფერენციული რენტა, ე. ი. მინუს ინდივიდუალური ღირებულების გადანამეტი საბაზრო ღირებულებაზე.

თუ საბაზრო ღირებულება ხარჯთფასს უდრის, რენტა საერთოდ უდრის ნულს.

იმისათვის, რომ ყოველივე ეს განტოლებებში წარმოვიდგინოთ, აღვნიშნოთ აბსოლუტური რენტა ასოებით ა. რ., დიფერენციული რენტა ასოებით დ. რ., ერთობლივი რენტა ე. რ., საბაზრო ღირებულება ასოებით ს. ღ., ინდივიდუალური ღირებულება ასოებით ი. ღ. და ხარჯთფასი ასოებით ხფ. მაშინ ჩვენ მივიღებთ შემდეგ განტოლებებს:

[592] 1) ა. რ. = ი. ღ. — ხფ. = y

2) დ. რ. = ს. ღ. — ი. ღ. = x

3) ე. რ. = ა. რ. + დ. რ. = ს. ღ. — ი. ღ. + ი. ღ — ხფ. = $y+x$ = ს. ღ. — — ხფ.

თუ ს. ღ. > ი. ღ.-ზე, ს. ღ. — ი. ღ. = $+x$. მაშინ დ. რ. არის დადებითი სიდიდე, და ე. რ. = $y+x$.

და მაშინ ს. ღ. — ხფ. = $y+x$. ან: ს. ღ. — $y-x$ = ხფ.-სს. ანდა: ს. ღ. = $y+x+$ ხფ.

თუ ს. ღ. < ი. ღ.-ზე, ს. ღ. — ი. ღ. = $-x$. მაშინ დ. რ. არის უარყოფითი სიდიდე, და ე. რ. = $y-x$.

და მაშინ ს. ღ. — ხფ. = $y-x$. ან: ს. ღ. + x = ი. ღ. ანდა: ს. ღ. + + $x-y$ = ხფ. ან: ს. ღ. = $y-x+$ ხფ.

თუ ს. ღ. = ი. ღ., მაშინ დ. რ. = 0-ს; $x=0$; ვინაიდან ს. ღ. — — ი. ღ. = 0.

მაძასადამე, ამ შემთხვევაში ე. რ. = ა. რ. + დ. რ. = ა. რ. + 0 = = ს. ღ. — ი. ღ. + ი. ღ. — ხფ. = 0 + ი. ღ. — ხფ. = ი. ღ. — ხფ. = = ს. ღ. — ხფ. = $+y$.

თუ ს. ღ. = ხ. ფ., მაშინ ე. რ. (ანუ ს. ღ. — ხფ.) = 0.

ზემოთ [D ცხრილში] ნავარაუდევ პირობებში I თანრიგი არავითარ რენტას არ იხდის. რატომ? იმიტომ, რომ აბსოლუტური რენტა უდრის სხვაობას ინდივიდუალურ ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის, დიფერენციული რენტა კი უდრის სხვაობას საბაზრო ფასსა და ინდივიდუალურ ღირებულებას შორის; ნამდვილად კი საბაზრო ღირებულება უდრის აქ I თანრიგის პროდუქტის ხარჯთფასს. ინდივიდუალური ღირებულება I თანრიგში უდრის ტონაზე 2 გირვ. სტერლინგს; საბაზრო ღირებულება უდრის $1^5/_6$ გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, დიფერენციული რენტა I თანრიგში უდრის $1^5/_6$

გირვ. სტერლ. მინუს 2 გირვ. სტერლ., ე. ი. იგი უდრის — $^1/_6$ გირვ. სტერლინგს. აბსოლუტური რენტა კი I თანრიგში უდრის 2 გირვ. სტერლინგს მინუს $1^5/_6$ გირვ. სტერლ., ე. ი. იგი უდრის სხვაობას თავის ინდივიდუალურ ღირებულებასა და თავის ხარჯთფასს შორის (+ $^1/_6$ გირვ. სტერლ.). მაშასადამე, რადგან ფაქტიური რენტა I თანრიგში უდრის აბსოლუტურ რენტას (+ $^1/_6$ გირვ. სტერლ.) პლუს დიფერენციული რენტა (— $^1/_6$ გირვ. სტერლ.), იგი უდრის ნულს. ამრიგად, I თანრიგის პროდუქტი არ იხდის არც დიფერენციულ რენტას, არც აბსოლუტურს, იგი იხდის მხოლოდ ხარჯთფასს. ამ პროდუქტის ღირებულება უდრის 2 გირვ. სტერლინგს, მაგრამ იყიდება იგი $1^5/_6$ გირვ. სტერლინგად, ე. ი. თავის ღირებულებაზე $^1/_{12}$-ით, ანუ $8^1/_3$-ით, უ ფ რ ო დ ა ბ ლ ა. I თანრიგს არ შეუძლია უფრო ძვირად გაყიდოს, იმიტომ რომ ის კი არ განსაზღვრავს ბაზარს, არამედ ამას აკეთებენ, მის წინააღმდეგ, IV, III, II თანრიგები. I თანრიგს მხოლოდ ის შეუძლია, რომ ბაზარს მიაწოდოს დამატებითი პროდუქტი — ტონა $1^5/_6$ გირვ. სტერლინგად.

ის ფაქტი, რომ I თანრიგი რენტას არ იხდის, იმით აიხსნება, რომ საბაზრო ღირებულება უდრის მის ხარჯთფასს.

მაგრამ ეს ფაქტი შედეგია:

ჯ ე რ ე რ თ ი, I თ ა ნ რ ი გ ი ს შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ დ ა ბ ლ ი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს ა. ამ თანრიგმა უნდა მოგვცეს 60 დამატებითი ტონა — $1^5/_6$ გირვ. სტერლინგად თვითეული. ვიგულისხმოთ, რომ ნაცვლად იმისა, რომ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალზე მხოლოდ 60 ტონას იძლეოდეს, იგი იძლევა 64 ტონას, ერთი ტონით ნაკლებს, ვიდრე II თანრიგი. ამ შემთხვევაში საკმარისია დავბანდოთ ამ თანრიგში მხოლოდ $93^3/_4$ გირვ. სტერლინგი კაპიტალი, რათა მან მოგვცეს 60 ტონა. ტონის ინდივიდუალური ღირებულება I თანრიგში იქნებოდა მაშინ $1^7/_8$ გირვ. სტერლინგი, ანუ I გირვ. სტერლ. $17^1/_2$ შილინგი, მისი ხარჯთფასი კი — 1 გირვ. სტერლ. $14^3/_8$ შილინგი. და რადგან საბაზრო ღირებულება უდრის $1^5/_6$ გირვ. სტერლინგს, ანუ 1 გირვ. სტერლ. $16^2/_3$ შილინგს, სხვაობა საბაზრო ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის იქნებოდა $2^7/_{24}$ შილინგი. ეს კი 60 ტონაზე შეადგენდა [593] რენტას 6 გირვ. სტერლ. $17^1/_2$ შილინგის ოდენობით.

ამრიგად, თუ ყველა პირობა უცვლელი დარჩებოდა და I თანრიგი $^1/_{15}$-ით უფრო ნაყოფიერი გახდებოდა (რადგან $^{60}/_{15}=4$) შედარებით მის ახლანდელ ნაყოფიერებასთან, მაშინ იგი კიდევ გადაიხდიდა აბსოლუტური რენტის ნაწილს, იმიტომ რომ იარსებებდა

სხვაობა საბაზრო ღირებულებასა და მის ხარჯთფასს შორის, თუმცა უფრო მცირე, ვიდრე მის ინდივიდუალურ ღირებულებასა და მის ხარჯთფასს შორის არსებული სხვაობაა. აქ, მაშასადამე, ყველაზე ცუდი მიწა, თუ იგი უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, ვიდრე ჩვენ მიერ ნაფარაუდევ შემთხვევაშია, კიდევ მოგვცემდა რენტას. თუ I თანრიგი აბსოლუტურად უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, ვიდრე ახლაა, II, III, IV თანრიგები შეფარდებით ნაკლებნაყოფიერნი იქნებოდნენ მასთან შედარებით. სხვაობა მის და მათს ინდივიდუალურ ღირებულებებს შორის უფრო მცირე იქნებოდა. ამრიგად, ის, რომ I თანრიგი არავითარ რენტას არ იძლევა, გაპირობებულია თანაბრად როგორც იმ გარემოებით, რომ თვით იგი არ არის აბსოლუტურად უფრო ნაყოფიერი, ასევე იმითაც, რომ II, III, IV თანრიგები არ არიან შეფარდებით ნაკლებნაყოფიერნი.

მაგრამ მეორე: ვთქვათ, მოცემულია I თანრიგის ნაყოფიერება, 60 ტონა 100 გირვ. სტერლ. კაპიტალზე. თუ II, III, IV თანრიგები, განსაკუთრებით კი IV, რომელიც ბაზარზე ახალი კონკურენტის სახით გვევლინება, იქნებოდნენ არა მხოლოდ შეფარდებით, I-თან შედარებით, არამედ აბსოლუტურადაც ნაკლებნაყოფიერნი, მაშინ I თანრიგს შეეძლო რენტის მოცემა, თუმცა ეს უკანასკნელი აბსოლუტური რენტის მხოლოდ ნაწილი იქნებოდა. მართლაც, რადგან ბაზარი $292^1/_2$ ტონას ნთქავს $1^5/_6$ გირვ. სტერლინგის კვალობაზე, ამიტომ ტონათა უფრო მცირე რაოდენობას, მაგალითად, 280 ტონას, იგი შეინთქავდა უფრო მაღალი საბაზრო ღირებულების კვალობაზე, ვიდრე $1^5/_6$ გირვ. სტერლინგია. მაგრამ ყოველი საბაზრო ღირებულება, რომელიც აღემატება $1^5/_6$ გირვ. სტერლინგს, ე. ი. I თანრიგის ხარჯთფასს, იძლევა I თანრიგისათვის რენტას, რომელიც უდრის საბაზრო ღირებულებას მინუს I თანრიგის პროდუქტის ხარჯთფასი.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ I თანრიგი არ იძლევა რენტას IV თანრიგის აბსოლუტური ნაყოფიერების შედეგად, იმიტომ რომ, სანამ ბაზარზე კონკურენტებად გამოდიოდნენ მხოლოდ II და III, მას მოჰქონდა რენტა, და შემდეგშიც მოიტანდა რენტას, თუმცა წინანდელზე უფრო მცირე რაოდენობით, მიუხედავად იმისა, გამოვიდოდა თუ არა ბაზარზე IV თანრიგი, ე. ი. მიუხედავად დამატებითი მიწოდებისა, თუკი IV თანრიგი 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვისას აწარმოებდა არა $92^1/_2$ ტონას, არამედ მხოლოდ 80 ტონას.

მ ე ს ა მ ე: ჩვენ ვივარაუდეთ, რომ აბსოლუტური რენტა 100 გირვ. სტერ. კაპიტალის დახარჯვისას შეადგენს 10 გირვ. სტერლ., ე. ი. 10%-ს კაპიტალზე, ანუ ხარჯთფასის $^1/_{11}$-ს, რომ, მაშასადამე, მიწათმოქმედებაში 100 გირ. სტერლ. კაპიტალით წარმოებული პროდუქტის ღირებულება უდრის 120 გირვ. სტერლინგს, საიდანაც 10 გირვ. სტერლ. შეადგენს მოგებას.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ჩვენ ვამბობთ: «მიწათმოქმედებაში დაიხარჯა 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი», და თუ ერთი სამუშაო დღე უდრის 1 გირვ. სტერლინგს, ამიტომ მიწათმოქმედებაში 100 სამუშაო დღე იხარჯება. საერთოდ, თუ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი 100 სამუშაო დღეს უდრის, არასოდეს [ამ კაპიტალის პროდუქტი არ დაიყვანება 100 სამუშაო დღეზე], წარმოების რა დარგშიც არ უნდა იყოს დახარჯული ეს კაპიტალი. დავუშვათ, რომ 1 გირვ. სტერლ. ოქროთი უდრის ერთ თორმეტსაათიან სამუშაო დღეს, და, ვთქვათ, ეს არის ნორმალური სამუშაო დღე. პირველი საკითხი, რომელიც აქ წამოიჭრება, შემდეგია: როგორია შრომის ექსპლოატაციის ნორმა? ე. ი. 12-დან რამდენ საათს მუშაობს მუშა თავისთვის, თავისი ხელფასის (ეკვივალენტის სახით) კვლავწარმოებისათვის, და რამდენ საათს მუშაობს კაპიტალისტისათვის უ ფ ა ს ო დ? რამდენად დიდია, მაშასადამე, ის სამუშაო დრო, რომელსაც კაპიტალისტი ყ ი დ ი ს და მასში ს ა ფ ა ს ურ ს არ ეხდის, და რომელიც ამიტომ შეადგენს ზედმეტი ღირებულების წყაროს, კაპიტალის გადიდების წყაროს? თუ ეს ნორმა 50%-ს უდრის, მუშა მუშაობს 8 საათს თავისთვის და 4 საათს მუქთად კაპიტალისტისათვის. პროდუქტი უდრის 12 საათს, ანუ 1 გირვ. სტერლინგს (რადგან, ვარაუდის თანახმად, 1 გირვ. სტერლ. ოქრო შეიცავს სამუშაო დროის 12 საათს). ამ 12 საათიდან, 1 გირვ. სტერლინგს რომ უდრის, 8 საათი კაპიტალისტს უნაზღაურებს ხელფასს, რაც მან მუშას გადაუხადა, 4 საათი კი შეადგენს მის, კაპიტალისტის, ზედმეტ ღირებულებას. ამრიგად, $13^1/_3$ შილ. ხელფასს უწევს $6^2/_3$ შილ. ზედმეტი ღირებულება. ანდა 1 გირვ. სტერლინგის ოდენობით დახარჯულ კაპიტალს უწევს ზედმეტი ღირებულება 10 შილინგის ოდენობით, 100 გირვ. სტერლინგს კი — 50 გირვ. სტერლინგის ოდენობით. ამ შემთხვევაში 100 გირვ. სტერლ. კაპიტალით წარმოებული საქონლის ღირებულება იქნებოდა 150 გირვ. სტერლინგი. კაპიტალისტის მოგებას შეადგენს საერთოდ პროდუქტში მოთავსებული ფასგადაუხდელი შრომის გაყიდვა. სწორედ იმის გაყიდვა, რაც ფასგადახდილი არაა, წარმოშობს ნორმალურ მოგებას.

[594] მეორე საკითხი კი შემდეგია: როგორია კაპიტალის ორგანული შედგენილობა? კაპიტალის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მანქანებისა და ა. შ. და ნედლეულისაგან შედგება, უბრალოდ იკვლავწარმოება პროდუქტში, ხელახლა გვევლინება, უცვლელი რჩება. კაპიტალის ამ ნაწილს კაპიტალისტი უნდა იხდიდეს მისი ღირებულების მიხედვით. მაშასადამე, იგი შედის პროდუქტში როგორც მოცემული, წამძღვარებული ღირებულება. კაპიტალისტი მხოლოდ თავის მიერ გამოყენებული შრომისათვის იხდის საფასურს ნაწილობრივ, თუმცა ეს შრომა მთლიანად შედის პროდუქტის ღირებულებაში და მას კაპიტალისტი მთლიანად ყიდულობს. მაშასადამე, შრომის ექსპლოატაციის ზემოაღნიშნული ნორმის ვარაუდისას ზედმეტი ღირებულების ოდენობა ტოლდიდი კაპიტალებისათვის დამოკიდებული იქნება მათს ორგანულ შედგენილობაზე. თუ a კაპიტალის შედგენილობა არის 80c+20v, პროდუქტის ღირებულება უდრის 110-ს, მოგება კი შეადგენს 10%-ს (თუმცა პროდუქტი შეიცავს ფასგადაუხდელი შრომის 50%-ს). თუ b კაპიტალის შედგენილობა არის 40c+60v, პროდუქტის ღირებულება უდრის 130-ს. მოგება კი შეადგენს 30%-ს, თუმცა პროდუქტი კვლავ შეიცავს ფასგადაუხდელი შრომის მხოლოდ 50%-ს. თუ c კაპიტალის შედგენილობა არის 60c+40v, პროდუქტის ღირებულება უდრის 120-ს, მოგება კი შეადგენს 20%-ს, თუმცა აქაც ფასგადაუხდელი პროდუქტი ფასგადაუხდელი შრომის 50%-ს შეიცავს. ჩვენ გვაქვს, მაშასადამე, 300-ის ტოლი ამ სამი კაპიტალისათვის ერთობლივი მოგება, რომელიც უდრის 10+30+20=60, რაც 100-ზე შეადგენს საშუალოდ 20%-ს. და ამ საშუალო მოგებას იძლევა აღნიშნული კაპიტალებიდან თვითეული, თუ იგი თავის მიერ წარმოებულ საქონელს 120 გირვ. სტერლინგად ყიდის. კაპიტალი a, რომელსაც აქვს შედგენილობა 80c + 20v, თავის პროდუქტს ყიდის ფასად, რომელიც 10 გირვ. სტერლინგით ადემატება მის ღირებულებას, კაპიტალი b, რომელსაც აქვს 40c+60v შედგენილობა, თავის პროდუქტს ყიდის ფასად, რომელიც 10 გირვ. სტერლინგით ნაკლებია მის ღირებულებაზე, და კაპიტალი c, რომლის შედგენილობაც არის 60c+40v, თავის პროდუქტს ყიდის ფასად, რომელიც უდრის მის ღირებულებას. საერთო ჯამში საქონელთა გაყიდვა ხდება მათი ღირებულების მიხედვით, ეს ღირებულება კი უდრის 120+120+120=360 გირვ. სტერლ. და მართლაც, a+b+c პროდუქტების ღირებულება=110+130+120=360 გირვ.

სტერლ. მაგრამ ცალკეული კაპიტალების პროდუქტთა ფასები ნაწილობრივ უფრო მაღალია მცთს ღირებულებაზე, ნაწილობრივ უფრო დაბალი, ნაწილობრივ კი მათი ღირებულების დონეზეა; ამის შედეგად ამ კაპიტალებიდან თვითეული იძლევა 20% მოგებას. ამ წესით შეცვლილი საქონელთა ღირებულებანი არის სწორედ მათი ხარჯთფასები, რომელთაც კონკურენცია საბაზრო ფასების მიზიდულობის ცენტრებად ხდის მუდამ.

მიწათმოქმედებაში დაბანდებული 100 გირვ. სტერლ. კაპიტალისათვის ჩვენ ვიგულისხმოთ, რომ კაპიტალის შედგენილობა არის 60c+40v (რაც, სხვათა შორის, v-თვის, შეიძლება, კიდევ ძლიერ ცოტაც იყოს); მაშინ პროდუქტის ღირებულება უდრის 120-ს. მაგრამ ასეთი ღირებულება იქნებოდა მრეწველობის პროდუქტთა [წინა აბზაცში ნაგულისხმევი] ხარჯთფასის ტოლი. ამიტომ ზემოაღნაშნული მაგალითისათვის ვიგულისხმოთ, რომ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის მიერ წარმოებული პროდუქტის საშუალო ფასი უდრის [არა 120-ს, არამედ] 110 გირვ. სტერლინგს. ჩვენ ვიტყვით ახლა: თუ მიწათმოქმედების პროდუქტი თავისი ღირებულების მიხედვით იყიდება, მისი ღირებულება მის ხარჯთფასზე 10 გირვ. სტერლინგით უფრო მაღალია. იგი იძლევა მაშინ 10% რენტას, და ნორმალურად მიგვაჩნია კაპიტალისტური წარმოების პირობებში, რომ მიწათმოქმედების პროდუქტი, სხვა პროდუქტებისაგან განსხვავებით, იყიდება არა თავისი ხარჯთფასის, არამედ თავისი ღირებულების მიხედვით. ეს არის მიწის საკუთრების შედეგი. ერთობლივი კაპიტალის შედგენილობა იქნება 80c+20v, თუ საშუალო მოგება 10%-ს უდრის. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მიწათმოქმედებაში დაბანდებული კაპიტალის ორგანული შედგენილობა არის 60c+40v, ე. ი. ვგულისხმობთ ამ კაპიტალის ისეთ შედგენილობას, როცა ხელფასზე — უშუალო შრომაზე — მისი უფრო მეტი ნაწილი იხარჯება, ვიდრე წარმოების დანარჩენ დარგებში გამოყენებული კაპიტალის ერთობლივი ჯამისა. ეს მოწმობს ამ დარგში შრომის ნაყოფიერების შედარებით უფრო დაბალ განვითარებას. მართალია, სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში, მაგალითად, მესაქონლეობაში, კაპიტალის შედგენილობა შეიძლება იყოს 90c + 10v, ე. ი. შეფარდება v : c შეიძლება იყოს ნაკლები, ვიდრე ერთობლივ სამრეწველო კაპიტალში. მაგრამ ეს დარგი კი არ განსაზღვრავს რენტას, არამედ საკუთრივ მიწათმოქმედება, და სწორედ მისი ის ნაწილი, რომელიც აწარმოებს მთავარ საარსებო საშუალე-

ბას, მაგალითად ხორბალს და ა. შ. სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში რენტა განისაზღვრება არა თვით ამ დარგებში დაბანდებული კაპიტალის შედგენილობით [595], არამედ იმ კაპიტალის შედგენილობით, რომელიც მთავარი საარსებო საშუალების წარმოებაში გამოიყენება. თვით არსებობა კაპიტალისტური წარმოებისა გულისხმობს, რომ საარსებო საშუალებათა უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს მცენარეული საკვები და არა ცხოველური. თანაფარდობა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში არსებულ რენტათა შორის მეორეხარისხოვანი საკითხია, რომელიც ჩვენ აქ არ გვაინტერესებს და რომელიც განხილვის გარეშე რჩება.

ამრიგად, იმისათვის, რომ აბსოლუტური რენტა 10%-ს შეადგენდეს, ვიგულისხმოთ, რომ საერთო საშუალო შედგენილობა

არასამიწათმოქმედო კაპიტალისა არის	80c + 20v.
სამიწათმოქმედო კაპიტალისა კი	60c + 40v.

ახლა ისმება საკითხი: მოახდენდა თუ არა გავლენას D ცხრილში ნაგულისხმევ შემთხვევაზე, სადაც თანრიგი I არავითარ რენტას არ იძლევა, სამიწათმოქმედო კაპიტალის სხვა შედგენილობა, მაგალითად, 50c+50v ან 70c+30v? პირველ შემთხვევაში პროდუქტის ღირებულება იქნებოდა 125 გირვ. სტერ.; მეორე შემთხვევაში — 115 გირვ. სტერლინგი. პირველ შემთხვევაში განსხვავება, რასაც წარმოშობს სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობასა და არასამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობას შორის არსებული სხვაობა, იქნებოდა 15 გირვ. სტერლ., მეორეში კი — 5 გირვ. სტერლინგი. სხვა სიტყვებით, განსხვავება მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულებასა და მის ხარჯთფასს შორის იქნებოდა პირველ შემთხვევაში 50%-ით უფრო მაღალი, ვიდრე ჩვენ ვიგულისხმეთ, მეორეში კი — 50%-ით უფრო დაბალი.

თუ ადგილი ექნებოდა პირველ შემთხვევას, ე. ი. თუ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის მიერ წარმოებული პროდუქტის ღირებულება 125 გირვ. სტერლ. იქნებოდა, მაშინ A ცხრილში ტონის ღირებულება I თანრიგისათვის შეადგენდა $2^1/_{12}$ გირვ. სტერლინგს. და ეს იქნებოდა საბაზრო ღირებულება A-თვის, რადგან საბაზრო ღირებულებას აქ I თანრიგი განსაზღვრავს. პირიქით, ხარჯთფასი I A-თვის იქნებოდა უწინდებურად $1^5/_6$ გირვ. სტერლ. და რადგან, ვარაუდით თანაბრად, $292^1/_2$ ტონის [D ცხრილში] გაყიდვა მხოლოდ $1^5/_6$ გირვ. სტერლ. კვალობაზე შეიძლება, ამიტომ სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში მოცემული ცვლილება ვე-

რავითარ გავლენას ვერ იქონიებდა იმ გარემოებაზე, რომ თანრიგი I D არავითარ რენტას არ იძლევა; სავსებით ასევე ამ მხრივ არაფერი არ შეიცვლებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა იქნებოდა 70c+30v, სხვა სიტყვებით, თუ სხვაობა მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის იქნებოდა მხოლოდ 5 გირვ. სტერლ., ე. ი. მხოლოდ ნახევარი იმისა, რაც ჩვენ ვივარაუდეთ. ამრიგად, თუ ხარჯთფასი, მაშასადამე, არასამიწათმოქმედო კაპიტალის საშუალო ორგანული შედგენილობაც (80c+20v) ივარაუდება როგორც უცვლელი, მაშინ მოცემული შემთხვევისათვის [I D თანრიგისათვის] მნიშვნელობა არ ექნებოდა, უფრო მაღალია თუ უფრო დაბალი სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა, თუმცა ამ სხვაობას მნიშვნელობა ექნებოდა A ცხრილისათვის და თუმცა იგი [ყველა ცხრილში] აბსოლუტურ რენტას 50%-ით შეცვლიდა.

მაგრამ ვიგულისხმოთ ახლა პირუკუ შემთხვევა: სამიწათმოქმედო კაპიტალს აქვს შედგენილობა 60c + 40v, არასამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა კი იცვლება. 80c+20v-ის ნაცვლად მას აქვს შედგენილობა ან 70c+30v ანდა 90c+10v. ამ უკანასკნელებიდან პირველ შემთხვევაში საშუალო მოგება იქნება 15 გირვ. სტერლინგი, ანუ 50%-ით უფრო მაღალი, ვიდრე წინათ ნაგულისხმევ შემთხვევაში; მეორე შემთხვევაში იგი იქნება 5 გირვ. სტერლინგი, ანუ 50%-ით უფრო დაბალი; პირველ შემთხვევაში აბსოლუტური რენტა იქნებოდა 5 გირვ. სტერლინგი. ეს, მაშასადამე, კვლავ არ მოგვცემდა განსხვავებას I D-თვის. მეორე შემთხვევაში აბსოლუტური რენტა იქნებოდა 15 გირვ. სტერლინგი. ესეც ვერავითარ ცვლილებას ვერ შეიტანდა I D შემთხვევაში. მაშასადამე, I D შემთხვევისათვის ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა თავის დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს A, B, C და E ცხრილებისათვის, ე. ი. აბსოლუტური და დიფერენციული რენტის აბსოლუტური ოდენობის განსაზღვრისათვის ყოველთვის, როცა ახალი თანრიგი — სულ ერთია, აღმავალი თუ დაღმავალი ხაზით — წინანდელი საბაზრო ღირებულების კვალობაზე იძლევა მხოლოდ აუცილებელ დამატებითს მიწოდებას.

* * *

ახლა დგება შემდეგი საკითხი:

შესაძლებელია თუ არა პრაქტიკულად ეს შემთხვევა D? და, უწინარეს ყოვლისა, არის თუ არა ეს, როგორც რიკარდო ვარა-

უდობს, ნ ო რ მ ა ლ უ რ ი შემთხვევა? ნორმალური ეს შემთხვევა შეიძლება იყოს მხოლოდ ორი პირობის დროს:

ან როცა სამწყათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა არის 80c+20v, ე. ი. ისეთივე, როგორიც არასამწყათმოქმედო კაპიტალის საშუალო შედგენილობაა, ასე რომ მიწყათმოქმედების პროდუქტის ღ ი რ ებ უ ლ ებ ა იქნებოდა ა რ ა ს ა მ ი წ ყ ა თ მ ო ქ მ ე დ ო პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ი ს ტ ო ლ ი. ჯერჯერობით ეს სტატისტიკურად მცდარია. ვარაუდი, რომ შრომის ნაყოფიერება მიწყათმოქმედებაში შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ უფრო დაბალია, ყოველ შემთხვევაში უფრო მეტად შეეფერება სინამდვილეს, ვიდრე რიკარდოს ვარაუდი სამწყათმოქმედო შრომის ნაყოფიერების მ ზ ა რ დ ი აბსოლუტური შემცირების შესახებ.

[596] 1-ლ თავში («ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს შ ე ს ა ხ ებ») რიკარდო ვარაუდობს, რომ ოქროსა და ვერცხლის სამადნეებში ადგილი აქვს კაპიტალის საშუალო შედგენილობას (მართალია, იგი ლაპარაკობს აქ მხოლოდ ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალზე, მაგრამ ჩვენ ამას «შევასწორებთ»). ასეთი ვარაუდისას ამ სამადნეებში არსებობა შეეძლო ყოველთვის მხოლოდ დიფერენციულ რენტას, აბსოლუტური რენტა კი არასდროს არ იარსებებდა. თვით ეს წანამძღვარი ემყარება, თავის მხრივ, მეორე წანამძღვარს, რომ დამატებითი მიწოდება, რასაც უფრო პროდუქტიული სამადნეები აკმაყოფილებენ, ყოველთვის მეტია იმ დამატებითის მიწოდებაზე, რაც საჭიროა წინანდელი საბაზრო ღირებულების პირობებში. მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ არ შეიძლება ასევე საფუძვლიანად ვიგულისხმოთ, რომ ადგილი ექნება საპირისპირო შემთხვევასაც. უკვე მარტოოდენ არსებობა დიფერენციული რენტისა ამტკიცებს, რომ შესაძლებელია დამატებითი მიწოდება მ ო ც ე მ უ ლ ი ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს შეუცვლელად. ეს იმიტომ, რომ თანრიგები IV ან III ანდა II ვერ მოგვცემდნენ დიფერენციულ რენტას, ისინი რომ თავიანთ პროდუქტებს I თანრიგის პროდუქტის საბაზრო ღირებულების კვალობაზე არ ყიდდნენ, როგორადაც არ უნდა განსაზღვრებოდეს ეს საბაზრო ღირებულება, მაშასადამე, არ ყიდდნენ ისეთი საბაზრო ღირებულების კვალობაზე, რომელიც ამ თანრიგთა მიწოდების აბსოლუტური სიდიდისაგან დ ა მ ო უ კ ი დ ებ ლ ა დ არის განსაზღვრული.

ანდა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა D ყოველთვის უნდა ყოფილიყო ნორმალური, თუ მასში ნაგარაუდევი გარემოებანი ყოველთვის ნორმალური იქნებოდა, ე. ი. თუ IV, III‡ და II თანრიგთა, განსაკუთრებით კი IV

თანრიგის, კონკურენციის გამო I თანრიგი ყოველთვის იძულებული იქნებოდა თავისი პროდუქტი გაეყიდა ფასად, რომელიც სავსებით გამორიცხავდა აბსოლუტური რენტის მთელ თანხას, ე. ი. გაეყიდა ღირებულებაზე დაბალ ფასად, ანუ გაეყიდა იგი ხარჯთფასის კვალობაზე. თვით არსებობა დიფერენციული რენტისა IV, III და II თანრიგებში ამტკიცებს, რომ ისინი თავიანთ პროდუქტებს ყიდიან საბაზრო ღირებულების მიხედვით, რომელიც მათს ინდივიდუალურ ღირებულებას აღემატება. თუ რიკარდო ფიქრობს, რომ I თანრიგის მიმართ ამას ადგილი არა აქვს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წინასწარ გულისხმობს აბსოლუტური რენტის შეუძლებლობას, ეს უკანასკნელი კი გაპირობებულია მასთან იმით, რომ იგი გამოდის ღირებულებისა და ხარჯთფასის ერთგვარობის წანამძღვრიდან.

ავიღოთ შემთხვევა C, სადაც $292^1/_2$ ტონა საღდება საბაზრო ღირებულების, ე. ი. 1 გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილ. კვალობაზე. ამოხავლად ავიღოთ, როგორც ამას რიკარდო აკეთებს, IV თანრიგი. ვიდრე ბაზარი მხოლოდ $92^1/_2$ ტონას მოითხოვს, IV თანრიგი ტონას ყიდის 1 გირვ. სტერლ. $5^{36}/_{37}$ შილინგად, ე. ი. იგი ყიდის 100 გირვ. სტერლ. კაპიტალით წარმოებულ საქონელს მისი ღირებულების კვალობაზე, ე. ი. 120 გირვ. სტერლინგად, რაც 10 გირვ. სტერლ. აბსოლუტურ რენტას იძლევა. რატომ უნდა გაყიდოს IV თანრიგმა თავისი საქონელი მის ღირებულებაზე დაბლა, ხარჯთფასის მიხედვით? სანამ ბაზარზე მხოლოდ IV თანრიგია, III, II, I თანრიგებს არ შეუძლიათ მას კონკურენცია გაუწიონ. III თანრიგის პროდუქტის ხარჯთფასიც კი აღემატება იმ ღირებულებას, რომელიც 10 გირვ. სტერლ. რენტას აძლევს IV თანრიგს, და კიდევ უფრო დიდად აღემატება ამ ღირებულებას ხარჯთფასი II და I თანრიგებში. ამიტომ III, II და I თანრიგები ვერ შეუქმნიდნენ კონკურენციას IV თანრიგს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი თავიანთ ტონებს თუნდაც მხოლოდ ხარჯთფასის მიხედვით გაყიდდნენ.

დავუშვათ, რომ არსებობს სულ მხოლოდ ერთი თანრიგი, საუკეთესო ან უცუდესი ხარისხის მიწა IV ან I, ან III, ან II, — ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თეორიისათვის; დავუშვათ, რომ იგი არსებობს როგორც ბუნების ელემენტი, ე. ი. როგორც ბუნების ელემენტი მოცემული კაპიტალისა და შრომის იმ მასასთან მიმართებაში, რომელიც საერთოდ მოიპოვება და შეიძლება შთაინთქას წარმოების ამ დარგში; ასე რომ არსებული მი-

წის ხარისხი არ ქმნის არავითარ საზღვარს, არამედ მოქმედების განუსაზღვრელ არეს წარმოადგენს შრომისა და კაპიტალის არსებული მასისათვის; დავუშვათ, მაშასადამე, რომ არ არსებობს დიფერენციული რენტა, რადგან დამუშავებაში არ არის სხვადასხვა ბუნებრივი ნაყოფიერების მქონე მიწის ნაკვეთები. ამრიგად, არ არსებობს არავითარი დიფერენციული რენტა (ანდა იგი აქ სრულიად უმნიშვნელოა). დავუშვათ შემდეგ, რომ არ არსებობს არავითარი მიწის საკუთრება; მაშინ ნათელია, რომ არ არსებობს აბსოლუტური რენტა. მაშასადამე, საერთოდ არ არსებობს არავითარი რენტა (იმიტომ რომ, ვარაუდის თანახმად, არ არსებობს არც დიფერენციული რენტა). ეს — ტავტოლოგიაა. იმიტომ რომ აბსოლუტური მიწის რენტის არსებობა არა მარტო გულისხმობს მიწის საკუთრებას, არამედ ეს არის სწორედ ნაგულისხმევი მიწის საკუთრება, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების მოქმედებით გაპირობებული და სახეშეცვლილი მიწის საკუთრება. ეს ტავტოლოგია არაფრს არ იძლევა საკითხის გადასაწყვეტად, რადგან აბსოლუტური მიწის რენტის წარმოქმნას ჩვენ ვხსნით სწორედ იმ დაბრკოლებით, რომელიც მიწის საკუთრების სახით წინააღმდეგება მიწათმოქმედებაში საშუალო ფასებთან საქონელთა ღირებულებების კაპიტალისტურ გათანაბრებას. თუ ჩვენ მოვსპობთ მიწის საკუთრების ამ მოქმედებას, ამ დაბრკოლებას, სპეციფიკურ წინააღმდეგობას, რასაც კაპიტალების კონკურენცია გამოყენების ამ სფეროში ხვდება, მაშინ ჩვენ, რა თქმა უნდა, მოვსპობთ თვით მიწის რენტის არსებობის წინამძღვარს. თანაც ჩვენ აქ ისეთი წინამძღვარი გვაქვს, რომელიც თავის თავს ეწინააღმდეგება (როგორც ამას ძალიან კარგად ხედავს ბ-ნი უეკფილდი თავის კოლონიზაციის თეორიაში [90]): ერთი მხრივ, განვითარებული კაპიტალისტური წარმოება, მეორე მხრივ კი — მიწის საკუთრების არარსებობა. საიდან გაჩნდებოდნენ ასეთი შემთხვევაში დაქირავებული მუშები?

მიახლოებით რაღაც ამის მსგავსს აქვს ადგილი კოლონიებში, მაშინაც კი, როცა იურიდიულად მიწის საკუთრება არსებობს კიდეც, — რამდენადაც მთავრობა მიწის ნაკვეთებს უსასყიდლოდ არიგებს, როგორც ეს თავდაპირველად ინგლისის მიერ უცხოური ქვეყნების კოლონიზაციის დროს ხდებოდა, — და მაშინაც კი, როცა [597] მთავრობა ფაქტიურად ნერგავს მიწის საკუთრებას, რაკი ჩალის ფასად ყიდის მიწას, როგორც, მაგალითად, შე-

ერთებულ შტატებში (აკრს ერთ დოლარად თუ დაახლოებით ამ-დენად).

აქ საჭიროა განვასხვაოთ კოლონიათა ორი ტიპი.

ჯერ ერთი, ლაპარაკია კოლონიებზე ამ სიტყვის ნამდვილი მნი-შვნელობით, როგორც, მაგალითად, კოლონიებზე შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში და ა. შ. აქ ძირითადი მასა კოლონისტები-სა, რომლებიც მიწათმოქმედებას მისდევენ, თუმცა მათ მეტროპო-ლიიდან თან მოიტანეს კიდეც ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი კაპიტალი, არ არის კაპიტალისტური კლასი, და მათი წარმოება არ არის კაპიტალისტური წარმოება. ესენი არიან გლეხები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად თვითონ მუშაობენ და უმთავრესად მიზნად ისახავენ თავი ირჩინონ, აწარმო-ონ თავისთვის საარსებო საშუალებანი. ამიტომ მათი მთავარი პრო-დუქტი არ იქცევა საქონლად და არ არის ვაჭრობისათვის განკუთვნილი. პროდუქტების გადანაცვლებულ საკუთარ მოხმარებაზე ისინი ყიდიან, ცვლიან კოლონიაში შემოზიდულ სამრეწველო საქონელზე და ა. შ. კოლონისტების მეორე, უფრო მცირე ნაწილი ზღვის ნაპირას, სანაოსნო მდინარეებთან და ა. შ. ქმნის სავაჭრო ქალაქებს. აქაც აგრეთვე ჯერ კიდევ შეუძლებელია ლაპარაკი კაპი-ტალისტურ წარმოებაზე. მაგრამ მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელი თანდათანობით იწყებს განვითარებას, ისე რომ ფერმერისათვის, რომელიც თვითონ მუშაობს მიწაზე და მისი მფლობელია, გადამწყ-ვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი შრომის პროდუქტების გა-ყიდვას და ამ გაყიდვით მიღებულ თანხას, — ასეთი ვითარების დროსაც კი ირკვევა, რომ, სანამ მიწა ჯერ კიდევ უპირისპირდება კაპიტალსა და შრომას პირველეყოფილი სიუხვით, სანამ იგი, მაშა-სადამე, მოქმედების პრაქტიკულად შეუზღუდველ არედ რჩება, მანამდე არსებობას განაგრძობს აგრეთვე კოლონიზაციის პირველი ფორმაც, და ამიტომ წარმოების რეგულირება არასოდეს არ ხდება ბაზრის მოთხოვნილებათა შესაბამისად — ამა თუ იმ მოცე-მული საბაზრო ღირებულების მიხედვით. ყველაფერი, რასაც პირ-ველი სახის კოლონისტები აწარმოებენ უშუალო მოხმარების გა-დამეტებით, მათ გააქვთ ბაზარზე და ყიდიან ყოველგვარ ფასში, რომელიც კი მათ ხელფასზე მეტს მისცემს. ისინი არიან და დიდი ხნით რჩებიან კიდევ იმ ფერმერების კონკურენტებად, რომ-ლებიც თავიანთ პროდუქტებს მეტ-ნაკლებად კაპიტალისტურ ყიდ-ვაზე აწარმოებენ, და თვითმშრომელ გლეხთა კონკურენციის შე-დეგად მიწათმოქმედების პროდუქტის საბაზრო ფასს მუდამ მი-ი

ღირებულების უ ფ რ ო დ ა ბ ა ლ დონეზე აჩერებენ. ამიტომ უარესი ხარისხის მიწის დამმუშავებელი ფერმერი ძლიერ კმაყოფილი იქნება, თუ იგი საშუალო მოგებას მიიღებს, თავისი ფერმის გაფიდვის შემთხვევაში კი — თუ იგი აინაზღაურებს მის მიერ დანდებულ კაპიტალს, რაც უმრავლეს შემთხვევაში არ ხდება. აქ, მაშასადამე, ერთად მოქმედებს ორი არსებითი გარემოება: ჯერ ერთი, კაპიტალისტური წარმოება ჯერ კიდევ არ არის გაბატონებული მიწათმოქმედებაში; მეორე, მიწის საკუთრება, თუმცა იგი იურიდიულად არსებობს კიდეც, სინამდვილეში თავს იჩენს ჯერ მხოლოდ სპორადულად; ეს არის ჯერ მხოლოდ მფლობელობა მიწისა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. სხვა სიტყვებით, თუმცა მიწის საკუთრება იურიდიულად არსებობს, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი — შრომასა და კაპიტალთან მიწის თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი დამოკიდებულების გამო — დაბრკოლება შეუქმნას კაპიტალს, არ ძალუძს ფადააქციოს მიწათმოქმედება მოქმედების ისეთ არედ, რომელიც, წარმოების არასამიწათმოქმედო დარგებისაგან განსხვავებით, სპეციფიკურ დაბრკოლებას უქმნის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დ ა ბ ა ნ დ ე ბ ა ს.

მეორე ტიპის კოლონიებში — პლანტაციებში, — რომელთა დანიშნულებას იმთავითვე ვაჭრობა, მსოფლიო ბაზრისათვის წარმოება შეადგენს, — არსებობს კაპიტალისტური წარმოება, თუმცა ფორმალურად მხოლოდ, რადგან ზანგთა მონობა გამორიცხავს თავისუფალ დაქირავებულ შრომას, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების თვით საფუძველს. მაგრამ აქ ჩვენ თვალწინ არიან კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ებ ი, რომლებიც თავიანთ მეურნეობას ზანგთა მონური შრომის საფუძველზე წარმართავენ. მათ მიერ შემოღებული წარმოების წესი მონობიდან კი არ წარმოშობილა, არამედ დამყნილია მასზე. ამ შემთხვევაში კაპიტალისტი და მიწის მესაკუთრე — ერთი პირია. და არსებობა მიწისა, როგორც ბ უ ნ ებ ი ს ე ლ ე მ ე ნ ტ ი ს ა, მისი დამოკიდებულება კაპიტალთან და შრომასთან არაფითარ დაბრკოლებას არ უქმნის კაპიტალის დაბანდებას, მაშასადამე, კაპიტალების კონკურენციასაც. არ იქმნება აქ არც მიწის მესაკუთრეთაგან განსხვავებული კლასი მოიჯარეთა. ვიდრე ასეთი მდგომარეობა შენარჩუნებულია, არაფერი არ უშლის ხელს იმას, რომ ხარჯთფასი არეგულირებდეს საბაზრო ღირებულებას.

ყველა ამ წანამძღვარს არაფერი აქვს საერთო ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ი ს არსებობის წანამძღვრებთან, სახელდობრ, განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთ მხარე-

ზე, მეთრეზე კი — მიწის საკუთრებასთან, რომელიც არა მარტო იურიდიულად არსებობს, არამედ ფაქტიურადაც დაბრკოლებას უქმნის. კაპიტალს, იცავს მოქმედების ამ სფეროს კაპიტალის შეჭრისაგან და ამ უკანასკნელს ადგილს უთმობს მხოლოდ გარკვეულ პირობებში.

ასეთი წანამძღვრების არსებობის შემთხვევაში აბსოლუტური მიწის რენტა მაშინაც კი იარსებებდა, თუ დამუშავებაში იქნებოდა მხოლოდ თანრიგი IV ან III, ან II, ანდა I. კაპიტალს შეუძლია ახალი ადგილი ხელთ იგდოს ერთადერთ არსებულ მიწის თანრიგში მხოლოდ მაშინ, როცა იგი მიწის რენტას იხდის, ე. ი. მიწათმოქმედების პროდუქტს მისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით ყიდის. და მხოლოდ აღნიშნულ წანამძღვართა არსებობისას შეიძლება შეადაროთ და განვასხვაოთ მიწათმოქმედებაში (ე. ი. ერთგვარ ბუნებრივ ელემენტში როგორც ასეთში, წარმოების პირველადს დარგში) დაბანდებული კაპიტალი და არასამიწათმოქმედო წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი.

შემდგომი საკითხი კი ასეთია:

იმ შემთხვევაში, როცა ამოსავალ წერტილად აღებულია I თანრიგი, ცხადია, რომ თუ II, III, IV თანრიგები იძლევიან მხოლოდ ისეთ დამატებითს მიწოდებას, რომელიც შესაძლებელია წინანდელი საბაზრო ღირებულების პირობებში, ისინი თავიანთ პროდუქტებს ყიდიან I თანრიგის მიერ განსაზღვრული საბაზრო ღირებულების კვალობაზე; ისინი, მაშასადამე, აბსოლუტური რენტის გარდა, მოგვცემენ კიდევ დიფერენციულ რენტასაც მათი შეფარდებითი ნაყოფიერების შესაბამისად. პირიქით, როცა ამოსავალ წერტილად აღებულია თანრიგი IV, აქ, ჩანს, შესაძლებელია [598] ზოგიერთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

ჩვენ დავინახეთ, რომ [ცხრილებში B და C] თანრიგი II ღებულობს აბსოლუტურ რენტას, თუ იგი თავის პროდუქტს ყიდის მისი ღირებულების მიხედვით, ე. ი. $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგად, ანუ 1 გირვ. სტერლ. $16^{12}/_{13}$ შილინგად.

D ცხრილში ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ი III თანრიგში, (დალმავალი ჩაზით) უახლოეს შემდგომ თანრიგში, — უფრო მაღალია, ვიდრე IV თანრიგის პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რომელიც 10 გირვ. სტერლ. რენტას იძლევა. ამიტომ აქ ლაპარაკიც არ შეიძლება კონკურენციაზე, ანუ მიწოდებაზე უფრო დაბალ ფასად, — იმ შემთხვევაშიც კი, თუ III თანრიგი თავის პროდუქტს მისი ხარჯთფასის მიხედვით გაყიდდა. მაგრამ თუ IV თანრიგი უკვე არ აკმაყოფილებს

მთელ მოთხოვნას, თუ ბაზარი $92^1/_2$ ტონაზე მეტს მოითხოვს, პროდუქტის ფასი აიწევს. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იგი უნდა აწეულიყო უკვე $3^{43}/_{111}$ შილინგით ტონაზე, ვიდრე III თანრიგი შეძლებდა ისეთ კონკურენტად დამოსვლას, რომელიც თავის პროდუქტს თუნდაც მისი ხარჯთფასის მიხედვით მაინც გაყიდდა. ისმება საკითხი, გამოვა თუ არა იგი ასეთ კონკურენტად? ეს შემთხვევა წარმოვიდგინოთ ახლა სხვა სახით. არ იქნებოდა აუცილებელი მოთხოვნის გადიდება 75 ტონით იმისათვის, რომ IV თანრიგის პროდუქტის ფასი გაზრდილიყო 1 გირვ. სტერლ. 12 შილინგამდე, ე. ი. III თანრიგის პროდუქტის ინდივიდუალურ ღირებულებამდე; და ყველაზე ნაკლებად ეს საჭალდებულოა გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ა თ ვ ი ს, რომლის არასაკმაო მიწოდებაც ფ ა ს ი ს გაცილებით უფრო მეტ გადიდებას იწვევს, ვიდრე ეს მიწოდების ა რ ი თ მ ე ტ ი კ უ ლ ჩამორჩენას შეეფერება. მაგრამ თუ IV თანრიგის პროდუქტის ფასი 1 გირვ. სტერლ. 12 შილინგამდე აიწევდა, III თანრიგის პროდუქტი ამ საბაზრო ღირებულების პირობებში, რომელიც მის ინდივიდუალურ ღირებულებას უდრის, მოგგცემდა აბსოლუტურ რენტას, IV თანრიგი კი მოგგცემდა დიფერენციულ რენტას.. საერთოდ, თუ დამატებითი მოთხოვნა არსებობს, III თანრიგს შეუძლია თავისი პროდუქტი გაყიდოს მისი ინდივიდუალური ღირებულების მიხედვით, რადგან სწორედ ეს თანრიგი განსაზღვრავს მაშინ საბაზრო ღირებულებას, და ასეთ პირობებში არ იარსებებდა არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე ი ძ უ ლ ებული გამზდარიყო ხელი აეღო რენტის მოთხოვნაზე.

მაგრამ დავუშვათ, რომ II თანრიგის პროდუქტის საბაზრო ფასი მაღლა იწევს მხოლოდ 1 გირვ. სტერლ. $9^1/_3$ შილინგამდე, ე. ი. III თანრიგის პროდუქტის ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ა მ დ ე. ან — რათა კიდევ უფრო გასაოცარი გავხადოთ ეს შემთხვევა — ვთქვათ, რომ III თანრიგის პროდუქტის ხარჯთფასი შეადგენს მხოლოდ 1 გირვ. სტერლ. 5 შილინგს, ე. ი. იგი არის მხოლოდ $1^8/_{37}$ შილინგით უფრო მაღლა IV თანრიგის პროდუქტის ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ზ ე. ამ უკანასკნელზე უფრო მაღლა უნდა იყოს იგი, რადგან III თანრიგის მიწების ნაყოფიერება უფრო დაბალია, ვიდრე IV თანრიგის მიწების ნაყოფიერება. შეუძლია თუ არა ახლა III თანრიგს დამუშავებაში შევიდეს და კონკურენცია გაუწიოს IV თანრიგს, რომელიც თავის პროდუქტს III თანრიგის პროდუქტის ხარჯთფასზე უფრო მაღალ ფასში ყიდის, სახელდობრ 1 გირვ. სტერლ. $5^{35}/_{37}$ შილინგის

კვალობაზე? ეს დამოკიდებულია იმაზე, არსებობს აქ დამატებითი მოთხოვნა თუ არა. თუ დამატებითი მოთხოვნა არსებობს, მაშინ IV თანრიგის პროდუქტის საბაზრო ფასი მის ღირებულებაზე უფრო მაღლა იწევს, ე. ი. 1 გირვ. სტერლ. $5^{35}/_{37}$ შილინგზე უფრო მაღლა. და მაშინ III თანრიგი ყოველგვარ პირობებში თავის პროდუქტს მის ხარჯთფასზე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა გაყიდდა, თუმცა არც იმდენად უფრო მაღლა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი აბსოლუტური რენტის მთელი ჯამის მიღება.

ანდა დამატებითი მოთხოვნა ა რ არსებობს. აქ კვლავ შესაძლებელია ორი შემთხვევა. III თანრიგის მიწების კონკურენციას სცენაზე გამოსვლა შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ III თანრიგის მიწის დამმუშავებელი ფერმერი იმავე დროს ამ მიწის მ ე ს ა კ უ თ რ ე ც იქნებოდა: ასეთ ფერმერს, როგორც კაპიტალისტს, მიწის საკუთრება დაბრკოლებებს ვერ შეუქმნიდა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, რადგან იგი განაგებს მას არა როგორც კაპიტალისტი, არამედ როგორც მიწის მესაკუთრე. მისი კონკურენცია აიძულებდა IV თანრიგს თავისი პროდუქტი გაეყიდა წინანდელ ფასზე უფრო დაბლა, ე. ი. 1 გირვ. სტერლ. $5^{35}/_{37}$ შილინგზე უფრო დაბლა, III თანრიგის პროდუქტის ხარჯთფასზე დაბლაც კი, რომელიც 1 გირვ. სტერლ. 5 შილინგს შეადგენს. ამით III თანრიგი გაძევებული იქნებოდა პოზიციიდან. და IV თანრიგი ყოველთვის შეძლებდა III თანრიგის გაძევებას სამოქმედო ასპარეზიდან; ამისათვის საკმარისი იქნებოდა, რომ მას შეემცირებინა ფასი თავის საკუთარ ხარჯთფასამდე, რომელიც III თანრიგისაზე უფრო დაბალია. მაგრამ რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ფ ა ს ი ს დ ა წ ე ვ ი ს გამო, რასაც III თანრიგის პროდუქტების ბაზარზე გამოსვლა გამოიწვევდა, ბაზრის ტევადობა გადიდდებოდა? ან ბაზარი გაფართოვდებოდა იმდენად, რომ IV თანრიგი შეძლებდა, როგორც უწინ, თავისი $92^1/_2$ ტონის გასაღებას, მიუხედავად ახალი 75 ტონის გამოჩენისა, ანდა ბაზარი ვერ გაფართოვდებოდა ამდენად, ასე რომ IV და III თანრიგთა პროდუქტის ნაწილი ზედმეტი აღმოჩნდებოდა. ამ შემთხვევაში ბაზარზე გაბატონებული IV თანრიგი დასწევდა ფასს მანამდე, სანამ კაპიტალი III თანრიგში არ მოექცეოდა სათანადო ჩარჩოებში, ე. ი. სანამ III თანრიგში არ დაბანდდებოდა მხოლოდ იმდენი კაპიტალი, რამდენიც სწორედ საკმარისია იმისათვის, რათა შთანთქმულ იქნეს IV თანრიგის მთელი პროდუქტი. მაგრამ 1 გირვ. სტერლ. 5 შილინგის კვალობაზე შეიძლებოდა მთელი პროდუქტის გაყიდვა, და რადგან III თანრიგი პროდუქტის ამ ნა-

წილს. ამ ფასის კვალობაზე გაყიდდა, ამიტომ IV თანრიგსაც არ შეეძლო უფრო ძვირად გაყიდვა. მაგრამ ეს იქნებოდა ერთადერთი შემთხვევა ისეთი დროებითი ჭარბწარმოებისა, რომელიც, რაკი იგი დამატებითი მოთხოვნის შედეგი არაა, ბაზრის ტევადობის გადიდებას იწვევს. და ეს შემთხვევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალისტი და მიწის მესაკუთრე III თანრიგში შეერთებულია ერთ პიროვნებაში, — მაშასადამე, როცა კვლავ იგულისხმება, რომ მიწის საკუთრება არ არსებობს როგორც კაპიტალისადმი დაპირისპირებული ძალა, ვინაიდან კაპიტალისტი თვით არის მიწის მესაკუთრე და შზადაა მიწის მესაკუთრის ინტერესები კაპიტალისტის ინტერესებს შესწიროს. თუკი III თანრიგში მიწის საკუთრება უპირისპირდება კაპიტალს როგორც ასეთი, მაშინ არ არის არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ მიწის მესაკუთრემ თავისი აკრები დასამუშავებლად გასცეს და ამაში რენტა არ მიიღოს, ე. ი. რომ მან დასამუშავებლად გასცეს ისინი მანამდე, სანამ IV თანრიგის პროდუქტის ფასი არ აიწევს ყოველ შემთხვევაში III თანრიგის პროდუქტის ხარჯთფასზე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა. თუ ეს გადიდება მხოლოდ [599] უმნიშვნელოა, მაშინ კაპიტალისტური წარმოების მქონე ყოველ ქვეყანაში III თანრიგის მიწები ამოღებული დარჩება კაპიტალს მოქმედების სფეროდან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ისეთი მიწებია, რომელთაც არავითარი სხვა ფორმით რენტის მოცემა არ შეუძლიათ. მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ შეკლენ დამუშავებაში მანამდე, ვიდრე რენტის მოცემას არ დაიწყებენ, მანამდე, ვიდრე IV თანრიგის პროდუქტის ფასი არ აიწევს III თანრიგის პროდუქტის ხარჯთფასზე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა. და, მაშასადამე, IV თანრიგი არ დაიწყებს, გარდა თავისი წინანდელი რენტისა, დიფერენციული რენტის მოცემასაც. მოთხოვნის შემდგომი ზრდის პირობებში III თანრიგის პროდუქტის ფასი აიწევდა მისი ღირებულების დონემდე, რადგან II თანრიგის პროდუქტის ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ი ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა III თანრიგის პროდუქტის ინდივიდუალურ ღირებულებას. II თანრიგის მიწების დამუშავება დაიწყებოდა, როგორც კი III თანრიგის პროდუქტის ფასი აღემატებოდა 1 გირვ. სტერლ. $13^{11}/_{13}$ შილინგს, ე. ი. როგორც კი იგი დაიწყებდა რაიმე რენტის მოცემას II თანრიგისათვის.

მაგრამ აი D ცხრილში ნაგულისხმევია, რომ I თანრიგი ა რ ა ვ ი თ ა რ რ ე ნ ტ ა ს ა რ იძლევა. მაგრამ ეს თანრიგი რენტას არ იძლევა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს, ვარაუდის თანახმად, უკვე დამუშავებაში მყოფ მიწას და იძულებულია საბაზრო

ღირებულების ცვლილების გამო, რაც IV თანრიგის გამოსვლამ გამოიწვია, თავისი პროდუქტი გაყიდოს მის ღირებულებაზე **დაბლა**, მისი **ხარჯთფასის** მიხედვით. ასეთი მიწის სასოფლო-სამეურნეო ექსპლოატაცია გაგრძელდება მხოლოდ მაშინ, როცა მიწის მესაკუთრე თვითონ არის ფერმერი და, მაშასადამე, ამ **ინდივიდუალურ შემთხვევაში** მიწის საკუთრება **ქრება** კაპიტალის მიმართ; ანდა მაშინ, როცა ფერმერი, მიწის ექსპლოატაციას რომ ეწევა, წვრილი კაპიტალისტია, რომელიც 10%-ზე უფრო ნაკლები მოგებით კმაყოფილდება, ან ისეთი მუშაა, რომელიც კმაყოფილდება თავის ხელფასზე ცოტა მეტის ან მხოლოდ ამ ხელფასის მიღებით და რომელიც თავის ზედმეტ შრომას, რაც 10 გირვ. სტერლინგს ან ნაკლებს (მაგალითად, 9 გირვ. სტერლინგს) უღრის, აძლევს არა კაპიტალისტს, არამედ მიწის მესაკუთრეს. ორივე უკანასკნელ შემთხვევაში მიწის მესაკუთრეს საიჯარო ქირას უხდიან, მაგრამ, ეკონომიური ენით რომ ვილაპარაკოთ, ეს არ არის რენტა, ჩვენ კი ლაპარაკი გვაქვს მხოლოდ რენტაზე. ერთ შემთხვევაში ფერმერი — უბრალოდ სოფლის მეურნეობის მუშაა, მეორეში კი — რაღაც საშუალო სოფლის მეურნეობის მუშასა და კაპიტალისტს შორის.

იმაზე უფრო შეუსაბამო არაფერია, ვიდრე მტკიცება, რომ მიწის მესაკუთრეს არ შეუძლია ისევე ადვილად **ამოიღოს** ბაზრიდან თავის მიწის აკრები, როგორც კაპიტალისტი თავის კაპიტალს ამოიღებს წარმოების რომელიმე დარგიდან. ამ შეხედულების საუკეთესო უარყოფაა: დიდი რაოდენობა ნაყოფიერი მიწისა, რომელიც დაუმუშავებელი რჩება ევროპის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში, როგორც, მაგალითად, ინგლისშია; მიწათმოქმედებიდან ამოღებული და რკინიგზების ან სახლების ასაგებად განკუთვნილი, ანდა ამ მიზნებისათვის შემონახული მიწა; მიწა, განკუთვნილი მიწის მესაკუთრის მიერ სასროლი მოედნებისა და ნადირობისათვის, როგორც, მაგალითად, მთიან შოტლანდიაში, და ა. შ. საუკეთესო უარყოფაა აგრეთვე ინგლისელი მუშების უშედეგო ბრძოლა დაუმუშავებელი მიწების ხელში ჩაგდებისათვის.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: ყველა იმ შემთხვევაში, როცა აბსოლუტური რენტის ჯამი თავის ნორმალურ ოდენობაზე დაბლა ეცემა ან იმის შედეგად, რომ საბაზრო ღირებულება მოცემული თანრიგის პროდუქტის ინდივიდუალურ ღირებულებაზე უფრო დაბლა დგას (როგორც ამას ადგილი აქვს II D-ში), ანდა იმის შედეგად, რომ უკეთესი მიწის კონკურენციის გამო აუცილე-

ბელი ხდება უარესი მიწიდან კაპიტალის გარკვეული ნაწილის ამოღება (როგორც ამას ადგილი აქვს II B-ში), და აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა რენტა მთლიანად მოხსნილია (როგორც ეს I D-შია), — ყველა ამ შემთხვევაში იგულისხმება,

1) რომ იქ, სადაც რენტა მთლიანად მოხსნილია, მიწის მესაკუთრე და კაპიტალისტი ერთი და იგივე პირია, ე. ი. რომ აქ ინდივიდუალური მასშტაბითა და გამონაკლისის სახით ქრება ის დაბრკოლება, რასაც მიწის საკუთრება კაპიტალს უქმნის და ის შეზღუდვა სამოქმედო ასპარეზისა, რასაც კაპიტალი განიცდის მიწის საკუთრების მხრივ. აქ ჩვენ გვაქვს იგივე შემთხვევა, რაც კოლონიებშია, მხოლოდ ინდივიდუალური მასშტაბით: მოხსნილია მიწის საკუთრების წანამძღვარი;

2) რომ უფრო ნაყოფიერი მიწების კონკურენცია ანდა აგრეთვე ნაკლებნაყოფიერი მიწების კონკურენცია (დაღმავალი ხაზით) ქმნის ჭარბწარმოებას და ნაძალადევად ადიდებს ბაზრის ტევადობას, ქმნის დამატებითს მოთხოვნას ფასის ნაძალადევი დაწევის მეშვეობით. მაგრამ აქ ჩვენ მთლიანად სწორედ ის შემთხვევა გვაქვს, რომელსაც რიკარდო არ ვარაუდობს, ვინაიდან თავის მსჯელობაში იგი ყოველთვის იმ წინამძღვრიდან გამოდის, რომ კმაყოფილდება მხოლოდ აუცილებელი დამატებითი მოთხოვნა;

3) რომ თანრიგები II და I ცხრილებში B, C და D სრულიად არ იძლევიან რენტას ანდა აბსოლუტური რენტის მთელ ჯამს არ იძლევიან, რადგან უფრო ნაყოფიერი მიწების კონკურენცია აიძულებს მათ თავიანთი პროდუქტი მის ღირებულებაზე დაბლა გაყიდონ [ანდა, როგორც ეს II B შემთხვევაშია, კაპიტალის ნაწილი წარმოებიდან ამოიღონ]. რიკარდო, პირიქით, ვარაუდობს, რომ ისინი პროდუქტს ყიდიან მისი ღირებულების მიხედვით და რომ ჯაბაზრო ღირებულებას ყოველთვის უცვლელი მიწა განსაზღვრავს, მაშინ როდესაც სწორედ I D შემთხვევაში, რომელიც მას ნორმალურ შემთხვევად მიაჩნია, პირდაპირ საპირისპირო მოვლენას აქვს ადგილი. გარდა ამისა, მისი მსჯელობა ყოველთვის წარმოების დაღმავალი ხაზის წანამძღვრიდან გამოდის.

როცა არასამიწათმოქმედო კაპიტალის საშუალო შედგენილობა არის 80c + 20v, ზედმეტი ღირებულების ნორმა კი 50%-ს უდრის, აბსოლუტური მიწის რენტა არ იარსებებდა, თუ სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა იქნებოდა 90c + 10v, ე. ი. თუ იგი სამრეწველო კაპიტალის შედგენილობაზე უფრო მაღალი იქნებოდა, რასაც [600] კაპიტალისტურ წარმოებაში ისტორიულად

ადგილი არ ჰქონია; თუ სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა არის 80c + 20v, რაც დღემდე ჯერ არასოდეს არ ყოფილა, მაშინ აბსოლუტური რენტაც არ იქნება; თუ სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა უფრო დაბალია, ვიდრე სამრეწველო კაპიტალის შედგენილობა, მაგალითად, თუ იგი 60c+40v-ს უდრის, მაშინ აბსოლუტური მიწის რენტის მიღება შესაძლებელი იქნება.

თუ ამ თეორიიდან გამოვალთ, შეიძლება გვექნეს შემდეგი შემთხვევები იმისდა მიხედვით, თუ როგორია ნაყოფიერება სხვადასხვა თანრიგებისა მათს მიმართებაში ბაზართან, ე. ი. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ბატონობს ესა თუ ის თანრიგი ბაზარზე:

A) უკანასკნელი თანრიგი იხდის აბსოლუტურ რენტას. იგი განსაზღვრავს საბაზრო ღირებულებას იმიტომ, რომ ყველა თანრიგი ერთად იძლევა ამ საბაზრო ღირებულების მიხედვით მხოლოდ აუცილებელ მიწოდებას;

B) საბაზრო ღირებულებას განსაზღვრავს უკანასკნელი თანრიგი; ის იხდის აბსოლუტურ რენტას, მთელ მის ნორმას, მაგრამ არა მთელ მის წინანდელ ჯამს, იმიტომ რომ III და IV თანრიგთა კონკურენცია აიძულებს მას კაპიტალის ნაწილი წარმოებიდან ამოიღოს;

C) I, II, III და IV თანრიგებიდან მომდინარე ჭარბი მიწოდება წინანდელი საბაზრო ღირებულების მიხედვით აუცილებლად იწვევს ამ ღირებულების დაცემას, უმაღლესი თანრიგების მიერ რეგულირებული შემცირებული საბაზრო ღირებულება კი იწვევს ბაზრის ტევადობის გადიდებას, I თანრიგი იხდის აბსოლუტური რენტის მხოლოდ ნაწილს, II — მხოლოდ აბსოლუტურ რენტას;

D) იგივე რეგულირება საბაზრო ღირებულებისა უკეთესი თანრიგების მიერ, ანუ ბატონობა უკეთესი თანრიგებისა უარეს თანრიგებზე ჭარბი მიწოდების მეშვეობით, მთლიანად სპობს რენტას I თანრიგში, II თანრიგში კი მას აბსოლუტური რენტის დონეზე უფრო დაბლა სწევს; და, დასასრულ,

E) უკეთესი თანრიგები, რომლებიც საბაზრო ღირებულებას I თანრიგის პროდუქტის ხარჯთფასზე უფრო დაბლა სწევენ, აძევებენ ბაზრიდან I თანრიგს. ახლა საბაზრო ღირებულებას არეგულირებს II თანრიგი, იმიტომ რომ ამ ახალი საბაზრო ღირებუ-

ლ ე ბ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი მთელი სამივე თანრიგი მხოლოდ აუ-ცილებელ მიწოდებას იძლევა. [600]

[600] ახლა დავუბრუნდეთ რიკარდოს.

* * *

თავისთავად ცხადია, რომ როცა ჩვენ სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობაზე ვლაპარაკობთ, აქ არ შედის მიწის ღირებულება, ანუ მისი ფასი. უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალიზებული მიწის რენტა.

[თავი მეცამეტე]

რიკარდოს რენტის თეორია [დასასრული]

[1) მიწის საკუთრების არარსებობის რიკარდოსეული წანამძღვარი. გადასვლა ახალ მიწის ნაკვეთებზე მათი ადგილდებარეობისა და ნაყოფიერების მიხედვით]

დავუბრუნდეთ რიკარდოს, მე-2 თავს («რენტის შესახებ»). ჯერ ჩვენ მასთან ვხედავთ იმავე «კოლონიზაციის თეორიას», რომელიც უკვე სმიტთან გვხვდება*. აქ საკმარისი იქნება მოკლედ აღვნიშნოთ მხოლოდ ლოგიკური კავშირი აზრთა მდგელი ამ მსვლელობისა.

«ისეთი ქვეყნის პირველი დასახლებისას, სადაც უხვად მოიპოვება მდიდარი და ნაყოფიერი მიწა, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის დამუშავებაა საჭირო არსებული მოსახლეობის გამოსაკვებად ანდა მისი დამუშავება ნამდვილად შეიძლება მოსახლეობის განკარგულებაში მყოფი კაპიტალით,— რენტა არ არსებობს, ეს იმიტომ რომ არავინ არ გადაიხდიდა საფასურს მიწით სარგებლობისათვის, როცა ამ მიწის დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ არაა საკუთრებად გადაქცეული, როცა ეს მიწა ამიტომ» (რადგან იგი საკუთრებად არაა გადაქცეული, რასაც რიკარდო შემდგ სრულიად ივიწყებს) «შეუძლია ჰქონდეს ყველას, ვინც მის დამუშავებას მოისურვებს» (გვ. 55).

§ აქ, მაშასადამე, ნაგულისხმევია, რომ მიწის საკუთრება არ არსებობს. თუმცა პროცესის ეს გაშუქება დაახლოებით სწორია თანამედროვე ხალხთა კოლონიებისათვის, მაგრამ იგი, ჯერ ერთი, შეუსაბამოა განვითარებული კაპიტალისტური წარმოებისათვის, მეორე

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 296—298 და 310—313. რედ.

კი, შეცდომა იქნებოდა წარმოგვედგინა ეს როგორც ფანვითარების ისტორიული მსვლელობა ძველ ევროპაში.)

«მიწოდებისა და მოთხოვნის ზოგადი კანონების ძალით ასეთი მიწისთვის არ შეიძლება რენტის გადახდა იმ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, რომლითაც არაფერს არ იხდიან ჰაერით, წყლით ან ბუნების სხვა რამის ისეთი ნაბოძებით სარგებლობისათვის, რაც შეუზღუდველი რაოდენობით არსებობს... არავითარ საფასურს არ იხდიან ბუნების ამ ძალებით სარგებლობისათვის [601] იმიტომ, რომ ისინი ამოუწურავია და მათი ფლობა ყოველ ადამიანს შეუძლია... მთელ მიწას რომ ერთნაირი თვისებები ჰქონდეს, იგი რომ შეუზღუდველი რაოდენობით მოიპოვებოდეს და ხარისხით ერთგვაროვანი იყოს, მაშინ ამ მიწით სარგებლობისათვის საფასურის გადაწყვეტილება არ შეიძლებოდა» (რადგან მისი კერძო საკუთრებად გადაქცევა საერთოდ არ შეიძლებოდა) «გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი განსაკუთრებულად ხელსაყრელი ადგილმდებარეობით გამოირჩევა» (და — უნდა დავამატებინა რიკარდოს — როცა იგი მესაკუთრის განკარგულებაში იმყოფება). «მაშასადამე, რენტას მიწით სარგებლობისთვის იხდიან ყოველთვის მხოლოდ იმიტომ, რომ მიწის რაოდენობა არ არის შეუზღუდველი, და ხარისხი მისი არ არის ერთნაირი, მოსახლეობის ზრდასთან ერთად კი დამუშავებაში შედის უარესი ხარისხის ანა ნაკლებ ხელსაყრელად მდებარე მიწა. როცა საზოგადოების განვითარებასთან ერთად დამუშავებაში შედის ნაყოფიერების მხრივ მეორე თანრიგის მიწა, უკეთესი ხარისხის მიწაზე დაუყოვნებლივ წარმოიქმნება რენტა, და ამ რენტის სიდიდე დამოკიდებული იქნება ამ ორი მიწის ნაკვეთის ხარისხში არსებულ სხვაობაზე» (გვ. 56 — 57).

სწორედ ამაზე უნდა შეეჩერდეთ. ლოგიკური კავშირი აქ ასეთია: თუ მიწა, — და ამას ვარაუდობს რიკარდო, როცა ქვეყნის პირველ დასახლებაზე ლაპარაკობს (სმიტის კოლონიზაციის თეორია), — თუ მდიდარი და ნაყოფიერი მიწა არსებობს მოცემული მოსახლეობისა და კაპიტალის მიმართ ისე, როგორც ბუნების ყოველი ელემენტი არსებობს, პრაქტიკულად — შეუზღუდველი რაოდენობით; თუ, შემდეგ, ამ მიწის «დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ არ გადაქცეულა საკუთრებად» და ამიტომ, რადგან იგი «ჯერ კიდევ არ გადაქცეულა საკუთრებად», «იგი შეუძლია ჰქონდეს ყველას, ვინც მის დამუშავებას მოისურვებს», — ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, არაფერს არ იხდიან მიწით სარგებლობისათვის, და არავითარი რენტა არ არსებობს. მიწა რომ შეუზღუდველ ელემენტს წარმოადგენდეს არა მარტო კაპიტალისა და მოსახლეობის მიმართ, არამედ ფაქტიურადაც, ე. ი. «შეუზღუდვე-

ლი» რომ იყოს, როგორც ჰაერი და წყალია, «შეუზღუდველი რაოდენობით რომ მოიპოვებოდეს», მაშინ მიწის მითვისებას ერთი პირის მიერ სრულიად არ შეეძლო გამოერიცხა მისი მითვისება მეორე პირის მიერ. მაშინ არ იარსებებდა არავითარი მიწის საკუთრება (და არ იქნებოდა არა მარტო კერძო, არამედ «საზოგადოებრივი» და სახელმწიფოებრივი საკუთრებაც). ამ შემთხვევაში, თუ ამასთან მთელი მიწა თანაბარი ხარისხის იქნებოდა, მიწისათვის ვერავითარ რენტას ვერ აიღებდნენ. სულ დიდი-დიდი, რენტას გადაუხდიდნენ ისეთი მიწის მფლობელს, რომელიც «განსაკუთრებულად ხელსაყრელი ადგილმდებარეობით გამოირჩევა».

თუ, მაშასადამე, რიკარდოს მიერ ნაგულისხმევ პირობებში, — სახელდობრ, როცა მიწა «საკუთრებად არაა გადაქცეული» და «ამიტომ» დაუმუშავებელი მიწა «შეუძლია ჰქონდეს ყველას, ვინც მის დამუშავებას მოისურვებს», — რენტას იხდიან, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ «მიწა არ არის შეუზღუდველი რაოდენობით და ერთგვაროვანი ხარისხით», ე. ი. იმიტომ, რომ არსებობს სხვადასხვა ხარისხის მიწა და ერთი და იმავე ხარისხის მიწა მოიპოვება «შეზღუდული რაოდენობით». ჩვენ ვამბობთ, რომ მაშინ, რიკარდოს წანამძღვართა თანახმად, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ დიფერენციული რენტის გადახდას. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ეს შეზღუდვა მხედველობაში იქონიოს, რიკარდო ერთბაშად გადადის დასკვნაზე, რომ — მიწის საკუთრების არარსებობის შესახებ მისი წანამძღვრისაგან დამოუკიდებლად — მიწით სარგებლობისათვის არასოდეს არ იხდიან აბსოლუტურ რენტას, არამედ იხდიან მხოლოდ დიფერენციულ რენტას.

საკითხის მთელი დედააზრი შემდეგია: მიწა რომ კაპიტალის მიმართ ისე არსებობდეს, როგორც ყოველი ელემენტი ბუნებისა, მაშინ კაპიტალი სოფლის მეურნეობის დარგში სავსებით ისევე იმოქმედებდა, როგორც წარმოების ყოველ სხვა დარგში. მაშინ არ იქნებოდა არავითარი მიწის საკუთრება და არავითარი რენტა. სულ დიდი-დიდი, იარსებებდა, თუ მიწის ერთი ნაწილი მეორე ნაწილზე უფრო ნაყოფიერია, დამატებითი მოგება, როგორც მრეწველობაშია. მიწათმოქმედებაში მათი ფიქსირება ხდება დიფერენციული რენტის სახით იმ ბუნებრივი საფუძვლის მეოხებით, რასაც მათთვის შეადგენს ნიადაგის ნაყოფიერების ხარისხში არსებული სხვაობანი.

პირიქით, თუ მიწა 1) შეზღუდულია, 2) მიტაცებულია საკუთრებად; თუ კაპიტალს საქმე აქვს, თავისი წარმოშობის პირობის სახით,

მიწის საკუთრებასთან — სწორედ ასეთი ვითარებაა იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტური წარმოება ვითარდება; ისეთ ქვეყნებში კი, სადაც უწინ ეს პირობა არ არსებობდა (როგორც იგი ძველ ევროპაში არსებობდა), კაპიტალისტური წარმოება თვით ქმნის თავისთვის ამ პირობებს (ამის მაგალითია შეერთებული შტატები), — მაშინ მიწა უკვე იმთავითვე არ არის კაპიტალისათვის ელემენტარულად ხელმისაწვდომი სარბიელი მოქმედებისა. ამიტომ არსებობს მიწის რენტა დიფერენციული რენტისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ მაშინ გადასვლებიც ერთი თანრიგის მიწიდან მეორეზე, იქნება ეს აღმავალი ხაზით (I, II, III, IV) თუ დადმავალი ხაზით (IV, III, II, I), სხვაგვარად ხება, ვიდრე ამას ადგილი აქვს რიკარდოსეული წანამძღვრის პირობებში. ვინაიდან კაპიტალის გამოყენება წაიწყდება მიწის საკუთრების წინააღმდეგობას როგორც I თანრიგში, ისე II, III და IV თანრიგებშიც, და სავსებით აკეთება პირუკუ გადასვლისას IV თანრიგიდან III-ზე და ა. შ. IV თანრიგიდან III-ზე და ა. შ. გადასვლისას არ კმარა, რომ IV თანრიგის პროდუქტის ფასმა იმდენად აიწიოს, რომ III თანრიგში კაპიტალის გამოყენება შეიძლებოდეს საშუალო მოგების მიღებით: ფასმა უნდა აიწიოს იმდენად, რომ III თანრიგის მიწებზე რენტის გადახდა შეიძლებოდეს. თუ გადასვლა ხდება I თანრიგიდან II-ზე და ა. შ., უკვე თავისთავად იგულისხმება, რომ ფასი, რომელიც I თანრიგისათვის რენტას იძლეოდა, II თანრიგისათვის იძლევა არა მარტო ამ რენტას, არამედ, გარდა ამისა, კიდევ დიფერენციულ რენტასაც. თავისი წანამძღვრით მიწის საკუთრების არარსებობის შესახებ რიკარდომ, რა თქმა უნდა, ვერ მოსცა იმ კანონის არსებობა, რომელიც გაპირობებულია მიწის საკუთრების არსებობით და განუყოფელად დაკავშირებულია მასთან.

მას შემდეგ, რაც რიკარდომ გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება მისი წანამძღვრის პირობებში დიფერენციული რენტა წარმოიქმნას, იგი განაგრძობს:

«როცა დაშუშავებაში შედის შესამე ხარისხის მიწა, მეორე ხარისხის მიწაზე მაშინვე წარმოიქმნება რენტა, და ეს რენტა, ისევე როგორც წინათ, განისაზღვრება შაო მწარმოებლური ძალის სხვაობით. ამავე დროს პირველი ხარისხის მიწიდან მიღებული რენტა გადიდდება, იმიტომ რომ იგი ყოველთვის უნდა აღემატებოდეს მეორე ხარისხის მიწიდან მიღებულ რენტას ამ პროდუქტში მოცემული მთელი განსხვავებით, რომელსაც ისინი იძლევიან კაპიტალისა და შრომის მოცემული რაოდენობის დახარჯვით. მოსახლეობის ყოველ შემდგომ მატებასთან ერთად, რაც ქვეყანას აიძულებს უარესი ხარისხის მიწის დამუშავებაზე გადავიდეს»

(მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მოსახლეობის ყოველი შემდგომი მატება ქვეყანას აიძულებს უარესი ხარისხის მიწის დამუშავებაზე გადავიდეს),

«რათა მისთვის აუცილებელი საზრდოს [602] მოპოვება შეძლოს, — ყველა უფრო ნაყოფიერი მიწის რენტა აიწევს» (გვ. 57).

ეს სავსებით სწორია.

რიკარდო შემდეგ გადადის მაგალითზე. მაგრამ ეს მაგალითი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემდგომში გასაკეთებელ შენიშვნას, — კულისებს დაემალა ხაზს. მაგრამ ეს არის მხოლოდ ვარაუდი. რათა შეუმჩნეველად გაატაროს თავისი აზრი, რიკარდო ლაპარაკობს

«ისეთი ქვეყნის პირველ დასახლებაზე, სადაც უხვად მოიპოვება მდიდარი და ნაყოფიერი მიწა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საკუთრებად გადაქცეული» (გვ. 55).

მაგრამ იგივე გამოვიდოდა, იქ რომ კოლონისტების რიცხვთან შეფარდებით «უხვად» ყოფილიყო «ღარიბი და უნაყოფო მიწა, რომელიც ჯერ კიდევ საკუთრებად არ გადაქცეულა». მიწის სიმდიდრე ან ნაყოფიერება კი არ არის იმის წანამძღვარი, რომ არავითარი რენტის გადახდა არ წარმოებს, არამედ ის გარემოება, რომ მიწა შეუზღუდველი რაოდენობით მოიპოვება, არ არის საკუთრებად გადაქცეული და ერთნაირია ხარისხით, სულ ერთია როგორიც უნდა იყოს ეს ხარისხი მისი ნაყოფიერების მეტ-ნაკლებობის მხრივ. ამიტომ რიკარდო თვითონ ასე აყალიბებს შემდგომ გადმოცემაში თავის წანამძღვარს:

«თუ მიწას რომ ერთნაირი თვისებები ჰქონდეს, იგი რომ შეუზღუდველი რაოდენობით მოიპოვებოდეს და ხარისხით ერთგვაროვანი იყოს, მაშინ ამ მიწით სარგებლობისათვის საფასურის გადახდევინება არ შეიძლებოდა» (გვ. 56).

რიკარდო არ ამბობს და არც შეუძლია თქვას: მიწა რომ «მდიდარი და ნაყოფიერი იყოს», იმიტომ რომ ამგვარ პირობას ამ კანონთან აბსოლუტურად არავითარი დამოკიდებულება არ ექნებოდა. თუკი მიწა, ნაცვლად იმისა, რომ მდიდარი და ნაყოფიერი ყოფილიყო, შწირი და უნაყოფო იქნებოდა, მაშინ თვითეულ კოლონისტს მოუხდებოდა მთელი მიწის უფრო მეტი ნაწილის დამუშავება, და ამის შედეგად ისინი, მოსახლეობის ზრდასთან ერთად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიწის საკუთრება არ იარსებებდა, უფრო სწრაფად მიუახლოვდებოდნენ იმ მომენტს, რო-

ცა მიწის პრაქტიკულ პიუხვეს, მის ფაქტიურ შეუზღუდველობას მოსახლეობისა და კაპიტალის მიმართ ბოლო მოეღებოდა.

მართალია, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ კოლონისტები, რა თქმა უნდა, ამოირჩევენ არა ყველაზე ნაკლებად ნაყოფიერ, არამედ ყველაზე ნაყოფიერ მიწას, სახელდობრ—ყველაზე ნაყოფიერს დამუშავების იმ საშუალებათა პირობებში, რაც მათს განკარგულებაშია. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი შემზღუდველი პირობა მათი არჩევანისათვის. რასაც მათთვის პირველ რიგში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეს არის: ადგილმდებარეობა, განლაგება ზღვასთან, დიდ მდინარეებთან და ა. შ. შესაძლებელია, რომ დასავლეთ ამერიკაში და ა. შ. მიწა ძალზე ნაყოფიერიც იყოს, მაგრამ ახალმოსახლენი, ბუნებრივია, სახლდებოდნენ ახალ ინგლისში, პენსილვანიაში, ჩრდილოეთ კაროლინაში, ვირგინიაში და ა. შ., მოკლედ—ატლანტის ოკეანეს აღმოსავლეთ სანაპიროზე. და თუ ისინი ყველაზე ნაყოფიერ მიწას ირჩევდნენ, ირჩევდნენ მხოლოდ ამ რაიონის ყველაზე ნაყოფიერ მიწას. ამას ხელი არ შეუშლია მათთვის გადასულყვნენ შემდეგში უფრო ნაყოფიერი მიწის დამუშავებაზე დასავლეთში, როგორც კი მოსახლეობის ზრდამ, კაპიტალების შექმნამ, მიმოსელის საშუალებათა განვითარებამ, ქალაქების წარმოშობამ ხელმისაწვდომი გახადა მათთვის უფრო ნაყოფიერი მიწა ამ უფრო დაშორებულ რაიონში. ისინი ეძებენ არა ყველაზე ნაყოფიერ რაიონს, არამედ საუკეთესოდ მდებარე რაიონს, ამ უკანასკნელის ფარგლებში კი, ბუნებრივია, — ადგილმდებარეობის სხვა თანაბარ პირობებში — იმ მიწას, რომელიც ყველაზე ნაყოფიერია. მაგრამ ეს ამტკიცებს, რა თქმა უნდა, არა იმას, რომ უფრო ნაყოფიერი რაიონიდან ნაკლებნაყოფიერ რაიონზე გადადიან, არამედ მხოლოდ იმას, რომ ერთსა და იმავე რაიონში — ერთნაირი ადგილმდებარეობისას — უფრო ნაყოფიერი მიწა, ბუნებრივია, უფრო მალე შედის დამუშავებაში, ვიდრე ნაკლებნაყოფიერი.

მაგრამ რიკარდო, — მას შემდეგ, რაც მან ფორმულირება «სიუხვე მდიდარი და ნაყოფიერი მიწისა» მართებულად შეცვალა გაუმჯობესებული ფორმულირებით: მიწა, რომელსაც აქვს «ერთნაირი თვისებები, შეუზღუდველია რაოდენობით და ერთგვაროვანი ხარისხით», — გადადის თავის მაგალითზე, შემდეგ კი აკეთებს ნახტომს თავისი თავდაპირველი მცდარი წანამძღვრისაკენ:

«ყველაზე ნაყოფიერი და ყველაზე ხელსაყრელად მდებარე მიწა პირველად შევა დამუშავებაში...» (გვ. 60).

რიკარდო გრძნობს, რომ ეს მტკიცება მერყევი და მცდარია; ამიტომ სიტყვებს «ყველაზე ნაყოფიერი მიწა» იგი უმატებს კიდევ ახალ პირობას—«და ყველაზე ხელსაყრელად მდებარე», რაც მისი მსჯელობის ამოსავალ პუნქტში არ იყო. ნამდვილად კი მას, ალბათ, უნდა ეთქვა: «ყველაზე ნაყოფიერი მიწა ყველაზე ხელსაყრელად მდებარე რაიონის ფარგლებში». ხომ არ შეიძლება უაზრობა იქამდე მივიდეს, რომ ქვეყნის ნაწილი, შემთხვევით ყველაზე ხელსაყრელად მდებარე ახალმოსახლეთათვის, რადგან იგი შესაძლებლობას აძლევს მათ კავშირი იქონიონ მეტროპოლიასთან, თავიანთ წინანდელ თანამემამულეებთან და გარესამყაროსთან, — რომ ეს ნაწილი ჩაითვალოს «ყველაზე ნაყოფიერ ადგილად» მთელს ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის კოლონისტების მიერ გამოკვლეული და არც შეიძლება იგი მათ ერთბაშად გამოიკვლიონ.

ამრიგად, ვარაუდი დაღმავალი ხაზის შესახებ, უფრო ნაყოფიერი რაიონიდან ნაკლებნაყოფიერ რაიონზე გადასვლის შესახებ რიკარდომ სრულიად არაკანონზომიერად შემოიტანა. შეიძლება მხოლოდ შემდეგის თქმა: რაიონში, რომელიც პირველად შევიდა დამუშავებაში, იმიტომ რომ მისი მდებარეობა უფრო ხელსაყრელია, არავითარ რენტას არ იხდიან მანამდე, სანამ ამ რაიონის ფარგლებში არ გადავლენ უფრო ნაყოფიერი მიწიდან ნაკლებნაყოფიერზე. თუკი ახლა გადადიან მეორე რაიონში, პირველზე უფრო ნაყოფიერში, მაშინ იგი, ვარაუდის თანახმად, უფრო ნაკლებად ხელსაყრელი მდებარეობისაა. ამიტომ შესაძლებელია, რომ ამ რაიონის მიწის უფრო დიდი ნაყოფიერება წონასწორდება და კიდევ უფრო მეტი მისი არახელსაყრელი ადგილმდებარეობით; და ამ შემთხვევაშიც I რაიონის მიწა განაგრძობს რენტის გადახდას. მაგრამ რადგან «ადგილმდებარეობა» ისეთი გარემოებაა, რომელიც ისტორიულად ეკონომიურ განვითარებასთან ერთად იცვლება, და რადგან იგი განუწყვეტლივ უნდა უმჯობესდებოდეს სამიმოსვლო გზების გაყვანასთან, ახალი ქალაქების წარმოქმნასთან, მოსახლეობის ზრდასთან ერთად და ა. შ., ამიტომ ცხადია, რომ II რაიონში წარმოებული პროდუქტი თანდათანობით გადის ბაზარზე ისეთ ფასად, რომელმაც, პირიქით, უნდა დასწიოს რენტა (იმავე პროდუქტისა) I რაიონში, და რომ II რაიონი თანდათანობით იწყებს გამოსვლას როგორც უფრო ნაყოფიერი მიწა, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ქრება მისი არახელსაყრელი ადგილმდებარეობა.

[603] ამიტომ ცხადია.

რომ იქ, სადაც რიკარდო თვითონ იძლევა დიფერენციული რენტის წარმოქმნისათვის აუცილებელი პირობის სწორ და ზოგად ფორმულირებას (თუ «მთელი მიწა არის... ერთნაირი თვისების... შეუზღუდველი რაოდენობით... ერთგვაროვანი ხარისხით), — ეს ფორმულირება არ შეიცავს იმ გარემოებას, რომ გადასვლა ხდება უფრო ნაყოფიერი მიწიდან უფრო ნაკლებნაყოფიერ მიწაზე;

რომ ეს ისტორიულადაც არ არის სწორი შეერთებული შტატების კოლონიზაციის მიმართ, რომელიც ა. სმიტთან ერთად მხედველობაში აქვს რიკარდოს (ამ პუნქტის გამო კერის მართებული საწინააღმდეგო მოსაზრებანი სწორედ ამით არის გამოწვეული);

რომ რიკარდო თვით კვლავ თავდაყირა აყენებს თავის მსჯელობას «ადგილმდებარეობის» შესახებ მოცემული დამატებით («ყველაზე ნაყოფიერი და ყველაზე ხელსაყრელად მდებარე მიწა დამუშავებაში პირველი შევა»);

რომ რიკარდო თავის თვითნებურ წანამძღვარს ისეთი მაგალითით ამტკიცებს, რომელშიც მოცემულად იგულისხმება ის, რაც დასამტკიცებელია, სახელდობრ — გადასვლა უკეთესი მიწიდან სულ უარესზე და უარესზე; ბოლოს,

რომ რიკარდო უეცველია, უკვე იმ განზრახვით, რომ გამოიყენოს ეს მოგების საერთო ნორმის დაწევის ტენდენციის ასახსნელად [ამას იმიტომ გულისხმობს, რომ სხვანაირად მას ვერ აუხსნია დიფერენციული რენტა, თუმცა იგი სრულიად არ არის იმაზე დამოკიდებული, გადადიან I-დან II-ზე, III-ზე, IV-ზე თუ IV-დან III-ზე, II-ზე, I-ზე.

[2) რიკარდოსეული დებულება ხორბლის ფასზე რენტის გავლენის შეუძლებლობის შესახებ. აბსოლუტური რენტა როგორც მიწათმოქმედების პროდუქტის ფასის გადიდების მიზეზი]

რიკარდოსეულ მაგალითში ნაგულისხმევია სამი ხარისხის მიწა №№ 1, 2, 3, რომლებიც კაპიტალის თანაბარი დაბანდებისას იძლევიან «წმინდა პროდუქტს» 100 90, 80 კვარტერი მარცვლეულის სახით. № 1 დამუშავებაში შედის პირველი.

«ახალ ქვეყანაში, სადაც ნაყოფიერი მიწა უხვად მოიპოვება მოსახლეობისთან შედარებით და სადაც ამიტომ აუცილებლად უნდა მუშავდებოდეს მხოლოდ № 1» (§§. 57).

ამ შემთხვევაში «მთელი წმინდა პროდუქტი» ეკუთვნის მიწათმოქმედს» და «შეადგენს მის მიერ ავანსებული კაპიტალის მოგებასა»

(გვ. 57). აქ { ჩვენ არ ვლაპარაკობთ პლანტაციებზე } არაფრად არ ვარგა აგრეთვე ისიც, რომ ეს «წმინდა პროდუქტი» იმთავითვე განიხილება როგორც კაპიტალის მოგება, თუმცა აქ არავითარი კაპიტალისტური წარმოება არ იგულისხმება. მაგრამ დავუშვათ, რომ «ძველი ქვეყნიდან», გამოსული კოლონისტი თვით განიხილავს თავის «წმინდა პროდუქტს» ამგვარად. თუ ახლა მოსახლეობა იმდენად გაიზრდება, რომ აუცილებელი იქნება № 2-ის დამუშავება, № 1 დაიწყებს რენტის მოცემას 10 კვარტერის რაოდენობით. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ მიწები №№ 2 და 3 «არ არის საკუთრებად გადაქცეული» და, მოსახლეობისა და კაპიტალის მიმართ, პრაქტიკულად «შეუზღუდველი. რაოდენობითა» დარჩა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა საქმე სხვაგვარად წარმართულიყო. ამრიგად, ამ წანამძღვრის პირობებში მიწა № 1 მოგვცემს 10 კვარტერ რენტას.

«ვინაიდან: ან უნდა არსებობდეს სამიწათმოქმედო კაპიტალის მოგების ორი ნორმა, ანდა 10 კვარტერი (ან 10 კვარტერის ღირებულება) უნდა გამოეთიშოს № 1 პროდუქტს რამე სხვა მიზნისათვის, ვინც არ უნდა ამუშავებდეს № 1-ს, მიწის მესაკუთრე თუ ვინმე სხვა პირი, ეს 10 კვარტერი ერთნაირად შეადგენს რენტას, — იმიტომ რომ ის, ვინც, № 2-ს ამუშავებს, თანაბარ შედეგს მიიღებდა თავისი კაპიტალიდან, დამუშავებს იგი № 1-ს და გადაიხდის ამასთან 10 კვარტერს რენტის სახით თუ განაგრძობს № 2-ის დამუშავებას და არ გადაიხდის არავითარ რენტასა» (გვ. 58).

მართლაც, [ორი სხვადასხვა ხარისხის მიწის არსებობისას] იარსებებდა ჩამიწათმოქმედო კაპიტალის მოგების ორი ნორმა, ე. ი. № 1 მოგვცემდა დამატებითს მოგებას (რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება რენტის სახით ჩამოყალიბდეს) 10 კვარტერის რაოდენობით. მაგრამ რომ წარმოების ერთსა და იმავე სფეროში ერთი და იმავე სახის კაპიტალს და, მაშასადამე, სამიწათმოქმედო კაპიტალსაც, არა მარტო შეიძლება, არამედ აუცილებლადაც უნდა უწევდეს მოგების ორი კი არა, არამედ მეტად სხვადასხვა ნორმა, — ამაზე თვით რიკარდო იქვე ორი გვერდის შემდეგ ამბობს:

«ყველაზე ნაყოფიერი და ყველაზე ხელსაყრელად მდებარე მიწა პირველი შეავ დამუშავებაში, და მისი პროდუქტის საცვლელ ღირებულებას განსაზღვრავს, სავსებით ისევე როგორც ყველა სხვა საქონლის საცვლელ ღირებულებასაც, ამ შრომის ერთობლივი რაოდენობა, რომელიც აუცილებელია — სხვადასხვა ფორმით მისი წარმოების პროცესის დაწყებიდან დამთავრებამდე — პროდუქტის დასამზადებლად და ბაზარზე გასატანად, როცა დამუშავებაში უარესი ხარისხის მიწა შეეყვ, ნდება პროდუქტის საცვლელი ღირებულება იზრდება, იმიტომ რომ მის წარმოებას

მეტი შრომა დასჭირდება. საცვლელი ღირებულება ყველა საქონლისა, იქნება ეს სამრეწველო ნაკეთობანი, მაღაროთა პროდუქტები თუ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, არასოდეს არ განისაზღვრება შრომის იმ უმცირესი რაოდენობით, რაც საკმარისია მათ საწარმოებლად ყველაზე ხელსაყრელ პირობებში, რომლებიც ხელმისაწვდომია მხოლოდ მათთვის, ვინც განსაკუთრებულად ხელსაყრელი გარემოებებით სარგებლობს; პირიქით, იგი განისაზღვრება შრომის იმ უდიდესი რაოდენობით, რასაც აუცილებლად ხარჯავენ მათ საწარმოებლად ისინი, ვისაც ასეთი უპირატესობანი არა აქვს, ვინც წარმოებას განაგრძობს ყველაზე არახელსაყრელ პირობებში; ყველაზე არახელსაყრელი პირობები კი უნდა გავიგოთ როგორც ყველაზე არახელსაყრელი იმ პირობებიდან, რომელთა პირობებისას აუცილებელია წარმოების გაგრძელება იმისათვის, რათა დამზადდეს პროდუქტის საჭირო რაოდენობა» (ძველი ფასის კვალობაზე) (გვ. 60 — 61).

მაშასადამე, წარმოების ყოველ განსაკუთრებულ დარგში არის მოგების არა მხოლოდ ორი, არამედ ბევრი ნორმა, ე. ი. ბევრი გადახრა შოგების საერთო ნორმიდან.

აქ არ არის აუცილებელი შევჩერდეთ რიკარდოსეული მაგალითის შემდგომ ვარიანტზე, სადაც ლაპარაკია ერთსა და იმავე მიწაზე კაპიტალის სხვადასხვა (ერთთმეორის მიყოლებით გამოყენებულ) დოზათა ეფექტიანობის შესახებ (გვ. 58 — 59). საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს შემდეგი ორი დებულება:

1) «რენტა ყოველთვის არის სხვაობა კაპიტალისა და შრომის ორი [604] თანაბარი რაოდენობის დახარჯვისას მიღებულ პროდუქციის შორის» (გვ. 59).

ეს ნიშნავს, რომ არსებობს მხოლოდ დიფერენციული რენტა (იმ ვარაუდის თანახმად, რომ არ არსებობს მიწის საკუთრება).

2) «არ შეიძლება იყოს მოგების ორი ნორმა» (გვ. 59).

«მართალია, საუკეთესო მიწაზე ჯერ მაინც ამავე პროდუქტს მივიღებთ შრომის წინანდელი დახარჯვისას, მაგრამ მისი ღირებულება გადიდდება იმის გამო, რომ ის, ვინც ახალ შრომასა და კაპიტალს ნაკლებნაყოფიერ მიწაზე იყენებს, ნაცვლად პროდუქტს ღებულობს. ამრიგად, თუმცა უფრო ნაყოფიერი მიწის უპირატესობანი შედარებით ნაკლებნაყოფიერ მიწებთან არავითარ შემთხვევაში არ იკარგება, არამედ გადადის მხოლოდ მიწათმოქმედიდან ან მომხმარებლიდან მიწის მესაკუთრეზე, მაგრამ, რაკი უარესი მიწების დასამუშავებლად საჭიროა მეტი შრომა და რაკი მხოლოდ ასეთი მიწების დამუშავება იძლევა ნედლი პროდუქტის ჩვენთვის აუცილებელი დამატებითი რაოდენობის მიღების შესაძლებლობას, ამ პროდუქტის შედარებითი ღირებულება მუდამ მის წინანდელ დონეზე უფრო მაღლა იქნება და შესაძლებელს გახდის მის გაცვლას ქუდების, მუდის, ფეხსაცმ-

ლის და ა. შ. მეტ რაოდენობაზე, რომელთა წარმოებისას არ არის საჭირო შრომის ასეთი დამატებითი რაოდენობა» (გვ. 62 — 63).

«ამრიგად, ნედლი პროდუქტის შედარებითი ღირებულების გადიდების მიზეზი ისაა, რომ მისი უკანასკნელი მოპოვებული ნაწილის წარმოებაზე იხარჯება უფრო მეტი შრომა, და არა ის, რომ მიწის შესაკუთრეს უხდიან რენტას. ხორბლის ღირებულება განისაზღვრება შრომის იმ რაოდენობით, რაც მის საწარმოებლად იხარჯება იმ ხარისხის მიწაზე ან კაპიტალის იმ ნაწილით, რომელთა დროს რენტას არ იხდიან. იმიტომ კი არ არის ხორბალი ძვირი, რომ რენტას იხდიან, არამედ რენტას იხდიან იმიტომ, რომ ხორბალი ძვირია; და სამართლიანად იყო შენიშნული, რომ ხორბლის ფასი სრულიად არ შემცირდებოდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიწის მესაკუთრენი უარს იტყოდნენ მთელ თავიანთ რენტაზე. ეს მხოლოდ შესაძლებლობას მისცემდა ზოგიერთ ფერმერს ბატონკაცურად ეცხოვრა, მაგრამ არ შეამცირებდა შრომის იმ რაოდენობას, რაც აუცილებელია დამუშავებული მიწებიდან ყველაზე ნაკლებ ნაყოფიერ მიწაზე ნედლი პროდუქტის მისაღებად» (გვ. 63).

ამ საკითხზე ჩემ მიერ ზემოთ განვითარებულ დებულებათა შემდეგ არ არის აუცილებელი დაწვრილებით განვიხილოთ ის მცდარი დებულება, თითქოს «ხორბლის ღირებულება განისაზღვრება შრომის იმ რაოდენობით, რაც მის საწარმოებლად იხარჯება იმ ხარისხის მიწაზე..., რომლის დროსაც რენტას არ იხდიან». მე ცხადვყავი, რომ — იხდის უკანასკნელი [თავისი ხარისხით] მიწა რენტას თუ არავითარ რენტას არ იხდის, იხდის იგი აბსოლუტურ რენტას მთლიანად თუ მხოლოდ მის ნაწილს, ანდა, აბსოლუტური რენტის გარდა, იხდის იგი კიდევ დიფერენციულ რენტას (აღმავალი ხაზით) თუ არა, — ეს დამოკიდებულია ნაწილობრივ განვითარების მიმართულებაზე, იმაზე, მიმდინარეობს იგი აღმავალი თუ დაღმავალი ხაზით, და ყველა გარემოებაში დამოკიდებულია სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობის შეფარდებაზე არასამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობასთან. შემდეგ მე ცხადვყავი, რომ, თუ ვიგულისხმებთ აბსოლუტური რენტის არსებობას კაპიტალების შედგენილობაში მოცემული განსხვავების გამო, ზემოაღნიშნული შემთხვევები დამოკიდებულია ბაზრის მდგომარეობაზე, მაგრამ რომ სწორედ ის შემთხვევა, რომელსაც რიკარდო ასახელებს, შეიძლება მოხდეს მხოლოდ ორი პირობის დროს (მაგრამ ამასთან მაშინაც შეიძლება საჯარო ქირას იხდიდნენ, თუმცა არა მიწის რენტას): ან მაშინ, თუ მიწის საკუთრება არ არსებობს — იურიდიულად ან ფაქტიურად, ანდა მაშინ, თუ საუკეთესო მიწა უზრუნველყოფს ისეთ დამატებითს

მიწოდებას, რომელსაც შეუძლია ბაზარზე გასაღება ჰპოვოს მხოლოდ საბაზრო ღირებულების შემცირების დროს.

მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ზემოდასახელებულ ნაწყვეტში კიდევ ბევრი რამაა მცდარი და ცალმხრივი. ნედლი პროდუქტის «შედარებითმა ღირებულებამ» — რაც აქ მხოლოდ საბაზრო ღირებულებას ნიშნავს, — შეიძლება აიწიოს არა მარტო რიკარდოს მიერ ნაჩვენები მიზეზის გამო, არამედ აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ მანამდე ეს პროდუქტი იყიდებოდა თავის ღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად, შეიძლება ხარჯთფასზე უფრო დაბალ ფასადაც კი, რასაც მუდამ აქვს ადგილი საზოგადოების გარკვეულ მდგომარეობაში, როცა ნედლი პროდუქტის წარმოება ჯერ კიდევ უმთავრესად მიწათმოქმედების არსებობის შენარჩუნებას ემსახურება (და აგრეთვე — როცა ქალაქის პროდუქტი უზრუნველყოფს თავისთვის მონოპოლიურ ფასს, როგორც ეს შუა საუკუნეებში იყო); მეორე, ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, როცა ჯერ კიდევ არ შექმნილა ისეთი მდგომარეობა, რომლის დროს ნედლი პროდუქტი ღირებულების მიხედვით იყიდება განსხვავებით ხსვა საქონელთაგან, რომელთა გაყიდვა ხარჯთფასის კვალობაზე წარმოებს.

ბოლოს, დიფერენციული რენტის შესახებ სწორია, რომ ხორბლის ფასი იგივე დარჩება, თუ მიწის მესაკუთრე უარს იტყვის რენტაზე და მოიჯარე ამ უკანასკნელს თვითონ ჩაიჯიბავს. აბსოლუტური რენტის მიმართ ეს არაა სწორი. არ არის სწორი, რომ აქ მიწის საკუთრება არ ადიდებს ნედლი პროდუქტის ფასს. პირიქით, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ფასის გადიდებას, რადგან მიწის საკუთრების ჩარევა იმას იწვევს, რომ ნედლი პროდუქტი იყიდება თავისი ღირებულების მიხედვით, რომელიც მის ხარჯთფასს აღემატება. ვიგულისხმოთ უწინდებურად, რომ საშუალო არასამიწათმოქმედო კაპიტალი უდრის 80c + 20v-ს, ზედმეტი ღირებულება კი შეადგენს 50%-ს; მაშინ მოგების ნორმა იქნება 10%, პროდუქტის ღირებულება კი იქნება 110. დავუშვათ, პირიქით, სამიწათმოქმედო [605] კაპიტალი უდრის 60c + 40v-ს; მაშინ პროდუქტის ღირებულება იქნება 120. ნედლი პროდუქტი გაიყიდება ამ ღირებულების მიხედვით. მიწის საკუთრება რომ არ არსებობდეს იურიდიულად — ან ფაქტიურად, მიწის შეფარდებითი სიუხვის გამო, როგორც ეს კოლონიებშია, — მაშინ მიწათმოქმედების პროდუქტი გაიყიდებოდა 115-ის კვალობაზე. სახელდობრ: ერთობლივი მოგება პირველი და მეორე კაპიტალებისა (200-ისა) უდრის 30-ს, მაშასადამე, საშუალო მოგება უდრის 15-ს. არამიწათმოქმედების პროდუქტი გაიყიდებო-

და 115-ად ნაცვლად 110-ისა, მიწათმოქმედებისა კი — 115-ად ნაცვლად 120-ისა. მაშასადამე, მიწათმოქმედების პროდუქტის შეფარდებითი ღირებულება დაეცემოდა $^{1}/_{12}$-ით არამიწათმოქმედების პროდუქტებთან შედარებით; მაგრამ ორივე კაპიტალისათვის, ერთობლივი კაპიტალისათვის — ერთად აღებული სამიწათმოქმედო და არასამიწათმოქმედო კაპიტალისათვის, — საშუალო მოგება გაიზრდებოდა 50%-ით, 10-დან 15-მდე. [605]

* * *

[636] რიკარდო ლაპარაკობს რენტის თავის საკუთარ გაგებაზე:

«მე ყოველთვის მიმაჩნდა რენტა ნაწილობრივი მონოპოლიის ისეთ შედეგად, რომელიც სინამდვილეში არასოდეს არ არეგულირებს ფასს»

(მაშასადამე, არასოდეს არ მოქმედებს როგორც მონოპოლია, მაშასადამე, არც წარმოადგენს მონოპოლიის შედეგს. მონოპოლიის შედეგი შეიძლება ყოფილიყო რიკარდოსათვის მხოლოდ ის, რომ რენტას იჯიბავს არა მოიჯარე, არამედ საუკეთესო ნაოსნის მიწების მესაკუთრე);

«პირველად, მე რენტა უფრო ფასის შედეგად მიმაჩნია, მე იმ აზრს ვიცავ, რომ თუ მიწის მესაკუთრენი უარს იტყოდნენ ყოველგვარ რენტაზე, მიწათმოქმედებაში წარმოებული საქონელი არ იქნებოდა უფრო იაფი, რადგან ამ საქონელთა ნაწილი ყოველთვის ისეთი მიწიდან მოიღება, რომელშიც რენტას არ იხდიან ანდა არ შეიძლება გადაიხადონ, იმიტომ რომ ზედმეტი პროდუქტი საკმარისია იქ მხოლოდ კაპიტალის მოგების ასანაზღაურებლად» (Ricardo. Principles, გვ. 332 — 333).

აქ «ზედმეტი პროდუქტი» [«surplus produce»] წარმოადგენს ხელფასზე დახარჯული პროდუქტის გადანამეტს. რიკარდოს მტკიცება სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში — სწორედ იმ ვარაუდისას, რომ მიწის გარკვეული თანრიგი არავითარ რენტას არ იხდის, — თუ ეს მიწა, რენტას რომ არ იხდის, ან, უფრო სწორად, მისი პროდუქტი, საბაზრო ღირებულებას არეგულირებს. თუკი ამ მიწის პროდუქტი რენტას არ იხდის იმ მიზეზით, რომ საბაზრო ღირებულებას უფრო ნაყოფიერი მიწა არეგულირებს, მაშინ რენტის არარსებობა არასგზით არ შეიძლება იყოს დამამტკიცებელი საბუთი რიკარდოს მტკიცების სასარგებლოდ.

მართლაც, თუ «მიწის მესაკუთრენი უარს იტყოდნენ» დიფერენციულ რენტაზე, ეს უკანასკნელი ერგებოდა მოიჯარეებს. პირველად,

უარის თქმა აბსოლუტურ რენტაზე შეამცირებდა მიწათმოქმედების პროდუქტთა ფასს, მრეწველობის პროდუქტთა ფასს კი გაადიდებდა იმდენად, რამდენადაც გაიზრდებოდა ამ პროცესის შედეგად საშუალო მოგება. [636]

* * *

[605] «რენტის გადიდება ყოველთვის ქვეყნის სიმდიდრის ზრდისა და მისი გაზრდილი მოსახლეობის საზრდოთი მომარაგების სიძნელის შედეგია» (გვ. 65 — 66).

ამ მტკიცების უკანასკნელი ნაწილი სწორი არაა.

«სიმდიდრე ყველაზე უფრო სწრაფად იზრდება იმ ქვეყნებში, რომელთა განკარგულებაშიც არის ყველაზე ნაყოფიერი მიწა, სადაც შემოზიდვა ყველაზე ნაკლებადაა შეზღუდული, სადაც მიწათმოქმედებაში შეტანილ გაუმჯობესებათა მეთოდებით პროდუქტების რაოდენობა შეიძლება გამრავლდეს შრომის იმ რაოდენობის გაუდიდებლად, რაც პროდუქციის ერთეულს უწევს, და სადაც, მაშასადამე, რენტა ნელა იზრდება» (გვ. 66 — 67).

რენტის აბსოლუტური ჯამი შეიძლება იზრდებოდეს აგრეთვე მაშინ, როცა რენტის ნორმა უცვლელი რჩება, იზრდება მხოლოდ — მოსახლეობის ზრდასთან ერთად — მიწათმოქმედებაში დაბანდებული კაპიტალი; იგი შეიძლება იზრდებოდეს, როცა I თანრიგი არ იძლევა რენტას, როცა II თანრიგიდან იხდიან აბსოლუტური რენტის მხოლოდ ნაწილს, მაგრამ დიფერენციული რენტა, მიწის საუკეთესო თანრიგთა შეფარდებით მაღალი ნაყოფიერების გამო, მნიშვნელოვნად გადიდდა, და ა. შ. (იხ. ცხრილი *).

[3) სმიტისა და რიკარდოს კონცეფცია სოფლის მეურნეობის პროდუქტის «ბუნებრივი ფასის» შესახებ]

«ხორბლის მაღალი ფასი რომ რენტის შედეგი იყოს და არა მისი მიზეზი, ფასი შეიცვლებოდა რენტის გადიდების ან შემცირების პროპორციულად, და რენტა იქნებოდა ფასის შემადგენელი ნაწილი. მაგრამ ხორბლის ფასის რეგულატორია ის ხორბალი, რომლის წარმოებაზე ყველაზე მეტი შრომა იხარჯება და რომლის ფასშიც არ შედის და არც შეიძლება არსებითად შედიოდეს რენტა შემადგენელ ნაწილად... ნედლი მასალა შედის საქონელთა უმრავლესობის შემადგენლობაში, მაგრამ ამ ნედლი მასალის ღირებულება, ისევე როგორც ხორბლის ღირებულებაც, რეგულირდება კაპიტალის იმ ნაწილის მწარმოებლობით, რომელიც მიწის დასამუშავებ-

* იხ. ჩაწებებული ფურცელი 353 — 354 გვერდებს შორის. რედ.

ლად უკანასკნელად გამოიყენება და არავითარ რენ-
ტას არ იხდის; ამიტომაც რენტა არ არის საქონელთა ფასის შე-
მადგენელი ნაწილი» (გვ. 67).

აქ ბევრი არევ-დარევაა იმის გამო, რომ ერთმანეთშია არეული «ბუნებრივი ფასი» (რადგან ამ ფასზეა აქ ლაპარაკი) და ღირებულება. რიკარდომ ეს არევ-დარევა სმიტისაგან გადმოიღო. სმიტთან იგი შეფარდებით გამართლებულია, რადგან და რამდენადაც იგი უარს ამბობს ღირებულების საკუთარ მართებულ განმარტებაზე. არც რენტა, არც მოგება, არც ხელფასი არ წარმოადგენენ საქონლის ღირებულების დამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილებს. პირიქით, თუ საქონლის ღირებულება მოცემულია, ის სხვადასხვა ნაწილები, რომლებადაც ეს ღირებულება შეიძლება დაიშალოს, ეკუთვნის ან დაგროვილი შრომის (მუდმივი კაპიტალი), ან ხელფასის, ან მოგების, ან რენტის კატეგორიას. პირიქით, «ბუნებრივი ფასის», ანუ ხარჯთ ფასის, მიმართ სმიტს შეუძლია ილაპარაკოს მის დამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილებზე როგორც წინასწარ მოცემულ წანამძღვრებზე. მხოლოდ «ბუნებრივი ფასისა» და ღირებულების ერთმანეთში არევის შედეგად გადაიქეცა მას ეს საქონლის ღირებულებაზე.

გარდა ნედლეულის და მანქანების მოკლედ, მუდმივი კაპიტალის ფასისა, კაპიტალისა, რომელიც კაპიტალისტს წარმოების ყოველ განსაკუთრებულ სფეროში ფარედან მოცემულ სიდიდედ წარმოუდგება და რომელიც ყოველ კაპიტალისტთან გარკვეული ფასით წარმოებაში შედის, — კაპიტალისტმა თავისი საქონლის ფასის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს ორი რამ. [ჯერ ერთი] მან უნდა მიუმატოს შრომის საზღაურის ფასი, რაც აგრეთვე მას (გარკვეულ ფარგლებში) წინასწარ მოცემულად წარმოუდგება. საქონლის «ბუნებრივ ფასად» იგულისხმება არა საბაზრო ფასი, არამედ საშუალო საბაზრო ფასი ბევრად თუ ცოტად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ანუ ის ცენტრალური წერტილი, რომლისკენაც საბაზრო ფასი მიისწრაფვის. მაშასადამე, აქ შრომის საზღაურის ფასი საერთოდ მოცემულია სამუშაო ძალის ღირებულებით. რაც შეეხება [მეორე] მოგების ნორმას — «მოგების ბუნებრივ ნორმას», — იგი მოცემულია საქონელთა მთელი ერთობლიობის ღირებულებით, რომელსაც ქმნის არასამიწათმოქმედო წარმოებაში გამოყენებული კაპიტალების ერთობლიობა.

სახელდობრ, ვს არის ყველა საქონლის ერთობლივი ღირებულების გადანამეტი მათში მოთავსებული მუდმივი კაპიტალის ღირებულებასა და ხელფასის ღირებულებაზე. ერთობლივი ზედმეტი ღირებულება, რასაც ეს ერთობლივი კაპიტალი ქმნის, შეადგენს მოგების აბსოლუტურ მასას. მოგების ამ აბსოლუტური მასის შეფარდება მთელ ავანსებულ კაპიტალთან განსაზღვრავს მოგების საერთო ნორმას. ამრიგად, მოგების ეს საერთო ნორმაც გვევლინება აგრეთვე — არა მარტო ცალკეული კაპიტალისტის მიმართ, არამედ წარმოების ყოველ განსაკუთრებულ სფეროს კაპიტალის მიმართაც—როგორც გარედან მოცემული რამ. ნედლეულზე და ა. შ. გაწეულ იმ დანახარჯთა ფასს [606], რომელთაც პროდუქტი შეიცავს, და შრომის საზღაურის «ბუნებრივ ფასს» საჭიროა, მაშასადამე, მან მიუმატოს საერთო მოგება, ვთქვათ 10%-ის ოდენობით, რათა შედეგად — როგორც ეს მას გარდუვალად წარმოუდგება—დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილების შეკრების, ანუ მათი შეერთების, გზით საქონლის «ბუნებრივი ფასი» მიიღოს. საქონლის გაყიდვისას მის «ბუნებრივ ფასსა» იხდიან თუ ამ ფასზე მეტს ან ნაკლებს, ეს დამოკიდებულია მოცემულ მომენტში არსებულ საბაზრო ფასის დონეზე. ხარჯთფასში, რამდენადაც იგი ღირებულებისაგან განსხვავდება, შედის მხოლოდ ხელფასი და მოგება. რენტა კი მხოლოდ იმდენად შედის, რამდენადაც იგი უკვე შესულია ნედლეულზე, მანქანებზე და ა. შ. გაწეულ დანახარჯთა ფასში, მაშასადამე, არა როგორც რენტა კაპიტალისტის თვალსაზრისით, რომელსაც საერთოდ ნედლეულის, მანქანების, მოკლედ — მუდმივი კაპიტალის, ფასი წარმოუდგება როგორც რაღაც მთელი, წინასწარ წამძღვარებული.

რენტა არ შედის, როგორც დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილი, ხარჯთფასში. თუ განსაკუთრებულ გარემოებაში მიწათმოქმედების პროდუქტი თავისი ხარჯთფასის კვალობაზე იყიდება, მაშინ არავითარი რენტა არ არსებობს. მაშინ მიწის საკუთრება ეკონომიურად არ არსებობს კაპიტალისათვის; სახელდობრ, იგი არ არსებობს იმ შემთხვევაში, თუ ამ სფეროს პროდუქტის საბაზრო ღირებულებას არეგულირებს მიწის იმ თანრიგის პროდუქტი, რომელიც ხარჯთფასის მიხედვით იყიდება. არეგულირებს [რიკარდოს თეორიის აზრით]. (Iთანრიგთან D ცხრილში საქმის ვითარება სხვაგვარადაა [91].)

ანდა (აბსოლუტური) რენტა არსებობს. ამ შემთხვევაში მიწათმოქმედების პროდუქტი თავის ხარჯთფასზე უფრო მაღლა იყიდება. იგი იყიდება თავისი ღირებულების მი-

ხედვით, რომელიც მის ხარჯთფასს აღემატება. პროდუქტის საბაზრო ღირებულებაში კი რენტა შედის ანუ, უფრო სწორად, მის ნაწილს შეადგენს. მაგრამ მოიჯარეს რენტა წარმოუდგება როგორც წინასწარ მოცემული სავსებით ისევე, როგორც მოგება წარმოუდგება მრეწველს. იგი მოცემულია როგორც მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულების გადანამატი მის ხარჯთფასზე. მაგრამ მოიჯარე სავსებით ისევე ანგარიშობს, როგორც კაპიტალისტი: ჯერ ერთი — დანახარჯი მუდმივ კაპიტალზე, მეორე — ხელფასი, მესამე — საშუალო მოგება, ბოლოს — რენტა, რომელიც აგრეთვე წარმოუდგება მას როგორც წინასწარ მოცემული. ეს არის სწორედ მისთვის «ბუნებრივი ფასი», მაგალითად, ხორბლისა. გადაუხდიან თუ არა ამ ფასს მას, ეს კვლავ დამოკიდებულია ბაზრის მდგომარეობაზე ყოველ მოცემულ მომენტში.

თუ — სინამდვილეში არსებული საქმის ვითარების შესაბამისად, — მხედველობაში ვიქონიებთ სხვაობას ხარჯთფასსა და ღირებულებას შორის, ნათელი იქნება, რომ რენტას არასოდეს არ შეუძლია შევიდეს ხარჯთფასში დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილის სახით და რომ შემადგენელ ნაწილებზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ხარჯთფასზე განსხვავებით საქონლის ღირებულებისაგან. (დიფერენციული რენტა, ისევე როგორც ზემოგებაც, არასოდეს არ შედის [ინდივიდუალურ] ხარჯთფასში, რადგან იგი ყოველთვის მხოლოდ საბაზრო ხართჯფასის [92] გადანამატია ინდივიდუალურ ხარჯთფასზე, ანუ საბაზრო ღირებულების გადანამატი ინდივიდუალურ ღირებულებაზე).

მაშასადამე, რიკარდო არსებითად მართალია, როცა ა. სმიტის საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ რენტა არასოდეს არ შედის ხარჯთფასში. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი არ არის მართალი, რადგან ამას ამტკიცებს არა იმით, რომ ხარჯთფასსა და ღირებულებას ერთმანეთისაგან განასხვავებს, არამედ იმით, რომ, ა. სმიტთან ერთად, აიგივებს მათ; ნამდვილად კი არც რენტა, არც მოგება, არც ხელფასი არ წარმოადგენენ ღირებულების დამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილებს, თუმცა ღირებულება შეიძლება დაიშალოს ხელფასად, მოგებად და რენტად, თანაც თანაბარი უფლებით ყველა ამ სამ ნაწილად, თუ ისინი სამივენი არსებობენ. რიკარდოს მსჯელობა ასეთია: რენტა არ ქმნის მიწათმოქმედების პროდუქტის «ბუნებრივი ფასის» დამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილს,

რადგან ყველაზე მწირი მიწის პროდუქტის ფასი, რომელიც ამ პროდუქტის ხარჯთფასს უდრის და ამ პროდუქტის ღირებულების იდენტურია, განსაზღვრავს მიწათმოქმედების პროდუქტის საბაზრო ღირებულებას; მაშასადამე, რენტა არ ქმნის ღირებულების არავითარ ნაწილს, რადგან იგი არ ქმნის «ბუნებრივი ფასისა» არავითარ ნაწილს, ეს «ბუნებრივი ფასი» კი უდრის ღირებულებას. მაგრამ სწორედ ეს არ არის მართალი. ყველაზე ცუდ მიწაზე მოყვანილი პროდუქტის ფასი უდრის ხოლმე მის ხარჯთფასს ან მაშინ, როცა ეს პროდუქტი თავის ღირებულებაზე უფრო დაბლა იყიდება, ე. ი. სრულებითაც არა იმიტომ, რომ იგი, როგორც რიკარდო ამბობს, თავისი ღირებულების მიხედვით იყიდება; ანდა მაშინ, როცა მიწათმოქმედების პროდუქტი საქონელთა ისეთ სახეობას ეკუთვნის, მათს იმ თანრიგს, სადაც, გამონაკლისის სახით, ღირებულება და ხარჯთფასი იდენტურნი არიან. ეს ის შემთხვევაა, როცა ზედმეტი ღირებულება, რომელიც წარმოების რომელიმე განსაკუთრებულ სფეროში მოცემული კაპიტალის, მაგალითად, 100 ფუნადი ერთეულის, დახარჯვით იქმნება, შემთხვევით ემთხვევა იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც საშუალოდ უწევს ერთობლივი კაპიტალის ასეთსავე სათანადო ნაწილს (მაგალითად, 100 ფუნადად ერთეულს). ესაა, მაშასადამე, რიკარდოს არევ-დარევაც.

რაც შეეხება ა. სმიტს, მას, რამდენადაც იგი ხარჯთფასსა და ღირებულებას აიგივებს და ამ მცდარი წანამძღვრიდან გამოდის, უფლება აქვს თქვას, რომ რენტა, ასევე შოგებაც და ხელფასიც «ბუნებრივი ფასის» დამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილებსა» ქმნიან. პირიქით, არათანამიმდევრულობა მისი მხრივ ისაა, რომ შემდგომ გადმოცემაში იგი მაინც ამტკიცებს, რომ რენტა არ შედის იმგვარადვე «ბუნებრივ ფასში», როგორც ხელფასი და მოგება შედის. ამ არათანამიმდევრულობას ის იმიტომ უშვებს, რომ დაკვირვებას და სწორ ანალიზს იგი მაინც მიჰყავს იმის აღიარებამდე, რომ არსებობს გარკვეული სხვაობა არამიწათმოქმედების პროდუქტის «ბუნებრივი ფასისა» და მიწათმოქმედების პროდუქტის საბაზრო ღირებულების განსაზღვრაში. მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით შემდგომში, როცა ლაპარაკი გვექნება სმიტის რენტის თეორიის განხილვისას.

[4) რიკარდოს შეხედულებანი მიწათმოქმედების გაუმჯობესებაზე. რიკარდომ ვერ გაიგო სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანული შედგენილობის ცვლილებათა ეკონომიური შედეგები]

[607] «ჩვენ დავინახეთ, რომ დამატებითი კაპიტალის ყოველ ნაწილთან ერთად, როცა აუცილებელი ხდება მისი გამოყენება ისეთ მიწაზე, რომელიც იმავე დანახარჯის პირობებში პროდუქტის ნაკლებ რაოდენობას იძლევა, რენტა იზრდება».

(მაგრამ დამატებითი კაპიტალის ყოველი ნაწილი როდი იძლევა იმავე დანახარჯზე პროდუქტის ნაკლებ რაოდენობას.)

«იმავე პრინციპებიდან გამომდინარეობს, რომ ყველა ის გარემოება საზოგადოების ცხოვრებაში, რაც ზედმეტად ხდის წინანდელი რაოდენობის კაპიტალის გამოყენებას მიწაზე და ამიტომ უფრო მწარმოებლურს ხდის კაპიტალის უკანასკნელ დაბანდებულ ნაწილს, დასწევს რენტას» (გვ. 68).

ე. ი. ეს გარემოებანი დასწევენ აბსოლუტურ რენტას, მაგრამ არა აუცილებლად დიფერენციულ რენტას (იხ. ცხრილი B).

ასეთი გარემოებანი შეიძლება იყოს «ქვეყნის კაპიტალის შემცირება», რასაც თან ახლავს მოსახლეობის შემცირება, მაგრამ ასევე სამიწათმოქმედო შრომის მწარმოებლური ძალების უფრო მაღალი განვითარებაც:

«მაგრამ ასეთივე შედეგების მიღება შეიძლება ქვეყნის სიმდიდრისა და მოსახლეობის გადიდებისას, თუ ამ გადიდებას თან ახლავს ისეთი აშკარა გაუმჯობესებანი მიწათმოქმედებაში, რომლებიც ამავე შედეგს იძლევიან — ამცირებენ იმის აუცილებლობას, რომ მუშავდებოდეს უფრო მწარი მიწები ან კაპიტალის წინანდელი რაოდენობა იხარჯებოდეს უფრო ნაყოფიერი მიწების დამუშავებაზე» (გვ. 68 — 69).

(უცნაურად ივიწყებს აქ რიკარდო ისეთ გაუმჯობესებებს, რომელთაც შედეგად მოსდევს უფრო მწირი მიწების ხარისხის გაუმჯობესება და მათი გადაქცევა უფრო მდიდარ მიწებად — თვალსაზრისი, რომელიც გაბატონებულია ანდერსონთან.)

მეტად მცდარია რიკარდოს შემდეგი დებულება:

«თუ მოსახლეობა არ იზრდება, შეუძლებელია არსებობდეს ხორბლის დამატებითი რაოდენობის მოთხოვნა» (გვ. 69).

თუ აღარაფერს ვიტყვით უკვე იმაზე, რომ ხორბლის ფასის დაცემასთან ერთად თავს იჩენს სხვა ისეთი ნედლი პროდუქტების მოთხოვნა, როგორიცაა ბოსტნეული, ხორცი და სხვ., და რომ პურისაგან შეიძლება გამოვხადოთ არაყი და სხვ., — რიკარდო აქ იმ ვარაუ-

დიდან გამოდის, რომ მთელი მოსახლეობა მოიხმარს იმდენ ხორბალს, რამდენიც მას სურს. ეს არ არის სწორი.

{ «ჩვენი მოხმარების კოლოსალური გადიდება 1848, 1849, 1850 წლებში გვიჩვენებს, რომ მანამდე ჩვენ გვქონდა კვების ნაკლებობა და რომ ფასები მაღალ დონეზე იყო შეჩერებული არასაკმაო მიწოდების გამო «Newman, F. W. Lectures on Political Economy. London», 1851. გვ. 158).

იგივე ნიუმენი ამბობს:

«რიკარდოს არგუმენტი, რომ რენტას არ შეუძლია ფასის გადიდება, იმ ვარაუდს ემყარება, რომლის მიხედვით რენტის მოთხოვნის უფლების არსებობას სინამდვილეში არასოდეს არ შეუძლია შეამციროს მიწოდება. და რატომ არ შეუძლია? არსებობს მიწის დიდი სივრცენი, რომელთაც დაუყოვნებლივ დამუშავებდნენ, თუ მათში რენტას არავინ მოითხოვდა, და რომლებიც ხელოვნურად რჩება დაუმუშავებელი ან იმიტომ, რომ მიწის მესაკუთრეებს შეუძლიათ ხელსაყრელ პირობებში გასცენ ისინი იჯარით როგორც სანადირო ადგილი, ანდა იმიტომ, რომ მათ ურჩევნიათ რომანტიკული ველურობა იმ უმნიშვნელო ნომინალურ რენტას, რითაც შემოიფარგლებოდა მათი შემოსავალი, თუ ისინი ამ მიწების დამუშავების ნებას დართავდნენ» (გვ. 159). }

საერთოდ არ არის სწორი, თითქოს მიწის მესაკუთრეს, იმ შემთხვევაში, თუ თავის მიწას ხორბლეულის წარმოებიდან ამოიღებს, არ შეუძლია მასში რენტა მიიღოს: მას შეუძლია რენტის მიღება, თუ თავის მიწას გადააქცევს საძოვრებად ან სამშენებლო ნაკვეთებად ანდა, როგორც ამას ადგილი აქვს მთიანი შოტლანდიის ზოგიერთ რაიონებში, ნადირობისათვის განკუთვნილ ხელოვნურ ტყეებად.

რიკარდო განაცხადებს ორგვარ გაუმჯობესებას მიწათმოქმედებაში. გაუმჯობესებათა ერთი სახეობა

«ადიდებს მიწის მწარმოებლურ ძალებს... ასეთია, მაგალითად, უფრო რაციონალური თესლბრუნვა ან სასუქების უკეთესი შერჩევა. ეს გაუმჯობესებანი უეჭველად იძლევიან იმის შესაძლებლობას, რომ მიწის ნაკლები ფართობიდან პროდუქტთა იგივე რაოდენობა მივიღოთ» (გვ. 70).

ამ შემთხვევაში, რიკარდოს აზრით, რენტა უნდა ეცემოდეს.

«თუ, მაგალითად, კაპიტალის ერთიმეორის მიყოლებით დაბანდებული ნაწილები იძლევიან 100, 90, 80, 70 კვარტერს, მაშინ, სანამ მე ამ თოხ ნაწილს ეხარჯავ, ჩემი რენტა შეადგენს 60 კვარტერს, ანუ სხვაობა

70 და 100-ისა = 30 70 და 90-ისა = 20 70 და 80-ისა = 10 ——— 60	, პროდუქტი კი შეიდგენს	100 90 80 70 ——— 340 კვარტერს;

და სანამ მე ამ ნაწილებს ვხარჯავ, რ ე ნ ტ ა დ ა რ ჩ ებ ა უ წ ი ნ დ ე ლ ი, ამ შემთხვევაშიც კი, თუ კაპიტალის ყოველი ნაწილის პროდუქტი კვარტერთა ე რ თ ნ ა ი რ ი რაოდენობით გადიდდებოდა».

(თუ პროდუქტი კვარტერთა ა რ ა ე რ თ ნ ა ი რ ი რაოდენობით გადიდდებოდა, მაშინ რენტა, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ი ნაყოფიერებისა, შეიძლება გაზრდილიყო.)

«თუ პროდუქტი გადიდდებოდა 125, 115, 105 და 95 კვარტერამდე — ნაცვლად 100, 90, 80, 70-ისა, — მაშინ რენტა უწინდებურად იქნებოდა 60 კვარტერი, ანუ სხვაობა

[608] 95 და 125-ისა = 30 95 და 115-ისა = 20 95 და 105-ისა = 10 ——— 60	. მაშინ როდესაც პროდუქტი გადიდდებოდა 440 კვარტერამდე:	125 115 105 95 ——— 440.

მაგრამ პროდუქტის ასეთი ზრდისას, მოთხოვნის გ ა უ დ ი დ ე ბ ლ ი დ, არ იქნებოდა სტიმული ამდენი კაპიტალის მიწაში დაბანდებისათვის; კაპიტალის ერთ ნაწილს ამოიღებდნენ წარმოებიდან, და, მაშასადამე, მისი უკანასკნელი ნაწილი მოგვცემდა 105 კვარტერს და არა 95-ს, და რენტა დაეცემოდა 30 კვარტერამდე. ანუ სხვაობამდე

105 და 125-ისა = 20 105 და 115-ისა = 10 ——— 30	, მაშინ როდესაც პროდუქტი მაინც საკმაო იქნებოდა მოსახლეობის მოთხოვნილების და საკმაყოფილებლად, იმიტომ რომ იგი შეადგენდა 345 კვარტერს:	125 115 105 ——— 345»

(გვ. 71 — 72).

თუ აღარაფერს ვიტყვით უკვე იმაზე, რომ ფასის დაცემისას მოთხოვნა შეიძლება იზრდებოდეს მოსახლეობის გ ა უ დ ი დ ე ბ ლ ა დ (რიკარდო თვითონ გულისხმობს, რომ მის მიერ მოცემულ მაგალითში მოთხოვნა გაიზარდა 5 კვარტერით), — რიკარდო ხომ სწორედ იმიტომ გამოდის ნაკლებად ნაყოფიერ მიწებზე მუდმივი გადასვლის ვარაუდიდან, რომ მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდება, ე. ი. იზრდება მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მოიხმარს მარცვლეულს, იკვებება პურით, და ეს ნაწილი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე

მთლიანად აღებული მოსახლეობა, რადგან პური კვების მთავარი საშუალებაა მოსახლეობის მეტი ნაწილისათვის. ამიტომ სრულიად არ არის საკალდებულო იმის ვარაუდი, რომ [სამიწათმოქმედო] კაპიტალის მწარმოებლობის ზრდას თან არ ახლავს მოთხოვნის ზრდა და რომ რენტა, მაშასადამე, ამასთან ეცემა. რენტა შეიძლება გადიდდეს, თუ მიწათმოქმედების გაუმჯობესებამ არაერთნაირად იმოქმედა მიწის სხვადასხვა თანრიგთა ხარისხის სხვაობაზე.

დანარჩენში ეჭვს გარეშეა (ცხრილები B და E), რომ ნაყოფიერების გადიდებას — უცვლელი მოთხოვნის დროს — შეუძლია არა მარტო განდევნოს ბაზრიდან ყველაზე ცუდი მიწა, არამედ ისიც კი გამოიწვიოს იძულებითი წესით, რომ ხორბლის წარმოებიდან ამოიღებ ა იმ კაპიტალის ნაწილიც, რომელიც უფრო ნაყოფიერ მიწაშია დაბანდებული (ცხრილი B). ამ შემთხვევაში ხორბლით გამოსახული რენტა ეცემა, თუ პროდუქტის გადიდება მიწის სხვადასხვა თანრიგში ერთნაირია.

შემდეგ რიკარდო გადადის მეორე საკის გაუმჯობესებებზე მიწათმოქმედებაში:

«მაგრამ არსებობს გაუმჯობესებანი, რომელთაც შეუძლიათ შეამცირონ პროდუქტის შეფარდებითი ღირებულება ხორბლით გამოსახული რენტის შეუმცირებლად, თუმცა ისინი ფულად მიწის რენტას აკლებენ. ასეთი გაუმჯობესებანი არ ადიდებენ მიწის მწარმოებლურ ძალებს, მაგრამ შესაძლებელია გვაძლევენ მისი პროდუქტი შრომის ნაკლები დანახარჯით. მივიღოთ. ისინი მიმართულია უფრო იმისაკენ, რისგანაც მიწაში დაბანდებული კაპიტალი შედგება, ვიდრე თვით მიწის დამუშავების მეთოდებისაკენ. ასეთ ხასიათს ატარებენ სასოფლო-მეურნეო იარაღების გაუმჯობესებანი, მაგალითად, გუთნები და სალეწი მანქანები, სოფლის მეურნეობაში ცხენების გამოყენების ეკონომია და ვეტერინარული ხელოვნების უკეთესი ცოდნა. ამის მეოხებით მიწაში ბანდდება ნაკლები კაპიტალი, ანუ, რაც იგივეა, გამოიყენება ნაკლები შრომა; მაგრამ პროდუქტის იმავე რაოდენობის მისაღებად საჭიროა დამუშავდეს მიწის იგივე და არა ნაკლები რაოდენობა. ახლენენ თუ არა, მოუხედავად ამისა, ამ საკის გაუმჯობესებანი გაკლენას ხორბლით გამოსახულ რენტაზე, ეს დამოკიდებულია იმაზე, იზრდება, უცვლელი რჩება თუ მცირდება სხვაობა იმ პროდუქტისა, რომელიც კაპიტალის სხვადასხვა ნაწილების გამოყენებისას მიიღება».

ეს რიკარდოს უნდა ელიარებინა მიწების ბუნებრივი ნაყოფიერების დროსაც. ამცირებს მიწების ახალ თანრიგებზე გადასვლა დიფერენციიულ რენტას, ტოვებს მას უცვლელად თუ ადიდებს,—ეს დამოკიდებულია იმაზე, იზრდება, უცვლელი რჩე-

ბა თუ მცირდება სხვადასხვა ნაყოფიერების მქონე ამ მიწებზე გამოყენებული კაპიტალის პროდუქტის სხვაობა.

«თუ მიწაში ბანდდება კაპიტალის ოთხი ნაწილი — 50, 60, 70, 80, რომელთაგანაც თვითეული თანაბარ შედეგებს იძლევა, და თუ რაიმე გაუმჯობესება ასეთი კაპიტალის შედგენილობაში შესაძლებლობას მაძლევს თვითეული ნაწილიდან ამოვიღო 5, ანუ რომ ისინი შეადგენენ მხოლოდ 45, 55, 65 და 75-ს, მაშინ ხორბლით გამოსახულ რენტაში არავითარი ცვლილება არ მოხდება. მაგრამ თუ ეს გაუმჯობესებანი ისეთია, რომ შესაძლებლობას მაძლევენ ყველა დანაზოგი კაპიტალის მხოლოდ იმ ნაწილში მოვახდინო, რომლის გამოყენებაც ყველაზე ნაკლები მწარმოებლობით ხასიათდება, მაშინ ხორბლით გამოსახული რენტა მყისეე დაეცემა, რადგან შემცირდება სხვაობა ყველაზე მეტი მწარმოებლობისა [609] და ყველაზე ნაკლები მწარმოებლობის კაპიტალებს შორის, და ეს სხვაობა შეადგენს სწორედ რენტას» (გვ. 73 — 74).

ეს სწორია დიფერენციული რენტისათვის, რომელიც, რიკარდოს თანახმად, მხოლოდ ერთადერთი არსებობს.

პირიქით, ნამდვილ საკითხს რიკარდო სრულიად არ ეხება. ამ საკითხის გადაწყვეტისას ლაპარაკია არა იმაზე, რომ მცირდება ცალკეული კვარტერის ღირებულება, ასევე არა იმაზე, საჭიროა თუ არა დამუშავდეს მიწის იგივე რაოდენობა, მიწის იმავე თანრიგების იგივე რაოდენობა, რაც უწინ მუშავდებოდა, არამედ ლაპარაკია იმაზე, დაკავშირებულია თუ არა მუდმივი კაპიტალის გაიაფებასთან, — ეს მუდმივი კაპიტალი კი, ვარაუდის თანახმად, ახლა ნაკლები შრომა ღირს, — მიწათმოქმედებაში გამოყენებული უშუალო შრომის წინანდელი რაოდენობის შემცირება, გადიდება თუ უცვლელად დარჩენა. მოკლედ, ხდება თუ არა კაპიტალში ორგანული ცვლილება.

ავიღოთ ჩვენი მაგალითი, წარმოდგენილი A ცხრილით (გვ. 574, რვეული XI) *, და ნახშირის ნაცვლად ჩავსვათ ხორბლის კვარტერები.

აქ ივარაუდება, რომ არასამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა = 80c + 20v, სამიწათმოქმედო კაპიტალისა = 60c + 40v და რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა ორივე შემთხვევაში უდრის 50%-ს. ამიტომ სამიწათმოქმედო კაპიტალის [აბსოლუტური] რენტა, ანუ მისი პროდუქტის ღირებულების გადანამეტი მის ხარჯთფასზე, შეადგენს 10 გირვ. სტერლინგს. ამრიგად, ჩვენ გვექნებოდა შემდეგი:

* იხ. ჩაწებებული ფურცლები, 353 — 354 გვერდებს შორის. რედ.

თანრიგი	კაპიტალი გ. სტ.	ხარჯების კვარტერი	ეროვნული პროდუქტების საერთო ღირ. გ.	ვაჭრობის ფასი ...	კვარტერის ინდივიდუალური ღირებულება	კვარტერის დიფერენციული ღირებულება
I	100	60	120	2	2 გ. სტ. = 4 შილ.	0
II	100	65	130	2	$1^{11}/_{13}$ გ. სტ. = 1 გ. სტ. $16^{12}/_{13}$ შილ.	$^{2}/_{13}$ გირ. სტ. = $3^{2}/_{13}$ შილ.
III	100	75	150	2	$1^{2}/_{3}$ გ. სტ. = 1 გ. სტ. 12 შილ.	$^{2}/_{3}$ გ. სტ. = 8 შილ.
სუ ლ	300	200	400			

	ხარჯთფასი კვარტერზე	ამ. რენტა გირვ. სტერლ.	დიფ. რენტა ...	ამ. რენტა ...	დიფ. რენტა ...	რენტის საერთო ...	რენტის საერთო ...
I	$1^{1}/_{3}$ გ. სტ. = 1 გირ. სტ. $16^{2}/_{3}$ შილ. . . .	10	0	5	0	10	5
II	$1^{9}/_{13}$ გ. სტ.=1 გ. სტ. $13^{11}/_{13}$ ...	10	10	5	5	20	10
III	$1^{7}/_{15}$ გ. სტ. = 1 გ. სტ. $5^{1}/_{2}$ შილ. . . .	10	30	5	15	40	20
სუ ლ		30	40	15	20	70	35

პრობლემის წმინდა სახით გამოკვლევისათვის საჭიროა ვიგულისხმოთ, რომ [სამეწათმოქმედო] კაპიტალის (100 გირვ. სტერლ.) მუდმივი [ნაწილის] გაიაფვება სამივე თანრიგში თანაბარ გავლენას ახდენს I, II, III თანრიგებში გამოყენებული კაპიტალის სიდიდეზე; ეს იმიტომ რომ არათანაბარი გავლენა ეხება მხოლოდ დიფერენციულ რენტას და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საკითხთან, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. ამრიგად, ვიგულისხმოთ, რომ გაუმჯობესებათა გამო კაპიტალის იგივე მასა, წინათ რომ 100 გირვ. სტერლ. ღირდა, ახლა ღირს მხოლოდ 90 გირვ. სტერლინგი, ე. ი. რომ მისი ღირებულება შემცირდა $^{1}/_{10}$-ით, ანუ 10%-ით. მაშინ ისმება საკითხი. როგორია ამ გაუმჯობესებათა გავლენა სამეწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობაზე?

თუ თანაფარდობა ხელფასზე დახარჯულ კაპიტალსა [და მუდმივ კაპიტალს] შორის წინანდელი რჩება და თუ 100 გირვ. სტერლ. 60c+40v-ად იშლება, მაშინ 90 გირვ. სტერლ. დაიშლება 54c+

$+36v$-ად, და ამ შემთხვევაში I თანრიგის მიწაზე წარმოებული 60 კვარტერის ღირებულება იქნება 108 გირვ. სტერლინგი. თუ გაფა-ფეგა იმით გამოიხატა, რომ მუდმივი კაპიტალი, წინათ რომ 60 გირვ. სტერლ. ღირდა, ახლა სულ მხოლოდ 54 გირვ. სტერლ. ღირს, v კი (ანუ ხელფასზე დახარჯული კაპიტალი), 36-ის ნაცვლად, სულ მხოლოდ $32^2/_5$ გირვ. სტერლ. ღირს (შემცირება კიდევ $^1/_{10}$-ით), მაშინ 100 გირვ. სტერლ. ნაცვლად დახარჯული იქნებოდა $86^2/_5$. ამ კაპიტალის შედგენილობა იქნებოდა $54c+32^2/_5v$, 100-ზე გაანგარიშებით კი შედგენილობა იქნებოდა $62^1/_2c+37^1/_2v$. ამ პირობებში 60 კვარტერის ღირებულება I თანრიგში იქნებოდა $102^3/_5$ გირვ. სტერლინგი. ვიგულისხმოთ, ბოლოს, რომ, თუმცა მუდმივი კაპიტალის ღირებულება შემცირდა, მაგრამ ხელფასზე დახარჯული კაპიტალი თავისი აბსოლუტური ოდენობით უცვლელი დარჩა, მაშასადამე,— გაიზარდა მუდმივ კაპიტალთან შეფარდებით, აგე რომ 90 გირვ. სტერლ. დახარჯული კაპიტალი დაიშლება $50c+40v$-ად, მისი შედგენილობა კი 100-ზე გაანგარიშებით იქნება $55^5/_9c+44^4/_9v$.

ახლა ვნახოთ, როგორი მდგომარეობა გვაქვს ყველა ამ სამ შემთხვევაში ხორბლით გამოსახული რენტისა და ფულადი რენტის მიმართ. B შემთხვევაში თანაფარდობა c-სა და v-ს შორის უცვლელი რჩება, თუმცა ორივეს ღირებულება მცირდება. C შემთხვევაში [610] c-ს ღირებულება მცირდება, მაგრამ შეფარდებით კიდევ უფრო მეტად მცირდება v-ს ღირებულება. D შემთხვევაში მცირდება მხოლოდ c-ს ღირებულება, v-ს ღირებულება კი უცვლელი რჩება.

ჯერ აღვადგინოთ წინა გვერდზე ასახული თავდაპირველი ცხრილი* [შემდეგ კი შევადაროთ მას ახალი ცხრილები B, C და D, რომლებიც სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანული შემადგენელი ნაწილების ღირებულებაში მომხდარ ცვლილებათა ზემოაღნიშნული შემთხვევების ილუსტრაციას იძლევიან] **.

---

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 430. რედ.

** ხელნაწერში შემდეგ მოცემულია ერთიმეორის ქვეშ მოთავსებული ცხრილები A, B, C, D, რომლებიც ამ ტომის მეორე ნაწილში დაბეჭდილია 432—433 გვერდებზე. ზოგიერთი გრაფა C და D ცხრილებში შეუფასებელი დარჩენილა ხელნაწერში. ციფრები, რომლებიც აკლდა, ჩაწერილია რედაქციის მიერ. უკანასკნელ გრაფის სათაური («კაპიტალის შედგენილობა და აბსოლუტური რენტის ნორმა»), რომელიც ხელნაწერში არ იყო, დამატებულია რედაქციის მიერ ამ გრაფის საფუძველზე. რედ.

თამაშობა	ქალბატონი ს.	ბატონი ბ.	ეროვნული ეროვნული ბატონი ლორდი	კვარტერის სარბაობა ლიოვანულება	კვარტერის ინგლისური ლიოვანულება	კვარტერის ფიფინ ეროული ლორ-ულება	ბარგადგენილი კვარტერზე
A							
I	100	60	120	2 ვ. სტ.= =40 შ.	2 ვ. სტ.= =40 შ.	0	$1^{6}/_{8}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $16^{2}/_{3}$ შ.
II	100	65	130	2 ვ. სტ.= =40 შ.	$1^{11}/_{12}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $16^{12}/_{13}$ შ.	$^{3}/_{13}$ ვ. სტ.= $=3^{1}/_{12}$ შ.	$1^{9}/_{12}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $13^{11}/_{12}$ შ.
III	100	75	150	2 ვ. სტ.= =40 შ.	$1^{6}/_{5}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. 12 შ.	$^{2}/_{5}$ ვ. სტ.= =8 შ.	$1^{7}/_{10}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $9^{1}/_{3}$ შ.
სულ	300	200	400				
B							
I	90	60	108	$1^{4}/_{5}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. 16 შ.	$1^{4}/_{5}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. 16 შ.	0	$1^{20}/_{00}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. 13 შ.
II	90	65	117	$1^{4}/_{5}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. 16 შ.	$1^{13}/_{65}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $13^{9}/_{13}$ შ.	$^{9}/_{65}$ ვ. სტ.= $=2^{10}/_{13}$ შ.	$1^{24}/_{65}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $10^{11}/_{13}$ შ.
III	90	75	135	$1^{4}/_{5}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. 16 შ.	$1^{11}/_{35}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $8^{1}/_{5}$ შ.	$^{9}/_{25}$ ვ. სტ.= $=7^{1}/_{5}$ შ.	$1^{8}/_{35}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $6^{3}/_{5}$ შ.
სულ	270	200	360				
C							
I	$86^{2}/_{5}$	60	$102^{2}/_{5}$	$1^{71}/_{100}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $14^{4}/_{5}$ შ.	$1^{71}/_{100}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $14^{4}/_{5}$ შ.	0	$1^{79}/_{128}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $11^{27}/_{32}$ შ.
II	$86^{2}/_{5}$	65	$111^{2}/_{20}$	$1^{71}/_{100}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $14^{4}/_{5}$ შ.	$1^{168}/_{275}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $11^{27}/_{55}$ შ.	$^{171}/_{1300}$ ვ. სტ. $=2^{41}/_{65}$ შ.	$1^{261}/_{1056}$ ვ. სტ. =1 ვ. სტ. $9^{70}/_{825}$ შ.
III	$86^{2}/_{5}$	75	$126^{1}/_{4}$	$1^{71}/_{100}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $14^{4}/_{5}$ შ.	$1^{46}/_{125}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $7^{9}/_{25}$ შ.	$^{171}/_{500}$ ვ. სტ.= $=6^{21}/_{25}$ შ.	$1^{107}/_{625}$ ვ. სტ. =1 ვ. სტ. $5^{43}/_{125}$ შ.
სულ	$259^{1}/_{5}$	200	342				
D							
I	90	60	110	$1^{5}/_{6}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $16^{2}/_{3}$ შ.	$1^{5}/_{6}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $16^{2}/_{3}$ შ.	0	$1^{10}/_{30}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. 13 შ.
II	90	65	$119^{1}/_{6}$	$1^{5}/_{6}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $16^{2}/_{3}$ შ.	$1^{10}/_{13}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $13^{11}/_{13}$ შ.	$^{11}/_{78}$ ვ. სტ.= $=2^{82}/_{89}$ შ.	$1^{24}/_{65}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $10^{9}/_{13}$ შ.
III	90	75	$137^{1}/_{3}$	$1^{5}/_{6}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $16^{2}/_{3}$ შ.	$1^{7}/_{15}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $9^{1}/_{3}$ შ.	$^{11}/_{90}$ ვ. სტ.= $=7^{1}/_{3}$ შ.	$1^{8}/_{21}$ ვ. სტ.= =1 ვ. სტ. $6^{2}/_{5}$ შ.
სულ	270	200	$366^{2}/_{3}$				

აბსოლუტური რენტა	დიფერენციალური	აბსოლუტური რენტა	დიფერენციალური	რენტის სულ.	რენტის სულ.	[კაპიტალის შედგენილობა და აბსოლუტური რენტის ნორმა]
10	0	5	0	10	5	60 *c* + 40 *v* 100 გ. სტ. სამიწათმოქმედო კაპიტალისათვის
10	10	5	5	20	10	80 *c* + 20 *v* 100 გ. სტ. სამრეწველო კაპიტალისათვის
10	30	5	15	40	20	აბსოლუტური რენტა—10 %
30	40	15	20	70	35	
9	0	5	0	9	5	54 *c* + 36 *v* 90 გ. სტ. სამიწათმოქმედო კაპიტალისათვის
9	9	5	5	18	10	60 *c* + 40 *v* 100 გ. სტ. სამიწათმოქმედო კაპიტალისათვის
9	27	5	15	36	20	აბსოლუტური რენტა—10 %
27	36	15	20	63	35	
$7\frac{14}{25}$	0	$4\frac{8}{19}$	0	$7\frac{14}{25}$	$4\frac{8}{19}$	$54\ c + 32\frac{2}{5}\ v$ $86\frac{2}{5}$ გ. სტ. სამიწათმოქმედო კაპიტალისათვის $62\frac{1}{2}\ c + 37\frac{1}{2}\ v$ 100 გ. სტ. სამიწათმოქმედო კაპიტალისათვის
$7\frac{14}{25}$	$8\frac{11}{20}$	$4\frac{8}{19}$	5	$16\frac{11}{100}$	$9\frac{8}{19}$	100 გ. სტ. კაპიტალის პროდუქტის ღირებულება—$118\frac{3}{4}$ გ. სტ.
$7\frac{14}{25}$	$25\frac{19}{20}$	$4\frac{8}{19}$	15	$33\frac{21}{100}$	$19\frac{8}{19}$	მაშასადამე, აბსოლუტური რენტა—$8\frac{3}{4}$ %
$22\frac{17}{25}$	$34\frac{1}{5}$	$15\frac{5}{19}$	20	$56\frac{22}{25}$	$35\frac{5}{19}$	
11	0	6	0	11	6	50 *c* + 40 *v* 90 გ. სტ. სამიწათმოქმედო კაპიტალისათვის $55\frac{5}{9}\ c + 44\frac{4}{9}\ v$ 100 გ. სტ. სამიწათმოქმედო კაპიტალისათვის
11	$9\frac{1}{5}$	6	5	$20\frac{1}{5}$	11	100 გ. სტ. კაპიტალის პროდუქტის ღირებულება—$122\frac{2}{9}$ გ. სტ.
11	$27\frac{1}{2}$	6	15	$38\frac{1}{2}$	21	აბსოლუტური რენტა—$12\frac{2}{9}$ %
33	$36\frac{2}{5}$	18	20	$69\frac{2}{5}$	38	

* * *

[611] [432—433 გვერდებზე] მოცემული კრებსითი ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ:

თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ, A შემთხვევაში, თანაფარდობა [საბრწათმოქმედო კაპიტალის ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის] იყო 60c+40v; თვითეულ თანრიგში დაბანდებული კაპიტალი შეადგენდა 100 გირვ. სტერლინგს. ფულით გამოსახული რენტა უდრიდა 70 გირვ. სტერლინგს, ხორბლით გამოსახული რენტა კი — 35 კვარტერს.

B შემთხვევაში მუდმივი კაპიტალი გაიაფდა, ასე რომ თვითეულ თანრიგში ბანდდება მხოლოდ 90 გირვ. სტერლინგი, მაგრამ შესაბამისად გაიაფდა ცვალებადი კაპიტალიც, ასე რომ თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა იგივე რჩება. აქ ფ უ ლ ა დ ი რ ე ნ ტ ა მცირდება, ხორბლით გამოხატული რენტა იგივე რჩება; ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ა[93] ი გ ი ვ ე რ ჩ ე ბ ა. ფულადი რენტა მცირდება იმიტომ, რომ მცირდება დაბანდებული კაპიტალი. ხორბლით გამოსახული რენტა იგივე რჩება იმიტომ, რომ ფულის ნაკლები რაოდენობის დახარჯვისას ყოველ ფულად ერთეულზე იწარმოება ხორბლის უფრო მეტი რაოდენობა თანრიგების მიხედვით მისი წინანდელი განაწილებით.

C შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მუდმივი კაპიტალის გაიაფება; მაგრამ კიდევ უფრო მეტი ოდენობით მცირდება v, ასე რომ მუდმივი კაპიტალი შეფარდებით ძვირდება. ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ე ნ ტ ა ეცემა. ეცემა ხორბლის გამოსახული რენტაც და ფულადი რენტაც. ფულადი რენტა ეცემა იმიტომ, რომ კაპიტალი საერთოდ მნიშვნელოვნად შემცირდა, ხორბლით გამოსახული რენტა იმიტომ ეცემა, რომ აბსოლუტური რენტა დაეცა, მაშინ როდესაც სხვაობანი თანრიგებს შორის უცვლელი დარჩა, ასე რომ ყველა [ხორბლის რენტა ყველა თანრიგისა] თანაბრად ეცემა.

D ცხრილში კი ადგილი აქვს სრულიად საპირისპირო შემთხვევას. ეცემა მხოლოდ მუდმივი კაპიტალი, მაშინ როდესაც ცვალებადი კაპიტალი იგივე რჩება. ა ს ე თ ი ი ყ ო რ ი კ ა რ დ ო ს წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი. ამ შემთხვევაში, კაპიტალის შემცირების გამო, ფულადი რენტა სრულიად უმნიშვნელოდ ეცემა თავისი აბსოლუტური ოდენობით (მხოლოდ $^1/_3$ გირვ. სტერლინგით), მაგრამ მნიშვნელოვნად იზრდება დახარჯულ კაპიტალთან შეფარდებით. პირიქით, ხორბლით გამოსახული რენტა იზრდება თავისი აბსოლუტური ოდენობით. რატომ? იმიტომ, რომ აბსოლუტური რენტა გადიდდა 10-დან $12^2/_3$%-

მდე; ეს კი იმის შედეგად მოხდა, რომ გაიზარდა v c-თან შეფარდებით.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს შემდეგი:

	კაპიტალი	აბსოლ. რენტის ნორმა	აბსოლ. რენტა ბ. სდ.	დიფერ. რენტა ბ. სდ.	რენტა აბსოლ. ფასებებით	დიფერ. რენტა ფასებ.	რენტის საერთო ბ. სდ.	რენტის საერთო ფასები
A	$60c + 40v$	10%	30	40	15	20	70	35
B	$54c + 36v$ $(60c + 40v)$	10%	27	36	15	20	63	35
C	$54c + 32^2/_5v$ $(62^2/_5c + 37^2/_5v)$	$8^3/_4$%	$22^{17}/_{25}$	$34^1/_5$	$13^3/_{19}$	20	$56^{22}/_{25}$	$33^3/_{19}$
D	$50c + 40v$ $(55^5/_9c + 44^4/_9v)$	$12^2/_9$%	33	$36^2/_3$	18	20	$69^{-1}/_3$	38

* * *

რიკარდო განაგრძობს:

«ყველაფერს, რაც ამცირებს იმავე ან ახალ მიწაზე კაპიტალის გარკვეული ნაწილების თანამიმდევრული გამოყენებით მიღებული პროდუქტის სხვაობას, აქვს რენტის დაწევის ტენდენცია, ხოლო ყველაფერი, რაც ამ სხვაობას ადიდებს, აუცილებლად წარმოქმნის საწინააღმდეგო მოქმედებას და მას აქვს რენტის აწევის ტენდენცია» (გვ. 74).

ეს სხვაობა შეიძლება გადიდდეს მაშინაც, როცა კაპიტალი ამოიღება მიწათმოქმედებიდან, როცა ცუდი მიწა უფრო ნაყოფიერი ხდება, ანდა მაშინაც კი, როცა ნაკლებნაყოფიერი მიწა ბაზრიდან იდევნება.

(მიწის მესაკუთრე და კაპიტალისტი. 1862 წლის 15 ივლისის გაზეთი «Morning Star» [94] — მოწინააღმ. წერილში იმ საკითხის შესახებ, თუ ვის მოვალეობას შეადგენს (ნებაყოფლობით თუ იძულებით) დაეხმაროს ლანკაშირის და ა. შ. ბამბეულის მრეწველობის მუშებს, რომლებიც გაჩერებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ბამბის შიმშილისა და ამერიკაში სამოქალაქო ომის გამო, — წერს:

«ამ ადამიანებს აქვთ კანონიერი უფლება დახმარების მიღებისა იმ ქონებიდან, რაც მათ შეუქმნიათ, უმთავრესად, თავიანთი შრომით... ამბობენ, რომ ის ადამიანები, რომელთაც ბამბეულის ეწრეველობის მეთოდით დიდი სიმდიდრე შეეძინეს, პირველ რიგში ვალდებულნი არიან უნდა დახმარება გაიღონ. უეჭველია, რომ ეს სწორია... ის ნაწილი მათგან, რომელიც

ვაჭრობასა და მრეწველობას მისდევენ, ასეც იქცევა... მაგრამ არის თუ არა იგი ერთადერთი კლასი, რომელმაც ბამბეულის მრეწველობის საშუალებით ფული ამოქაჩა? რა თქმა უნდა, არა. ლანკაშირის და ჩრდილოეთ ჩეშირის მიწის მესაკუთრეებმა ასეთი გზით შექმნილი სიმდიდრიდან დიდი ნაწილი მიიღეს. და ამ მესაკუთრეებს იც განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდათ, რომ ამ სიმდიდრიდან წილი მიიღეს ისე, რომ — არც თავიანთი მარჯვენით, არც თავიანთი აზრით — არავითარი დახმარება არ გაუწევიათ იმ მრეწველობისათვის, რომელმაც ეს სიმდიდრე შექმნა... ფაბრიკანტმა გაიღო თავისი კაპიტალი, გამოიყენა თავისი ცოდნა, გამოიჩინა გულოდგინე სიფხიზლე [612] ამ დიდი მრეწველობის შესაქმნელად, რომელიც ამჟამად ასეთ მძიმე შერყევებს განიცდის; ფაბრიკის მუშამ გამოიყენა თავისი ცოდნა, დახარჯა თავისი დრო და თავისი ფიზიკური შრომა; და რა გაიღეს ლანკაშირის მიწის მესაკუთრეებმა? სრულიად არაფერი, არაფერი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით; და მიუხედავად ამისა ყოველივე აქედან მათ მიიღეს უფრო მეტი არსებითი სარგებლობა, ვიდრე სხვა რომელმე კლასმა... ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ მსხვილი ლენდლორდების წლიური შემოსავლის გადიდება, რაც გაპირობებულია მხოლოდ ამ ერთადერთი მიზეზით, უზარმაზარია: მათი შემოსავალი, ალბათ, არა ნაკლებ, სამჯერ გადიდდა».

კაპიტალისტი მუშების პირდაპირი ექსპლოატატორია, იგი არა მარტო პირდაპირ ითვისებს ზედმეტ შრომას, არამედ ასევე პირდაპირ იწვევს მის წარმოქმნას. მაგრამ რადგან მრეწველი კაპიტალისტისათვის ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ წარმოების შეშვეობით და წარმოების პროცესში, ამიტომ იგი თვით არის ამ პროცესის ფუნქციათა მატარებელი, მისი ხელმძღვანელი. პირიქით, ლენდლორდს აქვს მიწის საკუთრების სახით (აბსოლუტური რენტისათვის) და მიწის თანრიგთა ბუნებრივი სხვაობის სახით (დიფერენციული რენტა) ისეთი პრივილეგია, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს ამ ზედმეტი შრომის ანუ ზედმეტი ღირებულების ნაწილი ჩაიჯიბოს, თუმცა იგი არავითარ მონაწილეობას არ იღებს ამ ზედმეტი შრომის ხელმძღვანელობის საქმეში, ამ ზედმეტი ღირებულების წარმოქმნის საქმეში. ამიტომ, როცა კოლიზიები ხდება, კაპიტალისტი განიხილავს მიწის მესაკუთრეს უბრალოდ როგორც ზედმეტ და მავნე ხორცმეტს, როგორც კაპიტალისტური წარმოების სიბარბაროსულ პარაზიტს, როგორც მის, კაპიტალისტის, ტყავში დაბუდებულ მკბენარს.}

მე-3 თავის სათაურია «მაღაროთა რენტის შესახებ».

აქ კვლავ ნათქვამია:

«ეს რენტა» (მაღაროთა რენტა) «მსგავსად მიწის რენტისა, შედგება და არავითარ შემთხვევაში მიზეზი, მათი პროდუქტების მაღალი ღირებულებისა» (გვ. 76).

რაც შეეხება აბსოლუტურ რენტას, იგი არ არის არც შედეგი. არც მიზეზი «მაღალი ღირებულებისა»—იგი იმის შედეგია, რომ ღირებულება აღემატება ხარჯთფასს. ის გარემოება, რომ ამ გადანამეტს იხდიან მაღაროს ან მიწის პროდუქტისათვის და რომ ამ გზით მიიღება აბსოლუტური რენტა, არის არა ამ გადანამეტის შედეგი, — იმიტომ რომ ასეთი გადანამეტი არსებობს წარმოების მთელ რიგ დარგებში, სადაც იგი არ შედის ამ დარგების პროდუქტის ფასში, — არამედ მიწის საკუთრებისა.

დიფერენციული რენტის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი «მაღალი ღირებულების» შედეგია, თუ «მაღალი ღირებულება» უნდა გვესმოდეს როგორც პროდუქტის საბაზრო ღირებულების ის გადანამეტი ნამდვილ, ანუ ინდივიდუალურ, ღირებულებაზე, რომელსაც ადგილი აქვს მიწების ან მაღაროების შედარებით უფრო ნაყოფიერ თანრიგებში.

ის გარემოება, რომ ყველაზე ღარიბი მიწის ან ყველაზე ღარიბი მაღაროს პროდუქტის ფასის მარეგულირებელ «საცვლელ ღირებულებაში» რიკარდო სხვას არაფერს გულისხმობს, თუ არა ხარჯთფასს, ხოლო ამ უკანასკნელში სხვას არაფერს, თუ არა დანახარჯს პლუს ჩვეულებრივი მოგება, და რომ იგი შეცდომით აიგივებს ამ ხარჯთფასს ნამდვილ ღირებულებასთან, — ეს ნათლად ჩანს აგრეთვე შემდეგი ადგილიდან:

«დამუშავებაში მყოფი ყველაზე ღარიბი მაღაროდან მოპოვებულ ლითონს უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, ისეთი საცვლელი ღირებულება, რომელიც არა მარტო დაფარავდა მთელ ხარჯებს, რაც საჭიროა ტანსაცმლთან, საზრდოთი და სხვა აუცილებელი საარსებო საშუალებებით ყველი იმათ მოსამარაგებლად, ვინც დასაქმებულია ამ ლითონის მოპოვებითა და ბაზარზე გატანით, არამედ, გარდა ამისა, ჩვეულებრივ საშუალო მოგებას მისცემდა იმას, ვინც საწარმოს წარმართვისათვის საკირო კაპიტალს ავანსად გაიღებს. კაპიტალის მოგება, რაც ის უღარიბეს მაღაროდან მიიღება, რომელიც რენტას არ იხდის, იქნება ყველა სხვა, უფრო მეტი მწარმოებლობის მაღაროთა რენტას მარეგულირებელი. იგულისხმება, რომ ეს მაღაროი იძლევა კაპიტალის ჩვეულებრივ მოგებას. ყველაფერი, რასაც სხვა მაღაროები ამ მოგების გადაჭარბებით აწარმოებენ, აუცილებლად მიეცემა მათს მესაკუთრეებს რენტის სახით» (გვ. 76 — 77).

აქ, მაშასადამე, პირდაპირ ნათქვამია: რენტა არის მიწათმოქმედების პროდუქტის ფასის («საცვლელი ღირებულება» აქ იგივეა, რაც ფასი) გადანამეტი მის ხარჯთფასზე, ე. ი. ავანსებული კაპიტალის ღირებულებაზე პლუს კაპიტალის ჩვეულებრივი (საშუალო) მოგება.

მაშასადამე, თუ მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება მის წარმოების ხარჯზე მაღალია, მას შეუძლია რენტის გადახდა მიწების ყოველგვარი სხვაობის მიუხედავად, და მაშინ ყველაზე ღარიბ მიწას და ყველაზე ღარიბ მაღაროს შეუძლიათ იხადონ ისეთივე აბსოლუტური რენტა, როგორსაც ყველაზე მდიდარი მიწები და მაღაროები იხდიან. მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება რომ მის ხარჯთფასს არ აღემატებოდეს, მაშინ რენტის წარმოშობა შეეძლო მხოლოდ პროდუქტის საბაზრო ღირებულების გადანაშეტს მის ნამდვილ ღირებულებაზე, რომელიც შეფარდებით უფრო ნაყოფიერი მიწებიდან და ა. შ. მიიღება.

«თუ შრომის თანაბარ რაოდენობათა მეოხებით, ძირითადი კაპიტალის თანაბარ რაოდენობათა პირობებში, მაღაროდან, რომელიც რენტას არ იხდის, ყოველთვის ოქროს თანაბარ რაოდენობებს მოვიპოვებდით,.. მაშინ» (მოპოვებული ოქროს) «რაოდენობა გადიდდებოდა მოთხოვნასთან ერთად, მაგრამ ღირებულება მისი უცვლელი დარჩებოდა» (გვ. 79).

ის, რაც ძალაშია ოქროსა და მაღაროს მიმართ, ძალაში რჩება აგრეთვე ხორბლისა და მიწის მიმართაც. მაშასადამე, თუ ყოველთვის ექსპლოატაციაში იქნებოდა მიწის ერთნაირი თანრიგები და თუ ისინი შრომის თანაბარი ხარჯვით ყოველთვის თანაბარ პროდუქტს მოგვცემდნენ, [613] მაშინ გირვანქა ოქროსა და კვარტერი ხორბლის ღირებულება უცვლელი დარჩებოდა, თუმცა მათი რაოდენობა მოთხოვნასთან ერთად გადიდდებოდა. მაშასადამე, გაიზრდებოდა მათი რენტაც (რენტის ჯამი და არა ნორმა) პროდუქტის ფასში რაიმე ცვლილების გარეშე. გამოყენებული იქნებოდა მეტი კაპიტალი, მაგრამ ყოველთვის უცვლელი მწარმოებლობით. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია რენტის აბსოლუტური ჯამის ზრდისა, სრულიად დამოუკიდებლად პროდუქტის ფასის გადიდებისაგან, და ამიტომ იმ რენტათა საათანადო ცვლილებისაგან, რომელთაც სხვადასხვა მიწებისა და მაღაროების პროდუქტი იხდის.

[5) რენტაზე სმიტის შეხედულებათა და მალთუსის ზოგიერთი დებულების რიკარდოსეული კრიტიკა]

რიკარდოს წიგნის 24-ე თავის სათაურია «ადამ სმიტის მოძღვრება მიწის რენტაზე».

ეს თავი მეტად მნიშვნელოვანია რიკარდოსა და ა. სმიტს შორის არსებული სხვაობის გასაგებად. ამ სხვაობის (ა. სმიტის მიმართ) უფ-

რო ღრმა გარკვევას ჩვენ გადავდებთ, რადგან ex professo * სმიტის მოძღვრებას ჩვენ რიკარდოს მოძღვრების შემდეგ განვიხილავთ.

რიკარდო იმით იწყებს, რომ მ. სმიტიდან ციტატის სახით მოჰყავს ერთი ადგილი, სადაც სმიტი, რიკარდოს აზრით, სწორად განსაზღვრავს, როდის იძლევა მიწათმოქმედების პროდუქტის ფასი რენტას და როდის არა. მაგრამ შემდეგ სმიტი, როგორც რიკარდო აღნიშნავს, კვლავ ამტკიცებს, რომ მიწის ზოგიერთი პროდუქტი, მაგალითად, კვების საგნები, მუდამ უნდა იძლეოდნენ რენტას.

ამასთან დაკავშირებით რიკარდო აკეთებს შემდეგ შენიშვნას, და ეს მნიშვნელოვანია მ ი ს თ ვ ი ს, რიკარდოსთვის:

«მე ვფიქრობ, რომ ქვეყანაში, ყველაზე ნაკლებ კულტურულით დაყენებული და ყველაზე ცივილიზებულით დამთავრებული, არსებობს ჯერ კიდევ ისეთი ხარისხის მიწა, რომ მას არ ძალუძს მ ო გ ვ ც ე ს პ რ ო დ უ ქ ტ ი, რ ო მ ლ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ც ს ა კ მ ა რ ი ს ზ ე მ ე ტ ი ი ყ ო ს იმისათვის, რათა აანაზღაუროს მასზე დახარჯული კაპიტალი და გადაიხადოს ს ა შ უ ა ლ ო და მოცემულ ქვეყანაში ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ი მ ო გ ებ ა. ყველამ ვიცით, რომ ასეთია საქმის ვითარება ა მ ე რ ი კ ა შ ი, და მიუხედავად ამისა არავინ არ ამტკიცებს, რომ რენტის მარგეულირებელი პრინციპები ამერიკაში სხვაგვარია, ვიდრე ევროპაში» (გვ. 389 — 390).

ეს პრინციპები, უეჭველია, არსებითად მეტად «განსხვავებულია». იქ, სადაც მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ებ ა ა რ ა ა რ ს ებ ობ ს — ფაქტიურად ან იურიდიულად, — შეუძლებელია იყოს აბსოლუტური მიწის რენტა. აბსოლუტური რენტა, და არა დიფერენციული, არის მიწის საკუთრების ადეკვატური გამოხატულება. თქმა იმისა, რომ ერთი და იგივე პრინციპები არეგულირებენ მიწის რენტას იქ, სადაც მიწის საკუთრება არსებობს, და იქ, სადაც იგი არ არსებობს, — ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ებ ი ს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ფ ო რ მ ა არ არის იმაზე დამოკიდებული, არსებობს მიწის საკუთრება თუ არ არსებობს.

შემდეგ, რას უნდა ნიშნავდეს: «არსებობს ისეთი ხარისხის მიწა, რომ მას არ ძალუძს მოგვცეს პროდუქტი, რომლის ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ც ს ა კ მ ა რ ი ს ზ ე მ ე ტ ი იყოს იმისათვის, რათა აანაზღაუროს... კაპიტალი და გადაიხადოს ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ი მ ო გ ებ ა?» თუ შრომის იგივე რაოდენობა 4 კვარტერს აწარმოებს, პროდუქტს არ ექნება მეტი ღირებულება, ვიდრე მაშინ, როცა ის 2 კვარტერს აწარმოებს, თუმცა ერთი კვარტერის ღირებულება ერთ შემთხვევაში ორჯერ მეტია,

* სპეციალურად. რედ.

ვიდრე მეორეში. იძლევა პროდუქტი რენტას თუ არ იძლევა, ეს აბსოლუტურად არ არის დამოკიდებული, მაშასადამე, პროდუქტის ამ «ღირებულების» ოდენობაზე, როგორც ასეთზე. პროდუქტს შეუძლია რენტა მოგვცეს მხოლოდ მაშინ, როცა მისი ღირებულება უფრო მაღალია მის ხარჯთფასზე, რომელსაც არეგულირებს ყველა სხვა პროდუქტის ხარჯთფასი, ანუ, სხვა სიტყვებით, რომელსაც არეგულირებს ფასგადაუხდელი შრომის ის რაოდენობა, რასაც 100 ფუნტადი ერთეულის კაპიტალი მიითვისებს საშუალოდ წარმოების ყოველ დარგში. მაგრამ აღემატება თუ არა პროდუქტის ღირებულება მის ხარჯთფასს, ეს სრულიადაც არ არის დამოკიდებული მისი ღირებულების აბსოლუტურ ოდენობაზე, არამედ ეს დამოკიდებულია მისი წარმოების დროს გამოყენებული კაპიტალის შედგენილობაზე შედარებით არასამიწათმოქმედო წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის საშუალო შედგენილობასთან.

«მაგრამ თუნდაც სწორი იყოს, რომ მიწათმოქმედებამ ინგლისში განვითარების ისეთ მაღალ საფეხურს მიაღწია, რომლის დროსაც უკვე სრულიად აღარ არსებობს მიწები, რომლებიც რენტას არ იძლეოდნენ, ასევე არა ნაკლებ სწორია, რომ წინათ ასეთი მიწები უნდა არსებულიყო. სხვათა შორის, საკითხს იმის შესახებ, არსებობს ასეთი მიწები თუ არა, მოცემულ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ვინაიდან თუ დიდ ბრიტანეთში არსებობს რომელიმე კაპიტალი, რომელიც მიწაში დაბანდებული და მხოლოდ ანაზღაურებს დახარჯულ თანხას პლუს კაპიტალს ჩვეულებრივი მოგება, მაშინ სავსებით სულ ერთია, ძველ მიწაზე იხარჯება იგი თუ ახალ მიწაზე. რაკი ფერმერი მიწის ნაკვეთს თჯარით იღებს 7 ან 14 წლით, მას განზრახვა აქვს მასში დაბანდოს 10000 გირვ. სტერლ. კაპიტალი, რადგან მან იცის, რომ ხორბლისა და ნედლეულის არსებული ფასების პირობებში მას შეუძლია აინაზღაუროს დასახარჯი კაპიტალი, გადაიხადოს რენტა და მიიღოს მოგების ჩვეულებრივი ნორმა. მაგრამ იგი არ დაბანდებს 11000 გირვ. სტერლინგს, თუ არ შეუძლია უზრუნველყოს უკანასკნელი ათასი გირვანქა სტერლინგის ისეთი მეწარმეობლობით გამოყენება, რომ მისგან მიიღოს კაპიტალის ჩვეულებრივი მოგება. როცა ის ინგარიშობს, ღირს თუ არა დამატებითი კაპიტალის დახარჯვა, იგი ყურადღებას აქცევს მხოლოდ იმას, არის თუ არა საკმარისი ნედლი პროდუქტის ფასი იმისათვის, რომ მოგებით აუნაზღაუროს მას გაწეული ხარჯები, რადგან მან იცის, რომ მას არ მოუხდება დამატებითი რენტის გადახდა, იჯარის ვადის გასვლის შემდეგაც კი მისი რენტა არ იქნება გადიდებული; ვინაიდან თუ მიწის მესაკუთრე მოინდომებდა რენტის გადიდებას ამ საფუძველით, რომ ფერმერის მიერ დაბანდებულია დამატებითი კაპიტალი 1000 გირვ. სტერლ. რაოდენობით, მაშინ ფერმერი ამოიღებდა წარმოებიდან ამ კაპიტალს, რადგან, ვარაუდის თანახმად, ფერმერი ამ კაპიტალის დაბანდებით მიიღებს მხოლოდ ჩვეულებრივ საშუალო მოგებას, რის მიღებაც მას კაპიტალის ყოველგვარი სხვა გამოყენების დროსაც შეუძლია. ამიტომ ფერმერს არ შეუძლია დათანხმდეს ამისათ-

ვის რენტა გადაიხადოს, სანამ ნედლი პროდუქტის ფასი არ აიწევს, ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, სანამ არ დაიწევს მოგების ჩვეულებრივი საერთო ნორმა» (გვ. 390 — 391).

აქ რიკარდო ალიარებს, რომ ყველაზე ცუდი მიწაც შეიძლება რენტას იძლეოდეს. როგორ ხსნის იგი ამას? უცუდეს მიწაზე იმ დამატებითი მიწოდების შესაქმნელად გამოყენებული კაპიტალის მეორე დოზა, რაც აუცილებელი ხდება დამატებითი მოთხოვნის გამო [614], ხარჯთფასის ანაზღაურების შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ ხორბლის ფასის გადიდების შემთხვევაში. მაშასადამე, კაპიტალის პირველი დოზა ახლა მოგვცემს გადანამეტს ამ ხარჯთფასზე, ე. ი. რენტას. საქმის ვითარება, მაშასადამე, ასეთია: უქვე მეორე დოზის გამოყენებამდე პირველი დოზა ყველაზე ცუდ მიწაზე რენტას იძლევა იმიტომ, რომ საბაზრო ღირებულება აღემატება ხარჯთფასს. მაშასადამე, საკითხი მხოლოდ ისაა, უნდა აღემატებოდეს თუ არა საბაზრო ღირებულება ამასთანავე ყველაზე ცუდი მიწის პროდუქტის ღირებულებასაც ანდა, პირიქით, ხომ არ გვაქვს აქ ისეთი მდგომარეობა, რომ პროდუქტის ღირებულება აღემატება მის ხარჯთფასს და რომ მხოლოდ ფასის გადიდებამ გახადა შესაძლებელი ამ პროდუქტის გაყიდვა მისი ღირებულების მიხედვით.

შემდეგ: რატომ უნდა იმყოფებოდეს ფასი ისეთ დონეზე, რომ იგი ტოლი იყოს ხარჯთფასისა, ე. ი. ავანსებული კაპიტალისა პლუს საშუალო მოგება? ეს ხდება კაპიტალების კონკურენციის შედეგად წარმოების სხვადასხვა დარგებში, წარმოების ერთი დარგიდან მეორეში კაპიტალის გადატანის შედეგად, მაშასადამე — კაპიტალზე კაპიტალის ზემოქმედების შედეგად. მაგრამ როგორი ზემოქმედების მეთხეგით შეუძლია კაპიტალს აიძულოს მიწის საკუთრება, რომ პროდუქტი იყიდებოდეს არა მისი ღირებულების მიხედვით, არამედ მის ღირებულებაზე დაბლა — ხარჯთფასის მიხედვით? კაპიტალის ამოღებას მიწათმოქმედებიდან არ შეუძლია ასეთი ეფექტის მოცემა, თუ მას თან არ ახლავს მიწათმოქმედების პროდუქტების მოთხოვნის დაცემა. კაპიტალის ამოღება მიწათმოქმედებიდან მიგვიყვანდა მაშინ საწინააღმდეგო შედეგამდე, ხელოვნურად აწევდა მიწათმოქმედების პროდუქტების საბაზრო ფასს მათს ღირებულებაზე მაღლა. ახალი კაპიტალის გადატანას მიწათმოქმედებაში ასევე არაფრის გაკეთება არ შეუძლია ამ მიმართებით. ვინაიდან კაპიტალების კონკურენცია ერთმანეთს შორის აძლევს საწორედ მიწის მესაკუთრეს შესაძლებლობას მოითხოვოს ცალკეული კაპიტალისტისაგან, რათა

ეს უკანასკნელი კმაყოფილდებოდეს «საშუალო მოგებით» და იხდიდეს ღირებულების გადანამეტს იმ ფასზე, რომელიც ამ მოგებას იძლევა.

მაგრამ შეიძლებოდა გვეკითხა: თუ მიწის საკუთრება იმის უფლებას იძლევა, რომ პროდუქტი გაიყიდოს მისი ღირებულების მიხედვით მის ხარჯთფასზე უფრო მაღლა, მაშინ რატომ არ იძლევა იგი აგრეთვე იმის უფლებასაც, რომ პროდუქტი გაიყიდოს მის ღირებულებაზე უფრო მაღლა, ე. ი. ყოველი მონოპოლიური ფასის მიხედვით? პატარა კუნძულზე, სადაც არ არსებობს პურეულით საგარეო ვაჭრობა, პური, კვების პროდუქტები, ისევე როგორც ყოველი სხვა პროდუქტი, უთუოდ შეიძლებოდა გაყიდულიყო მონოპოლიური ფასის კვალობაზე; ე. ი. ისეთი ფასის მიხედვით, რომელიც შეზღუდულია მხოლოდ მოთხოვნის, ე. ი. გადახდისუნარიანი მოთხოვნის მდგომარეობით, ამ გადახდისუნარიან მოთხოვნას კი მოწოდებული პროდუქტის ფასის დონისდა მიხედვით უაღრესად სხვადასხვა ოდენობა და დიაპაზონი აქვს.

თუ მზედველობის გარეშე დავტოვებთ განსაკუთრებულ შემთხვევებს, — მსგავს რაიმეზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია ევროპის ქვეყნებში; ინგლისშიც კი ნაყოფიერი მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოღებულია მიწათმოქმედებიდან, საერთოდ ბაზრიდან, ხელოვნურად, რათა დანარჩენი ნაწილის ღირებულება გაადიდონ, — მიწის საკუთრებას შეუძლია შეეხოს და შოადუნოს კაპიტალების მოქმედება, მათი კონკურენცია, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კაპიტალების კონკურენცია სახეს უცვლის საქონელთა ღირებულების განსაზღვრას. ღირებულებათა გადაქცევა ხარჯთფასებად მხოლოდ შედეგია კაპიტალისტური წარმოების განვითარებისა. თავდაპირველად საქონელი იყიდება (საშუალოდ) თავისი ღირებულების მიხედვით. აქედან გადახრას ხელს უშლის მიწათმოქმედებაში მიწის საკუთრების არსებობა.

როცა ფერმერი მიწას იჯარით იღებს 7 ან 14 წლით, ამბობს რიკარდო, იგი ანგარიშობს, რომ კაპიტალის, მაგალითად, 10000 გირვ. სტერლინგის, დაბანდებისას ხორბლის ღირებულება (საშუალო საბაზრო ღირებულება) შესაძლებლობას მისცემს მას აინაზღაუროს დანახარჯი პლუს საშუალო მოგება პლუს საიჯარო ხელშეკრულებაში დადგენილი რენტა. ამრიგად, რამდენადაც იგი «იჯარით იღებს» მიწას, ამოსავალ წერტილს [Prius] მისთვის წარმოადგენს საშუალო საბაზრო ღირებულება, ე. ი. პროდუქტის ღირებულება, მოგება და რენტა კი — ეს მხოლოდ ის ნაწილებია, რომლე-

ბადაც ეს ღირებულება ი შ ლ ე ბ ა, მაგრამ რომლებისგანაც იგი არ შედგება. მ ო ც ე მ უ ლ ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ს კაპიტალისტისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც წინამძღვრის სახით აღებულ პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს თეორიისათვის და წარმოების შინაგანი კავშირისათვის. და აი როგორ დასკვნას აკეთებს აქედან რიკარდო. თუ ფერმერი 1000 გირვ. სტერლინგს უმატებს, მას აინტერესებს მხოლოდ ერთი საკითხი: მისცემს თუ არა მას ეს 1000 გირვ. სტერლინგი მ ო ც ე მ უ ლ ი ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ს პირობებში ჩვეულებრივ მოგებას. მაშასადამე, — ასეთია, ეტყობა, რიკარდოს აზრთა მსვლელობა, — განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს, ამ ხარჯთფასში კი მარეგულირებელ ელემენტად შედის სწორედ მ ო გ ე ბ ა, მაგრამ არა რ ე ნ ტ ა.

ჯერ ერთი, მოგებაც არ შედის ხარჯთფასში როგორც შემადგენელი ელემენტი. ფერმერი ხომ, ვარაუდის თანახმად, ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ს განთავსებულ როგორც ამოსავალ წერტილს [Prius] და ანგარიშობს, მოუტანს თუ არა მას დამატებითი ათასი გირვანქა სტერლინგი ამ მოცემულ საბაზრო ფასის პირობებში ჩვეულებრივ მოგებას. მაშასადამე, ეს მოგება არის არა მიზეზი, არამედ შედეგი ამ ფასისა. მაგრამ, განაგრძობს რიკარდო მსჯელობას, თვით 1000 გირვ. სტერლინგის დებანდება ხომ იმ გაანგარიშებით განისაზღვრება, მოგვცემს თუ არა ფასი ჩვეულებრივ მოგებას. მაშასადამე, მოგება წარმოადგენს განმსაზღვრელ მომენტს 1000 გირვ. სტერლინგის დებანდებისათვის, წარმოების ფასისათვის [Produktionspreis].

შემდეგ: თუ კაპიტალისტი დაინახავდა, რომ 1000 გირვ. სტერლ. არ მისცემს მას ჩვეულებრივ მოგებას, იგი, ამბობს რიკარდო, არ დაებანდებდა ამ თანხას. კვების საგნების დამატებითი რაოდენობის წარმოებას არ ექნებოდა ადგილი. თუ ეს რაოდენობა აუცილებელი იქნებოდა დამატებითი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მოთხოვნა აუცილებლად გაადიდებდა ფასს, ე. ი. საბაზრო ფასს, იმ დონემდე, რომლის დროსაც ის მოგვცემდა მოგებას. მაშასადამე, მოგება — რენტისაგან განსხვავებით — შედის აქ როგორც შემადგენელი ელემენტი, მაგრამ არა იმ გზით, რომ იგი ქმნის პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, არამედ იმით, რომ თვით პროდუქტი [615] არ შეიქმნება, თუ მისი ფასი ისე მაღლა არ აიწევს, რომ, გარდა ხარჯებისა, აანაზღაუროს აგრეთვე ჩვეულებრივი მოგების ნორმაც. პირიქით, ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი ფასმა ისე მაღლა აიწიოს, რომ რენტას ანაზღაურებდეს. მაშასადამე, აქ გვაქვს არსებითი სხვაობა რენტასა და მოგებას შორის, და გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ

მოგება არის ფასის შემადგენელი ელემენტი, მაშინ როდესაც რენტა არ არის ასეთი რამ. (ასეთია, ალბათ, ა. სმიტის ფარული აზრიც.)

მოცემული შემთხვევისათვის ეს სწორია.

მაგრამ რატომ?

იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მიწის საკუთრებას არ შეუძლია დაუპირისპირდეს კაპიტალს როგორც მიწის საკუთრება და, მაშასადამე, უკვე ვარაუდის თანახმად, აქ ადგილი არა აქვს სწორედ იმ კომბინაციას, რომლის დროსაც წარმოიქმნება რენტა, აბსოლუტური რენტა. 1000 გირვ. სტერლ. კაპიტალის მეორე დოზით წარმოებული დამატებითი ხორბალი, წარმოებული უცვლელი საბაზრო ღირებულების პირობებში, მაშასადამე, ისეთი დამატებითი მოთხოვნისას, რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ იმ ვარაუდის დროს, რომ ფასი უცვლელი რჩება, — უნდა იყიდებოდეს თავის ღირებულებაზე დაბლა, ხარჯთფასის კვალობაზე. ამრიგად, ერთი ათასი გირვანქა სტერლინგის ეს დამატებითი პროდუქტი იმავე პირობებში იმყოფება, თითქოს დამუშავებაში შესული იყოს ახალი, ნაკლებად ნაყოფიერი მიწა, რომელიც არ განსაზღვრავს საბაზრო ღირებულებას და შეუძლია თავისი დამატებითი მიწოდება უზრუნველყოს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი მას იძლევა არსებული წინანდელი საბაზრო ღირებულების კვალობაზე, ე. ი. ისეთი ფასის კვალობაზე, რომელიც ამ ახალი წარმოებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება. ასეთ პირობებში მხოლოდ ამ დამატებითი მიწის შეფარდებითს ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული ის, იძლევა იგი რენტას თუ არა, და ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ იგი არ განსაზღვრავს საბაზრო ღირებულებას. სავსებით ასეთივე ვითარებაა დამატებითი 1000 გირვ. სტერლინგის მიმართ ძველ მიწაზე. და სწორედ აქედან აკეთებს რიკარდო საწინააღმდეგო დასკვნას, რომ დამატებითი მიწა ან კაპიტალის დამატებითი დოზა განსაზღვრავს საბაზრო ღირებულებას, რადგან მათი პროდუქტის ფასი, თუ საბაზრო ღირებულება მოცემულია და მათგან დამოუკიდებლადაა დამყარებული, არ იძლევა რენტას, არამედ იძლევა მხოლოდ მოგებას, ფარავს ამ პროდუქტის არა ღირებულებას, არამედ მხოლოდ ხარჯთფასს! განა ეს contradictio in adjecto * არ არის!

* — სიტყვასიტყვით: «წინააღმდეგობა ეპიტეტში», ანუ «წინააღმდეგობა განსაზღვრებაში», ე. ი. ისეთი ტიპის აბსურდული წინააღმდეგობა, როგორიცაა გამოთქმებში «ჭრგვალი კვადრატი», «ხის რკინა», «არამარეგულირებელი რეგულატორი». რ ედ.

მაგრამ პროდუქტი აქ მაინც იწარმოება, თუმცა იგი რენტას არ იძლევა! რა თქმა უნდა! ფერმერის მიერ იჯარით აღებულ მიწაზე მიწა თვის, კაპიტალისტისათვის, მიწის საკუთრება, როგორც თავისთავადი, წინააღმდეგობის გამწვევი ელემენტი, არ არსებობს მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა იგი, საიჯარო ხელშეკრულების ძალით, ფაქტიურად თვითონ არის მიწის მესაკუთრე. მაშასადამე, ახლა კაპიტალი მოძრაობს ამ ელემენტში, არ აწყდება წინააღმდეგობას, კაპიტალისათვის კი საკმარისია პროდუქტის ხარჯთფასი. სწორედ ასევე იჯარის ვადის გასვლის შემდეგაც ფერმერი, ბუნებრივია, რენტის რეგულირებას მოახდენს იმის შესაბამისად, თუ რა ფარგლებში იძლევა მიწაში კაპიტალის დაბანდება ისეთ პროდუქტს, რომელიც შეიძლება გაიყიდოს თავისი ღირებულების მიხედვით და, მაშასადამე, შეუძლია რენტის მოცემა. კაპიტალის ისეთი დაბანდება, რომელიც მოცემული საბაზრო ღირებულების დროს არ იძლევა გადანამატს ხარჯთფასზე, რენტის ოდენობის განსაზღვრისას არ მიიღება სათვალავში სავსებით ისევე, როგორც არ იქნებოდა გადახდილი კაპიტალის მიერ, ანუ არ იქნებოდა გაპირობებული ხელშეკრულებით, რენტა ისეთი მიწიდან, რომლის შეფარდებითი დაბალნაყოფიერება იმას იწვევს, რომ საბაზრო ფასი ანაზღაურებს ამ მიწის პროდუქტის მხოლოდ ხარჯთფასს.

პრაქტიკაში საქმის ვითარება მთლიანად როდი ემთხვევა რიკარდოს შეხედულებას. თუ მოიჯარეს თავისუფალი კაპიტალი აქვს ანდა ამ კაპიტალს 14 წლის ვადით დადებული საიჯარო ხელშეკრულების პირველი წლების განმავლობაში იძენს, მაშინ იგი არ მოითხოვს ამასთან ჩვეულებრივ მოგებას. ასე იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დამატებითს კაპიტალს სესხად მიიღებდა. მართლაც, რა უნდა უწნას მან თავისუფალ კაპიტალს? კიდევ იჯარით აიღოს ახალი მიწა? სამიწათმოქმედო წარმოება გაკილებით მეტ შესაძლებლობას იძლევა კაპიტალის უფრო ინტენსიური დაბანდებისათვის, ვიდრე უფრო დიდი კაპიტალით მიწის უფრო ექსტენსიური დამუშავებისათვის. ანდა, თუ უშუალოდ ძველი მიწის მახლობლად არ არის იჯარით გასაცემი მიწა, მაშინ — როცა მოიჯარეს ორი განცალკევებული ფერმა აქვს — მისი საქმიანობა მართვისა და ზედამხედველობის სფეროში გაცილებით უფრო მეტად იქნებოდა დაქუცმაცებული, ვიდრე ეს არის ხოლმე დამმუშავებელ მრეწველობაში, როცა ფაბრიკანტს ექვსი ფაბრიკა აქვს. თუ მოიჯარეს ის დარჩენია, რომ ფული სარგებელზე მიისესხოს ბანკირს, დაბანდოს ის სახელმწიფო ქაღალდებში, რკინიგზის აქციებში და ა. შ.? მაშინ იგი უკვე

იმთავითვე უარს ამბობს სულ ცოტა ჩვეულებრივი მოგების ნახევარზე ან ერთ მესამედზე. მაშასადამე, თუ მას შეუძლია ეს ფული დამატებითი კაპიტალის სახით დაბანდოს ძველ ფერმაში და მასში მიიღოს თუნდაც საშუალო მოგებაზე უფრო ნაკლები, მაგალითად 10%, თუ საშუალო მოგება 12%-ია, მაშინ იგი მაინც იგებს 100%-ს, როცა სარგებლის განაკვეთი 5%-ს უდრის. მაშასადამე, მისთვის მაინც ხელსაყრელი ოპერაცია იქნება დამატებითი 1000 გირვ. სტერლინგის [616] დაბანდება ძველ ფერმაში.

ამიტომ სავსებით მცდარია, როცა რიკარდო დამატებითი კაპიტალის დაბანდებას [იმავე მიწაში] ათავსებს დამატებითი კაპიტალის ახალ მიწაში დაბანდებასთან. პირველ შემთხვევაში კაპიტალისტური წარმოების პირობებშიც კი არ არის აუცილებელი, რომ პროდუქტი თუნდაც ჩვეულებრივ მოგებას იძლეოდეს. იგი უნდა იძლეოდეს სარგებლის ჩვეულებრივ განაკვეთზე მხოლოდ იმდენით მეტს, რომ ფერმერისათვის აზრი ჰქონდეს წარმოებაში მისი თავისუფალი კაპიტალის გამოყენებასთან დაკავშირებული საზრუნავი და რისკი ამჯობინოს ფულადი კაპიტალის სახით მის გამოყენებას.

მაგრამ უკვე სავსებით უაზროა, როგორც ნაჩვენები იყო, ის დასკვნა, რომელსაც რიკარდო ამ მსჯელობიდან აკეთებს:

«ადამ სმიტს რომ მისი გამჭრახი გონებით ამ ფაქტისათვის ყურადღება მიექცია, იგი არ დაიწყებდა იმის მტკიცებას, რომ რენტა მიწის პროდუქტების ფასის ერთ-ერთი დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილია; ვინაიდან ფასს ყოველთან არეგულირებს კაპიტალის ის უკანასკნელი ნაწილი, რაშიაც არავითარ რენტას არ იხდიან» (გვ. 391).

რიკარდოს მიერ მოცემული ილუსტრაცია ამტკიცებს სწორედ პირიქით, რომ კაპიტალის ამ უკანასკნელი ნაწილის მიწაში დაბანდება რეგულირდება ხაბაზრო ფასით, რომელიც არ არის დამოკიდებული ამ დაბანდებაზე, არსებობდა მანამდე, სანამ ეს დაბანდება მოხდებოდა და ამიტომ კაპიტალის ამ უკანასკნელ ნაწილზე მხოლოდ მოგებას იძლევა და არა რენტას. მოგება რომ ერთადერთი რეგულატორია კაპიტალისტური წარმოებისათვის, ეს სავსებით სწორია. და ამიტომ სწორია, რომ აბსოლუტური რენტა არ არსებებდა, წარმოება რომ მხოლოდ კაპიტალით რეგულირდებოდეს. აბსოლუტური რენტა სწორედ იქ წარმოიქმნება, სადაც წარმოების პირობები მიწის მესაკუთრეს აძლევენ ძალას — საზღვარი დაუდოს წარმოების რეგულირებას მარტოოდენ კაპიტალის მიერ.

მეორე, რიკარდო (გვ. 391 და შემდგომი) ა. სმიტს იმას უსაყვე-

დურებს, რომ იგი რენტის სწორ პრინციპს ავითარებს [მხოლოდ] ქვანახშირის მაღაროებისათვის. რიკარდო ამასაც კი ამბობს:

«რენტის მთელი პრინციპი განმარტებულია აქ შესანიშნავად და არაორაზროვნად, მაგრამ ყოველდი სიტყვა ისეთივე საფუძვლით შეიძლება მიეკუთვნოს მიწას, როგორც ქვანახშირის მაღაროებსაც; სმიტი კი ამტკიცებს, რომ «სხვაგვარია საქმის ვითარება მიწის მფლობელობათა მიმართ მიწის ზედაპირზე» (გვ. 392).

ა. სმიტი გრძნობს, რომ გარკვეულ პირობებში მიწის მესაკუთრეს შესწევს ძალა ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიოს კაპიტალს, აგრძნობინოს მიწის საკუთრების ძალა და ამიტომ მოსთხოვოს აბსოლუტური რენტა და რომ სხვა გარემოებებში მას ასეთი ძალა არ გააჩნია; მაგრამ რომ სწორედ კვების საგნების წარმოება ამყარებს რენტის კანონს, მაშინ როდესაც მიწაში კაპიტალის სხვა დაბანდებათა დროს რენტა განსაზღვრება სამიწათმოქმედო რენტით.

««მიწის ზედაპირზე მიწის მფლობელობათა პროდუქტის ღირებულება და მოცულობა რენტისა, რასაც ისინი იძლევიანენ» (ამბობს ა. სმიტი) ««პროპორციულია არა მათი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი, არამედ მათი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ნაყოფიერებისა»» (გვ. 392).

სმიტის წინააღმდეგ მიმართულ თავის შეპასუხებაში რიკარდო უახლოვდება, რამდენადაც ეს საგრთოდ მათთვის შესაძლებელია, რენტის ნამდვილ პრინციპს. იგი ამბობს:

«მაგრამ ვიგულისხმოთ, რომ არ არის არც ერთი მიწის ნაკვეთი, რომელიც რენტას არ იძლეოდეს. ამ შემთხვევაში უცუდესი მიწიდან მიღებული რენტის ოდენობა იქნებოდა პროპორციული პროდუქტის ღირებულების გადანამეტისა კაპიტალის დანახარჯზე და კაპიტალის ჩვეულებრივ მოგებაზე. იგივე პრინციპი განსაზღვრავს ცოტაოდენ უკეთესი ხარისხის ანდა უკეთესი ადგილდებარეობის მქონე მიწებიდან მიღებულ რენტას, და ამიტომ ამ მიწების რენტა, მათი უპირატესობის გამო, უმდარესი ხარისხის მიწების რენტაზე უფრო მაღალი იქნებოდა. იგივე შეიძლება ითქვას მესამე, კიდევ უფრო მაღალი ხარისხის მიწებზე, და ა. შ. ყველაზე უკეთესი მიწების ჩათვლით. ნუთუ ცხადი არაა ამის შემდეგ, რომ სწორედ მ ი წ ი ს შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ებ ა განსაზღვრავს პროდუქტის იმ ნაწილს, რომელსაც იხდიან მიწის რენტის სახით, საგსებით ისევე როგორც მ ა ღ ა რ ო თ ა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ო ბ ა განსაზღვრავს მათი პროდუქტის იმ ნაწილს, რომელსაც მაღაროთა რენტის სახით იხდიან?» (გვ. 392 — 393).

აქ რიკარდო გამოთქვამს რენტის სწორ პრინციპს. თუ უცუდესი მიწა რენტას იხდის, თუ, მაშასადამე, რენტას იხდიან მიწების ნაყოფიერების სხვაობისაგან დამოუკიდებლად და იგი აბსოლუტური

რენტაა, მაშინ ეს რენტა უნდა უდრიდეს «პროდუქტის ღირებულების გადანამეტს კაპიტალის დანახარჯზე, და კაპიტალის ჩვეულებრივ მოგებაზე», ე. ი. პროდუქტის ღირებულების გადანამეტი მის ხარჯთფასზე. რიკარდო ვარაუდობს, რომ ასეთი გადანამეტი შეუძლებელია, იმიტომ რომ იგი, თავისი საკუთარი პრინციპის საწინააღმდეგოდ, შეცდომით იზიარებს სმიტისეულ დოგმას [617] იმის შესახებ, რომ ღირებულება უდრის პროდუქტის ხარჯთფასს.

დანარჩენში რიკარდო კვლავ შეცდომას უშვებს.

დიფერენციული რენტა, რა თქმა უნდა, განსაზღვრული იქნებოდა «შეფარდებითი ნაყოფიერებით». მაგრამ აბსოლუტურ რენტას არაფერი საერთო არ ექნებოდა «ბუნებრივ ნაყოფიერებასთან».

მეორე მხრივ კი, სმიტი მართალი გამოდგებოდა იმაში, რომ ფაქტიური რენტა, რასაც უცუდესი მიწა იხდის, შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვა მიწების აბსოლუტურ ნაყოფიერებაზე და უცუდესი მიწის შეფარდებითს ნაყოფიერებაზე ანდა უცუდესი მიწის აბსოლუტურ ნაყოფიერებაზე და მიწის სხვა თანრიგთა შეფარდებითს ნაყოფიერებაზე.

საქმე ისაა, რომ ფაქტიური ოდენობა რენტისა, რომელსაც უცუდესი მიწა იხდის, დამოკიდებულია არა იმაზე, რომ მისი საკუთარი პროდუქტის ღირებულება ამ პროდუქტის ხარჯთფასს აღემატება, როგორც ამას რიკარდო ფიქრობს, არამედ იმაზე, რომ პროდუქტის საბაზრო ღირებულება აღემატება მის ხარჯთფასს. მაგრამ ეს მეტად განსხვავებული რამაა. თუ უცუდესი მიწის პროდუქტი თვით განსაზღვრავს საბაზრო ფასს, მაშინ საბაზრო ღირებულება უდრის მის ნამდვილ ღირებულებას, და, მაშასადამე, მისი საბაზრო ღირებულების გადანამეტი მის ხარჯთფასზე უდრის მისი საკუთარი ინდივიდუალური (მისი ნამდვილი) ღირებულების გადანამეტს მის ხარჯთფასზე. თუკი საბაზრო ღირებულება უცუდესი მიწის პროდუქტისაგან დამოუკიდებლად მიწის სხვა თანრიგებით განისაზღვრება, მაშინ საქმის ვითარება სხვაგვარია. რიკარდო გამოდის დალმავალი ზასის ვარაუდიდან. იგი ვარაუდობს, რომ უცუდესი მიწა დამუშავებაში შედის უკანასკნელ რიგში და რომ იგი მუშავდება (ნავარაუდევ შემთხვევაში) მხოლოდ მაშინ, როცა დამატებითმა შოთხოვნამ აუცილებელი გახადა დამატებითი მიწოდება იმ პროდუქტის ღირებულების კვალობაზე, რომელიც მიიღება უცუდესი და დამუშავებაში უკანასკნელად შესული მიწოდან. ამ შემთხვევაში უცუდესი მიწის პროდუქტის ღირებულება

არეგულირებს საბაზრო ღირებულებას. აღმავალი ხაზის დროს ეს ხდება (რიკარდოს თვალსაზრისითაც კი) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მიწის საუკეთესო თანრიგების დამატებითი მიწოდება მხოლოდ უფრის დამატებითს მოთხოვნას წინანდელი საბაზრო ღირებულების კვალობაზე. თუ დამატებითი მიწოდება ამაზე მეტია, მაშინ რიკარდო ყოველთვის ვარაუდობს, რომ ძველი მიწა უნდა ამოღებულ იქნეს დამუშავებიდან, მაშინ როდესაც აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ძველი მიწა უფრო დაბალ რენტას მოგვცემს, ვიდრე უწინ იძლეოდა, ანდა სრულიად არ მოგვცემს რენტას. დაღმავალი ხაზის დროს იგივე ხდება. თუ დამატებითი მიწოდება ისეთია, რომ იგი შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ წინანდელი საბაზრო ღირებულების კვალობაზე, მაშინ იმაზე, თუ რამდენად აღემატება ეს საბაზრო ღირებულება ახალი, უფრო ცუდი მიწის პროდუქტის ხარჯთფასს, დამოკიდებული იქნება, მოგვცემს თუ არა — და რა ოდენობით — უარესი მიწა რენტას თუ სულ არ მოგვცემს ამ რენტას. ორივე შემთხვევაში [ე. ი. როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი ხაზის პირობებში] უცუდესი მიწის რენტა განისაზღვრება არა შეფარდებითი, არამედ აბსოლუტური ნაყოფიერებით. ახალი მიწის აბსოლუტურ ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული, რამდენად აღემატება საბაზრო ღირებულება, რომელიც მიწის საუკეთესო თანრიგთა პროდუქტის ზეგავლენით განისაზღვრება, ახალი მიწის პროდუქტის საკუთარ ნამდვილ, ინდივიდუალურ ღირებულებას.

ა. სმიტი აქ მართებულად დანასხვავებს ერთმანეთისაგან მიწასა და მაღაროებს, რადგან უკანასკნელთა შესახებ იგი ვარაუდობს, რომ ირასდროს არ ხდება გადასვლა მიწის უარეს თანრიგებზე, არამედ გადასვლა ხდება ყოველთვის უკეთეს მიწებზე და რომ ისინი ყოველთვის აუცილებელ დამატებითს მიწოდებაზე მეტს იძლევიან. უცუდესი მიწიდან მიღებული რენტა დამოკიდებულია მაშინ მის აბსოლუტურ ნაყოფიერებაზე.

«მას შემდეგ, რაც ა. სმიტმა განაცხადა, რომ არსებობს შახტები, რომელთა დამუშავებაც მხოლოდ მათს მესაკუთრეებს შეუძლიათ, იმიტომ რომ ეს შახტები ფარავენ მხოლოდ დამუშავების ხარჯებს დანანდებული კაპიტალის ჩვეულებრივ მოგებასთან ერთად, ჩვენ შეგვეძლო იმის მოლოდინი გვქონოდა, რომ, მისი აზრით, სწორედ ეს შახტები არეგულირებენ ყველა შახტის პროდუქტის ფასს. თუ ძველ შახტებს არ შეუძლიათ ნახშირის მთელი საჭირო რაოდენობის მოცემა, მაშინ ნახშირის ფასი დაიწყებს აწევას და ეს აწევა გაგრძელდება მანამდე, სანამ ახალი, უფრო ღარიბი შახტის მესაკუთრე

არ დაინახავს, რომ მას შეუძლია ამ ღარიბი შახტის დამუშავებით კაპიტალის ჩვეულებრივი მოგება მიიღოს... ამრიგად, გამოდის, რომ ნახშირის ფასს ყოველთვის არეგულირებენ ყველაზე ნაკლები მწარმოებლობის შახტები. მაგრამ ა. სმიტი სხვა აზრისაა. მას მიაჩნია, რომ «ყველაზე მაღალი მწარმოებლობის ნახშირის შახტები არეგულირებენ ყველს სხვა მახლობლად მდებარე შახტების ნახშირის ფასს. ორივენი, შახტის მესაკუთრეც და ამ შახტის დამმუშავებელი მეწარმეც, ზედავენ, რომ პირველს შეუძლია უფრო დიდი რენტა მიიღოს, მეორეს კი — უფრო დიდი მოგება, თუ ისინი ნახშირს გაყიდიან რამდენადმე უფრო იაფ ფასში, ვიდრე ყველა მათი მეზობელი ყიდის. უკანასკნელნი სულ მალე იძულებულნი გახდებიან თავისი ნახშირი იმაკე ფასში გაყიდონ, თუმცა მათთვის ამის გაკეთება არც ისე ადვილია და თუმცა ეს ყოველთვის ამცირებს მათს რენტასა და მოგებას, ზოგჯერ კი მთლიანად უკარგავს მან რენტასაც და მოგებასაც. ამის შედეგად ზოგიერთ შახტს სრულიად მიატოვებენ, სხვები კი ალარ იძლევიან რენტას და მათი დამუშავება შეუძლიათ მხოლოდ მათს მესაკუთრეებს». თუ ნახშირის მოთხოვნა [517ა] მცირდება ან თუ ახალი მეთოდების გამოყენების მეოხებით მისი რაოდენობა დიდდება, მაშინ მისი ფასი უნდა დაეცეს, და ზოგიერთი შახტის დამუშავება უნდა შეწყდეს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ნახშირის ფასი უნდა საკმარისი იყოს იმისთვის, რომ აანაზღაუროს იმ შახტის ხარჯები და მოგება, რომელიც ექსპლოატაციაშია, მაგრამ რენტას არ იხდის. მაშასადამე, ფასს არეგულირებენ ყველაზე ნაკლები მწარმოებლების შახტები. ამას ხომ თვით ადამ სმიტიც ადასტურებს სხვა ადგილას, რადგან იგი ამბობს: «ყველაზე დაბალი ფასი, რომლის მიხედვითაც ნახშირის შეძლება იყიდებოდეს რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ეს, ისევე როგორც ყველა სხვა საქონლისთვის, ის ფასია, რომელიც საკმარისია მხოლოდ იმისთვის, რომ აანაზღაუროს, ჩვეულებრივ მოგებასთან ერთად, კაპიტალი, რომელიც საქონლის წარმოებისა და მისი ბაზარზე გატანისთვის იხარჯება. ქვანახშირის შახტში, რომლიდანაც მიწის მესაკუთრეს არ შეუძლია რენტის მიღება და რომელიც ან თვითონ უნდა დამუშაოს ანდა ხელოსნად მიატოვოს, ნახშირის ფასი, როგორც წესი, უნდა იმყოფებოდეს დაახლოებით ამ ფასის დონეზე» (გვ. 393 — 395).

ა. სმიტი იმაში სცდება, რომ ბაზრის განსაკუთრებულ კონიუნქტურას, რომელის დროსაც ბაზარზე ყველაზე მაღალი მწარმოებლობის შახტი (ან მიწა) ბატონობს, საყოველთაო შემთხვევად აცხადებს. მაგრამ თუ ამ შემთხვევას ვიგულისხმებთ, მაშინ ოდი მსჯელობს (საერთოდ) სწორად, რიკარდო კი — არასწორად. სმიტი ვარაუდობს, რომ მოთხოვნის მოცემული მდგომარეობისას და საუკეთესო შახტის შედარებით დიდი მწარმოებლობის პირობებში ამ შახტს შეუძლია მთელი თავისი პროდუქტის ბაზარზე გატანა მხოლოდ მაშინ, როცა იგი ნახშირის კონკურენტებზე უფრო იაფად ყიდის, როცა მისი პროდუქტის ფასი წინანდელ საბაზრო ღირებულებაზე [illegible]

რ ო დ ა ბ ა ლ ი ა. ამის შედეგად ეცემა პროდუქტის ფასი ცუდი შახტებისთვისაც. საბაზრო ფასი ეცემა. ეს დაცემა უველა შემთხვევაში დ ა ბ ლ ა ს წ ე ვ ს რ ე ნ ტ ა ს ცუდ შახტებში და მისი სრული გაქრობაც კი შეუძლია გამოიწვიოს. ეს იმიტომ რომ რენტა უდრის საბაზრო ღირებულების გადანამეტს პროდუქტის ხარჯთფასზე იმისდა მიუხედავად, უდრის ეს საბაზრო ღირებულება მიწის (ან შახტების) გარკვეული თანრიგის პროდუქტის ინდივიდუალურ ღირებულებას თუ არა. მოგება, რასაც სმიტი ვერ ამჩნევს, შეიძლება ამის შედეგად შემცირდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება კაპიტალის ნაწილის ამოღება და წარმოების მოცულობის შეკვეცა. თუ საბაზრო ფასი, რასაც მოცემულ პირობებში უკეთესი შახტების პროდუქტი არეგულირებს, ისე დაბლა ეცემა, რომ სრულიად არ იძლევა უცუდესი შახტის პროდუქტისათვის არავითარ გადანამეტს ხარჯთფასზე, მაშინ უცუდესი შახტის დამუშავება შეუძლია მხოლოდ თვით მესაკუთრეს. ამ საბაზრო ფასის პირობებში არც ერთი კაპიტალისტი არ გადაუხდის მას რენტას. მისი მიწის საკუთრება ამ შემთხვევაში არ აძლევს მას ძალაუფლებას კაპიტალზე, მაგრამ იგი თავიდან აშორებს მას იმ წინააღმდეგობას, რასაც სხვა კაპიტალისტები წაწყდებიან ხოლმე მიწაში კაპიტალის დაბანდებისას. მისთვის მიწის საკუთრება ა რ ა რ ა ს ე ბ ო ბ ს, რადგან იგი თვით არის მიწის მესაკუთრე. მაშასადამე, მას შეუძლია თავისი მიწა გამოიყენოს ნახშირის ამოსაღებად, ისევე როგორც წარმოების ყოველი სხვა დარგისათვის, ე. ი. შეუძლია იგი გამოიყენოს იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტის საბაზრო ფასი, რომელსაც იგი თვით არ განსაზღვრავს, არამედ უ კ ვ ე დამყარებულს პ ო უ ლ ო ბ ს, აძლევს მას საშუალო მოგებას, ფარავს მის ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს.

და აქედან რიკარდო ასკვნის, რომ სმიტი ეწინააღმდეგება თავის თავს! იქიდან, რომ წინანდელი საბაზრო ფასი განსაზღვრავს, თუ რამდენად შეიძლება ახალი შახტები ამუშაონ თვით მათმა მესაკუთრეებმა, ე. ი. რამდენად შეიძლება მათი დამუშავება მიწის საკუთრების ფაქტიური ვაჭრობის პირობებში, რადგან წინანდელი საბაზრო ფასის დროს ისინი უზრუნველყოფენ მეწარმისათვის ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს, — იგი დაასკვნის, რომ ეს ხარჯთფასი განსაზღვრავს საბაზრო ფასს! მაგრამ აქ იგი კვლავ მიმართავს დაღმავალ ხაზს და აცხადებს, რომ უფრო ნაკლები მწარმოებლობის შახტის დამუშავება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტის საბაზრო ფასი უკეთესი შახტების პროდუქტის ღირებულებაზე უფრო მაღლა იწევს; ნამდვილად კი აუცილებელია მხოლოდ ის, რომ იგი აღ ე მ ა-

ტ ე ბ ო დ ე ს ხარჯთფასს ანდა თუნდაც მხოლოდ ანაზღაურებდეს მას ცუდი შახტებისათვის, რომლებსაც ექსპლოატაციას უწევენ თვით მათი მესაკუთრენი.

ამასთან, თუ რიკარდო ფიქრობს, რომ «როცა რაოდენობა» (მოპოვებული ნახშირისა) «ახალი მეთოდების გამოყენების მეოხებით დიდდება, მისი ფასი უ ნ დ ა დ ა ე ც ე ს, და ზ ო გ ი ერ თ ი შ ა ხ ტ ი ს დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა უ ნ დ ა შ ე წ ყ დ ე ს», — ეს ზომ დამოკიდებულია ფასის დაცემის დონეზე და მოთხოვნის მდგომარეობაზე. იმ შემთხვევაში, როცა ფასების ასეთი დაცემისას ბაზარს შეუძლია მთელი პროდუქტი შთანთქას ცუდი შახტები მაინც კვლავ მოგვცემენ რენტას, თუ საბაზრო ფასის დაცემისას კიდევ დარჩება საბაზრო ღირებულების ერთგვარი გადანამეტი უფრო ღარიბი შახტების ხარჯთფასზე; ხოლო თუ საბაზრო ფასი მხოლოდ ფარავს ამ ხარჯთფასს, ე. ი. ემთხვევა მას, მაშინ უფრო ღარიბ შახტებს დაამუშავებენ მათი მესაკუთრენი. მაგრამ ორივე შემთხვევაში უაზრობაა იმის ლაპარაკი, რომ უცუდესი შახტის ხარჯთფასი არეგულირებს საბაზრო ფასს. რა თქმა უნდა, უცუდესი შახტის ხარჯთფასი განსაზღვრავს თანაფარდობას მისი პროდუქტის ფასსა და მარეგულირებელ საბაზრო ფასს შორის და ა მ ი ტ ო მ წყვეტს საკითხს იმის შესახებ, [618] შეიძლება ამ შახტის დამუშავება თუ არ შეიძლება. მაგრამ საკითხს იმის შესახებ, შეიძლება თუ არა მ ო ც ე მ უ ლ ი ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ს დ რ ო ს გარკვეული ხარისხის ნაყოფიერების მქონე მიწის — თუ შახტის — ექსპლოატაცია, ცხადია, საერთო არაფერი აქვს და სრულიად არ ემთხვევა იმ გარემოებას, არეგულირებს თუ არა საბაზრო ფასს ამ მიწის ან ამ შახტის პროდუქტის ხარჯთფასი. თუ გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ი ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს დროს აუცილებელი ან შესაძლებელი იქნებოდა დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი მ ი წ ო დ ე ბ ა, მაშინ საბაზრო ღირებულების მარეგულირებელი იქნებოდა უცუდესი მიწა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მოგვცემდა კიდეც абсолютურ რენტას. ეს არის სწორედ ის შემთხვევა, რომელიც უ პ ი რ ი ს პ ი რ დ ე ბ ა სმიტის მიერ ნაგულისხმევ შემთხვევას.

მ ე ს ა მ ე, რიკარდო (გვ. 395 — 396) უსაყვედურებს სმიტს იმის გამო, რომ სმიტის აზრით ნედლი პროდუქტების სიიაფეს, მაგალითად, პურის შენაცვლებას კარტოფილით, რაც ხელფასის დაცემასა და წარმოების ხარჯების შემცირებას იწვევს, შედეგად ის მოსდევს, რომ მიწის მესაკუთრეს ხვდება უფრო დიდი წილი — აგრეთვე

უფრო დიდი რაოდენობაც — პროდუქტისა. რიკარდო ამის საწინააღმდეგოდ ამბობს:

«დამატებითი წმინდა პროდუქტის არც ერთი ნაწილი არ მოხმარდებოდა რენტის გადიდებას; მთელი დანამატი უცვლელად მოხმარდებოდა მთლიანად მრგების გადიდებას... სანამ ერთი და იმავე ხარისხის მიწები მუშავდება და სანამ არავითარი ცვლილება მათს შეფარდებითს ნაყოფიერებაში ან სხვა უპირატესობაში არ მომხდარა, რ ე ნ ტ ა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს შ ე ი ნ ა რ ჩ უ ნ ებ ს თ ა ვ ი ს წ ი ნ ა ნ დ ე ლ შ ე ფ ა რ დ ებ ს მ თ ლ ი ა ნ პ რ ო დ უ ქ ტ თ ა ნ» (გვ. 396).

ეს უდავოდ მცდარია. მიწის რენტის წილი, მაშასადამე, მისი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი სიდიდეც, დაეცემა. კვების მთავარი საგნის სახით შემოღებული კარტოფილი დასწევდა სამუშაო ძალის ღირებულებას, აუცილებელი სამუშაო დრო შემცირდებოდა, ზედმეტი სამუშაო დრო, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნ ო რ მ ა ც გადიდდებოდა; ამრიგად, სხვა თანაბარ პირობებში, კაპიტალის შედგენილობა შეიცვლებოდა, ცვალებადი ნაწილის ღირებულება შემცირდებოდა მუდმივი ნაწილის ღირებულებასთან შეფარდებით, თუმცა გამოყენებული ცოცხალი შრომის მ ა ს ა წინანდელი დარჩებოდა. ამიტომ მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა აიწევდა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა აბსოლუტური რენტის დაცემა და დიფერენციული რენტის შეფარდებითი დაცემა (იხ. გვ. 610, ცხრილი C *). ეს მიზეზი თანაბარ გავლენას იქონიებდა სამიწათმოქმედო და არასამიწათმოქმედო კაპიტალზე. მოგების საერთო ნორმა აიწევდა და ამიტომ რენტა დაეცემოდა.

28-ე თავში («ო ქ რ ო ს, პ ურ ი ს ა და შ რ ო მ ი ს შ ე დ ა რ ებ ი თ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს შ ე ს ახ ებ მ დ ი დ ა რ ს ა და ღ ა რ ი ბ ქ ვ ე ყ ნ ებ შ ი») რიკარდო წერს:

«დ-რ სმიტის შეცდომას, წითელ ზოლად რომ გასდევს მთელ მის შრომას, წარმოდგენს ის ვარაუდი, რომ პურის ღირებულება მუდმივია და რომ, თუმცა ყველა სხვა ნივთის ღირებულებამ შეიძლება აიწიოს, პურის ღირებულებას ეს — ა რ ა ს ო დ ე ს ა რ მ ო უ ვ ა. მისი აზრით, პურს ყოველთვის ერთნაირი ღირებულება აქვს იმიტომ, რომ მას ყოველთვის შეუძლია გამოკვებოს ადამიანთა თანაბარი რაოდენობა. საგსებით ასევე შეიძლებოდა გვთქვა, რომ მაუდს ყოველთვის ერთი და იგივე ღირებულება აქვს, იმიტომ რომ მისგან ყოველთვის შეიძლება სერთუკთა ერთი და იმავე რაოდენობის დამზადება. რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ღირებულებას ნივთის იმ უნართან, რომ მან შეასრულოს საქმლის ან ტანსაცმლის როლი?» (გვ. 449 — 450).

«... დ-რ სმიტი... ასე მოხერხებულად ეცავდა თეორიას იმის შესახებ, რომ სა-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 432 — 433. რ ე დ.

ქონელთა საბაზრო ფასი საბოლოო ანგარიშით რეგულირდება მათი ბუნებრივი ფასით» (გვ. 451).

«... თუ ოქროს ღირებულებას ხორბლით გავზომავთ, ოქროს შეუძლია მეტად სხვადასხვა ღირებულება ჰქონდეს ორ სხვადასხვა ქვეყანაში. მე ვცდილობდი შეჩვენებინა, რომ ეს ღირებულება დაბალი იქნება მდიდარ ქვეყნებში და მაღალი ღარიბ ქვეყნებში. ადამ სმიტი სხვა შეხედულებისაა: ის ფიქრობს, რომ ხორბლით გაზომილი ოქროს ღირებულება ყველაფერზე უფრო მაღალია მდიდარ ქვეყნებში» (გვ. 454).

* * *

32-ე თავში («ბ-ნ მალთუსის შეხედულებანი რენტაზე») რიკარდო წერს:

«რენტა არის ღირებულების წარმონაქმნი, მაგრამ არა სიმდიდრის წარმონაქმნი»[95] (გვ. 485 — 486).

«ხორბლის მაღალ ფასზე რომ ლაპარაკობს, ბ-ნი მალთუსი, აშკარაა, ამით გულისხმობს არა კვარტერის ან ბუშელის ფასს, არამედ უფრო იმ ფასის გადანმეტს, რომლის მეხედვითაც მთელი პროდუქტი იყოდება, მისი წარმოების ხარჯებზე, და ამ ტერმინში «წარმოების ხარჯები» მას ყოველთვის შეაქვს როგორც ხელფასი, ისე მოგებაც. 150 კვარტერი ხორბალი 3 გინეა სტერლ. 10 შილ. ფასის კვალობაზე მიწის მესაკუთრეს მისცემდა უფრო მეტ რენტას, ვიდრე 100 კვარტერი 4 გინეა სტერლ. კვალობაზე, თუკი წარმოების ხარჯები ორივე შემთხვევაში თანაბარია» (გვ. 487). როგორიც არ უნდა იყოს მოცემული მიწის თვისებები, მაღალი რენტა დამოკიდებულია პროდუქტის მაღალ ფასზე; მაგრამ რაკი მაღალი ფასი მოცემულია, რენტის სიმაღლე პროპორციულია არა პროდუქტის ნაკლებობისა, არამედ მისი სიუხვისა» (გვ. 492).

«რადგან რენტა ხორბლის მაღალი ფასის შედეგია, ამიტომ რენტის გაქრობა დაბალი ფასის შედეგია. უცხოეთის ხორბალი ინსოდოდეს არ უწევს კონკურენციას ადგილობრივი წარმოების ისეთ ხორბალს, რომელიც რენტას იძლევა. ფასის დაცემა ყოველთვის ზიანს აყენებს მიწის მესაკუთრეს, სანამ მთელი მისი რენტა არ მაინთქმება; თუ ფასის დაცემა მაინც კიდევ გრძელდება, მაშინ იგი კაპიტალის ჩვეულებრივ მოგებასაც კი ვეღარ მოგვცემს; ამ შემთხვევაში კაპიტალი მიატოვებს მიწას, რათა სხვა რაიმე გამოყენება მოძებნოს, და ხორბალს, რომელიც უწინ ამ მიწაზე იწარმოებოდა, მაშინ, მაგრამ არა უფრო ადრე, საიმპორტო ხორბალი შეცვლიდა. რენტის გაქრობას შედეგად მოჰყვება ღირებულების დაკარგვა, სახელდობრ ფულით გაზომატული ღირებულებისა, მაგრამ სამაგიეროდ ეს იქნება მოგება სიმდიდრისა. ნედლი მასალისა და სხვა პროდუქტების — ერთად აღებულის — რაოდენობა გაიზრდება, მაგრამ იმ დიდი სიადვილის გამო, რითიც მათი წარმოება ხორციელდება, მათი რაოდენობის გადიდებას თან მოჰყვება მათი ღირებულების შემცირება» (გვ. 519).

[თავი მეთოთხმეტე]

ა. სმიტის რენტის თეორია

[1) სმიტის წინააღმდეგობანი რენტის პროგლემის დაყენებაში]

[619] ჩვენ აქ არ ვჩერდებით იმ საკითხის სმიტისეულ საინტერესო გაგებაზე, თუ როგორ განსაზღვრავს კვების მთავარი მცენარეული საგნიდან მიღებული რენტა ყველა დანარჩენ სასოფლო-სამეურნეო რენტას ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით (მესაქონლეობაში, საცხეო მეურნეობაში, ტექნიკურ მცენარეთა კულტურაში), რამდენადაც წარმოების ამ დარგების ერთი მეორედ გადაქცევა შესაძლებელია. სმიტი გამოჰყოფს, გამონაკლისის სახით, ბრინჯის კულტურას იქ, სადაც ბრინჯი კვების ძირითად მცენარეულ საგანს წარმოადგენს, რადგან ბრინჯის ჭაობები არ შეიძლება გადავაქციოთ ხორბლით და ა. შ. დათესილ მდელოებად, და ასევე პირიქით.

სმიტი სწორად განმარტავს რ ე ნ ტ ა ს როგორც «მ ი წ ი თ ს ა რ გ ებ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს გადახდილ ფასს» ([ფრანგ. გამოცემა 1802 წ.] ტომი I, გვ. 299), სადაც მიწად ნაგულისხმევია ბუნების ყოველი ძალა როგორც ასეთი, მაშასადამე, ავრეთვე წყალიც და ა. შ.

როდბერტუსის უცნაური წარმოდგენის [96] საწინააღმდეგოდ, სმიტი უკვე [მე-11 თავის] შესავალში ჩამოთვლის სამწარამოქმედო კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს: «კაპიტალი, რომელიც იძლევა თესლს» (ნედლეულს), «ანაზღაურებს შრომას, ყიდულობს და ინახავს პირუტყვსა და სხვა სამეწარმოქმედო ი ა რ ა ღ ებ ს» (იქვე).

მაგრამ რა არის ეს «ფასი, რომელსაც მიწით სარგებლობისათვის იხდიან»?

«ყოველივე ის, რაც პროდუქტიდან ან მისი ფასიდან რჩება, გარდა ამ ნაწილისა» [.იმ ნაწილისა, რომელიც ანაზღაურებს ავანსებულ კაპიტალს «და, გარდა ამისა, ჩვეულებრივ მოგებსა»], «როგორიც არ უნდა იყოს ეს ნაშთი, მ ე ს ა კ უ თ რ ე ცდილობს თავისთვის დაიტოვოს თავისი მიწის რ ე ნ ტ ი ს სახით» (იქვე, გვ. 300).

«ეს გადანამეტი მუდამ შეიძლება განვიხილოთ როგორც ბუნებრივი მიწის რენტა» (გვ. 300).

სმიტი იმის წინააღმდეგია, რომ რენტა მიწაში დაბანდებული კაპიტალის სარგებელში ავრიცხოთ.

«მესაკუთრე რენტას მოითხოვს, ისეთი მიწისთვისაც კი, რომელსაც გაუმჯობესება არ შეხებია» (გვ. 300 — 301),

და რენტის ამ მეორე ფორმასაც კი *, დასძენს იგი, ის თავისებურება აქვს, რომ მიწის გაუმჯობესებისათვის გამოყენებული კაპიტალის სარგებელი იმ კაპიტალის სარგებელია, რომელიც მესაკუთრემ კი არ დააბანდა, არამედ მოიჯარემ.

«იგი» (მესაკუთრე) «ზოგჯერ რენტას ისეთი რამისთვის მოითხოვს, რის გაუმჯობესებაც საერთოდ ადამიანს არ შეუძლია» (გვ. 301).

სმიტი სრულიად გარკვევით უსვამს ხაზს იმას, რომ «რენტას მოითხოვს» მიწის საკუთრება, მიწის მესაკუთრე როგორც მესაკუთრე. ამრიგად, სმიტი განიხილავს რენტას როგორც მიწის საკუთრების უბრალო შედეგს და მიიჩნევს მას მონოპოლიურ ფასად, რაც საკვლევით სწორია, რადგან მხოლოდ მიწის საკუთრების ჩარევის შედეგია, რომ პროდუქტი იყიდება უფრო მეტ ფასში, ვიდრე ხარჯთფასია, იყიდება თავისი ღირებულების მიხედვით.

«მიწის რენტა, როგორც მიწით სარგებლობისათვის გადასახდელი ფასი, ბუნებრივია, მონოპოლიურ ფასს წარმოადგენს» (გვ. 302).

ეს, მართლაც, ისეთი ფასია, რომლის გადახდასაც იძულებითი გზით იწვევს მხოლოდ მიწის მონოპოლიური საკუთრება, და რომელიც, რაკი იგი ამ მხრივ მონოპოლიური ფასია, განსხვავდება მრეწველობის პროდუქტთა ფასისაგან.

კაპიტალის თვალსაზრისით — კაპიტალი კი წარმოებაში მატონობს — ხარჯთფასი მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ პროდუქტი ანაზღაურებდეს, გარდა ავანსად გაღებული ხარჯებისა, ავრეთვე საშუალო მოგებასაც. ამ შემთხვევაში პროდუქტს, — სულ ერთია, იქნება ეს მიწის პროდუქტი თუ რომელიმე სხვა პროდუქტი, — შეუძლია

«ბაზარზე გასვლა». «თუ ჩვეულებრივი ფასი საკმარისზე მეტია, მაშინ მისი გადანამეტი, ბუნებრივია, მიწის რენტას უწევს. თუ იგი მხოლოდ

* — რენტა გაუმჯობესებული მიწისათვის. რედ.

საკმარისია, მაშინ საქონელს თუმცა ბაზარზე გასვლა სავსებით შეუძლია, მაგრამ მას არ შეუძლია რენტა მისცეს მიწის მესაკუთრეს. იქნება თუ არა ფასი საკმარისზე მაღალი? ეს დამოკიდებულია მოთხოვნაზე» (ტომი I, გვ. 302 — 303).

გადავდიგართ საკითხზე: რატომ შედის რენტა ფასში, სმიტის აზრით, სხვანაირად, ვიდრე ხელფასი და მოგება? დასაწყისში სმიტმა სწორად დაშალა ღირებულება ხელფასად, მოგებად და რენტად (თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ მუდმივ კაპიტალს). მაგრამ იგი მაშინვე ვარდება შეცდომაში და საპირისპირო გზას ადგება — აიგივებს ღირებულებას და «ბუნებრივ ფასს» (ე. ი. საქონლითა საშუალო ფასს, რომელსაც კონკურენცია განსაზღვრავს, ანუ მათ ხარჯთფასს) და ამ უკანასკნელის შემადგენელ ნაწილებად იღებს ხელფასს, მოგებას და რენტას.

«ეს სამი ნაწილი წარმოქმნის, როგორც ჩანს, უშუალოდ ან საბოლოო ანგარიშით მთელ ფასს» (ტომი I, გვ. 101) (წიგნი 1, თავი მე-6).

«მიუხედავად ამისა ყველაზე განვითარებულ საზოგადოებაში ყოველთვის შეიპოვება, თუმცა მცირე რაოდენობით, ისეთი საქონელი, რომლის ფასიც მხოლოდ ორ ნაწილად იშლება: ხელფასად და კაპიტალის მოგებად, და კიდევ უფრო მცირე რაოდენობა ისეთი საქონლისა, რომლის ფასიც მხოლოდ და მხოლოდ ხელფასისაგან შედგება. მაგალითად, ზღვის თევზის ფასის ერთი ნაწილი ანაზღაურებს მეთევზეთა შრომის, მეორე ნაწილი კი — თევზსაჭერ სარეწში დაბანდებული კაპიტალის მოგების. რენტა იშვიათად შეადგენს ამ ფასის ნაწილს [620]... შოტლანდიის ზოგიერთ ადგილებში ცხოვრობენ ღარიბები, რომელთა ხელობაც ზღვის ნაპირას იმ ჭრელი კენჭების მოგროვებაა, რომლებიც ხალხში ცნობილია შოტლანდიური კენჭების სახელწოდებით. ფასი, რასაც მათ ამ კენჭებში მწარმოებელი უხდის, მთლიანად შედგება მათი შრომის ანაზღაურისაგან; ამ ფასში არ შედის არც რენტა, არც მოგება. მაგრამ ყოველი საქონლის მთელი ფასი ყოველთვის საბოლოო ანგარიშით დაიშლება ამ ნაწილებიდან რომელიმე ნაწილად. ანდა ყველა სამ ნაწილად» (ტომი I, გვ. 103 — 104) (წიგნი I, თავი მე-6).

ციტირებულ ადგილებში (და საერთოდ ამ მე-6 თავში, სადაც განხილულია «საქონელთა ფასის შემადგენელი ნაწილები») დომხალავითია არეული ერთმანეთში ღირებულების დაშლა ხელფასად და ა. შ. და ფასის შედგენა ხელფასისაგან და ა. შ. (და მხოლოდ მე-7 თავი პირველად განიხილავს «ბუნებრივ ფასს» და «საბაზრო ფასს».)

პირველი წიგნის 1-ლ, მე-2 და მე-3 თავებში განხილულია «შრომის დანაწილება»; მე-4 თავში კი—ფული. როგორც ამ, ისე შემდგომ თავებშიც გზადაგზა მოცემულია ღირებულე-

ბის განსაზღვრა. მე-5 თავი განიხილავს საქონელთა ნამდვილ ფასს და მათს ნორმალურ ფასს; ღირებულების ფასად გადაქცევას. მე-6 თავი — «საქონელთა ფასის შემადგენელ ნაწილებს». მე-7 თავი — ბუნებრივ ფასსა და საბაზრო ფასს. შემდეგ მე-8 თავი — ხელფასს. მე-9 თავი — კაპიტალის მოგებას. მე-10 თავი — ხელფასს და მოგების შრომისა და კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა დარგებში. ბოლოს, მე-11 თავი განიხილავს მიწის რენტას.

მაგრამ აქ ჩვენ გვინდა პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ შემდეგს: ახლახან მოყვანილი დებულებების თანახმად, არსებობს ერთი სახის საქონელი, რომლის ფასი მარტოოდენ ხელფასისაგან შედგება, ასევე მეორე სახის საქონელი, რომლის ფასი მხოლოდ ხელფასისა და მოგებისაგან შედგება, და, ბოლოს, მესამე სახის საქონელი, რომლის ფასიც ხელფასის, მოგებისა და რენტისაგან შედგება. ამიტომ:

«ყოველი საქონლის მთელი ფასი ყოველთვის... დაიშლება ამ ნაწილებიდან რომელიმე ნაწილად ანდა ყველა სამ ნაწილად».

ამის მიხედვით, არ გვექნებოდა, მაშასადამე, საფუძველი გვეთქვა, რომ რენტა ფასში შედის სხვაგვარად, ვიდრე მოგება და ხელფასი; მაგრამ საჭირო იქნებოდა გვეთქვა, რომ რენტა და მოგება სხვაგვარად შედიან ფასში, ვიდრე ხელფასი, ვინაიდან ეს უკანასკნელი შედის ყოველთვის, რენტა და მოგება — არა ყოველთვის. საიდან-ღაა ეს განსხვავება?

შემდეგ, სმიტს უნდა გამოეკვლია საკითხი: შეიძლება თუ არა, რომ ის ცოტაოდენი საქონელი, რომლებშიც მხოლოდ ხელფასი შედის, მათი ღირებულების მიხედვით იყიდებოდეს? ან, არიან თუ არა შოტლანდიური კენჭების შემგროვებელი ღარიბები, დაჭირავებული მუშები მწახნაგებლებისა, რომლებიც ამ ღარიბებს მხოლოდ ჩვეულებრივ ხელფასს უხდიან მათ მიერ მიწოდებულ საქონელში, ე. ი. უხდიან მათ მთელ, პირველი შეხედვით საკუთრებით მათ კუთვნილ, სამუშაო დღეში მხოლოდ იმდენს, რამდენსაც ღებულობს მუშა სხვა დარგებში, სადაც მისი სამუშაო დღის ნაწილი ქმნის მოგებას და ეკუთვნის არა მას, არამედ კაპიტალისტს? სმიტს ან უნდა დაედასტურებინა ეს, ანდა, პირიქით, განეცხადებინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოგება

მხოლოდ გარეგნულად გამოდის როგორც ხელფასისაგან გა-ნსხვავებელი რაღაც. იგი თვით ამბობს:

«როცა შემოსავლის ეს სამი სხვადასხვა სახეობა სხვადასხვა პირს ეკუთვნის, მაგრამ ერთმანეთისაგან გარჩევა ადვილია; მაგრამ როცა ისინი ერთსა და იმავე პირს ეკუთვნიან, მათ ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ, ყოველ შემთხვევაში ყოველდღიურ ლაპარაკში» (ტომი I, გვ. 106) (წიგნი I, თავი 6).

ნამდვილად კი სმიტთან საქმის ვითარება ასეთია:

თუ დამოუკიდებელი მუშაკი (მსგავსად შოტლანდიელი ღარიბე-ბისა, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი) მხოლოდ შრომას იყენებს (არ საჭიროებს ამასთან კაპიტალს), საერთოდ მხოლოდ თავის შრო-მას და ბუნების მიერ მოცემულ ელემენტებს იყენებს, — მაშინ ფასი, დაშლისას, მარტოოდენ ხელფასზე დაიყვანება. თუ მუშაკი ამასთა-ნავე ცოტაოდენ კაპიტალსაც იყენებს, იგი ერთ პირში აერთიანებს ხელფასის მიმღებს და მოგების მიმღებს. თუ, ბოლოს, იგი თავის შრომას, თავის კაპიტალს და თავის მიწის საკუთრებას იყენებს, მას-ში ერთიანდება სამი პირი — მიწის მესაკუთრე, მოიჯარე და მუშა.

{ სმიტის მიერ საკითხის დაყენების მთელი უაზრობა მეღავნდება I წიგნის მე-6 თავის ერთ-ერთ დასკვნითს ფრაზაში:

«რადგან ცივილიზებულ ქვეყანაში მხოლოდ ძლიერ მცირე რაოდენობით მოა-პოვება ისეთი საქონელი, რომლის მთელი საცვლელი ღირებულება მარტოოდენ შრომიდან წარმოიშვება» (აქ შრომა და ხელფასი გაიგივებულია), «და რადგან საქონელთა უდიდესი ნაწილის საცვლელ ღირებულე-ბაში რენტა და მოგება მნიშვნელოვანი ოდენობით შედის, ამიტომ ამ ქვეყნის შრომის წლიური პროდუქტი (აქ, მაშასადამე, საქონელი მაინც შრომის პროდუქტს უდრის, თუმცა «ამ პროდუქტის მთელი ღირებულება როდი წარმოიშვება მარტოოდენ შრომიდან») «მუდამ საკ-მარისი იქნება იმისათვის, რომ იყიდოს და თავის განკარგულე-ბაში მიიღოს შრომის გაცილებით მეტი რაოდენობა, ვიდრე ის რაოდენობაა, რომელიც აუცილებლად დას-ჭირდებოდა ამ პროდუქტის მოყვანას, დამუშავებას და ბაზარზე გატანას» (იქვე, ტომი I, გვ. 108 — 109).

გამოდის, რომ შრომის პროდუქტი არ უდრის ამ პროდუქ-ტის ღირებულებას. ჩანს (ასე შეიძლება სმიტის აზრი გავიგოთ), ეს ღირებულება გადიდებულია მოგებისა და რენტის დამატე-ბით. ამიტომ შრომის პროდუქტს შეუძლია მიიღოს თავის განკარგუ-ლებაში, იყიდოს შრომის უფრო დიდი რაოდენობა, ე. ი. მას შეუძ-ლია იყიდოს შრომის სახით უფრო მეტი ღირებულება, ვიდრე ის ღირებულებაა, რასაც პროდუქტში მოთავსებული შრომის რაოდე-

ნობა შეადგენს. ეს დებულება სწორი იქნებოდა, იგი რომ ჩამოყალიბებული ყოფილიყო ასე:

[621] სმიტი ამბობს:

«რადგან ცივილიზებულ ქვეყანაში მხოლოდ ძლიერ მცირე რაოდენობით მოიპოვება ისეთი საქონელი, რომლის მთელი საცვლელი ღირებულება მარტოოდენ შრომიდან წარმოიშვება, და რადგან საქონელთა უდიდესი ნაწილის საცვლელ ღირებულებაში რენტა და მოგება მნიშვნელოვანი ოდენობით შედის, ამიტომ ამ ქვეყნის შრომის წლიური პროდუქტი შუდამ საკმარისი იქნება იმისათვის, რომ იყიდოს და თავის განკარგულებაში მიიღოს შრომის გაცილებით მეტი რაოდენობა, ვიდრე ის რაოდენობა, რომელიც აუცილებლად დასჭირდებოდა ამ პროდუქტის მოყვანას, დამუშავებას და ბაზარზე გატანას».

უნდა ეთქვა მისივე საკუთარი თვალსაზრისით:

«რადგან ცივილიზებულ ქვეყანაში მხოლოდ ძლიერ მცირე რაოდენობით მოიპოვება ისეთი საქონელი, რომლის მთელი საცვლელი.. ღირებულება დაიყვანება, მისი დაშლას, მხოლოდ ხელფასზე, და რადგან საქონელთა უდიდესი ნაწილის მათი ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი რენტად და მოგებად იშლება, ამიტომ ამ ქვეყნის შრომის წლიური პროდუქტი შუდამ საკმარისი იქნება იმისათვის, რომ იყიდოს და თავის განკარგულებაში მიიღოს შრომის გაცილებით შეტი რაოდენობა, ვიდრე ის რაოდენობაა, რომელიც უნდა ანაზღაურებულიყო (მაშასადამე, დახარჯულიყო) ამ პროდუქტის მოყვანის, დამუშავებისა და ბაზარზე გატანის დროს».

(სმიტი აქ კვლავ უბრუნდება თავის მეორე წარმოდგენას ღირებულებაზე; უკანასკნელის შესახებ იგი ამავე თავში ამბობს:

«მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ფასის ყველა სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის ნამდვილი ღირებულება გაიზომება შრომის იმ რაოდენობით, რომელიც თვითეულ ამ ნაწილს შეუძლია იყიდოს, ანუ მიიღოს თავის განკარგულებაში. შრომა» (ამ აზრით) «ზომავს ფასის არა მარტო ამ ნაწილის ღირებულებას, რომელიც დაიყვანება შრომაზე» (უნდა ეთქვა: ხელფასზე), «არამედ ასევე მისი იმ ნაწილის ღირებულებას, რომელიც დაიყვანება რენტაზე, და იმ ნაწილის ღირებულებასაც, რომელიც დაიყვანება მოგებაზე» (ტომი I, წიგნი I, თავი მე-6, გვ. 100).

მე-6 თავში ჯერ კიდევ გაბატონებულია «ღირებულების დაშლა ხელფასად, მოგებად და რენტად». მხოლოდ მე-7 თავში, რომელიც ბუნებრივ ფასსა და საბაზრო ფასს განიხილავს, უკვე იმჯავებს ის შეხედულება, რომ ფასი ყალიბდება ამ დამოუკიდებელი შემადგენელი ელემენტებისაგან.)

ამრიგად: შრომის წლიური პროდუქტის საცვლელი ღირებულება შედგება არა მარტო ამ პროდუქტის წარმოებაში გამოყენებული შრომის ხელფასისაგან, არამედ ავრეთვე მოგებისა და რენტისაგან. მაგრამ გამგებლობა ამ შრომისა, ანუ მისი ყიდვა, ხორციელდება ღირებულების მხოლოდ იმ ნაწილის მეშვეობით, რომელიც ხელფასზე დაიყვანება. ამრიგად, შეიძლება შრომის გაცილებით უფრო დიდი რაოდენობის ამოქმედება იმ შემთხვევაში, თუ მოგებისა და რენტის ნაწილს იმას მოვახმართ, რომ ჩვენს განკარგულებაში მივიღოთ, ანუ ვიყიდოთ, შრომა, ე. ი. თუ ამ ნაწილს ხელფასად ვაქცევთ. გამოდის, მაშასადამე, შემდეგი: შრომის წლიური პროდუქტის საცვლელი ღირებულება იშლება ფასგადახდილ შრომად (ხელფასად) და ფასგადაუხდელ შრომად (მოგებად და რენტად). და აი, თუ ღირებულების იმ ნაწილიდან, რომელიც ფასგადაუხდელ შრომას წარმოადგენს, გარკვეულ ნაწილს ხელფასად გადავაქცევთ, შეიძლება შრომის უფრო დიდი რაოდენობა ვიყიდოთ, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა შრომის ახალი ყიდვისათვის განკუთვნილია ამ ღირებულების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ხელფასისაგან შედგება.)

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

«დამოუკიდებელი მუშაკი, რომელსაც აქვს მცირე კაპიტალი, საკმარისი იმისათვის, რომ მასალა შეიძინოს და იარსებოს მანამდე, სანამ იგი თავისი პროდუქტის ბაზარზე გატანას შეძლებს, მიიღებს ერთსა და იმავე დროს როგორც მეპატრონესთან მომუშავე დღიური მუშის ხელფასს, ისე მოგებას, რასაც ეს მეპატრონე დღიური მუშის შრომიდან მიიღებდა. მიუხედავად ამისა ამ მუშაკის მთელ გამომუშავებას უწოდებენ მოგებას, და ხელფასი აქ არეულია მოგებაში. მებაღე, რომელიც თავისი ხელებით ამუშავებს თავის საკუთარ ბაღს, ერთიანებს თავის თავში სამ სხვადასხვა პირს — მიწის მესაკუთრეს, მოჯარეს და მუშას. მისი ბაღის პროდუქტმა უნდა აუნაზღაუროს მას ამიტომ პირველის რენტა, მეორის მოგება და მესამის ხელფასი. მიუხედავად ამისა ყოველგვე ეს ჩვეულებრივ განიხილება როგორც მისი შრომის პროდუქტი. როგორც რენტა, ისე მოგებაც არეულია აქ ხელფასში» (ტომი I, წიგნი I, თავი მე-6, გვ. 108).

სმიტს აქ, მართლაც, არეული აქვს ერთმანეთში ყველა ცნება. განა «მთელი გამომუშავება» «მისი შრომის პროდუქტი» არ არის? და განა კაპიტალისტური წარმოების ურთიერთობანი, — სადაც, ობიექტური პირობებისაგან შრომის გამოყოფასთან ერთად, მუშა, კაპიტალისტი და მიწის მესაკუთრე ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც სამი სხვადასხვა პირი, — არ გადმოიტანება აქ, პირიქით, ამ მებაღეზე, როცა მისი შრომის პროდუქტი ანუ, უფრო სწო-

რად, ამ პროდუქტის ღირებულება განიხილება ნაწილობრივ როგორც მისი შრომის ამნაზღაურებელი ხელფასი, ნაწილობრივ როგორც გამოყენებული კაპიტალის მოგება და ნაწილობრივ როგორც რენტა, რაც ფილად ხვდება მიწას ანუ, უფრო სწორად, მიწის მესაკუთრეს? კაპიტალისტური წარმოების ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი სავსებით მართებულია ისეთი შრომითი ურთიერთობისთვისაც, სადაც აღნიშნული ელემენტები (ფაქტიურად) არ არიან ერთმანეთისაგან განცალკევებული, ვიგულისხმოთ ისინი როგორც ერთმანეთისაგან გათიშულნი და, ამრიგად, განვიხილოთ ეს მებაღე როგორც თავისი საკუთარი [622] დღიური მუშა და თავის საკუთარი მიწის მესაკუთრე, გაერთიანებულნი in una persona *. მაგრამ აქ სმიტთან უკვე გარკვევით გამოსჩენილია ვულგარული შეხედულება, თითქოს ხელფასი წარმოიქმნება შრომიდან, მოგება და რენტა კი წარმოიქმნება — მუშის შრომისაგან დამოუკიდებლად — კაპიტალისა და მიწისაგან როგორც დამოუკიდებელი წყაროებისაგან, რომლებიდანაც გამომდინარეობს არა სხვისი შრომის მითვისება, არამედ თვით სიმდიდრე. ასეთი უცნაური წესითაა გადახლართული სმიტთან ყველაზე ღრმა აზრები ყველაზე შეუსაბამო წარმოდგენებთან, რომელთაც ქმნის თავისთვის ვულგარული შეგნება, როცა იგი აბსტრაჰირების გზით მოწყვეტილად იღებს კონკურენციის ცალკეულ მოვლენებს.

მას შემდეგ, რაც სმიტმა ღირებულება დ ა შ ა ლ ა ხელფასად, მოგებად და რენტად, იგი მერე, პირიქით, ღირებულებას შ ე ა დ გ ე ნ ს ხელფასის, მოგებისა და რენტისაგან, რომლებიც განსაზღვრულია ღირებულებისაგან დამოუკიდებლად. ასე დაიწყო თავისივე საკუთარი სწორი დასკვნები მოგებისა და რენტის წარმოშობის შესახებ და ახლა სმიტს შეუძლია თქვას:

«ხელფასი, მოგება და რენტა ს ა მ ი პ ი რ ვ ე ლ ა დ ი წ ყ ა რ ო ა ყ ო ვ ე ლ ი შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს ა, ი ს ე ვ ე როგორც ყ ო ვ ე ლ ი ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ი ს ა» (ტ. I, გვ. 105) (წიგნი I, თავი მე-6).

თავისი საკუთარი არგუმენტაციის შესაბამისად მას უნდა ეთქვა:

«ს ა ქ ო ნ ლ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ა გამომდინარეობს მარტოოდენ ამ საქონელში მოთავსებული შრომიდან (შრომის რაოდენობიდან). ეს ღირებულება იშლება ხელფასად, მოგებად და რენტად. ხელფასი, მოგება და რენტა ის პირველადი ფორმებია, რომლებითაც დაჭირავებული მუშა, კაპიტალისტი და მიწის მესაკუთრე თავიანთ წილს ღებულობენ მუშის შრომით შექმნილი ღირებულებიდან. ამ აზრით ხელფასი, მოგება და რენტა სამი პირველადი წ ყ ა რ ო ა ყ ო ვ ე ლ ი. შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს ა, თუმცა არც ერთი ამ ეგრეთწოდებულ წყაროთაგან არ მონაწილეობს ღირებულების შექმნაში».

* — ერთ პიროვნებაში. რ ე დ.

ციტირებული ადგილებიდან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მიდის სმიტი მე-6 თავში, რომელიც «საქონელთა ფასის შემადგენელ ნაწილებს» იხილავს, იქამდე, რომ ფასი დაჰყავს ხელფასზე, როცა წარმოებაში შედის მხოლოდ შრომა (უშუალო), შლის მას ხელფასად და მოგებად, როცა, დამოუკიდებელი მუშაკის ნაცვლად, არსებობს კაპიტალისტისათვის მომუშავე დღიური მუშა (ე. ი. არსებობს კაპიტალი), და, ბოლოს — ხელფასად, მოგებად და რენტად, როცა, გარდა კაპიტალისა და შრომისა, წარმოებაში შედის «მიწა»; მაგრამ, ამასთან, წინასწარ იგულისხმება, რომ მიწა გადაქცეულია საკუთრებად, ე. ი. რომ მუშისა და კაპიტალისტის გვერდით გამოდის აგრეთვე მიწის მესაკუთრეც (თუმცა სმიტი ამჩნევს, რომ სამივე ეს დამახასიათებელი ფიგურა — ანდა ორი მათგანი — შეიძლება გაერთიანებული იყო ერთ პიროვნებაში).

მე-7 თავში კი, რომელიც ბუნებრივ ფასსა და საშაზრო ფასს იხილავს, რენტა, ისევე როგორც ხელფასიც და მოგებაც, წარმოდგენილია ბუნებრივი ფასის დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილის სახით (იმ შემთხვევაში, როცა წარმოებაში შედის მიწა).

ამას ამტკიცებენ შემდეგი ადგილები (წიგნი I, თავი მე-7):

«როცა საქონლის ფასი არც მეტია, არც ნაკლები იმაზე, რაც საჭიროა, რომ ანაზღაურდეს მათი ბუნებრივი ნორმების მიხედვით მიწის რენტაც, ხელფასიც და იმ კაპიტალის მოგებაც, რომელიც გამოყენებულია საქონლის საწარმოებლად, დასამუშავებლად და ბაზარზე მის გასატანად, მაშინ ეს საქონელი ისეთ ფასში იყიდება, რომელსაც შეიძლება მისი ბუნებრივი ფასი ეწოდოს. მაშინ საქონელი ზუსტად იმდენად იყიდება, რამდენიც ღირს» (ტომი I, გვ. 111). (აქ ამასთანავე «ბუნებრივი ფასი» გაიგივებულია საქონლის ღირებულებასთან.)

«ყოველი ცალკეული საქონლის საბაზრო ფასი განისაზღვრება თანაფარდობით მოცემულ მომენტში ბაზარზე მყოფ ამ საქონლის რაოდენობასა და იმათი მხრივ ამ საქონლის მოთხოვნას შორის, ვინც მზადაა გადაიხადოს მისი ბუნებრივი ფასი, ანუ სრული ღირებულება რენტის, მოგების და ხელფასისა, რომლებიც უნდა ანაზღაურდეს, რათა საქონელი ბაზარზე გავიდეს» (ტომი I, გვ. 112).

«თუ ბაზარზე გატანილი რაოდენობა რომელიმე საქონლისა ჩამორჩება მის ნამდვილ მოთხოვნას, მაშინ შეუძლებელია, რომ ყველა იმათ, ვინც მზადაა გადაიხადოს სრული ფასი რენტის, ხელფასის და მოგებისა, რომლებიც აუცილებელია მისი ბაზარზე გატანისათვის, მიიღონ მათთვის საჭირო რაოდენობა ამ საქონლისა... მაშინ საბაზრო ფასი მეტი თუ ნაკლები ოდენობით გადაამეტებს ბუნებრივ ფასს, იმისდა მიხედვით, რამდენად ამ საქონლის დეფიციტს რაოდენობა, ან კონკურენტთა სიმ-

დიდრე, ანდა მათი ქონი, აძლიერებენ კონკურენციას მათ შორის» (ტომი I, გვ. 113).

«თუ ბაზარზე გატანილი საქონლის რაოდენობა აღემატება მის ნამდვილ მოთხოვნას, მაშინ მთელი ეს რაოდენობა არ შეიძლება მიეყიდოს იმათ, ვინც მზადაა გადაიხადოს სრული ღირებულება რენტის, ხელფასის და მოგებისა, რომლებიც აუცილებელია მისი ბაზარზე გატანისათვის... საბაზრო ფასი — დაიწევს მაშინ ბუნებრივ ფასზე დაბლა მეტი თუ ნაკლები ოდენობით, იმისდა მიხედვით, თუ საქონლის არსებული ნამეტი რამდენად გააძლიერებს კონკურენციას გამყიდველებს შორის, ანდა იმისდა მიხედვით, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის თავიანთი საქონლის დაუყოვნებლივ გასაღება» (ტომი I, გვ. 114).

«თუ ბაზარზე გატანილი რაოდენობა საკმარისია სწორედ ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ საბაზრო ფასი, რა თქმა უნდა, ზუსტად... ბუნებრივი ფასის შესაბამისი იქნება... კონკურენცია სხვადასხვა გამყიდველებს შორის აიძულებს მათ მიიღონ ეს ფასი, მაგრამ ეგი ვერ აიძულებს მათ უფრო დაბალი ფასი მიიღონ» (ტომი I, გვ. 114 — 115).

[623] სმიტის მიხედვით, მიწის მესაკუთრე ამოიღებს თავის მიწაზე წარმოებიდან ანდა გადადის ერთი საქონლის (მაგალითად, ხორბლის) წარმოებიდან მეორის წარმოებაზე (მაგალითად, საძოვრულ მეურნეობაზე) [ანდა, პირიქით, აფართოებს თავისი საქონლის წარმოებას], როცა ბაზრის მდგომარეობის გამო მისი რენტა თავის ბუნებრივ ნორმაზე უფრო დაბლა ეცემა ან უფრო მაღლა აიწევს.

«თუ ეს» (ბაზარზე გატანილი) «რაოდენობა აღემატება გარკვეული დროის განმავლობაში ნამდვილ მოთხოვნას, მაშინ საქონლის ფასის შემადგენელი ნაწილებიდან რომელიმე უნდა ანაზღაურდეს თავის ბუნებრივ ნორმაზე უფრო დაბლა. თუ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება რენტა, მაშინ მიწის მესაკუთრეთა ინტერესები მაშინვე აიძულებენ მათ ამოიღონ ამ წარმოებიდან თავიანთი მიწის ნაწილი» (ტომი I, გვ. 115).

«თუ, პირიქით, ბაზარზე გატანილი საქონლის რაოდენობა გარკვეული დროის განმავლობაში ჩამორჩება ნამდვილ მოთხოვნას, მაშინ საქონლის ფასის შემადგენელი ნაწილებიდან რომელიმე აუცილებლად თავის ბუნებრივ ნორმაზე უფრო მაღლა აიწევს. თუ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება რენტა, მაშინ ყველა დანარჩენი მიწის მესაკუთრის ინტერესები, ბუნებრივია, აიძულებენ მათ მიწის უფრო დიდი ფართობი გამოიყენონ ამ საქონლის საწარმოებლად» (ტომი I, გვ. 116).

«საქონლის საბაზრო ფასის შემთხვევითი და დროებითი რყევა გავლენას ახდენს უმთავრესად მისი ფასის იმ ნაწილებზე, რომლებიც ხელფასსა და მოგებაზე დაიყვანება. ფასის იმ ნაწილზე, რომელიც რენტაზე დაიყვანება, ეს უფრო ნაკლებ გავლენას იქონიებს» (ტომი I, გვ. 118 — 119).

«მინიმალური ფასი წარმოადგენს ყველა შემთხვევაში ყველაზე მაღალ ფასს, რომლის მიღებაც კი შესაძლებელია. პირიქით, ბუნებრივი ფასი, ანუ თავისუფალი კონკურენციის შედეგად დამყარებული ფასი, ყველაზე დაბალი ფასია, რომელიც შეიძლება მივიღოთ, მართალია, არა ყველა მომენტში, მაგრამ შედარებით დროის ხანგრძლივი მონაკვეთის მანძილზე» (ტომი I, გვ. 124).

«თუმცა ცალკეული საქონლის საბაზრო ფასი შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბუნებრივ ფასზე უფრო მაღლა იმყოფებოდეს, მაგრამ მაინც ძნელია იმის ვარაუდი, რომ იგი ხანგრძლივი დროით მასზე დაბლა იდგომება. ამ ფასის რომელი ნაწილიც არ უნდა ნაზღაურდებოდეს თავის ბუნებრივ ნორმაზე უფრო დაბლა, ის ადამიანები, რომელთა ინტერესებსაც ეს შეეხებოდა, მალე შენიშნავდნენ ზარალს, რაც მათ განიცადეს, და დაუყოვნებლივ ამოიღებდნენ მოცემული წარმოების დარგიდან იმდენ მიწას ან შრომას ანდა კაპიტალს, რომ ამ ბაზარზე გატანილი საქონლის რაოდენობა სულ მალე საკმარისი აღმოჩნდება მხოლოდ ნამდვილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, ამ საქონლის საბაზრო ფასი მალე აიწევდა მისი ბუნებრივი ფასის დონემდე; ყოველ შემთხვევაში ეს მოხდებოდა იქ, სადაც სრული თავისუფლება ბატონობს» (ტომი I, გვ. 125).

მე-7 თავში საკითხის ასეთი გაშუქების შემდეგ მეტად ძნელია იმის გაგება, თუ სმიტი მე-11 თავში «მიწის რენტის შესახებ» (წიგნი I) რა საფუძვლით ამტკიცებს, რომ რენტა ყოველთვის არ შედის ფასში იქ, სადაც წარმოებაში შედის საკუთრებად ქცეული მიწა; მეტად ძნელია იმის გაგება, თუ როგორ შეუძლია სმიტს განასხვაოს ის წესი, რომლითაც რენტა ფასში შედის, იმ წესისაგან, რითაც მასში მოგება და ხელფასი შედის, — მას შემდეგ, რაც მან მე-6 და მე-7 თავებში რენტა წარმოგვიდგინა, საკუთრივ ისევე როგორც მოგებაც და ხელფასიც, როგორც «ბუნებრივი ფასის» დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილი. მაგრამ დავუბრუნდეთ (I წიგნის) მე-11 თავს.

ჩვენ დავინახეთ, რომ მე-6 და მე-7 თავებში რენტა განისაზღვრება როგორც ნამეტი, რომელიც პროდუქტის ფასიდან რჩება მას შემდეგ, რაც ანაზღაურებულ იქნა კაპიტალისტის (მოჯარის) მიერ ავანსად გადებული ხარჯები და საშუალო მოგება.

მე-11 თავში სმიტი აბსოლუტურად ყველაფერს თავდაყირა აყენებს. რენტა უკვე აღარ შედის ბუნებრივ ფასში. ანუ, უფრო სწორად, ა. სმიტი აქ იშველიებს ჩვეულებრივ ფასს, რომელიც, როგორც წესი, განსხვავდება ბუნებრივი ფასისაგან, თუმცა მე-7 თავში ჩვენ ვხედავდით, რომ ჩვეულებრივი ფასი არასოდეს არა დგას რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბუნებრივ ფასზე უფრო დაბლა და არასოდეს არ შეუძლია მას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ანაზღაურებდეს ბუნებრივი ფასის რომელიმე შემადგენელ ნაწილს მის ბუნებრივ ნორმაზე დაბლა, და მით უმეტეს არ შეუძლია მისი მთლიანად ანაზღაურება, როგორც ამას იგი ახლა რენტას მიმართ ამტკიცებს. სმიტი არაფერს არ გვეუბნება აგრეთვე

იმის შესახებაც, იყიდება თუ არა პროდუქტი თავის ღირებულებაზე დაბლა, როცა იგი არ იხდის რენტას, ანდა იგი იყიდება თავის ღირებულებაზე უფრო მაღლა, როცა იგი რენტას იხდის.

უწინ საქონლის ბუნებრივი ფასი განისაზღვრებოდა როგორც

«სრული ღირებულება რენტის, მოგების და ხელფასისა, რომელთა განაზღაურებაც საჭიროა იმისათვის, რომ საქონელი ბაზარზე გავიდეს» (ტომი I, გვ. 112).

ახლა ჩვენ ვხედავთ:

«ბაზარზე ჩვეულებრივ შეიძლება მიწის მხოლოდ ის პროდუქტები გავიტანონ, რომელთა ჩვეულებრივი ფასი საკმარისია იმისათვის, რომ ანაზღაურდეს ბაზარზე მათ გასატანად მოხმარებული კაპიტალი და ამ კაპიტალის ჩვეულებრივი მოგება» (გვ. 302 — 303).

მაშასადამე, ჩვეულებრივი ფასი არ არის ბუნებრივი ფასი, და იმისათვის, რომ საქონელი ბაზარზე გავიდეს, აუცილებელი არაა მისი ბუნებრივი ფასის ანაზღაურება.

[624] უწინ ჩვენ ვხედავდით, რომ როცა ჩვეულებრივი ფასი (მე-7 თავში ნათქვამი იყო: საბაზრო ფასი) არ კმარა მთელი რენტის (რენტის სრული ღირებულების და ა. შ.) გადასახდელად, მიწა ამოიღება წარმოებიდან მანამდე, სანამ საბაზრო ფასი არ აიწევს ბუნებრივი ფასის დონემდე და არ გადაიხდის მთელ რენტას. ახლა კი, პირიქით, ჩვენ ვხედავთ:

«თუ ჩვეულებრივი ფასი აღემატება იმას, რაც საკმარისია» (კაპიტალის ასანაზღაურებლად და ამ კაპიტალის ჩვეულებრივი მოგების გადასახდელად), «მაშინ მისი ნამეტი, ბუნებრივია, მიწის რენტის ხმარდება. თუ იგი მარტოოდენ საკმარისია, მაშინ საქონელი მთლიანად შეიძლება გავიდეს ბაზარზე, მაგრამ იგი რენტას ვერ მისცემს მიწის მესაკუთრეს. იქნება ფასი საკმარისზე უფრო მაღლა თუ არა, ეს დამოკიდებულია მოთხოვნაზე» (ტომი I, გვ. 303).

ბუნებრივი ფასის შემადგენელი ნაწილიდან რენტა ერთბაშად გადაიქცევა საკმარის ფასზე გადანამეტად, რომლის არსებობა ან არარსებობა დამოკიდებულია მოთხოვნის მდგომარეობაზე. მაგრამ საკმარისი ფასი — ეს არის ფასი, აუცილებელი იმისათვის, რომ საქონელი ბაზარზე გავიდეს, მაშასადამე, რომ იგი წარმოებული იყოს, ე. ი. ეს არის საქონლის წარმოების ფასი [Produktionspreis]. ვინაიდან ფასი, რომელიც

აუცილებელი პირობაა საქონლის მიწოდებისათვის, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ იგი საერთოდ იწარმოებოდეს, გამოდიოდეს ბაზარზე როგორც საქონელი, არის, რა თქმა უნდა, მისი წარმოების ფასი, ანუ ხარჯთფასი. ეს არის მისი არსებობის sine qua non *. მეორე მხრივ, მოთხოვნა მიწის ზოგიერთი პროდუქტისა ყოველთვის აუცილებლად ისეთი აღმოჩნდება ხოლმე, რომ ამ პროდუქტების ჩვეულებრივი ფასი იძლევა გადანამეტს წარმოების ფასზე და, მაშასადამე, იძლევა რენტას. მიწის სხვა პროდუქტების მიმართ მოთხოვნა შეიძლება იყოს ასეთი, მაგრამ შეიძლება იყოს სხვაგვარიც.

«მიწის პროდუქტების გარკვეული ნაწილის მოთხოვნა ყოველთვის აუცილებლად ისეთია, რომ მათი გაყიდვა წარმოებს ისეთი ფასის კვალობაზე, რომელიც აღემატება იმ ფასს, რაც საკმარისია ბაზარზე მათ გასატანად. არსებობს მიწის სხვა პროდუქტებიც, რომელთა მოთხოვნაც შეიძლება ისეთი იყოს, რომ მათში იძლევიან ფასს, რომელიც აღემატება საკმარის ფასს, მაგრამ შეიძლება იყოს ისეთიც, რომ მათში ასეთ ფასს არ იძლევიან. პირველნი მუდამ უნდა აძლევდნენ მიწის შესაკუთრეს რენტას, უკანასკნელნი კი ხან მისცემენ ამ რენტას, ხან — არა, სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით» (ტომი I, გვ. 303).

ამრიგად, ბუნებრივი ფასის ნაცვლად ჩვენ აქ გვაქვს საკმარისი ფასი. ჩვეულებრივი ფასი კვლავ განსხვავებულია ამ საკმარისი ფასისაგან. ჩვეულებრივი ფასი, როცა იგი რენტას შეიცავს, აღემატება საკმარის ფასს. ჩვეულებრივი ფასი, როცა იგი რენტას გამორიცხავს, უდრის საკმარის ფასს. ხოლო საკმარისი ფასისათვის დამახასიათებელია კი არის ის, რომ იგი გამორიცხავს რენტას. ჩვეულებრივი ფასი საკმარის ფასზე უფრო დაბლა დგას, თუ იგი მხოლოდ კაპიტალს ანაზღაურებს და არ იხდის საშუალო მოგებას. მაშასადამე, საკმარისი ფასი წარმოადგენს სინამდვილეში წარმოების ფასს, ანუ ხარჯთფასს, იმ სახით, რა სახითაც რიკარდომ იგი აბსტრაჰირების გზით ა. სმიტის მოძღვრებიდან ამოიღო და რა სახითაც იგი ნამდვილად ფიგურირებდა კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით, ე. ი. ეს არის ფასი, რომელიც ანაზღაურებს, გარდა კაპიტალისტის მიერ გაღებული ხარჯებისა, საშუალო მოგებას; ეს არის საშუალო ფასი, რასაც ქმნის კონკურენცია კაპიტალისტებს შორის კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა სფეროში. კონკურენციის ცალკეულ მოვლენათა სწორედ ამ აბსტრაჰირებამ მიიყვანა სმიტი იქამდე, რომ მის მიერვე წამოყენე-

* — აუცილებელი პირობა. რ ე დ.

ბულ ბუნებრივ ფასს მან დაუპირისპირა საკმარისი ფასი, თუმცა ბუნებრივი ფასის სმიტისეული გაგების თანახმად, პირიქით, მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდისათვის საკმარის ფასად გამოცხადებულია მხოლოდ ის ჩვეულებრივი ფასი, რომელიც ანაზღაურებს ბუნებრივი ფასის შემადგენელ ნაწილებს — რენტას, მოგებას, ხელფასს. რადგან საქონელთა წარმოებას კაპიტალისტი მართავს, საკმარისი ფასი ის ფასია, რომელიც საკმარისია კაპიტალისტური წარმოებისათვის, საკმარისია კაპიტალის თვალსაზრისით, კაპიტალისათვის ეს საკმარისი ფასი კი არ შეიცავს რენტას, არამედ, პირიქით, გამორიცხავს მას.

მეორე მხრივ: ეს საკმარისი ფასი, არასაკმარისი აღმოჩნდება ხოლმე მიწის ზოგიერთი პროდუქტისათვის. ამ უკანასკნელთათვის ჩვეულებრივი ფასი უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ იძლეოდეს გარკვეულ გადანამეტს «საკმარის ფასზე» და ამრიგად მიწის მესაკუთრეს აძლევდეს რენტას. მიწის სხვა პროდუქტებთან ეს დამოკიდებულია გარემოებებზე. წინააღმდეგობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საკმარისი ფასი აღმოჩნდება არასაკმარისი, რომ ფასი, რაც საკმარისია ბაზარზე პროდუქტის გასატანად, არასაკმარისია იმისათვის, რომ იგი ბაზარზე გადიოდეს, — ეს წინააღმდეგობა არ აოცებს სმიტს.

თუმცა სმიტი ვრთი წუთითაც არ ეჭვდება უკან, იმისაკენ, რაც მან მე–5, მე–6 და მე–7 თავებში განავითარა, იგი მაინც აღიარებს (მაგრამ ამაში ხედავს არა წინააღმდეგობას, არამედ რაღაც ახალ აღმოჩენას, რასაც იგი მოულოდნელად წააწყდა), რომ ამ «საკმარისი ფასითა» მან თავდაყირა დააყენა მთელი თავისი მოძღვრება «ბუნებრივი ფასის შესახებ».

«საკვირველია, მაშასადამე, შევნიშნოთ» (ასეთი უაღრესად გულუბრყვილო ფორმით გადადის სმიტი ერთი მტკიცებიდან პირდაპირ საწინააღმდეგოზე), «რომ რენტა სხვა წესით შედის საქონელთა ფასის შედგენილობაში, ვიდრე ხელფასი და მოგება. ხელფასისა და მოგების მაღალი თუ დაბალი დონე მიზეზია საქონელთა მაღალი თუ დაბალი ფასისა [625]; რენტის მაღალი თუ დაბალი დონე კი ამ ფასის შედეგია. ცალკეული საქონლის ფასი მაღალია ან დაბალი იმ მიზეზით, რომ აუცილებელია მაღალი თუ დაბალი ხელფასისა და მოგების ანაზღაურება იმისათვის, რათა საქონელი ბაზარზე გადმოიდეს. მაგრამ საქონელი იძლევა გადანამეტს, რომელიც შეიძლება გადახდილ იქნეს როგორც მაღალი ან დაბალი რენტა, ანდა საქონელი არ იძლევა არავითარ გადანამეტს რენტის გადასახდელად — იმისდა მიხედვით, მა-

ღალია თუ დაბალი საქონლის ფასი, აღემატება თუ არა იგი ბეგრად ან უმნიშვნელოდ, ანდა სრულიად არ აღემატება იმ ფასს, რომელიც საკმარისია ამ ხელფასთა და მოგებათა გადასახდელად» (ტომი I, გვ. 303 — 304).

უწინარეს ყოვლისა საყურადღებოა დასკვნითი ფრაზა. გამოდის, რომ საკმარისი ფასი, ხარჯთფასი, რაც მხოლოდ ხელფასსა და მოგებას ანაზღაურებს, გამორიცხავს რენტას. თუ პროდუქტი იყიდება ისეთ ფასად, რომელიც საკმარის ფასს მნიშვნელოვნად აღემატება, იგი მაღალ რენტას იხდის. თუ იგი ისეთ ფასად იყიდება, რომელიც მხოლოდ ცოტათი აღემატება საკმარის ფასს, იგი იხდის მცირე რენტას. თუ პროდუქტი სწორედ საკმარისი ფასის მიხედვით იყიდება, იგი არავითარ რენტას არ იძლევა. თუ პროდუქტის ნამდვილი ფასი ემთხვევა მის საკმარის ფასს, რომელიც მოგებასა და ხელფასს ანაზღაურებს, მაშინ იგი არავითარ რენტას არ იხდის. რენტა ყოველთვის არის გადანამეტი საკმარის ფასზე. საკმარისი ფასი თავისი ბუნების მიხედვით გამორიცხავს რენტას. ეს არის რიკარდოსეული თეორია. რიკარდოს ა. სმიტისაგან გადმოაქვს საკმარისი ფასის, ხარჯთფასის, იდეა; იგი თავიდან იცდენს ა. სმიტის არათანამიმდევრულობას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სმიტი განასხვავებს ერთმანეთისაგან საკმარის ფასსა და ბუნებრივ ფასს და თანამიმდევრულად ატარებს საკმარისი ფასის იდეას. რაკი ყველა აღნიშნული არათანამიმდევრობა დაუშვა, სმიტი იმდენად არათანამიმდევრული რჩება, რომ მიწის ზოგიერთი პროდუქტისათვის ისეთ ფასს მოითხოვს, რომელიც ამ პროდუქტების საკმარის ფასს აღემატება. მაგრამ თვით ეს არათანამიმდევრულობა კვლავ შედეგია ერთგვარი უფრო სწორი «დაკვირვებისა» *.

მაგრამ ციტირებული ნაწყვეტის დასაწყისი ჭეშმარიტად გასაოცარია თავისი გულუბრყვილობით. მე-7 თავში სმიტი ამტკიცებდა, რომ რენტა, მოგება და ხელფასი თანაბრად შედიან ბუნებრივი ფასის შედგენილობაში, — მას შემდეგ, რაც მან რენტად, მოგებად და ხელფასად ღირებულების დაშლა სრულიად უსაფუძვლოდ გადააქცია რენტის, მოგების და ხელფასის ბუნებრივი

* სიტყვების თამაშია: «observation» ნიშნავს როგორც «დაკვირვებას», ისე აგრეთვე «შენიშვნას»; ამით მარქსი გადაკვრით მიგვითითებს სიტყვებზე, რომლებითაც იწყება სმიტიდან ციტირებული განსაბილველი ადგილი: «საჭიროა, მაშასადამე, შ ე ვ ნ ი შ ნ ო თ» («Il faut donc o b s e r v e r»). რედ.

ფასებისაგან ღირებულების შ ე კ რ ე ბ ა დ. ახლა იგი ამბობს, რომ რენტა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ შედის «საქონელთა ფ ა ს ი ს შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა შ ი», ვიდრე მოგება და ხელფასი. მაგრამ რაში მდგომარეობს ის ს ხ ვ ა წესი, რითაც რენტა ფ ა ს ი ს შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა შ ი შედის? სწორედ იმაში, რომ რენტა ს რ უ ლ ი ა დ არ შ ე დ ი ს ფასის შედგენილობაში. აქ ჩვენ პირველად ვდებულობთ «საკმარისი ფასის» ნამდვილ ახსნა-განმარტებას. ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ფ ა ს ი ძვირია ან იაფი, მაღალია ან დაბალი, იმ მიზეზის გამო, რომ ხელფასი და მოგება — ამ უკანასკნელთა ბუნებრივი ნორმები — მაღალი ან დაბალია. საქონელი არ გადის ბაზარზე, არ იწარმოება, თუ არ ნაზღაურდება ეს მაღალი ან დაბალი მოგებანი და ხელფასი. ისინი წარმოქმნიან . საქონლის წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ა ს ს, ის ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს; მაშასადამე, ისინი ნამდვილად არიან მ ი ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თუ ფ ა ს ი ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი. პირიქით, რ ე ნ ტ ა ა რ შ ე დ ი ს ხ ა რ ჯ თ ფ ა ს შ ი, წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ა ს შ ი. რენტა არ არის საქონლის საცვლელი ღირებულების შემადგენელი ელემენტი. მას იხდიან მ ხ ო ლ ო დ მაშინ, როცა საქონლის ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ი ფ ა ს ი ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა მ ის ს ა კ მ ა რ ი ს ფ ა ს ს. მოგება და ხელფასი, როგორც ფასის შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი, ფასის მ ი ზ ე ზ ე ბ ი ა; რენტა, პირიქით, მხოლოდ ფასის გ ა ვ ლ ე ნ ა ა, მხოლოდ შ ე დ ე გ ი ა მისი. მაშასადამე, რენტა არ შედის, როგორც ელემენტი, ფასის შედგენილობაში, მოგებისა და ხელფასისაგან განსხვავებით. ეს კი სმიტის ენით ნიშნავს, რომ რენტა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ შედის ფასის შედგენილობაში, ვიდრე მოგება და ხელფასი. სმიტი, ეტყობა, სრულიად არ გრძნობს, რომ თავდაყირა დააყენა მთელი თავისი მოძღვრება «ბუნებრივი ფასის» შესახებ. ვინაიდან რას ნიშნავდა მასთან «ბუნებრივი ფასი»? იგი ნიშნავდა საბაზრო ფასის მიზიდულობის ცენტრს, იმ «ს ა კ მ ა რ ი ს ფ ა ს ს», რომელზე დ ა ბ ლ ა ც პროდუქტი არ შეიძლება გაიყიდოს, თუ იგი რამდენადმე ხანგრძლივი დროის მანძილზე უნდა გადიოდეს ბაზარზე, უნდა იწარმოებოდეს.

ამრიგად, რენტა განიხილება ახლა როგორც გ ა დ ა ნ ა მ ე ტ ი «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ფ ა ს ზ ე», მაშინ როდესაც უწინ იგი განიხილებოდა როგორც «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი ს» დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ი»; ახლა იგი გამოცხადებულია ფასის შედეგად, უწინ იგი გამოცხადებული იყო მის მიზეზად.

პირიქით, არ არის არავითარი წინააღმდეგობა სმიტისეულ მტკი-

ცებაში, რომ მიწის გარკვეული პროდუქტებისათვის ბაზრის პირობები მუდამ ისეთია, რომ მათი ჩვეულებრივი ფასი უნდა აღემატებოდეს მათს საკმარის ფასს, სხვა სიტყვებით, ისეთია, რომ მ ი წ ა ს ს ა კ უ თ რ ე ბ ა ს შესწევს ძალა ხელოვნურად ასწიოს ფასი ამ დონეზე უფრო მაღლა, რომელიც საკმარისი იქნებოდა კაპიტალისტისათვის, მას რომ რაიმე უკუქმედითი გავლენა არ ხედებოდეს.

[626] მას შემდეგ, რაც სმიტმა ამგვარად მე-11 თავში თავდაყირა დააყენა ყველაფერი, რაც მე-5, მე-6 და მე-7 თავებში იყო ნათქვამი, იგი არხეინად განაგრძობს: ახლა პირდაპირ შეეუდგები საქმეს და განვიხილავ 1) მიწის პროდუქტებს, რომლებიც ყოველთვის იძლევიან რენტას, 2) მიწის პროდუქტებს, რომლებიც ზოგჯერ იძლევიან რენტას, ზოგჯერ არა, და, ბოლოს, 3) იმ ცვლილებებს, რასაც საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდებში განიცდის შეფარდებითი ღირებულება ამ ორი სახის პროდუქტებისა როგორც ერთიმეორის, ისე სამრეწველო საქონლის მიმართ.

[ვ) სმიტის დებულება მიწათმოქმედების პროდუქტის მოთხოვნის განსაკუთრებული ხასიათის შესახებ. ფიზიოკრატული ელემენტი სმიტის რენტის თეორიაში]

პ ი რ ვ ე ლ ი გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა: იმ პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ, რ ო მ ლ ე ბ ი ც მ უ დ ა მ ი ძ ლ ე ვ ი ა ნ ნ ა მ ე ტ ს რ ე ნ ტ ი ს გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ა დ.

სმიტი იწყებს მოსახლეობის თეორიიდან. **კ ვ ე ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ებ ი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ქ მ ნ ი ა ნ თ ა ვ ი ს ი ს თ ვ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ა ს ო.** როცა კვების პროდუქტების რაოდენობა იზრდება, იზრდება ადამიანთა, კვების საგნების მომხმარებელთა, რიცხვიც. ამ საქონელთა მიწოდება ქ მ ნ ი ს, მაშასადამე, მათზე მოთხოვნას.

«რადგან ადამიანები, მსგავსად ყველა სხვა ცოცხალი არსებისა, ბ უ ნ ებ რ ი ვ ად მ რ ა ვ ლ დ ებ ი ა ნ მ ა თ ს გ ა ნ კ ა ო ბ ა ს ი ა ნ ა ს ა ბ ა ს ა ბ ა ს ა ბ

მონაწილეობს, რომ ეს კვების საგნები ბაზარზე გადიოდეს, თუნდაც რომ ამ შრომის შენახვა ხდებოდეს ყველაზე უხვ პირობებში, რომელთაც კი ოდესმე ადგილი ჰქონიათ მოკვლეული სახის შრომისათვის. ამ კვების პროდუქტების ნაპირბუნტად ასევე ყოველთვის აღემატება მათს ამ რაოდენობას, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ მოგებით ანაზღაურდეს კაპიტალი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ეს შრომა. ამიტომ აქ ყოველთვის მოიპოვება რაღაც ნაშთი მიწის მესაკუთრისათვის რენტის გადასახდელად» (იქვე, გვ. 305 — 306).

ეს საკუთებით ფიზიოკრატულად ეღერს და არ შეიცავს არც დამტკიცებას, არც ახსნას იმისას, თუ რატომ იძლევა ამ განსაკუთრებული საქონლის «ფასი» გადანამეტს «საკმარის ფასზე», ე. ი. რენტას.

მაგალითის სახით სმიტს იქვე მოჰყავს საძოვრები და ცარიელი ადგილები. შემდეგ მოცემულია ფრაზა დიფერენციული რენტის შესახებ:

«რენტა იცვლება მიწის ნაყოფიერების მიხედვით, სულ ერთია როგორიც არ უნდა იყოს მისი პროდუქტი, და მიწის ადგილმდებარეობის მიხედვით, სულ ერთია როგორიც არ უნდა იყოს მისი ნაყოფიერება» (ტომი I, გვ. 306).

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ რენტა და მოგება, სმიტის თანახმად, გვევლინება პროდუქტის უბრალო ნამეტად, რომელიც რჩება პროდუქტის ინ ნაწილის გამოკლების შემდეგ, რაც in natura* ასაზრდოებს მუშას. (ეს არსებითად ფიზიოკრატული შეხედულებაა, რომელიც სინამდვილეში იმას ემყარება, რომ მიწათმოქმედების ბატონობის დროს ადამიანი ცხოვრობს თითქმის მარტოოდენ მიწათმოქმედების პროდუქტებით და რომ თვით მრეწველობა. მანუფაქტურა გვევლინება როგორც სოფლური მეორეხარისხოვანი შრომა, გამოყენებული ბუნების ადგილობრივი პროდუქტების დამუშავებისათვის.)

«ეს უკანასკნელი პროდუქტი** უნდა უზრუნველყოფდეს შრომის დიდი რაოდენობის შენახვას, და, მაშასადამე, შესაბამისად უნდა შემცირდეს ის ნამეტი, საიდანაც მიიღება როგორც მოიჯარის მოგება, ისე მიწის მესაკუთრის რენტაც». (ტომი I, გვ. 307).

ამიტომ ხორბლის მოყვანა უფრო მეტ მოგებას უნდა იძლეოდეს, ვიდრე საძოვრული მეურნეობა:

---

* — ნატურით, ნატურალური ფორმით. რედ.

** — ე. ი. ბაზრიდან უფრო დაშორებული ნაკვეთის პროდუქტი. რედ.

«ხორბლით დათესილი ზომიერი ნაყოფიერების ნახნავი კვების პროდუქტების გაცილებით უფრო მეტ რაოდენობას აწარმოებს ადამიანისათვის, ვიდრე ასეთივე მოცულობის საკეთესო საძოვარი».

(აქ, მაშასადამე, ლაპარაკია არა ფასზე, არამედ ადამიანისათვის საჭირო კვების საგნების აბსოლუტურ მასაზე მათი ნატურალური ფორმით.)

«თუმცა ხორბლით დათესილი ნახნავის დამუშავება ბევრად უფრო მეტ შრომას მოითხოვს, მაგრამ ის ნამეტი, რომელიც რჩება თესლისა და მთელი ამ შრომის შესანახი ხარჯების ანაზღაურების შემდეგ, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია».

(თუმცა ხორბალი უფრო მეტი შრომა ღირს, მაგრამ საკვებ ნივთიერებათა ნამეტი, რასაც — შრომის ანაზღაურების გარდა — ხორბლით დათესილი მინდორი იძლევა, აღემატება იმ ნამეტს, რასაც მესაქონლეობისათვის განკუთვნილი საძოვარი იძლევა. და ამ ნამეტს უფრო მეტი ღირებულება გააჩნია არა იმიტომ, რომ ხორბალი უფრო მეტი შრომა ღირს, არამედ იმიტომ რომ ხორბლის სახით მოცემული ნამეტი მეტ საკვებ ნივთიერებებს შეიცავსო.)

«ამიტომ, თუ ვიგულისხმებდით, რომ გირვანქა ხორცი არასოდეს არ ღირდა გირვანქა პურზე მეტი, მაშინ ეს უფრო დიდი» (ხორბლისათვის) «ნამეტი» (იმიტომ რომ ერთი და იგივე მიწის ფართობი უფრო მეტ გირვანქა ხორბალს იძლევა, ვიდრე ხორცს) «ყველაზე უფრო მეტი ღირებულების გამომხატველი იქნებოდა» (რადგან ნაგულისხმევია, რომ 1 გირვანქა პური უდრის 1 გირვანქა ხორცს (ღირებულებით) და რომ ერთი და იმავე მიწის ფართობიდან, მუშების გამოკვების შემდეგ, რჩება პურის გირვანქების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე ხორცის გირვანქებისა) «და შეადგენდა უფრო უხვ ფონდს როგორც მოიჯარის მოგებისათვის, ისე მიწის მესაკუთრის რენტისთვისაც» (ტომი I, გვ. 308 — 309).

როცა სმიტი ბუნებრივი ფასის ადგილას საკმარის ფასს აყენებს და ადგენს, რომ რენტა არის გადანამეტი საკმარის ფასზე, იგი ივიწყებს შემდეგ, რომ აქ საერთოდ ლაპარაკია ფასზე, ან რენტა გამოჰყავს იმ თანაფარდობიდან, რომელიც არსებობს კვების საგნების რაოდენობასა, რასაც მიწა გვაწვდის, და კვების საგნების იმ რაოდენობას შორის, რასაც მიწათმოქმედი მოიხმარს.

სინამდვილეში, — თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ ახსნა-განმარტების ამ ფიზიოკრატულ წესს, — სმიტი ვარაუ-

დ ო ბ ს, რომ სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტის ფასი, რომელიც ყველის მთავარ საგანს წარმოადგენს, იძლევა, გარდა მოგებისა, რ ე ნ ტ ა ს ა ც. იგი ამ საფუძვლიდან გამოდის და განაგრძობს მსჯელობას. სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებასთან ერთად ბუნებრივი საძოვრების ფართობი არასაკმარისი ხდება მესაქონლეობისათვის, შინაური ცხოველების ხორცის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნისათვის საჭირო ხდება დამუშავებული მიწის გამოყენება. [627] მაშასადამე, ხორცის ფასმა უნდა აიწიოს იმდენად, რომ მან ანაზღაუროს არა მარტო მესაქონლეობაში გამოყენებული შ რ ო მ ა, არამედ აგრეთვე

«მ ო ვ ე ბ ა დ ა რ ე ნ ტ ა, რ ა ს ა ც ე ს მ ი წ ა, თ უ ი გ ი გ ა მ ო ყ უ ნ ე ბ უ ლ ი ი ქ ნ ე ბ ო დ ა ს ა ხ ნ ა ვ ა დ, მ ო უ ტ ა ნ დ ა მ ო ი ჯ ა რ ვ ს დ ა მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე ს. სრულიად დაუმუშავებელ უდაბურ მიწებზე გაზრდილ პირუტყვს აქვს, — თუ იგი გასაყიდად გაყვანილია იმავე ბაზარზე,—თავისი წონისა და ხარისხის შესაბამისად, იგივე ფასი, როგორიც საუკეთესოდ დამუშავებულ მიწაზე გაზრდილ პირუტყვსაც. ასეთი უდაბური მიწების მესაკუთრენი სარგებლობენ ამით და თავიანთი მიწების რენტას ადიდებენ ამ მიწებზე გაზრდილი პ ი რ უ ტ ყ ვ ი ს ფ ა ს ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ».

(აქ სმიტს სწორად გამოჰყავს დიფერენციული რენტა საბაზრო ღირებულების გადანაშენტადან ინდივიდუალურ ღირებულებაზე. მაგრამ საბაზრო ფასი მაღლა იწევს ამ შემთხვევაში არა იმ მიზეზით, რომ უკეთესი მიწიდან უცუდეს მიწაზე გადასვლა ხდება, არამედ იმ მიზეზით, რომ ადგილი აქვს ნაკლებად ნაყოფიერი მიწიდან უფრო ნაყოფიერზე გადასვლას.)

«ამრიგად, მიწის დამუშავების პროგრესთან ერთად ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ს ა ძ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ მ ი ღ ე ბ უ ლ ი რ ე ნ ტ ა დ ა მ ო გ ე ბ ა განისაზღვრება რამდენადმე დამუშავებული მიწიდან მიღებული რენტითა და მოგებით, ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ა ნ პ ი რ ი ს, უ ა ნ ე ბ ი დ ა ნ მ ი ღ ე ბ უ ლ ი რ ე ნ ტ ი თ ა დ ა მ ო გ ე ბ ი თ» (ტომი I, გვ. 310—311).

«ყველგან, სადაც ადგილმბრივი უპირატესობანი არ არსებობს..., რენტა და მოგება, რასაც იძლევა ხორცი ან ყოველი სხვა მცენარეული პროდუქტი, რომელიც ყველის მთავარ საგანს წარმოადგენს ხალხისათვის, ბუნებრივად უნდა განსაზღვრავდნენ იმ მიწიდან მისაღებ რენტას და მოგებას, რომელიც ეარგისია ამ პროდუქტის მოსაყვანად, მაგრამ გამოყენებულია როგორც საძოვარი.

საძოვარი მდელოების გამოყენება, ტურნეფსის, სტაფილოს, კომბოსტოს და ა. შ. თესვა-მოყვანა და ყ ო ვ ე ლ ი ს ხ ვ ა შ უ ა ლ ე ბ ა, გამოყენებული იმისათვის, რ ო მ მ ო ც ე მ უ ლ ი მ ი წ ი ს ფ ა რ თ ო ბ ბ ზ ე შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ე ს მ ე ტ ი პ ი რ უ ტ ყ ვ ი ს გ ა ბ ო ლ ო ე ბ ა, ვ ი დ რ ე ე ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ბ უ ნ ებ რ ი ვ ი ს ა ძ ო ვ რ ე ბ ზ ე, — ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ამას, ეტყობა, ხელი უნდა შეეწყო იმისათვის, რათა დაწეულიყო ის მაღალი, პირის ფასთან შედარებით, დონე

ხორცის ფასისა, რომელსაც ბუნებრივად აქვს ადგილი ცანგითარებული მიწათმოქმედების მქონე ქვეყნებში. ასეთი იყო კიდეც, როგორც ჩანს, ყველა ამ „საშუალების შედეგი“ და ა. შ. (გვ. 315),

რაკი სმიტმა ამ წესით გაარკვია თანაფარდობა მესაქონლეობაში არსებულ რენტასა და მიწათმოქმედებაში არსებულ რენტას შორის, იგი განაგრძობს:

«ყველი დიდ ქვეყანაში დასამუშავებელი მიწის უფრო დიდი ნაწილი განკუთვნილია ადამიანისათვის საზრდოს ან პირუტყვისათვის საკვების საწარმოებლად. ამ მიწებიდან მიღებული რენტა და მოგება განსაზღვრავენ ყველა სხვა დამუშავებული მიწიდან მიღებულ რენტასა და მოგებას. თუ რომელიმე ცალეული პროდუქტი ნაკლებს მოიტანდა, მაშინ მიწა, რომელზეც ის მოჰყავთ, მალე გამოყენებული იქნებოდა პურის მოსაყვანად ანდა სათიბად, ხოლო თუ პროდუქტი მეტის მომცემი იქნებოდა, მაშინ მალე ამ პროდუქტის მოსაყვანად გამოყოფილი იქნებოდა გარეკეული წაწილი მიწისა, რომელიც გამოყენებულია პურის მოსაყვანად ანდა სათიბად» (ტომი I, გვ. 316).

შემდეგ სმიტი ლაპარაკობს მევენახეობაზე, მებაღეობაზე, მებოსტნეობაზე, და ა. შ.

«თუმცა ამ წარმოებებში, რომლებიც მოითხოვენ ან უფრო მეტ თავდაპირველ ხარჯებს, რათა მიწა მათთვის გამოსადეგი გახდეს, ანდა უფრო მეტ ყოველწლიურ ხარჯებს მიწის დასამუშავებლად, რენტა და მოგება ხშირად ძნიშვნელოვნად აღემატება პურეულისაგან და სათიბი ბალახებისაგან შისაღები რენტისა და მოგებას,— მიგრამ მაინც ყველა იმ შემთხვევაში, როცა ასეთი მხოლოდ ანაზღაურებენ ამ ჯანსაღს ანდა საგანგებო დანახარჯს, სინამდვილეში მათი განმსაზღვრელია მიწათმოქმედების ამ ორი ნეიულებრივი პროდუქტიდან მისაღები რენტა და მოგება» (ტომი I, გვ. 323 — 324).

ამის შემდეგ სმიტი ეხსენიებს შაქრის ლერწმისა და თამბაქოს მოყვანას კოლონიებში [მერე კი ლაპარაკობს:]

«ამრიგად, იმ დამუშავებული მიწიდან მისაღები რენტა, რომელიც ადამიანებისათვის კვების პროდუქტებს აწარმოებს, განსაზღვრავს სხვა დამუშავებული მიწების მეტი ნაწილისაგან მისაღებ რენტასა» (ტომი I, გვ. 331). «ევროპაში ხორბალი მიწის მთავარი პროდუქტია, რომელიც ადამიანისათვის უშუალო საჭმელს წარმოადგენს. ამიტომ, თუ განსაკუთრებულ შემთხვევებს ეხეთ ევროპაში არ მივიღებთ, იმ მიწების რენტა, რომლებზეც ხორბალი მოჰყავთ, განსაზღვრავს ევროპაში ყველა სხვა დამუშავებული მიწიდან მიღებულ რენტას» (ტომი I, გვ. 331 — 332).

შემდეგ სმიტი კვლავ უბრუნდება ფიზიოკრატულ თეორიას იმ საბით, როგორიც მან მას მისცა, სახელდობრ — დებულებას იმის შესახებ, რომ კვების საგნები თვით ქმნიან თავიანთ მოთხოვნილებას. თუ

ხორბლის კულტურას შეცვლის სხვა კულტურა, რომელიც ყველაზე ჩვეულებრივ მიწაზე ამ მიწის იმავე დამუშავების პირობებში კვების საგნების გაცილებით უფრო მეტ რაოდენობას იძლევა,

«მაშინ მიწის მესაკუთრის **რენტა, ანუ კვების საგნების ნამეტი**, რაც მას რჩება შრომის ჯამტვირთვისა და ჩვეულებრივი მოგებით მოიჯარის კაპიტალის ანაზღაურების შემდეგ, აუცილებლად ბევრად უფრო დიდი იქნება. როგორიც არ უნდა იყოს ამ ქვეყანაში შრომის მესანახი ხარჯები, **კვების საგნების ეს უფრო დიდი ნამეტი ყოველთვის მოგვცემს შრომის უფრო დიდი რაოდენობის შენახვის შესაძლებლობას** და, **მაშასადამე**, საშუალებას მისცემს მიწის მესაკუთრეს იყიდოს, ანუ თავის განკარგულებაში მიიღოს, შრომის მეტი რაოდენობა» (ტომი I, გვ. 332).

მაგალითის სახით სმიტი ასახელებს ბრინჯს.

«კაროლინაში, ისევე როგორც ინგლისის სხვა კოლონიებში, **პლანტატორები, როგორც წესი, ერთსა და იმავე დროს ფერმერებიც არიან და მიწის მესაკუთრენიც**, და იქ ამის გამო **რენტა უერთდება მოგებას**» (ტომი I, გვ. 333).

[628] **მაგრამ ბრინჯის ყანა**

«არ გამოდგება არც ხორბლის მოსაყვანად, არც საძოვრისათვის, არც **მევენახეობისათვის**, არც ადამიანისათვის რაიმე სხვა სასარგებლო მცენარის გასაშენებლად, ყველა მიწა კი, რაც ამ სხვადასხვა **კულტურისთვის** გამოსადეგია, გამოუსადეგია ბრინჯის **კულტურისათვის**. ამიტომ ამ ქვეყნებშიც კი, სადაც ბრინჯი მთავარ საჭრელად წარმოადგენს, ბრინჯით ნათესი მიწიდან მიღებულ რენტას არ შეუძლია განსაზღვროს ამ სხვა დამუშავებული მიწებიდან მიღებული რენტა, რომელთა გამოყენებაც ბრინჯის **კულტურისათვის** შეუძლებელია» (ტომი I, გვ. 334).

მეორე მაგალითია კარტოფილი (სმიტის ამ შეხედულების **რიკარდოსეული** კრიტიკა მოცემულია ზემოთ *). თუ პურის ნაცვლად კვების მთავარი საგანი კარტოფილი გახდებოდა,

«მაშინ ამის შედეგად **დამუშავებული მიწების იგივე ფართობი გამოკვებავდა ადამიანთა გაცილებით მეტ რაოდენობას**; და რადგან მუშების საკვები საგანი, როგორც წესი, კარტოფილი იქნებოდა, ამიტომ კაპიტალის ანაზღაურებისა და კარტოფილის მოყვანით დასაქმებული ყველა მუშის გამოკვების შემდეგ გაცილებით უფრო მეტი ნამეტი დარჩებოდა. და მიწის მესაკუთრეს ამ ნამეტის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი მოუწევდა. მოსახლეობა გადიდდებოდა, და რენტაც იმ დონეზე გაცილებით უფრო მაღლა აიწევდა, რომელზეც ახლა დგას» (ტომი I, გვ. 335).

---

*. — იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 452 — 453. რ. ე. დ.

რამდენიმე შემდგომი შენიშვნით ხორბლის პურის, შვრიის პურისა და კარტოფილის შესახებ მთავრდება შემდეგ მე-11 თავის პირველი განყოფილება.

ჩვენ ვხედავთ, რომ ამ პირველ განყოფილებას, სადაც განხილულია მიწის ის პროდუქტები, რომლებიც ყოველთვის იძლევიან რენტას, შეიძლება რეზიუმე გავუკეთოთ შემდეგნაირად: თუ ვიგულისხმებთ, რომ მთავარი მცენარეული პროდუქტის რენტა წინასწარ მოცემულია, აქ განმარტებულია, როგორ აწევრიგებს იგი რენტას მესაქონლეობაში, მევენახეობაში, მებაღეობაში და ა. შ. თვით რენტის ბუნებაზე აქ არაფერია ნათქვამი, გარდა ზოგადი ფრაზისა იმის შესახებ, რომ — თუ კვლავ რენტის არსებობას ვიგულისხმებთ — მიწის ნაყოფიერება და მისი ადგილმდებარეობა განსაზღვრავენ რენტის სიმაღლეს. მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ რენტათა სხვაობას, მათი ოდენობის სხვაობას. მაგრამ რატომ იძლევა აქ განსახილველი პროდუქტი მუდამ რენტას? რატომ აღემატება მისი ჩვეულებრივი ფასი ყოველთვის მის საკმარის ფასს? სმიტი აქ მხედველობის გარეშე ტოვებს ფასს და კვლავ ფიზიოკრატიზმში ვარდება. მაგრამ ყველგან იგი ამასთან შემდეგ აზრს ამყიდავნებს: მიწათმოქმედების პროდუქტის მოთხოვნა ყოველთვის ასე დიდია იმ მიზეზის გამო, რომ ეს პროდუქტი თვით ქმნის იმათ, ვინც მათ მიმართ მოთხოვნას აყენებს, ქმნის თავის საკუთარ მომხმარებლებს. მაგრამ ამ ვარაუდის პირობებშიც კი გაუგებარი რჩება, რატომ უნდა აღემატოს მოთხოვნა მიწოდებას და ამის გამო ასწიოს ფასი საკმარის ფასზე უფრო მაღლა. მაგრამ აქ კვლავ შეუმჩნეველად თავს იჩენს მოგონება ბუნებრივ ფასზე, რომელიც რენტას ისევე შეიცავს, როგორც მოგებასაც და ხელფასსაც, და რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იხდიან, როცა მიწოდება და მოთხოვნა ერთმანეთს შეესაბამება:

«თუ ბაზარზე გატანილი რაოდენობა საკმარისია სწორედ ნამდვილი მოთხოვნაზე დასაკმაყოფილებლად, სა ბ ა რ ო ფასი იქნება, რა თქმა უნდა, ზუსტად... ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ფ ა ს ი ს შესაბამისი» (ტომი 1, გვ. 114).

მაგრამ დამახასიათებელია, რომ სმიტი არსად მე-11 თავის პირველ განყოფილებაში ამ შეხედულებას არ გამოთქვამს. მან ხომ სწორედ მე-11 თავის დასაწყისში თქვა, რომ რენტა არ შედის ფასში მისი დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილის სახით. წინააღმდეგობა მეტად ცხადი იყო.

[8) მიწის პროდუქტების სხვადასხვა სახეობათა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებული თანაფარდობის სიზუსტული განსაზღვრა. სიტყვა დასაკვნები რენტის თეორიისათვის]

მეორე განყოფილება: იმ პროდუქტების შესახებ, რომლებიც ზოგჯერ იძლევიან რენტას, ზოგჯერ კი არა.

მხოლოდ ამ განყოფილებაშია საკუთრივ განხილული პირველად რენტის ზოგადი ბუნება.

«ადამიანის საზრდო, ჩანს, მიწის ერთადერთი პროდუქტია, რომელიც ყოველთვის და აუცილებლად აძლევს რაიმე რენტას მიწის მესაკუთრეს» (რატომ «ყოველთვის» და «აუცილებლად», არ არის ნაჩვენები). «პროდუქტებს სხვა სახეობებს, გარემოებათა მიხედვით, შეუძლიათ ზოგჯერ მოგვცენ რენტა, ზოგჯერ კი არა» (ტომი I, გვ. 337).

«ყველის პროდუქტების შემდეგ ადამიანის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილებაა ტანსაცმელი და ბინა» (ტომი I, გვ. 338). «თავის თავდაპირველ და დაუმუშავებელ მდგომარეობაში» მიწა აწვდის მასალას ტანსაცმლისა და ბინისათვის ადამიანთა უფრო დიდ რაოდენობას, «ვიდრე მას შეუძლია ასაზრდოოს». «ამ მასალის» ასეთი «ნამეტი»ს გამო შედარებით ადამიანთა იმ რიცხვთან, რომლის საზრდოობაც მიწას შეუძლია, ე. ი. შედარებით მოსახლეობასთან, ამ მასალის მცირე «ფასი» აქვს ანდა არც კი აქვს არავითარი «ფასი». ამ «მასალის» მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელი და უსარგებლო რჩება, «ფასი კი ამა თუ იმ მასალისა, რაც გამოყენებას პოულობს, განიხილება მხოლოდ როგორც ეკვივალენტი იმ შრომისა და ხარჯებისა, რომლებიც აუცილებლად საჭიროა, რათა ისინი მოხმარებისათვის გამოსადეგი გავხადოთ.» მაგრამ ეს ფასი «არავითარ რენტას მიწის მესაკუთრეს» არ აძლევს. როცა კი მიწა დამუშავებულ მდგომარეობაში იმყოფება, ადამიანთა რაოდენობა, «რომლის საზრდოობაც მას შეუძლია», ე. ი. მოსახლეობის რიცხვი, აღემატება მიწის მიერ მოწოდებულ მასალათა მასას, ყოველ შემთხვევაში «იმ მასალათა» მასას, «რომელთა მიღების სურვილი ამ ადამიანებს ექნებოდათ და რაშიაც ისინი მზად არიან ფასი გადახდონ». თავს იჩენს შედარებითი «ნაკლებობა» ამ მასალებისა, «ეს კი აუცილებლად მაღლა სწევს მათ ღირებულებას». «ხშირად ადგილი აქვს ამ მასალათა უფრო დიდი რაოდენობის მოთხოვნას, ვიდრე შესაძლებელია მივიღოთ». მაშინ მათში ისეთ ფასს იხდიან, რომელიც აღემატება

«ბაზარზე მათ გასატანად აუცილებელ ხარჯებს; ამრიგად, მათ ფასს ყოველთვის შეუძლია გარკვეული ნამეტის მოცემა მიწის მესაკუთრისათვის რენტის გადასახდელად» (ტომი I, გვ. 338 — 339).

[629] ამრიგად, რენტას აქ სმიტი იმით ხსნის, რომ მოთხოვნა აღემატება საკმარისი ფასის კვალობაზე საქონლის მიწოდების შესაძლებლობას.

ტანსაცმლის მასალას დასაწყისში წარმოადგენდა «ყველაზე დიდი ცხოველების» ტყავი. მონადირე და მეჯოგე ხალხებში, რომლებიც უმთავრესად ცხოველურ საკვებელს ჰმარობენ, «ყოველი ადამიანი საკმლის მოპოვებისას იმავე დროს ტანსაცმლის მასალასაც მოიპოვებს, თანაც უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე მას ტარება შეუძლია. საგარეო ვაჭრობა რომ არ იყოს, ამ მასალის მეტი ნაწილი გადასაყრელი იქნებოდა როგორც ზედმეტი. საგარეო ვაჭრობა, როცა მასალათა ამ ნამეტის მოთხოვნას აკეთებს, მათ ფასს «ბაზარზე ამ მასალათა გატანას ხარჯებზე უფრო მაღლა» სწევს. ეს ფასი აძლევს, მაშასადამე, გარკვეულ რენტას მიწის მესაკუთრეს... ინგლისურმა მატყლმა, ფლანდრიაში გასაღებით, რამდენადმე გადადგა იმ მიწიდან მიღებული რენტა, რომელზეც მატყლი იწარმოებოდა» (ტომი I, გვ. 339 — 340).

საგარეო ვაჭრობა ამ შემთხვევაში იმდენად ადიდებს სოფლის მეურნეობის თანამდე პროდუქტის ფასს, რომ მიწას, რომელზეც ეს პროდუქტი იწარმოება, შეუძლია გარკვეული რენტის მოცემა.

«ამ შენაბერ მასალა ყოველთვის როდი შეიძლება გადაზიდულ იქნეს ისეთ დიდ მანძილზე, რა მანძილზეც გადაზიდება ტანსაცმლის მასალა, და იგი არც ასე ადვილად ხდება საგარეო ვაჭრობის საგანი. თუ იმ ქვეყანაში, რომელიც ამ მასალას აწარმოებს, იგი უხვად მოიპოვება, მაშინ ხშირადაა ხოლმე, მსოფლიო ვაჭრობის დღევანდელ ვითარებაშიც კი, რომ იგი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს მიწის მესაკუთრისათვის». ასე, მაგალითად, ქვის სამტეხლოს შეუძლია რენტის მოცემა ლონდონის მიბლობლად, მაგრამ არ იძლევა მას შოტლანდიისა და უელსის ბევრ ადგილს. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს საშენი ხე-ტყის მიმართაც. უკანასკნელი რენტას იძლევა «მეზიდროდ დასახლებულ და ცივილიზებულ ქვეყანაში», მაგრამ ლპება ადგილზე «ჩრდილოეთ ამერიკის ბევრ რაიონში». მესაკუთრე ბედნიერი იქნებოდა, თუ მას თავიდან მოიშორებდა. «თუ საშენი მასალა ასე უხვად მოიპოვება, მაშინ ღირებულება მისი იმ ნაწილისა, რომელიც საქმეში მოიხმარება, მხოლოდ იმ შრომასა და ხარჯებს შეესაბამება, რაც აუცილებლად საჭიროა, რათა ეს მასალა ვარგისი გახდეს მოხმარებისათვის. ეს მასალა არავითარ რენტას არ აძლევს მიწის მესაკუთრეს, რომელიც ჩვეულებრივ ამ მასალათ სარგებლობის ნებას რითაც ყველას, ვინც კი გაიარჯება და ამას ითხოვს. მაგრამ ზოგჯერ მიწის მესაკუთრეს შეუძლია იქედან რენტა მიიღოს, როცა უფრო მდიდარი ხალხები ამგვარ მასალას მოითხოვენ» (ტომი I, გვ. 340 — 341).

ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის რიცხვი შეესაბამება არა «ადამიანთა» იმ «რაოდენობას, რომლის უზრუნველყოფაც ტანსაცმლითა და ბინით მოცემული ქვეყნის პროდუქტებს შეუძლიათ, არამედ ადამიანთა იმ რაოდენობას, რომლის საზრდოობაც მოცემული ქვეყნის პროდუქტებს შეუძლიათ. როცა არ არის ქვების პროდუქტების ნაკლებობა, მაშინ ძნელი როდია ტანსაცმლისა და ბინისათვის საჭირო მასალის მოხაზვა. მაგრამ ხშირად შეიძლება ეს უკანასკნელი ხელთ გვქონდეს და მაინც მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდიდე ქვების საგნების მოპოვების საქმეში. ზოგიერთ ადგილას, ინგლისის სამეფოშიც კი, საკმარისია ერთი მუშა ერთი ადამიანისათვის იმის ასაშენებლად, რასაც ამ ადგილებში სახლი ეწოდება... ველურ და ბარბაროს ხალხებში საკმარისია წლიური შრომის $^1/_{100}$ მათთვის საჭირო ტანსაცმლისა და ბინის მისაღებად. წლიური შრომის დანარჩენი $^{99}/_{100}$ ხშირად აუცილებელი აღმოჩნდება ხოლმე მათთვის საჭირო საზრდოს მოსაპოვებლად. მაგრამ თუ მიწის დამუშავებისა და გაუმჯობესების მეოხებით ერთი ოჯახის შრომას შეუძლია საზრდო მისცეს ორ ოჯახს, მაშინ საზოგადოების ერთი ნახევრის შრომა საკმარისია მთელი საზოგადოების გამოსაკვებად. მაშინ მეორე ნახევარს შეუძლია დაკმაყოფილოს ადამიანთა სხვა მოთხოვნილებანი და სურვილები. ამ მოთხოვნილებათა და სურვილთა მთავარი ობიექტებია ტანსაცმელი, ბინა, სახლის მოწყობილობა და ის, რასაც ავეჯეულობა ეწოდება». საკმლის მოთხოვნილება შეზღუდულია. ზემოადნიშნული მოთხოვნილებანი უსაზღვროა. ისინი, ვისაც ქვების პროდუქტების ნამეტი აქვს, «ყოველთვის მზად არიან გადაცვალონ ეს ნამეტი». «დარბაზები, რათა ლუკმა პური მოიპოვონ» დასაქმებული არიან იმით, რომ დაკმაყოფილონ მდიდართა ეს «სურვილები» და თანაც კიდევ ერთმანეთს ეჯიბრებიან ამაში. მუშების რიცხვი იზრდება ქვების საგნების რაოდენობის გადიდებასთან ერთად, ე. ი. იზრდება მიწათმოქმედების განვითარების შესაბამისად. მათი «მოსაქმეობა» იძლევა «შრომის ძალიან ფართო დანაწილების» განხორციელების შესაძლებლობას; ამიტომ გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე მუშების რიცხვი, იზრდება იმ ნედლეულის რაოდენობა, რასაც ისინი ამუშავებენ. «ამის შედეგად თავს იჩენს იმ სხვადასხვა სახის მასალის მოთხოვნა, რომელთა გამოყენებაც ადამიანის გამომგონებლობას შეუძლია ბინების, ტანსაცმლის, ავეჯეულობის, სახლის მოწყობილობის გასაუმჯობესებლად და მოსართავად; ძლიერდება მინერალების და მიწის წიაღში დაფარული სხვა წიაღისეულის, ყვითელშობილი ლითონებისა და ძვირფასი ქვების მოთხოვნა.

ამრიგად, ქვების საგნები არა მარტო რენტის თავდაპირველ წყაროს წარმოადგენენ, არამედ თუ შემდეგში მიწის რომელიმე სხვა პროდუქტი რენტას იძლევა, ღირებულების ამ მომატებას იგი უნდა უმადლოდეს ქვების საგნების წარმოებაში შრომის მწარმოებლური ძალის იმ გადიდებას, რასაც ნიადაგის დამუშავებითა და გაუმჯობესებით ვაღწევთ» (ტომი I, გვ. 342 — 345).

რასაც სმიტი აქ ლაპარაკობს, ის სწორი შეხედულებაა ბუნების მიერ მოცემულ საფუძველზე, რომლიდანაც გამოდის ფიზიოკრატია, სახელდობრ, რომ ზედმეტი ღირებულების (რენტის ჩათვლით) ყო-

ველი შექმნა ემყარება მიწათმოქმედების შეფარდებითს ნაყოფიერებას. ზედმეტი ღირებულების პირველი რეალური ფორმა — ეს არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების (კვების საგნების) ნამეტი; ზედმეტი შრომის პირველი რეალური ფორმა კი იმით გამოიხატება, რომ ერთი ადამიანის შრომა საკმარისია ორისათვის საჭირო კვების საგნების საწარმოებლად. ყოველივე დანარჩენში ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ზედმეტი ღირებულების ამ სპეციფიკური ფორმის — რენტის — ანალიზთან, ფორმისა, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებას გულისხმობს.

სმიტი განაგრძობს:

«მიწის სხვა პროდუქტები» (გარდა კვების პროდუქტებისა), «რომლებიც შემდგომში იძლევიან რენტას, მას ყოველთვის როდი იძლევიან. მოთხოვნა მათი, საუკეთესოდ დამუშავებული მიწის მქონე ქვეყნებშიც კი, ყოველთვის როდია საკმაოდ დიდი იმისათვის, რომ მათმა ფასმა გადაამეტოს იმ ფასს, რაც აუცილებელია მათ საწარმოებლად, ბაზარზე გასატანად დახარჯული შრომის გადასახდელად და გამოყენებული კაპიტალის ჩვეულებრივი მოგებით ანაზღაურებისათვის». [630] სხვადასხვა გარემოებაზეა დამოკიდებული, იქნება მოთხოვნა საკმაოდ დიდი ამისათვის თუ არა» (ტომი I, გვ. 345).

მაშასადამე, აქ ჩვენ კვლავ გვაქვს შემდეგი: რენტა გამომდინარეობს იქიდან, რომ მიწის პროდუქტების მოთხოვნა აღემატება მათს მიწოდებას იმ საკმარისი ფასის კვალობაზე, რომელიც არ შეიცავს რენტას, არამედ შეიცავს მხოლოდ ხელფასსა და მოგებას. რას შეიძლება ნიშნავდეს ეს გარდა იმისა, რომ [რენტა არ არსებობს იქ, სადაც] მიწის პროდუქტების მიწოდება საკმარისი ფასის კვალობაზე იმდენად დიდია, რომ მიწის საკუთრებას არ შეუძლია რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს კაპიტალების ან შრომის გათანაბრებას, ასე რომ მიწის საკუთრება, თუნდაც იგი იურიდიულად არსებობდეს კიდეც, ფაქტიურად არ არსებობს აქ, ანდა ფაქტიურად არ შეუძლია მას მოქმედებდეს როგორც ასეთი? სმიტის შეცდომა არის იმის გაუგებლობა, რომ მიწის საკუთრება, როცა თავის პროდუქტებს ყიდის ისეთი ფასის კვალობაზე, რომელიც საკმარის ფასს აღემატება, იგი მათ ყიდის მათი ღირებულების მიხედვით. რაც სმიტს კარგი აქვს შედარებით რიკარდოსთან—ეს არის გაგება იმისა, რომ მხოლოდ გარემოებებზეა დამოკიდებული, შეუძლია თუ არა მიწის საკუთრებას გამოავლინოს თავისი ეკონომიური მნიშვნელობა. მისი

ანალიზის ამ ნაწილს საჭიროა ამიტომ კვალდაკვალ მივყვეთ. სმიტი იწყებს ნახშირის მაღაროებიდან, მერე გადადის ტყეზე, შემდეგ კი უბრუნდება ნახშირის მაღაროებს და ა. შ. დავიწყოთ ამიტომ იმ ადგილით, სადაც ის ლაპარაკობს ტ ყ ე ზ ე:

მიწათმოქმედების მდგომარეობის მიხედვით ხე-ტყის ფასი იცვლება იმავე მიზეზებით, რა მიზეზებითაც პირუტყვის ფასი იცვლება. როცა მიწათმოქმედება ჯერ კიდევ განუვითარებელ მდგომარეობაში იმყოფება, ყველგან ეპარებას ტყეები, რომლებიც დაბრკოლებას წარმოადგენენ მესაკუთრისათვის, რომელიც მზადაა სიამოვნებით მისცეს ტყე იმის, ვინც მას გაჩეხავს, მიწათმოქმედების პროგრესს თან ახლავს ტყის განადგურება — ნაწილობრივ სახნავი მიწების გაფართოების შედეგად, ნაწილობრივ იმის გამო, რომ გაიზარდა სულადობა პირუტყვისა, რომელიც ჭამს ან ხრავს ფესვებსა და ახალგაზრდა ხეებს. «თუმცა რაოდენობა ამ ცხოველებისა არ დიდდება იმ ზომით, როგორც რაოდენობა ხორბლისა, რ ო მ ე ლ ი ც მ თ ლ ი ა ნ ა დ ა დ ა მ ი ა ნ ი ს შ რ ო მ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ი ა, მაგრამ მათ გამრავლებას ხელს უწყობს ადამიანის ზრუნვა და მფარველობა». ტყე, ამრიგად, იშვიათობად იქცევა, და ეს ადიდებს მის ფასს. ამიტომ ტყეს შეუძლია ისეთი მაღალი რენტის მოცემა, რომ სახნავი მიწა (ანუ სახნავად გამოსადეგი მიწა) გამოიყოფა ტყის გასაშენებლად. ისეთია საქმის ვითარება დიდ ბრიტანეთში. ტყეებიდან მიღებულ რენტას არ შეუძლია ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღემატებოდეს სახნავი მიწებიდან ან მდელოებიდან მიღებულ რენტას. მაგრამ მას შეუძლია იმოდე დონეს მიაღწიოს (ტომი I, გვ. 347 — 349).

მაშასადამე, ტყეებიდან მიღებული რენტა თავისი ბუნებით ნამდვილად იგივეა, რაც მდელოებიდან მიღებული რენტა. იგი განეკუთვნება იმავე კატეგორიას, თუმცა ხე-ტყე არ არის კვების საგანი. ეკონომიური კატეგორია განისაზღვრება არა პროდუქტის ს ა ხ ნ ა ვ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი თ; იგი განისაზღვრება აქ იმით, შეიძლება მოცემული მიწა გადაიქცეს სახნავად თუ არა, და პირიქით.

ნ ა ხ შ ი რ ი ს მ ა ღ ა რ ო ე ბ ი. პროდუქტიულობა თუ არაპროდუქტიულობა მაღაროებისა საერთოდ, როგორც სწორად შენიშნავს სმიტი, დამოკიდებულია იმაზე, ბევრი მინერალი შეიძლება ამოვიღოთ სხვადასხვა მაღაროდან შრომის თანაბარი რაოდენობის დახარჯვისას თუ ცოტა. მაღაროთა დ ა ბ ა ლ პ რ ო დ უ ქ ტ ი უ ლ ო ბ ა ს შეუძლია მათი ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი მდგომარეობა გააქარწყლოს, ასე რომ მსგავსი მაღაროების ექსპლოატაცია სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდება. მეორე მხრივ, ა რ ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ადგილმდებარეობას შეუძლია გააქარწყლოს მაღაროთა მ ა ღ ა ლ პ რ ო დ უ ქ ტ ი უ ლ ო ბ ა, ასე რომ ეს მაღაროები, მიუხედავად მათი ბუნებრივი პროდუქტიულობისა, ექსპლოატაციისათვის უვარგისნი აღმოჩნდებიან. ასეა ხოლმე გამსაკუთრებით იქ, სადაც არ არის არც კარგი გზები, არც ნაოსნობა (ტომი I, გვ. 346 — 347).

არსებობს ისეთი მაღაროები, რომელთა პროდუქტი მხოლოდ იმისთვის კმარა, რომ საკმარისი ფასი დაფაროს. ამიტომ ისინი მოგებას აძლევენ მეწარმეს, მაგრამ არავითარ მიწის რენტას არ იძლევიან. ამის გამო მიწის მესაკუთრე იძულებულია მათ თვით გაუწიოს ექსპლოატაცია. იგი ლებულობს ამ გზით «ჩვეულებრივ მოგებას მის მიერ გამოყენებულ კაპიტალზე». ამგვარი ნახშირის მაღაროები ბევრია შოტლანდიაში. მათი ექსპლოატაცია რაიმე სხვა წესით შეუძლებელი იქნებოდა:

«მიწის მესაკუთრე არავის სხვას არ დართავდა ნებას ექსპლოატაცია გაეწია მათთვის რენტის გადაუხდელად, რენტის გადახდას კი ვერავინ ვერ შეძლებდა» (ტომი I, გვ 346).

აქ სმიტმა სწორად განსაზღვრა ის მდგომარეობა, როცა — იქ, სადაც მიწა საკუთრებად არის გადაქცეული, — რენტის გადახდა არ ხდება. ეს არის ხოლმე იქ, სადაც მიწის მესაკუთრე და მეწარმე გაერთიანებულია ერთ პიროვნებაში. უწინ სმიტმა უკვე გვითხრა, რომ ამას ადგილი აქვს კოლონიებში. მოიჯარეს არ შეუძლია აქ მიწის დამუშავება, რადგან არ შეუძლია რენტის გადახდა. მაგრამ მიწის მესაკუთრეს შეუძლია მისი დამუშავება მოგების მიღებით, თუმცა მას მიწა არავითარ რენტას არ აძლევს. ასეთია საქმის ვითარება, მაგალითად, დასავლეთ ამერიკის კოლონიებში, იმიტომ რომ აქ ყოველთვის შესაძლებელია ახალი მიწის მითვისება. მიწა, როგორც ასეთი, არ არის უკუქმედი ელემენტი, და კონკურენცია მიწის მესაკუთრეებისა, რომელნიც თვითონ ამუშავებენ თავიანთ მიწას, აქ სინამდვილეში არის კონკურენცია მუშაკებს შორის და კაპიტალისტებს შორის. რაც შეეხება ქვანახშირის მაღაროებს, ანდა მაღაროებს საერთოდ, ნაკარაუდევ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. საბაზრო ღირებულება, განსაზღვრული იმ მაღაროებით, რომლებიც მათ მიერ მიწოდებულ საქონელს სწორედ ამ ღირებულების მიხედვით იძლევიან, ნაკლებად პროდუქტიული, ან უფრო ცუდად განლაგებული მაღაროებისათვის უფრო მცირე რენტას იძლევა ან სრულიად არავითარ რენტას არ იძლევა, არამედ მხოლოდ ხარჯთფასს ფარავს. ამ მაღაროების დამუშავება აქ შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებისთვისაც არ არსებობს წინააღმდეგობა, რასაც მიწის საკუთრება ეწევა და რაც მიწის თავისუფალ გამგებლობას გამორიცხავს, ე. ი. იმ ადამიანებს, რომლებიც ერთ პიროვნებაში აერთიანებენ მიწის მესაკუთრეს და კაპიტალისტს; ამ მაღაროების

დამუშავება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მიწის საკუთრება, როგორც თავისთავადი ელემენტი, კაპიტალის პირისპირმდგომი, ფაქტიურად ქრება. ეს შემთხვევა განსხვავდება იმ შემთხვევისაგან, რომელსაც ადგილი აქვს კოლონიებში, იმ მხრივ, რომ იქ მიწის მესაკუთრე ვერავის ვერ აუკრძალავს ახალი მიწის ექსპლოატაციას. აქ კი მას ეს შეუძლია გააკეთოს. მხოლოდ თავის თავს აძლევს ნებას ექსპლოატაცია გაუწიოს მაღაროს. ეს არ აძლევს მიწის მესაკუთრეს რენტის მიღების შესაძლებლობას, მაგრამ საშუალებას აძლევს მას თავიდან მოიშოროს სხვა პირები, მიიღოს მოგება თავისი კაპიტალის მაღაროში დაბინდებით.

ის, რასაც აქ სმიტი ყველაზე პროდუქტიული შახტის მიერ რენტის რეგულირებაზე ლაპარაკობს, მე უკვე განვიხილე ზემოთ, როცა რიკარდოზე და სმიტის წინააღმდეგ მიმართულ მის პოლემიკაზე ვლაპარაკობდი *. აქ საჭიროა აღინიშნოს მხოლოდ შემდეგი ადგილი:

«ყველაზე დაბალი ფასი» (უწინ სმიტი ამბობდა: საკმარისი ფასი), «რომლის მიხედვითაც ნახშირი შეიძლება იყიდებოდეს რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ეს, ისევე როგორც ყველა სხვა საქონლისათვის, ის ფასია, რომელიც საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ აანაზღაურის, ჩვეულებრივი მოგებითურთ, საქონლის საწარმოებლად და ბაზარზე მის გასატანად დახარჯული კაპიტალი» (ტომი I, გვ. 350).

ჩვენ ვხედავთ, რომ საკმარისმა ფასმა ბუნებრივი ფასის ადგილი დაიკავა. რიკარდო აიგივებს მათ, და სრულიად სამართლიანად.

[631] სმიტი ამტკიცებს, რომ

ნახშირის მაღაროთაგან მისაღები რენტა ბევრად უფრო მცირეა მიწათმოქმედების პროდუქტებიდან მისაღებ რენტაზე: სოფლის მეურნეობაში რენტა ჩვეულებრივ მთლიანი პროდუქტის $^1/_3$-ს აღწევს, ნახშირის მაღაროებისათვის კი $^1/_5$ ძლიერ მაღალი რენტაა, $^1/_{10}$ — ჩვეულებრივი რენტა. ლითონმადნეულის მაღაროები უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული ადგილმდებარეობაზე, რადგან მათი პროდუქტები უფრო ტრანსპორტაბელურია; მსოფლიო ბაზარი მათთვის უფრო მისაწვდომია. ამიტომ მათი ლირებულება დამოკიდებულია უფრო მეტად პროდუქტიულობაზე, ვიდრე ადგილმდებარეობაზე, მაშინ როდესაც ნახშირის მაღაროებისათვის საქმის ვითარება სწორედ პირიქითაა. ყველაზე დაშორებულ (ერთმანეთისაგან) ლითონმადნეულის მაღაროთა პროდუქტები კონკურენციის უწყვეტ ერთიმეორეს. «ამიტომ ყველაზე პროდუქტიული მაღაროების არაკეთილშობილი ლითონებისა და კიდევ უფრო მეტად კეთილშობილი

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 449 — 452. რედ.

ლითონების ფასმა აუცილებლად გავლენა უნდა მოახდინოს დედამიწის ყოველი სხვა მაღაროდან მოპოვებულ იმავე ლითონების ფასზე» (ტომი I, გვ. 351 — 352).

«ამრიგად, რამდენადაც ყოველი მაღაროდან მოპოვებული ყოველი ლითონის ფასს რამდენადმე არეგულირებს ფასი ლითონისა, რომელსაც მოცემულ მომენტში დედამიწაზე ექსპლოატაციაში მყოფ მაღაროთაგან ყველაზე პროდუქტიული მაღარო იძლევა,—ამდენად მაღაროთა მნიშვნელოვან უმრავლესობაში ეს ფასი თითქმის არ აღემატება იმას, რაც აუცილებელია ექსპლოატაციის ხარჯების დასაფარავად, და მას იშვიათად შეუძლია მიწის მესაკუთრის ძლიერ მაღალი რენტა მისცეს. ამიტომ მაღაროთა დიდი უმრავლესობისათვის რენტა შეადგენს ლითონების ფასის მხოლოდ მცირე ნაწილს, და კიდეც უფრო მცირე ნაწილს შეადგენს იგი კეთილშობილი ლითონების ფასში. შრომა და მოგება შეადგენენ ამ ფასის უფრო დიდ ნაწილს» (ტომი I, გვ. 353 — 354).

სმიტი აქ სწორად განმარტავს C ცხრილით* წარმოდგენილ შემთხვევას.

კეთილშობილ ლითონებზე რომ ლაპარაკობს, სმიტი კვლავ იმეორებს თავის განმარტებას საკმარისი ფასის შესახებ, რომელსაც ბუნებრივი ფასის ადგილზე აყენებს, როცა რენტაზე მსჯელობს. იქ, სადაც იგი არასამეწყალმოქმედო წარმოებაზე ლაპარაკობს, მისთვის არაა ეს აუცილებელი, რადგან აქ, თანახმად მისი თავდაპირველი განმარტებისა, საკმარისი ფასი და ბუნებრივი ფასი ერთმანეთს ემთხვევა; ეს სწორედ ის ფასია, რომელიც ანაზღაურებს ავანსებულ კაპიტალს და საშუალო მოგებას.

«ყველაზე დაბალი ფასი, რომლის კვალობაზეც, რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შეიძლება ძვირფასი ლითონები იყიდებოდეს, რეგულირდება იმავე წესებით, რომლებიც განსაზღვრავენ ყველა სხვა საქონლის ყველაზე დაბალ ჩვეულებრივ ფასს. ამ ფასს განსაზღვრავს ის კაპიტალი, რომელიც ჩვეულებრივ უნდა დაიხარჯოს, რათა ძვირფასი ლითონები მაღაროდან ბაზარზე გავიდეს, ე. ი. მას განსაზღვრავენ კვების საგნები, ტანსაცმელი და ბინა, რომლებიც ჩვეულებრივ ამ მუშაობის დროს მოიხმარება. ფასი უნდა იყოს სულ მცირე საკმარისი იმისათვის, რომ აანაზღაუროს ეს კაპიტალი ჩვეულებრივი მოგებითურთ» (ტომი I, გვ. 359).

ძვირფასი ქვების შესახებ სმიტი შენიშნავს:

«ძვირფასი ქვების მოთხოვნა გამოწვეულია მარტოოდენ მათი სილამაზით. ისინი გამოიყენება მხოლოდ მორთვისათვის, და მათი სილამაზე ფასდება კიდევ მნიშვნელოვნად უფრო დიდად. მათი იშვიათობის გამო, ან იმ სიძნელეთა და ხარჯების გამო, რასთანაც დაკავშირებულია მათი მოპოვება მაღაროე-

* იხ. ჩაწებებული ფურცელი 353 — 354. გვერდებს შორის, რედ.

ბ ი დ ა ნ. ამიტომ ხელფასი და მოგება უმრავლეს შემთხვევაში შეადგენენ კიდეც თითქმის მთელ ფასს — მეტად მაღალ — ფასს. რენტა ამ ფასში შედის მხოლოდ მეტად მცირე ოდენობით, უფრო ხშირად კი სულაც არ შედის მასში, და მხოლოდ ყველაზე მაღალი მწარმოებლობის მაღაროებს შეუძლიათ რამდენადმე მნიშვნელოვანი რენტის მოცემა» (ტომი I, გვ. 361).

აქ შესაძლებელია მხოლოდ დიფერენციული რენტა:

«რადგან ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ფასს მთელ მსოფლიოში არეგულირებს მათი ფასი ყველაზე მაღალი მწარმოებლობის მაღაროში, ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ რენტა, რომელიც შეიძლება ამ მაღაროებიდან რომელიმემ მიწის მესაკუთრეს მისცეს, შეესაბამება არა მაღაროს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ პროდუქტიულობას, არამედ იმას, რასაც შეძლება ეწოდოს მისი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი პროდუქტიულობა, ე. ი. შეესაბამება მის უპირატესობას სხვა მსგავს მაღაროებთან შედარებით. თუ აღმოჩენილი იქნებოდა ახალი მაღაროები, რომლებსაც ისეთივე უპირატესობა ექნებოდათ პოტოსის მაღაროებთან შედარებით, როგორიც ამ უკანასკნელთ აქვთ ევროპის მაღაროებთან შედარებით, მაშინ ევრეტლის ღირებულება ამის გამო შეიძლებოდა ისეთ დონემდე დაწეულიყო, რომ შრომის დახარჯვას პოტოსის მაღაროების დამუშავებაზეც კი აზრი აღარ ექნებოდა» (ტომი I, გვ. 362).

კეთილშობილი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ნაკლებპროდუქტიული მაღაროების პროდუქტები არავითარ რენტას არ იძლევიან იმ მიზეზით, რომ საბაზრო ღირებულებას ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს განსაზღვრავს ყველაზე პროდუქტიული მაღარო და დროთა ვითარებაში სულ უფრო პროდუქტიული მაღაროები გამოჩნდებიან ხოლმე, ასე რომ მოძრაობა მუდამ აღმავალი ხაზით წარმოებს. ნაკლებპროდუქტიული მაღაროების პროდუქტები იყიდება, მაშასადამე, მათს ღირებულებაზე დ ა ბ ლ ა, მხოლოდ მათი ხარჯთფასის კვალობაზე.

«ისუფთე უეცილებლად დაბლა სწევს პროდუქტის ღირებულებას, თუ უკანასკნელის ღირებულება გაპირობებულია უმთავრესად მისი იშვიათობით» (ტომი I, გვ. 363).

ამის შემდეგ სმიტი კვლავ აკეთებს მეტ-ნაკლებად მცდარ დასკვნებს.

«ხვაგვარადაა საქმის ვითარება დედამიწის ზედაპირზე მიწის მფლობელობათა შესახებ. მათი პროდუქტის ღირებულება და ოდენობა რენტისა, რასაც ისინი იძლევიან, პროპორციულია არა მათი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი, არამედ მათი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი პროდუქტიულობისა. მიწას, რომელიც ქვების პროდუქტების, ან ტანსაცმლის, ანდა ბინისათვის საჭირო მასალათა გარკვეულ რაოდენობას აწარმოებს, ყოველთვის შეუძლია ასაზრდოოს, შემოსოს და უზრუნველყოს ბინით ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, და როგორიც არ უნდა იყოს მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ი ს წ ი ლ ი ამ პ რ ო დ უ ქ ტ შ ი» (საკითხი სწორედ ისაა, ღებულობს თუ არა მიწის მესაკუთრე წილს პროდუქტში და ხახელდობრ რამდენს), «ეს წილი [632] ყოველთვის მისცემს მას თავის განკარგულებაში ამ ადა-

მიანთა შრომისა და იმ საქონელთა შესაბამის რაოდენობის, რომელთა მიწოდებაც მისთვის მათ შრომას შეუძლია» (ტომი I, გვ. 363— 364).

«ყველაზე ნაკლებ ნაყოფიერი მიწის დირებულება არ მცირდება იმის გამო, რომ მის მეზობლად ყველაზე ნაყოფიერი მიწაა. პირიქით, მისი ნაყოფიერება ჩვეულებრივ ამით დიდდება. დიდი რაოდენობა ადამიანებისა, რომელთაც ნაყოფიერი მიწები ისაზრდოებს, ქმნის ბაზარს ნაკლებ ნაყოფიერი მიწების მთელი რიგი პროდუქტებისათვის; ასეთ ბაზარს ეს პროდუქტები ვერასოდეს ვერ ნახავდნენ იმ ადამიანებთან, რომელთა გამოკვებაც ამ უნაყოფო მიწების საკუთარ პროდუქტს შეეძლო».

(მაგრამ ეს ხდება ხოლმე მხოლოდ მაშინ, როცა ეს უნაყოფო მიწები აწარმოებენ არა იმავე პროდუქტს, რასაც მეზობლად მყოფი ნაყოფიერი მიწები; მხოლოდ მაშინ, როცა უნაყოფო მიწების პროდუქტი კონკურენციას არ უწევს უფრო ნაყოფიერი მიწების პროდუქტს. ასეთი შემთხვევის მიმართ სმიტი მართალია, და ამას, მართლაც, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება იზრდებოდეს საზრდოს წარმოებისათვის გამოყენებული მიწის ნაყოფიერების მეოხებით მიწის სხვადასხვა სახის პროდუქტებიდან მისაღები რენტის საერთო ჯამი.)

«ყოველივე ის, რაც კვების პროდუქტების მომცემი მიწის ნაყოფიერების გადიდებას იწვევს, ადიდებს არა მარტო იმ მიწების ღირებულებას, რომლებმაც გაუმჯობესება განიცადეს» (ყოველივე ამას შეუძლია ღირებულება შეამციროს, მოსპოს კიდეც იგი), «არამედ გარდა ამისა, ხელს უწყობს კიდეც ასევე ბევრი სხვა მიწის ღირებულების გადიდებას იმით, რომ მათი პროდუქტების ახალ მოთხოვნას ქმნის» (ანდა, უფრო სწორად, ახალი პროდუქტების მოთხოვნას) (ტომი I, გვ. 364).

რაც სმიტს ყოველივე ამაში აუხსნელი რჩება, ეს არის აბსოლუტური რენტა, რომლის არსებობასაც იგი ვარაუდობს საზრდოს მწარმოებელი მიწისათვის. სმიტი სამართლიანად შენიშნავს, რომ აბსოლუტური რენტა შეიძლება არც არსებობდეს სხვა მიწებისათვის, მაგალითად, მაღაროებისათვის, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი მუდამ შეფარდებით იმდენად შეუზღუდველი რაოდენობით მოიპოვებიან (მოთხოვნასთან შეფარდებით), რომ მიწის საკუთრებას არ შეუძლია აქ რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს კაპიტალს; იგი ეკონომიურად არ არსებობს, მაშინაც კი, როცა ის იურიდიულად არსებობს.

(იხ. გვ. 641 სახლების რენტის შესახებ.) [97] [632]

* * *

[641] (იხ. გვ. 632.) სახლების რენტის შესახებ ა. სმიტი ლაპარაკობს:

«სახლების რენტის მთელი ის ნაწილი, რომელიც იმის გამოკლების შემდეგ რჩება, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ზომიერი მოგება მიიღოს» (სახლის მესაკუთრემ, რომელმაც ეს სახლი ააშენა), «უეჭველ, ბუნებრივია, გაშენებული მიწის ნაკვეთების რენტას; და როცა მიწის მესაკუთრე და სახლის მესაკუთრე ორი სხვადასხვა პირია, ამ ნაწილს უმრავლეს შემთხვევაში მთლიანად უხდიან მიწის მესაკუთრეს. დიდი ქალაქებიდან მნიშვნელოვნად დამორებულ ისეთ სოფლის ადგილებში მდებარე სახლები, სადაც თავისუფალი მიწის ფართო არჩევანია შესაძლებელი, იძლევიან მეტად უმნიშვნელო მიწის რენტას — არა იმაზე მეტს, რასაც მოგვცემდა მიწა, რომელზეც სახლი დგას, თუ ეს მიწა გამოყენებული იქნებოდა მიწათმოქმედებისათვის» (წიგნი V, თავი მე-2).

სახლების მიწის რენტისათვის ადგილმდებარეობას ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დიფერენციული რენტის მიმართ, როგორიც მიწათმოქმედების რენტისათვის აქვს მიწის ნაყოფიერებას (და ადგილმდებარეობას).

ა. სმიტი ფიზიოკრატებთან ერთად, განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს მიწათმოქმედებასა და მიწის მესაკუთრეს და იზიარებს ფიზიოკრატულ შეხედულებას, რომ ისინი საგადასახადო დაბეგვრის ყველაზე შესაფერ ობიექტს წარმოადგენენ. იგი ამბობს:

«როგორც გაშენებული მიწის ნაკვეთების რენტა, ისე ჩვეულებრივი მიწის რენტაც წარმოადგენენ შემოსავლის ისეთ სახეობას, რომლითაც მიწის მესაკუთრე ბევრ შემთხვევაში სარგებლობს ისე, რომ ამისათვის არავითარ შრომასა და ძალღონეს არ ხარჯავს. და თუ ამ შემოსავლის ნაწილს მას ჩამოართმევენ სახელმწიფოს ხარჯების დასაფარავად, ამით შრომის არც ერთი სახეობა არავითარ ზარალს არ ნახავს. მიწისა და საზოგადოების შრომის წლიური პროდუქტი, ნამდვილი სიმდიდრე და შემოსავალი მოსახლეობის ძირითადი მასისა, შეიძლება, ასეთი გადასახადის შემოღების შემდეგ, უცვლელი დარჩეს. აი რატომ წარმოადგენენ გაშენებული მიწის ნაკვეთების რენტა და ჩვეულებრივი მიწის რენტა, მართლაც, შემოსავლის იმ სახეობას, რომელსაც ყველაზე უკეთ შეუძლია აიტანოს მისი საგანგებო გადასახადით დაბეგვრა» (წიგნი V, თავი მე-2)[99].

ამის წინააღმდეგ რიკარდო (გვ. 230) [99] აყენებს სრულიად ობიექტურ მოსაზრებებს. [641]

[4) მიწის პროდუქტთა ფასების ცვლილებათა სმიტისეული ანალიზი]

[632] მესამე განყოფილება: იმ ცვლილებებზე, რასაც ადგილი აქვს თანაფარდობაში ისეთი პროდუქტების ღირებულებებსა, რომლებიც ყოველთვის იძლევიან რენტას, და ისეთი პრო-

დუქტების ღირებულებებს შორის, რომლებიც ხან იძლევიან რენტას და ხან არ იძლევიან მას (თავი მე-11, წიგნი I, ტომი II).

«ქვეყანაში, რომელიც ბუნებრივი ნაყოფიერებით გამოირჩევა, მაგრამ რომელშიც მიწის უდიდესი ნაწილი სრულიად დაუმუშავებელია, პირუტყვი, ფრინველი, ყოველნაირი ნადირი შეიძლება მიიღო შრომის მეტად მცირე დანახარჯით; ამიტომ მათი საშუალებით შეიძლება იყიდო, ანუ სრულ განკარგულებაში მიიღო, მხოლოდ მეტად მცირე რაოდენობა შრომისა» (ტომი II, გვ. 25).

თუ როგორ უცნაურად ურევს სმიტი შრომის რაოდენობით ღირებულების გაზომვას «შრომის ფასში», ანუ შრომის იმ რაოდენობაში, რომელიც შეუძლია ამა თუ იმ საქონელს თავის განკარგულებაში იქონიოს, — ეს ჩანს ზემომოყვანილი ციტატიდან, განსაკუთრებით კი ქვემომოყვანილი ნაწყვეტიდან, რომელიც აგრეთვე გვიჩვენებს, თუ როგორ მივიდა სმიტი იქამდე, რომ ალაგ-ალაგ პურის ღირებულების საზომად ალიარებს.

«საზოგადოების ყოველნაირ მდგომარეობაში, მისი ცივილიზაციის განვითარების ყოველ საფეხურზე ხორბალი ყოველთვის ადამიანის შრომის პროდუქტია. მაგრამ შრომის ყოველი დარგის პროდუქტის საშუალო რაოდენობა ყოველივის მეტ-ნაკლებად ზუსტად შეესაბამება საშუალო მოსავრებას, საშუალო მიწოდება შეესაბამება საშუალო მოთხოვნის. გარდა ამისა, ცივილიზაციის სხვადასხვა საფეხურზე ერთსა და იმავე მიწაზე და იმავე ჰაერის პირობებში ხორბლის თანაბარი რაოდენობათა მოსაყვანად ყოველთვის საჭიროა საშუალოდ თითქმის თანაბარი რაოდენობა შრომისა, ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, ფასი შრომის თითქმის თანაბარი რაოდენობისა. ეს იმიტომ, რომ შრომის მწარმოებელური ძალების უწყვეტი გადადება მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისას ცოტად თუ ბევრად წონასწორდება პირუტყვის ფასის უწყვეტი ზრდით, პირუტყვისა, რომელიც მთავარ იარაღს წარმოადგენს მიწათმოქმედებაში. ყოველივე ამის გამო ჩვენ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ საზოგადოების ყოველ შესაძლო მდგომარეობაში, ცივილიზაციის ყოველ საფეხურზე ხორბლის თანაბარი რაოდენობანი შრომის თანაბარ რაოდენობათა უფრო უტყუარი წარმომადგენელი ანუ ეკვივალენტები იქნებიან, ვიდრე მიწის სხვა რომელიმე ნედლი პროდუქტის თანაბარი რაოდენობანი. ამიტომ ხორბალი... საზოგადოების სიმდიდრისა და ცივილიზაციის განვითარების ყველა სხვადასხვა საფეხურზე ღირებულების უფრო სწორ საზომს წარმოადგენს, ვიდრე სხვა რომელიმე საქონელი ან საქონელთა სხვა რომელიმე ჯგუფი... გარდა ამისა, ხორბალი ან საერთოდ ის მცენარე, რომელიც ხალხის ჩვეულებრივი და საყვარელი საზრდოა, ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში მუშის საარსებო საშუალებათა ძირითად ნაწილს შეადგენს... ამიტომ შრომის ფულადი ფასი გაცილებით უფრო

მეტად არის დამოკიდებული პურის — მუშის ამ საარსებო საშუალების — ნაშუალო ფასზე, ვიდრე ხორცის ან მიწის სხვა რომელიმე ნედლი პროდუქტის ფასზე. ამის გამო ოქროსა და ვერცხლის ნამდვილი ღირებულება, შრომის ნამდვილი რაოდენობა, რომელიც მათ შეუძლიათ იყიდონ, ან თავის განკარგულებაში მიიღონ, დამოკიდებულია გაცილებით უფრო მეტად პურის იმ რაოდენობაზე, რომელიც მათ შეუძლიათ იყიდონ ან წარმოგვიდგინონ, ვიდრე ხორცის ან მიწის სხვა პროდუქტის რაოდენობაზე, რომლის გამგებლობაც მათ შეუძლიათ» (ტომი II, გვ. 26 — 28).

ოქროსა და ვერცხლის ღირებულების შედარებისას სმიტი ერთხელ კიდევ ავიტანრებს თავის შეხედულებას «საკმარის ფასზე» და [633] გარკვევით აღნიშნავს, რომ იგი გამორიცხავს რენტას:

«საკონელს შეიძლება ეწოდოს ძვირი ან იაფი არა მარტო იმის მიხედვით, შეადგენს თუ არა მისი ჩვეულებრივი ფასი დიდ ან მცირე თანხას, არამედ იმის მიხედვითაც, აღემატება თუ არა ეს ჩვეულებრივი ფასი მეტად თუ ნაკლებად ყველაზე დაბალ ფასს, რომლის კვალობაზეც საკონელი შეიძლება გადიოდეს ბაზარზე რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს ყველაზე დაბალი ფასი ის ფასია, რომელიც სწორედ იმისათვისაა საკმარისი, რომ ზომიერი მოგების მიღებით აანაზღაუროს ბაზარზე საკონლის გასატანად საჭირო კაპიტალი. ეს ისეთი ფასია, რომელიც არაფერს არ აძლევს მიწის მესაკუთრეს, ფასი, რომელშიც რენტა არ შედის შემადგენელ ნაწილად და რომელიც მხოლოდ ხელფასად დამოგებად დაიშლება» (ტომი II, გვ. 81).

«ბრილიანტებისა და სხვა ძვირფასი ქვების ფასი, ალბათ, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოქროს ფასი, უთანხვდება სწორედ იმ დაბალ ფასს, რომლის კვალობაზეც მათი ბაზარზე გატანა შეიძლება» (ტომი II, გვ. 83).

სმიტის მიხედვით, არსებობს ნედლი პროდუქტების სამი ჯგუფი (ტომი II, გვ. 98). პირველი ჯგუფი შედგება ისეთი პროდუქტებისაგან, რომელთა გამრავლებაც თითქმის არ ერის დამოკიდებული — ანდა სრულიად არ არის დამოკიდებული — ადამიანის შრომაზე; მეორე ჯგუფი შედგება იმ პროდუქტებისაგან, რომელთა რაოდენობაც შეიძლება გადიდდეს მოთხოვნის შესაბამისად; მესამე ჯგუფს კი მიეკუთვნება ის პროდუქტები, რომელთა რაოდენობის გადიდებაზე ადამიანის შრომა «მხოლოდ შეზღუდულ ან ცვალებად ზეგავლენას ახდენს».

პირველი ჯგუფი: თევზი, ნაშვიათი ფრინველები, ყოველგვარი ნადირი, თითქმის ყველა გარეული ფრინველი, განსაკუთრებით მიმომფრენი ფრინველები, და ა. შ. ამ პროდუქტების მო-

თხოვნა ძლიერ იზრდება სიმდიდრისა და ფუფუნების ზრდასთან ერთად.

«რადგან ამ საქონელთა რაოდენობა უცვლელი ან თითქმის უცვლელი რჩება, მაშინ როდესაც კონკურენცია მყიდველებს შორის სულ უფრო ძლიერდება, ამიტომ მათი ფასი შეიძლება ნების მიერ სიმაღლემდე ავიდეს» (ტომი II, გვ. 91).

მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ი. «იგი შედგება იმ სასარგებლო მცენარეებისა და ცხოველებისაგან, რომლებსაც დაუშუშავებელ მიწებზე ბუნება ისეთი სიუხვით ქმნის, რომ მან მხოლოდ მცირე ღირებულება აქვთ ან სრულიად არა აქვთ ღირებულება, და რომლებიც სამეწარმოო-ქმედო კულტურის გაფრცელების კვალობაზე იძულებულნი არიან ადგილი დაუთმონ სხვა, უფრო ხელსაყრელ პროდუქტებს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ცივილიზაციის პროგრესთან ერთად, ამ ჯგუფის პროდუქტთა რაოდენობა განუწყვეტლივ მცირდება, მაშინ როდესაც იმავდროულად მათი მოთხოვნა განუწყვეტლივ იზრდება. ამრიგად, მათი ნამდვილი ღირებულება, შრომის ნამდვილი რაოდენობა, რის ყიდვაც, ანუ თავის განკარგულებაში მიღება, მათ შეუძლიათ, სულ უფრო იზრდება, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ისეთ სიმაღლეს არ მიაღწევს, რომელიც მათ ისევე ხელსაყრელ პროდუქტებად ხდის, როგორიც ადამიანის შრომით ყველაზე ნაყოფიერ და ყველაზე უკეთ დამუშავებულ მიწაზე სხვა მიღებული პროდუქტებია. თუ ამ პროდუქტების ღირებულებამ უკვე მიაღწია ისეთ დონეს, მას უკვე აღარ შეუძლია მასზე მაღლა აიწიოს. წინაღმდეგ შემთხვევაში სულ მალე დაიწყებდნენ მიწისა და შრომის უფრო დიდი რაოდენობით გამოყენებას ამ პროდუქტის რაოდენობის გადიდების მიზნით» (ტომი II, გვ. 94 — 95).

«ყველა სხვადასხვა საქონლიდან, რომელიც ნელი პროდუქტების ამ მეორე ჯგუფს შეადგენს, შინაური პირუტყვი, მართლაც, ის საქონელია, რომლის ფასიც ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად პირველ რიგში ასეთ სიმაღლეს აღწევს» (ტომი II, გვ. 96 — 97). «თუ შინაური პირუტყვი ერთი პირველთაგანი აღწევს ამ ფასსა» (ე. ი. იმ ფასს, რომელიც ამართლებს მიწის დამუშავებას პირუტყვისათვის საკვების მიღების მიზნით), «მაშინ ნ ა დ ი რ ი, ალბათ, ამ ფასს აღწევს ერთი უკანასკნელთაგანი. რაგინდ უზომოდ მაღალიც არ უნდა გვეჩვენებოდეს მსხვილი ნადირის ფასი ინგლისში, ეს ფასი ჯერ კიდევ არ კმარა იმ სანადირო პარკის შენახვა ხარჯების დასაფარავად, სადაც ეს ცხოველები არიან, როგორც ეს კარგად მოეხსენება ყველას, ვინც მათს მოშენებას მისდევს» (ტომი II, გვ. 104).

«ყოველ ფერმაში ნალიისა და ბოსლის ნარჩენებით შეიძლება შ ინ ა უ რ ი ფ რ ი ნ ვ ე ლ ი ს გარკვეული რაოდენობის გამოკვება. რადგან შინაური ფრინველი იკვებება იმით, რაც სხვაგვარად უსარგებლოდ გაჩრებოდა, ამიტომ მის მოშენებას უბრალოდ იმიტომ მისდევენ, რომ ყველაფრიდან სარგებლობის მიღება სურთ; და რადგან შინაური ფრინველი თითქმის არაფერი არ უჯდება ფერმერს, ამიტომ მისთვის ხელსაყრელია მისი თუნდაც შეტად დაბალ ფასში გაყიდვა». ვიდრე არსებული მიწოდება საკმარისია, შინაური ფრინველი ისევე იაფი, როგორც შინაური პირუტყვის ხორცი. სიმდიდრის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნა, ამის შედეგად კი შინაური ფრინველის ფასი ძროხის ხორცისა და ცხვრის ხორცის ფასზე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა იწევს, მანამდე, სანამ «ხელსაყრელი არ ხდება მიწის დამუშავება სპეციალურად შინაური ფრინველის გამოსაკვებად». ასე ხდება ს ა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი და ა. შ. (ტომი II, გვ. 105 — 106).

ღორს, ისევე როგორც ფრინველს, «ჯერ მოაშენებენ იმიტომ, რომ ყველაფრიდან სარგებლის მიღება სურთ». იგი იკვებება ნარჩენებით. მაგრამ საბოლოოდ მისი ფასი მაღლა იწევს იმდენად, რომ აუცილებელი ხდება მიწის დამუშავება სპეციალურად ღორების გასასუქებლად (ტომი II, გვ. 108 — 109).

რძე, რძის ფერმა (ტომი II, გვ. 110 და შემდგომი). (კარაჩი, ყველი; იქვე.)

ამ ნედლი პროდუქტების ფასის თანდათანობითი ზრდა ამტკიცებს, სმიტის აზრით, მხოლოდ იმას, რომ ისინი თანდათანობით ხდებიან ადამიანის შრომის პროდუქტები, მაშინ როდესაც უწინ ისინი თითქმის მარტოოდენ ბუნების პროდუქტები იყვნენ. მათი გადაქცევა ბუნების პროდუქტებიდან შრომის პროდუქტებად თვით არის შედეგი კულტურის განვითარებისა, რაც სულ უფრო ზღუდავს თავისუფალ სივრცეს ბუნების სტიქიური ძალების მიერ შექმნილი პროდუქტებისათვის. მეორე მხრივ, ზემოადნიშნული პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოების ნაკლებად განვითარებულ პირობებში თავის ღირებულებაზე დაბლა იყიდებოდა. თავისი ღირებულების მიხედვით მათი გაყიდვა იწყება, როგორც კი ისინი თანამდე პროდუქტიდან სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგის დამოუკიდებელ პროდუქტად იქცევიან (აქედან წარმოდგება ფასების ზრდაც).

«ეჭვარაა, რომ რომელიმე ქვეყნის მიწების მთლიანად დამუშავება და გაუმჯობესება არ შეიძლება მანამდე, სანამ ფასი ყოველი პროდუქტისა, რომლის მოყვანაც ამ მიწებზე ადამიანის შრომის მეშვეობით ნავარაუდევია, არ მიაღწევს იმ სიმაღლეს, რაც საკმარისია მიწის ასეთი დამუშავებისა და გაუმჯობესების ხარჯების დასაფარავად. ეს რომ შესაძლებელი გახდეს, ყოველი ცალკეული პროდუქტის ფასი საკმარისი უნდა იყოს, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ გადაიხადოს ხორბლეულით ნათესი კარგი მიწიდან მისაღები რენტა, რადგან სწორედ ეს მიწა განსაზღვრავს დანარჩენი დამუშავებული მიწების უმეტესი ნაწილიდან მისაღებ რენტას; მეორე, იმისათვის, რომ გადაიხადოს შრომა და ხარჯები მოიჯარისა არა უარესად, ვიდრე ჩვეულებრივ მათი გადახდა წარმოებს ხორბლეულით ნათეს კარგ მიწაზე, სხვა სიტყვებით, რომ აანაზღაუროს ჩვეულებრივი მოგებით მოიჯარის მიერ დახარჯული კაპიტალი. ყოველი ცალკეული პროდუქტის ფასის ასეთი გადიდება, ცხადია, [634] წინ უნდა უძღოდეს იმ მიწის გაუმჯობესებას და დამუშავებას, რომელიც განკუთვნილია ამ პროდუქტის მოსაყვანად... ახლა ნედლი პროდუქტების ეს სხვადასხვა სახეობა ერთ არა მარტო ვერცხლის მეტი რაოდენობა, ვიდრე უწინ, არამედ შრომისა და საარსებო საშუალებების უფრო მეტი რაოდენობაც. რადგან შრომისა და საარსებო საშუალებების უფრო მეტი რაოდენობის დახარჯვა გვიხდება იმისათვის, რომ ეს პროდუქტები ბაზარზე გადიდეს, ამიტომ ისინი, ბაზარზე რომ გავლენ, წარმოადგენენ შრომი-

სადა საარსებო საშუალებების უფრო მეტ რაოდენობას, ანუ ამ უფრო მეტი რაოდენობის ღირებულებას შეიცავენ» (ტომი II, გვ. 113 — 115).

ჩვენ აქ კვლავ ვხედავთ, რომ ცნება ღირებულებისა, რომელიც შრომის იმ რაოდენობით განისაზღვრება, რომლის ყიდვაც ამ ღირებულებას შეუძლია, სმიტის მიერ მხოლოდ იმდენადაა გამოყენებული, რამდენადაც იგი ამ ღირებულებას ურევს იმ ღირებულებაში, რომელსაც მოცემული საქონლის წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობა განსაზღვრავს.

მ ე ს ა მ ე ჯ გ უ ფ ი. ეს ჯგუფი შედგება, სმიტის განსაზღვრის თანახმად, ისეთი ნედლი პროდუქტებისაგან,

«რომელთა რაოდენობის გადიდებაზე ადამიანის შრომა მხოლოდ შეზღუდულ ან ცვალებად ზეგავლენას ახდენს» (ტომი II, გვ. 115).

მ ა ტ ყ ლ ი ს ა დ ა ტ ყ ა ვ ი ს რაოდენობა ზღვარდებულია არსებული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის რაოდენობით, მაგრამ სწორედ ამ ყველაზე ადრეულ თ ა ნ ა მ დ ე პ რ ო დ უ ქ ტ ებ ს გ ა ს ა ღ ე ბ ი ს ფ ა რ თ ო ბ ა ზ ა რ ი აქვთ უკვე მაშინ, როცა თვით პირუტყვს ჯერ კიდევ არა აქვს იგი. ბაზარი შინაური ცხოველების ხორცისათვის თითქმის ყოველთვის შემოფარგლულია მოცემული ქვეყნის საზღვრებით. მატყლს და გამოუქნელ ტყავს კი ცივილიზაციის პირველ საფეხურებზეც კი უმრავლეს შემთხვევაში უკვე აქვთ საგარეო ბაზრები. ისინი მეტად ტრანსპორტაბელურნი არიან და მრავალრიცხოვანი სამრეწველო ნაწარმისათვის ნედლეულს იძლევიან. ამიტომ მრეწველობის მხრივ უფრო განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ მათთვის ბაზარს წარმოადგენდნენ უკვე მაშინ, როცა სამამულო მრეწველობას ისინი ჯერ კიდევ არ სჭირდება.

«კულტურულად ჩამორჩენილ და ამიტომ მეტად თხლად დასახლებულ ქვეყნებში მატყლისა და ტყავის ფასი შედამ შეადგენს მთელი ცხოველის ფასის გაცილებით უფრო დიდ ნაწილს, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც მეტი სიმდიდრისა ან უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის გამო ხორცის უფრო დიდი მოთხოვნა არსებობს». ასევე ითქმის ქონზეც. მრეწველობის განვითარებასა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად პირუტყვის ფასის გადიდება უფრო მეტად უწევს მის ნ ა კ ლ ა ვ ს, ვიდრე ბ ე ნ ე ფ ს ი ს დ ა ტ ყ ა ვ ს. ვინაიდან მრეწველობისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად ქვეყანაში ფართოვდება ბაზარი ხორცისათვის, მაშინ როდესაც ბაზარი აღნიშნული თანამდე პროდუქტებისათვის უკვე ადრე გასცილდა ქვეყნის საზღვრებს. მაგრამ სამამულო მრეწველობის განვითარებასთან ერთად მატყლის ფასი და ა. შ. მაინც ასევე რამდენადმე დიდდება (ტომი II, გვ. 115 — 119).

თ ე ვ ზ ი (ტომი II, გვ. 129 — 130). თუ თევზის მოთხოვნა იზრდება, მის დასაკმაყოფილებლად საჭიროა შრომის მეტი რაოდენობა. «მაშინ ჩვეულებრივ საჭი-

რო ხდება თევზის მოძებნა ყველაზე დაშორებულ ადგილებში, საჭირო ხდება უფრო დიდი გემებისა და ყოველგვარი ძვირი მოწყობილობის გამოყენება». თევზის მოთხოვნა «არ შეიძლება მაშინ დაკმაყოფილებულ იქნეს შრომის დაუზარჯავად»; ეს დანაზარჯი კი უნდა აღემატებოდეს იმ «შრომის» დანაზარჯს, «რომელიც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ბაზარი თევზით მომარაგებულიყო მის წინანდელ მდგომარეობაში». «ამიტომ ამ საქონლის ნამდვილმა ფასმა ბუნებრივად უნდა აიწიოს ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად» (ტომი II, გვ. 130).

აქ, მაშასადამე, სმიტი ნამდვილ ფასს განსაზღვრავს საქონლის წარმოებისათვის აუცილებელი შრომის რაოდენობით.

სმიტის თანახმად, მცენარეული პროდუქტების (ხორბლის და ა. შ.) ნამდვილი ფასი ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად აუცილებლად ეცემა:

«თუ მიწათმოქმედების გაუმჯობესებათა გავრცელება აუცილებლად მაღლა სწევს ყოველგვარი ცხოველური წარმოების საზრდოს ფასს შედარებით ხორბლის ფასთან, სამაგიეროდ, მეორე მხრივ, იგი ასევე აუცილებლად დაბლა სწევს ყოველგვარი, როგორც მე ეფიქრობ, მცენარეული წარმოების საზრდოს ფასს. იგი ადიდებს ცხოველური საზრდოს ფასს იმ მიზეზით, რომ მიწის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ახლა, მას შემდეგ, რაც იგი ვარგისი გახდა ხორბლის წარმოებისათვის, მიწის მესაკუთრეს და მოიჯარეს უნდა აძლიოს რენტა და მოგება, რაც ჩვეულებრივია ხორბლით ნათესი მიწისათვის. იგი ამცირებს მცენარეული საზრდოს ფასს იმიტომ, რომ მიწის ნაყოფიერების გადიდებით ამასთანავე ადიდებს ამ სახეობის საზრდოს სიუხვეს. მიწათმოქმედების გაუმჯობესებას შემოაქვს აგრეთვე მცენარეული საზრდოს ბევრი ახალი სახეობა, რომლებიც მოითხოვენ ნაკლებ მიწას და არა მეტ შრომას, ვიდრე ხორბალი, და ამიტომ ბაზარზე ისინი გაიცვლებით უფრო იაფ ფასში გაქცევი, ვიდრე ხორბალი. ასეთია კარტოფელი და სიმინდი... გარდა ამისა, მცენარეული საზრდოს ბევრი სახეობის გაშენება მიწათმოქმედების განვითარების დაბალი დონის დროს არ სცილდება ბოსტნის საზღვრებს და მარტოოდენ ბაღის დახმარებით ხორცეულდება; მიწათმოქმედების კულტურის განვითარებასთან ერთად კი იწყებენ მათ თესვას ღია მინდორში და გადამუშავების გუთნით. ასეთებია: თალგამი, სტაფილო, კომბოსტო და ა. შ» (თაკი მე-11, ტომი II, გვ. 145—146).

სმიტი ხედავს, რომ სამრეწველო საქონლის ფასებმა, როგორც წესი, დაიწია ყველგან, სადაც

«ნედლეულის ნამდვილი ფასი არ დიდდება ან ძალიან არ დიდდება» (ტომი II, გვ. 149).

მეორე მხრივ, სმიტი ამტკიცებს, რომ შრომის ნამდვილი ფასი, ე. ი. ხელფასი, გიდიდდა წარმოების განვითარებასთან ერთად. მაშასადამე, საქონელთა ფასები, მისივე შეხედულებით, აუცილებლად როდი იზრდება ხელფასის, ანუ შრომის ფასის, გადიდების

გამო, თუმცა ხელფასი, მისი აზრით, არის «დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილი ბუნებრივი ფასისა» და «საკმარისი ფასისაც კი», ანუ, სხვა სიტყვებით, «ყველაზე დაბალი ფასისა, რომლის კვალობაზეც საქონელს შეუძლია ბაზარზე გასვლა». როგორ ხსნის სმიტი ამას? მოგების დაცემით? არა (თუმცა იგი აღიარებს, რომ მოგების საერთო ნორმა ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად დაბლა იწევს). რენტის დაცემით? არც ამით. ის ამბობს:

«უფრო სრულყოფილ მანქანები, [635] გადიდებული დახელოვნება მუშაობაში და უფრო მიზანშეწონილი დანაწილება და გადანაწილება შრომისა (ყოველივე ეს ქვეყნის განვითარების ბუნებრივი შედეგია) იწვევს იმას, რომ რომელიმე საგნის წარმოებისათვის შრომის გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობაა საჭირო; და თუმცა საზოგადოების აყვავებული მდგომარეობის შედეგად შრომის ნამდვილმა ფასმა ზნეშეფლოვნად უნდა აიწიოს, მაინც ყოველი ნივთის საწარმოებლად საჭირო შრომის რაოდენობის მკვეთრი შემცირება, როგორც წესი, აწონასწორებს და გადაეჯარებს კიდეც შრომის ფასის ყოველგვარ შესაძლებელ გადიდებას» (ტომი II, გვ. 148).

ამრიგად, საქონელთა ღირებულება მცირდება იმ მიზეზით, რომ მცირდება მათი წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობა და მცირდება იგი მიუხედავად იმისა, რომ მატულობს შრომის ნამდვილი ფასი. თუ აქ შრომის ნამდვილ ფასში მისი ღირებულება იგულისხმება, მაშინ მოგება ამასთან აუცილებლად ეცემა, როცა საქონელთა ფასი მცირდება მათი ღირებულების შემცირების გამო. თუ ამ ნამდვილ ფასში ნაგულისხმევია საარსებო საშუალებათა ის ჯამი, რასაც მუშა ღებულობს, მაშინ სმიტის დებულება სწორია იმ შემთხვევისთვისაც კი, როცა მოგება იზრდება.

ყველგან, სადაც სმიტი ნამდვილ ანალიზს იძლევა, იგი იყენებს ღირებულების სწორ განსაზღვრას; ეს ჩანს აგრეთვე თავის ბოლოში, სადაც იგი იკვლევს საკითხს, თუ რატომ იყო შალის ქსოვილი უფრო ძვირი XVI საუკუნეში [ვიდრე XVIII-ში]:

«საჭირო იყო შრომის გაცილებით უფრო მეტი რაოდენობა ამ საგნების საწარმოებლად და რაკი ისინი ბაზარზე გატანილი აღმოჩნდებოდნენ, უნდა მომზდარიყო მათი გაყიდვა ან გადაცვლა შრომის უფრო მეტი რაოდენობის ფასში (ტომი II, გვ. 156).

აქ შეცდომა არის მხოლოდ სიტყვაში ფასი.

[5) სმიტის შეხედულება რენტის მოძრაობაზე და მისი შეფასება სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების ინტერესებისა]

თავის დასკვნა. ა. სმიტი თავის წიგნში თავს რენტის შესახებ ამთავრებს შენიშვნით, რომ

«საზოგადოების მდგომარეობის ყოველ გაუმჯობესებას პირდაპირ ან არაპირდაპირ ნამდვილი მიწის რენტის გადიდების ტენდენცია აქვს». «დასამუშავებელი მიწის გაფართოება და გაუმჯობესება ამას იწვევს უშუალოდ. მიწის მესაკუთრის წილი პროდუქტში აუცილებლად დიდდება ამ პროდუქტის რაოდენობის გადიდებასთან ერთად» (ტომი II, გვ. 157 — 158). გადიდება «იმ ნედლი პროდუქტების ნამდვილი ფასისა, რომელთა გაძვირება თავდაპირველად მიწათმოქმედების გაუმჯობესებათა გავრცელების შედეგია, შემდეგ კი მათი შემდგომი განვითარების მიზეზი ხდება» — მაგალითად, პიროტყვის ფასის გადიდება — ადიდებს, ჯერ ერთი, მიწის მესაკუთრის წილის ნამდვილ დირებულებას, მეორე კი, ასევე ამ წილის შეფარდებითს დირებულებასაც; ვინაიდან «მას შემდეგ, რაც ასეთი პროდუქტის ნამდვილი ფასი გადიდდა, მის საწარმოებლად არ არის საჭირო წინანდელზე უფრო მეტი შრომა. მაშასადამე, პროდუქტის უფრო ნაკლები ნაწილი, ვიდრე უწინ, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩვეულებრივი მოგებით ანაზღაურდეს ამ შრომის მოძრაობაში მომყვანი კაპიტალი. ამის შემდეგ დარჩენილი ნაწილი, პროდუქტისა, რაც მიწის მესაკუთრის წილს შეადგენს, იქნება ამიტომ უფრო დიდი ნაწილი, ვიდრე უწინ, მთელი პროდუქტისა» (ტომი II, გვ. 158 — 159).

ზუსტად ამავე წესით ხსნის რიკარდო რენტის წილის გადიდებას უფრო ნაყოფიერი მინდვრებიდან მიღებული ხორბლის გაძვირებისას. მაგრამ ეს გაძვირება არ არის გამოწვეული მიწათმოქმედებაში შეტანილი გაუმჯობესებით, და ამიტომ რიკარდო მიდის იმის საპირისპირო დასკვნამდე, რა დასკვნასაც სმიტი აკეთებს.

შემდეგ სმიტი აღნიშნავს, რომ მრეწველობაში შრომის მწარმოებლური ძალის ყოველი განვითარება ხელსაყრელია მიწის მესაკუთრისათვის:

«ყველაფერი, რაც პირველი სახის პროდუქტების* ნამდვილ ფასს დაბლა სწევს, ადიდებს მეორე სახის პროდუქტების** ნამდვილ ფასს». შემდეგ, საზოგადოების ნამდვილი სიმდიდრის ყოველი გადიდებისას იზრდება მოსახლეობაც, მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოთხოვნა და სოფლის მეურნეობაში დაბანდებული კაპიტალიც, «პროდუქტის გადიდებასთან ერთად კი იზრდება რენტაც». პირიქით, ყველა საწინააღმდეგო გარემოება, რაც კი საზოგადოების სიმდიდრის ზრდას აფერხებს, იწვევს რენტის დაცე-

* — მრეწველობის პროდუქტების. რ ე დ.

** — სოფლის მეურნეობის პროდუქტების. რ ე დ.

მას, და ამით მიწის მესაკუთრის ნამდვილი სიმდიდრის შემცირებასაც (ტომი II, გვ. 159 — 160).

აქედან სმიტი დაასკვნის, რომ ლენდლორდების (მიწის მესაკუთრეთა) ინტერესები ყოველთვის ჰარმონიაშია «მთელი საზოგადოების ინტერესებთან». მთელი საზოგადოების ინტერესებთან ჰარმონიაშია, სმიტის მიხედვით, აგრეთვე მუშების ინტერესებიც (ტომი II, გვ. 161 — 162). მაგრამ სმიტი იმდენად პატიოსანია, რომ აქ გარკვეულ განსხვავებას იძლევა:

«მიწის მესაკუთრეთა კლასს შეუძლია, მართლაც, მეტი სარგებლობა ნაზოს საზოგადოების აყვავების გამო, ვიდრე მათ» (მეუშეს), «მაგრამ არც ერთი კლასი არ ზარალობს ისე სასტიკად საზოგადოების დაქვეითების გამო, როგორც მუშათა კლასი» (ტომი II, გვ. 162).

პირიქით, კაპიტალისტების (მრეწველებისა და ვაჭრების) ინტერესები არ არის იდენტური

«მთელი საზოგადოების ინტერესებისა» (ტომი II, გვ. 163) მათი «ყველა ინტერესებიდ, ვინც თავის კაპიტალს ვაჭრობის ან მრეწველობის რომელიმე დარგში იყენებს, ყოველთვის რაიმე მიმართებით განსხვავებულია საზოგადოების ინტერესებისაგან და ამ უკანასკნელისადმი დაპირისპირებულიც არის» (ტომი II, გვ. 164 — 165). «... [ეს] არის კლასი ადამიანებისა, რომელთა ინტერესები [636] არასოდეს არ ემთხვევა ზუსტად საზოგადოების ინტერესებს, — ადამიანებისა, რომლებიც ჩვეულებრივ დაინტერესებულნი არიან იმით, რომ მოატყუონ საზოგადოება და დაჩაგრონ კიდეც იგი, და რომლებიც ამიტომ ძალიან ხშირად მართლაც ატყუებდნენ და ჩაგრავდნენ მას» (ტომი II, გვ. 165) 100. [636]

[თავი მეთხუთმეტე]

ზედმეტი ღირებულების რიკარდოსეული თეორია

[ა. ზედმეტ ღირებულებაზე რიკარდოს წარმოდგენათა კავშირი მის შეხედულებებთან მოგებასა და რენტაზე]

[1) რიკარდოს არეული აქვს ზედმეტი ღირებულების კანონები მოგების კანონებში]

[636] რიკარდო არსად არ განიხილავს ზედმეტ ღირებულებას განკერძოებულად და განცალკევებულად მისი გასაკუთრებული ფორმებისაგან — მოგებისა (სარგებლისა) და რენტისაგან. ამიტომ მისი მსჯელობა კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე, რასაც ესოდენ ფუნდამენტალური მნიშვნელობა აქვს, შემოსაზღვრულია ა. სმიტიდან (ნამდვილად — ფიზიოკრატებიდან) ტრადიციით გადმოსული განსხვავებებით კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში იმ სახით, რა სახითაც ეს განსხვავებანი მომოქცევის პროცესიდან (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი) გამომდინარეობენ, — ამასთან რიკარდო არსად არ ეხება განსხვავებებს კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში თვით წარმოების პროცესის შიგნით, ანდა მან არც იცის ეს განსხვავებანი. აქედან წარმოდგება მის მიერ ღირებულებისა და ხარჯთფასიის ერთმანეთში არევა, რენტის მცდარი თეორია, მცდარი კანონები მოგების ნორმის და ა. შ. გადიდებისა და დაწევის მიზეზების შესახებ.

მოგება და ზედმეტი ღირებულება იდენტურია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ავანსებული კაპიტალი უშუალოდ ხელფასზე დახარჯული კაპიტალის იდენტურია. (რენტა აქ არ არის, იმიტომ რომ ზედმეტ ღირებულებას პირველად მთლიანად ისაკუთრებს კაპიტალისტი, სულ ერთია იქიდან რა წილიც არ უნდა მისცეს მან შემდეგ თავის კომპანიონებს. თვით რიკარდოც ხომ რენტას წარმოგვიდგენს

როგორც მოგებისაგან განცალკევებულ, გამოყოფილ ნაწილს.) და აი, რიკარდო თავის მსჯელობაში მოგებასა და ხელფასზე მხედველობის გარეშე ტოვებს კაპიტალის იმ უფლებიან ნაწილს, რაც ხელფასზე არ იხარჯება. საქმეს იგი იმგვარად განიხილავს, თითქოს მთელი კაპიტალი უშუალოდ ხელფასზე იხარჯებოდეს. მაშასადამე, რამდენადაც იგი თავისი განხილვის საგნად იღებს ზედმეტ ღირებულებას და არა მოგებას, ამდენადვე შეიძლება, ამიტომ, ვილაპარაკოთ რიკარდოს ზედმეტი ღირებულების თეორიაზე. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ფიქრობს, რომ მას საქმე აქვს მოგებასთან როგორც ასეთთან, და, მართლაც, ყველგან იგი ისეთ თვალსაზრისს ამქლავნებს, რაც არა ზედმეტი ღირებულების, არამედ მოგების წარმოშობიდან გამოდის. იქ, სადაც რიკარდო სწორად გადმოგვცემს ზედმეტი ღირებულების კანონებს, იგი ამაზინჯებს მათ იმით, რომ აფორმულებს მათ უშუალოდ როგორც მოგების კანონებს. მეორე მხრივ, მას სურს მოგების კანონები უშუალოდ, შუალედური რგოლების გარეშე, წარმოგვიდგინოს როგორც ზედმეტი ღირებულების კანონები.

როცა რიკარდოს ზედმეტი ღირებულების თეორიაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვლაპარაკობთ, მაშასადამე, მის მოგების თეორიაზე, რამდენადაც იგი მოგებას ზედმეტ ღირებულებაში ურევს, ე. ი. მოგებას განიხილავს მხოლოდ მის მიმართებაში ცვალებად კაპიტალთან, კაპიტალის იმ ნაწილთან, რომელიც ხელფასზე იხარჯება. იმას, რასაც რიკარდო მოგებაზე ლაპარაკობს ზედმეტი ღირებულებისაგან განსხვავებით, ჩვენ განვიხილავთ შემდგომში.

ის გარემოება, რომ ზედმეტი ღირებულება შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ცვალებად კაპიტალთან მიმართებაში, უშუალოდ ხელფასზე დახარჯულ კაპიტალთან მიმართებაში, — ზედმეტი ღირებულების ცოდნის გარეშე კი მოგების არავითარი თეორია არაა შესაძლებელი,—ეს გარემოება იმდენად შეესაბამება საქმის თვით დედაარსს, რომ რიკარდო განიხილავს მთელ კაპიტალს როგორც ცვალებადს და მხედველობის გარეშე ტოვებს უფლებიან კაპიტალს, თუმცა ამ უკანასკნელს ალაგ-ალაგ იგი იხსენიებს კიდეც აკანსად გაღებულ დანახარჯთა სახით.

[637] რიკარდო ლაპარაკობს (26-ე თავი — «მთლიანი და წმინდა შემოსავლის შესახებ») ისეთ

«ვაჭრობისა და მრეწველობის დარგებზე, სადაც მოგება პროპორციული კაპიტალისა და არა გამოუენებული შრომის რაოდენობისა» (ციტირ. თხზ., გვ. 418).

რას წარმოადგენს რიკარდოს მთელი მოძღვრება საშუალო მოგების შესახებ (რომელსაც მისი რენტის თეორია ემყარება), თუ არა იმის მტკიცებას, რომ მოგება «პროპორციულია კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა და ა რ ა გამოყენებული შ რ ო მ ის რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს ა»? მოგება რომ «გამოყენებული შრომის რაოდენობის პროპორციული» იყოს, მაშინ თანაბარი კაპიტალები შეტად ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ მოგებას მოიტანდნენ, რადგან მათი მოგება მათს საკუთარ დარგში წარმოებული ზედმეტი ღირებულების ტოლი იქნებოდა, ეს ზედმეტი ღირებულება კი დამოკიდებულია არა საერთოდ კაპიტალის სიდიდეზე, არამედ ცვალებადი კაპიტალის სიდიდეზე, ანუ «გამოყენებულ შრომის რაოდენობაზე». ამრიგად, როგორ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს კაპიტალის მხოლოდ ერთგვარ განსაკუთრებულ გამოყენებას, წ ა რ მ ო ებ ის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ დ ა რ გ ე ბ ს, ახასიათებს «გამონაკლისის» სახით ის, რომ მათში მოგება პროპორციულია დაბანდებული კაპიტალის რაოდენობისა და არა გამოყენებული შრომის რაოდენობისა? როცა ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია, ზედმეტი ღირებულების მასა გარკვეული კაპიტალისათვის ყოველთვის დამოკიდებული უნდა იყოს არა კაპიტალის აბსოლუტურ სიდიდეზე, არამედ გამოყენებული შრომის რაოდენობაზე. მეორე მხრივ, როცა მოცემულია მოგების საშუალო ნორმა, მოგების მასა ყოველთვის დამოკიდებული უნდა იყოს გამოყენებული კაპიტალის სიდიდეზე და არა გამოყენებული შრომის რაოდენობაზე.

რიკარდო გარკვევით ლაპარაკობს ისეთ დარგებზე, როგორიცაა

«წყლის ტრანსპორტი, საგრეო ვაჭრობა შორეულ ქვეყნებთან და ის დარგები, სადაც საჭიროა ძვირფასი მანქანური მოწყობილობა» (გვ. 418).

ეს ნიშნავს: იგი ლაპარაკობს დარგებზე, რომლებიც იყენებენ შეფარდებით ბევრ მუდმივ და შეფარდებით მცირე ცვალებად კაპიტალს. ეს ამასთანავე ის დარგებია, სადაც, შედარებით სხვებთან, დიდია ავანსებული კაპიტალის ს ა ე რ თ ო მ ა ს ა, სხვა სიტყვებით — ისეთი დარგები, სადაც საქმის წარმართვა მხოლოდ დ ი დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი ს შემწეობით შეიძლება. მოგების მოცემული ნორმის დროს მოგების მასა დამოკიდებულია საერთოდ ავანსებული კაპიტალის ს ი დ ი დ ე ზ ე. მაგრამ ეს სულაც არაა დამახასიათებელი ნიშანი იმ დარგებისათვის, სადაც დიდი კაპიტალები და ბევრი მუდმივი კაპიტალი გამოიყენება (ერთი მუდამ დაკავშირებულია მეორესთან), შედარებით იმ დარგებთან, სადაც მცირე კაპიტალები გამოიყენება, არამედ ეს არის მხოლოდ კერძო შემთხვევა იმ დებუ-

ლებისა, რომ ტოლდიდი კაპიტალები ტოლდიდ მოგებებს იძლევიან და რომ, მაშასადამე, უფრო დიდი კაპიტალი მეტ მოგებას იძლევა, ვიდრე უფრო მცირე კაპიტალი. ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს «გამოყენებული შრომის რაოდენობასთან». მაგრამ დიდია თუ პატარა საერთოდ მოგების ნორმა, — ეს, ნამდვილად, დამოკიდებულია კაპიტალისტების მთელი კლასის კაპიტალის მიერ გამოყენებული შრომის ერთობლივ რაოდენობაზე, გამოყენებული ფასგადაუხდელი შრომის შეფარდებითს რაოდენობაზე და, ბოლოს, იმ თანაფარდობაზე, რომელიც არსებობს შრომაზე დახარჯულ კაპიტალსა და იმ კაპიტალს შორის, რომელიც მხოლოდ იცვლაშრომება როგორც წარმოების პირობა.

რიკარდო თვით ეკამათება ა. სმიტს იმ შეხედულების გამო, რომ მოგების უფრო მაღალი ნორმა საგარეო ვაჭრობაში, «დიდი მოგებანი, რომელთაც ზოგჯერ ცალკეული ვაჭრები ღებულობენ საგარეო ვაჭრობაში, აღიდებენ მოგების საერთო ნორმას ქვეყანაში». რიკარდო ლაპარაკობს:

«მტკიცებენ, მოგებათა ტოლობა მოგებათა საერთო გადიდების გზით მყარდებაო; მე კი იმ აზრისა ვარ, რომ განსაკუთრებულად ხელსაყრელ პირობებში მყოფი დარგის მოგებანი სწრაფად დაიწევს საერთო დონემდე» (მე-7 თავი — «საგარეო ვაჭრობის შესახებ», გვ. 132 — 133).

თუ რამდენად სწორია რიკარდოს შეხედულება, რომ განსაკუთრებული მოგებანი (თუ ისინი გამოწვეულია არა იმით, რომ სამაზრო ფასმა ღირებულებაზე უფრო მაღლა აიწია), მიუხედავად გათანაბრებისა, არ აადიდებენ მოგების საერთო ნორმას; რამდენად მართალია, შემდეგ, მისი შეხედულება, რომ საგარეო ვაჭრობას და ბაზრის გაფართოებას არ შეუძლიათ გაადიდონ მოგების ნორმა, — ამას ჩვენ დავინახავთ შემდგომში *. მაგრამ თუ ვალიარებთ მისი შეხედულების სისწორეს, თუ ვალიარებთ საერთოდ «მოგებათა ტოლობას», მაშინ როგორ შეუძლია მას გაავლოს განსხვავება, ერთი მხრივ, იმ დარგებსა, «სადაც მოგებანი კაპიტალის პროპორციულია», და, მეორე მხრივ, იმ დარგებს შორის, სადაც მოგებანი «გამოყენებული შრომის რაოდენობის პროპორციულია»?

ზემოციტირებულ 26-ე თავში — «მთლიანი და წმინდა შემოსავლის შესახებ» — რიკარდო ლაპარაკობს:

---

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 583 — 586 და 629 — 630. რედ.

«მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ რენტის ბუნების თანახმად ყოველ მოცემულ კაპიტალს, რომელიც გამოყენებულია მიწათმოქმედებაში ყოველ მიწაზე, გარდა დამუშავებაში უკანასკნელად შესული მიწისა, მოძრაობაში მოჰყავს შრომის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე მრეწველობასა და ვაჭრობაში გამოყენებულ იმავე სიდიდის კაპიტალს» (გვ. 419).

მთელი ეს ფრაზა უაზრობაა. ჯერ ერთი, მიწაზე, რომელიც უკანასკნელ რიგში დამუშავდა, გამოიყენება — რიკარდოს თანახმად — შრომის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე ყველა სხვა მიწის ნაკვეთზე. ამიტომაც წარმოიქმნება კიდეც, მისი აზრით, რენტა სხვა ნაკვეთებზე. როგორღაა ასეთი შემთხვევაში შესაძლებელი, რომ მოცემულმა კაპიტალმა ყველა სხვა მიწაზე, გ ა რ დ ა იმ მიწისა, რომელიც უკანასკნელ რიგში დამუშავდა, მოძრაობაში უნდა მოიყვანოს შრომის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე მრეწველობასა და ვაჭრობაში? ის გარემოება, რომ საუკეთესო მიწების პროდუქტს აქვს ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რომელიც ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა მის ნ ე დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ღირებულებას, გაპირობებულს შრომის იმ რაოდენობით, რაც გამოყენებულია ამ მიწების დამუშავებაში დაბანდებული კაპიტალის მიერ, — ეს გარემოება არ არის იმის იდენტური, რომ მოცემულ კაპიტალს «მოძრაობაში მოჰყავს შრომის უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე მრეწველობასა და ვაჭრობაში გამოყენებულ თანაბარი სიდიდის კაპიტალს»? მაგრამ, რა თქმა უნდა, სწორი იქნებოდა, თუ რიკარდო იტყოდა, რომ — გარდა მიწათა ნაყოფიერების სხვაობისა — რენტა საერთოდ იქიდან წარმოდგება, რომ საამიწათმოქმედო კაპიტალს მოძრაობაში მოჰყავს კაპიტალის მუდმივ ნაწილთან შედარებით შრომის უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე საშუალო კაპიტალს არასამიწათმოქმედო წარმოებაში.

[638] რიკარდო მხედველობიდან უშვებს, რომ არსებობს მიზეზები, რომლებიც ადიდებენ ან ამცირებენ მოგებას, საერთოდ გავლენას ახდენენ მასზე, რ ო ც ა ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა მ ო ც ე მ უ ლ ი ა. რადგან რიკარდო ზედმეტ ღირებულებას მოგებასთან აიგივებს, იგი თანამიმდევრულია, როცა სურს ახლა დაამტკიცოს, რომ მოგების ნორმის აწევა ან დაცემა გაპირობებულია მხოლოდ იმ გარემოებებით, რომლებიც ზედმეტი ღირებულების ნორმის აწევას ან დაცემას იწვევენ. შემდეგ, იგი მხედველობიდან უშვებს, რომ, თუ უყურადღებოდ დავტოვებთ იმ გარემოებებს, რომლებიც ზედმეტი ღირებულების მოცემული მასის დროს გავლენას ახდენენ მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა ზ ე, თუმცა ისინი გავლენას არ ახდენენ მ ო გ ე ბ ი ს მ ა ს ა ზ ე, მაშინ მოგების ნორმა დამოკიდებულია ზ ე დ მ ე-

ტი ღირებულების მასაზე, მაგრამ სრულიადაც არა ზედმეტი ღირებულების ნორმაზე. ზედმეტი ღირებულების მასა, თუ ზედმეტი ღირებულების, ზედმეტი შრომის, ნორმა მოცემული, დამოკიდებულია კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე, ე. ი. მუშათა იმ რიცხვზე, რომელიც დასაქმებულია გარკვეული ღირებულების, მაგალითად 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის მიერ. კაპიტალის მოცემული ორგანული შედგენილობისას ზედმეტი ღირებულების მასა დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების ნორმაზე. მაშასადამე, იგი განისაზღვრება ორივე ფაქტორით: ერთდროულად დასაქმებული მუშების რიცხვით და ზედმეტი შრომის ნორმით. თუ კაპიტალი დიდდება, მაშინ, როგორიც არ უნდა იყოს მისი ორგანული შედგენილობა, — თუ ვიგულისხმებთ, რომ მიუხედავად კაპიტალის გადიდებისა, მისი ორგანული შედგენილობა უცვლელი რჩება, — ზედმეტი ღირებულების მასა დიდდება. მაგრამ ეს სრულიად არ ცვლის იმას, რომ გარკვეული ღირებულების, მაგალითად 100 ერთეულის, კაპიტალისათვის ზედმეტი ღირებულების მასა უცვლელი რჩება. თუ იგი მოცემულ შემთხვევაში უდრის 10-ს, 1000-თვის იგი იქნება 100, მაგრამ პროპორცია ამით არ იცვლება.

{რიკარდო წერს:

«მეურნეობის ერთსა და იმავე დარგში არ შეიძლება იყოს შოგების ორი ნორმა; ამიტომ, თუ პროდუქტის ღირებულება სხვადასხვა შეფარდებაშია კაპიტალთან, სხვადასხვა იქნება მიწის რენტაც, და არა მოგება» (გვ. 212 — 213) (თავი მე-12 — «მიწის გადასახადი»).

ეს «თქმის» მხოლოდ მოგების ნორმალურ დონეზე «მეურნეობის ერთსა და იმავე დარგში». საერთოდ კი ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება წინათ ციტირებულ დებულებას: *

«საცვლელი ღირებულება ყველა საქონლისა, იქნება ეს სამრეწველო ნაკეთობანი, მაღაროთა პროდუქტები თუ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, არასოდეს არ განისაზღვრება შრომის იმ უმცირესი რაოდენობით, რაც საკმარისია მათ საწარმოებლად ყველაზე ხელსაყრელ პირობებში, რომლებიც ხელმისაწვდომია მხოლოდ მათთვის, ვინც განსაკუთრებულად ხელსაყრელი გარემოებებით სარგებლობს; პირიქით, იგი განისაზღვრება შრომის იმ უდიდესი რაოდენობით, რასაც აუცილებლად ხარჯავენ მათ საწარმოებლად ისინი, ვისაც ასეთი უპირატესობანი არა აქვს, ვინც წარმოებას განაგრძობს ყველაზე არახელსაყრელ პირობებში; ყველაზე არახელსაყრელი პირობები კი უნდა გავიგოთ როგორც ყველაზე არახელსაყრელი იმ პირობებიდან, რომელთა არსებობისას აუცილებელია წარმოების გაგრძელება იმი-

* იხ. ეს ტომი ნაწილი II, გვ. 265 — 266 და 415 — 416. რედ.

სათვის, რათა დამზადდეს პროდუქტის საჭირო რაოდენობა» (თავი მე-2 — «რენტის შესახებ», გვ. 60 — 61).

მე-12 თავში — «მიწის გადასახადი» — რიკარდო, სხვათა შორის, სეის წინააღმდეგ შემდეგ მოსაზრებას აყენებს, — და აქ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მძაფრად აღიქვამს ყოველთვის ინგლისელი ეკონომიურ განსხვავებას, მაშინ როდესაც კონტინენტის მცხოვრები შუდამ ივიწყებს მათ:

«ბ-ნ სეის ვარაუდის თანახმად, [მის მიერ მოცემულ მაგალითში] «მიწის მესაკუთრე თავისი შრომისმოყვარეობის, მომჭირნეობისა და დახელოვნების მეოხებით თავის წლიურ შემოსავალს 5000 ფრანკით ადიდებს». მაგრამ მიწის მესაკუთრეს ხომ შესაძლებლობა არა აქვს გამოიყენოს მის კუთვნილ მიწაზე თავისა შრომისმოყვარეობა, მომჭირნეობა და დახელოვნება, თუ იგი თვით არ ეწევა ამ მიწაზე მეურნეობას; ზოლო თუ მიწის მესაკუთრე თვითონ წარმართავს თავის მეურნეობას, მაშინ მას გაუმჯობესებანი შეაქვს მიწათმოქმედებაში როგორც კაპიტალისტს და ფერმერს, და არა როგორც მიწის მესაკუთრეს. წარმოუდგენელია, რომ იგი შეძლებდა თავისი ფერმის პროდუქტის ამდენად გადიდების რაღაც თავისი განსაკუთრებული დახელოვნებით» (მაშასადამე, «დახელოვნების» მომართავ საქმის ვითარება ისეთია, რომ ეს მეტ-ნაკლებად ფუჭი ლაყბობაა), «ამ ფერმაში გამოყენებული კაპიტალის რაოდენობის წინასწარ გაუდიდებლად» (გვ. 209).

მე-13 თავში — «გადასახადი ოქროზე» (ეს თავი მნიშვნელოვანია რიკარდოსეული ფულის თეორიისათვის) — რიკარდო იძლევა ზოგიერთ დამატებას ან შემდგომ განსაზღვრებას საბაზრო ფასისა და ბუნებრივი ფასის შესახებ. ეს დამატება-განსაზღვრანი იმის ნიშნავს, რომ ორივე ფასის გათანაბრება წარმოებს უფრო სწრაფად ან უფრო ნელა იმისდა მიხედვით, იძლევა თუ არა მეურნეობის მოცემული დარგი მიწოდების უფრო სწრაფი ან უფრო ნელი გადიდების თუ შემცირების შესაძლებლობას, ეს კი, თავის მხრივ, იმასვე ნიშნავს, რასაც ასევე კაპიტალების სწრაფი თუ ნელი მოდინება მოცემულ დარგში ანდა მათი უკუქცევა ამ დარგიდან. მიწის რენტის შესახებ რიკარდოს მსჯელობათა გამო სხვადასხვა მხრიდან (სისმონდი და სხვ.) გაისმოდა იმის საყვედურები, რომ რიკარდო მხედველობიდან უშვებს სიძნელეებს, რასაც კაპიტალის წარმოებიდან ამოღება ქმნის მოიჯარისათვის, რომელიც ბევრ ძირითად კაპიტალს იყენებს და ა. შ. (ინგლისის ისტორია 1815 — 1830 წლების პერიოდში ამის ზედმიწევნით ადასტურებს.) რაგინდ მართებულიც არ უნდა იყოს ეს საყვედური, იგი სრულიად არ ეხება

თეორიას, სრულიად ხელუხლებელს ტოვებს მას, რადგან აქ ლაპარაკია ყოველთვის მხოლოდ ეკონომიური კანონის მეტ-ნაკლებ, უფრო სწრაფ თუ უფრო ნელ მოქმედებაზე. მაგრამ სულ სხვაგვარია საქმის ვითარება საპირისპირო საყვედურის მიმართ, რომელიც ახალ მიწებში ახალი კაპიტალის დაბანდებას შეეხება. რიკარდო ვარაუდობს, რომ ამ უკანასკნელს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მიწის მესაკუთრის ჩაურევლად, რომ კაპიტალი აქ ისეთ გარემოში მოქმედებს, [639] რომელშიც მისი მოძრაობა წინააღმდეგობას არ ხვდება. ეს კი სრულიად მცდარია. რათა ეს წანამძღვარი დამტკიცოს, რათა დამტკიცოს რომ მას ადგილი აქვს იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოება და მიწის საკუთრება უკვე განვითარდა, რიკარდო მუდამ გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა მიწის საკუთრება — ან ფაქტიურად, ანდა იურიდიულად — არ არსებობს და კაპიტალისტური წარმოება, ყოველ შემთხვევაში თვით მიწათმოქმედებაში, ასევე ჯერ კიდევ არ განვითარებულა.

რაც შეეხება რიკარდოს ახლახან მოხსენიებულ დებულებებს საბაზრო და ბუნებრივი ფასის შესახებ, ისინი შემდეგია:

«საქონელზე დაწესებული გადასახადების გამო, ანდა საქონელთა წარმოების სიძნელის გადიდების გამო მუდამ ხდება საბოლოოდ მათი ფასების გადიდება; მაგრამ თუ რამდენი დრო გაივლის, სანამ საბაზრო ფასი ბუნებრივი ფასის შესაბამისი გახდებოდეს, ეს აუცილებლად დამოკიდებულია მოცემული საქონლის ბუნებაზე და იმ სიადვილეზე, რითაც მისი რაოდენობის შემცირება შეიძლება. თუ შეუძლებელი იქნებოდა გადასახადით დაბეგრილი საქონლის რაოდენობის შემცირება, თუ შეუძლებელი იქნებოდა, მაგალითად, ფერმერის ან ქუდების ფაბრიკანტის კაპიტალის ამოღება წარმოებიდან მისი სხვა დარგებში მოსათავსებლად, მაშინ მათი მოგების დაცემას საერთო დონეზე დაბლა, გამოწვეულს გადასახადით, არავითარი შედეგები არ მოჰყვებოდა. თუკი საქონლის მოთხოვნა არ გაიზრდება, ფერმერი და ქუდების ფაბრიკანტი ვერასდროს ვერ შეძლებენ პურისა და ქუდების საბაზრო ფასის აწევას ამ საქონელთა გაზრდილი ბუნებრივი ფასის დონემდე. მათი შეჭარა იმის შესახებ, რომ მიატოვებდნენ თავიანთ მოსაქმეობას და თავიანთ კაპიტალს უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ დარგებში გადაიტანდნენ, განხილული იქნებოდა როგორც ცარიელი მუქარა, რომლის განხორციელებაც შეუძლებელი იქნებოდა; ამიტომ ამგვარი საქონლის ფასის გადიდება წარმოების შემცირების გზით შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ფაქტიურად ყოველი საქონელი შეიძლება შემცირდეს რაოდენობრივად, და კაპიტალი შეიძლება გადატანილ იქნეს ნაკლებმომგე-

ბიანი დარგებიდან მეტმომგებიან დარგებში, თუმცა არა ერთნაირი სისწრაფით. რაც უფრო ადვილად შეიძლება შეეზღუდოს, მწარმოებლის დაუზარალებლად, გარკვეული საქონლის მიწოდება, მით უფრო სწრაფად აიწევს მისი ფასი მას შემდეგ, რაც მისი წარმოების სიძნელე გაიზარდა გადასახადით დაბეგვრის გამო, ან რაიმე სხვა მიზეზით» (გვ. 214—215).

«ყველა საქონლის საბაზრო და ბუნებრივ ფასს შორის შესაბამისობის დამყარება დამოკიდებულია ყოველთვის იმ სიადვილეზე, რითაც შეიძლება გადადგეს ან შემცირდეს ამა თუ იმ საქონლის მიწოდება. იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ საქმე გვაქვს ოქროსთან, სახლებთან და შრომასთან, ისევე როგორც ბევრ სხვა საგანთან, ეს შედეგი, გარკვეულ გარემოებებში, არ მეიძლება მივიღოთ მოკლე ვადაში. მაგრამ სხვაგვარია საქმის ვითარება იმ საქონელთა მიმართ, რომლებიც მოიხმარება და ხელახლა აწარმოება წლიდან წლამდე, როგორიცაა, მაგალითად, ქუდები, ფეხსაცმელი, პური და ტანსაცმელი. ასეთ საქონელთა მიწოდება შეიძლება, საჭიროების შემთხვევაში, შემცირდეს, და საჭირო არ არის დროის დიდი მონაკვეთი, რათა იგი მათი წარმოების ხარჯების ზრდის შესაბამისად შეიკვეცოს» (გვ. 220 — 221).

[Გ) ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲐᲡᲬᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ]

იმავე მე-13 თავში — «ოქროს გადასახადი» — რიკარდო ამბობს:

«რენტა არ არის სიმდიდრის შექმნა, არამედ მხოლოდ გადაადგილებაა მისი» (გვ. 221).

და განა მოგება სიმდიდრის შექმნას გამოხატავს, და განა ის არ წარმოადგენს უფრო ზედმეტი შრომის გადაადგილებას მუშიდან კაპიტალისტთან? რაც შეეხება ხელფასს, ისიც აგრეთვე არ არის, სინამდვილეში, სიმდიდრის შექმნა, მაგრამ იგი არც გადაადგილებაა სიმდიდრისა. იგი წარმოადგენს შრომის პროდუქტის ნაწილის მითვისებას მათ მიერ, ვინც ეს პროდუქტი აწარმოვა.

იმავე თავში რიკარდო ლაპარაკობს:

«მიწის ზედაპირიდან მიღებული ნედლი პროდუქტების გადასახადს მომხმარებელი იხდის... და იგი სრულიად არ ეხება რენტას. ამ უკანასკნელმა შეიძლება ცვლილებები განიცადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გადასახადი შრომის შესანახად საჭირო ფონდების შემცირებით დაბლა დასწევს ხელფასს, შეამცირებს მოსახლეობას და შეამცირებს პურის მოთხოვნას» (გვ. 221).

არის თუ არა რიკარდო მართალი, როცა ამტკიცებს, რომ «მიწის ზედაპირიდან მიღებული ნედლი პროდუქტების გადასახადს» იხდის არა მიწის მესაკუთრე და არა მოჯირე, არამედ მომხმარებელი, — ეს ჩვენ აქ არ გვაინტერესებს. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ თუ ის მართალია, ასეთ გადასახადს შეუძლია რენტა

გაადიდოს, მაშინ როდესაც რიკარდო ფიქრობს, რომ ეს გადასახადი რენტას არ ეხება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი საარსებო საშუალებათა და ა. შ. გაძვირებით ამცირებს კაპიტალს, მოსახლეობას და პურის მოთხოვნას. საქმე ისაა, რომ რიკარდოს წარმოუდგენია, თითქოს ნედლი პროდუქტის გაძვირება მხოლოდ იმდენად ეხება მოგების ნორმას, რამდენადაც იგი აძვირებს საარსებო საშუალებებს, რომელთაც მუშა მოიხმარს. აქ მართალია ის, რომ ნედლი პროდუქტების გაძვირება მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეეხოს ზედმეტი ღირებულების ნორმას და ამიტომ თვით ზედმეტ ღირებულებასაც, მაშასადამე, ამისგამო მოგების ნორმასაც. მაგრამ თუ მოცემულია ზედმეტი ღირებულება, «მიწის ზედაპირიდან მიღებული ნედლი პროდუქტების» გაძვირება გაადიდებდა მუდმივი კაპიტალის ღირებულებას ცვალებადთან შედარებით, გაადიდებდა მუდმივი კაპიტალის შეფარდებას ცვალებადთან და ამიტომ შეამცირებდა მოგების ნორმას და, მაშასადამე, გაადიდებდა რენტას. რიკარდო იმ შეხედულებიდან გამოდის, [640] რომ, რამდენადაც ნედლი პროდუქტის გაძვირება ან გაიაფება ხელფასს არ ეხება, იგი არ ეხება მოგებასაც; ვინაიდან, — მსჯელობს იგი { გარდა ერთი ადგილისა, რომელსაც ჩვენ შემდეგში დავუბრუნდებით*},—მოგების ნორმა რჩება უცვლელი, სულ ერთია ეცემა თუ იზრდება ავანსებული კაპიტალის ღირებულება. ამრიგად, თუ ავანსებული კაპიტალის ღირებულება იზრდება, იზრდება აგრეთვე პროდუქტის ღირებულებაც, ასევე პროდუქტის ის ნაწილიც, რომელიც შეადგენს ზედმეტ პროდუქტს, ე. ი. მოგებას. პირიქით ხდება ავანსებული კაპიტალის ღირებულების დაცემისას. ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა, იქნება ეს ნედლეულის გაძვირების გამო, გადასახადებისა თუ სხვა მიზეზების გამო, ცვალებადი კაპიტალისა და მუდმივი კაპიტალის ღირებულება თანაბარი პროპორციით იცვლება. ამ შემთხვევაში მოგების ნორმა რჩება წინანდელი, რადგან კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ამ შემთხვევაშიც კი აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ ის, რასაც ადგილი აქვს დროებითი ხასიათის ცვლილებების დროს, სახელდობრ—რომ ხელფასი რჩება უცვლელი, თუმცა ნედლი პროდუქტი შეიძლებოდა გაძვირებულიყო ან გაიაფებულიყო (ხელფასი, აქრი-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 577 — 578. რედ.

გად, უცვლელი რჩება, მიუხედავად იმისა, იზრდება თუ ეცემა მისი სახმარი ღირებულება მოცემული, უცვლელი ღირებულების დროს).

შესაძლოა შემდეგი შემთხვევები.

უწინარეს ყოვლისა ორი მთავარი განსხვავება.

A) წარმოების წესში მომხდარი ცვლილების გამო იცვლება თანაფარდობა გამოყენებული მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის მასებს შორის. ამ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმა რჩება უწინდელი, თუ ხელფასი იგულისხმება როგორც მუდმივი თავისი ღირებულების მიხედვით. მაგრამ თვით ზედმეტი ღირებულება ცვლილებებს განიცდის, როცა იცვლება ერთი და იმავე კაპიტალის მიერ გამოყენებული მუშების რიცხვი, ე. ი. როცა იცვლება ცვალებადი კაპიტალის სიდიდე. თუ წარმოების წესში მომხდარი ცვლილებების შედეგად შეფარდებით ეცემა მუდმივი კაპიტალის სიდიდე, მაშინ იზრდება ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე მოგების ნორმაც. საწინააღმდეგო შემთხვევისას შედეგიც საწინააღმდეგო იქნება.

აქ ყოველთვის იგულისხმება, რომ ღირებულება [რაც უწევს] pro tanto *, მაგალითად, მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის 100 [ნატურალურ] ერთეულს, ერთი და იგივე რჩება.

მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია, რომ ცვლილება წარმოების წესში თანაბრად ეხებოდეს მუდმივსაც და ცვალებად კაპიტალსაც, ე. ი. რომ მუდმივი კაპიტალი და ცვალებადი კაპიტალი — [მათში შემავალ ნაკონელთა] ღირებულების შეუცვლელად — მაგალითად, თანაბრად უნდა გადიდებულიყო ან შემცირებულიყო. ვინაიდან მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის შემცირებისა და გადიდების აუცილებლობა აქ მუდამ დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების ცვლილებასთან. ცვლილება წარმოების წესში ახდენს სხვადასხვა, და არა ერთნაირ, ზეგავლენას მუდმივსა და ცვალებად კაპიტალზე, რაც არავითარ კავშირში არაა იმასთან, — კაპიტალის მოცემული ორგანული შედგენილობისას — დიდი კაპიტალი უნდა იქნეს გამოყენებული თუ მცირე.

B) წარმოების წესი რჩება უცვლელი. ცვლილება თანაფარდობაში მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის, როცა უცვლელია მათი შეფარდებითი მასები (ანუ რომ ერთიც და მეორეც ერთობლივი კაპიტალის იმავე ნაწილს შეადგენს, რასაც უწინ შეადგენდა), იმის გამო ხდება,

* ამა და ამ რაოდენობას, შესაბამისად. რედ.

რომ იცვლება მუდმივსა და ცვალებად კაპიტალში შემავალ ხაქონელთა ღირებულება.

აქ შესაძლებელია შემდეგი:

[1] მუდმივი კაპიტალის ღირებულება არ იცვლება; ცვალებადი კაპიტალის ღირებულება იზრდება ან ეცემა. ეს ყოველთვის გაგლენას მოახდენდა ზედმეტ ღირებულებაზე და ამით მოგების ნორმაზეც.

[2] ცვალებადი კაპიტალის ღირებულება არ იცვლება; მუდმივი კაპიტალის ღირებულება იზრდება ან ეცემა. მაშინ მოგების ნორმა პირველ შემთხვევაში დაეცემოდა, მეორე შემთხვევაში—გადიდდებოდა.

[3] თუ მუდმივი კაპიტალის ღირებულება და ცვალებადი კაპიტალის ღირებულება ერთსა და იმავე დროს ეცემა, მაგრამ არათანაბარი პროპორციით, მაშინ ერთის ღირებულება მეორის ღირებულების მიმართ ყოველთვის ან იზრდება, ან ეცემა.

[4] მუდმივი კაპიტალის ღირებულება და ცვალებადი კაპიტალის ღირებულება — როგორც ორივეს გადიდების შემთხვევაში, ისე მათი დაცემის შემთხვევაშიც — თანაბარი პროპორციით იცვლება. თუ ორივე ღირებულება იზრდება, მაშინ მოგების ნორმა ეცემა, მაგრამ არა იმ მიზეზით, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება იზრდება, არამედ იმ მიზეზით, რომ იზრდება ცვალებადი კაპიტალის ღირებულება და ამის გამო ეცემა ზედმეტი ღირებულება (იზრდება ხომ მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის დირებულება, თუმცა ამ კაპიტალს მოძრაობაში მოჰყავს მუშების იგივე რაოდენობა, რაც უწინ, ანდა, შესაძლოა, ნაკლები რაოდენობაც კი). თუ კაპიტალის ორივე ორგანული შემადგენელი ნაწილის ღირებულება ეცემა, მოგების ნორმა იზრდება, მაგრამ არა იმ მიზეზით, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება ეცემა, არამედ იმ მიზეზით, რომ ეცემა (თავისი ღირებულების მიხედვით) ცვალებადი კაპიტალი და, მაშასადამე, იზრდება ზედმეტი ღირებულება.

C) ცვლილება წარმოების წესში და ცვლილება მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის შემადგენელი ელემენტების ღირებულებაში.

აქ ერთ ცვლილებას შეუძლია გააბათილოს მეორე ცვლილება, თუ, მაგალითად, მუდმივი კაპიტალის მასა იზრდება, მაშინ როდესაც მისი ღირებულება ან ეცემა, ან უცვლელი რჩება (მაშასადამე, აგრეთვე ეცემა pro tanto ყოველ 100 [ნატურალურ] ერთეულზე), ანდა თუ მუდმივი კაპიტალის მასა ეცემა, მისი ღირებულება კი ან უცვლელი რჩება (მაშასადამე, იზრდება pro tanto), ანდა იზრდება — [მაგ-

ლითად] იმავე პროპორციით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არავითარი ცვლილება კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში არ მოხდებოდა. მოგების ნორმა უცვლელი დარჩებოდა. მაგრამ, სამეწარმოქმედო კაპიტალის გამოკლებით, არასად არ არის შესაძლებელი ისეთი შემთხვევა, რომ მუდმივი კაპიტალის მასა მცირდებოდეს ცვალებადი კაპიტალის მიმართ, მაშინ როდესაც მისი ღირებულება იზრდება.

ასეთი გამაბათილებელი მოქმედება ერთი ცვლილებისა მეორეზე შეუძლებელია ცვალებადი კაპიტალისათვის (თუ რეალური ხელფასი უცვლელია).

გარდა ზემოაღნიშნული ერთი შემთხვევისა შესაძლებელია, მაშასადამე, მხოლოდ ის, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება და მასა ერთდროულად ეცემა ან იზრდება ცვალებადი კაპიტალის მიმართ; რომ, მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის ღირებულება აუცილებლად იზრდება ან ეცემა ცვალებადი კაპიტალის მიმართ. ეს შემთხვევა უკვე განხილულია. თუ ადგილი აქვს მათ დაცემას ან ზრდას, თუმცაღა ერთდროულად, [641] მაგრამ სხვადასხვა პროპორციით, მაშინ ეს — წანამძღვრის თანახმად — მუდამ იმაზე დაიყვანება, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება იზრდება ან ეცემა ცვალებადი კაპიტალის მიმართ.

ეს შეიცავს აგრეთვე სხვა შემთხვევასაც. ვინაიდან თუ დიდდება მუდმივი კაპიტალის მასა, მაშინ ცვალებადი კაპიტალის მასა შეფარდებით მცირდება, და პირიქით. ასეთივეა საქმის ვითარება ღირებულების მიმართაც. [641].

[3) ერთიმეორის საწინააღმდეგო ცვლილებანი მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებაში და მათი გავლენა მოგების ნორმაზე]

[642] C შემთხვევის შესახებ (გვ. 640) საჭიროა შევნიშნოთ კიდევ შემდეგი:

შესაძლებელია ისეთი მდგომარეობა, რომ ხელფასი იზრდება, მუდმივი კაპიტალი კი მცირდება ღირებულების მიხედვით, არა მასის მიხედვით. თუ ზრდა და შემცირება ერთიმეორის შესაბამისი იქნებოდა ორივე კიდურზე, მოგების ნორმა შეიძლებოდა უცვლელი დარჩენილიყო. თუ, მაგალითად, მუდმივი კაპიტალი = 60 გირვ. სტერლ., ხელფასი = 40 გირვ. სტერლ. და ზედმეტი ღირებულების ნორმა = 50%, მაშინ პროდუქტი = 120 გირვ. სტერლ., მოგე-

ბის ნორმა კი=20%-ს. თუ მუდმივი კაპიტალი, მისი მასის ყოველ-გვარი ცვლილების გარეშე, 40 გირვ. სტერლინგამდე დაეცემოდა და თუ ხელფასი 60 გირვ. სტერლინგამდე გადიდდებოდა, ზედმეტი ღირებულება კი დაიწევდა 50-დან 33$^1/_3$%-მდე, მაშინ პროდუქტი უწინდებურად 120 გირვ. სტერლ. იქნებოდა, მოგების ნორმა კი—20%. ეს არაა სწორი.

წანამძღვრის თანახმად, [ცოცხალი] შრომის გამოყენებული რაოდენობით შექმნილი ერთობლივი ღირებულება უდრის 60 გირვ. სტერლინგს. ამიტომ, თუ ხელფასი გადიდდებოდა 60 გირვ. სტერლინგამდე, ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე მოგების ნორმაც, ნულის ტოლი იქნებოდა. თუ ხელფასი არ გადიდდებოდა ასე მნიშვნელოვნად, მაინც მისი ყოველი ზადიდება გამოიწვევდა ზედმეტი ღირებულების დაცემას. თუ ხელფასი 50 გირვ. სტერლინგამდე გადიდდებოდა, ზედმეტი ღირებულება იქნებოდა 10 გირვ. სტერლინგი; თუ იგი 45 გირ. სტერლინგამდე გადიდდებოდა, ზედმეტი ღირებულება იქნებოდა 15 გირვ. სტერ. და ა. შ. მაშასადამე, ყველა გარემოებაში ზედმეტი ღირებულება და მოგების ნორმა თანაბარი ოდენობით ეცემა, ვინაიდან ზედმეტი ღირებულება და მოგების ნორმა გამოიანგარიშება აქ უცვლელად დარჩენილი ერთობლივი კაპიტალის მიხედვით. ტოლი სიდიდის კაპიტალების დროს (იგულისხმება ერთობლივი კაპიტალი) მოგების ნორმა აუცილებლად უნდა იზრდებოდეს და ეცემოდეს არა ზედმეტი ღირებულების ნორმის ზრდასა და დაცემასთან ერთად, არამედ ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური მასის ზრდასა და დაცემასთან ერთად.

თუ ზემოდასახელებულ მაგალითში [მუდმივი კაპიტალი შედგება სელისაგან და თუ] ამ სელის ფასი იმდენად ეცემა, რომ მისი მასა, ნართად ქცეული მუშათა იმავე რაოდენობის მიერ, შეიძლება ვიყიდოთ 40 გირვ. სტერლინგად, მაშინ ჩვენ გვექნებოდა შემდეგი:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	პროდუქციის ღირებულება	ავანსებული კაპიტალი	მოგების ნორმა
40	50	10	100	90	11$^1/_9$%

აქ მოგების ნორმა დაეცემოდა 20%-ზე დაბლა.

თუ მუდმივი კაპიტალის ღირებულება 30 გირვ. სტერლინგამდე დაეცემოდა, მაშინ გვექნებოდა:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	პროდუქტის ღირებულება	ავანსებული კაპიტალი	მოგების ნორმა
30	50	10	90	80	12$^1/_2$%

მუდმივი კაპიტალის ღირებულების 20 გირვ. სტერლინგამდე დაცემისას, გვექნებოდა:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	პროდუქტის ღირებულება	ავანსებული კაპიტალი	მოგების ნორმა
20	50	10	80	70	$14^3/_7$%

ჩვენ მიერ დაშვებული წანამძღვრის პირობებში მუდმივი კაპიტალის ღირებულების დაცემა ცვალებადი კაპიტალის ღირებულების გადიდებას ყოველთვის მხოლოდ ნაწილობრივ აბათილებს. ამ წანამძღვრის დროს მუდმივი კაპიტალის ღირებულების დაცემას არ შეუძლია მთლიანად გააბათილოს ცვალებადი კაპიტალის ღირებულების გადიდება, რადგან იმისათვის, რომ მოგების ნორმა 20%-ს უდრიდეს, 10 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულება უნდა შეადგენდეს მთელი ავანსებული კაპიტალის $^1/_5$-ს. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, როცა ცვალებადი კაპიტალი 50 გირვ. სტერლინგს უდრის, ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მუდმივი კაპიტალი იქნებოდა 0. თუ დავუშვებთ, რომ ცვალებადი კაპიტალი მხოლოდ 45 გირვ. სტერლინგამდე იდიდება, მაშინ ზედმეტი ღირებულება იქნება 15 გირვ. სტერლინგი. და თუ ამასთან ვიგულისხმებთ, რომ მუდმივი კაპიტალი 30 გირვ. სტერლინგამდე ეცემა, ჩვენ გვექნება შემდეგი:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	პროდუქტის ღირებულება	ავანსებული კაპიტალი	მოგების ნორმა
30	45	15	90	75	20%

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ორივე მოძრაობა მთლიანად გააბათილებდა ერთიმეორეს.

[643] ავიღოთ, შემდეგ, ასეთი შემთხვევა:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	პროდუქტის ღირებულება	ავანსებული კაპიტალი	მოგების ნორმა
20	45	15	80	65	$23^1/_{13}$%

მაშასადამე, ამ შემთხვევაში, ზედმეტი ღირებულების დაცემის დროსაც კი*, მოგების ნორმას შეეძლო გადიდება მუდმივი კაპიტალის ღირებულების უფრო მნიშვნელოვანი დაცემის გამო. იმავე 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის დროსაც შეიძლებოდა მეტი მუშის გამოყენება, მიუხედავად გადიდებული ხელფასის და ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემისა. მიუხედავად ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემისა, თვით ზედმეტი ღირებულება, და ამიტომ

* — შედარებით ამოსავალ შემთხვევასთან 60 c + 40 v + 20 m. რედ.

მოგებაც გაიზრდებოდა, რადგან გაიზრდებოდა მუშების რიცხვი. ზემოაღნიშნული შეფარდება 20c+45v ხომ გვაძლევს 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვისას შემდეგ თანაფარდობას:

მუდმივი კაპიტალი	ცვალებადი კაპიტალი	ზედმეტი ღირებულება	პროდუქტის ღირებულება	აგებსებული კაპიტალი	მოგების ნორმა
$30^{10}/_{11}$	$69^{2}/_{11}$	$23^{1}/_{11}$	$123^{1}/_{11}$	100	$23^{1}/_{11}$ %

თანაფარდობას ზედმეტი ღირებულების ნორმასა და მუშების რიცხვს შორის აქ მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რიკარდო ამ თანაფარდობას არსად არ განიხილავს. [643]

* * *

[641] იმას, რაც ზემოთ იყო განხილული როგორც ცვლილება ერთი კაპიტალის ორგანულ შედგენილობის შიგნით, შეიძლება, რა თქმა უნდა, ადგილი ჰქონდეს როგორც ორგანულ შედგენილობის განსხვავებას სხვადასხვა კაპიტალს შორის, წარმოების სხვადასხვა დარგის კაპიტალებს შორის.

ჯერ ერთი: ნაცვლად ცვლილებისა ერთი კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში ჩვენ გვექნება განსხვავება სხვადასხვა კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში.

მეორე: [ნაცვლად] ორგანული შედგენილობის ცვლილებისა, რაც გამოწვეულია ერთი კაპიტალის ორ ნაწილში ღირებულების ცვლილებით, ჩვენ გვექნება სავსებით ასეთივე სხვაობა სხვადასხვა კაპიტალს შორის მათ მიერ გამოყენებული ნედლეულისა და მანქანების ღირებულების მხრივ. ცვალებადი კაპიტალისათვის ამას არა აქვს ძალა, რადგან ნაგულისხმევია თანაბარი ხელფასი წარმოების სხვადასხვა დარგში. სხვადასხვა დარგში სხვადასხვა სამუშაო დღის ღირებულების სხვაობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამასთან. თუ ოქრომჭედლის შრომა უფრო ძვირია შავი მუშის შრომაზე, მაშინ ოქრომჭედლის ზედმეტი სამუშაო დღეც ასეთივე პროპორციით უფრო ძვირია, ვიდრე შავი მუშის ზედმეტი სამუშაო დრო [101]. [641]

[4) ხარჯთშაბისა და ღირებულების არევა რიკარდოსეულ მოგების თეორიაში]

[641] მე-15 თავში — «მოგების გადასახადი» — რიკარდო ლაპარაკობს:

«იმ საქონლისა გადასახადი, რომლებიც ფუფუნების საგნების საერთო სახელწოდებას ატარებენ, ეკისრება მხოლოდ ამ საქონლისა მომხმარებელთ... პირველი

33. კ. მარქსი, ტ. IV, ნაწ. II.

საკირაბების საგნების გადასახადი კი ხშირად გაცილებით უფრო მაღალი პროპორციით ეკისრებათ მოხმარებელთ, ვიდრე მათ მიერ მოხმარებული საგნების რაოდენობაჲ. მაგალითად, პურის გადასახადი [ფაბრიკანტს ეკისრება არა მარტო იმ ზომით, რითაც იგი პურს მოიხმარს, არამედ იმ ზომითაც, რითაც პურის გაძვირება ადიდებს ხელფასს]. «ეს ცვლის კაპიტალის მოგების ნორმას. ყველაფერი, რაც ხელფასს ადიდებს, აკლირებს კაპიტალის მოგებას; ამიტომ მუშის მოხმარებაში შემავალ საქონელზე დადებულ ყოველგვარ გადასახადს მოგების ნორმის შემცირების ტენდენცია აქვს» (გვ. 231).

მომხმარებელთა გადასახადები იმავე დროს მწარმოებელთა გადასახადებია, თუ გადასახადის ობიექტი შედის არა მარტო ინდივიდუალურ მოხმარებაში, არამედ მწარმოებლურ მოხმარებაშიც, ანდა თუ იგი შედის მხოლოდ უკანასკნელში. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეს შეეხება არა მარტო მუშის მოხმარებაში შემავალ პირველი საჭიროების საგნებს. ეს შეეხება ყველა მასალას, რომელთაც კაპიტალისტები მწარმოებლურად მოიხმარენ. ყოველი ასეთი გადასახადი აკლირებს მოგების ნორმას იმიტომ, რომ ადიდებს მუდმივი კაპიტალის ღირებულებას ცვალებადთან შედარებით.

ავიღოთ, მაგალითად, გადასახადი, რომელიც შემოღებული იქნებოდა სელზე ან შალეულზე. [642] სელის ფასი მაშინ დიდდება. ამის გამო სელის მრთველს, რომლის კაპიტალიც 100-ს უდრის, აღარ შეუძლია უკვე ნართად გადამუშავებისათვის სელის იმდენივე რაოდენობა შეიძინოს, რამდენსაც უწინ იძენდა. რადგან წარმოების წესი არ შეცვლილა, ამიტომ სელის მრთველს მუშების იმდენივე რაოდენობა სჭირდება, რამდენიც უწინ, იმისათვის, რომ სელის წინანდელი რაოდენობა ნართად გადაამუშაოს. მაგრამ სელს ხელფასზე დახარჯულ კაპიტალთან შედარებით ახლა მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე უწინ. მაშასადამე, მოგების ნორმა ეცემა. სელის ნართის ფასის გადიდება ამასთან არ არის მისთვის ხელსაყრელი. ამ ფასის აბსოლუტური სიმაღლე საერთოდ საკმაებით სულ ერთია სელის მრთველისათვის. მთელი საქმე მხოლოდ ისაა, თუ რამდენად აღემატება პროდუქტის ფასი ავანსებული კაპიტალის ფასს. თუ სელის მრთველი მოინდომებდა მთელი პროდუქტის ფასის გადიდებას არა მხოლოდ იმ ზომით, რომლითაც სელის ფასი გადიდდა, არამედ ისეთი ზომითაც, რომ ნართის იგივე რაოდენობა მას იმავე მოგებას მოუტანდა, რაც უწინ მოჰქონდა, მაშინ მოთხოვნა, უკვე დაცემული ნართისათვის საჭირო ნედლეულის ფასის გადიდების გამო, კიდევ უფრო დაეცემოდა. ამის გამო, რომ პროდუქტის ფასი ხელოვნურად იყო გადიდებული მოგების გადიდების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ მოგების ნორმა სა-

შუალოდ მოცემულია, ფასისადმი ეს წამატება ასეთ შემთხვევებში არ ხერხდება[102]. [642]

[643] იმავე მე-15 თავში — «მოგების გადასახადი» — რიკარდო ლაპარაკობს:

«ამ შრომის ერთ-ერთ წინა ნაწილში ჩვენ უკვე განვიხილავდით იმ გავლენას, რასაც საქონელთა ფასებზე ახდენს კაპიტალის დაყოფა ძირითად და საბრუნავ კაპიტალად, ანუ, უფრო ზუსტად, ხანგამძლე და წარმავალ კაპიტალად. ჩვენ ცხადყავით, რომ ორ ფაბრიკანტს შეუძლია კაპიტალის სრულიად თანაბარი ჯამის გამოყენება, და მათ შეუძლიათ ამ კაპიტალიდან მოგების სავსებით თანაბარი ჯამის მიღება, მაგრამ რომ ისინი თავიანთ საქონელს მეტად სხვადასხვა ფულად თანხად გაყიდიან, იმისდა მიხედვით, სწრაფად მოიხმარება და იკვლავწარმოება მათ მიერ გამოყენებული კაპიტალები თუ ნელა. ერთ მათგანს შეუძლია თავისი საქონელი გაყიდოს 4000 გირვ. სტერლინგად, მეორეს კი — 10 000 გირვ. სტერლინგად, თუმცა თვითეული მათგანი იყენებს 10 000 გირვ. სტერლ. კაპიტალს და ღებულობს 20% მოგებას, ე. ი. 2000 გირვ. სტერლინგს. ერთის კაპიტალი შეიძლება შედგებოდეს, მაგალითად, 2000 გირვ. სტერლ. საბრუნავი კაპიტალისაგან, რომელიც კვლავწარმოებულ უნდა იქნეს, და 8000 გირვ. სტერლ. ძირითადი კაპიტალისაგან — შენობებისა და მანქანების სახით; მირიქით, მეორის კაპიტალი შეიძლება შედგებოდეს 8000 გირვ. სტერლ. საბრუნავი კაპიტალისაგან და მხოლოდ 2000 ძირითადი კაპიტალისაგან — მანქანებისა და შენობების სახით. თუ ახლა თვითეული ამ კაპიტალისტებიდან დაიბეგრებოდა გადასახადით, რომელიც შეადგენს ზუსი შემოსავლის 10%-ს, ანუ 200 გირვ. სტერლინგს, მაშინ ერთს მოგების საერთო ნორმის მისაღებად უნდა გაეიდოდინა თავისი საქონლის ფასი 10 000 გირვ. სტერლინგიდან 10 200 გირვ. სტერლინგამდე; მეორესაც ასევე უნდა გაეიდიდინა თავისი საქონლის ფასი 4000 გირვ. სტერლინგიდან 4 200 გირვ. სტერლინგამდე. გადასახადის შემოღებამდე საქონელი, რომელსაც ერთ-ერთი ამ ფაბრიკანტებიდან ყიდდა, $21/2$-ჯერ უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე მეორის საქონელი; გადასახადის შემოღების შემდეგ საქონელი 2,42-ჯერ უფრო ძვირი იქნება; ერთი სახის საქონელთა ფასი გადიდდა 2%-ით, მეორე სახის საქონელთა ფასი კი — 5%-ით. მაშასადამე, საშემოსავლო გადასახადი, თუ ფული თავის წინანდელ ღირებულებას შეინარჩუნებდა, შეცვლიდა საქონელთა შეფარდებითს ფასებს და ღირებულებას» (გვ. 234 — 235).

ეს უკანასკნელი «და» — «ფასები და ღირებულება» — შეიცავს სწორედ შეცდომას. ფასების ასეთი ცვლილება მხოლოდ იმის დამამტკიცებელი იქნებოდა—სავსებით ისევე, როგორც ის შემთხვევაში, როცა კაპიტალი არათანაბრად არის დაყოფილი ძირითად და საბრუნავ კაპიტალად, — რომ იმისათვის, რათა მოგების საერთო ნორმა დამყარდეს, ამ უკანასკნელთა განსაზღვრული, რეგულირებული ფასები, ანუ ხარჯთფასები, მეტად განსხვავებული უნდა იყვნენ საქონელთა ღირებულებებისაგან, ეს უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისი კი რიკარდოსათვის სრულიად არ არსებობს.

ამავე თავში რიკარდო ამბობს:

«თუ რომელიმე ქვეყანაში გადასახადები არ იქნებოდა და ამასთან ფულის ღირებულება დაეცემოდა, მაშინ მისი სიუხვე ყოველ ბაზარზე»{ აქ რიკარდოს აქვს სასაცილო წარმოდგენა, თითქოს ფულის ღირებულების დაცემას თან უნდა ახლდეს მისი სიუხვე ყოველ ბაზარზე} [644] «თანაბარ გაკლენას მოახდენდა ყოველ საქონელზე. თუ ხორცის ფასი ათწევდა 20%-ით, მაშინ პურის, ლუდის, ფეხსაცმლის, შრომისა და ყოველი სხვა საქონლის ფასიც გადიდდებოდა 20%-ით. ეს აუცილებლად უნდა მობდეს, რათა უზრუნველეყოფილ იქნეს მოგების თანაბარი ნორმა წარმოების ყველა დარგში. მაგრამ სხვაგვარადაა საქმის ვითარება, როცა ამ საქონელთაგან რომელიმე დაბეგრილია გადასახადით; თუ ამ შემთხვევაში ყველა საქონლის ფასი გადიდდებოდა ფულის ღირებულების დაცემის პროპორციულად, მაშინ მოგება აღმოჩნდებოდა არათანაბარი; გადასახადით დაბეგრილ საქონელთათვის მოგება საერთო დონეზე უფრო მაღლა აიწევდა, და კაპიტალი დაიწყებდა გადასვლას ერთი დარგიდან მეორეში, სანამ არ დამყარდებოდა მოგებათა წონასწორობა, ეს კი შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ შეფარდებითი ფასების ცვლილების შედეგად» (გვ. 236 — 237).

და მოგებათა ეს წონასწორობა საერთოდ იმ გზით მყარდება, რომ საქონელთა შეფარდებითი ღირებულებანი, ნამდვილი ღირებულებანი ცვლილებას განიცდიან და ისე შეეგუებიან ერთმეორეს, რომ შეესაბამებიან არა თავიანთ ნამდვილ ღირებულებას, არამედ იმ საშუალო მოგებას, რასაც ისინი უნდა იძლეოდნენ.

[ბ) მოგების საერთო ნორმისა და აბსოლუტური რენტის ნორმის ურთიერთდამოკიდებულება. ხელფასის შემცირების გავლენა ხარჯთაღრიცხვაზე]

მე-17 თავში—«გადასახადი სხვა საქონელზე, გარდა ნედლი პროდუქტებისა» — რიკარდო ლაპარაკობს:

«ბ-ნი ბიუკენენი ფიქრობს, რომ ხორბალი და ნედლი პროდუქტები იყოდება მონოპოლიური ფასის კვალობაზე, ამიტომ რომ ისინი იძლევიან რენტას. იგი იმ ვარაუდიდან გამოდის, რომ რენტის მომცემი ყველა საქონელი უნდა იყიდებოდეს მონოპოლიური ფასის კვალობაზე; და აქედან იგი იმ დასკვნას აკეთებს, რომ ნედლი პროდუქტების ყველა გადასახადი ეკისრება მიწის მესაკუთრეს და არა მომხმარებელს. «რადგან უდამ რენტის მომცემი ხორბლის ფასზე,— ამბობს ბიუკენენი,—არავითარი მიმართებით არ ახდენენ გავლენას მისი წარმოების ხარჯები, ამიტომ ამ ხარჯების ანაზღაურება უნდა ხდებოდეს რენტის ხარჯზე; როცა ეს ხარჯები დიდდება ან ეცემა, ამის შედეგია, იმრიგად, არა ფასის გადიდება ან შემცირება, არამედ რენტის გადიდება ან შემცირება. ამ თვალსაზრისით

ყველა გადასახადი სოფლის მეურნეობის მუშებისა, ცხენებისა ან სამიწათმოქმედო იარაღებისა სინამდვილეში მიწის გადასახადია, რომელიც ტვირთად აწვება ფერმერს იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, შემდეგ კი, საიჯარო ხელშეკრულების განახლებისას, — მიწის მესაკუთრეს. ამგვარადვე ყველა გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რომლებიც ფერმერს წარმოების ხარჯების შემცირების შესაძლებლობას აძლევენ, — მაგალითად, სალეწი და სამკელი მანქანები, და ავრეთვე ყოველივე ის, რაც ფერმერს ბაზართან დაკავშირებას უადვილებს, როგორც, მაგალითად, კარგი გზები, არხები და ხიდები, — ყოველივე ეს, თუმცა ამცირებს ხორბლის წარმოების ნამდვილ ხარჯებს, მაგრამ არ ამცირებს მის საბაზრო ფასს. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ამ გაუმჯობესებათა გზით იზოგება, წილად ხვდება მიწის მესაკუთრეს როგორც ნაწილი მისი რენტისა».

«ცხადია» (ამბობს რიკარდო), «რომ თუ სწორად მივიჩნევეთ იმ საფუძველს, რომელზეც ბ-ნი ბიუკენენი თავის არგუმენტაციას აგებს, სახელდობრ, რომ ხორბლის ფასი მუდამ იძლევა რენტას, მაშინ აქედან, რა თქმა უნდა, მივიღებთ ყველა იმ დასკვნას, რომელთაც იგი იცავს» (გვ. 292 — 293).

ეს სრულიადაც არაა ცხადი. თავის არგუმენტაციას ბიუკენენი ამყარებს არა იმაზე, რომ ყოველი ხორბალი რენტას იძლევა, არამედ იმაზე,რომ რენტის მომცემი ყოველი ხორბალი იყიდება მონოპოლიურ ფასში და რომ მონოპოლიური ფასი იმ აზრით, რა აზრითაც იგი ა. სმიტს ესმის, და ასევე რიკარდოსაც, ნიშნავს «უმაღლეს ფასს, რომლის მიხედვითაც მომხმარებელნი თანახმა არიან საქონელი იყიდონ»[103].

მაგრამ სწორედ ეს არის მცდარი. ხორბალი, რომელიც რენტას იძლევა (თუ უყურადღებოდ დავტოვებთ დიფერენციულ რენტას), იყიდება არა მონოპოლიური ფასის მიხედვით იმ აზრით, რითაც ამის შესახებ ბიუკენენი ლაპარაკობს. ხორბალი იყიდება მონოპოლიური ფასის მიხედვით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი იყიდება თავის ხარჯთფასზე უფრო მაღლა, თავისი ღირებულების მიხედვით. მისი ფასი განისაზღვრება მასში გასაგნობრივებული შრომის რაოდენობით, და არა მისი წარმოების ხარჯებით, რენტა კი არის ღირებულების გადანამეტი ხარჯთფასზე და, მაშასადამე, განისაზღვრება ამ უკანასკნელით: რენტა მით უფრო მეტია, რაც უფრო ნაკლებია ხარჯთფასი ღირებულებასთან შეფარდებით, და მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო მეტია ხარჯთფასი ღირებულებასთან შეფარდებით. ყოველი გაუმჯობესება ამცირებს ხორბლის ღირებულებას, იმიტომ რომ იგი ამცირებს მისი წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობას. მაგრამ იწვევს თუ არა გაუმჯობესება რენტის დაცემას, ეს დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე. თუ ხორბალი იაფდება და ამის გამო ხელფასი

ეცემა, მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმა იზრდება. ამ შემთხვევაში დაეცემოდა, შემდეგ, მოიჯარის ხარჯები თესლისათვის, პირუტყვის საკვებისათვის და ა. შ. ამასთან დაკავშირებით გადიდდებოდა მოგების ნორმა წარმოების ყველა სხვა, არასამიწათმოქმედო, დარგში, და ამიტომ აგრეთვე მიწათმოქმედებაშიც. წარმოების არასამიწათმოქმედო დარგებში უშუალო და დაგროვილი შრომის შეფარდებითი მასები უცვლელი დარჩებოდა; მუშების რიცხვი დარჩებოდა უწინდელი (მუდმივი კაპიტალის მიმართ), მაგრამ ცვალებადი კაპიტალის ღირებულება დაიწევდა, და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულება [645] გაიზრდებოდა, მაშასადამე, გაიზრდებოდა მოგების ნორმაც. ამის გამო ზედმეტი ღირებულება და მოგების ნორმა გაიზრდებოდა მიწათმოქმედებაშიც. რენტა აქ ეცემა. იმიტომ რომ დიდდება მოგების ნორმა. ხორბალი იაფდება, მაგრამ მისი ხარჯთფასი იზრდება. ამიტომ სხვაობა მის ღირებულებასა და მის ხარჯთფასს შორის მცირდება.

ჩვენი ვარაუდის თანახმად, თანაფარდობა საშუალო არასამიწათმოქმედო კაპიტალისათვის = 80 c + 20 v, ზედმეტი ღირებულების ნორმა = 50; ამიტომ ზედმეტი ღირებულება = 10, მოგების ნორმა კი = 10%. მაშასადამე, საშუალო შედგენილობის მქონე 100 კაპიტალის პროდუქტის ღირებულება უდრის 110-ს.

დავუშვათ ახლა, რომ ხორბლის ფასების შემცირების გამო ხელფასი დაეცა $^1/_4$-ით; მაშინ მუშების იგივე რიცხვი, რომელიც მუშაობს 80 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალით, ე. ი. ნედლეულისა და მანქანების იმავე რაოდენობით, დაჯდება სულ მხოლოდ 15 გირვ. სტერლინგი. და საქონელთა წინანდელ რაოდენობას ექნება ღირებულება 80 c+15 v+15 m, რადგან ამ მუშების მიერ შესრულებული შრომის რაოდენობა, ვარაუდის თანახმად, უდრის 30 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, იმავე რაოდენობის საქონელთა ღირებულება უწინდებურად უდრის 110 გირვ. სტერლინგს. მაგრამ დახარჯული კაპიტალი შეადგენს უკვე მხოლოდ 95 გირვ. სტერლინგს, 15 გირვ. სტერლინგი 95 გირვ. სტერლინგზე კი შეადგენს $15^{15}/_{19}$%-ს. კაპიტალის წინანდელი მასის დახარჯვისას, ანუ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალზე გაანგარიშებით, მივიღებდით თანაფარდობას $84^4/_{19}$ c+ + $15^{15}/_{19}$ v. მოგება კი იქნებოდა $15^{15}/_{19}$ გირვ. სტერლინგი. პროდუქტის ღირებულება = $115^{15}/_{19}$ გირვ. სტერლინგს. მაგრამ, ჩვენი ვარაუდის თანახმად, სამიწათმოქმედო კაპიტალი = 60 c + 40 v მისი პროდუქტის ღირებულება კი უდრის 120 გირვ. სტერლინგს.

რენტა უდრიდა 10 გირვ. სტერლინგს, სანამ ხარჯთფასი 110 გირვ. სტერლ. იყო. ახლა კი რენტა იქნებოდა სულ მხოლოდ $4^4/_{19}$ გირვ. სტერლინგი, იმიტომ რომ $115^{15}/_{19}$ გირვ. სტერლ. + $4^4/_{19}$ გირვ. სტერლ. = 120 გირვ. სტერლინგს.

აქ ჩვენ ვხედავთ შემდეგს: საშუალო შედგენილობის მქონე 100 გირვ. სტერლ. კაპიტალმა აწარმოვა საქონელი, რომლის ხარჯთფასი შეადგენს $115^{15}/_{19}$ გირვ. სტერლინგს, ნაცვლად წინანდელი 110 გირვ. სტერლინგისა. გაიზრდებოდა ამის გამო [ცალკეული] საქონლის საშუალო ფასი?

საქონლის ღირებულება უცვლელი დარჩებოდა, რადგან საქიროა შრომის იგივე რაოდენობა, რათა ნედლეულისა და მანქანების იგივე რაოდენობა პროდუქტად გარდაიქმნას. მაგრამ იმავე 100 გირვ. სტერლ. კაპიტალმა შრომის უფრო მეტი რაოდენობა აამოქმედა და, ნაცვლად წინანდელი 80 გირვ. სტერლინგისა, ახლა პროდუქტად აქცია $84^4/_{19}$ გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალი. მაგრამ [ახლადმიმატებული] შრომის იმავე მასაში ფასგადაუხდელი შრომა ახლა უფრო დიდ ნაწილს შეადგენს, ვიდრე უწინ. აქედან წარმოდგება მოგებისა და 100 გირვ. სტერლ. კაპიტალით წარმოებული მთელი საქონლური მასის ერთობლივი ღირებულების ზრდა. ცალკეული საქონლის ღირებულება იგივე დარჩა, მაგრამ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის შემწეობით წარმოებულია იმავე ღირებულების მქონე ცალკეული საქონლის უფრო დიდი რაოდენობა. მაგრამ როგორი იქნებოდა საქმის ვითარება ხარჯთფასის მიმართ წარმოების სხვადასხვა დარგში?

დავუშვათ, რომ არასამწათმოქმედო კაპიტალი შედგება შემდეგი კაპიტალებისაგან:

		პროდუქტს უნდა ჰქონდეს ფასი:	სხვაობა ხარჯთფასსა და ღირებულებას შორის
1) 80c + 20v . . .	რათა მათ შეეძლოთ ერთი და იმავე ხარჯთფასების მიხედვით გაყიდვა	110 (ღირებულება = 110)	0
2) 60c + 40v . .		110 (ღირებულება = 120)	—10
3) 85c + 15v . .		110 (ღირებულება = $107^1/_2$)	+ $2^1/_2$
4) 95c + 5v . .		110 (ღირებულება = $102^1/_2$)	+ $7^1/_2$
ამრიგად, საშუალო შედგენილობის კაპიტალი = 80c + 20v			

მ ე-2) შემთხვევისათვის სხვაობა = −10, ერთად აღებული 3) და 4) შემთხვევისათვის = +10. მთელი კაპიტალისათვის, ე. ი. 400-თვის. ეს სხვაობა შეადგენს: 0 — 10 + 10 = 0. თუ 400 კაპიტალის პროდუქტი 440-ად იყიდება, ამ კაპიტალით წარმოებული საქონელი იყიდება მ ი ს ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს მიხედვით. ეს შეადგენს 10% მოგებას. მაგრამ 2)-ში საქონელი გაიყიდებოდა მის ღირებულებაზე 10 გირვ. სტერლინგით დაბლა, 3)-ში იგი გაიყიდებოდა მის ღირებულებაზე $2^1/_2$ გირვ. სტერლინგით მაღლა, 4)-ში კი მის ღირებულებაზე $7^1/_2$ გირვ. სტერლინგით მაღლა. მხოლოდ 1)-ში იყიდება საქონელი თავისი ღირებულების მიხედვით, როცა ის იყიდება თავისი ხარჯთფასის კვალობაზე, რომელიც უდრის 100 გირვ. სტერლ. კაპიტალს პლუს 10 გირვ. სტერლ. მოგება.

[646] მაგრამ როგორი თანაფარდობა დამყარდებოდა იმის გამო, რომ ხელფასი შემცირდა $^1/_4$-ით?

1-ლი) კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს. ნაცვლად 80 c + 20 v-ისა ჩვენ ახლა გვაქვს $84^4/_{19}$ c + $15^{15}/_{19}$ v, მ ო გ ებ ა — $15^{15}/_{19}$, პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ა — $115^{15}/_{19}$.

მ ე-2) კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს. ხელფასზე იხარჯება სულ მხოლოდ 30 გირვ. სტერ., ვინაიდან $^1/_4$ 40-დან = 10, ხოლო 40 − 10 = 30. პროდუქტის ღირებულება: 60 c + 30 v + 30-ის ტოლი ზედმეტი ღირებულება (რადგან გ ა მ ო ყ ე ნ ებ უ ლ ი შ რ ო მ ი თ შ ე ქ მ ნ ი ლ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ა უ დ რ ი ს ა ქ 60 გ ი რ ვ. ს ტ ე რ ლ ი ნ გ ს). ეს—90 გირვ. სტერ. კაპიტალზე. ხელფასი შეადგენს $33^1/_3$%-ს. 100-ის ტოლი კაპიტალისთვის თანაფარდობა იქნება $66^2/_3$ c + $33^1/_3$ v; პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ა = $133^1/_3$. მოგების ნორმა = $33^1/_3$%.

მე-3) კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს. ხელფასზე იხარჯება სულ მხოლოდ $11^1/_4$ გირვ. სტერლ., ვინაიდან $^1/_4$ 15-დან = $3^3/_4$-ს, 15 — $3^3/_4$ კი = $11^1/_4$-ს. პროდუქტის ღირებულება: 85 c + $11^1/_4$ v + ზედმეტი ღირებულება, რომელიც უდრის $11^1/_4$-ს (გამოყენებული შრომით შექმნილი ღირებულება უდრის აქ $22^1/_2$-ს). ეს — $96^1/_4$ გირვ. სტერლ. კაპიტალზე. ხელფასი შეადგენს $11^{53}/_{77}$%-ს. კაპიტალ 100-თვის მიიღება თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა $88^{24}/_{77}$ c + $11^{55}/_{77}$ v, მოგების ნორმა = $11^{53}/_{77}$%-ს, პროდუქტის ღირებულება კი = $111^{53}/_{77}$.

მ ე-4) კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს. ხელფასზე იხარჯება სულ მხოლოდ $3^3/_4$ გირვ. სტერლ., ვინაიდან $^1/_4$ 5-დან = $1^1/_4$, 5 − $1^1/_4$ კი = $3^3/_4$-ს. პროდუქტის ღირებულება: 95 c + $3^3/_4$ v + ზედმეტი ღირებულება, რომელიც უდრის $3^3/_4$-ს (რადგან ერთობლივი [ახლად-

მიპატებული] შრომით შექმნილი ღირებულება უდრის აქ 7 $^1/_2$-ს). ეს — $98^3/_4$ გირვ. სტერლ. კაპიტალზე. ხელფასი შეადგენს $3^{63}/_{79}$%-ს. კაპიტალ 100-თვის მიიღება თანაფარდობა $96^{16}/_{79}$ c + $3^{63}/_{79}$ v. მოგების ნორმა = $3^{63}/_{79}$%-ს. პროდუქტის ღირებულება = $103^{63}/_{79}$-ს.

ამრიგად, ჩვენ გვექნებოდა:

	მოგების ნორმა	რაითა მათ შეეძლოთ ერთი და იმავე ხარჯთფასების მიხედვით გაყოდვა.	პროდუქტს უნდა ჰქონდეს ფასი	სხვაობა ხარჯთფასსა და ღირებულებას შორის
1) $84^4/_{19}$c + $15^{15}/_{19}$v	$15^{15}/_{19}$		116 (ღირებულება = = $115^{15}/_{19}$)	+ $^4/_{19}$
2) 66 $/_9$c + $33^1/_3$v	$33^1/_3$		116 (ღირებულება = = $133^1/_3$)	— $17^2/_3$
3) 88 $^6/_{37}$c + $11^{53}/_{77}$v	$11^{53}/_{77}$		116 (ღირებულება = = $111^{53}/_{77}$)	+ $4^{23}/_{77}$
4) $96^{16}/_{79}$c + $3^{63}/_{79}$v	$3^{63}/_{79}$		116 (ღირებულება = $103^{63}/_{79}$	+ $12^{16}/_{79}$
ხულ . . . 400	64 (თუ არ ვიანგარიშებთ წილადს)			

მოგება შეადგენს 16%-ს, უფრო ზუსტად — $16^1/_7$%-ზე რამდენადმე მეტს. ანგარიში მთლად არ წონასწორდება იმიტომ, რომ საშუალო მოგების გამოანგარიშებისას ჩვენ არ ვიანგარიშეთ წილადი და შემდგომ გამოთვლებში არ შევიტანეთ ეს წილადი, რის შედეგადაც მე-2)-თვის რამდენადმე მეტი გამოვიდა უარყოფითი სხვაობა, 1-ლი), მე-3) და მე-4-თვის კი რამდენადმე ნაკლები გამოვიდა [დადებითი სხვაობა]. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ, თუ ეს უზუსტობანი არ იქნებოდა გამოანგარიშებაში, დადებითი და უარყოფითი სხვაობანი ერთიმეორეს გაბათილებდნენ. მაგრამ ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა საქონელთა გაყიდვა, ერთი მხრივ, 2)-ში მათ ღირებულებაზე დ ა ბ ლ ა, [მეორე მხრივ] კი 3)-ში და განსაკუთრებით 4)-ში — მათ ღირებულებაზე მ ა ღ ლ ა. მართალია, ცალკეული პროდუქტისათვის ეს გადიდება ან შემცირება ისე დიდი როდია, როგორც ეს ცხრილში მოცემული ციფრების მიხედვით გვეჩვენება, რადგან ოთხივე კატეგორიაში გამოიყენება შრომის უფრო მეტი რაოდენობა [ვიდრე უწინ], და ამიტომ მუდმივი კაპიტალის (ნედლეულისა და მანქანების) უფრო დიდი რაოდენობა გადაიქცევა პროდუქტად; ასე რომ აღნიშნული გადიდება და შემცი-

რება საქონელთა უფრო დიდ მასაზე განაწილდებოდა. მაგრამ ისინი მაინც მნიშვნელოვანნი იქნებოდნენ.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ ხელფასის შემცირებამ გამოიწვია ხარჯთფასის გადიდება [ღირებულებასთან შედარებით] 1)-სა და 3)-თვის და მეტად მნიშვნელოვანი გადიდება 4)-თვის. ეს სწორედ ის კანონია, რომელიც რიკარდომ საბრუნავ და ძირითად კაპიტალს შორის არსებული სხვაობის განხილვისას გამოიყვანა[104], მაგრამ რომლის შესახებაც მას სრულიად არ დაუმტკიცებია—და არც შეეძლო დაემტკიცებინა,—რომ ეს კანონი ეგუება ღირებულების კანონს და რომ პროდუქტების ღირებულება ერთობლივი კაპიტალისათვის იგივე რჩება [როგორც არ უნდა ნაწილდებოდეს იგი წარმოების ცალკეულ დარგებს შორის].

[647] გაცილებით უფრო რთული იქნება გამოანგარიშება და გათანაბრება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სხვაობებსაც კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში, რომელთაც მიმოქცევის პროცესი წარმოშობს. მართლაც, ჩვენი გამოანგარიშებისას ჩვენ ვივარაუდეთ, რომ მთელი ავანსებული მ უ დ მ ი ვ კ ა პ ი ტ ა ლ ი შედის პროდუქტში, ე. ი. რომ იგი შეიცავს მხოლოდ ძირითადი კაპიტალის გ ა ც ვ ე თ ა ს — მაგალითად, წლის განმავლობაში (რადგან მოგებას უნდა ვანგარიშობდეთ მთელი წლისათვის). თუ ჩვენ ამას არ ვივარაუდებდით, პროდუქტების მასათა ღირებულებანი აღმოჩნდებოდა მეტად განსხვავებული, მაშინ როდესაც ამ ვარაუდისას ისინი მხოლოდ ცვალებად კაპიტალთან ერთად იცვლებიან. მეორე, თუ გვექნებოდა ზედმეტი ღირებულების ერთი და იგივე ნორმა, მაგრამ განსხვავებული მიმოქცევის დრო, მივიღებდით წ ა რ მ ო ე ბ უ ლ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ა ს ი ს მნიშვნელოვან სხვაობებს ავანსებულ კაპიტალთან შეფარდებით. ამ შემთხვევაში, თუ არ გვექნებოდა სხვაობანი ცვალებად კაპიტალში, ზედმეტ ღირებულებათა მასების ერთიმეორესთან შეფარდება ისეთივე იქნებოდა, როგორიც ტოლდიდი კაპიტალების მიერ წარმოებულ სხვადასხვა ღირებულებათა მასების შეფარდება. მოგების ნორმა გაცილებით უფრო დაბალ დონეზე იქნებოდა იქ, სადაც მუდმივი კაპიტალის შეფარდებით დიდი ნაწილი ძირითადი კაპიტალისაგან შედგება, და გაცილებით უფრო მაღალ დონეზე იქ, სადაც კაპიტალის შეფარდებით დიდი ნაწილი საბრუნავი კაპიტალისაგან შედგება, ყველაზე მაღალ დონეზე კი იქ, სადაც ცვალებადი კაპიტალი შეფარდებით დიდია შედარებით მუდმივ კაპიტალთან, რომელშიც ამასთანავე ძირითადი კაპიტალის წილი შეფარდებით მცირეა. თუ

თანაფარდობა მუდმივი კაპიტალის საბრუნავ და ძირითად ნაწილს შორის ერთნაირი იქნებოდა სხვადასხვა კაპიტალებისათვის, მაშინ გადამწყვეტი იქნებოდა მხოლოდ სხვაობა ცვალებად კაპიტალსა და მუდმივს შორის. თუ ერთნაირი იქნებოდა ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან, მაშინ გადამწყვეტი იქნებოდა მხოლოდ სხვაობა ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის, სხვაობა თვით მუდმივი კაპიტალის შიგნით.

მოიჯარის მოგების ნორმა, როგორც დავინახეთ, ყველა გარემოებაში გაიზრდებოდა, თუ, ხორბლის გაიაფების გამო, გაიზრდებოდა არასამწყთმოქმედო კაპიტალის მოგების საერთო ნორმა. გადიდდებოდა თუ არა მისი მოგების ნორმა უშუალოდ, ეს კიდევ საკითხავია, და ეს დამოკიდებულია, როგორც ჩანს, შემოღებულ გაუმჯობესებათა ხასიათზე. თუ შემოღებული გაუმჯობესებანი ისეთი სახისაა, რომ ხელფასზე დასახარჯავი კაპიტალი მნიშვნელოვნად შემცირდებოდა მანქანებზე და ა. შ. დასახარჯავ კაპიტალთან შედარებით, მაშინ არ არის აუცილებელი, რომ მოიჯარის მოგების ნორმა უშუალოდ გაიზარდოს. თუ გაუმჯობესებანი ისეთი სახისაა, რომ მოიჯარეს $^1/_4$-ით ნაკლები მუშახელი სჭირდება, მაშინ მას ახლა ხელფასზე უნდა დაეხარჯა, წინანდელი 40 გირვ. სტერლინგის ნაცვლად, მხოლოდ 30 გირვ. სტერლინგი. მაშასადამე, მისი კაპიტალი ახლა იქნება 60 c + 30 v, ანუ — 100-ზე გაანგარიშებით — 66 $^2/_3$ c + 33$^1/_3$ v. და რადგან 40 ერთეულით ანაზღაურებული შრომა 20 ზედმეტ ღირებულებას იძლევა, ამიტომ 30-ით ანაზღაურებული შრომა იძლევა 15-ს, 33$^1/_3$-ით ანაზღაურებული შრომა კი — 16$^2/_3$-ს. ამრიგად, სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანული შედგენილობა მიუახლოვდებოდა არასამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანულ შედგენილობას. ზემოდასახელებულ მაგალითში კი, ერთი მეოთხედით ხელფასის ერთდროული დაცემისას, იგი შეიძლებოდა კიდეც დამთხვეოდა არასამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობას[106]. საქმის ასეთი ვითარებისას რენტა (აბსოლუტური რენტა) გაქრებოდა.

ბიუკენენის შესახებ ზემომოყვანილი შენიშვნის შემდეგ რიკარდო განაგრძობს:

«ვფიქრობ, საკმარისად ცხადეყაკი, რომ სანამ ქვეყანაში ჯერ კიდევ მთელი შიწა არ არის დამუშავებული და, თანაც, ყველაზე ინტენსიური წესით, იქ მუდამ არსებობს მიწაში დაბანდებული კაპიტალის ისეთი ნაწილი, რომელიც არავითარ რენტას არ იძლევა, და» (!) «რომ სწორედ კაპიტალის ეს ნაწილი (რომლის პროდუქტი, ისევე როგორც მრეწველობაში, იყოფა მოგებად და ხელფასად) არეგულირებს ხორბლის ფასს. და რადგან

ხორბლის იმ ფასზე, რომელიც რენტას არ იძლევა, გავლენას ახდენენ მისი წარმოების ხარჯები, ამიტომ ამ ხარჯების გადახდა რენტიდან არ შეიძლება. ამიტომ ამ ხარჯების ზრდის შედეგი იქნება უფრო მაღალი ფასი, და არა უფრო დაბალი რენტა» (ციტირ. თხზ., გვ. 293).

რადგან აბსოლუტური რენტა უდრის მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულების გადანამეტს მის წარმოების ფასზე (Produktionspreis), ცხადია, რომ ყველაფერი, რაც ხორბლისა და ა. შ. წარმოებისათვის საჭირო შრომის ერთობლივ რაოდენობას ამცირებს, ამცირებს რენტასაც, იმიტომ რომ ამცირებს ღირებულებას და, მაშასადამე, აგრეთვე ღირებულების გადანამეტს წარმოების ფასზე. რამდენადაც წარმოების ფასი ანაზღაურებული ხარჯებისაგან შედგება, მისი დაცემა ღირებულების დაცემის იდენტურია და მას ფეხდაფეხ მისდევს. მაგრამ რამდენადაც წარმოების ფასი (ანუ «ხარჯები») უდრის ავანსებულ კაპიტალს პლუს საშუალო მოგება, საქმე სწორედ პირიქით ხდება. პროდუქტის საბაზრო ღირებულება ეცემა, მაგრამ მისი ის ნაწილი, რომელიც წარმოების ფასს უდრის, იზრდება, როცა, ხორბლის საბაზრო ღირებულების შემცირების გამო, მოგების საერთო ნორმა იზრდება. მაშასადამე, რენტა ეცემა აქ იმიტომ, რომ «ხარჯები» ამ აზრით — რიკარდოს კი ასე ესმის ისინი ჩვეულებრივ, როცა წარმოების ხარჯებზე ლაპარაკობს, — იზრდება. გაუმჯობესებანი მიწათმოქმედებაში, რაც მუდმივი კაპიტალის ზრდას იწვევს შედარებით ცვალებად კაპიტალთან, ძნიშვნელოვნად შეამცირებდა რენტას იმ შემთხვევაშიც კი, თუ დახარჯული შრომის [ცოცხალი და გასაგნობრივებული შრომის] ერთობლივი რაოდენობა შემცირდებოდა მხოლოდ უმნიშვნელოდ, ანდა თუ იგი შემცირდებოდა იმდენად სუსტად, რომ ვერ მოახდენდა ვერავითარ გავლენას ხელფასზე (ვერავითარ უშუალო გავლენას ზედმეტ ღირებულებაზე). თუ ამ გაუმჯობესებათა გამო კაპიტალი 60 c + 40 v გადაიქცევა $66^2/_3$ c + $33^1/_3$ v-ად (ეს შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგალითად, ხელფასის გადიდების შედეგად, რასაც იწვევს ემიგრაცია, ომი, ახალი ბაზრების აღმოჩენა, წარმოების არასამწარმოებელი დარგების აყვავება, ანდა საზღვარგარეთული ხორბლის კონკურენციის შედეგად: ამ შემთხვევებში მოიჯარე შეიძლება იძულებული გამხდარიყო გამოეძებნა საშუალებანი იმისათვის, რომ გამოეყენებინა მეტი მუდმივი კაპიტალი და ნაკლები ცვალებადი; ამ გარემოებებს შეეძლოთ თავიანთი მოქმედების გაგრძელება გაუმჯობესებათა შემოღების შემდეგაც, და ამიტომ ხელფასი არ დაეცემოდა, გაუმჯობესებათა მიუხედავად),—[648] მაშინ ში-

წათმოქმედების პროდუქტის ღირებულება შემცირდებოდა 120-დან $116^2/_3$-მდე, ე. ი. $3^1/_3$-ით. მოგების ნორმა დარჩებოდა უწინდებურად 10%. რენტა დაეცემოდა 10-დან $6^2/_3$-მდე, და თანაც რენტის ამ დაცემას ადგილი ექნებოდა ხელფასის ყოველგვარი დაცემის გარეშე.

აბსოლუტური რენტა შეიძლება გაიზარდოს იმ მიზეზით, რომ მრეწველობაში შემდგომი პროგრესის შედეგად ეცემა მოგების საერთო ნორმა. მოგების ნორმა შეიძლება შემცირდეს, იმიტომ, რომ ადგილი აქვს რენტის გადიდებას, რაც გამოწვეულია მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულების ზრდით, მაშასადამე, მის ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის სხვაობის ზრდითაც (ამასთანავე მოგების ნორმა აქ იმიტომაც ეცემა, რომ დიდდება ხელფასი).

აბსოლუტური რენტა შეიძლება დაეცეს იმის შედეგად, რომ მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება ეცემა, მოგების საერთო ნორმა კი იზრდება. იგი შეიძლება დაეცეს იმიტომაც, რომ მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება ეცემა კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში მომხდარი გადატრიალების გამო, თუმცა მოგების ნორმა ამასთან არ დიდდება. იგი შეიძლება სრულიად გაქრეს, როგორც კი მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება და მისი ხარჯთფასი ერთმანეთის ტოლნი გახდებიან, ასე რომ სამიწათმოქმედო კაპიტალს იგივე შედგენილობა ექნებოდა, როგორიც საშუალოდ აქვს არასამიწათმოქმედო კაპიტალს.

რიკარდოს დებულება სწორი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოითქმებოდა ამნაირად: როცა მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება მის ხარჯთფასს უდრის, მაშინ არავითარი აბსოლუტური რენტა არ არსებობს. მაგრამ რიკარდოს ეს დებულება მცდარია, რადგან იგი ამბობს: არ არსებობს აბსოლუტური რენტა, იმიტომ რომ ღირებულება და ხარჯთფასი საერთოდ ერთი და იგივეა — როგორც მრეწველობაში, ისე მიწათმოქმედებაში *. სინამდვილეში საქმის ვითარება სწორედ პირიქითაა; მიწათმოქმედება რაღაც გამონაკლისი იქნებოდა წარმოების სხვა სა-

* [663] რიკარდო რომ შეგნებულად აიგივებს ღირებულებასა და წარმოების ხარჯებს, ამას გვიჩვენებს შემდეგი ადგილი: «ბ-ნი მალთუსი, ეტყობა, ფიქრობს, რომ ჩემი თეორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ამა თუ იმ ნივთის ხარჯებისა და ღირებულების გაიგივება. ეს სწორია, თუ იგი ხარჯებში გულისხმობს «წარმოების ხარჯებს», მოგების ჩათვლით» (ციტირ. თხზ., გვ. 46).

ხეობათაგან, მასში ღირებულება და ხარჯთფასი ერთი და იგივე რომ იყოს.

რიკარდო აღიარებს ისეთი ვითარების შესაძლებლობას, როცა არ არსებობს მიწა, რომელიც რენტას არ იხდიდეს, და ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაშიც კი მისთვის საკმაო საყრდენს წარმოადგენს ის გარემოება, რომ, ყოველ შემთხვევაში, არსებობს მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის ისეთი დოზები, რომლებიც არავითარ რენტას არ იხდიან. პირველი გარემოება ისევე სულ ერთია თეორიისათვის, როგორც მეორე. ნამდვილი საკითხი შემდეგია: არეგულირებენ თუ არა საბაზრო ღირებულებას ასეთი მიწების ან ასეთი კაპიტალების პროდუქტები? ანდა, პირიქით, ხომ არ არიან ისინი იძულებულნი თავიანთი პროდუქტები გაყიდონ მათ ღირებულებაზე უ ფ რ ო დ ა ბ ლ ა, იმიტომ რომ მათი დამატებითი მიწოდება შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ საბაზრო ღირებულების მ ი ხ ე დ ვ ი თ, რომელიც მათ გარეშე რეგულირდება, და არა ამ საბაზრო ღირებულებაზე უფრო მ ა ღ ლ ა? კაპიტალის შემდგომი დოზების შესახებ საქმის ვითარება მარტივია, რადგან აქ დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი დ ო ზ ე ბ ი ს დაბანდვებისას მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ა ფერმერისათვის არ არ ს ე ბ ო ბ ს და მას, როგორც კაპიტალისტს, აინტერესებს მხოლოდ ხარჯთფასი; იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი თვით არის დამატებითი კაპიტალის მფლობელი, მისთვის უფრო ხელსაყრელია ეს კაპიტალი დაბანდოს მის მიერ იჯარით აღებულ მიწაში და მიიღოს თუნდაც საშუალოზე დ ა ბ ა ლ ი მოგება, ვიდრე გ ა ა ს ე ს ხ ო ს იგი და, მაშასადამე, მიიღოს მხოლოდ სარგებელი და არა მოგება. რაც შეეხება მიწის ნაკვეთებს, მიწები, რომლებიც რენტას არ იხდიან, შეადგენენ ისეთ მიწათმფლობელობათა შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც რენტას იხდიან; ამ უკანასკნელთაგან ისინი განუყოფელი არიან, მათთან ერთად ხდება ხოლმე მათი იჯარით გაცემა, თუმცა მათი ცალკე იჯარით მიცემა არც ერთი კაპიტალისტური ფერმერისათვის არ შეიძლება (მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი მიეცეს ღარიბ მოიჯარეს, და ასევე წვრილ კაპიტალისტს). ეს პატარა მიწის ნაკვეთებიც არ უპირისპირდება აგრეთვე მოიჯარეს «მიწის საკუთრების» სახით. ანდა მესაკუთრე იძულებულია თვით დაამუშაოს იგი. ფერმერს არ შეუძლია მათში რენტის გადახდა, მ უ ქ თ ა დ კი მიწის მესაკუთრე მათ არ გასცემს იჯარით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას სურს ამ წესით, თავის მხრივ რაიმე ხარჯების გაუღებლად, თავისი მიწა დამუშავებულ მიწად გადააქციოს.

სხვაგვარი იქნებოდა საქმის ვითარება, თუ რომელიმე ქვეყანაში სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა არასამიწათმოქმედო კაპიტალის საშუალო შედგენილობის ტოლი იქნებოდა, რაც მიწათმოქმედების მაღალ განვითარებას ან მრეწველობის დაბალ განვითარებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება მისი ხარჯთფასის ტოლი იქნებოდა. მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ დიფერენციული რენტის გადახდა. იმ მიწის ნაკვეთებს, რომლებიც დიფერენციულ რენტას არ იძლევიან და რომლებსაც მ ხ ო ლ ო დ [საკუთრივ] სამიწათმოქმედო რენტის მოცემა შეეძლოთ, მაშინ სრულიად არ ექნებოდათ რაიმე რენტის გადახდის შესაძლებლობა. ვინაიდან, როცა ამ მიწების პროდუქტებს მოიჯარე მათი ღირებულების მიხედვით ყიდის, ისინი მხოლოდ მის ხარჯთფასს ფარავენ. მ ო ი ჯ ა რ ე, მაშასადამე, არავითარ რენტას არ იხდის. მაშინ მესაკუთრეს თვითონ უხდება ამ მიწების დამუშავება, ანდა იგი თვითონ ეპატრონება საიჯარო ქირის სახელწოდებით თავისი მოიჯარის მოგების ნაწილს ან ხელფასის ნაწილსაც კი. ის გარემოება, რომ ამ შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდა ერთ ქვეყანაში, ხელს ვერ უშლიდა იმას, რომ მეორე ქვეყანაში პირდაპირ საწინააღმდეგო მოვლენა ხდებოდა. მაგრამ იქ, სადაც მრეწველობა — მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოება — სუსტადაა განვითარებული, არ არსებობენ კაპიტალისტური მოიჯარენი, რადგან მათი არსებობის წანამძღვარია კაპიტალისტური წარმოება სოფლის მეურნეობაში. მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს სრულიად სხვა ურთიერთობასთან, ვიდრე ის ეკონომიური ორგანიზაციაა, რომლის დროსაც საკუთრება ეკონომიურად არსებობს მხოლოდ როგორც მიწის რენტა.

იმავე მე-17 თავში რიკარდო ლაპარაკობს:

«ნედლ პროდუქტებს არა აქვთ მონოპოლიური ფასი, რადგან ქერისა და პურეულის საბაზრო ფასი რეგულირდება მ ა თ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ებ ი თ სავსებით ისევე, როგორც მაუდისა და ტილოს საბაზრო ფასი. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ხორბლის ფასს არეგულირებს მიწათმოქმედებაში გამოყენებული კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ე რ თ ი ნ ა წ ი ნ ი, სახელდობრ კი ის ნაწილი, რომელიც არავითარ რენტას არ იხდის, მაშინ როდესაც ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი გ ა მ ო ყ ე ნ ებ უ ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ყ ო ვ ე ლ ი ნ ა წ ი ნ ი ე რ თ ნ ა ი რ შ ე დ ე გ ებ ს ი ძ ლ ე ვ ა; და რ ა დ გ ა ნ ა მ ნ ა წ ი ნ ი ლ ებ ი დ ა ნ ა რ ც ე რ თ ი რ ე ნ ტ ას ა რ ი ხ დ ი ს, ა მ ი ტ ო მ თ ვ ი თ ი უ ლ ი მ ა თ გ ა ნ ი თ ა ნ ა ბ რ ა დ ა რ ი ს ფ ა ს ი ს რ ე გ უ ლ ა ტ ო რ ი» (ციტირ. თხზ., გვ. 290 — 291).

ეს მტკიცება, რომლის თანახმად მრეწველობაში გამოყენებული კაპიტალის ყოველი ნაწილი ერთნაირ შედეგებს იძლევა და ამ ნაწილებიდან არც ერთს არ მოაქვს რენტა (რომელსაც მრეწველობაში დამატებითი მოგება ეწოდება), არა მარტო მცდარია, არამედ [650][106] უარყოფილიც, როგორც ადრე დავინახეთ*, თვით რიკარდოს მიერ.

ახლა ჩვენ გადავდივართ რიკარდოს ზედმეტი ღირებულების თეორიის განხილვაზე.

[3. ზედმეტი ღირებულების პრობლემა რიკარდოსთან]

1) შრომის რაოდენობა და შრომის ღირებულება. [კაპიტალზე შრომის გაცვლის პრობლემის გადაუწყვეტლობა იმ სახით, როგორც მას რიკარდო აყენებს]

1-ლ თავს — «ღირებულების შესახებ» — რიკარდო იმთავითვე იწყებს I განყოფილებით, რომელსაც სათაურად აქვს:

«საქონლის ღირებულება, ანუ ყოველი სხვა საქონლის ის რაოდენობა, რომელზეც იგი იცვლება, დამოკიდებულია მისი წარმოებისათვის აუცილებელი შრომის შეფარდებითს რაოდენობაზე და არა მეტ ან ნაკლებ ანაზღაურებაზე, რასაც ამ შრომაში იხდიან» (თავი I, გვ. 1).

მთელი მისი გამოკვლევისათვის დამახასიათებელი მანერის შესაბამისად, რიკარდო იწყებს აქ თავის წიგნს დებულებით, რომ საქონელთა ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით არ ეწინააღმდეგება ხელფასს, ანუ ამ სამუშაო დროის, ე. ი. შრომის ამ რაოდენობის სხვადასხვა ანაზღაურებას. რიკარდო იმთავითვე აკრიტიკებს ა. სმიტს, რომელიც საქონელთა ღირებულების განსაზღვრას მათი წარმოებისათვის საჭირო შრომის სათანადო რაოდენობით ურევს შრომის ღირებულებაში (ან შრომის ანაზღაურებაში).

ცხადია, რომ შრომის სათანადო რაოდენობებს, რომელთაც ორი საქონელი A და B შეიცავს, აბსოლუტურად არ შეეხება ის, თავიანთი შრომის პროდუქტიდან ბევრს ღებულობენ A და B საქონელთა მწარმოებელი მუშები თუ ცოტას. A და B საქონელთა ღირებუ-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 265 — 266, 415 — 416 და 503 — 504. რედ.

ლება განისაზღვრება იმ შრომის რაოდენობით, რაც მათი წარმოება ღირს, და არა A და B საქონელთა მფლობელების მიერ გაწეული შრომის ხარჯებით. შრომის რაოდენობა და შრომის ღირებულება — ორი სხვადასხვა რამაა. შრომის რაოდენობა, რასაც A და B შეიცავს, არავითარ კავშირში არაა იმასთან, თუ A-სა და B-ში მოთავსებული შრომის რა რაოდენობაა ანაზღაურებული A-სა და B-ს მფლობელების მიერ ანდა თუნდაც რა შრომის რაოდენობაა თვით მათ მიერ შესრულებული. A და B საქონელთა ერთმანეთზე გაცვლა ხდება არა მათში მოთავსებული ფასგადახდილი შრომის პროპორციულად, არამედ მათში მოთავსებული შრომის — როგორც ფასგადახდილის, ისე ფასგადაუხდელის — ერთობლივი რაოდენობის პროპორციულად.

«ადამ სმიტმა, რომელმაც ასე სწორად განმარტა საცვლელი ღირებულების ნამდვილი წყარო და რომელიც თანამიმდევრობის შესაბამისად ვალდებული იყო დაეცვა ის შეხედულება, რომ ყოველ ნივთს გააჩნია მეტი თუ ნაკლები ღირებულება იმის მიხედვით, მეტი თუ ნაკლები შრომაა მასზე დახარჯული, მიუხედავად ამისა მაინც წამოაყენა კიდევ ღირებულების მეორე სტანდარტული საზომი და ამტკიცებს, რომ ნივთები მეტი ან ნაკლები ღირს იმისდა მიხედვით, ამ სტანდარტული საზომის მეტ თუ ნაკლებ რაოდენობაზე გაიცვლებიან ისინი... თითქოს ეს ორი თანაბარმნიშვნელოვანი გამოთქმა იყოს და თითქოს ადამიანი, რომლის შრომაც ორჯერ უფრო ნაყოფიერი გახდებოდა და რომელსაც ამიტომ საქონლის ორჯერ მეტი რაოდენობის წარმოება შეეძლო, აუცილებლად მასზე» (ე. ი. თავის შრომაზე) «გაცვლის გზით წინანდელზე ორჯერ უფრო მეტს მიიღებდა. ეს რომ ნამდვილად სწორი იყოს, მუშის გასამრჯელო მუდამ იმის პროპორციული რომ იყოს, რაც მან აწარმოვა, მაშინ რომელიმე საქონლის დამზადებაზე დახარჯული შრომის რაოდენობა და შრომის ის რაოდენობა, რომლის ყიდვაც ამ საქონლით შეიძლება, ტოლნი იქნებოდნენ, და ყოველ მათგანს შეეძლო ზუსტად გაეზომა სხვა საგნების ღირებულებაში მომხდარი ცვლილებანი. მაგრამ ისინი არ არიან ტოლნი» (გვ. 5).

ა. სმიტი არსად არ ამტკიცებს, რომ «ეს ორი თანაბარმნიშვნელოვანი გამოთქმაა». პირიქით, იგი ამბობს: რადგან კაპიტალისტურ წარმოებაში მუშის ხელფასი უკვე აღარ უდრის მის მიერ წარმოებულ პროდუქტს და, მაშასადამე, შრომის რაოდენობა, რაც საქონელი ღირს, და საქონლის რაოდენობა, რომლის ყიდვაც ამ შრომით მუშას შეუძლია, ორი სხვადასხვა რამაა, — ამიტომ, სწორედ ამის გამო შრომის შეფარდებითი რაოდენობა, რასაც საქონელი შეიცავს, ვეღარ განსაზღვრავს ამ საქონლის ღირებულებას;

ეს უკანასკნელი განისაზღვრება უფრო შრომის ღირებულებით, შრომის იმ რაოდენობით, რომელიც მე შემიძლია საქონელთა გარკვეული მასის საშუალებით ვიყიდო, ჩემს განკარგულებაში მივიღო. ამიტომ ღირებულებათა საზომად — შრომის შეფარდებითი რაოდენობის ნაცვლად — იქცევა, სმიტის თანახმად, შრომის ღირებულება. რიკარდო სწორად უპასუხებს ა. სმიტს, რომ შრომის შეფარდებითს რაოდენობას, რასაც ორი საქონელი შეიცავს, სრულიად არ შეეხება ის, თუ იქიდან, რაც ამ შრომამ აწარმოვა, რა ნაწილი ერგება მუშას, იგი არაა იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ ნაზღაურდება ეს შრომა; რომ, მაშასადამე, თუ შრომის შეფარდებითი რაოდენობა საქონელთა ღირებულების საზომი იყო მანამდე, სანამ გაჩნდებოდა ხელფასი (ხელფასი, რომელიც თვით პროდუქტის ღირებულებისაგან განსხვავდება), მაშინ არ არსებობს არავითარი საფუძველი, თუ რატომ არ უნდა დარჩენილიყო შრომის ეს შეფარდებითი რაოდენობა ღირებულების ასეთსავე საზომად ხელფასის გაჩენის შემდეგაც. რიკარდო მართებულად აღნიშნავს, რომ ა. სმიტს შეეძლო ორივე გამოთქმა ეხმარა, ვიდრე ისინი თანაბარმნიშვნელოვანნი იყვნენ, მაგრამ რომ ეს არ არის საფუძველი იმისათვის, რათა უმართებულო გამოთქმა ვიხმაროთ ნაცვლად მართებულისა, როცა ისინი უკვე თანაბარმნიშვნელოვანნი აღარ არიან.

მაგრამ ამით რიკარდოს სულაც არ გადუწყვეტია ის პრობლემა, რომელიც ა. სმიტის წინააღმდეგობათა შინაგან საფუძველს შეადგენს. შრომის ღირებულება და შრომის რაოდენობა «თანაბარმნიშვნელოვან გამოთქმებად» რჩებიან, რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს განივთებულ შრომასთან. [651] აღარ იქნებიან «თანაბარმნიშვნელოვანნი», როგორც კი განივთებულ შრომასა და ცოცხალ შრომას შორის გაცვლაზე გადავალთ.

ორი საქონელი ერთმანეთზე გაიცვლება მათში გასაგნობრივებული შრომის შესაბამისად. გასაგნობრივებული შრომის თანაბარი რაოდენობანი იცვლება ერთიმეორეზე. სამუშაო დრო მათი ღირებულების «სტანდარტული საზომია», მაგრამ სწორედ ამიტომაც ისინი «მეტი ან ნაკლები ღირს ან იმისდა მიხედვით, ამ სტანდარტული საზომის მეტ თუ ნაკლებ რაოდენობაზე გაიცვლებიან ისინი». თუ საქონელი A ერთ სამუშაო დღეს შეიცავს, მაშინ ეს საქონელი გაიცვლება სხვა საქონლის ყოველ რაოდენობაზე, რომელიც ასევე ერთ სამუშაო დღეს შეიცავს; საქონელი «ღირს

მეტი ან ნაკლები» იმ თანაფარდობის მიხედვით, რომლითაც მისი გაცვლა ხდება სხვა საქონელში გასაგნობრივებული შრომის უფრო მეტ თუ უფრო ნაკლებ რაოდენობაზე, იმიტომ რომ ეს საცვლელი თანაფარდობა გამოხატულებაა შრომის შეფარდებითი რაოდენობისა, რასაც თვით საქონელი შეიცავს, იდენტურია შრომის ამ შეფარდებითი რაოდენობისა.

მაგრამ დაქირავებული შრომა ხომ საქონელია. იგი ის საფუძველიც კია, რომელზეც იწარმოება პროდუქტები როგორც საქონელნი. და აი ირკვევა, რომ თურმე დაქირავებულ შრომაზე დირებულების კანონი არ ვრცელდება. მაშასადამე, ეს კანონი საერთოდ არ ბატონობს კაპიტალისტურ წარმოებაზე. აქ წინააღმდეგობაა. ეს ერთი პრობლემაა ა. სმიტისათვის. მეორე პრობლემა, რომელსაც ჩვენ შემდეგში შევხვდებით უფრო გაშლილი სახით მალთუსთან, ისაა, რომ საქონლის კაპიტალისტური გამოყენება განისაზღვრება არა იმ პროპორციით, რითაც საქონელი შრომას შეიცავს, არამედ იმ პროპორციით, რითაც საქონელი სხვის შრომას განაგებს, უფლებას იძლევა, რომ იბატონო სხვისი შრომის მეტ რაოდენობაზე, ვიდრე შრომის ის რაოდენობაა, რასაც თვით იგი შეიცავს. ეს არსებითად მეორე საიდუმლო მოტივია სმიტისეული მტკიცებისათვის, თითქოს კაპიტალისტური წარმოების წარმოშობის დროიდან საქონელთა ღირებულება განისაზღვრება არა იმ შრომით, რომელსაც ისინი შეიცავენ, არამედ იმ ცოცხალი შრომით, რომელსაც ისინი განაგებენ,— განისაზღვრება, მაშასადამე, შრომის ღირებულებით.

რიკარდო უბრალოდ იძლევა პასუხს, რომ ასეთია უკვე საქმის ვითარება კაპიტალისტურ წარმოებაში. იგი არათუ ვერ წყვეტს პრობლემას, არამედ ვერც კი ამჩნევს მას ა. სმიტთან. თავისი გაძოკვლევის მთელი ხასიათის შესაბამისად იგი კმაყოფილდება იმის დამტკიცებით, რომ შრომის ცვალებადი ღირებულება — მოკლედ, ხელფასი — არ უარყოფს დებულებას იმის შესახებ, რომ თვით შრომისაგან განსხვავებულ საქონელთა ღირებულება განისაზღვრება მათში მოთავსებული შრომის შეფარდებითი რაოდენობით. «ისინი არ არიან ტოლნი» — სახელდობრ — «რომელიმე საქონლის დამზადებაზე დახარჯული შრომის რაოდენობა და შრომის რაოდენობა, რომლის ყიდვაც ამ საქონლით შეიძლება». რიკარდო კმაყოფილდება ამ ფაქტის დადგენით. მაგრამ რით განსხვავდება საქონელი-შრომა სხვა საქონელთაგან? პირველ შემთხვევაში ეს არის ცოცხალი შრომა, მეორეში—გასაგ-

ნ ო ბ რ ი ვ ე ბ უ ლ ი შრომა. მაშასადამე, ეს არის შრომის ორი სხვადასხვა ფორმა. რატომ აქვს ერთი მათგანისათვის ძალა კანონს, რომელიც მეორისათვის ძალადაკარგულია, თუ განსხვავება აქ მარტო ფორმალურია? რიკარდო არ იძლევა პასუხს ამ კითხვაზე, იგი არც კი აყენებს მას.

საქმეს სრულიად არ შველის, როცა იგი ამბობს:

«განა შრომის ღირებულება არ... იცვლება? მასზე, ისევე როგორც ყველა სხვა საგანზე», (უნდა ეთქვა: საქონელზე), «ხომ გავლენას ახდენს არა მარტო თანაფარდობა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, რაც მუდამ იცვლება საზოგადოების მდგომარეობის შეცვლასთან ერთად არამედ იმ კვებისა და პირველი საჭიროების სხვა საგანთა ფასების ცვლილებაც, რომლებზეც ხ ე ლ ფ ა ს ი იხარჯება» (გვ. 7).

შრომის ფასი, მსგავსად სხვა საქონელთა ფასისა, მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებასთან ერთად რომ იცვლება, ეს, თვით რიკარდოს აზრით, არაფერს არ ამტკიცებს იქ, სადაც ლაპარაკია შრომის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე, — ისევე როგორც სხვა საქონელთა ფასების ასეთი ცვლილება მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებასთან ერთად არაფერს არ ამტკიცებს ამ საქონელთა ღირებულების შესახებ. მაგრამ ის ფაქტიც, რომ «ხელფასზე», — ეს კი შრომის ღირებულების სხვა გამოხატულებაა, — გავლენას ახდენს «იმ კვებისა და პირველი საჭიროების სხვა საგანთა ფასების ცვლილება, რომელზეც ხელფასი იხარჯება», ასევე ვერ ახსნის იმას, თუ რატომ განისაზღვრება (ან გვეჩვენება, რომ განისაზღვრება) შრომის ღირებულება სხვაგვარად, ვიდრე სხვა საქონელთა ღირებულება. ვინაიდან ამ უკანასკნელებზეც გავლენას ახდენს მათს წარმოებაში შემავალ იმ სხვა საქონელთა ფასების ცვლილება, რომლებზეც მათი გ ა ც ვ ლ ა ხ დ ე ბ ა. ხოლო ხელფასის ხ ა რ ჯ ვ ა საშმლისა და პირველი საჭიროების საგნებზე სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ შრომის ღირებულება გ ა ი ც ვ ლ ე ბ ა საშმელსა და პირველი საჭიროების საგნებზე. საკითხი სწორედ ისაა, თუ რატომაა, რომ შ რ ო მ ა და ის ს ა ქ ო ნ ე ლ ი, რ ო მ ე ლ ზ ე ც ეს შ რ ო მ ა გ ა ი ც ვ ლ ე ბ ა, გაიცვლებიან არა ღირებულების კანონის თანახმად, არამედ შრომის შეფარდებითი რაოდენობის მიხედვით?

ასე დასმული საკითხი თავისთავად გადაუწყვეტელია, — რამდენადაც წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ა დ მ ი ჩ ნ ე უ ლ ი ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ი, — და გადაუწყვეტელია იგი იმ მიზეზით, რომ აქ შ რ ო მ ა, როგორც ასეთი, უპირისპირდება საქონელს, გარკვეული

რაოდენობა უშუალო შრომისა, როგორც ასეთისა, უპირისპირდება გასაგნობრივებელი შრომის გარკვეულ რაოდენობას.

საკითხის რიკარდოსეული განხილვის ამ სუსტმა მხარემ ხელი შეუწყო, როგორც შემდეგში დავინახავთ, რიკარდოს სკოლის დაშლას და უაზრო ჰიპოთეზები წარმოშვა.

[652] უ ე ი კ ფ ი ლ დ ი სამართლიანად ამბობს:

«თუ განვიხილავთ შ რ ო მ ა ს როგორც ს ა ქ ო ნ ე ლ ს, ხოლო კ ა პ ი ტ ა ლ ს, შრომის პროდუქტს, როგორც მეორე საქონელს და თუ ა მ ო რ ი ს ა ქ ო ნ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს შ რ ო მ ი ს თ ა ნ ა ბ ა რ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ა რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ს, მაშინ შრომის მოცემული რაოდენობა ყველა გარემოებაში გაიცვლებოდა კაპიტალის ისეთ რაოდენობაზე, რომელიც წარმოებული იყო შრომის იმავე რაოდენობით; წ ა რ ს უ ლ ი შ რ ო მ ა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს გ ა ი ც ვ ლ ებ ო დ ა ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი შ რ ო მ ი ს ი მ ა ვ ე რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ზ ე. მაგრამ შრომის ღირებულება სხვა საქონელთან შედარებით — ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ხელფასი დამოკიდებულია პროდუქტის გაყოფაზე [კაპიტალისტსა და მუშას შორის], — განისაზღვრება ა რ ა შ რ ო მ ი ს თ ა ნ ა ბ ა რ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ, არამედ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებული თანაფარდობით» (ე. ვ. უ ე ი კ ფ ი ლ დ ი, შენიშვნა მის მიერ გამოცემული ა. სმიტის «ხალხთა სიმდიდრის» I ტომის 230-გვერდზე, ლონდონი, 1835).

ეს არის აგრეთვე ბ ე ი ლ ი ს ერთ-ერთი აჩემებული საგანი; მის მსჯელობას შემდეგში გავეცნობით. ასევეა ს ე ი ც, რომელიც ძლიერ გახარებულია იმის გამო, რომ აქ უცბად მიწოდებასა და მოთხოვნას მიკუთვნებული აქვს გადამწყვეტი როლი[107].

* * *

[652] 1-ლის) მიმართ საჭიროა ადინიშნოს კიდევ შემდეგი. რიკარდოს ნაშრომის 1-ლი თავის III გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ა ს ასეთი სათაური აქვს:

«საქონელთა ღირებულებაზე გავლენას ახდენს არა მარტო მათზე უ შ უ ა ლ ო დ დ ა ხ ა რ ჯ უ ლ ი შ რ ო მ ა, არამედ ა გ რ ე თ ვ ე ამ შრომის ხელშეწყობ იარაღებზე, ინსტრუმენტებსა და შენობებზე დ ა ხ ა რ ჯ უ ლ ი შ რ ო მ ა ც» (გვ. 16).

მაშასადამე, საქონლის ღირებულებას თანაბრად განსაზღვრავს როგორც მისი წარმოებისათვის საჭირო გ ა ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ებ უ ლ ი (წ ა რ ს უ ლ ი) შრომის რაოდენობა, ისე მისი წარმოებისათვის საჭირო ც ო ც ხ ა ლ ი (ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი) შრომის რაოდენობაც. სხვა სიტყვებით: შრომის ამა თუ იმ რაოდენობაზე სრულიადაც არ

ახდენს გავლენას ფორმალური განსხვავება, გასაგნობრივებულია შრომა თუ ცოცხალი, წარსულია თუ ახლანდელი (უშუალო). თუ ამ განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვს საქონელთა ღირებულების განსაზღვრისას, მაშინ რატომ ენიჭება მას ესოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა, როცა წარსული შრომა (კაპიტალი) ცოცხალ შრომაზე იცვლება? რატომ უნდა გაეუქმებინა მას აქ ღირებულების კანონი, თუ ამ განსხვავებას, როგორც ასეთს, — როგორც ეს საქონლის მიმართ მოქმედებს, — მნიშვნელობა არა აქვს ღირებულების განსაზღვრისათვის?. რიკარდო არ იძლევა ამ კითხვაზე პასუხს და არც კი სვამს მას. (652)

2) სამუშაო ძალის ღირებულება. შრომის ღირებულება. [რიკარდო ერთმანეთში შრევს შრომასა და სამუშაო ძალას. «შრომის ბუნებრივი ფასის» კონცეფცია]

ზედმეტი ღირებულების განსაზღვრისათვის რიკარდომ, ფიზიოკრატების, ა. სმიტისა და სხვ., მსგავსად, უწინარეს ყოვლისა უნდა განსაზღვროს სამუშაო ძალის ღირებულება, ანუ. როგორც იგი სმიტისა და მისი წინამორბედების მსგავსად ამბობს, შრომის ღირებულება. (652)

[652] როგორღა განისაზღვრება შრომის ღირებულება, ანუ ბუნებრივი ფასი? რიკარდოს აზრით, ბუნებრივი ფასი სხვა არაფერია, თუ არა ღირებულების ფულადი გამოხატულება.

«შრომას, მსგავსად ყველა სხვა საგნისა, რომელთაც ყიდულობენ და ყიდიან და რომელთა რაოდენობაც შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს» (ე. ი. მსგავსად ყველა სხვა საქონლისა), «აქვს თავისი ბუნებრივი და თავისი საბაზრო ფასი. შრომის ბუნებრივი ფასი — ეს ის ფასია, რომელიც აუცილებელია, რათა მუშებს შეეძლოთ, საშუალოდ, არსებობა და თავიანთი მოდგმის გაგრძელება მათი რიცხვის გაუდიდებლად ან შეუმცირებლად» (უნდა ეთქვა: გადიდების ისეთი ნორმით, რაც საჭიროა წარმოების საშუალო ზრდისათვის). «მუშის უნარი თავისი თავისა და თავისი ოჯახის ისე შენახვისა, რომ მუშების რიცხვი არ მცირდებოდეს, .. დამოკიდებულია იმ კვების, პირველი საჭიროებისა და კეთილმოწყობილობის საგანთა ფასებზე, რომლებიც საჭიროა მუშისა და მისი ოჯახის შესანახად. კვებისა და პირველი საჭიროების სხვა საგანთა ფასების გადიდებასთან ერთად გადიდდება აგრეთვე შრომის ბუნებრივი ფასიც; მათი ფასების დაცემასთან ერთად დაეცემა შრომის ბუნებრივი ფასიც» (გვ. 86).

«არ უნდა ვიფიქროთ, რომ შრომის ბუნებრივი ფასი, თუნდაც საბრძოლო და პირველი საჭიროების საგნებით გამოხატული, აბსოლუტურად უძრავი და

მუდმივია; დროთა ვითარებაში იგი იცვლება ერთსა და იმავე ქვეყანაში და მეტად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. იგი არსებითად დამოკიდებულია ხალხის ზნე-ჩვეულებებზე» -(გვ. 91).

ამრიგად, შრომის ღირებულება განისაზღვრება იმ საარსებო საშუალებებით, რომლებიც ტრადიციით აუცილებელნი არიან მოცემულ საზოგადოებაში მუშების შესანახად და მათი მოდგმის გასაგრძელებლად.

მაგრამ რატომ? რა კანონის ძალით განისაზღვრება შრომის ღირებულება სწორედ ამ წესით?

რიკარდოს ამ კითხვაზე ფაქტიურად არავითარი სხვა პასუხი არა აქვს, გარდა იმ მტკიცებისა, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის კანონს შრომის საშუალო ფასი დაჰყავს საარსებო საშუალებებამდე, რომლებიც აუცილებელია (ფიზიკურად ან სოციალურად აუცილებელი ამა თუ იმ გარკვეულ საზოგადოებაში) მუშის შესანახად. [653] აქ, მთელი თავისი სისტემის ერთ-ერთ ძირითად პუნქტში, რიკარდო ღირებულებას განსაზღვრავს მოთხოვნისა და მიწოდების საშუალებით, როგორც ამას ბოროტი სიხარულით შენიშნავს სეი (იხ. კონსტანსიოს თარგმანი) [108].

რიკარდოს უნდა ელაპარაკა არა შრომაზე, არამედ სამუშაო ძალაზე. მაშინ კი კაპიტალიც წარმოდგენილი იქნებოდა როგორც შრომის ისეთი ნივთობრივი პირობები, რომლებიც მუშას უპირისპირდებიან განცალკევებული დამოუკიდებელი ძალის სახით, და კაპიტალიც ერთბაშად წარმოგვიდგებოდა როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობა. რიკარდოსთვის კი კაპიტალი არის «დაგროვილი შრომა» განსხვავებით «უშუალო შრომისაგან» და მიჩნეულია მხოლოდ როგორც რაღაც ნივთიერი, უბრალოდ როგორც ელემენტი შრომის პროცესში, საიდანაც არასგზით არ შეიძლება შრომისა და კაპიტალის, ხელფასისა და მოგების ურთიერთობის გამოყვანა.

«კაპიტალი — ეს ქვეყნის სიმდიდრის ის ნაწილია, რომელიც წარმოებაში გამოიყენება და შედგება საზრდოსაგან, ტანსაცმლისაგან, ინსტრუმენტებისაგან, ნედლეულისაგან, მანქანებისაგან და ა. შ., რომლებიც აუცილებელია შრომის ასამოქმედებლად» (გვ. 89). «კაპიტალის ნაკლები რაოდენობა — ეს იგივეა, რაც შრომის ნაკლები რაოდენობა» (გვ. 73). «შრომა და კაპიტალი, ე. ი. დაგროვილი შრომა» (გვ. 499).

ნახტომი, რომელსაც აქ (შრომის ღირებულების საკითხში) რიკარდო აკეთებს, სწორად იგრძნო ბეილიმ:

«ბ-ნი რიკარდო საკმაოდ ოსტატურად უვლის გვერდს იმ სიძნელეს, რომელიც ბირველი შეხედვით გადატრიალებით ეშეკრეზა მის მოძღვრებას იმის შესახებ,

რომ ღირებულება დამოკიდებულია წარმოებაში გამოყენებული შრომის რაოდენობაზე. თუ ამ პრინციპს მთელი სიზუსტით გავატარებთ, იქიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ შრომის ღირებულება დამოკიდებულია მისი წარმოების პროცესში მოხმარებული შრომის რაოდენობაზე, რაც, აშკარად, უაზრობაა. ამიტომ რიკარდო მოხერხებული მანევრით შრომას დამოკიდებულს ხდის შრომის იმ რაოდენობაზე, რაც საჭიროა ხელფასის საწარმოებლად, ანუ, მისი საკუთარი სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ამტკიცებს, რომ შრომის ღირებულება უნდა განისაზღვროს შრომის იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა ხელფასის საწარმოებლად; ამით კი იგი გულისხმობს შრომის რაოდენობას, რაც საჭიროა ფულის ან საქონლის საწარმოებლად, რომელთაც მუშა ღებულობს. ეს იგივეა, თუ ჩვენ ვიტყოდით, რომ მაუდის ღირებულება საჭიროა განისაზღვროს არა შრომის იმ რაოდენობით, რაც მის წარმოებაზე დაიხარჯა, არამედ იმ რაოდენობით, რაც იმ ვერცხლის წარმოებაზე დაიხარჯა, რომელზეც მაუდი იცვლება («A Critical Dissertation on the Nature, Measures, and Causes of Value» etc., London, 1825, გვ. 50 — 51).

ეს საწინააღმდეგო მოსაზრება, თუ რიკარდოს სიტყვებს ავიღებთ, მართებულია. რიკარდო განასხვავებს ნომინალურ და რეალურ ხელფასს. ნომინალური ხელფასი — ეს არის ფულით გამოხატული ხელფასი, ფულადი ხელფასი:

«ნომინალური ხელფასი — ეს არის «გირვანქა სტერლინგების რაოდენობა, რასაც მუშას უხდიან წლის განმავლობაში», «რეალური ხელფასი» კი — ეს არის «სამუშაო დღეთა რიცხვი, რაც აუცილებელია ამ გირვანქა სტერლინგების მოსაპოვებლად» (რიკარდო, ციტირ. თხზ., გვ. 152).

რადგან ხელფასი უდრის მუშის აუცილებელ საარსებო საშუალებებს, ამ ხელფასის («რეალური ხელფასის») ღირებულება კი უდრის ამ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებას, ამიტომ ცხადია, რომ ამ უკანასკნელთა ღირებულებაც უდრის «რეალურ ხელფასს», უდრის იმ შრომას, რომლის გამგებლობაც ამ ხელფასს შეუძლია. თუ იცვლება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულება, იცვლება «რეალური ხელფასის» ღირებულებაც. დავუშვათ, რომ პირველი საჭიროების საგნები, რომელთაც მუშა მოიხმარს, შედგება მხოლოდ ხორბლისაგან და რომ საარსებო საშუალებათა რაოდენობა, რომელიც მუშისთვის აუცილებელია, არის 1 კვარტერი ხორბალი თვეში. მაშინ მისი ხელფასის [თვეში] ღირებულება უდრის 1 კვარტერი ხორბლის ღირებულებას; თუ იზრდება ან ეცემა კვარტერი ხორბლის ღირებულება, მაშინ იზრდება ან ეცემა თვიური შრომის ღირებულება. მაგრამ როგორც არ უნდა იზრდებოდეს ან როგორც არ უნდა ეცემოდეს კვარტერი ხორბლის ღირებულება (რაგინდ ბევრ ან რაგინდ ცოტა შრომასაც

არ უნდა შეიცავდეს კვარტერი ხორბალი), იგი ყოველთვის უდრის თვიური შრომის ღირებულებას.

აქ ჩვენ გვაქვს ფარული საფუძველი იმისა, თუ რატომ ამბობს ა. სმიტი, რომ როგორც კი ჩნდება კაპიტალი, მაშასადამე, დაქირავებული შრომაც, პროდუქტის ღირებულებას არეგულირებს უკვე არა მასზე დახარჯული შრომის რაოდენობა, არამედ შრომის ის რაოდენობა, რომელიც მოცემული პროდუქტის განკარგულებაშია. სამუშაო დროით განსაზღვრული ღირებულება ხორბლისა (და პირველი საჭიროების სხვა საგნებისა) იცვლება; მაგრამ მანამდე, სანამ შრომის ბუნებრივი ფასის გადახდა წარმოებს, უცვლელი რჩება შრომის ის რაოდენობა, რომლის გამგებლობაც ერთ კვარტერ ხორბალს შეუძლია. მაშასადამე, შრომას აქვს მუდმივი შეფარდებითი ღირებულება ხორბალთან შედარებისას. ამიტომ სმიტისათვის შრომის ღირებულება და ხორბლის ღირებულება (ხორბალი აქ აღებულია საერთოდ საზრდოს მაგივრად; იხ. დიკონ იუმთან[109]) ღირებულების სტანდარტული საზომებია, რადგან ხორბლის გარკვეული რაოდენობა, თუ იგი შრომის ბუნებრივ ფასს იხდის, გამგებლობს შრომის გარკვეულ რაოდენობას, მიუხედავად შრომის იმ რაოდენობისა, რაც ერთი კვარტერი ხორბლის წარმოებაზე იხარჯება. შრომის ერთი და იმავე რაოდენობის განკარგულებაშია მუდამ ერთი და იგივე სახმარი ღირებულება, ანუ, უფრო სწორად, ერთი და იგივე სახმარი ღირებულების განკარგულებაშია მუდამ შრომის ერთი და იგივე რაოდენობა.

ამ გზით თვით რიკარდო განსაზღვრავს შრომის ღირებულებას, მის ბუნებრივ ფასს. რიკარდო ამბობს: კვარტერ ხორბალს მეტად სხვადასხვა ღირებულება აქვს, თუმცა მის განკარგულებაშია მუდამ შრომის ერთი და იგივე [654] რაოდენობა, ანუ შრომის ერთი და იმავე რაოდენობის განკარგულებაშია მუდამ ეს კვარტერი ხორბალი. დიახ, ამბობს ა. სმიტი, როგორც არ უნდა იცვლებოდეს სამუშაო დროით განსაზღვრული ღირებულება კვარტერი ხორბლისა, მუშა მუდამ უნდა იხდიდეს (მსხვერპლად სწირავდეს) შრომის ერთსა და იმავე რაოდენობას, რათა ეს კვარტერი ხორბალი იყიდოს. მაშასადამე, ხორბლის ღირებულება იცვლება, მაგრამ შრომის ღირებულება არ იცვლება, იმიტომ, რომ ერთი თვის შრომა = ერთ კვარტერ ხორბალს. ხორბლის ღირებულებაც ხომ მხოლოდ იმდენად იცვლება, რამდენადაც ჩვენ იმ შრომას განვიხილავთ, რომელიც საჭიროა მისი წარმოებისათვის. თუ ჩვენ შრომის იმ რაოდე-

ნობას განვიხილავთ, რომელზეც ეს კვარტერი ხორბალი გაიცვლება, რომელიც მას მოძრაობაში მოჰყავს, მაშინ მისი ღირებულება არ იცვლება. და სწორედ ამიტომ, შრომის ის რაოდენობა, რომელზეც კვარტერი ხორბალი გაიცვლება, წარმოადგენს ღირებულების სტანდარტულ საზომს. სხვა საქონელთა ღირებულებანი კი ისე შეეფარდებიან შრომას, როგორც ისინი შეეფარდებიან ხორბალს. ხორბლის მოცემული რაოდენობის განკარგულებაშია შრომის მოცემული რაოდენობა. ყოველი სხვა საქონლის მოცემული რაოდენობის განკარგულებაშია ხორბლის გარკვეული რაოდენობა. მაშასადამე, ყოველი სხვა საქონელი — ანუ, უფრო სწორად, ყოველი სხვა საქონლის ღირებულება — გამოიხატება შრომის იმ რაოდენობით, რომელიც მის განკარგულებაშია, რადგან ამ საქონლის ღირებულება თავის გამოხატულებას პოულობს ხორბლის იმ რაოდენობაში, რომელიც მოცემული საქონლის განკარგულებაშია, ხორბლის ეს რაოდენობა კი გამოიხატება შრომის იმ რაოდენობით, რასაც ხორბალი თავის განკარგულებაში ღებულობს.

მაგრამ რით განისაზღვრება სხვა საქონელთა ღირებულებრივი შეფარდება ხორბალთან (პირველი საჭიროების საგნებთან)? შრომის რაოდენობით, რომელიც ამ საქონელთა განკარგულებაშია. და რით განისაზღვრება შრომის რაოდენობა, რომელიც მათს განკარგულებაშია? ხორბლის რაოდენობით, რომელიც ამ შრომის განკარგულებაშია. აქ სმიტი აუცილებლად ვარდება მანკიერ წრეში. (მაგრამ, შეგნიშნავთ გაკვრით, იგი არასოდეს არ იყენებს ღირებულების ამ საზომს იქ, სადაც იგი ნამდვილ ანალიზს იძლევა). გარდა ამისა, სმიტი ურევს აქ, რასაც ხშირად რიკარდოც აკეთებს, შრომას, რომლის შესახებაც იგი, ისევე როგორც რიკარდო, ამბობს, რომ იგი არის

«საქონელთა ღირებულების საფუძველი», ამასთან «მათ საწარმოებლად საჭირო შრომის შედარებითი რაოდენობა», არის «იმ საქონელთა სათანადო რაოდენობათა განმსაზღვრელი საზომი, რომლებიც ერთიმეორეზე უნდა გაიცვალოს» (რიკარდო, ციტირ. თხზ., გვ. 80),—

ღირებულების ამ იმანენტურ საზომს სმიტი ურევს გარეგნულ საზომში, ფულში, რომელიც უკვე გულისხმობს ღირებულების განსაზღვრას.

ა. სმიტი ცდება, როცა იგი იმ გარემოებიდან, რომ შრომის გარკვეული რაოდენობა შეიძლება სხვადასხვა ღირებულებათა გარკვეულ რაოდენობაზე გაიცვალოს, დაასკვნის, რომ შრომის ეს გარ-

კვეული რაოდენობა წარმოადგენს ღირებულების საზომს, რომ მას მუდამ ერთი და იგივე ღირებულება აქვს. მაშინ როდესაც სახმარ ღირებულებათა ერთი და იგივე რაოდენობა შეიძლება წარმოადგენდეს მეტად სხვადასხვა საცვლელ ღირებულებას. მაგრამ რიკარდო ორგვარ შეცდომას უშვებს, რამდენადაც მას, ჯერ ერთი, არ ესმის პრობლემა, რამაც სმიტის შეცდომა გამოიწვია, და, მეორე, რამდენადაც თვით იგი სრულიად ივიწყებს საქონელთა ღირებულების კანონს და მიწოდებისა და მოთხოვნის კანონს მიმართავს, შრომის ღირებულებას განსაზღვრავს არა შრომის იმ რაოდენობით, რაც სამუშაო ძალის (forse of labour) წარმოებაზე იხარჯება, არამედ იმ რაოდენობით, რაც მუშის ხვედრი ხელფასის წარმოებაზე იხარჯება, ე. ი. არსებითად იგი ამბობს: შრომის ღირებულება განისაზღვრება იმ ფულის ღირებულებით, რასაც მასში იხდიან! რითიღა განისაზღვრება ეს უკანასკნელი? რით განისაზღვრება ფულის მასა, რასაც შრომაში იხდიან? სახმარ ღირებულებათა რაოდენობით, რომლის განკარგულებაშია შრომის გარკვეული რაოდენობა, ანუ რომელიც შრომის გარკვეული რაოდენობის განკარგულებაშია. ამის შედეგად რიკარდო ზუსტად იმავე არათანამიმდევრულობაში ვარდება, რისთვისაც იგი ა. სმიტს კიცხავდა.

ამასთანავე, როგორც დავინახეთ, ეს ხელს უშლის მას გაიგოს სპეციფიკური განსხვავება საქონელსა და კაპიტალს შორის, საქონელზე საქონლის გაცვლასა და საქონელზე კაპიტალის გაცვლას შორის—საქონელგაცვლის კანონების შესაბამისად.

ზემომოყვანილი მაგალითი ასეთი იყო: 1 კვარტერი ხორბალი = = 1 თვის შრომას. დავუშვათ, რომ ერთი თვის შრომა უდრის 30 სამუშაო დღეს. (სამუშაო დღე 12 საათია.) ასეთ შემთხვევაში 1 კვარტერი ხორბლის ღირებულება ნაკლებია 30 სამუშაო დღეზე. 1 კვარტერი ხორბალი რომ 30 სამუშაო დღის პროდუქტი იყოს, მაშინ შრომის ღირებულება იქნებოდა მისი პროდუქტის ტოლი. მაშასადამე, არ იქნებოდა არავითარი ზედმეტი ღირებულება და ამიტომაც არც არავითარი მოგება. არ იქნებოდა არავითარი კაპიტალი. მაშასადამე, სინამდვილეში 1 კვარტერი ხორბლის ღირებულება ყოველთვის ნაკლებია 30 სამუშაო დღეზე, თუ ეს 1 კვარტერი ხორბალი 30 სამუშაო დღის საზღაურია. ზედმეტი ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ კვარტერი ხორბლის ეს ღირებულება რამდენად ნაკლებია 30 დღეზე. ვთქვათ, მაგალითად, 1 კვარტერი ხორბალი არის 25 სამუშაო დღის პროდუქტი. მაშინ ზედმეტი ღი-

რებულება = 5 სამუშაო დღეს, = ერთობლივი სამუშაო დროის $^1/_6$-ს. თუ 1 კვარტერი (8 ბუშელი) = 25 სამუშაო დღეს, მაშინ 30 სამუშაო დღე = 1 კვარტ. $1^3/_5$ ბუშელს. ამრიგად, 30 სამუშაო დღის ღირებულება (ე. ი. 30 სამუშაო დღისათვის გადახდილი ხელფასი) ყოველთვის უფრო ნაკლებია, ვიდრე იმ პროდუქტის ღირებულება, რომელიც 30 სამუშაო დღეს შეიცავს. ხორბლის ღირებულება განისაზღვრება, მაშასადამე, არა იმ [655] შრომით, რომელიც მის განკარგულებაშია, რომელზეც იგი გაიცვლება, არამედ იმ შრომით, რომელსაც იგი შეიცავს. პირიქით, 30 სამუშაო დღის ღირებულება [ე. ი. 30 სამუშაო დღისათვის გადახდილი ხელფასი] ყოველთვის განისაზღვრება 1 კვარტერი ხორბლით, როგორიც არ უნდა იყოს უკანასკნელის ღირებულება.

ბ) ზედმეტი ღირებულება. [რიკარდო არ იძლევა ზედმეტი ღირებულების წარმოშობის ანალიზს. რიკარდოს შეხედულება სამუშაო დღეზე როგორც მუდმივ სიდიდეზე]

თუ მხედველობაში არ მივიღებთ შრომისა და სამუშაო ძალის ერთმანეთში არევას, დანარჩენში რიკარდო სწორად განმარტავს საშუალო ხელფასს, ანუ შრომის ღირებულებას. სახელდობრ, შრომის ღირებულება არ განისაზღვრება, ამბობს რიკარდო, არც ფულით, არც საარსებო საშუალებებით, რომელთაც მუშა ღებულობს, იგი განისაზღვრება იმ სამუშაო დროით, რაც ამ საარსებო საშუალებათა წარმოება ღირს, შრომის იმ რაოდენობით, რომელიც გასაგნობრივებულია მუშის კუთვნილ საარსებო საშუალებებში. ამას რიკარდო უწოდებს რეალურ ხელფასს. (იხ. ქვემოთ).

სხვათა შორის, ეს განსაზღვრა მას გამოუდის როგორც აუცილებელი შედეგი. რადგან შრომის ღირებულება განისაზღვრება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებით, რომლებზეც შრომის ეს ღირებულება უნდა დაიხარჯოს, აუცილებელ საარსებო საშუალებათა, ისევე როგორც ყველა სხვა საქონლის, ღირებულება კი განისაზღვრება მათ წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობით, ამიტომ აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ შრომის ღირებულება უდრის აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებას, უდრის ამ აუცილებელ საარსებო

საშუალებათა წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობას.

მაგრამ რაგინდ სწორიც არ უნდა იყოს ეს ფორმულა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ აქ უშუალოდ შეპირისპირებულია ერთმანეთთან შრომა და კაპიტალი), იგი მაინც არასაკმარისია. ცალკეული მუშა თავისი ხელფასის ასანაზღაურებლად აკვლავწარმოებს—მაშასადამე, თუ მხედველობაში ვიქონიებთ ამ პროცესის უწყვეტობას — აწარმოებს, თუმცა არა უშუალოდ იმ პროდუქტებს, რომლებიც მისი სიცოცხლის შენარჩუნებას ემსახურებიან {მას შეუძლია აწარმოოს ისეთი პროდუქტები, რომლებიც სრულიად არ შედიან მის მოხმარებაში; და მაშინაც კი, თუ იგი აუცილებელ საარსებო საშუალებებს აწარმოებს, შრომის დანაწილების გამო, იგი აწარმოებს მხოლოდ ერთ სახეობას მათგან, მაგალითად, პურეულს მარცვლად, და მას აძლევს მხოლოდ ერთ ფორმას (მაგალითად, არა გამომცხვარი პურის, არამედ მარცვლეული პურის ფორმას)}, მაგრამ იგი აწარმოებს საქონელს, რომელსაც აქვს მისი საარსებო საშუალებების ღირებულება, ანდა აწარმოებს თავის საარსებო საშუალებათა ღირებულებას. ეს კი — თუ მუშის ყოველდღიურ საშუალო მოხმარებას განვიხილავთ — ნიშნავს, მაშასადამე, შემდეგს: სამუშაო დრო, რასაც შეიცავენ აუცილებელი საარსებო საშუალებანი, რომელთაც მუშა დღის განმავლობაში მოიხმარს, შეადგენს მისი სამუშაო დღის ნაწილს. დღის ერთი ნაწილის განმავლობაში იგი მუშაობს, რათა თავის აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულება აკვლავწარმოოს; სამუშაო დღის ამ ნაწილის განმავლობაში წარმოებულ საქონელს აქვს იგივე ღირებულება, ანუ შეიცავს იმდენსავე სამუშაო დროს, რამდენსაც შეიცავენ მუშის მიერ დღის განმავლობაში მოხმარებული აუცილებელი საარსებო საშუალებანი. ამ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებაზე (მაშასადამე, შრომის საზოგადოებრივ ნაყოფიერებაზე და არა წარმოების იმ ცალკეული დარგის ნაყოფიერებაზე, რომელშიც იგი მუშაობს) არის დამოკიდებული, თუ მისი სამუშაო დღის რომელი ნაწილი განეკუთვნება მისი საარსებო საშუალებების, ე. ი. მათი ეკვივალენტის ღირებულების კვლავწარმოებას ან წარმოებას.

რიკარდო, ბუნებრივია, გულისხმობს, რომ სამუშაო დრო, რასაც ყოველდღიური აუცილებელი საარსებო საშუალებანი შეიცავენ, უდრის იმ სამუშაო დროს, რომლის განმავლობაშიც მუშა იძულე-

ბულია ყოველდღიურად იმუშაოს, რათა ამ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულება აკვლავწარმოოს. მაგრამ ამით რიკარდო, — რამდენადაც საკითხის მისებურ განხილვაში ყოველი მუშის სამუშაო დღის ესა თუ ის ნაწილი არ გვევლინება უშუალოდ როგორც მისი საკუთარი სამუშაო ძალის ღირებულების კვლავწარმოებისათვის განკუთვნილი, — აძნელებს ამ საკითხის გამოკვლევას და აბუნდოვანებს აქ არსებული ურთიერთობის გაგებას. აქედან გამომდინარეობს ორმაგი არევ-დარევა. გაუგებარი ხდება ზედმეტი ღირებულების წარმოშობა, და ამიტომ რიკარდოს შემდეგდროინდელი ეკონომისტები რიკარდოს უსაყვედურებდნენ იმას, რომ მან ვერ გაიგო, ვერ განავითარა ზედმეტი ღირებულების ბუნება. ნაწილობრივ აქედან გამომდინარეობს მათ მიერ ზედმეტი ღირებულების ახსნის სქოლასტიკური ცდები. მაგრამ რადგან ასეთი სახით ზედმეტი ღირებულების წარმოშობა და ბუნება ვერ ღებულობენ მკაფიო ფორმულირებას, ამიტომ ზედმეტი შრომა პლუს აუცილებელი შრომა — მოკლედ, ერთობლივი სამუშაო დღე — განიხილება როგორც ერთგვარი ფიქსირებული სიდიდე, გაშვებულია მხედველობიდან განსხვავებანი ზედმეტი ღირებულების სიდიდეში, გაუგებარი რჩება კაპიტალის მწარმოებლობა, მის მიერ განხორციელებული იძულება ზედმეტი შრომის შესრულებისადმი — ერთი მხრივ, აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოების აზრით, შემდეგ კი კაპიტალის დამახასიათებელი შინაგანი მისწრაფება აუცილებელი სამუშაო დროის შემცირებისადმი; მაშასადამე, არ ხდება კაპიტალის ისტორიული მართლზომიერების გამორკვევა. პირიქით, ა. სმიტმა უკვე მოგვცა სწორი ფორმულა. რამდენადაც მნიშვნელოვანი იყო ღირებულების დაყვანა შრომაზე, ამდენადვე მნიშვნელოვანი იყო ზედმეტი ღირებულების დაყვანა ზედმეტ შრომაზე, თანაც სრულად გარკვეული გამოთქმებით.

რიკარდო გამოდის კაპიტალისტური წარმოების არსებობის ფაქტიდან. შრომის ღირებულება ნაკლებია ამ შრომის მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულებაზე. ამიტომ პროდუქტის ღირებულება უფრო მეტია ამ პროდუქტის შემქმნელი შრომის ღირებულებაზე, ანუ მეტია ხელფასის ღირებულებაზე. პროდუქტის ღირებულების ნამეტი ხელფასის ღირებულების ზევით შეადგენს ზედმეტ ღირებულებას. (რიკარდო შეცდომით ლაპარაკობს მოგებაზე, მაგრამ იგი აიგივებს აქ, როგორც უკვე უწინ იყო აღნიშნული, მოგებას ზედმეტ ღირებულებასთან და სინამდვილეში ამ უკანასკნელზე ლა-

პარაკობს). რიკარდოსათვის ფაქტია, რომ პროდუქტის ღირებულება მეტია ხელფასის ღირებულებაზე. თუ როგორ წარმოიშვება ეს ფაქტი, გაურკვეველი რჩება. სამუშაო დღე, მთლიანად აღებული, ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა სამუშაო დღის იმ ნაწილს, რომელიც საჭიროა ხელფასის საწარმოებლად. რატომ? ეს რიკარდოსთან გაურკვეველი რჩება. ამიტომ ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი ს ა მ უ შ ა ო დ ღ ი ს ს ი დ ი დ ე რიკარდოს შეცდომით აქვს ნაგულისხმევი ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ სიდიდედ, აქედან კი უშუალოდ გამომდინარეობს არასწორი დასკვნები. ამის შედეგად ზედმეტი ღირებულების გადიდება ან შემცირება რიკარდოს შეუძლია ახსნას მ ხ ო ლ ო დ იმ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებით ან შემცირებით, რომელიც აუცილებელ საარსებო საშუალებებს აწარმოებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, რიკარდო იცნობს მხოლოდ შეფარდებითს ზედმეტ ღირებულებას.

[656] ცხადია, რომ თუ მუშას მთელი მისი დღე იმისთვის დასჭირდებოდა, რათა თავისი საკუთარი საარსებო საშუალებანი ეწარმოებინა (ე. ი. ეწარმოებინა საქონელი, რომლის ღირებულებაც მის საკუთარ საარსებო საშუალებათა ღირებულებას უდრის), მაშინ შეუძლებელი იქნებოდა რაიმე ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, შეუძლებელი იქნებოდა კაპიტალისტური წარმოება და დაქირავებული შრომა. იმისათვის, რომ კაპიტალისტური წარმოება არსებობდეს, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება საკმაოდ განვითარებული უნდა იყოს, რათა ადგილი ჰქონდეს ერთობლივი სამუშაო დღის გადანაწილებას რომ სამუშაო დროზე, რაც აუცილებელია ხელფასის კვლავწარმოებისათვის, ე. ი. რათა არსებობდეს ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ა ამ თუ იმ ოდენობით. მაგრამ ასევე ცხადია, რომ თუ მოცემული სამუშაო დროის პირობებში (სამუშაო დღის მოცემული სიდიდის დროს) შეიძლება მეტად სხვადასხვა იყოს შრომის ნაყოფიერება, მაშინ, მეორე მხრივ, შრომის მოცემული ნაყოფიერების დროს შეიძლება მეტად სხვადასხვა იყოს სამუშაო დრო, სამუშაო დღის სიდიდე. შემდეგ, ცხადია, რომ თუ აუცილებელია ვივარაუდოთ შრომის ნაყოფიერების განვითარების გარკვეული დონე, რათა ზ ე დ მ ე ტ ი შ რ ო მ ის არსებობა შეიძლებოდეს, მაშინ მარტოოდენ შ ე ს ა ძ ლ ებ ლ ო ბ ა ამ ზედმეტი შრომისა (ე. ი. შრომის ნაყოფიერების ამ აუცილებელი მინიმუმის არსებობა) ჯერ კიდევ არ ქმნის მის ნ ა მ დ ვ ი ლ ო ბ ას. ამისათვის აუცილებელია წინასწარ ა ი ძ უ ლ ო ნ მუშა იმუშაოს ზემოაღნიშნული საზღვრის გადამეტებით, ამას კი მუშას აიძულებს კაპიტალი. ყოველივე ეს

რიკარდოს არა აქვს, ამასთანავე კი სწორედ აქედან მომდინარეობს მთელი ბრძოლა ნორმალური სამუშაო დღის განსაზღვრისათვის.

შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერების განვითარების დაბალ საფეხურზე — მაშასადამე, მის იმ საფეხურზე, როცა ზედმეტი შრომა შედარებით მცირეა, — სხვისი შრომით მცხოვრები კლასი საერთოდ მცირეა მომუშავეთა რიცხვთან შედარებით. ეს კლასი შეიძლება გაიზარდოს მეტად მნიშვნელოვნად (შეფარდებით) იმისდა კვალობაზე, თუ როგორ იზრდება შრომის ნაყოფიერება, როგორ იზრდება, მაშასადამე, შეფარდებითი ზედმეტი ღირებულებაც.

შემდეგ, იგულისხმება, რომ შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა სხვადასხვა პერიოდში ერთ ქვეყანაში და ერთსა და იმავე პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში ძლიერ იცვლება. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების სამშობლოს წარმოადგენენ ზომიერი სარტყლები. შრომის ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი მწარმოებლური ძალა შეიძლება ძლიერ სუსტად იყოს განვითარებული, და მიუხედავად ამისა სწორედ აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოებაში შეიძლება ეს ანაზღაურდეს, ერთი მხრივ, ბუნებრივი ფაქტორების (როგორც, მაგალითად, ნიადაგის) ნაყოფიერებით, მეორე მხრივ კი — მცხოვრებთა მოთხოვნილებების უაღრესად დაბალი დონით (რაც შედეგია ჰავისა და ა. შ.); ერთსაც და მეორესაც ადგილი აქვს, მაგალითად, ინდოეთში. საზოგადოების ტლანქი, პრიმიტიული მდგომარეობისას ხელფასის მინიმუმი შეიძლება იყოს, ჯერ კიდევ განუვითარებელ სოციალურ მოთხოვნილებათა გამო, მეტად უმნიშვნელო (რაოდენობრივად სახმარ ღირებულებათა მიხედვით), და მიუხედავად ამისა ეს მინიმუმი მეტი შრომა ღირს. მაგრამ თუნდაც რომ მისი წარმოებისათვის საჭირო შრომა მხოლოდ საშუალო სიდიდის იყოს, მაინც წარმოებული ზედმეტი ღირებულება, თუმცაღა მაღალი ხელფასთან (აუცილებელ სამუშაო დროსთან) შედარებით, ე. ი. ზედმეტი ღირებულების მაღალი ნორმის დროსაც კი, იქნებოდა, სახმარი ღირებულებებით, გამოხატული, ისევე მცირე (პროპორციულად), როგორც თვით ხელფასიც.

ვთქვათ, აუცილებელი სამუშაო დრო = 10 საათს, ზედმეტი შრომა = 2 საათს, მთელი სამუშაო დღე = 12 საათს. თუ აუცილებელი სამუშაო დღე იქნებოდა 12 საათი, ზედმეტი შრომა — $2^2/_5$, მთელი სამუშაო დღე კი $14^2/_5$ საათი, მაშინ წარმოებული ღირებულებანი მეტად სხვადასხვა იქნებოდა. პირველ შემთხვევაში წარმო-

ებული ღირებულებანი = 12 საათს, მეორეში კი — = $14^2/_5$ საათს. სწორედ ასევე განსხვავებული იქნებოდნენ ზედმეტ ღირებულებათა აბსოლუტური სიდიდენიც. ერთ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულება უდრის 2 საათს, მეორეში — $2^2/_5$ საათს. მიუხედავად ამისა, ნორმა ზედმეტი ღირებულებისა, ანუ ზედმეტი შრომისა, ერთი და იგივე იქნებოდა, ვინაიდან $2 : 10 = 2^2/_5 : 12$. თუ მეორე შემთხვევაში დახარჯული ცვალებადი კაპიტალი მეტი იქნებოდა, მეტი იქნებოდა აგრეთვე მის მიერ მითვისებული ზედმეტი ღირებულება, ანუ ზედმეტი შრომა. თუ უკანასკნელ შემთხვევაში ზედმეტი შრომა გადიდდებოდა არა $^2/_5$-ით, არამედ $^5/_8$-საათით, ასე რომ იგი გაუტოლდებოდა 3 საათს, ერთობლივი სამუშაო დღე კი — 15 საათს, მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმა გადიდდებოდა მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელი სამუშაო დრო — ანუ ხელფასის მინიმუმი — გაიზრდებოდა (ვინაიდან $2 : 10 = ^1/_5$, $3 : 12$ კი $= ^1/_4$). ერთიც და მეორეც ერთდროულად შეიძლება მომხდარიყო იმ შემთხვევაში, თუ ხორბლის და სხვ. გაძვირების გამო ხელფასის მინიმუმი 10-დან 12 საათამდე გაიზრდებოდა. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც კი ზედმეტი ღირებულების ნორმა არა მარტო შეიძლებოდა უცვლელი დარჩენილიყო, არამედ იგი და მასთან ერთად ზედმეტი ღირებულების მასაც შეიძლებოდა კიდევ გადიდებულიყო.

მაგრამ ვიგულისხმოთ, რომ აუცილებელი ხელფასი უწინდებურად უდრის 10 საათს, ზედმეტი შრომა უდრის 2 საათს, ყველა დანარჩენი პირობა უცვლელი რჩება (აქ, მაშასადამე, სრულიად არ არის მხედველობაში მიღებული წარმოების ხარჯების შემცირება მუდმივი კაპიტალისათვის). თუ მუშა ახლა $2^2/_5$ საათით მეტს მუშაობს და აქედან 2 საათს თვითონ ითვისებს, $^2/_5$ საათი კი ზედმეტ შრომას შეადგენს, მაშინ ამ შემთხვევაში ერთნაირად გაიზრდება ხელფასიც და ზედმეტი ღირებულებაც, მაგრამ პირველი აუცილებელ ხელფასზე, ანუ აუცილებელ სამუშაო დროზე, უფრო დიდი სიდიდის გამომხატველი იქნება.

თუ ავიღებთ რომელიმე მოცემულ სიდიდეს და გავყოფთ მას ორ ნაწილად, ცხადია, რომ ერთი მათგანი შეიძლება იზრდებოდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მეორე მცირდება, და პირიქით. მაგრამ მზარდი (ცვლადი) სიდიდეების დროს საქმის ვითარება სრულიადაც არ არის ასეთი. სამუშაო დღე (ვიდრე მოპოვებული არაა ნორმალური სამუშაო დღე) წარმოადგენს სწორედ ასეთ მზარდ სიდიდეს. ასეთ სიდიდეთა დროს შეიძლება იზრდებოდეს ორივე

ნაწილი, ერთნაირად ან არაერთნაირად. ერთის გადიდება არ არის გაპირობებული მეორის შემცირებით, და პირიქით. ეს არის სწორედ ის ერთადერთი შემთხვევა, როცა ხელფასი და ზედმეტი ღირებულება შეიძლება მათი საცვლელი ღირებულების მიხედვით ი ზ რ დ ე ბ ო დ ე ს ერთდროულად, ხოლო გარკვეულ პირობებში თ ა ნ ა ბ რ ა დ ა ც კი. რაც შეეხება მათ სახმარ ღირებულებას, ეს თავისთავად იგულისხმება; იგი შეიძლება იზრდებოდეს, [657] თუმცა შრომის ღირებულება, ვთქვათ, მცირდება. 1797—1815 წლების პერიოდში, როცა ინგლისში მნიშვნელოვნად გადიდდა ხორბლის ფასი და ნომინალური ხელფასი, — სწორედ ამავე პერიოდში ამასთანავე ძლიერ გაიზარდა სამუშაო დღის ხანგრძლიობა მრეწველობის მთავარ დარგებში, რომლებიც მაშინ შეუჩერებელი განვითარების ფაზას განიცდიდნენ, და მე ვფიქრობ, რომ ამან შეაჩერა მოგების ნორმის დაცემა (რადგან შეაჩერა ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემა). მაგრამ მსგავს შემთხვევებში ნორმალური სამუშაო დღე გრძელდება ყველა გარემოებაში, და ამის შესაბამისად მოკლდება მუშის სიცოცხლის ნორმალური პერიოდი, მაშასადამე, მისი სამუშაო ძალის არსებობის ნორმალური ხანგრძლიობაც. ეს აუცილებლად იწყება მაშინ, როცა სამუშაო დღის გაგრძელება მუდმივი ხასიათისაა. ხოლო თუ იგი მხოლოდ დროებით ხასიათს ატარებს, ე. ი. მისი მიზანი ისაა, რომ ხელფასის დროებითი გაძვირება აანაზღაუროს, მაშინ (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ლაპარაკია ქალთა და ბავშვთა შრომაზე) მას შეიძლება არც მოჰყვეს სხვა შედეგები, გარდა მოგების ნორმის დაცემის შეჩერებისა იმ საწარმოებში, სადაც სამუშაო დროის გაგრძელება შესაძლებელია თვით მათი ხასიათის მიხედვით. (ყველაზე ნაკლებად ეს ხდება სოფლის მეურნეობაში.)

რიკარდომ ეს სრულიად არ მიიღო მხედველობაში, რადგან იგი არ იკვლევს არც ზედმეტი ღირებულების წარმოშობას, არც აბსოლუტურ ზედმეტ ღირებულებას, და ამიტომაც სამუშაო დღეს განიხილავს როგორც ერთგვარ მოცემულ სიდიდეს. მაშასადამე, ზემოაღნიშნული შემთხვევისათვის მ ც დ ა რ ი ა მ ი ს ი კ ა ნ ო ნ ი, რომ ზედმეტი ღირებულება და ხელფასი (იგი შეცდომით ლაპარაკობს: მოგება და ხელფასი), — თუ მათ საცვლელი ღირებულების მხრივ განვიხილავთ, — შეიძლება დიდდებოდეს ან მცირდებოდეს მხოლოდ შ ე ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი შეფარდებით ერთიმეორესთან.

ვიგულისხმოთ ამოსავალ წერტილად, რომ აუცილებელი სამუ-

შაო დრო უცვლელი რჩება, ასევე უცვლელი რჩება ზედმეტი შრომაც. მაშასადამე, ჩვენ გვაქვს 10 + 2; სამუშაო დღე = 12 საათს, ზედმეტი ღირებულება = 2 საათს; ზედმეტი ღირებულების ნორმა = $^1/_5$-ს.

ვთქვათ ახლა, რომ აუცილებელი სამუშაო დრო დარჩება იგივე, ზედმეტი შრომა კი გაიზრდება 2-დან 4 საათამდე. მაშინ სამუშაო დღე იქნება 10 + 4, ე. ი. 14 საათი; ზედმეტი ღირებულება = 4 საათს; ზედმეტი ღირებულების ნორმა = 4 : 10 = $^4/_{10}$ = $^2/_5$-ს.

ორივე შემთხვევაში აუცილებელი სამუშაო დრო ერთი და იგივეა; მაგრამ ზედმეტი ღირებულება ერთ შემთხვევაში ორჯერ მეტია, ვიდრე მეორეში, სამუშაო დღე კი მეორე შემთხვევაში ერთი მეექვსედით მეტი, ვიდრე პირველში. შემდეგ, წარმოებული ღირებულებანი, მაგრამ, დახარჯული შრომის რაოდენობათა შესაბამისად, მეტად სხვადასხვა იქნებოდა, თუმცა ხელფასი ერთი და იგივეა; პირველ შემთხვევაში წარმოებული ღირებულებანი უდრის 12 საათს, მეორეში = 12 + $^{12}/_6$ = 14. ამრიგად, მცდარია, თითქოს ერთი და იმავე ხელფასის (ღირებულების მიხედვით, აუცილებელი სამუშაო დროის მიხედვით) ვარაუდისას ორ საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულებანი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც ამ ორ საქონელში მოთავსებული შრომის რაოდენობანი. ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნორმალური სამუშაო დღე უცვლელი რჩება.

ვიგულისხმოთ შემდეგ, რომ შრომის მწარმოებლური ძალის გადიდების გამო აუცილებელი ხელფასი მცირდება 10-დან 9 საათამდე (თუმცა იგი, გამოხატული იმ სახმარი ღირებულებებით, რომლებზეც ის იხარჯება, უცვლელი რჩება) და რომ ზედმეტი შრომის დროც მცირდება 2-დან $1^1/_5$ საათამდე ($^9/_5$). ამ შემთხვევაში 10 : 9 = = 2 : $1^1/_5$. მაშასადამე, ზედმეტი შრომის დრო შემცირდებოდა იმავე პროპორციით, რითაც აუცილებელი დრო. ზედმეტი ღირებულების ნორმა ორივე შემთხვევაში იგივე იქნებოდა: რადგან 2 = $^{10}/_2$ და $1^1/_5$ = $^9/_5$, ამიტომ $1^1/_5$: 9 = 2 : 10. სახმარ ღირებულებათა რაოდენობა, რომლის ყიდვაც შეიძლება ზედმეტი ღირებულებით, ვარაუდის თანახმად, აგრეთვე უცვლელი დარჩებოდა. (მაგრამ ეს შეეხებოდა მხოლოდ იმ სახმარ ღირებულებებს, რომლებიც აუცილებელი საარსებო საშუალებებია). სამუშაო დღე შემცირდებოდა 12-დან $10^4/_5$ საათამდე. ღირებულებათა მასა, რაც მეორე შემთხვევაში იწარმოება, უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე პირველში. და მიუხედავად შრომის ამ უთანაბრო რაოდენობებისა,

ზედმეტი ღირებულების ნორმა ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე იქნებოდა.

ზედმეტი ღირებულების განხილვისას ჩვენ განვასხვავებდით: ზედმეტ ღირებულებას და ზედმეტი ღირებულების ნორმას. ვრთი სამუშაო დღისათვის განხილული ზედმეტი ღირებულება უდრის საათების აბსოლუტურ რიცხვს, რომელსაც ის წარმოადგენს: ორს, სამს და ა. შ. ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის საათების ამ რიცხვის შეფარდებას საათთა იმ რაოდენობასთან, რომელიც აუცილებელ სამუშაო დროს შეადგენს. ეს განსხვავება უკვე იმიტომაა მეტად მნიშვნელოვანი, რომ იგი გვიჩვენებს სამუშაო დღის განსხვავებულ ხანგრძლიობას. თუ ზედმეტი ღირებულება 2 საათს უდრის, მაშინ იგი ერთ მეხუთედს შეადგენს, როცა აუცილებელი სამუშაო დრო 10 საათია, და ერთ მეექვსედს, როცა აუცილებელი სამუშაო დრო 12 საათია. ერთ შემთხვევაში სამუშაო დღე 12 საათს შეადგენს, მეორეში — 14 საათს. პირველ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმა მეტია, ამასთან მუშის შრომა დღის განმავლობაში საათების ნაკლებ რიცხვს შეადგენს. მეორე შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმა ნაკლებია, სამუშაო ძალის ღირებულება მეტია, და ამასთან მუშის შრომა დღის განმავლობაში საათების მეტ რიცხვს შეადგენს. აქ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ განსხვავებული შეიძლება იყოს ზედმეტი ღირებულების ნორმა უცვლელი ზედმეტი ღირებულების დროს (მაგრამ არათანაბარი სამუშაო დღის დროს). წინათ დასახელებულ შემთხვევაში კი (10 : 2 და 9 : $1^4/_5$) ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ განსხვავებული შეიძლება იყოს თვით ზედმეტი ღირებულება ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას (მაგრამ არათანაბარი სამუშაო ღღის დროს) (ერთ შემთხვევაში — 2, მეორეში — $1^4/_5$).

ზემოთ (თავი მე-2) მე ცხადვყავი, რომ როცა სამუშაო დღე მოცემულია (მოცემულია მისი ხანგრძლიობა), მოცემულია აგრეთვე აუცილებელი სამუშაო დრო, — მაშასადამე, მოცემულია ზედმეტი ღირებულების ნორმა, — ზედმეტი ღირებულების მასა დამოკიდებულია იმავე კაპიტალის მიერ ერთდროულად დასაქმებული მუშების **რ ი ც ხ ვ ზ ე**[110]. ეს დებულება ტავტოლოგია იყო. ვინაიდან, თუ 1 სამუშაო დღე 2 საათ ზედმეტ შრომას მაძლევს, 12 სამუშაო დრო მომცემს 24 საათ ზედმეტ შრომას, ე. ი. 2 დღის ზედმეტ შრომას. მაგრამ ამ დებულებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოგების განსაზღვრისას, რადგან მოგება უდრის ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ავანსებულ კაპიტალთან და, მაშასადამე, დამოკიდებუ-

ლია ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეზე. ამას დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმიტომ, რომ თანაბარი სიდიდის, მაგრამ სხვადასხვა ორგანული შედგენილობის კაპიტალები მუშების არათანაბარ რაოდენობას იყენებენ და, მაშასადამე, მათ უნდა აწარმოონ არათანაბარი ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, არათანაბარი მოგებაც. ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემის დროს მოგება შეიძლება იზრდებოდეს, ხოლო ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებისას მოგება შეიძლება ეცემოდეს ან უცვლელი რჩებოდეს, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდება ან დაცემა წონასწორდება დასაქმებული მუშების რიცხვის პირუკუ მოძრაობით. აქ ჩვენ იმითავითვე ვხედავთ, თუ რა ძლიერ მცდარია ზედმეტი ღირებულების გადიდებისა და დაცემის კანონების [658] გაიგივება მოგების გადიდებისა და დაცემის კანონებთან. თუ განვიხილავთ ზედმეტი ღირებულების მხოლოდ მარტივ კანონს, ტავტოლოგიად მოგვეჩვენება ის დებულება, რომ როცა მოცემულია ზედმეტი ღირებულების ნორმა (და მოცემულია სამუშაო დღე), ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური მასა დამოკიდებულია გამოყენებული კაპიტალის მასაზე, — რადგან კაპიტალის ამ მასის ზრდა და ერთდროულად დასაქმებული მუშების რიცხვის ზრდა, ვარაუდის თანახმად, იდენტურია, ანუ ერთი და იმავე ფაქტის გამოხატულებაა მხოლოდ. მაგრამ თუ გადავალთ მოგების განხილვაზე, სადაც გამოყენებული ერთობლივი კაპიტალის მასა და მუშების გამოყენებული რაოდენობის მასა მეტად განსხვავებულია თანაბარი სიდიდის კაპიტალებისათვის, მაშინ აღნიშნული კანონის მნიშვნელობა გასაგები გახდება.

რიკარდო გამოდის მოცემული ღირებულების ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა, ე. ი. ისეთ საქონელთა განხილვიდან, რომელნიც შრომის მ ო ც ე მ უ ლ რაოდენობას წარმოადგენენ. ასეთი ამოსავალი პუნქტის დროს კი გვეჩვენება, რომ აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება მუდამ ემთხვევა ერთმანეთს. (ეს, ყოველ შემთხვევაში, გვიხსნის მისი განხილვის წესის ცალმხრივობას და შეეფერება გამოკვლევის მთელ მის მეთოდს — აიღოს ამოსავალ პუნქტად საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რომელიც განსაზღვრულია საქონელში მოთავსებული სამუშაო დროით, შემდეგ კი გამოიკვლიოს, რამდენად ახდენს მასზე გავლენას ხელფასი, მოგება და ა. შ.). ნამდვილად კი ეს მცდარი მოჩვენებითობაა, რადგან აქ ლაპარაკია არა უბრალოდ საქონელზე, არამედ კაპი-

ტალისტურ წარმოებაზე, საქონელზე როგორც კაპიტალის პროდუქტზე.

ვთქვათ, კაპიტალი იყენებს მუშების გარკვეულ რაოდენობას, მაგალითად, 20 კაცს, და, ვთქვათ, ხელფასი უდრის 20 გირვ. სტერლინგს. გამარტივებისათვის ვივარაუდოთ, რომ ძირითადი კაპიტალი უდრის 0-ს, ე. ი. სრულიად არ ვიღებთ მას სათვალავში. დავუშვათ, რომ 20 მუშა ნართად გადაამუშავებს 80 გირვ. სტერლინგის ბამბას, თუ ისინი 12 საათს მუშაობენ დღეში. თუ გირვანქა ბამბა 1 შილინგი ღირს, 20 გირვანქა ბამბა ეღირება 1 გირვ. სტერლინგი, 80 გირვ. სტერლინგი კი = 1600 გირვანქა ბამბას. თუ 20 მუშა 12 საათში 1600 გირვანქა ბამბას გადაამუშავებს, მაშინ 1 საათში ისინი გადაამუშავებენ 1600/12 გირვანქას = 133⅓ გირვანქას. ამრიგად, თუ აუცილებელი სამუშაო დრო 10 საათს უდრის, მაშინ ზედმეტი სამუშაო დრო შეადგენს 2 საათს და იძლევა 266⅔ გირვანქა ნართს. 1600 გირვანქა ნართის ფასი იქნება 104 გირვ. სტერლინგი; რადგან თუ 10 სამუშაო საათი = 20 გირვ. სტერლინგს, 1 სამუშაო საათი = 2 გირვ. სტერლინგს, 2 სამუშაო საათი კი = 4 გირვ. სტერლინგს; მაშასადამე, 12 სამუშაო საათი = 24 ვირვ. სტერლ. (80 გირვ. სტერლ.) [ნედლეულის ღირებულება] + 24 გირვ. სტერლ. [ახლად მიმატებული შრომით შექმნილი ღირებულება] = = 104 გირვ. სტერლ.).

მაგრამ თუ ვიგულისხმებთ, რომ მუშების ზედმეტი შრომის დრო 4 საათს უდრის, მაშინ მათი პროდუქტი შეადგენს 8 გირვ. სტერლინგს (მხედველობაში მაქვს მუშების მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება; სინამდვილეში მათი პროდუქტი = 28 გირვ. სტერლინგს [111]). ერთობლივი პროდუქტის ღირებულება იქნება 121⅓ გირვ. სტერლინგი [112], და ეს 121⅓ გირვ. სტერლ. უდრის 1866⅔ გირვანქა ნართს. რადგან წარმოების პირობები არ შეცვლილა, 1 გირვანქა ნართს ისეთივე ღირებულება ექნებოდა, როგორიც უწინ ჰქონდა; მასში მოთავსებული იქნებოდა იმდენივე სამუშაო დრო. ვარაუდის თანახმად, უცვლელი დარჩებოდა აუცილებელი ხელფასიც (მისი ღირებულება, მასში მოთავსებული სამუშაო დრო).

იწარმოება ეს 1866⅔ გირვანქა ნართი პირველ თუ მეორე პირობებში, ე. ი. ზედმეტი შრომის ორ თუ ოთხ საათში, — ორივე შემთხვევაში მათ ერთი და იგივე ღირებულება ექნებოდათ. სახელდობრ, 266⅔ გირვანქა ბამბა, რაც ნართად გარდაიქმნება, გარდა უწინდელი 1600 გირვანქა ბამბისა, ღირს 13⅓ გირვ. სტერლინგი.

თუ მივუმატებთ მას 80 გირვ. სტერლინგს, ანაც გადახდილ იქნა 1600 გირვანქა ბამბაში, მაშინ გვექნება $93^1/_3$ გირვ. სტერლ., და ორივე შემთხვევაში 20 კაცის 4 დამატებითი სამუშაო საათი უდრის 8 გირვ. სტერლინგს. მთელი [ახლად მიმატებული] შრომისათვის ეს შეადგენს 28 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, $1866^2/_3$ გირვანქა ნართი უდრის $121^1/_3$ გირვ. სტერლინგს. ორივე შემთხვევაში ხელფასი იგივეა. გირვანქა ნართი ღირს ორივე შემთხვევაში $1^3/_{10}$ შილინგი. რადგან 1 გირვანქა ბამბის ღირებულება 1 შილინგს უდრის, ამიტომ ახლად მიმატებული შრომისათვის, რასაც 1 გირვანქა ნართი შეიცავს, ორივე შემთხვევაში რჩება $^3/_{10}$ შილინგი, ანუ $3^3/_5$ პენსი (ანუ $^{18}/_5$ პენსი).

და მიუხედავად ამისა, ნაგულისხმევ პირობებში თანაფარდობა ღირებულებასა და ზედმეტ ღირებულებას შორის ყოველ გირვანქა ნართში მეტად სხვადასხვა იქნება. პირველ შემთხვევაში, — რადგან აუცილებელი შრომა = 20 გირვ. სტერლინგს, ზედმეტი შრომა კი = 4 გირვ. სტერლინგს, ანუ პირველი = 10 საათს, მეორე კი = 2 საათს, — ზედმეტი შრომა ისე შეეფარდება აუცილებელს, როგორც 2 : 10-ს, ანუ 1 : 5-ს. (ზუსტად ასევე 4 გირვ. სტერლ. : 20 გირვ. სტერლ. = $^4/_{20}$ = $^1/_5$.) [ახლად მიმატებული, გასაგნობრივებული შრომის] $3^3/_5$ პენსში — 1 გირვანქა ნართში — მოთავსებულია, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ფასგადაუხდელი შრომის $^1/_5$ = $^{18}/_{25}$ პენსი, ანუ $^{72}/_{25}$ ფარტინგი, ე. ი. $2^{22}/_{25}$ ფარტინგი. მეორე შემთხვევაში კი აუცილებელი შრომა შეადგენს 20 გირვ. სტერლინგს (10 სამუშაო საათს), ზედმეტი შრომა = 8 გირვ. სტერლინგს (4 სამუშაო საათს). ზედმეტი შრომის შეფარდება აუცილებელ შრომასთან იქნებოდა 8 : 20 = $^8/_{20}$ = $^4/_{10}$ = $^2/_5$. ამრიგად, (ახლად მიმატებული, გასაგნობრივებული შრომის) $3^3/_5$ პენსში — 1 გირვანქა ნართში — ფასგადაუხდელი შრომა შეადგენს ამ ჯამის $^2/_5$-ს, ე. ი. $5^{19}/_{25}$ ფარტინგს, ანუ 1 პენსს $1^{19}/_{25}$ ფარტინგს. ზედმეტი ღირებულება, რასაც ერთი გირვანქა ნართი შეიცავს, — [659] თუმცა ორივე შემთხვევაში მას ერთი და იგივე ღირებულება აქვს და თუმცა ორივე შემთხვევაში ერთნაირ ხელფასს იხდიან, — ერთ შემთხვევაში ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე მეორეში. ცალკეულ საქონელში, როგორც პროდუქტის გარკვეულ ნაწილში, უნდა იყოს, რა თქმა უნდა, იგივე შეფარდება შრომის ღირებულებასა და ზედმეტ ღირებულებას შორის, როგორიც მთელ პროდუქტშია.

ერთ შემთხვევაში [როცა $1866^2/_3$ გირვანქა ბამბის ნართად გადამუშავება წარმოებს 12 სამუშაო დღის პირობებში] ბამბაზე ავანსად

გაღებული კაპიტალი შეადგენს 93⅓ გირვ. სტერლინგს, და რამდენს შეადგენს ხელფასზე ავანსად გაღებული კაპიტალი? 1600 გირვანქა ბამბის ნართად გარდაქმნაზე აქ დახარჯული ხელფასი უდრის 20 გირვ. სტერლინგს; მაშასადამე, დამატებითი 266⅔ გირვანქა ბამბის ნართად გარდაქმნისათვის საჭირო ხელფასი იქნება 3⅓ გირვ. სტერლინგი. ამრიგად, სულ ხელფასზე დაიხარჯება 23⅓ გირვ. სტერლინგი. ერთობლივი დანახარჯი კი = [მუდმივ] 93⅓ გირვ. სტერლ. + 23⅓ გირვ. სტერლ. = 116⅔ გირვ. სტერლ. კაპიტალს. პროდუქტი = 121⅓ გირვ. სტერლინგს. 3⅓ გირვ. სტერლ. [ცვალებადი] კაპიტალის დამატებითი ხარჯვა მოგვცემდა აქ მხოლოდ 13⅓ შილ. (ანუ ⅔ გირვ. სტერლ.) ზედმეტ ღირებულებას (20 გირ. სტერლ. : 4 გირვ. სტერლ. = 3⅓ გირვ. სტერლ. : ⅔ გირვ. სტერლ.).

პირიქით, მეორე შემთხვევაში [როცა იმავე 1866⅔ გირვანქა ბამბის ნართად გადამუშავება 14 საათიანი სამუშაო დღის პირობებში ხდება] ავანსებული კაპიტალი იქნებოდა მხოლოდ 93⅓ გირვ. სტერლ. = 113⅓ გირვ. სტერლ., და 4 გირვ. სტერლ. ზედმეტ ღირებულებას მიემატებოდა კიდევ 4 გირვ. სტერლინგი. ორივე შემთხვევაში წარმოებულია ნართის თანაბარი რაოდენობანი, და ღირებულება როგორც ერთი, ისე მეორე რაოდენობისა თანაბარია, ე. ი. ეს რაოდენობანი შრომის თანაბარი ერთობლივი რაოდენობანია; მაგრამ შრომის ეს თანაბარი ერთობლივი რაოდენობანი ამოქმედებულია არატოლდიდი კაპიტალების მიერ, თუმცა ხელფასი იგივეა; პირიქით, სამუშაო დღეები თავიანთი სიდიდით ფუთანაბრონი არიან, და ა მ ი ტ ო მ ფასგადაუხდელი შრომის რაოდენობანი სხვადასხვაა. თუ ცალკეულ გირვანქა ნართს განვიხილავთ, მასზე დახარჯული ხელფასის რაოდენობა, ანუ ფ ა ს გ ა დ ა ხ დ ი ლ ი შრომის რაოდენობა, რასაც იგი შეიცავს, არათანაბარია. იგივე ხელფასი აქ ნაწილდება საქონელთა უფრო მეტ მასაზე არა იმიტომ, რომ შრომა ერთ შემთხვევაში უფრო ნაყოფიერია, ვიდრე მეორეში, არამედ იმიტომ, რომ ამოქმედებული ფასგადაუხდელი შრომის ერთობლივი მასა ერთ შემთხვევაში მეტია, ვიდრე მეორეში. ამიტომ ფ ა ს გ ა დ ა ხ დ ი ლ ი შრომის ი მ ა ვ ე რაოდენობის მეშვეობით ერთ შემთხვევაში იწარმოება მეტი გირვანქა ნართი, ვიდრე მეორეში, თუმცა სულ ორივე შემთხვევაში ნართის თანაბარი რაოდენობანი იწარმოება და ისინი ერთობლივი შრომის (ფასგადახდილის და ფასგადაუხდელის) თანაბარ რაოდენობებს წარმოადგენენ. თუ, პირიქით, შრომის ნაყოფიერება მეორე შემთხვევაში გადიდდებოდა, მაშინ ყველა გარემოებაში (როგორც არ უნდა ყალიბდებოდეს ზედმეტი

ღირებულების შეფარდება ცვალებად კაპიტალთან) გირვანქა ნართის ღირებულება დაეცემოდა.

მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ რადგან მოცემულია გირვანქა ნართის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, რაც 1 შილ. $3^3/_5$ პენსს შეადგენს, მოცემულია, შემდეგ, მიმატებული შრომის ღირებულება, რაც $3^3/_5$ პენსს უდრის, და რადგან ხელფასი, ვარაუდის თანახმად, იგივეა, ე. ი. აუცილებელი ს ა მ უ შ ა ო დ რ ო უცვლელი რჩება, — ამიტომ ზედმეტი ღირებულება იგივე უნდა იყოს, და ორი კაპიტალი, სხვა თანაბარ პირობებში, ერთნაირი მოგებით უნდა აწარმოებდეს ნართს. ეს იქნებოდა სწორი, საქმე, რომ ერთ გირვანქა ნართს შეეხებოდეს, მაგრამ აქ ლაპარაკია ისეთ კაპიტალზე, რომელმაც $1866^2/_3$ გირვანქა ნართი აწარმოვა. იმის გასაგებად კი, თუ რა სიდიდისაა ამ კაპიტალის მიერ ერთი გირვანქა ნართიდან მიღებული მოგება (ე. ი., არსებითად, ზედმეტი ღირებულება), ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა სიდიდისაა სამუშაო დღე, ან ფასგადაუხდელი შრომის რა რაოდენობა (არსებული მწარმოებლობის პირობებში) მოჰყავს მოძრაობაში კაპიტალს. მაგრამ ცალკეული საქონლიდან ამის დანახვა შეუძლებელია.

ამრიგად, რიკარდო იკვლევს მხოლოდ იმას, რასაც მე შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ვუწოდე. იგი გამოდის იმ წანამძღვრიდან (რომლიდანაც, ეტყობა, გამოდიოდნენ ავრეთვე სმიტი და მისი წინამორბედნიც), რომ ს ა მ უ შ ა ო დ ღ ი ს ს ი დ ი დ ე მ ო ც ე მ უ ლ ი ა. (სმიტი, სულ დიდი, შრომის ს ხ ვ ა - დ ა ს ხ ვ ა დარგებში სამუშაო დღის სიდიდის ისეთ განსხვავებებს იხსენიებს, რომლებიც ბათილდებიან — ანდა ანაზღაურდებიან — შეფარდებით შრომის მეტი ინტენსივობით, შრომის სიძნელით, მისი აუტანელი ხასიათით და ა. შ.) ამ წანამძღვრიდან გამოსული, რიკარდო ზოგადად სწორად აშუქებს შეფარდებითს ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ ვიდრე მისი გამოკვლევის ძირითად პუნქტებზე ვილაპარაკებდეთ, მოვიყვანთ კიდევ რიკარდოსეული კონცეფციის დამახასიათებელ რამდენიმე ციტატს.

«ერთი მილიონი კაცის შრომა მრეწველობაში ყოველთვის აწარმოებს ე რ თ ს ა დ ა ი მ ა ვ ე ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, მაგრამ იგი ყოველთვის როდი აწარმოებს ერთსა და იმავე სიმდიდრეს» (ციტირ. თხზ., გვ. 320).

ეს ნიშნავს, რომ მათი ერთი დღის შრომის პროდუქტი ყოველთვის იქნება ერთი მილიონი სამუშაო დღის პროდუქტი, ე რ თ ი დ ა ი მ ა ვ ე სამუშაო დროის შემცველი, ეს კი არაა სწორი ანდა

შეიძლებოდა სწორი გამომდგარიყო იმ შემთხვევაში, თუ ყველგან დამყარდებოდა ერთი და იგივე ნორმალური სამუშაო დღე და გათვალისწინებული იქნებოდა სიძნელეთა და ა. შ. სხვადასხვა ხარისხი შრომის სხვადასხვა დარგში.

მაგრამ მაშინაც კი ეს დებულება იმ ზოგადი ფორმით, რომლითაც იგი აქ არის გამოთქმული, მცდარია. დავუშვათ, რომ ნორმალური სამუშაო დღე უდრის 12 საათს. დავუშვათ, რომ ერთი კაცის წლიური შრომის პროდუქტი, თუ მას ფულით გამოვხატავთ, 50 გირვ. სტერლინგს უდრის და რომ ფულის ღირებულება უცვლელი რჩება. ამ შემთხვევაში 1 მილიონი კაცის შრომის პროდუქტი ყოველთვის უნდა უდრიდეს 50 მილიონ გირვ. სტერლინგს წელიწადში. ვთქვათ, აუცილებელი შრომა უდრის 6 საათს. მაშინ ამ 1 მილიონ კაცზე დახარჯული კაპიტალი წელიწადში შეადგენს 25 მილიონ გირვ. სტერლინგს. ზედმეტი ღირებულება ასევე უდრის 25 მილიონ გირვ. სტერლინგს. პროდუქტი ყოველთვის შეადგენდა 50 მილიონს, მიუხედავად იმისა, მუშები 25, 30 მილიონს ღებულობენ თუ 40 მილიონს. მაგრამ ზედმეტი ღირებულება პირველ შემთხვევაში იქნებოდა 25 მილიონი, მეორეში — 20 მილიონი, მესამეში კი — 10 მილიონი. ავანსებული კაპიტალი რომ მხოლოდ ცვალებადი კაპიტალისაგან შედგებოდეს, ე. ი. მხოლოდ ამ მილიონი კაცის ხელფასზე დახარჯული კაპიტალისაგან, მაშინ რიკარდო მართალი იქნებოდა. იგი იქნებოდა მართალი, მაშასადამე, მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სახელდობრ: თუ მთელი კაპიტალი ცვალებადი კაპიტალის ტოლი იქნებოდა, — ეს წანამძღვარი გასდევს წითელ ზოლად როგორც რიკარდოს მთელ გამოკვლევას, ისე ა. სმიტის გამოკვლევასაც, [660] რომდენადაც ეს უკანასკნელი მთელი საზოგადოების კაპიტალზე ლაპარაკობს; მაგრამ კაპიტალისტური წარმოების პირობებში საქმის ასეთი ვითარება არც ერთ მის ცალკეულ დარგში არ არსებობს, არ არსებობს იგი, მით უმეტეს, არც მთლიანად აღებულ საზოგადოებრივ წარმოებაში.

მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც შრომის პროცესში შედის, მაგრამ ღირებულების ზრდის პროცესში არ შედის, არც პროდუქტში (პროდუქტის ღირებულებაში) შედის, და ამიტომ, რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის გათვალისწინება მოგების საერთო ნორმის განსაზღვრისას, იგი სრულებით არ გვაინტერესებს აქ, სადაც ლაპარაკია წლიური პროდუქტის ღირებულებაზე. სხვაგვარი მდგომარეობაა მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილს

მიმართ, რომელიც წლიურ პროდუქტში შედის. ჩვენ დავინახეთ, რომ მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის ერთი ნაწილი — ანუ ის, რაც წარმოების ერთ სფეროში მუდმივ კაპიტალად გვევლინება, — მეორე სფეროში, ერთი დაიმავე წლიური წარმოების პერიოდის მანძილზე, გვევლინება როგორც შრომის უშუალო პროდუქტი; რომ, მაშასადამე, ყოველწლიურად დასახარჯი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ცალკეული კაპიტალისტის ან წარმოების განსაკუთრებული სფეროს თვალსაზრისით გვევლინება როგორც მუდმივი კაპიტალი, მთელი საზოგადოების ან კაპიტალისტთა მთელი კლასის თვალსაზრისით ცვალებად კაპიტალზე დაიყვანება. მაშასადამე, ამ ნაწილს შეიცავს აღნიშნული 50 მილიონი, ამ 50 მილიონის ის ნაწილი, რომელიც ქმნის ცვალებად კაპიტალს, ანუ იხარჯება ხელფასზე.

მაგრამ სხვაგვარადაა საქმის ვითარება მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც მოიხმარება მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში გამოყენებული მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებლად, წარმოების იმ დარგებში დაბანდებული მუდმივი კაპიტალის მოხმარებული ნაწილის მიმართ, რომლებიც აწარმოებენ მუდმივ კაპიტალს — ნედლეულს მისი პირველადი ფორმით, ძირითად კაპიტალს და დამხმარე მასალას. მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის ღირებულება ხელახლა გვევლინება, იკვლავწარმოება პროდუქტში. და ამ ღირებულების არსებულ სიდიდეზეა (იგულისხმება, რომ შრომის ნაყოფიერება უცვლელი დარჩა; მაგრამ როგორც არ უნდა იცვლებოდეს იგი, ამ ღირებულებას მუდამ ესა თუ ის გარკვეული სიდიდე აქვს) დამოკიდებული მთლიანად ის, თუ რა პროპორციით შედის იგი მთელი პროდუქტის ღირებულებაში. (საშუალოდ, თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ ზოგიერთ გამონაკლისს სოფლის მეურნეობაში, ამ მუდმივი კაპიტალის სიდიდეზე, რომელიც წარმოების წანამძღვარს წარმოადგენს, იქნება, რა თქმა უნდა, დამოკიდებული აგრეთვე პროდუქტების მასაც, ე. ი. ერთი მილიონი კაცის მიერ წარმოებული სიმდიდრის მასა, იმ აზრით, რა აზრითაც რიკარდო სიმდიდრეს ღირებულებისაგან განასხვავებს.) პროდუქტის ღირებულების ეს ნაწილი არ იარსებებდა ერთი მილიონი კაცის ახალი წლიური შრომის გარეშე. მეორე მხრივ, ერთი მილიონი კაცის შრომა ვერ მოგვცემდა პროდუქტის იმავე მასას მათი წლიური შრომისაგან დამოუკიდებლად არსებული ამ მუდმივი კაპიტალის გარეშე. აღნიშნული მუდმივი კაპიტალი, წარმოების პირობის სახით, შედის შრომის პროცესში, მაგ-

რამ მთელი წლიური პროდუქტის ღირებულების ამ ნაწილის კვლავწარმოებისათვის არც ერთი საათით მეტი შრომა არ იხარჯება. ამრიგად, როგორც ღირებულება, ეს ნაწილი არ არის წლიური შრომის შედეგი, თუმცა ამ წლიური შრომის გ ა რ ე შ ე მისი კვლავწარმოება პროდუქტში შეუძლებელი იქნებოდა.

დავუშვათ, რომ მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც პროდუქტში შედის, უდრის 25 მილიონს. მაშინ ერთი მილიონი კაცის პროდუქტის ღირებულება იქნება 75 მილიონი. თუ პროდუქტში შემავალი ნაწილი მუდმივი კაპიტალისა 10 მილიონი იქნებოდა, მაშინ ამ პროდუქტის ღირებულება იქნებოდა მხოლოდ 60 მილიონი, და ა. შ. ხოლო რადგან კაპიტალისტური განვითარების პროცესში მუდმივი კაპიტალის შეფარდება ცვალებადთან იზრდება, ამიტომ ერთი მილიონი კაცის წლიური პროდუქტის ღირებულებას ტენდენცია აქვს — მუდამ იზრდებოდეს იმ წარსული შრომის ზრდის პროპორციულად, რომელიც მონაწილეობს როგორც ფაქტორი ამ მილიონი კაცის წლიურ საწარმოო საქმიანობაში. უკვე აქედან ჩანს, რომ რიკარდოს არ შეეძლო გაეგო არც დაგროვების არსი, არც მოგების ბუნება.

ცვალებად კაპიტალთან მუდმივი კაპიტალის შეფარდების ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთვე შრომის ნაყოფიერებაც, იზრდება ადამიანების მიერ წარმოებული მწარმოებლური ძალები, რომელთა მეოხებითაც საზოგადოებრივი შრომა მოქმედებს. მართალია, შრომის ნაყოფიერების ,ამავე გადიდების გამო არსებული მუდმივი კაპიტალის ნაწილი მუდამ უფასურდება, რამდენადაც მისი ღირებულება განისაზღვრება არა იმ სამუშაო დროით, რაც იგი თავდაპირველად ღირდა, არამედ იმ სამუშაო დროით, რაც მის კვლავწარმოებაზე უნდა დაიხარჯოს, ეს სამუშაო დრო კი მუდამ მცირდება შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან ერთად. ამიტომ, თუმცა მუდმივი კაპიტალის ღირებულება მისი მასის პროპორციულად არ იზრდება, მაგრამ იგი მაინც იზრდება, ვინაიდან მუდმივი კაპიტალის მასა კიდევ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი ღირებულება ეცემა. მაგრამ რიკარდოს შეხედულებებს დაგროვებაზე ჩვენ შემდეგში დავუბრუნდებით.

ყოველ შემთხვევაში, უკვე აქ ნათელია, რომ, როცა მოცემულია სამუშაო დღე, ერთი მილიონი კაცის წლიური შრომის პროდუქტის ღირებულება მეტად განსხვავებული აღმოჩნდება პროდუქტში შემავალი მუდმივი კაპიტალის მასათა სხვაობის მიხედვით და რომ, მიუხედავად შრომის ნაყოფიერების ზრდისა, ეს ღირებულება უფრო მე-

ტი იქნება იქ, სადაც მუდმივი კაპიტალი ერთობლივი კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ვიდრე ისეთ საზოგადოებრივ პირობებში, სადაც ის ერთობლივი კაპიტალის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს. ამიტომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების პროგრესთან ერთად, რასაც თან ახლავს — როგორც ეს სინამდვილეში ხდება — მუდმივი კაპიტალის ზრდა, შრომის მთელი წლიური პროდუქტის შეფარდებით სულ უფრო დიდი ნაწილი მოუწევს კაპიტალს, როგორც ასეთს, და, მაშასადამე, კაპიტალისტური საკუთრება (რომ აღარა ვთქვათ რა კაპიტალისტების შემოსავალზე) სულ უფრო გადიდდება, ხოლო ღირებულების იმ ნაწილის წილი კი, რომელსაც ცალკეული მუშისა და თვით მთელი მუშათა კლასის [ახლად მიმატებული შრომა] ქმნის, სულ უფრო მცირდება [661] მათი წარსული შრომის იმ პროდუქტთან შედარებით, რომელიც მათ უპირისპირდება კაპიტალის სახით. აქიტომ მუდამ იზრდება დაშორება და დაპირისპირებულობა სამუშაო ძალასა და შრომის ობიექტურ პირობებს შორის, რომელთაც კაპიტალში ჰპოვეს განკერძოებული თავისთავადი არსებობა. (ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ ცვალებად კაპიტალზე, წლიური შრომის პროდუქტის იმ ნაწილზე, რომელიც საჭიროა მუშათა კლასის კვლავწარმოებისათვის; მაგრამ მუშათა კლასის ეს საარსებო საშუალებანიც კი უპირისპირდება მას როგორც კაპიტალი.)

რიკარდოს შეხედულება, რომ სამუშაო დღე მ ო ც ე მ უ ლ ი, ზ ღ ვ ა რ დ ე ბ უ ლ ი, ფ ი ქ ს ი რ ებ უ ლ ი ს ი დ ი დ ე ა, გამოთქმულია აგრეთვე მისი წიგნის სხვა ადგილებშიც, მაგალითად:

«მათ» (ხელფასსა და კაპიტალს მოგებას), «ე რ თ ა დ ა ღ ე ბ უ ლ ი, მუდამ ე რ თ ი და ი გ ი ვ ე ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ა ქ ვ თ» (ციტირ. თხზ., გვ. 499, თავი 32-ე: «მალთუსის შეხედულებანი რენტაზე»).

სხვა სიტყვებით ეს ნიშნავს მხოლოდ შემდეგს: სამუშაო დრო (სამუშაო დღე), რომლის პროდუქტიც ხელფასსა და კაპიტალის მოგებას შორის ი ყ ო ფ ა, მუდამ ე რ თ ი და ი გ ი ვ ე ა, მუდმივი სიდიდეა.

«ხელფასსა და მოგებას, ერთად აღებულნ, ე რ თ ი და ი გ ი ვ ე ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ა ქ ვ თ» (411, შენიშვნა).

არ მჭირდება აქ იმის გამეორება, რომ მოგების ნაცვლად აქ მუდამ უნდა წავიკითხოთ: ზედმეტი ღირებულება.

«ხელფასი და მოგება, ერთად აღებულნი, ყოველთვის შეადგენენ ერთსა და იმავე ღირებულებასა» (გვ. 490 — 491).

«ხელფასის შეფასება უნდა ხდებოდეს მისი რეალური ღირებულების მიხედვით, ე. ი. შრომისა და კაპიტალის იმ რაოდენობის მიხედვით, რაც მის წარმოებას მოხმარდა, და არა მისი ნომინალური ღირებულების მიხედვით, სულ ერთია სერთუკებით იქნება იგი გამოხატული, ქუდებით, ფულით თუ ხორბლით» (თავი 1-ლი: «ღირებულების შესახებ», გვ. 50).

იმ საარსებო საშუალებათა ღირებულება, რომელთაც მუშა ღებულობს (რომელთაც იგი თავის ხელფასით ყიდულობს), — ხორბლის, ტანსაცმლის და ა. შ. ღირებულება — განისაზღვრება ერთობლივი სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა მათი წარმოებისათვის: როგორც უშუალო შრომის რაოდენობით, ისე გასაგნობრივებული შრომის რაოდენობითაც, რაც მათ საწარმოებლადაა საჭირო. მაგრამ რიკარდოს არევ-დარევა შეაქვს საკითხში იმით, რომ არ აყალიბებს მას წმინდა სახით და არ ამბობს: «მისი (ხელფასის) რეალური ღირებულება, ე. ი. ის ნაწილი სამუშაო დღისა, რომელიც საჭიროა მისი (მუშის) საკუთარ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულების კვლავწარმოებისათვის, იმ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ეკვივალენტის კვლავწარმოებისათვის, რაც მუშას ხელფასის სახით გადაუხადეს, ან მის შრომაზე გაცვალეს». «რეალური ხელფასი» უნდა განსაზღვრულიყო იმ საშუალო დროით, რომლის განმავლობაშიც მუშა ყოველდღიურად უნდა ხარჯავდეს თავის შრომას, რათა აწარმოოს და აკვლავწარმოოს თავისი საკუთარი ხელფასი. [რიკარდო კი იძლევა ასეთ ფორმულირებას:]

«მუშა მხოლოდ მაშინ ღებულობს ნამდვილად მაღალ ფასს თავის შრომაში, როცა თავისი ხელფასით შეუძლია იყიდოს შრომის უფრო მეტი რაოდენობის პროდუქტი» (გვ. 322).

4) შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება. [შეფარდებითი ხელფასის ანალიზი როგორც რიკარდოს მეცნიერული დამსახურება]

შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება — ეს, ფაქტიურად, ზედმეტი ღირებულების ერთადერთი ფორმაა, რომელსაც, მოგების სახელწოდებით, იკვლევს რიკარდო.

შრომის რაოდენობა, რაც საჭიროა საქონლის საწარმოებლად და რასაც იგი შეიცავს, განსაზღვრავს საქონლის ღირებულებას, რომე-

ლიც ამის გამო მ ო ც ე მ უ ლ ი, გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი სიდიდ ე ა. ეს სიდიდე ნაწილდება დაქირავებულ მუშასა და კაპიტალისტს შორის. (რიკარდო, ისევე როგორც სმიტი, არ ითვალისწინებს აქ მუდმივ კაპიტალს.) ცხადია, რომ ერთის წილი შეიძლება იზრდებოდეს ან ეცემოდეს მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ეცემა ან იზრდება მეორის წილი. რადგან საქონელთა ღირებულება თავის წარმოშობას მუშების შრომას უნდა უმადლოდეს, ამიტომ ყველა გარემოებაში წანამძღვარს წარმოადგენს თვით ეს შრომა, ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია უიმისოდ, თუ მუშამ არ იცოცხლა და არ შეინარჩუნა თავისი არსებობა, მაშასადამე, თუ არ მიიღო აუცილებელი ხელფასი (მინიმუმი ხელფასისა, რომელიც გაიგივებულია სამუშაო ძალის ღირებულებასთან). ამრიგად, ხელფასი და ზედმეტი ღირებულება — ეს ორი კატეგორია, რომლებადაც, რიკარდოს თანახმად, საქონლის ღირებულება ან თვით პროდუქტი დაიყოფა, — არა მარტო შებრუნებულ შეფარდებაშია ერთიმეორესთან, არამედ, როგორც ირკვევა, პირველადი, განმსაზღვრელი მომენტი ხელფასის მოძრაობაა. მისი გადიდება ან დაცემა უკუმოძრაობას იწვევს მოგების (ზედმეტი ღირებულების) მხარეზე. ხელფასი იზრდება ან ეცემა არა იმიტომ, რომ ეცემა ან იზრდება მოგება (ზედმეტი ღირებულება), არამედ პირიქით, ზედმეტი ღირებულება (მოგება) ეცემა ან იზრდება იმიტომ, რომ იზრდება ან ეცემა ხელფასი. ზ ე დ მ ე ტ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი (არსებითად, უნდა გვეთქვა: ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა), რომელიც რჩება მას შემდეგ, რაც მუშამ მისი საკუთარი შრომით შექმნილი წლიური პროდუქციიდან თავისი წილი მიიღო, შეადგენს იმ სუბსტანციას, რომლის ხარჯზეც ცხოვრობს კაპიტალისტთა კლასი.

რადგან საქონელთა ღირებულება მათში მოთავსებული შრომის რაოდენობით განისაზღვრება, ხელფასი და ზედმეტი ღირებულება (მოგება) კი მხოლოდ წ ი ლ ი ა, პროპორციებია, რომელთა მიხედვითაც მწარმოებელთა ორი კლასი საქონლის ღირებულებას ერთმანეთს შორის ინაწილებს, ამიტომ ცხადია, რომ თუმცა ხელფასის გადიდება ან დაცემა განსაზღვრავს ზედმეტი ღირებულების ნორმას (რიკარდოსათვის — მოგების ნორმას), მაგრამ იგი გავლენას არ ახდენს საქონლის ღირებულებაზე ან მის ფასზე (რომელიც საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატულებაა). იმ პროპორციის მეოხებით, რომლითაც გაყოფის ორ მონაწილეს შორის მთელი განაწილდება, თვით ეს მთელი არ ხდება არც უფრო დიდი, არც უფრო პატარა. მაშასადამე, მცდარი ცრურწმენაა, თითქოს ხ ე ლ ფ ა ს ი ს

გადიდება ადიდებს საქონელთა ფასებს; იგი იწვევს მხოლოდ მოგების (უნდა ითქვას: ზედმეტი ღირებულების) დაცემას. რიკარდოს მიერ მოყვანილი გამონაკლისებიც კი, როცა ხელფასის გადიდებას თითქოს ის მოსდევს, რომ ზოგიერთი საქონლის საცვლული ღირებულება ეცემა, ზოგიერთისა კი იზრდება, არ შეესაბამება სინამდვილეს, თუ ღირებულებებზე ვილაპარაკებთ, და სწორია მხოლოდ ხარჯთფასების მიმართ.

[662] რადგან ზედმეტი ღირებულების (მოგების) ნორმა ხელფასის შეფარდებითი სიმაღლით განისაზღვრება, რითღა განისაზღვრება ეს უკანასკნელი? თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ კონკურენციას, ხელფასი განისაზღვრება აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასით. ეს ფასი კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერებაზე, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო ნაყოფიერია ნიადაგი (ამასთან რიკარდო გულისხმობს კაპიტალისტურ წარმოებას). ყოველი «ბუმჯობესება» აცილრებს საქონელთა. საარსებო საშუალებათა ფასს. ამრიგად, ხელფასი, ანუ «შრომის ღირებულება», იზრდება ან ეცემა შებრუნებული შეფარდებით შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებასთან, რამდენადაც შრომა მუშათა კლასის ჩვეულებრივ მოხმარებაში შემავალ აუცილებელ საარსებო საშუალებებს აწარმოებს. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების (მოგების) ნორმა ეცემა ან იზრდება პირდაპირი შეფარდებით შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებასთან, რადგან ეს განვითარება აცილრებს ან ადიდებს ხელფასს.

მოგების (ზედმეტი ღირებულების) ნორმა არ შეიძლება ეცემოდეს ხელფასის გაუდიდებლად და არ შეიძლება დიდდებოდეს ხელფასის შეუმცირებლად.

ხელფასის ღირებულება უნდა ფასდებოდეს არა საარსებო საშუალებათა იმ რაოდენობის მიხედვით, რასაც მუშა იღებს, არამედ შრომის იმ რაოდენობის მიხედვით, რაც ეს საარსებო საშუალებანი ღირს (სინამდვილეში, სამუშაო დღის იმ ნაწილის მიხედვით, რომელსაც მუშა ითვისებს), იმ პროპორციული წილის მიხედვით, რომელსაც მუშა ღებულობს ერთობლივი პროდუქტიდან ანუ, უფრო სწორად, ამ პროდუქტის ერთობლივი ღირებულებიდან. შესაძლოა, რომ მუშის ხელფასი, სახმარი ღირებულებებით (საქონლის ან ფულის გარკვეული რაოდენობით) შეფასებული, იზრდება (შრომის მზარდი ნაყოფიერების დროს) და მიუხედავად ამისა ღირებულების მიხედვით — ეცემა, და პირიქით. რიკარდოს ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა შეფარდებითი, ანუ პროპორციული, ხელფასის

ანალიზი და დადგენა მისი როგორც კატეგორიისა. რიკარდომდე ხელფასი ყოველთვის განიხილებოდა მხოლოდ შეუფარდებლად, მუშა კი ამიტომ განიხილებოდა როგორც ცხოველი. აქ კი იგი განიხილება მის საზოგადოებრივ ურთიერთობაში. კლასების მდგომარეობა ერთიმეორის მიმართ გაპირობებულია უფრო მეტად შეფარდებითი ხელფასით, ვიდრე მისი აბსოლუტური სიდიდით.

ზემოთ ჩამოყალიბებულ დებულებათა დასამტკიცებლად მოგვყავს ახლა ციტატები რიკარდოდან.

«ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ირმისა, მონადირის ე რ თ ი დ ღ ის შ რ ომ ის პ რ ო დ უ ქ ტ ისა, ზუსტად ტოლი იქნებოდა თევზის, მეთევზის ე რ თ ი დ ღ ის შ რ ომ ის პ რ ო დ უ ქ ტ ის ღირებულებისა. თევზისა და ნადირის შედარებითი ღირებულება მთლიანად რეგულირებული იქნებოდა ორივეში რეალიზებული შრომის რიოდენობით, სულ ერთია რ ო გ ო რ ი ც ე ბ ი ს უ ნ დ ა ი ყ ო ს პ რ ო დ უ ქ ც ი ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ანდა როგორი მ ი ღ ი ღ ი ი ნ დ ა ბ ა ლ ი ც ა რ უ ნ დ ა ი ყ ო ს ჩ ვ ე უ ლ ებ რ ივ ი ხ ე ლ ფ ა ს ი ი ნ მ ო გ ვ ე ბ ა. თუ... მეთევზე... ქირაობს ათ კაცს, რომელთა წლიური შრომა 100 გირვ. სტერლ. ღიის და რომლებიც ე რ თ დ ღ ე შ ი თ ა ვ ი ა ნ თ ი შ რ ომ ი ს ო ე ბ ი ს ; თუ... მონადირეც ასევე ქირაობს ათ კაცს, რომელთა წ ლ ი უ რ ი შ რ ომ ა 100 გირვ. სტერლ. ღიის და რომლებიც ე რ თ დ ღ ე შ ი მას ათ ირემს მიჰვვრიან, მაშინ ირმის ბუნებრივი ფასი იქნებოდა ორი ორაგული, რაც უნდა დიდი ან მცირე იყოს მ თ ე ლ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ი ს წ ი ლ ი, რ ა ც მ ი ს მ ო მ ბ ო ვ ე ბ ე ლ ა დ ა მ ი ა ნ ებ ს უ წ ვ ს. ხ ე ლ ფ ა ს ი ს სახით გადახდილ წ ი ლ ს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მ ო გ ვ ე ბ ი ს საკითხისათვის; ვინაიდან იმითვითვე ცხადია, რომ მოგება მაღალია ან დაბალი ზუსტად იმის შესაბამისად, დაბალი თუ მაღალია ხელფასი. მაგრამ თევზისა და ნადირის შეფარდებითს ღირებულებაზე ამას არ შეეძლო არავითარი გავლენის მოხდენა, რადგან ხელფასი ორივე ამ მოსაქმეობის დარგში ერთდროულად იქნებოდა მაღალი ან დაბალი» (თავი 1-ლი: «ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს შ ე ს ა ხ ებ ». გვ. 20 — 21).

ჩვენ ვხედავთ, რომ რიკარდოს საქონლის მთელი ღირებულება გამოჰყავს წარმოებაში დასაქმებულ ადამიანთა შ რ ომ ი დ ან. მათი საკუთარი შრომა, ანუ ამ შრომის პროდუქტი, ანუ ამ პროდუქტის ღირებულება არის სწორედ ის, რაც მათსა და კაპიტალს შორის ნაწილდება.

«ხელფასის ვერავითარი ცვლილება ვერ გამოიწვევდა ამ საქონლთა შეფარდებითი ღირებულების ცვლილებას. ვინაიდან, თუ ვიგულისხმენთ, რომ ხელფასი გაიზარდა, მაშინ მოსაქმეობის ამ დარგებიდან არც ერთში არ იქნებოდა საჭირო შ რ ომ ის მ ე ტ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ა, თუმცა ამ შრომაში უ ფ რ ო დ ი დ ი ფ ა ს ი ი ქ ნ ებ ა გ ა დ ა ხ დ ი ლ ი.... ხელფასი შეიძლება გადიდდეს ოცი პროცენტით, მოგება კი შეიძლება ამის გამო დაეცეს მეტი თუ ნაკლები ოდენობით და ამან არ გამოიწვიოს არავითარი ცვლილება ამ საქონლთა შეფარდებითს ღირებულებაში» (იქვე, გვ. 23).

«შრომის ღირებულების გადიდება შეუძლებელია მოგების დაცემის გარეშე. თუ ხორბალი გასანაწილებელია ფერმერსა და მუშას შორის, მაშინ რაც უფრო მეტია უკანასკნელის წილი, მით უფრო ნაკლები რჩება პირველისათვის. ზუსტად ასევე, თუ მაუდი ან ბამბეულის საქონელი ნაწილდება მუშასა და მის დამქირავებელს შორის, მაშინ რაც უფრო მეტია პირველის წილი, მით უფრო ნაკლები რჩება უკანასკნელისათვის» (იქვე, გვ. 31).

[663] «ადამ სმიტი და ყველა მომდევნო მწერალი, გამოუკლებლივ, რამდენადაც ვიცი, ამტკიცებდნენ, რომ შრომის ფასის გადიდება აუცილებლად გამოიწვევდა ყველა საქონლის ფასის გადიდებას. ვფიქრობ, მე შევძელი მეჩვენებინა, რომ ასეთი შეხედულებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს» (იქვე, გვ. 45).

«ხელფასის გადიდება იმ გარემოების შედეგად, რომ მუშა ღებულობს უფრო უხვ გასამრჯელოს, ანდა იმის გამო, რომ არსებობს გარკვეული სიძნელეები იმ პირველი საჭიროების საგნების წარმოებაში, რომლებზეც ხელფასი იხარჯება, არ იწვევს, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა, ფასების გადიდებას, მაგრამ დიდ გავლენას იხდენს მოგებაზე მისი შემცირების მიმართულებით». სხვავვარადაა საქმის ვითარება, როცა ხელფასის გადიდება ხდება «ფულის ღირებულების ცვლილებას» გამო. «ერთ შემთხვევაში» { სახელდობრ, ხსენებული შემთხვევებიდან უკანასკნელში } «მუშების შენახვაზე არ იხარჯება ქვეყნის წლიური შრომის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი; მეორე შემთხვევაში კი — იხარჯება» (იქვე, გვ. 48).

[663] «სახორდოსა და სხვა პირველი საჭიროების საგანთა ფასების გადიდებასთან ერთად გადიდდება აგრეთვე შრომის ბუნებრივი ფასიც; მათი ფასების დაცემასთან ერთად შრომის ბუნებრივი ფასი დაეცემა» (ციტირ. თხზ., გვ. 86).

«ზედმეტი პროდუქტი, რომელიც არსებული მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ რჩება, აუცილებლად წარმოებისა ადგილის პროპორციული უნდა იყოს, ე. ი. მით უფრო მეტი, რაც უფრო ნაკლებია წარმოებაში დასაქმებულ პირთა რიცხვი» (გვ. 93).

«არც ფერმერი, რომელიც ფასის მარეგულირებელი თანრიგის მიწას ამუშავებს, და არც მრეწველი, რომელიც სამრეწველო საქონელს აწარმოებს, არ გაიღებს თავისი პროდუქტის არც ერთ ნაწილს რენტის გადასახდელად. მათი საქონლის მთელი ღირებულება იყოფა მხოლოდ ორ ნაწილად: ერთი შეადგენს მოგებას, მეორე — ხელფასს» (გვ. 107).

«დავუშვათ, რომ ფასი აბრეშუმის, ხავერდის და ყოველი სხვა საქონლისა, რომელთაც მუშა არ მოითხოვს, გაიზარდა იმის გამო, რომ საჭიროა მათზე მეტი შრომის დახარჯვა. მოახდენს თუ არა ეს გავლენას მოგებაზე? რასაკვირველია, არა, რადგან, გარდა ხელფასის გადიდებისა, მოგებაზე არაფერს არ შეუძლია გავლენა იქონიოს; აბრეშუმი და ხავერდი არაა მუშების მოხმარების საგანი და ამიტომ მათი ფასის გადიდებას არ შეუძლია ხელფასის გადიდება» (გვ. 118).

«თუ 10 მუშის შრომა გარკვეული ხარისხის მიწაზე იძლევა 180 კვარტერ ხორბალს, რომლის ღირებულებაც — კვარტერზე 4 გირვ. სტერლ. კვალობაზე — სულ 720 გირვ. სტერლინგს შეადგენს (გვ. 110),.. მაშინ ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე თანხა 720 გირვ. სტერლინგის რაოდენობით უნდა განაწილდეს ხელ-

ფასსა და მოგებას შორის... გადიდდება თუ დაეცემა ხელფასი ან მოგება, ერთიც და მეორეც უნდა აღებულ იქნეს ამ თანხიდან — 720 გირვ. სტერლინგიდან. ერთი მხრივ მოგება არასოდეს არ შეიძლება გადიდდეს იმდენად, რომ ამ 720 გირვ. სტერლინგიდან შთანთქას ისე დიდი ნაწილი, რომ დარჩენილი რაოდენობა აღარ იყოს საკმარისი აბსოლუტურად აუცილებელი საჭიროების საგნებით მუშების უზრუნველსაყოფად; მეორე მხრივ, ხელფასი ვერასოდეს ვერ აიწევს ისე მაღლა, რომ ამ თანხიდან აღარაფერი დარჩეს მოგებისათვის» (გვ. 13).

«მოგება დამოკიდებულია მაღალ ან დაბალ ხელფასზე, ხელფასი — აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასზე, აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასი კი დამოკიდებული უმთავრესად საზრდოს ფასზე, რადგან ყველა სხვა აუცილებელი საგნის რაოდენობა შეიძლება გადიდებულ იქნეს თითქმის უსაზღვროდ» (გვ. 119).

«თუმცა უფრო მეტი ღირებულება იწარმოება» (ნიადაგის გაუარესებისას), «ძველად საშალიერად უფრო დიდი ნაწილი იმისა, რაც ამ ღირებულებიდან რჩება რენტის გადახდის შემდეგ, მოიხმარება მწარმოებლების მიერ» { რიკარდო აიგივეს აქ მუშებსა და მწარმოებლებს }, «ეს კი, და მხოლოდ ეს, განსაზღვრავს მოგების ოდენობას» (გვ. 127).

«გაუმჯობესებათა არსებითი თვისებაა შემცირება შრომის რაოდენობისა, რომელიც საჭირო იყო წინათ საქონლის საწარმოებლად; ასეთ შემცირებას კი არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს უიმისოდ, თუ არ დაეცა საქონლის ფასი, ანუ მისი შეფარდებითი ღირებულება» (გვ. 70).

«შეამცირეთ ქუდების წარმოების ხარჯები და მათი ფასი საბოლოოდ დაეცემა მათი ახალი ბუნებრივი ფასის დონეზე, თუნდაც მათი მოთხოვნა გაორკეცდეს, გასამეცადეს ან გაოთხკეცდეს, შეამცირეთ ადამიანისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოების ხარჯები სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭირო საჭმლისა და ტანსაცმლის ბუნებრივი ფასის შემცირების გზით და ხელფასი საბოლოოდ დაეცემა, მიუხედავად იმისა, რომ მუშების მოთხოვნა [664] შეიძლება ძლიერ გაიზარდოს» (გვ. 460).

«რაც უფრო ნაკლები უწევს ხელფასს, მით უფრო მეტი ვრჩება მოგებას, და პირიქით» (გვ. 500).

«ამ თხზულების ერთ-ერთი ამოცანა იყო მეჩვენებინა, რომ აუცილებელი საგნების ნამდვილი ღირებულების ყოველ დაცემასთან ერთად ეცემა ხელფასი და იზრდება კაპიტალის მოგება,—სხვა სიტყვებით, რომ ამ შემთხვევაში ყოველ მოცემული წლიური ღირებულებიდან ნაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი ხვდება მუშათა კლასს და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი იმათ, ვისი ფონდებიც სამუშაოს აძლევს ამ კლასს, იყენებს მას».

{მხოლოდ ამ უკანასკნელი ფრაზით, რაც მთლიანად შესულია ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში, რიკარდო, თუ ვერ ხვდება, გამოთქვამს მაინც კაპიტალის ბუნებას. დაგროვილი შრომა კი არ გამოიყენება მუშათა კლასის მიერ, თვით მუშების მიერ, არამედ «ფონდები», «დაგროვილი შრომა» «იყენებენ ამ კლასს». იყენებენ ახლანდელ, უშუალო შრომას. }

«დავუშვათ, რომ რომელიმე ფაბრიკაში წარმოებულ საქონლთა ღირებუ-

ლ ე ბ ა შეადგენს 1000 გირვ. სტერლინგს და რომ იგი ი ყ ო ფ ა მ ე წ ა რ მ ე-ს ა დ ა ს მ უშებს შორის» {ამ გამოთქმაშიც კვლავ აისახა კაპიტალის ბუნება: კაპიტალისტი არის მ ე წ ა რ მ ე. მუშები მ ი ს ი ნ მუშებია} «ისე, რომ მუშები ღებულობენ 800 გირვ. სტერლინგს, მეწარმე კი — 200 გირვ. სტერლინგს. თუ ამ საქონელთა ღირებულება 900 გირვ. სტერლინგამდე დაეცემოდა და 100 გირ. სტერლინგი დაიზოგებოდა ხელფასზე პირველი საჭიროების საგანთა ფასების შემცირების გამო, მაშინ მეწარმის წმინდა შემოსავალი სრულიად არ შემცირდებოდა» (გვ. 511 — 512).

«თუ მუშების ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოება შესაძლებელი გახდებოდა მანქანების გაუმჯობესების გამო ოთხჯერ უფრო ნაკლები შრომის დახარჯვით, ვიდრე ამჟამად მათი წარმოებისათვის არის საჭირო, მაშინ მათი ფასი, ალბათ, 75%-ით დაეცემოდა; მაგრამ აქედან ჯერ კიდევ სულაც არ გამომდინარეობს, რომ მუშას ამის გამო შესაძლებლობა ექნებოდა მუდამ მოეხმარა ოთხი ქუთუკი და ოთხი წყვილი ფეხსაცმელი ნაცვლად ერთისა; კონკურენციისა და მოსახლეობის გაძლიერებული ზრდის სტიმულის ზეგავლენით მისი ხ ე ლ ფ ა ს ი ხანმოკლე დროის განმავლობაში, ა ლ ბ ა თ, ი მ პ ი რ ვ ე ლ ი საჭ ი რ ო ვ ებ ი ს ს ა გ ა ნ თ ა ა ხ ა ლ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ი. გ ა ხ დ ე ბ ო დ ა, რომლებზეც იგი იხარჯება. თუ ასეთი გაუმჯობესებანი მუშის მოხმარებისათვის განკუთვნილ ყველა საგანზე გავრცელდებოდა, მაშინ უკვე რამდენიმე წლის შემდეგ, ალბათ, აღმოჩნდებოდა, რომ მუშის მოხმარების მოცულობა მხოლოდ უმნიშვნელოდ გადიდდა (თუ საერთოდ გადიდდა), თუმცა ამ საქონელთა საცვლელი ღირებულება, ყოველ სხვა საქონელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა და თუმცა ისინი ახლა შრომის ძლიერ შემცირებული რაოდენობის პროდუქტს წარმოადგენენ» (გვ. 8).

«როცა ხელფასი დიდდება, ეს მუდამ მოგების ხარჯზე ხდება, ხოლო როცა იგი ეცემა, მოგება მუდამ დიდდება» (გვ. 49).

«მთელი ამ თხზულების მანძილზე მე ვცდილობდი მეჩვენებინა, რომ მოგების ნორმა შეიძლება დიდდებოდეს მხოლოდ ხელფასის დაცემის გამო და რომ ამ უკანასკნელის ხანგრძლივი დაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ საუცილებელი საგნების ფასის დაცემის შედეგად, რომლებზეც ხელფასი იხარჯება. თუ ამიტომ, ს ა გ ა რ ე ო ვ ა ჭ რ ო ბ ი ს გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ე ს ან მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ე ს ვამო, საშელი და პირველი საჭიროების სხვა საგნები, რომლებიც მუშის მოხმარებაში შედიან, შეიძლება უფრო იაფ ფასში გავიტანოთ ბაზარზე, მაშინ მოგება გადიდდება. თუ ნაცვლად იმისა, რომ თვითონ მოვიყვანოთ ხორბალი, თვითონ დავიშაბდოთ ტანსაცმელი და პირველი საჭიროების საგნები, რაც მუშის მოხმარებაში შედის, აღმოვაჩენთ ახალ ბაზარს, საიდანაც ამ საქონელს უფრო იაფ ფასში მივიღებთ, მაშინ ხელფასი დაეცემა, მოგება კი გადიდდება; მაგრამ თუ საქონელი, რომელსაც — საგარეო ვაჭრობის გაფართოებისა და მანქანების გაუმჯობესების გამო — უფრო იაფ ფასში ვღებულობთ, მარტოოდენ მდიდრების მიერ მოიხმარება, მაშინ მოგების ნორმაში არავითარი ცვლილებები არ მოხდება. თუ ღვინის, ხავერდის, აბრეშუმისა და სხვა ძვირი საქონლის ფასი 50%-ით დაეცემა, ხელფასის ნორმაზე კი გავლენას არ იქონიებს, და, მაშასადამე, მოგება უცვლელი დარჩება.

ამრიგად, თუმცა საგარეო ვაჭრობა უაღრესად ხელსაყრელია ქვეყნისათვის, რადგან იგი ადიდებს ამ საგნების რაოდენობას და ნაირსახეობას, რომლებზეც

შეიძლება იხარჯებოდეს შემოსავალი, და საქონელთა სიუხვითა და სიიაფით ქმნის დაზოგვის სტიმულს» { და რატომ ხარჯვის სტიმულს არა? } და «კაპიტალის დაგროვების სტიმულს, მაგრამ მას სრულიად არა აქვს კაპიტალის მოგების გადიდების ტენდენციი, თუ შემოსავალი საქონელი არ ეკუთვნის იმ საქონელთა კატეგორიას, რომლებზეც მუშების ხელფასი იხარჯება.

საგრეთო ვაჭრობის შესახებ გაკეთებული შენიშვნები თანაბრად ეხება საშინაო ვაჭრობასაც. მოგების ნორმა არასდროს არ დიდდება».

{ სულ ახლახან რიკარდომ პირდაპირ საწინააღმდეგო თქვა; მას, ალბათ, მხედველობაში აქვს, რომ მოგების ნორმა არასოდეს არ დიდდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნულ გაუმჯობესებათა გამო შრომის ღირებულება მცირდება }

«შრომის უკეთესი განაწილების, მანქანების გამოგონების, გზებისა და არხების გაყვანის გამო და საქონელთა დამზადებისა ან გადაზიდვისათვის საჭირო შრომის შემცირების სხვა საშუალებათა გამო. ეს ის მიზეზებია, რომლებიც გავლენას ახდენენ საქონელთა ფასებზე და რომელთაც მუდამ დიდი სარგებლობა მოაქვთ მომხმარებლისათვის, რადგან ისინი შესაძლებლობას აძლევენ მომხმარებელთ გაცვლის წესით შრომის ისეთი რაოდენობაში ისეთი საქონლის უფრო მეტი რაოდენობა მიიღონ, რომლის წარმოებაშიც გაუმჯობესებანი გამოიყენება, მაგრამ ისინი, ეს მიზეზები, სრულიად არავითარ გავლენას არ ახდენენ მოგებაზე. მეორე მხრივ, მუშების ხელფასის ყოველგვარი [665] შემცირება ადიდებს მოგებას, მაგრამ არავითარ გავლენას არ ახდენს საქონელთა ფასზე. ერთი ხელსაყრელია ყველა კლასისათვის, იმიტომ რომ ყველა კლასი მომხმარებელია»

{ მაგრამ როგორ შეიძლება ეს ხელსაყრელი იყოს მუშათა კლასისათვის, როცა, რიკარდოს ვარაუდის თანახმად, ეს საქონელნი, თუ ისინი იმ საგნების რიცხვში შედიან, რომლებზეც ხელფასი იხარჯება, ამცირებენ ხელფასს, ხოლო თუ ისინი არ ამცირებენ ხელფასს თავიანთი გაიაფებით, მაშინ არც ხელფასით საყიდელ საგანთა რიცხვში შედიან? };

«მეორე ხელსაყრელია მხოლოდ მწარმოებელთათვის. ისინი მეტ მოგებას ღებულობენ, მაგრამ ყველა საგნის ფასები წინანდელი რჩება»

ამასთან, როგორაა ეს შესაძლებელი, თუ, რიკარდოს ვარაუდის თანახმად, მუშების ხელფასის შემცირება, რაც მოგებას ადიდებს, სწორედ იმიტომ ხდება, რომ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასი დაეცა, და, მაშასადამე, არასგზით არ შეიძლება ვთქვათ, რომ «ყველა საგნის ფასები წინანდელი რჩება». }

«პირველ შემთხვევაში ისინი იმდენსავე მოგებას ღებულობენ, რამდენსაც უწინ ღებულობდნენ, მაგრამ ყველა იმ საგნის საცვლელი ღირებულება» { ეს კვლავ მედარია; უნდა ეთქვა: ყველა საგნისა, აუცილებელ საარსებო საშუალებათა გარდა }, «რომლებზეც მათი ხელფასი იხარჯება, მცირდება» (გვ. 137 — 138).

ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი ეს ნაწყვეტი მეტად დაუდევრადაა დაწერილი. მაგრამ გარდა ამ ფორმალური ნაკლოვანებებისა ყოველივე ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ «მოგების ნორმის» ნაცვლად წავიკითხავთ «ზედმეტი ღირებულების ნორმა», ისევე როგორც მთელ ამ გამოკვლევაში შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების შესახებ. ფუფუნების საგნებისთვისაც კი აღნიშნულ გაუმჯობესებებს შეუძლიათ მოგების საერთო ნორმის გადიდება, რადგან მოგების ნორმა წარმოების ამ სფეროებში, ისევე როგორც სხვა სფეროებშიც, მონაწილეობს მოგების ყველა განსაკუთრებული ნორმის მოგების საშუალო ნორმასთან გათანაბრებაში. თუ ასეთ შემთხვევებში, აღნიშნული გავლენების გამო, მუდმივი კაპიტალის ღირებულება ეცემა შედარებით ცვალებად კაპიტალთან ანდა მოკლდება გადაბრუნების დროის ხანგრძლიობა (ე. ი. მიმოქცევის პროცესში ცვლილება ხდება), მაშინ მოგების ნორმა დიდდება. შემდეგ, საგარეო ვაჭრობის გავლენამ აქ რიკარდოს მსჯელობაში სრულიად ცალმხრივი გაგება მიიღო. კაპიტალისტური წარმოებისათვის არსებითია პროდუქტის განვითარება საქონლად, ეს კი არსებითად დაკავშირებულია ბაზრის გაფართოებასთან, მსოფლიო ბაზრის შექმნასთან და, მაშასადამე, საგარეო ვაჭრობასთან.

მაგრამ თუ ამას მხედველობის გარეშე დავტოვებთ, რიკარდო აყენებს სწორ დებულებას, რომ ყველა გაუმჯობესება, შრომის დანაწილებითაა ისინი გამოწვეული, მანქანების გაუმჯობესებით, ტრანსპორტის საშუალებათა გაუმჯობესებით თუ საგარეო ვაჭრობით, მოკლედ, ყველა საშუალება, რაც ძრეწველობაში ან საქონელთა გადაზიდვაში აუცილებელ სამუშაო დროს ამოკლებს, ადიდებს ზედმეტ ღირებულებას (მაშასადამე, მოგებასაც) და, ამრიგად, ამდიდრებს კაპიტალისტებს კლასს, რადგანაც და რამდენადაც ეს «გაუმჯობესებანი» შრომის ღირებულებას ამცირებენ.

დასასრულ ამ განყოფილებაში უნდა დავასახელოთ კიდევ რამდენიმე ადგილი, სადაც რიკარდო შეფარდებითი ხელფასის ბუნებას იკვლევს.

«თუ მე ერთი კვირით მუშის დაქირავება მჭირდება, და ათი შილინგის ნაცვლად, რვა შილინგს ვუხდი მას. ამასთან არავითარი ცვლილება ფულის ღირებულებაში არ მომხდარა, მაშინ შესაძლოა, რომ რვა შილინგით მუშა ახლა უფრო მეტ საკვებსა და სხვა პირველი საჭიროების საგნებს მიიღებს, ვიდრე უწინ ათი შილინგით ღებულობდა. მაგრამ ეს ხდება არა მ ი ს ი ნ ხ ე ლ ფ ა ს ი ს რ ე ა ლ უ რ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს გადიდების გამო, როგორც ამას ამტკიცებდა ა. სმიტი და ახლახან ბ-ნი მალთუსი, არამედ იმ საგნების ღირებულების დაცემის გამო, რომლებზეც მუშა თავის ხელფასს ხარჯავს, — ეს კი სრულიად სხვადასხვა რამაა. და მიუხედავად ამისა, რ ო ც ა მ ე ა მ ა ს ხ ე ლ ფ ა ს ი ს რ ე ა ლ უ რ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს დ ა ც ე მ ა ს ვ უ წ ო დ ე ბ, მეუბნებიან, რომ მე ვეხმაროს ახალ და უჩვეულო ტერმინოლოგიის, შეუთავსებელს მეცნიერების ჭეშმარიტ ბრძანებებთან» (ციტირ. თხზ., გვ. 11 — 12).

«სწორად მსჯელობს მოგების, რენტისა და ხელფასის ნორმაზე შეიძლება არა ამ პ რ ო დ უ ქ ტ ი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს მიხედვით, რომელსაც ესა თუ ის კლასი ღებულობს, არამედ შრომის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც საჭიროა ამ პროდუქტის საწარმოებლად. მანქანებისა და შიწათმოქმედების გაუმჯობესებათა მეოხებით მთელი პროდუქტი შეიძლება გაორკეცდეს; მაგრამ თუ ხელფასი, რენტა და მოგება ასევე ერთნაირად გაიზრდება, თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა სამივეს შორის წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი დ ა რ ჩ ებ ა, და არც ერთ მათგანზე არ შეიძლება ითქვას, რომ იგი შ ე ფ ა რ დ ებ ი თ შ ე ი ც ვ ა ლ ა. მაგრამ თუ ხელფასი არ მონაწილეობს სრულად ამ ზრდაში, თუ იგი, გაორკეცების ნაცვლად მხოლოდ სანახევროდ დიდდება, «მაშინ ასეთ შემთხვევაში, ჩემის აზრით, სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ... ხელფასი დაეცა, მაშინ როდესაც შოგება გადიდდა; ვინაიდან, პროდუქტის ღირებულების გასაზომად რომ ჩვენ უცვლელი მასშტაბი გვქონდეს, მაშინ ვნახავდით, რომ მუშათა კლასს ახლა ნაკლები ღირებულება ხვდება წილად, კაპიტალისტების კლასს კი — უფრო მეტი ღირებულება, ვიდრე უწინ ხვდებოდა» (გვ. 49).

«ხელფასის დაცემა იქნებოდა ნამდვილი დაცემა მიუხედავად იმისა, **რომ** მას» (ხელფასს) «შეუძლია ახლა მუშას უფრო მეტი იაფი საქონელი მისცეს, ვიდრე წინანდელი ხელფასი აძლევდა» (გვ. 49).

* * *

დ ე კ ვ ი ნ ს ი აღნიშნავს რიკარდოს მიერ განვითარებულ ზოგიერთ დებულებას და ამ დებულებებს უპირისპირებს სხვა ეკონომისტების შეხედულებებს:

«რიკარდოს წინამორბედ ეკონომისტებთან საქმის ვითარება ასეთი იყო: როცა მათ შეეკითხებოდნენ, რით განისაზღვრება ყველა საქონლის ღირებულება, პასუხობდნენ, რომ იგი განისაზღვრება უმთავრესად ხელფასით; როცა, შემდეგ, შეეკითხებოდნენ: რით განისაზღვრება ხელფასი? — განმარტავდნენ,

რომ ხელფასი უნდა შეესაბამებოდეს იმ საქონელთა ღირებულებას, რომლებზეც ოგი იხარჯება; პასუხი არსებითად ის იყო, რომ ხელფასი განისაზღვრება საქონელთა ღირებულებით» («Dialogues of Three Templars on Rolitical Economy, chiefly in relation to the Principles of Mr. Ricardo» [666] «London Magazine», Vol. IX, 1824, გვ. 560)

«ამავე «დიალოგებში» ლაპარაკია შრომის რაოდენობით ღირებულების გაზომვის კანონზე და შრომის ღირებულებით ღირებულების გაზომვის კანონზე:

«ეს ორი ფორმულა იმდენად დაშორებულია იმას, რომ წარმოადგენდეს ერთი და იმავე კანონის მხოლოდ ორ სხვადასხვა გამოხატულებას, რომ ბ-ნ რიკარდოს კანონი (სახელდობრ, დებულება იმის შესახებ, რომ A-ს ღირებულება ისე შეეფარდება B-ს ღირებულებას, როგორც მათი მწარმოებელი შრომის რაოდენობანი) შეიძლებოდა უარყოფითი ფორმულირებით ყველაზე უკეთ გამოგვეხატა ასე: A-ს ღირებულება არ შეეფარდება B-ს ღირებულებას ისე, როგორც მათი მწარმოებელი შრომის ღირებულებანი» (იქვე, გვ. 348).

(თუ კაპიტალის ორგანული შედგენილობა A და B დარგებში ერთი და იგივე იქნებოდა, მაშინ, მართლაც, შეიძლებოდა **გვეთქვა**, რომ ამ კაპიტალების პროდუქტთა ღირებულებანი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც მათი მწარმოებელი შრომის ღირებულებანი. ვინაიდან ამ შემთხვევაში დაგროვილი შრომის რაოდენობანი, რასაც პროდუქტები A და B შეიცავენ, ისე შეეფარდებოდნენ ერთმანეთს, როგორც მათში მოთავსებული უშუალო შრომის რაოდენობანი. ფასგადახდილი შრომის რაოდენობანი კი A-სა და B-ში ისე შეეფარდებოდნენ ერთმანეთს, როგორც ორივე კაპიტალის მიერ გამოყენებული უშუალო შრომის ერთობლივი რაოდენობანი. დავუშვათ, რომ ორივე კაპიტალის შედგენილობა არის 80 c + 20 v, ზედმეტი ღირებულების ნორმა კი — 50%. ერთი კაპიტალი რომ 500 იყოს, მეორე კი — 300, მაშინ პროდუქტი ერთ შემთხვევაში იქნებოდა 550, მეორეში კი — 330. მაშინ პროდუქტები ისე შეეფარდებოდნენ ერთმანეთს, როგორც ხელფასი 5 × 20 (ე. ი. 100) შეეფარდება ხელფასს 3 × 20 (ე. ი. 60-ს). ვინაიდან 100 : 60 = 10 : 6 = 5 : 3. A და B პროდუქტები ისე შეეფარდებოდნენ ერთმანეთს, როგორც შეეფარდება 550 : 330-ს, ანუ 55 : 33-ს, ანდა $^{55}/_{11} : ^{33}/_{11}$-ს (რადგან 5 × 11 = 55 და 3 × 11 = 33); მაშასადამე, როგორც 5 შეეფარდება 3-ს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ცნობილი იქნებოდა მხოლოდ მათი თანაფარდობა და არა განსახილველი პროდუქტების ნამდვილი ღირებულებანი, რადგან შეფარდე-

ბას 5:3 შეიძლება შეეფარდებოდეს ღირებულების მეტად განსხვავებული რაოდენობანი.)

«თუ პროდუქტის ფასი 10 შილინგს უდრის, ხელფასი და მოგება, ერთად აღებული, არ შეიძლება 10 შილინგს აღემატებოდეს. მაგრამ ხომ არ **არის** საქმის ვითარება პირიქით, ე. ი. ხომ არ განსაზღვრავენ ფასს ხელფასი და მოგება, ერთად აღებული? არა, ეს ძველი. დროშაქმული მოძღვრებაა» (Th. De Quincey, The Logic of Political Economy. Edinburgh and London. 1844, გვ. 204).

«ახალმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გვიჩვენა, რომ ყოველი საქონლის ფასი განისაზღვრება მისი მწარმოებელი შრომის შეფარდებითი რაოდენობით, და მხოლოდ იმით. რაკი თვით ფასი უკვე განსაზღვრულია, იგი ipso facto * განსაზღვრავს იმ ფონდს, საიდანაც უნდა იღებდნენ თავიანთ განსაკუთრებულ წილს ხელფასიც და მოგებაც» (იქვე). «ყოველი ცვლილება, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს არსებული თანაფარდობა ხელფასსა და მოგებას შორის, უნდა მომდინარეობდეს ხელფასიდან» (იქვე, გვ. 205).

«ძიწის რენტაზე არსებულ მოძღვრებაში რიკარდომ ის ახალი შეიტანა, რომ იგი დაიყვანა საკითხზე, ნამდვილად აუქმებს თუ არა რენტა ღირებულების კანონს» (იქვე, გვ. 158).

* — ამით. რედ.

თავი მეთექვსმეტე

რიკარდოს მოგების თეორია

[1) მოგების და ზედმეტი ღირებულების განსხვავების ცალკეული შემთხვევები რიკარდოსთან]

უკვე დაწვრილებით იყო დამტკიცებული, რომ ზედმეტი ღირებულების კანონები ანუ, უფრო ზუსტად, ზედმეტი ღირებულების ნორმის კანონები (იგულისხმება, რომ სამუშაო დღე მოცემულია) არც ისე უშუალოდ და უბრალოდ ემთხვევა მოგების კანონებს, ანდა არც ისე უშუალოდ და უბრალოდ შეიძლება მათი გამოყენება მოგების ნორმის მიმართ, როგორც ამას რიკარდო აკეთებს; დამტკიცებული იყო, რომ რიკარდო შეცდომით აიგივებს ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას, რომ ზედმეტი ღირებულება და მოგება იდენტურნი არიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მთელი კაპიტალი ცვალებადი კაპიტალისაგან შედგება, ანუ უშუალოდ იხარჯება ხელფასზე; ამიტომ ის, რასაც რიკარდო «მოგების» სახელწოდებით განიხილავს, საერთოდ მხოლოდ ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს. ასევე მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევაში ერთობლივი კაპიტალი მთლიანად დაყვანილი იქნებოდა ხელფასსა და ზედმეტ ღირებულებაზე. რიკარდო აშკარად იზიარებს სმიტის შეხედულებას, რომ წლიური პროდუქტის ერთობლივი ღირებულება შემოსავალზე დაიყვანება. აქედან წარმოდგება აგრეთვე მის მიერ ღირებულებისა და ხარჯთფასის ერთმანეთში არევა.

აქ აუცილებელი არაა გავიმეოროთ, რომ მოგების ნორმა არ ექვემდებარება უშუალოდ იმავე კანონებს, რომლებსაც ზედმეტი ღირებულების ნორმა ექვემდებარება.

ჯერ ერთი, ჩვენ დავინახეთ, რომ მოგების ნორმა შეიძლება დიდდებოდეს ან ეცემოდეს რენტის დაცემის ან გადიდების გამო, მიუხედავად ყოველგვარი ცვლილებისა შრომის ღირებულებაში.

მ ე ო რ ე, მოგების აბსოლუტური მასა უდრის ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ მასას. მაგრამ უკანასკნელი განისაზღვრება არა მარტო ზედმეტი ღირებულების ნორმით, არამედ გამოყენებული მუშების რიცხვითაც. ამიტომ მოგების მასა შეიძლება რჩებოდეს იგივე, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა ეცემა, მაგრამ იმავდროულად ამასთან ერთად იზრდება მუშების რიცხვი, და პირიქით.

მ ე ს ა მ ე, მოგების ნორმა, თ უ მ ო ც ე მ უ ლ ი ა ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა, დამოკიდებულია კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე.

მ ე ო თ ხ ე, მოგების ნორმა, თ უ მ ო ც ე მ უ ლ ი ა ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა (ამით იგულისხმება, რომ მოცემულია აგრეთვე კაპიტალის ო რ გ ა ნ უ ლ ი შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა ც ყოველ 100 ერთეულზე), დამოკიდებულია კაპიტალის სხვადასხვა ნაწილთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ რ ი ვ თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა ზ ე; ეს ნაწილები შეიძლება სხვადასხვანაირად იცვლებოდეს, ნაწილობრივ წარმოების პირობების გამოყენებისას ძალის და ა. შ. ეკონომიის მეოხებით, ნაწილობრივ ღირებულების ისეთ ცვლილებათა შედეგად, რომლებიც შეიძლება კაპიტალის ერთ რომელიმე ნაწილს შეეხოს, მის სხვა ნაწილებს კი არა.

ბოლოს, ანგარიშში მისაღები იქნებოდა კიდევ ის განსხვავებანი კაპიტალის შედგენილობაში, რომლებიც მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარეობენ.

[667] ზოგიერთ მოსაზრებებს, რომლებიც თვით რიკარდოს მსჯელობაში გამოსჭვივის, უნდა მიეყვანა იგი ზედმეტი ღირებულებისა და მოგების განსხვავებამდე. იმის შედეგად, რომ რიკარდო ამ განსხვავებას არ იძლევა, იგი, ჩანს,—როგორც ეს გაკვრით აღნიშნული იყო უკვე 1-ელი თავის («ღირებულების შესახებ») ანალიზის დროს, — ალაგ-ალაგ ვულგარულ შეხედულებამდე მიდის, — თქოს მოგება უბრალოდ საქონლის ღირებულების წანამატია; მაგალითად, როცა იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ განისაზღვრება ისეთი კაპიტალის მოგება, რომელშიც ძირითადი კაპიტალი სჭარბობს, და ა. შ. * აქედან წარმოდგება მისი ეპიგონების დიდი უაზრობანი. ეულგარული შეხედულება აუცილებლად წარმოიშვება, თუ პრაქტიკულად სწორი დებულება იმის შესახებ, რომ საშუალოდ თ ა ნ ა ბ ა რ ი ს ი დ ი დ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი თ ა ნ ა ბ ა რ მ ო გ ე-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 236. რ ე დ.

ბას იძლევიან, ანუ რომ მოგება დამოკიდებულია გამოყენებული კაპიტალის სიდიდეზე,—თუ ეს დებულება არ უკავშირდება მთელი რიგი შუალედური რგოლების მეშვეობით იმ ზოგად კანონებს, რომლებიც ღირებულებებს და ა. შ. ეხება, მოკლედ, თუ მოგება და ზედმეტი ღირებულება გაიგივებულია, რაც სწორია მხოლოდ ერთობლივი კაპიტალის მიმართ. ამიტომაც რიკარდოსთვის დახურულია მოგების საერთო ნორმის განსაზღვრის ყველა გზა.

რიკარდოს ესმის, რომ მოგების ნორმაზე გავლენა არა აქვთ საქონელთა ღირებულების ისეთ ცვლილებებს, რომლებიც თანაბრად ახდენენ გავლენას კაპიტალის ყველა ნაწილზე, როგორიცაა, მაგალითად, ფულის ღირებულების ცვლილებანი. მას აქედან ის დასკვნა უნდა გაეკეთებინა, რომ მოგების ნორმაზე გავლენას ახდენენ ისეთი ცვლილებანი საქონელთა ღირებულებაში, რომლებიც არათანაბრად ახდენენ გავლენას კაპიტალის სხვადასხვა ნაწილზე; რომ, მაშასადამე, შესაძლებელია მოგების ნორმის ცვლილებანი, როცა უცვლელი რჩება შრომის ღირებულება, და რომ ეს ცვლილებები შეიძლება ხდებოდეს შრომის ღირებულების ცვლილებათა საპირისპირო მიმართულებითაც. კი. მაგრამ რიკარდოს უწინარეს ყოვლისა თავისი ყურადღება ამაზე უნდა შეეჩერებინა, რომ ზედმეტი პროდუქტი, ანუ, რაც მასთან იმავეს ნიშნავს, ზედმეტი ღირებულება, ანუ, რაც კვლავ იგივეა, ზედმეტი შრომა, რამდენადაც იგი ყოველივე ამას მოგების sub specie * განიხილავს, აქ მასთან გამოანგარიშებულია არა მარტო ცვალებად კაპიტალთან, არამედ მთელ ავანსებულ კაპიტალთან შეფარდებით.

ფულის ღირებულების ცვლილების შესახებ რიკარდო ლაპარაკობს:

«რაც უნდა დიდი იყოს ფულის ღირებულების ცვლილება, იგი არ იწვევს არავითარ ცვლილებებს მოგების ნორმაში. დავუშვათ, რომ ფაბრიკანტის საქონლის ფასმა აიწია 1000 გირვ. სტერლინგიდან 2000 გირვ. სტერლინგამდე, ანუ 100%-ით. მაშინ მისი მოგების ნორმა იგივე დარჩება, თუ მისი კაპიტალი, რომელზეც ფულის ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები ისეთსვე გავლენას ახდენენ, როგორსაც პროდუქტის ღირებულებაზე, ე. ი. თუ მისი მანქანების, შენობებისა და საქონლითა მარაგის ფასი ასევე 100%-ით აიწევს... თუ ფაბრიკანტს გარკვეული ღირებულების კაპიტალით, შრომის ეკონომიით, შეუძლია ერთიორად გაადიდოს პროდუქტის რაოდენობა, ასე რომ

* — თვალსაზრისით. რედ.

ცალკეული პროდუქტის წინანდელი ფასი სანახევროდ დაიწევს, მაშინ წინანდელი თანაფარდობა დარჩება პროდუქტსა და მის მწარმოებელ კაპიტალს შორის, და, მაშასადამე, მოგების ნორმაც იგივე დარჩება. თუ იმავდროულად, როცა ფაბრიკანტი იმავე კაპიტალის გამოყენებით პროდუქტის რაოდენობას აორკეცებს, ფულის ღირებულება, რაიმე მიზეზის გამო, სანახევროდ შემცირდება, მაშინ პროდუქტი გაიყიდება ორჯერ იმაზე მეტად, რაც წინათ მისი ფულადი ღირებულება იყო, მაგრამ სამაგიეროდ ამ პროდუქტის წარმოებისას გამოყენებულ კაპიტალსაც ორჯერ უფრო მეტი ფულადი ღირებულება ექნება, ვიდრე უწინ ჰქონდა; მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც პროდუქტის ღირებულება იმავე შეფარდებაში იქნება კაპიტალის ღირებულებასთან, რა შეფარდებაშიც უწინ იყო» (ციტირ. თხზ., გვ. 51 — 52).

თუ რიკარდოს აქაც პროდუქტი ესმის როგორც ზედმეტი პროდუქტი, მაშინ ციტირებული დებულება სწორია, ვინაიდან მოგების ნორმა უდრის ზედმეტ პროდუქტს (ზედმეტ ღირებულებას) გაყოფილს კაპიტალზე. ასე, მაგალითად, თუ ზედმეტი პროდუქტი = 10-ს, კაპიტალი კი = 100-ს, მაშინ მოგების ნორმა = $= {}^{10}/_{100} = {}^{1}/_{10} = 10\%$. მაგრამ თუ რიკარდო პროდუქტში მთლიანად აღებულ პროდუქტს გულისხმობს, მაშინ საქმის ვითარება არაა ზუსტად გადმოცემული. მაშინ აშკარაა, რომ რიკარდოს პროდუქტის ღირებულების შეფარდება კაპიტალის ღირებულებასთან ესმის მხოლოდ როგორც საქონლის ღირებულების გადანამეტი ავანსებული კაპიტალის ღირებულებაზე. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ რიკარდო აქ არ აიგივებს მოგებას ზედმეტ ღირებულებასთან, მოგების ნორმას კი — ზედმეტი ღირებულების ნორმასთან, რომელიც უდრის

$$\frac{\text{ზედმეტი ღირებულება}}{\text{შრომის ღირებულება}}, \text{ ანუ } \frac{\text{ზედმეტი ღირებულება}}{\text{ცვალებადი კაპიტალი.}}$$

რიკარდო ამბობს:

«ჩვენ ვივარაუდეთ, რომ დაეცა იმ ნედლეულის ფასი, რომლისგანაც საქონელი მზადდება; აქედან შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ეს გამოიწვევს ამ საქონელთა ფასების დაცემას; ეს ფასები მართლაც დაეცემა, მაგრამ მათ დაცემას არ მოჰყვება მწარმოებლის ფულადი შემოსავლის რაიმე შემცირება. თუ მწარმოებელი თავის საქონელს უფრო ნაკლებ ფულში ყიდის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ღირებულება ერთ-ერთისა იმ მასალიდან, რომლისგანაც დამზადებულია საქონელი, დაეცა. თუ მაუდის ფაბრიკანტი თავის მაუდს 900 გირვ. სტერლინგად ყიდის ნაცვლად 1000 გირვ. სტერლინგისა, ამით მისი შემოსავალი არ გაზდება უფრო მცირე იმ შემთხვევაში, თუ ღირებულება მატყლისა, რომლისგანაც მაუდი მზადდება, 100 გირვ. სტერლინგით შემცირდა» (ციტირ. თხზ., თავი 32-ე, გვ. 518).

(ის, რაზეც აქ, არსებითად, რიკარდო მსჯელობს, — ნედლეულის ღირებულების შემცირების გავლენა პრაქტიკულად მოცემულ ამა თუ იმ შემთხვევაში, — ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს. მატყლის ღირებულების უეცარი შემცირება, უეჭველია, გავლენას მოახდენდა (საზარალოს) მაუდის იმ ფაბრიკანტთა ფულად შემოსავალზე, რომლებსაც საწყობებში ექნებოდათ მზა საქონლის დიდი მარაგი, — საქონლისა, რომელიც წარმოებული იყო მაშინ, როცა მატყლი უფრო ძვირი ღირდა, ხოლო გაყიდვა მისი უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც მატყლის ღირებულება [668] შემცირდა.)

თუ, როგორც აქ რიკარდო ვარაუდობს, მაუდის ფაბრიკანტებს შრომის იგივე მასა მოჰყავთ მოძრაობაში, რაც უწინ მოჰყავდათ { ნამდვილად კი მათ შეეძლოთ შრომის მეტი რაოდენობა აუმოქმედებინათ, რადგან განთავისუფლებული კაპიტალის ნაწილი, რაც უწინ მ ხ ო ლ ო დ ნედლეულზე იხარჯებოდა, შეიძლება ახლა დაიხარჯოს ნედლეულზე პლუს შრომა }, მაშინ ნათელია, რომ ამ ფაბრიკანტების «ფულადი შემოსავალი», თუ მხედველობაში ვიქონიებთ მის აბსოლუტურ სიდიდეს, «არ გახდება უფრო მცირე», მათი მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა კ ი გ ა ი ზ რ დ ე ბ ა უწინდელთან შედარებით; ვინაიდან იგივე, ვთქვათ, 10%, რაც უწინაც, ე. ი. 100 გირვ. სტერლ., უნდა გვეანგარიშნა ახლა არა 1000 გირვ. სტერლინგზე, არამედ 900 გირვ. სტერლინგზე. პირველ შემთხვევაში მოგების ნორმა შეადგენს 10%-ს, მეორეში იგი იქნებოდა $^1/_9$, რაც $11^1/_9$%-ს შეადგენს. მაგრამ რადგან რიკარდო ამასთან ვარაუდობს, რომ საერთოდ დაეცა ფასი ნედლეულისა, რომლისგანაც საქონელი მზადდება, ამიტომ გადიდდება მოგების საერთო ნორმა და არა მხოლოდ მოგების ნორმა წარმოების რომელიმე ცალკეულ დარგში. რიკარდოს ეს არ ესმის, რაც მით უფრო საკვირველია, რომ საპირისპირო შემთხვევა მისთვის ნათელია.

სახელდობრ, მე-6 თავში («მ ო გ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ») რიკარდო იმ შემთხვევას განიხილავს, როცა აუცილებელი საჭიროების საგანთა გაძვირების გამო, — გაძვირებისა, რაც გამოწვეულია ახალი მიწების დამუშავებით და, მაშასადამე, დიფერენციული რენტის გადიდებით, — იზრდება, ჯერ ერთი, ხელფასი, მეორე კი, მიწის ზედაპირიდან მიღებული ყველა ნედლი პროდუქტის ფასი. (უკანასკნელი ვარაუდი სრულიადაც არაა აუცილებელი. ბამბის, აბრეშუმის, მატყლისა და სელის ფასიც კი ადვილად შეიძლება ეცვმოდეს ხორბლის ფასის გადიდების მიუხედავად.)

რიკარდო ლაპარაკობს, ჯერ ერთი, რომ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე-

ბ ულ ე ბ ა (რიკარდო ამბობს: მოგება), რასაც ფერმერი ღებულობს, დაეცემა, რადგან მის მიერ დაქირავებული 10 მუშის შრომის პროდუქტის ღირებულება უწინდებურად 720 გირვ. სტერლინგს შეადგენს, და ამ 720 გირვ. სტერლ. ფონდიდან მან უნდა გასცეს მნიშვნელოვანი ნაწილი ხელფასის სახით. რიკარდო განაგრძობს:

«მაგრამ მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა კიდევ უფრო მეტად დაეცემა იმიტომ, რომ ფერმერის კ ა პ ი ტ ა ლ ი... მნიშვნელოვანწილად ნედლი პროდუქტებისაგან შედგება — ისეთებისაგან, როგორიცაა, მაგალითად, მისი მარცვლეული და თივის მარაგი, დაუფქვავი ხორბალი და ქერი, ცხენები და ძროხები, რომელთა ფასი პ რ ო დ უ ქ ტ ა ფ ა ს ე ბ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ი ს გამო აიწევს. მისი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი მ ო გ ე ბ ა დაეცემოდა 480 გირვ. სტერლინგიდან 445 გირვ. სტერლ. და 15 შილინგამდე; მაგრამ თუ, ეს-ეს არის ჩემ მიერ აღნიშნული მეზობლის გამო, მისი კაპიტალი გაიზრდებოდა 3000-დან 3200 გირვ. სტერლინგამდე, მაშინ მ ი ს ი მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა, როცა ხორბლის ფასი იქნებოდა 5 გირვ. სტერლ. 2 შილ. 10 პენსი, 14%-ზე დაბლა დაეცემოდა. თუ ფაბრიკანტი თავის საწარმოში ასევე 3000 გირვ. სტერლინგს დაბანდებდა, მაშინ, ხელფასის გადიდების გამო, იგი იძულებული გახდებოდა გაედიდებინა თავისი კაპიტალი, რათა წინანდელი მასშტაბით საქმის წარმართვის შესაძლებლობა ჰქონოდა. თუ წინათ მისი საქონელი 720 გირვ. სტერლინგად იყიდებოდა, იგი მომავალშიც იმავე ფასად გაიყიდება, მაგრამ ხორბლის ფასის 5 გირვ. სტერლ. 2 შილ. და 10 პენსად გახდომისთანავე მუშების ხელფასი, უწინ რომ 240 გირვ. სტერლინგს შეადგენდა, 274 გირვ. სტერლ. და 5 შილინგამდე გადიდდებოდა. პირველ შემთხვევაში ფაბრიკანტს დარჩებოდა 480 გირვ. სტერლინგი მოგება 3000 გირვ. სტერლ. კაპიტალზე, მეორე შემთხვევაში იგი მიიღებდა მხოლოდ 445 გირვ. სტერლ. 15 შილ. გადიდებულ კაპიტალზე, და ამიტომ მისი მოგება იქნებოდა ფერმერის მოგების შეცვლილი ნორმის შესაბამისი» (ციტირ. თხზ., გვ. 116—117).

აქ, მაშასადამე, რიკარდო განასხვავებს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ მ ო გ ე ბ ა ს (ე. ი. ზ ე დ მ ე ტ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს) და მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა ს და გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ავანსებული კაპიტალის ღირებულების ცვლილების შედეგად მოგების ნორმა უფრო მეტად ეცემა, ვიდრე აბსოლუტური მოგება (ზედმეტი ღირებულება), რომელიც შრომის ღირებულების გადიდების გამო მცირდება. მოგების ნორმა აქ იმ შემთხვევაშიც დაეცემოდა, თუ შრომის ღირებულება უ ც ვ ლ ე ლ ი დარჩებოდა, რადგან საჭირო იქნებოდა ი მ ა ვ ე აბსოლუტური მოგების გაწოანგარიშება უფრო დიდ კაპიტალზე. საპირისპირო შემთხვევას — მოგების ნორმის გადიდებას (რაც განსხვავდება ზედმეტი ღირებულების, ანუ აბსოლუტური მოგების გადიდებისაგან) — ადგილი ექნებოდა, ამრიგად, მის იმ ზემოციტირებულ მაგალითში, სადაც ნედლეულის ღირებულება ეცემა. მაშასადამე, ირკვევა, რომ მოგების ნორმის გადიდება ან დაცემა განი-

საზღვრება სხვა გარემოებებითაც, გარდა აბსოლუტური მოგების გადიდებისა და დაკეცისა და მისი იმ ნორმის გადიდებისა და დაკეცისა, რაც ხელფასისათვის დახარჯულ კაპიტალზე იანგარიშება.

ზემოციტირებულ ადგილას რიკარდო განაგრძობს:

«საიუველირო, რკინის, ვერცხლისა და სპილენძის ნაკეთობათა ფასი არ აიწევდა, იმიტომ რომ მათს შემადგენლობაში არ შედის მიწის ზედაპირიდან მიღებული ნედლი პროდუქტები» (ციტირ. თხზ., გვ. 117).

ამ საქონელთა ფასები არ აიწევს, მაგრამ მოგების ნორმა ამ დარგებში სხვა დარგების მოგების ნორმაზე მეტი იქნებოდა. ვინაიდან ამ დარგებში შემცირებული (ხელფასის გადიდების გამო) ზედმეტი ღირებულება მოუწევდა ავანსებულ კაპიტალს, რომლის ღირებულებაც ორი მიზეზის გამო გაიზარდა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გადიდდა ხელფასისათვის საჭირო ხარჯები, მეორე კი, იმიტომ, რომ გადიდდა ნედლეულის ხარჯები. მეორე შემთხვევაში [ე. ი. საიუველირო ნაკეთობათა შემთხვევაში] [669] შემცირებული ზედმეტი ღირებულება მოუწევდა ისეთ ავანსებულ კაპიტალს, რომელშიც, ხელფასის გადიდების შედეგად, გაიზარდა მხოლოდ ცვალებადი ნაწილი.

ამ ადგილებში რიკარდო თვითონვე თავდაყირა აყენებს მთელ თავის მოგების თეორიას, რომელიც ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მოგების ნორმის მცდარ გაიგივებას ემყარება.

«მოგება — როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაშიც — ყოველთვის მცირდება ნედლი პროდუქტების ფასის გადიდებისას, თუ მას თან ახლავს ხელფასის გადიდება» (გვ. 113—114).

თვით რიკარდოს ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ მაშინაც კი, თუ ნედლი პროდუქტების ფასის გადიდებას ხელფასის გადიდება არ მოჰყვებოდა, მაინც მოგების ნორმა დაიწევდა ავანსებული კაპიტალის იმ ნაწილის შემცირების გამო, რომელიც ნედლეულისაგან შედგება.

«დავუშვათ, რომ ფასი აბრეშუმის, ხავერდის, ავეჯის და ყოველი სხვა საქონლისა, რომელთაც მუშები არ ხმარობენ, გადიდდა იმის გამო, რომ აუცილებელი ხდება მათზე მეტი შრომის დახარჯვა. მოახდენს თუ არაეს გავლენას მოგებაზე? რა თქმა უნდა, არა, რადგან, ხელფასის გადიდების გარდა, მოგებაზე გავლენის მოხდენა არაფერს არ შეუძლია; აბრეშუმი და ხავერდი არ შედის მუშის მოხმარებაში და იმიტომ მათი ფასის გადიდებას არ შეუძლია გაადიდოს ხელფასი» (ციტირ. თხზ., გვ. 118).

მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა ამ განსაკუთრებულ დარგებში, რა თქმა უნდა, დაეცემოდა, თუმცა შრომის ღირებულება — ხელფასი — უცვლელი დარჩებოდა. ნედლი მასალა, რასაც აბრეშუმის, როიალების, ავეჯისა და ა. შ. ფაბრიკანტები იყენებენ, გაძვირდებოდა; მაშასადამე, უცვლელად დარჩენილი ზედმეტი ღირებულების შეფარდება დახარჯულ კაპიტალთან შემცირდებოდა, და ამიტომ მოგების ნორმა დაეცემოდა. მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ა კი მიიღება როგორც მრეწველობის ყველა დარგში არსებული მოგების ცალკეული ნორმების საშუალო. ანდა ზემოხსენებული ფაბრიკანტები, მოგების საშუალო ნორმის მიღების მიზნით, თავიანთი საქონლის ფასს გაადიდებდნენ. ფასების ასეთი ნომინალური გადიდება არ შეეხებოდა მოგების ნორმას, მაგრამ გავლენას იქონიებდა მოგების ხარჯვაზე.

რიკარდო ერთხელ კიდევ უბრუნდება ზემოგანხილულ შემთხვევას, როცა ზედმეტი ღირებულება (აბსოლუტური მოგება) იმიტომ ეცემა, რომ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასი (ამასთანავე მიწის რენტაც) დიდდება:

«ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნო, რომ მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა გაცილებით უფრო სწრაფად დაეცემა, ვიდრე მე ჩემს გამოანგარიშებაში ვივარაუდე; ვინაიდან, თუ პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ისე მაღალი იქნება, როგორც მე ვვარაუდობდი ნაგულისხმევ პირობებში, მაშინ ფ ერ მ ერ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ღირებულება მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ნ ა დ გ ა დ ი დ დ ებ ა, რ ა დ გ ა ნ ი გ ი ა უ ც ი ლ ებ ლ ა დ შ ე დ გ ებ ა ბ ე ვ რ ი ისეთი ს ა ქ ო ნ ლ ი ს ა გ ა ნ, რ ო მ ე ლ თ ა ღ ი რ ებ უ ლ ებ ა ც გ ა ი ზ ა რ დ ა. ვიდრე ხორბლის ფასი 7-დან 12 გირვ. სტერლინგამდე გადიდების შეძლებდეს, ფ ერ მ ერ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს საცვლელი ღირებულება, ალბათ, გორკეცდებოდა და ნაცვლად 3000-ისა 6000 გირვ. სტერლინგი იქნებოდა. თუ, მაშასადამე, ფერმერის მოგება შეადგენდა 180 გირვ. სტერლინგს, ანუ მისი თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს 6%-ს, ახლა მისი ნამდვილი ნ ო რ მ ა არ აღემატება 3%-ს, იმიტომ რომ 3% 6000 გირვ. სტერლინგიდან იქნება 180 გირვ. სტერლინგს და მ ხ ო ლ ო დ ა მ პ ი რ ო ბ ებ ს ი შ ე ე ქ ნ ა რ ო მ ე ლ ი მ ე ნ ა ხ ა ლ ფ ე რ მ ერ ს, რ ო მ ე ლ ს ა ც ჯ ი ბ ე ბ ი ს 6000 გ ი რ ვ. ს ტ ე რ ლ ი ნ გ ი ა ქ ვ ს, ს ო ფ ლ ი ს მ ე ურ ნ ე ო ბ ი ს მ ე წ ო ლ ა ვ ე გ ა მ ხ დ ა რ ი ყ ო. მეურნეობის ბევრი დარგი იმავე წყაროდან ერთგვარ სარგებლობას მიიღებდა, მეტი ან ნაკლები ოდენობით. ლუდის მდუღებელი, სპირტის გამომხდელი, მაუდის ფაბრიკანტი, ტილოს ფაბრიკანტი თ ა ვ ი ა ნ თ ი მ ო გ ებ ი ს შ ე მ ც ი რ ებ ი ს ა თ ვ ი ს ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ა ნ ა ზ ღ ა უ რ ებ ს მ ი ი ღ ებ ენ ი მ ი თ, რ ო მ ნ ე დ ლ ე უ ლ ი ს ა და მ ზ ა ს ა ქ ო ნ ლ ი ს ს ა ხ ი თ ა რ ს ებ უ ლ ი მ ა თ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ღ ი რ ებ უ ლ ებ ა გ ა დ ი დ დ ებ ო დ ა. მაგრამ ლითონის ნაკეთობათა, საიუველირო ნაკეთობათა და ბევრი სხვა საქონლის ფაბრიკანტები, ასევე ისინიც, რომელთა კაპიტალი მხოლოდ ფულისაგან შედგება, თავის თავზე გამოსცდიდნენ მ თ ლ ი ა ნ ად მ ო გ ებ ი ს ნ ო რ მ ი ს დ ა ც ე მ ას, ყ ო ვ ე ლ გვარი კომპენსაციის გარეშე» (ციტირ. თხზ., გვ. 123 — 124).

აქ მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რასაც რიკარდო ვერ ამჩნევს, სახელდობრ — იგი უკუაგდებს მოგებისა და ზედმეტი ღირებულების თავის გაიგივებას და ადასტურებს, რომ, შრომის ღირებულებისაგან დამოუკიდებლად, მოგების ნორმაზე გავლენა შეუძლია მოახდინოს მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილებას. დანარჩენში მისი ილუსტრაცია სწორია მხოლოდ ნაწილობრივ. ის სარგებლობა, რის მიღებაც ფერმერს, მაუდის და ა. შ. ფაბრიკანტს შეეძლოთ თავიანთი არსებული და ბაზარზე მყოფი საქონელთა მარაგის ფასის გადიდებით, ბუნებრივია, შეწყდებოდა ამ საქონელთა გასაღებისთანავე. მათი კაპიტალის ღირებულების გადიდებაც ვეღარ მოუტანდა მათ სარგებლობას, როგორც კი ეს კაპიტალი გამოყენებული იქნებოდა და მისი კვლავწარმოება აუცილებელი გახდებოდა. ისინი ყველანი აღმოჩნდებოდნენ მაშინ თვით რიკარდოს მიერ მოხსენიებული ახალი ფერმერის მდგომარეობაში, რომელსაც 3% მოგების მისაღებად ავანსად უნდა გაეღო 6000 გირვ. სტერლ. კაპიტალი. პირიქით, [XIII — 676] ოქრომჭედელი, ლითონის ნაკეთობათა ფაბრიკანტი, ფულის მქონე კაპიტალისტი და ა. შ., თუმცა დასაწყისში ისინი ვერც კი მიიღებდნენ თავიანთი დანაკარგის კომპენსაციას, 3%-ზე უფრო მაღალ მოგებას გაინაღდებდნენ, რადგან გაიზრდებოდა ღირებულება მხოლოდ ხელფასზე მათ მიერ დახარჯული კაპიტალისა, და არა მათი მუდმივი კაპიტალისა.

რიკარდოს მიერ აქ დასახელებულ შემთხვევაში, როცა მოგების დაცემას კაპიტალის ღირებულების გადიდება ანაზღაურებს, მნიშვნელოვანია კიდევ ის, რომ კაპიტალისტების მიმართ — და საერთოდ წლიური შრომის პროდუქტის განაწილების მიმართ — ლაპარაკია არა მარტო პროდუქტის განაწილებაზე შემოსავლის სხვადასხვა მონაწილეთა შორის, არამედ აგრეთვე ამ პროდუქტის კაპიტალად და შემოსავლად დაყოფაზეც.

[Გ)] ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ («ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ», ᲐᲜᲣ «ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ») ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲜᲝᲠᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲜᲐ

[Ა) ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲜᲝᲠᲛᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲝᲬᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ ᲠᲘᲙᲐᲠᲓᲝᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡᲐ]

რიკარდოს თეორიული შეხედულებანი აქ სრულიადაც არ არის ნათელი.

«მე უკვე შევნიშნე, რომ რომელიმე საქონლის საბაზრო ფასი შეიძლება აღემატებოდეს მისს ბუნებრივ, ანუ აუცილებელ

ფასს, რადგან იგი შეიძლება წარმოებულ იქნეს არა ისეთი სიუხვით, რასაც მისი ახალი მოთხოვნა საჭიროებს. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა. ამ საქონლის წარმოებაში დაბანდებული კაპიტალის მადალი მოგება, ბუნებრივია, კაპიტალს მიიზიდავს წარმოების ამ დარგში; და როგორც კი აუცილებელი ფონდები მოცემული იქნება და საქონლის რაოდენობა სათანადოდ გადიდდება, მისი ფასი დაეცემა, და წარმოების ამ დარგში მიღებული მოგება საერთო დონის შესაბამისი გახდება. მოგების საერთო ნორმის დაცემა სრულიადაც არაა შეუთავსებელი ცალკეულ დარგებში მოგებათა ნაწილობრივ გადიდებასთან. სწორედ მოგებათა უთანაბრობის გამო გადადის კაპიტალი წარმოების ერთი დარგიდან მეორეში. ამრიგად, მაშინ როდესაც საერთო მოგება ეცემა და თანდათანობით უფრო დაბალ დონეზე ჩერდება იმის გამო, რომ დიდდება ხელფასი და იზრდება პირველი საჭიროების საგნებით გადიდებული მოსახლეობის მომარაგების სიძნელენი, ფერმერის მოგება შეიძლება ხანმოკლე დროის განმავლობაში წინანდელ დონეზე მაღლა იმყოფებოდეს. ასევე შეიძლება, რომ საგარეო და კოლონიური ვაჭრობის ცალკეულმა დარგმა გარკვეული დროის განმავლობაში განვითარების არაჩვეულებრივი სტიმული მიიღოს» (გვ. 118 — 119).

«უნდა გვახსოვდეს, რომ ფასები ბაზარზე მუდამ რყევას განიცდის, უწინარეს ყოვლისა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული თანაფარდობის მიხედვით. თუმცა მაუდის მიწოდება შეიძლებოდა ისეთი ყოფილიყო, რომ იარდი ეღირებოდა 40 შილინგი და ეს მოგვცემდა კაპიტალის ჩვეულებრივ მოგებას, მაგრამ მაინც მაუდის ფასი, მოდის საერთო ცვლილების გამო.., აიწევს 60 ან 80 შილინგამდე. მაუდის ფაბრიკანტები გარკვეული დროის განმავლობაში მიიღებენ არაჩვეულებრივ მოგებას, მაგრამ დაიწყება, ბუნებრივია, კაპიტალის მოდინება მრეწველობის ამ დარგში, რაც მანამდე გასტანს, სანამ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ხელახლა წონასწორობა არ დამყარდება, და მაშინ მაუდის ფასი ისევ დაიწევს 40 შილინგამდე, მის ბუნებრივ, ანუ აუცილებელ, ფასამდე. სწორედ ასევე შესაძლებელია ხორბლის ფასმა, მისი მოთხოვნის გადიდებასთან ერთად ისე მაღლა აიწიოს, რომ ფერმერს ჩვეულებრივზე მეტი მოგება მისცეს. თუ ნაყოფიერი მიწა უხვად მოიპოვება, ხორბლის ფასი კვლავ დაეცემა თავის პირველნდელ დონემდე, როგორც კი მის წარმოებაში გამოყენებული იქნება კაპიტალის აუცილებელი რაოდენობა, და მაშინ მოგება დაუბრუნდება წინანდელ დონეს. მაგრამ თუ ნაყოფიერი მიწა უხვად არ არის, თუ ხორბლის ამ დამატებითი რაოდენობის წარმოებისათვის საჭიროა კაპიტალისა და შრომის ჩვეულებრივზე უფრო მეტი რაოდენობა, მაშინ ხორბლის ფასი არ დაეცემა თავის წინანდელ დონემდე. მისი ბუნებრივი ფასი აიწევს, და ფერმერი, ნაცვლად იმისა, რომ მუდამ უფრო მაღალ მოგებას იღებდეს, იძულებული გახდება დაკმაყოფილდეს მისი შემცირებული ნორმით, რომელიც გარდუვალი შედეგია ხელფასის გადიდებისა, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია აუცილებელი საჭიროების საგანთა ფასების გადიდებით» (გვ. 119 — 120).

თუ სამუშაო დღე მოცემულია (ანდა თუ წარმოების სხვადასხვა დარგებში სამუშაო დღის ხანგრძლიობაში მხოლოდ ისეთი განსხვავებანი არსებობს, რომლებიც შრომის სხვადასხვა საჭეო-

ბათა თავისებურებებით წონასწორდებიან), მაშინ მოცემულია საერთო ნორმაც ზედმეტი ღირებულებისა, ე. ი. ზედმეტი შრომისა, რადგან ხელფასი საშუალოდ ერთი და იგივეა. ამ აკვიატებული აზრით უდგება სწორედ რიკარდო საკითხს. და იგი ზედმეტი ღირებულების ამ საერთო ნორმას მოგების საერთო ნორმაში ურევს. მე უკვე ცხადვყავი, რომ ზედმეტი ღირებულების ერთი და იმავე ნორმის არსებობის პირობებშიც, თუ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდებოდა, მოგების ნორმები წარმოების სხვადასხვა დარგში აუცილებლად სრულიად განსხვავებული იქნებოდა.

მოგების საერთო ნორმა წარმოიქმნება იმ გზით, რომ წარმოებული ერთობლივი ზედმეტი ღირებულება გამოიანგარიშება საზოგადოების (კაპიტალისტთა კლასის) ერთობლივ კაპიტალზე; ამიტომ ყოველი კაპიტალი წარმოების ყოველ ცალკეულ დარგში გვევლინება როგორც სათანადო ნაწილი ერთი და იმავე [671] ორგანული შედგენილობის მქონე ერთობლივი კაპიტალისა, იმ გაგებით, რომ კაპიტალი იყოფა როგორც ცვალებად და მუდმივ, ისე საბრუნავ და ძირითად კაპიტალად. ასეთი სათანადო ნაწილის სახით, მოცემული კაპიტალი ღებულობს, თავისი სიდიდის პროპორციულად, თავის დივიდენდებს კაპიტალის საერთო ჯამით წარმოებული ზედმეტი ღირებულებიდან. ამგვარად დაყოფილი ზედმეტი ღირებულება, ზედმეტი ღირებულების წილი, რაც დროის მოცემულ მონაკვეთში, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში, მოცემული სიდიდის კაპიტალის პორციას, მაგალითად, 100-ს უწევს, ქმნის საშუალო მოგებას, ანუ მოგების საერთო ნორმას, რომელიც ყოველი დარგის ხარჯთფასში შედის. თუ ეს წილი 15-ს უდრის, ჩვეულებრივი მოგება შეადგენს 15%-ს, ხარჯთფასი კი = 115-ს. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ნაკლები, თუ, მაგალითად, ავანსებული კაპიტალის მხოლოდ ნაწილი შედის როგორც გაცვეთა ღირებულების შექმნის პროცესში. მაგრამ იგი ყოველთვის უდრის მოხმარებულ კაპიტალს პლუს 15, ე. ი. პლუს ავანსებული კაპიტალის საშუალო მოგება. ერთ შემთხვევაში რომ პროდუქტში 100 შედიოდეს, მეორე შემთხვევაში კი — მხოლოდ 50, მაშინ ერთ შემთხვევაში ხარჯთფასი იქნებოდა 100 + 15 = = 115, მეორეში კი — 50 + 15 = 65; ამასთან ორივე კაპიტალი თავის საქონელს ერთი და იმავე ხარჯთფასის კვალობაზე გაყიდდა, ე. ი. ისეთ ფასად, რომელიც მათ ორივეს ერთსა და

იმავე მოგებას მოუტანდა. ცხადია, რომ მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ი ს წარმოქმნა, განხორციელება, დამყარება აუცილებელს ხდის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა გ ა რ დ ა ქ მ ნ ა ს მათგან გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ა დ. რიკარდო, პირიქით, ღირებულებათა და ხარჯთფასთა იგივეობას გულისხმობს, რადგან იგი ერთმანეთში ურევს მოგების ნორმას და ზედმეტი ღირებულების ნორმას. ამიტომ მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმ საყოველთაო ცვლილებაზე, რასაც მოგების საერთო ნორმის დამყარების პროცესი იწვევს საქონელთა ფ ა ს ებ შ ი, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ლაპარაკი იქნებოდეს მოგების ამა თუ იმ საერთო ნორმაზე. მას მიაჩნია, რომ მოგების ეს ნორმა რაღაც პირველადია, რომელიც, მისი აზრით, ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს განსაზღვრაშიც კი შედის (იხ. 1-ლი თავი: «ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ»). რიკარდო გ ა მ ო დ ი ს მ ო გ ებ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ი ს წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა ნ ი დ ა ნ და განიხილავს მხოლოდ გამონაკლისების სახით მოცემულ იმ ცვლილებებს ფასებში, რომლებიც აუცილებელია მ ო გ ე ბ ი ს ამ ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ი ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ებ ი ს ა თ ვ ი ს, მისი შემდგომი არსებობისათვის. მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რომ მოგების საერთო ნორმის შ ე ს ა ქ მ ნ ე ლ ა დ წინასწარ უნდა მოხდეს ღირებულებათა გარდაქმნა ხარჯთფასებად; რომ, მაშასადამე, რაკი მან საფუძვლად მოგების საერთო ნორმა აიღო, მას უკვე საქმე აღარა აქვს უშუალოდ საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ებ თ ა ნ.

ასევე ზემოციტირებულ ნაწყვეტშიც მოცემულია მ ხ ო ლ ო დ სმიტისეული წარმოდგენა, მაგრამ ისიც კი ცალმხრივად არის განვითარებული, რადგან რიკარდოსთან მუდამ იგრძნობა ფარული აზრი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ებ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ი ს შესახებ. მოგების ნორმა მისი წარმოდგენით, ცალკეულ დარგებში ს ა შ უ ა ლ ო დ ო ნ ე ზ ე უფრო მაღლა იწევს მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოების ცალკეულ დარგებში საქონელთა საბაზრო ფასი, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის თანაფარდობის გამო, ნაკლწარმოების ან ჭარბწარმოების გამო, ბუნებრივ ფასზე უფრო მაღლა იწევს. კონკურენციი, ახალი კაპიტალის მოდინება წარმოების ერთ დარგში ან ძველი კაპიტალის ამოღება მეორე დარგიდან, ათანაბრებს მაშინ საბაზრო ფასს ბუნებრივ ფასთან და წარმოების ცალკეული დარგის მოგება საერთო დონეზე დ ა ჰ ყ ა ვ ს. აქ იგულისხმება, რომ მოგების ნამდვილი დონე მ უ დ მ ი ვ ი ა, იგი აღებულია როგორც მოცემული, და ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ მასზე იქნეს დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი

წარმოების ცალკეული დარგების ისეთი მოგებანი, რომლებიც, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებული თანაფარდობის გამო, ამ დონეზე უფრო მაღლა აიწევენ ან მასზე უფრო დაბლა დაიწევენ. ამასთან რიკარდო მუდამ იმ ვარაუდდანაც კი გამოდის, რომ საქონელი, რომლის ფასიც საშუალოზე მეტ მოგებას იძლევა, მის ღირებულებაზე უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა იყიდება, ხოლო საქონელი, რომლის ფასიც საშუალოზე ნაკლებ მოგებას იძლევა, მის ღირებულებაზე უ ფ რ ო დ ა ბ ლ ა იყიდება. თუ საქონელთა ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა კონკურენციის მეოხებით მათი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შესაბამისი ხდება, მაშინ მოგების საშუალო დონე მყარდება.

თვით დ ო ნ ე, რიკარდოს აზრით, შეიძლება მაღლდებოდეს ან ეცვემოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეცემა ან დიდდება (შეფარდებით მტკიცედ) ხელფასი, ე. ი. შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა, რაც ფასების შეუცვლელად ხდება (თუმცა რიკარდო თვითონვე აღიარებს აქ ფასების მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოების სხვადასხვა დარგებში იმისდა მიხედვით, თუ როგორია თანაფარდობა საბრუნავსა და ძირითად კაპიტალს შორის ამ დარგებში).

მაგრამ მაშინაც კი, როცა მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ა დამყარდა, და, მაშასადამე, დამყარდა ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ი ც, მაინც მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა შეიძლება გადიდდეს წარმოების ცალკეულ დარგებში იმიტომ, რომ ს ა მ უ შ ა ო დ ღ ე მათში უ ფ რ ო ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ა, ე. ი. იმიტომ, რომ აქ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა იზრდება. მუშების კონკურენციას რომ ამ სხვაობათა გათანაბრება არ ძალუძს, ამაზ ამტკიცებს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ჩ ა რ ე ვ ა. მოგების ნორმა აქ, წარმოების ასეთ ცალკეულ დარგებში, მაშინაც აიწევს, როცა საბაზრო ფასი «ბუნებრივ ფასს» არ აღემატება. მართალია, კაპიტალების კონკურენციას შეუძლია გამოიწვიოს ის, — რასაც იგი საბოლოოდ, მართლაც, იწვევს, — რომ ეს ზემოგება მთლიანად როდი მოუწევს წარმოების ამ ცალკეულ დარგთა კაპიტალისტებს. ისინი იძულებულნი იქნებიან თავიანთ საქონელთა ფასები შეამცირონ მათს «ბუნებრივ ფასებთან» შედარებით, ანდა წარმოების სხვა დარგები რამდენადმე გაადიდებენ თ ა ვ ი ა ნ თ ფ ა ს ე ბ ს (ყოველ შემთხვევაში, თუ ფაქტიურად არ გაადიდებენ, — ასეთი გადიდება შეიძლება გაბათილდეს ამ საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შემცირებით, — მაინც [672] მათ არც ისე ძლიერად შეამცირებენ, როგორც ამას მოითხოვდა შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება

მათს საკუთარ წარმოების დარგებში). მოგების საერთო დონე აიწევს, და ხარჯთფასები შეიცვლება.

შემდეგ: თუ ჩნდება წარმოების ისეთი ახალი დარგი, რომელშიც გამოიყენება არაპროპორციულად ბევრი ცოცხალი შრომა დაგროვილთან შედარებით, რომელშიც, მაშასადამე, კაპიტალის შედგენილობა გაცილებით უფრო დაბალია საშუალო მოგების განმსაზღვრელ საშუალო შედგენილობაზე, მაშინ თანაფარდობა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ამ ახალ დარგში შესაძლებელს გახდის, რომ ამ ახალმა დარგმა თავისი პროდუქტი გაყიდოს ამ პროდუქტის ხარჯთფასზე მაღლა, მის ნამდვილ ღირებულებასთან უფრო მეტი მიახლოებით. თუ კონკურენცია ათანაბრებს ამ განსხვავებებს, ეს შესაძლებელია მხოლოდ მოგების საერთო დონის ამაღლებით, რაც გაპირობებულია იმით, რომ კაპიტალი საერთოდ განაახორციელებს, მოძრაობაში მოიყვანს ფასგადაუხდელი, ე. ი. ზედმეტი შრომის უფრო მეტ რაოდენობას. თანაფარდობა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იმას კი არ იწვევს, რომ საქონელი მისღირებულებაზე უფრო მაღლა იყიდება, როგორც რიკარდო ფიქრობს, არამედ მხოლოდ იმას, რომ იგი იყიდება იმ ფასის კვალობაზე, რომელიც უახლოვდება მის ღირებულებას და აღემატება მის ხარჯთფასს. გათანაბრებას, მაშასადამე, არ შეიძლება შედეგად მოჰყვეს მოგების დაყვანა წინანდელ დონეზე, არამედ იგი იწვევს იმას, რომ მყარდება ახალი დონე.

[ბ) რიკარდოს შეცდომები მოგების ნორმაზე კოლონიური და საერთოდ საგარეო ვაჭრობის გავლენის საკითხში]

ასეთივე მდგომარეობა, როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, გვაქვს, მაგალითად, კოლონიებთან ვაჭრობაში, სადაც შრომის ღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე მეტროპოლიაში, მონობისა და მიწის ბუნებრივი ნაყოფიერების გამო (ანდა მიწის საკუთრების ფაქტიური ან იურიდიული განუვითარებლობის გამო). თუ მეტროპოლიის კაპიტალი შეძლებს ამ ახალ დარგში თავისუფლად გადასვლას, მაშინ იგი, მართალია, შეამცირებს ამ დარგში მისაღებ სპეციფიკურ დამატებით მოგებას, მაგრამ აამაღლებს მოგების საერთო დონეს (როგორც სრულად მართებულად შენიშნავს ა. სმიტი).

რიკარდო შუდამ მოიშველიებს ხოლმე აქ ასეთ ფრაზას: წარმოების ძველ დარგებში გამოყენებული შრომის რაოდენობა და ასევე ხელფასიც ხომ უცვლელი დარჩაო. მაგრამ საქმე ისაა, რომ მოგების საერთო ნორმა განისაზღვრება ფასგადაუხდელი შრომის შეფარდებით ფასგადახდილთან და ავანსებულ კაპიტალთან არა წარმოების ამა თუ იმ დარგში, არამედ ყველა დარგში, სადაც კაპიტალის თავისუფლად გადატანა შეიძლება. ეს თანაფარდობა შეიძლება ცხრა მეათედში უცვლელი დარჩეს, მაგრამ თუ იგი ერთ მეათედში იცვლება, მაშინ მოგების საერთო ნორმა უნდა შეიცვალოს ყველა ათ მეათედში. ყოველთვის, როცა მოცემული სიდიდის კაპიტალის მიერ მოძრაობაში მოყვანილი ფასგადაუხდელი შრომის მასა იზრდება, კონკურენციას შეუძლია მხოლოდ ის გამოიწვიოს, რომ თანაბარი სიდიდის კაპიტალები მიიღებენ თანაბარ დივიდენდებს, თანაბარ წილს ამ გადიდებულ ზედმეტ შრომაში; მაგრამ კონკურენციას არ შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ, მიუხედავად გადიდებული ზედმეტი შრომისა შედარებით ერთობლივ ავანსებულ კაპიტალთან, ყოველი ცალკეული კაპიტალის დივიდენდი ეცვლელი რჩებოდეს, დაიყვანებოდეს წინანდელ წილზე ზედმეტ შრომაში. რაკი რიკარდო ამ უკანასკნელს ვარაუდობს, მას არავითარი საფუძველი არა აქვს სადაოდ გახადოს ა. სმიტის ის შეხედულება, რომ მხოლოდ გაზრდილი კონკურენცია კაპიტალებისა, მათი დაგროვების გამო, ამცირებს მოგების ნორმას. ვინაიდან იგი თვით ვარაუდობს აქ, რომ მოგების ნორმა მცირდება მხოლოდ კონკურენციის მეოხებით, თუმცა ზედმეტი ღირებულების ნორმა იზრდება კიდეც. რიკარდოს ეს შეხედულება დაკავშირებულია, რა თქმა უნდა, მის მეორე მცდარ წანამძღვართან, თითქოს მოგების ნორმა (თუ უყურადღებოდ დავტოვებთ ხელფასის შემცირებას ან გადიდებას) შეიძლება იზრდებოდეს ან ეცემოდეს მხოლოდ ბუნებრივი ფასიდან საბაზრო ფასის დროებითი გადახრების შედეგად. მართლაც, რა არის ბუნებრივი ფასი? ფასი, რომელიც უდრის ავანსებულ კაპიტალს პლუს საშუალო მოგება. ეს, მაშასადამე, კვლავ დაიყვანება იმ წანამძღვრამდე, რომ საშუალო მოგება არასოდეს არ შეიძლება ეცემოდეს, ან იზრდებოდეს სხვანაირად, ვიდრე ეცემა ან იზრდება შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება.

რიკარდო სცდება, როცა იგი სმიტის საწინააღმდეგოდ, ამბობს:

«არავითარ გადასვლას სიგარეო ვაჭრობის ერთი დარგიდან მეორეზე ანდა საშინაო ვაჭრობიდან საგარეოზე არ შეუძლია, ჩემის აზრით, გავლენა იქონიოს მოგების ნორმაზე» (ციტირ. თხზ., გვ. 413).

ასევე სცდება რიკარდო, როცა ფიქრობს, რომ მოგების ნორმა გავლენას არ ახდენს ხარჯთფასებზე, რაკი მოგებას გავლენა არა აქვს ღირებულებაზე.

რიკარდო სცდება, როცა ფიქრობს, რომ თუ საგარეო ვაჭრობის რომელიმე დარგი განსაკუთრებულად ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდება, მაშინ მოგების საერთო დონის დამყარება ყოველთვის უნდა ხდებოდეს იქ მიღებული მოგების დაყვანით წინანდელ დონემდე, და არა ამ დონის ამაღლებით:

«ამტკიცებენ, მოგებათა ტოლობა მოგებათა საერთო გადიდებით დამყარდებაო; მე კი იმ აზრისა ვარ, რომ იმ დარგის მოგებანი, რომელიც განსაკუთრებულად ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, სწრაფად დაიწევს საერთო დონემდე» (გვ. 132 — 133).

მოგების ნორმაზე თავისი მთლიანად მცდარი შეხედულების გამო რიკარდოს სრულიად არ ესმის საგარეო ვაჭრობის გავლენა იმ შემთხვევებში, როცა ეს ვაჭრობა არ ამცირებს უშუალოდ მუშების კვების საგანთა ფასს. რიკარდო ვერ ხედავს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ინგლისი, მაგალითად, უფრო იაფ ნედლეულს იღებს [673] მრეწველობისათვის, და მას არ ესმის, რომ ამ შემთხვევაში, როგორც მე ეს წინათ ცხადყავი [113], თუმცა [გაიაფებული ნედლეულიდან მიღებულ ნაკეთობათა] ფასები კი მცირდება, მაგრამ მოგების ნორმა დიდდება, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში, როცა [გაძვირებული ნედლეულიდან მიღებულ ნაკეთობათა] ფასები იზრდება, მოგების ნორმა შეიძლება ეცემოდეს — და რომ ამას ადგილი აქვს მაშინაც კი, როცა ორივე შემთხვევაში ხელფასი უცვლელი რჩება.

«ამრიგად, მოგების ნორმა იზრდება არა ბაზრის გაფართოების გამო» (გვ. 136).

მოგების ნორმა დამოკიდებულია არა ცალკეული საქონლის ფასზე, არამედ ზედმეტი შრომის იმ მასაზე, რომლის რეალიზებაც მოცემულ კაპიტალს შეუძლია. რიკარდო სხვა შემთხვევებშიც ვერ ითვალისწინებს სათანადოდ ბაზრის დიდ მნიშვნელობას, რადგან არ ესმის ფულის არსი.

* * *

[673] (ყოველივე იმასთან ერთად, რაც ზემოთ ითქვა, საჭიროა შევნიშნო კიდევ შემდეგი:

ყველა ამ შეცდომას რიკარდო იმიტომ უშვებს, რომ თავისი

წანამძღვარი ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მოგების ნორმის იგივეობის შესახებ მას სურს განახორციელოს ნაძალადევი აბსტრაქციების მეოხებით. ვულგარულმა ეკონომისტებმა აქედან ის დასკვნა გააკეთეს, რომ თეორიული ჭეშმარიტებანი აბსტრაქციებია, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საქმის ნამდვილ ვითარებას. ისინი ვერ ხედავენ იმას, რომ რიკარდო, პირიქით, სწორი აბსტრაქციის გზით საკმაოდ შორს ვერ მიდის და რომ სწორედ ამას მიჰყავს იგი მცდარ აბსტრაქციამდე [114].) [673].

[Მ)] ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

[Ა) ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲠᲘᲙᲐᲠᲓᲝᲡᲔᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲘᲡ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ ᲬᲐᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘ]

მოგების ნორმის დაცვის კანონი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტია რიკარდოს სისტემაში.

მოგების ნორმას დაცვის ტენდენცია აქვს. რატომ? ა. სმიტი ამბობს: კაპიტალების მზარდი დაგროვებისა და მისი თანმხლები მზარდი კონკურენციის გამო. რიკარდო ედავება: კონკურენციას შეუძლია მოგებათა გათანაბრება წარმოების სხვადასხვა დარგში (ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ რიკარდო აქ არაა თანამიმდევრული), მაგრამ მას არ შეუძლია შეამციროს მოგების საერთო ნორმა. ასეთი შემცირება, რიკარდოს მიხედვით, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, კაპიტალის დაგროვების გამო, კაპიტალების გადიდება მოსახლეობის ზრდასთან შედარებით იმდენად უფრო სწრაფად მოხდებოდა, რომ შრომის მოთხოვნა მ უ დ ა მ გადაამეტებდა შრომის მიწოდებას, და ამიტომ ხელფასი მუდამ გაიზრდებოდა ნომინალურად, რეალურად და სახმარი ღირებულების მიხედვით, — გაიზრდებოდა როგორც ღირებულების, ისე სახმარი ღირებულების მიხედვითაც. მაგრამ ეს არ ხდება, რიკარდო არ არის ოპტიმისტი, რომელსაც ამგვარი ზღაპრები სჯერა.

რადგან მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა და ნ ო რ მ ა ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა — შეფარდებითი ზედმეტი ღირებულებისა, რამდენადაც რიკარდოს მიერ სამუშაო დღე ნაგულისხმევია როგორც უცვლელი, — რიკარდოსთვის იდენტურია, ამიტომ მოგების ნორმის მუდმივი დაცემა ანუ მოგების ნორმის ტენდენცია დაცემისადმი მას შეუძლია ახსნას მხოლოდ ი მ ა ვ ე მ ი ზ ე ზ ᲒᲑᲘᲗ, რა მიზეზებითაც გაპირობებულია მუდმივი დაცემა ანუ დაცემის ტენდენცია ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ი ს ა, ე. ი.

სამუშაო დღის იმ ნაწილისა, რომლის განმავლობაშიც მუშა მუშაობს არა თავისთვის, არამედ კაპიტალისტისათვის. მაგრამ როგორია ეს მიზეზები? თუ ვიგულისხმებთ, რომ სამუშაო დღე მოცემულია, მაშინ მისი ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც მუშა მუქთად მუშაობს კაპიტალისტისათვის, შეიძლება ეცემოდეს, მცირდებოდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ იზრდება სამუშაო დღის ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც იგი თავისთვის მუშაობს. ეს კი (თუ ნაგულისხმევია, რომ შრომის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნაზღაურდება) შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდდება ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა აუცილებელი საჭიროების საგნებისა, საარსებო საშუალებებისა, რომლებზეც მუშის ხელფასი იხარჯება. მაგრამ სამრეწველო საქონლის ღირებულება, შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების გამო, მუდამ მცირდება. მაშასადამე, მოგების ნორმის დაცემა შეიძლება, რიკარდოს აზრით, მხოლოდ იმით აიხსნას, რომ საარსებო საშუალებათა მთავარი შემადგენელი ნაწილის — კვების საგანთა — ღირებულება მუდამ იზრდება. ეს იმიტომ ხდება, რომ მიწათმოქმედების ნაყოფიერება მუდამ მცირდებაო. ეს იგივე წანამძღვარია, რომლის მეოხებითაც რიკარდო მიწის რენტის თავის ანალიზში განმარტავს რენტის არსებობას და მის ზრდას. მოგების ნორმის განუწყვეტელი დაცემა ამიტომ, რიკარდოს მიხედვით, დაკავშირებულია მიწის რენტის ნორმის განუწყვეტელ გადიდებასთან. მე უკვე ცხადვყავი, რომ მიწის რენტის რიკარდოსეული გაგება მცდარია. ამით, მაშასადამე, ინგრევა მოგების ნორმის დაცემის მისი ახსნის ერთ-ერთი საფუძველი. მეორე, მისი შეხედულება მოგების ნორმის დაცემაზე ემყარება მცდარ წანამძღვარს, თითქოს ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა და მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა იდენტურია, ასე რომ მოგების ნორმის დაცემა, როგორც ირკვევა, იდენტურია ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემისა, რომელიც, მართლაც, შეიძლებოდა მხოლოდ რიკარდოსებურად აგვეხსნა. ამით მისი თეორია გაბათილებულია.

მოგების ნორმა ეცემა — თუმცა ზედმეტი ღირებულების ნორმა ამასთან უცვლელი რჩება ან დიდდება — იმ მიზეზით, რომ ცვალებადი კაპიტალი შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების კვალობაზე მცირდება მუდმივ კაპიტალთან შედარებით. ამრიგად, მოგების ნორმა ეცემა არა იმიტომ, რომ შრომა ნაკლებად ნაყოფიერი ხდება, არამედ იმიტომ, რომ იგი უფრო ნაყოფიერი ხდება. იგი ეცემა არა იმიტომ, რომ მუშას უფრო ნაკლებ ექსპლოატაციას უწევენ, არამედ იმიტომ, რომ მას მეტ ექსპლოატაციას უწევენ,

სულ ერთია, ხდება ეს იმის შედეგად, რომ იზრდება აბსოლუტური სამუშაო დღე, თუ, — როცა ამას სახელმწიფო ეწინააღმდეგება, — იმის შედეგად, რომ თვით კაპიტალისტური წარმოების არსიდან გამომდინარეობს შრომის შეფარდებითი ღირებულების დაცემა და, მაშასადამე, შეფარდებითი ზედმეტი დროის გადიდება.

ამრიგად, რიკარდოს თეორია ემყარება ორ მცდარ წანამძღვარს:

1) მცდარ წანამძღვარს, თითქოს მიწის რენტის არსებობა დაზრდა გამოწვეულია მიწათმოქმედების კლებადი ნაყოფიერებით;

2) მცდარ წანამძღვარს, თითქოს მოგების ნორმა, რასაც რიკარდო შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების ნორმასთან აიგივებს, შეიძლება დიდდებოდეს ან ეცემოდეს მხოლოდ შებრუნებული შეფარდებითი ხელფასის გადიდებასა ან დაცემასთან.

[674] ახლა მე უწინარეს ყოვლისა თავს მოვუყრი ყველა იმ ადგილს, სადაც რიკარდო ახლახან გადმოცემულ შეხედულებას აითარებს.

[ბ) ანალიზი რიკარდოს დებულებისა იმის შესახებ, რომ მზარდი რენტა თანდათანობით ნთქავს მოგებას]

წინასწარ რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებთ კიდევ იმის შესახებ, თუ რიკარდო, რომელიც მიწის რენტაზე თავისი შეხედულებიდან გამოდის, როგორ ავითარებს იმ თვალსაზრისს, რომ რენტა თანდათანობით ნთქავს მოგების ნორმას.

ამ მიზნისათვის ვისარგებლებთ 574 გვერდზე* მოცემული ცხრილებით, მაგრამ აუცილებელი ცვლილებებით.

ამ ცხრილებში ნაგულისხმევია, რომ გამოყენებული კაპიტალი უდრის 60 c + 40v, ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის 50%-ს და, მაშასადამე, პროდუქტის [ინდივიდუალური] ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, როგორიც არ უნდა იყოს შრომის ნაყოფიერება, უდრის 120 გირვ. სტერლინგს. აქედან 10 გირვ. სტერლ. შეადგენდა მოგებას, 10 გირვ. სტერლინგი — აბსოლუტურ რენტას. დავუშვათ, რომ 40 გირვ. სტერლ. კაპიტალი უწევს 20 მუშას (მათს შრომაში, მაგალითად, კვირის განმავლობაში ან, უკეთ, რამდენადაც ლაპარაკია მოგების ნორმაზე, წლის განმავლობაში; თუმცა, აქ ეს სავსებით სულ ერთია). A ცხრილის თანახმად, სადაც საბაზრო ღირებულებას I მიწა განსაზღვრავს, რიცხვი [ნახშირისა ტონებში ან ხორბლისა კვარტე-

* იხ. 352 — 353 გვერდებს შორის ჩაწებებული ფურცელი. რ ე დ.

რებში] უდრის 60-ს; მაშასადამე, 60 ტონა ღირს 120 გირვ. სტერლ., 1 ტონა [ან 1 კვარტერი] კი ღირს $^{120}/_{60}$, ე. ი. 2 გირვ. სტერლინგი. ხელფასი შეადგენს 40 გირვ. სტერლინგს, ე. ი. იგი უდრის 20 ტონა [ნახშირს] ან 20 კვარტერ ხორბალს. მაშასადამე, ასეთია აუცილებელი ხელფასი მუშების იმ რაოდენობისათვის, რომელსაც ასაქმებს 100 გირვ. სტერლინგი კაპიტალი. თუ ახლა აუცილებელი იქნებოდა უფრო ცუდი ხარისხის მიწაზე გადასვლა, სადაც 110 გირვ. სტერლ. კაპიტალი დაგვჭირდებოდა (60 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალი და ცვალებადი კაპიტალი 20 მუშისათვის, რომლებიც ამ კაპიტალით არიან ამოქმედებული, — ე. ი. 60 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალი და 50 გირვ. სტერლ. ცვალებადი კაპიტალი) 48 ტონის საწარმოებლად, მაშინ ასეთ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულება იქნებოდა 10 გირვ სტერლინგი, ტონის ფასი კი—$2^1/_2$ გირვ. სტერლინგი. თუ გადავიდოდით კიდევ უფრო ცუდი ხარისხის მიწაზე, სადაც 120 გირვ. სტერლინგი 40 ტონას იძლევა, მაშინ ტონის ფასი იქნებოდა $^{120}/_{40}$, ე. ი. 3 გირვ. სტერლ. აქ, ყველაზე ცუდ მიწაზე, გაქრებოდა ყოველგვარი ზედმეტი ღირებულება. ყველა ამ შემთხვევაში 20 მუშის შრომით ახლადშექმნილი ღირებულება ყოველთვის იქნება 60 გირვ. სტერლინგი (ვ. გირვ. სტერლ. = ნებისმიერი სიდიდის 1 სამუშაო დღეს). თუ, მაშასადამე, ხელფასი 40 გირვ. სტერლინგიდან 60 გირვ. სტერლინგამდე გაიზრდება, გაქრება ყოველგვარი ზედმეტი ღირებულება. ამასთან მუდამ იგულისხმება, რომ ერთი კვარტერი ხორბალი შეადგენს ერთი მუშის აუცილებელ ხელფასს.

დავუშვათ, რომ ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში [უცუდეს მიწაზე გადასვლისას] უნდა დაიხარჯოს მხოლოდ 100 გირვ. სტერლინგი კაპიტალი. იგივე შეიძლება გამოიხატოს ასეც: როგორი კაპიტალიც არ უნდა იხარჯებოდეს თვითეულ მოცემულ შემთხვევაში, როგორი იქნება თანაფარდობა 100 გირვ. სტერლ. კაპიტალისათვის? სახელდობრ, ნაცვლად იმ ვარაუდისა, რომ იხარჯება 110 გირვ. სტერლ. კაპიტალი ან 120 გირვ. სტერლინგი კაპიტალი მუშების იმავე რაოდენობისა და მუდმივი კაპიტალის იმავე სიდიდის პირობებში, ჩვენ გამოვიანგარიშებთ, ვიგულისხმებთ რა იმავე ორგანულ შედგენილობას (არა ღირებულების მიხედვით, არამედ გამოყენებული შრომის რაოდენობისა და მუდმივი კაპიტალის რაოდენობის მიხედვით), მუდმივი კაპიტალის რა რაოდენობა და მუშების რა რიცხვი უწევს 100 კაპიტალს (რათა შეიძლებოდეს ამ 100 ერთე-

ულის შედარება კაპიტალის სხვა [ღირებულებრივ] შედგენილობებთან).

110 ისე შეეფარდება 60-ს, როგორც 100 $54^6/_{11}$-ს, და 110 შეეფარდება 50-ს ისე, როგორც 100 $45^5/_{11}$-ს. 20 კაცს მოძრაობაში მოჰყავს მუდმივი კაპიტალის 60 ერთეული; რამდენი კაცი მოიყვანს მოძრაობაში $54^6/_{11}$ ერთეულს?

საქმის ვითარება ასეთია. 60 გირვ. სტერლინგი — ეს არის ღირებულება, რომელსაც დასაქმებული მუშების მოცემული რაოდენობა (ვთქვათ, 20 მუშა) ქმნის. ამასთან მუშების მოცემულ რაოდენობას უნდიან 20 კვარტერს ან ტონას = 40 გირვ. სტერლ., თუ ტონა ან კვარტერი = 2 გირვ. სტერლინგს. თუ ტონის ღირებულება 3 გირვ. სტერლინგამდე იზრდება, ზედმეტი ღირებულება ქრება. თუ ტონის ღირებულება $2^1/_2$ გირვ. სტერლინგამდე იზრდება, მაშინ ქრება ზედმეტი ღირებულების ნახევარი, რაც აბსოლუტურ რენტას შეადგენს.

პირველ შემთხვევაში, როცა 120 გირვ. სტერლ. კაპიტალი იხარჯება (60 c + 60 v), პროდუქტი = 120 გირვ. სტერლ. = 40 ტონას (40 × 3). მეორე შემთხვევაში, როცა 110 გირვ. სტერლ. კაპიტალი იხარჯება (60 c + 50 v), პროდუქტი = 120 გირვ. სტერლ. = 48 ტონას (48 × $2^1/_2$).

პირველ შემთხვევაში, 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის (50c+50v) დახარჯვისას, პროდუქტი = 100 გირვ. სტერლ. = $33^1/_3$ ტონას (3 გირვ. სტერლ. × $33^1/_3$ = 100 გირვ. სტერლ.). ამასთან, რამდენადაც აქ ადგილი აქვს მხოლოდ უცაუდეს მიწაზე გადასვლას, კაპიტალში კი არავითარი ცვლილებები არ მომხდარა, 50 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალი მოძრაობაში მოჰყავს პროპორციულად მუშების იმავე რაოდენობას, როგორსაც უწინ 60 გირვ. სტერლ. კაპიტალი მოჰყავდა მოძრაობაში. მაშასადამე, თუ ეს 60 გირვ. სტერლ. კაპიტალი მოძრაობაში მოჰყავდა 20 მუშას (რომლებიც 40 გირვ. სტერლინგს ღებულობდნენ, როცა ტონის ღირებულება 2 გირვ. სტერლინგს უდრიდა), ახლა 50 გირვ. სტერლ. კაპიტალი მოძრაობაში მოჰყავს $16^2/_3$ მუშას, რომლებიც 50 გირვ. სტერლინგს ღებულობენ, მას შემდეგ, რაც ტონის ღირებულება 3 გირვ. სტერლინგამდე გადიდდა. ერთი კაცი ღებულობს უწინდებურად 1 ტონას ან 1 კვარტერს = 3 გირვ. სტერლ., რადგან $16^2/_3$ × 3 = 50. თუ $16^2/_3$ მუშის მიერ შექმნილი ღირებულება = 50 გირვ. სტერლინგს, 20 მუშის მიერ შექმნილი ღირებულება = 60 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე,

ძალაში რჩება წინანდელი წანამძღვარი, რომ 20 მუშის ერთდღიური შრომა 60 გირვ. სტერლ. ღირებულებას ქმნის.

ავიღოთ ახლა მეორე შემთხვევა. 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვისას პროდუქტი = $109^{1}/_{11}$ გირვ. სტერლ. = $43^{7}/_{11}$ ტონას ($2^{1}/_{2} \times 43^{3}/_{11} = 109^{1}/_{11}$). მუდმივი კაპიტალი = $54^{6}/_{11}$ გირვ. სტერლ., ცვალებადი კი = $45^{5}/_{11}$ გირვ. სტერლინგს. რამდენი მუშაა დაქირავებული ამ $45^{5}/_{11}$ გირვ. სტერლინგით? $18^{2}/_{11}$ მ უ შ ა. [675] ამასთან, თუ 20 მუშის ერთი დღის შრომით შექმნილი ღირებულება = 60 გირვ. სტერლინგს, $18^{2}/_{11}$ მუშის ერთი დღის შრომით შექმნილი ღირებულება = $54^{6}/_{11}$ გირვ. სტერლინგს, მაშასადამე, პროდუქტის ღირებულება = $109^{1}/_{11}$ სტერლინგს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ორივე შემთხვევაში იმავე კაპიტალს [100 გირვ. სტერლინგს] მოძრაობაში მოჰყავს მუშების ნაკლები რაოდენობა, ვიდრე უწინ, მაგრამ ეს მუშები ახლა უფრო ძვირი ჯდება. ისინი იმდენსავე დროს მუშაობენ, მაგრამ მათ მიერ დახარჯული ზედმეტი შრომა უფრო შემცირდა ანდა იგი სრულიად არაა, რადგან ისინი შრომის იმავე დახარჯვით უფრო ნაკლებ პროდუქტს აწარმოებენ (და ეს პროდუქტი შედგება მათ მიერ მოხმარებული ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ს ა ჭ ი რ ო ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ); მაშასადამე, თუმცა ისინი ი მ დ ე ნ ი ვ ე დროის განმავლობაში მუშაობენ, როგორც უწინ, მაგრამ სამუშაო დრო, რასაც ისინი 1 ტონის ან 1 კვარტერის წარმოებაზე ხარჯავენ, გაიზარდა.

რიკარდო თავის გამოანგარიშებებში მუდამ გულისხმობს, რომ კაპიტალს მოძრაობაში მოჰყავს შრომის უ ფ რ ო მ ე ტ ი რაოდენობა და რომ ამიტომ აუცილებლად უნდა დაიხარჯოს მ ე ტ ი კაპიტალი, ე. ი. 120 ან 110 გირვ. სტერლ. ნაცვლად წინანდელი 100-ისა. ეს სწორია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგულისხმება, რომ წარმოებულ უნდა იქნეს პროდუქტის ი გ ი ვ ე რ ა ო დ ე ნ ო ბ ა, ე. ი. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში 60 ტონა და არა 40 ტონა I შემთხვევაში (120 გირვ. სტერლინგის დახარჯვისას) და 48 ტონა II შემთხვევაში (110 გირვ. სტერლინგის დახარჯვისას). ამიტომ 100 გირვ. სტერლინგის დახარჯვისას პირველ შემთხვევაში იწარმოება $33^{1}/_{3}$ ტონა, მეორე შემთხვევაში კი — $43^{7}/_{11}$ ტონა. რიკარდო ამ ვარაუდიდან გამოდის და ამით უკუაგდებს სწორ თვალსაზრისს, რომელიც იმაში კი არ მდგომარეობს, რომ [შრომის ნაყოფიერების შემცირებისას] საჭიროა მეტი მუშების გამოყენება პროდუქტის იმავე რაოდენობის საწარმოებლად, არამედ იმაში, რომ მუშების მოცემული რაოდენობა აწარმოებს უფრო ნაკლებ პროდუქტს, საიდანაც,

თავის მხრივ, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე უწინ, ნაწილი შეადგენს ხელფასს.

შევადაროთ ახლა ორივე ცხრილი: ცხრილი A 574 გვერდზე და ახალი ცხრილი, რომელიც ზემოაღნიშნული ვარაუდებიდან გამომდინარეობს.

თანრიგი	კაპიტალი გირვ. სტერლ.	ტონაჟი რიცხვი	ტონაჟის ერთეულზე ერთ. საპაზრო ღირ. გირ. სტ.	ტონის საპაზრო ღირ. სტ.	ტონის ინდ. ღირებულ. გირ. სტ.	ტონის ფიქსირ. ღირ. გირ. სტ.	ტონის ხარჯდადები გირ. სტ.	ამა რენტა გ. ნ. სტ.	დივ. რენტა გირ. სტ.	ამა რენტა ტონაჟით
I	100	60	120	2	2	0	$1^{5}/_{6}$	10	0	5
II	100	65	130	2	$1^{11}/_{13}$	$^{7}/_{13}$	$1^{9}/_{13}$	10	10	5
III	100	75	150	2	$1^{3}/_{5}$	$^{2}/_{5}$	$1^{7}/_{15}$	10	30	5
ს ულ	300	200	400					30	40	15

	დიფერენც. რენტა ტონაჟით	რენტის საერთო ჯამი გირ. სტ.	რენტის საერთო ჯამი ტონაჟით	კაპიტალის შეფასებულობა	ზედმეტი ღირებ. ნორმა	მოგების რიცხვი	ხელფასი გირ. სტ.	ხელფასი ტონაჟით	მოგების ნორმა
I	0	10	5	$60c + 40v$	50%	20	40	20	10%
II	5	20	10	$60c + 40v$	50%	20	40	20	10%
III	15	40	20	$60c + 40v$	50%	20	40	20	10%
ს ულ	20	70	35						

თუ ახლა ამ ცხრილს წარმოვადგენდით შებრუნებული წესით, რიკარდოსეული დალმავალი ხაზით, ე. ი. თუ ჩვენ III თანრიგიდან დავიწყებდით და ამასთანავე ვიგულისხმებდით, რომ ყველაზე ადრე დამუშავებაში შესული უნაყოფიერესი მიწა [სანამ იგი დასამუშავებელი მიწის ერთადერთი თანრიგია] არავითარ რენტას არ იძლევა, მაშინ ამ III თანრიგში თავდაპირველად გვექნებოდა 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი, რომელიც ქმნის 120 გირვ. სტერლ. ღირებულებას, საიდანაც 60 გირვ. სტერლ. უწევს მუდმივ კაპიტალს და 60 გირვ. სტერლ. — ახლადმიმატებულ შრომას. შემდეგ, თუ რიკარდოს გავყვებით, უნდა გვევარაუდნა, რომ მოგების ნორმა უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე A ცხრილშია ნაჩვენები, რადგან ტონა ნახშირის (ან კვარტერი ხორბლის) ფასის დაცემისას გვექნება შემდეგი: ის 20 მუშა, რომლებიც ღებულობენ 20 ტონას = 40 გირვ.

სტერლინგს, როცა ტონა 2 გირვ. სტერლ. ღირს, ახლა, როცა ტონა ღირს მხოლოდ $1^3/_5$ გირვ. სტერლინგი, ან 1 გირვ. სტერლ. 12 შილინგი, დებულობენ სულ მხოლოდ 32 გირვ. სტერლინგს (= 20 ტონას). დახარჯული კაპიტალი, როცა მუშების რიცხვი იგივეა, შეადგენდა 60 c + 32 v = 92 გირვ. სტერლ., მთელი პროდუქტის ღირებულება იქნებოდა 120 გირვ. სტერლინგი, რადგან 20 მუშის შრომით შექმნილი ღირებულება უწინდებურად 60 გირვ. სტერლინგს უდრის. ასეთი თანაფარდობისას [c-სა და v-ს შორის] 100 გირვ. სტერლ. კაპიტალს უნდა შეექმნა $130^{10}/_{23}$ გირვ. სტერლ. ღირებულება (რადგან 92 : 120 = 100 : $130^{10}/_{23}$, ანუ 23 : 30 = 100 : : $130^{10}/_{23}$), ამასთან ამ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალს ექნებოდა ასეთი შედგენილობა: $65^5/_{23}$ c + $34^{18}/_{23}$ v. მაშასადამე, კაპიტალი იქნებოდა $65^5/_{23}$ c+$34^{18}/_{23}$v; პროდუქტის ღირებულება იქნებოდა $130^{10}/_{23}$ გირვ. სტერლ.; მ უ შ ე ბ ი ს რ ი ც ხ ვ ი იქნებოდა $21^{17}/_{23}$; ზედმეტი ღირებულების ნორმა შეადგენდა $87^1/_2$%-ს.

1) ამრიგად, ჩვენ გვექნებოდა შემდეგი:

თანრიგი	კაპიტალი	ტონაში რიცხვი	ტონის საბაზრო ღირ. ფ. სტ.	ტონის საბაზრო ღირ. ფ. სტ.	ტონის ინდივიდ. ღირ. ფ. სტ.	ტონის დივ. ღირ. ფ. სტ.	რენტა	მოგება ფ. სტ.	მოგების ნორმა	კაპიტალის შედგენილობა	ზედ. ღირ. ნორმა	მუშების რიცხვი
III	100	$81^{13}/_{23}$	$130^{10}/_{23}$	$1^2/_5$	$1^2/_5$	0	0	$30^{10}/_{23}$	$30^{10}/_{23}$%	$65^5/_{23}$c+$34^{18}/_{23}$v	$87^1/_2$%	$21^{17}/_{23}$

ტონობით გამოხატული ხელფასი უდრის $21^{17}/_{23}$ ტონას. მოგება კი შეადგენს $19^1/_{46}$ ტონას.

[676] დავუშვათ ახლა, კვლავ რიკარდოსეულ წანამძღვართა ნიადაგზე, რომ მოსახლეობის ზრდის გამო საბაზრო ფასი ისე მაღლა იწევს, რომ საჭირო ხდება II თანრიგის დამუშავება, სადაც ტონის ღირებულება უდრის $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგს.

აქ სულაც არ გამოდის ისე, როგორც ეს რიკარდოს წარმოუდგენია, რომ $21^{17}/_{23}$ მუშამ მუდამ ერთი და იგივე ღირებულება უნდა აწარმოოს, სახელდობრ $65^5/_{23}$ გირვ. სტერლინგი (ხელფასის და ზედმეტი ღირებულების ჩათვლით). [პროდუქტის გაძვირების შედეგად] ცხადია, რომ მ უ შ ე ბ ი ს რ ი ც ხ ვ ი, რომლის დაქირავება და, მაშასადამე, ექსპლოატირებაც III თანრიგის კაპიტალისტებს შეუძლიათ, შემცირდება მისივე საკუთარი წანამძღვარის თანახმად, მაშასადამე, შემცირდება ზედმეტი ღირებულების ერთობლივი ჯამიც.

ამასთან სამიწათმოქმედო კაპიტალის [ორგანული] შედგენილობა მუდამ უცვლელი რჩება. 60 c-ს მოძრაობაში მოსაყვანად მუდამ საჭიროა 20 მუშა (როცა მოცემულია სამუშაო დღე), სულ ერთია როგორიც არ უნდა იყოს ხელფასი.

რადგან ეს 20 მუშა 20 ტონას ღებულობს, ტონა კი ახლა $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლ. ღირს, ამიტომ 20 მუშა ჯდება 20 × $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლ. = 20 გირვ. სტერლ. + $16^{12}/_{13}$ გირვ. სტერლ. = $36^{12}/_{13}$ გირვ. სტერლინგს.

ამ 20 მუშის მიერ წარმოებული ღირებულება, როგორიც არ უნდა იყოს მათი შრომის ნაყოფიერება, უდრის 60 გირვ. სტერლინგს. ამრიგად, ავანსებული კაპიტალი უდრის $96^{12}/_{13}$ გირვ. სტერლინგს, პროდუქტის ღირებულება კი უდრის 120 გირვ. სტერლინგს; მაშასადამე, მოგება შეადგენს $23^{1}/_{13}$ გირვ. სტერლინგს. ამიტომ $20^{40}/_{69}$ მუშის დასაქმების შემთხვევაში მოგება, რასაც 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი იძლევა, იქნება $23^{17}/_{21}$, ხოლო კაპიტალის შედგენილობა — $61^{19}/_{21}$ c + $38^{2}/_{21}$ v.

თუ პროდუქტის ერთობლივი ღირებულება [100 გირვ. სტერლ. კაპიტალის დახარჯვისას] = $123^{17}/_{21}$ გირვ. სტერლინგს, ტონის ინდივიდუალური ღირებულება კი III თანრიგში = $1^{3}/_{5}$ გირვ. სტერლინგს, რამდენ ტონას შეადგენს ახლა პროდუქტი ამ თანრიგში? — $77^{8}/_{21}$ ტონას. ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა იქნება $62^{1}/_{2}$%.

მაგრამ III თანრიგი ტონას ყიდის $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგის კვალობაზე. ეს ტონაზე იძლევა $4^{12}/_{13}$ შილ., ანუ $^{16}/_{65}$ გირვ. სტერლ. დიფერენციულ ღირებულებას, $77^{8}/_{21}$ ტონაზე კი ეს შეადგენს $77^{8}/_{21}$ × $^{16}/_{65}$, ე. ი. $19^{1}/_{21}$ გირვ. სტერლინგს.

ნაცვლად იმისა, რომ თავისი პროდუქტი $123^{17}/_{21}$ გირვ. სტერლინგად გაყიდოს, III თანრიგი მას ყიდის $123^{17}/_{21}$ გირვ. სტერლინგად + $19^{1}/_{21}$ გირვ. სტერლ. = $142^{6}/_{7}$ გირვ. სტერლინგს. ეს $19^{1}/_{21}$ გირვ. სტერლინგი შეადგენს სწორედ რენტას.

ამრიგად, III თანრიგისათვის ჩვენ გვექნებოდა ახლა შემდეგი:

თანრიგი	კაპიტალი ბ. სტ.	ტონათა რიცხვი	ერთობლივი პროდუქტის ნაზვდილი ღირ. ბ. სტ.	ერთობლივი პროდუქტის საბაზრო ღირ. ბ. სტ.	ტონის საბაზრო ღირებ. ბ. სტ.	ტონის ინდივ. ღირებ. ბ. სტ.	ტონის ფიფერენციული ღირებულება. ბ. სტ.
III	100	$77^{8}/_{21}$	$123^{17}/_{21}$	$142^{6}/_{7}$	$1^{11}/_{13}$	$1^{3}/_{5}$	+ $^{16}/_{65}$

თანრიგი	რენტა გრ. სტ.	რენტა ტონობ.	მოგების ნორმა	კაპიტალის შედგენილობა	ზედმეტი ღირებულების ნორმა	მუშების რიცხვი
III	$19^{1}/_{21}$	$10^{20}/_{63}$	$23^{17}/_{21}$ %	$61^{19}/_{21}c+38^{2}/_{21}v$	$62^{1}/_{2}$ %	$20^{40}/_{63}$

ხელფასი ტონობით = $20^{40}/_{63}$ ტონას, მოგება კი = $12^{113}/_{120}$ ტონას.

გადავიდეთ ახლა II თანრიგზე. აქ [რიკარდოს ვარაუდის თანახმად] სრულიად არ არის რენტა. საბაზრო ღირებულება და ინდივიდუალური ღირებულება ერთმანეთს ემთხვევა. II თანრიგის შიერ წარმოებულ ტონათა რაოდენობა შეადგენს $67^{4}/_{63}$ ტონას.

II თანრიგისათვის, მაშასადამე, ჩვენ გვაქვს:

თანრიგი	კაპიტალი	ტონობა რაოდენობა	ეროვნული პროდუქტის საბაზრო ღირებ. გრ. სტ.	ეროვნული პროდუქტის საბაზრო ღირ. ბ. სტ.	ტონის საბაზრო ღირ. ბ. სტ.	ტონის ინდივ. ღირ. ბ. სტ.	ტონის ფიდეკ. ღირ. ბ. სტ.	რენტა	მოგების ნორმა	კაპიტალის შედგენილობა	ზედმეტი ღირ. ნორმა	მუშების რიცხვი
II	100	$67^{4}/_{63}$	$123^{17}/_{21}$	$1^{11}/_{18}$	$1^{11}/_{18}$	0	0	$23^{17}/_{21}$ %	$61^{19}/_{21}+$ $+38^{2}/_{21}$	$62^{1}/_{2}$ %	$20^{40}/_{63}$

ხელფასი ტონობით = $20^{40}/_{63}$ ტონას, მოგება კი = $12^{113}/_{126}$ ტონას.

[677] 2) ამრიგად, მეორე შემთხვევისათვის, როცა II თანრიგი ჩნდება და რენტა წარმოიქმნება, ჩვენ გვაქვს შემდეგი:

	კაპიტალი	ტონობა რიცხვი	ეროვნული პროდუქტის ნაშდვილი ღირებ. გ. სტ.	ეროვნული პროდუქტის საბაზრო ღირ. ბ. სტ.	ტონის ღირებ. ბ. სტ.	ტონის ინდივ. ღირ. ბ. სტ.	ტონის ფიდეკ. ღირებ. ბ. სტ.	კაპიტალის შედგენილობა
III	100	$77^{8}/_{21}$	$123^{17}/_{21}$	$142^{9}/_{7}$	$1^{11}/_{18}$	$1^{9}/_{6}$	$+^{16}/_{18}$	$61^{19}/_{21}c+38^{2}/_{21}v$
II	100	$67^{4}/_{63}$	$123^{17}/_{21}$	$123^{17}/_{21}$	$1^{11}/_{18}$	$1^{11}/_{18}$	0	$61^{19}/_{21}c+38^{2}/_{21}v$

	მუშების რიცხვი	ზედმეტი ღირებ. ნორმა	მოგების ნორმა	ხელფასი ტონობით	მოგება ტონობით	რენტა გრ. სტ.	რენტა ტონობით
III	$20^{40}/_{63}$	$62^{1}/_{2}$ %	$23^{17}/_{21}$ %	$20^{40}/_{63}$	$12^{113}/_{126}$	$19^{1}/_{21}$	$10^{20}/_{63}$
II	$20^{40}/_{63}$	$62^{1}/_{2}$ %	$23^{17}/_{21}$ %	$20^{40}/_{63}$	$12^{113}/_{126}$	0	0

გადავიდეთ ახლა მესამე შემთხვევაზე და რიკარდოსთან ერთად ვიგულისხმოთ, რომ დამუშავებაში შეიძლება და უნდა შევიდეს უცუდესი ხარისხის ნახშირის საბადოები (თანრიგი I), იმიტომ რომ პროდუქტის, ე. ი. ერთი ტონის ს ა ბ ა ზ რ ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა გაიზარდა 2 გირვ. სტერლინგამდე. რადგან 60 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალის დახარჯვისას საჭიროა 20 მუშა და ეს უკანასკნელნი ახლა 40 გირვ. სტერლინგი ჯდება, ამიტომ ჩვენ კაპიტალის ისეთივე [ღირებულებრივი] შედგენილობა გვაქვს, როგორიც A ცხრილშია 574 გვერდზე, სახელდობრ 60 c + 40 v. 20 მუშის მიერ წარმოებული ღირებულება ყოველთვის უდრის 60 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის მიერ წარმოებული პროდუქტის ერთობლივი [ინდივიდუალური, ნამდვილი] ღირებულება იქნება 120 გირვ. სტერლინგი, როგორიც არ უნდა იყოს მისი მწარმოებლობა. მოგების ნორმა აქ = 20%-ს, ზედმეტი ღირებულება = = 50%-ს. მოგება ტონობით = 10 ტონას. ახლა ჩვენ უნდა ვნახოთ, რა ცვლილება ხდება III და II თანრიგებში საბაზრო ღირებულების ამ ცვლილებისა და მოგების ნორმის განმსაზღვრელი I თანრიგის გამოჩენის გამო.

თუმცა III თანრიგი ყველაზე ნაყოფიერ მიწას ამუშავებს, მას შეუძლია 100 გირვ. სტერლ. კაპიტალით გამოიყენოს მხოლოდ 20 მუშა, რომლებიც მას უჯდება 40 გირვ. სტერლინგი, რადგან 60 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალის გამოყენებისას საჭიროა 20 მუშა. ამიტომ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის მიერ გამოყენებული მუშების რიცხვი ეცემა 20-მდე. მისი პროდუქტის ნამდვილი ერთობლივი ღირებულება ახლა უდრის 120 გირვ. სტერლინგს. მაგრამ რადგან III თანრიგის მიერ წარმოებული ტონის ინდივიდუალური ღირებულება უდრის $1^3/_5$ გირვ. სტერლინგს (ანუ $^8/_5$ გირვ. სტერლინგს), მაშინ რამდენ ტონას აწარმოებს იგი? 75 ტონას, რადგან 120 გაყოფილი $^8/_5$-ზე, იძლევა 75. III თანრიგის მიერ წარმოებული ტონათა რაოდენობა მცირდება, რადგან იმავე კაპიტალით მას შეუძლია გამოიყენოს ნ ა კ ლ ე ბ ი შრომა და არა მ ე ტ ი (როგორც ამას ყოველთვის შეცდომით გადმოგვცემს რიკარდო, იმიტომ რომ მას მუდამ მზეველობაში აქვს მხოლოდ ის, თუ რამდენი შრომაა საჭირო პროდუქტის ი მ ა ვ ე რაოდენობის საწარმოებლად და არა ის, თუ რ ა მ დ ე ნ ი ც ო ც ხ ა ლ ი შ რ ო მ ი ს გამოყენება შეიძლება, როცა მოცემულია კაპიტალის ახალი [ღირებულებრივი] შედგენილობა; ნამდვილად კი აქ ეს არის 1 წორედ ერთადერთი მნიშვნელოვანი საკითხი). მაგრამ ამ 75 ტონას III თანრიგი ყიდის 150 გირვ.

სტერლინგად (ნაცვლად 120 გირვ. სტერლინგისა, რაც მათს [ნამდვილ] ღირებულებას შეადგენს), და ამრიგად რენტა III თანრიგში 30 გირვ. სტერლინგამდე იზრდება.

რაც შეეხება II თანრიგს, აქ პროდუქტის [ნამდვილი] ღირებულება ასევე 120 გირვ. სტერლინგს უდრის და ა. შ. მაგრამ რადგან ტონის ინდივიდუალური ღირებულება $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგს (ანუ $^{24}/_{13}$ გირვ. სტერლინგს) უდრის, ამიტომ ეს თანრიგი აწარმოებს 65 ტონას (რადგან 120, გაყოფილი $^{24}/_{13}$-ზე, იძლევა 65). მოკლედ, ჩვენ ვღებულობთ აქ A ცხრილს, რომელიც მოცემულია 574 გვერდზე. მაგრამ რადგან აქ ჩვენი მიზნისათვის ახალი რუბრიკები გვჭირდება, ამიტომ ჩვენ შევადგენთ ახალ ცხრილს ამ მესამე შემთხვევისათვის, როცა I თანრიგი ჩნდება და პროდუქტის საბაზრო ღირებულება 2 გირვ. სტერლინგამდე იზრდება.

3) მესამე შემთხვევა:

თანრიგი	კაპიტალი	ტონათა რიცხვი	ერთობლივი პროდუქტის ნავაგალი ღირ. გ. სტ.	ერთობლივი პროდუქტის საბაზრო ღირებ. გ. სტ.	ტონის საბაზრო ღირებ.	ტონის ინდივიდ. ღირებ.	ტონის ინდივ. შემოსავალი	კაპიტალის შედგენილობა
III	100	75	120	150	2	$1^{2}/_{3}$	$^{2}/_{3}$	60c + 40v
II	100	65	120	130	2	$1^{11}/_{13}$	$^{2}/_{13}$	60c + 40v
I	100	60	120	120	2	2	0	60c + 40v

	მუშაკთა რიცხვი	ზედმეტი ღირებ. ნორმა	მოგების ნორმა	ხელფასი ტონებით	მოგება ტონებით	რენტა გირვ. სტერლ.	რენტა ტონებით
III	20	50%	20%	20	10	30	15
II	20	50%	20%	20	10	10	5
I	20	50%	20%	20	10	0	0
სულ						40	20

[678] ამრიგად, ეს მესამე შემთხვევა შეესაბამება A ცხრილს 574 გვერდზე (თუ არ ვიანგარიშებთ აბსოლუტურ რენტას, რომელიც აქ მოგების ნაწილის სახით გვევლინება), და მხოლოდ პირიქით ხდება ყველაფერი.

გადავიდეთ ახლა ჩვენგან ნავარაუდევ ახალ შემთხვევებზე *. ავიღოთ უწინარეს ყოვლისა ისეთი თანრიგი, რომელიც ჯერ კიდევ

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 589 — 592. რ ე დ.

იძლევა მოგებას; ვუწოდოთ მას I b. როცა კაპიტალი 100 გირვ. სტერლინგია, იგი იძლევა მხოლოდ $43^{7}/_{11}$ ტონას.

ტონის ღირებულებამ აიწია $2^{1}/_{2}$ გირვ. სტერლინგამდე. კაპიტალის შედგენილობა არის $54^{6}/_{11}$ c + $45^{5}/_{11}$ v. პროდუქტის ღირებულება იქნება $109^{1}/_{11}$ გირვ. სტერლინგი. $45^{5}/_{11}$ გირვ. სტერლ. ცვალებადი კაპიტალი ხმარდება ხელფასს $18^{2}/_{11}$ მუშისათვის. და რადგან 20 მუშის ერთი დღის შრომით შექმნილი ღირებულება 60 გირვ. სტერლინგს უდრის, ამიტომ $18^{2}/_{11}$ მუშა ქმნის $54^{6}/_{11}$ გირვ. სტერლ. ღირებულებას. ამიტომ პროდუქტის ღირებულება უდრის $109^{1}/_{11}$ გირვ. სტერლინგს. მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა = $9^{1}/_{11}$%-ს. მოგება = = $3^{7}/_{11}$ ტონას. ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა = = 20%-ს.

რადგან კაპიტალის ორგანული შედგენილობა III, II და I თანრიგებში ისეთივეა, როგორიც I თანრიგში, და მათ იგივე ხელფასი უნდა იხადონ, რასაც ეს უკანასკნელი იხდის, ამიტომ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალით მათაც შეუძლიათ აგრეთვე გამოიყენონ $18^{2}/_{11}$ მუშა, რომლებიც აწარმოებენ $54^{6}/_{11}$ გირვ. სტერლ. ერთობლივ ღირებულებას და, მაშასადამე, — როგორც ეს I თანრიგშია, — 20% ზედმეტ ღირებულებას და $9^{1}/_{11}$% მოგების ნორმას. პროდუქტის ერთობლივი [ნამდვილი] ღირებულება აქ, ისევე როგორც I თანრიგში, უდრის $109^{1}/_{11}$ გირვ. სტერლინგს.

მაგრამ რადგან ტონის ინდივიდუალური ღირებულება III თანრიგში უდრის $1^{3}/_{5}$ გირვ. სტერლინგს (ანუ $^{8}/_{5}$ გირვ. სტერლინგს), ამიტომ ეს თანრიგი აწარმოებს $109^{1}/_{11} : {}^{8}/_{5}$, ე. ი. $68^{2}/_{11}$ ტონას (სხვა სიტყვებით, აქ $109^{1}/_{11}$ გირვ. სტერლ. უდრის $68^{2}/_{11}$ ტონას). შემდეგ, სხვაობა ტონის საბაზრო ღირებულებასა და მის ინდივიდუალურ ღირებულებას შორის შეადგენს ახლა $2^{1}/_{2}$ გირვ. სტერლინგს მინუს $1^{3}/_{5}$ გირვ. სტერლ., ანუ 2 გირვ. სტერლ. 10 შილ. მინუს 1 გირვ. სტერლ. 12 შილინგი, ე. ი. 18 შილ. $68^{2}/_{11}$ ტონაზე კი ეს შეადგენს $68^{2}/_{11}$ × 18 შილ. = $1227^{3}/_{11}$ შილ. = $61^{4}/_{11}$ გირვ. სტერლინგს. ნაცვლად იმისა, რომ თავისი პროდუქტი $109^{1}/_{11}$ გირვ. სტერლინგად გაყიდოს, III თანრიგი მას ყიდის $175^{5}/_{11}$ გირვ. სტერლინგად. და ეს ნამეტი შეადგენს III თანრიგის რენტას. ტონებით გამოხატული ეს რენტა = $24^{6}/_{11}$ ტონას.

რადგან ტონის ინდივიდუალური ღირებულება II თანრიგში $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგს (ანუ $^{24}/_{13}$ გირვ. სტერლინგს) უდრის, ამიტომ იგი აწარმოებს $109^{1}/_{11} : {}^{24}/_{13}$, ე. ი. $59^{1}/_{11}$ ტონას. II თანრიგში სხვაობა ტონის საბაზრო ღირებულებასა და მის [ინდივიდუალურ]

ღირებულებას შორის შეადგენს $2^1/_2$ გირვ. სტერლ. მინუს $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლ., ე. ი. $^{17}/_{26}$ გირვ. სტერლინგს. $59^1/_{11}$ ტონაზე ეს შეადგენს $38^7/_{11}$ გირვ. სტერლინგს. ეს არის სწორედ რენტა. ერთობლივი პროდუქტის საბაზრო ღირებულება = $147^8/_{11}$ გირვ. სტერლინგს. ტონებით გამოხატული რენტა უდრის $15^5/_{11}$ ტონას.

ბოლოს, რადგან I თანრიგში ტონის ინდივიდუალური ღირებულება უდრის 2 გირვ. სტერლინგს, ამიტომ $109^1/_{11}$ გირვ. სტერლ. უდრის აქ $54^6/_{11}$ ტონას. სხვაობა საბაზრო ღირებულებასა და ინდივიდუალურ ღირებულებას შორის უდრის $2^1/_2$ გირვ. სტერლ. მინუს 2 გირვ. სტერლ., ე. ი. $^1/_2$ გირვ. სტერლინგს. $54^6/_{11}$ ტონაზე კი ეს შეადგენს $27^3/_{11}$ გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, ერთობლივი პროდუქტის ღირებულება = $136^4/_{11}$ გირვ. სტერლინგს. ტონებით გამოხატული რენტის ღირებულება კი უდრის $10^{10}/_{11}$ ტონას.

თუ ახლა ყოველივე ამას ცხრილის სახით შევაჯამებთ მ ე ო თ ხ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს, ჩვენ გვექნება:

[679] 4) მეოთხე შემთხვევა:

თანრიგი	კაპიტალი ბ. სტ.	ტონაჟი რიცხვი	ერთობლივი პროდუქტის ნაწ�ლი ღირებულ. გ. სტ.	ერთობლივი პროდუქტის საბაზრო ღირებულ. გ. სტ.	ტონის საბაზრო ღირებულ. გ. სტ.	ტონის ინდივ. ღირებულ. ბ. სტ.	ტონის დიფერენციალურ. ღირებ. გირვ. სტ.
III	100	$68^3/_{11}$	$109^1/_{11}$	$170^6/_{11}$	$2^1/_2$	$1^2/_5$	$^9/_{20}$
II	100	$59^1/_{11}$	$109^1/_{11}$	$147^8/_{11}$	$2^1/_2$	$1^{11}/_{13}$	$^{17}/_{26}$
I	100	$54^6/_{11}$	$109^1/_{11}$	$136^4/_{11}$	$2^1/_2$	2	$^1/_2$
Ib	100	$43^7/_{11}$	$109^1/_{11}$	$109^1/_{11}$	$2^1/_2$	$2^1/_2$	0

	კაპიტალის შედგენილობა	ფულების	ზედმეტი ღირებულება	მოგების ნორმა	ხელფასის ტერიფი	ფიგური ტონაჟი	რენტა ბ. სტ.	რენტა გ. სტ.
III	$54^6/_{11}c + 45^5/_{11}v$	$18^3/_{11}$	20%	$9^1/_{11}$ %	$18^1/_{11}$	$3^7/_{11}$	$61^4/_{11}$	$24^9/_{11}$
II	$54^6/_{11}c + 45^5/_{11}v$	$18^3/_{11}$	20%	$9^1/_{11}$ %	$18^3/_{11}$	$3^7/_{11}$	$38^7/_{11}$	$15^5/_{11}$
I	$54^6/_{11}c + 45^5/_{11}v$	$18^3/_{11}$	20%	$9^1/_{11}$ %	$18^3/_{11}$	$3^7/_{11}$	$27^3/_{11}$	$10^{10}/_{11}$
Ib	$54^6/_{11}c + 45^5/_{11}v$	$18^3/_{11}$	20%	$9^1/_{11}$ %	$18^3/_{11}$	$3^7/_{11}$	0	0

განვიხილოთ, დასასრულ, უკანასკნელი შემთხვევა, სადაც, რიკარდოს მიხედვით, მოხსნილია მ თ ე ლ ი მ ო გ ე ბ ა, სადაც სრულიად არ რჩება ზედმეტი ღირებულება.

აქ პროდუქტის ღირებულება იზრდება 3 გირვ. სტერლინგამდე ტონაზე, ასე რომ 20 მუშის გამოყენებისას მათი ხელფასი უდრის 60 გირვ. სტერლინგს, უდრის მათ მიერ წარმოებულ ღირებულებას. კაპიტალის შედგენილობა იქნება 50 c + 50 v. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება $16^2/_3$ მ უ შ ა. თუ 20 მუშა 60 გირვ. სტერლ. ღირებულებას აწარმოებს, $16^2/_3$ მუშა აწარმოებს 50 გირვ. სტერლ. ღირებულებას. მაშასადამე, ხელფასი ნთქავს მთელ ამ ღირებულებას. ერთი მუშა ღებულობს, როგორც უწინ, ერთ ტონას. პროდუქტის ღირებულება = 100 გირვ. სტერლინგს. ამრიგად, წარმოებულ ტონათა რაოდენობა = $33^1/_3$. აქედან ნახევარი ანაზღაურებს მხოლოდ მუდმივი კაპიტალის ღირებულებას, მეორე ნახევარი კი — მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას.

რადგან III თანრიგში ტონის ინდივიდუალური ღირებულება უდრის $1^3/_5$ გირვ. სტერლინგს (ანუ $^3/_5$ გირვ. სტერლინგს), ამიტომ რამდენ ტონას აწარმოებს იგი? 100, გაყოფილს $^3/_5$, ე. ი. $62^1/_2$ ტონას, რომლის ღირებულებაც = 100 გირვ. სტერლინგს. სხვაობა ტონის საბაზრო ღირებულებასა და მის ინდივიდუალურ ღირებულებას შორის უდრის 3 გირვ. სტერლ. მინუს $1^3/_5$ გირვ. სტერლ., ე. ი. $1^2/_5$ სტერლინგს. $62^1/_2$ ტონაზე ეს შეადგენს $87^1/_2$ გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, ერთობლივი პროდუქტის საბაზრო ღირებულება უდრის აქ $187^1/_2$ გირვ. სტერლინგს. ტონებით გამოხატული რენტა კი უდრის $29^1/_6$ ტონას.

II თანრიგში ტონის ინდივიდუალური ღირებულება უდრის $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, ტონის დიფერენციული ღირებულება უდრის 3 გირვ. სტერლინგს მინუს $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლ., ე. ი. $1^2/_{13}$ გირვ. სტერლინგს. რადგან ტონის ინდივიდუალური ღირებულება აქ უდრის $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგს, ანუ $^{24}/_{13}$ გირვ. სტერლინგს, 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი აწარმოებს $100 : {}^{24}/_{13}$, ე. ი. $54^1/_6$ ტონას. ტონათა ამ რაოდენობაზე აღნიშნული სხვაობა შეადგენს $62^1/_2$ გირვ. სტერლინგს. პროდუქტის საბაზრო ღირებულება = $= 162^1/_2$ გირვ. სტერლინგს. ტონებით გამოხატული რენტა უდრის $20^5/_6$ ტონას.

I თანრიგში ტონის ინდივიდუალური ღირებულება = 2 გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, ტონის დიფერენციული ღირებულება უდრის 3 გირვ. სტერლინგს მინუს 2 გირვ. სტერლ., ე. ი. 1 გირვ.

სტერლინგს. რადგან ტონის ინდივიდუალური ღირებულება აქ = 2 გირვ. სტერლინგს, 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი აწარმოებს 50 ტონას. ეს იძლევა სხვაობას [პროდუქტის საბაზრო და ინდივიდუალურ ღირებულებას შორის] 50 გირვ. სტერლინგის რაოდენობით. პროდუქტის საბაზრო ღირებულება = 150 გირვ. სტერლინგს, ტონებით გამოხატული რენტა კი = $16^2/_3$ ტონას.

გადავიდეთ ახლა I b თანრიგზე, რომელიც აქამდე არავითარ რენტას არ იძლეოდა. აქ ტონის ინდივიდუალური ღირებულება = $=2^1/_2$ გირვ. სტერლინგს. მაშასადამე, ტონის დიფერენციული ღირებულება უდრის 3 გირვ. სტერლინგს მინუს $2^1/_2$ გირვ. სტერლ., ე. ი. $^1/_2$ გირვ. სტერლინგს. და რადგან ტონის ინდივიდუალური ღირებულება აქ = $2^1/_2$ (ანუ $^5/_2$ გირვ. სტერლინგს), 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი აწარმოებს 40 ტონას. ტონათა ამ რაოდენობაზე დიფერენციული რენტა შეადგენს 20 გირვ. სტერლინგს, ანუ რომ ერთობლივი პროდუქტის საბაზრო ღირებულება = 120 გირვ. სტერლინგს, ტონებით გამოხატული რენტა კი = $6^2/_3$ ტონას.

ამრიგად, ეს მეხუთე შემთხვევა, სადაც მოგება, რიკარდოს მიხედვით, ქრება, წარმოვადგინოთ ახლა ერთიანი ცხრილის სახით:

[680] 5) მეხუთე შემთხვევა:

თანრიგი	კაპიტალი ₾. სტ.	ტონათა რაოდენობა	ერთეულის ინდივიდუალური ღირებ. ₾. სტ.	ერთეულების საბაზრო ღირებ. ₾. სტ.	ტონის საბაზრო ღირებ. ₾. სტ.	ტონის ინდივიდუალ. ღ. რენტების გირვ. სტერლ.	ტონის დიფერენციალ. ღ. რენტების გირვ. სტერლ.
III	100	$62^1/_2$	100	$187^1/_2$	3	$1^9/_5$	$1^3/_5$
II	100	$54^1/_6$	100	$162^1/_2$	3	$1^{11}/_{18}$	$1^2/_{18}$
I	100	50	100	150	3	2	1
Ib	100	40	100	120	3	$2^1/_2$	$^1/_2$
Ia	100	$33^1/_3$	100	100	3	3	0

	კაპიტალის შედგენილობა	მუშების რიცხვი	შედმეტი ღირ. ნორმა	მოგების ნორმა	ხელფასი	რენტა გ. სტ.	რენტა ტონებით
III	50c + 50v	$16^2/_3$	0	0	$16^2/_3$	$87^1/_2$	$29^1/_6$
II	50c + 50v	$16^2/_3$	0	0	$16^2/_3$	$62^1/_2$	$20^5/_6$
I	50c + 50v	$16^2/_3$	0	0	$16^2/_3$	50	$16^2/_3$
Ib	50c + 50v	$16^2/_3$	0	0	$16^2/_3$	20	$6^2/_3$
Ia	50c + 50v	$16^2/_3$	0	0	$16^2/_3$	0	0

შემდგომ გვერდზე მე შევადარებ ერთ კრებსით ცხრილში ყველა ხუთ შემთხვევას *. [680]

[გ) მოგების ნაწილისა და კაპიტალის ნაწილის გადაქცევა რენტად. რენტის სიდიდის ცვლილება მიწათმოქმედებაში გამოუყენებული შრომის რაოდენობის ცვლილებათა მიხედვით]

[683] თუ ჩვენ წინა გვერდზე მოცემული ცხრილიდან ** უწინარეს ყოვლისა E ცხრილს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ აქ უკანასკნელ I თანრიგში საქმის ვითარება მეტად ნათელია. ხელფასი აქ [აბლადმიმატებული] შრომის მთელ პროდუქტს და მის მიერ შექმნილ ღირებულებას ნთქავს. არ არის არავითარი ზედმეტი ღირებულება და ამიტომ არ არის არც მოგება, არც რენტა. პროდუქტის ღირებულება უდრის ავანსებული კაპიტალის ღირებულებას, ასე რომ მუშაკებს, რომლებსაც აქ თავიანთი საკუთარი კაპიტალი აქვთ, შეუძლიათ მუდამ აკვლავწარმოონ თავიანთი ხელფასი და თავიანთი შრომის პირობები, არც მეტი, არც ნაკლები. ამ უკანასკნელ თანრიგზე არ შეიძლება ითქვას, რომ მასში რენტა მოგებას ნთქავს. აქ არ არის არც რენტა, არც მოგება, იმიტომ რომ არ არის არავითარი ზედმეტი ღირებულება. ხელფასი ნთქავს ზედმეტ ღირებულებას, მაშასადამე, მოგებასაც.

რაც შეეხება ოთხ დანარჩენ თანრიგს, იქ საქმის ვითარება **prima facie*** სულაც არაა ნათელი. თუ ზედმეტი ღირებულება არ არის, როგორ შეიძლება არსებობდეს რენტა? ამასთან შრომის ნაყოფიერება **Ib**, I, II და III მიწებზე სრულიად არ შეცვლილა. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების **არარსებობა** უნდა იყოს მხოლოდ მოჩვენებითობა.

შემდეგ მეღავნდება სხვა, **prima facie** არანაკლებ გაუგებარი მოვლენა. [ნახშირის] ტონებით ან ხორბლის კვარტერებით გამოხატული რენტა III თანრიგისათვის შეადგენს $29^1/_2$ ტონას (ან კვარტერს), მაშინ როდესაც ცხრილში, სადაც მხოლოდ III მიწა მუშავდება, არავითარი რენტა არ არის. გარდა ამისა, მუშების რიცხვი იქ შეადგენდა $21^{17}/_{23}$, მაშინ როდესაც ახლა, E ცხრილში, იგი შეადგენს მხოლოდ $16^2/_3$; მოგება კი (რომელიც იქ მთელ ზედმეტ ღირებულებას ნთქავდა) შეადგენდა A ცხრილში მხოლოდ $19^1/_{46}$ ტონას.

---

* იხ. ცხრილი 604—605 გვერდზე. რ ე დ.

** იხ. ცხრილი 604—605 გვერდზე. რ ე დ.

*** — პირველი შეხედვით. რ ე დ.

იგივე წინააღმდეგობა მეღავნდება II თანრიგში, სადაც რენტა E ცხრილში $20^5/_6$ ტონას (ან კვარტერს) შეადგენს, მაშინ როდესაც B ცხრილში მოგება, მთელ ზედმეტ ღირებულებას რომ ნთქავდა (ამასთან მუშების რიცხვი შეადგენდა მაშინ $20^{40}/_{63}$, ხოლო ახლა იგი უდრის $16^2/_3$-ს), შეადგენდა მხოლოდ $12^{113}/_{126}$ ტონას (ან კვარტერს).

ზუსტად ასეთივე წინააღმდეგობა აშკარავდება I თანრიგშიც, სადაც რენტა E ცხრილში $16^2/_3$ ტონას ან კვარტერს უდრის, მაშინ როდესაც C ცხრილში I თანრიგის მოგება, რომელიც მთელ ზედმეტ ღირებულებას ნთქავდა, მხოლოდ 10 ტონას უდრის (ამასთან მაშინ დასაქმებული იყო 20 მუშა, ახლა კი დასაქმებულია $16^2/_3$ მუშა).

ბოლოს, იმავე მოვლენას აქვს ადგილი Ib თანრიგში, სადაც რენტა E ცხრილში $6^2/_3$ ტონას (ან კვარტერს) შეადგენს, მაშინ როდესაც I b თანრიგის მოგება Д ცხრილში, სადაც მოგება მთელ ზედმეტ ღირებულებას ნთქავდა, მხოლოდ $3^7/_{11}$ ტონას ან კვარტერს უდრის (ამასთან მაშინ იქ დასაქმებული იყო $18^2/_{11}$ მუშა, მაშინ, როდესაც ახლა დასაქმებულია $16^2/_3$ მუშა).

მაგრამ ცხადია, რომ, თუმცა III, II, I, I b თანრიგთა პროდუქტების საბაზრო ღირებულების აწევას ინდივიდუალურ ღირებულებაზე ზევით შეუძლია შეცვალოს პროდუქტის განაწილება და გამოიწვიოს მისი გადასვლა გაყოფის მონაწილეთა ერთი ჯგუფიდან მეორის ხელში, მაგრამ საბაზრო ღირებულების ამ აწევას არასგზით არ შეუძლია გაადიდოს თვით პროდუქტი, რომლითაც წარმოდგენილია ზედმეტი ღირებულება, რაც ხელფასის ანაზღაურების შემდეგ რჩება. რადგან ყველა არსებული თანრიგის მიწების მწარმოებლობა, და ასევე კაპიტალის მწარმოებლობაც, უცვლელი დარჩა, როგორღა შეიძლება, რომ III — I b თანრიგები გახდნენ უფრო ნაყოფიერნი, ე. ი. მოგვცენ ტონათა ან კვარტერების უფრო მეტი რაოდენობა. მხოლოდ იმის გამო, რომ ბაზარზე გამოდის ნაკლებად ნაყოფიერი I a მიწის ან შახტის პროდუქტები?

ამოცანა ამოიხსნება შემდეგნაირად.

თუ 20 მუშის ერთი დღის შრომა 60 გირვ. სტერლინგს უდრის, $16^2/_3$ მუშა აწარმოებს 50 გირვ. სტერლინგს. და რადგან III თანრიგში სამუშაო დრო, რასაც $1^3/_5$ გირვ. სტერლინგი (ანუ $^8/_5$ გირვ. სტერლინგი) შეიცავს, 1 ტონით ან 1 კვარტერით გამოიხატება, ამიტომ 50 გირვ. სტერლინგი გამოიხატება $31^1/_4$ ტონით ან კვარტერით. ამ რაოდენობიდან $16^2/_3$ ტონა ან კვარტერი მიდის ხელფასზე;

[681—682] რენტის მოძრაობა რიკარდოს მიხედვით

თანრიგი	კაპიტალი გ. სტ.	ტონაობა ნაოდენობ.	ერთობლიგი ბრიტანეთის ნაოდენ ლირებ. გ. სტ.	ეროვნულ ვალის ლირებ. ლირებულ. გ. სტ.	ტონის საბაზრო ლირებულ. გ. სტ.	ტონის ინ. ოდენ. ლირებულ. გ. სტ.	ტონის დიფერენც. ლირებულ. გ. სტ.
			A. (მუშაობება მხოლოდ საუკეთესო თანრიგი III.) რენტა				
III	100	$81^{12}/_{23}$	$130^{10}/_{23}$	$130^{10}/_{23}$	$1^{3}/_{5}$	$1^{2}/_{5}$	0
			B. ჩნდება მეორე თანრიგი (თანრიგი II).				
III	100	$77^{9}/_{21}$	$123^{12}/_{21}$	$142^{8}/_{7}$	$1^{11}/_{19}$	$1^{9}/_{5}$	$^{19}/_{55}$
II	100	$67^{4}/_{63}$	$123^{12}/_{21}$	$123^{12}/_{21}$	$1^{11}/_{19}$	$1^{11}/_{19}$	0
სულ	200	$144^{4}/_{9}$	$247^{12}/_{21}$	$266^{2}/_{5}$			
			C. ჩნდება მესამე თანრიგი (თანრიგი I).				
III	100	75	120	150	2	$1^{3}/_{5}$	$^{2}/_{5}$
II	100	65	120	130	2	$1^{11}/_{19}$	$^{2}/_{19}$
I	100	60	120	120	2	2	0
სულ	300	200	360	400			
			D. ჩნდება მეოთხე თანრიგი (თანრიგი Ib).				
III	100	$68^{2}/_{11}$	$109^{1}/_{11}$	$170^{8}/_{11}$	$2^{1}/_{2}$	$1^{3}/_{5}$	$^{9}/_{10}$
II	100	$59^{1}/_{11}$	$109^{1}/_{11}$	$147^{8}/_{11}$	$2^{1}/_{2}$	$1^{11}/_{19}$	$^{17}/_{38}$
I	100	$54^{9}/_{11}$	$109^{1}/_{11}$	$136^{4}/_{11}$	$2^{1}/_{2}$	2	$^{1}/_{2}$
Ib	100	$43^{7}/_{11}$	$109^{1}/_{11}$	$109^{9}/_{11}$	$2^{1}/_{2}$	$2^{8}/_{2}$	0
სულ	400	$225^{3}/_{11}$	$436^{3}/_{11}$	$563^{7}/_{11}$			
			E. ჩნდება მეხუთე თანრიგი (თანრიგი Ia). ზედმეტი				
III	100	$62^{1}/_{2}$	100	$187^{1}/_{2}$	3	$1^{9}/_{5}$	$1^{2}/_{5}$
II	100	$54^{1}/_{5}$	100	$162^{1}/_{2}$	3	$1^{11}/_{19}$	$1^{2}/_{19}$
I	100	50	100	150	3	2	1
Ib	100	40	100	120	3	$2^{1}/_{2}$	$^{1}/_{2}$
Ia	100	$33^{1}/_{3}$	100	100	3	3	0
სულ	500	240	500	720			

(აუცილებელი შესწორებებით)

კაპიტალის შედგენილობა [დირებულებრივი]	მუშების რიცხვი	ზედმეტი ღირებულების ნორმა	მოგება გ. სტ.	მოგება ტონობით	ხელფასი ტონობით	რენტა გ. სტ.	რენტა ტონობით
არ არის, გამოყენებულია მხოლოდ ყველაზე ნაყოფიერი მიწა ან შახტი							
$65^5/_{22}c+34^{16}/_{22}v$	$21^{17}/_{38}$	$87^1/_2$ %	$30^{10}/_{12}$	$19^1/_{46}$	$21^{17}/_{20}$	0	0
რენტის წარმოქმნა III მიწაზე (შახტში)							
$61^{19}/_{21}c+38^2/_{21}v$	$20^{40}/_{63}$	$62^1/_2$ %	$23^{17}/_{21}$	$12^{118}/_{126}$	$20^{40}/_{63}$	$19^1/_{21}$	$10^{20}/_{63}$
$61^{19}/_{21}c+38^2/_{21}v$	$20^{40}/_{63}$	$62^1/_2$ %	$23^{17}/_{21}$	$12^{118}/_{126}$	$20^{40}/_{63}$	0	0
	$41^{17}/_{63}$		$47^{18}/_{21}$	$25^{60}/_{63}$	$41^{17}/_{63}$	$19^1/_{21}$	$10^{20}/_{63}$
რენტის წარმოქმნა II მიწაზე (შახტში)							
$60c+40v$	20	50 %	20	10	20	30	15
$60c+40v$	20	50 %	20	10	20	10	5
$60c+40v$	20	50 %	20	10	20	0	0
	60		60	30	60	40	20
რენტის წარმოქმნა I მიწაზე (შახტში)							
$54^6/_{11}c+45^5/_{11}v$	$18^3/_{11}$	20 %	$9^1/_{11}$	$3^7/_{11}$	$18^3/_{11}$	$61^4/_{11}$	$24^9/_{11}$
$54^6/_{11}c+45^5/_{11}v$	$18^3/_{11}$	20 %	$9^1/_{11}$	$3^7/_{11}$	$18^3/_{11}$	$38^7/_{11}$	$15^9/_{11}$
$54^6/_{11}c+45^5/_{11}v$	$18^3/_{11}$	20 %	$9^1/_{11}$	$3^7/_{11}$	$18^3/_{11}$	$27^9/_{11}$	$10^{10}/_{11}$
$54^6/_{11}c+45^5/_{11}v$	$18^3/_{11}$	20 %	$9^1/_{11}$	$3^7/_{11}$	$18^3/_{11}$	0	0
	$72^9/_{11}$		$36^4/_{11}$	$14^9/_{11}$	$72^9/_{11}$	$127^3/_{11}$	$50^{10}/_{11}$
ღირებულებისა და მოგების გაქრობა ყველა თანრიგში							
$50c+50v$	$16^2/_3$	0	0	0	$16^2/_3$	$87^1/_2$	$29^1/_6$
$50c+50v$	$16^2/_3$	0	0	0	$16^2/_3$	$62^1/_2$	$20^5/_6$
$50c+50v$	$16^2/_3$	0	0	0	$16^2/_3$	50	$16^2/_3$
$50c+50v$	$16^2/_3$	0	0	0	$16^2/_3$	20	$6^2/_3$
$50c+50v$	$16^2/_3$	0	0	0	$16^2/_3$	0	0
	$83^1/_3$		0	0	$83^1/_3$	220	$73^1/_3$

ზედმეტი ღირებულების სახით რჩება, მაშასადამე, $14^7/_{12}$ ტონა.

შემდეგ, რადგან ტონის საბაზრო ღირებულებამ $1^3/_5$ სტერლინგიდან 3 გირვ. სტერლინგამდე აიწია, პროდუქტიდან, რომელიც $62^1/_2$ ტონას ან კვარტერს შეადგენს, საკმარისია ავიღოთ $16^2/_3$ ტონა ან კვარტერი იმისათვის, რათა ავანაზღაუროთ მუდმივი კაპიტალის [50 გირვ. სტერლ.] ღირებულება. ნამდვილად კი, იმ პირობებში, როცა ტონა (ან კვარტერი), რასაც III თანრიგი აწარმოებს, თვით განსაზღვრავდა საბაზრო ღირებულებას და ეს უკანასკნელი ამის გამო მის ინდივიდუალურ ღირებულებას უდრიდა, 50 გირვ. სტერლ. კაპიტალის ასანაზღაურებლად საჭირო იყო $31^1/_4$ ტონა ან კვარტერი. ტონათა ან კვარტერების იმ რაოდენობიდან, რაც პროდუქტის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც აუცილებელი იყო, როცა ტონის ღირებულება $1^3/_4$ გირვ. სტერლინგს შეადგენდა, [მუდმივი] კაპიტალის ასანაზღაურებლად, ახლა იმავე მიზნისათვის საჭიროა მხოლოდ $16^2/_3$ ტონა. ამით თავისუფლდება და რენტას ხვდება წილად [684] $31^1/_4$ ტონა მინუს $16^2/_3$ ტონა, ე. ი. $14^7/_{12}$ ტონა (ან კვარტერი).

თუ ზედმეტ ღირებულებას, რაც III თანრიგში $16^2/_3$ მუშამ აწარმოვა 50 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალით და რაც $14^7/_{12}$ ტონას ან კვარტერს შეადგენს, შევაერთებთ პროდუქტის იმ ნაწილთან, რომელიც ახლა, იმის ნაცვლად, რომ მუდმივი კაპიტალი აანაზღაუროს, ზედმეტი პროდუქტის ფორმით გვეკლინება და რომელიც აგრეთვე $14^7/_{12}$ ტონას ან კვარტერს უდრის, მაშინ ერთობლივი ზედმეტი პროდუქტი იქნება $28^{14}/_{12} = 29^2/_{12} = 29^1/_6$ ტონა ან კვარტერი. ეს არის ზუსტად III თანრიგის რენტა E ცხრილში, გამოხატული [ნახშირის] ტონებით ან ხორბლის კვარტერებით. სავსებით ამავე წესითაა გადაწყვეტილი მოჩვენებითი წინააღმდეგობა [ნახშირის] ტონებით ან ხორბლის კვარტერებით გამოხატული რენტის სიდიდეში E ცხრილის II, I, Ib თანრიგებში.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ დიფერენციული რენტა, რომელიც საუკეთესო თანრიგის მიწებზე წარმოიქმნება იქ წარმოებული პროდუქტების საბაზრო და ინდივიდუალურ ღირებულებას შორის არსებული სხვაობის გამო, თავისი რეალური სახით, როგორც პროდუქტით გამოხატული რენტა, როგორც ზედმეტი პროდუქტი, ანუ — ზემომოცემულ მაგალითში — როგორც [ნახშირის] ტონებით ან ხორბლის კვარტერებით გამოხატული რენტა, — ორი ელემენტისაგან შედგება და გაპირობებულია ორი გარ-

დაქმნით. [ჯერ-ერთი,] ზედმეტი პროდუქტი, რომლითაც, მუშების ზედმეტი შრომა გამოიხატება, ზედმეტი ღირებულება, განიცდის გარდაქმნას მოგების ფორმიდან რენტის ფორმად და ამიტომ წილად ხვდება მიწის მესაკუთრეს და არა კაპიტალისტს. მეორე, ზოგი რამ პროდუქტის იმ ნაწილიდან, რაც წინათ, როცა უკეთესი ხარისხის მიწის ან უკეთესი შახტის პროდუქტი თავისი საკუთარი ღირებულების კვალობაზე იყიდებოდა, აუცილებელი იყო მუდმივი კაპიტალის ღირებულების **ასანაზღაურებლად**, ახლა, როცა პროდუქტის ყოველი ნაწილი უფრო მაღალი ღირებულების მქონეა, თავისუფალი ხდება და ასევე ზედმეტი პროდუქტის ფორმით გვევლინება, და ამიტომაც წილად ხვდება მიწის მესაკუთრეს და არა კაპიტალისტს.

ზედმეტი პროდუქტის გადაქცევა რენტად, ნაცვლად მოგებისა, და გადაქცევა პროდუქტის გარკვეული სათანადო ნაწილისა, რომელიც წინათ განკუთვნილი იყო მუდმივი კაპიტალის ღირებულების ასანაზღაურებლად, ზედმეტ პროდუქტად, და ამიტომ რენტად, — ორივე ეს პროცესი წარმოქმნის პროდუქტით გამოხატულ რენტას, რამდენადაც ეს უკანასკნელი დიფერენციულ რენტას წარმოადგენს. უკანასკნელი გარემოება, — ის, რომ პროდუქტის ნაწილი, იმის მაგივრად, რომ კაპიტალად გადაიქცეს, რენტად იქცევა, — ვერ შენიშნეს რიკარდომ და ყველა მომდევნო ეკონომისტმა. ისინი ხედავენ მხოლოდ ზედმეტი პროდუქტის გადაქცევას რენტად, მაგრამ ვერ ამჩნევენ პროდუქტის იმ ნაწილის გარკვეული რაოდენობის ზედმეტ პროდუქტად გადაქცევას, რომელიც წინათ წილად ხვდებოდა არა მოგებას, არამედ კაპიტალს.

ამ გზით წარმოქმნილი ზედმეტი პროდუქტის, ანუ დიფერენციული რენტის, ნომინალური ღირებულება განისაზღვრება [დაშვებული ვარაუდის თანახმად] უცუდეს მიწაზე ან უცუდეს შახტში წარმოებული პროდუქტის ღირებულებით. მაგრამ ეს საბაზრო ღირებულება იწვევს ამ პროდუქტის მხოლოდ სხვაგვარ განაწილებას, იგი არ ქმნის მას.

ეს ორივე ელემენტი არსებობს ყოველი დამატებითი მოგების დროს; ისინი არსებობენ, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა ახალი მანქანების და ა. შ. შემოღების გამო პროდუქტი, ახლა რომ უფრო იაფად იწარმოება, იყიდება საბაზრო ღირებულების მიხედვით, რომელიც მის საკუთარ ღირებულებას აღემატება. მუშების ზედმეტი შრომის ნაწილი გვევლინება არა როგორც მოგება, არამედ როგორც

ისეთი ზედმეტი პროდუქტი, რომელიც დამატებით მოგებას წარმოადგენს. და ნაწილი პროდუქტთა იმ მასისა, რომელიც, თუ ფაბრიკატ მისი საკუთარი, უფრო დაბალი ღირებულების მიხედვით გაიყიდებოდა, აუცილებელი იქნებოდა იმისათვის, რომ აანაზღაურებინა კაპიტალისტისათვის მისი მუდმივი კაპიტალის ღირებულება,— ეს ნაწილი ახლა თავისუფლდება, რადგან მას ასანაზღაურებელი აღარაფერი აქვს; იგი ზედმეტ პროდუქტად იქცევა და ამიტომ მოგებას ადიდებს. [684]

* * *

[688] { სხვათა შორის, როცა ვლაპარაკობთ მოგების ნორმის დაცემის კანონზე კაპიტალისტური წარმოების განვითარების მსვლელობაში, ჩვენ მოგება გვესმის აქ როგორც მთელი ჯამი ზედმეტი ღირებულებისა, რასაც პირველ რიგში ეუფლება წარმოებაში დასაქმებული კაპიტალი, სულ ერთია როგორც არ უნდა უხდებოდეს მას შემდეგში ზედმეტი ღირებულების გაყოფა ფულის გამსესხებელ კაპიტალისტთან (სასესხო სარგებლის მიმღებთან) და მიწის მესაკუთრესთან (რენტის მიმღებთან). მაშასადამე, აქ მოგების ნორმა = $\frac{\text{ზედმეტი ღირებულება}}{\text{ავანსებული ღირებული კაპიტალი}}$. მოგების ნორმა, მისი ამ გაგებით, შეიძლება ეცემოდეს, თუმცა, მაგალითად, სამრეწველო მოგება იზრდება სასესხო სარგებელთან შედარებით, ანდა პირიქით; სწორედ ასევე მოგების ნორმა შეიძლება ეცემოდეს, თუმცა რენტა იზრდება სამრეწველო მოგებასთან შედარებით, ანდა პირიქით. თუ მოგება = P, სამრეწველო მოგება = P′, სასესხო სარგებელი = Z და რენტა = R, მაშინ P = P′ + Z + R. და ნათელია, რომ, როგორიც არ უნდა იყოს P თავისი აბსოლუტური სიდიდით, P′, Z და R ერთიმეორის მიმართ შეიძლება იზრდებოდნენ ან ეცემოდნენ P-ს სიდიდის მიუხედავად, P-ს გადიდების თუ დაცემის მიუხედავად. P′-ს, Z-ს და R-ს გადიდება ერთიმეორის მიმართ ნიშნავს მხოლოდ P-ს განსხვავებულ განაწილებას სხვადასხვა პირებს შორის. შემდგომი განხილვა იმ გარემოებებისა, რომელნიც იწვევენ P-ს ამა თუ იმ განაწილებას სხვადასხვა პირებს შორის,— განაწილებას, რომელიც, თუმცა, სრულიადაც არ არის თვით P-ს გადიდების თუ დაცემის იდენტური,— აქ მოსატანი არაა, არამედ იგი განეკუთვნება კაპიტალების კონკურენციას. მაგრამ თუ R-ს შეუძლია ისეთ ოდენობას მიაღწიოს, რომელიც არ ექნებოდა თვით P-ს, გაიყოფოდა რა იგი მხოლოდ P′-სა და Z-ზე, მაშინ ეს, როგორც ნაჩვენები იყო, მხოლოდ მოჩვენებითი ამბავია და იმ

გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ ნაწილი პროდუქტისა, ამ უკანასკნელის [საბაზრო] ღირებულების ზრდის დროს, — ნაცვლად იმისა, რომ უკუგარდაიქმნას მუდმივ კაპიტალად, — თავისუფლდება და რენტად გადაიქცევა. } [688]

* * *

[684] პრობლემის მთელ ზემოგადმოცემულ განხილვაში ნაგულისხმევია, რომ გაძვირებული (საბაზრო ღირებულების მიხედვით) პროდუქტი არ შედის naturaliter * მუდმივი კაპიტალის შედგენილობაში, არამედ შედის მხოლოდ ხელფასში, მხოლოდ ცვალებად კაპიტალში. გაძვირებული პროდუქტი რომ მუდმივ კაპიტალში შედიოდეს, მაშინ, რიკარდოს აზრით, ამის შედეგად მოგების ნორმა კიდევ უფრო მეტად დაეცემოდა, რენტა კი კიდევ უფრო მეტად აიწევდა. ამის გამოკვლევა აუცილებელია.

აქამდე ჩვენ ვგულისხმობდით, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება, ე. ი. ზემოდასახელებულ შემთხვევაში 50 გირვ. სტერლ., უნდა აანაზღაუროს პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა მ. მაშასადამე, თუ 1 ტონა ან 1 კვარტერი 3 გირვ. სტერლინგი ღირს, მაშინ, ცხადია, აღნიშნული ღირებულების ასანაზღაურებლად უფრო ნაკლები ტონა ან კვარტერია საჭირო, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ტონა ან კვარტერი ღირს მხოლოდ $1^3/_5$ გირვ. სტერლ., და ა. შ. მაგრამ ვიგულისხმოთ ახლა, რომ ნახშირი ან ხორბალი, ანდა მიწის რომელიმე სხვა პროდუქტი, — პროდუქტი, რომელსაც სამიწათმოქმედო კაპიტალი აწარმოებს, — თვით შედის n a t u r a l i t e r მუდმივი კაპიტალის შედგენილობაში, მაგალითად, სანახევროდ. ამ შემთხვევაში ნათელია, რომ, როგორიც არ უნდა იყოს ნახშირის თუ ხორბლის ფასი, [685] გარკვეული ოდენობის მუდმივი კაპიტალი, ე. ი. მუშების გარკვეული რაოდენობის მიერ მოძრაობაში მოყვანილი კაპიტალი, თავისი ანაზღაურებისათვის მუდამ მოითხოვს ერთობლივი პროდუქტის გარკვეულ, **in natura** აღებულ ნაწილს, რადგან სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა, გამოხატული დაგროვილი შრომისა და ცოცხალი შრომის მასათა თანაფარდობით, ვარაუდის თანახმად, უ ც ვ ლ ე ლ ი რჩება.

თუ, მაგალითად, მუდმივი კაპიტალი შედგება სანახევროდ ნახშირისაგან ან ხორბლისაგან, სანახევროდ კი — სხვა საქონელთაგან,

*— ნატურალური სახით. რ ე დ.

მაშინ 50 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალი შედგება 25 გირვ. სტერლ. ოდენობით სხვა საქონელთაგან და 25 გირვ. სტერლინგის ოდენობით [ნახშირისაგან ან ხორბლისაგან], ე. ი. $15^5/_8$ ტონისაგან ან კვარტერისაგან [ნახშირის ან ხორბლისა], როცა ტონა [ნახშირის] ღირს $1^3/_5$ (ან $^8/_5$) გირვ. სტერლინგი. და როგორც არ უნდა იცვლებოდეს ტონა [ნახშირის] ან კვარტერი [ხორბლის] საბაზრო ღირებულება, $16^2/_3$ მუშას ყოველთვის დასჭირდება 25 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალი [სხვა საქონლის სახით] პლუს $15^5/_8$ კვარტერი [ხორბალი] ან ტონა [ნახშირი], რადგან მუდმივი კაპიტალის ნივთობრივი შედგენილობა უცვლელი რჩება, და ასევე უცვლელი რჩება მუშების სათანადო რიცხვიც, რომელიც საჭიროა ამ კაპიტალის მოძრაობაში მოსაყვანად.

თუ ახლა ტონა [ნახშირის] ან კვარტერი [ხორბლის] [საბაზრო] ღირებულება გაიზრდებოდა, როგორც E ცხრილშია, 3 გირვ. სტერლინგამდე, მაშინ $16^2/_3$ მუშისათვის საჭირო იქნებოდა მუდმივი კაპიტალი = 25 გირვ. სტერლ. + $15^5/_8$ × 3 გირვ. სტერლ. = 25 გირვ. სტერლ. + 45 გირვ. სტერლ. + $^{15}/_8$ გირვ. სტერლ. = $71^7/_8$ გირვ. სტერლინგს. და რადგანაც $16^2/_3$ მუშა აქ 50 გირვ. სტერლ. ჯდება, ერთობლივი კაპიტალის ის დანახარჯი, რაც მოცემულ შემთხვევაში საჭიროა, იქნებოდა $71^7/_8$ გირვ. სტერლ. + 50 გირვ. სტერლ. = $121^7/_8$ გირვ. სტერლინგს.

თანაბარი ორგანული შედგენილობისას სამიწათმოქმედო კაპიტალი შეიცვლებოდა თავის ღირებულებრივ თანაფარდობათა მიხედვით.

ჩვენ მივიღებდით $71^7/_8$ c + 50 v ($16^2/_3$ მუშისათვის). 100 გირვ. სტერლ. კაპიტალს ექნებოდა შედგენილობა $58^{38}/_{39}$c + $41^1/_{39}$v. მუშების რიცხვი იქნებოდა $13^{79}/_{117}$ ($^1/_{117}$-ით მეტი $13^2/_3$-ზე). რადგან $16^2/_3$ მუშას მოძრაობაში მოჰყავს $15^5/_8$ კვარტერი ან ტონა მუდმივი კაპიტალი, $13^{79}/_{117}$ მუშა მოძრაობაში მოიყვანს $38^6/_{13}$ გირვ. სტერლ. ღირებულების მქონე $12^{32}/_{39}$ ტონას ან კვარტერს. მუდმივი კაპიტალის დანარჩენი ნაწილი კი, რაც $20^{20}/_3$ გირვ. სტერლინგს უდრის, შედგენილი იქნებოდა სხვა საქონელთაგან. ყველა გარემოებაში მუდამ საჭირო იქნებოდა პროდუქტიდან $12^{32}/_{39}$ ტონის ან კვარტერის გამოკლება მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის ასანაზღაურებლად, რომელშიც ისინი ni natura შედიან. რადგან 20 მუშის მიერ წარმოებული ღირებულება 60 გირვ. სტერლინგს უდრის, $13^{79}/_{117}$ მუშის მიერ წარმოებული ღირებულება იქნებოდა $41^1/_{39}$ გირვ. სტერლინგი. მაგრამ E ცხრილში ხელფასი $13^{79}/_{117}$ მუშისათვის გვექ-

ნებოდა ასევე $41^{1}/_{39}$ გირვ. სტერლინგი. მაშასადამე, არავითარი ზედმეტი ღირებულება აქ არ არის.

ტონათა ერთობლივი რიცხვი იქნებოდა [ამ შემთხვევაში E ცხრილის III თანრიგში $51^{11}/_{39}$ ტონა [115], საიდანაც] $12^{32}/_{39}$ ტონა ხელახლა იკვლავწარმოება [მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის ასანაზღაურებლად, რომელშიც ისინი ნატურალური ფორმით შედიან], $13^{71}/_{117}$ ტონა მიდის მუშების ხელფასზე და $6^{98}/_{117}$ ტონა უწევს მუდმივი კაპიტალის მეორე ნაწილს (ტონაზე 3 გირვ. სტერლინგის კვალობაზე). ერთად აღებული ეს სამი სიდიდე შეადგენს $33^{1}/_{3}$ ტონას. რენტის წილად რჩება, მაშასადამე, $13^{37}/_{39}$ ტონა.

გაანგარიშებათა გამარტივებისათვის ავიღოთ რიკარდოსათვის ყველაზე ხელსაყრელი უკიდურესი შემთხვევა, ე. ი. ვიგულისხმოთ, რომ მუდმივი კაპიტალი სავსებით ისევე, როგორც ცვალებადიც, შედგება მარტოოდენ მიწათმოქმედების პროდუქტისაგან, რომლის კვარტერის ან ტონის ღირებულებაც 3 გირვ. სტერლინგამდე იზრდება იმის გამო, რომ ბაზარზე I a თანრიგი ბატონობს.

კაპიტალის ტექნოლოგიური შედგენილობა უწინდელი რჩება, ე. ი. უცვლელი რჩება თანაფარდობა ცვალებადი კაპიტალით წარმოდგენილ ცოცხალ შრომასა, — ე. ი. მუშების რიცხვსა (ვინაიდან ნაგულისხმევია უცვლელი ნორმალური სამუშაო დღე), — და შრომის იმ საშუალებათა მასას შორის, რომლებიც საჭიროა მუშების მოცემული რიცხვის დროს და რომლებსაც ახლა, ჩვენი ვარაუდის თანახმად, შეადგენენ ნახშირის ტონები და ხორბლის კვარტერები.

რადგან კაპიტალის თავდაპირველი შედგენილობისას, როცა ეს შედგენილობა 60 c + 40 v იყო და ტონის ფასი 2 გირვ. სტერლინგს უდრიდა, 40 v წარმოადგენდა 20 მუშას ან 20 კვარტერს თუ ტონას, ამიტომ 60 c წარმოადგენდა 30 ტონას; და რადგან ეს 20 მუშა III თანრიგში 75 ტონას აწარმოებდა, ამიტომ $13^{1}/_{3}$ მუშა (40 v შეესაბამება — როცა ტონის ფასი 3 გირვ. სტერლინგია — $13^{1}/_{3}$ ტონას ან $13^{1}/_{3}$ მუშას) აწარმოებს 50 ტონას და მოძრაობაში მოჰყავს $^{60}/_{3}$ მუდმივი კაპიტალი [686], ე. ი. 20 ტონა ან კვარტერი.

შემდეგ, რადგან 20 მუშა აწარმოებს 60 გირვ. სტერლ. ღირებულებას, $13^{1}/_{3}$ მუშა აწარმოებს 40 გირვ. სტერლ. ღირებულებას.

რადგან კაპიტალისტმა უნდა იხადოს [მუდმივი კაპიტალის] 20 ტონაში 60 გირვ. სტერლინგი და $13^{1}/_{3}$ მუშისათვის — 40 გირვ. სტერლინგი, ეს მუშები კი მხოლოდ 40 გირვ. სტერლ. ღირებულებას აწარმოებენ, ამიტომ პროდუქტის ღირებულება = 100 გირვ.

სტერლინგს; დანახარჯიც ასევე შეადგენს 100 გირვ. სტერლინგს. ზედმეტი ღირებულება და მოგება = 0.

მაგრამ რადგან III თანრიგის ნაყოფიერება უცვლელი დარჩა, $13^1/_3$ მუშა აწარმოებს, როგორც თქვა, 50 ტონას ან კვარტერს. მაგრამ ნატურალური დანახარჯი ტონებით ან კვარტერებით შეადგენს მხოლოდ $33^1/_3$ ტონას: 20 ტონა უწევს მუდმივ კაპიტალს და $13^1/_3$ ტონა — ხელფასს. მაშასადამე, III თანრიგში წარმოებული 50 ტონა შეიცავს ზედმეტ პროდუქტს $16^2/_3$ ტონის ოდენობით, რომელიც სწორედ რენტას შეადგენს.

მაგრამ რას წარმოადგენს ეს $16^2/_3$ ტონა?

რადგან პროდუქტის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა = 100 გირვ. სტერლინგს, თვით პროდუქტი კი = 50 ტონას, ამიტომ აქ წარმოებული ტონის ღირებულება სინამდვილეში იქნებოდა $^{100}/_{50}$, ე. ი. 2 გირვ. სტერლინგი. და მანამდე, სანამ პროდუქტი in natura უფრო მეტი რაოდენობით მიიღება, ვიდრე ეს საჭიროა ნატურალური ფორმით კაპიტალის ანაზღაურებისათვის, ტონის ინდივიდუალური ღირებულება, წარმოების ასეთი [შემცირებული] მასშტაბის დროსაც კი, მის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები უნდა იყოს.

მოიჯარემ უნდა დახარჯოს 60 გირვ. სტერლინგი, რათა [მუდმივი კაპიტალის] 20 ტონა აანაზღაუროს. ამ 20 ტონიდან იგი თვითეულს ანგარიშობს 3 გირვ. სტერლინგად, რადგან ასეთია ტონის საბაზრო ღირებულება და ამ ფასის კვალობაზე იყიდება იგი. სწორედ ასევე მან უნდა დახარჯოს 40 გირვ. სტერლინგი $13^1/_3$ მუშის გასასტუმრებლად ანდა ტონათა ან კვარტერების იმ რაოდენობის გასასტუმრებლად, რასაც იგი მუშებს აძლევს. ამრიგად, მუშები მხოლოდ $13^1/_3$ ტონას ღებულობენ.

მაგრამ სინამდვილეში, თუ მხედველობაში ვიქონიებთ III თანრიგს, 20 ტონა ღირს მხოლოდ 40 გირვ. სტერლინგი, $13^1/_3$ ტონა კი — მხოლოდ $26^2/_3$ გირვ. სტერლინგი. ნამდვილად კი, $13^1/_3$ მუშა აწარმოებს 40 გირვ. სტერ. ღირებულებას, მაშასადამე, ქმნის $13^1/_3$ გირვ. სტერლ. ზედმეტ ღირებულებას. ეს შეადგენს, თუ ტონას 2 გირვ. სტერლინგად ვიანგარიშებთ, $6^4/_6$ (ანუ $6^2/_3$) ტონას.

და რადგან III თანრიგში 20 ტონა [მუდმივი კაპიტალისა] მხოლოდ 40 გირვ. სტერლ. ღირს, რჩება ნამეტი 20 გირვ. სტერლინგის ოდენობით, რაც 10 ტონას უდრის.

ამრიგად, $16^2/_3$ ტონა, რაც რენტას შეადგენს, დაიშლება რენტად გადაქცეული ზედმეტი ღირებულების $6^2/_3$ ტონად და რენტად გადაქცეული კაპიტალის 10 ტონად. მაგრამ იმის შედეგად, რომ

ტონის საბაზრო ღირებულება 3 გირვ. სტერლინგამდე გაიზარდა, [მუდმივი კაპიტალის] 20 ტონა მოიჯარეს უჯდება 60 გირვ. სტერლინგი, [ხელფასის] $13^1/_3$ ტონა კი — 40 გირვ. სტერლინგი, მაშინ როდესაც $16^2/_3$ ტონა, რაც მოიჯარის პროდუქტის საბაზრო ღირებულების გადანამეტია მის [ინდივიდუალურ] ღირებულებაზე, გვევლინება რენტის სახით, რომელიც 50 გირვ. სტერლინგს უდრის.

რამდენ ტონას აწარმოებს $13^1/_3$ მუშა II თანრიგში? 20 მუშა აწარმოებს აქ 65 ტონას — მაშასადამე, $13^1/_3$ მუშა აწარმოებს $43^1/_3$ ტონას. პროდუქტის ღირებულება, როგორც ზემოთაც, უდრის 100 გირვ. სტერლინგს. მაგრამ ამ $43^1/_3$ ტონიდან კაპიტალის ასანაზღაურებლად საჭიროა $33^1/_3$ ტონა. ზედმეტი პროდუქტის, ანუ რენტის, სახით რჩება $43^1/_3 - 33^1/_3 = 10$ ტონას.

ეს 10 ტონა რენტა აიხსნება შემდეგნაირად:

პროდუქტის ღირებულება II თანრიგში უდრის 100 გირვ. სტერლინგს, პროდუქტი შეადგენს $43^1/_3$ ტონას, მაშასადამე, ტონის ღირებულება = $2^4/_{13}$ გირვ. სტერლინგს. ამრიგად, $13^1/_3$ მუშა ჯდება $30^{10}/_{13}$ გირვ. სტერლინგი, და [40 გირვ. სტერლინგიდან, რომელიც $13^1/_3$ ტონის ღირებულებას იხდის] ზედმეტი ღირებულების სახით რჩება $9^3/_{13}$ გირვ. სტერლინგი. შემდეგ, მუდმივი კაპიტალის 20 ტონა ჯდება $46^2/_{13}$ გირვ. სტერლინგი, და 60 გირვ. სტერლინგიდან, რაც ამ ტონათა [საბაზრო ღირებულებას] იხდის, რჩება $13^{11}/_{13}$ გირვ. სტერლ. ზედმეტ ღირებულებასთან ერთად მიიღება $23^1/_{13}$ გირვ. სტერლინგი, რაც სწორედ შეესაბამება კიდეც 10 ტონის [ნამდვილ] ღირებულებას [თუ ტონას $2^4/_{13}$ გირვ. სტერლინგად ვიანგარიშებთ].

მხოლოდ I a თანრიგში, სადაც მუდმივი კაპიტალისა და ხელფასის ასანაზღაურებლად მართლაც აუცილებელია in natura $33^1/_3$ ტონა ან კვარტერი, ე. ი. აუცილებელია მთელი ერთობლივი პროდუქტი, ნამდვილად არ არის არც ზედმეტი ღირებულება, არც ზედმეტი პროდუქტი, არც მოგება, არც რენტა. სანამ საქმის ვითარება სხვაგვარია, სანამ მეტი პროდუქტი მიიღება, ვიდრე საჭიროა კაპიტალის in natura ასანაზღაურებლად, მანამდე ადგილი აქვს მოგების (ზედმეტი ღირებულების) და კაპიტალის გარდაქმნას რენტად. ეს გარდაქმნა აქ იმდენად ხდება, რამდენადაც პროდუქტის იმ ნაწილის გარკვეული წილი, რომელსაც უწინ, როცა ღირებულება უფრო დაბალი იყო, უნდა აენაზღაურებინა კაპიტალი, ახლა თავისუფლდება ანდა რამდენადაც პროდუქტის ნაწილი, რომელიც კაპიტალად და ზედმეტ ღირებულებად უნდა გადაქცეულიყო, წილად ხვდება რენტას.

მაგრამ ამასთანავე ჩვენ ვხედავთ, რომ მუდმივი კაპიტალის გაძვირება, თუ იგი მიწათმოქმედების პროდუქტების გაძვირების შედეგია, არაჩვეულებრივად ამცირებს რენტას. მაგალითად, III და II თანრიგთა რენტა ეცემა 50 ტონიდან [E ცხრილში], — რაც 150 გირვ. სტერლინგს შეადგენს, როცა ტონა 3 გირვ. სტერლ. ღირს,— $26^2/_3$ ტონამდე, ე. ი. თითქმის სანახევროდ. ასეთი დაცემა გარდუვალია, [687] რადგან აქ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალის მიერ გამოყენებული მუშების რიცხვი მცირდება ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იზრდება ხელფასი, ე. ი. დიდდება ცვალებადი კაპიტალის ღირებულება; მეორე, იმიტომ, რომ იზრდება წარმოების საშუალებათა, ე. ი. მუდმივი კაპიტალის ღირებულება. თავისთავად ხელფასის გადიდებას შედეგად ის მოჰყვება, რომ 100 გირვ. სტერლინგს უფრო ნაკლები შრომა უწევს, მაშასადამე (მუდმივ კაპიტალში შემავალ საქონელთა ღირებულების უცვლელობისას), შესაბამისად ნაკლები მუდმივი კაპიტალიც, ასე რომ მთლიანად აღებული ეს 100 გირვ. სტერლინგი ნაკლებ დაგროვილ და ნაკლებ ცოცხალ შრომას წარმოადგენს. მაგრამ, გარდა ამისა, მუდმივ კაპიტალში შემავალ საქონელთა ღირებულების გადიდება იმას იწვევს, რომ, — რადგან ტექნოლოგიური თანაფარდობა დაგროვილსა და ცოცხალ შრომას შორის უცვლელი რჩება, — იმავე ფულით ახლა დაგროვილი შრომის უფრო ნაკლები რაოდენობის, და ამის გამო აგრეთვე ცოცხალი შრომის უფრო ნაკლები რაოდენობის გამოყენება შეიძლება. ხოლო რადგან იმ შემთხვევაში, როცა მიწის ნაყოფიერება თანაბარია და კაპიტალის ტექნოლოგიური შედგენილობა მოცემულია, ერთთბლივი პროდუქტის რაოდენობა გამოყენებული შრომის რაოდენობაზეა დამოკიდებული, ამიტომ ამ უკანასკნელის შემცირებასთან ერთად უნდა შემცირდეს აგრეთვე რენტაც.

ეს მეღავნდება მხოლოდ მაშინ, როცა ქრება მ ო გ ე ბ ა. სანამ ეს უკანასკნელი კიდევ არსებობს, რენტა შეიძლება დიდდებოდეს, მიუხედავად პროდუქტის აბსოლუტური შემცირებისა ყ ვ ე ლ ა თანრიგში, როგორც ამას გვიჩვენებს სათანადო ცხრილი 681 გვერდზე*. საერთოდ ცხადია, რომ, როცა მარტოოდენ რენტა არსებობს, პროდუქტის, მაშასადამე აგრეთვე ზედმეტი პროდუქტის, შემცირებასთან ერთად უნდა მცირდებოდეს თვით რენტაც. ეს უფრო სწრაფად მოხდებოდა იმთავითვე, ცვალებადი კაპიტალის ზრდასთან ერთად რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულებაც იზრდებოდეს.

მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, 681-ე გვერდზე მოცემული

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 604 — 605. რ ე დ.

ცხრილი გვიჩვენებს, რომ დიფერენციული რენტის ზრდას, მიწათმოქმედების ნაყოფიერების შემცირებისას, საუკეთესო ხარისხის მიწებზეც აგრეთვე ყოველთვის თან ახლავს შემცირება ერთობლივი პროდუქტის მასისა, რაც წილად ხვდება გარკვეული სიდიდის მქონე ავანსებულ კაპიტალს, მაგალითად, 100 გირვ. სტერლ. კაპიტალს. რიკარდოს ამაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს. მოგების ნორმა იმიტომ მცირდება, რომ იმავე კაპიტალს, მაგალითად, 100 გირვ. სტერლინგს, მოძრაობაში მოჰყავს შრომის სულ უფრო მცირე რაოდენობა და უფრო ძვირად ანაზღაურებს ამ შრომას, მაშასადამე, სულ უფრო ნაკლებ ნამეტს აგროვებს. მაგრამ ნამდვილად მიღებული პროდუქტის რაოდენობა, როცა ნაყოფიერება მოცემულია, დამოკიდებულია, ისევე როგორც ზედმეტი ღირებულებაც, კაპიტალის მიერ დასაქმებული მუშების რაოდენობაზე. ამას რიკარდო მხედველობიდან უშვებს, სავსებით ისევე როგორც იგი მხედველობიდან უშვებს ის გარემოებასაც, რომ რენტა წარმოიქმნება არა მარტო იმ გზით, რომ ზედმეტი ღირებულება რენტად გადაიქცევა, არამედ იმ გზითაც, რომ კაპიტალი ზედმეტ ღირებულებად გადაიქცევა. რასაკვირველია, კაპიტალის ეს გადაქცევა ზედმეტ ღირებულებად—მხოლოდ მოჩვენებითია. საბაზრო ღირებულებას რომ III თანრიგის და ა. შ. პროდუქტის ღირებულება განსაზღვრავდეს, მაშინ ზედმეტი პროდუქტის ყოველ ნაწილში წარმოდგენილი იქნებოდა ზედმეტი ღირებულება, წარმოდგენილი იქნებოდა ზედმეტი შრომა. შენდეგ, რიკარდოს მუდამ მხედველობაში აქვს მხოლოდ ის გარემოება, რომ პროდუქტის იმავე რაოდენობის საწარმოებლად საჭიროა მეტი შრომის გამოყენება, მაგრამ იგი მხედველობიდან უშვებს იმას, რაც გადამწყვეტია როგორც მოგების ნორმის, ისე აგრეთვე წარმოებული პროდუქტის მასის განსაზღვრისათვის, სახელდობრ იმას, რომ იმავე კაპიტალით ცოცხალი შრომის უწყვეტად კლებადი რაოდენობა გამოიყენება და ამ რაოდენობიდან [თუ დაღმავალ ხაზს ვიგულისხმებთ] სულ უფრო დიდი ნაწილი უწევს აუცილებელ შრომას და სულ უფრო მცირე ნაწილი — ზედმეტ შრომას.

ყოველივე ამას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ რიკარდოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რენტას მხოლოდ დიფერენციული რენტის სახით განვიხილავთ, ამ საკითხში სულ მცირე ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს წინ შედარებით თავის წინამორბედებთან. მისი მნიშვნელოვანი დამსახურება ამ დარგში ის არის, რაც დე კვინსიმ აღნიშნა, სახელდობრ — საკითხის მეცნიერული ფორმულირება. მაგრამ

საკითხის გადაწყვეტისას რიკარდო თავის წინამორბედთა შეხედულებებს იღებს. დე კვინსი ამბობს შემდეგს:

«მიწის რენტის მოძღვრებაში რიკარდომ ის ახალი შეიტანა, რომ მან იგი დაიყვანა საკითხზე, ნამდვილად აუქმებს თუ არა რენტა ღირებულების კანონს» (Th. De Quincey. The Logic of Political Economy. Edinburgh and London, 1844, გვ. 158.

შემდეგ, იმავე თხზულების 163-ე გვერდზე, დე კვინსი ამბობს:

«რენტა — ეს მიწის (ან წარმოების რაიმე სხვა ფაქტორის) პროდუქტის ის ნაწილია, რასაც მიწის მესაკუთრეს უხდიან ამ მიწის იმ დიფერენციერებული ძალებით სარგებლობისათვის, რომელთა გაზომვაც იმავე ბაზარზე მოქმედი მსგავსი ფაქტორების ძალებთან შედარების მეშვეობით ხდება».

შემდეგ კიდევ, 176-ე გვერდზე, დე კვინსი წერს:

«რიკარდომ წინაადმდეგ იმ მოსაზრებას აყენებენ, რომ № 1 მიწის მესაკუთრენი შან მუქთად როდი ყას�ენ. მაგრამ იმ პერიოდში (ამ მეთოლოგიურ პერიოდში!), როცა დამუშავებაშია მხოლოდ № 1 მიწა, ჯერ კიდევ ვერ წარმოიქმნებოდა მიწის მესაკუთრეთა კლასისაგან განსხვავებული მოჯარეთა და დაქირავებელთა განსაკუთრებული კლასი».

[688] ამრიგად, დე კვინსის მიხედვით, «მიწის საკუთრებისა» ამ კანონს ძალა აქვს მხოლოდ მანამდე, სანამ არ არსებობს არავითარი მიწის საკუთრება ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით.

გადავიდეთ ახლა რიკარდოდან აღებულ ციტატებზე.

[დ) ისტორიული ილუსტრაცია მოგების ნორმის გადიდებისა მიწათმოქმედების პროდუქტთა ფასების იმავდროული გადიდების დროს. მიწათმოქმედებაში შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაძლებლობანი]

(წინასწარ კიდევ შემდეგი შენიშვნა დიფერენციული რენტის შესახებ: რეალურ სინამდვილეში აღმავალი და დაღმავალი ხაზები ერთიმეორეს ცვლიან, ხდება მათი ერთმანეთთან გადაჯვარედინება, გადახლართვა.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თუ ცალკეულ მოკლე პერიოდებში (როგორც, მაგალითად, 1797 წლიდან 1813 წლამდე) მნიშვნელოვნად ჭარბობს მოძრაობა დაღმავალი ხაზით, ამის გამო უნდა ეცემოდეს მოგების ნორმა (იმ ზომით, რითაც მოგე-

ბის ნორმა ზედმეტი ღირებულების ნორმით განისაზღვრება). პირიქით, მე ვფიქრობ, რომ 1797 — 1813 წლების პერიოდში მოგების ნორმა ინგლისში არაჩვეულებრივად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ხორბლისა და საერთოდ მიწათმოქმედების პროდუქტთა ფასები ძლიერ გაიზარდა. მე არ ვიცნობ არც ერთ ინგლისელ სტატისტიკოსს, რომელიც არ გაიზიარებდა იმ აზრს, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში მოგების ნორმა გაიზარდა. ცალკეული ეკონომისტები, როგორც, მაგალითად, ჩალმერსი, ბლეიკი და სხვ., თავიანთი საკუთარი თეორიების დასადასტურებლად ამ ფაქტს იმოწმებდნენ. წინასწარ უნდა აღვნიშნო კიდევ, რომ სრულიად უაზროა ცდა — ფულის გაუფასურებით ავხსნათ ხორბლის ფასების გადიდება, რასაც ამ პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა. არავის იმათგან, ვისაც კი ამ პერიოდში საქონელთა ფასების ისტორია შეუსწავლია, არ შეუძლია მსგავსი შეხედულების გაზიარება. გარდა ამისა, ფასების ზრდა იწყება, — და ეს მათი ზრდა მნიშვნელოვან სიმაღლეს აღწევს, — დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ ფულის რაიმე გაუფასურება დაიწყებოდეს. იმ მომენტიდან, როგორც კი ეს გაუფასურება იწყება, საჭიროა უბრალოდ ფასებიდან შესაბამისი გამოკლება გაკეთდეს. თუ ვიკითხავთ, რატომაა, რომ, მიუხედავად ხორბლის ფასების გადიდებისა, მოგების ნორმა გაიზარდა, ეს შეიძლება ავხსნათ შემდეგი გარემოებებით: სამუშაო დღის გაგრძელებით, რაც ახალი მანქანების შემოღების უშუალო შედეგია; მუშების მოხმარებაში შემავალი ფაბრიკული და კოლონიური საქონლის გაიაფებით; ხელფასის დაცემით (თუმცა ნომინალური ხელფასი **გაიზარდა** კიდეც) მის ჩვეულებრივ საშუალო დონეზე უფრო დაბლა (ეს ფაქტი განსახილველი პერიოდისათვის საერთოდ აღიარებულია; ბ. ჯ. სტირლინგი (თხზულებაში «The Philosophy of Trade» etc., Edinburgh, 1846), რომელიც საერთოდ იზიარებს რიკარდოს მიწის რენტის თეორიას, ცდილობს, მიუხედავად ამისა, დაამტკიცოს, რომ ხორბლის მუდმივი გაძვირების (ე. ი. ისეთი გაძვირების, რომელიც არ განისაზღვრება შემთხვევითი მოუსავლიანობით) უშუალო შედეგი ყოველთვის არის ხოლმე საშუალო ხელფასის შემცირება[116]); ბოლოს, მოგების ნორმის ზრდა აიხსნება იმითაც, რომ სესხებისა და სახელმწიფო ხარჯების გამო კაპიტალის მოთხოვნა კიდევ უფრო მეტად იზრდებოდა, ვიდრე მისი მიწოდება; ამან კი გამოიწვია საქონელთა ნომინალური ფასის გადიდება, რასაც მეოხებითაც ფაბრიკანტები უკანვე ართმევენ მიწის რენტის მომხვეჭ და მყარი შემოსავლის მიმღებ სხვა პირთ პროდუქტის იმ

ხვედრის ნაწილს, რომელიც გადახდილ იქნა რენტის და ა. შ. სახით. მსგავსი ოპერაციები არ განეკუთვნება ჩვენს გამოსაკვლევ საგანს აქ, სადაც ჩვენ ძირითად ურთიერთობებს განვიხილავთ და, მაშასადამე, ჩვენ თვალწინ მხოლოდ სამი კლასია — მიწის მესაკუთრენი, კაპიტალისტები და მუშები. მაგრამ ეს ოპერაციები — სათანადო პირობებში — მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პრაქტიკულად, როგორც ეს ბ ლ ე ი ც მ ა გვიჩვენა[117].) [688]

* * *

[689] { ბ-ნმა ჰ ა ლ ე ტ მ ა ბრიტონიდან 1862 წლის გამოფენაზე 118 ექსპონატის სახით გამოიტანა «კარგი ჯიშის სათესლე ხორბალი». «ბ-ნი ჰალეტი ამტკიცებს, რომ მარცვლეული პურის თავთავები, მსგავსად დოღის ცხენებისა, საგულდაგულო მოვლას საჭიროებენ, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ მათი მოყვანა წარმოებს დაუდევრად, ბუნებრივი შერჩევის თეორიის მხედველობაში მიუღებლად. ამის საილუსტრაციოდ, თუ რის გაკეთება შეუძლია — ხორბლის შიმშერთაც კი — კარგ მოვლას, მოცემულია ზოგიერთი შესანიშნავი მაგალითი. 1857 წელს ბ-ნმა ჰალეტმა დათესა საუკეთესო ხარისხის წითელი ხორბლის ერთი თავთავი, რომელიც სიგრძით $4^3/_8$ დუიმი იყო და 47 მარცვალს შეიცავდა. მიღებული მეორე მოსავლიდან ბ-ნმა ჰალეტმა 1858 წელს ხელახლა შეარჩია საუკეთესო თავთავი, რომელსაც ჰქონდა $6^1/_2$ დუიმი სიგრძე და 79 მარცვალი. იგივე გამეორება მან 1859 წელს კვლავ საუკეთესო თავთავის შერჩევით, რომელსაც ამჯერად ჰქონდა $7^3/_4$ დუიმი სიგრძე და 91 მარცვალი. შემდგომი წელი, 1860 წელი, არასახელსაყრელი იყო სამეწყვიმოქმედო ცდებისათვის, და ხორბლეულის თავთავები არ გამოდიოდა არც უკეთესი, არც მეტი; მაგრამ უკვე ერთი წლის შემდეგ, 1861 წელს, საუკეთესო თავთავს ჰქონდა $8^3/_4$ დუიმი სიგრძე, და ერთ ღერზეა იყო 123 მარცვალი. ამრიგად, ხუთ წელიწადში ხორბლეულის თავთავის სიგრძე გაორკეცდა, მარცვალთა რაოდენობა კი თითქმის გასამკეცდა. ეს შედეგები მიღწეულ იქნა ისეთი სისტემის მეოხებით, რომელსაც ჰალეტი უწოდებს ხორბლეულის მოყვანის «ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ს ი ს ტ ე მ ა ს», ე. ი. იმის მეოხებით, რომ ცალკეული მარცვლები დარგულ იქნა ერთმანეთისაგან ისეთი დაშორებით — დაახლოებით ეს დაშორება იყო 9 დუიმი ყველა მიმართულებით, — რომ თვითეულ მარცვალს საკმაო ადგილი ჰქონდა სრული განვითარებისათვის... ბ-ნი ჰალეტი ამტკიცებს, რომ ინგლისში შეიძლებოდა პურეულის წარმოების გაორკეცება, თუ დათესებოდა «კარგი ჯიშის ხორბალი» და გამოყენებული იქნებოდა მოვლანის «ბუნებრივი სისტემა». იგი აცხადებს, «რომ ცალკეული მარცვლებისაგან, რომლებიც მან სათანადო დროს დათესა მხოლოდ სათითაოდ მიწის-ყოველ კვადრატულ ფუტზე, ღებულობდა საშუალოდ 23 თავთავებისაგან შემდგარ მცენარეებს, რომელთაც ყოველ თავთავეში დაახლოებით 36 მარცვალი ჰქონდათ. ამის შესაბამისად ერთი აკრი მიწის ბრიდუტი, ზუსტი გამოანგარიშებით, შეადგენდა 1001880 თავთავს, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი წესით დათესილი აკრი, როცა თესლის ოცეგრ და კიდევ უფრო მეტი რაოდენობა იხარჯებოდა, იძლეოდა მხოლოდ ხორბლის 934120 თავთავს, ე. ი. 67760 თავთავით ნაკლებს...» }

[ე) მოგების ნორმის დაცემის ახსნა რიკარდოს მიერ და ამ ახსნის ძაბშირი მის რენტის თეორიასთან]

[მოგების ნორმის დაცემას რიკარდო შემდეგნაირად ამტკიცებს:]

«საზოგადოების პროგრესთან ერთად შრომის ბუნებრივი ფასის შედეგ აქვს გადიდების ტენდენცია, იმიტომ რომ შრომის ბუნებრივი ფასის მარეგულირებელ საქონელთაგან ერთ-ერთ მთავარ საქონელს გაძვირების ტენდენცია აქვს მისი წარმოების მზარდი სიძნელის გამო. მაგრამ რადგან შიწათმოქმედებაში შეტანილ გაუმჯობესებებს და ისეთი ახალი ბაზრების აღმოჩენას, საიდანაც სურსათ-სანოვაგის შემოტანა შეიძლება, შეუძლიათ გარკვეული დროის მანძილზე წინააღმდეგობა გაუწიონ აუცილებელი საჭიროების საგანთა ფასების გადიდების ტენდენციას და მათი ბუნებრივი ფასის დაცემაც კი გამოიწვიონ, იმიტომ იგივე მიზეზები სათანადო გავლენას მოახდენენ შრომის ბუნებრივ ფასზეც.

ნედლი პროდუქტებისა და შრომის გარდა, ყველა საქონლის ბუნებრივ ფასს სიმდიდრისა და მოსახლეობის ზრდის დროს დაცემის ტენდენცია აქვს; ეინაიდან, თუმცა, ერთი მხრივ, საქონელთა ნამდვილი ღირებულება იზრდება იმ ნედლეულის ბუნებრივი ფასის გადიდების გამო, რომლისგანაც ისინი დამზადებულია, მაგრამ ეს ზრდა გადაჭარბებით წონასწორდება მანქანების გაუმჯობესებით, შრომის უკეთესი დანაწილებითა და განაწილებით და მეცნიერებასა დ ადახელოვნებაში მწარმოებელთა მზარდი სრულყოფით» (ციტირ. თხზ., გვ. 86 — 87).

«მოსახლეობის ზრდასთან ერთად პირველი საჭიროების საგანთა ფასები შუდგ გაიზრდება, რადგან მათ საწარმოებლად საჭირო იქნება მეტი შრომა... ამიტომ მუშების ხელფასი კი არ დაეცემა, არამედ გადიდდება, მაგრამ არა იმ ოდენობით, რაც საჭირო იქნებოდა იმისათვის, რათა მუშას შეეძლოს კომფორტულა და პირველი საჭიროების იმდენივ საგნების ყიდვა, რამდენსაც იგი ყიდულობდა ამ საქონელთა ფასის გადიდებამდე... მეუხედავად ამისა, რომ მუშის შრომის ანაზღაურება სინამდვილეში უარესი იქნებოდა, მაინც მისი ხელფასის ეს ზრდა შეამცირებდა ფაბრიკანტის მოგებას, რადგან ფაბრიკანტი თავის საქონელს ვერ გაყიდდა უფრო მაღალ ფასში, მაშინ როდესაც საქონელთა წარმოების ხარჯები გაიზრდებოდა...

ამრიგად, ირკვევა, რომ იგივე მიზეზი, რაც რენტას ადიდებს, სახელდობრ, მზარდი სიძნელე იმისა, რომ კვების საგნების დამატებითი რაოდენობა შრომის პროპორციულად იმავე რაოდენობით იწარმოებოდეს, ადიდებს აგრეთვე ხელფასსაც. ამიტომაც ფულის უცვლელი ღირებულების დროს, რენტასაც და ხელფასსაც სიმდიდრისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად გადიდების ტენდენცია ექნებათ.

მაგრამ რენტის ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის არსებითი განსხვავებაა. რენტის ფულადი ღირებულების გადიდებას თან სდევს [690] რენტის წილის გადიდება პროდუქტში: იზრდება არა მარტო ფულადი რენტა მიწის შესაფერისია, არამედ ზორბლით გამოხატული მისი რენტაც... მუშის ბედი გაცილებით უარესია: მართალია, იგი უფრო მაღალ ხელფასს მიიღებს ფულით, მაგრამ ზორბლით გამოხატული მისი ხელფასი შემცირდება; და მის განკარგულებაში

იქნება ახლა არა მარტო უფრო მცირე რაოდენობა ხორბლისა, არამედ გაუარესდება აგრეთვე მისი საერთო მდგომარეობაც, რადგან მას უფრო გაუძნელდება ხელფასის საბაზრო ნორმის შეჩერება მის ბუნებრივ ნორმაზე უფრო მაღლა» (ციტირ. თხზ., გვ. 96 — 98).

«თუ ვიგულისხმებთ, რომ ხორბალი და სამრეწველო საქონელი ყოველთვის ერთსა და იმავე ფასში იყიდება, მოგება იქნება მაღალი ან დაბალი იმისდა მიხედვით, დაბალია თუ მაღალი ხელფასი. მაგრამ დავუშვათ, რომ ხორბლის ფასი იზრდება, იმიტომ რომ საჭიროა შრომის მეტი რაოდენობა მის საწარმოებლად; ეს მიზეზი ვერ გაადიდებს სამრეწველო საქონლის ფასს, რომლის წარმოებას არ სჭირდება შრომის დამატებითი რაოდენობა... თუ ხორბლის ფასის გადიდებასთან ერთად ხელფასიც გადიდდება, — ეს კი უეჭველად მოხდება, — მაშინ მათი [ფაბრიკანტების] მოგება აუცილებლად დაეცემა» (ციტირ. თხზ., გვ. 108).

«მაგრამ შეიძლება იკითხონ, მიიღებს თუ არა ფერმერი ყოველ შემთხვევაში მოგების წინანდელ ნორმას, თუმცა მან უნდა იხადოს დამატებითი თანხა ხელფასის სახით? რა თქმა უნდა, არა: მან ხომ უნდა უხადოს არა მარტო უფრო მაღალი ხელფასი მის მიერ დასაქმებულ თვითეულ მუშას (როგორც ამის გაკეთება ფაბრიკანტსაც უნდება), არამედ იგი იძულებული იქნება აგრეთვე ან რენტა იხადოს ანდა მუშების დამატებითი რაოდენობა გამოიყენოს პროდუქტის იმავე რაოდენობის მისაღებად. ნელი პროდუქტების ფასის გადიდება კი მხოლოდ ამ რენტის ანდა მუშების ამ დამატებითი რაოდენობის შესაბამისი იქნება, და იგი ვერ აუნაზღაურებს ფერმერს ხელფასის გადიდებას» (ციტირ. თხზ., გვ. 108).

«ჩვენ ცხადყავით, რომ საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელ საფეხურზე როგორც მიწის მესაკუთრის წილი, ისე მუშის წილიც მიწის პროდუქტის დირებულებაში მცირე იყო და რომ იგი საზოგადოების სიმდიდრისა და საკვების წარმოების სიძნელის ზრდის პროპორციულად იზრდება» (გვ. 109).

ეს არის უცნაური ბურჟუაზიული ფანტაზია «საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელი საფეხურების» შესახებ. ამ ადრინდელ საფეხურებზე მუშაკი არის ან მონა, ან გლეხი, რომელიც თავისი შრომით ცხოვრობს, და ა. შ. ჰირველ შემთხვევაში იგი მიწასთან ერთად მიწის მესაკუთრეს ეკუთვნის; მეორე შემთხვევაში იგი თვით არის თავისთვის მიწის მესაკუთრეც. ორივე შემთხვევაში არ არსებობს კაპიტალისტი, რომელიც მიწის მესაკუთრესა და სოფლის მუშას შორის დგას. ის, რაც კაპიტალისტური წარმოების მხოლოდ უკანასკნელი შედეგია — მისდამი მიწათმოქმედების დაქვემდებარება, აქედან გამომდინარე მონებისა და გლეხების გადაქცევა დაქირავებულ მუშებად და კაპიტალისტის შეჭრა მიწის მესაკუთრესა და მუშას შორის, — ყოველივე ეს რიკარდოს წარმოუდგენია როგორც ისეთი მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია «საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელი საფეხურებისათვის».

«ამრიგად, მოგებას აქვს დაცემის ბუნებრივი ტენდენცია, რადგან საზოგადოებისა და სიმდიდრის ზრდასთან ერთად საჭირო ხდება სულ უფრო მეტი შრომის დახარჯვა კვების პროდუქტების აუცილებელი დამატებითი რაოდენობის საწარმოებლად. საბედნიეროდ, მოგების ეს ტენდენცია, ეს, ასე ვთქვათ, მისი მიზიდულობა, დროდადრო ფერხდება აუცილებელი საჭიროების საგანთა წარმოებაში გამოყენებული მანქანების გაუმჯობესებით და აგრეთვე აგრონომიულ მეცნიერებაში მომხდარი აღმოჩენებით, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ დავამაყოფილდეთ შრომის უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე წინათ იყო საჭირო, და ამ გზით დავწიოთ მუშების არსებობისათვის აუცილებელი საგნების ფასი» (ციტირ., თხზ., გვ. 120—121).

რიკარდოს შემდგომი ფრაზა პირდაპირ ლაპარაკობს იმაზე, რომ მოგების ნორმა მას ეწმის როგორც ზედმეტი ღირებულების ნორმა.

«თუმცა მეტი ღირებულება იწარმოება, მაგრამ სამაგიეროდ მეტი წილიც იმისა, რაც ამ ღირებულებიდან რჩება რენტის გადახდის შემდეგ, მოიხმარება მწარმოებლების მიერ, ხოლო ეს, და, მხოლოდ ეს, განსაზღვრავს მოგების ოდენობას» (ციტირ. თხზ., გვ. 127).

ეს ნიშნავს: თუ უყურადღებოდ დავტოვებთ რენტას, მოგების ნორმა ედრის საქონლის ღირებულების გადანაშეტს ამ საქონლის წარმოების პერიოდში ფასგადახდილი შრომის ღირებულებაზე, ან საქონლის ღირებულების იმ ნაწილზე, რომელსაც მწარმოებლები მოიხმარენ. აქ რიკარდო მწარმოებლებს უწოდებს მხოლოდ მუშებს[119]. იგი ფიქრობს, რომ წარმოებული ღირებულება წარმოებულია მათ მიერ, მაშასადამე, იგი განსაზღვრავს აქ ზედმეტ ღირებულებას როგორც თვით მუშების მიერ წარმოებული ღირებულების იმ ნაწილს, რასაც ისინი კაპიტალისტისთვის აწარმოებენ *.

მაგრამ თუ რიკარდო ზედმეტი ღირებულების ნორმას და მოგე-

---

* [691] ზედმეტი ღირებულების წარმოშობის შესახებ რიკარდო ამბობს:

«ფულის ფორმით... კაპიტალი არავითარ მოგებას არ აწარმოებს; მასალების, მანქანებისა და კვების საგნების ფორმით, რომლებზეც მისი ფაცალი შეიძლება, იგი აწარმოებს შემოსავალს» (ციტირ. თხზ., გვ. 267). «ფასიანი ქაღალდების [692] მფლობელის კაპიტალი ვერასოდეს ვერ გადადგება მწარმოებლური—ეს, სინამდვილეში, სულაც არ არის კაპიტალი. თუ ფასიანი ქაღალდების მფლობელი მოინდომებდა ამ ქაღალდების გაყიდვას და მათში აღებული კაპიტალის მწარმოებლურად გამოყენებას, ეს შეეძლო მას გაეკეთებინა მხოლოდ იმ გზით, რომ მისი ფასიანი ქაღალდების მყიდველის კაპიტალს ჩამოაშორებდა ყოველგვარ მწარმოებლურ გამოყენებას» (გვ. 289, შენიშვნა).

ბის ნორმას აიგივებს და თუ იგი ამასთანავე ვარაუდობს, — და ასეც იქცევა იგი, — რომ სამუშაო დღის ხანგრძლიობა წინასწარ მოცემულია, მაშინ მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია შეიძლება მხოლოდ იმ მიზეზებით აიხსნას, რომლებიც ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემას იწვევენ. ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემა — როცა სამუშაო დღის სიდიდე მოცემულია — შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის ნორმა სულ იზრდება. ამას კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, თუ აუცილებელი საჭიროების საგანთა ღირებულება მუდამ იზრდება, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელია მხოლოდ მიწათმოქმედებაში. წარმოების პირობების განუწყვეტელი გაუარესების შემთხვევაში, ე. ი. თუ რიკარდოს მიწის რენტის თეორიას მივიღებთ. რადგან რიკარდო ზედმეტი ღირებულების ნორმას და მოგების ნორმას აიგივებს [691] და რადგან ზედმეტი ღირებულების ნორმა მხოლოდ ხელფასზე დახარჯულ ცვალებად კაპიტალთან შეფარდებით იანგარიშება, ამიტომ რიკარდო, ისევე როგორც ა. სმიტი, ვარაუდობს, რომ მთელი პროდუქტის ღირებულება — რენტის გამოკლების შემდეგ — იყოფა მუშასა და კაპიტალისტს შორის, ე. ი. იყოფა ხელფასად და მოგებად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მცდარია რიკარდოს ის ვარაუდი, თითქოს მთელი ავანსებული კაპიტალი მხოლოდ ცვალებადი კაპიტალისაგან შედგება. ასე, მაგალითად, ზემოციტირებული ადგილის შემდეგ იგი განაგრძობს:

«როცა დამუშავებაში შედის უცუდესი მიწა ან ძველ მიწაზე იხარჯება კაპიტალისა და შრომის დამატებითი რაოდენობა და შედეგი ნაკლებია, ზემოდანშნულ მოვლენას ადგილი ექნება მუდამ: უფრო მნიშვნელოვანი წილი პროდუქტის იმ ნაწილისა, რომელიც რენტის გადახდის შემდეგ რჩება და გასაყოფია კაპიტალს მესაკუთრეებსა და მუშებს შორის, წილად შეხვდება უკანასკნელთა» (ციტირ. თხზ., გვ. 127 — 128).

უშუალოდ ამის შემდეგ რიკარდო განაგრძობს:

«ყოველ მუშას, შესაძლებელია და მოსალოდნელიც კი, პროდუქტის უფრო ნაკლები აბსოლუტური რაოდენობა ექნება; მაგრამ რადგან მთელ პროდუქტთან შედარებით, რასაც ფერმერი თავისთვის იტოვებს, დასაჭმელი იქნება უფრო მეტი მუშა, ამიტომ ხელფასი შთანთქავს მთელი პროდუქტის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილის ღირებულებას და, მაშასადამე, მოგების გადახდას მოახმარდება პროდუქტის ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწილის ღირებულება» (გვ. 128).

ცოტა ზემოთ კი რიკარდო წერს:

«მიწის პროდუქტის ის რაოდენობა, რაც მიწის მესაკუთრისა და მუშის გასტუმრების შემდეგ რჩება, აუცილებლად ფერმერს ეკუთვნის და მისი კაპიტალის მოგებას შეადგენს» (გვ. 110).

«მ ო გ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ» (თავი მე-6) მოცემულ განყოფილებაში რიკარდო ამბობს, რომ მოგების ნორმის დაცემის მისი ანალიზი სწორი რჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვიგულისხმებდით — შეცდომით, — რომ ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ფ ა ს ე ბ ი იზრდება მუშების ფულადი ხელფასის გადიდებასთან ერთად:

«თავში ხელფასის შესახებ ჩვენ შეეცადეთ გვეჩვენებია, რომ ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ფ უ ლ ა დ ი ფ ა ს ი ა რ ი ზ რ დ ებ ა ხ ე ლ ფ ა ს ი ს ზ რ დ ის ნ ა წ ი ლ ს... მაგრამ თუნდაც საქმის ვითარება სხვაგვარი იყოს, თუნდაც მაღალი ხელფასი საქონელთა ფასების მუდმივ გადიდებას იწვევდეს, მაინც მართალი დარჩებოდა მტკიცება, რომ მაღალი ხელფასი მუდამ ეხება დაქირავებული შრომის გამომყენებელ, რომ იგი უკარგავს მათ მათი ნამდვილი მოგების ნაწილს. დავუშვათ, რომ მექუდე, წინდის მქსოველი და მეწაღე 10 გირვ. სტერლინგით მეტ ხელფასს იხდის თვითეული თავისი საქონლის გარკვეული რაოდენობის წარმოებისას და რომ ქუდების, წინდების და ფეხსაცმლის ფასი გადიდდა ისეთი ოდენობით, რაც საკმარისია იმისათვის, რომ თვითეულ მათგანს აუნაზღაუროს ეს 10 გირვ. სტერლინგი. ამ შემთხვევაში მ ი თ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ა რ ი ქ ნ ე ბ ო დ ა უ კ ე თ ე ს ი, ვ ი დ რ ე ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ს ი, თ უ ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ფ ა ს ე ბ ი ს ა ს ე თ გ ა დ ი დ ებ ა ა დ გ ი ლ ი ა რ ე ქ ნ ე ბ ო დ ა. თუ მეწინდე თავის წინდებს გაყიდდა 110 გირვ. სტერლინგად ნაცვლად 100-ისა, მაშინ მისი მოგების ფულადი ჯამი ზუსტად ისეთივე იქნებოდა, როგორიც უწინ იყო; მაგრამ რადგან ფულის იმავე ჯამზე გაცვლის წესით იგი მიიღებდა ქუდების, ფეხსაცმლისა და ყოველგვარი სხვა საქონლის ერთი მეათედით ნაკლებ რაოდენობას და რადგან თ ა ვ ი ს დ ა ნ ა ზ ო გ თ ა წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი თ ა ნ ხ ი თ» (ე. ი. იმავე კაპიტალით) «მას შ ე ე ძ ლ ო ნ ა კ ლ ებ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ებ ა ხ ე ლ ფ ა ს ი ს გ ა დ ი დ ებ ი ს გ ა მ ო და ნ აკლები ნედლი მასალის ყიდვა მისი ფასის გადიდების გამო, იგი არ იქნებოდა უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე მაშინ, თუ მისი ფულადი მოგების საერთო ჯამი ნამდვილად შემცირდებოდა, ყველა სამრეწველო საქონლის ფასები კი უცვლელი დარჩებოდა» (გვ. 129).

რიკარდო, რომელიც სხვა ადგილას ყველგან და ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა თავის არგუმენტაციაში მხოლოდ იმას, რომ უცუდეს მიწაზე საჭიროა პ რ ო დ უ ქ ტ ი ა ი მ ა ვ ე რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს საწარმოებლად მ უ შ ე ბ ი ს მ ე ტ ი რ ი ც ხ ვ ი ს ანაზღაურება, აქ, ბოლოს, წინა რიგში აყენებს იმ მომენტს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოგების ნორმისათვის, სახელდობრ, რომ კაპიტალის იმავე თანხით მ უ შ ე ბ ი ს ნ ა კ ლ ებ ი რ ი ც ხ ვ ი გ ა მ ო ი ყ ე ნ ებ ა ხ ე ლ ფ ა ს ი ს გ ა დ ი დ ებ ი ს გ ა მ ო. დანარჩენში იგი არ არის მთლად მართალი. თუ ქუდების და ა. შ. ფასი 10%-ით იზრდება, ამით კაპიტალისტის მდგომარეობა არ იცვლება, მაგრამ მიწის მესაკუთრე კი იძულებული იქნებოდა ყველა ამ საქონლის ყიდვისას თავისი რენტიდან უფრო მეტი

თანხა მიეცა. მაგალითად, მისი რენტა გადიდდა 10 გირვ. სტერლინგიდან 20 გირვანქამდე. მაგრამ ამ 20 გირვ. სტერლინგით იგი პროპორციულად ქუდებისა და ა. შ. ნაკლებ რაოდენობას იღებს, ვიდრე უწინ 10 გირვ. სტერლინგით იღებდა.

რიკარდო სრულიად სწორად ამბობს:

«საზოგადოების წინსვლითს მდგომარეობაში მიწის წმინდა პროდუქტი, მის მთლიან პროდუქტთან შედარებით, მუდამ მცირდება» (გვ. 198).

ამ დებულებას, რიკარდოს მიხედვით, ის აზრი აქვს, რომ საზოგადოების წინსვლითი მდგომარეობის დროს რენტა არ იზრდება. ნამდვილი მიზეზი [წმინდა პროდუქტის შემცირებისა შთლიან პროდუქტთან შედარებით] ისაა, რომ საზოგადოების წინსვლისას ცვალებადი კაპიტალი მცირდება მუდმივ კაპიტალთან შედარებით. [691.]

[692] წარმოების პროგრესთან ერთად რომ მუდმივი კაპიტალი იზრდება ცვალებადთან შედარებით, ამას თვით რიკარდოც აღიარებს, მაგრამ მხოლოდ იმ ფორმით, რომ იზრდება ძირითადი კაპიტალი საბრუნავ კაპიტალთან შედარებით:

«მდიდარ და ძლევამოსილ ქვეყნებში, სადაც დიდძალი კაპიტალია დაბანდებული მანქანებში, უეცარი ცვლილებები ეაჭრობასა და მრეწველობაში უფრო დიდ უბედურებას იწვევენ, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში, სადაც პროპორციულად გაცილებით უფრო ნაკლებია ძირითადი კაპიტალი და გაცილებით უფრო მეტი საბრუნავი კაპიტალი და სადაც, მაშასადამე, სამუშაოთა უფრო დიდი ნაწილი ადამიანის ხელით სრულდება. საბრუნავი კაპიტალის ამოდება იმ დარგიდან, სადაც იგი გამოყენებულია, არაა ისე ძნელი, როგორც ძირითადი კაპიტალის ამოღება; მრეწველობის ერთი დარგისათვის დამზადებული მანქანების გამოყენება მეორე დარგისათვის ხშირად სრულიად შეუძლებელია; პირიქით, ერთი დარგის მუშის ტანსაცმელი, საუმელი და საცხოვრებელი ბინა შეძლება ემსახურებოდეს მუშის სიცოცხლის შენარჩუნების წარმოების მეორე დარგშიც»

(აქ, მაშასადამე, საბრუნავ კაპიტალად ნაგულისხმევია მხოლოდ ხელფასზე დახარჯული ცვალებადი კაპიტალი),

«ანდა იმავე მუშას შეუძლია მიიღოს იგივე საუმელი, ტანსაცმელი და ბინა მაშინაც კი, თუ იგი თავის მოსაქმეობას გამოიცვლის. მაგრამ ეს ისეთი უბედურებაა, რასაც მდიდარი ერი უნდა ურიგებებოდეს; და ამაზე ჩვენი ისევე უარო იქნებოდა, როგორც მდიდარი ვაჭრის წუხილი იმის გამო, რომ მის გემს ყოველგვარი საშიშროება მოელის ზღვაზე, მაშინ როდესაც მისი ღარიბი მეზობლის ქოხს ასეთი საშიშროება სრულიად არ ემუქრება» (ციტირ. თხზ., გვ. 311).

რიკარდო თვით აღნიშნავს რენტის გადიდების ისეთ მიზეზს, რომელიც სრულიად არ არის დამოკიდებული მიწათმოქმედების პროდუქტების ფასის გადიდებაზე:

«მიწაში ფიქსირებული ყოველი კაპიტალი იჯარის ვადის განვლის შემდეგ აუცილებლად გადაიქცევა ისეთ რაიმედ, რაც მიწის მესაკუთრეს ეკუთვნის და არა მოიჯარეს. ყოველი საფასური, რომლის მიღებაც ამ კაპიტალში მიწის მესაკუთრეს შეუძლია, როცა იგი თავის მიწას ხელახლა იჯარით გასცემს, რენტის ფორმას მიიღებს; მაგრამ არავინ არ გადაიხდიდა რენტას, თუკი გარკვეული ოდენობის კაპიტალით შესაძლებელი იქნებოდა საზღვარგარეთიდან ხორცების უფრო მეტი რაოდენობის მიღება, ვიდრე ის რაოდენობა, რომლის მიდებაც შესაძლებელია ამ მიწაზე ქმედული შიგნით» (ციტირ. თხზ., გვ. 315).

იმავე საგანზე რიკარდო ლაპარაკობს:

«ამ თხზულების ერთ-ერთ წინა ნაწილში მე აღვნიშნე განსხვავება რენტასა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, და იმ საფასურს შორის, რომელსაც რენტის სახელწოდებით მიწის მესაკუთრეს უხდიან ამა თუ იმ სარგებლობისათვის, რაც მან თავისი კაპიტალის დახარჯვით მოიჯარეს მისცა. მაგრამ, შეიძლება, მე საკმაო სიცხადით ვერ აღვნიშნე ამ კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა წესებიდან გამომდინარე განსხვავება. რადგან ამ კაპიტალის ნაწილი, ფერმის გაუმჯობესებაზე ერთხელ დახარჯული, განუყოფელად შეეზრდება მიწას და მისი მწარმოებლური ძალების გადიდებას იწვევს, ამიტომ საფასურს, რასაც მიწის მესაკუთრეს მიწით სარგებლობისათვის უხდიან, მთლიანად რენტის ხასიათი აქვს და რენტის ყველა კანონს ემორჩილება. წარმოებს ეს გაუმჯობესება მიწის მესაკუთრის თუ მოიჯარის ხარჯზე, სულ ერთია, ორივე შემთხვევაში იგი იმთავითვე არ ჩატარდებოდა, თუ მოსალოდნელი არ იქნებოდა, რომ გაუმჯობესებული მიწიდან მიღებული შემოსავალი ყოველ შემთხვევაში იმ მოგების ტოლი იქნება, რომლის მიღებაც თანაბარი სიდიდის ყოველი კაპიტალის დაბანდებისას შეიძლება. მაგრამ რაკი ეს გაუმჯობესება ერთხელ მოხდა, შემდგომში გაუმჯობესებული მიწიდან მიღებულ შემოსავალს უკვე მთლიანად რენტის ხასიათი ექნება და ყველა იმ ცვლილებას დაექვემდებარება, რასაც რენტა განიცდის. მაგრამ ზოგიერთი ეს ხარჯი მიწას აუმჯობესებს მხოლოდ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და არ იწვევს მიწის მწარმოებლური ძალების ხანგრძლივ გაფიდებას: ასე, მაგალითად, თუ ხარჯები გაწეულია შენობებსა და წარმავალი ხასიათის სხვა გაუმჯობესებებზე, მაშინ აუცილებელია მათი მუდამ განახლება, რის გამოც ისინი ვერ აძლევენ მიწის მესაკუთრეს მისი ნამდვილი რენტის რაიმე მუდმივ დანამატს» (გვ. 306, შენიშვნა).

რიკარდო ამბობს:

«ყველა ქვეყანაში და ყველა დროს მოგება დამოკიდებულია შრომის რაოდენობაზე, რაც საჭიროა მუშების მოსამარაგებლად იმ მიწაზე ან იმ კაპიტალით წარმოებული აუცილებელი საჭიროების საგნებით, რომლებიც არავითარ რენტას არ იძლევიან» (გვ. 128).

ამ შეხედულების თანახმად, მოიჯარის მოგება იმ მიწაზე, რომელიც, რიკარდოს მიხედვით, რენტას არ იხდის, — ე. ი. უცუდეს მიწაზე — მოგების საერთო ნორმის მარეგულირებელი იქნებოდა.

რიკარდოს მსჯელობა ასეთია: უცუდესი მიწის პროდუქტი იყიდება მისი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვით და არავითარ რენტას არ იძლევა; აქ, მაშასადამე, მკაფიოდ ჩანს, რამდენი ზედმეტი ღირებულება რჩება კაპიტალისტს პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილის გამოკლების შემდეგ, რომელიც მხოლოდ ეკვივალენტია მუშისათვის; და ეს ზედმეტი ღირებულება არის მოგება. ამ მსჯელობას საფუძვლად უდევს ის წანამძღვარი, რომ ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ი დ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ერთი და იგივეა, რომ, რადგან მოცემული პროდუქტი ხარჯთფასის მიხედვით იყიდება, ამიტომ იგი ღირებულების მიხედვით იყიდება.

ისტორიულად და თეორიულად ეს მცდარია. მე ცხადვყავი*, რომ იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოება და მიწის საკუთრება არსებობს, უცუდესი თანრიგის მიწა ან შახტი შეიძლება რენტას არ იძლეოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მისი პროდუქტი თ ა ვ ი ს [ინდივიდუალურ] ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე დ ა ბ ლ ა იყიდება, როცა მას საბაზრო ღირებულების (არა მის მიერ რეგულირებული ღირებულების) მიხედვით ყიდიან. ფინაიდან პროდუქტის საბაზრო ღირებულება ფარავს აქ სწორედ მარტოოდენ მის ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს. მაგრამ რით რეგულირდება ეს ხარჯთფასი? ა რ ა ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მოგების ნორმით, რომლის განსაზღვრაშიც, ბუნებრივია, ხორბლის ფასიც შედის, თუმცა ამ უკანასკნელის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთადერთი განსაზღვრავს მოგების ნორმას. რიკარდოს მტკიცება სწორი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღირებულებანი და ხარჯთფასები ფიქსირნი იქნებოდნენ. [693] ისტორიულადაც ხომ, — იმასთან დაკავშირებით, რომ კაპიტალისტური წარმოება მიწათმოქმედებაში უფრო გვიან ჩნდება, ვიდრე მრეწველობაში, — სამიწათმოქმედო მოგება განისაზღვრება სამრეწველო მოგებით და არა პირიქით. სწორია მხოლოდ ის, რომ უცუდეს მიწაზე, რომელსაც მოაქვს მოგება, მაგრამ არა რენტა, და რომელიც თავის პროდუქტს ხარჯთფასის კვალობაზე ყიდის, ვ ლ ი ნ დ ე ბ ა, ცხადად წარმოგვიდგება მოგების საშუალო ნორმა, მაგრამ სრულიად არაა სწორი, რომ საშუალო მოგება ამით რ ე გ უ ლ ი რ დ ე ბ ა, რაც სავსებით სხვა რამის მომასწავებელი იქნებოდა.

მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა შეიძლება ეცემოდეს მაშინაც, როცა

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 387. რ ე დ.

სარგებლის ნორმა და რენტის ნორმა არ დიდ-
დება.

«კაპიტალის მოგების შესახებ ჩვენ მიერ მოცემული ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ კაპიტალის არავითარ დაგროვებას არ შეუძლია მუდმივად მოგების* შემცირება, თუ არ არის რაიმე მუდმივი მიზეზი, რომელიც ხელფასის გადიდებას იწვევს... თუ ყოველთვის შესაძლებელი იქნებოდა ერთნაირი სიადვილით გაგვიდიდებინა იმ აუცილებელი საჭიროების საგანთა რაოდენობა, რომლებსაც მუშები მოიხმარენ, მაშინ აღარ გვექნებოდა მოგების ან ხელფასის ნორმისა» (უნდა ეთქვა: ზედმეტი ღირებულების და შრომის ღირებულების «მუდმივი ცვლილება, რა მოცულობისთვისაც არ უნდა მიეღწია კაპიტალის დაგროვებას. მაგრამ ადამ სმიტი მოგებინ დაცემას ყოველთვის მიაწერს კაპიტალის დაგროვებას და აქედან გამომდინარე კონკურენციას, და ამასთან არასოდეს ყურადღებას არ აქცევს დამატებითი კაპიტალის მიერ გამოყენებული მუშების დამატებითი რიცხვისათვის კვების საგნების მოპოვების მზარდ სიძნელეს» (ციტირ. თხზ., გვ. 338 — 339).

ყოველივე ეს სწორი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, მოგება რომ ზედმეტი ღირებულების იდენტური იყოს.

ამრიგად, ს. სმიტი ლაპარაკობს, რომ კაპიტალის დაგროვებასთან ერთად მოგების ნორმა ეცემა კაპიტალისტებს შორის მზარდი კონკურენციის გამო; რიკარდო კი ამბობს, რომ მოგების ნორმა ეცემა მიწათმოქმედებაში წარმოების პირობების მზარდი გაუარესების გამო (პირველი საჭიროების საგანთა გაძვირება). ჩვენ უარვყავით მისი შეხედულება, რომელიც სწორი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, ზედმეტი ღირებულების ნორმა და მოგების ნორმა რომ ერთი და იგივე იყოს, ე. ი. მოგების ნორმის დაცემა რომ მხოლოდ ხელფასის ნორმის გადიდების გამო შეიძლებოდეს (სამუშაო დღე იგულისხმება როგორც უცვლელი). სმიტის შეხედულება იმას ემყარება, რომ იგი (ღირებულების მისი მცდარი და თვით მისგანვე უარყოფილი გაგებით) ღირებულებას განიხილავს როგორც ხელფასის, მოგებისა და რენტის შეკრების შედეგს. მისი აზრით, კაპიტალების დაგროვება იძულებით იწვევს იმას, რომ თვითნებურად დაწესებული მოგებანი, რომლებისთვისაც არავითარი იმანენტური საზომი არ არსებობს, შემცირდეს იმ საქონლთა ფასე-

* მოგება აქ რიკარდოს ესმის როგორც ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც კაპიტალისტი ეპატრონება, და არა როგორც მთლიანად აღებული ზედმეტი ღირებულება. რამდენადაც მცდარია იმის მტკიცება, რომ ზედმეტი ღირებულება შეიძლება ეცემოდეს კაპიტალის დაგროვების შედეგად, ამდენადვე სწორია ეს მოგების [ნორმის] მიმართ.

ბის შემცირებით, რომელთა მიმართ, ამ შეხედულების თანახმად, მოგებანი მხოლოდ ნორმალური წანამატია.

რიკარდო, რა თქმა უნდა, თეორიულად მართალია, როცა სმიტის წინააღმდეგ იმ საბუთს აყენებს, რომ კაპიტალების დაგროვებას არ შეაქვს ცვლილებები საქონელთა ღირებულების განსაზღვრაში; მაგრამ რიკარდო დიდად ცდება, როცა სმიტის შეხედულების გაბათილებას იმით ცდილობს, რომ ქვეყანაში არ შეიძლება ჭარბწარმოება არსებობდესო. რიკარდო უარყოფს კაპიტალის მეტისმეტი სიუხვის შესაძლებლობას, რაც მის შემდგომ პერიოდში საყოველთაოდ მიღებულ აქსიომად იქნა აღიარებული ინგლისურ პოლიტიკურ ეკონომიაში.

ჯერ ერთი, რიკარდო მხედველობიდან უშვებს, რომ რეალურ სინამდვილეში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება არა მარტო ორი მხარე — კაპიტალისტი და მუშა, არამედ [მრეწველი] კაპიტალისტი, მუშა, მიწის მესაკუთრე, ფულის მქონე კაპიტალისტი, ისინი, ვინც ფიქსირებულ შემოსავალს ღებულობს სახელმწიფოსაგან, და ა. შ., — რომ ამ პირობებში საქონელთა ფასების დაცემა, რაც ორივეს, მრეწველ კაპიტალისტსაც და მუშასაც, ზიანს აყენებს, ხელსაყრელია სხვა კლასებისათვის.

მეორე, რიკარდო მხედველობიდან უშვებს, რომ კაპიტალისტური წარმოება სრულიადაც არ წარიმართება თვითნებურად დაწესებული მასშტაბით, მაგრამ რაც უფრო ვითარდება იგი, მით უფრო მეტად იძულებულია ისეთი მოცულობით აწარმოოს, რომელიც არავითარ კავშირში არაა უშუალო მოთხოვნასთან, არამედ დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრის უწყვეტად გაფართოებაზე. რიკარდო იშველიებს სეის უაზრო წანამძღვარს, თითქოს კაპიტალისტი აწარმოებს არა მოგებისათვის, არა ზედმეტი ღირებულებისათვის, არამედ უშუალოდ მოხმარებისათვის, სახმარი ღირებულებისათვის — თავისი საკუთარი მოხმარებისათვის. რიკარდო მხედველობიდან უშვებს, რომ საქონელი ფულად უნდა იქნეს გადაქცეული. მოთხოვნა მუშების მხრივ არა კმარა, რადგან მოგება სწორედ იმიტომ არსებობს, რომ მოთხოვნა, რის წამოყენებაც მუშებს შეუძლიათ, ნაკლებია მათი პროდუქტის ღირებულებაზე, და იგი, მოგება, მით უფრო მეტია, რაც უფრო ეს მოთხოვნა შეფარდებით ნაკლებია. ასევე არასაკმარისია მოთხოვნაც კაპიტალისტების მხრივ, რასაც ისინი ერთმეორეს უყენებენ. ჭარბწარმოება არ იწვევს მოგების მუდმივ დაცემას, მაგრამ იგი მუდამ მეორდება გარკვეული პერიოდების შემდეგ. ჭარბწარმოებას მოსდევს ნაკლ-

წარმოება და ა. შ. ჭარბწარმოება სწორედ იქიდან წარმოდგება, რომ მოსახლეობის მასას არასოდეს არა აქვს შესაძლებლობა აუცილებელ საარსებო საშუალებათა საშუალო რაოდენობაზე მეტი მოიხმაროს და, მაშასადამე, მისი მოხმარება ვერ გაიზრდება შრომის ნაყოფიერების გადიდების შესაბამისად. სხვათა შორის, მთელი ეს განყოფილება განეკუთვნება კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი ს კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა ს. ყოველივე ის, რასაც ამაზე რიკარდო ლაპარაკობს, გროშ-კაპიკადაც არ ღირს. (ეს არის თავი 21-ე, დასათაურებული «დ ა გ რ ო ვ ე ბ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ა მ ო გ ე ბ ა ს ა დ ა ს ა რ გ ე ბ ე ლ ს ზ ე»).

«შესაძლებელია მხოლოდ ერთი შემთხვევა, — და ისიც დ რ ო ებ ი თ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ა — როცა კაპიტალის დაგროვებას სურსათის დაბალი ფასების დროს თან ახლავს მოგების ნორმის დაცემა. ამას კი ადგილი აქვს მაშინ, როცა შრომის შესანახი ფონდი გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოსახლეობა; ამ შემთხვევაში ხელფასი იქნება მაღალი, მოგების ნორმა კი — დაბალი» (გვ. 343).

ს ე ი ს რომ ეკამათება, რიკარდო [იმავე თავში «დ ა გ რ ო ვ ე ბ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ა მ ო გ ე ბ ა ს ა დ ა ს ა რ გ ე ბ ე ლ ს ზ ე»] ირონიულად შენიშნავს მოგებასა და სარგებელს შორის არსებული თანაფარდობის შესახებ:

«ბ-ნი სეი ფიქრობს, რომ სარგებლის ნორმა დამოკიდებულია მოგების ნორმაზე; მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ მოგების ნორმა დამოკიდებულია სარგებლის ნორმაზე. პირველი მიზეზია, მეორე — შედეგი, და ვერავითარი გარემოება ვერ აიძულებს მათ ერთიმეორის ადგილი დაიკავონ» (ციტირ. თხზ., გვ. 353, შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

მაგრამ იმავე მიზეზებს, რომლებიც მოგების დაცემას იწვევენ, შეუძლიათ გამოიწვიონ სარგებლის დაცემა, და პირიქით[120].

* * *

[თავში «კ ო ლ ო ნ ი უ რ ი ვ ა ჭ რ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» რიკარდო წერს:]

«ბ-ნი სეი აღიარებს, რომ ფასის საფუძველს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი შეადგენენ, და მიუჭვდავად ამისა თავისი წიგნის სხვადასხვა ნაწილში იგი ამტკიცებს, რომ ფასებს არეგულირებს თანაფარდობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის» (ციტირ. თხზ., გვ. 411).

სწორედ რიკარდოს [მოთხოვნისა და მიწოდების განმსაზღვრელი როლის უარმყოფელს] უნდა დაენახა ამ [სეის წარმოების ხარჯების კონცეფციის შეხამებიდან მოთხოვნისა და მიწოდების კონცეფციას-

თან], რომ [694] წარმოების ხარჯები [სეისეული გაგებით] ძლიერ განსხვავდება საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობისაგან. ამის ნაცვლად იგი განაგრძობს:

«ორი რომელიმე საქონლის შეფარდებითი ღირებულების ნამდვილი და გადამწყვეტი რეგულატორია მათი წარმოების ხარჯები» (იქვე).

[იმავე თავში «კოლონიური ვაჭრობის შესახებ» რიკარდო წერს:]

«და გინა ადამ სმიტი არ იზიარებს ამ შეხედულებასა» (რომ ფასებს არ არეგულირებს არც ხელფასი, არც მოგება), «როცა იგი ამბობს, რომ «საქონელთა ფასები, ანუ ოქროსა და ვერცხლის ღირებულება საქონელთან შედარებით, დამოკიდებულია თანაფარდობაზე შრომის იმ რაოდენობასა, რაც საჭიროა იმისათვის, რათა ოქროსა და ვერცხლის გარკვეული რაოდენობა ბაზარზე გადიოდეს, და შრომის იმ რაოდენობას შორის, რაც საჭიროა იმისათვის, რათა ბაზარზე გადიოდეს რომელიმე სხვა საქონლის გარკვეული რაოდენობა»? შრომის ეს რაოდენობა არ იცვლება იმისდა მიხედვით, მაღალი იქნება მოგება ან ხელფასი თუ დაბალი. როგორღა შეუძლია მაღალ მოგებას საქონელთა ფასების გადიდება?» (გვ. 413 — 414).

ზემოაღნიშნულ ადგილას ა. სმიტს ფასებად სხვა არაფერი აქვს ნაგულისხმევი, თუ არა საქონელთა ღირებულების ფულადი გამოხატულება. ის ფაქტი, რომ საქონელთა ღირებულებანი, და ასევე ღირებულება ოქროსა და ვერცხლისა, რომლებზეც საქონელთა გაცვლა ხდება, განისაზღვრება შრომის იმ შეფარდებითი რაოდენობით, რაც საჭიროა ამ ორი სახის საქონელთა (საქონელთა, ერთი მხრივ, ოქროსა და ვერცხლის — მეორე მხრივ) საწარმოებლად, — ეს ფაქტი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ «მაღალ მოგებას შეუძლია გაადიდოს» საქონელთა ნამდვილი ფასი, ე. ი. მათი ხარჯთფასი. მართალია, არა ყველა ერთბაშად, როგორც ამას სმიტი ფიქრობს. მაგრამ მაღალი მოგება, მართლაც. იმას იწვევს, რომ საქონელთა მასის ერთი ნაწილის ფასები ამ საქონელთა ღირებულებაზე უფრო მაღლა იწევს, ვიდრე ეს არის ხოლმე საშუალო მოგების დაბალი დონის დროს, მაშინ როდესაც საქონელთა მეორე ნაწილის ფასები მათს ღირებულებაზე დაბლა უფრო ნაკლებად იწევს, ვიდრე დაბალი მოგების დროს [12].

[თავი მეოთხმეტე]

დაგროვების რიკარდოსეული თეორია. მისი კრიტიკა. კრიზისების გამოყვანა კაპიტალის ძირითადი ფორმიდან.

[1) შეცდომა სმიტისა და რიკარდოსი, რომლებიც მხედველობიდან უშვებდნენ მუდმივ კაპიტალს. მუდმივი კაპიტალის სხვადასხვა ნაწილების კვლავწარმოება]

უწინარეს ყოვლისა შევაჯამოთ რიკარდოს დებულებანი, რომლებიც მიმოფანტულია მთელ მის წიგნში.

«... ქვეყნის ყველა პროდუქტი მოიხმარება; მაგრამ უდიდესი განსხვავება, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლება, ისაა, ამ პროდუქტებს ისინი მოიხმარენ, ვინც ამის ნაცვლად სხვა ღირებულებას აწარმოებს, თუ ისინი, ვინც ასეთ ღირებულებას არ აწარმოებს. როცა ვლაპარაკობთ, შემოსავალი იზოგება და კაპიტალს ემატებაო, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ შემოსავლის იმ ნაწილს, რომელზეც ამბობენ, კაპიტალს ემატებაო, მოიხმარენ ახლა მწარმოებელი დაარა არამწარმოებელი მუშებიო. (რიკარდო აქ იმავე განსხვავებას იძლევა, რასაც ა. სმიტი.) «არაფერია იმ ვარაუდზე უფრო მცდარი, რომ კაპიტალი იზრდება იმ შემთხვევაში, თუ არ მოიხმარება. თუ შრომის ფასი ისე მაღლა აიწევდა, რომ, მიუხედავად კაპიტალის მატებისა, შეუძლებელი იქნებოდა წინანდელზე მეტი შრომის გამოყენება, მაშინ მე ვიტყოდი, რომ კაპიტალის ასეთი მატება მაინც არამწარმოებლურად იქნებოდა მოხმარებული» (გვ. 163, შენიშვნა).

აქ, მაშასადამე, საკითხი დაყვანილია მხოლოდ იმაზე, მუშები მოიხმარენ პროდუქტს თუ სხვები. ასევეა ადამ სმიტთან და სხვებთანაც. სინამდვილეში კი აქ ლაპარაკი უნდა იყოს ამასთანავე იმ საკონელთა მწარმოებლურ მოხმარებაზეც, რომლებიც მუდმივ კაპიტალს შეადგენენ და რომელთა მოხმარებაც ხდება შრომის იარაღების ან შრომის მასალის სახით ანდა იმგვარად, რომ

ამ მოხმარებით ისინი გადაიქცევიან შრომის იარაღებად და შრომის მასალად. იმთავითვე მცდარი, ე. ი. ცალმხრივია ის წარმოდგენა, თითქოს კაპიტალის დაგროვება არის შემოსავლის გადაქცევა ხელფასად, თითქოს იგი მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის დაგროვებაა. ამით მთელი საკითხი დაგროვების შესახებ მცდარად არის გაშუქებული.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავარკვიოთ მ უ დ მ ი ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ა. ჩვენ აქ განვიხილავთ წ ლ ი უ რ კვლავწარმოებას, ე. ი. წელიწადს ვიღებთ როგორც დროის საზომს კვლავწარმოების პროცესისათვის.

მუდმივი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი — ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი — შედის წლიური შრომის პროცესში, თუმცა იგი არ შედის [მთლიანად] ღირებულების შექმნის წლიურ პროცესში. ძირითადი კაპიტალი [მისი ის ნაწილი, რომელიც არ შედის ღირებულების შექმნის პროცესში] არ მოიხმარება. მაშასადამე, მისი ეს ნაწილი არც უნდა იკვლავწარმოებოდეს. იგი შ ე ი ნ ა ხ ე ბ ა და მის სახმარ ღირებულებასთან ერთად შეინახება საცვლელი ღირებულებაც — იმით, რომ საერთოდ შედის წარმოების პროცესში და ცოცხალ შრომასთან კონტაქტში რჩება. რაც უფრო მეტია ქვეყანაში მოცემულ წელს კაპიტალის ეს ნაწილი, მით უფრო მეტია შეფარდებით მისი წმინდა ფორმალური კვლავწარმოება (შენახვა) შემდგომ წელს; ამას ადგილი აქვს, თუ ვივარაუდებთ, რომ წარმოების პროცესი განახლებას განიცდის, გრძელდება და მოძრაობას ინარჩუნებს მხოლოდ წინანდელი მასშტაბით. რემონტს და ყოველივე დანარჩენს, რაც საჭიროა ძირითადი კაპიტალის შესანახად, ჩვენ ეუმატებთ თავდაპირველად მასზე ვაწეულ შრომითს ხარჯებს. შენახვასთან, ზემოაღნიშნული აზრით, ამას საერთო არაფერი აქვს.

მუდმივი კაპიტალის მეორე ნაწილი ყოველწლიურად მოიხმარება საქონელთა წარმოებაში და ამიტომ უნდა იკვლავწარმოებოდეს. აქ მხედველობაში გვაქვს როგორც ძირითადი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად შედის ღირებულების შექმნის პროცესში, ისე მუდმივი კაპიტალის მთელი ის ნაწილიც, რომელიც შედგება საბრუნავი კაპიტალისაგან, — ნედლეული და დამხმარე მასალა.

რაც შეეხება მუდმივი კაპიტალის ამ მეორე ნაწილს, საჭიროა მასში განვასხვავოთ:

[695] მნიშვნელოვანი ნაწილი იმისა, რაც წარმოების ერთ სფეროში გ ვ ე ვ ლ ი ნ ე ბ ა როგორც მუდმივი კაპიტალი — როგორც შრომის საშუალებანი და შრომის მასალა, — არის ი მ ა ვ ე დ რ ო ს

პროდუქტი წარმოების რომელიმე პარალელურ სფეროში. მაგალითად, ნართი მქსოველის მუდმივი კაპიტალის ნაწილს შეადგენს; იგი მრთველის პროდუქტია, რომელიც ერთი დღის წინ, შესაძლოა, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა. როცა ჩვენ აქ ერთდროულობაზე ელაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის, რაც წარმოებულია იმავე წლის განმავლობაში. ერთი და იგივე საქონელი, თავის სხვადასხვა ფაზაში, ერთი და იმავე წლის განმავლობაში წარმოების სხვადასხვა სფეროს გაივლის. ერთი სფეროდან იგი გამოდის როგორც პროდუქტი, მეორეში კი შედის როგორც ისეთი საქონელი, რომელიც მუდმივ კაპიტალს შეადგენს. და მუდმივი კაპიტალის სახით ყველა ეს საქონელი წლის განმავლობაში მოიხმარება: ან იმნაირად, რომ საქონელში შედის მხოლოდ მათი ღირებულება — როგორც ეს ძირითად კაპიტალთან არის, — ანდა იმგვარად, რომ საქონელში შედის აგრეთვე მათი სახმარი ღირებულებაც — როგორც ამას ადგილი აქვს საბრუნავ კაპიტალთან. მაშინ როდესაც წარმოების ერთ სფეროში შექმნილი საქონელი წარმოების მეორე სფეროში შედის, რათა აქ მოხმარებულ იქნეს მუდმივი კაპიტალის სახით, — წარმოების იმ სფეროთა ამ თანამიმდევრობასთან ერთად, რომლებშიც ერთი და იგივე საქონელი შედის, ამ საქონლის სხვადასხვა ელემენტები, ანუ მისი სხვადასხვა ფაზები, იწარმოება ერთდროულად, ერთიმეორის გვერდით. ერთი და იმავე წლის განმავლობაში იგი უწყვეტად მოიხმარება ერთ სფეროში როგორც მუდმივი კაპიტალი და უწყვეტად იწარმოება როგორც საქონელი მეორე, პარალელურ სფეროში. იგივე საქონელი, რომელიც ამ გზით მოიხმარება წლის განმავლობაში როგორც მუდმივი კაპიტალი, ასევე უწყვეტად იწარმოება იმავე წლის მანძილზე. მანქანა ცვდება A სფეროში. იმავე დროს პარალელურად იგი იწარმოება B სფეროში. მუდმივი კაპიტალი, წლის განმავლობაში მოხმარებული წარმოების იმ სფეროებში, რომლებიც საარსებო საშუალებებს აწარმოებენ, ერთდროულად იწარმოება წარმოების სხვა სფეროებში, ასე რომ წლის განმავლობაში ან წლის დასასრულს იგი კვლავ ანაზღაურებულია in natura *. ერთიც და მეორეც — საარსებო საშუალებანიც და მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილიც — ახალი, წლის განმავლობაში მოქმედი შრომის პროდუქტებია.

---

* — ნატურით, ნატურალური ფორმით. რედ.

წინათ მე გავარკვიე *, თუ როგორ არის, რომ წარმოების იმ სფეროთა პროდუქტის ღირებულების ნაწილი, რომლებშიც საარსებო საშუალებანი იწარმოება, სახელდობრ ღირებულების ნაწილი, რომელიც წარმოების ამ სფეროთა მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს, შემოსავალს შეადგენს ამ მუდმივი კაპიტალის მწარმოებელთათვის.

მაგრამ არსებობს, შემდეგ, კიდევ მუდმივი კაპიტალის ერთი ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად მოიხმარება და არ შედის შემადგენელ ნაწილად წარმოების სფეროებში, რომლებიც აწარმოებენ საარსებო საშუალებებს ([ინდივიდუალური] მოხმარებისათვის გამოსადეგ საქონელს). ეს ნაწილი, მაშასადამე, არც შეიძლება ნაზღაურდებოდეს ამ სფეროებიდან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მუდმივი კაპიტალის — შრომის იარაღების, ნედლეულის, დამხმარე მასალის — ის ნაწილი, რომელიც მწარმოებლურად მოიხმარება თვით მუდმივი კაპიტალის — მანქანების, ნედლეულის და დამხმარე მასალის — წარმოქმნის, წარმოების პროცესში. ეს ნაწილი, როგორც დავინახეთ **, ნაზღაურდება in natura ან უშუალოდ თვით ამ წარმოების სფეროთა პროდუქტიდან (როგორც, მაგალითად, თესლი, პირუტყვი, ნაწილობრივ ნახშირი), ანდა იმ გზით, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროთა იმ პროდუქტების ნაწილი, რომლებიც მუდმივ კაპიტალს შეადგენენ, გაიცვლება [წარმოების საშუალებათა მწარმოებლებს შორის]. აქ ხდება კაპიტალის გაცვლა კაპიტალზე.

იმის გამო, რომ მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი არსებობს და მოიხმარება, დიდდება არა მარტო პროდუქტების მასა, არამედ წლიური პროდუქტის ღირებულებაც. წლიური პროდუქტის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მოხმარებული მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის ღირებულებას უდრის, უკანვე ყიდულობს in natura ან უკანვე ღებულობს წლიური პროდუქტიდან ამ უკანასკნელის იმ ნაწილს, რომელმაც უნდა აანაზღაუროს in natura მოხმარებული მუდმივი კაპიტალი. ასე, მაგალითად, ნათესის ღირებულების ის ნაწილი, რასაც თესლი შეადგენს, განსაზღვრავს მოსავლის ღირებულების იმ ნაწილს (და ამასთანავე მარცვლის რაოდენობას), რომელიც მუდმივი კაპიტალის სახით უკან უნდა დაუბრუნდეს მიწას, წარმოებას. წლის განმავლობაში ახლადმიმატებული

* იხ. ეს ტომი ნაწ. I, გვ. 120 — 137 და 265 — 277. რედ.
** იხ. ეს ტომი, ნაწ. I, გვ. 137 — 153, 201 — 216 და 277 — 288. რედ.

შრომის გარეშე ამ ნაწილის კვლავწარმოება არ მოხდებოდა; მაგრამ ნამდვილად იგი წარმოებულია შარშანდელი ანდა [საერთოდ] წარსული შრომით, და — თუ შრომის ნაყოფიერება არ იცვლება — ის ღირებულება, რასაც ეს ნაწილი წლიურ პროდუქტს უმატებს, შედეგია არა მიმდინარე, არამედ გასული წლისა. რაც უფრო დიდია, პროპორციულად, მოცემულ ქვეყანაში გამოყენებული მუდმივი კაპიტალი, მით უფრო მეტი იქნება მუდმივი კაპიტალის ის ნაწილიც, რომელიც მუდმივი კაპიტალის წარმოებაში მოიხმარება და რომელიც არა მარტო გამოიხატება პროდუქტთა უფრო მეტი მასით, არამედ ადიდებს კიდეც პროდუქტთა ამ მასის ღირებულებას. ამრიგად, ეს ღირებულება არის არა მარტო ახლანდელი შრომის, მიმდინარე წლის შრომის, შედეგი, არამედ შარშანდელი, წარსული შრომის შედეგიც, თუმცა მოცემული წლის უშუალო შრომის გარეშე იგი ისევე ვერ მოგვეკლინებოდა ხელახლა, როგორც ის პროდუქტიც, რომელშიც იგი შედის. თუ მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი იზრდება, მაშინ იზრდება არა მარტო წლიური პროდუქტის მასა, არამედ ამ პროდუქტის ღირებულებაც, მაშინაც კი, თუ წლიური შრომის რაოდენობა უცვლელი დარჩებოდა. ეს ზრდა კაპიტალის დაგროვების ფორმაა, რომლის გაგებაც მეტად მნიშვნელოვანია. და არც შეიძლება საქმის ამ მხარის გაგებისაგან უფრო შორს იყოს რიკარდოს შემდეგი დებულება:

«ერთი მილიონი კაცის შრომა მრეწველობაში ყოველთვის აწარმოებს ერთსა და იმავე ღირებულებას, მაგრამ იგი ყოველთვის არ აწარმოებს ერთსა და იმავე სიმდიდრეს» (ციტირ. თხზ., გვ. 320).

ეს მილიონი კაცი, — თუ ვიგულისხმებთ, რომ სამუშაო დღე მოცემულია, — არა მარტო აწარმოებს, შრომის ნაყოფიერების მიხედვით, საქონელთა მეტად სხვადასხვა მასას, არამედ ამ მასის ღირებულებაც მეტად სხვადასხვა იქნება იმისდა მიხედვით, წარმოებულია იგი უფრო მეტი თუ უფრო ნაკლები მუდმივი კაპიტალის დახარჯვით, მიემატა მას, მაშასადამე, შარშანდელი, წარსული შრომით შექმნილი უფრო მეტი თუ უფრო ნაკლები ღირებულება.

[2) მუდმივი კაპიტალის ღირებულება და პროდუქტის ღირებულება]

ჩვენ აქ ყველგან, სადაც მუდმივი კაპიტალის კვლავწარმოებაზეა ლაპარაკი, სიმარტივისათვის ჯერ ვგულისხმობთ, რომ შრომის ნა-

ყოფიერება და, მაშასადამე, წარმოების წესიც უცვლელი რჩება. წარმოების მოცემული მასშტაბის დროს მუდმივი კაპიტალის სახით ასანაზღაურებელია პროდუქტის გარკვეული რაოდენობა in natura. უცვლელი ნაყოფიერების დროს უცვლელი რჩება აგრეთვე [696] ამ რაოდენობის ღირებულებაც. თუ შრომის ნაყოფიერებაში ცვლილებები ხდება, რის მეოხებითაც პროდუქტის იგივე რაოდენობა შეიძლება ხელახლა იქნეს კვლავწარმოებული უფრო ძვირად თუ უფრო იაფად, უფრო მეტი თუ უფრო ნაკლები შრომის დახარჯვით, მაშინ ცვლილებები მოხდება აგრეთვე მუდმივი კაპიტალის ღირებულებაში და ეს ცვლილებები გავლენას ახდენენ პროდუქტის ამ ნაწილის ოდენობაზე, რითაც იგი მუდმივ კაპიტალს აღემატება.

დავუშვათ, მაგალითად, რომ დასათესად საჭიროა 20 კვარტერი [ხორბალი] 3 გირვ. სტერლ. კვალობაზე თითო კვარტერი, რაც სულ 60 გირვ. სტერლინგს შეადგენს. თუ ერთი კვარტერის კვლავწარმოებაზე იხარჯება ერთი მესამედით ნაკლები შრომა, მაშინ კვარტერი ეღირება მხოლოდ 2 გირვ. სტერლინგი. პროდუქტს გამოაკლდება უწინდებურად, ნათესის დანახარჯის სახით, 20 კვარტერი, მაგრამ ის ნაწილი, რასაც ეს 20 კვარტერი მთელი პროდუქტის ღირებულებაში შეადგენს, ახლა უდრის მხოლოდ 40 გირვ. სტერლინგს. იმავე მუდმივი კაპიტალის ასანაზღაურებლად მაშინ საჭირო იქნება ერთობლივი პროდუქტის ღირებულების ნაკლები ნაწილი და ამ პროდუქტის ნაკლები ნაწილი ნატურით, თუმცა თესლის სახით მიწას უწინდებურად 20 კვარტერი უნდა დაუბრუნდეს [122].

თუ ყოველწლიურად მოხმარებული მუდმივი კაპიტალი ერთი ერისა იქნებოდა 10 მილიონი გირვ. სტერლინგი, მეორისა კი მხოლოდ 1 მილიონი, და წლის განმავლობაში ახლადმომატებული შრომა ერთი მილიონი კაცისა გამოხატული იქნებოდა 100 მილიონი გირვ. სტერლინგით, მაშინ პროდუქტის ღირებულება პირველი ერისა შეადგენდა 110, მეორისა კი — მხოლოდ 101 მილიონს. ამასთან არა მარტო შესაძლებელია, არამედ უეჭველიც, რომ ცალკეული საქონელი I ერისა უფრო იაფი იქნებოდა, ვიდრე II-ისა, რადგან უკანასკნელი [უშუალო] შრომის იმავე რაოდენობის დახარჯვისას აწარმოებდა საქონელთა გაცილებით იმაზე ნაკლებს, რაც 10-სა და 1-ს შორის სხვაობის შესაბამისი იქნებოდა. მართალია, I ერი შედარებით II-თან პროდუქტის ღირებულების უფრო მნიშვნელოვან ნაწილს, მაშასადამე, ერთობლივი პროდუქტის უფრო მნიშვნელოვან ნაწილსაც, კაპიტალის ანაზღაურებას ახმარს. მაგრამ სამაგიეროდ ერთობლივი პროდუქტიც I ერს გაცილებით მეტი აქვს.

ფაბრიკული საქონლის შესახებ ცნობილია, რომ 1 მილიონი კაცი ინგლისში აწარმოებს პროდუქტის არა მარტო გაცილებით მეტ რაოდენობას, არამედ გაცილებით მეტი ღირებულების პროდუქტსაც, ვიდრე, მაგალითად, რუსეთში, თუმცა ცალკეული საქონელი ინგლისში გაცილებით უფრო იაფია. მაგრამ, რაც შეეხება მიწათმოქმედებას, აქ, როგორც ჩანს, არ არსებობს ასეთივე თანაფარდობა კაპიტალისტურად განვითარებულ და შედარებით ნაკლებად განვითარებულ ერებს შორის. ჩამორჩენილი ერის პროდუქტი უფრო იაფია, ვიდრე კაპიტალისტურად განვითარებული ერის პროდუქტი. დაპარაკია ფულად ფასზე. და მაინც ჩანს, რომ განვითარებული ერის პროდუქტი (წლის განმავლობაში დახარჯული) შრომის გაცილებით ნაკლები რაოდენობის პროდუქტია, ვიდრე ჩამორჩენილი ერის პროდუქტი. ინგლისში, მაგალითად, მიწათმოქმედებას მისდევს მესამედზე ნაკლები, რუსეთში კი მოსახლეობის ოთხი მეხუთედი — იქ $^{5}/_{15}$, აქ — $^{12}/_{15}$. ეს ციფრები არ უნდა გავიგოთ à la lettre *. ახე, მაგალითად, ინგლისში უამრავი ადამიანი მეურნეობის არასამიწათმოქმედო დარგებში — მანქანათმშენებლობაში, ვაჭრობაში, ტრანსპორტზე და ა. შ. — დასაქმებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელემენტების დამზადებითა და მიწოდებით, რასაც რუსეთში ვერ ეხედავთ. აქრიგად, მიწათმოქმედებაში დასაქმებულ ადამიანთა შეფარდებითი რაოდენობა არ შეიძლება უბრალოდ განვსაზღვროთ მიწათმოქმედებაში უშუალოდ დასაქმებულ ინდივიდთა რიცხვით. კაპიტალისტური წარმოების ქვეყნებში ამ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არაპირდაპირ. მონაწილეობას ღებულობს ბევრი ისეთი ინდივიდი, რომლებიც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში უშუალოდ ექვემდებარებიან ამ წარმოებას. ამიტომ სხვაობა უფრო დიდი გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია. მაგრამ ქვეყნის ცივილიზაციის საერთო დონისათვის ეს სხვაობა ბეტად მნიშვნელოვანია, მაშინაც კი, როცა იგი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მიწათმოქმედებასთან კავშირის მქონე მწარმოებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ შონაწილეობს მასში უშუალოდ, სოფლური ცხოვრების იდიოტიზმს ჩამოშორებულია და საჭიროწველო მოსახლეობას ეკუთვნის.

ამრიგად, უყურადღებოდ დავტოვოთ უწინარეს ყოვლისა ეს. შემდეგ, უყურადღებოდ დავტოვოთ ისიც, რომ მიწათმოქმედი ხალ-

---

* — პირდაპირი მნიშვნელობით. რედ.

ხების უმრავლესობა იძულებულია თავისი პროდუქტი მის ღირებულებაზე უფრო დაბლა გაყიდოს, მაშინ როდესაც განვითარებული კაპიტალისტური წარმოების მქონე ქვეყნებში მიწათმოქმედების პროდუქტის ფასი მის ღირებულებამდე იზრდება. ყოველ შემთხვევაში, ინგლისელი მიწათმოქმედის პროდუქტის ღირებულებაში მუდმივი კაპიტალის ღირებულების ისეთი ნაწილი შედის, რომელიც რუსი მიწათმოქმედის პროდუქტის ღირებულებაში არ შედის.

დავუშვათ, რომ ღირებულების ეს ნაწილი უდრის 10 კაცის დღიურ შრომას. დავუშვათ შემდეგ, რომ ეს მუდმივი კაპიტალი მოძრაობაში მოჰყავს ერთ ინგლისელ მუშას. მე ვლაპარაკობ მიწათმოქმედების პროდუქტის მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილზე, რომლის ანაზღაურებაც — როგორც, მაგალითად, სამიწათმოქმედო იარაღების ანაზღაურება — არ ხდება [მიწათმოქმედთა] ახალი შრომის დახარჯვით. თუ საჭიროა 5 რუსი მუშა იმავე პროდუქტის საწარმოებლად, რასაც 1 ინგლისელი მუშა აწარმოებს მუდმივი კაპიტალის [რომელიც 10 სამუშაო დღეს უდრის] შემწეობით, და თუ რუსის მიერ გამოყენებული მუდმივი კაპიტალი 1 სამუშაო დღეს უდრის, მაშინ ინგლისელის პროდუქტი იქნება 10+1=11 სამუშაო დღის ტოლი, რუსის პროდუქტი კი — 1+5=6. თუ რუსეთის მიწა ამდენად ნაყოფიერია ინგლისისაზე, რომ იგი მუდმივი კაპიტალის გამოუყენებლად ანდა ათჯერ უფრო ნაკლები კაპიტალით ამდენსავე ხორბალს აწარმოებს, რამდენსაც ინგლისელი ათჯერ უფრო მეტი კაპიტალით აწარმოებს, მაშინ ინგლისური და რუსული ხორბლის თანაბარ რაოდენობათა ღირებულებანი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს როგორც 11 : 6. თუ რუსული ერთი კვარტერი ხორბალი 2 გირვ. სტერლინგად გაიყიდებოდა, მაშინ ინგლისური ხორბალი — კვარტერი — გაიყიდებოდა $3^2/_3$ გირვ. სტერლინგად, რადგან $2 : 3^2/_3 = 6 : 11$. ამრიგად, ინგლისური ხორბლის ფასი და ღირებულება გაცილებით უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე რუსული ხორბლის ფასი და ღირებულება, მაგრამ მიუხედავად ამისა ინგლისური ხორბალი [უშუალო] შრომის უფრო ნაკლები რაოდენობის დახარჯვით იქნებოდა წარმოებული, რადგან იმისათვის, რათა წარსული შრომა კვლავ მოგვეგლინოს როგორც პროდუქტის მასაში, ისე მის ღირებულებაში, ახალი შრომის არავითარი დამატებითი დახარჯვა არ არის საჭირო. ინგლისური ხორბლის უფრო მაღალ ფასსა და ღირებულებას მუდამ ექნებოდა ადგილი იმ შემთხვევაში, თუ ინგლისელი, რომელიც უფრო ნაკლებ უშუალო შრომას იყე-

ნებს, ვიდრე რუსი, იმავე დროს უფრო მეტ მუდმივ კაპიტალს გამოიყენებდა და თუ ეს მუდმივი კაპიტალი, — რომელიც მას [ახალი შრომის დახარჯვის აზრით] **არაფერი** უღირს, თუმცა იგი თავის დროზე [გარკვეული ხარჯები] დაჯდა და უნდა ანაზღაურებულ იქნეს, — გაადიდებდა შრომის ნაყოფიერებას არა იმდენად, რომ ამას რუსული ნიადაგის ნაყოფიერების კომპენსირება მოეხდინა. მიწათმოქმედების პროდუქტის ფასები შეიძლება, მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების ქვეყნებში უფრო მაღალ დონეზე იმყოფებოდეს, ვიდრე [697] ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა სინამდვილეში ეს პროდუქტი შრომის უფრო ნაკლები რაოდენობა ღირს. იგი შეიცავს მეტ ერთობლივ შრომას—უშუალო შრომას პლუს წარსული შრომა, — მაგრამ წარსული შრომა, ამ პროდუქტში რომ ხელახლა გვევლინება, არ მოითხოვს არავითარ [ახალ] ხარჯებს. პროდუქტი უფრო იაფი იქნებოდა, ამას რომ ხელს არ უშლიდეს ბუნებრივი ნაყოფიერების სხვაობა. ამით შეიძლება აგრეთვე ავხსნათ ხელფასის უფრო მაღალი ფულადი განაკვეთებიც [განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში].

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით მხოლოდ არსებული კაპიტალის ყოველწარმოებაზე. მუშა ანაზღაურებს თავის ხელფასს ზედმეტ პროდუქტთან ან ზედმეტ ღირებულებასთან ერთად, რაც კაპიტალისტის მოგების (რენტის ჩათვლით) შეადგენს. იგი ანაზღაურებს წლიური პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც მას ხელახლა ემსახურება ხელფასის სახით. კაპიტალისტმა შეჭამა თავისი მოგება წლის განმავლობაში, მაგრამ მუშამ პროდუქტის ისეთი ნაწილი აწარმოვა, რომელიც ხელახლა შეიძლება შეიჭამოს მოგების სახით. მუდმივი კაპიტალის ნაწილს, რაც მოხმარებულ იქნა საარსებო საშუალებათა წარმოებაში, ანაზღაურებს ის მუდმივი კაპიტალი, რომელიც წლის განმავლობაში ახალმა შრომამ აწარმოვა. მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის მწარმოებლები თავიანთი შემოსავლის (მოგებისა და ხელფასის) რეალიზაციას ახდენენ საარსებო საშუალებათა იმ ნაწილში, რომლის ღირებულება უდრის ამ საარსებო საშუალებათა წარმოებაში მოხმარებული მუდმივი კაპიტალის ღირებულებას. ბოლოს, მუდმივი კაპიტალის წარმოებაში, მანქანების, ნედლეულისა და დამხმარე მასალათა წარმოებაში მოხმარებული მუდმივი კაპიტალი ნაზღაურდება — **in natura** ან კაპიტალზე კაპიტალის გაცვლით— მუდმივი კაპიტალის მაწარმოებელ სხვადასხვა წარმოების სფეროთა ერთობლივი პროდუქტიდან.

[3) კაპიტალის დაგროვების აუცილებელი პირობები. ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია და მისი როლი დაგროვების პროცესში]

როგორიღაა საქმის ვითარება კაპიტალის გადიდების, მისი დაგროვების მიმართ, განსხვავებით კვლავწარმოებისაგან, შემოსავლის კაპიტალად გადაქცევის მიმართ?

საკითხის გამარტივებისათვის ვიგულისხმოთ, რომ შრომის ნაყოფიერება რჩება იგივე, რომ არაკითარი ცვლილება წარმოების წესში არ ხდება, რომ, მაშასადამე, საქონელთა იმავე რაოდენობის საწარმოებლად შრომის ისეთივე რაოდენობაა საჭირო, რომ, მაშასადაქე, კაპიტალის გადიდება შრომის იმდენივე რაოდენობა ღირს, რამდენიც იმავე ოდენობის კაპიტალის შარშანდელი წარმოებაც.

ზედმეტი ღირებულების ნაწილი უნდა გადაიქცეს კაპიტალად, ნაცვლად იმისა, რომ მოხმარებულ იქნეს როგორც შემოსავალი. იგი უნდა გადაიქცეს ნაწილობრივ მუდმივ, ნაწილობრივ ცვალებად კაპიტალად. ის პროპორცია კი, რომლითაც იგი კაპიტალის ამ ორ სხვადასხვა ნაწილად იყოფა, დამოკიდებულია კაპიტალის მოცემულ ორგანულ შედგენილობაზე. — ვინაიდან წარმოების წესი და ორივე ნაწილის ღირებულებრივი თანაფარდობა უცვლელი რჩება.

რაც უფრო მეტად არის განკითარებული წარმოება, მით უფრო მეტი იქნება ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალად გადაიქცევა, შედარებით მის იმ ნაწილთან, რომელიც ცვალებად კაპიტალად გადაიქცევა.

ამრიგად, უწინარეს ყოვლისა ნაწილი ზედმეტი ღირებულებისა (და მისი შესაბამისი ის ნაწილი ზედმეტი პროდუქტისა, რომელიც საარსებო საშუალებებისაგან შედგება) უნდა გადაიქცეს ცვალებად კაპიტალად, ე. ი. მისი საშუალებით უნდა იყიდონ ახალი შრომა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იზრდება მუშების რიცხვი ანდა თუ გრძელდება სამუშაო დრო, რომლის განმავლობაშიც ისინი მუშაობენ. უკანასკნელი მოხდება, როცა, მაგალითად, მუშა-მოსახლეობის ნაწილი დასაქმებულია მხოლოდ სანახევროდ ანდა ორი მესამედით. ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდებისათვის, აგრეთვე სამუშაო დღის აბსოლუტური გაგრძელებით, რაც მაშინ ანაზღაურებულ უნდა იქნეს. მაგრამ ეს არ შეიძლება დაგროვების მუდმივ საშუალებად ჩაითვალოს. მუშა-მოსახლეობა შეიძლება გადიდდეს, თუ წინათ არამწარმოებელი მუშაკები მწარმოებელ მუ-

შაკებად გადაიქცევიან ანდა თუ წარმოების პროცესში ებმებიან მოსახლეობის ის ნაწილები, რომლებიც უწინ არ მუშაობდნენ, როგორც, მაგალითად, ქალები და ბავშვები, პაუპერები. უკანასკნელ პუნქტს ჩვენ აქ უყურადღებოდ ვტოვებთ. ბოლოს, [დაქირავებული მუშების რიცხვის გადიდებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს] იმის შედეგად, რომ მუშა-მოსახლეობა აბსოლუტურად იზრდება მთელი მოსახლეობის ზრდასთან ერთად. დაგროვება შეიძლება იყოს მუდმივი, უწყვეტი პროცესი მხოლოდ მოსახლეობის ამ აბსოლუტური ზრდის პირობებში (თუმცა შეფარდებით, გამოყენებულ კაპიტალთან შედარებით, მოსახლეობა მცირდება კიდეც). მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა გვევლინება დაგროვების საფუძვლად, დაგროვებისა როგორც მუდმივი პროცესისა. მაგრამ ეს გულისხმობს ისეთ საშუალო ხელფასს, რომელიც შესაძლებელს ხდის მუშა-მოსახლეობის განუწყვეტელ ზრდას, და არა მხოლოდ მის კვლავწარმოებას. საგანგებო შემთხვევებისათვის კაპიტალისტური წარმოება თავის თავს უკვე იმით უზრუნველყოფს, რომ იგი მუშა-მოსახლეობის ნაწილს მეტისმეტად ამუშავებს, მეორე ნაწილი კი უჯირავს in petto *, სარეზერვო არმიის სახით, მათხოვართა ან ნახევრად მათხოვართა მდგომარეობაში.

მაგრამ როგორია მდგომარეობა ზედმეტი ღირებულების მეორე ნაწილის მიმართ, რომელიც მუდმივ კაპიტალად უნდა გადაიქცეს? სიმარტივისათვის ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ საგარეო ვაჭრობას და განვიხილავთ იზოლირებულ ერს. ავიღოთ მაგალითი. ვთქვათ, ზედმეტი ღირებულება, რომელიც ტილოს ფაბრიკანტმა აწარმოვა, უდრის 10 000 გირვ. სტერლინგს, რომლის ნახევარიც, ე. ი. 5 000 გირვ. სტერლინგი, მას სურს კაპიტალად გადაქცეიოს. ამ თანხიდან, მექანიკურ საქსოვ წარმოებაში კაპიტალის ორგანული შედგენილობის შესაბამისად, ერთი მეხუთედი უნდა დაიხარჯოს ხელფასზე. ჩვენ აქ უყურადღებოდ ვტოვებთ კაპიტალის ბრუნვას, რომლის დროსაც ფაბრიკანტისათვის, შეიძლება, საკმარისია ჰქონდეს თანხა, ნავარაუდევი ხუთი კვირისათვის, რის შემდეგ იგი თავის პროდუქტს ყიდის და ამ გზით უკანვე იღებს მიმოქცევის სფეროდან კაპიტალს ხელფასისათვის. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მას რეზერვში უნდა ჰქონდეს ბანკირთან 1 000 გირვ. სტერლინგი ხელფასისათვის (20 მუშისათვის) და თანდათანობით უნდა ხარჯავდეს მას, ხელფა-

* — სიტყვასიტყვით «გულ-მკერდში»; გადატანითი მნიშვნელობით «ფარულად». «სამალავში», «ბარაგში». რ ე დ.

სის სახით, წლის განმავლობაში. შემდეგ 4 000 გირვ. სტერლინგი უნდა გადაიქცეს მუდმივ კაპიტალად. ჯერ ერთი, ფაბრიკანტმა უნდა იყიდოს იმდენი ნართი, რამდენის ტილოდ გადამუშავებაც 20 მუშას შეუძლია წლის განმავლობაში. (ჩვენ ყოველთვის მხედველობის გარეშე ვტოვებთ კაპიტალის საბრუნავი ნაწილის მიმოქცევას.) შემდეგ, ფაბრიკანტმა უნდა გაადიდოს საქსოვი დაზგების რაოდენობა თავის ფაბრიკაში, და აგრეთვე, შეიძლება, დაუმატოს ახალი ორთქლის მანქანა ანდა გაადიდოს ძველი მანქანის სიმძლავრე და ა. შ. მაგრამ ყოველივე ამის საყიდლად მან მზა სახით უნდა იპოვოს ბაზარზე ნართი, საქსოვი დაზგები და ა. შ. მან თავისი 4 000 გირვ. სტერლინგი უნდა გადააქციოს ნართად, საქსოვ დაზგებად, ნახშირად და ა. შ. [698], ე. ი. იყიდოს ყველა ეს ნივთი. მაგრამ მათი ყიდვის შესაძლებლობა გულისხმობს მათ არსებობას. რადგან ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ ძველი კაპიტალის კვლავწარმოება წინანდელ პირობებში ხდებოდა, მრთველს უნდა დაეხარჯა მთელი თავისი კაპიტალი, რათა მოეწოდებინა ნართის ის რაოდენობა, რასაც მქსოველები წინა წელს საჭიროებდნენ. როგორღა შეძლებს იგი დააკმაყოფილოს დამატებითი მოთხოვნა, რისთვისაც საჭიროა ნართის დამატებითი მიწოდება?

სავსებით ასეთივე მდგომარეობა აქვს მანქანათმშენებელი ქარხნის მფლობელს, რომელიც ამზადებს საქსოვ დაზგებს და ა. შ. მან აწარმოვა ახალი საქსოვი დაზგების მხოლოდ იმდენი რაოდენობა, რამდენიც საკმარისია საფეიქრო მრეწველობაში საშუალო გაცვეთის ასანაზღაურებლად. მაგრამ საქსოვი ფაბრიკის მფლობელი, დაღროვებას მოწყურებული, უკვეთს სათანადო მრეწველებსა და ფაბრიკანტებს 3000 გირვ. სტერლინგის ნართს და 1000 გირვ. სტერლინგის საქსოვ დაზგებს, ნახშირს (რადგან ნახშირის მრეწველის მდგომარეობაც ასეთივეა) და ა. შ. ანდა იგი აძლევს სართავი ფაბრიკის მფლობელს 3000 გირვ. სტერლინგს, მანქანათმშენებელს და ნახშირის მრეწველს და ა. შ. — 1000 გირვ. სტერლინგს, რათა მათ გადააქცეონ მისთვის ეს ფული ნართად, დაზგებად და ნახშირად. მაშასადამე, მას მოუხდებოდა ამ პროცესის დამთავრებამდე მოცდა, ვიდრე იგი თავის დაგროვებას, ახალი ტილოს თავის წარმოებას დაიწყებდა. ეს არის პირველი შეწყვეტა.

მაგრამ სართავი ფაბრიკის მფლობელი მის მიერ მიღებული 3000 გირვ. სტერლინგით, თავის მხრივ, ისეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორშიც საქსოვი ფაბრიკის მფლობელი 4000 გირვ. სტერლინგით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი მის მიერ მიღე-

ბული 3000 გირვ. სტერლინგიდან მაშინვე გამოაკლებს თავის მოგებას. მას შეუძლია მონახოს მრთველთა დამატებითი რაოდენობა, მაგრამ მას სჭირდება სელი, თითისტრები, ნახშირი და ა. შ. ასევე ნახშირის მრეწველს სჭირდება, გარდა ახალი მუშებისა, ახალი მანქანები ან იარაღები. მანქანათმშენებელი ქარხნის მფლობელს კი, რომელმაც უნდა დაამზადოს ახალი საქსოვი დაზგები, თითისტრები და ა. შ., სჭირდება, გარდა დამატებითი მუშებისა, კიდევ რკინა და ა. შ. მაგრამ ყველაზე ცუდად საქმე აქვს სელის მწარმოებელს, რომელსაც სელის დამატებითი რაოდენობის მოცემა შეუძლია მხოლოდ შემდგომ წელს, და ა. შ.

მაშასადამე, იმისათვის, რათა საქსოვი ფაბრიკის მფლობელს შეესაძლებლობა ჰქონდეს გაუჭიანურებლად და შეუწყვეტლად ყოველწლიურად თავისი მოგების ნაწილი მუდმივ კაპიტალად გადააქციოს — და რათა დაგროვება უწყვეტი პროცესი იყოს, — საჭიროა, რომ იგი მზა სახით პოულობდეს ბაზარზე ნართის, საქსოვი დაზგებისა და ა. შ. დამატებითს რაოდენობას. თუ იგი, და ასევე სართავი ფაბრიკის მფლობელი, ნახშირის მრეწველი და ა. შ. მზა სახით ნახავენ ბაზარზე სელს, თითისტრებსა და მანქანებს, მაშინ მათ დასჭირდებათ მხოლოდ მეტი მუშების დაქირავება.

მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც იანგარიშება როგორც გაცვეთილი და პროდუქტის ღირებულებაში გაცვეთის სახით შედის, სინამდვილეში არ გამოდის მოხმარებიდან. ავიღოთ, მაგალითად, მანქანა, რომელიც 12 წლის განმავლობაში მოქმედებს და 12000 გირვ. სტერლინგი ღირს; ასეთი მანქანის საშუალო გაცვეთა, რომელიც საანგარიშებელია ყოველ წელს, უდრის 1000 გირვ. სტერლინგს. მაშინ თორმეტი წლის ბოლოსათვის, რამდენადაც ყოველწლიურად პროდუქტში შედის 1000 გირვ. სტერლინგი, კვლავწარმოებული იქნება 12000 გირვ. სტერლ. ღირებულება, და შესაძლებელი იქნება ამ ფასში იმავე სახის ახალი მანქანის ყიდვა. რემონტს და მიმდინარე შეკეთებებს, რაც 12 წლის მანძილზე აუცილებელია, ჩვენ მივათვლით მანქანის წარმოების ხარჯებს და მათ არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ჩვენს საკითხთან. მაგრამ ფაქტიურად სინამდვილე განსხვავდება ასეთი საშუალო გამოანგარიშებისაგან. შეიძლება, რომ მანქანამ მეორე წელს უკეთ იმუშაოს, ვიდრე პირველ წელს მუშაობდა. და მაინც 12 წლის გასვლის შემდეგ ამ მანქანით სარგებლობა უკვე აღარ შეიძლება. აქ იგივე ხდება, რაც ემართება შინაურ ცხოველს, რომლის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 10 წელს შეადგენს, მაგრამ რომელიც ამის გამო

ყოველწლიურად როდი კვდება ერთი მეათედით, თუმცა ათი წლის გასვლის შემდეგ იგი იმავე სახის ახალმა ეგზემპლარმა უნდა შეცვალოს. რა თქმა უნდა, ერთი და იმავე წლის განმავლობაში მანქანათა და ა. შ. გარკვეული რიცხვი ყოველთვის შედის ისეთ სტადიაში, როცა მათი შენაცვლება ახალი მანქანებით ნამდვილად უნდა მოხდეს. მაშასადამე, ყოველწლიურად საჭირო ხდება ძველი მანქანების და ა. შ. გარკვეული რაოდენობის ნამდვილად, in natura, შეცვლა ახლებით. და ამას შეესაბამება მანქანების და სხვ. საშუალო ყოველწლიური წარმოება. მათი ამნაზღაურებელი ღირებულება აიღება საქონელში მიღებული ამონაგებიდან მათი (მანქანების) კვლავწარმოების პერიოდის შესაბამისად. მაგრამ ძალაში რჩება ის ფაქტი, რომ თუმცა წლიური პროდუქტის ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი (იმ ღირებულებისა, რასაც ყოველწლიურად იხდიან ამ პროდუქტში) აუცილებელია ძველი მანქანების შესაცვლელად, მაგალითად, 12 წლის შემდეგ, — მაგრამ სინამდვილეში იგი სულაც არაა საჭირო იმისათვის, რომ ყოველწლიურად ხდებოდეს მისი მეთორმეტე ნაწილის შენაცვლება in natura, რაც ფაქტიურად ვერც კი შესრულდებოდა. ეს ფონდი შეიძლება ნაწილობრივ გამოყენებულ იქნეს ხელფასის გასასტუმრებლად ანდა ნედლეულის საყიდლად — მანამდე, ვიდრე გაიყიდება და ფასგადახდილი იქნება საქონელი, რომელიც მუდამ გადაისროლება მიმოქცევის სფეროში, მაგრამ იქიდან მაშინვე როდი ბრუნდება უკან. მაგრამ შეუძლებელია, რომ ამ ფონდის გამოყენება ყოველ მოცემულ შემთხვევაში მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდეს, რადგან, საქონელმა, რომელიც თავის ბრუნვას წლის განმავლობაში ასრულებს, უნდა მთლიანად უყოს რეალიზაცია თავის ღირებულებას, უნდა აანაზღაუროს, გაანაღდოს მასში მოთავსებული ხელფასი, ნედლეული, მანქანათა გაცვეთა და ზედმეტი ღირებულება.

ამრიგად, იქ, სადაც ბევრი მუდმივი კაპიტალი გამოიყენება, მაშასადამე, ბევრი ძირითადი კაპიტალიც, პროდუქტის ღირებულების ეს ნაწილი, რომელიც ძირითადი კაპიტალის გაცვეთას ანაზღაურებს, წარმოადგენს დაგროვების ფონდს, რომელიც შეუძლია გამოიყენოს მან, ვინც მას ახალი ძირითადი კაპიტალის (ანდა საბრუნავი კაპიტალის) საქმეში დააბანდებს, ამასთან დაგროვების ამ ნაწილისათვის არავითარი გამოქვითვა ზედმეტი ღირებულებიდან არ ხდება. (იხილე მაკ-კულოხი.)[123] დაგროვების ასეთი ფონდი არ არსებობს წარმოების ისეთ საფეხურებზე და იგი არ გააჩნიათ იმ ერებს, სადაც არ არის დიდი ძირითადი კაპიტალი. ეს მნიშვნელო-

ვანი პუნქტია. ჩვენ აქ გვაქვს ფონდი გაუმჯობესებათა, გაფართოებათა და ა. შ. განსახორციელებლად საჭირო მუდმივი ხარჯებისათვის.

[4) კაპიტალი წარმოების დარგებს შორის დაგროვების პროცესში. ზედმეტი ღირებულების ნაწილის უშუალო გადაქცევა მუდმივ კაპიტალად როგორც დაგროვების თავისებურება მიწათმოქმედებასა და მანქანათმშენებლობაში]

მაგრამ ის საკითხი, რომლის გარკვევაც ჩვენ აქ გვინდა, შემდეგია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მანქანათმშენებლობაში დაბანდებული მთელი კაპიტალი საკმარისი იქნებოდა მხოლოდ მანქანათა ყოველწლიური გაცვეთის ასანაზღაურებლად, ამ შემთხვევაშიც კი იგი აწარმოებდა გაცილებით მეტ მანქანებს, ვიდრე ყოველწლიურად იქნებოდა საჭირო, რადგან გაცვეთა ნაწილობრივ მხოლოდ იდეალურად არსებობს, რეალურად კი უნდა ანაზღაურდეს in natura გარკვეული წლების გავლის შემდეგ. მაშასადამე, აღნიშნული წესით გამოყენებული კაპიტალი ყოველწლიურად უამრავ მანქანას აწარმოებს; ეს მანქანები გამოიყენება ახალ კაპიტალდაბანდებათათვის და ისინი წინასწარ ითვალისწინებენ ამ ახალ კაპიტალდაბანდებებს. მაგალითად, მანქანათსაშენი ქარხნის მფლობელი თავის წარმოებას იწყებს მოცემულ წელს. ვთქვათ, ამ წლის განმავლობაში იგი იძლევა 12000 გირვ. სტერლინგის მანქანებს. ამ შემთხვევაში მომდევნო თერთმეტი წლიდან ყოველი წლის განმავლობაში მას დასჭირდებოდა მის მიერ წარმოებული მანქანების მარტივი კვლავწარმოებისას მხოლოდ 1000 გირვ. სტერლინგის მანქანის წარმოება, და ეს წლიური პროდუქციაც კი მოხმარებული იქნებოდა არა ყოველწლიურად. მისი პროდუქციის კიდევ უფრო ნაკლები ნაწილი მოიხმარებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი მთელ თავის კაპიტალს გამოიყენებდა. იმისათვის, რომ მისი კაპიტალი მიმოქცევაში რჩებოდეს და ყოველწლიურად მხოლოდ თავის მარტივ კვლავწარმოებას ახორციელებდეს [699], აუცილებლად საჭიროა წარმოების ახალი უწყვეტი გაფართოება იმ დარგებში, რომლებიც ამ მანქანებს საჭიროებენ. (მით უმეტეს, თუ იგი თვით აგროვებს).

მაშასადამე, ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ც კ ი, თ უ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა მ ს ფ ე რ ო შ ი დ ა ბ ა ნ დ ე ბ ე ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი მ ხ ო ლ ო დ ი კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ა, აუცილებელია მუდმივი დაგროვება წარმოების დანარჩენ სფეროებში. ხოლო, მეორე მხრივ,

მანქანათმშენებლობაში უკვე მარტო მარტივი კვლავწარმოების მეთოხებით მუდმივი დაგროვება წარმოების დანარჩენ სფეროებში ასევე მუდმივად პოულობს ბაზარზე მზა სახით ერთ-ერთ თავის ელემენტს. აქ. წარმოების ერთ-ერთ დარგში, არსებობს საქონელთა მუდმივი მარაგი დაგროვებისათვის, სხვა სფეროებში ახალი, დამატებითი მწარმოებლური მოხმარებისათვის, მაშინაც კი, თუ თვით ამ სფეროში ადგილი აქვს არსებული კაპიტალის მხოლოდ მარტივ კვლავწარმოებას.

იმ 5000 გირვ. სტერლინგი მოგებისა თუ ზედმეტი ღირებულების მიმართ, რომელსაც კაპიტალისტი, მაგალითად საქსოვი ფაბრიკის მფლობელი, კაპიტალად გადააქცევს, შესაძლებელია ორი შემთხვევა, თუ ვიგულისხმებთ ყოველთვის, რომ იგი ბაზარზე პოულობს შრომას, რომელიც მან ამ 5000 გირვანქა სტერლინგიდან აღებული 1000 გირვ. სტერლინგით უნდა იყიდოს, რათა წარმოების თავისი სფეროს პირობების შესაბამისად ეს 5000 გირვ. სტერლ. კაპიტალად გადააქციოს. ეს ნაწილი [კაპიტალიზებული ზედმეტი ღირებულებისა] გადაიქცევა ცვალებად კაპიტალად და ხელფასზე იხარჯება. მაგრამ ამ შრომის გამოსაყენებლად ფაბრიკანტს სჭირდება ნართი, დამატებითი მანქანები და დამატებითი დამხმარე მასალა. { დამატებითი მანქანები აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო დღის გაგრძელება არ ხდება. სამუშაო დღის გაგრძელებისას კი მანქანები მხოლოდ უფრო სწრაფად ცვდება, მაგრამ კვლავწარმოების დრო მოკლდება, მაგრამ ამასთანავე ერთად მეტი ზედმეტი ღირებულება იწარმოება; და თუმცა მანქანათა ღირებულება უნდა განაწილდეს წარმოებულ საქონელთა შორის უფრო მოკლე დროის მონაკვეთში, მაგრამ სამაგიეროდ გაცილებით უფრო მეტი საქონელი იწარმოება; ასე რომ, მიუხედავად ამ უფრო სწრაფი გაცვეთისა, ცალკეული საქონლის ღირებულებაში თუ ფასში ღირებულების უფრო ნაკლები ნაწილი შედის. ამ შემთხვევაში უშუალოდ ახალი კაპიტალის დახარჯვა თვით მანქანებზე საჭირო არ არის. საჭირო ხდება მხოლოდ მანქანათა ღირებულების უფრო სწრაფად ანაზღაურება. მაგრამ დამხმარე მასალა მოითხოვს ამ შემთხვევაში დამატებითი კაპიტალის ავანსად გადებას. } საქსოვი ფაბრიკის პატრონი ან მზა სახით პოულობს თავისი წარმოების ამ პირობებს, — მაშინ ამ საქონელთა ყიდვა სხვა საქონელთა ყიდვისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ იგი საქონელს ყიდულობს მწარმოებლური მოხმარებისათვის და არა ინდივიდუალური მოხმარებისათვის, ანდა იგი ბაზარზე ვერ

პოულობს მათ მზა სახით, — მაშინ მას მათი შეკვეთა უხდება (როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, ახალი კონსტრუქციის მანქანების მიმართ) საგსებით იმგვარადვე, როგორც მან უნდა შეუკვეთოს პირადი მოხმარების საგნები, რომელთაც იგი მზა სახით ბაზარზე ვერ პოულობს. თუ აუცილებელი იქნებოდა ნედლეულის (სელის) წარმოება მხოლოდ შეკვეთით { დაახლოებით როგორც ინდიგოს, ჯუტს და ა. შ. ინდოელი რაიატები * აწარმოებენ ინგლისელი ვაჭრების შეკვეთით, რომლებიც მათ ავანსებს აძლევენ, } მაშინ საქსოვი ფაბრიკის მფლობელს დაგროვება მის საკუთარ საწარმოში მიმდინარე წელს შეუძლებელი იქნებოდა. მეორე მხრივ, თუ ვიგულისხმებთ, რომ სართავი ფაბრიკის მფლობელი თავის 5000 გირვ. სტერლინგს კაპიტალად აქცევს, საქსოვი ფაბრიკის მფლობელი კი არ აგროვებს, მაშინ შეუძლებელი იქნება ნართის გაყიდვა, — თუმცა ბაზარზე მისი წარმოების ყველა პირობა არსებობდა, — და ეს 5000 გირვ. სტერლინგი, მართალია, გადაიქცა ნართად, მაგრამ არა კაპიტალად.

(ს რ ე დ ი ტ ი, რომელზეც აქ აუცილებელი არაა დაწვრილებით ვილაპარაკოთ, შეესაძლებელს ხდის იმას, რომ დაგროვილი კაპიტალი გამოიყენება არა სწორედ იმ სფეროში, სადაც იგი იყო წარმოებული, არამედ იქ, სადაც მას თავისი ღირებულების გადიდების ყველაზე მეტი შანსები აქვს. მაგრამ ყოველი კაპიტალისტი ამჯობინებს თავისი დაგროვილი კაპიტალი შეძლებისამებრ თავის საკუთარ სფეროში დააბანდოს. თუ იგი თავის კაპიტალს სხვა დარგებში აბანდებს, ფულის მქონე კაპიტალისტი ხდება და მოგების მაგივრად მხოლოდ სარგებელს ღებულობს; ანდა მას უნდა დაეწყო სპეკულაცია. მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ აქ საშუალო დაგროვებაზე და მხოლოდ მაგალითის სახით ვგულისხმობთ, რომ დაგროვილი კაპიტალი ბანდდება ამა თუ იმ განსაკუთრებულ დარგში.)

მეორე მხრივ, თუ მესელე თავის წარმოებას გააფართოებდა, ე. ი. თუ იგი დააგროვებდა, ხოლო სართავი და საქსოვი ფაბრიკების მფლობელები, მანქანათსაშენი ქარხნის მფლობელი და ა. შ. არ დაგროვებდნენ, — მაშინ მის საწყობში აღმოჩნდებოდა ზედმეტი სელი, და შემდგომ წელს მესელე, ალბათ, შეამცირებდა თავის წარმოებას.

{ აქ ჩვენ ჯერ სრულიად უყურადღებოდ ვტოვებთ ინდივიდუალურ მოხმარებას და განვიხილავთ მხოლოდ მწარმოებელთა კავ-

* — გლეხები. რ ე დ.

შორს ერთმანეთს შორის. თუ ეს კავშირი არსებობს, მაშინ მწარმოებლები, ჯერ ერთი, ერთიმეორის მიმართ ქმნიან ბაზარს ისეთი კაპიტალებისათვის, რომლებიც მათ ერთმანეთს უნდა აუნაზღაურონ; საარსებო საშუალებათა ნაწილისათვის ბაზარს ქმნიან ახლად დასაქმებული ანდა უკეთ დასაქმებული მუშები; და რადგან ზედმეტი ღირებულება შემდგომ წელს იზრდება, კაპიტალისტებს შეუძლიათ თავიანთი შემოსავლის მზარდი ნაწილი მოიხმარონ და, მაშასადამე, რამდენადმე ასევე ბაზარს ქმნიან ერთიმეორისათვის. და მაინც მოცემული წლის პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია შეიძლება ვერ მოხდეს. }

საკითხი ახლა უნდა ჩამოვაყალიბოთ ასე: თუ ვიგულისხმებთ საყოველთაო დაგროვებას, ე. ი. ვიგულისხმებთ, რომ ყველა დარგში კაპიტალის მეტი თუ ნაკლები დაგროვება ხდება, — ეს კი ნამდვილად კაპიტალისტური წარმოების პირობას წარმოადგენს და ამას კაპიტალისტი როგორც კაპიტალისტი ისეთი გატაცებით ესწრაფვის, როგორც განძის დამგროველი ფულის დაგროვებას ესწრაფვის (მაგრამ ეს აუცილებელია იმისათვის, რომ კაპიტალისტური წარმოება წინ მიდიოდეს), — მაშინ როგორია ამ საყოველთაო დაგროვების პირობები, რას წარმოადგენს ეს დაგროვება? ანდა, რადგან საქმიანი ფაბრიკის მფლობელი შეიძლება განვიხილოთ როგორც წარმომადგენელი კაპიტალისტისა საერთოდ, როგორია პირობები, აუცილებელი იმისათვის, რომ მას დაუბრკოლებლად შეეძლოს 5000 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულების უკუგარდაქმნა კაპიტალად და წლიდან წლამდე დაგროვების პროცესის უწყვეტად გაგრძელება? დააგროვო 5000 გირვ. სტერლინგი — იმას ნიშნავს, რომ ეს ფული, ღირებულების ეს ჯამი, კაპიტალად გადააქციო. კაპიტალის დაგროვების პირობები, მაშასადამე, სავსებით ისეთივეა, რაც საერთოდ მისი თავდაპირველი წარმოებისა ან კვლავწარმოებისა.

მაგრამ ეს პირობები იმაში მდგომარეობდა, რომ ფულის ერთი ნაწილი ყიდულობდა შრომას, მეორე ნაწილი კი — ისეთ საქონელს (ნედლეულს, მანქანებს და ა. შ.), რომლის მწარმოებლურად მოხმარებაც ამ შრომას შეეძლო. { ზოგიერთი საქონელი, როგორც, მაგალითად, მანქანები, ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და ა. შ., გამოსადეგია მხოლოდ მწარმოებლური მოხმარებისათვის. ზოგი კი, როგორც, მაგალითად, სახლები, ცხენები, ხორბალი, შვრია (რომლისგანაც კეთდება არაყი ან სახამებელი და სხვ.) და ა. შ., გა-

მოსადეგია როგორც მწარმოებლური, ისე აგრეთვე ინდივიდუალური მოხმარებისათვის.} იმისათვის, რომ ამ საქონელთა ყიდვა შეიძლებოდეს, ისინი უნდა იმყოფებოდნენ ბ ა ზ ა რ ზ ე [700] როგორც საქონელნი — შუალედურ სტადიაში დასრულებულ წარმოებისა და ჯერ კიდევ არ დაწყებულ მოხმარებას შორის, გამყიდველთა ხელში, მიმოქცევის სტადიაში—ანდა უნდა არსებობდეს შესაძლებლობა იმისა, რომ საქონელი მიწოდებულ იქნეს დაკვეთით (წარმოებულ იქნეს დაკვეთით, როგორც, მაგალითად, ეს ხდება ახალი ფაბრიკების და ა. შ. აშენებისას). ასეთი იყო სწორედ საქმის ვითარება—ეს წარმოადგენდა წანამძღვარს კაპიტალის წარმოებისა და კვლავწარმოებისას—იმის გამო, რომ კაპიტალისტური წარმოების დროს განხორციელდა შრომის დანაწილება საზოგადოებრივი მასშტაბით (შრომისა და კაპიტალის განაწილება სხვადასხვა დარგებს შორის), იმის გამო, რომ ე რ თ დ რ ო უ ლ ა დ მიმდინარეობდა მთელ ზედაპირზე პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი წარმოება, კვლავწარმოება. რაც უფრო მეტია კაპიტალი, მით უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება, საერთოდ რაც უფრო ფართოა კაპიტალისტური წარმოების მასშტაბი, — მ ი თ უ ფ რ ო მ ე ტ ი ა ა გ რ ე თ ვ ე ი მ ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა მ ა ს ა ც, რ ო მ ლ ე ბ ი ც ი მ ყ ო ფ ე ბ ი ა ნ წ ა რ მ ო ე ბ ი დ ა ნ მ ო ხ მ ა რ ე ბ ა შ ი (ინდივიდუალურსა და მწარმოებლურ მოხმარებაში) გადასვლის სტადიაში, მ ი მ ო ქ ც ე ვ ა შ ი, ბ ა ზ ა რ ზ ე, და მით უფრო მეტია გარანტია ყოველი ცალკეული კაპიტალისათვის, რომ იგი იპოვის ბაზარზე მზა სახით თავისი კვლავწარმოების პირობებს. ეს მით უფრო სწორია, რომ, თვით კაპიტალისტური წარმოების არსის შესაბამისად, ყოველი ცალკეული კაპიტალი, ჯერ ერთი, ისეთი მასშტაბით მუშაობს, რომელიც გაპირობებულია არა ინდივიდუალური მოთხოვნით (შეკვეთები და ა. შ., კერძო მოთხოვნილებანი), არამედ იმისადმი მისწრაფებით, რომ რაც შეიძლება მეტი შრომის, მაშასადამე, მეტი ზედმეტი შრომის, რეალიზაცია მოახდინოს და მოცემული კაპიტალით საქონელთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მიწოდება შეძლოს; მეორე, ყოველი ცალკეული კაპიტალი ისწრაფვის დაიკავოს ბაზარზე რაც შეიძლება მეტი ადგილი და განდევნოს იქიდან, თავიდან მოიცილოს თავისი კონკურენტები. კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი ს კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა.

{რაც უფრო მეტად ვითარდება მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, მით უფრო შეიძლება შემცირდეს მარაგი ბაზარზე.

«სადაც წარმოება და მოხმარება შეფარდებით დიდია, იქ, რა თქმა უნდა, შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი დ ი დ ი ნ ა მ ე ტ ი ყოველთვის იქნება შუალედურ სტადიაში, ბაზარზე, გზაში მწარმოებლიდან მოიხმარებლისაკენ, თუკი სისწრაფე, რომლითაც ნივთები იყიდება, არ გაიზრდება იმდენად, რომ არარად აქციოს შედეგები, რაც უმისოდ გაზრდილ წარმოებას მოპყვებოდა» («An Inquiry into those Principles, respecting the Nature of Demand and the Necessity of Consumption, lately advocated by Mr. Malthus» etc. London, 1821, გვ. 6 = 7).}

ამრიგად, ახალი კაპიტალის დაგროვება შეიძლება ხდებოდეს იმავე პირობებში, რა პირობებშიც უკვე არსებული კაპიტალის კვლავწარმოება ხდება.

{ ჩვენ აქ სრულიად არ ვჩერდებით იმ შემთხვევაზე, როცა დაგროვილია მეტი კაპიტალი, ვიდრე წარმოებაში მისი მოთავსება შეიძლება, როცა ეს კაპიტალი, მაგალითად, ფულის ფორმით მოუხმარებლად არის ბანკირების ხელში. აქედან წარმოდგება სვსხვ. საზღვარგარეთ და ა. შ., მოკლედ — სპეკულაცია კაპიტალის დაბანდების საქმეში. არ განვიხილავთ ასევე იმ შემთხვევასაც, როცა შეუძლებელია წარმოებულ საქონელთა მთელი მასის გაყიდვა, კრიზისებს და ა. შ. ეს ეკუთვნის კონკურენციის განყოფილებას. აქ კი ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ მხოლოდ ფორმები კაპიტალისა მისი მოძრაობის სხვადასხვა ფაზაში, ამასთან ყოველთვის ივარაუდება, რომ საქონელი იყიდება მისი ღირებულების მიხედვით. }

საქსონი ფაბრიკის მფლობელს შეუძლია 5000 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულება უკუგარდაქმნას კაპიტალად იმ შემთხვევაში, თუ იგი, გარდა შრომისა, 1000 გირვ. სტერლ. თანხის ნართს და ა. შ. ბაზარზე იპოვის მზა სახით ანდა შეკვეთით შეუძლია იგი მიიღოს, რისთვისაც საჭიროა, მაშასადამე, ისეთ საქონელთაგან შემდგარი დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს წარმოება, რომლებიც მის მუდმივ კაპიტალში შედიან, განსაკუთრებით ისეთ საქონელთაგან, რომელთა საწარმოებლად საჭიროა უფრო ხანგრძლივი დრო და რომელთა რაოდენობა არ შეიძლება სწრაფად გადიდდეს ანდა საერთოდ არ შეიძლება გადიდდეს მოცემული წლის განმავლობაში; ასეთია საქმის ვითარება ნედლეულის, მაგალითად, სელის მიმართ.

{ აქ სცენაზე გამოდის ვაჭრის კაპიტალი, რომელიც საწყობებში ინახავს მზა სახით საქონელთა მარაგს მზარდი ინდივიდუალური თუ წარმოებლური მოხმარებისათვის; მაგრამ ეს არის მ ო ს ა შ უ ა-

ლ ე ო ბ ი ს მ ხ ო ლ ო დ ე რ თ-ე რ თ ი ფ ო რ მ ა და ამიტომ გასარკვევია არა აქ, არამედ კაპიტალების კონკურენციის განხილვისას. }

მსგავსად იმისა, როგორც არსებული კაპიტალის წარმოება და კვლავწარმოება ერთ ს ფ ე რ ო ს შ ი გულისხმობს პ ა რ ა ლ ე ლ უ რ წარმოებას და კვლავწარმოებას სხვა სფეროებში, ასევე დამატებითი კაპიტალის დაგროვებაც, ანუ წარმოქმნაც, ერთ დარგში გულისხმობს დამატებითი პროდუქციის ი მ ა ვ დ რ ო ე ლ, ანუ პ ა რ ა ლ ე ლ უ რ წარმოებას სხვა დარგებში. ამრიგად, ერთსა და იმავე დროს უნდა იზრდებოდეს წარმოების მასშტაბი მუდმივი კაპიტალის მიმწოდებელ ყველა სფეროში (წარმოების საერთო ზრდაში მოთხოვნის მიერ განსაზღვრული იმ საშუალო წილის შესაბამისად, რომელიც ყოველ განსაკუთრებულ სფეროს უწევს); მუდმივ კაპიტალს კი იძლევა ყველა ის სფერო, რომლებიც არ იძლევიან მზა პროდუქტს ინდივიდუალური მოხმარებისათვის. ამასთან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მანქანების (იარაღების), ნ ე დ ლ ე ე ულ ი ს, დამზმარე მასალის რაოდენობის გადიდება, რადგან წარმოების ყველა დანარჩენმა დარგმა, სადაც კი ისინი შედიან, — სულ ერთია ნახევარფაბრიკატებს იძლევიან ეს დარგები თუ მზა ნაწარმს, — მოძრაობაში უნდა მოიყვანოს მეტი შრომა, როცა ეს პირობები მოცემულია.

ამრიგად, იმისათვის, რომ დაგროვებას ადგილი ჰქონდეს, ეტყობა, საჭიროა ყველა სფეროში მ უ დ მ ი ვ ი დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი წ ა რ მ ო ე ბ ა.

საჭიროა ამის რამდენადმე კიდევ უფრო დაწვრილებით გარკვევა.

შემდეგ მეორე არსებითი საკითხი:

ის ნაწილი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ებ უ ლ ე ბ ი ს ა, ანუ, რადგან აქ ლაპარაკია მოგებაზე, ის ნაწილი მ ო გ ე ბ ი ს ა (რენტის ჩათვლით; თუ მიწის მესაკუთრეს სურს დააგროვოს, გადააქციოს რენტა კაპიტალად, მაშინ ზედმეტი ღირებულება ყოველთვის მოხვდება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ე წ ა რ მ ი ს ხელში; ეს ხდება მაშინაც კი, როცა მუშა თავისი შემოსავლის ნაწილს კაპიტალად აქცევს), რომელიც უკუგარდაიქმნება კაპიტალად, შედგება მხოლოდ უკანასკნელი წლის განმავლობაში [701] ა ხ ლ ა დ მ ი მ ა ტ ებ უ ლ ი შ რ ო მ ი ს ა გ ა ნ. ისმება საკითხი, იხარჯება თუ არა მთლიანად ეს ახალი კაპიტალი ხელფასზე, გაიცვლება თუ არა ივი მხოლოდ ახალ შრომაზე?

ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს შემდეგი. ყოველი ღირებულება თავდაპირველად შრომიდან წარმოიშვება. ყოველი მუდმივი კაპიტალი თავდაპირველად შრომის პროდუქტია ისევე, როგორც ცვალებადი კაპიტალიც. და აქ ჩვენ, ჩანს, კვლავ მოწმენი ვართ შრომიდან კაპიტალის უშუალო წარმოშობისა.

ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს შემდეგი. განა დამატებითი კაპიტალის შექმნა უფრო ცუდ პირობებში უნდა ხდებოდეს, ვიდრე ძველი კაპიტალის კვლავწარმოება? განა იგი წარმოების წესის უფრო დაბალ საფეხურს უნდა დაუბრუნდეს? მაგრამ სწორედ ასეთი იქნებოდა საქმის ვითარება, თუ ახალი ღირებულება დაიხარჯებოდა მხოლოდ უშუალო შრომაზე, რომელსაც, მაშასადამე, *ძირითადი კაპიტალის გარეშეც* და ა. შ. უნდა ჯერ თვითონ ეწარმოებინა ეს კაპიტალი, სავსებით ისევე, როგორც თავდაპირველად შრომას ჯერ თვითონ უხდება თავისი მუდმივი კაპიტალის შექმნა. ეს წმინდა უაზრობაა. მაგრამ ასეთია *რიკარდოსა* *და სხვების წანამძღვარი*. ამაზე საჭიროა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

პირველი საკითხი, რომელიც აქ წამოიჭრება, შემდეგია:

შეიძლება თუ არა ზედმეტი ღირებულების ნაწილი გადაიქცეს კაპიტალად იმ გზით, რომ კაპიტალისტი, იმის ნაცვლად, რომ *გაყიდოს* ეს ნაწილი, ანუ, უფრო ზუსტად, ის ზედმეტი პროდუქტი, რომლითაც იგი წარმოდგენილი, მოიხმარს მას, პირიქით, *უშუალოდ* როგორც კაპიტალს? დადებითი პასუხი ამ კითხვაზე, უკვე შემცველი იქნებოდა იმ დასკვნისა, რომ კაპიტალად გადასაქცევი ზედმეტი ღირებულების მთელი ჯამი *როდი* გადაიქცევა ცვალებად კაპიტალად, ანუ როდი დაიხარჯება ხელფასზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმ ნაწილის შესახებ, რომელიც მარცვლეულისა და პირუტყვისაგან შედგება, ეს იმთავითვე ნათელია. მარცვლეულის ნაწილი, რაც მოსავლის იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელიც ფერმერისათვის ზედმეტ პროდუქტს ან ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს, — ასევე პირუტყვის ნაწილიც, — ნაცვლად იმისა, რომ გაყიდვის საგანი გახდეს, შეიძლება მაშინვე ისევ გამოყენებულ იქნეს როგორც წარმოების პირობა თესლის ან პირუტყვის სახით. ასეთივე მდგომარეობაა მიწაზე წარმოებული სასუქის ნაწილის მიმართ, რომელიც ამასთანავე შეიძლება საქონლის სახით მიმოქცეულდეს ვაჭრობაში, ე. ი. გაყიდვის საგანს წარმოადგენდეს. ეს [მიმოქცევაში არ შემავალი] ნაწილი იმ ზედმეტი პროდუქტისა, რომელიც ფერმერს ერგება ზედმეტი ღირებულების სახით, მოგე-

ბის სახით, ფერმერს შეუძლია მაშინვე ხელახლა გადააქციოს წარმოების პირობად თავისი საკუთარი წარმოების სფეროს შიგნით, ე. ი. უ შ უ ა ლ ო დ კაპიტალად გადააქციოს. ეს ნაწილი არ იხარჯება ხელფასზე, არ გადაიქცევა ცვალებად კაპიტალად. იგი ამოიღება ინდივიდუალური მოხმარებიდან და იმავე დროს არ მოიხმარება მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ა დ სმიტისა და რიკარდოს აზრით. იგი მოიხმარება მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ა დ, მაგრამ მოიხმარება როგორც ნედლეული და არა როგორც საარსებო საშუალებანი მწარმოებელი ან არამწარმოებელი მუშაკებისათვის. მარცვალი არა მარტო საარსებო საშუალებაა მწარმოებელი მუშებისათვის და ა. შ., არამედ საკვებიც პირუტყვისათვის, ნედლეული არაყის, სახამებლისა და სხვ. საწარმოებლად. პირუტყვი თავის მხრივ (სახორცე თუ მუშა პირუტყვი) არა მარტო საარსებო საშუალებაა, არამედ იგი იძლევა აგრეთვე ნედლეულს მრეწველობის ბევრი დარგისათვის, სახელდობრ: ბეწვეულს, ტყავს, ქონს, ძვლებს, რქებს და ა. შ. და მამოძრავებელ ძალას ნაწილობრივ თვით სოფლის მეურნეობისათვის, ნაწილობრივ სატრანსპორტო მრეწველობისათვის.

წარმოების ყველა იმ დარგში, რომლებშიც კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ი ს დ რ ო ერთ წელზე მეტია (როგორც, მაგალითად, მესაქონლეობის მნიშვნელოვან ნაწილში, სატყეო მეურნეობაში და ა. შ.), მაგრამ რომელთა პროდუქტები ამასთანავე უწყვეტად უნდა იკვლავწარმოებოდეს, ე. ი. უწყვეტად მოითხოვენ შრომის გარკვეული რაოდენობის გამოყენებას, — ამ დარგებში დაგროვება და კვლავწარმოება ერთიმეორეს ემთხვევა იმდენად, რამდენადაც ა ხ ლ ა დ მ ი მ ა ტ ე ბ უ ლ ი შრომა, რომელიც არა მარტო ფასგადახდილ, არამედ აგრეთვე ფასგადაუხდელ შრომასაც წარმოადგენს, უნდა გროვდებოდეს in natura მანამდე, სანამ პროდუქტი მზად არ იქნება გასაყიდად.

(აქ ლაპარაკია არა იმ მოგების დაგროვებაზე, რომელიც ყოველწლიურად მიეშატება [კაპიტალს] მოგების საერთო ნორმის შესაბამისად; ეს არის არა ნ ა მ დ ვ ი ლ ი დაგროვება, არამედ მხოლოდ გამოანგაროშების წესი. აქ ლაპარაკია რამდენიმე წლის განმავლობაში განმეორებული ერთობლივი შრომის დაგროვებაზე, ისეთ დაგროვებაზე, რომლის დროსაც, მაშასადამე, არა მარტო ფასგადახდილი, არამედ აგრეთვე ფასგადაუხდელი შრომაც გროვდება in natura და მაშინვე ისევ კაპიტალად გადაიქცევა. რაც შეეხება მოგების დაგროვებას ასეთ შემთხვევებში, იგი, პირიქით, არ არის დამოკიდებული [პირდაპირ] აქ ახლადმიმატებული შრომის რაოდენობაზე.)

ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი მ ც ე ნ ა რ ე - ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ ა ც (სულ ერთია ნედლეულს გვაწვდიან ისინი თუ დამხმარე მასალას). მათი თესლი, ასევეა ამ მცენარეთა ის ნაწილი, რომელიც შეიძლება ხელახლა იქნეს მოხმარებული როგორც სასუქი და ა. შ., ერთობლივი პროდუქტის ნაწილს წარმოადგენენ. თუ მათი გ ა ყ ი დ ვ ა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ი ქ ნ ე ბ ო დ ა, ეს სრულიად არ შეცვლიდა იმას, რომ როგორც კი ხელახლა შევლენ წარმოებაში როგორც წარმოების პირობა, ისინი შეადგენენ [ახალი პროდუქტის] ერთობლივი ღირებულების ნაწილს და ასეთის სახით [702] შეადგენენ მუდმივ კაპიტალს ახალი წარმოებისათვის.

ამით უკვე გამორკვეულია ერთი ძირითადი საკითხი — ნედლეულის და საარსებო საშუალებათა (ცვების საგნების) შესახებ, რამდენადაც ისინი საკუთრივ სოფლის მეურნეობის პროდუქტს წარმოადგენენ. აქ, მაშასადამე, დაგროვება პ ი რ დ ა პ ი რ ემთხვევა კვლავწარმოებას გადიდებული მასშტაბით, ანუ რომ ზედმეტი პროდუქტის ნაწილი ისევ წარმოების საშუალებაა უშუალოდ თვის საკუთარ წარმოების სფეროში ისე, რომ ა რ ს ა ჭ ი რ ო ე ბ ს ხ ე ლ ფ ა ს ზ ე ან ს ხ ვ ა ს ა ქ ო ნ ე ლ ზ ე გ ა ც ვ ლ ა ს.

მეორე ძირითადი საკითხი — ეს არის მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი. ლაპარაკია არა იმ მანქანებზე, რომლებიც საქონელს აწარმოებენ, არამედ იმათზე, რომლებიც მანქანებს აწარმოებენ, მანქანათმშენებელი მრეწველობის მ უ დ მ ი ვ კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე. თუ ეს მანქანები მოცემულია, მაშინ საჭიროა მხოლოდ შრომა, რომელიც მომპოვებელ მრეწველობაში იხარჯება და ნედლეულს (რკინას და ა. შ.) იძლევა ყოველგვარი ჭურჭლისა და მანქანებისათვის. მანქანათმშენებელ მანქანებთან ერთად მოცემულია აგრეთვე თვით ნედლეულის დამუშავებისათვის საჭირო მანქანებიც. სიმინელე, რასაც ჩვენ აქ წყვეტენ, ისაა, რომ არ მოვხვდეთ წანამძღვართა მანკიერ წრეში. სახელდობრ, მეტი მანქანის საწარმოებლად საჭიროა მეტი მასალა (რკინა და ა. შ.; ნახშირი და ა. შ.), ამ დამატებითი მასალის საწარმოებლად კი საჭიროა მეტი მანქანა. ჩაეთვლით თუ არა ჩვენ, რომ მანქანათმშენებელი მანქანების მწარმოებელი მრეწველები და ის მრეწველები, რომლებიც აწარმოებენ (მანქანათმშენებელი მანქანების საშუალებით ქმნიან) მანქანებს, კაპიტალისტების ერთსა და იმავე ჯგუფს ეკუთვნიან, — ეს სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას. ცხადია ერთი რამ. ზედმეტი პროდუქტის ნაწილი წარმოდგენილია მანქანათმშენებელი მანქანებით (ყოველ შემთხვევაში, მანქანების ფაბრიკანტზეა დამოკიდებული ზედმეტი პროდუქტისათვის ასეთი

ფორმის მიცემა). ამ მანქანათმშენებელი მანქანების გაყიდვა არ არის აუცილებლად საგალდებულო, მათ შეუძლიათ კვლავ შევიდნენ ახალ წარმოებაში in natura როგორც მუდმივი კაპიტალი. აქ, მაშასადამე, ჩვენ გვაქვს ისეთი დამატებითი პროდუქტის მეორე კატეგორია, რომელიც უშუალოდ (ანდა წარმოების იმავე სფეროში გაცვლის მეშვეობით) ახალ წარმოებაში (დაგროვებაში) შედის როგორც მუდმივი კაპიტალი, ცვალებად კაპიტალად წინასწარი გარდაქმნის პროცესის გაუვლელად.

საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნაწილი უშუალოდ გადაიქცეს მუდმივ კაპიტალად, დაიყვანება უწინარეს ყოვლისა საკითხზე, შეიძლება თუ არა იმ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნაწილი, რომლითაც წარმოდგენილია ზედმეტი ღირებულება, უშუალოდ კვლავ შევიდეს თავის საკუთარ წარმოების სფეროში წარმოების პირობის სახით ისე, რომ წინასწარ გასხვისებული არ იქნეს.

ზოგადი კანონი ასეთია:

იქ, სადაც ნაწილი პროდუქტისა, მაშასადამე, ზ ე დ მ ე ტ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ა ც (ე. ი. იმ სახმარი ღირებულებისა, რომლითაც წარმოდგენილია ზედმეტი ღირებულება), შეიძლება პირდაპირ, შუალედური მოძრაობის გარეშე, ხელახლა შევიდეს წარმოების პირობის სახით, შრომის საშუალების თუ შრომის მასალის სახით, წარმოების იმ სფეროში, საიდანაც ეს პროდუქტი გამოვიდა, — იქ დაგროვებას წარმოების ამ სფეროს შიგნით შეუძლია და უნდა მიიღოს ისეთი ფორმა, რომ ზედმეტი პროდუქტის ნაწილი არ იყიდება, არამედ ამის ნაცვლად უშუალოდ ანდა წარმოების ამავე სფეროში სხვა დარგების იმ კაპიტალისტებთან გაცვლის გზით, რომლებიც იმავე წესით აგროვებენ) ხელახლა ჩაერთვის წარმოების პროცესში როგორც კვლავწარმოების პირობა, ასე რომ დაგროვება და კვლავწარმოება გადიდებული მასშტაბით აქ პ ი რ დ ა პ ი რ ემთხვევა ერთმეორეს. ისინი გარდუვალად ემთხვევიან ერთმანეთს ყველგან, მაგრამ არა აუცილებლად ასეთი უშუალო წესით.

ეს შეეხება აგრეთვე დამხმარე მასალის ნაწილსაც. მაგალითად, წლის განმავლობაში წარმოებულ ნახშირს. ზედმეტი პროდუქტის ნაწილის გამოყენება შეიძლება ნახშირის ხელახლა საწარმოებლად, მაშასადამე, იგი შეიძლება პირდაპირ, ყოველგვარი მოსაშუალოების გარეშე, გამოიყენოს ნახშირის მრეწველმა როგორც მუდმივი კაპიტალი გადიდებული მასშტაბით წარმართული წარმოებისათვის.

სამრეწველო ოლქებში ვხვდებით ისეთ მანქანათმშენებლებს,

რომლებიც ფაბრიკანტებისათვის მთელ მანქანებს აგებენ. ვთქვათ $^1/_{10}$ [მათი პროდუქციისა] არის ზედმეტი პროდუქტი, ანუ ფასგადაუხდელი შრომა. ცხადია, სრულიად არაფერი არ იცვლება იმის გამო, არის ეს $^1/_{10}$. ე. ი. ზედმეტი პროდუქტი, წარმოდგენილი მესამე პირთათვის აშენებული და მათთვის მიყიდული საფაბრიკო შენობებით თუ იმ საფაბრიკო შენობით, რომელიც მანქანათმშენებელმა თავისთვის ააშენა და თავის თავს მიჰყიდა. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმ სახმარი ღირებულების ხასიათზე, რომლითაც წარმოდგენილია ზედმეტი შრომა, მხოლოდ იმაზე, შეუძლია თუ არა ამ სახმარ ღირებულებას როგორც წარმოების პირობას ხელახლა შევიდეს იმ კაპიტალისტის წარმოების სფეროში [703], რომელსაც ზედმეტი პროდუქტი ეკუთვნის. ჩვენ თვალწინ კვლავ იმის მაგალითია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახმარი ღირებულების კატეგორიას ეკონომიური ფორმების განსაზღვრისათვის.

ამრიგად, ჩვენ აქ უკვე გვაქვს ზედმეტი პროდუქტის (და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების) მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შეიძლება და უნდა გადაიქცეს უშუალოდ მუდმივ კაპიტალად, რათა დაგროვდეს კაპიტალის სახით, და ურომლისოდაც საერთოდ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს კაპიტალის რაიმე დაგროვებას.

ჩვენ დავინახეთ, მეორე, რომ იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოების განვითარების დონე, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების დონეც, მაღალია, და, მაშასადამე, მნიშვნელოვანია მუდმივი კაპიტალიც, განსაკუთრებით მისი ის ნაწილი, რომელიც ძირითადი კაპიტალისაგან შედგება, — რომ იქ უკვე მარტივი კვლავწარმოება ძირითადი კაპიტალისა ყველა სფეროსათვის, — და აგრეთვე ამის პარალელურად მიმდინარე კვლავწარმოებაც იმ არსებული კაპიტალისა, რომელიც ძირითად კაპიტალს აწარმოებს, — ქმნის დაგროვების ფონდს, ე. ი. იძლევა მანქანებს, მუდმივ კაპიტალს გაფართოებული მასშტაბით წარმოებისათვის.

მესამე, რჩება საკითხი:

შეიძლება თუ არა ზედმეტი პროდუქტის ნაწილის უკუგადაქცევა კაპიტალად (მუდმივ კაპიტალად) იმ გზით, რომ ადგილი ექნეს (შუალედურ) გაცვლას მწარმოებლებს შორის, მაგალითად, მანქანების, სამუშაო ინსტრუმენტებისა და ა. შ. მწარმოებლებსა და ნედლეულის — რკინის, ნახშირის, ლითონის, ხე-ტყის და

ა. შ. — მწარმოებლებს შორის, ე. ი. მუდმივი კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების გაცვლის გზით? მაგალითად, თუ რკინის, ნახშირის, ხე-ტყის და ა. შ. ფაბრიკანტი მანქანებს ან ინსტრუმენტებს ყიდულობს მანქანათმშენებლისაგან, მანქანათმშენებელი კი ლითონს, ხე-ტყეს, ნახშირს და ა. შ. ყიდულობს ამ ნედლეულის მწარმოებელთაგან, მაშინ ასეთი გაცვლის გზით ისინი ერთიმეორეს უნაზღაურებენ თავიანთი მუდმივი კაპიტალის ურთიერთდაკავშირებულ შემადგენელ ნაწილებს ანდა ახალ მუდმივ კაპიტალს ქმნიან. აქ საკითხი მხოლოდ ისაა, თუ რამდენად ეხება ეს ზ ე დ მ ე ტ პ რ ო დ უ ქ ტ ს.

[ბ) კაპიტალიზებული ზედმეტი ღირებულების გადაქცევა მუდმივ და ცვალებად კაპიტალად]

ზემოთ* ჩვენ დავინახეთ, რომ მ ო ც ე მ უ ლ ი კაპიტალის მარტივი კვლავწარმოების დროს მ უ დ მ ი ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს კვლავწარმოებისათვის გამოყენებული მუდმივი კაპიტალის ნაწილი ნაზღაურდება ან უშუალოდ in natura ანდა მუდმივი კაპიტალის მწარმოებლებს შორის გაცვლის გზით; ეს არის გაცვლა კაპიტალისა კაპიტალზე და არა გაცვლა შემოსავლისა შემოსავალზე ანდა შემოსავლისა კაპიტალზე. შემდეგ, ის მუდმივი კაპიტალი, რომელიც გამოიყენება, ანუ საწარმოო მოხმარებაში შევა, მოხმარების საგნების — ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალი საგნების — საწარმოებლად, — ნაზღაურდება იმავე სახის იმ ახალი პროდუქტებით, რომლებიც ა ხ ლ ა დ მ ი მ ა ტ ე ბ უ ლ ი შრომის შედეგს წარმოადგენენ და, მაშასადამე, შემოსავალზე (ხელფასსა და მოგებაზე) დაიყვანებიან. ამის შესაბამისად მოხმარების საგანთა მწარმოებელ სფეროებში პროდუქციის ის ნაწილი, რომლის ღირებულება ამ სფეროებში გამოყენებულ მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს, მუდმივი კაპიტალის მწარმოებელთა შემოსავალს წარმოადგენს, მაშინ როდესაც, პირიქით, პროდუქციის ის ნაწილი მუდმივი კაპიტალის მწარმოებელ სფეროებში, რომელიც ახლადმიღებულ შრომას წარმოადგენს და ამიტომ ამ მუდმივი კაპიტალის მწარმოებელთა შემოსავალს შეადგენს, საარსებო საშუალებათა მწარმოებელთათვის წარმოადგენს მუდმივ კაპიტალს (რომელიც ანაზღაურებს [საარსებო საშუალებათა წარმოებაში მოხმარებულ მუდმივ] კაპიტალს). მაშასადამე, ეს გულისხმობს, რომ მუდმივი კაპიტალის მწარმოებელნი

* იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 137 — 153, 201 — 216 და 277 — 288. რ ე დ.

თავიანთ ზედმეტ პროდუქტს (ე. ი. მოცემულ შემთხვევაში მათი პროდუქტის ნამეტს ამ პროდუქტის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც მ ა თ ი მუდმივი კაპიტალის ტოლია) ცვლიან საარსებო საშუალებებზე, მის ღირებულებას ინდივიდუალურად მოიხმარენ. ნამდვილად კი ზედმეტი პროდუქტი

1) შეიცავს ხელფასს (ანუ კვლავწარმოებულ ფონდს ხელფასისათვის), და ეს ნაწილი უნდა რჩებოდეს განკუთვნილი (კაპიტალისტის მხრივ) ხელფასზე დასახარჯად, ე. ი. ინდივიდუალური მოხმარებისათვის (ხოლო თუ ხელფასის მინიმუმი იგულისხმება, მაშინ მუშასაც მის მიერ მიღებული ხელფასით შეუძლია შეიძინოს მხოლოდ საარსებო საშუალებები);

2) შეიცავს კაპიტალისტის მოგებას (რენტის ჩათვლით). ეს ნაწილი, თუ იგი საკმაოდ დიდია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწილობრივ ინდივიდუალურად, ნაწილობრივ საწარმოო მიზნებისათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი ხდება პროდუქტების გაცვლა მუდმივი კაპიტალის მწარმოებლებს შორის; მაგრამ აქ ჩვენ გვაქვს უკვე არა გაცვლა პროდუქტის იმ ნაწილისა, რომელიც ურთიერთანაზღაურებისათვის განკუთვნილ მუდმივ კაპიტალს წარმოადგენს, არამედ ზედმეტი პროდუქტის ნაწილი, შემოსავალი (ა ხ ლ ა დ მ ი მ ა ტ ე ბ უ ლ ი შრომა), რომელიც უშუალოდ გადაიქცევა მუდმივ კაპიტალად, რის მეოხებითაც დიდდება მუდმივი კაპიტალის მასა და ფართოვდება კვლავწარმოების მასშტაბი.

მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც მოცემული ზედმეტი პროდუქტის ნაწილი, ე. ი. წლის განმავლობაში ახლადმიმატებული შრომის ნაწილი უშუალოდ გადაიქცევა მუდმივ კაპიტალად, წინასწარ ცვალებად კაპიტალად გადაქცევის გარეშე, მაშასადამე, აქაც ჩანს აგრეთვე, რომ ზედმეტი პროდუქტის საწარმოო მოხმარება — ანუ დაგროვება — სულაც არაა იგივე, რაც მთელი ზედმეტი პროდუქტის დახარჯვა მწარმოებელი მუშების ხელფასზე.

შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: მანქანათმშენებელი თავის საჭონელს (მის ნაწილს) მიჰყიდის, მაგალითად, ქსოვილების მწარმოებელს, უკანასკნელი მას უხდის ფულს; ამ ფულით მანქანათმშენებელი ყიდულობს რკინას, ნახშირს და ა. შ., და არა საარსებო საშუალებებს. მაგრამ მთლიანად აღებული პროცესის განხილვისას ნათელია, რომ საარსებო საშუალებათა მწარმოებლებს არ შეუძლიათ იყიდონ თავიანთი მუდმივი კაპიტალის ანაზღაურებლად მანქანები ან ნედლეული, თუ მუდმივი კაპიტალის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი ელემენტების მწარმოებელნი არ იყიდიან

მათგან მათ მიერ წარმოებულ საარსებო საშუალებებს, თუ, მაშასადამე, ეს მიმოქცევის პროცესი არ არის არსებითად გაცვლა საარსებო საშუალებებსა და მუდმივ კაპიტალს შორის. ყიდვისა და გაყიდვის აქტების ერთიმეორისაგან გამოყოფის გამო შეიძლება, რასაკვირველია, წარმოიშვას მეტად არსებითი დარღვევანი და გართულებანი სალდირების ამ პროცესში.

[704] თუ რომელიმე ქვეყანას არ შეუძლია თვითონ აწარმოოს მანქანების ის რაოდენობა, რომლის ნებასაც მას კაპიტალის დაგროვება აძლევს, მაშინ იგი ამ მანქანებს საზღვარგარეთ ყიდულობს. იგივე ხდება, თუ მას არ შეუძლია თვითონ აწარმოოს (ხელფასისათვის განკუთვნილ) საარსებო საშუალებათა და ნედლეულის საჭირო რაოდენობა. აქ, სცენაზე საერთაშორისო ვაჭრობის გამოსვლისთანავე, დღესავით ნათელი ხდება, რომ ნაწილი ქვეყნის ზედმეტი პროდუქტისა, — რამდენადაც იგი დაგროვებისათვის არის განკუთვნილი, — გადაიქცევა არა ხელფასად, არამედ უშუალოდ მუდმივ კაპიტალად. მაგრამ მაშინ იქმნება ისეთი წარმოდგენა, თითქოს იქ, საზღვარგარეთ, ამ მიზნებისათვის ავანსად გაღებული ფული მთლიანად ხელფასზე იხარჯება. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს არ არის და არც შეიძლება იყოს, მაშინაც კი, თუ საგარეო ვაჭრობას მხედველობის გარეშე დავტოვებთ.

თუ რა პროპორციით იყოფა ზედმეტი პროდუქტი ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის, ეს დამოკიდებულია კაპიტალის საშუალო შედგენილობაზე, და რაც უფრო განვითარებულია კაპიტალისტური წარმოება, მით უფრო ნაკლები იქნება შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ხელფასზე უშუალოდ დახარჯული ნაწილი. ის შეზედულება, რომ ზედმეტი პროდუქტი, რადგან იგი მხოლოდ წლის განმავლობაში ახლადმომატებული შრომის შედეგია, გადაიქცევა [დაგროვებისას] აგრეთვე მხოლოდ ცვალებად კაპიტალად, იხარჯება მხოლოდ ხელფასზე, — ეს შეხედულება საერთოდ შეესაბამება იმ მცდარ წარმოდგენას, რომ რადგან პროდუქტი მხოლოდ შედეგია ან მატერიალიზაცია შრომისა, ამიტომ პროდუქტის ღირებულება მთლიანად დაყვანილია შემოსავალზე: ხელფასსა, მოგებასა და რენტაზე, — როგორც ამას შეცდომით ფიქრობდნენ სმიტი და რიკარდო.

მუდმივი კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს, სახელდობრ ძირითად კაპიტალს, შეიძლება შეადგენდეს ის, რაც უშუალოდ შედის საარსებო საშუალებათა, ნედლეულის და ა. შ. წარმოების პროცესში, ანდა ის, რაც ემსახურება ან მიმოქცევის პროცესის შემოკლებას, როგორც, მაგალითად, რკინიგზები, გზატკეცილები, სანაოს-

ნო არხები, ტელეგრაფის ხაზები და ა. შ., ანდა საქონლის შენახვას და საქონლის მარაგის შექმნას, როგორც მაგალითად, პაკაუზები, საწყობები და ა. შ., ანდა, ბოლოს, მას შეიძლება შეადგენდეს ის, რაც ადიდებს მიწის ნაყოფიერებას მხოლოდ კვლავწარმოების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, როგორც, მაგალითად, მიწის ნაკვეთების ნიველირების სამუშაოები, წყალსარინი არხები და სხვ. იმისდა მიხედვით, ზედმეტი პროდუქტის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება ძირითადი კაპიტალის ამა თუ იმ სახეობაზე, მეტად სხვადასხვა იქნება ყოველივე ამის უახლოესი შედეგები საარსებო საშუალებათა და სხვ. კვლავწარმოებისათვის.

[4) ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ (ᲛᲔᲡᲐᲛᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ). ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ]

თუ წანამძღვრის სახით მოცემულია მუდმივი კაპიტალის დამატებითი წარმოება, — ე. ი. უფრო დიდი წარმოება, ვიდრე საჭიროა ძველი კაპიტალის ასანაზღაურებლად, მაშასადამე, საარსებო საშუალებათა წინანდელი რაოდენობის საწარმოებლადაც, — მაშინ არავითარ შემდგომ სიძნელეს არ წარმოადგენს დამატებითი წარმოება, ანუ დაგროვება, იმ სფეროებში, სადაც მანქანები, ნედლი მასალა და ა. შ. გამოიყენება [ინდივიდუალური მოხმარების საგნების საწარმოებლად]. თუ საჭირო დამატებითი შრომა ᲩᲝᲘᲐᲠᲔᲑᲐ, აღნიშნულ სფეროთა კაპიტალისტები ყველა საშუალებას პოულობენ ბაზარზე იმისათვის, რომ შექმნან ახალი კაპიტალი, გადააქციონ ახალ კაპიტალად თავიანთი ფული, რომლითაც წარმოდგენილია ზედმეტი ღირებულება.

მაგრამ დაგროვების მთელი პროცესი დაიყვანება უწინარეს ყოვლისა ისეთ დამატებითს წარმოებაზე, რომელიც, ერთი მხრივ, შეესაბამება მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას, მეორე მხრივ კი — იმანენტურ საფუძველს ქმნის იმ მოვლენებისათვის, რომლებიც კრიზისებში მეღავნდებიან. ამ დამატებითი წარმოების საზღვრები თვით კაპიტალი, წარმოების პირობათა არსებული მასშტაბი და კაპიტალისტების უზომო სწრაფვა გამდიდრებისადმი, თავიანთი კაპიტალის გადიდებისადმი და არავითარ შემთხვევაში მოხმარება, რომელიც იმთავითვე ჩაფუშულია, რადგან მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, მუშა-მოსახლეობას, შეუძლია თავისი მოხმარება გააფართოოს მხოლოდ მეტად შეზღუდულ ფარგლებში, მეორე მხრივ კი, კაპიტალიზმის განვითარების კვალო-

ბაზე, შრომის მოთხოვნა შეფარდებით მცირდება, თუმცა აბსოლუტურად ეს მოთხოვნა იზრდება კიდეც. ამას ემატება კიდევ ისიც, რომ დისპროპორციათა ყველა გათანაბრებას შემთხვევითი ხასიათი აქვს და რომ, თუმცა თანაფარდობანი, რითაც კაპიტალები ცალკეულ სფეროებში გამოიყენება, გარკვეული მუდმივი პროცესის მეოხებით გათანაბრებას განიცდიან, მაგრამ თვით მუდმივობა ამ პროცესისა გულისხმობს სავსებით ასევე მუდმივ დისპროპორციებს, რომელთა გათანაბრებაც მას მუდამ, ხშირად იძულებითი გზით, უხდება.

ჩვენ აქ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ის ფორმები, რომელთაც კაპიტალი თავისი შემდგომი განვითარების სხვადასხვა სტადიაში გაივლის. მაშასადამე, აქ არ არის მოცემული იმ რეალურ ურთიერთობათა ანალიზი, რომელთა ფარგლებშიც წარმოების ნამდვილი პროცესი მიმდინარეობს. ყოველთვის იგულისხმება, რომ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება. კაპიტალების კონკურენცია განხილვის გარეშე რჩება, ისევე როგორც კრედიტიც. განხილვის გარეშე რჩება აგრეთვე ნამდვილი სტრუქტურაც საზოგადოებისა, რომელიც სრულიადაც არ შედგება მხოლოდ მუშათა კლასისა და მრეწველი კაპიტალისტების კლასისაგან და რომელშიც, მაშასადამე, მომხმარებლები და მწარმოებლები არ არიან იდენტურნი: პირველი კატეგორია, კატეგორია მომხმარებელთა (რომელთა შემოსავალი ნაწილობრივ არ არის პირველადი, არამედ მეორადია, მოგებიდან და ხელფასიდან ნაწარმოები), მნიშვნელოვნად უფრო ფართოა მეორეზე [ე. ი. მწარმოებელთა კატეგორიაზე], და ამიტომ ის წესი, რომლითაც იგი თავის შემოსავალს ხარჯავს, და ამ შემოსავლის მოცულობა მეტად დიდ ცვლილებებს იწვევს საქმის ეკონომიურ მსვლელობაში და განსაკუთრებით კაპიტალის მიმოქცევისა და კვლავწარმოების პროცესში. მაგრამ თუ ჩვენ უკვე ფულის განხილვისას [124] დავინახეთ, რომ ფული შეიცავს კრიზისების შესაძლებლობას, როგორც საერთოდ საქონლის ნატურალური ფორმისაგან განსხვავებული ფორმით, ისე იმ ფორმითაც, რომლითაც იგი გადახდის საშუალებას წარმოადგენს, ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად მეღავნდება კაპიტალის ზოგადი ბუნების განხილვისას, ჯერ კიდევ იმ შემდგომ რეალურ ურთიერთობათა გარკვევამდე, რომლებიც წარმოების ნამდვილი პროცესის ყველა პირობას ქმნიან.

[705] დავიდ რიკარდოს მიერ შეთვისებული (რაც, არსებითად, ჯემს მილს ეკუთვნის) ის შეხედულება უგგანო სეისა (რომელსაც ჩვენ კიდევ დაეუბრუნდებით, როცა ლაპარაკი გვექნება ამ არარაო-

ბაზე), თითქოს შეუძლებელია ჭარბწარმოება, ყოველ შემთხვევაში, ბაზრის საყოველთაო პირთამდე გავსება, — ეს შეხედულება ემყარება იმ დებულებას, რომ პროდუქტები გაიცვლება პროდუქტებზე[125], ანდა, როგორც ეს მილს წარმოუდგენია, იგი ემყარება «გამყიდველთა და მყიდველთა მეტაფიზიკურ წონასწორობას»[126], საიდანაც გაკეთდა შემდგომი დასკვნა, რომ მოთხოვნას მხოლოდ თვით წარმოება განსაზღვრავს, ან რომ მოთხოვნა და მიწოდება იდენტურნი არიან. ამავე დებულებას ვხვდებით განსაკუთრებით რიკარდოს მიერ აჩენებული ფორმითაც, რომ კაპიტალის ყოველი თანხა ყოველ ქვეყანაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მწარმოებლურად.

«ბ-ნმა სეიმ»,— ამბობს რიკარდო 21-ე თავში («დაგროვების გავლენა მოგებასა და სარგებელზე»), — «მეტად დასაჯერებლად გვიჩვენა, რომ არ არსებობს კაპიტალის ისეთი თანხა, რომლის გამოყენებაც რომელიმე ქვეყანაში არ შეიძლებოდეს, რადგან მოთხოვნა ზღვარდებულია მხოლოდ წარმოებით. ყოველი ადამიანი აწარმოებს მხოლოდ მოხმარების ან გაყიდვის მიზნით, და იგი მხოლოდ იმ მიზნით ყიდის, რომ იყიდოს რომელიმე სხვა საქონელი, რომელიც უშუალოდ სასარგებლო იქნებოდა მისთვის ანდა გამოსადეგი მომავალი წარმოებისათვის. ამრიგად, როცა აწარმოებს, იგი აუცილებლად ხდება ან თავისი საკუთარი პროდუქტების მომხმარებელი, ან სხვა რომელიმე პირის პროდუქტთა მყიდველი და მომხმარებელი. შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში ცუდად იქნება ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რომელი საქონლის წარმოება შეიძლება იყოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი იმ მხრივ, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოს, სახელდობრ — შეიძინოს სხვა პროდუქტები. და ამიტომ ნაკლებმოსალოდნელია, რომ იგი მუდამ» (აქ ლაბარაკია სურათად არა მარადიულ სიცოცხლეზე) «დაამზადებს ისეთ საქონელს, რომლის მოთხოვნაც არ არის» (გვ. 339 — 340).

რიკარდო, რომელიც ყველაზე ცდილობს თანამიმდევრული იყოს, ხედავს, რომ მისმა ავტორიტეტმა, სეიმ, მას აქ ორი უყო. ზემოციტირებული ადგილის შესახებ მოცემულ შენიშვნაში იგი აღნიშნავს.

«ეთანხმება თუ არა მთლიანად ბ-ნ სეის მიერ გადმოცემულ დებულებას მისგე მტკიცება: «რაც უფრო მეტი სიუხვით მოიბოვება თავისუფალი კაპიტალი შედარებით მისი გამოყენების შესაძლებლობასთან, მით უფრო მეტად უნდა დაეცეს სასესხო კაპიტალის სარგებელი» (სეი [Traité d'économie politique. Seconde édition. Paris, 1814], ტომი II, გვ. 108)? თუ მოცემულ ქვეყანაში ყოველნაირი სიდიდის კაპიტალს შეუძლია გამოყენება ჰპოვოს, მაშინ როგორ შეიძლება იმის ლაბარაკი, რომ იგი უხვად მოიბოვება მისი გამოყენების შესაძლებლობასთან შედარებით?» (გვ. 340, შენიშვნა).

რადგან რიკარდო სეის იმოწმებს, ამიტომ ჩვენც სეის დებულებებს გავაკრიტიკებთ შემდგომში, როცა საქმე თვით ამ თაღლითის შეხედულებათა განხილვაზე მიდგება.

ჯერ კი შევნიშნავთ მხოლოდ შემდეგს:

კვლავწარმოების დროს, სავსებით ისევე როგორც კაპიტალის დაგროვების დროსაც, საქმე მარტო ის კი არაა, რომ ანაზღაურდეს ი გ ი ვ ე მასა სახმარი ღირებულებებისა, რომელთაგანაც კაპიტალი შედგება, მისი წინანდელი ან გაფართოებული მასშტაბით (დაგროვებისას), არამედ ისიც, რომ ანაზღაურდეს ავანსებული კაპიტალის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა მოგების ჩვეულებრივი ნორმის (ჩვეულებრივი ზედმეტი ღირებულების) მიღებით. მაშასადამე, თუ რაიმე გარეშოების ან გარეშოებათა კომბინაციის გამო საქონელთა სამაბრო ფასები (სავსებით სულ ერთია, ყველასი თუ უმრავლესობის) დაეცემა მათს ხარჯთფასებზე ბევრად უფრო დაბლა, მაშინ, ერთი მხრივ, კაპიტალის კვლავწარმოება შეიკვეცება, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია. მაგრამ კიდევ უფრო გაძნელდება დაგროვება. ფულის (ოქროს ან საბანკო ბილეთების) ფორმით დაგროვილი ზედმეტი ღირებულება გადაიქცეოდა კაპიტალად მხოლოდ ზარალის მიღებით. ამიტომ ეს ზედმეტი ღირებულება უქმად ძევს ბანკში განძის სახით ანდა საკრედიტო ფულის ფორმით, რაც სრულიად არაფერს ცვლის საქმის არსში. შეიძლებოდა ასეთივე სიძნელე წარმოქმნილიყო საწინააღმდეგო მიზეზების გამოც, თუ არ იქნებოდა კვლავწარმოების რ ე ა ლ უ რ ი წ ა ნ ა მ ძ ღ ვ რ ე ბ ი (როგორც ეს ხდება, მაგალითად, ხორბლის გაძვირებისას ანდა იმის გამო, რომ დაგროვილი არ არის მუდმივი კაპიტალის საკმაო რაოდენობა in natura). თავს იჩენს შეფერხება კვლავწარმოებაში და ამიტომ მიმოქცევის ნაკადშიც. ყიდვა და გაყიდვა ანტაგონისტურად უპირისპირდებიან ერთიმეორეს და გამოუყენებელი კაპიტალი გვევლინება უქმად მდებარე ფულის სახით, ასეთსავე მოვლენას (და ეს მეტწილად წინ უძღვის კრიზისებს) შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, როცა დამატებითი კაპიტალის წარმოება სწრაფად მიმდინარეობს და მისი უკუგადაქცევა მწარმოებლურ კაპიტალად ისე ადიდებს უკანასკნელის ყველა ელემენტის მოთხოვნას, რომ ნამდვილ წარმოებას აღარ შეუძლია მას კვალდაკვალ მიჰყვეს, რის გამოც იზრდება კაპიტალის წარმოქმნის პროცესში შემავალი ყველა საქონლის ფასები. ამ შემთხვევაში ძლიერ მცირდება სარგებლის განაკვეთი, როგორც არ უნდა გაიზარდოს მოგება, და სარგებლის განაკვეთის ეს შემცირება იწვევს მაშინ ყველაზე სარისკო სპეკულაციურ წამოწყებებს. კვლავწარმოების

შეფერხება იწვევს ცვალებადი კაპიტალის შემცირებას, ხელფასის დაცემას და გამოუყენებელი შრომის მასის შემცირებას. ეს, თავის მხრივ, ახალ ზეგავლენას ახდენს ფასებზე და მათ ახალ დაცემას იწვევს.

არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კაპიტალისტური წარმოებისას საქმე ეხება არა უშუალოდ სახმარ ღირებულებას, არამედ საცვლელ ღირებულებას და განსაკუთრებით ზედმეტი ღირებულების გადიდებას. ეს არის კაპიტალისტური წარმოების მამოძრავებელი მოტივი, და ცუდად როდი გამოიყურება ის კონცეფცია, რომელიც, რათა მსჯელობათა საშუალებით კაპიტალისტური წარმოების წინაალმდეგობანი თავიდან მოიცილოს, მხედველობის გარეშე ტოვებს მის საფუძველს და მას ისეთ წარმოებად გვიხატავს, რომელსაც მიზნად აქვს მწარმოებელთა უშუალო მოხმარების უზრუნველყოფა.

შემდეგ: რადგან კაპიტალის მიმოქცევის პროცესი ერთი დღე კი არ გრძელდება, არამედ, პირიქით, მოიცავს ბევრად თუ ცოტად ხანგრძლივ პერიოდს, ვიდრე კაპიტალი თავის თავს [წარმოების სფეროს] არ დაუბრუნდება; რადგან ეს პერიოდი ემთხვევა იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც საბაზრო ფასები [706] უთანაბრდება ხარჯთფასებს; რადგან ამ პერიოდის განმავლობაში დიდი გადატრიალებანი და ცვლილებები ხდება ბ ა ზ ა რ ზ ე, დიდი ცვლილებები ხდება შრომის ნაყოფიერებაში და, მაშასადამე, საქონელთა რ ე ა ლ უ რ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი ც, — ამიტომ სრულიად ნათქვამია, რომ თავდაპირველად მოცემული კაპიტალის ამოსავალი წერტილიდან მის უკან — თავის თავთან — დაბრუნებამდე ერთ-ერთი ასეთი პერიოდის დამთავრების შემდეგ დიდი კატასტროფები უნდა ხდებოდეს და უნდა ვროვდებოდეს და ვითარდებოდეს კრიზისის ელემენტები, რომელთა თავიდან აცილება არასგზით არ შეიძლება იმ უბადრუკი ფრაზით, რომ პროდუქტები იცვლება პროდუქტებზე. საქონელთა ღირებულების შ ე დ ა რ ე ბ ა ერთ პერიოდში იმავე საქონელთა ღირებულებასთან უფრო გვიან პერიოდში, რაც ბ-ნ ბეილის სქოლასტიკურ გამონაგონად მიაჩნია[127], შეადგენს, პირიქით, კაპიტალის მიმოქცევის პროცესის ძირითად პრინციპს.

როცა ლაპარაკია კრიზისების შედეგად კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ა ზ ე, საჭიროა განვასხვაოთ ორი რამ.

რამდენადაც კვლავწარმოების პროცესი ფერხდება და შრომის პროცესი იზღუდება, ალაგ-ალაგ კი სავსებით ჩერდება, ნ ა მ დ ვ ი ლ ი კაპიტალი ნადგურდება. მანქანა, რომელიც არ მოიხმარება, არ

არის კაპიტალი. შრომა, რომელიც ექსპლოატაციას არ განიცდის, დაკარგული წარმოებაა. ნედლეული, რომელიც გამოუყენებელია, არ არის კაპიტალი. შენობები (ასევე ახლად აგებული მანქანები), რომლებიც ან გამოუყენებელი, ანდა დაუმთავრებელი რჩება, საქონელი, რომელიც საწყობში ლპება, — ყოველივე ეს კაპიტალის განადგურებაა. ყოველივე ეს სხვას არაფერს გამოხატავს, თუ არა კვლავწარმოების პროცესის შეფერხებას, გამოხატავს იმას, რომ წარმოების ა რ ს ე ბ უ ლ ი პირობები ფაქტიურად არ მოქმედებენ როგორც წარმოების პირობები, არ არიან ამოქმედებულნი როგორც ასეთნი. ამასთან მათი სახმარი ღირებულება და მათი საცვლელი ღირებულება ოხრად იქცევა.

მეორე კი, კრიზისებით გამოწვეული კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ა ნიშნავს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა მ ა ს ი ს გაუფასურებას, რომელიც შემდგომში ხელს უშლის იმას, რომ ამ მასამ იმავე მასშტაბით განაახლოს თავისი კვლავწარმოების პროცესი როგორც კაპიტალმა. ეს არის საქონელთა ფასების გამანადგურებელი დაცემა. ამასთან სახმარი ღირებულებანი არ ნადგურდება. იმას, რასაც ერთი კარგავს, მეორე იგებს. კაპიტალის სახით მოქმედ ღირებულებათა მასას არ შეუძლია იმავე ხელში კ ა პ ი ტ ა ლ ი ს სახით განაახლოს თავის თავი. ძველი კაპიტალისტები კოტრდებიან. თუ ღირებულება საქონლისა, რომლის გაყიდვით რომელიმე კაპიტალისტი თავის კაპიტალს აკვლავწარმოებს, უდრიდა 12000 გირვ. სტერლინგს, საიდანაც, ვთქვათ, 2000 გირვ. სტერლინგი შეადგენდა მოგებას, და თუ ამ საქონლის ფასი 6000 გირვ. სტერლინგამდე ეცემა, მაშინ ამ კაპიტალისტს არც ის შეუძლია, რომ თავის სახელშეკრულებო ვალდებულებანი გაანაღდოს, და არც ის, რომ, — თუნდაც მას ვალები არ ჰქონდეს, — საკმე ხელახლა დაიწყოს წინანდელი მასშტაბით, როცა მას ხელთ ექნება 6000 გირვ. სტერლინგი, ვინაიდან საქონელთა ფასები კვლავ იზრდება მათი ხარჯთფასების დონემდე. ამრიგად, განადგურებულია 6000 გირვ. სტერლ. კაპიტალი, თუმცა მას, ვინც ეს საქონელი იყიდა, რამდენადაც მან იგი ნახევარ ხარჯთფასში შეიძინა, შეუძლია საქმეთა ახალი გამოცოცხლებისას წარმატებას მიაღწიოს და გამდიდრდეს კიდეც ამის წყალობით. საზოგადოების ნომინალური კაპიტალის, ე. ი. არსებული კაპიტალის ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მნიშვნელოვანი ნაწილი მოსპობილია ერთხელ და სამუდამოდ, თუმცა სწორედ ამ მოსპობამ, რამდენადაც იგი სახმარ ღირებულებას არ ეხება, შეიძლება დიდად შეუწყოს ხელი ახალ კვლავწარმოებას. ეს ამასთანავე ის პერიოდია,

როცა ფულის მქონე ადამიანები მდიდრდებიან მრეწველობის ხარჯზე. რაც შეეხება წმინდა ფიქციური კაპიტალის — სახელმწიფო საპროცენტო ქაღალდების, აქციებისა და სხვ. დაცემას, — იმ შემთხვევებში, როცა იგი არ იწვევს სახელმწიფოსა და აქციონერული საზოგადოებათა გაკოტრებას და ამით არ აფერხებს საერთოდ კვლავწარმოებას, ასეთი ქაღალდების მქონე მრეწველი კაპიტალისტების კრედიტს, საფუძვლის გამოთხრით, — ეს დაცემა მხოლოდ გადატანაა სიმდიდრისა ერთის ხელიდან მეორის ხელში, და საერთოდ კარგ გავლენას ახდენს კვლავწარმოებაზე, რადგან ის მეტიჩრები, რომელთა ხელშიც ეს აქციები თუ ქაღალდები იყო ფასში აღმოჩნდება ხოლმე, მეტწილად უფრო ფხიანი არიან, ვიდრე აღნიშნული ქაღალდების მფლობელნი.

[7) შაზრობა მბაქიცებისა, რომელიც საქონელთა მარბწარმოებას შარუფს და ამავე დროს კაპიტალის სიმარბეს ალიარებს]

რიკარდო ყოველთვის თანმიმდევრულია თავის დებულებებში, რომელთაც იგი დამოუკიდებლად ავითარებს. ამიტომ მისი დებულება (საქონელთა) კ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ი ს შეუძლებლობის შესახებ იდენტურია იმ დებულებისა, რომ შეუძლებელია კაპიტალის უზომო სიუხვე, ანუ სიჭარბე *.

«არ შეიძლება რომელიმე ქვეყანაში კაპიტალის დაგროვება ისეთი რაოდენობით, რომლის გამოყენებაც მწარმოებლურად არ შეიძლებოდეს, თუ პირველი საქონლების საგანთა ფასების გადიდების გამო არ მოხდება ხელფასის ძლიერ მნიშვნელოვანი გადიდება, რის შედეგად კაპიტალის მოგებისათვის ისე ცოტა დარჩება, რომ დაგროვების სტიმული გაქრება» (გვ. 340).

«ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ არ არსებობს საზღვარი მოთხოვნისათვის, არ არსებობს საზღვარი კაპიტალის გამოყენებისათვის, სანამ ეს უკანასკნელი რაიმე მოგებას იძლევა, და რომ, რ ა ს ი უ ხ ვ ი თ ა ც ა რ უ ნ დ ა მ ო ი ბ ო ვ ე ბ ო დ ე ს კ ა პ ი ტ ა ლ ი, არ არის სხვა საკმაო მიზეზი მ ო გ ე ბ ი ს დ ა ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს, გარდა ხელფასის გადიდებისა, და ამას შეიძლება შემდეგ დაემატოს, რომ ხელფასის გადიდების ერთადერთი საკმაო და შუამავი მიზეზი არის მეშუბის მზარდი რიცხვისათვის საჭირო კვებისა და აუცილებელი საჭიროების საგნების მოპოვების მზარდი სიძნელე» (გვ. 347 — 348).

* აქ უნდა განვასხვაოთ შემდეგი: როცა სმიტი მოგების ნორმის დაცემას კაპიტალის სიჭარბით, კაპიტალის დაგროვებით ხსნის, ლაპარაკია პ ე რ მ ა ნ ე ნ ტ უ ლ ე მოგების დაცემაზე, და ეს სწორი არ არის; პირიქით, კაპიტალის წარმოებული სიუხვე, ჭარბწარმოება, კრიზისი — ეს სხვა რამეა. პერმანენტული კრიზისები არ არსებობს.

რას იტყოდა ასეთ შემთხვევაში რიკარდო იმ მომდევნო ეკონომისტების გონებაჩლუნგობაზე, რომლებიც უარყოფენ ჭარბწარმოებას ერთ ფორმაში (საქონლით ბაზრის საერთო გაჯსების სახით) და იმავე დროს არა მარტო შესაძლებლად მიიჩნევენ მას მეორე ფორმაში, როგორც კაპიტალის ჭარბწარმოებას, კაპიტალის მეტისმეტ სიუხვეს, კაპიტალის სიჭარბეს, არამედ ამას თავიანთი მოძღვრების არსებით პუნქტად აცხადებენ?

რიკარდოს შემდეგდროინდელი არც ერთი საღად მოაზროვნე ეკონომისტი არ უარყოფს კაპიტალის მეტისმეტ სუხვეს. პირიქით, ისინი ყველანი კრიზისებს ხსნიან კაპიტალის სიუხვით (რამდენადაც ეს კრზისები მათ კრედიტის მოვლენებიდან არ გამოჰყავთ). ამრიგად, ყველანი აღიარებენ ჭარბწარმოებას ერთ ფორმაში, მაგრამ მეორე ფორმაში მას უარყოფენ. რჩება, მაშასადამე, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მიმართებაშია ერთმანეთთან ჭარბწარმოების ორივე ფორმა, როგორ შეეფარდება ის ფორმა, რომელშიც ჭარბწარმოებას უარყოფენ, იმ ფორმას, რომელშიც მას აღიარებენ?

თვით რიკარდომ არაფერი არ იცოდა კრიზისების შესახებ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მსოფლიო ბაზრის საყოველთაო კრიზისების შესახებ, რომლებიც თვით წარმოების პროცესიდან გამომდინარეობენ. 1800 — 1815 წლების კრიზისები რიკარდოს შეეძლო აეხსნა მოუსავლიანობით გამოწვეული პურის გაძვირებით, ქაღალდის ფულის გაუფასურებით, კოლონიური საქონლის გაუფასურებით და ა. შ., რადგან კონტინენტური ბლოკადის შედეგად ბაზარი ნაძალადევად იქნა შევიწროებული პოლიტიკური და არა ეკონომიური მიზეზების გამო. ასევე კრიზისები 1815 წლის შემდეგ მას შეეძლო აეხსნა ნაწილობრივ მოუსავლიანი წლით, რამაც პურის ნაკლებობა გამოიწვია, ნაწილობრივ პურის ფასების დაცემით, რადგან მოქმედება შეწყვიტეს იმ მიზეზებმა, რომელთაც, მისი საკუთარი თეორიის თანახმად, უნდა გამოეწვიათ პურის ფასების ხელოვნურად გადიდება ომის დროს, როცა ინგლისი მოწყვეტილი იყო კონტინენტს, ნაწილობრივ კი ომის მდგომარეობიდან მშვიდობიან მდგომარეობაში გადასვლით და აქედან გამომდინარე «ვაჭრობის მსვლელობაში მომხდარი უეცარი ცვლილებებით» (იხ. მის წიგნში «Principles» მე-19 თავი: «ვაჭრობის მსვლელობაში უეცარი ცვლილებების შესახებ»).

მერმინდელი ისტორიული მოვლენები, განსაკუთრებით მსოფლიო ბაზრის კრიზისების თითქმის რეგულარული პერიოდულობა, უკვე აღარ აძლევდა რიკარდოს შემდეგდროინდელ ეკონომისტებს

ამის ნებას, რომ უარეყოთ ფაქტები ან განემარტათ ისინი როგორც შემთხვევითი მოვლენები. ამის მაგივრად მათ, — თუ აღარას ვიტყვ-ით იმათზე, ვინც ყველაფერს ხსნის კრედიტით, რათა ამის ყველ-დაყველ განაცხადოს, რომ თვითონ ისინიც იძულებულნი არიან კაპიტალის სიჭარბე ივარაუდონ,—გამოიგონეს შესანიშნავი განსხვა-ვება კაპიტალის მეტისმეტ სიუხვესა და ჭარბ-წარმოებას შორის. ჭარბწარმოების წინააღმდეგ ისინი აყენე-ბენ თავიანთ მიერ შემონახულ რიკარდოსა და სმიტის ფრაზებსა და არგუმენტებს, მაშინ როდესაც კაპიტალის მეტისმეტი სიუხვიდან ისინი ცდილობენ გამოიყვანონ მათთვის წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელი მოვლენები. ასე, მაგალითად, უილსონი ზოგ კრიზის ხსნის ძირითადი კაპიტალის გადამეტებული სიუხვით, ზოგს კი — საბრუნავი კაპიტალის გადამეტებული სიუხვით. თვით გადამეტებუ-ლი სიუხვე კაპიტალისა აღიარებულია საუკეთესო ეკონომისტების მიერ (როგორც, მაგალითად, ფულარტონის მიერ) და იგი უკვე იმ-დენად საყოველთაოდ მიღებულ ცრურწმენად იქცა, რომ ეს ფრაზა სწავლულ ბატონ როშერის[128] კომპენდიუმშიც კი გვხვდება რო-გორც თავისთავად საგულისხმო რამ.

ამრიგად, ისმება საკითხი: რა არის კაპიტალის გადამეტებული სიუხვე და რით განსხვავდება იგი ჭარბწარმოებისაგან?

(სხვათა შორის, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სხვა ეკონომისტები, როგორც, მაგალითად, იფრი, კორბეტი და ა. შ., ჭარბწარმოებას აცხადებენ მსხვილი მრეწველობის ნორმალურ მდგომარეობად, რამდენადაც ლაპარაკია საშინაო ვაჭრობაზე. გამოდის, მაშასადამე, რომ ეს ჭარბწარმოება კრიზისებს იწვევს მხოლოდ გარკვეულ პირობებში, როცა იკვეცება აგრეთვე საგარეო ბაზარიც.)

ამავე ეკონომისტების თანახმად, კაპიტალი — ეს არის ფული ან საქონელი. მაშასადამე, კაპიტალის ჭარბწარმოება ფულის ან საქონ-ლის ჭარბწარმოებაა. და მიუხედავად ამისა ორივე ამ მოვლენას თითქმის არაფერი აქვს საერთო ერთიმეორესთან. ამ ეკონომისტებს არც კი შეიძლება ლაპარაკი ჰქონდეთ ფულის ჭარბწარმოებაზე, რადგან ფულს განიხილავენ ისინი როგორც საქონელს, ასე რომ მთელი მოვლენა დაყვანილია საქონელთა ჭარბწარმოებაზე, რასაც ისინი ერთი სახელწოდებით აღიარებენ, მეორეთი კი უარყოფენ. თუ შემდეგში ლაპარაკია, რომ არსებობს ძირითადი კაპიტალის ან საბრუნავი კაპიტალის ჭარბწარმოება, ამ მტკიცებას საფუძვლად უდევს ის, რომ საქონელი აქ განიხილება უკვე არა ამ განსაზღვრის

მიხედვით, არამედ მისი იმ განსაზღვრის მიხედვით, რომლითაც იგი კაპიტალად გვევლინება. მაგრამ ამით, მეორე მხრივ, კვლავ აღიარებულია, რომ კაპიტალისტური წარმოებისა [708] და მისი მოვლენების პირობებში, — მაგალითად, ჭარბწარმოების დროს, — საქმე ეხება არა მხოლოდ იმ მარტივ ურთიერთობას, რომელშიც პროდუქტი გვევლინება როგორც ს ა ქ ო ნ ე ლ ი, განსაზღვრება როგორც საქონელი, არამედ იმ საზოგადოებრივ განსაზღვრებებზე, რომელთა ძალითაც იგი ისეთი რამაა, რაც საქონელზე მ ე ტ ი ა, და განსხვავდება უბრალო საქონლისაგან.

საერთოდ, შეიძლება რამდენადმე იმის აღიარება, რომ გამოთქმაში «კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ე ტ ი ს მ ე ტ ი ს ი ბ ე ვ ე» ნაცვლად გამოთქმისა «ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა» არის არა მარტო სიტყვიერი თავის დაძვრენა ანდა არა მარტო უსინდისო ჭკუანაკლებობა, რომელიც აღიარებს, რომ ერთი და ივივე მოვლენა არსებობს და აუცილებელია, როცა მას ეწოდება a, მაგრამ უარყოფს ამ მოვლენას, როცა მას ეწოდება b, ასე რომ ეჭვი და დაურწმუნებლობა აქ არსებობს ფაქტიურად მხოლოდ მოვლენის ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ი ს, მაგრამ არა თვით მოვლენის მიმართ, — უსინდისო ჭკუანაკლებობა, რომელიც ისწრაფვის მოვლენის ახსნის ამ სიძნელეს გვერდი აუაროს იმ გზით, რომ ამ მოვლენას უარყოფს ერთ ფორმაში (ერთი სახელწოდების მიხედვით), სახელდობრ იმ ფორმაში, რომლითაც იგი ეწინააღმდეგება ამ ეკონომისტების ცრუ შეხედულებებს, და აღიარებს მხოლოდ ისეთ ფორმაში, — რომელიც არავითარ აზრს არ შეიცავს. თუ ყოველივე ამას უყურადღებოდ დავტოვებთ, მაშინ გადასვლა გამოთქმიდან «ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა» გამოთქმაზე «კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ე ტ ი ს მ ე ტ ი ს ი ბ ე ვ ე» სინამდვილეში ნიშნავს ერთგვარ წ ი ნ გ ა დ ა დ გ მ უ ლ ნ ა ბ ი ჯ ს. რაში მდგომარეობს იგი? იმის აღიარებაში, რომ საქონელთა მწარმოებელნი ერთიმეორეს უპირისპირდებიან არა როგორც უბრალო საქონელმწარმოებელნი, არამედ როგორც კაპიტალისტები.

[8) რიკარდო უარყოფს საყოველთაო ჭარბწარმოებას. კრიზისის შესაძლებლობა, რასაც საქონლისა და ფულის შინაგანი წინააღმდეგობანი შეიცავენ]

აი კიდევ რიკარდოს რამდენიმე დებულება:

«შეიძლებოდა გვეფიქრა,.. რომ ადამ სმიტი ამტკიცებს, თითქოს ჩვენ ე რ თ გ ვ ა რ ა დ ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი ვ ა რ თ» (ასევე არის სინამდვილეში) «ვ ა წ ა რ-

მოოთ ჭარბი პური, მატყლი და ლითონის ნაწარმი და თითოეს ამ საქონელთა მწარმოებელ კაპიტალს არ შეუძლია სხვა გამოყენება ნახოს. ნამდვილად კი ამა თუ იმ კაპიტალის გამოყენების წესი ყოველთვის თავისუფალი არსებობს. საქმეა, და ამიტომ არასოდეს არ შეიძლება არსებობდეს რომელიმე საქონელი ჭარბად რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში; ვინაიდან, თუ ასეთ სიჭარბეს ადგილი ექნებოდა, საქონლის ფასი დაეცემოდა მის ბუნებრივ ფასზე დაბლა, და კაპიტალი გამოყენებული იქნებოდა სხვა რაიმე უფრო მომგებიან საქმეში» (გვ. 341—342, შენიშვნა).

პროდუქტებს ყოველთვის ყიდულობენ პროდუქტებით ან მომსახურებით; ფული—მხოლოდ შუამავალია, რომლის მეშვეობით გაცვლა წარმოებს».

(ამას ის აზრი აქვს, რომ ფული მხოლოდ მიმოქცევის საშუალებაა, საცვლელი ღირებულება კი—მხოლოდ წარმავალი ფორმა პროდუქტზე პროდუქტის გაცვლისა, რაც სწორი არ არის).

«რომელიმე ცალკეული საქონელი შეიძლება წარმოებულ იქნეს ზედმეტი რაოდენობით, და ბაზარზე შეიძლება აღმოჩნდეს იგი ისე ჭარბად, რომ მასზე დახარჯული კაპიტალი ვერ ანაზღაურდება; მაგრამ ეს არ შეიძლება მოუვიდეს ყველა საქონელს» (გვ. 341—342).

«შემცირდება თუ არა მოგება წარმოების ზრდისა და ამით გამოწვეული მოთხოვნის გადიდების გამო — ეს დამოკიდებულია მხოლოდ ხელფასის გადიდებაზე, ამ უკანასკნელის გადიდება კი, ბანმოკლე გადიდებითა გამოკლებით, თავის მხრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადვილია მუშებისათვის საჭირო საქმლისა და აუცილებელი საქიროების საგნების წარმოება» (გვ. 343).

«თუ ვაჭრები თავიანთ კაპიტალს საგარეო ვაჭრობაში ან ნაოსნობაში აბანდებენ, ამას ისინი ყოველთვის აკეთებენ თავიანთი თავისუფალი არნეკანთ და არაიმულებით; ისინი ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მათი მოგება ამ დარგებში რამდენადმე უფრო დიდი იქნება, ვიდრე საშინაო ვაჭრობაში» (გვ. 347).

რაც შეეხება კრიზისებს, ყველა ავტორი, რომლებიც ფასების ნამდვილ მოძრაობას აგვიწერენ, ანდა ყველა პრაქტიკოსი, რომლებიც კრიზისის გარკვეულ მომენტებში წერენ, სამართლიანად უგულებელყოფდნენ ვითომდა თეორიულ ლაყბობას და კმაყოფილდებიან იმის განცხადებით, რომ მოძღვრება ბაზარზე საქონლის სიჭარბის შეუძლებლობის შესახებ აბსტრაქტულ თეორიაში სწორია, მაგრამ პრაქტიკულად მცდარია. კრიზისების რეგულარული გამეორების თვით ფაქტმა სეია და სხვების ამდაგვარ სინამდვილეში ისეთი ფრაზეოლოგიის დონემდე დაიყვანა, რომელიც მხოლოდ აყვავების ხანაში იხმარება, კრიზისების ხანაში კი უკუგდებულია.

[709] მსოფლიო ბაზრის კრიზისებში მძაფრად მეღიავნდება ბურჟუაზიული წარმოების წინააღმდეგობანი და ანტაგონიზმები. მაგ-

რამ, იმის მაგივრად, რომ გამოიკვლიონ, რას წარმოადგენენ ის ანტაგონისტური ელემენტები, რომლებიც კატასტროფის სახით იჩენენ ხოლმე თავს, აპოლოგეტები იმით კმაყოფილდებიან, რომ უარყოფენ თვით კატასტროფას და მიუხედავად მისი კანონზომიერი პერიოდულობისა ჯიუტად ამტკიცებენ, რომ თუ წარმოება სახელმძღვანელოების მიხედვით წარიმართებოდა, მაშინ საქმე კრიზისამდე აღარ მივიდოდაო. აპოლოგეტიკა აქ, შემდეგ, მდგომარეობს უმარტივეს ეკონომიურ ურთიერთობათა ფალსიფიკაციაში და განსაკუთრებით იმაში, რომ დაპირისპირებულობის წინააღმდეგ ერთიანობა ფიქსირდება.

თუ, მაგალითად, ყიდვა და გაყიდვა, ანუ საქონლის მეტამორფოზის მოძრაობა, არის ორი პროცესის ერთიანობა ანდა, უფრო სწორად, ერთი პროცესის მიერ ორი საპირისპირო ფაზის გავლა, თუ ეს მოძრაობა, მაშასადამე, არსებითად ორივე ფაზის ერთიანობაა, მაშინ ეს ასევე არსებითად არის ფერეთვე ამ ფაზების გათიშვა და განცალკევება, მათი გადაქცევა ერთიმეორის მიმართ დამოუკიდებელ რაიმედ. და რადგან ისინი მაინც შინაგანად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, ამიტომ შინაგანად დაკავშირებული მომენტების განცალკევება შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ნაძალადევად, როგორც დამანგრეველი პროცესი. სწორედ კრიზისში მეღავნდება ქმედითი ძალა მათი ერთიანობისა, ჰბვადასხვა მომენტების ერთიანობისა. ურთიერთდაკავშირებული და ერთიმეორის შემავსები მომენტების ურთიერთისაგან განცალკევება ისპობა. კრიზისი ააშკარავებს, მაშასადამე, იმ მომენტების ერთიანობას, რომელნიც ერთიმეორის მიმართ დამოუკიდებელნი გახდნენ. ერთიმეორის მიმართ ამ მოჩვენებითად ინდიფერენტული მომენტების შინაგანი ერთიანობის გარეშე კრიზისიც არ იქნებოდა. მაგრამ არა, ამბობს ეკონომისტი-აპოლოგეტი. რადგან ერთიანობას ადგილი აქვს, კრიზისს არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს. ეს კი, თავის მხრივ, მხოლოდ იმის მტკიცებას ნიშნავს, რომ საპირისპირო მომენტების ერთიანობა გამორიცხავს მათს დაპირისპირებულობას.

იმის დასამტკიცებლად, რომ კაპიტალისტურ წარმოებას არ შეუძლია საყოველთაო კრიზისების გამოწვევა, უარყოფენ ამ წარმოების ყველა პირობას და საზოგადოებრივ ფორმაგანსაზღვრულობას, ყველა მის პრინციპს და differentiae specificae *, ერთი სიტყვით, უარყოფენ თვით კაპიტალისტურ წარმოებას, და არ-

* — სპეციფიკურ განსხვავებებს. რედ.

სებითად იმას ამტკიცებენ, რომ თუ კაპიტალისტური წარმოების წესი იქნებოდა არა სპეციფიკურად განვითარებული, თავისებური ფორმა საზოგადოებრივი წარმოებისა, არამედ ისეთი წარმოების წესი, რომელიც წინ უძღვის კაპიტალიზმის ყველაზე ადრინდელ ჩანასახებს, მაშინ მისი დამახასიათებელი ანტაგონიზმები, წინააღმდეგობანი და ამიტომ აგრეთვე მათი მძაფრი გამოვლენაც კრიზისებში არ იარსებებდა.

«პროდუქტებს», — ამბობს რიკარდო სეის უიდაზე, — «ყოველთვის უიდულებენ პროდუქტებით ან მომსახურებით; ფული — მხოლოდ შუამავალია, რომლის მეშვეობით გაცვლა წარმოებს».

მაშასადამე, აქ, ჯერ ერთი, საქონელი, რომელშიც არსებობს დაპირისპირებულობა საცვლელ და სახმარ ღირებულებას შორის, გადაიქცევა უბრალოდ პროდუქტად (სახმარ ღირებულებად), საქონელთა გაცვლა კი, მაშასადამე, გადაიქცევა უბრალოდ პროდუქტებით, მარტოოდენ სახმარი ღირებულებებით წარმოებულ გაცვლით ეაჭრობად. ჩვენ უკან გვწევენ, იმისაკენ, რასაც ადგილი ჰქონდა არა მარტო კაპიტალისტურ წარმოებამდე, არამედ მარტივ საქონელწარმოებამდეც კი, და კაპიტალისტური წარმოების ურთიერთულს მოვლენას — მსოფლიო ბაზრის კრიზისს — თავიდან იშორებენ იმით, რომ უბრალოდ უარყოფენ კაპიტალისტური წარმოების პირველ პირობას, სახელდობრ, იმ პირობას, რომ პროდუქტი უნდა იყოს საქონელი, ამიტომ იგი წარმოდგენილი უნდა იყოს ფულის სახით და მან უნდა გაიაროს მეტამორფოზის პროცესი. ნაცვლად იმისა, რომ ილაპარაკონ დაქირავებულ შრომაზე, ლაპარაკობენ «მომსახურებაზე», — სიტყვა, რომელშიც კვლავ უკუგდებულია დაქირავებული შრომის და მისი მოხმარების სპეციფიკური განსაზღვრულობა, სახელდობრ, მისი თვისება: გაადიდოს იმ საქონელთა ღირებულება, რომლებზეც იგი გაიცვლება, წარმოქმნას ზედმეტი ღირებულება, — ამით კი უკუგდებულია ის სპეციფიკური ურთიერთობაც, რომლის მეოხებითაც ფული და საქონელი კაპიტალად იქცევა. «მომსახურება» — ეს არის შრომა, აღებული მხოლოდ როგორც სახმარი ღირებულება (ეს კი რაღაც მეორეხარისხოვანია კაპიტალისტურ წარმოებაში), სავსებით ისევე, როგორც სიტყვაში «პროდუქტი» საქონლის არსი და მასში არსებული წინააღმდეგობა დაფარულია. სავსებით თანმიმდევრულია, რომ ფული ასეთ შემთხვევაში განიხილება როგორც მხოლოდ შუამავალი პროდუქტების გაცვლისა და არა როგორც არსებითი და აუცილებელი ფორმა საქონლის არსებობისა, საქონლისა, რომელმაც გარდუვალად

უნდა გამოავლინოს თავისი თავი საცვლელი ღირებულების სახით, საყოველთაო საზოგადოებრივი შრომის სახით. რადგან საქონლის მხოლოდ სახმარ ღირებულებად (პროდუქტად) ასეთი გადაქცევით წაშლილია [710] საცვლელი ღირებულების არსი, ამიტომ ასევე ადვილად ხდება შესაძლებელი — ანუ, უფრო სწორად, აუცილებელი — უარყოფა ფულისა როგორც საქონლის არსებითი ფორმისა, რომელიც მეტამორფოზის პროცესში გვევლინება დამოუკიდებელ ფორმად საქონლის თავდაპირველი ფორმის მიმართ.

მაშასადამე, აქ კრიზისებს თავიდან იცილებენ თავიანთ მსჯელობაში იმით, რომ ივიწყებენ ან უარყოფენ კაპიტალისტური წარმოების ამოსავალ წანამძღვრებს — პროდუქტის არსებობას საქონლის სახით, საქონლის გაორებას საქონლად და ფულად, აქედან გამომდინარე გათიშვის მომენტებს საქონელთა გაცვლაში, ბოლოს, იმ ურთიერთობებს, რაშიაც ფული ან საქონელი დაქირავებულ შრომასთან იმყოფება.

უკეთესად როდია, სხვათა შორის, საქმის ვითარება იმ ეკონომისტებთან (როგორც, მაგალითად, ჯ. სტ. მილთან), რომელთაც სურთ კრიზისები ახსნან კრიზისის ამ უბრალო შესაძლებლობით, რასაც საქონელთა მეტამორფოზი შეიცავს, — მაგალითად, ყიდვისა და გაყიდვის გათიშვით. ეს განსაზღვრანი, რომელნიც კრიზისის შესაძლებლობას გვიხსნიან, ჯერ კიდევ სრულიად ვერ გვიხსნიან ამ კრიზისის სინამდვილეს, ვერ გვიხსნიან იმას, თუ რატომ შედიან [ცვლაგწარმოების] პროცესის ფაზები ისეთ კონფლიქტში, რომ მათს შინაგან ერთიანობას მხოლოდ კრიზისის გზით, ძალდატანებითი პროცესის გზით შეუძლია გვამცნოს თავის თავი. ყიდვისა და გაყიდვის ეს გათიშვა ვლინდება სწორედ კრიზისში; ეს გათიშვა არის კრიზისის ელემენტარული ფორმა. ახსნა კრიზისი მისი ამ ელემენტარული ფორმით — ნიშნავს ახსნა მისი არსებობა იმით, რაც მის ყოფიერებას მისი უაღრესად აბსტრაქტული ფორმით გამოხატავს; ე. ი. ახსნა კრიზისი კრიზისით.

«ყოველი ადამიანი» — ამბობს რიკარდო *, — «აწარმოებს მხოლოდ მოხმარების ან გაყიდვის მიზნით, და იგი მხოლოდ იმ მიზნით ყიდის, რომ იყიდოს რომელიმე სხვა საქონელი, რომელიც უშუალოდ სასარგებლო იქნებოდა მისთვის ან გამოსადეგი მომავალი წარმოებისათვის. ამრიგად, როცა აწარმოებს, იგი აუცილებლად ხდება ან თავისი საკუთარი პროდუქტის მომხმარებელი, ან სხვა რომელიმე პირის პროდუქტთა მყიდველი და მომხმარებელი. შეუძლებელია ეფიქრაუდოთ, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 662. რედ.

ცუდად იქნება ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რომელი საქონლის წარმოება შეიძლება იყოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი იმ მხრივ, რომ დასახულ მიზნამდე მიაღწიოს, სახელდობრ — შ ე ი ძ ი ნ ო ს ს ხ ვ ა პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი. და ა მ ა ტ ო მ ნაკლებმოსალოდნელია, რომ იგი მ უ დ ა მ (continually) დაამზადებს ისეთ საქონელს, რომლის მოთხოვნაც არ არის» (გვ. 339 — 340).

ეს ბავშვური ყბედობა შეეფერება არა რიკარდოს, არამედ ვინმე სეის. უწინარეს ყოვლისა, არც ერთი კაპიტალისტი არ აწარმოებს იმისათვის, რათა თავისი პროდუქტი მოიხმაროს. და როცა კაპიტალისტურ წარმოებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ: «არც ერთი ადამიანი არ აწარმოებს თავისი პროდუქტის მოხმარების მიზნით», მაშინაც კი, თუ იგი თავისი პროდუქტის რაიმე ნაწილებს ხელახლა საწარმოო მოხმარებისათვის იყენებს. მაგრამ რიკარდოსთან ლაპარაკია კერძო მოხმარებაზე. რიკარდომ წინათ დაიფიწყა, რომ პროდუქტი საქონელია. ახლა მან შრომის საზოგადოებრივი დანაწილებაც კი დაიფიწყა. იმ საზოგადოებრივ პირობებში, როცა ადამიანები თავისთვის აწარმოებენ, მართლაც არ არის კრიზისები, მაგრამ არ არის აგრეთვე კაპიტალისტური წარმოებაც. ჩვენ არასოდეს არც გვსმენია, რომ ძველი ხალხები, რომელთა შეურნეობაც მონობას ემყარებოდა, ოდესმე კრიზისებს იცნობდნენ, თუმცა ცალკეული მწარმოებელნი ძველადაც კოტრდებოდნენ ხოლმე. პირველი ნაწილი ალტერნატივისა [«მოხმარების ა ნ გაყიდვის მიზნით»] უაზრობაა. სისულელეა მეორე ნაწილიც. ადამიანს, რომელმაც პროდუქტი აწარმოვა, არა აქვს [კაპიტალისტური წარმოების პირობებში] არჩევანი: გაყიდოს თუ არა. იგი იძულებულია გ ა ყ ი დ ო ს. და აი კრიზისების დროს სწორედ ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომ მას არ შეუძლია გაყიდოს ან შეუძლია გაყიდოს მხოლოდ ხარჯთფასზე დაბლა ანდა იძულებულიც კია პირდაპირ ზარალით გაყიდოს. რა სარგებლობა აქვს მას, ასევე ჩვენც, იმით, რომ მან თავისი პროდუქტი გასაყიდად აწარმოვა? საქმე სწორედ ისაა, რომ გავარკვიოთ, რა უშლის ხელს ამ მისი კეთილი განზრახვის განხორციელებას.

შემდეგ:

«ყოველი ადამიანი ყ ი დ ი ს მხოლოდ ამ მიზნით, რომ ი ყ ი დ ო ს რომელიმე სხვა საქონელი, რომელიც უშუალოდ სასარგებლო იქნებოდა მისთვის ან გამოსადეგი მომავალი წარმოებისათვის» (იქვე).

როგორი იდილიური გადმოცემაა ბურჟუაზიული ურთიერთობისა! რიკარდო იმასაც კი ივიწყებს, რომ ვინმეს შეუძლია გ ა ყ ი დ ო ს, რათა გ ა დ ა ი ხ ა დ ო ს, და რომ იძულებითი გაყიდვა

ძეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრიზისებში. კაპიტალისტის უახლოესი მიზანი გაყიდვისას ისაა, რომ უკუგარდაქმნას თავისი საქონელი ანუ, უფრო სწორად, თავისი საქონლური კაპიტალი ფულად კაპიტალად და ამით რეალიზაცია უყოს თავის მოგებას. მოხმარება — შემოსავალი — სრულიადაც არ არის ამ პროცესის წარმმართველი მომენტი, როგორ მომენტსაც იგი მართლა წარმოადგენს იმ ადამიანისათვის, რომელიც საქონელს იმ მიზნით ყიდის, რათა იგი საარსებო საშუალებებად გადააქციოს. კაპიტალისტური წარმოების დროს კი შემოსავალი [მოხმარება] გვევლინება როგორც შედეგი და არა როგორც განმსაზღვრელი მიზანი. თვითეული უწინარეს ყოვლისა იმისათვის ყიდის, რათა გაყიდოს, ე. ი. რათა საქონელი ფულად აქციოს.

[711] კრიზისის დროს ადამიანი შეიძლება ძეტად კმაყოფილი იყოს, თუ მან გაყიდა, ყიდვაზე კი მას შეუძლია ჯერ არც იფიქროს. რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ რეალიზებულმა ღირებულებამ შეძლოს ხელახლა ამოქმედება როგორც კაპიტალმა, მან უნდა განვლოს კვლავწარმოების პროცესი, ე. ი. იგი ხელახლა უნდა გაიცვალოს შრომისა და საქონელზე. მაგრამ კრიზისი სწორედ კვლავწარმოების პროცესის დარღვევისა და შეწყვეტის მომენტია. და ამ დარღვევის ახსნა არ შეიძლება იმაზე მითითებით, რომ მას ადგილი არა აქვს იმ პერიოდებში, როცა კრიზისი არ არის. ეჭვს გარეშეა, რომ არავინ არ «დაამზადებს მუდამ ისეთ საქონელს, რომლის მოთხოვნაც არ არის» (გვ. 339 — 340), მაგრამ ასეთ უაზრო ჰიპოთეზას არც არავინ გამოთქვამს. და იგი საერთოდ სრულიად არ შეეხება საკმეს. კაპიტალისტური წარმოების მიზანი უწინარეს ყოვლისა არის არა «სხვა პროდუქტების შეძენა», არამედ ღირებულების, ფულის, აბსტრაქტული სიმდიდრის მითვისება.

რიკარდოს მსჯელობას აქ საფუძვლად უდევს აგრეთვე ჩემ მიერ წინათ განხილული [129] დებულება ჯემს მილისა «ყიდვათა და გაყიდვათა მეტაფიზიკური წონასწორობის» შესახებ — დებულება, რომელიც ყიდვისა და გაყიდვის პროცესებში ხედავს მხოლოდ ერთიანობას, მაგრამ არა გათიშვას. აქედან წარმოდგება რიკარდოს ასეთი მსჯელობაც (ჯემს მილის ყაიდაზე):

«რომელიმე ცალკეული საქონელი შეიძლება წარმოებულ იქნეს ზედმეტი რაოდენობით და ბაზარზე შეიძლება აღმოჩნდეს იგი ისე ჭარბად, რომ მასზე დახარჯული კაპიტალი ჯერ ანაზღაურდეს; მაგრამ ეს არ შეიძლება მოუვიდეს ყველა საქონელს» (გვ. 341 — 342).

ფული არა მარტო ისეთი «შუამავალია, რომლის მეშვეობით გაცვლა წარმოებს» (გვ. 341), არამედ ამასთანავე ისეთი შუამავალიც, რომლის მეოხებით პროდუქტის პროდუქტზე გაცვლა იყოფა ორ ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ და დროისა და სივრცის მიხედვით გათიშულ აქტად. ფულს ზემოაღნიშნული რიკარდოსეული მცდარი გაგება იმას ემყარება, რომ იგი განიხილავს მხოლოდ საცვლელი ღირებულების რაოდენობრივ განსაზღვრას, სახელდობრ, იმას, რომ ღირებულება უდრის სამუშაო დროის გარკვეულ რაოდენობას, და ივიწყებს, პირიქით, მის თვისებრივ განსაზღვრას, სახელდობრ, იმას, რომ ინდივიდუალური შრომა მხოლოდ თავისი გასხვისების (alienation) გზით უნდა გამოიხატებოდეს, როგორც აბსტრაქტულად საყოველთაო, საზოგადოებრივი შრომა *.

დებულება იმის შესახებ, რომ საქონელთა არა ყველა სახეობა, არამედ მათი მხოლოდ ცალკეული სახეობანი შეიძლება აღმოჩნდეს «ბაზარზე უხვად», რომ ჭარბწარმოება ამიტომ შეიძლება იყოს მხოლოდ ნაწილობრივი, წინააღმდეგობიდან უბადრუკი თავის დაძვრენაა. უწინარეს ყოვლისა, თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ საქონლის ბუნებას, არაფერი არ უშლის ხელს იმას, რომ ყველა საქონელი უხვად იყოს ბაზარზე და რომ ამიტომ ყველა თავის ხარჯთფასზე დაბლა დაეცეს [130]. აქ ხომ ლაპარაკია სწორედ მარტოოდენ კრიზისის მომენტზე. სწორედ ყველა საქონელი, გარდა ფულისა. ის, რომ მოცემული საქონელი აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ფულით, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს აუცილებლობა არსებობს ყველა საქონლისათვის. და იმდენადვე, რამდენადაც ცალკეული საქონლისათვის ძნელია ამ მეტამორფოზის გავლა, ეს შეიძლება ძნელი იყოს ასევე ყველა საქონლისთვისაც. საერთო ბუნება საქონელთა მეტამორფოზისა, — რომელიც შეიცავს ყიდვისა და გაყიდვის ერთიმეორისაგან გამოყოფას, ისევე როგორც მათს ერთიანობას, — არათუ არ გამოხატავს ბაზრის საყოველთაო პირთამდე ავსების შესაძლებლო-

* [718] (ის გარემოება, რომ რიკარდო ფულს განიხილავს როგორც მხოლოდ მიმოქცევის საშუალებას, იგივეა, რომ იგი საცვლელ ღირებულებას განიხილავს მხოლოდ როგორც წარმავალ ფორმას, საერთოდ როგორც მხოლოდ ფორმალურს ბურჟუაზიული, ანუ კაპიტალისტური წარმოებისათვის; ამიტომაც ეს უკანასკნელი მას მიაჩნია არა სპეციფიკურად განსაზღვრულ წარმოების წესად, არამედ საერთოდ ერთადერთ წარმოების წესად). [718].

ბ ა ს, არამედ, პირიქით, თვით არის სწორედ ეს შესაძლებლობა საყოველთაო პირთამდე ავსებისა.

შემდეგ, რიკარდოსებურ და სხვა მსგავს მსჯელობათა ამოსავალი წერტილია, რა თქმა უნდა, შეფარდება არა მარტო ყ ი დ ვ ა ს ა და . გ ა ყ ი დ ვ ა ს შორის, არამედ მოთხოვნასა და მიწოდებას შორისაც, რაც ჩვენ უნდა გავარკვიოთ მხოლოდ კაპიტალების კონკურენციის განხილვისას. მილის თანახმად, ყიდვა არის გაყიდვა და ა. შ., აქედან გამოდის, რომ მოთხოვნაც მიწოდებაა, მიწოდება კი — მოთხოვნა. მაგრამ ისინი ხომ ასევე გამოეყოფიან ერთიმეორეს და მათ შეუძლიათ მოიპოვონ თავისთავადობა ერთიმეორის მიმართ. ყველა საქონლის მიწოდება შეიძლება მოცემულ მომენტში იყოს ყველა საქონლის მოთხოვნაზე მეტი იმის გამო, რომ ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ქ ო ნ ლ ი ს, ფულის, საცვლელი ღირებულების მოთხოვნა მეტია ყველა განსაკუთრებული საქონლის მოთხოვნაზე, სხვა სიტყვებით, იმის გამო, რომ ფულით საქონლის გამოხატვის, მისი საცვლელი ღირებულების რეალიზაციის მომენტი სძლევს სახმარ ღირებულებად საქონლის უკუგარდაქმნის მომენტს.

თუ შეფარდებას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის უფრო ფართო და უფრო კონკრეტული აზრით გავიგებთ, აქ შევა შეფარდება წ ა რ მ ო ე ბ ა ს ა და მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ს შორის. აქ კვლავ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ფარული მდგომარეობაში მყოფი ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ორივე ამ მომენტისა, რაც სწორედ კრიზისში მეღავნდება ხოლმე ნაძალადევად, ერთიანობა მის მიმართებაში ამავე მომენტების არსებულ გ ა თ ი შ ვ ა ს ა და დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ უ ლ ო ბ ა ს თ ა ნ, რაც დამახასიათებელიც კია ბურჟუაზიული წარმოებისათვის.

რაც შეეხება ნაწილობრივი ჭარბწარმოების დაპირისპირებას საყოველთაო ჭარბწარმოებისადმი, რამდენადაც საქმე იმას ეხება, რომ ჭარბწარმოების ერთი სახეობა ვალიაროთ მეორის თავიდან აცილების მიზნით, ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

ჯ ე რ ე რ თ ი: კრიზისებს მეტწილად წინ უძღვის ყველა იმ საგნის ფასების საყოველთაო ხელოვნური გადიდება, რომლებიც კაპიტალისტური წარმოების პროდუქტებია. ამიტომ ყველა ეს საქონელი მონაწილეობს მომდევნო კრახში, და იმ ფასების პირობებში, რაც ამ საქონელთ კრახამდე ჰქონდათ, ისინი ყველანი ქმნიან ბაზრის ვადატვირთვას. ბარჯთფასებზე უფრო დაბლა დაცემული ფასების კვალობაზე ბაზარს შეუძლია საქონელთა ისეთი მასა შთანთქას, რომელსაც იგი ვერ შთანთქავდა მათი წინანდელი საბაზრო ფასების

პირობებში. საქონელთა სიუხარბე ყოველთვის შეფარდებითია, ე. ი. ეს არის საქონელთა სიუხარბე მოცემული ფასების დროს. ის ფასები, რომელთა პირობებშიც ამ შემთხვევაში საქონელი შთანთქმება, ეამანადგურებელია მწარმოებლისათვის ან ვაჭრისათვის.

[712] მ ე ო რ ე: იმისათვის, რათა კრიზისი (მაშასადამე, ჭარბწარმოებაც) საყოველთაო იყოს, საკმარისია, რომ იგი შეეხოს ვაჭრობის წამყვან საგნებს.

[9) რიკარდოს მცდარი შეხედულება წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებულ თანაფარდობაზე კაპიტალიზმის პირობებში]

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით, თუ როგორ ცდილობს რიკარდო თავი აარიდოს თავის მსჯელობაში ბაზარზე საქონლის საყოველთაო სიუხარბის ფაქტს:

«რომელიმე ცალკეული საქონელი შეიძლება წარმოებულ იქნეს ზედმეტი რაოდენობით და ბაზარზე შეიძლება აღმოჩნდეს იგი ისე ჭარბად, რომ მასზე დახარჯული კაპიტალი ვერ ანაზღაურდება; მაგრამ ეს არ შეიძლება მოუვიდეს ყველა საქონელს. პურის მოთხოვნა შემოისაზღვრება იმ მკამელთა რიცხვით, რომლებიც მას მოიხმარენ, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის მოთხოვნა კი — იმ პირთა რიცხვით, რომლებმაც ისინი უნდა ატარონ. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ საზოგადოებას ან საზოგადოების ნაწილს შეუძლია ჰქონდეს იმდენი პური, ქუდი და ფეხსაცმელი, რამდენიც მას შეუძლია და სურს მოიხმაროს. ამ ი ს თ ქ მ ა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ყ ვ ე ლ ა პ რ ო დ უ ქ ტ ზ ე, რ ო მ ე ლ თ ა ც ბ უ ნ ე ბ ი ან მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა ა წ ა რ მ ო ე ბ ს. ზოგიერთი ადამიანი მეტ ღვინოს მოიხმარდა, თუ მას მისი შემჭმის შესაძლებლობა ექნებოდა. ზოგიერთებს ღვინო საკმაოდ აქვთ, მაგრამ მათ სურთ გაადიდონ თავიანთი ავეჯის რაოდენობა ან გაუმჯობესონ მისი ხარისხი. ზოგიერთებს კიდეე სურთ თავიანთი პარკების გაჭშვენება ანდა თავიანთი სახლების გაფართოება. სურვილი ყოველივე ამისა ანდა აქედან რაიმეს გაკეთებისა ჩანერგილია ყოველი ადამიანის გულში; ა მ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ჭ ი რ ო ა მ ხ ლ ო დ ე ლ ი ს ა თ ა ნ ა დ ო ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი, და ა მ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა ო ბ ა ც ე ბ ა ს ხ ვ ა ს ა რ ა ფ ე რ ს შ ე უ ძ ლ ი ა, თ უ ა რ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა» (ვვ. 341 — 342).

განა შესაძლებელია უფრო ბეშვური მსჯელობა? იგი ნიშნავს შემდეგს. რომელიმე ცალკეული საქონელი შეიძლება უფრო მეტი რაოდენობით იქნეს წარმოებული, ვიდრე მისი მოხმარება შეიძლება. მაგრამ ეს არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ყ ვ ე ლ ა საქონელს ეხებოდეს. ეს იმიტომ, რომ საქონელთა ფიერ დასაკმაყოფილებელი მოთხოვნილებანი უსაზღვროა, და ყველა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ერთდროულად არ ხდება. პირიქით, ერთი

მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მეორე მოთხოვნილება, ასე ვთქვათ, ფარულ მდგომარეობაში გადაჰყავს. გამოდის, რომ არაფერი არაა საჭირო, გარდა ამ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საშუალებებისა, ამ საშუალებათა მოპოვება კი შეიძლება მხოლოდ წარმოების გადიდებით. მაშასადამე, საყოველთაო ჭარბწარმოება შეუძლებელია.

რა საჭიროა ყოველივე ეს? ჭარბწარმოების მომენტებში ერის მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით მუშათა კლასი) უფრო ნაკლებად არის, ვიდრე სხვა რომელიმე დროს, უზრუნველყოფილი პურით, ფეხსაცმლით და ა. შ., თუ აღარაფერს ვიტყვით უკვე ღვინოსა და ავეჯზე. ჭარბწარმოების წარმოქმნა რომ შესაძლებელი იყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერის ყველა წევრმა საარსებო მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილა, მაშინ ბურჟუაზიული საზოგადოების ისტორიაში დღემდე არც ერთხელ არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა არათუ საყოველთაო, არამედ ნაწილობრივ ჭარბწარმოებასაც კი. თუ, მაგალითად, ბაზარზე ფეხსაცმლის, ჩითის, ღვინის ან კოლონიური პროდუქტების დიდი სიჭარბეა, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ერის თუნდაც ორმა მესამედმა სავსებით დაიკმაყოფილა თავისი მოთხოვნილება ფეხსაცმელზე, ჩითზე და ა. შ.? რა კავშირი არსებობს საერთოდ ჭარბწარმოებასა და აბსოლუტურ მოთხოვნილებებს შორის? ჭარბწარმოება დაკავშირებულია მხოლოდ გადახდისუნარიან მოთხოვნილებებთან. ლაპარაკია არა აბსოლუტურ ჭარბწარმოებაზე თავისთავად, მის მიმართებაში აბსოლუტურ მოთხოვნილებასთან ანდა საქონელთა ფლობის სურვილთან. ამ აზრით არ არსებობს არც ნაწილობრივი, არც საყოველთაო ჭარბწარმოება, და ისინი სულაც არ უპირისპირდებიან ერთიმეორეს.

მაგრამ, იტყვის რიკარდო, თუ არსებობს უამრავი ადამიანი, რომელთაც ფეხსაცმელი და ჩითი სჭირდებათ, მაშინ რატომ არ შეუძლიანთ ისინი ამ საგნების საყიდლად საჭირო საშუალებებს, რატომ არ აწარმოებენ ისეთ რამეს, რითაც მათ ფეხსაცმლისა და ჩითის ყიდვა შეუძლიათ? კიდევ უფრო მარტივი არ იქნებოდა გვეთქვა: რატომ არ აწარმოებენ ისინი თავისთვის ფეხსაცმელსა და ჩითს? და კიდევ უფრო განსაცვიფრებელი ჭარბწარმოებაში ის არის, რომ ამ საქონელთა ნამდვილ მწარმოებელთ, რომლებიც ბაზარს პირთამდე ავსებენ, — მუშებს — აკლიათ ეს საქონელი. აქ არ შეიძლება ვთქვათ, რომ მათ უნდა ეწარმოებინათ ეს საგნები, რათა მიეღოთ ისინი, ვინაიდან მათ ისინი აწარმოეს და მაინც არა აქვთ. არ შეიძლება აგრეთვე ვთქვათ, რომ გარკვეული საქონელი იმიტომ ავსებს პირ-

თამდე ბაზარს, რომ არ არის ამ საქონლის მოთხოვნილება. თუ, მაშასადამე, ნაწილობრივი ჭარბწარმოებაც კი არ შეიძლება იმით აიხსნას, რომ რაოდენობა იმ საქონელთა, რომელნიც ბაზარს პირთამდე ავსებენ, აღემატება მათზე მოთხოვნილებას, მაშინ საყოველთაო ჭარბწარმოებას უკვე ვერასგზით ვერ შევძლებთ თავი ავარიდოთ იმაზე მსჯელობით, რომ არსებობს მოთხოვნილება ბევრი ისეთი საქონლისა, რომლებიც ბაზარზეა, — მოთხოვნილება, რომელიც დაუკმაყოფილებელი რჩება.

დავუბრუნდეთ ჩითის ფაბრიკანტის* ბაგალითს. სანამ კვლავწარმოება შეუფერხებლად მიმდინარეობდა, — და, მაშასადამე, შეუფერხებლად მიმდინარეობდა ამ კვლავწარმოების ის ფაზაც, რომელშიც ჩითი, პროდუქტი, რომელიც არსებობს როგორც საქონელი, როგორც გასაყიდი საქონელი, უკუგადაიქცეოდა ფულად თავისი ღირებულების კვალობაზე, — მანამდე ჩითის მწარმოებელი მუშები ასევე მოიხმარდნენ, ვთქვათ, ამ ჩითის ნაწილს, ხოლო წარმოების გაფართოებასთან, ე. ი. დაგროვებასთან, ერთად ისინი მოიხმარდნენ მას შესაბამისად უფრო მეტი რაოდენობით, ანუ ჩითის წარმოებაში დასაქმებული იყო მეტი მუშა და ეს მუშები ამასთანავე ნაწილობრივ ჩითის მომხმარებლებიც იყვნენ.

[10) კრიზისის შესაძლებლობის გადაჭცევა სინამდვილედ. კრიზისი როგორც ბურჟუაზიული ეკონომიკის ყველა წინააღმდეგობის გამოვლენა]

ვიდრე უფრო შორს წავიდოდეთ, აღვნიშნავთ შემდეგს.

(უშუალო) წარმოების პროცესისა და მიმოქცევის პროცესის ერთიმეორისაგან განცალკევება წარმოადგენს კვლავ — და უფრო განვითარებული სახით — კრიზისის შესაძლებლობას, რომელიც უკვე საქონლის უბრალო მეტამორფოზის[131] განხილვისას გამომჟღავნდა. როგორც კი ეს პროცესები, იმის მაგივრად, რომ ერთიმეორეში ნორნარად გადადიოდნენ, [713] დამოუკიდებელნი ხდებიან და ერთმანეთს უპირისპირდებიან,—კრიზისი უკვე არსებობს.

საქონლის მეტამორფოზის დროს კრიზისის გამომხატველია შემდეგი:

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 641 და შემდგომი (იქ «ჩითის ფაბრიკანტის» ნაცვლად არის «ტილოს ფაბრიკანტი», რაც სრულიად არ სცვლის საქმის დედააზრს). რედ.

ჯერ ერთი, საქონელი, რომელიც რეალურად არსებობს როგორც სახმარი ღირებულება, იდეალურად კი, ფასში, როგორც საცვლელი ღირებულება, უნდა გადაიქცეს ფულად: ს — ფ. თუ ეს სიძნელე — გაყიდვა — გადაწყვეტილია, მაშინ ყიდვა, ფ — ს, უკვე აღარ წარმოადგენს სიძნელეს, რადგან ფულს ყველაფერზე უშუალოდ გაცვლის უნარი შესწევს. აუცილებელ წანამძღვარს ამასთან წარმოადგენს საქონლის სახმარი ღირებულების არსებობა, სარგებლობა შრომისა, რომელსაც საქონელი შეიცავს; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საერთოდ საქონელი არ არის. შემდეგ იგულისხმება, რომ საქონლის ინდივიდუალური ღირებულება უდრის მის საზოგადოებრივ ღირებულებას, ე. ი. რომ მასში მატერიალიზებული სამუშაო დრო უდრის ამ საქონლის წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროს. ამიტომ კრიზისის შესაძლებლობა, რამდენადაც იგი მეტამორფოზის უბრალო ფორმით მეღავნდება, მხოლოდ იქიდან გამომდინარეობს, რომ ის სხვადასხვა ფორმები — ის ფაზები, რომლებსაც საქონლის მეტამორფოზი გაივლის თავის მოძრაობაში, — ჯერ ერთი, აუცილებლად ერთიმეორის შემავსებელი ფორმები და ფაზებია, მეორე კი, მიუხედავად ამ შინაგანი აუცილებელი ურთიერთკავშირისა, ისინი პროცესის ისეთი ნაწილები და ფორმებია, რომელნიც არსებობენ ინდიფერენტულად ერთიმეორის მიმართ, არ ემთხვევიან ერთმანეთს დროისა და სივრცის მიხედვით, შეუძლიათ დასცილდნენ და დაცილებულნიც არიან ერთიმეორეს და დამოუკიდებელნი ერთმანეთისაგან. მაშასადამე, კრიზისის შესაძლებლობას შეიცავს აქ მხოლოდ გაყიდვისა და ყიდვის ერთმანეთისაგან გამოყოფა. მხოლოდ საქონლის ფორმაში უხდება საქონელს აქ მის წინაშე მდგომი სიძნელის გადალახვა. როგორც კი საქონელი ფულის ფორმას მოიპოვებს, ეს სიძნელე დავიწყებას ეძლევა. მაგრამ შემდეგ ესეც გაყიდვისა და ყიდვის ერთმანეთისაგან დაშორებაზე დადის. თუ საქონელს არ ექნებოდა იმის შესაძლებლობა, რომ ფულის ფორმით მიეტოვებინა მიმოქცევის სფერო, ანუ, სხვა სიტყვებით, გადაედო თავისი უკუგადაქცევა საქონლად, — თუ — როგორც ამას ადგილი აქვს უშუალო გაცვლითი ვაჭრობის დროს — ყიდვა და გაყიდვა ერთმანეთს დაემთხვეოდა, მაშინ დაშვებული ვარაუდის პირობებში კრიზისის შესაძლებლობა მოიხსნებოდა. ვინაიდან ნაგულისხმევია, რომ საქონელი არის სახმარი ღირებულება სხვა საქონელთმფლობელთათვის. უშუალო გაცვლითი ვაჭრობის ფორმაში საქონელი არ შეიძლება გაიცვალოს მხოლოდ მაშინ, როცა ის არ წარმოადგენს სახმარ ღირებულებას ანდა როცა მეორე

ბხარეზე არ არის სხვა სახმარი ღირებულებანი, რომელთა გაცვლაც ნასზე შეიძლებოდა; მაშასადამე, მხოლოდ ორი პირობისას: ან როცა ერთმა მხარემ უსარგებლო რამ აწარმოვა, ანდა როცა მეორე მხარეს არ მოეპოვება რაიმე სასარგებლო, რის გაცვლაც, ეკვივალენტის სახით, შეიძლებოდა იმ სახმარ ღირებულებაზე, რაც პირველ მხარეს აქვს. მაგრამ ორივე შემთხვევაში გაცვლას საერთოდ არ ექნებოდა ადგილი. მაგრამ გაცვლას რომ ადგილი ჰქონდეს, მისი მომენტები არ იქნებოდა ერთიმეორისაგან გათიშული. მყიდველი იქნებოდა გამყიდველი, გამყიდველი — მყიდველი. ამრიგად, მოიხსნებოდა გაცვლის ფორმიდან გამომდინარე კრიტიკული მომენტი, რამდენადაც გაცვლა არის მიმოქცევა, — და თუ ჩვენ ვამბობთ, რომ მეტამორფოზის უბრალო ფორმა კრიზისის შესაძლებლობას შეიცავს, ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ თვით ამ ფორმაშია მოთავსებული იმ მომენტების გათიშვისა და ერთმანეთისაგან გამოყოფის შესაძლებლობა, რომლებიც არსებითად ერთიმეორეს ავსებენ.

მაგრამ ეს შეეხება აგრეთვე შინაარსსაც. უშუალო გაცვლითი ვაჭრობის დროს ამა თუ იმ პროდუქტების მწარმოებლის პროდუქციის მთავარი მასა განკუთვნილია მისი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ანდა, შრომის რამდენადმე უფრო განვითარებული დანაწილებისას, საწარმოო საქმიანობაში მისი თანაამხანაგების იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებიც მისთვის ცნობილია. ის, რაც უნდა გაიცვალოს როგორც საქონელი, პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქტის გადანამეტია, და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს გაიცვლება თუ არა ეს გადანამეტი. საქონელწარმოებისას პროდუქტის გადაქცევა ფულად, გაყიდვა, არის conditio sine qua non *. უშუალო წარმოება მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მოხსნილია. თუ საქონელი არ იყიდება, მაშინ კრიზისია. სიძნელე საქონლის — ინდივიდუალური შრომის განსაკუთრებული პროდუქტის — გადაქცევისა ფულად, მის დაპირისპირებულობად, აბსტრაქტულად საყოველთაო, საზოგადოებრივ შრომად, ის არის, რომ ფული არ გვევლინება როგორც ინდივიდუალური შრომის განსაკუთრებული პროდუქტი, რომ ის, ვინც გაყიდა, ე. ი. ის, ვისაც ახლა საქონელი აქვს ფულის სახით, იძულებული არ არის მაშინვე იყიდოს ხელახლა, ხელახლა

* — აუცილებელი პირობა. რედ.

გადააქციოს ფული ინდივიდუალური შრომის განსაკუთრებულ პროდუქტად. გაცვლითს ვაჭრობაში ეს დაპირისპირებულობა არ არსებობს. აქ არავინ არ შეიძლება იყოს გამყიდველი, თუ იგი არ იქნება მყიდველი, და არ შეიძლება იყოს მყიდველი, თუ არ იქნება გამყიდველი. გამყიდველის სიძნელე, — თუ ვიგულისხმებთ, რომ მის საქონელს აქვს სახმარი ღირებულება, — მხოლოდ იქიდან წარმოდგება, რომ მყიდველს ადვილად შეუძლია გადადოს ფულის უკუგადაქცევა საქონლად. საქონლის ფულად გადაქცევის, მისი გაყიდვის ეს სიძნელე მხოლოდ იქიდან გამომდინარეობს, რომ საქონელი უნდა გადაიქცეს ფულად, ფული კი სრულიადაც არ უნდა გადაიქცეს დაუყოვნებლივ საქონლად, ასე რომ გაყიდვა და ყიდვა შეიძლება გაითიშოს ერთიმეორისაგან. ჩვენ ვთქვით, რომ ეს ფორმა შეიცავს კრიზისის შესაძლებლობას, ე. ი. იმის შესაძლებლობას, რომ ერთმანეთთან განუყოფელად დაკავშირებული მომენტები სცილდება ერთიმეორეს, რის გამოც მათი შეერთების ძალადური გზით ხორციელდება, ასე რომ მათი ურთიერთკავშირი გზას იკაფავს იმ დამოუკიდებლობის მიმართ ჩადენილი ძალადობის მეოხებით, რომელიც მათ ერთიმეორის მიმართ მოიპოვეს. [714] კრიზისი კი სხვა არაფერია, თუ არა ძალადური განხორციელება წარმოების პროცესის ფაზების ერთიანობისა, ფაზებისა, რომლებიც განცალკევდნენ და ერთიმეორის მიმართ დამოუკიდებელნი გახდნენ.

კრიზისის ზოგადი, აბსტრაქტული შესაძლებლობა სხვა არაფერია, თუ არა კრიზისის ყველაზე აბსტრაქტული ფორმა, შინაარსის გარეშე, კრიზისის შინაარსიანი წამქეზებელი მიზეზის გარეშე. გაყიდვა და ყიდვა შეიძლება ერთიმეორეს დაშორდეს. ისინი, მაშასადამე, კრიზისია potentia *, და მათი დამთხვევა ძუდამ კრიტიკულ მომენტად რჩება საქონლისათვის. მაგრამ შეიძლება, რომ ისინი ნარნარით გადადიოდნენ ერთიმეორეში. მაშასადამე, ძალაში რჩება ის, რომ კრიზისის ყველაზე აბსტრაქტული ფორმა (და ამიტომ კრიზისის ფორმალური შესაძლებლობა) თვით საქონლის მეტამორფოზია, რომელშიც, როგორც გაშლილი მოძრაობა, მოთავსებულია მხოლოდ ის წინააღმდეგობა საცვლელი და სახმარი ღირებულებისა, შემდეგ — ფულისა და საქონლისა, რასაც საქონლის ერთიანობა შეიცავს. მაგრამ იმას,

* — შესაძლებლობაში. რედ.

რისი მეოხებითაც კრიზისის შესაძლებლობა კრიზისად იქცევა, არ შეიცავს თვით ეს ფორმა; იგი შეიცავს მხოლოდ იმას, რომ ფ ო რ მ ა კრიზისებისათვის არსებობს.

და სწორედ მნიშვნელოვანიც ეს არის ბურჟუაზიული ეკონომიკის განხილვისას. მსოფლიო ბაზრის კრიზისები უნდა განიხილებოდეს როგორც ბურჟუაზიული ეკონომიკის ყველა წინააღმდეგობის გაერთიანება და ძალდატანებითი გაწონასწორება. ამიტომ ცალკეულ მომენტებს, რომლებიც, მაშასადამე, ამ კრიზისებში ერთიანდებიან, უნდა წინ ვაყენებდეთ და ვარკვევდეთ ბურჟუაზიული ეკონომიკის ყოველ სფეროში, და იმდენად, რამდენადაც სულ უფრო შორს ვიჭრებით ამ ეკონომიკაში, ჩვენ უნდა ვამჟღავნებდეთ ამ წინააღმდეგობის სულ ახალ და ახალ განსაზღვრებებს, მეორე მხრივ კი ცხადვყოფდეთ, თუ როგორ მეორდება და თავსდება მის უფრო კონკრეტულ ფორმებში მისი უფრო აბსტრაქტული ფორმები.

ამრიგად, შეიძლება ითქვას: კრიზისი თავისი პირველი ფორმით არის თვით მეტამორფოზი საქონლისა, ყიდვისა და გაყიდვის გამოყოფა ერთიმეორისაგან.

კრიზისი თავის მეორე ფორმით დაკავშირებულია ფულის — როგორც გადახდის საშუალების — ფუნქციასთან. ფული აქ ორ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დაშორებულ დროის მონაკვეთში ორ სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს.

ორივე ეს ფორმა ჯერ კიდევ სრულიად აბსტრაქტულია, თუმცა მეორე პირველზე უფრო კონკრეტულია.

ამრიგად, კაპიტალის კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი (რომელიც მის მიმოქცევას ემთხვევა) განხილვისას პირველ ყოველისა საჭიროა ცხადვყოთ, რომ ზემოაღნიშნული ფორმები აქ ეგზარალოდ მეორდებიან, ანუ, უფრო სწორად, პირველად აქ ფიგურირებენ შინაარსს, საფუძველს, რომელზეც მათ შეუძლიათ თავის თავი გამოავლინონ.

განვიხილოთ ის მოძრაობა, რომელსაც ასრულებს კაპიტალი იმ მომენტიდან, როცა იგი, როგორც საქონელი, წარმოების პროცესს მიატოვებს, რათა შემდეგ იქიდან კვლავ წარმოიშვას საქონლის ფორმით. თუ ჩვენ აქ უყურადღებოდ დავტოვებთ შინაარსის ყველა შემდგომ განსაზღვრას, თვალწინ გადაგვეშლება შემდეგი: ერთობლივმა საქონლერმა კაპიტალმა, ისევე როგორც ფასში შემავალმა ყოველმა ცალკეულმა კაპიტალმაც, უნდა შეასრულოს პროცესი ს — ფ — ს, საქონლის მეტამორფოზი. ამრიგად, კრიზისის ზოგადი

შესაძლებლობა, რასაც ეს ფორმა შეიცავს, — ყიდვისა და გაყიდვის ერთიმეორისაგან განცალკევება, — მოთავსებულია კაპიტალის მოძრაობაშიც, რამდენადაც კაპიტალი ასევე საქონელია და მხოლოდ საქონელს წარმოადგენს. გარდა ამისა, სხვადასხვა საქონელთა მეტამორფოზების ურთიერთკავშირიდან გამომდინარეობს, რომ ერთი საქონელი გადაიქცევა ფულად იმიტომ, რომ მეორე საქონელი უკუგადაქცევა ფულის ფორმიდან საქონლად. მაშასადმე, ყიდვისა და გაყიდვის ერთიმეორისაგან გამოყოფა აქ გვევლინება, შემდეგ. ისეთი სახით, რომ ერთი კაპიტალის გადაქცევას საქონლის ფორმიდან ფულის ფორმად უნდა შეესაბამებოდეს მეორე კაპიტალის უკუგადაქცევა ფულის ფორმიდან საქონლის ფორმად, ერთი კაპიტალის პირველი მეტამორფოზი უნდა შეესაბამებოდეს მეორე კაპიტალის მეორე მეტამორფოზს, წარმოების პროცესის დატოვება ერთი კაპიტალის მიერ უნდა შეესაბამებოდეს მეორე კაპიტალის დაბრუნებას წარმოების პროცესში. სხვადასხვა კაპიტალის კვლავწარმოების თუ ბიმოქცევის ასეთი ურთიერთშეზრდა და გადახლართვა არის, ერთი მხრივ, აუცილებელი შრომის დანაწილების გამო, მეორე მხრივ კი — შემთხვევითი, და უკვე ამის გამო ფართოდდება კრიზისის შინაარსის განსაზღვრა.

ხოლო მეორე, რაც შეეხება კრიზისის შესაძლებლობას, ფულის — როგორც გადახდის საშუალების — ფორმიდან რომ გამომდინარეობს, კაპიტალის განხილვისას მეღავნდება უკვე ამ შესაძლებლობის სინამდვილად გადაქცევის გაცილებით უფრო რეალური საფუძველი. ძაგალითად, საქსოვი ფაბრიკის მფლობელმა უნდა გადიახადოს მთელი მუდმივი კაპიტალი, რომლის ელემენტებიც სართავი ფაბრიკის მფლობელმა, მესელემ, მანქანათმშენებელი და რკინასაკეთებელი ქარხნის მფლობელმა, ხე-ტყის მრეწველმა, ნახშირის მრეწველმა და სხვ. მიაწოდეს. რამდენადაც ეს უკანასკნელნი ისეთ მუდმივ კაპიტალს აწარმოებენ, რომელიც მხოლოდ მუდმივი კაპიტალის წარმოებაში შედის, საბოლოო საქონელში, ქსოვილში შეუსვლელად, ამდენად ისინი კაპიტალზე კაპიტალის გაცვლის გზით ერთმანეთს უნაზღაურებენ თავიანთ წარმოების პირობებს. დავუშვათ [715] ახლა, საქსოვი ფაბრიკის მფლობელი თავის ქსოვილს 1000 გირვ. სტერლინგად მიჰყიდის ვაჭარს, მაგრამ თამასუქით, ასე რომ ფული ასრულებს გადახდის საშუალების ფუნქციას. ამ თამასუქს საქსოვი ფაბრიკის მფლობელი თავის მხრივ მიჰყიდის ბანკირს, რომელსაც იგი ამ გზით, ვთქვათ, რაიმე ვალს უხდის ანდა რომელიც მას ამ თამასუქს უნაღ-

დებს. საკუთარი ასევე თამასუქით მიჰყიდა მესელემ საქონელი სართავი ფაბრიკის მფლობელს, უკანასკნელმა კი — საქსოვი ფაბრიკის მფლობელს, ზუსტად ასევე მანქანათმშენებელმა — სართავი ფაბრიკის მფლობელს, მეტალურგმა და ხე-ტყის მრეწველმა — მანქანათმშენებელს, ნახშირის მრეწველმა — სართავი და საქსოვი ფაბრიკების მფლობელებს, მანქანათმშენებელს, მეტალურგს და ხე-ტყის მრეწველს. გარდა ამისა, მეტალურგმა, ნახშირის მრეწველმა, ხე-ტყის მრეწველმა, მესელემ ერთმანეთს გადაუხადეს თამასუქებით. და აი, თუ ახლა ვაჭარი არ იხდის, მაშინ საქსოვი ფაბრიკის მფლობელს არ შეუძლია თავისი თამასუქი გადაუხადოს ბანკირს.

მესელემ თამასუქი გასცა სართავი ფაბრიკის მფლობელზე, მანქანათმშენებელმა — სართავი და საქსოვი ფაბრიკების მფლობელებზე. სართავი ფაბრიკის მფლობელს არ შეუძლია გადახდა, რადგან საქსოვი ფაბრიკის მფლობელს არ ძალუძს გადაიხადოს; ისინი ორივენი ვერ უხდიან მანქანათმშენებელს, ეს უკანასკნელი კი ვერ უხდის მეტალურგს, ხე-ტყის მრეწველს, ნახშირის მრეწველს. და მათ ყველას თავის მხრივ, .რაკი თავიანთი საქონლის რეალიზაციას ვერ ახდენენ, არ შეუძლიათ ღირებულების იმ ნაწილის ანაზღაურება, რომელიც მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს. ასე წარმოიშვება საყოველთაო კრიზისი. ეს სხვა არაფერია, თუ არა კ რ ი ზ ი ს ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა, რომელიც აღნიშნული იყო ფულის — როგორც გადახდის საშუალების — განხილვისას, მაგრამ ჩვენ ვხედავთ აქ, კაპიტალისტურ წარმოებაში, უკვე ურთიერთ სავალო მოთხოვნათა და ვალდებულებათა, ყიდვათა და გაყიდვათა ისეთ კავშირს, რომლის დროსაც კრიზისის შესაძლებლობა შეიძლება სინამდვილედ განვითარდეს.

ყ ვ ე ლ ა გ ა რ ე მ ო ე ბ ა შ ი ჩვენ გვაქვს შემდეგი:

თუ ყიდვა და გაყიდვა არ ჩარჩვბა დაძაბულ მდგომარეობაში ერთიმეორის წინააღმდეგ და ამიტომ აუცილებელი არ ხდება მათი ნაძალადევი გათანაბრება; თუ, მეორე მხრივ, ფული გადახდის საშუალების სახით ისე მოქმედებს, რომ სავალო ვალდებულებანი ერთმანეთს აბათილებენ და, მაშასადამე, არ ხორციელდება ის წინააღმდეგობა, რომელიც პოტენციურად არსებობს ფულში როგორც გადახდის საშუალებაში; თუ, მაშასადამე, კრიზისის ორივე ეს აბსტრაქტული ფორმა არ ვლინდება რეალურად როგორც ასეთი, — მაშინ კრიზისი არ არსებობს. არ შეიძლება კრიზისი არსებობდეს უიმისოდ, თუ ყიდვა და გაყიდვა არ გაითიშებიან ერთმანეთისაგან

და არ მოექცევიან წინააღმდეგობაში, ანდა უიმისოდ, თუ არ გამომეღავნდება ის წინააღმდეგობანი, რომელთაც შეიცავს ფული როგორც გადახდის საშუალება, მაშასადამე, უიმისოდ, თუ კრიზისი არ გამოვლინდება ამასთანავე თავისი მარტივი ფორმით — ყიდვისა და გაყიდვის წინააღმდეგობის ფორმით და ფულის — როგორც გადახდის საშუალების — წინააღმდეგობის ფორმით. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ფ ო რ მ ე ბ ი ა, კრიზისების შესაძლებლობის ზოგადი შესაძლებლობანი, და ამიტომ აგრეთვე ნამდვილი კრიზისის ფორმები, აბსტრაქტული ფორმები. კრიზისის მყოფობა მეღავნდება მათში როგორც თავისი უმარტივესი ფორმებით, ისე აგრეთვე თავისი უმარტივესი შინაარსით, რამდენადაც თვით ეს ფორმა მისი უმარტივესი შინაარსია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დ ა ს ა ბ უ თ ე ბ უ ლ ი შინაარსი. მარტივი ფულადი მიმოქცევა და ფულის — როგორც გადახდის საშუალების — მიმოქცევაც, — ერთიც და მეორეც დიდი ხნით ადრე კაპიტალისტურ წარმოებამდე ჩნდება და არ წარმოშობს კრიზისებს, — შესაძლებელი და ნამდვილია უკრიზისებოდ. მაშასადამე, მარტოოდენ ამ ფორმებით არ შეიძლება ავხსნათ, თუ რატომ ახდენენ ეს ფორმები თავიანთი კრიტიკული მხარის შეტრიალებას, რატომაა, რომ წინააღმდეგობა, რასაც ისინი potenlia * შეიცავენ, ვლინდება actu ** როგორც ასეთი.

აქედან ჩანს დიდი უხამსობა იმ ეკონომისტებისა, რომლებიც, რაკი უკვე არ ძალუძთ მსჯელობის საშუალებით თავიდან მოიშორონ ჭარბწარმოებისა და კრიზისების მოვლენები, თავს იმით იმშვიდებენ, რომ ზემოაღნიშნულ ფორმებში მოცემულია [მხოლოდ] შესაძლებლობა კ რ ი ზ ი ს ე ბ ი ს დაწყებისა, ასე რომ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი ა ისიც, რომ ისინი არ იწყება, და თვით მათი დ ა წ ყ ე ბ ა ც მხოლოდ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ო ბ ა დ წარმოგვიდგება.

საქონელთა მიმოქცევაში და შემდეგ ფულის მიმოქცევაში განვითარებული წინააღმდეგობანი — მაშასადამე, შესაძლებლობანიც კრიზისისა — თავისთავად კვლავ წარმოიქმნება კაპიტალში, რადგან საქონელთა და ფულის განვითარებულ მიმოქცევას სინამდვილეში ადგილი აქვს მხოლოდ კაპიტალის საფუძველზე.

მაგრამ ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ კვალდაკვალ მივსდიოთ პოტენციური კრიზისის შემდგომ განვითარებას, — რეალური კრიზისი შეიძლება გამოვიყვანოთ მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების,

---

* — პოტენციურად, შესაძლებლობაში. რ ე დ.

** — ნამდვილად, რეალურად, სინამდვილეში. რ ე დ.

კონკურენციისა და კრედიტის რეალური მოძრაობიდან, — იმაზე, რომ ცხადვყოთ პოტენციური კრიზისის შემდგომი განვითარება, რამდენადაც იგი გამომდინარეობს კაპიტალის იმ ფორმაგანსაზღვრულობათაგან, რომლებიც დამახასიათებელია მისთვის როგორც კაპიტალისათვის და რომელთაც არ შეიცავს მისი — როგორც საქონლისა და ფულის — მყოფობა.

[716] თავისთავად მარტოოდენ კაპიტალის (უშუალო) წარმოების პროცესს აქ არაფერი ახლის მიმატება არ შეუძლია. იმისათვის, რომ კაპიტალის წარმოების პროცესი არსებობდეს, ნაგულისხმევი უნდა იყოს მისი პირობები როგორც მოცემული. ამიტომ პირველ განყოფილებაში, სადაც ლაპარაკია კაპიტალზე — უშუალო წარმოების პროცესზე — კრიზისის არც ერთი ახალი ელემენტი არაა მიმატებული. პოტენციურად კრიზისის ელემენტი აქ მოცემულია, ვინაიდან წარმოების პროცესი არის ზედმეტი ღირებულების მითვისება, მაშასადამე, მისი წარმოებაც. მაგრამ თვით წარმოების პროცესში ეს არ შეიძლება გამოვლინდეს, რადგან მასში ჯერ კიდევ არაა ლაპარაკი არა მარტო კვლავწარმოებული ღირებულების რეალიზაციაზე, არამედ ზედმეტი ღირებულების რეალიზაციაზეც.

ეს შეიძლება პირველად გამომჟღავნდეს მხოლოდ მიმოქცევის პროცესში, რომელიც თავისთავად იმავდროულად კვლავწარმოების პროცესიც არის.

შემდეგ აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიმოქცევის პროცესი და კვლავწარმოების პროცესი მანამდე უნდა ავსახოთ, სანამ მზა კაპიტალს—კაპიტალსა და მოგებას ავსახავდეთ: ვინაიდან ჩვენ უნდა გავარკვიოთ არა მარტო ის, თუ როგორ აწარმოებს კაპიტალი, არამედ ისიც, თუ როგორ იწარმოება კაპიტალი. ნამდვილი მოძრაობა კი გამოდის უკვე არსებული კაპიტალიდან, — ეს ნამდვილი მოძრაობა ნიშნავს მოძრაობას განვითარებული, თავის თავიდან დაწყვები, თავისი თავის მგულისხმველი კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე. ამიტომ კვლავწარმოების პროცესი და კრიზისების ჩანასახები, რომლებმაც მასში შემდგომი განვითარება ჰპოვეს, შეიძლება თვით იმ განყოფილებაში, სადაც კვლავწარმოება განიხილება, მხოლოდ არასრულად გაირკვეს და საჭიროა მათი დამატებითი განხილვა თავში «კაპიტალი და მოგება»[132].

კაპიტალის ერთობლივი მიმოქცევის პროცესი და ერთობლივი კვლავწარმოების პროცესი არის ერთიანობა მისი წარმოების ფაზისა და მისი მიმოქცევის ფაზისა, ე. ი. ისეთი პროცესი, რომელიც გაივ-

ლის ორივე აღნიშნულ პროცესს როგორც თავის ფაზებს. აქ მოცემულია კრიზისის შესაძლებლობა, რამაც შემდგომი განვითარება ჰპოვა, ანუ მისი აბსტრაქტული ფორმა, რომელმაც ასევე შემდგომი განვითარება მიიღო. ამიტომ ეკონომისტები, რომლებიც კრიზისებს უარყოფენ, მხოლოდ ამ ორი ფაზის ერთიანობას იცავენ. ეს ფაზები რომ ერთმანეთს დაშორებულნი იყვნენ და რაღაც ერთიანს არ წარმოადგენდნენ, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მათი ერთიანობის ძალდატანებითი აღდგენა, შეუძლებელი იქნებოდა კრიზისი. ისინი რომ მხოლოდ ერთიანობას წარმოადგენდნენ და ერთმანეთს დაშორებული არ იყვნენ, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მათი ერთმანეთისაგან ძალდატანებითი ჩამოშორება, რაც კვლავ კრიზისს წარმოადგენს. კრიზისი არის ძალდატანებითი აღდგენა იმ მომენტების ერთიანობისა, რომლებიც დამოუკიდებელნი გახდნენ, და ძალდატანებითი გადაქცევა დამოუკიდებელ რამედ ისეთი მომენტებისა, რომლებიც არსებითად რაღაც ერთიანს წარმოადგენენ. [716]

[11) კრიზისის ფორმების საკითხისათვის]

[770 a] 716-ე გვერდისადმი.

ამრიგად:

1) კრიზისების ზოგადი შესაძლებლობა მოცემულია თვით კაპიტალის მეტამორფოზის პროცესში და თანაც ორნაირად. რამდენადაც ფული მიმოქცევის საშუალების ფუნქციას ასრულებს, კრიზისების შესაძლებლობას შეიცავს ყიდვისა და გაყიდვის ერთმანეთისაგან დაშორება. რამდენადაც ფული გადახდის საშუალების ფუნქციას ასრულებს, როცა იგი დროის ორ სხვადასხვა მომენტში მოქმედებს როგორც ღირებულების საზომი და როგორც ღირებულების რეალიზაცია, — კრიზისების შესაძლებლობას შეიცავს ამ ორი მომენტის ერთმანეთისაგან დაშორება. თუ ღირებულება ამ ორი მომენტის შუალედში შეიცვალა და საქონელი მისი გაყიდვის მომენტში არ ღირს იმდენი, რამდენიც ღირდა იმ მომენტში, როცა ფული ღირებულებათა და ამიტომ აგრეთვე ურთიერთვალდებულებათა საზომის სახით მოქმედებდა, მაშინ საკალო ვალდებულების გასტუმრება საქონელში მიღებული ფულით არ შეიძლება, და ამიტომ არ შეიძლება აგრეთვე იმ მთელ რიგ გარიგებათა დასალდოება, რომლებიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ამ ვალდებულებაზე. რაკი საქონლის გაყიდვა გარკვეული დროის განმავლობაში შეუძლებელი

იყო, — მისი ღირებულების უცვლელად დარჩენის შემთხვევაშიც კი,—მარტო ეს გარემოება უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ფულმა — როგორც გადახდის საშუალებამ — ველარ შეძლოს თავისი ფუნქციის შესრულება, რადგან იგი უნდა მოქმედებდეს როგორც გადახდის საშუალება გარკვეულ, წინასწარ დადგენილ ვადაში. და რადგან ფულის ერთი და იგივე თანხა მთელ რიგ ურთიერთგარიგებათა და ვალდებულებათათვის მოქმედებს, ამიტომ გადახდის შეუძლებლობა აქ თავს იჩენს არა მარტო ერთ, არამედ მრავალ პუნქტში, და აქედან გამომდინარეობს კრიზისი.

ასეთია კრიზისის ფორმალური შესაძლებლობანი. პირველი შესაძლებელია უკანასკნელის გარეშე, ე. ი. კრიზისები შესაძლებელია კრედიტის გარეშე, ე. ი. სავალდებულო არ არის, რომ ფული მოქმედებდეს როგორც გადახდის საშუალება. მაგრამ მეორე შეუძლებელია პირველის გარეშე, ე. ი. ყიდვისა და გაყიდვის ერთიმეორისაგან დაშორებლად. თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში კრიზისი იწყება არა მარტო იმიტომ, რომ საქონელი საერთოდ არ შეიძლება გაიყიდოს, არამედ იმიტომაც, რომ იგი არ შეიძლება გაიყიდოს გარკვეული დროის განმავლობაში, და კრიზისი წარმოიშვება და ღებულობს აქ თავის ხასიათს არა მარტო იმის გამო, რომ საქონელი არ შეიძლება გაიყიდოს, არამედ იმის გამოც, რომ არ ხდება რეალიზაცია იმ მთელ რიგ გადასახდელთა, რომლებიც ამ გარკვეული საქონლის ამ გარკვეულ ვადაში გაყიდვას ემყარება. ასეთია ფულადი კრიზისების ფორმა სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

ამრიგად, თუ კრიზისი იმის გამო იწყება, რომ ყიდვა და გაყიდვა ერთმანეთს შორდება, იგი ვითარდება როგორც ფულადი კრიზისი, როცა ფული უკვე მოქმედებს როგორც გადახდის საშუალება, და კრიზისების ეს მეორე ფორმა ასეთ შემთხვევაში წარმოიშვება როგორც თავისთავად გასაგები რამ, როგორც კი პირველი ფორმა იწყება. მაშასადამე, იმის გამოკვლევისას, თუ რატომ იქცევა კრიზისის ზოგადი შესაძლებლობა სინამდვილედ, კრიზისის პირობების გამოკვლევისას, სრულიად ზედმეტია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ იმ კრიზისების ფორმას, რომელთაც წარმოშობს ფულის — როგორც გადახდის საშუალების — განვითარება. სწორედ ამიტომ უყვართ კიდეც ეკონომისტებს მითითე-

ბაამ თავისთავად გასაგებ ფორმაზე როგორც კრიზისების მიზეზზე. (რამდენადაც ფულის — როგორც გადახდის საშუალების — განვითარება დაკავშირებულია კრედიტის განვითარებასთან და მის გაბერვასთან, საჭიროა, რა თქმა უნდა, ამ მოვლენათა მიზეზების გარკვევა, მაგრამ აქ ჯერ კიდევ ამის ადგილი არაა).

2) იმდენად, რამდენადაც კრიზისები წარმოდგება ფასების ცვლილებათაგან და ფასების რევოლუციებისაგან, რომლებიც არ ემთხვევიან საქონელთა ღირებულების ცვლილებებს, მათი განხილვა, ბუნებრივია, არ შეიძლება საერთოდ კაპიტალის განხილვისას, სადაც ნაგულისხმევია, რომ ფასები იგივეა, რაც საქონელთა ღირებულებანი.

3) კრიზისების ზოგადი შესაძლებლობა არის თვით კაპიტალის ფორმალური მეტამორფოზი, ყიდვისა და გაყიდვის ერთმანეთისაგან დაშორება დროსა და სივრცეში. მაგრამ ეს არასოდეს არ არის კრიზისის მიზეზი. ვინაიდან ეს სხვა არაფერია, თუ არა ყველაზე ზოგადი ფორმა კრიზისისა, ე. ი. თვით კრიზისი მისი ყველაზე უფრო ზოგადი გამოხატულებით. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ კრიზისის აბსტრაქტული ფორმა კრიზისის მიზეზია. თუ მის მიზეზს კითხულობენ, ამით სწორედ ის უნდათ იცოდნენ, თუ რატომაა, რომ მისი აბსტრაქტული ფორმა, მისი შესაძლებლობის ფორმა, შესაძლებლობიდან სინამდვილედ იქცევა.

4) კრიზისების ზოგადი პირობები, რამდენადაც ისინი არ არიან დამოკიდებული ფასების რყევაზე (სულ ერთია, არის თუ არა ფასების რყევა დაკავშირებული კრედიტთან), რომელიც განსხვავებულია ღირებულებათა რყევისაგან, უნდა გამოვიყვანოთ კაპიტალისტური წარმოების ზოგადი პირობებიდან. [770 a]

[716] (კრიზისი შეიძლება დაიწყოს: 1) მწარმოებლურ კაპიტალად [ფულის] უკუგადაქცევისას — მწარმოებლური კაპიტალის ელემენტების, განსაკუთრებით ნედლეულის, ღირებულების ცვლილებათა შედეგად; მაგალითად, როცა ბამბის მოსავლის მოკლულობა მცირდება და მისი ღირებულება ამით იზრდება. ჩვენ აქ საქმე გვაქვს ჯერ კიდევ არა ფასებთან, არამედ ღირებულებებთან.) [716]

[770 a] პირველი მომენტი. ფულის უკუგადა-

ქცევა კაპიტალად. იგულისხმება წარმოების ან კვლავწარმოების გარკვეული საფეხური, ძირითადი კაპიტალი აქ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ისეთი რამ, რაც მოცემულია, უცვლელია, რაც არ შედის ღირებულების წარმოქმნის პროცესში. რადგან ნედლეულის კვლავწარმოება დამოკიდებულია არა მარტო მასზე დახარჯულ შრომაზე, არამედ ამ შრომის ნაყოფიერებაზეც, რაც ბუნებრივ პირობებთანაა დაკავშირებული, ამიტომ პროდუქტის მასა — შრომის იმავე რაოდენობით წარმოებული პროდუქტის მასაც კი [XIV — 771a] — შეიძლება შემცირდეს (ცუდი მოსავლის დროს). მაშასადამე, ნედლეულის ღირებულება იზრდება, მისი მასა კი მცირდება. ამით დარღვეულია ის თანაფარდობა, რითაც ფული უნდა უკუგარდაიქმნას კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელ ნაწილებად იმისათვის, რომ წარმოება წინანდელი მასშტაბით გაგრძელდეს. მეტი უნდა დაიხარჯოს ნედლეულზე, ნაკლები კი რჩება შრომაზე დასახარჯავად; ამიტომ შეუძლებელია შრომის წინანდელი რაოდენობით შთანთქმა. ჯერ ერთი, ეს შეუძლებელია ფიზიკურად, რადგან შემცირდა ნედლეულის რაოდენობა; მეორე, ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ შრომაზე უნდა დაიხარჯოს წინანდელთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი პროდუქტის ღირებულებისა და, მაშასადამე, ცვალებად კაპიტალად შეიძლება გადაიქცეს მისი უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწილი. კვლავწარმოება ვეღარ გამეორდება წინანდელი მასშტაბით. ძირითადი კაპიტალის ნაწილი უმოქმედოდაა, მუშების ნაწილი ქუჩაში გაგდებული რჩება. მოგების ნორმა ეცემა, რადგან მუდმივი კაპიტალის ღირებულება გადიდდა ცვალებადთან შედარებით და ნაკლები ცვალებადი კაპიტალი გამოიყენება. წინასწარ ფიქსირებული ანარიცხები — სარგებელი, რენტა, — მოგებისა და შრომის ექსპლოატაციის უცვლელ ნორმაზე გაანგარიშებით დადგენილი, წინანდელი რჩება და მათი გადახდა ნაწილობრივ შეუძლებელია. აქედან წარმოდგება კრიზისი. შრომის კრიზისი და კაპიტალის კრიზისი. ეს, მაშასადამე, კვლავწარმოების პროცესის ისეთი დარღვევაა, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ გადიდდა ღირებულება ერთ-ერთისა მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილთაგან, რომლებიც ასანაზღაურებელია პროდუქტის ღირებულებიდან. შემდეგ, მიუხედავად მოგების ნორმის დაწევისა, აქ აღგილი აქვს პროდუქტის გა-

ძვირ ე ბ ა ს. თუ ეს პროდუქტი წარმოების საშუალების სახით წარმოების სხვა სფეროებში შედის, მისი გაძვირებაიქაც კ ვ ლ ა ვ-წ ა რ მ ო ე ბ ი ს ასეთსავე დარღვევას იწვევს. თუ იგი საარსებო საშუალებათა სახით საერთო მოხმარებაში შედის, მაშინ იგი ან შედის ამასთანავე მ უ შ ე ბ ი ს მ ო ხ მ ა რ ე ბ ა შ ი, ანდა არ შედის. პირველ შემთხვევაში შედეგები იქნება ივივე, რაც ცვალებად კ ა პ ი ტ ა ლ შ ი მომხდარ დარღვევათა დროს, რაზეც ლაპარაკი გვექნება შემდეგში. მაგრამ თუ პროდუქტი საერთოდ შედის საერთო მ ო ხ მ ა რ ე ბ ა შ ი, მაშინ მისი გაძვირების შედეგად (თუ მისი მოხმარება არ იკვეცება) შეიძლება შემცირდეს მ ო თ ხ ო ვ ნ ა სხვა პროდუქტებისა, რის გამოც შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი გახდება მ ა თ ი უ კ უ გ ა დ ა ქ ც ე ვ ა ფულის თანხად, რომელიც მათს ღირებულებას შეეფერება; ამგვარად ირღვევა მათი კვლავწარმოების მ ე ო რ ე მ ხ ა რ ე: არა ფულს უ კ უ გ ა დ ა ქ ც ე ვ ა მწარმოებლურ კაპიტალად, არამედ საქონლის უ კ უ გ ა დ ა ქ ც ე ვ ა ფულად. ყოველ შემთხვევაში, წარმოების იმ დარგში, რომელიც ჩვენი განხილვის საგანია, მ ო გ ებ ი ს მ ა ს ა და ხ ე ლ ფ ა ს ი ს მ ა ს ა მ ც ი რ დ ე ბ ა, ამით კი მ ც ი რ დ ებ ა სხვა დარგების საქონელთა გაყიდვით მიღებული ა უ ც ი ლ ებ ე ლ ი ა მ ო ნ ა გ ებ ი ს ნ ა წ ი ლ ი ც.

მაგრამ ნ ე დ ლ ე უ ლ ი ს ასეთი ნ ა კ ლ ებ ობ ა შეიძლება იყოს აგრეთვე მ ო ს ა ვ ლ ი ს, ან ბ უ ნ ებ რ ი ვ ი ფ ა ქ ტ ო რ ებ ი თ გ ა პ ი რ ო ბ ებ უ ლ ი შრომის ნ ა ყ ო ფ ი ე რ ებ ი ს მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ა ც, შ რ ო მ ი ს ა, რომელიც ნედლეულს იძლევა. სახელდობრ, თუ წარმოების რომელიმე ცალკეულ დარგში მანქანებზე და ა. შ. დახარჯულია ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს, დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს უ ზ ო მ ო დ დ ი დ ი ნ ა წ ი ლ ი, მაშინ, წარმოების ა ხ ა ლ ი მ ა ს შ ტ ა ბ ი ს დროს, ნედლეული იქნება არასაკმარისი, თუმცა იგი საკმარისი იქნებოდა წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი მ ა ს შ ტ ა ბ ი თ წარმართული წარმოების დროს. მაშასადამე, ეს ხდება იმის შედეგად, რომ დამატებითი კაპიტალის გადაქცევა მის სხვადასხვა ნაწილებად ა რ ა პ ი ო ტ ო რ ც ი ო ნ ლ ი ა. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა, რომელიც აქ სავსებით ისეთსავე მოვლენებს წარმოშობს, რა მოვლენებსაც პირველ შემთხვევაში [ე. ი. ნედლეულის ცუდი გამოსავლის დროს] ვხედავთ.

[861 a] [.....
.....]*.

ანდა ისინი [კრიზისები] ემყარება ძირითადი კაპიტალის ჭარბწარმოებას და, მაშასადამე, საბრუნავი კაპიტალის შეფარდებითს ნაკლწარმოებას.

რადგან ძირითადი კაპიტალი, ისევე როგორც საბრუნავი, საქონელთაგან შედგება, იმაზე უფრო სასაცილო არაფერია, ვიდრე პოზიცია იმ ეკონომისტებისა, რომლებიც საქონელთა ჭარბწარმოებას უარყოფენ, მაგრამ იმავე დროს ძირითადი კაპიტალის ჭარბწარმოებას აღიარებენ.

5) კრიზისები, რომლებსაც წარმოშობს კვლავწარმოების პირველი ფაზის დარღვევა, ე. ი. საქონელთა ფულად გადაქცევის სიძნელენი, ანუ გაყიდვის სიძნელენი. პირველი სახის კრიზისების [ნედლეულის გაძვირების შედეგად რომ წარმოიშვება] დროს კრიზისს წარმოშობენ ნწარმოებლური კაპიტალის ელემენტების უკუდაბრუნების სიძნელენი. [XIV — 861 a]

---

* ხელნაწერში აქ მოგლეჯილია გვერდის მარცხენა ზემო კუთხე, რის გამოც ტექსტის პირველი ცხრა სტრიქონიდან შეთნახულია მხოლოდ მარჯვენა ბოლოები ექვსი სტრიქონისა, რაც ტექსტის მთლიანად აღდგენის შესაძლებლობას არ იძლევა, მაგრამ საშუალებას გვაძლევს ეივარაუდოთ, რომ მარქსი ლაპარაკობს აქ კრიზისებზე, რომელთაც «დირებულებაში მომხდარი რევოლუციაა» წარმოშობს. «აუცილებელ საარსებო საშუალებათა» გაძვირება, გამოწვეული, მაგალითად, ცუდი მოსავლით, იწვევს იმ მუშებთან დაკავშირებულ ხარჯების გადიდებას, «რომლებიც მოძრაობაში მოჰყავს ცვალებად კაპიტალს. ამავე დროს იგი იწვევს ყველა სხვა საქონლს, ყველა იმ საქონლის» მოთხოვნის «შემცირებას, რომლებიც არ შედის» მუშების «მოხმარებაში». ამიტომ შეუძლებელი ხდება «ამ საქონელთა გაყიდვა მათი ღირებულების მიხედვით», ირღვევა «მათი კვლავწარმოების პირველი ფაზა», საქონლის «გადაქცევა» ფულად. მაშასადამე, საარსებო საშუალებათა გაძვირება «იწვევს კრიზისის წარმოშობას წარმოების სხვა დარგებში».

დაზიანებული გვერდის ორი უკანასკნელი სტრიქონი შეიცავს მთელი ამ მსჯელობის შემაჯამებელ აზრს იმის შესახებ, რომ კრიზისები შეიძლება წარმოიშვას ნედლეულის გაძვირების შედეგად, «სულ ერთია — შედის ეს ნედლეული მასალის სახით მუდმივ კაპიტალში თუ საარსებო საშუალებათა სახით» მუშების მოხმარებაში. რედ.

[12) წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის კაპიტალიზმის პირობებში. წამყვან მოხმარების საგანთა ჰარგწარმოების გადაძცევა საყოველთაო ჰარგწარმოებად]

[XIII — 716] ვიდრე კრიზისის ახალ ფორმებზე [138] გადავიდოდეთ, დავუბრუნდეთ ისევ რიკარდოს და ზემოდასახელებულ მაგალითს *.

[716] სანამ ჩითის ფაბრიკანტი კვლავწარმოებას და დაგროვებას ეწევა, მისი მუშებიც აგრეთვე მისი კუთვნილი პროდუქტის ნაწილის მყიდველები არიან, თავიანთი ხელფასის ნაწილს ისინი ჩითზე ხარჯავენ. სწორედ იმიტომ, რომ ფაბრიკანტი აწარმოებს, მუშებს აქვთ მისი პროდუქტის გარკვეული ნაწილის ყიდვის საშუალებანი, მაშასადამე, ისინი მას ნაწილობრივ პროდუქტის გაყიდვის შესაძლებლობას აძლევენ. მუშას შეუძლია გამოვიდეს როგორც მყიდველი — როგორც მოთხოვნის წარმომადგენელი — მხოლოდ იმ საქონლის მიმართ, რომელიც ინდივიდუალურ მოხმარებაში შედის, რადგან იგი თვითონ როდი განაგებს თავის საკუთარ შრომას, მაშასადამე, თვითონ როდი ფლობს თავისი შრომის განხორციელების პირობებს — შრომის საშუალებებს და შრომის მასალას. მაშასადამე, უკვე ეს გარემოება გამორიცხავს მწარმოებელთა (იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოება განვითარებულია, — თვით მუშების) უდიდეს ნაწილს მომხმარებელთა, მყიდველთა რიცხვიდან. ისინი არ ყიდულობენ ნედლეულსა და შრომის საშუალებებს, ისინი ყიდულობენ მხოლოდ საარსებო საშუალებებს (ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალ საქონელს). ამიტომ იმაზე უფრო სასაცილო არაფერია, ვიდრე ლაპარაკი მწარმოებელთა და მომხმარებელთა იგივეობაზე; ეინაიდან წარმოების მეტად დიდი რაოდენობისათვის — ყველა იმ ღარგისათვის, რომელნიც არ აწარმოებენ უშუალო მოხმარების საგნებს,—წარმოებაში მონაწილეთა ძირითადი მასა აბსოლუტურად ჩამოშორებულია მათ მიერვე წარმოებული პროდუქტების ყ ი დ ვ ა ს, ისინი არასოდეს არ არიან თავიანთი საკუთარი პროდუქტების ამ მნიშვნელოვანი ნაწილის უ შ უ ა ლ ო მომხმარებლები ან მყიდველები, თუმცა ისინი იხდიან ამ პროდუქტების ღირებულე-

---

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 641 და შემდგომში (იქ «ჩითის ფაბრიკანტის ნაცვლად წერია «ტილოს ფაბრიკანტი», რაც სრულიად არა ცვლის საქმის არსს) და აგრეთვე გვ. 680. რ ე დ.

ბის იმ ნაწილს, რასაც მათ მიერ ნაყიდი მოხმარების საგნები შეიცავენ. აქ მეღავნდება აგრეთვე ორაზროვნობა სიტყვისა «მომხმარებელი» და მცდარობა მისი გაიგივებისა სიტყვასთან «მყიდველი». საწარმოო მოხმარების აზრით სწორედ მუშები მოიხმარენ მანქანებსა და ნედლეულს, იყენებენ მათ შრომის პროცესში. მაგრამ მუშები თავისთვის როდი იყენებენ მათ და ამიტომაც არ არიან მათი მ ყ ი დ ვ ე ლ ებ ი. მუშებისათვის მანქანები და ნედლეული არ არის სახმარი ღირებულებანი, ისინი ობიექტური პირობებია იმ პროცესისა, რომლის სუბიექტური პირობები თვით მუშები არიან.

[717] მაგრამ შეიძლება თქვან, რომ მუშების დამქირავებელი მეწარმე მათი წარმომადგენელია შრომის საშუალებათა და შრომის ნასალის ყიდვისას. მაგრამ იგი მათი წარმომადგენელია — ლაპარაკია ბაზარზე წარმომადგენლობის შესახებ — სხვა პირობებში, ვიდრე ის პირობებია, როცა ისინი თვით იქნებოდნენ თავიანთი თავის წარმომადგენელნი. მან უნდა გაყიდოს ზედმეტი ღირებულების, ანუ გადაუხდელი შრომის შემცველი საქონელთა მასა. მუშებს კი უნდა გაეყიდათ საქონელთა ისეთი მასა, რომელშიც კვლავწარმოებული იქნებოდა წარმოებაში ავანსებული ღირებულება — წარმოების საშუალებათა და შრომის საგნების ღირებულებისა და ხელფასის სახით. მაშასადამე, კაპიტალისტს ესაჭიროება უფრო ფართო ბაზარი, ვიდრე ის ბაზარია, რომელიც მუშებს დასჭირდებოდა. შემდეგ, მასზეა, და არა მათზე, დამოკიდებული, მიაჩნია თუ არა მას ბაზრის პირობები საკმაოდ ხელსაყრელად იმისათვის, რომ კვლავწარმოება დაიწყოს.

ამრიგად, მუშები არიან მწარმოებლები, მაგრამ არ არიან მომხმარებლები — მაშინაც კი, როცა კვლავწარმოების პროცესი არ ირღვევა — ყველა იმ საგნის მიმართ, რომელთა მოხმარებაც უნდა ხდებოდეს არა ინდივიდუალურად, არამედ მწარმოებლურად.

მაშასადამე, არ არსებობს კრიზისის უარყოფის იმაზე უაზრო ხერხი, ვიდრე იმის მტკიცება, თითქოს მომხმარებელნი (მყიდველნი) და მწარმოებელნი (გამყიდველნი) კაპიტალისტური წარმოების პირობებში იდენტურნი არიან. ისინი სრულიად არ ემთხვევიან ერთი მეორეს. იმ შემთხვევებში, როცა კვლავწარმოების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, ამ იდენტურობის მტკიცება შეიძლება 3000 მწარმოებლიდან მხოლოდ ერთის მიმართ, ე. ი. მხოლოდ კაპიტალისტის მიმართ. ასევე მცდარია საწინააღმდეგო მტკიცება, თითქოს მომხმარებელნი მწარმოებელნი არიან. მიწის მესაკუთრე (რენტის მიმღები) არ აწარმოებს, მაგრამ მაინც მომხმარებელია. ასეთი-

ვე მდგომარეობა გვაქვს ფულადი კაპიტალის ყველა წარმომადგენლის მიმართაც.

კრიზისების უარყოფის მიზნით გამოყენებული აპოლოგეტური ფრაზები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ყოველთვის იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, რის დამტკიცებაც სურთ. კრიზისების უარყოფის მიზნით ისინი ლაპარაკობენ ერთიანობაზე იქ, სადაც დაპირისპირებულობა და წინააღმდეგობა არსებობს. მაშასადამე, ეს ფრაზები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შეიძლება ითქვას: ისინი ამტკიცებენ, რომ თუ სინამდვილეში არ იარსებებდა წინააღმდეგობანი, რომლებიც ამ ფრაზების გამომგონებლებმა თავიანთ წარმოსახვაში თავიდან მოიშორეს, მაშინ არ იქნებოდა კრიზისიც. ბაგრამ სინამდვილეში კრიზისი არსებობს, იმიტომ რომ არსებობენ ეს წინააღმდეგობანი. ყოველგვარი საფუძველი, რაც კრიზისის არსებობის წინააღმდეგ აპოლოგეტებს მოჰყავთ, წარმოადგენს წინააღმდეგობას, თავიდან მოშორებულს მხოლოდ მათს წარმოსახვაში, მაშასადამე რეალურ წინააღმდეგობას, მაშასადამე, კრიზისის საფუძველს. ფანტაზიორობის შემწეობით წინააღმდეგობათა თავიდან მოშორებისადმი მისწრაფება ამასთანავე დადასტურებაა იმისა, რომ სინამდვილეში არსებობს წინააღმდეგობანი, რომლებიც, ღვთისმოსავი სურვილის თანახმად, არ უნდა არსებობდნენ.

ის, რასაც მუშები არსებითად აწარმოებენ, ზედმეტი ღირებულებაა. სანამ ისინი მას აწარმოებენ, მათ აქვთ მოსახმარი რამ. როგორც კი ზედმეტი ღირებულების წარმოება შეწყდება, შეწყდება მათი მოხმარებაც, რადგან მათ შეწყვიტეს წარმოება. მაგრამ მათ შეუძლიათ მოიხმარონ სრულიადაც არა იმიტომ, რომ აწარმოებენ ეკვივალენტს თავიანთი მოხმარებისათვის. პირიქით, როცა ისინი ცხოლოდ ასეთ ეკვივალენტს აწარმოებენ, მათი მოხმარება შეწყდება, მათ არა აქვთ ეკვივალენტი მოხმარებისათვის. მათი შრომა ან წყდება, ან იკეკლება, ანდა, ყველა გარემოებაში, მათი ხელფასი მცირდება. უკანასკნელ შემთხვევაში — თუ წარმოების დონე უცვლელი რჩება — ისინი არ მოიხმარენ მათ მიერ წარმოებულ ეკვივალენტს. მაგრამ მაშინ მათ არ ჰყოფნით საშუალებანი არა იმიტომ, რომ ისინი არასაკმარისად აწარმოებენ, არამედ იმიტომ, რომ მათ უწევთ მათ მიერვე წარმოებული პროდუქტის ძლიერ მცირე წილი.

ამრიგად, როცა ურთიერთობა — ჩვენი განხილვის საგანი — უბრალოდ მომხმარებლისა და მწარმოებლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე დაჰყავთ, ივიწყებენ, რომ მწარმოებელი დაქირავებული მუშა და მწარმოებელი კაპიტალისტი ორი სრულიად სხვადა-

სხვა სახის მწარმოებელია, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე ისეთ მწარმოებლებზე, რომლებიც საერთოდ არ ეწევიან საწარმოო საქმიანობას. აქ კვლავ დაპირისპირებულობა უარყოფილია იმით, რომ მხედველობის გარეშეა დატოვებული წარმოებაში ნამდვილად არსებული დაპირისპირებულობა. უკვე თვით ურთიერთობა დაქირავებულ მუშასა და კაპიტალისტს შორის შეიცავს:

1) იმას, რომ მწარმოებელთა უდიდესი ნაწილი (მუშები) არ ეკრიან თავიანთი პროდუქტის, სახელდობრ შრომის საშუალებათა და შრომის მასალის, მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის მომხმარებლები (მყიდველები);

2) იმას, რომ მწარმოებელთა უდიდეს ნაწილს, მუშებს, თავიანთი პროდუქტის ეკვივალენტი შეუძლიათ მოიხმარონ მხოლოდ მანამდე, სანამ აწარმოებენ ამ ეკვივალენტზე მეტს, ე. ი. ზედმეტ ღირებულებას, ანუ ზედმეტ პროდუქტს. ისინი მუდამ უნდა იყვნენ ჭარბმწარმოებლები, უნდა აწარმოებდნენ თავიანთ [გადახდისუნარიან] მოთხოვნილებებზე მეტს, რათა შეეძლოთ მომხმარებლებად და მყიდველებად [718] ყოფნა ამ თავიანთ მოთხოვნილებათა ფარგლებში[134].

ამრიგად, მწარმოებელთა ამ კლასის მიმართ მტკიცება წარმოებასა და მოხმარებას შორის ერთიანობის შესახებ ყოველ შემთხვევაში წარმოგვიდგება როგორც prima facie * მცდარი.

როცა რიკარდო ლაპარაკობს, მოთხოვნის ერთადერთი საზღვარი თვით წარმოებაა, ხოლო ეს უკანასკნელი ზღვარდებულია მხოლოდ კაპიტალითო[135], ამას, თუ არასწორ წანამძღვრებს უკუვაგდებთ, სინამდვილეში მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ კაპიტალისტური წარმოება თავის საზღვარს პოულობს მხოლოდ კაპიტალში, ამასთან კაპიტალში აქ ნაგულისხმევია აგრეთვე სამუშაო ძალაც, რომელიც გადაქცეულია კაპიტალის შემადგენელ ნაწილად (კაპიტალმა რომ იყიდა, როგორც მისი წარმოების ერთ-ერთი პირობა). ნამდვილად კი საკითხავი სწორედ ისაა, წარმოადგენს თუ არა კაპიტალი როგორც ასეთი აგრეთვე საზღვარს მოხმარებისთვისაც. ყოველ შემთხვევაში იგი წარმოადგენს ასეთ საზღვარს უარყოფითი აზრით, ე. ი. არ შეიძლება მოხმარებულ იქნეს იმაზე მეტი, ვიდრე წარმოებულია. მაგრამ საკითხი ისაა, წარმოადგენს თუ არა იგი ამ საზღვარს დადებითი აზრით, შეიძლება და უნდა მოხმარებულ იქნეს თუ

---

* — პირველი შეხედვით; აქ — პირველი შეხედვისთანავე. რედ.

არა — კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე — იმდენივე, რამდენიც იწარმოება. თუ სწორ ანალიზს გავუკეთებთ რიკარდოს დებულებას, იგი სწორედ იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რის თქმაც მას ამით სურდა, — სახელდობრ, რომ წარმოება წარიმართება მოხმარების არსებული საზღვრების გაუთვალისწინებლად და რომ იგი ზღვარდებულია მხოლოდ კაპიტალით. და ეს, მართლაც, დამახასიათებელია ამ წარმოების წესისათვის.

ამრიგად, ვარაუდის თანახმად, ბაზარი პირთამდე ავსებულია, მაგალითად, ბამბეულის ქსოვილით, ასე რომ ეს ქსოვილი ან ნაწილობრივ ან სრულიად არ შეიძლება გაიყიდოს, ანდა შეიძლება გაიყიდოს, მაგრამ თავის ფასზე მნიშვნელოვნად უფრო დაბლა. (ვიტყვით ჯერ: ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე დაბლა, რაგდენ მიმოქცევის ან კვლავწარმოების პროცესის განხილვისას ჩვენ ჯერ კიდევ საქმე გვაქვს ღირებულებასთან და არა ხარჯთფასთან და მით უმეტეს არა საბაზრო ფასთან.)

სხვათა შორის, მთელ ამ ანალიზში თავისთავად იგულისხმება შემდეგი: არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ცალკეულ დარგებში შეიძლება წარმოებული იყოს ძალიან ბევრი და ა მ ი ტ ო მ სხვა დარგებში — ძალიან ცოტა, რომ, მაშასადამე, ნაწილობრივ კრიზისებს შეიძლება წარმოშობდეს წ ა რ მ ო ე ბ ი ს დ ი ს პ რ ო პ ო რ ც ი ულ ო ბ ა (წარმოების პროპორციულობა კი ყოველთვის მხოლოდ შედეგია წარმოების დისპროპორციულობისა კონკურენციის საფუძველზე) და რომ წარმოების ამ დისპროპორციულობის ერთგვარი ზოგადი ფორმა შეიძლება იყოს ძირითადი კაპიტალის ჭარბწარმოება ანდა, მეორე მხრივ, საბრუნავი კაპიტალის ჭარბწარმოება *. მსგავსად იმისა, როგორც ღირებულების კვალობაზე საქონელთა ეყოფდეს პირობა ის არის, რომ ისინი შეიცავდნენ მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროს, ასევე კაპიტალის წარმოების მთელი სფეროსთვისაც ასეთ პირობას წარმოადგენს ის, რომ ამ განსაკუთრებულ სფეროზე დაიხარჯოს საზოგადოების ერთობლივი სამუშაო დროის მხოლოდ აუცილებელი ნაწილი, — მხოლოდ ის სამუშაო დრო, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივი მოთხოვნილების (მოთხოვნის) დასაკმაყოფილებლად. თუ ამ სფეროზე უფრო მეტია დახარჯული, მაშინ, თუნდაც რომ ყოველი ერთეული

---

*. [720] (როცა სართავი მანქანები გამოიგონეს. ადგილი ჰქონდა ნართის ჭარბწარმოებას საქსოვ საწარმოთა მწარმოებლობასთან შედარებით. ეს დისპროპორცია მოისპო, როგორც კი ქსოვაში მექანიკური დაზგები შემოიღეს.) [720]

საქონელი მხოლოდ აუცილებელ სამუშაო დროს შეიცავდეს, ამ ერთეულთა ჯამი შეიცავს უფრო მეტს, ვიდრე საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროა, და საკუთრივ ასევე: თუმცა ერთეულ საქონელს სახმარი ღირებულება აქვს, მაგრამ ამ ერთეულთა ჯამი, მოცემული წანამძღვრების პირობებში, თავისი სახმარი ღირებულების ნაწილს კარგავს.

მაგრამ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ არა კრიზისზე იმდენად, რამდენადაც იგი ემყარება წარმოების დისპროპორციულობას, ე. ი. წარმოების ცალკეულ სფეროებს შორის საზოგადოებრივი შრომის განაწილებაში არსებულ დისპროპორციას. ამაზე ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ლაპარაკია კაპიტალების კონკურენციაზე. იქ უკვე ნათქვამი იყო *, რომ საბაზრო ღირებულების გადიდებას ან შემცირებას ამ დისპროპორციის გამო შედეგად მოსდევს კაპიტალის ამოღება წარმოების ერთი სფეროდან და მისი გადატანა წარმოების მეორე სფეროში, კაპიტალის მიგრაცია ერთი სფეროდან მეორეში. მაგრამ თვით ამ გათანაბრებაში უკვე მოცემულია ის, რომ იგი გულისხმობს გათანაბრების დაპირისპირებულობას ღა, მაშასადამე, შეიძლება შეიცავდეს კ რ ი ზ ი ს ს; თვით კრიზისი შეიძლება იყოს გათანაბრების ფორმა. მაგრამ ამგვარ კრიზისს ,,ღიარებენ რიკარდო და სხვები.

წარმოების პროცესის განხილვისას [136] ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალისტური წარმოება მხოლოდ იმას ესწრაფვის, რომ რაც შეიძლება მეტი ზედმეტი შრომა მიისაკუთროს, ე. ი. მოცემული კაპიტალის საშუალებით მოახდინოს უშუალო სამუშაო დროის მატერიალიზაცია — სულ ერთია, სამუშაო დროის გაგრძელებით იქნება ეს თუ აუცილებელი სამუშაო დროის შემცირებით, შრომის მწარმოებლური ძალების განვითარებით, კოოპერაციის, შრომის დანაწილების, მანქანების და ა. შ. გამოყენებით, ერთი სიტყვით, ფართო მასშტაბის წარმოებით, ე. ი. მასობრივი წარმოებით. მაშასადამე, თვით კაპიტალისტური წარმოების არსშია მოცემული წარმოება ბაზრის საზღვრების გაუთვალისწინებლად.

კვლავწარმოების განხილვისას დასაწყისში ივარაუდება, რომ წარმოების წესი რჩება უცვლელი, და წარმოების გაფართოებისას იგი, მართლაც, უცვლელი რჩება გარკვეული დროის განმავლობაში. წარმოებულ საქონელთა მასა იზრდება აქ იმიტომ, რომ მეტი კაპიტალი გამოიყენება, და არა იმიტომ, რომ კაპიტალი უფრო მწარ-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 269 — 275. რ ე დ.

მოებლურად გამოიყენება. მაგრამ უკვე კაპიტალის მარტივიდენ რაოდენობრივი გადიდება [719] ამასთანავე იმასაც შეიცავს, რომ დიდდება მისი მწარმოებლური ძალა. თუ კაპიტალის რაოდენობრივი გადიდება მწარმოებლური ძალის განვითარების შედეგია, მაშინ შებრუნებითაც — ამ მწარმოებლური ძალის განვითარებას თავის მხრივ წანამძღვარად აქვს უფრო გაშლილი, გაფართოებული კაპიტალისტური საფუძველი. აქ ადგილი აქვს ურთიერთქმედებას. ამიტომ უფრო ფართო საფუძველზე წარმართული კვლავწარმოება, ე. ი. დაგროვება, — თუმცა თავდაპირველად იგი წარმოების მხოლოდ რაოდენობრივი გაფართოებაა, დაკავშირებული იმასთან, რომ წარმოების იმავე პირობებში უფრო მეტი კაპიტალი იყო დაბანდებული, — გარკვეულ წერტილზე ყოველთვის ღებულობს ბერეთვე თვისებრივ გამოხატულებასაც იმით, რომ უფრო ნაყოფიერია ის პირობები, რომლებშიც კვლავწარმოება მიმდინარეობს. აქედან წარმოდგება პროდუქტთა მასის გადიდება უფრო მეტი პროპორციით, ეიდრე ის პროპორციაა, რომლითაც კაპიტალი გაიზარდა გაფართოებული კვლავწარმოების დროს, ე. ი. დაგროვების დროს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს ჩითის შესახებ.

შეფერხება ჩითით გავსებულ ბაზარზე არღვევს კვლავწარმოებას საქსოვი ფაბრიკის მფლობელთან. ეს დარღვევა უწინარეს ყოვლისა ზიანს აყენებს მის მუშებს. ეს უკანასკნელნი, მაშასადამე, ახლა უფრო ნაკლებად არიან — ანდა სულაც ადარ არიან — მისი საქონლის, ჩითის, და მათს მოხმარებაში შემავალ სხვა საქონელთა მოხმარებელნი. მათ აქვთ, რა თქმა უნდა, ჩითის მოთხოვნილება, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მისი ყიდვა, რადგან არა აქვთ საშუალებანი, და საშუალებანი არა აქვთ იმიტომ, რომ არ შეუძლიათ განაგრძონ წარმოება, წარმოების გაგრძელება კი მათ იმის გამო არ შეუძლიათ, რომ წარმოებულია ძალიან ბევრი, რომ ბაზარი პირთამდე გავსებულია ჩითით. მათ ვერ უშველის ვერც რიკარდოს რჩევა, რომ «გაადიდონ თავიანთი წარმოება», ვერც ის რჩევა, რომ «სხვა რამე აწარმოონ» [137]. ისინი ახლა წარმოადგენენ მუშების, მოცემულ შემთხვევაში — ჩითის მწარმოებელთა დროებითი ჭარბმოსახლეობის, ჭარბწარმოების ნაწილს, რადგან ბაზარზე ადგილი აქვს ჩითის ჭარბწარმოებას.

მაგრამ გარდა იმ მუშებისა, რომლებსაც უშუალოდ ქირაობს ჩითსართავ წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი, ჩითის კვლავწარმოების ეს შეჩერება შეეხებოდა უამრავ მწარმოებელს — მრთველებს, ბამბის მომყვანთ, თითისტრებისა და საქსოვი დაზგების,

რკინის, ნახშირისა და ა. შ. მწარმოებელთ. ყველა ამ ჯგუფისათვის დარღვეული იქნებოდა მათი კვლავწარმოება, რადგან ჩითის კვლავწარმოება მათი საკუთარი კვლავწარმოების პირობაა. ეს იმ შემთხვევაშიც კი მოხდებოდა, თუ მათს საკუთარ სფეროებში არ იქნებოდა ჭარბწარმოება, ე. ი. თუ იქ არ იქნებოდა წარმოებული იმ რაოდენობაზე მეტი, რაც გაპირობებული და გამართლებული შეუფერხებლად მომუშავე ჩითსართავი მრეწველობის მიერ. წარმოების ყველა ამ დარგისათვის საერთო ისაა, რომ თავიანთ შემოსავალს (ხელფასსა და მოგებას, რამდენადაც ეს უკანასკნელი მოიხმარება როგორც შემოსავალი, და არ გროვდება) ისინი მოიხმარენ არა თავიანთი საკუთარი პროდუქტის სახით, არამედ იმ სფეროთა პროდუქტის სახით, რომლებიც აწარმოებენ მოხმარების საგნებს, მათ შორის ჩითსაც. ამრიგად, ჩითის მოხმარება და მისი მოთხოვნა სწორედ იმიტომ ეცემა, რომ ბაზარზე ძლიერ ბევრი ჩითი მოიპოვება. მაგრამ ეცემა აგრეთვე ყველა იმ სხვა საქონლის მოთხოვნაც, რომლებზეც, როგორც მოხმარების საგნებზე, იხარჯება ჩითის ამ არაპირდაპირი მწარმოებლების შემოსავალი. ამ უკანასკნელთა საშუალებანი ჩითისა და მოხმარების სხვა საგნების საყიდლად იზღუდება, მცირდება იმიტომ, რომ ბაზარზე ძალიან ბევრი ჩითია. ეს შეეხება აგრეთვე სხვა საქონელსაც (მოხმარების საგნებს). ახლა უეცრად მეღავნდება მათი შეფარდებითი ჭარბწარმოება, რადგან შემცირდა მათი ყიდვისათვის საჭირო საშუალებანი და ამით შემცირდა მათი მოთხოვნაც. კიდეც რომ ამ დარგებში ძალიან ბევრი არ ყოფილიყო წარმოებული, ახლა იქ ჭარბწარმოებაა.

თუ ადგილი აქვს არა მარტო ჩითის, არამედ აგრეთვე სელის, ბრეშუმის და შალის ქსოვილის ჭარბწარმოებას, მაშინ ძნელი არაა გავიგოთ, რომ ამ ცოტაოდენი, მაგრამ წმაყვანი საგნების ჭარბწარმოება იწვევს მეტ-ნაკლებად საყოველთაო (შეფარდებითს) ჭარბწარმოებას მთელ ბაზარზე. ერთ მხარეზეა კვლავწარმოების ყველა პირობის სიუხვე და ბაზრის პირთამდე ავსება ყოველი სახის ვაუყიდავი საქონლით. მეორე მხარეზე — გაკოტრებული კაპიტალისტები და ყოველგვარ საშუალებებს მოკლებული, დიდ გაჭირვებაში მყოფი მუშათა მასები.

მაგრამ ამ არგუმენტს დადებითი მხარეც აქვს და უარყოფითიც. თუ ადგილი გასაგებია, როგორ უნდა მოჰყვეს მოხმარების ზოგიერთი წმაყვანი საგნების ჭარბწარმოებას ცოტად თუ ბევრად საყოველთაო ჭარბწარმოების მოვლენა, ეს ჯერ კიდევ სულაც არ ხდის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება წარმოიშვას აღნიშნული

წამყვანი საგნების ჭარბწარმოება. საყოველთაო ჭარბწარმოების მოვლენა ხომ იმ ურთიერთდამოკიდებულებიდან გამოიყვანება, რომელიც არსებობს უშუალოდ მრეწველობის ამ დარგებში დასაქმებულ მუშაკებსა და მეურნეობის ყველა იმ დარგის მუშაკებს შორის, რომლებიც მათი პროდუქტების წინა ელემენტებს, იქ გამოყენებული მუდმივი კაპიტალის სხვადასხვა ფაზებს აწარმოებენ. უკანასკნელთათვის ჭარბწარმოება არის შედეგი. მაგრამ საიდან ჩნდება იგი პირველთათვის? ვინაიდან უკანასკნელნი წარმოებას აფართოებენ, სანამ აფართოებენ მას პირველნი, ხოლო წარმოების გაფართოებასთან ერთად თითქოს უზრუნველყოფილია შემოსავლის საყოველთაო ზრდა, მაშასადამე, მათი საკუთარი მოხმარების ზრდაც[138]. [719]

[18) შეუსაბამობა წარმოების გაფართოებასა და ბაზრის გაფართოებას შორის. რიკარდოსეული კონცეფცია მოხმარების ზრდისა და შინაბაზრის გაფართოების უსაზღვრო შესაძლებლობათა შესახებ]

[720] თუ ჩვენ ვიტყვით, რომ უწყვეტად გაფართოებადი წარმოება (რომელიც ყოველწლიურად ფართოვდება ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი უწყვეტად იზრდება, მეორე კი, იმიტომ, რომ იგი სულ უფრო მწარმოებლურად გამოიყენება; კვლავწარმოებისა და დაგროვების დროს განუწყვეტლივ გროვდება წვრილი გაუმჯობესებანი, რომლებიც საბოლოოდ სრულიად ცვლიან წარმოების მთელ მასშტაბს; ხდება გაუმჯობესებათა დაგროვება, მწარმოებლური ძალების დაგროვილი გაფართოება), — რომ ეს უწყვეტად გაფართოებადი წარმოება საჭიროებს ბაზარს, რომელიც განუწყვეტლივ ფართოვდება, და რომ წარმოება უფრო სწრაფად ფართოვდება, ვიდრე ბაზარი, ამით მხოლოდ სხვაგვარად იქნება გამოთქმული ის მოვლენა, რომელიც ასახსნელია: იგი გამოხატული იქნება არა თავისი აბსტრაქტული, არამედ თავისი რეალური ფორმით. ბაზარი უფრო ნელა ფართოვდება, ვიდრე წარმოება; სხვა სიტყვებით, იმ ციკლში, რომელსაც კაპიტალი გაივლის თავისი კვლავწარმოების დროს, — ამ ციკლში კი იგი იკვლავწარმოება არა უბრალოდ წინანდელი მოცულობით, არამედ გაფართოებული მასშტაბით, შემოხაზავს არა წრეს, არამედ სპირალს, — დგება ისეთი მომენტი, როცა ბაზარი მეტად ვიწრო აღმოჩნდება წარმოებული პროდუქციისათვის. ამას ადგილი აქვს

ციკლის ბოლოს. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბაზარი მეტისმეტად გავსებულია. ჭარბწარმოება ახლა აშკარა ფაქტია. ბაზრის გაფართოება რომ ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს წარმოების გაფართოებას, მაშინ არ იქნებოდა ბაზრის პირთამდე ავსება, არ იქნებოდა ჭარბწარმოება.

მაგრამ ძარტოოდენ აღიარება იმისა, რომ ბაზარი უნდა ფართოვდებოდეს წარმოებასთან ერთად, კვლავ იქნებოდა, მეორე მხრივ, აგრეთვე ჭარბწარმოების შესაძლებლობის აღიარებაც, რადგან ბაზარს აქვს გარეგეოგრაფიული საზღვრები, შინაბაზარი გვევლინება როგორც შეზღუდული შედარებით ისეთ ბაზართან, რომელიც ერთსა და იმავე დროს საშინაოც არის და საგარეოც, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ. — შედარებით მსოფლიო ბაზართან, რომელიც ყოველ მოცემულ მომენტში კვლავ შეზღუდულია, მაგრამ პოტენციურად ეაფართოების უნარის მქონე. ამიტომ, თუ აღიარებულია, რომ ბაზარი უნდა გაფართოვდეს იმისათვის, რათა ჭარბწარმოებამ არ იჩინოს თავი, მაშინ აღიარებულია ისიც, რომ ჭარბწარმოებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, რადგან მაშინ შესაძლებელია, — რამდენადაც ბაზარი და წარმოება ერთიმეორის მიმართ ორი ინდიფერენტული მონენტია, — რომ ერთის გაფართოება არ შეესაბამებოდეს მეორის გაფართოებას, რომ ბაზრის საზღვრები არასაკმაოდ სწრაფად ფართოვდებოდეს წარმოებისათვის, ანდა, რომ ახალ ბაზრებს — ბაზრის ახალ გაფართოებებს — შეიძლება სწრაფად გადააჭარბოს წარმოებამ, ანუ რომ გაფართოებული ბაზარი ახლა სავსებით იმგვარადვე გვევლინება საზღვრის სახით, როგორც უწინ საზღვრის სახით უფრო ვიწრო ბაზარი გვევლინებოდა.

ამიტომ რიკარდო თანამიმდევრულია, როცა იგი უარყოფს იმ დებულებას, რომ წარმოების გაფართოებასა და კაპიტალის ზრდასთან ერთად აუცილებელია ბ ა ზ რ ი ს გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ა ც. რიკარდოს აზრით, რომელიმე ქვეყანაში არსებული მთელი კაპიტალი შეიძლება ხელსაყრელად იქნეს გამოყენებული ამავე ქვეყანაში. ამიტომ რიკარდო ეკამათება ა. სმიტს, რომელმაც, ერთი მხრივ, იგივე შეხედულება წამოაყენა, რაც მ ა ნ (რიკარდომ), მეორე მხრივ კი, მან თავისი ჩვეულებრივი გონივრული ალღოთი აგრეთვე ამ შეხედულების წინააღმდეგაც გაილაშქრა. სმიტი ჯერ კიდევ არ იცნობს ჭარბწარმოების მოვლენას, ჭარბწარმოებიდან გამომდინარე კრიზისებს. იგი იცნობს მხოლოდ კრედიტისა და ფულის კრიზისებს, რომლებიც კრედიტისა და ბანკების სისტემასთან ერთად ჩნდება. კაპიტალის დაგროვებაში იგი, მართლა, საყოველთაო სახალხო სიმდიდ-

რისა და კეთილდღეობის უდავო გადიდებას ხედავს. მეორე მხრივ, უკვე მარტოოდენ ის ფაქტი, რომ შინაბაზარი, საგარეო, კოლონიურ და მსოფლიო ბაზრად ვითარდება, მას გააზრებული აქვს როგორც დამამტკიცებელი საბუთი შინაბაზარზე, ასე ვთქვათ, შეფარდებითი (პოტენციური) ჭარბწარმოებისა.

საკმარისია მოვიყვანოთ აქ რიკარდოს პოლემიკა სმიტის წინააღმდეგ:

«თუ ეპრები თავიანთ კაპიტალს საგარეო ვაჭრობაში ან ნაოსნობაში აბანდებენ, ამას ისინი ყოველთვის თავისი ნებით აკეთებენ და არა იძულებით; აკეთებენ იმიტომ, რომ მათი მოგება ამ დარგებში რამდენადმე უფრო დიდი იქნება, ვიდრე შინაეპრობაში.

ადამ სმიტმა სამართლიანად შენიშნა, რომ «საკმლისადმი სწრაფვა ყოველ ადამიანში შემოსაზღვრულია ადამიანის კუჭის მცირე ტევადობით»

{ა. სმიტი აქ ძლიერ სცდება, რადგან იგი სოფლის მეურნეობაში წარმოებულ ფფფუნების საგნებს საკმელს როდი მიაკუთვნებს},

«ადამიანს კომფორტისა და მორთულობისადმი სწრაფვას, სწრაფვას იმისადმი, რომ კარგი ბინა, ტანსაცმელი, ავეჯეული და სახლის მოწყობილობა ჰქონდეს, ჩანს, სრულიად არა აქვს საზღვარი ან რაიმე ზღუდე».

ბუნებამ, მაშასადამე», — განაგრძობს რიკარდო. — «საუცილებლად შემოსაზღვრა იმ კაპიტალის ოდენობა, რომელიც რომელიმე მოცემულ დროს შეიძლება ხელსაყრელად იქნეს გამოყენებული სოფლის მეურნეობაში».

{უკვე ამიტომ ხომ არ არსებობენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამზიდავი ხალხები? თითქოს შეუძლებელი იყოს, წინაადმდეგ ბუნებისა, მთელი შესაძლო კაპიტალის დაბანდება სოფლის მეურნეობაში, რათა ინგლისში, მაგალითად, აწარმოონ ნესვი, ლიღვი, ყურძენი და ა. შ. ყვავილების მოვლა-მოყვანა და ა. შ., ფრინველის, ნადირის და ა. შ. მთშენება? (აღსანიშნავია, მაგალითად, ის კაპიტალი, რასაც რომაელები მარტო თევზის ხელოვნურ გაშენებაზე ხარჯავდნენ.) და განა მრეწველობისათვის საკმარო ნედლეულს სასოფლო-სამეურნეო კაპიტალი არ აწარმოებს?},

«მაგრამ მან არავითარი საზღვარი არ დაუდო» (თითქოს ბუნებას საერთოდ რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეს ამ საკმესთან!). «იმ კაპიტალის მოცულობას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს «კომფორტისა და მორთულობის საგნების» წარმოებაში. ამ საგნების მაქსიმალური რაოდენობის მიღება თავისთვის — აი მიზანი, რომელიც ადამიანს მხედველობაში აქვს. და მხოლოდ იმიტომ, რომ ამას უკეთესად საგარეო ვაჭრობა ან ნაოსნობა აღწევს, ადამიანები ამ ოპერაციებს ხელი მიჰყონ ამ მოსაქმეობას, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ აწარმოონ ქვეყნის

შიგნით საჭირო საქონელი ანდა ამ უკანასკნელის შემცველი საგნები. მაგრამ თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო ჩვენ ვერ შევძლებდით საგარეო ვაჭრობასა ან ნაოსნობაში კაპიტალის დაბანდებას, მაშინ მას გამოვიყენებდით, თუმცა ნაკლები სარგებლობის მიღებით, ქვეყნის შიგნით. და რადგან ზღვარი არ უდევს «კომფორტისა და მორთულობისადმი სწრაფვას, სწრაფვას იმისადმი, რომ ადამიანს კარგი ბინა, ტანსაცმელი, ავეჯეული და სახლის მოწყობილობა ჰქონდეს», ამიტომ მათს წარმოებაზე დახარჯული კაპიტალისათვის არ შეიძლება არსებობდეს არავითარი სხვა საზღვარი, გარდა იმისა, რომელიც ზღუდავს ამ საგნების დამამზადებელი მუშების შენახვის შესაძლებლობას.

მაგრამ ადამ სმიტი ლაპარაკობს საზღვაო ვაჭრობაზე ისე, თითქოს მას მისდევენ არა თავისი ნებით, არამედ იძულებით; თითქოს კაპიტალი გამოუყენებელი დარჩებოდა, თუ იგი ამ დარგში არ დაბანდდებოდა; თითქოს კაპიტალი შინასარეწაველებში შეიძლებოდა მოჭარბებული აღმოჩენილიყო, თუ იგი შემოფარგლული არ იქნებოდა გარკვეული საზღვრებით. სმიტი ამბობს: «თუ რომელიმე ქვეყნის კაპიტალი იმდენად გაიზარდა, რომ იგი უკვე აღარ შეიძლება მთლიანად მოხმარებულ იქნეს ზოხმარების საშუალებათა წარმოებაზე და მწარმოებლური შრომის შენახვაზე მოცემულ ქვეყანაში» (ციტატის ეს ნაწილი ხაზგასმით აღნიშნულია თვით რიკარდოს მიერ), ««მაშინ კაპიტალის ნამეტი, ბუნებრივია, გადავა საზღვაო ვაჭრობაში და მოხმარდება მსგავსი ფუნქციების შესრულებას სხვა ქვეყნებში»... მაგრამ განა დიდი ბრიტანეთის მწარმოებლური შრომის ეს ნაწილი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სახის საქონლითა წარმოებაში, რომლებითაც შეიძლებოდა ისეთი რამის ყიდვა, რის მოთხოვნაც უფრო მეტია ამ ქვეყანაში? და თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, განა ჩვენ არ შეგვეძლო ეს მწარმოებლური შრომა გამოგვეყენებინა, თუნდაც ნაკლები სარგებლობის მიღებით, ქვეყნის შიგნით ამ საქონლითა საწარმოებლად, რომელთა მოთხოვნაც არსებობს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, აღნიშნულ საქონლითა შემცველი საგნების საწარმოებლად? თუ ჩვენ ხელერდი გვქონდა, განა არ შეგვეძლო თვითონ გვეცადა მისი დამზადება? და თუ ამას ჩვენ ვერ შევძლებდით, განა არ შეგვეძლო მეტი მაუდი ან სხვა რომელიმე ჩვენთვის საჭირო საგანი გვეწარმოებინა?

ჩვენ ვაწარმოებთ სამრეწველო საქონელს და ამით ეყიდულობთ საზღვარგარეთ საქონელს იმიტომ, რომ ამ გზით საქონელთა უფრო მეტი რაოდენობის მიღება შეგვიძლია» (ხარისხობრივი განსხვავება არ არსებობს!), «ვიდრე ჩვენ რომ გვეწარმოებინა ეს საქონელი ქვეყნის შიგნით. წაგვართვით ასეთი ღაჭრობის შესაძლებლობა და ჩვენ დაუყოვნებლივ დავიწყებთ ხელახლა ამ საქონლის დამზადებას ჩვენთვის. მაგრამ ადამ სმიტს ეს შეეხედულება ეწინააღმდეგება ყველა მის ზოგად დებულებას ამ საკითხზე. «თუ უცხო ქვეყანასა» (წარმოებულ ციტატი რიკარდოს სმიტიდან) ««შეუძლია მოგვამარაგოს ჩვენ რომელიმე საქონლით უფრო იაფად, ვიდრე ჩვენ თვითონ შეგვიძლია ამ საქონლის წარმოება, მაშინ უმჯობესია იგი ვიყიდოთ ამ უცხო ქვეყანაში ჩვენი საკუთარი შრომის პროდუქტის ნაწილით, შრომისა, რომელიც გამოყენებულია იმ დარგში, სადაც ჩვენ გარკვეული უპირატესობით ვსარგებლობთ. ქვეყნის შრომის საერთო ჯამი, მუდამ რომ შეფარდებაშია კაპიტალ-

თან, რომელიც ამ შრომას იყენებს» (მეტად სხვადასხვა შეფარდებაში) (—ხაზგასმა ციტატში ყველა თვით რიკარდოს ეკუთვნის), ««ამით სრულიადაც არ შემცირდება, და მას დასჭირდება მხოლოდ იმ დარგის მონახვა, სადაც მისი გამოყენება ყველაზე უფრო ხელსაყრელი წესით შეიძლება».

და ისევ: «ამიტომ ისინი, ვისაც თავის განკარგულებაში იმაზე მეტი კვების საკნები აქვს, ვიდრე მოხმარება შეუძლია, მუდამ მზად არიან გაცვალონ ეს ნამეტი, ანუ, რაც იგივეა, ფასი ფასი სხვა სახის დოვლათზე. ყველაფერი, რაც რჩება იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ, რომლებიც შეზღუდულია მათი ოდენობით, იხარჯება ყველა იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, რომელთა მთლიანად დაკმაყოფილება არასოდეს არ შეიძლება და რომელთაც, ეტყობა, არავითარი საზღვარი არა აქვთ. რათა ლუკმა პური იშოვონ, ღარიბები მთელ ძალღონეს ძაბავენ და მდიდრების ქონს აკმაყოფილებენ, ისინი ცდილობენ ერთმანეთს ჯადაჯარობონ თავიანთი მუშაობის სიიაფისა და სრულყოფილების მხრივ, რათა თავიანთი თავი ამ ლუკმა პურით უზრუნველყონ. მუშების რიცხვი იზრდება კვების საკნების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ანდა მიწათმოქმედების გაუმჯობესებასა და გაფართოებასთან ერთად. და რადგან მათი მოსაქმეობის ბუნება შრომის დანაწილების მნიშვნელოვანი გაფართოების შესაძლებლობას იძლევა, ამიტომ გაცილებით უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე მუშების რიცხვი, იზრდება იმ მასალის რაოდენობა, რომლის დამუშავებაც მათ შეუძლიათ. აქედან წარმოდგება მოთხოვნა ყოველგვარი მასალისა, რომელიც ადამიანის გამჭრიახ გონებას შეუძლია იმისათვის გამოიყენოს, რომ გაუმჯობესოს ან მორთოს ბინები, ტანსაცმელი, ავეჯეულობა, სახლის მოწყობილობა; ძლიერდება მოთხოვნა მინერალებისა და სხვა წიაღისეულისა, რაც დედამიწის სიღრმეში იმალება, მოთხოვნა კეთილშობილი ლითონებისა და ძვირფასი ქვებისა».

ყოველივე ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ არ არსებობს საზღვარი მოთხოვნისათვის, არ არსებობს საზღვარი კაპიტალის გამოყენებისათვის, ვიდრე იგი რაიმე მოგებას იძლევა, და რომ, რაგინდ უხვადაც არ უნდა მოიპოვებოდეს კაპიტალი, არ არსებობს მოგების დაცემის სხვა საკმაო მიზეზი, გარდა ხელფასის გადიდებისა, და ამას შეიძლება შემდეგ დაერთოს, რომ ხელფასის გადიდების ერთადერთი საკმაო და მუდმივი მიზეზია მუშების მზარდი რიცხვისათვის საჭმელსა და პირველი საჭიროების საგნების შოვნის მზარდი სიძნელე» (ციტირ. თხზ., გვ. 344 — 348).

[14) ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲩᲠᲔᲚᲔᲚ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲬᲚᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲐᲠᲑᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲚᲘ. ᲡᲐᲣᲙᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲞᲐᲠᲑᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ]

სიტყვას ᲞᲐᲠᲑᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ თავისთავად შევეყავართ შეცდომაში. მანამდე, სანამ დაკმაყოფილებული არაა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის საარსებო მოთხოვნილებანი ანდა თუნდაც მისი

მ ხ ო ლ ო დ ყ ვ ე ლ ა ზ ე უ შ უ ა ლ ო მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ნ ი, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად შეუძლებელია ლაპარაკი პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა ზ ე — იმ აზრით, რომ პროდუქტთა მასა მოჭარბებულია შედარებით ამ პროდუქტების მოთხოვნილებასთან. პირიქით, უნდა ითქვას, რომ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე ამ აზრით მუდამ არსებობს ნ ა კ ლ წ ა რ მ ო ე ბ ა. წარმოების საზღვარი არის კაპიტალისტების მოგება, და არავითარ შემთხვევაში მწარმოებელთა მოთხოვნილებანი. მაგრამ პროდუქტების ჭარბწარმოება და ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ჭარბწარმოება ორი სრულიად განსხვავებული რამაა. თუ რიკარდო ფიქრობს, რომ ს ა ქ ო ნ ლ ი ს ფორმა სულ ერთია პროდუქტისათვის და, შემდეგ, რომ ს ა ქ ო ნ ე ლ მ ი მ ო ქ ც ე ვ ა მხოლოდ ფორმალურად განსხვავდება გაცვლითი ვაჭრობისაგან, რომ საცვლელი ღირებულება აქ მხოლოდ წარმავალი ფორმაა ნივთიერებათა ცვლისა, ფული კი ამიტომ წარმოადგენს მიმოქცევის მხოლოდ ფორმალურ საშუალებას, — ყოველივე ეს არსებითად გამომდინარეობს რიკარდოს წანამძღვარიდან იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული წარმოების წესი წარმოების აბსოლუტური წესია, ე. ი. წარმოების წესი უფრო ზუსტი სპეციფიკური განსაზღვრის გარეშე, და რომ ყველა მისი განსაზღვრა, მაშასადამე, მხოლოდ ფორმალურია. ამიტომაც რიკარდოს არ შეუძლია აღიაროს, რომ ბურჟუაზიული წარმოების წესი შეიცავს საზღვარს მწარმოებლური ძალების თავისუფალი განვითარებისათვის, საზღვარს, რომელიც მეცდავნდება კრიზისებში და — სხვათა შორის — ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი, კრიზისების ამ ძირითად მოვლენაში.

[722] რიკარდო ხედავდა მის მიერ სმიტიდან ციტირებული, მოწონებული და ამიტომ გამეორებული დებულებებიდან, რომ ყოველგვარ სახმარ ღირებულებათა უსაზღვრო «სურვილის» დაკმაყოფილება ყოველთვის ხდება საზოგადოების ისეთი მდგომარეობის საფუძველზე, რომლის დროსაც მწარმოებელთა მასა იძულებულია მეტ-ნაკლებად შემოიფარგლოს «საჭმლის და პირველი საჭიროების საგნების» მოთხოვნილების დაკმაყოფილებით, ე. ი. დასჯერდეს იმას, რასაც ვერასგზით ვერ შეელევა. რიკარდო ხედავდა, რომ, მაშასადამე, მწარმოებელთა ეს დიდი უმრავლესობა მეტ-ნაკლებად გამორიცხულია სიმდიდრის მოხმარებაში მონაწილეობიდან — იმდენად, რამდენადაც სიმდიდრე პირველი საჭიროების საგნების ფარგალს სცილდება.

რა თქმა უნდა, უკანასკნელ გარემოებას ადგილი აქვს, თანაც კიდევ უფრო მეტად, აგრეთვე მონობაზე დაფუძნებულ ანტიკურ წარ-

მოებაში. მაგრამ ძველად ადამიანები არც ფიქრობდნენ იმაზე, რომ ზედმეტი პროდუქტი კაპიტალად გადაექცეთ. ყოველ შემთხვევაში, თუ ამას კიდეც აკეთებდნენ, აკეთებდნენ მხოლოდ უმნიშვნელო ოდენობით (მათ მიერ განძის შეგროვება ამ სიტყვის საკუთარი აზრით, ფართოდ რომ იყო მაშინ გავრცელებული, გვიჩვენებს, თუ რამდენი ზედმეტი პროდუქტი ელაგა მათთან სრულიად გამოუყენებელი.) ზედმეტი პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს ისინი იყენებდნენ არამწარმოებლური ხარჯებისათვის — ხელოვნების ნაწარმოებებისათვის, რელიგიური და საზოგადოებრივი ნაგებობებისათვის. კიდევ უფრო ნაკლებად იყო მათი წარმოება აგებული მატერიალური მწარმოებლური ძალების გაშლასა და განვითარებაზე — შრომის დანაწილებაზე, მანქანებზე, კერძო წარმოებაში ბუნების ძალებისა და მეცნიერების გამოყენებაზე. ფაქტიურად ისინი საერთოდ და ბოლიანად ვერც კი გასცილდნენ ხელოსნური შრომის ფარგლებს. ამიტომ ის სიმდიდრე, რასაც ისინი კერძო მოხმარებისათვის ქმნიდნენ, შეფარდებით მცირე იყო, და დიდი გვიჩვენება იგი მხოლოდ იმიტომ, რომ გროვდებოდა ცოტაოდენთა ხელში, რომლებმაც ამასთან არც იცოდნენ, რა ექნათ მისთვის. თუ ამიტომ ძველ ხალხებში არ იყო ჭარბწარმოება, მდიდრებთან იყო ჭარბმოხმარება, რაც რომისა და საბერძნეთის უკანასკნელ ეპოქაში უაზრო მფლანგველობაში გადადის. ცოტაოდენი მოვაჭრე ხალხები, რომლებიც ძველების წრეში მოიპოვებოდნენ, ამ არსებითად ღარიბი ერების ხარჯზე ცხოვრობდნენ. ნამდვილად კი მწარმოებლური ძალების სწორედ ეს შეუჩერებელი განვითარება და აქედან გამომდინარე მასობრივი წარმოება, რაც ისეთ პირობებში ხდება, რომ, ერთი მხრივ, მწარმოებელთა მასისათვის მოხმარება შეზღუდულია პირველი საჭიროების საგნებით, მეორე მხრივ კი, წარმოების საზღვარს კაპიტალისტების მოგება წარმოადგენს, — აი რა შეადგენს თანამედროვე ჭარბწარმოების საფუძველს.

ყველა მოსაზრება, რასაც რიკარდო და სხვები ჭარბწარმოების და ა. შ. წინააღმდეგ აყენებენ, იმას ემყარება, რომ ბურჟუაზიულ წარმოებას ისინი განიხილავენ ან როგორც ისეთ წარმოების წესს, რომლის დროსაც არ არსებობს განსხვავება ყიდვასა და გაყიდვას შორის, არამედ არსებობს უშუალო გაცვლითი ვაჭრობა, — ანდა როგორც საზოგადოებრივ წარმოებას, რომლის დროს საზოგადოება, ასე ვთქვათ, გეგმის მიხედვით ანაწილებს თავის წარმოების საშუალებებს და მწარმოებლურ ძალებს იმდენად და იმ ზომით, რამდენადაც ეს აუცილებელია მისი სხვადასხვა მოთხოვნილე-

ბების დასაკმაყოფილებლად, ანაწილებს ისე, რომ წარმოების ყოველ სფეროს საზოგადოებრივი კაპიტალის ისეთი წილი ხვდებოდეს, რომელიც საჭიროა სათანადო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეს ფიქცია გამომდინარეობს საერთოდ ბურჟუაზიული წარმოების სპეციფიკური ფორმის გაგების უუნარობიდან, ეს უუნარობა კი, თავის მხრივ, გამომდინარეობს ბურჟუაზიულ წარმოებაში ჩაძირვიდან, წარმოებაში, რომელიც წარმოუდგენიათ როგორც წარმოება საერთოდ [schlechthin]. სავსებით ასევე ადამიანი, რომელიც გარკვეულ რელიგიას აღიარებს, მასში ხედავს რელიგიას საერთოდ [schlechthin], მის გარეშე კი მხოლოდ ცრურელიგიებს ამჩნევს.

ნამდვილად კი, პირიქით, საჭირო იყო გვეკითხა; როგორ ხდება, რომ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე, სადაც თვითეული თავისი პასუხისმგებლობით და რისკით მუშაობს და სადაც განსაკუთრებული შრომა იძულებულია ამასთანავე თავისი თავი გამოხატოს როგორც თავისი დაპირისპირებულობა, როგორც აბსტრაქტულად საყოველთაო და ამ ფორმით საზოგადოებრივი შრომა, — როგორ ხდება, რომ ამ საფუძველზე წარმოების სხვადასხვა სფეროთა აუცილებელი გათანაბრება და ურთიერთკავშირი, დამყარება თანაზომიერებისა და პროპორციისა მათ შორის შესაძლებელია სხვანაირად, ვიდრე მუდმივი დისჰარმონიის მუდმივი მოსპობის გზით? ეს აღიარებულია კიდეე მაშინ, როცა ლაპარაკია გათანაბრებებზე, რომელთაც კონკურენცია ახორციელებს, რადგან ეს გათანაბრებანი მუდამ გულისხმობენ, რომ რაღაც უნდა გათანაბრდეს, ე. ი. რომ ჰარმონია ყოველთვის არის არსებული დისჰარმონიის მომსპობი მოძრაობის შედეგი.

ამიტომაც აღიარებს რიკარდო ცალკეულ საქონელთათვის ბაზრის ზედმეტად ავსების შესაძლებლობას. შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა, მისი აზრით, მხოლოდ ბაზრის ერთდროულად საყოველთაო პირთამდე ავსება. ამიტომ ჭარბწარმოების შესაძლებლობა წარმოების რომელიმე განსაკუთრებულ დარგში არ არის უარყოფილი. [საყოველთაო] ჭარბწარმოებისა და აქედან გამომდინარე ბაზრის საყოველთაო პირთამდე ავსების შეუძლებლობა მდგომარეობს წარმოების ყ ვ ე ლ ა სფეროსათვის ამ მოვლენის ე რ თ დ რ ო ფ ლ ობ ა შ ი ო. გამოთქმა «ბაზრის საყოველთაო პირთამდე ავსება» უნდა ავიღოთ cum grano salis *, იმიტომ რომ საყოველთაო ჭარბწარმოების მო-

* — სიტყვასიტყვით: «მარილის ქვნიტით»; გადატანითი აზრით: «პირობით», «:რა მთლად სიტყვასიტყვით». რ ე დ.

მენტებში ჭარბწარმოება ზოგიერთ სფეროში ყოველთვის არის მხოლოდ რეზულტატი, შედეგი ვაჭრობის წამყვანი საგნების ჭარბწარმოებისა და იგი ყოველთვის მხოლოდ შეფარდებითია და ჭარბწარმოებას მხოლოდ იმიტომ წარმოადგენს, რომ ჭარბწარმოება არსებობს სხვა დარგებში.

ალოლოგეტიკა აძას თავდაყირა აყენებს. ვაჭრობის წამყვანი საგნების ჭარბწარმოება, რომელთა სფეროშიც მარტოოდენ ვლინდება აქტიური ჭარბწარმოება, — ეს კი საერთოდ ისეთი საგნებია, რომლებიც შეიძლება იწარმოებოდეს მხოლოდ მასობრივი მასშტაბით და ფიზიკიური წესით (აგრეთვე მიწათმოქმედებაშიც), — წარმოადგენს, ამ ალოლოგეტების მტკიცებით, ჭარბწარმოებას მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს ისეთი საგნების ჭარბწარმოება, რომელთა სფეროშიც მეფადგნდება შეფარდებითი, ანუ პასიური, ჭარბწარმოება. ამ შეხედულების თანახმად, ჭარბწარმოება მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ჭარბწარმოება არ არის უნივერსალური. ჭარბწარმოების ფარდობითობა — ის ფაქტი, რომ ნამდვილი ჭარბწარმოება გარკვეულ დარგებში იწვევს მას სხვა დარგებში, — შეიძლება შემდეგნაირად დაფორმულდეს: არ არსებობს უნივერსალური ჭარბწარმოება, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ჭარბწარმოება უნივერსალური იქნებოდა, წარმოების ყველა სფერო შეინარჩუნებდა ინაგე თანაფარდობას ერთმანეთს შორის; მაშასადამე, უნივერსალური ჭარბწარმოება პროპორციული წარმოების ტოლფარდია, რაც ჭარბწარმოებას გამორიცხავს. და ეს უნივერსალური ჭარბწარმოების წინააღმდეგ ლაპარაკობს. [723] სახელდობრ, რადგან უნივერსალური ჭარბწარმოება აბსოლუტური აზრით იქნებოდა არა ჭარბწარმოება, არამედ მხოლოდ ჩვეულებრივზე უფრო მეტი განვითარება მწარმოებლური ძალისა წარმოების ყველა სფეროში, ამიტომ არ არსებობს ნამდვილი ჭარბწარმოება, რომელიც სწორედ არც არის ეს არარსებული, თავისი თავის მომპოპი ჭარბწარმოება. ნამდვილად კი, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არაა ასეთი, იგი არსებობს სწორედ.

ამ უბადრუკი სოფისტიკის უფრო დეტალური განხილვისას საქმის ვითარება იქნება შემდეგი:

დავუშვათ, რომ ადგილი აქვს რკინის, ბამბეულის ქსოვილის, ტილოს, აბრეშუმის, მაუდის და სხვ. ჭარბწარმოებას; მაშინ არ შეიძლება ითქვას, რომ წარმოებულია, მაგალითად, მეტად ცოტა ნახშირი და რომ სწორედ ეს არის აღნიშნული ჭარბწარმოების მიზეზი; ვინაიდან რკინის და ა. შ. ეს ჭარბწარმოება სავსებით ისევე შეიცავს

ნახშირის ჭარბწარმოებას, როგორც, ვთქვათ, ქსოვილის ჭარბწარმოება შეიცავს ნართის ჭარბწარმოებას. წესაძლებელი იქნებოდა ჭარბწარმოება ნართისა შედარებით ქსოვილთან, რკინისა — შედარებით მანქანებთან და ა. შ. ეს ყოველთვის იქნებოდა მუდმივი კაპიტალის შეფარდებითი ჭარბწარმოება.} ამრიგად, შეუძლებელია ლაპარაკი იმ საგნების ნაკლწარმოებაზე, რომელთა ჭარბწარმოება უკვე იგულისხმება, რადგან ისინი შ ე დ ი ა ნ შემადგენელ ნაწილად — როგორც ნედლეული, დამხმარე მასალა ან წარმოების საშუალებანი — იმ საგნებში, რომელთა დადებითი ჭარბწარმოება არის სწორედ ასახსნელი ფაქტი (შ ე დ ი ა ნ «ცალკეულ საქონელში, რომელიც წარმოებულია ზედმეტი რაოდენობით და რომელიც შეიძლება ისე უხვი აღმოჩნდეს ბაზარზე, რომ მასზე დახარჯული კაპიტალი არ ანაზღაურდეს» *). მაშასადამე, ლაპარაკია სხვა საგნებზე, უშუალოდ რომ ეკუთვნიან წარმოების ისეთ სფეროებს, რომლებიც არც ვაჭრობის წამყვანი საგნების სფეროებია, სადაც, ვარაუდის თანახმად, ჭარბწარმოებაა, არც ისეთი სფეროები, სადაც, რადგან ისინი ვაჭრობის წამყვანი საგნებისათვის შუალედურ წარმოებას შეადგენენ, წარმოებას სულ ცოტა მიღწეული უნდა ჰქონდეს ისეთივე მასშტაბი, როგორც პროდუქტის დასკვნითს ფაზებშია, — თუმცა არაფერი ხელს არ უშლის იმას, რომ წარმოება აქ კიდევ უფრო შორს წავიდეს და ამ გზით ჭარბწარმოების შიგნით ჭარბწარმოება წარმოიქმნას. ასე, მაგალითად, თუმცა ნახშირი ისეთი რაოდენობით უნდა იწარმოებოდეს, რომ მუშაობა შეეძლოს მრეწველობის ყველა იმ დარგს, რომლებშიც ნახშირი წარმოების აუცილებელი პირობის სახით შედის, და, მაშასადამე, ნახშირის ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა შესაძლო რკინის, ნართის და ა. შ. ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი (მაშინაც კი, თუ ნახშირი წარმოებულია მხოლოდ ისეთი რაოდენობით, რომელიც შეფარდებაშია რკინისა და ნართის წარმოებასთან), მაინც შესაძლებელია ა გ რ ე თ ვ ე, რომ ნახშირი ჯერ კიდევ უფრო მეტი იყოს წარმოებული, ვიდრე ამას რკინის, ნართის და ა. შ. ჭარბწარმოება მოითხოვდა. ეს არა მარტო შესაძლებელია, არამედ ფრიად მოსალოდნელიც. ვინაიდან ნ ა ხ შ ი რ ი ს და ნ ა რ თ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა და წარმოება ყოველ სხვა დარგში, რომელიც მხოლოდ პირობას ან მხოლოდ მო-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 669 — 670, 675 და 678, სადაც ციტატი რიკარდოდან მთლიანად მოყვანილია. რ ე დ.

სამზადებელ ფაზას წარმოადგენს ისეთი პროდუქტისათვის, რომელიც მეორე სფეროში უნდა დამთავრდეს, ხელმძღვანელობს არა უშუალო მოთხოვნით, არა უშუალო წარმოებით ან კვლავწარმოებით, არამედ მათი გაფართოების ხ ა რ ი ს ხ ი თ, ზ ო მ ი თ, შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ (პროპორციით). და რომ ასეთი გაანგარიშებისას შეიძლება მიზანს ასცდე, ეს თავისთავად ცხადია. გამოდის, ამრიგად, რომ საკმარისად არ იყო წარმოებული [არა ზემოაღნიშნული პროდუქტები, არამედ] სხვა საგნები, მაგალითად, როიალები, ძვირფასი ქვები და ა. შ., რომ ნ ა კ ლ წ ა რ მ ო ე ბ ა ს ადგილი ჰქონდა ამ სხვა საგნების დარგში. (არის ხოლმე, რა თქმა უნდა, ჭარბწარმოების ისეთი შემთხვევებიც, როცა ისეთი საგნების ჭარბწარმოება, რომლებიც წამყვანი საგნების კატეგორიას არ ეკუთვნიან, არ არის შედეგი და როცა ჭარბწარმოების მიზეზი, პირიქით, ნ ა კ ლ წ ა რ მ ო ე ბ ა ა, როგორც ეს ხდება, მაგალითად, პურის მოუსავლიანობის დროს, ბამბის მოუსავლიანობის დროს და ა. შ.)

ამ ფრაზის [ნაკლწარმოების შესახებ] უაზრობა განსაკუთრებით მკაფიოდ მეღავნდება მაშინ, როცა მას საერთაშორისო მასშტაბით იყენებენ, როგორც ამას აკეთებდნენ სეი[139] და სხვა ეკონომისტები მის შემდეგ. ამტკიცებენ, მაგალითად, რომ უნდა ვლაპარაკობდეთ არა ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა ზ ე ინგლისში, არამედ ნ ა კ ლ წ ა რ მ ო ე ბ ა ზ ე იტალიაში. თუ იტალიას, ჯერ ერთი, საკმაო კაპიტალი ექნებოდა იტალიაში საქონელთა ფორმით გატანილი ინგლისური კაპიტალის ასანაზღაურებლად; მეორე, თუ ის ამ თავის კაპიტალს იმგვარად გამოიყენებდა, რომ იგი აწარმოებდა იმ განსაკუთრებულ საგნებს, რომელთაც ინგლისური კაპიტალი საჭიროებს ნაწილობრივ თავის თავის ასანაზღაურებლად, ნაწილობრივ მისგან მისაღები შემოსავლის ასანაზღაურებლად, მაშინ არავითარი ჭარბწარმოება არ იქნებოდა. მაშასადამე, არ იარსებებდა ფაქტი ნამდვილად—იტალიაში ნ ა მ დ ვ ი ლ ი წარმოების მიმართ—არსებული ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა ინ გ ლ ი ს შ ი, არამედ იქნებოდა მხოლოდ ფაქტი წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ი თ ი ნ ა კ ლ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა იტალიაში; წარმოსახვითი იმიტომ, რომ იგი გულისხმობს იტალიაში ისეთ [724] კაპიტალს და მწარმოებლური ძალის ისეთ განვითარებას, რასაც იქ ადგილი არა აქვს, მეორე კი, იმიტომ, რომ აქ ამას გარდა დაშვებულია ასევე უტოპიური ვარაუდი, რომ იტალიაში ეს ა რ არსებული კაპიტალი მოიხმარება სწორედ ისე, როგორც ეს აუცილებელი იქნებოდა იმისათვის, რომ ინგლისური მიწოდება და იტალიური მოთხოვნა, ინგლისური და იტალიური წარმოება ერთიმეორეს ავსებდნენ.

სხვა სიტყვებით ეს ნიშნავს მხოლოდ შემდეგს: ჭარბწარმოება არ იქნებოდა, მოთხოვნა და მიწოდება რომ ერთიმეორეს შეესაბამებოდეს, კაპიტალი რომ წარმოების ყველა სფეროს შორის ისეთი პროპორციით იყოს განაწილებული, რომ ერთი საგნის წარმოება შეიცავდეს მეორის მოხმარებას და, მაშასადამე, თავის საკუთარ მოხმარებასაც. ჭარბწარმოება არ იქნებოდა, ჭარბწარმოება რომ არ არსებობდეს. მაგრამ რადგან ამა თუ იმ მომენტისათვის არსებულ პირობებში კაპიტალისტურ წარმოებას შეუჩერებლად განვითარება მხოლოდ ცალკეულ სფეროებში შეუძლია, ამიტომ ყოველგვარი კაპიტალისტური წარმოება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა, თუ იგი ყველა სფეროში ერთდროულად და თანაბარზომიერად უნდა განვითარებულიყო. რადგან აღნიშნულ ცალკეულ სფეროებში ჭარბწარმოებას ადგილი აქვს აბსოლუტურად, რელატიურად მას ადგილი აქვს აგრეთვე იმ სფეროებშიც, სადაც [აბსოლუტური] ჭარბწარმოება არ არის.

ამრიგად, ამგვარი ახსნა ჭარბწარმოებისა ერთ მხარეზე ნაკლწარმოებით მეორე მხარეზე ნიშნავს მხოლოდ შემდეგს: წარმოება რომ პროპორციული იყოს, ჭარბწარმოება არ იქნებოდა. იგივე იქნებოდა, მოთხოვნა და მიწოდება რომ ერთმანეთს შეესაბამებოდეს. იგივე იქნებოდა, ყველა სფეროს რომ კაპიტალისტური წარმოებისა და მისი გაფართოების თანაბარი შესაძლებლობანი ჰქონდეს — ისეთი შესაძლებლობანი, როგორიცაა შრომის დანაწილება, მანქანები, გაზიდვა შორეულ ბაზრებზე, მასობრივი წარმოება და ა. შ., — ერთმანეთთან მოვაპირე ყველა ქვეყნებს რომ წარმოების თანაბარი უნარი ჰქონდეთ, და თანაც ამ ქვეყნების წარმოება რომ სხვადასხვა და ერთიერთ შემავსებელი იყოს. მაშასადამე, თუ ჭარბწარმოებას ადგილი აქვს, ეს იმიტომ, რომ არ სრულდება ყველა ეს ღვთისმოსავი სურვილი. ანდა კიდევ უფრო აბსტრაქტულად: არ იქნებოდა ჭარბწარმოება ერთ ადგილას, თუ ყველგან ადგილი ექნებოდა თანაბარ ჭარბწარმოებას; მაგრამ კაპიტალი არაა საკმაოდ დიდი იმისათვის, რომ ჭარბწარმოებას ასეთი უნივერსალური ხასიათი ჰქონდეს, და ამიტომაცაა, რომ ადგილი აქვს მხოლოდ ნაწილობრივ ჭარბწარმოებას.

თუ უფრო ახლოს განვიხილავთ, ეს ფანტაზია შემდეგია:

აღიარებულია, რომ წარმოების ყოველ ცალკეულ დარგში შესაძლებელია ჭარბწარმოება. ერთადერთი გარემოება, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა ერთდროული ჭარბწარმოებისათვის ყველა დარგში, ისაა, აღნიშნული ახსნა-განმარტების თანახმად, რომ საქონელი გაიცვლება საქონელზე, ე. ი. ამ შეხედულე-

ბის მომხრენი მიმართავენ გაცვლითი ვაჭრობის პირობების ვარაუდს. მაგრამ თავის დაღწევის ეს გზა გადაჭრილია სწორედ იმით, რომ საქონელმიმოქცევა [trade] არ არის გაცვლითი ვაჭრობა და ამიტომ საქონლის გამყიდველი სულაც არ წარმოადგენს აუცილებლად იმავე დროს რომელიმე სხვა საქონლის მყიდველსაც. მთელი ეს თავის დაძვრენა იმას ემყარება, მაშასადამე, რომ მხედველობის გარეშე რჩება ფ უ ლ ი, მხედველობის გარეშე რჩება ის, რომ ლაპარაკია არა პროდუქტების გაცვლაზე, არამედ საქონელმიმოქცევაზე, რომლისთვისაც ყიდვისა და გაყიდვის ერთმანეთისაგან დაშორებას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

(კაპიტალის მიმოქცევა შეიცავს დარღვევათა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს. ასე, მაგალითად, კაპიტალის წარმოების პირობებად ფულის უკუგადაქცევის დროს საქმე მარტო იმას როდი ეხება, რომ ფული ხელახლა გადაიქცეს იმავე (თავისი სახეობით) სახმარ ღირებულებებად: კვლავწარმოების პროცესის გამეორებისათვის არსებითია ,ის, რომ ეს სახმარი ღირებულებანი ხელახლა გვქონდეს მათი წინანდელი ღირებულების მიხედვით (ანდა უფრო დაბალი ღირებულების მიხედვით, რაც, რა თქმა უნდა, უკეთესია). მაგრამ კვლავწარმოების ამ ელემენტების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, ნედლეულისაგან რომ შედგება, შეიძლება გაძვირდეს ორი მიზეზის გამო. ჯ ერ ე რ თ ი, თუ წარმოების იარაღების რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ნედლეულის ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება წარმოებულ იქნეს მოცემულ დროის მონაკვეთში. მ ე ო რ ე, მოსავლიანობის ცვალებადი ხასიათის გამო. ამიტომ ამინდი, როგორც სწორად შენიშნა ტუკმა[140], ასეთ დიდ როლს ასრულებს თანამედროვე მრეწველობაში. (იგივე ითქმის კვების საგნებზე მათს პირმართებაში ხელფასთან.) ამრიგად, ფულის უკუგადაქცევა საქონლად შეიძლება აწყდებოდეს სიძნელეებს და ქმნიდეს კრიზისის შესაძლებლობას საკუთარით ისევე, როგორც საქონლის ფულად გადაქცევაც. იმ შემთხვევებში, როცა ლაპარაკია მარტივ მიმოქცევაზე და არა კაპიტალის მიმოქცევაზე, ეს სიძნელენი არ არსებობს.) (არის კიდევ კრიზისის უამრავი მომენტი, პირობა, შესაძლებლობა, რომელთა განხილვაც შეიძლება უფრო კონკრეტულ ურთიერთობათა, განსაკუთრებით კი კაპიტალების კონკურენციისა და კრედიტების ანალიზის დროს.

[725] ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა უარყოფილია, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა კი, პირიქით, აღიარებულია. მაგრამ კაპიტალი თვით შედგება საქონელთაგან ანდა,

რამდენადაც იგი ფულისაგან შედგება, იგი უნდა უკუგადაიქცეს ამა თუ იმ სახის საქონლად, რათა მან კაპიტალის სახით იმოქმედოს. რა არის, მაშასადამე, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა? ღირებულების ისეთ მასათა ჭარბწარმოება, რომლებიც განკუთვნილია ზედმეტი ღირებულების საწარმოებლად (ანუ, თუ კაპიტალს მისი ნივთობრივი შემცველობის მხრივ განვიხილავთ, კვლავწარმოებისათვის განკუთვნილ საქონელთა ჭარბწარმოება), — მაშასადამე, კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ა მ ე ტ ა დ დ ი დ ი მ ა ს შ ტ ა ბ ი თ, ხოლო ეს იგივეა, რაც უბრალოდ ჭარბწარმოება.

თუ უფრო გარკვევით ვიტყვით, კაპიტალის ჭარბწარმოება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მეტად ბევრი იწარმოება გ ა მ დ ი დ რ ე ბ ი ს მიზნით, ანუ პროდუქტის მეტად დიდი ნაწილი განკუთვნილია არა იმისათვის, რომ შემოსავლის სახით მოიხმარებოდეს, არამედ იმისათვის, რომ მ ო გ ე ბ ა ს ი ძ ლ ე ო დ ე ს, გროვდებოდეს; არა იმისათვის, რომ თავისი მფლობელის კერძო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდეს, არამედ იმისათვის, რომ მას აძლევდეს აბსტრაქტულ საზოგადოებრივ სიმდიდრეს, ფულს, მეტ ბატონობას სხვის შრომაზე — მეტ კაპიტალს, — ანდა აძლიერებდეს ამ ბატონობას. ამას ლაპარაკობენ ერთი მხარის წარმომადგენელნი. (რიკარდო უარყოფს ამას *.) და რით ხსნიან საქონელთა ჭარბწარმოებას მეორე მხარის წარმომადგენელნი? იმით, რომ წარმოება არ არის საკმარისად სხვადასხვაგვარი, რომ მოხმარების გარკვეული საგნები წარმოებული ჰრაა საკმაოდ მასობრივი რაოდენობით. აქ რომ საწარმოო მოხმარებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ეს ცხადია; ვინაიდან ფაბრიკანტი, რომელიც ძლიერ ბევრ ტილოს აწარმოებს, აუცილებლად ადიდებს ნართის, მანქანების, შრომის და ა. შ. თავის მოთხოვნას. მაშასადამე, ლაპარაკია კერძო მოხმარებაზე. წარმოებულია ძლიერ ბევრი ტილო, მაგრამ, შესაძლოა, ძლიერ ცოტა ფორთობალი. ჭერ უარყოფილი იყო ფული, რათა წარმოედგინაო [როგორც არარსებული ან არაარსებითი] ყიდვისა და გაყიდვის ერთმანეთისაგან გათიშვა. ახლა უარყოფილია კაპიტალი, რათა კაპიტალისტები ისეთ ადამიანებად დაგვისახონ, რომლებიც ასრულებენ მარტივ ოპერაციას ს — ფ — ს და აწარმოებენ ინდივიდუალური მოხმარებისათვის, და არა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ა დ, რომლებიც მიზნად ისახავენ გამდიდრებას, ზედმეტი ღირებულების ნაწილის უკუგადაქცე-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 666. რ ე დ.

ეას კაპიტალად. ხოლო ფრაზა, რომ არსებობს ძ ლ ი ე რ ბ ე ვ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ძლიერ ცოტა პროდუქტი მოიხმარება — და მოცემულ პირობებში შეიძლება მოხმარებულ იქნეს — როგორც შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი. (სისმონდი [141].) რატომაა, რომ ტილოს მწარმოებელი მოთხოვნას უყენებს ხორბლის მწარმოებელს, რათა მან მეტი ტილო მოიხმაროს, ანდა ხორბლის მწარმოებელი მოთხოვნას უყენებს ტილოს მწარმოებელს, რათა მან მეტი ხორბალი მოიხმაროს? რატომაა, რომ ტილოს მწარმოებელი თვითონ არ ახდენს თავისი შემოსავლის (ზედმეტი ღირებულების) უფრო მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაციას ტილოს სახით, ფერმერი კი — ხორბლის სახით? თვითეულის მიმართ, თუ ცალ-ცალკე ავიღებთ, აღიარებულია, რომ (თუ აღარას ვიტყვით იმაზე, რომ ყოველ მოთხოვნილებას გარკვეული საზღვარი აქვს) ამას ხელს უშლის მათი მოთხოვნილება კაპიტალიზაციისა. ყველას მიმართ კი, თუ ერთად ავიღებთ, ეს არ არის აღიარებული.

(ჩვენ აქ სრულიად მხედველობის გარეშე ვტოვებთ კრიზისების ელემენტს, რომელიც იქიდან გამომდინარეობს, რომ საქონელთა კვლავწარმოება უფრო იაფია, ვიდრე მათი წარმოება. აქედან წარმოდგება ბაზარზე მყოფ საქონელთა გაუფასურება.)

მსოფლიო ბაზრის საყოველთაო კრიზისებში ბურჟუაზიული წარმოების ყველა წინააღმდეგობა მძაფრად მეღავნდება მთელი თავისი ერთობლიობით, კერძო კრიზისებში კი (ც ე რ ძ ო შინაარსით და მოცულობით) — მხოლოდ განცალკევებულად, იზოლირებულად, ცალმხრივად.

რაც შეეხება სპეციალურად ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა ს, მისი პირობაა კაპიტალის წარმოების საყოველთაო კანონი, რომლის თანახმად წარმოება უნდა იზრდებოდეს მწარმოებლური ძალების განვითარების კვალობაზე (ე. ი. კაპიტალის მოცემული მასით შრომის მაქსიმალური მასის ან ექსპლოატაციის შესაძლებლობის კვალობაზე), ბაზრის ან გადახდისუნარიან მოთხოვნილებათა არსებული საზღვრების მხედველობაში მიუღებლად. და ეს ხდება კვლავწარმოებისა და დაგროვების მუდმივი გაფართოებით, მაშასადამე, კაპიტალად შემოსავლის მუდმივი უკუგადაქცევითაც, მაშინ როდესაც, [726] მეორე მხრივ, მწარმოებელთა მასისათვის მოთხოვნა შეზღუდულია და, კაპიტალისტური წარმოების ბუნების შესაბამისად, შეზღუდული უნდა იყოს მოთხოვნილებათა საშუალო დონით.

[15) რიკარდოს შეხედულებანი კაპიტალის დაგროვების სხვადასხვა წესებზე და დაგროვების ეკონომიური შედეგებზე]

მე-8 თავში («გადასახადების შესახებ») რიკარდო ამბობს:

«როცა რომელიმე ქვეყნის წლიური პროდუქტი გადაჭარბებით ანაზღაურებს ამ ქვეყნის წლიურ მოხმარებას, ამბობენ, მისი კაპიტალი დიდდებაო; როცა ქვეყნის წლიურ მოხმარებას ვერც კი ფარავს მისი წლიური წარმოება, ამბობენ, მისი კაპიტალი მცირდებაო. ამრიგად, კაპიტალი შეიძლება დიდდებოდეს ან წარმოების გადიდების გამო, ანდა არამწარმოებლური მოხმარების შემცირების გამო» (გვ. 162 — 163).

სიტყვებით «არამწარმოებლური მოხმარება» რიკარდო აქ გულისხმობს, როგორც იგი ციტირებული ადგილის შესახებ მოცემულ შენიშვნაში ამბობს (გვ. 163), პროდუქტების მოხმარებას არამწარმოებელი მუშაკების მიერ, «რომლებიც მათ მიერ მოხმარებულის ნაცვლად არავითარ სხვა ღირებულებას არ აწარმოებენ». მაშასადამე, წლიური წარმოების გადიდება გაგებულია როგორც წლიური საწარმოო მოხმარების გადიდება. უკანასკნელი შეიძლება გადიდდეს ან მისი პირდაპირი გადიდების გზით, როცა უცვლელი ან შნარდიც კია არასაწარმოო მოხმარება, ანდა არასაწარმოო მოხმარების შემცირების გზით.

«როცა ვამბობთ, — ნათქვამია იმავე შენიშვნაში», — «რომ შემოსავალი იზოგება და კაპიტალს ემატება, ჩვენ ვგულისხმობთ, შემოსავლის იმ ნაწილს, რომელზეც ლაპარაკია, რომ იგი კაპიტალს ემატება, მოიხმარება ახლა მწარმოებელი მუშების მიერ და არა არამწარმოებელი მუშების მიერ».

მე ცხადვყავი*, რომ შემოსავლის გადაქცევა კაპიტალად სულაც არაა ოგივე, რაც შემოსავლის გადაქცევა ცვალებად კაპიტალად, ან მისი დახარჯვა ხელფასზე. მაგრამ სწორედ ასე ფიქრობს რიკარდო. იმავე შენიშვნაში იგი ამბობს:

«თუ შრომის ფასი ისე მაღლა აიწევდა, რომ, მიუხედავად კაპიტალის მატებისა, შეუძლებელი იქნებოდა წინანდელზე მეტი შრომის გამოყენება, მაშინ მე ვიტყოდი, რომ კაპიტალის ასეთი ნამატი არამწარმოებლურად მოიხმარება».

მაშასადამე, არა უბრალოდ შემოსავლის მოხმარება მწარმოებელი მუშების მიერ ხდის ამ მოხმარებას «მწარმოებლურ» მოხმარებად, არამედ მისი მოხმარება იმ მუშების მიერ, რომლებიც ზედმეტ

---

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 631 — 660. რ ედ.

ღირებულებას აწარმოებენ. ამ შეხედულების თანახმად, კაპიტალი მხოლოდ იმ შემთხვევაში დიდდება, თუ იგი თავის განკარგულებაში ღებულობს მეტ შრომას [წინანდელთან შედარებით].

მე-7 თავში («საგარეო ვაჭრობის შესახებ») რიკარდო წერს:

«არსებობს კაპიტალის დაგროვების ორი გზა: მისი დაზოგვა შეიძლება ან შემოსავლის გადიდებით, ან მოხმარების შემცირებით. თუ ჩემი მოგება 1000 გირვ. სტერლინგიდან 1200 გირვ. სტერლინგამდე გადიდდა, ჩემი ხარჯები კი უცვლელი რჩება, მე ყოველწლიურად ვაგროვებ 200 გირვ. სტერლინგით მეტს, ვიდრე წინათ ვაგროვებდი. თუ მე ჩემი ხარჯებიდან 200 გირვ. სტერლინგს ვინახავ, ჩემი მოგება კი უწინდელი რჩება, მაშინაც ივიეე შედეგი მიიღება: ჩემ კაპიტალს ყოველწლიურად დამატებით მიემატება 200 გირვ. სტერლინგი» (გვ. 135).

«თუ ახალი მანქანების შემოღების გამო ყველა იმ საქონლის ღირებულება, რომლებზეც შემოსავალი იხარჯება, 20%-ით დაეცემა, მაშინ მე ამის მეოხებით შემიძლია იმდენივე დავზოგო, რამდენსაც იმ შემთხვევაში დავზოგავდი, როცა ჩემი შემოსავალი 20%-ით გაიზრდებოდა. მაგრამ მოგების ნორმა ერთ შემთხვევაში უცვლელი რჩება, მეორეში კი 20%-ით იზრდება. თუ იაფი საქონლის შემოზიდვა საზღვარგარეთიდან მე შესაძლებლობას მაძლევს ჩემი ხარჯებიდან 20% დავზოგო, მაშინ ივიეე შედეგი იქნება, რაც იმ შემთხვევაში, თუ მანქანები ამ საქონლთა წარმოების ხარჯებს შეამცირებდნენ, მაგრამ მოგება არ გადიდდებოდა» (გვ. 136).

(ესე იგი არ გადიდდებოდა, უფრო იაფი პროდუქტები რომ არ შედიოდნენ არც ცვალებად კაპიტალში, არც მუდმივში.)

ამრიგად, შემოსავლის უცვლელი ხარჯვისას დაგროვება მოგების ნორმის გადიდების შედეგია (მაგრამ დაგროვება დამოკიდებულია მოგების არა მარტო სიმაღლეზე, არამედ მოგების მასაზეც), მოგების უცვლელი ნორმის დროს დაგროვება შედეგია ხარჯების შემცირებისა, რასაც, როგორც რიკარდო აქ ვარაუდობს, ადგილი აქვს იმ «საქონელთა გაიაფების შედეგად, რომლებზეც შემოსავალი იხარჯება» (ეს გაიაფება გამოწვეულია ან მანქანების შემოღებით, ან საგარეო ვაჭრობით).

მე-20 თავში («ღირებულება და სიმდიდრე, მათი განმასხვავებელი თვისებანი») ნათქვამია:

«ქვეყნის სიმდიდრე» (სიმდიდრე რიკარდოს ესმის როგორც სახმარი ღირებულებანი) «შეიძლება გადიდდეს ორი წესით: ჯერ ერთი, მწარმოებლური შრომის შენახვაზე შემოსავლის მეტი წილის გამოყენების გზით, რის გამოც დიდდება არა მარტო რაოდენობა, არამედ ღირებულებაც საქონლთა მთელი მასისა; მეორე, იგი შეიძლება

გადიდებულ იქნეს შრომის დამატებითი რაოდენობის გამოუყენებლადაც—იმის მეოხებით, რომ შრომის წმინდელი რაოდენობა უფრო ნაყოფიერი ხდება, რის გამოც ადიდება წარმოებულ საქონელთა რაოდენობა, მაგრამ არა ღირებულება.

პირველ შემთხვევაში იზრდება არა მარტო სიმდიდრე ქვეყნისა, არამედ მისი სიმდიდრის ღირებულებაც. ქვეყანა მდიდრდება მომჭირნეობის ხეხებით, იმით, რომ მეცრდება მისი ხარჯები ფუფუნებისა და კომფორტის საგნებისათვის და ამ გზით მიღებული დანაზოგი ყველაწარმოების ხმარდება.

[727] მეორე შემთხვევაში საყალდებულო არაა, რომ ადგილი ჰქონდეს ფუფუნებისა და კომფორტის საგნებთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას ან გამოყენებული მწარმოებლური შრომის რაოდენობის გადიდებას; მაგრამ იგივე შრომა აქ იქნება მეტი პროდუქტის მწარმოებელი: გაიზრდება სიმდიდრე, თუმცა არა ღირებულება. სიმდიდრის გადიდების ამ ორი წესიდან უპირატესობა უნდა მიეცეს უკანასკნელს, რადგან იგი იმავე შედეგს იძლევა იმ ყოველგვარი ხელოვნურობის გარეშე და კომფორტის შეუმცირებლად, რომლებიც აუცილებლად დაკავშირებულია პირველ წესთან. კაპიტალი არის ქვეყნის სიმდიდრის ის ნაწილი, რომელიც მომავალი წარმოების მიზნებისათვის გამოიყენება, და იგი შეიძლება გადიდდეს იმავე წესებით, რითაც სიმდიდრე დიდდება. დამატებითი კაპიტალი იქნება თანაბრად ეფექტიანი მომავალი სიმდიდრის წარმოებისას მიუხედავად იმისა, მიღებული იგი შრომის მეთოდებისა და შანქანების გაუმჯობესებათა გზით თუ ყველაწარმოების მიზნებისათვის შემოსავლის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენების გზით. ვინაიდან სიმდიდრე შედამ დამოკიდებულია წარმოებულ საქონელთა რაოდენობაზე ამ სიადვილის მიუხედავად, რითაც წარმოებული იყო წარმოების დროს გამოყენებული საშუალებანი. ტანსაცმლისა და ყვების საგნების გარკვეული რაოდენობა შეუნარჩუნებს არსებობას და დასაქმებს ადამიანთა ერთსა და იმავე რიცხვს და ამიტომ უზრუნველყოფს შრომის ერთი და იმავე რაოდენობის შესრულებას, სულ ერთია, ეს ყვების საგნები და ტანსაცმელი 100 კაცის შრომითაა წარმოებული თუ 200 კაცის შრომით; მაგრამ ამ საგნების ორჯერ მეტი ღირებულება ექნებათ, თუ მათი წარმოებისას დასაქმებული იყო 200 კაცი» (გვ. 327 — 328).

საკითხის პირველი დაყენება რიკარდოს მიერ ასეთი იყო:

დაგროვება იზრდება, ხარჯების უცვლელობისას, როცა მოგების ნორმა დიდდება, ანდა, მოგების ნორმის უცვლელობისას, როცა ხარჯები (ღირებულების მიხედვით) მცირდება იმის გამო, რომ იაფდება საქონელი, რომელზეც შემოსავალი იხარჯება.

ახალი რიკარდო აყენებს სხვა დაპირისპირებულობას:

დაგროვება იზრდება, კაპიტალი გროვდება თავისი მასისა და ღირებულების მიხედვით, როცა შემოსავლის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ამოიღება ინდივიდუალური მოხმარების სფეროდან და გა-

მოიყენება საწარმოო მოხმარებაზე, როცა ასეთი გზით დაზოგვილი შემოსავლის ნაწილით მოძრაობაში მოიყვანება მეტი მწარმოებლური შრომა. ამ შემთხვევაში დაგროვებას ადგილი აქვს მ ო მ ჭ ი რ ნ ე ო ბ ი ს მეოხებით.

ანდა ხარჯები [ინდივიდუალური მოხმარებისათვის] უცვლელი რჩება, მწარმოებლური შრომის არავითარი დამატებითი რაოდენობა არ გამოიყენება, მაგრამ იგივე შრომა მეტ პროდუქტს აწარმოებს წინანდელთან შედარებით, მისი მწარმოებლური ძალა იზრდება. ის ელემენტები, რომლებისგანაც მწარმოებლური კაპიტალი შედგება, — ნედლეული, მანქანები და ა. შ. [უწინ რიკარდო ლაპარაკობდა იმ საქონელზე, რომელზეც შემოსავალი იხარჯება, ახლა კი ლაპარაკია იმ საქონელზე, რომელიც წარმოების საშუალებათა სახით გამოიყენება], — შრომის იმავე დახარჯვისას იწარმოება უფრო დიდი რაოდენობით, უკეთესად და ამიტომ უფრო იაფადაც. ამ შემთხვევაში დაგროვება არ არის დამოკიდებული არც იმაზე, რომ მოგების ნორმა დიდდება, არც იმაზე, რომ შემოსავლის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი, მომჭირნეობის მეოხებით, კაპიტალად გადაიქცევა, არც იმაზე, რომ — იმ საქონელთა გაიაფების გამო, რომლებზეც შემოსავალი იხარჯება, — არამწარმოებლური მიზნებისათვის იხარჯება შემოსავლის ნაკლებმნიშვნელოვანი ნაწილი. დაგროვება დამოკიდებულია აქ იმაზე, რომ შრომა უფრო ნაყოფიერი ხდება წარმოების იმ სფეროებში, რომლებიც თვით კაპიტალის ელემენტებს იძლევიან, ე. ი. დამოკიდებულია იმაზე, რომ იაფდება საქონელი, რომელიც ნედლეულის, იარაღებისა და სხვ. სახით წარმოების პროცესში შედის.

თუ შრომის მწარმოებლური ძალა გადიდდა იმის გამო, რომ გაიზარდა ძირითადი კაპიტალის წარმოება შედარებით ცვლადადთან, მაშინ იზრდება კვლავწარმოების არა მარტო მასა, არამედ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ც, იმის გამო, რომ ძირითადი კაპიტალის ღირებულების ნაწილი შედის წლიურ კვლავწარმოებაში. ეს შეიძლება ხდებოდეს მოსახლეობის ზრდისა და გამოყენებული მუშების რიცხვის გადიდების პარალელურად, თუმცა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ, მათ ძიერ ზოძრაობაში მოყვანილ მუდმივ კაპიტალთან შედარებით, გამოყენებული მუშების რიცხვი მუდამ მცირდება. ამრიგად, იზრდება არა მარტო სიმდიდრე, არამედ ღირებულებაც, და მოძრაობაში მოდის ცოცხალი შრომის უფრო მეტი მასა, თუმცა შრომა უფრო ნაყოფიერი გახდა და შრომის მასა წარმოებულ საქონელთა მასასთან შედარებით შემცირდა. ბოლოს, შრომის ნაყოფიერების უცვლელობის დროსაც ცვალებადი კაპიტალი და მუდმივი კაპიტალი შეიძლება თა-

46. კ. მარქსი, ტ. IV, ნაწ. II.

ნაბრად იზრდებოდეს მოსახლეობის ყოველწლიურ ბუნებრივ მატებასთან ერთად. აგრეთვე ამ შემთხვევაშიც კაპიტალი გროვდება როგორც თავისი მასის, ისე ღირებულების მიხედვითაც. ყველა ამ უკანასკნელ პუნქტს რიკარდო უყურადღებოდ ტოვებს.

იმავე თავში რიკარდო ამბობს:

«ერთი მილიონი კაცის შრომა მრეწველობაში ყოველთვის აწარმოებს ერთსა და იმავე ღირებულებას, მაგრამ იგი ვერ აწარმოებს ყოველთვის ერთსა და იმავე სიმდიდრეს».

(ეს სრულიად მცდარია. მილიონი კაცის პროდუქტის ღირებულება დამოკიდებულია არა მარტო მათს შრომაზე, არამედ იმ კაპიტალის ღირებულებაზეც, რომლის შემწეობითაც ისინი მუშაობენ; მაშასადამე, იგი მეტად სხვადასხვა იქნება წინათ წარმოებული მწარმოებლური ძალების მასის მიხედვით, რომელთა საშუალებითაც ისინი მუშაობენ.)

«მანქანების გამოგონება, შრომის მეთოდების გაუმჯობესება, შრომის უკეთესი დანაწილება ან ახალი ბაზრების აღმოჩენა, სადაც შესაძლებელია უფრო ხელსაყრელი გაცვლა, — ყოველივე ეს შესაძლებლობას აძლევს ერთ მილიონ კაცს აწარმოონ საზოგადოების ერთ მდგომარეობაში ორჯერ ან სამჯერ მეტი სიმდიდრე, «პირველი საჭიროების, კომფორტისა და განცხრომის საგნები», ვიდრე მათ შეეძლოთ წარმოებინათ საზოგადოების სხვა მდგომარეობაში. მაგრამ ამის გამო ისინი ვერაფერს მიუმატებდნენ ღირებულებას».

(აუცილებლად მიუმატებდნენ, ვინაიდან წარსული [728] შრომა ახალ კვლავწარმოებაში გაცილებით უფრო დიდი მოცულობით შედის),

«რადგან ყოველი საგნის ღირებულება იზრდება ან ეცემა მისი წარმოების სიადვილის ან სიიაფის მიხედვით, ანუ, სხვა სიტყვებით, მის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობის მიხედვით».

(ყოველი ცალკეული საქონელი შეიძლება გაიაფდეს, მაგრამ საქონელთა გაზრდილი ერთობლივი მასის ღირებულება გადიდდება.)

«დავუშვათ, რომ ადამიანთა გარკვეული რაოდენობის შრომა მოცემული კაპიტალით აწარმოებს 1000 წყვილ წინდას და რომ მანქანების გაუმჯობესების შედეგად ადამიანთა იმავე რაოდენობას შეეძლოთ აწარმოოს 2000 წყვილი ანდა მათ შეუძლიათ განაგრძონ 1000 წყვილის დამზადება და გარდა ამისა კიდევ აწარმოონ 500 ქუდი. მაშინ 200-წყვილი წინდის ანდა 1000 წყვილი წინდისა და 500 ქუდის ღირებულება იქნება არც მეტი და არც ნაკლები, ვიდრე 1000 წყვილი წინდის ღირებულება მანქანების შემოღებამდე, რადგან ისინი იქნებიან შრომის იმავე რაოდენობის პროდუქტები».

(ნოტაბენე: თუ ახლად შემოღებული მანქანები არაფერი არ ღირს.)

«მაგრამ საქონელთა მთელი მასის ღირებულება მაინც შემცირდება; ვინაიდან, თუმცა ტექნიკურ გაუმჯობესებათა გამო პროდუქტთა გადიდებული რაოდენობის ღირებულება ზუსტად იგივე იქნება, როგორც იყო ღირებულება უფრო მცირე რაოდენობისა, რომელიც ტექნიკური გაუმჯობესების შემოღებამდე იწარმოებოდა, მაინც ეს ცვლილება თავის გავლენას იქონიებს ჯერ კიდევ მოუხმარებელი საქონლური მასის იმ ნაწილზე, რომელიც დამზადებული იყო ტექნიკურ გაუმჯობესებამდე. ამ საქონელთა ღირებულება შემცირდა, რადგან იგი უნდა დაეცეს იმ საქონელთა ღირებულების დონემდე, რომლებიც წარმოებული იყო ახალი ტექნიკის ყველა უპირატესობის პირობებში, და საზოგადოებას, მიუხედავად საქონელთა გაზრდილი რაოდენობისა, მიუხედავად გადიდებული სიმდიდრისა და მოხმარების საგნების რაოდენობის, ღირებულების უფრო ნაკლები ჯამი ექნება. წარმოების სიადვილის მუდმივად გადიდებით ჩვენ მუდმივად ვამცირებთ ზოგიერთი წინათ წარმოებული საქონლის ღირებულებას, თუმცა ამავე წესით ჩვენ ვადიდებთ არა მარტო ეროვნულ სიმდიდრეს, არამედ აგრეთვე მომავალი წარმოების შესაძლებლობასაც» (გვ. 320 — 322).

რიკარდო აქ ლაპარაკობს იმ გაუფასურებაზე, რასაც მწარმოებლური ძალების პროგრესული განვითარების გამო ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში წარმოებული საქონელი განიცდის, სულ ერთია, ეს საქონელი ჯერ კიდევ ბაზარზეა, თუ წარმოების პროცესში მოქმედებს კაპიტალის სახით. მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ «საქონელთა მთელი მასის ღირებულება შემცირდება, თუმცა ამ მასის გარკვეული ნაწილის ღირებულება მცირდება კიდეც. აღნიშნული შედეგი გვექნებოდა მხოლოდ, ჯერ ერთი, იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური პროგრესის გამო ახლადმიმატებულ მანქანათა და საქონელთა ღირებულება უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე იმავე სახეობის წინათ არსებულ საქონელთა მომხდარი გაუფასურება; მეორე, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ უყურადღებოდ დავტოვებდით იმას, რომ მწარმოებლური ძალების განვითარებასთან ერთად გამუდმებით დიდდება აგრეთვე წარმოების სფეროთა რიცხვიც, ე. ი. რომ კაპიტალის დაბანდებისათვის ჩნდება ახალი დარგები, რომლებიც უწინ სრულიად არ არსებობდნენ. წარმოება განვითარების მსვლელობაში არა მარტო იაფდება, არამედ უფრო მრავალფეროვანიც ხდება.

მე-9 თავში («ნედლი მასალის გადასახადი») რიკარდო წერს:

«რაც შეეხება ნედლი მასალის გადასახადის საწინააღმდეგო მესამე მოსაზრებას, სახელდობრ, იმის, რომ ხელფასის გადიდებით და მოგების შემცირებით გადასახადი ასუსტებს დაგროვების სტიმულს და იმგვარადვე მოქმედებს, როგორც ნაადგის ბუნებრივი სიღარიბე, მე ვცდილობდი მეჩვენებინა ამ თხზულების მცირე ნაწილში, რომ დანაზოგის გაკეთება ისევე კარგად შეიძლება ხარჯებიდან, როგორც წარმოებიდანაც; საქონელთა ღირებულების შემცირების შედეგად, ისევე როგორც მოგების ნორმის გადიდების შედეგადაც. როცა მე ჩემს მოგებას 1000-დან 1200 გირვ. სტერლინგამდე ვადიდებ, მაშინ როდესაც ფასები უცვლელი რჩება, ჩემი უნარი დანაზოგთა საშუალებით ჩემი კაპიტალის გადიდებისა გადიდდება, მაგრამ იგი არ გადიდდება იმდენად, რამდენადაც გადიდდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჩემი მოგება უცვლელი დარჩებოდა, საქონლთა ფასები კი ისე ძლიერად დაეცემოდა, რომ 800 გირვ. სტერლინგით იმდენივეს ყიდვას შეეძლებდი, რამდენსაც უწინ 1000 გირვ. სტერლინგით ვყიდულობდი» (გვ. 183 — 184).

მთელი ღირებულება პროდუქტისა (ანუ, უფრო სწორად, პროდუქტის იმ ნაწილისა, რომელიც კაპიტალისტსა და მუშას შორის ნაწილდება) შეიძლება შემცირდეს ისე, რომ წმინდა შემოსავალი არ შემცირდეს თავისი ღირებულების ჯამის მიხედვით. (თავისი პროპორციული წილის მიხედვით იგი შეიძლება გაიზარდოს კიდეც.) ამის შესახებ ნათქვამია 32-ე თავში («ბ-ნ მალთუსის შეხედულებანი რენტაზე»):

«სხვათა შორის, ბ-ნ მალთუსის მთელი არგუმენტაცია მეორეგვ საფუძველზეა აგებული: იგი გულისხმობს, რომ რაკი ჭვეყნის მთლიანი შემოსავალი მცირდება, ამის გამო იმავე პროპორციით უნდა შემცირდეს წმინდა შემოსავალიც. ამ თხზულების ერთ-ერთი ამოცანა იყო იმის ჩვენება, რომ პირველი საპროფიტის საგნების ნამდვილი ღირებულების ყოველ დაცემასთან ერთად ეცემა ხელფასი და იზრდება კაპიტალის მოგება, — სხვა სიტყვებით, რომ ამ შემთხვევაში ყოველი მოცემული წლიური ღირებულებიდან ნაკლებმნიშვნელოვანი ნაწილი უწევს მუშათა კლასს და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი კი იმათ, ვისი ფონდიც სამუშაოს აძლევს ამ კლასს, იყენებს მას. დავუშვათ, რომ რომელიმე ფაბრიკაში წარმოებულ საქონლთა ღირებულება შეადგენს 1000 გირვ. სტერლინგს და რომ ეს ღირებულება იყოფა მეპატრონესა და მუშებს შორის ისე, რომ მუშები ღებულობენ 800 გირვ. სტერლინგს, მეპატრონე კი — 200 გირვ. სტერლინგს. [729] თუ ამ საქონელთა ღირებულება 900 გირვ. სტერლინგამდე დაეცემოდა და 100 გირვ. სტერლინგი დაიზოგებოდა ხელფასიდან ბირველი საჭიროების საგანთა ფასების შემცირების გამო, მაშინ მეპატრონის წმინდა შემოსავალი სრულიად არ შემცირდებოდა და ამიტომ მას შეეძლო ისევე ადვილად გადაეხადა გადასახადების იგივე ჯამი, როგორც ფასის შემცირებამდე» (გვ. 511 — 512).

მე-5 თავში («ხელფასის შესახებ») ნათქვამია:

«მიუხედავად ხელფასის ტენდენციისა — შეეფარდებოდეს თავის ბუნებრივ

ნორმას, მისი საბაზრო ნორმა შეიძლება წინმიმავალ საზოგადოებაში განუსაზღვრელი. დროის განმავლობაში მუდამ მის ბუნებრივ ნორმაზე მაღლა იდგეს, იმიტომ რომ ის იმპულსი, რასაც კაპიტალის გადიდება შრომის ახალ მოთხოვნას აძლევს, ვერც კი მოასწრებს ჯერ თავისი მოქმედების ამოწურვას, როცა უკვე კაპიტალის ახალი გადიდება ასეთივე მოქმედების შესრულებას იწყებს. ამრიგად, თუ კაპიტალის ზრდა თანდათანობით და მუდმივად ხდება, შრომის მოთხოვნას შეუძლია უწყვეტად მოქმედი სტიმული მისცეს მოსახლეობის ზრდას» (გვ. 88).

კაპიტალისტური თვალსაზრისით ყველაფერი შებრუნებულად წარმოგვიდგება. მუშათა მოსახლეობის მასა და შრომის ნაყოფიერების დონე განსაზღვრავენ როგორც კაპიტალის კვალეწარმოებას, ისე მოსახლეობის კვლავწარმოებასაც. აქ კი პირუკუ გამოდის — რომ მოსახლეობა განისაზღვრება კ ა პ ი ტ ა ლ ი თ.

მ ე-9 თ ა ვ ში («ნ ე დ ლ ი მ ა ს ა ლ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი») რიკარდო წერს:

«კაპიტალის დაგროვება ბუნებრივად წარმოშობს გაძლიერებულ კონკურენციას შრომის დამჭირავებელთა შორის და ამის გამო შრომის ფასის გადიდებას იწვევს» (გვ. 178).

ეს დამოკიდებულია იმაზე, რა პროპორციით იზრდება კაპიტალის დაგროვებისას მისი სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები. შეიძლება კაპიტალის დაგროვება ხდებოდეს, შრომის მოთხოვნა კი აბსოლუტურად ან შეფარდებით მცირდებოდეს.

რადგან, რიკარდოს რენტის თეორიის თანახმად, კაპიტალის დაგროვებასა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად მოგების ნორმას დაწევის ტენდენცია აქვს .იმის შედეგად, რომ იზრდება პირველი საჭიროების საგანთა ღირებულება, ანუ მიწათმოქმედება ნაკლებნაყოფიერი ხდება, ამიტომ გამოდის, რომ დაგროვებას აქვს დაგროვების შეფერხების ტენდენცია, და მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ი — რამდენადაც მრეწველობის განვითარების კვალობაზე მიწათმოქმედება ნაკლებნაყოფიერი ხდება, — თავს დასტრიალებს, როგორც უკეღმართი ბედისწერა, ბურჟუაზიულ საზოგადოებას. პირიქით, ა. სმიტი მოგების ნორმის შემცირებას სიამოვნებით უყურებს. მისთვის სანიმუშო ქვეყანას წარმოადგენს ჰოლანდია. მოგების ნორმის შემცირება, მიუთითებს ა. სმიტი, აიძულებს კაპიტალისტების უმრავლესობას, ყველაზე მსხვილი კაპიტალისტების გამოკლებით, იმის მაგივრად, რომ სარგებლით იცხოვრონ, თავიანთი კაპიტალი წარმოებაში გამოიყენონ; იგი წარმოადგენს, მასასადამე, წარმოების სტიმულს. რიკარდოს მოწაფეების საშინელი

შიში საბუდისწერო ტენდენციის წინაშე ტრაგიკომიკური ფორმებს იღებს.

მოვიყვანოთ აქ ყველა ის ადგილი რიკარდოდან, რომლებიც ამ საგანს შეეხება.

მე-5 თავში («ხელფასის შესახებ») ვკითხულობთ:

«საზოგადოების განვითარების სხვადასხვა სტადიაში კაპიტალის, ანუ შრომის გამოსაყენებელ საშუალებათა დაგროვება, უფრო მეტი თუ ნაკლები სისწრაფით ხდება და ყველა შემთხვევაში დამოკიდებული უნდა იყოს შრომის მწარმოებლურ ძალებზე. შრომის მწარმოებლური ძალები ყველაზე დიდია, საერთო წესის თანახმად, მაშინ, როცა უხვად მოიპოვება ნაყოფიერი მიწა: ასეთ პერიოდებში დაგროვება ზრდის ისეთი სისწრაფით ხდება, რომ მუშების მიწოდება ვერ მისდევს კვალდაკვალ კაპიტალის ზრდის ტემპს.

გამოანგარიშებულია, რომ ხელსაყრელ პირობებში მოსახლეობა შეიძლება გაორკეცდეს 25 წლის განმავლობაში; მაგრამ ასეთსავე ხელსაყრელ პირობებში ქვეყნის მთელი კაპიტალი შეიძლება გაორკეცდეს უფრო მოკლე პერიოდში. ამ შემთხვევაში ხელფასს მთელი პერიოდის მანძილზე გადიდების ტენდენცია ექნება, რადგან შრომის მოთხოვნა კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე მისი ნიწოდება.

ახალ კოლონიებში, სადაც სხვა უფრო წინწასული ქვეყნებიდან გადმოღებული ხელობა და ცოდნა შემოდის, კაპიტალს შეიძლება უფრო სწრაფი ზრდის ტენდენცია ჰქონდეს, ვიდრე ადამიანთა გამრავლება ხდება, და თუ მუშების ნაკლებობას არ დაფარავდა უფრო მჭიდროდ დასახლებული ქვეყნებიდან მათი მოდენება, ეს ტენდენცია მეტისმეტად გაადიდებდა შრომის ფასს. იმდენად, რამდენადაც ახალი ქვეყნების მოსახლეობა იზრდება და დამუშავებაში შედის უეცუ-ღესი ხარისხის მიწა, მცირდება კაპიტალის ზრდის ტენდენცია; ვინაიდან ზედმეტი პროდუქტი, არსებული მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ რომ რჩება, აუცილებლად წარმოების სიადვილის პროპორციული უნდა იყოს, ე. ი. იგი მით უფრო მეტია, რაც უფრო ნაკლებია წარმოებაში დასაქმებულ პირთა რიცხვი. ამიტომ, თუმცა მოსალოდნელია, რომ ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებში მწარმოებლური ძალები ჯერ კიდევ მოსახლეობაზე უფრო სწრაფად იზრდება, მაგრამ დიდხანს ეს მაინც არ გაგრძელდება, რადგან მიწის რაოდენობის შეზღუდულობისა და მიწის ხარისხის არაერთნაირობის გამო მასში დაბანდებული კაპიტალის ყოველ გადიდებას თან უნდა ახლდეს მისაღები პროდუქციის ნორმის შემცირება, მაშინ როდესაც მოსახლეობის გამრავლების უნარი მუდამ უცვლელი რჩება» (გვ. 92—93).

(უკანასკნელი მტკიცება ხუცების გამონაგონია. მოსახლეობის გამრავლების უნარი მცირდება შრომის მწარმოებლური ძალის შემცირებასთან ერთად.)

აქ — და ეს უნდა აღინიშნოს უწინარეს ყოვლისა — რიკარდო აღიარებს, რომ «კაპიტალის დაგროვება... ყველა შემთხვევაში და-

მოკიდებული უნდა იყოს შრომის «წარმოებლურ ძალებზე», ასე რომ prius *-ი არის შრომა და არა კაპიტალი.

შემდეგ, რიკარდოს მსჯელობის თანახმად გამოდის, რომ ძველად დასახლებულ, მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში მიწათმოქმედებას მეტი ადამიანი ბინდევს, ვიდრე კოლონიებში, მაშინ როდესაც საქმის ვითარება სწორედ პირიქითაა. პროდუქტის იმავე რაოდენობის საწარმოებლად [730] ინგლისი, მაგალითად, სოფლის მეურნეობის მუშების უფრო მცირე რიცხვს იყენებს, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანა, ახალი თუ ძველი. მართალია, აქ არაპირდაპირ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არამიწათმოქმედი მოსახლეობის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი მონაწილეობს. მაგრამ ამასაც კი სრულიადაც არა აქვს ადგილი ისეთი პროპორციით, რითაც უშუალოდ მიწათმოქმედი მოსახლეობა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში აღემატება მიწათმოქმედ მოსახლეობას უფრო განვითარებულ ქვეყნებში. დავუშვათ თუნდაც, რომ ინგლისში პური უფრო ძვირია, წარმოების ხარჯები მეტია. გამოიყენება მეტი კაპიტალი. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეტი წარსული, თუმცა უფრო ნაკლები ცოცხალი შრომა შედის. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის კვლავწარმოება, უკვე არსებული საწარმოო ბაზის გამო, შრომის უფრო ნაკლები რაოდენობა ჯდება, თუმცა ამ კაპიტალის ღირებულება პროდუქტთა ნაზღაურდება.

თ ა ვ ი მ ე-6 («მ ო გ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ»).

წინასწარ კიდევ რამდენიმე შენიშვნა. ზედმეტი ღირებულება, როგორც დავინახეთ, დამოკიდებულია არა მხოლოდ ზედმეტი ღირებულების ნორმაზე, არამედ ერთდროულად დასაქმებული მუშების რაოდენობაზეც, მაშასადამე, ცვალებადი კაპიტალის ოდენობაზე.

დაგროვება, თავის მხრივ, განისაზღვრება — უშუალოდ — არა ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ნ ო რ მ ი თ, — არამედ ზედმეტი ღირებულების შეფარდებით ავანსებული კაპიტალის მთელ მასასთან, ე. ი. მოგების ნორმით; და არა იმდენად კიდევ მოგების ნორმით, რამდენადაც მ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო მ ა ს ი თ, რომელიც, როგორც დავინახეთ, საზოგადოების ერთობლივი კაპიტალისათვის ზედმეტი ღირებულების საერთო მასის იდენტურია, სხვადასხვა დარგებში გამოყენებული ცალკეული კაპიტალებისათვის კი, შეიძლება მეტად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მათ მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასისაგან. თუ კაპიტალის დაგროვე-

* პირველადი, წინამავალი. რ ე დ.

ბას განვიხილავთ en bloc*, მოგება უდრის ზედმეტ ღირებულებას, მოგების ნორმა კი უდრის ზედმეტ ღირებულებას, გაყოფილს კაპიტალზე, ანუ, უფრო ზუსტად, კაპიტალის ყოველ 100 ერთეულზე გამოანგარიშებულ ზედმეტ ღირებულებას.

თუ მოგების ნორმა (პროცენტებით) მოცემულია, მოგების საერთო მასა დამოკიდებულია ავანსებული კაპიტალის სიდიდეზე; მაშასადამე, ამაზეა დამოკიდებული დაგროვებაც, რამდენადაც თვი მოგებით განისაზღვრება.

თუ კაპიტალის ჯამი მოცემულია, მოგების საერთო მასა დამოკიდებულია მოგების ნორმის სიმაღლეზე.

ამიტომ მცირე კაპიტალს მოგების მაღალი ნორმის დროს შეუძლია მოგვცეს მოგების უფრო დიდი მასა, ვიდრე უფრო დიდ კაპიტალს მოგების დაბალი ნორმის დროს.

ავიღოთ მაგალითები:

1

კაპიტალი	მოგების ნორმა	მოგების მასა
100	10 %	10
(100×2), ე. ი. 200	$\frac{10}{2}$, ანუ 5 %	10
(100×3), ე. ი. 300	$\frac{10}{2}$, ანუ 5 %	15
(100×1½), ე. ი. 150	5 %	7½

2

კაპიტალი	მოგების ნორმა	მოგების მასა
100	10%	10
(2×100), ე. ი. 200	$\frac{10}{2½} = 4$ %	8
(2½×100), ე. ი. 250	4 %	10
(3×100), ე. ი. 300	4%	12

3

კაპიტალი	მოგების ნორმა	მოგების მასა
500	10 %	50
5 000	1 %	50
3 000	1 %	30
10 000	1 %	100

* — მთლიანად. რ ე დ.

თუ კაპიტალის მაბრავლი და მოგების ნორმის გამყოფი ტოლია, ე. ი. თუ კაპიტალის სიდიდე იმავე პროპორციით იზრდება, რითაც მოგების ნორმა ეცემა. მოგების მასის ჯამი უცვლელი რჩება. 100 10%-ის დროს იძლევა 10-ს, და 2×100 10/2%-ის დროს, ე. ი. 5%-ის დროს, იძლევა აგრეთვე 10-ს. სხვა სიტყვებით ეს, მაშასადამე, ნიშნავს: თუ მოგების ნორმა იმავე პროპორციით ეცემა, რითაც კაპიტალი გროვდება (იზრდება), მოგების მასა უცვლელი რჩება.

თუ მოგების ნორმა უფრო სწრაფად ეცემა, ვიდრე კაპიტალი იზრდება, მოგების მასის ჯამი მცირდება. 500 10%-ის დროს იძლევა მოგების მასას 50-ის ოდენობით. ექვსჯერადი თანხა კი 6 × 500, ანუ 3000, $^{10}/_{10}$ %-ის, ანუ 1%-ის, დროს, იძლევა მხოლოდ 30-ს.

ბოლოს, თუ კაპიტალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოგების ნორმა მცირდება, მოგების მასა დიდდება, მიუხედავად იმისა, რომ მოგების ნორმა ეცემა. ასე, მაგალითად, 100, როცა მოგება 10%-ია, იძლევა მოგების მასას 10-ის ოდენობით. 300 (ე. ი. 3×100) კი 4%-ის დროს (მაშასადამე, როცა მოგების ნორმა 2 $^{1}/_{2}$-ჯერ შემცირდა) იძლევა მოგების მასას 12-ის ოდენობით.

ახლა ავიღოთ რიკარდოს დებულებანი.

მე-6 თავში («მოგების შესახებ») რიკარდო წერს:

«ამრიგად, მოგებას აქვს დაცემის ბუნებრივი ტენდენცია, რადგან საზოგადოებისა და სიმდიდრის ზრდასთან ერთად საჭირო ხდება სულ უფრო მეტი ფულის დახარჯვა კვების საგნების საჭირო დამატებითი რაოდენობის საწარმოებლად. საბედნიეროდ, მოგების ეს ტენდენცია, ეს, ასე ვთქვათ, მისი მიზიდულობა, დროდადრო ფერხდება პირველი საჭიროების საგნების წარმოებაში გამოყენებული მანქანების გაუმჯობესებით და აგრეთვე აგრონომიულ მეცნიერებაში მომხდარი აღმოჩენებით, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ შრომის უფრო ნაკლები რაოდენობა ვიმოყოფინოთ, ვიდრე წინათ იყო საჭირო, და [731] ამ გზით შევამციროთ მუშისათვის პირველი საჭიროების საგნების ფასი. მაგრამ პირველი საჭიროების საგნების ფასის და ხელფასის გადიდებას თავისი საზღვარი აქვს; ვინაიდან, როგორც კი ხელფასი გაუტოლდება... 720 გირვ. სტერლინგს, ე. ი. ფერმერის მთელ ამონაგებს, დაგროვებას უნდა მოეღოს ბოლო, რადგან მაშინ არავითარ კაპიტალს არ შეუძლია მოგების მოცემა დაარც შეიძლება არსებობდეს რაიმე მოთხოვნა დამატებითი შრომისა, მაშასადამე, მოსახლეობის ზრდაც შეწყდება. სინამდვილეში ამ მომენტამდე უკვე დიდი ხნით ადრე მოგების მეტად დაბალი ნორმა შეაჩერებს ყოველგვარ დაგროვებას, და ქვეყნის თითქმის მთელი პროდუქტი, რაც მუშების გასტუმრების შემდეგ რჩება, მიწის მესაკუთრეთა და სამეთვალყეოსა და გადასახადების მიმღებთა კუთვნილება იქნება» (გვ. 120—121).

ეს არის ბურჟუაზიული «ლმერთების მწუხრი» რიკარდოს წარმოდგენაში, განკითხვის დღე.

«დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ ასეთი დონე მუდმივი გახდება, გაქრება დაგროვების ყოველგვარი სტიმული, რადგან არავინ არ აგროვებს სხვანაირად, თუ არა დაგროვილი კაპიტალის მწარმოებლური გამოყენების მიზნით... ამიტომ ფასების ასეთ დონეს არასოდეს არ ექნება ადგილი. ფერმერსა და ფაბრიკანტს ისევე არ შეუძლიათ უმოგებოდ ცხოვრება, როგორც მუშას არ შეუძლია იცხოვროს უხელფასოდ. მათი სწრაფვა დაგროვებისადმი შემცირდება მოგების ყოველ შემცირებასთან ერთად და სრულიად გაქრება, როცა მათი მოგება იმდენად დაბალი იქნება, რომ ვერ მისცემს მათ საკმაო გასამრჯელოს მათი შრომისათვის და იმ რისკისათვის, რასაც ისინი აუცილებლად ეწევიან თავიანთი კაპიტალის მწარმოებლური გამოყენების დროს.

მე ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნო, რომ მოგების ნორმა გაცილებით უფრო სწრაფად დაეცემა...; ვინაიდან თუ პროდუქტის ღირებულება ისე მადალი იქნება, როგორც მე ამას ნაგარაუდევ პირობებში ვგულისხმობდი, მაშინ ფერმერის კაპიტალის ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდება, რადგან იგი აუცილებლად ბევრი ისეთი საქონლისაგან შედგება, რომელთა ღირებულებაც გაიზარდა. სანამ პურის ფასი 4-დან 12 გირვ. სტერლინგამდე გადიდებას შეძლებდა, ფერმერის კაპიტალის საცვლელი ღირებულება, ალბათ, გაორკეცდებოდა და 6000 გირვ. სტერლინგი იქნებოდა ნაცვლად 3000-ისა. ე.ი, მაშასადამე. ფერმერის მოგება იქნებოდა 180 გირვ. სტერლინგი, ანუ 6% მისი თავდაპირველი კაპიტალიდან, მაშინ მოგების ნამდვილი ნორმა 3%-ს ვერ აღემატებოდა, იმიტომ რომ 3% 6000 გირვ. სტერლინგიდან იძლევა 180 გირვ. სტერლინგს, და მხოლოდ ამ პირობებში რომელიმე ახალ ფერმერს, რომელსაც ჯიბეში 6000 გირვ. სტერლინგი აქვს, შეეძლო სოფლის მეურნეობის მეწარმე გამხდარიყო» (გვ. 123—124).

«ჩვენ შეგვეძლო აგრეთვე იმის მოლოდინი გვქონოდა, რომ, თუმცა, კაპიტალის მოგების ნორმა მეცირდება მიწათმოქმედებაში კაპიტალის დაგროვებისა და ხელფასის გადიდების გამო, მაგრამ მაინც მოგების საერთო ჯამი გაიზრდება. ასე, მაგალითად, თუ ვიგულისხმებთ, რომ განმეორებითი დაგროვებების დროს, ყოველთვის 100 000 გირვ. სტერლინგის ოდენობით, მოგების ნორმა 20-დან 19-დე, 18-დე, 17-დე ეცემა, ე. ი. განუწყვეტლივ მეცირდება, ჩვენ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ მოგების მთელი ჯამი, რასაც კაპიტალის ყველა ერთიმეორის მომდევნო შფლობელი ღებულობს, სულ უფრო გაიზრდება: რომ იგი მეტია, როცა კაპიტალი 20 000 გირვ. სტერლინგს აღწევს, ვიდრე როცა იგი 100 000 გირვ. სტერლინგს შეადგენს, კიდევ უფრო მეტია, როცა იგი იზრდება 300 000 გირვ. სტერლინგამდე და ა. შ., რომ, მაშასადამე, იგი დიდდება კაპიტალის ყოველი გადიდებისას, თუნდაც რომ მოგების ნორმა მუდამ მცირდებოდეს. მაგრამ ასეთი პროგრესიას ძალა აქვს მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში. ასე, მაგალითად,

200 000 გირვ. სტერლინგის 19% შეადგენს უფრო მეტს, ვიდრე 100 000 გირვ. სტერლინგის 20%, 300 000 გირვ. სტერლინგის 18% კი — უფრო მეტს, ვიდრე 200 000 გირვ. სტერლინგის 19%, მაგრამ როცა კაპიტალი ძლიერ დიდი ოდენობით დაგროვდება, მოგების ნორმა კი დაეცემა, მაშინ შემდგომი დაგროვება შეამცირებს მოგების ერთობლივ მასას. დაეუშვათ, მაგალითად, რომ დაგროვებამ მიაღწია 1000 000 გირვ. სტერლინგს, მოგების ნორმა კი შეადგენს 7%-ს, მაშინ მოგების მთელი ჯამი იქნება 70 000 გირვ. სტერლინგი. თუ ახლა მილიონს მიემატება კიდევ 100 000 გირვ. სტერლინგი კაპიტალი, მოგების ნორმა კი 6%-დე დაეცემა, მაშინ კაპიტალის მფლობელები მიიღებენ უკვე მხოლოდ 66 000 გირვ. სტერლინგს, ანუ 4000 გირვ. სტერლინგით ნაკლებს, თუმცა კაპიტალის საერთო ჯამი 1000 000-დან 1100 000-მდე გაიზარდა.

მაგრამ, სანამ კაპიტალი საერთოდ რაიმე მოგებას იძლევა, არ შეიძლება არსებობდეს კაპიტალის ისეთი დაგროვება, რომელიც არ მოგვცემდა როგორც პროდუქტის გადიდებას, ისე ღირებულების გადიდებასაც. 100 000 გირვ. სტერ. დამატებითი კაპიტალის დახარჯვისას წინანდელი კაპიტალის არც ერთი ნაწილი არ ხდება ნაკლები მწარმოებლობისა. ქვეყნის მიწისა და შრომის პროდუქტი უნდა გადიდდეს, მისი ღირებულება კი გაიზრდება არა მარტო იმ პროდუქტების ღირებულების მთელი ოდენობით, რომლებიც პროდუქტთა წინანდელ რაოდენობის მიემატა, არამედ იმ ახალი ღირებულების ოდენობითაც, რაც მიწის მთელ პროდუქტს დაემატა იმის შედეგად, რომ გადიდდა მისი უკანასკნელი ნაწილის წარმოების სიძნელე. მაგრამ როცა კაპიტალის დაგროვება დიდ მოცულობას აღწევს, პროდუქტის ღირებულება, მიუხედავად მისი გადიდებისა, იმგვარად გაწონდება, რომ მოგებას მოუწევს წინანდელთან შედარებით მისი უფრო ნაკლები ნაწილი, მაშინ როდესაც რენტისა და ხელფასის ხვედრი ნაწილი გადიდდება» (გვ. 124—126).

«თუმცა უფრო მეტი ღირებულება იწარმოებს, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მეტი წილიც იმისა, რაც ამ ღირებულებიდან რჩება რენტის გადახდის შემდეგ, მოიხმარება მწარმოებლების მიერ, ეს კი, და მხოლოდ ეს, განსაზღვრავს მოგების ოდენობას. სანამ მიწა უხვ მოსავალს იძლევა, ხელფასი შეიძლება დროებით დიდდებოდეს და მწარმოებლებს შეუძლიათ მოიხმარონ ისეთი ოდენობით, რომელიც მათს ჩვეულებრივ წილს აღემატება; მაგრამ სტიმული, რაც ამით მოსახლეობის გადიდებას ეძლევა, იწვევს იმას, რომ მუშები მალე თავიანთი მოხმარების ჩვეულებრივ დონეს უბრუნდებიან. მაგრამ როცა უცუდესი მიწა დამუშავებაში შედის ანდა ძველ მიწაზე კაპიტალისა და შრომის დამატებითი რაოდენობა იხარჯება ნაკლები შედეგის მიღებით, ზემოაღნიშნულ შედეგებს მუდამ ადგილი ექნება» (გვ. 127).

[732] «ამრიგად, დაგროვების შედეგები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა იქნება უმთავრესად ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. რაგინდ ვრცელიც არ უნდა იყოს ქვეყანა, რომლის მიწაც უნაყოფოა, სურსათის შემოზიდვა კი აკრძალულია, კაპიტალის ყველაზე ზომიერ დაგროვებისაც კი თან ახლავს მოგების ნორმის მნიშვნელოვანი შემცირება და რენტის სწრაფი გადიდება; და პირიქით, პატარა, მაგრამ ნაყოფიერ ქვეყანას, განსაკუთრებით თუ იგი სურსათის თავისუფალი შეზიდვის ნებას იძლევა, შეუძლია ძლიერ დიდი კაპიტალების დაგროვება ისე, რომ არ გამოიწვიოს ამით მოგების ნორმის მნიშვნელოვანი შემცირება ანდა მიწის რენტის მნიშვნელოვანი გადიდება» (გვ. 128 — 129).

გადასახადებსაც (ნათქვამია მე-12 თავში — «მიწის გადასახადი») შეუძლიათ აგრეთვე გამოიწვიონ ის, რომ «დარჩენილი ზედმეტი პროდუქტი არ იქნება საკმარისი იმათი შრომის წასახალისებლად, ვინც ჩვეულებრივ თავისი დანაზოგით კაპიტალს ადიდებს სახელმწიფოში» (გვ. 206).

«შესაძლებელია მხოლოდ ერთი შემთხვევა» (ნათქვამია 21-ე თავში — «დაგროვების გავლენა მოგებასა და სარგებელზე»), — «და ისიც დროებითი ხასიათისაა, — როცა კაპიტალის დაგროვების სურსათის დაბალი ფასების დროს თან ახლავს მოგების ნორმის დაცემა. და ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა შრომის შესანახი ფონდი გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოსახლეობა; ამ შემთხვევაში ხელფასი იქნება მაღალი, მოგების ნორმა კი—დაბალი. თუ ყველა ადამიანი უარს იტყოდა ფუფუნების საგანთა მოხმარებაზე და ყველას მიზანი მხოლოდ დაგროვება იქნებოდა, მაშინ შეიძლებოდა პირველი საჭიროების საგნების ისეთი რაოდენობით წარმოება, რომლისთვისაც არ აღმოჩნდებოდნენ უშუალო მომხმარებლები. საქონელთა ამ მცირერიცხოვან სახეობათათვის, უეჭველია, შესაძლებელი იქნებოდა ბაზრის საერთო პირთამდე ავსება, და, მაშასადამე, არ იქნებოდა ამ საქონლთა დამატებითი რაოდენობის მოთხოვნა, დამატებითი კაპიტალის გამოყენება კი ვერ მოგვცემდა მოგებას. თუ ადამიანები მოხმარებას შეწყვეტდნენ, ისინი შეწყვეტდნენ წარმოებას» (გვ. 343).

ასეთია რიკარდოს აზრები დაგროვების თაობაზე და მოგების ნორმის დაცემის კანონის შესახებ.

[თავი მეთვრამეტე]

სხვადასხვა რიკარდოსთან. ჯონ ბარტონი

[ა.] მთლიანი და წმინდა შემოსავალი

წმინდა შემოსავალი, წინააღმდეგ მთლიანი შემოსავლისა (რომელიც გაიგივებული იყო ერთობლივ პროდუქტთან ან ერთობლივი პროდუქტის ღირებულებასთან), ის ფორმაა, რომლითაც ფიზიოკრატები თავდაპირველად ზედმეტი ღირებულების ფიქსირებას ახდენენ. მიწის რენტას ისინი განიხილავენ როგორც ზედმეტი ღირებულების ერთადერთ ფორმას, იმიტომ რომ სამრეწველო მოგება მათ ესმით მხოლოდ როგორც თავისებური ხელფასი. ფიზიოკრატების ხვედრი იყო ის, რომ თავიანთ შეხედულებებში ამ საკითხზე მათ ჰპოვეს თანამოაზრენი ომ მერმინდელი ეკონომისტების სახით, რომლებიც ჩქმალავენ მოგებას იმით, რომ მას შრომის მეთვალყურეობისათვის გადახდილ ხელფასში ურევენ.

ამრიგად, წმინდა შემოსავალი სინამდვილეში არის პროდუქტის (ანუ მისი ღირებულების) ნამეტი მის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც ანაზღაურებს ავანსებულ კაპიტალს — როგორც მუდმივს, ისე ცვალებადს. მაშასადამე, წმინდა შემოსავალი შედგება უბრალო მოგებისა და რენტისაგან, ამასთან ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, თვით არის მხოლოდ ნაწილი მოგებისა, გამოყოფილი მოგებიდან, და იმ კლასის ხვედრი წილი, რომელიც კაპიტალისტების კლასისაგან განსხვავდება.

კაპიტალისტური წარმოების უშუალო მიზანია არა საქონლის წარმოება, არამედ ზედმეტი ღირებულების ანუ მოგების (მისი განვითარებული ფორმით) წარმოება; არა პროდუქტი, არამედ ზედმეტი პროდუქტი. თვით შრომა ამ თვალსაზრისით მწარმოებლურია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი კაპიტალისათვის ქმნის მოგებას ანუ ზედმეტ პროდუქტს. თუ მუშა ამას არ ქმნის, მისი შრომა არ არის

მწარმოებლური. მაშასადამე, გამოყენებული მწარმოებლური შრომის მასა კაპიტალისათვის ინტერესს წარმოადგენს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი შემწეობით — ანდა მის პროპორციულად — იზრდება ზედმეტი შრომის მასა. მხოლოდ ამდენად არის აუცილებელი ის, რასაც ჩვენ აუცილებელი სამუშაო დრო ვუწოდეთ. თუ შრომა ამ შედეგს არ იძლევა, იგი ზედმეტია და უნდა შეწყდეს.

კაპიტალისტური წარმოების მუდმივი მიზანი ისაა, რომ ავანსებული კაპიტალის მინიმუმის პირობებში აწარმოოს ზედმეტი ღირებულების ან ზედმეტი პროდუქტის მაქსიმუმი; და იმდენად, რამდენადაც ამ შედეგის მიღწევა ხდება არა მუშების ზომაგადასული შრომით, ეს არის კაპიტალის ისეთი ტენდენცია, რომელსაც გამოხატავს მისწრაფება იმისადმი, რომ მოცემული პროდუქტი იწარმოებოდეს ქალღონისა და საშუალებათა რაც შეიძლება ნაკლები დახარჯვით, ე. ი. ეს არის კაპიტალის ისეთი ეკონომიური ტენდენცია, რომელიც კაცობრიობას ასწავლის ეკონომიურად ხარჯოს თავისი ძალები და საშუალებათა უმცირესი დანახარჯით მიაღწიოს საწარმოო მიზანს.

თვით მუშები ასეთი გაგებისას წარმოგვიდგებიან ისეთებად, როგორიც არიან კაპიტალისტურ წარმოებაში, — როგორც წარმოების საშუალებანი და არა როგორც თვითმიზანი და არა როგორც მიზანი წარმოებისა.

წმინდა შემოსავალს განსაზღვრავს არა ერთობლივი პროდუქტის ღირებულება, არაშედ ერთობლივი პროდუქტის ღირებულების გადანამეტი ავანსებული კაპიტალის ღირებულებაზე, ანუ ზედმეტი პროდუქტის სიდიდე ერთობლივ პროდუქტთან შედარებით. თუ ეს გადანამეტი იზრდება, თუნდაც პროდუქტის [733] ღირებულების შემცირებისას ანდა მაშინაც კი, როცა ღირებულებასთან ერთად მცირდება ერთობლივი რაოდენობაც პროდუქტისა, მაშინ კაპიტალისტური წარმოების მიზანი მიღწეულია.

რიკარდომ ჩამოაყალიბა ეს ტენდენციები მთელი თანმიმდევრულობით და სრულიად შეულამაზებლად. აქედან წარმოდგება ესოდენ ბევრი ყვირილი მის წინააღმდეგ მეშჩანური ფილანტროპების მხრიდან.

წმინდა შემოსავლის განხილვისას რიკარდო კვლავ უშვებს იმ შეცდომას, რომ ერთობლივი პროდუქტი დაპყავს შემოსავალზე — ხელფასსა, მოგებასა და რენტაზე — და მხედველობის გარეშე ტოვებს ასანაზღაურებელ მუდმივ კაპიტალს. მაგრამ ამაზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით.

32-ე თავში («ბ-ნ მალთუსის შეხედულებანი რენტაზე») რიკარდო წერს:

«ძალიან მნიშვნელოვანია მკაფიო განსხვავების გავლება მთლიანსა და წმინდა შემოსავალს შორის, იმიტომ რომ ყველა გადასახადის გადახდა უნდა ხდებოდეს საზოგადოების წმინდა შემოსავლიდან. დავუშვათ, რომ ყველა საქონელი ქვეყანაში — მთელი პური, ნედლი პროდუქტები, სამრეწველო ნაწარმი და ა. შ., — რომელთა გატანაც ბაზარზე წლის განმავლობაში შესაძლებელია, 20 მილიონი ღირებულებისაა, რომ ამ ღირებულების მისაღებად აუცილებელია ადამიანთა გარკვეული რიცხვის შრომა და რომ ამ მუშებისათვის აუცილებელი საარსებო საგნები მოითხოვენ 10 მილიონის დახარჯვას. მე ვიტყოდი მაშინ, რომ ასეთი საზოგადოების მთლიანი შემოსავალი შეადგენს 20 მილიონს, წმინდა შემოსავალი კი — 10 მილიონს. ამ ვარაუდიდან სულაც არ გამომდინარეობს, რომ მუშები თავიანთ შრომაში მიიღებდნენ მხოლოდ 10 მილიონს; მათ შეეძლოთ მიეღოთ 12, 14 ან 15 მილიონი, და ამ შემთხვევაში მათ შეხედებოდათ წმინდა შემოსავლიდან 2, 4 ან 5 მილიონი. ნაშთი განაწილდებოდა მიწის მესაკუთრეებსა და კაპიტალისტებს შორის, მაგრამ მთელი წმინდა შემოსავალი ვერ აღემატებოდა 10 მილიონს. დავუშვათ, რომ ასეთი საზოგადოება გადასახადების სახით იხდის 2 მილიონს; მაშინ მისი წმინდა შემოსავალი შემცირდება 8 მილიონამდე» (გვ. 512 — 513).

[26-ე თავში კი («მთლიანი და წმინდა შემოსავლის შესახებ») ჩვენ ვკითხულობთ:]

«რაღაში მდგომარეობს სარგებლობა, რომელიც ქვეყნისათვის იქიდან გამომდინარეობს, რომ მწარმოებლური შრომის დიდი რაოდენობა გამოიყენება, თუ ამ ქვეყნის წმინდა რენტა და მოგება, ერთად აღებული, უცვლელი რჩება, იმისდა მიუხედავად, იყენებს ქვეყანა შრომის ამ რაოდენობას თუ ნაკლებს? ყოველი ქვეყნის მიწისა და შრომის მთელი პროდუქტი იყოფა სამ ნაწილად; აქედან ერთი ნაწილი ხვდება ხელფასს, მეორე — მოგებას, მესამე — რენტას».

[ეს შცდარია, რადგან აქ დავიწყებულია ის ნაწილი, რომელიც მიდის წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის (ხელფასის გამოკლებით) ანაზღაურებაზე.]

«მხოლოდ ორი უკანასკნელი ნაწილიდან შეიძლება რაიმე გამოქვითვის გაკეთება გადასახადებისათვის ან დანაზოგისათვის; პირველი მათგანი, თუ იგი ზომიერია, ყოველთვის შეადგენს წარმოების აუცილებელ ხარჯებს».

[რიკარდო თვით აღნიშნავს ამ ფრაზის შესახებ გაკეთებულ შენიშვნაში:

«ეს, შეიძლება, ძალიან მაგრად იყოს ნათქვამი, რადგან მუშას ხელფასის სახელწოდებით ჩვეულებრივ მეტი ერგება, ვიდრე წარმოების აბსოლუტურად აუცილებელი ხარჯებია. ამ შემთხვევაში მუშა ღებულობს ქვეყნის წმინდა პროდუქ-

ტილ ნაწილს, და მას შეუძლია იგი დაზოგოს ან დახარჯოს; ანდა იგი მას შესაძლებლობას აძლევს ხელი შეუწყოს ქვეყნის დაცვას».}

«20000 გირვ. სტერლინგის მქონე ადამიანისათვის, რომელსაც ეს თანხა ყოველწლიურად 2000 გირვ. სტერლინგ მოგებას აძლევს, სრულებით არა აქვს მნიშვნელობა, მისი კაპიტალი 100 კაცს დაასაქმებს თუ 1000, წარმოებული საქონელი 10000 სტერლინგად გაიყიდება თუ 20 000 გირვ. სტერლინგად, მხოლოდ თუ ყველა ამ შემოსავლებში მის მიერ მიღებული მოგება არ დაეცემა 2000 გირვ. სტერლინგზე დაბლა. განა ასეთი არაა აგრეთვე მთელი ერის რეალური ინტერესიც? თუკი ერის წმინდა რეალური შემოსავალი, მისი რენტა და მოგება, არ იცვლება, მაშინ არაეთარი მნიშვნელობა არა აქვს, 10 მილიონი მცხოვრებისაგან შედგება ეს ერი თუ 12 მილიონისაგან. მისი უნარი ფლობისა და არშეის და არამწარმოებლური შრომის ყველა სახეობის შენახვისა პროპორციული უნდა იყოს მისი წმინდა და არა მთლიანი შემოსავლისა. თუ 5 მილიონ კაცს შეუძლია იმდენი საქმელი და ტანსაცმელი აწარმოოს, რამდენიც აუცილებელია 10 მილიონი კაცისათვის, მაშინ საქმელი და ტანსაცმელი 5 მილიონისათვის წმინდა შემოსავალია. განა ქვეყანა რაიმე სარგებლობას მიიღებდა იმის გამო, რომ იმავე წმინდა შემოსავლის საწარმოებლად საჭირო ყოფილიყო 7 მილიონი კაცი, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, რომ 7 მილიონი კაცის შრომა გამოყენებული ყოფილიყო 12 მილიონისთვის საკმარისი რაოდენობით საქმისა და ტანსაცმლის საწარმოებლად? საქმელი და ტანსაცმელი 5 მილიონი კაცისათვის უწინდებურად წმინდა შემოსავალი იქნება. ადამიანთა მეტი რაოდენობის გამოყენება ვერ მოგვცემდა ჩვენ ვერც იმის შესაძლებლობას, რომ თუნდაც ერთი კაცით გაგვედიდებინა ჩვენი არშია და ფლობა, ვერც იმისას, რომ თუნდაც ერთი დამატებითი გინეა შეგვეტანა გადასახადის სახით» (გვ. 416 — 417).

ამის დამატებით, როკარდოს თვალსაზრისის უკეთ გარკვევისათვის, ავიღოთ კიდევ შემდეგი ადგილები:

«პურის შეფარდებით დაბალ ფასს ყოველთვის ის სარგებლობა მოაქვს, რომ ასეთი ფასის დროს არსებული პროდუქტის განაწილებას მეტი შანსი აქვს იმისათვის, რომ გამოიწვიოს შრომის შესანახი ფონდის გადიდება, რადგან უფრო დიდი ნაწილი, მოგების სახელწოდებით, ერგება მწარმოებელ კლასს და უფრო მცირე ნაწილი, რენტის სახელწოდებით, — არამწარმოებელ კლასს» (გვ. 317).

მწარმოებელ კლასად ნაგულისხმევია აქ მხოლოდ მეწარმე-კაპიტალისტები.

«რენტა არის ღირებულების წარმონაქმნი, მაგრამ არა სიმდიდრის წარმონაქმნი. თუ პურის ფასი, მისი რომელიმე ნაწილის წარმოების სიძვირის გამო, 4 გირვ. სტერლინგიდან კვარტერზე 5 გირვ. სტერლინგამდე აიწევს, მაშინ 1 მილიონი კვარტერის ღირებულება იქნება 5 მილიონი გირვ. სტერლინგი ნაცვლად 4 მილიონი გირვ. სტერლინგისა... მთლიანად აღებულ საზოგადოებას ექნება

ბეტი ღირებულება, და ამ აზრით რენტა არის ღირებულების წარმონაქმნი. მაგრამ ეს ღირებულება წარმონალურია იმდენად, რამდენადაც იგი ვერაფერს ვერ მიუმატებს სიმდიდრეს, ე. ი. პირველი საჭიროების, კომფორტის და განცხრომის იმ საგანთა ჯამს, რომლებიც საზოგადოებას მოეპოვება. ჩვენ გვექნება ზუსტად საქონელთა იგივე, ან არა მეტი, რაოდენობა და იგივე 1 მილიონი ქვარტერი პური, რაც უწინ გვქონდა; მაგრამ ქვარტერის უფრო მაღალი ფასის—5 გირვ. სტერლ. ნაცვლად 4 გირვ. სტერლინგისა—შედეგი იქნება პურისა და საქონელთა ღირებულების ნაწილის გადატანა მათი წინანდელი მფლობელებიდან მიწის მესაკუთრეებზე. ამიტომ რენტა არის წარმონაქმნი ღირებულებისა, მაგრამ არა სიმდიდრისა; იგი არაფერს არ მატებს ქვეყნის რესურსებს» (გვ. 485 — 486).

[734] დავუშვათ, რომ (ხორბლის წარმოების დიდი სიადვილის გამო ანდა ხორბლის იმპორტის გამო) ხორბლის ფასი ისე ეცემა, რომ რენტა მცირდება 1 მილიონით. რიკარდო ამბობს, კაპიტალისტების ფულადი შემოსავალი ამის შედეგად გაიზრდებაო, და შემდეგ განაგრძობს:

«მაგრამ შეიძლება შემომედავონ, რომ კაპიტალისტის შემოსავალი არ გადიდდება, რომ იმ მილიონს, რომელიც მიწის მესაკუთრის რენტას გამოაკლდა, დამატებითი ხელფასის სახით მუშებს გადაუხდიან. დაე ასე იყოს... საზოგადოების მდგომარეობა ამ შემთხვევაშიც გაუმჯობესდებოდა, და ადამიანები შეძლებდნენ იგივე საგადასახადო ტვირთი ეზიდათ უფრო ადვილად, ვიდრე უწინ. ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ ახალი განაწილების შედეგად უმთავრესად გაუმჯობესდებოდა — და ეს კიდევ უფრო სასურველია — მეორე კლასის მდგომარეობა, თანაც საზოგადოების უფრო მნიშვნელოვანი კლასისა. ყოველივე ის, რასაც ეს კლასი მიიღებდა გარდა 9 მილიონისა [აუცილებელი საარსებო საშუალებებით განსაზღვრული ხელფასისა], ქვეყნის წმინდა შემოსავლის ნაწილს შეადგენს და არ შეიძლება დაიხარჯოს ისე, თუ ამით არ გადიდდა იმავე დროს ქვეყნის მოხმარება, კეთილდღეობა და სიძლიერე. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ გაანაწილოთ წმინდა შემოსავალი როგორც გნებავთ. მიეცით ცოტა მეტი ერთ კლასს და ცოტა ნაკლები მეორეს — თქვენ ამით არ ამცირებთ წმინდა შემოსავლის ჯამს. ექნება ადგილი წმინდა შემოსავლის ასეთ გადანაწილებას თუ არა, — სულ ერთია შრომის იმავე რაოდენობით წარმოებული იქნება საქონლთა უფრო მეტი რაოდენობა, თუმცა ამ საქონელთა მთლიანი ფულადი ღირებულების ოდენობა შემცირდება. მაგრამ ქვეყნის წმინდა ფულადი შემოსავალი, ის ფონდი, საიდანაც გადასახადებს იხდიან და განცხრომის საგნებისათვის საშუალებებს ღებულობენ, გაცილებით უფრო მოხერხებული იქნება, ვიდრე უწინ, იმისათვის, რომ შეინახოს არსებული მოსახლეობა, მიაწოდოს მას ფუფუნებისა და განცხრომის საგნები და გადაიხადოს ყოველგვარი სიდიდის გადასახადები» (გვ. 515 — 516).

47. კ. მარქსი, ტ. IV. ნაწ. II.

[ბ.] მანჭანები [რიკარდო და ბარტონი მუშათა კლასის მდგომარეობაზე მანჭანათა გამოყენების შესახებ]

[1) რიკარდოს შეხედულებანი]

[ა) რიკარდოს თავდაპირველი მიხედვრა მანჭანების მიერ მუშების ნაწილის გაძევების შესახებ]

1-ლი თავის («ღირებულების შესახებ») V განყოფილებაში რიკარდო წერს:

«დავუშვათ..., რომ ჩვენს წინაშეა მანჭანა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ მრეწველობის რომელიმე დარგში ასი მუშის სამუშაოს შესასრულებლად წლის განმავლობაში, და რომ ამას შეუძლია გაძლოს მხოლოდ ერთი წელი. დავუშვათ აგრეთვე, რომ ეს მანჭანა ღირს 5000 გირვ. სტერლინგი და რომ ხელფასი, რაც ყოველწლიურად ამ მუშას ეძლევა, შეადგენს 5000 გირვ. სტერლინგს. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ფაბრიკანტისათვის სულ ერთია, იყიდის მანჭანას თუ დაიქირავებს მუშებს. მაგრამ, ვთქვათ, შრომის ღირებულება დიდდება და ამის შედეგად ასი მუშის წლიური ხელფასი შეადგენს 5500 გირვ. სტერლინგს. ცხადია, რომ ახლა ფაბრიკანტს საყოველთაო ადირაფერი ექნებოდა: მის ინტერესს შეადგენს ისეთი მანქანის ყიდვა, რომელიც მისთვის იმავე სამუშაოს 5000 გირვ. სტერლინგად შეასრულებს. მაგრამ აიწევს თუ არა აგრეთვე მანჭანის ფასიც, ეღირება თუ არა ისიც 5500 გირვ. სტერლინგი შრომის ღირებულების გადიდების გამო? მისი ფასი აიწევდა იმ შემთხვევაში, თუ მისი აგებისას გამოყენებული არ იქნებოდა არავითარი კაპიტალი და მანქანათმშენებელს არავითარი მოგება არ ერგებოდა. თუ, მაგალითად, მანქანა იმ ასი მუშის შრომის პროდუქტი იქნებოდა, რომლებიც მას ერთი წლის განმავლობაში ამზადებენ და თვითეული 50 გირვ. სტერლ. მოგებას ღებულობს, და მისი ფასი, მაშასადამე, 5000 გირვ. სტერლ. იქნებოდა, მაშინ, 55 გირვ. სტერლინგამდე ხელფასის გადიდების შემთხვევაში მისი ფასი იქნებოდა 5500 გირვ. სტერლინგი. მაგრამ ეს შესაძლებელია. უნდა ვიფარაუდოთ, რომ დასაქმებული იყო ას მუშაზე ნაკლები,— სხვანაირად მანქანა ვერ გაიყიდებოდა 5000 გირვ. სტერლინგად, რადგან ამ 5000 გირვ. სტერლინგიდან უნდა გასტუმრებულ იქნეს მუშებზე დახარჯული კაპიტალის მოგება. ამრიგად, დავუშვათ, რომ დასაქმებული იყო მხოლოდ ოთხმოცდაბუთი მუშა ლ. თვითეულზე დახარჯა 50 გირვ. სტერლინგი, ანუ 4250 გირვ. სტერლინგი ფულიწადში, და რომ ის 750 გირვ. სტერლინგი, რაც მანქანის გაყიდვისას მიღებულ იქნა მუშებისათვის მიცემული ხელფასის გარდა, შეადგენდა მანქანათმშენებლის კაპიტალის მოგებას. 10%-ით ხელფასის გადიდების შემთხვევაში მანქანათმშენებელი იძულებული იქნება 425 გირვ. სტერლ. დაბრუნებითი კაპიტალი გამოიყენოს და ამიტომ 4250 გირვ. სტერლინგის ნაცვლად დახარჯავს 4675 გირვ. სტერლ. კაპიტალს, რომელზეც იგი მხოლოდ 325 გირვ. სტერლ. მოგებას მიიღებს, თუ უწინდებურად მანქანას 5000 გირვ. სტერლინგად გაყიდის. მაგრამ სავსებით ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება ყველა ფაბრიკანტი და კაპიტა-

ლისტი: ხელფასის გადიდება მათ ყველას ეხება. ამიტომ, თუ მანქანათმშენებელი მანქანის ფასს გაადიდებდა ხელფასის გადიდების გამო, ასეთი მანქანების დამამზადებელ მრეწველობის დარგში დაიწყებოდა კაპიტალის მოზღვავება ისეთი არაჩვეულებრივი ოდენობით, რომ სულ მალე მანქანის ფასი მანქანათმშენებელს მოგების მხოლოდ ჩვეულებრივ ნორმას მოუტანდა. ჩვენ ვხედავთ, მაშასადმე, რომ მანქანის ფასი არ გადიდდება ხელფასის გადიდების გამო.

მაგრამ ის ფაბრიკანტი, რომელსაც ხელფასის საერთო გადიდებისას ისეთი მანქანა აქვს,რომელიც მისი საქონლის წარმოების ხარჯებს არ აადიდებს, განსაკუთრებულად ხელსაყრელ მდგომარეობაში იქნებოდა, თუ თავისი საქონლის გაყიდვას წინანდელი ფასის კვალობაზე შეძლებდა; მიგრამ იგი, როგორც უკვე დავნახეთ, იძულებული იქნება თავისი საქონლის ფასი შეამციროს; წინაალმდეგ შემთხვევაში მის წარმოების დარგს მოაწყდება კაპიტალი მანამდე, სანამ მისი მოგება საერთო დონემდე არ დაეცემა. ამრიგად, მანქანების შემოღების გამო მოგებული რჩება საზოგადოება: ეს მუნჯი აგენტები მუდამ პროდუქტია შრომის გაცილებით ნაკლები რაოდენობისა, ვიდრე მათ მიერ გაძევებული რაოდენობაა, თუნდაც მათ იგივე ფულადი ღირებულება ჰქონდეთ» (გვ. 38 — 40).[142]

ეს პუნქტი სავსებით სწორად არის შენიშნული. ამავე დროს იგი პასუხიცაა იმათთვის, ვინც ფიქრობს, რომ მანქანების მიერ გაძევებული მუშები სამუშაოს ნახულობენ თვით მანქანათმშენებლობაში, — წარმოდგენა, დამახასიათებელი, სხვათა შორის, იმ ეპოქისათვის, როცა მანქანების დამამზადებელი სახელოსნო ჯერ კიდევ მთლიანად შრომის დანაწილებას ემყარებოდა და როცა მანქანების საწარმოებლად ჯერ კიდევ არ იყო გამოყენებული მანქანები.

დავუშვათ, რომ ერთი მუშის წლიური ხელფასი შეადგენს 50 გირვ. სტერლინგს; მაშინ 100 მუშის ხელფასი უდრის 5000 გირვ. სტერლინგს. თუ ამ 100 მუშას შეცვლის მანქანა, რომელიც აგრეთვე 5000 გირვ. სტერლ. ღირს, მაშინ ეს მანქანა არის 100-ზე უფრო ნაკლები მუშის შრომის პროდუქტი. ვინაიდან იგი შეიცავს, გარდა ფასგადახდილი შრომისა, აგრეთვე ფასგადაუხდელ შრომასაც, რომელიც სწორედ მანქანების ფაბრიკანტის მოგებას შეადგენს. 5000 გირვ. სტერლინგად ღირებული მანქანა რომ 100 მუშის შრომის პროდუქტი იყოს, მაშინ იგი მხოლოდ ფასგადახდილი შრომის შემცველი იქნებოდა. 5000 გირვ. სტერლინგიდან — როცა მოგების ნორმა 10%-ია — დაახლოებით 4545 გირვ. სტერლინგი იქნებოდა ავანსგბული კაპიტალი და დაახლოებით 455 გირვ. სტერლინგი — მოგება. 4545 გირვ. სტერლინგი — თუ ერთი მუშის ხელფასი 50 გირვ. სტერლინგია — წარმოგვიდგენდა მხოლოდ $90^{9}/_{10}$ მუშას.

[735] მაგრამ 4545 გირვ. სტერლ. კაპიტალი სულაც არ წარმო-

ადგენს მარტოოდენ ცვალებად კაპიტალს (უშუალოდ ხელფასზე დახარჯულ კაპიტალს). მასში წარმოდგენილია აგრეთვე მანქანათმშენებლის მიერ გამოყენებული ძირითადი კაპიტალის გაცვეთა და ნედლეული. ამრიგად, 5000 გირვ. სტერლინგად ღირებული მანქანა. შემცველი 100 მუშისა, რომელთა ხელფასიც 5000 გირვ. სტერლინგს შეადგენს, პროდუქტია 90-ზე გაცილებით უფრო ნაკლები მუშის შრომისა. ამასთან მანქანის ხელსაყრელად გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ იგი (ყოველ შემთხვევაში, მისი ის ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად შედის საერგებლითურთ პროდუქტში, ე. ი. მის ღირებულებაში) არის პროდუქტი წლის განმავლობაში დასაქმებული მუშების გაცილებით ნაკლები რაოდენობისა, ვიდრე მუშების ის რაოდენობა, რომლის შემცველიც მანქანაა.

ხელფასის ყოველი გადიდება ადიდებს ავანსად გასაღებ ცვალებად კაპიტალს, თუმცა პროდუქტის ღირებულება, — იმდენად, რამდენადაც ეს ღირებულება უდრის ცვალებად კაპიტალს პლუს ზედმეტი შრომა, — უცვლელი რჩება (რადგან უცვლელი რჩება ცვალებადი კაპიტალის მიერ მოძრაობაში მოყვანილი მუშების რაოდენობა).

[ბ) რიკარდო საქონელთა ღირებულებაზე ფარმოების გაუმჯობესებათა გავლენის შესახებ. მცდარი დებულება დათხოვნილი მუშებისათვის ხელფასის ფონდის განთავისუფლების შესახებ]

მე-20 თავში («ღირებულება და სიმდიდრე, მათი განმასხვავებელი თვისებანი») რიკარდო აღნიშნავს, რომ ბუნების ძალები არაფერს არ უმატებენ საქონელთა ღირებულებას, რომ ისინი, პირიქით, ამცირებენ მას. სწორედ ამით ადიდებენ ისინი ზედმეტ ღირებულებას, კაპიტალისტს კი მარტოოდენ იგი აინტერესებს.

«ადამ სმიტის შეხედულების საწინააღმდეგოდ, ბ-ნი სეი მეოთხე თავში ლაპარაკობს ღირებულებაზე, რასაც საქონელს ანიჭებენ ისეთი ძალები ბუნებისა, როგორიცაა, მაგალითად, მზე, ქარი, ატმოსფეროს წნევა და ა. შ.; ეს ძალები ზოგჯერ ადამიანის შრომის მაგივრობას ეწევიან, ზოგჯერ კი ეხმარებიან მას წარმოებაში. მაგრამ, თუმცა ეს ბუნების ძალები მნიშვნელოვნად ადიდებენ სახმარ ღირებულებას, ისინი არასოდეს არ უმატებენ საქონელს საცვლელ ღირებულებას, რომელზეც ბ-ნი სეი ლაპარაკობს. როგორც კი ჩვენ მანქანების ან ბუნებათმეცნიერების დახმარებით ბუნების ძალებს ისეთ სამუშაოს შევასრულებინებთ, რომელსაც წინათ ადამიანი ასრულებდა, ამ სამუშაოს საცვლელი ღირებულება შესაბამისად დაეცემა» (გვ. 335 — 336).

მანქანას ღირებულება აქვს. ბუნების ძალები, როგორც ასეთნი, მოკლებულნი არიან ღირებულებას. მაშასადამე, მათ არც შეუძლიათ რაიმე ღირებულება მიუმატონ პროდუქტს, არამედ პირიქით, აძცირებენ მის ღირებულებას იმდენად, რამდენადაც ისინი შეენაცვლებიან კაპიტალს ან შრომას, უშუალო შრომას ანდა დაგროვილს. იმდენად, რამდენადაც ბუნებათმეცნიერება იმას გვასწავლის, თუ როგორ შევცვალოთ მანქანების დაუხმარებლად ანდა მხოლოდ იმ მანქანების დახმარებით, რაც უწინ იყო (შეიძლება, კიდევ უფრო იაფად, ვიდრე უწინ, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ორთქლის ქვაბის გამოყენებისას, სხვადასხვა ქიმიური პროცესების დროს და ა. შ.), ადამიანის შრომა ბუნების ძალებით, — იგი არაფერი არ უღირს კაპიტალისტს (ასევე საზოგადოებასაც) და აბსოლუტურად აიაფებს საქონელს.

ზემოთ ციტირებული ადგილის შემდეგ რიკარდო განაგრძობს:

«თუ წისქვილი მოძრაობაში მოჰყავდა ათ კაცს. ხოლო შემდეგ აღმოჩენილ იქნა, რომ ქარის ან წყლის დახმარებით შეიძლება ამ ათი კაცის შრომა დაიზოგოს, მაშინ ღირებულება ფქვილისა, რომელიც ნაწილობრივ წისქვილის მუშაობის პროდუქტია, მყისვე დაეცემოდა დაზოგილი შრომის შესაბამისად; და საზოგადოება უფრო მდიდარი გახდებოდა იმ საქონელთა მთელი ოდენობით, რომელთა წარმოებაც ათი კაცის შრომით შეიძლებოდა, რადგან მათ შესანახად განკუთვნილი ფონდიარასგზით არ შემცირდებოდა» (გვ. 336).

საზოგადოება უფრო მდიდარი გახდებოდა უწინარეს ყოვლისა იმ ოდენობით, რითაც ფქვილის ფასი დაეცა. იგი ან დაიწყებდა მეტი ფქვილის მოხმარებას, ანდა იმ ფულს, რაც ადრე ფქვილისათვის იყო განკუთვნილი, დახარჯავდა სხვა რომელიმე საქონელზე, რომელიც უკვე არსებობს ანდა პირველად გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, რომ გათავისუფლდა მოხმარების ახალი ფონდი.

შემოსავლის ამ ნაწილზე, რომელიც წინათ ფქვილზე იხარჯებოდა, ახლა კი, ფქვილის ფასის შემცირების გამო, თავისუფლდება ყოველგვარი სხვა გამოყენებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მთელი ეკონომიკის მიერ იგი «განკუთვნილი იყო» გარკვეული ნივთისათვის და რომ ახლა გათავისუფლებულია ამ «განკუთვნისაგან». ეს იგივეა, თითქოს ახალი კაპიტალი დაგროვილიყო. ასეთი წესით მანქანებისა და ბუნების ძალების გამოყენება ათავისუფლებს კაპიტალს და იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილე-

ბის შესაძლებლობას ქმნის, რომლებიც წინათ «ფარულ მდგომარეობაში» იმყოფებოდნენ.

პირიქით, შეცდომაა იმ ათი კაცის «შესანახად გ ა ნ კ უ თ ვ ნ ი ლ ფონდზე» ლაპარაკი, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს ახალი აღმოჩენის შედეგად. საქმე ისაა, რომ ახალი აღმოჩენით დაზოგილი ან შექმნილი პირველი ფონდი შემოსავლის ის ნაწილია, რომელსაც საზოგადოება უწინ ფქვილში იხდიდა და რომელსაც ახლა იგი ფქვილის ფასის შემცირების გამო ზოგავს. მეორე დაზოგილი ფონდი კი ის ფონდია, რომელსაც მეწისქვილე წინათ უხდიდა ამჟამად დათხოვილ ათ მუშას. ეს «ფონდი», მართლაც, როგორც რიკარდო შენიშნავს, სრულებით არ შემცირებულა ახალი აღმოჩენისა და ათი მუშის დათხოვის გამო. მაგრამ ეს ფონდი ზემოაღნიშნულ ათ მუშასთან სრულიად არავითარ ბუნებრივ კავშირში არაა. ეს მუშები შეიძლება გახდნენ პაუპერები, შიმშილით დაიხოცონ და ა. შ. უეჭველია მხოლოდ ის, რომ ახალი თაობის ათმა კაცმა, რომლებსაც ამ ათი მუშის ადგილი უნდა დაეკავებიათ, რათა წისქვილი მოძრაობაში მოეყვანათ, ახლა სამუშაო უნდა ეძებოს მოსაქმეობის სხვა რომელიმე დარგში და რომ ამ გზით მოსახლეობა შეფარდებით [შორის მოთხოვნასთან შედარებით] გადიდდა (მოსახლეობის საშუალო მატებისაგან დამოუკიდებლად), რამდენადაც წისქვილი ახლა მოძრაობაში მოიყვანება [ადამიანთა დაუხმარებლად], ის ათი მუშა კი, რომლებსაც, ეს აღმოჩენა რომ არ ყოფილიყო, მოძრაობაში უნდა მოეყვანათ წისქვილი, დასაქმებულია რომელიმე სხვა საქონლის წარმოებაში. ამრიგად, შანქანების გამოგონება და ბუნების ძალების გამოყენება ათავისუფლებს კაპიტალს და ადამიანებს (მუშებს) და გათავისუფლებულ კაპიტალთან ერთად ქმნის გათავისუფლებულ ხელებს («თავისუფალ ხელებს», როგორც სტიუარტი[143] ამბობს), ეს კი იმას იწვევს, [736] რომ იქმნება წარმოების ახალი სფეროები ანდა ფართოვდება წარმოების ძველი სფეროები, იზრდება მათში წარმოების მასშტაბი.

მეწისქვილე თავისი განთავისუფლებული კაპიტალით ახალ წისქვილებს ააშენებს ანდა გაასესხებს ამ კაპიტალს, თუ თვითონ ვერ შეძლებს კაპიტალის სახით მის დახარჯვას.

მაგრამ ყველა გარემოებაში აქ არ არსებობს არავითარი ფონდი, «გ ა ნ კ უ თ ვ ნ ი ლ ი» ათი დათხოვილი მუშისათვის. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით * აქ წამოყენებულ უაზრო წინამძღვარს იმის შე-

---

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 746 — 756. რ ე დ.

სახეებ, რომ თუ მანქანების შემოღება (ან ბუნების ძალების გამოყენება) არ აძცირებს იმ საარსებო საშუალებათა მასას, რომელთაც შეუძლიათ ხელფასის მაგივრობა გასწიონ (როგორც ამას ნაწილობრივ ადგილი აქვს სოფლის მეურნეობაში, როცა ცხენები ადამიანებს აძევებენ ანდა როცა მესაქონლეობა ხვნა-თესვას აძევებს), მაშინ ზემოაღნიშნული წესით განთავისუფლებული ფონდი აუცილებლად უნდა დაიხარჯოს ცვალებადი კაპიტალის სახით (თითქოს შეუძლებელი იყოს საარსებო საშუალებათა გაზიდვა საზღვარგარეთ ანდა თითქოს შეუძლებელი იყოს არამწარმოებელ მუშაკებზე მათი დახარჯვა, ანდა კიდევ ხელფასს არ შეეძლოს გადიდება წარმოების ამა თუ იმ სფეროებში, და ა. შ.) და უნდა დაიხარჯოს სწორედ დათხოვნილ მუშებზე. მანქანები მუდამ ქმნიან შეფარდებითს ჭარბმოსახლეობას, მუშების სარეზერვო არმიას, რაც დიდად ადიდებს კაპიტალის ძალას.

335-ე გვერდისადმი შენიშვნაში რიკარდო იძლევა კიდევ შემდეგ შენიშვნას სეის წინააღმდეგ:

«თუმცა ა. სმიტი, რომელმაც სიმდიდრე განსაზღვრა როგორც სიუხვე იმ პირველი საჭიროების, კომფორტისა და განცხრომის საგნებისა, რომლებსაც ადამიანი ხმარობს, დაგვეთანხმებოდა, რომ მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ს ა და ბ უ ნ ე ბ ი ს ძ ა ლ ე ბ ს შეუძლიათ მეტად მნიშვნელოვნად გაადიდონ ქვეყნის სიმდიდრე, მაგრამ იგი არ დაგვეთანხმებოდა იმაში, რომ ისინი რ ა ი მ ე ს უ მ ატ ებ ენ ა მ ს ი მ დ ი დ რ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს».

ბუნების ძალები, მართლაც, არაფერს არ უმატებენ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, თუ არ არსებობენ ისეთი გარემოებანი, როცა ეს ძალები რ ე ნ ტ ი ს შექმნის შესაძლებლობას იძლევიან. მაგრამ მანქანები ბუდამ უმატებენ არსებულ ღირებულებას თ ა ვ ი ა ნ თ ი ს ა კ უ თ ა რ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს; დი რამდენადაც მათი არსებობა, ჯერ ერთი, აადვილებს საბრუნავი კაპიტალის [ნაწილის] გადაქცევას ძირითად კაპიტალად და ასეთ გადაქცევას სულ უფრო მზარდი მასშტაბით შესაძლებელს ხდის, ამდენად ისინი ადიდებენ არა მარტო სიმდიდრეს, არამედ იმ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა ც, რასაც უმატებს წლიური შრომის პროდუქტს წარსული შრომა; მეორე კი, რადგან მანქანები შესაძლებელს ხდიან მოსახლეობის აბსოლუტურ ზრდას და ამასთან ერთად წლიური შრომის მასის ზრდასაც, ამიტომ ისინი ამ მეორე წესითაც წლიური პროდუქტის ღირებულებას ადიდებენ. [736]

[გ) მეცნიერული კეთილსინდისიერება რიკარდოსი, რომელმაც გადასინჯა თავისი შეხედულებანი მანქანების საკითხში. წინანდელი მცდარი წანამძღვრები, რომლებიც შემორჩა რიკარდოს საკითხის ახალ დასმაში]

[736] თავი 31-ე დასათაურებულია «მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ».

ეს განყოფილება, რომელიც რიკარდომ თავისი თხზულების მესამე გამოცემაში დაურთო, მოწმობს მის კ ე თ ი ლ ს ი ნ დ ი ს ი ე რ ე ბ ა ს, რაც მას ასე არსებითად განასხვავებს ვულგარული ეკონომისტებისაგან.

«მე მით უფრო ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს გადმოვცე ჩემი შეხედულებანი ამ საკითხზე» (სახელდობრ, «საზოგადოების სხვადასხვა კლასების ინტერესებზე მანქანათა გაფლენა» საკითხზე), «რომ შემდგომი მოფიქრების შედეგად ან შეხედულებებმა მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადეს. და თუმცა მე არ შემიძლია გავიხსენო, რომ მე ოდესმე გამომექვეყნებიოს მანქანების საკითხზე ისეთი რამ, რაზეც საჭირო ყოფილიყო უარი მეთქვა, მაგრამ სხვა გზით» (როგორც პარლამენტის წევრმა?) 144 «აღმოვუჩინე დახმარება იმ მოძღვრებებს, რომლებიც ახლა მცდარ მოძღვრებებად მიმაჩნია. ამიტომ ჩემს მოვალეობად ვთვლი მკითხველის განსახილველად წარმოვადგინო ჩემი ახლანდელი შეხედულებანი იმ არგუმენტებთან ერთად, რომლებიც მათთვის მომეთვალა.

იმ დროიდან დაწყებული, როცა პირველად მივაქციე ყურადღება პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს, იმ შეხედულებას ვიცავდი, რომ მანქანების ისეთი გამოყენება წარმოების ყოველ დარგში, რომლის შედეგიც შრომის დაზოგვა იქნებოდა, საკეთეს წარმოადგენს ყველასათვის და მას თან ახლავს მხოლოდ ის უხერხულობანი, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში დაკავშირებულია კაპიტალისა და შრომის გადაადგილებასთან მოსაქმეობის ერთი დარგიდან მეორეში».

{ეს «უხერხულობანი» საკმაოდ დიდია მუშისათვის, თუ მათ, როგორც ეს თანამედროვე წარმოებაში ხდება, განუწყვეტლივ აქვთ ადგილი.}

«მე მეგონა, რომ მიწის მესაკუთრენი, იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმავე ფულად რენტას მიიღებდნენ, მოგებას ნახავდნენ იმ ზოგიერთ საქონელთა ფასების დაწევით, რომლებზეც ისინი ამ რენტას ხარჯავენ, — ფასების დაწევით, რაც მანქანების გამოყენების აუცილებელი შედეგია. კაპიტალისტს, ვფიქრობდი მე, საბოლოო ანგარიშით სავსებით ასევე ექნებოდა მოგება. მართალია, მას, ვინც მანქანა გამოიგონა ან პირველმა გამოიყენა იგი, დამატებითი სარგებლობა ექნებოდა, რადგან გარკვეული დროის განმავლობაში იგი მეტ მოგებას მიიღებდა. მაგრამ რამდენადაც მანქანა საყოველთაო ხმარებაში შევიდოდა, მის მიერ წარმოებული საქონლის ფასი კონკურენციის გამო დაიწევდა მის წარმოების ხარჯებამდე და მაწინ კაპიტალისტი იმავე ფულად მოგებას მიიღებდა, რასაც უწინ ღებულობდა, და იგი მხოლოდ საერთო სარგებლობის მონაწილე იქნებოდა [737] როგორც მომხმარებელი, ვინაიდან იმავე ფულადი შემოსავლის დროს მის განკარგულე-

ბაში იქნებოდა კომფორტისა და განცხრომის საგანთა დამატებითი რაოდენობა. მუშათა კლასიც, ეფიქრობდი მე, თანაბრად მოგებული დარჩებოდა მანქანების შემოღების გამო, რადგან იმავე ფულადი ხელფასის დროს მუშებს მეტი საქონლის ყიდვის შესაძლებლობა ექნებოდათ. და მე ვვარაუდობდი, რომ ხელფასის არავითარი შემცირება ამასთან არ მოხდებოდა, რადგან კაპიტალისტს შეეძლო შრომის მოთხოვნა და გამოყენება იმავე რაოდენობით, რა რაოდენობითაც მას უწინ მოითხოვდა და იყენებდა, თუმცა, შესაძლოა, ამ შრომის გამოყენება მას რომელიმე ახალი ან, ყოველ შემთხვევაში, სხვა საქონლის წარმოებაში მოუხდებოდა. თუ მანქანების გაუმჯობესების გამო შესაძლებელი იქნებოდა შრომის იმავე რაოდენობის გამოყენებით ამ შრომით წარმოებული წინდების რაოდენობის ოთხჯერ გადიდება, მოთხოვნა კი ამ წინდებისა მხოლოდ ორჯერ გაიზრდებოდა, მაშინ საჭირო გახდებოდა წინდის მრეწველობის მუშების გარკვეული რაოდენობის სამუშაოდან დათხოვნა; მაგრამ რადგან მუშების გამომყენებელი კაპიტალი მაინც იარსებებდა და რადგან ამ კაპიტალის მფლობელები დაინტერესებულნი იქნებოდნენ მისი მწარმოებლურად გამოყენებით, ამიტომ მე მეგონა, რომ იგი გამოიყენებოდა საზოგადოებისათვის სასარგებლო ისეთ სხვა საქონელთა საწარმოებლად, რომელთა მოთხოვნაც მტკიცედ უზრუნველყოფილი იქნებოდა... რადგან, მაშასადამე, მე მეგონა, რომ შრომის მოთხოვნა იგივე დარჩებოდა, როგორიც უწინ იყო, ხელფასი კი არ შემცირდებოდა, ამიტომ ვფიქრობდი, რომ მუშათა კლასისათვის, ისევე როგორც სხვა კლასებისათვის, მანქანების გამოყენებით გამოწვეული საერთო გაიაფება საქონლისა ხელსაყრელი და სასარგებლო იქნებოდა.

ასეთი იყო ჩემი შეხედულებანი, და, რამდენადაც ლაპარაკია მიწის მესაკუთრისა და კაპიტალისტზე, ისინი არ შეცვლილან; მაგრამ დავიწყმუნდი, რომ «ადამიანის შრომის შეცვლა მანქანებით ხშირად დიდ ზიანს აყენებს მუშათა კლასს» (გვ. 466 — 468).

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ რიკარდო გამომდის მცდარი წანამძღვრიდან, თითქოს მანქანების შემოღება ყოველთვის ხდება წარმოების ისეთ სფეროებში, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესი უკვე არსებობს. ნამდვილად კი ცნობილია, რომ მექანიკური საქსოვი დაზგა თავდაპირველად შეცვლის ხელით მომუშავე მქსოველს, ჯენი — ხელით მომუშავე მრთველს, ხოლო სათიბმა მანქანამ, სალეწმა მანქანამ, სათესმა მანქანამ შეიძლება, შეცვალონ წვრილი დამოუკიდებელი გლეხი და ა. შ. აქ არა მარტო მუშაკი განიდევნება, არამედ მისი წარმოების იარაღიც აღარ არის უკვე კაპიტალი (რიკარდოსებური გაგებით). ძველი კაპიტალის ეს სრული თუ საბოლოო გაუფასურება მაშინაც იწყება, როცა მანქანები რეოლუციას ახდენენ მათ შემოღებამდე არსებულ მანუფაქტურაში, რომელიც მხოლოდ შრომის დანაწილებას ემყარებოდა. აქ უაზრო-

ბაა იმის ლაპარაკი, რომ «ძველი კაპიტალი» განაგრძობს შრომის იმავე მოთხოვნის წაყენებას, რა მოთხოვნასაც წინათ აყენებდა.

ხელით მომუშავე მჭედველის მიერ, ხელით მომუშავე მრთველის მიერ და ა. შ. გამოყენებული «კაპიტალი» უკვე «ველარ იარსებებდა».

მაგრამ დავუშვათ, გამოკვლევის გამარტივებისათვის, რომ მანქანები (ჩვენ აქ. რა თქმა უნდა, არ ვლაპარაკობთ მანქანების გამოყენებაზე წარმოების ახალ დარგებში) შემოღებულია მხოლოდ იმ სფეროებში, სადაც უკვე გაბატონებულია კაპიტალისტური წარმოება (მანუფაქტურა), ანდა უკვე მანქანურ წარმოებაზე დაფუძნებულ სახელოსნოებშიც კი, ასე რომ ლაპარაკია იმაზე, რომ დიდდება მათი ავტომატური ხასიათი ანდა ხმარებაში შემოდის გაუმჯობესებული მანქანები, რომლებიც იმის შესაძლებლობას იძლევიან, რომ ან დათხოვნილ იქნეს ნაწილი მანამდე დასაქმებული მუშებისა, ანდა გამოყენებულ იქნეს მუშების ისეთივე, ე. ი. წინანდელი, რაოდენობა, მაგრამ ისე, რომ მათ მიერ მოწოდებული პროდუქტი ამასთან იზრდება. უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევაა.

არუგ-დარეგის შესამცირებლად ორი რამ უნდა განვასხვაოთ: 1) ფონდი კაპიტალისტისა, რომელიც მანქანებს იყენებს და მუშებს დაითხოვს; 2) ფონდი საზოგადოებისა — ამ კაპიტალისტის საქონელთა მომხმარებლებისა.

1-ლი პუნქტის შესახებ. რაც შეეხება კაპიტალისტს, რომელსაც მანქანები შემოაქვს ხმარებაში, მცდარი და უაზროა იმის ლაპარაკი, თითქოს მას შეუძლია ხელფასზე კაპიტალის იგივე თანხა ხარჯოს, რასაც წინათ ხარჯავდა. (მაშინაც კი, როცა იგი სესხს მიმართავს, ეს ამდენადვე მცდარია, თუ თვით მის მიმართ არა, მთელი საზოგადოების მიმართ მაინც.) თავიანი კაპიტალის ერთ ნაწილს იგი გადააქცევს მანქანებად და სხვა ძირითად კაპიტალად, მეორე ნაწილს ისეთ დამხმარე მასალად, რომელიც მას წინათ არ სჭირდებოდა, და კაპიტალის კიდევ უფრო მნიშვნელოვან ნაწილს, ვიდრე უწინ, იგი გადააქცევს ნედლეულად, რამდენადაც ჩვენ გვეულისხმობთ, რომ მუშების უფრო ნაკლები რიცხვით იგი მეტ საქონელს აწარმოებს და, მაშასადამე, ამისათვის ნედლეულის უფრო დიდ რაოდენობას საჭიროებს. ცვალებადი კაპიტალის, ე. ი. ხელფასზე დახარჯული კაპიტალის, შეფარდება მუდმივ კაპიტალთან შემცირდა მის წარმოების დარგში. და ეს შემცირებული შეფარდება ძალაში დარჩება — (ცვალებადი კაპიტალის შემცირება მუდმივთან შედარე-

ბით გ ა ძ ლ ი ე რ დ ე ბ ა კიდეც იმის გამო, რომ დაგროვებასთან ერთად ვითარდება შრომის მწარმობლური ძალა) იმ შემთხვევაშიც კი, თუ კაპიტალისტის ეს საწარმო ისე გაფართოვდება წარმოების ახალ საფეხურზე, რომ მას ხელახლა შეუძლია სამუშაო მისცეს ყველა დათხოვნილ მუშას ანდა მუშების უფრო დიდ რიცხვსაც კი, წინანდელთან შედარებით. (შრომის მოთხოვნა მის საწარმოში გაიზრდება, მისი კაპიტალის დაგროვებასთან ერთად, მაგრამ ბევრად ნაკლები ოდენობით, ვიდრე მისი კაპიტალი გროვდება, და ეს უკანასკნელი, თავისი აბსოლუტური სიდიდით, უკვე არასდროს არ იქნება შრომის მოთხოვნის ისეთი წყარო, როგორიც უწინ იყო. ამის უახლოესი შედეგი კი ის არის, რომ მუშების ნაწილი ქუჩაში გაგდებული რჩება.)

მაგრამ, გვეტყვიან, არაპირდაპირ მოთხოვნა მუშებისა იგივე დარჩება, რადგან მოთხოვნა მანქანათმშენებლობისათვის საჭირო მუშებისა გაიზრდებაო. თუმცა რიკარდომ უკვე თვითონ გვიჩვენა წინათ*, რომ მანქანა არასოდეს არ ღირს შრომის ის რაოდენობა, რომლის მაგივრობასაც იგი ეწევა. შესაძლოა, რომ მანქანათმშენებელ საწარმოებში სამუშაო დღე დროებით გახანგრძლივდეს [738] და რომ ამასთან დაკავშირებით პირველ ხანებში არც ერთი დამატებითი მუშის დასაქმება იქ უკვე აღარ შეიძლება. ნედლეული — მაგალითად, ბამბა — შეიძლება მიღებულ იქნეს ამერიკიდან ან ჩინეთიდან, ქუჩაში გაყრილი ინგლისელი მუშებისათვის კი სავსებით სულ ერთია, გაიზრდება ამასთან ამერიკელი ზანგების ან ჩინელი კულის მოთხოვნა თუ არა. მაგრამ თუნდაც დავუშვათ კიდეც, რომ ნედლეული ქვეყნის შიგნით იწარმოება. მაშინ მიწათმოქმედებაში მეტი ქალი და ბავშვი იქნება დასაქმებული, მეტი ცხენი იქნება გამოყენებული და ა. შ., წარმოებული იქნება, შესაძლოა, მეტი სწორედ ეს პროდუქტი და ნაკლები სხვა რომელიმე პროდუქტი. მაგრამ მოთხოვნა მრეწველობის მუშებისა, რომლებიც დაითხოვეს, აქ აღარ წარმოიქმნება, რადგან აქაც, მიწათმოქმედებაში, იგივე პროცესი ხდება, რომელიც შეფარდებით ჭარბმოსახლეობას ქმნის.

Prima facie ** წარმოუდგენელია, რომ მანქანების შემოღება ათავისუფლებს ფაბრიკანტის კაპიტალს, როცა იგი კაპიტალს თავდაპირველად აბანდებს საწარმოში. მანქანების შემოღება მის კაპიტალს უქმნის მხოლოდ სხვა გამოყენებას, რომლის უახლოესი შედეგიც, თვით ამ წანამძღვრის თანახმად, არის მუშების დათხოვნა

---

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 738 — 739. რ ე დ.

** — პირველი შეხედვით, აქ — პირველი შეხედვისთანავე. რ ე დ.

და ცვალებადი კაპიტალის ნაწილის გადაქცევა მუდმივ კაპიტალად.

2-ე პუნქტის შესახებ. რაც შეეხება საზოგადოებას, მანქანის დახმარებით წარმოებულ საქონელთა გაიაფების შედეგად მას გაუნთავისუფლდება უწინარეს ყოვლისა შემოსავალი; კაპიტალი განთავისუფლდება — უშუალოდ — მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მანქანის დახმარებით წარმოებული საგანი წარმოების ელემენტის სახით მუდმივ კაპიტალში შედის. [თუ იგი მუშების ჩვეულებრივ მოხმარებაში შედის, მაშინ, თვით რიკარდოს შეხედულებათა თანახმად, ამან უნდა გამოიწვიოს რეალური ხელფასის[145] შემცირება აგრეთვე წარმოების სხვა დარგებშიც.] განთავისუფლებული შემოსავლის ერთი ნაწილი მოხმარებული იქნება იმავე საგნის სახით ან იმიტომ, რომ ამ საგნის გაიაფება რას ხელმისაწვდომს გახდის მომხმარებელთა ახალი ფენებისათვის (სხვათა შორის, უკანასკნელ შემთხვევაში ამ საგანზე დახარჯული შემოსავალი არ არის განთავისუფლებული შემოსავალი), ანდა იმიტომ, რომ წინანდელი მომხმარებლები მოიხმარენ ახლა გაიაფებული საგნის უფრო მეტ რაოდენობას, მაგალითად, ოთხ წყვილ ბამბის წინდას ერთი წყვილის ნაცვლად. აღნიშნული წესით განთავისუფლებული შემოსავლის მეორე ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოების იმ დარგის გასაფართოებლად, რომელშიც შემოღებულია მანქანები, ან სხვა საქონლის მწარმოებელი ახალი დარგის შესაქმნელად, ანდა, ბოლოს, წარმოების რომელიმე წინათ არსებული დარგის გასაფართოებლად. როგორც არ უნდა იყოს, ამ წესით განთავისუფლებული და კაპიტალად უკეთადაქცეული შემოსავალი საეჭვოა საკმარისი აღმოჩნდეს თუნდაც იმისათვის, რომ შთანთქას მოსახლეობის მატების ის ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად მოედინება წარმოების ყველა დარგში და რომლისთვისაც წარმოების ძველი დარგი პირველ რიგში აღმოჩნდა ახლა დახურული. მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე, რომ განთავისუფლებული შემოსავლის ნაწილი გაიცვლება საზღვარგარეთულ პროდუქტებზე ანდა მას არამწარმოებელი მუშაკები მოიხმარენ. ყოველ შემთხვევაში, არ არსებობს არავითარი აუცილებელი კავშირი განთავისუფლებულ შემოსავალსა და შემოსავლისაგან განთავისუფლებულ მუშებს შორის.

მესამე. მაგრამ ის უაზრო წარმოდგენა, რომელიც რიკარდოს არგუმენტაციას საფუძვლად უდევს, შემდეგია:

[როგორც დავინახეთ,] კაპიტალი ფაბრიკანტისა, რომელსაც ხმარებაში შემოაქვს მანქანები, არ თავისუფლდება. ამ კაპიტალს ეძ-

ლევა მხოლოდ **სხვა** დანიშნულება, სახელდობრ ის დანიშნულება, რომ იგი არ გადაიქცევა, უწინდებურად, ხელფასად ამჟამად დათხოვნილი მუშებისათვის. იგი ნაწილობრივ გადაიქცევა ცვალებადი კაპიტალიდან მუდმივ კაპიტალად. მაშინაც კი, თუ მისი ნაწილი განთავისუფლდებოდა, იგი შთანთქმული შეიქნებოდა წარმოების იმ სფეროებით, რომლებშიც დათხოვნილ მუშებს არ შეუძლიათ **იმუშაონ** და რომლებიც საუკეთესო შემთხვევაში თავშესაფარს მისცემდნენ მხოლოდ იმათ, ვისაც მათი ადგილი უნდა დაეკავებინა.

განთავისუფლებული შემოსავალი კი, — თუ მისი განთავისუფლება არ ბათილდება გაიაფებული საგნის გადიდებული მოხმარებით ან თუ იგი არ გაიცვლება საზღვარგარეთიდან მიღებულ საარსებო საშუალებებზე, — აღებს მხოლოდ, წარმოების ძველი დარგების გაფართოებით ან ახალი დარგების შექმნით, აუცილებელ სარქველს (თუ განთავისუფლებული შემოსავალი საერთოდ აღებს მას!) მოსახლეობის ყოველწლიურად მომდინარე ნამატის იმ ნაწილისათვის, რომელსაც პირველ რიგში დახურული ხვდება წარმოების ძველი დარგი, სადაც შემოღებულ იქნა მანქანები.

და აი, ის უაზრობა, რომელიც ფარული სახით რიკარდოს არგუმენტაციის საფუძველს შეადგენს, არც მეტი, არც ნაკლები, შემდეგია:

ის საარსებო საშუალებანი, რომელთაც წინათ ამჟამად დათხოვნილი მუშები ხმარობდნენ, ხომ განაგრძობენ არსებობას და უწინდებურად ბაზარზე იმყოფებიან. მეორე მხრივ, ეს მუშახელები ასევე ბაზარზე არიან. ამრიგად, ერთ მხარეზეა მუშების საარსებო საშუალებანი (მაშასადამე, გადასახადის საშუალებანიც), რომლებიც **ბუღმეს*** ცვალებად კაპიტალს წარმოადგენენ, მეორე მხარეზე კი — დაუსაქმებელი მუშები. მაშასადამე, არსებობს ფონდი იმისათვის, რომ ეს მუშები მოძრაობაში მოიყვანოს. და, მაშასადამე, ისინი მონახავენ სამუშაოს.

განა შეიძლება, რომ ისეთი ეკონომისტიც კი, როგორიც რიკარდოა, ასეთ აღმაშფოთებელ სისულელეს ლაპარაკობდეს?

ამ კონცეფციის თანახმად, არც ერთი შრომისუნარიანი და შრომისმოყვარე ადამიანი არ შეიძლება შიმშილობდეს, როცა ბაზარზე, საზოგადოებაში მოიპოვება საარსებო საშუალებანი, რომლებიც შეიძლება მას საფასურად მიეცეს ამა თუ იმ სამუშაოსათვის.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ეს საარსებო საშუალება-

---

* — პოტენციურად, შესაძლებლობაში. რ ე დ.

ნი სრულიად არ უპირისპირდებიან დათხოვნილ მუშებს კაპიტალის სახით.

დავუშვათ, რომ მანქანების შემოღების შედეგად უეცრად ქუჩაში გაგდებული აღმოჩნდა 100000 მუშა. მაშინ უწინარეს ყოვლისა ეჭვს გარეშეა, [739] რომ ბაზარზე მყოფი მიწათმოქმედების პროდუქტები, რომლებიც საშუალოდ მთელი წლისათვის საკმარისია და რომლებსაც უწინ ეს მუშები ხმარობდნენ, უწინდებურად ბაზარზე დარჩება. რა მოხდებოდა, თუ მათი მოთხოვნა არ იქნებოდა და თუ ამასთანავე საზღვარგარეთ მათი გატანა შეუძლებელი აღმოჩნდებოდა? რადგან მიწოდება, მოთხოვნასთან შედარებით, გაიზრდებოდა, ამიტომ ამ პროდუქტების ფასი დაეცემოდა, ამ დაცემის შედეგად კი გაიზრდებოდა მათი მოხმარება, თუნდაც დათხოვნილი მუშები შიმშილით დახოცილიყვნენ. არც კია აუცილებელი, რომ კვების საგნების ფასი დაეცეს: შესაძლოა, რომ ეს საგნები უფრო ცოტა იქნება საზღვარგარეთიდან შემოზიდული ანდა უფრო მეტი საზღვარგარეთ გაზიდული.

რიკარდო გამოდის იმ ფანტასტიკური წარმოდგენიდან, თითქოს ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი მექანიზმი ისე ზედმიწევნით იყოს მოწყობილი, რომ თუ, მაგალითად, დათხოვნილია ათი მუშა, მათი საარსებო საშუალებანი, ახლა რომ განთავისუფლდა, აუცილებლად ასე თუ ისე უნდა მოიხმაროს იმავე დათხოვნილმა ათმა მუშამ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი ვერ ჰპოვებდნენ გასაღებას, ვითომდა ამ საზოგადოების ფსკერზე არ იყოს უამრავი ნახევრადდასაქმებული ანდა სრულიად დაუსაქმებელი ადამიანი, რომლებიც სამუშაოს შეუწყვეტელ ძიებაში დაძრწიან, და ვითომდა საარსებო საშუალებათა სახით არსებული კაპიტალი გარკვეულ ფიქსირებულ სიდიდეს წარმოადგენდეს.

თუ მოთხოვნის შემცირების გამო ხორბლის ფასი დაეცემოდა, მაშინ ხორბლის სახით არსებული კაპიტალი (ფულადი გამოხატულებით) შ ე მ ც ი რ დ ე ბ ო დ ა და, რამდენადაც მისი საზღვარგარეთ გატანა არ შეიძლება, გაიცვლებოდა საზოგადოების ფულადი შემოსავლის ნაკლებ მნიშვნელოვან ნაწილზე. და ეს მით უფრო მართებულია მრეწველობის პროდუქტების სახით არსებული კაპიტალის მიმართ. იმ მთელი რიგი წლების განმავლობაში, როცა ხელის დაზგებზე მომუშავე მქსოველები თანდათანობით იღუპებოდნენ შიმშილისაგან, ინგლისური ბამბის ქსოვილის წარმოება და ექსპორტი არაჩვეულებრივად გადიდდა. ამის პარალელურად (1838 — 1841 წლების პერიოდში) გადიდდა კვების საგნების ფასები. მქსო-

ველებს არც ერთი მთელი ჩვარი არ მოეპოვებოდათ ჩასაცმელად და არც საჭმელი ჰქონდათ თუნდაც იმდენი, რომ სული შერჩენოდათ. მუდმივი ხელოვნური წარმოება ჭარბმოსახლეობისა, რომელიც მხოლოდ გაცხოველებული აყვავების ხანაში შთაინთქმება ხოლმე, წარმოების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა თანამედროვე მრეწველობისათვის. და არაფერი უშლის ხელს იმას, რომ ერთსა და იმავე დროს ფულადი კაპიტალის ნაწილი უქმად იდოს, მოუხმარებლად, საარსებო საშუალებათა ფასები, უკანასკნელთა შეფარდებითი ჭარბწარმოების გამო, ეცემოდეს, მანქანების მიერ გაძევებული მუშები კი შიმშილით იხოცებოდნენ.

რა თქმა უნდა, საბოლოოდ განთავისუფლებულმა შრომამ, შემოსავლის ან კაპიტალის განთავისუფლებულ ნაწილთან ერთად, უნდა ჰპოვოს ესა თუ ის გამოყენება წარმოების რომელიმე ახალ დარგში ანდა წარმოების ძველ დარგებში მათი გაფართოების შემთხვევაში, მაგრამ ეს უფრო ხელსაყრელია ი მ ი ს ა თ ვ ი ს, ვ ი ს ა ც გ ა ძ ე ვ ებ ულ ი მ უ შ ებ ის ა დ გ ი ლ ი უ ნ დ ა დ ა ე კ ა ვ ე ბ ი ნ ა, ვიდრე თვით გაძევებულთათვის. გამუდმებით წარმოიქმნება ახალი განშტოებანი შრომის ცოტად თუ ბევრად არამწარმოებლური დარგებისა, სადაც უშუალოდ იხარჯება შემოსავალი. ამას ერთვის: ძირითადი კაპიტალის წარმოქმნა (რკინიგზები და ა. შ.) და ამით შექმნილი შესაძლებლობა ზედამხედველობის სამუშაოსი; წარმოება ფუფუნების საგნებისა და ა. შ.; საგარეო ვაჭრობა, რასაც სულ უფრო დიდი ნარისახეობა შეაქვს იმ საგნებში, რომლებზეც შემოსავალი იხარჯება.

რიკარდო თავისი შეუსაბამო თვალსაზრისიდან გამოდის და ამიტომ ვარაუდობს, რომ მანქანების შემოღება მხოლოდ მაშინ არის საზიანო მუშებისათვის, როცა იგი ამცირებს მთლიან პროდუქტს (და ამიტომ მთლიან შემოსავალსაც). ასეთი შემთხვევა შესაძლებელია, რა თქმა უნდა, მსხვილ სოფლის მეურნეობაში, როცა იქ იწყებენ ცხენების გამოყენებას და ამ ცხენებს სჭირდებათ ის ხორბალი, რომელიც მანამდე მუშების მიერ მოიხმარებოდა, ანდა როცა პურის ყანებს ცხვრებისა და ა. შ. საძოვრებად აქცევენ. მაგრამ უაღრესად აბსურდულია ამ შემთხვევის გავრცელება მრეწველობაზე ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, რომლის ბაზარიც მისი მთლიანი პროდუქტისათვის სულაც არ შემოისაზღვრება საშინაო ბაზრის ფარგლებით. (თანაც, თუ მუშების ერთი ნაწილი შიმშილით იხოცება, სამაგიეროდ მათი მეორე ნაწილი შეიძლება უკეთ იკვებებოდეს, უკეთ იცვამდეს; სავსებით ასევე შეიძლება უკეთ იკვებებოდნენ და იცვამდნენ არა-

მწარმოებელი მუშაკები და მუშასა და კაპიტალისტს შორის მდგომი შუალედური ფენები.)

თავისთავად მცდარია ის აზრი, რომ შემოსავალში შემავალი საგნების გადიდებული რაოდენობა (ან საერთოდ რაოდენობა) თავისთავად ფონდია მუშებისათვის, ანდა მათთვის კაპიტალს შეადგენს. ამ საგნების ნაწილი მოიხმარება არამწარმოებელი მუშაკების მიერ ან იმ ადამიანების მიერ, რომლებიც საერთოდ არ მუშაობენ. მეორე ნაწილი შეიძლება გადაიქცეს საგარეო ვაჭრობის საშუალებით იმ ფორმიდან, რომლითაც იგი ხელფასს წარმოადგენს, — თავისი უხეში ფორმიდან, — ისეთ ფორმად, რომლითაც იგი მდიდართა შემოსავალში შედის ანდა მუდმივი კაპიტალის წარმოების ელემენტს შეადგენს. ბოლოს, გარკვეული ნაწილი მოიხმარება თვით დათხოვნილი მუშების მიერ სამუშაო სახლში, ციხეში, მოწყალების ან მოპარული ქონების სახით, ანდა მათი ქალიშვილების პროსტიტუციის საფასურის სახით.

შემდგომში მოკლედ შევაჯამებ იმ დებულებებს, რომლებშიც რიკარდო თავის უაზრო არგუმენტაციას ავითარებს. ბიდგი ამ არგუმენტაციისათვის, როგორც თვითონ ამბობს, მან მიიღო ბ ა რ ტ ო ნ ი ს წიგნიდან, რომელზეც, ამიტომ, საჭირო იქნება მოკლედ შევეჩერდეთ აღნიშნული ციტატების მოყვანის შემდეგ.

[740] თავისთავად იგულისხმება, რომ ყოველწლიურად მუშების გარკვეული რაოდენობის დასაქმებისათვის საჭიროა ყოველწლიურად იწარმოებოდეს კვების პროდუქტებისა და აუცილებელი საჭიროების სხვა საგნების გარკვეული რაოდენობა. მსგავლ მიწათმოქმედებაში, მესაქონლეობაში და ა. შ. შესაძლებელია ის შემთხვევა, რომ წმინდა შემოსავალი (მოგება და რენტა) დიდდება, მაშინ როდესაც მთლიანი შემოსავალი, მუშების შესანახად განკუთვნილი პირველი საჭიროების საგანთა მასა მცირდება. მაგრამ საკითხი აქ ეს როდია. მოხმარებაში შემავალი საგნების მასა, ანუ — რიკარდოს კამოთქმა რომ ვიხმაროთ — მთლიან შემოსავალში შემავალი საგნების მასა შეიძლება გადიდდეს ისე, რომ ამის გამო არ გადიდდეს ამ მასის ის ნაწილი, რომელიც ცვალებად კაპიტალად გადაიქცევა. ეს ნაწილი შეიძლება კიდეც შემცირდეს. მაშინ უფრო მეტს მოიხმარენ შემოსავლის სახით კაპიტალისტები, მიწის მესაკუთრენი, მათი მსახურნი, არამწარმოებელი კლასები, სახელმწიფო, შუალედური კლასები (ვაჭრები) და ა. შ.

რიკარდოს (და ბარტონის) მსჯელობათა ფარული საფუძველს წარმოადგენს ის, რომ იგი თავდაპირველად იმ ეარაუდიდან გამო-

დიოდა, თითქოს კაპიტალის ყოველი დაგროვება არის ცვალებადი კაპიტალის გადიდება და ამიტომ შრომის მოთხოვნა უშუალოდ იზრდება იმავე პროპორციით, რითაც კაპიტალის დაგროვება ხდება. ეს არასწორი აღმოჩნდა, რადგან კაპიტალის დაგროვებასთან ერთად ცვლილება ხდება მის ორგანულ შემადგენლობაში და კაპიტალის მუდმივი ნაწილი უფრო მეტი პროგრესიით იზრდება, ვიდრე მისი ცვალებადი ნაწილი. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ შემოსავალი მუდმივად იზრდებოდეს თავისი ღირებულებითა და რაოდენობით. მაგრამ შემოსავლის ეს ზრდა არ იწვევს იმას, რომ ხელფასზე იხარჯებოდეს შესაბამისად ერთობლივი პროდუქტის მზარდი ნაწილი. ის კლასები და ქვეკლასები, რომლებიც უშუალოდ თავიანთი შრომით არ ცხოვრობენ, რიცხობრივად იზრდებიან და წინანდელთან შედარებით უკეთ ცხოვრობენ, და ასევე იზრდება არამწარმოებელი მუშაკების რიცხვიც.

ისეთი კაპიტალისტის შემოსავალს, რომელიც თავისი ცვალებადი კაპიტალის ნაწილს მანქანებად აქცევს (და რომელიც ამიტომ წარმოების ყველა იმ სფეროში, სადაც ნედლეული პროდუქტის ღირებულების ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს, მის მიერ გამოყენებული შრომის რაოდენობასთან შედარებით, კაპიტალის უფრო მნიშვნელოვან ნაწილს უნდა ხარჯავდეს აგრეთვე ნედლეულზეც), — ამ კაპიტალისტის შემოსავალს ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ, რადგან მას ჩვენთვის საინტერესო საკითხთან უშუალო კავშირი არა აქვს. მისი კაპიტალი, წარმოების პროცესში ნამდვილად შესული, და აგრეთვე მისი შემოსავალიც, თავდაპირველად არსებობს იმ პროდუქტების ან, უფრო სწორად, იმ საქონელთა ფორმით, რომელთაც თვით იგი აწარმოებს, მაგალითად — ნართის სახით, თუ იგი მრთველი ფაბრიკანტია. ამ საქონელთა გარკვეულ ნაწილს — ან იმ ფულის ნაწილს, რომელზეც კაპიტალისტი საქონელს ყიდის,—იგი მანქანების შემოღების შემდეგ, გადააქცევს მანქანებად, დამხმარე მასალად და ნედლეულად, ნაცვლად იმისა, რომ ფულის ეს ნაწილი უწინდებურად მუშებს უხადოს ხელფასის სახით, ე. ი. არაპირდაპირ იგი მუშების საარსებო საშუალებებად გადააქციოს. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რასაც ადგილი აქვს მიწათმოქმედებაში, კაპიტალისტმა უწინდელთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობით უნდა აწარმოოს ეს საქონელი, თუმცა მის მიერ დათხოვნილი მუშები ალარ არიან მისი საკუთარი ნაწარმის ისეთი მომხმარებელნი, მაშასადამე მყიდველებიც, როგორიც უწინ იყვნენ. ახლა ასეთი საქონელი ბევ-

რია ბაზარზე, თუმცა იგი აღარ არსებობს ქუჩაში გაგდებული მუშებისათვის ანდა აღარ არსებობს მათთვის წინანდელი ოდენობით. მაშასადამე, რაც შეეხება უწინარეს ყოვლისა თვით ამ კაპიტალისტის მიერ წარმოებულ პროდუქტს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პროდუქტი მუშების მოხმარებაში შედის, მისი რაოდენობის გადიდებას სრულიად არ ეწინააღმდეგება ის, რომ მისი ნაწილი აღარ არსებობს უკვე მუშებისათვის კაპიტალის სახით. პირიქით, მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მანქანებს, დამხმარე მასალას და ნედლეულს წარმოადგენს, ახლა უნდა ანაზღაუროს ერთობლივი პროდუქტის უფრო მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ე. ი. ერთობლივი პროდუქტის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გაიცვალოს ახლა კვლავწარმოების ამ ელემენტების უფრო დიდ რაოდენობაზე, ვიდრე უწინ იცვლებოდა. თუ მანქანების შემოღებით გამოწვეული საქონელთა რაოდენობის გადიდება წინააღმდეგობაში იქნებოდა ამ მანქანების დახმარებით წარმოებულ საქონელთა წინათ არსებული მოთხოვნის (სახელდობრ, დათხოვილი მუშების მხრივ მოთხოვნის) შემცირებასთან, მაშინ უმრავლეს შემთხვევაში მანქანების შემოღება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა. ამრიგად, წარმოებულ საქონელთა მასას და ამ საქონელთა იმ ნაწილს შორის, რომელიც უკუგადაიქცევა ხელფასად, არავითარი გარკვეული თანაფარდობა და არავითარი აუცილებელი კავშირი არ არსებობს, თუ თვით იმ კაპიტალს განვიხილავთ, რომლის ნაწილიც ახლა უკუგადაიქცევა არა დაქირავებულ შრომად, არამედ მანქანებად.

რაც შეეხება მთლიანად ადებულ საზოგადოებას, აქ ადგილი აქვს მისი შემოსავლის საზღვრების შენაცვლებას ანდა, უფრო სწორად, გაფართოებას, პირველ რიგში იმ საგნის მიმართ, რომელიც მანქანების მეოხებით გაიაფდა. ეს შემოსავალი შეიძლება უწინდებურად დაიხარჯოს როგორც შემოსავალი, და თუ მისი რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაწილი კაპიტალად გადაიქცევა, მაშინ უკვე არის, გარდახელოვნურად შექმნილი ჭარბმოსახლეობისა, აგრეთვე მოსახლეობის ბუნებრივი ნამატიც, რომელსაც შეუძლია შეინარჩუნა შემოსავლის ის ნაწილი, რაც ცვალებად კაპიტალად გადაიქცევა.

მაშასადამე, რჩება prima facie მხოლოდ შემდეგი: ყველა საგნის წარმოება, კერძოდ აგრეთვე წარმოება იმ სფეროებში, რომლებიც მუშების მოხმარებაში შემავალ საქონელს აწარმოებენ, გრძელდება — მიუხედავად, ვთქვათ, 100 მუშის დათხოვნისა — წინანდელი მოცულობით; უეჭველად ამას ადგილი აქვს მათი დათხოვნის მომენტში. ამიტომ, რამდენადაც დათხოვნილი მუშები ამ აღნიშნული

საგნების მოთხოვნას აყენებდნენ, ეს მოთხოვნა შემცირდა, თუმცა მოწოდება უცვლელი დარჩა. მაშასადამე, თუ მოთხოვნის ეს შემცირება კომპენსირებული არ იქნება რაიმეთი, მოხდება სათანადო საქონლის ფასის შემცირება (ანდა, ფასის შემცირების ნაცვლად შეიძლება საქონლის უფრო დიდი რაოდენობა დარჩეს ბაზარზე მარაგის სახით მომავალი წლისათვის). თუ სათანადო საქონელი ამასთანავე ექსპორტის საგანი არაა და თუ მისი მოთხოვნა წინანდელ დონეზე უფრო დაბლა დგას, მაშინ მოცემული საგნის კვლავწარმოება შემცირდება, მაგრამ აუცილებლად როდი შემცირდება [741] ამ სფეროში გამოყენებული კაპიტალი. შეიძლება იწარმოებოდეს მეტი ხორცი ან მეტი ტექნიკური მცენარე ან დელიკატესი და ნაკლები ხორბლეული, ანდა მეტი შვრია ცხენებისათვის და ა. შ., ანდა ნაკლები ბამბაზიის კურტაკი და მეტი სერთუკი ბურჟუაზიისათვის და ა. შ. მაგრამ თუ, მაგალითად, ბამბის ქსოვილის გაიაფების გამო წარმოებაში დასაქმებული მუშები საშელზე და ა. შ. მეტის დახარჯვას შეძლებდნენ, მაშინ არ იქნებოდა აუცილებელი, რომ რომელიმე აღნიშნულ შედეგს ადგილი ჰქონოდა. შეიძლება იწარმოებოდეს საქონელთა უწინდელი რაოდენობა, ანდა მეტიც კი, — მათ რიცხვში ისეთი საქონლისაც, რომელიც მუშების მოხმარებაში შედის, — მიუხედავად იმისა, რომ ახლა უფრო ნაკლები კაპიტალი, ერთობლივი პროდუქტის უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიქცევა ცვალებად კაპიტალად, იხარჯება ხელფასზე.

აქ არც ის ხდება, რომ ამ საქონელთა მწარმოებელთათვის მათი კაპიტალის ნაწილი თავისუფლდებოდეს. ყველაზე უარეს შემთხვევაში მოთხოვნა მათი საქონლისა შემცირდება, და ამიტომ მათი კაპიტალის კვლავწარმოება დაკავშირებული იქნება სიძნელეებთან, მათი საქონლის შემცირებული ფასის პირობებში. ამიტომ მათი საკუთარი შემოსავალი ერთბაშად შემცირდებოდა, როგორც ეს ხდება ხოლმე საქონელთა ფასების ყოველი დაცემისას. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მათი საქონლის რომელიმე ნაწილი წინათ უპირისპირდებოდა დათხოვნილ მუშებს კაპიტალის სახით, ახლა კი «განთავისუფლდა» მათთან ერთად. ის, რაც მუშებს კაპიტალის სახით უპირისპირდებოდა, ეს იყო ნაწილი იმ საქონლისა, რომელიც ახლა მანქანების დახმარებით იწარმოება; ამასთან ეს ნაწილი მოედინებოდა მათთან ფულის სახით და ისინი მას ცვლიდნენ სხვა საქონელზე (საარსებო საშუალებებზე), რომელნიც მუშების შიმართ არ გამრიდიოდნენ კაპიტალის სახით, არამედ უპირისპირდებოდნენ მათ ფულს უბრალოდ როგორც საქონელი. ეს, მაშასადამე, — სულ სხვა-

გვარი მიმართებაა. ფერმერი ან რომელიმე სხვა კაპიტალისტი, რომლის საქონელსაც მუშები თავიანთი ხელფასით ყიდულობდნენ, არ უპირისპირდებოდა მათ როგორც კაპიტალისტი და არ იყენებდა მათ წარმოებაში როგორც მუშებს. ახლა ისინი აღარ არიან უკვე მისთვის მყიდველები, რამაც, შეიძლება, თუ ეს სხვა გარემოებებით არ წონასწორდება, გამოიწვიოს მისი კაპიტალის დროებითი გაუფასურება, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს არავითარ კაპიტალს დათხოვნილი მუშების დასაქირავებლად. ის კაპიტალი, რომელმაც ისინი წარმოებაში გამოიყენა, ჯერ კიდევ მაინც «განაგრძობს არსებობას», მაგრამ უკვე არა იმ ფორმით, რომლითაც იგი ხელფასს წარმოადგენს (ანდა იგი წარმოადგენს ხელფასს მხოლოდ ფარაპირდაპირ და ნაკლებად).

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი ადამიანი, ვინც კი რაიმე უბედურების გამო ფულს დაკარგავდა, გათავისუფლებდა ამით ისეთ კაპიტალს, რომელიც თვით მასვე სამუშაოს მისცემდა.

[დ) მუშათა კლასისათვის მანქანების შემოღების ზოგიერთი შედეგის სწორი კონსტატაცია რიკარდოს მიერ აპოლოგეტიკურ წარმოდგენათა არსებობა პრობლემის რიკარდოსეულ გაშუქებაში]

მთლიანი შემოსავალი რიკარდოს ესმის როგორც ის ნაწილი პროდუქტისა, რომელიც ანაზღაურებს ხელფასს და ზედმეტ ღირებულებას (მოგებას და რენტას); წმინდა შემოსავალი კი მას გაგებული აქვს როგორც ზედმეტი პროდუქტი, ზედმეტი ღირებულება. რიკარდო აქ, როგორც მთელ თავის ეკონომიურ თეორიაშიც, ივიწყებს, რომ მთლიანი პროდუქტის ნაწილი უნდა ანაზღაურებდეს მანქანებისა და ნედლეულის ღირებულებას, მოკლედ რომ ვთქვათ — მუდმივი კაპიტალის ღირებულებას.

* * *

რიკარდოს ქვემოთ მოყვანილი მსჯელობანი ინტერესს წარმოადგენენ ნაწილობრივ გზადაგზა მოცემული ზოგიერთი შენიშვნის გამო, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ისინი, mutatis mutandis *, პრაქტიკულად მნიშვნელოვანია მსხვილი სოფლის მეურნეობისათვის,

* — სათანადო ცვლილებებით. რედ.

განსაკუთრებით მეცხვარეობისათვის. აქ, მაშასადამე, კვლავ მეღავნდება კაპიტალისტური წარმოების საზღვარი. მისი განმსაზღვრელი მიზანი სრულიადაც არ არის წარმოება მწარმოებელთათვის (მუშებისათვის), კიდევ მეტი: მის განსაკუთრებულ მიზნად აქ აღიარებულია წმინდა შემოსავალი (შოგება და რენტა), მაშინაც კი, როცა ეს ხორციელდება წარმოების მოცულობის ხარჯზე — საქონელთა წარმოებული მასის ხარჯზე.

«ჩემი შეცდომა გამომდინარეობდა იმის ვარაუდიდან, რომ საზოგადოების წმინდა შემოსავლის ყოველი ზრდისას უნდა იზრდებოდეს აგრეთვე მისი მთლიანი შემოსავალიც. მაგრამ ახლა მე ყველა საფუძველი მაქვს იმაში დასარწმუნებლად, რომ ის ფონდი, საიდანაც თავის შემოსავალს ღებულობენ მიწის მესაკუთრენი და კაპიტალისტები, შეიძლება იზრდებოდეს, მაშინ როდესაც მეორე ფონდი ის, რომელზეც უმთავრესად დამოკიდებულია მუშათა კლასი, შეიძლება მცირდებოდეს. აქედან გამომდინარეობს, თუ არ ვცდები, რომ იმავე მიზეზს, რომელსაც შეუძლია ქვეყნის წმინდა შემოსავლის გადიდება, შეუძლია აგრეთვე იმავდროულად შექმნას ჭარბმოსახლეობა და გაუარესოს მუშის მდგომარეობა» (ვ. 469).

აქ უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს შემდეგი: რიკარდო აღიარებს აქ, რომ იმ მიზეზებს, რომლებიც კაპიტალისტებისა და მიწის მესაკუთრეების სიმდიდრეს ადიდებენ, «შეუძლიათ... შექმნან ჭარბმოსახლეობა», ასე რომ ჭარბმოსახლეობა, ანუ გადამეტმოსახლეობა, გამოხატულია აქ როგორც თვით გამდიდრების პროცესისა და მისი გამოპირობებელი მწარმოებლური ძალის განვითარების შედეგი.

რაც შეეხება ფონდს, საიდანაც თავიანთ შემოსავალს ღებულობენ კაპიტალისტები და მიწის მესაკუთრენი, და, მეორე მხრივ, ფონდს, საიდანაც თავიანთ შემოსავალს მუშები ღებულობენ, ეს საერთო ფონდი არის უწინარეს ყოვლისა ერთობლივი პროდუქტი. კაპიტალისტებისა და მიწის მესაკუთრეთა მოხმარებაში შემავალი პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი არ შედის მუშების მოხმარებაში. მაგრამ, მეორე მხრივ, მუშების მოხმარებაში შემავალი თითქმის ყველა პროდუქტი, — ფაქტიურად ყველა ეს პროდუქტი, მაგრამ მეტ-ნაკლებად, — შედის აგრეთვე მიწის მესაკუთრეთა და კაპიტალისტთა მოხმარებაშიც, მათი მსახურების, მუქთამჭამელების, ძაღლებისა და კატების ჩათვლით. არ შეიძლება საქმე ისე წარმოვიდგინოთ, თითქოს აქ არსებობს ერთიმეორისაგან განცალკევებულად თავისი ბუნებით განსხვავებული ორი ფონდი, რომელთაც ფიქ-

სირეგულო სიდიდე აქვთ. მნიშვნელოვანია ის, თუ რა წილს ღებულობს ამ საერთო ფონდიდან თვითეული მხარე. კაპიტალისტური წარმოების მიზანია სომდიდრის მოკეთეული მასის შემწეობით რაც შეიძლება მეტი ზედმეტი პროდუქტის ან ზედმეტი ღირებულების მიღება. ეს მიზანი იმით ხორციელდება, რომ მუდმივი კაპიტალი შეფარდებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ცვალებადი, ე. ი. იმით, რომ რაც შეიძლება ნაკლები ცვალებადი კაპიტალით მოძრაობაში მოიყვანება რაც შეიძლება მეტი [742] მუდმივი კაპიტალი. ამ-რიგად, გაკილებით უფრო ზოგადი აზრით, ვიდრე ეს აქ რიკარდოს აქვს მხედველობაში, სწორია ის, რომ ერთი და იგივე მიზეზი, რომელიც იმ ფონდის გადიდებას იწვევს, საიდანაც კაპიტალისტები და მუშები თავიანთ შემოსავალს იღებენ, ამ შედეგს წარმოშობს იმ ფონდის შემცირებით, საიდანაც თავიანთ შემოსავალს მუშები იღებენ.

აქედან არ გამომდინარეობს, რომ ფონდი, საიდანაც მუშები თავიანთ შემოსავალს იღებენ, ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ მცირდება. იგი მცირდება მხოლოდ შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ, მათ მიერ წარმოებულ ერთობლივ პროდუქტთან შეფარდებით. და ეს გარემოება არის ერთადერთი მნიშვნელოვანი იმ წილის განსასაზღვრავად, რასაც ისინი მიითვისებენ თვით მათ მიერვე შექმნილი სიმდიდრიდან.

«დავუშვათ, რომ კაპიტალისტი იყენებს 28 000 გირვ. სტერლ. ღირებულების მჭონე კაპიტალს და რომ იგი ერთსა და იმავე დროს ფერმერიც არის და პირველი საჭიროების საგნების მწარმოებელი ფაბრიკანტიც. დავუშვათ, შემდეგ, რომ 7000 გირვ. სტერლინგი ამ კაპიტალიდან დაბანდებულია ძირითადი კაპიტალის სახით, ე. ი. შენობებში, შრომის იარაღებში და ა. შ., დარჩენილი 13000 გირვ. სტერლინგი კი გამოიყენება როგორც საბრუნავი კაპიტალი შრომის შესანახად. დავუშვათ ავრეთვე, რომ მოგება შეადგენს 10%-ს და რომ, მაშასადამე, ჩვენი კაპიტალისტის კაპიტალი ყოველწლიურად თავისი თავდაპირველი ეფექტიანობის ღონეზეა და 2 000 გირვ. სტერლ. მოგებას იძლევა.

კაპიტალისტი ყოველწლიურად იწყებს თავის ოპერაციებს, ამასთან მას აქვს კვების პროდუქტები და 13000 გირვ. სტერლინგად ღირებული სხვა პირველი საჭიროების საგნები, რომელთაც იგი წლის განმავლობაში მთლიანად მიპყიდის ღ-ავის საკუთარ მუშებს ამ ფულად თანხაზე; და იმავე პერიოდის განმავლობაში იგი უხდის მუშებს ამდენსავე ფულად თანხას ხელფასის სახით. წ ლ ი ს ბ ო ლ ო ს მუშები უნაზღაურებენ კაპიტალისტს კვების პროდუქტებს და 15000 გირვ. სტერლინგად ღირებულ პირველი საჭიროების სხვა საგნებს; ამ 15000 გირვ. სტერლინგიდან 2 000 გირვ. სტერლინგს იი თვითონ მოიხმარს ან განაგებს თავისდ გემოვნებისა და სურვილის მიხედვით».

{აქ ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ბ უ ნ ე ბ ა გამოხატულია მეტად თვალსაჩინოდ. ეს ადგილი არის რიკარდოს წიგნის 469 — 470 გვერდზე.}

«რამდენადაც ლაპარაკია ამ პროდუქტებზე, მოცემული წლის მ თ ლ ი ა ნ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი იქნება 15000 გირვ. სტერლინგი, წმინდა პროდუქტი კი — 2000 გირვ. სტერლინგი. დავუშვათ ახლა, რომ მომდევნო წელს კაპიტალისტი იყენებს თავისი მუშების ნახევარს მანქანების აგებაზე, მეორე ნახევარს კი — როგორც უწინ — კვების პროდუქტებისა და პირველი საჭიროების სხვა საგნების წარმოებაზე. ამ წლის განმავლობაში იგი დახარჯავდა ხელფასზე, ჩვეულებისაებრ, 13000 გირვ. სტერლინგს და მიჰყიდდა ამავე თანხის კვების პროდუქტებსა და პირველი საჭიროების სხვა საგნებს თავის მუშებს. მაგრამ როგორი მდგომარეობა იქნებოდა შემდგომ წელს?

სანამ მანქანა მშენებლობის პროცესში იქნებოდა, წარმოებული იქნებოდა კვების პროდუქტებისა და პირველი საჭიროების სხვა საგნების ჩვეულებრივი რაოდენობის მხოლოდ ნახევარი, და ამ საგნებს ექნებოდათ მხოლოდ ნახევარი ღირებულება იმ რაოდენობისა, რაც წინათ იწარმოებოდა. მანქანა ეღირებოდა 7500 გირვ. სტერლინგი, კვების პროდუქტები და პირველი საჭიროების საგნებიც ასევე 7 500 გირვ. სტერლინგი, ანუ რომ ჩვენი კაპიტალისტის კაპიტალი ისევ ისევე სიდიდის იქნებოდა, როგორიც უწინ იყო; ვინაიდან, გარდა ამ ორი ღირებულებისა, მას ექნებოდა კიდევ 7 000 გირვ. სტერლ. ღირებულების ძირითადი კაპიტალი, რაც მთლიანად შეადგენდა 20 000 გირვ. სტერლ. კაპიტალს და 2 000 გირვ. სტერლ. მოგებას. ამ უკანასკნელი თანხის გამოკლების შემდეგ, რაც მის პირად ხარჯებს ხმარდება, მას ექნებოდა შემდგომი ოპერაციების შესასრულებლად საბრუნავი კაპიტალი სულ მხოლოდ 5 500 გირვ. სტერლინგის ოდენობით; ამიტომ მისი საშუალებანი, შრომის შენახვა რომ ხმარდება, შემცირდებოდა 13 000-დან 5 500 გირვ. სტერლინგამდე და, მაშასადამე, მ თ ე ი ს შ რ ო მ ა, რ ო მ ე ლ ი ც წ ი ნ ა თ 7 500 გ ი რ ვ. ს ტ ე რ ლ ი ნ გ ი ს ს ა შ უ ა ლ ებ ი თ გ ა ნ ო ი ყ ე ნ ებ ო დ ა, ა ხ ლ ა მ ო ს ა ბ ე ბ უ ლ ი ა ღ ო ბ ნ ლ ებ ო დ ა».

(მაგრამ ამას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ახლა 7 500 გირვ. სტერლინგად ღირებული მანქანის დახმარებით [როცა ცვალებადი კაპიტალი 5 500 გირვ. სტერლინგია] წარმოებული იქნებოდა პროდუქტების ისეთივე რაოდენობა, რა რაოდენობაც უწინ იწარმოებოდა, როცა ცვალებადი კაპიტალი 13000 გირვ. სტერლინგი იყო. თუ ვიგულისხმებთ, რომ მანქანების გაცვეთა წლის განმავლობაში ერთ მეათედს, ე. ი. 750 გირვ. სტერლ. შეადგენს, მაშინ პროდუქტის ღირებულება, წინათ რომ 15000 გირვ. სტერლინგს შეადგენდა, ახლა იქნება 8250 გირვ. სტერლინგი (მხედველობის გარეშე ვტოვებთ თავდაპირველი ძირითადი კაპიტალის — 7000 გირვ. სტერლინგის — გაცვეთას; ამ კაპიტალის ანაზღაურებაზე რიკარდო საერთოდ არაფერს ლაპარაკობს). ამ 8250 გირვ. სტერლინგიდან 2000 გირვ. სტერლინგი შეადგენდა მოგებას, მსგავსად იმისა, როგორც წინათ 2000 გირვ. სტერლინგი შეადგენდა მოგებას 15000 გირვ. სტერლინგიდან, ფერმერი მოიგებდა, რამდენადაც იგი თვით ხმარობს, შემოსავლის სახით, კვების პროდუქტებს და სხვა პირველი

საჭიროების საგნებს. რამდენადაც იგი პირველი საჭიროების საგნების გაიაფების შედეგად მის მიერ დაქირავებული მუშების ხელფასის შემცირებას შეძლებდა, კვლავ მოგებული დარჩებოდა, და მისი ცვალებადი კაპიტალის ნაწილი განთავისუფლდებოდა. სწორედ ეს არის ის ნაწილი, რომელსაც რამდენადმე შეეძლო ახალი შრომის გამოყენება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ დაუთხოვნელად დარჩენილი მუშების *რ ე ა ლ უ რ ი ხ ე ლ ფ ა ს ი* დაეცემოდა. ამრიგად, დათხოვნილი მუშების მცირე ნაწილი კვლავ შეძლებდა სამუშაოს მიღებას — იმათ ხარჯზე, ვინც მუშაობას გააგრძელებდა. მაგრამ თვით ის გარემოება, რომ პროდუქტის რაოდენობა ზუსტად იგივე დარჩება, რაც უწინ იყო, არასოდეს არ იქნება მუშებისათვის სასარგებლო. ხელფასი რომ უცვლელი რჩებოდეს, ცვალებადი კაპიტალის მცირეოდენი ნაწილიც ვერ განთავისუფლდებოდა. პროდუქტის ღირებულება — 8250 გირვ. სტერლინგი — არ გაიზრდებოდა იმის გამო, რომ იგი წარმოადგენს კვების პროდუქტებისა და სხვა პირველი საჭიროების საგნების ისეთსავე რაოდენობას, რა რაოდენობაც წინათ 15000 გირვ. სტერლ. ღირდა. რათა აენაზღაურებინა, ერთი მხრივ, მანქანების გაცვეთა, მეორე მხრივ კი, თავისი ცვალებადი კაპიტალი, ფერმერს თავისი პროდუქტი უნდა გაეყიდა 8250 გირვ. სტერლინგად. თუ კვების პროდუქტებისა და სხვა პირველი საჭიროების საგნების ასეთი გაიაფება არ გამოიწვევდა ხელფასის საერთო შემცირებას ან მუდმივი კაპიტალის კვლავწარმოებაში შემავალი შემადგენელი ნაწილების ფასის შემცირებას, მაშინ ჩვენ გვექნებოდა მხოლოდ საზოგადოების შემოსავლის გადიდება იმდენად, რამდენადაც იგი კვების პროდუქტებსა და სხვა პირველი საჭიროების საგნებზე იხარჯება. ნაწილი არამწარმოებელი მუშაკებისა, მწარმოებელი მუშებისა და ა. შ. უკეთ დაიწყებდა ცხოვრებას, Voilà tout *. (მოსახლეობის ამ ნაწილს დანაზოგის გაკეთებაც კი შეეძლო, მაგრამ ეს ყოველთვის მომავლისათვის გამიზნული საქმეა.) დათხოვნილ მუშებს უწინდებურად არ ექნებოდათ ლუკმა პური, თუმცა მათი შენახვის *ფ ი ზ ი კ უ რ ი* შესაძლებლობა საკმაოდ უწინდებურად იარსებებდა. და კვლავწარმოებაში გამოყენებული იქნებოდა ისეთივე კაპიტალი, როგორც უწინ. მაგრამ *ნ ა წ ი ლ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ს ა* (რომლის ღირებულებაც შემცირდა), წინათ *კ ა პ ი ტ ა ლ ი ს* სახით რომ არსებობდა, ახლა არსებობს *შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს* სახით.)

---

* — აი ყველაფერი. *რ ე დ.*

«შრომის შემცირებულმა რაოდენობამ, რომლის გამოყენებაც ახლა კაპიტალისტს შეუძლია, უნდა აწარმოოს, რა თქმა უნდა, მანქანის დახმარებით და ამ მანქანის რემონტისათვის გაწეული ხარჯების გამოკლებით 7 500 გირვ. სტერლ. ღირებულება, მან უნდა აანაზღაუროს საბრუნავი კაპიტალი მთელ კაპიტალზე მიღებული 2000 გირვ. სტერლ. მოგებით. მაგრამ თუ ეს ასე მოხდა, [743] თუ წმინდა შემოსავალი არ შემცირებულა, განა კაპიტალისტისათვის სულ ერთი არაა, იქნება მთლიანი შემოსავლის ღირებულება 3000 გირვ. სტერლინგი, 10000 გირვ. სტერლინგი თუ 15 000 გირვ. სტერლინგი?»

{ეს აბსოლუტურად სწორია. მთლიანი შემოსავალი *საკუთრივ* სულ ერთია კაპიტალისათვის. ერთადერთი, რაც მას აინტერესებს, ეს არის წმინდა შემოსავალი.}

«ამრიგად, აქ მოცემულ შემთხვევაში, თუმცა წმინდა პროდუქტის ღირებულება არ შემცირდებოდა და თუმცა მისი მყიდველობითი უნარი საქონელთა მიმართ შეიძლება მნიშვნელოვნად გადიდებულიყო, მთლიან პროდუქტს ექნებოდა 15 000 გირვ. სტერლ. ღირებულების ნაცვლად მხოლოდ 7 500 გირვ. სტერლ ღირებულება. და რადგან მოსახლეობის შენახვისა და შრომის გამოყენების უნარი ყოველთვის დამოკიდებულია ერის მთლიან პროდუქტზე და არა მის წმინდა პროდუქტზე».

{აქედან წარმოდგება ის უპირატესობა, რასაც ა. სმიტი მთლიან პროდუქტს ანიჭებს, და რის წინააღმდეგაც რიკარდოა. იხ. 26-ე თავი («მთლიანი და წმინდა შემოსავლის შესახებ»), რომელსაც რიკარდო იწყებს სიტყვებით:

«ადამ სმიტი მუდამ აჭებიადებს იმ სარგებლობას, რასაც ქვეყანა დიდი მთლიანი შემოსავლისაგან იღებს, იმ სარგებლობასთან შედარებით, რასაც დიდი წმინდა შემოსავალი იძლევა» (ციტირ. თხზ., გვ. 415)},

«ამიტომ მთლიანი პროდუქტის შემცირების შედეგად აუცილებლად შემცირდება შრომის მოთხოვნა, მოსახლეობის ნაწილი გახდება მოჭარბებული და მუშათა კლასის მდგომარეობა იქნება გაჭირვებული და ლტაკური».

{ამრიგად, შრომა მოჭარბებული ხდება იმიტომ, რომ მოთხოვნა მისი მცირდება, მოთხოვნა კი მცირდება შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების გამო. ეს ადგილი მოცემულია რიკარდოს წიგნის 471 გვერდზე.} ,

«მაგრამ რადგან უნარი შემოსავლის ნაწილის დაზოგვისა მისი კაპიტალად გადასაცემად აუცილებლად დამოკიდებული წმინდა შემოსავლის უნარზე — დაკმაყოფილოს მოთხოვნილებანი კაპიტალისტისა, ამიტომ ამ უკანასკნელს, საქონელთა

ფასების შემცირების გამო, რაც მანქანების შემოდებამ გამოიწვია, — შეუძლია გაადიდოს, — თუ მისი მოთხოვნილებანი იგივე დარჩება» {მაგრამ მისი მოთხოვნილებანი იზრდება}, — «თავისი დანაზოგი, და ეს აადვილებს შემოსავლის კაპიტალად გადაქცევას».

{ამ მსჯელობის თანახმად, კაპიტალის ნაწილი — არა თავისი ღირებულების, არამედ სახმარ ღირებულებათა მიხედვით, იმ ნივთობრივი ელემენტების აზრით, რომელთაგანაც კაპიტალის ეს ნაწილი შედგება, — გადაქცევა ჯერ შემოსავლად, რათა შემდეგ შემოსავლის ნაწილის ხელახლა კაპიტალად გადაქცევა შეიძლებოდეს. მაგალითად, პროდუქტის ნაწილი 7500 გირვ. სტერლ. თანხისა, როცა ცვალებად კაპიტალზე 13000 გირვ. სტერლინგი იხარჯებოდა, შედიოდა იმ მუშების მოხმარებაში, რომელთაც ფერმერი ქირაობდა, და პროდუქტის ეს ნაწილი შეადგენდა ფერმერის კაპიტალის ნაწილს. მანქანების შემოღების შედეგად იწარმოება, ჩვენი ვარაუდის თანახმად, იმდენივე პროდუქტი, რამდენიც უწინ იწარმოებოდა, მაგრამ მისი ღირებულება შეადგენს უკვე მხოლოდ 8250 გირვ. სტერლინგს ნაცვლად წინანდელი 15000-ისა. და ეს გაიაფებული პროდუქტი შედის ახლა უფრო მნიშვნელოვანი თავის ნაწილით როგორც ფერმერის შემოსავალში, ისე კვების პროდუქტებისა და სხვა პირველი საჭიროების საგნების მყიდველთა შემოსავალშიც. შემოსავლის სახით ახლა ისინი პროდუქტის ისეთ ნაწილს მოიხმარენ, რომელიც უწინ, მართალია, აგრეთვე შემოსავლის სახით მოიხმარებოდა ფერმერის მუშების (მას შემდეგ დათხოვნილი მუშების) მიერ, მაგრამ რომელიც მათი დამქირავებლის მიერ მოიხმარებოდა მწარმოებლურად როგორც კაპიტალი. შემოსავლის ასეთი ზრდის შედეგად, რაც გამოწვეულია იმით, რომ შემოსავლის სახით ახლა მოიხმარება პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც უწინ კაპიტალის სახით მოიხმარებოდა, ჩვენ გვაქვს ახალი კაპიტალის წარმოქმნა და შემოსავლის უკუგადაქცევა კაპიტალად.}

«მაგრამ კაპიტალის ყოველ გადიდებასთან ერთად კაპიტალისტი მეტ მუშას გამოიყენებს».

{ყოველ შემთხვევაში არა იმდენად უფრო მეტს, რამდენადაც მთლიანად აღებული მისი კაპიტალი იზრდება. შეიძლება, რომ ფერმერმა იყიდოს მეტი ცხენი ან გუანო ანდა ახალი იარაღები,

«და ამიტომ იმ ადამიანთა ნაწილი, რომლებმაც პირველ ხანებში სამუშაო დაკარგეს, შემდეგში მონახავს სა-

მეშვაოს; და თუ მანქანების გამოყენებით გამოწვეული წარმოების გადიდება ისე მნიშვნელოვანი იქნება, რომ იგი მოგვცემს, წმინდა პროდუქტის სახით, კვების პროდუქტებისა და სხვა პირველი საჭიროების საგნების იმავე რაოდენობას, რა რაოდენობაც წინათ მთლიანი პროდუქტის ფორმით მოიპოვებოდა, მაშინ იმის შესაძლებლობა გვექნება, რომ მივცეთ, როგორც უწინ, სამუშაო მთელ მოსახლეობას, რის გამოც აუცილებელი არ იქნება» {მაგრამ შესაძლებელი და მოსალოდნელი კი!} «ჭარბმოსახლეობის წარმოქმნა» (გვ. 469 — 472).

ამრიგად, უკანასკნელ სტრიქონებში რიკარდო პირდაპირ იმას ამბობს, რაც მე ზემოთ აღვნიშნე. აღნიშნული გზით შემოსავლის კაპიტალად გადაქცევისათვის ჯერ კაპიტალი გადაქცევა შემოსავლად. ანდა როგორც ამას რიკარდო გამოთქვამს: ჯერ წმინდა პროდუქტს ადიდებენ მთლიანი პროდუქტის ხარჯზე, რათა შემდეგ წმინდა პროდუქტის გარკვეული ნაწილის მთლიან პროდუქტად უკუგადაქცევა შეიძლებოდეს. პროდუქტი პროდუქტია. სახელწოდებანი «წმინდა» და «მთლიანი» არაფერს არ ცვლის ამ საქმეში (თუმცა ზათი დაპირისპირება შეიძლება აგრეთვე ნიშნავდეს, რომ ნამეტი დანახარჯთან შედარებით, ე. ი. წმინდა პროდუქტი, იზრდება მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტის ერთობლივი მასა, ე. ი. მთლიანი პროდუქტი, მცირდება). პროდუქტი წმინდა ან მთლიანი ხდება იმ გარკვეული ფორმის მიხედვით, რასაც იგი წარმოების პროცესში ღებულობს.

«მე მხოლოდ ის მინდა დავამტკიცო, რომ მანქანების გამოგონებასა და გამოყენებას შეიძლება თან ახლდეს მთლიანი პროდუქტის შემცირება; და ყოველთვის, როცა მთლიანი პროდუქტის ასეთ შემცირებას ადგილი აქვს, მას ზიანი მოაქვს მუშათა კლასისათვის, რადგან მუშების გარკვეული რიცხვი სამუშაოს კარგავს და მოსახლეობის ნაწილი მოჭარბებული ხდება შედარებით წარმოებაში მისი გამოყენებისათვის საჭირო ფონდებთან» (გვ. 472).

მაგრამ ასევე შეიძლება მოხდეს — და უმრავლეს შემთხვევაში [744] მოხდება კიდეც—მაშინაც კი, როცა მთლიანი პროდუქტის რაოდენობა უცვლელი რჩება, ან როცა მთლიანი პროდუქტი დიდდება და სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ მისი ნაწილი, წინათ რომ ცვალებადი კაპიტალის სახით მოქმედებდა, ახლა მოიხმარება როგორც შემოსავალი.

უშუალოდ ამის შემდეგ (472 — 474 გვერდებზე) მოცემულ უაზრო რიკარდოსეულ მაგალითზე მაუდის ფაბრიკანტის შესახებ, რო-

მელიც მანქანების შემოღების შედეგად თავის წარმოებას ამცირებს, აქ შეჩერება ზედმეტია.

«თუ გადმოცემული შეხედულებანი სწორია, მაშინ აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

1) მანქანების გამოგონება და სასარგებლო გამოყენება ყოველთვის იწვევს ქვეყნის წმინდა პროდუქტის გადიდებას, თუმცა მათ შეიძლება არ გაადიდონ და მცირე დროის გავლის შემდეგ მართლაც არ აღიდებენ ამ წმინდა პროდუქტის ღირებულებას».

ისინი ყოველთვის ადიდებენ წმინდა პროდუქტის ღირებულებას, თუ ამცირებენ შრომის ღირებულებას.

«2) ქვეყნის წმინდა პროდუქტის გადიდება შეთავსებადია მთლიანი პროდუქტის შემცირებასთან. მანქანების გამოყენების სტიმული მუდამ საკმარისი იქნება იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი გამოყენება, თუ მანქანების შემოღების გამო დიდდება წმინდა პროდუქტი, თუმცა ამასთან როგორც რაოდენობა მთლიანი პროდუქტისა, ისე მისი ღირებულებაც შეიძლება — და ხშირად კიდეც უნდა — შემცირდეს.

3) შეხედულება, რომელსაც მუშათა კლასი ადგია, რომ მანქანების გამოყენება ხშირად ზიანს აყენებს მუშების ინტერესებს, არ ემყარება ცრურწმენებსა და შეცდომას, არამედ პოლიტიკური ეკონომიის სწორ პრინციპებს შეესაბამება.

4) თუ მანქანების შემოღების გამო გაუმჯობესებული წარმოების საშუალებანი გაადიდებენ ქვეყნის წმინდა შემოსავალს ისე დიდი ოდენობით, რომ მთლიანი პროდუქტი (შე აქ ყოველთვის მხედველობაში მაქვს საქონელთა რაოდენობა და არა მათი ღირებულება) ამასთან არ შეშცირდება, მაშინ ყველა კლასის მდგომარეობა გაუმჯობესდება. მიწის მესაკუთრე და კაპიტალისტი მოიგებენ არა რენტისა და მოგების გადიდების გამო, არამედ იმ სარგებლობის გამო, რომელიც იქედან გამომდინარეობს, რომ იმავე რენტას და იმავე მოგებას ისინი დახარჯავენ ისეთ საქონელზე, რომლის ღირებულებაც მნიშვნელოვნად შემცირდა».

(ეს დებულება ეწინააღმდეგება რიკარდოს მთელ მოძღვრებას, რომლის თანახმად პირველი საჭიროების საგნების, მაშასადამე, აგრეთვე ხელფასის, გაიაფება ადიდებს მოგებას, მაშინ როდესაც მანქანები, რომლებიც შრომის ნაკლები დახარჯვით იმავე მიწაზე მეტი პროდუქტის მიღების შესაძლებლობას იძლევიან, რიკარდოს მიხედვით, უნდა ამცირებდნენ რენტას);

«იმავე დროს მუშათა კლასის მდგომარეობა ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, ჯერ ერთი, შინამოსამსახურეთა მოთხოვნის გადიდების გამო».

(ბოლოს, მანქანების შემოღების შესანიშნავი შედეგი — მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილის, ქალებისა და კაცების, მსახურებად გადაქცევა),

«მეორე, შემოსავლიდან დანაზოგის გაკეთების იმ სტიმულის გამო, რომელსაც ეს ოდენ უხვი წმინდა პროდუქტი წარმოშობს, და, მესამე, ყველა მოხმარების საგნის დაბალი ფასის გამო, რომლებზეც მუშების მიერ მიღებული ხელფასი იხარჯება» [ეს დაბალი ფასი გამოიწვევს მათი ხელფასის დაცემას] (ციტირ. თხზ., გვ. 474 — 475).

მანქანების საკითხის აპოლოგეტიკური ბურჟუაზიული გაშუქება არ უარყოფს საერთოდ,

1) რომ მანქანები გამუდმებით — ხან აქ, ხან იქ — მოსახლეობის ნაწილს ჭარბმოსახლეობად ხდიან, მუშების ნაწილს ქუჩაში ერეკეცნიან. ჭარბმოსახლეობა (აქედან კი — ხან აქ, ხან იქ — ხელფასის შემცირებაც წარმოების ამა თუ იმ სფეროში) იმიტომ კი არ წარმოიქმნება, რომ მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საარსებო საშუალებანი, არამედ იმიტომ, რომ მანქანების შემოღებით გამოწვეული სწრაფი ზრდა საარსებო საშუალებათა რაოდენობისა უფრო მეტი მანქანების შემოღების შესაძლებლობას იძლევა. და ამის გამო ამცირებს შრომის უშუალო მოთხოვნას. ამრიგად, ჭარბმოსახლეობა იმიტომ კი არ ჩნდება, რომ საზოგადოებრივი ფონდი მცირდება, არამედ იმიტომ, რომ ამ ფონდის გადიდების შედეგად შეფარდებით მცირდება მისი ის ნაწილი, რომელიც ხელფასზე იხარჯება.

2) ეს აპოლოგეტიკა კიდევ უფრო ნაკლებად უარყოფს თვით მანქანური შრომის მუშების დამონებას და მანქანების მიერ გაძევებული და დაღუპვის გზაზე მდგომი იმ მუშების თუ ხელოსნების სიღატაკეს, რომლებიც ხელით შრომას ეწევიან.

ეს აპოლოგეტიკა ამტკიცებს — და ნაწილობრივ მართებულად — [ჯერ ერთი], რომ მანქანების მეოხებით (საერთოდ შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების მეოხებით) წმინდა შემოსავალი (მოგება და რენტა) ისე იზრდება, ბურჟუას იმის მოთხოვნილება უჩნდება, ჰყავდეს შინამსახურთა უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე უწინ ჰყავდა; თუ წინათ მას თავისი პროდუქტიღან უფრო მეტის დახარჯვა მწარმოებლურ შრომაზე უხდებოდა, ახლა მას შეუძლია უფრო მეტი ხარჯოს არამწარმოებლურ შრომაზე, და ამის შედეგად იმ მსახურთა და სხვა მუშაკთა რიცხვი, რომლებიც არამწარმოებელი კლასის სახსრებით ცხოვრობენ, დიდდება. თქმა არ უნდა, ეს მზარდი გადაქცევა მუშების ნაწილისა მსახურებად შესანიშნავი პერსპექტივაა. ამდენადვე მანუგეშებელია მუშებისათვის ისიც, რომ წმინდა პროდუქტის ზრდის შედეგად არამწარმოებლური შრომისათვის მოქმედების უფრო მეტი სფერო იხსნება

ლა ამ სფეროთა წარმომადგენლები მწარმოებელი მუშების პროდუქტს მოიხმარენ და ცოტად თუ ბევრად უშუალოდ ექსპლოატირებულ კლასებთან ერთად ამ მწარმოებელი მუშების ექსპლოატაციით თანაბრად დაინტერესებულნი არიან.

მ ე ო რ ე, ბურჟუაზიული აპოლოგეტიკა ამტკიცებს, რომ დაგროვების იმ სტიმულის შედეგად, რომელსაც წარმოშობენ წარმოების ახალი პირობები, რომელნიც ნაკლებ ცოცხალ შრომას მოითხოვენ წარსულ შრომასთან შედარებით, წარმოებაში ებმებიან აგრეთვე გაძევებული, პაუპერებად გადაქცეული მუშებიც ანდა, ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობის ნამატის ის ნაწილი, [745] რომელმაც მათი ადგილი უნდა დაიკავოს; ეს ხდება იმის გამო, რომ წარმოება ფართოვდება ან თვით მანქანათმშენებელ საწარმოებში, ან მანქანათმშენებლობასთან დაკავშირებულ წარმოების დარგებში, რომლებიც აუცილებელნი გახდნენ და მანქანების წყალობით წარმოიშვნენ, ანდა შრომის გამოყენების ახალ დარგებში, რომელთაც ახალი კაპიტალი აღმოაჩენს და რომლებიც ახალ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. ასეთია მეორე შესანიშნავი პერსპექტივა: მუშათა კლასი იძულებულია ახლა იატაკნოს ყველა «დროებითი უხერხულობა» — უმუშევრობა, შრომისა და კაპიტალის გადაადგილება წარმოების ერთი სფეროდან მეორეში, — მ ა გ რ ა მ ა მ ი ს გ ა მ ო ხ ო მ დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ შ რ ო მ ა ს ბ ო ლ ო ა რ ე ე ლ ე ბ ა; პ ი რ ი ქ ი თ, დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ა ი კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ა მ უ დ ა მ მ ა ტ ე ბ ა დ ი მ ო ც უ ლ ო ბ ი თ, ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ი ზ რ დ ე ბ ა, თ უ მ ც ა მ ც ი რ დ ე ბ ა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ, მ ზ ა რ დ ე რ თ ო ბ ლ ი ვ კ ა პ ი ტ ა ლ თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ი თ, რ ო მ ე ლ ი ც მ ა ს ი ყ უ ნ ე ბ ს.

მ ე ს ა მ ე. ბურჟუაზიული აპოლოგეტიკა ამტკიცებს, რომ მანქანების მეოხებით მოხმარება უ ფ რ ო ფ ა ქ ი ზ ი ხ დ ე ბ ა. უშუალო საარსებო მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საგნების გაიაფება ფუფუნების საგანთა წარმოების წრის გაფართოების შესაძლებლობას იძლევა. და ამრიგად მუშების წინაშე მესამე, შესანიშნავი პერსპექტივა გადაიშლება: იმისათვის, რომ მათ მიიღონ აუცილებელი საარსებო საშუალებანი, ამ საშუალებათა წინანდელი რაოდენობა, — მუშების ივივე რაოდენობა მაღალი კლასებისათვის უნდა ქმნიდეს იმის შესაძლებლობას, რომ მათ გაფართოონ თავიანთ განცხრომათა წრე, გახადონ ეს განცხრომანი უფრო გაფაქიზებული და უფრო მრავალფეროვანი და ამით გაალრმაონ ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური უფსკრული, რომელიც

განაცალკევებს მუშებს მათგან, ვინც მათზე მაღლა დგას. ასეთია ის საუცხოო პერსპექტივები და მეტად სახარბიელო შედეგები, რასაც მუშას მისი შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება უქადის.

შემდეგ რიკარდო გვიჩვენებს კიდევ, რომ მშრომელი კლასების ინტერესები მოითხოვს

«რაც შეიძლება მეტი შემოსავალი შორდებოდეს ფუფუნების საგნების შექ�და ხმარდებოდეს შინამოსამსახურეთა შენახვასა». ვინაიდან, ყველულობ ძვირფას ავეჯს თუ ვინახავ შინამსახურებს, სულ ერთია, ამით მე ვაყენებს საქონელთა გარკვეული (ღირებულების მიხედვით) რაოდენობის მოთხოვნას და მოძრაობაში მომყავს ერთ შემთხვევაში დაახლოებით იმდენივე მწარმოებლური შრომა, რამდენიც მეორე შემთხვევაში; მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში მე მუშების ახალ მოთხოვნას ვუმატებ «მუშების წინანდელ მოთხოვნას, და მოთხოვნის ასეთი გადიდება მხოლოდ იმიტომ მოხდებოდა, რომ მე ჩემი შემოსავლის ხარჯვის მეორე წესი ავირჩიე» (გვ. 475 — 476).

ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა ქვეყანა დიდ ფლოტსა და არმიას ინახავს:

«ერთი წესით იქნება იგი» (შემოსავალი) «დახარჯული თუ მეორე წესით. სულ ერთია, წარმოებაში გამოყენებული იქნება შრომის თანაბარი რაოდენობა; ვინაიდან საომარსა და ტანსაცმლის წარმოება ჯარისკაცებისა და მატროსებისთვის შრომის იმავე რაოდენობას მოითხოვს, რამდენსაც უფრო მდიდრული საქონლის წარმოება საჭიროებს. მაგრამ ომის შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა დამატებითი მოთხოვნა ადამიანებისა, რომლებიც შეასრულებდნენ ჯარისკაცებისა და მატროსების სამსახურს, და, მაშასადამე, ისეთი ომი, რომელიც წარმოებს რომელიმე ქვეყნის შემოსავლის და არა კაპიტალის ხარჯზე, ხელს უწყობს მოსახლეობის ზრდას» (გვ. 477).

[შემდეგ რიკარდო წერს:]

«უნდა აღინიშნოს კიდევ მეორე შემთხვევაც, როცა შეიძლება გადიდდეს რაოდენობა ქვეყნის წმინდა შემოსავლისა და მისი მთლიანი შემოსავლისაც კი და ამავე დროს ამ გადიდებას თან ახლდეს შრომის მოთხოვნის შემცირება, სახელდობრ ის შემთხვევა, როცა ადამიანთა შრომას ცხენების შრომა შეენაცვლება. თუ მე ჩვეს ფერმაში ას მუშას გამოვიყენებდი და დავინახავდი, რომ კვების საგნები, ორმოცდაათ კაცზე რომ იხარჯება, შეიძლებოდა ცხენების შენახვაზე დაეხარჯა და ეს, ცხენების საყიდლად გაღებული კაპიტალის სარგებლის გადახდის შემდეგ, ნელი პროდუქტების უფრო მეტ რაოდენობას მომეცემდა, მაშინ ჩემთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ადამიანები ცხენებით შემეცვალა, და მე ასე მოვიქცოდი. მაგრამ მუშებისათვის ეს არ იქნებოდა ხელსაყრელი, და თუ შემოსავალი, რასაც ამ გზით ეიღებ, იმდენად არ გაიზრდება, რომ შესაძლებლობა მექნეს ერთსა და იმავე ღრმს გამოვიყენო ადამიანებიც და ცხენებიც, მაშინ მოსახლეობის ნაწილი უეჭველია, მოჭარბებულ მოსახლეობად იქცევა, და მუშის მდგომარეობა საერთოდ გაუარესდება. ცხადია, რომ იგი ვერავითარ

გარემოებაში ვერ მონახავს სამუშაოს მიწათმოქმედებაში» (რატომ ვერ მონახავს? დასამუშავებელი მიწის ფართობის გაფართოებას?), «მაგრამ თუ ადამიანების ცხენებით შეცვლის შედეგად მიწის პროდუქტის რაოდენობა გადიდდება, დათხოვნილ მუშას შეუძლია სამუშაო მონახოს მრეწველობაში ანდა შინამსახურის სახით» (გვ. 477 — 478).

არსებობს ორი მუდამ გადაჯვარედინებული ტენდენცია: [ჯერ ერთი,] გამოყენებულ იქნეს რაც შეიძლება ნაკლები შრომა საქონელთა იმავე ან უფრო მეტი რაოდენობის, წმინდა პროდუქტის, ზედმეტი ღირებულების, წმინდა შემოსავლის იმავე ან უფრო მეტი რაოდენობის საწარმოებლად; მეორე, გამოყენებულ იქნეს რაც შეიძლება მეტი მუშა (თუმცა შეიძლება ნაკლებიც მათ მიერ წარმოებულ საქონელთა რაოდენობასთან შედარებით), რადგან—მწარმოებლური ძალების განვითარების მოცემულ საფეხურზე—გამოყენებული შრომის მასის გადიდებასთან ერთად იზრდება ზედმეტი ღირებულების და ზედმეტი პროდუქტის მასაც. ერთი ტენდენცია ქუჩაში ისვრის მუშებს და ქმნის ჯარმოსახლეობას; მეორე კი ხელახლა ნთქავს მათ და აბსოლუტურად აფართოებს დაქირავებული შრომის მონობას. ამრიგად, ბედი მუშას ხან იქით გადაისვრის, ხან აქეთ, მაგრამ მაინც ამ ბედს იგი თავს ვერ აღწევს. ამიტომ თავისი საკუთარი შრომის მწარმოებლური ძალების განვითარება მუშას მიაჩნია, და სავსებით სამართლიანად, როგორც მისდამი მტრულად განწყობილი რამ; მეორე მხრივ, კაპიტალისტი მას ექცევა როგორც ისეთ ელემენტს, რომელიც მუდამ შეიძლება გაძევებულ იქნეს წარმოებიდან.

ასეთია ის წინააღმდეგობანი, რომელთა გადაწყვეტაზეც რიკარდო წვალობს ამ თავში. რის აღნიშვნაც მას აქ ავიწყდება, [746] — ეს არის მუდმივი გამრავლება საშუალო კლასებისა, რომლებიც დგანან, ერთი მხრივ, მუშებსა და, მეორე მხრივ, კაპიტალისტებსა და მიწის მესაკუთრეებს შორის, — საშუალო კლასებისა, რომლებიც სულ უფრო მზარდი მოცულობით მეტწილად შემოსავლის ხარჯზე იკვებებიან, მძიმე ტვირთად აწვებიან მუშებს, საზოგადოების საფუძველს რომ შეადგენენ, და ათეული ათასობით ზემომდგომთა სოციალურ სიმყარესა და ძალას ზრდიან.

მანქანების გამოყენების მეოხებით დაქირავებული მონობის უკვდავყოფას ბურჟუები გვთავაზობენ როგორც მანქანების «აპოლოგიას».

«მე, გარდა ამისა, წინათაც აღვნიშნე, რომ საქონლით გამოხატული წმინდა შემოსავლის ზრდა, რასაც მანქანების გაუმჯობესების შედეგად მუდამ აქვს ადგილი, ახალ დანაზოგსა და

დაგროვებას გამოიწვევს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს დანაზოგი ყოველწლიურად კეთდება და მან მალე უნდა შექმნას გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფონდი, ვიდრე ის მთლიანი შემოსავალი იყო, რომელიც თავდაპირველად დაიკარგა მანქანების გამოგონების შედეგად. მაშინ შრომის მოთხოვნა ისევე დიდი იქნება, როგორც უწინ იყო, და ხალხის მდგომარეობა შემდგომშიც გაუმჯობესდება იმ დანაზოგთა საშუალებით, რომელთა გაკეთების შესაძლებლობას გადიდებული წმინდა შემოსავალი იძლევა» (გვ. 480).

ჯერ ადგილი აქვს მთლიანი შემოსავლის დაკარგვას და წმინდა შემოსავლის მოგებას. შემდეგ გადიდებული წმინდა შემოსავლის ნაწილი ხელახლა გადაიქცევა კაპიტალად, და ამიტომ მთლიან შემოსავლადაც. ამრიგად, მუშა იძულებულია მუდმივად ადიდებდეს კაპიტალის ძალას, რათა მეტად სერიოზული პერტურბაციების შემდეგ იმავე პროცესის უფრო ფართო მასშტაბით გამეორების ნებართვა მიიღოს.

«კაპიტალისა და მოსახლეობის ყოველი ზრდის დროს კვების საგნების ფასი, როგორც წესი, გაიზრდება მათი წარმოების გადიდებული სიძნელის გამო» (გვ. 478 — 479).

უშუალოდ ამის შემდეგ რიკარდო განაგრძობს:

«კვების საგნების ფასის გადიდება გამოიწვევს ხელფასის გადიდებას, ხელფასის ყოველ გადიდებას კი ის ტენდენცია ექნება, რომ დანაზოგი კაპიტალი უფრო ძეტი პროპორციით, ვიდრე უწინ, მანქანების გამოყენებაზე დახარჯოს. მანქანებსა და შრომას შორის მუდამ კონკურენციაა, და მანქანების გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა შრომის ფასი მატულობს» (გვ. 479).

ამრიგად, მანქანები შრომის ფასის გადიდების საწინააღმდეგო საშუალებაა.

«ძირითადი პრინციპის გამოსარკვევად ვივარაუდე, რომ გაუმჯობესებული მანქანების გამოგონება და მათი ფართოდ გავრცელება უეცრად ხდება, სინამდვილეში კი ასეთი გამოგონებანი თანდათანობით წარმოებს და მათი მოქმედება უფრო ისაა, რომ განსაზღვრონ დაზოგვილი და დაგროვილი კაპიტალის ესა თუ ის გამოყენება, ვიდრე ის, რომ ჩამოაშორონ კაპიტალი მისი ახლანდელი გამოყენების სფეროს» (გვ. 478).

სინამდვილეში საქმის ვითარება ისეთია, რომ კაპიტალის ახალ დაგროვებათა შედეგად შრომის გამოყენების ახალ სფეროებში შესასვლელად გზა ეხსნება არა იმდენად გაძევებულ შრომას, რამდე-

ნადაც შრომის ახალ მიწოდებას — გადიდებული მოსახლეობის იმ ნაწილს, რასაც გაძევებული მუშების ადგილი უნდა დაეკავებინა.

«ამერიკასა და ბევრ სხვა ქვეყანაში, სადაც ადამიანის საკვები ადვილად მოიპოვება, სრულიადაც არ არის მანქანათა გამოყენება ისე დიდად მაცდენელი» {არსად, გარდა ამერიკისა, ისე მასობრივად და აგრეთვე, შეიძლება ითქვას, ისე ფართოდ საოჯახო საჭიროებისათვის მანქანებს არ იყენებენ}, «როგორც ინგლისში, სადაც კვების საგნების ფასი მადალია და მათი წარმოება მეტი შრომა ღირს».

{სწორედ ამერიკა, რომელიც შეფარდებით გაცილებით უფრო მეტ მანქანებს იყენებს, ვიდრე ინგლისი, სადაც მუდამ არსებობს მოჭარბებული მოსახლეობა, გვიჩვენებს, თუ როგორ ნაკლებად არის დამოკიდებული მანქანათა გამოყენება კვების საგნების ფასზე, თუმცა იგი შეიძლება დამოკიდებული იყოს მუშების შეფარდებით ნაკლებობაზე , როგორც ამას ადგილი აქვს ამერიკაში, სადაც შეფარდებით მცირე მოსახლეობა გაფანტულია უზარმაზარ ტერიტორიებზე. ასე, მაგალითად, 1862 წლის 19 სექტემბრის გაზეთ «Standard»-ში [146] გამოფენის [147] შესახებ დაბეჭდილ ერთ სტატიაში ჩვენ ვკითხულობთ:

«ადამიანი მანქანათმწარმოებელი ცხოველია... თუ ჩვენ ამერიკელს განვიხილავთ როგორც ადამიანს წარმოშადგენელს, ეს განმარტება... წუნდაუდებელია. ერთ-ერთი მთავარი უუნტი ამერიკელის შეხედულებათა სისტემაში ისაა, რომ არ გავაკეთოთ ხელით ისეთი რამ, რის გაკეთებაც მანქანით შეიძლება. დაწყებული აკვნის რწევიდან კუბის დაზიდვამდე, ძროხის წველადან ხე-ტყის მოჭრამდე, ღილის მიკერებიდან პრეზიდენტის ასარჩევად ხმის მიცემამდე — თითქმის ყოველივე ამისათვის მას მანქანები აქვს. მან მანქანა გამოიგონა, რათა საკმლის ღერვისაგან განთავისუფლებულიყო... სამუშაო ძალის არაჩვეულებრივი ნაკლებობა და აქედან გამომდინარე მადალი ღირებულება შრომისა» {მიუხედავად კვების საგნების დაბალი ღირებულებისა}, «და აგრეთვე თანდაყოლილი მოსაზრებულობა წამახალისებელი იყო მისი შემოქმედებითი გონებისა... ამერიკაში წარმოებული მანქანები, საერთოდ რომ ვთქვათ, უფრო ნაკლები ღირებულების მქონეა, ვიდრე ინგლისში დამზადებული მანქანები... ისინი საერთოდ შრომის დაზოგვისათვის განკუთვნილ მოწყობილობას უფრო წარმოადგენენ, ვიდრე კმაყოფილებას, რომელიც ამის შესრულებას ეძლევა, რისი შესრულებაც დღემდე შეუძლებელი იყო» {ეგზეგზე?} ... შეერთებული შტატებისათვის განკუთვნილ საგამოფენო განყოფილებაში დგას ევერის ბამბასაწმენდი მანქანა. მრავალი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ამერიკაში ბამბის მოყვანა დაიწყეს, მისი მოსავალი მეტად მცირე იყო, არა მარტო იმიტომ, რომ მოთხოვნა იყო მცირე, არამედ იმიტომაც, რომ ხელით შესრულებული შრომით ბამბის გაწმენდის სიძვირე მის მოყვანას არაბელსაყრელ მოსაქმეობად ხდიდა. მაგრამ როცა ილაი უიტნიმ ბამბის

საწმენდად საპენტი ჩიხრიხი [747] გამოიგონა, ბამბით ნათესი ფართობი მაშინვე გადიდდა, და ეს გადიდება დღემდე თითქმის არათმეტიკული პროგრესიით მიმდინარეობდა. მართლაც, გადამეტებული არ იქნება ვთქვათ, რომ უიტნიმ შექმნა კომერციული მებამბეობა. მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და სასარგებლო გაუმჯობესებით უიტნის ბამბასაწმენდი მანქანის გამოყენება დღემდე განუწყვეტლივ გრძელდებოდა, და ახლანდელი გაუმჯობესებისა და შეცვლების გამოგონებამდე უიტნის თავდაპირველი ჩიხრიხი არაფერით არ ჩამოუვარდებოდა იმ მანქანებს, რომელთაც მისი განდეგინის პრეტენზია ჰქონდათ. ახლანდელი მანქანა, რომელიც ემერის — ბატონები ოლბანიდან (ნიუ-იორკის შტატი) — სახელს ატარებს, საგანგებით განდევნის უიტნის მანქანას, რომელიც მას საფუძვლად უდევს; ამაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება. იგი ისევე მარტივია და უფრო მეტი მწარმოებლობა აქვს; იქიდან ბამბეული მიიდება არა მარტო უფრო წმინდა, არამედ ფენებად, როგორც ბამბა, ასე რომ მანქანიდან გამოსული ეს ბამბის ფენები მაშინვე შეიძლება დაიწნეხოს და დასტებად შეიკრას... გამოფენის ამერიკულ განყოფილებაში მანქანების გარდა თითქმის არაფერია... საწელი მანქანა... მოწყობილობა ამძრავი ღვედის გადასაყვანად ერთი ბორბლიდან მეორეზე... ქერელის საჩეჩი და სართავი მანქანა, რომელიც ერთი ბრუნით დაახვევს ნართს პირდაპირ ბარდანებიდან... ქაღალდის პაკეტების დამამზადებელი მანქანა, რომელიც ქაღალდს გამოჭრის ფურცლიდან, შეაწებებს, დაკეცავს და ერთ წუთში 300 პაკეტს დაამზადებს... ჰოუზის სარეცხაწურავი მანქანა, რომელიც ორი კაუჩუკის ლილვის მეოხებით თეთრეულიდან წყალს გამოწურავს და ამით სარეცხს თითქმის აშშრალებს; იგი დროს ზოგავს და ქსოვილს არავითარ ზიანს არ აყენებს... საკაზმავი მანქანები... ფეხსაცმლის საწარმოებელი მანქანები. კარგად ცნობილია, რომ ინგლისში უკვე დიდი ხანია ფეხსაცმლის ზედა ნაწილი მანქანის დახმარებით კეთდება, მაგრამ აქ ნაჩვენებია ლანჩის მისამაგრებელი მანქანები, ლანჩის გამოსაჭრელი სხვა მანქანები და ქუსლის საკეთებელი მანქანები... ქვის სამტვრევი მანქანა დიდი სიმძლავრისა, მეტად მახვილგონიერი კონსტრუქციისა; იგი, უეჭველია, ჯართთ გამოყენებას ჰპოვებს ღორღით გზების მოკირწყვლისა და მადნის დანამცეცების საქმეში... ბ-ნ უ. ჰ. უორდის — ობერნიდან (ნიუ-იორკის შტატი) — ზღვის სიგნალების სისტემა... სამკელი და სათიბი მანქანები ამერიკელი გამოგონებაა, რომელიც სულ უფრო მეტ ადგილებას პოულობს ინგლისში. მაკ-კორმიკის მანქანა საუკეთესოა... ბ-ნ ჰანსბრაუს საქერცხნი ტუმბო, კალიფორნიის მედლით პრემირებული, სიმარტივისა და მწარმოებლობის მიხედვით საუკეთესოა გამოფენაზე... მას შეუძლია, იმავე ძალის ღერძაჯვეთ, უფრო მეტი წყალი ამოტუმბოს, ვიდრე სხვა რომელიმე ტუმბოს მსოფლიოში... საკვიანი მანქანები...»}

«ის მიზეზი, რომელიც შრომის ღირებულებას ადიდებს, არ ადიდებს მანქანების ღირებულებას, ამიტომაც კაპიტალის ყოველ გადიდებასთან ერთად მისი სულ უფრო დიდი ნაწილი მანქანებზე იხარჯება. შრომის მოთხოვნა გაიზრდება კაპიტალის ზრდასთან ერთად, მაგრამ არა იმავე პროპორციით; შეფარდება, რომლითაც შრომის მოთხოვნა გაიზრდება, აუცილებლად შემცირდება» (ციტირ. თხზ., გვ. 479).

უკანასკნელ ფრაზაში რიკარდო აყალიბებს კაპიტალის ზრდის მართებულ კანონს, თუმცა ის მოსაზრებანი, რაც მას ამ კანონის დასასაბუთებლად მოჰყავს, მეტად ცალმხრივია. თავისი წიგნის ამ ნაწილს რიკარდო უკეთებს შენიშვნას, რომელიც გვიჩვენებს, რომ იგი აქ მისდევს ბ ა რ ტ ო ნ ს, რომლის თხზულებაზეც ამიტომ ჩვენ მოკლედ კიდევ შევჩერდებით.

წინასწარ კიდევ ერთი შენიშვნა. ამის წინ, იმ საკითხის განხილვისას, შინამსახურებზე იხარჯება შემოსავალი თუ ფუფუნების საგნებზე, რიკარდო ამბობს:

«ორივე შემთხვევაში წმინდა შემოსავალი, ასევე მთლიანიც, ერთი და იგივე იქნება, მაგრამ თვითეულ ამ შემთხვევაში წ მ ი ნ დ ა შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი რ ე ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ხ დ ე ბ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ქ ო ნ ე ლ შ ი» (გვ. 476).

ასევე შეიძლება მთლიანი პროდუქტიც იგივე იყოს ღირებულების მიხედვით, მაგრამ მისი «რეალიზაცია» შეიძლება ხდებოდეს — რაც მეტად საგრძნობია მუშებისათვის — «ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ქ ო ნ ე ლ შ ი», იმისდა მიხედვით, მეტ ცვალებად კაპიტალს უნდა ანაზღაურებდეს იგი, თუ მეტ მუდმივ კაპიტალს.

[2) ბარტონის შეხედულებანი]

[ა) ბარტონის დებულება შრომის მოთხოვნის შეფარდებითი შემცირების შესახებ კაპიტალის დაგროვების პროცესში. ბარტონსა და რიკარდოს არ ესმით ამ მოვლენის შინაგანი კავშირი შრომაზე კაპიტალის ბატონობასთან]

ბარტონის თხზულებას ეწოდება:

John Barton. Observations on the Circumstances which influence the Condition of the Labouring Classes of Society. London, 1817.

აღვნიშნავთ უწინარეს ყოვლისა იმ ცოტაოდენ თეორიულ მოსაზრებებს, რომლებიც ბარტონს აქვს.

«შრომის მოთხოვნა დამოკიდებულია არა ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს, ა რ ა მ ე დ ს ა ბ რ უ ნ ა ვ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა ზ ე. თუ სწორი იქნებოდა ის, რ ო მ შ ე ფ ა რ დ ე ბ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა მ ო რ ს ა ხ ე ო ბ ა ს შ ო რ ი ს ყ ო ვ ე ლ ა დ რ ო ს ა დ ა ყ ო ვ ე ლ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე ა, მაშინ აქედან, მართლაც, ის დასკვნა გაკეთდებოდა, რომ დ ა ს ა ქ მ ე ბ უ ლ ი მ უ შ ე ბ ი ს რ ი ცხ ვ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ს ი მ დ ი დ რ ი ს პ რ ო პ ო რ ც ი ო ნ ა ლ ი ა. მაგრამ ასეთი ვარაუდი ალბათობის მსგავსიც კი არაა. ტექნიკის განვითარებისა და ცივილიზაციის გავრცელების კვალობაზე ძ ი რ ი თ ა დ ი

კაპიტალი სულ უფრო დიდდება საბრუნავ კაპიტალთან შედარებით. ინგლისური მუსლინის ერთი ნაჭრის საწარმოებლად გამოყენებული ძირითადი კაპიტალის რაოდენობა, სულ ცოტა ასჯერ და შეიძლება ათასჯერ უფრო მეტია, ვიდრე ინდური მუსლინის იმავე ნაჭრის საწარმოებლად გამოყენებული ძირითადი კაპიტალი, მაშინ როდესაც [748] გამოყენებული საბრუნავი კაპიტალის ნაწილი ამასთან ასჯერ ან ათასჯერ უფრო ნაკლებია. ადვილი წარმოსადგენია, რომ გარკვეულ გარემოებებში რომელიმე მრეწველი ხალხის წლიურ დანაზოგთა ჯამი შეიძლება მიემატოს ძირითად კაპიტალს; ასეთ შემთხვევაში ეს დანაზოგი ვერ გამოიწვევდა შრომის მოთხოვნის ვერავითარ გადიდებასა» (ბარტონი, აღნიშ. თხზ., გვ. 16 — 17).

{ბარტონის ამ სიტყვების გამო რიკარდო თავისი წიგნის 480 გვერდზე მოცემულ შენიშვნაში აცხადებს:

«ჩემის აზრით, ძნელი წარმოსადგენია, რომ რაიმე გარემოებებში კაპიტალის გადიდებას თან არ ახლდეს შრომის მოთხოვნის გადიდება: სულ დიდი, რის თქმაც შეიძლებოდა, ეს ისაა, რომ შრომის მოთხოვნა კლებადი პროპორციით გაიზრდება. მე ვფიქრობ, რომ ბ-ნი ბარტონი ზემოდასახელებულ თხზულებაში სწორ შეხედულებას იცავს იმ ზოგიერთი შედეგის შესახებ, რაც ძირითადი კაპიტალის გადიდებას აქვს მშრომელი კლასების მდგომარეობისათვის. მისი შრომა ბევრ ძვირფას ცნობას შეიცავს».}

ბარტონის ზემოციტირებულ დებულებას საჭიროა დაერთოს კიდევ შემდეგი ადგილი:

«ძირითადი კაპიტალი, როცა იგი უკვე შექმნილია, ვეღარ ახდენს გაელენას შრომის მოთხოვნაზე» {ეს არ არის სწორი, რადგან აუცილებელია ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოება, თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში და თანდათანობით ხდება}, «მაგრამ მისი შექმნის დროს იგი დაასაქმებს მუშახელის ზუსტად ისეთსავე რაოდენობას, როგორსაც ამავე ოდენობის საბრუნავი კაპიტალი ან შემოსავალი დაასაქმებდა» (გვ. 56).

და კიდევ:

«შრომის მოთხოვნა მთლიანად დამოკიდებულია შემოსავლის და საბრუნავი კაპიტალის საერთო ჯამზე» (გვ. 34 — 35).

ბარტონს უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის.

ა. სმიტი ფიქრობს, რომ შრომის მოთხოვნა იზრდება კაპიტალის დაგროვების პირდაპირ პროპორციულად. მალთუსს ეარბმოსახლეობა იქიდან გამოჰყავს, რომ კაპიტალი არ გროვდება (არ იკვლავწარმოება მზარდი მასშტაბით) ისე სწრაფად, როგორც მოსახლეობა. ბარტონმა პირველმა აღნიშნა, რომ კაპიტალის სხვადასხვა ორგანული შემადგენელი ნაწილები არ იზრდება თანაზომიერად მწარმოებლური ძალების დაგროვებასა და განვითარებასთან ერთად;

რომ, პირიქით, მწარმოებლური ძალების ზრდის პროცესში კაპიტალის ის ნაწილი, ხელფასად რომ გადაიქცევა, შეფარდებით მცირდება იმ ნაწილთან შედარებით (ბარტონი მას ძირითად კაპიტალს უწოდებს), რომელიც თავის სიდიდესთან შედარებით მხოლოდ უმნიშვნელოდ შეცვლის შრომის მოთხოვნას. ამიტომ ბარტონი პირველად აყენებს იმ მნიშვნელოვან დებულებას, რომ «დასაქმებული შუშების რიცხვი» არ არის «სახელმწიფოს სიმდიდრის პროპორციული», რომ იგი შეფარდებით უფრო მეტია ინდუსტრიულად განუვითარებელ ქვეყანაში, ვიდრე ინდუსტრიულად განვითარებულში.

თავის «Principles» მესამე გამოცემის 31-ე თავში («მანქანების შესახებ») რიკარდო, რომელიც თავისი წიგნის წინა გამოცემებში ჯერ კიდევ მთლიანად სმიტს მისდევდა ამ პუნქტში, იზიარებს ბარტონის შესწორებას, თანაც იმ ცალმხრივი განსაზღვრით, რომელსაც ბარტონი მას აძლევს. ეროვნადერთი პუნქტი, რომელშიც რიკარდო უფრო შორს მიდის, — და ამ პუნქტს დიდი მნიშვნელობა აქვს, — ისაა, რომ იგი, მსგავსად ბარტონისა, არა მარტო აყენებს დებულებას, რომ შრომის მოთხოვნა არ იზრდება მანქანების განვითარების პროპორციულად, არამედ იმასაც ამტკიცებს, რომ თვით მანქანა «მოსახლეობის ნაწილს მოჭარბებულ მოსახლეობად ხდის»*, ე. ი. ჭარბმოსახლეობას წარმოშობს. რიკარდო მხოლოდ შეცდომით შემოსაზღვრავს მანქანების შემოღების ამ შედეგს იმ შემთხვევით, რომელიც მხოლოდ მიწათმოქმედებაში გვხვდება და რომელსაც იგი ავრცელებს აგრეთვე მრეწველობაზეც, სახელდობრ იმ შემთხვევით, როცა წმინდა პროდუქტი მთლიანი პროდუქტის ხარჯზე დიდდება. მაგრამ ამ in nuce** მოცემულია უარყოფა მოსახლეობის მთელი უაზრო თეორიისა, განსაკუთრებით კი ვულგარული ეკონომისტების ებედობის იმის შესახებ, რომ მუშები უნდა ცდილობდნენ თავიანი გამრავლება ისეთ დონეზე შეაჩერონ, რომელიც კაპიტალის დაგროვების დონეზე დაბლა იქნებოდა. პირიქით, საკითხის იმ გაშუქებიდან, რომელსაც ბარტონი და რიკარდო იძლევიან, ის გამომდინარეობს, რომ მუშათა მოსახლეობის გამრავლების ისეთი შეზღუდვა, რომელიც შრომის მიწოდებას ამცირებს და, მაშასადამე, მის ფასს ადიდებს, დაიჩარებდა მხოლოდ მანქანების შემოღებას, [ხელფასზე დახარჯული] საბრუნავი კაპიტალის გადაქცევას ძი-

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 757, 759, 761, 763 და 767. რედ.

** — სიტყვასიტყვით «ყაყალში», ე. ი. მოკლედ, ჩანასახში. რედ.

ერითად კაპიტალად და ამ გზით ხელოვნურად შექმნიდა «მოჭარბებულ» მოსახლეობას; ვინაიდან მოსახლეობის სიჭარბეს იწვევს, როგორც წესი, არა საარსებო საშუალებათა რაოდენობის ნაკლებობა, არამედ შრომის დაქირავების საშუალებათა, შრომის ნამდვილი მოთხოვნის ნაკლებობა.

[749] ბარტონის შეცდომა ან ნაკლი ისაა, რომ იგი კაპიტალის ორგანულ დიფერენციაციას, ანუ მის ორგანულ შედგენილობას, მხოლოდ იმ ფორმით იღებს, რა ფორმითაც ეს შედგენილობა მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს პ რ ო ც ე ს შ ი გვევლინება, — ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სახით, — სხვაობა, რაც უკვე ფიზიოკრატებმა აღმოაჩინეს, შემდგომ ა. სმიტმა განავითარა, მის შემდეგ კი ეკონომისტების ცრურწმენად იქცა, ცრურწმენად იმდენად, რამდენადაც კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში ისინი — ტრადიციით — მ ხ ო ლ ო დ ამ სხვაობას ხედავენ. მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე ეს სხვაობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიმდიდრის კვლავწარმოებაზე საერთოდ, და, მაშასადამე, მის იმ ნაწილზეც, რომელიც «სამუშაო ფონდს» შეადგენს. მაგრამ აქ ეს როდია გადამწყვეტი. ძირითადი კაპიტალის სახით მანქანები, შენობები, საჯიშე პირუტყვი და ა. შ. საბრუნავი კაპიტალისაგან უ შ უ ა ლ ო დ განსხვავდებიან არა რაიმე მიმართებით ხელფასისადმი, არამედ მხოლოდ თავისი მიმოქცევისა და კვლავწარმოების წესით.

კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის უ შ უ ა ლ ო შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ცოცხალ შრომასთან დაკავშირებულია არა მიმოქცევის პროცესის მოვლენებთან, გამომდინარეობს არა ამ პროცესიდან, არამედ უ შ უ ა ლ ო წ ა რ მ ო ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი დ ა ნ და წარმოადგენს მ უ დ მ ი ვ ი და ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ს, რომელთა შორის არსებული განსხვავებაც მ ხ ო ლ ო დ ცოცხალ შრომასთან მათ შეფარდებას ეძყარება.

ასე, მაგალითად, ბარტონი ამბობს: შრომის მოთხოვნა დამოკიდებულია არა ძ ი რ ი თ ა დ კ ა პ ი ტ ა ლ ზ ე, არამედ მხოლოდ ს ა ბ რ უ ნ ა ვ კაპიტალზე. მაგრამ საბრუნავი კაპიტალის ნაწილი — ნ ე დ ლ ე უ ლ ი და დ ა მ ხ მ ა რ ე მ ა ს ა ლ ა — ისევე არ გაიცვლება ცოცხალ შრომაზე, როგორც მანქანები და ა. შ. წარმოების ყველა იმ დარგში, სადაც ნედლეული, ელემენტის სახით, ღირებულების წარმოქმნის პროცესში შედის, იგი, — რამდენადაც ჩვენ ძირითადი კაპიტალის მხოლოდ იმ ნაწილს განვიხილავთ, რომელიც საქონელში შედის, — ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ნა-

წილია კაპიტალის იმ წილისა, რაც ხელფასზე არ იხარჯება. მეორე ნაწილი [მისა, რასაც ბარტონი უწოდებს] საბრუნავ კაპიტალს, სახელდობრ საქონლური კაპიტალის ნაწილი, შედგება მოხმარების ისეთი საგნებისაგან, რომლებიც შედიან არამწარმოებელი კლასის შემოსავალში (ე. ი. არ შედიან მუშათა კლასის შემოსავალში). ნაშასადამე, ს ა ბ რ უ ნ ა ვ ი კაპიტალის ამ ორივე ნაწილის ზრდა შრომის მოთხოვნას სრულიადაც არ ეხება უფრო მეტად, ვიდრე ძირითადი კაპიტალის ზრდა. ამასთან საბრუნავი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ნედლეულისა და დამხმარე მასალისაგან შედგება, დიდდება არა ნაკლები ან კიდევ უფრო მეტი პროპორციითაც, ვიდრე კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ძირითადი კაპიტალის სახით მანქანებში და ა. შ. ბანდდება.

რ ა მ ს ე ი მ კიდევ უფრო განავითარა ის განსხვავება, რომელიც ბარტონმა დასახა. მას შესწორება შეაქვს ბარტონის შეხედულებაში, მაგრამ მისი წარმოდგენის წესის ფარგლებს ვერ სცილდება. ფაქტიურად ბარტონისეული განსხვავება მას დაჰყავს განსხვავებაზე მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის, მაგრამ უწინდებურად მუდმივ კაპიტალს უწოდებს ძ ი რ ი თ ა დ კაპიტალს, თუმცა აქ შეაქვს აგრეთვე ნედლეული და ა. შ., ცვალებად კაპიტალს კი უწოდებს საბრუნავ კაპიტალს, თუმცა იქიდან მთელ იმ საბრუნავ კაპიტალს გამორიცხავს, რომელიც უშუალოდ ხელფასზე არ იხარჯება. ამის შესახებ — შემდეგ, როცა რამსეიმდე მივალთ. მაგრამ ეს ადასტურებს შინაგანად გაპირობებული შემდგომი წინსვლის აუცილებლობას.

თუ ერთხელ გაგებულია მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის განსხვავება, რომელიც მხოლოდ უშუალო წარმოების პროცესიდან, ცოცხალ შრომასთან კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის შეფარდებიდან გამომდინარეობს, მაშინ მეღავნდება აგრეთვე ისიც, რომ თავისთავად ამ განსხვავებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს წარმოებულ მოხმარების საგანთა აბსოლუტურ მასასთან, თუმცა მას დიდი დამოკიდებულება აქვს იმასთან, თუ სახელდობრ რა საგნებში ხდება მთლიანი შემოსავლის მოცემული მასის რეალიზაცია. მაგრამ სხვადასხვა საქონლში მთლიანი შემოსავლის რეალიზაციის ეს წესი მ ი ზ ე ზ ი კი არაა, როგორც ეს რიკარდოს მიაჩნია და ბარტონიც ამას გულისხმობს, არამედ შ ე დ ე გ ი კაპიტალისტური წარმოების იმ იმანენტური კანონებისა, რომლებიც იწვევენ მუშათა კლასის კვლავწარმოებისათვის საჭირო პროდუქტების ფონდის სულ უფრო შემცირებას, პროდუქტის მთელ ჯამთან შეფარდებით. თუ

კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი მანქანებისაგან, ნედლეულისაგან, დამხმარე მასალისაგან და ა. შ. შედგება, მაშინ მუშათა კლასის ბ'თელი მასიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იქნება დასაქმებული მუშების მოხმარებაში შემავალ საარსებო საშუალებათა [750] კვლავწარმოებით. მაგრამ ცვალებადი კაპიტალის კვლავწარმოების ეს შეფარდებითი შემცირება მიზეზი კი არაა შრომის მოთხოვნის შეფარდებითი შემცირებისა, არამედ, პირიქით, მისი შედეგია. სავსებით ასევე საერთოდ შემოსავალში შემავალ მოხმარების საგანთა წარმოებით დასაქმებული მუშების უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი აწარმოებს მოხმარების საგნებს, რომლებიც შედის კაპიტალისტების, მიწის მესაკუთრეების და მათი მსახურების (სახელმწიფოს, ეკლესიის და ა. შ.) მოხმარებაში — შემოსავლის ხარჯვაში, და უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწილი აწარმოებს მუშების შემოსავლისათვის განკუთვნილ საგნებს. მაგრამ ესეც შედეგია და არა მიზეზი. მუშებისა და კაპიტალისტების სოციალური ურთიერთობის შეცვლასთან, კაპიტალისტურ წარმოებაში გაბატონებულ ურთიერთობათა გარეკოლუციურებასთან ერთად ეს დაუყოვნებლივ შეიცვლებოდა. შემოსავალი, რიკარდოს გამოთქმა რომ ვიხმაროთ, «რეალიზაციას ჰპოვებდა სხვა საქონელში».

წარმოების, ასე ვთქვათ, ფიზიკურ პირობებში არ არის ისეთი რამ, რაც შემოსავლის რეალიზაციის ამა თუ იმ წესს იძულებით განახორციელებდა. თუ მუშები იბატონებდნენ, თუ მათ შესაძლებლობა ექნებოდათ თავისთვის ეწარმოებინათ, მაშინ ისინი სულ მალე და დიდი შრომის დაუხარჯავად აიყვანდნენ კაპიტალს (ვულგარული ეკონომისტების გამოთქმა რომ ვიხმაროთ) თავიანთ მოთხოვნილებათა დონემდე. უდიდესი განსხვავება ისაა, უპირისპირდებიან თუ არა წარმოების არსებული საშუალებანი მუშებს როგორც კაპიტალი, ასე რომ მათი გამოყენება მუშებს მ ხ ო ლ ო დ იმდენად შეუძლიათ, რამდენადაც ეს აუცილებელია მათი დამქირავებლებისათვის ზედმეტი ღირებულებისა და ზედმეტი პროდუქტის გასადიდებლად, იყენებენ ეს წარმოების საშუალებანი მ ა თ, მუშებს,—თუ მუშები, სუბიექტების სახით, იყენებენ წარმოების საშუალებებს როგორც ობიექტს, რათა სიმდიდრე თავისთვის აწარმოონ. რა თქმა უნდა, ამასთან იგულისხმება, რომ კაპიტალისტურმა წარმოებამ საერთოდ უკვე განავითარა შრომის მწარმოებლური ძალები იმ აუცილებელ სიმაღლემდე, რომელზეც შეიძლება ეს რევოლუცია დაიწყოს.

(ავიღოთ მაგალითისათვის 1862 წელი (ახლანდელი შემოდგომა).

ლანკაშირელ უმუშევართა გაჭირვებული მდგომარეობა. მეორე მხრივ, ლონდონის ფულის ბაზარზე — «ფულის გამოყენების მონახვის სიძნელე», რის შედეგადაც თითქმის აუცილებელი გახდა სპეკულაციურ საზოგადოებათა შექმნა, რადგან გასესხებულ ფულზე 2%-ის მიღებაც კი ძნელია. რიკარდოს თეორიის მიხედვით გამოდის, რომ რადგან, ერთი მხრივ, ლონდონში კაპიტალი არსებობს, მეორე მხრივ კი, მანჩესტერში დაუსაქმებელი სამუშაო ძალა მოიპოვება, ამიტომ დაუსაქმებელი მუშებისათვის «აუცილებლად გაიხსნებოდა შრომის გამოყენების სხვა რომელიმე დარგში შესასვლელი გზა».]

[ბ) ბარტონის შეხედულებანი ხელფასის მოძრაობასა და მუშა-მოსახლეობის ზრდაზე]

ბარტონი ამტკიცებს შემდეგ, რომ კაპიტალის დაგროვება მხოლოდ ნელა იწვევს შრომის მოთხოვნის ზრდას, თუკი ჯერ კიდევ მანამდე არ გაზრდილა მოსახლეობა ისე ძლიერ, რომ ხელფასი დაბალ დონეზე რჩება.

«შეფარდება, რომელშიც იმყოფება ხელფასი რომელიმე მოცემულ დროში შრომის მთელ პროდუქტთან, განსაზღვრავს, კაპიტალის ასიგნება ერთი ფორმით» (ძირითადი კაპიტალი) «ხდება «თუ მეორე ფორმით» (საბრუნავი კაპიტალი).

«თუ ხელფასი ეცემა, მაშინ როდესაც საქონელთა ფასი უცვლელი რჩება, ანდა თუ საქონელთა ფასი იზრდება, მაშინ როდესაც ხელფასი არ იცვლება, მაშინ მეწარმის მოგება იზრდება, და ეს მას სტიმულს აძლევს მეტი მუშახელი დიქირაოს. თუ, პირიქით, ხელფასი დიდდება საქონელთან შედარებით, მაშინ ფაბრიკანტი რაც შეიძლება ნაკლებ მუშახელს იყენებს და ცდილობს ყველაფერი მანქანის დახმარებით გააკეთოს» (ციტირ. თხზ., გვ. 17 — 18).

«ჩვენ უტყუარი ცნობები გვაქვს იმის დასადასტურებლად, რომ ხელფასის თანდათანობითი გადიდებასას გასული [ე. ი. XVIII] საუკუნის პირველ ნახევარში მოსახლეობა გაცილებით უფრო ნელა იზრდებოდა, ვიდრე მის მეორე ნახევარში, როცა შრომის რეალური ფასი სწრაფად ეცემოდა» (გვ. 25).

«ამრიგად, თავისთავად ხელფასის გადიდება არასოდეს არ იწვევს მუშა-მოსახლეობის გადიდებას; ხელფასის დაცემას შეუძლია მისი სწრაფი ზრდა გამოიწვიოს. მაგალითად, თუ ინგლისელის მოთხოვნილებანი ირლანდიელის მოთხოვნილებათა დონემდე დაეცემოდა, მაშინ ფაბრიკანტი გამოიყენებდა უფრო მეტ მუშას, მათი შესანახი ხარჯების შემცირების შესაბამისად» (გვ. 26).

«სამუშაოს მონახვის სიძნელე გაცილებით უფრო უშლის ხელს დაქირწინებას, ვიდრე ხელფასის დაბალი დონე» (გვ. 27).

«მიჩნეულია, რომ სიმდიდრის ყოველ გადიდებას შრომის ახალი მოთხოვნის შექმნის ტენდენცია აქვს. მაგრამ რადგან შრომა, ყველა სხვა საქონელთან შედარებით, თავისი წარმოებისათვის ყველაზე ხანგრძლივ დროს მოითხოვს»

[იმავე მიზეზით ხელფასის სიდიდე შეიძლება დიდხანს რჩებოდეს საშუალო დონეზე დაბლა, რადგან შრომა, ყველა სხვა საქო-

ნელთან შედარებით, ყველაზე ძნელად შეიძლება განიდევნოს ბაზრიდან, რათა ამ გზით შემცირდეს მისი მიწოდება მოცემულ მომენტში არსებული მოთხოვნის დონემდე),

«ამიტომ ყველა საქონელთან შედარებით შრომის ფასი [751] ყველაზე დიდად მატულობს მოთხოვნის მომხდარი გადიდებისას; და რადგან ხელფასის ყოველი გადიდება მოგების ათჯერ უფრო მეტ შემცირებას იწვევს, ცხადია, რომ კაპიტალის გადიდებას შეუძლია მხოლოდ ნელი ზემოქმედება იქონიოს შრომის ნამდვილი მოთხოვნის გადიდებაზე, თუ ამას წინ არ უსწრებს მოსახლეობის ისეთი გადიდება, რომელიც დაბალ დონეზე აჩერებს ხელფასს» (გვ. 28).

ბარტონი აქ სხვადასხვა დებულებებს აყენებს.

ჯერ ერთი: ხელფასის გადიდება თავისთავად არ ადიდებს მუშა-მოსახლეობას; მაგრამ სამაგიეროდ ხელფასის დაცემას შეუძლია ძალიან ადვილად და სწრაფად გამოიწვიოს მისი ზრდა. დამტკიცება: XVIII საუკუნის პირველ ნახევარში — ხელფასის თანდათანობითი გადიდება და მოსახლეობის ნელი მატება; პირიქით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში — რეალური ხელფასის დიდი შემცირება და მუშა-მოსახლეობის სწრაფი მატება. მიზეზი: დაქორწინებას ხვლს უშლის არა ხელფასის დაბალი დონე, არამედ სამუშაოს შოვნის სიძნელე.

მეორე: მაგრამ სამუშაოს შოვნა მით უფრო ადვილია, რაც უფრო დაბალია ხვლფასის დონე. ვინაიდან კაპიტალის გადაქცევა საბრუნავ ან ძირითად კაპიტალად, ე. ი. ისეთად, რომელიც შრომას იყენებს, ანდა ისეთად, რომელიც მას არ იყენებს, უკუფარდობაშია ხელფასის მაღალ ან დაბალ დონესთან. თუ ხელფასი დაბალია, შრომის მოთხოვნა დიდია, რადგან მაშინ მეწარმისათვის ხელსაყრელია ბევრი შრომის გამოყენება და იმავე საბრუნავი კაპიტალით მას შეუძლია მეტი მუშა გამოიყენოს. თუ ხელფასი მაღალია, ფაბრიკანტი რაც შეიძლება ნაკლებ მუშას იყენებს და ცდილობს ყველაფერი მანქანის დახმარებით გააკეთოს.

მესამე: კაპიტალის დაგროვება თავისთავად მხოლოდ ნელა ადიდებს შრომის მოთხოვნას, რადგან ამ მოთხოვნის ყოველი გადიდება, თუ შრომის მიწოდება ნაკლებია მის მოთხოვნაზე, იწვევს შრომის ფასის სწრაფ გადიდებას და მოგების ათჯერ უფრო მეტ დაცემას. დაგროვებამ შეიძლება სწრაფად იმოქმედოს შრომის მოთხოვნაზე მხოლოდ მაშინ, როცა დაგროვებას წინ უსწრებდა მუშა-მოსახლეობის მნიშვნელოვანი გადიდება, რის შედეგადაც ხელფასი ძლიერ დაბალ დონეზე

დგას და გადიდების დროსაც კი დაბალი რჩება, რადგან [ახალი] მოთხოვნა უფრო მეტად ნთქავს დაუსაქმებელ მუშახელს, ვიდრე კონკურენციას წარმოშობს მთლიანად დასაქმებული მუშების გამო.

ყოველივე ეს, cum grano salis *, სწორია სავსებით განვითარებული კაპიტალისტური წარმოებისათვის. მაგრამ ეს ვერ აგვიხსნის თვით მის განვითარების პროცესს.

ამიტომაც ბარტონის მიერ მოყვანილი ისტორიული დამტკიცება ეწინააღმდეგება იმას, რაც მას უნდა დაემტკიცებინა.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ხელფასი თანდათან მატულობდა, მოსახლეობა იზრდებოდა ნელა, არ იყო არავითარი მანქანები და აგრეთვე, საუკუნის მეორე ნახევართან შედარებით, ცოტა რაოდენობით გამოიყენებოდა სხვა ძირითადი კაპიტალი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, პირიქით, ხელფასი განუწყვეტლივ ეცემა, მოსახლეობა გასაოცრად იზრდება, — და ბევრი მანქანა ჩნდება. მაგრამ სწორედ მანქანებმა, ერთი მხრივ, არსებული მოსახლეობა მოჭარბებულ მოსახლეობად გახადეს და ამ გზით დასწიეს ხელფასი, მეორე მხრივ კი, მსოფლიო ბაზრის სწრაფი განვითარების გამო, კვლავ შთანთქეს ეს მოსახლეობა, შემდეგ ისევ მოჭარბებული გახადეს იგი და ხელახლა შთანთქეს; ამის პარალელურად მათ არაჩვეულებრივად დაიჩქარეს კაპიტალის დაგროვება და გაადიდეს ცვალებადი კაპიტალის მასა, თუმცა ეს ცვალებადი კაპიტალი შეფარდებით, როგორც პროდუქტის ერთობლივ ღირებულებასთან შედარებით, ისე მის მიერ გამოყენებული მუშების მასასთან შედარებითაც, შემცირდა.

პირიქით, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ არ იყო მსხვილი მრეწველობა, არამედ არსებობდა შრომის დანაწილებაზე დაფუძნებული მანუფაქტურა. კაპიტალის მთავარ შემადგენელ ნაწილად რჩებოდა ხელფასზე დახარჯული ცვალებადი კაპიტალი. შრომის მწარმოებლური ძალა ნელა ვითარდებოდა შედარებით XVIII საუკუნის მეორე ნახევართან. შრომის მოთხოვნა და, მაშასადამე, ხელფასიც იზრდებოდა კაპიტალის დაგროვებასთან ერთად და თითქმის ამ დაგროვების პროპორციულად. ინგლისი არსებითად ჯერ კიდევ მიწათმოქმედების ქვეყანა იყო და იქ ჯერ კიდევ ფართოდ იყო განვითარებული (განვითარებასაც კი განაგრძობდა) შინამრეწველობა (სართავი და საფეიქრო),

* — სიტყვასიტყვით: «ერთი კვნიტი მარილითო»; გადატანითი აზრით: «პირობითად», «არა მთლად სიტყვასიტყვით». რ ე დ.

რასაც მიწათმოქმედი მოსახლეობა მისდევდა. პროლეტარიატი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო, ისევე როგორც ჯერ კიდევ არ არსებობდნენ მრეწველი მილიონერები.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში შეფარდებით ჭარბობდა ცვალებადი კაპიტალი, მეორე ნახევარში — ძირითადი კაპიტალი, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის საჭიროა დიდი მასა ადამიანთა მასალის სახით. მის გამოყენებას დიდი მასშტაბით წინ უნდა უძღოდეს მოსახლეობის ზრდა. მაგრამ ბარტონის მიერ მის გაშუქებას ეწინააღმდეგება განვითარების მთელი ნამდვილი მსვლელობა, რამდენადაც ამასთან მჭლავნდება, რომ აქ საერთოდ ცვლილება მოხდა წარმოების წესში: მსხვილი მრეწველობის შესაბამისი კანონები არ არიან მანუფაქტურის [752] შესაბამისი კანონების იდენტური. უკანასკნელი მხოლოდ განვითარების ფაზაა პირველისაკენ მიმავალ გზაზე.

მაგრამ აქ საინტერესოა ზოგიერთი ისტორიული მონაცემი, რომელიც ბარტონს მოჰყავს როგორც ხელფასის მოძრაობის, ისე პურის ფასების მოძრაობის შესახებ ინგლისში, რამდენადაც ბარტონი ადარებს XVIII საუკუნის პირველ ნახევარს მეორეს.

«ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს» («XVII საუკუნის შუა ხანიდან XVIII საუკუნის შუა ხანამდე [რეალური] ხელფასი იზრდებოდა, რადგან ხორბლის ფასი ამ პერიოდის განმავლობაში დაეცა არა ნაკლებ 35%-ისა»), «როგორი იყო სოფლის მეურნეობის მუშების ხელფასის შეფარდება ხორბლის ფასებთან უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში.

პერიოდები	კირეული ხელფასი	კვარტერი ხორბლის ფასი	ხელფასი ხორბლის პინტებში
1742 — 1752	6 შ. 0 პ.	30 შ. 0 პ.	102
1761 — 1770	7 „ 6 „	42 „ 6 „	90
1780 — 1790	8 „ 0 „	51 „ 2 „	80
1795 — 1799	9 „ 0 „	70 „ 8 „	65
1800 — 1808	11 „ 0 „	86 „ 8 „	60»

(ბ ა რ ტ ო ნ ი, ციტირ. თხზ., გვ. 25 — 26).

«ლორდთა პალატის [კომისიის] მოხსენებაში ღარიბთა კანონების შესახებ» (1816 წელი?) «მოცემულია მიწის შემოღობვის შესახებ იმ ბილთა რიცხვის მაჩვენებელი ცხრილი, რომლებიც მიღებულ იქნა პარლამენტის ყოველ სესიაზე [1688 წლის] რევოლუციის დროიდან მოყოლებული. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ 66 წლის განმავლობაში, 1688-დან 1754 წლამდე, ასეთი ბილი მიღებული იყო

123, მაშინ როდესაც 69 წლის მანძილზე*, 1754-დან 1813 წლამდე, მათი რიცხვი შეადგენდა 3315. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ხვნა-თესვის განვითარება დაახლოებით 25-ჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე პირველი პერიოდის განმავლობაში. მაგრამ პირველი 66 წლის განმავლობაში სულ უფრო მეტი ხორბალი მუდამ აწარმოებდა საზღვარგარეთ გასატანად, მაშინ, როდესაც უკანასკნელი 69 წლის მეტი ნაწილის განმავლობაში მოხმარებაში მიდიოდა ყველაფერი, რაც წინათ საზღვარგარეთ გადიოდა, და ამასთანავე ჩვენი საკუთარი მოხმარებისათვის საზღვარგარეთიდან შემოდიოდა სულ უფრო მზარდი, ბოლოს კი — მეტად მნიშვნელოვანი რაოდენობა ხორბლისა... მოსახლეობის ზრდა პირველი პერიოდის განმავლობაში უკანასკნელთან შედარებით, მაშასადამე, კიდევ უფრო ნელა წარმოებდა, ვიდრე ამას, როგორც ჩანს, ხვნა-თესვის განვითარება გვიჩვენებს» (იქვე, გვ. 11 — 12).

«1688 წელს ინგლისისა და უელსის მოსახლეობა შეადგენდა 5500000 კაცს, გრეგორი კინგის თანახმად, რომელმაც ეს მოსახლეობა სახლების რიცხვის მიხედვით განსაზღვრა. 1780 წელს იგი შეადგენდა, მალთუსის თანახმად, 7 700 000 კაცს. მაშასადამე, მოსახლეობა 92 წლის განმავლობაში 2 200 000 კაცით გადიდდა. შემდგომი 30 წლის განმავლობაში იგი 2 700 000 კაცით და კიდევ უფრო მეტად გადიდდა. მაგრამ რაც შეეხება მოსახლეობის პირველ ზრდას, ალბათ, იგი უმთავრესად 1750 — 1780 წლების განმავლობაში მოხდა» (გვ. 13).

საბოლოო წყაროების საფუძველზე ბარტონი ანგარიშობს, რომ

«1750 წელს მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა 5946000 კაცს, რაც ნიშნავს გადიდებას [1688 წ.] რევოლუციის დროიდან 446000 კაცით, ანუ 7200 კაცით წელიწადში» (გვ. 13 — 14).

«ამრიგად, გამოდის, რომ, ყველაზე დაბალი შეფასებით, მოსახლეობის ზრდა უკანასკნელ წლებში ათჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე ასი წლის წინათ. მაგრამ დაუჯერებელია, რომ კაპიტალის დაგროვება ათჯერ უფრო დიდი იყო» (გვ. 14).

საკითხი ის კი არაა, თუ საარსებო საშუალებათა რა რაოდენობა იწარმოება წლის განმავლობაში, არამედ ის, თუ წლის განმავლობაში ცოცხალი შრომის რა ნაწილი შედის ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის წარმოებაში. ამით განისაზღვრება ცვალებადი კაპიტალის სიდიდე მუდმივთან შედარებით.

უკანასკნელი 50 — 60 წლების მანძილზე მოსახლეობის გასაოცარ ზრდას თითქმის მთელ ევროპაში ბარტონი ხსნის ამერიკის მაღაროების გაზრდილი მწარმოებლობით, რამდენადაც ძვირფასი ლითონების ამ ნამეტმა საჭონელთა ფასები უფრო მეტად გაზარდა, ვიდრე ხელფასი, ე. ი. ფაქტიურად ხელფასი შეამცირა, რის გამოც მოგების ნორმა გადიდდა (გვ. 29 — 35). [XIII — 752]

---

* ესეა ბარტონის მიხედვით. სინამდვილეში, 1754-დან 1813 წლამდე მხოლოდ 59 წელმა განვლო. რ ე დ.

დამაჯებანი[140]

[1) ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲗᲔᲝᲠᲘᲡᲘᲡᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲬᲝᲛᲓᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ. ᲠᲝᲓᲑᲔᲠᲢᲣᲡᲘ ᲓᲐ XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲝᲡ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲔᲑᲘ]

[XII — 580b] სმიტის მიერ «გაკვრით წამოყენებული» თეორია იმის შესახებ, რომ ხორბალი თვითონ უქმნის თავის თავს მოთხოვნას და ა. შ.*, — თეორია, რომელიც შემდეგ მალთუსმა მედიდურად გაიმეორა თავის რენტის თეორიაში და რომელიც ნაწილობრივ მისი მოსახლეობის თეორიის საფუძველი გახდა, — მეტად მკაფიოდ იყო გამოთქმული (სმიტამდე) შემდეგ ნაწყვეტში:

«ხორბალი ბევრია ან ცოტა მისი მოხმარების მიმართ. თუ მეტი იქნება პირი, მეტი იქნება ხორბალიც, იმიტომ რომ მეტი ხელი იქნება მიწის დასამუშავებლად; ხოლო თუ მეტი ხორბალი არსებობს, პირიც მეტი აღმოჩნდება, რადგან სიუხვე ადიდებს მოსახლეობას» ([Arbuthnot, John] An Inquiry into the Connection between the Present Price of Provisions, and the Size of Farms etc. By a Farmer. London, 1773, გვ. 125).

ამიტომ

«სოფლის მეურნეობაში არ შეიძლება იყოს ჭარბწარმოება» (იქვე, გვ. 62).

როდბერტუსის ფანტაზია, თითქოს თესლი და ა. შ. არ შედის (ფერმერის დანახარჯში) როგორც კაპიტალის მუხლი **, [უარყოფილია] ასეული ნაწარმოებით, რომლებიც ნაწილობრივ თვით ფერმერებმა დაწერეს XVIII საუკუნეში (განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან დაწყებული). ნამდვილად კი, პირიქით, სწორი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ფერმერთან რენტა შედის მის დანახარჯში როგორც ხარჯის მუხლი. ფერმერი მას მიათვლის წარმოების ხარჯებს (და იგი, მართლაც, წარმოების ხარჯებს განეკუთვნება).

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 470 — 471 და შემდ. რედ.

** იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 47 — 61. რედ.

«თუ... ხორბლის ფასი დაახლოებით ისეთია, როგორიც უნდა ყოფილიყო, ამის განსაზღვრა მხოლოდ იმ შეფარდებით შეიძლება, რომელშიც მიწის ღირებულება ფულის ღირებულებასთან იმყოფება» (იქვე, გვ. 132).

ქვემომოყვანილი ადგილი გვიჩვენებს, რომ იმ მომენტიდან, როცა კაპიტალი მიწათმოქმედებას ეუფლება, რენტა თვით კაპიტალისტური ფერმერის წარმოდგენაში აისახება მხოლოდ როგორც გამონაკლები მოგებიდან და რომ მთელი ზედმეტი ღირებულება განიხილება აისებითად როგორც მოგება:

«ძველი მეთოდი ის არის, რომ ფერმერის მოგება (მისი წილი მთლიან პროდუქტში) გამოიანგარიშებოდა სამი რენტით» (მოზეარობა). მიწათმოქმედების სიყრმის პერიოდში ეს იყო საკუთრების კეთილსინდისიერი და სამართლიანი გაყოფა. უფრო ნაკლებად განათლებულ ქვეყნებში ეს მეთოდი ჯერ კიდევ ახლაც გამოიყენება... ერთი იქლევა მიწასა და კაპიტალს, მეორე — ცოდნასა და შრომას. მაგრამ კარგად დამუშავებულ და ნაყოფიერ ნაადაგზე რენტას ახლა სულ მცირე მნიშვნელობა აქვს. თავისი ფულის სარგებელს, ანუ თავის შემოსავალს, ადამიანი უნდა ანგარიშობდეს იმ თანხის მიხედვით, რომელიც მას შეუძლია დააბანდოს კაპიტალისა და თავისი შრომის წლიური დანახარჯის სახით» (იქვე, გვ. 34). [XII — 580b]

[2) ნათანიელ ფორსტერი მიწის მესაკუთრეებსა და მრეწველებს შორის არსებული მტრობის შესახებ]

[XIII — 670a] «მ ი წ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე ე ბ ს ა და მ რ ე წ ვ ე ლ ე ბ ს შ ო რ ი ს მ ტ რ ო ბ ა ა ქ ვ თ ე რ თ მ ა ნ ე თ ს შ ო რ ი ს ა ნ ე რ თ მ ე ო რ ი ს მ ო გ ე ბ ა ე ბ ა რ ბ ე ბ ა თ» ([F o r s t e r, N a t h a n i e l.] An Enquiry into the Causes of the Present High Price of Provisions etc. London, 1767, გვ. 22, შენიშვნა). [XIII — 670a]

[3) ჰოპკინსის შეხედულება რენტასა და მოგებას შორის არსებულ თანაფარდობაზე]

[XIII — 669b] ჰოპკინსს (ინახოს ის ადგილი, სადაც ამაზეა ლაპარაკი*) მიწის რენტა განხილული აქვს გულუბრყვილოდ როგორც თავდაპირველი ფორმა ზედმეტი ღირებულებისა, მოგება კი — როგორც მისგან წარმოებული რამ.

ჰოპკინსი წერს:

«როცა... მწარმოებლები ერთსა და იმავე დროს მიწათმოქმედნიც იყვნენ და მანუფაქტურისტებიც, მიწის მესაკუთრე ღებულობდა მიწის რენტის სახით ღირებულებას, რაც 10 გირვ. სტერლინგს უდრიდა. დავუშვათ, რომ ამ რენტის ერთ ნახევარს იხდიდნენ ნედლ პროდუქტებში, მეორე ნახევარს კი — სამრეწველო ნაწარმში. მწარმოებელთა ორ კლასად (მიწათმოქმედთა და მანუფაქტურისტების კლასად) დაყოფის შემდეგ ეს შეიძლებოდა ასევე გაგრძელებულიყო. მაგრამ პრაქტიკულად მიწათმოქმედთათვის უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ის, რომ მათ მთელი რენტა გადაეხადათ მიწის მესაკუთრეთათვის და ეს რენტა დაერიცხათ თავიანთ პროდუქტზე ამ უკანასკნელის გაცვლასას მანუფაქტურისტების შრომის პროდუქტზე იმ ანგარიშით, რათა სამართლიანად განაწილებულიყო ეს გადასახდელი ორივე კლასს შორის და რათა ხელფასი და მოგება ერთ დონეზე დარჩენილიყო იქაც და აქაც» (Th. Hopkins. Enquiries relative to the Laws which Regulate Rent, Profit etc. London, 1822, cmp. 26). [XIII — 669b]

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 62. რედ.

[4) კერი, მალთუსი და ჯემს დიკონ იუმი მიწათმოქმედების გაუმჯობესებათა შესახებ]

[XI — 490a] «საჭიროა აღინიშნოს, რომ მიწის მესაკუთრეობა და ფერმერს ჩვენ მუდამ განვიხილავთ როგორც ერთსა და იმავე პირს... ასეთია საქმის ვითარება შეერთებულ შტატებში» (H. C. Carey. The Past, the Present, and the Future. Philadelphia, 1848, გვ. 97).

«ადამიანი ყოველთვის ცუდი ნიადაგიდან უკეთესზე გადადის, შემდეგ კი უკანვე უბრუნდება თავდაპირველ ნიადაგს და მთლად გადახნავს ხოლმე მერგელს ან კირს, და ასეთი გადასვლები მუდამ მეორდება... და ამ გზის ყოველ ეტაპზე ადამიანი ქმნის სულ უკეთეს და უკეთეს მანქანას*... კაპიტალის დაბანდება მიწათმოქმედებაში უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მანქანებში, რადგან ერთი და იმავე სახის მანქანებს მხოლოდ თანაბარი ეფექტიანობა აქვთ, მაშინ როდესაც მიწის ნაყოფიერება სულ უფრო იზრდება... ორთქლის მანქანის გამოყენებით მიღებული შოგება ისაა, რომ იგი ზოგავს, ვთქვათ, მატყლის მაუდად გარდაქმნაზე დახარჯული შრომის საფასურს მინუს მანქანის გაცვლით გამოწვეული ზარალი. ნიადაგის დასამუშავებლად გამოყენებული შრომა კი აწარმოებს ხელფასს პლუს მიწა-მანქანის გაუმჯობესებით მიღებული შოგება... ამიტომ მიწის ნაკვეთი, რომელიც ყოველწლიურად 100 გირვ. სტერლ. შემოსავალს იძლევა, უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე ასეთივე შემოსავლის მომცემი ორთქლის მანქანა... მიწის ნაკვეთის მყიდველმა იცის, რომ ეს მიწა აუანაზღაურებს მას ხელფასს და სარგებელს პლუს ამ მიწის ნაკვეთის ღირებულების გადიდება მისი გამოყენების შედეგად. ორთქლის მანქანის მყიდველმა კი იცის, რომ იგი აუანაზღაურებს მას ხელფასს და სარგებელს მინუს ამ ორთქლის მანქანის ღირებულების შემცირება მისი გამოყენების შედეგად. პირველი ყიდულობს ისეთ მანქანას, რომელიც უმჯობესდება მისი გამოყენების კვალობაზე; მეორე კი — ისეთ მანქანას, რომელიც უარესდება მისი გამოყენების კვალობაზე... მიწა ისეთი მანქანაა, რომ მასზე დახარჯულ ახალ კაპიტალსა და შრომას სულ უფრო მზარდი მოგების მოცემა შეუძლიათ, მაშინ როდესაც ორთქლის მანქანაზე ასეთი ხარჯის გაწევა, რასაც სულ უფრო მზარდი შემოსავალი უნდა მოეცა, შეუძლებელია» (იქვე, გვ. 129 — 131).

---

* იგულისხმება მიწა, რომელმაც დამუშავება და მელიორაცია განიცადა. რ ე დ.

* * *

ის გაუმჯობესებანიც კი მიწათმოქმედებაში, რაც წარმოების ხარჯების შემცირებას და საბოლოო ანგარიშით ფასების დაცემას იწვევს, პირველ ხანებში კი — სანამ ფასები ჯერ კიდევ არ დაცემულა — სოფლის მეურნეობის მოგებას დროებით ადიდებს,

«თითქმის ყოველთვის ადიდებს საბოლოოდ რენტას. ის გადიდებული კაპიტალი, რომელიც მიწათმოქმედებაში იმის შედეგად ბანდდება, რომ დიდი დროებითი მოგების მიღების შესაძლებლობა შეიქმნა, უმრავლეს შემთხვევაში არ შეიძლება მთლიანად ამოღებულ იქნეს იჯარით აღებული მიწიდან იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, საიჯარო ხელშეკრულების განახლებისას კი მიწის მესაკუთრე ამ კაპიტალდაბანდებათაგან სარგებლობას ღებულობს თავისი რენტის გადიდების სახით» (**Malthus. An Inquiry into the Nature and Progress of Rent etc. London** 1815 [გვ. 25 — 26]).

* * *

«თუ უკანასკნელ წლებში გაბატონებულ ჩორბლის მაღალ ფასებამდე საბნავი მიწა, როგორც წესი, მხოლოდ მცირე რენტას იძლეოდა უმთავრესად ხშირი ანეულის საყოველთაოდ აღიარებული აუცილებლობის გამო, ახლა ისევ უნდა შემცირდეს რენტის ოდენობა, რათა ამით შესაძლებლობა მოგვეცეს დასვენების იმავე სისტემას დავუბრუნდეთ» (**J. D. Hume. Thoughts on the Corn-Laws etc. London, 1815,** გვ. 72). [XI — 490a]

[ნ) ჰოდსკინი და ანდერსონი მიწათმოქმედებაში შრომის ნაყოფიერების ზრდის შესახებ]

[XIII — 670a] «იმისდა მიხედვით, თუ როგორ იზრდება მოსახლეობა, კვების საგნებით ადამიანის მომარაგებისათვის, ჩანს, საკმარისია სულ უფრო მცირე მიწის ფართობი» ([Hodgskin, Thomas.] The Natural and Artificial Right of Property Contrasted etc. London, 1832, გვ. 69). (ჰოდსკინის ეს თხზულება ანონიმურად გამოვიდა).

ამასვე ლაპარაკობდა ჰოდსკინამდე ანდერსონი*. [XIII — 670a]

* იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 186 — 187. რედ.

[6)] მოგების ნორმის შემცირება

[XIII — 670a] მოგება უფრო მსხვილი კაპიტალისა, რომელიც უფრო მეტ მუდმივ კაპიტალს (მანქანებს, ნედლეულს) იყენებს, — რადგან ეს მოგება ისეთ ერთობლივ კაპიტალზე ნაწილდება, რომელშიც გამოყენებული ცოცხალი შრომა პროპორციულად ერთობლივი კაპიტალის ნაკლებად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, — უფრო მცირეა [თავისი ნორმის მიხედვით], ვიდრე უფრო მცირე [თავისი მასის მიხედვით] მოგება, რომელსაც ცოცხალი შრომა ქმნის და რომელიც პროპორციულად ნაკლები მსხვილი ერთობლივი კაპიტალის უფრო მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ცვალებადი კაპიტალის [შეფარდებითი] შემცირება და მუდმივი კაპიტალის შეფარდებითი გადიდება, თუმცა კაპიტალის ეს ორივე ნაწილი იზრდება, შ რ ო მ ის გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს მხოლოდ სხვაგვარი გ ა ვ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ა ა. [XIII — 670a]

შენიშვნები
საძიებლები

შენიშვნები

როცა მარქსმა დაამთავრა სმიტის შესახებ მოცემული განყოფილებაში შემაჯამებელი თავი «მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის თეორიები» და დაწერა კოდეგ სამი თავი, რომელთაც ფიზიოკრატებზე (ნეკერზე, კენეს «ეკონომიურ ცხრილზე» და ლენგეზე) მოცემული განყოფილების დამატებათა ხასიათი აქვთ, — მას, თავისი გეგმის შესაბამისად, მუშაობა უნდა დაეწყო რიკარდოსათვის განკუთვნილ განყოფილებაზე. მაგრამ ეს მუშაობა მარქსს მაშინვე არ დაუწყია. ლენგეზე დაწერილი თავის შემდეგ მან დაიწყო ბრეისათვის განკუთვნილი თავის წერა, — ალბათ, იმასთან დაკავშირებით, რომ თავში «ლენგე» მან მოიხსენია «რომდენიმე სოციალისტური მწერალი», რომლებზეც მარქსს განზრახვა ჰქონდა ელაპარაკნა «შემდეგში» (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 414). ამის შესაბამისად მარქსი X რვეულის დასათაურებს გეგმაში «f» თავის სათაურში (ეს სათაური უშუალოდ მოსდევს თავის — «e) ლენგე» — სათაურს) შლის თავდაპირველად დაწერილ სიტყვას «რიკარდო» და მის ნაცვლად წერს სიტყვას «ბრეი» (იხ. იქვე, გვ. 2). მაგრამ თავი ბრეის შესახებ დაუმთავრებელი დარჩა. შემდეგში მარქსმა გადაწყვიტა ბრეის შეხედულებათა განხილვა გადაეტანა იმ თავში, სადაც ლაპარაკია ეკონომისტების პროლეტარულ მოწინააღმდეგეთა შესახებ (იხ. აქ ტომის მეექვსე ნაწილი).

მარქსი რომ ბრეის შესახებ მოცემულ თავზე მუშაობას შეუდგა, მას განზრახვა ჰქონდა განყოფილება რიკარდოს შესახებ დაეწყო მომდევნო თავით — «g». მაგრამ ამჯერადაც რიკარდოს სახელი დასათაურებაში მარქსმა წაშალა, და «g» თავის სახით გაჩნდა «გადასვ�», შემდეგი სათაურით «ბატონი როდბერტუსი. მიწის რენტის ახალი თეორია».

როდბერტუსის შესახებ დაწერილ თავზე მარქსი მუშაობდა 1862 წლის ივნისში. 1862 წლის 9 ივნისის თარიღით მარქსისათვის მიწერილ წერილში ლასალი თხოვდა მას დაებრუნებინა მისთვის როდბერტუსის წიგნი მიწის რენტის შესახებ, რომელიც ათხოვა მან მარქსს. ეს გარემოება, ჩანს, მარქსისათვის გარეგანი საბაბი გამოდგა იმისათვის, რომ მას დაუყოვნებლივ დაეწყო მუშაობა როდბერტუსის შესახებ დასაწერ თავზე. მაგრამ არსებობდა სერიოზული შინაგანი მოტივებიც, რომლებიდანაც აუცილებლად გამომდინარეობდა ის, რომ უმინარეს ყოვლისა მოცემული ყოფილიყო მიწის რენტის როდბერტუსისეული თეორიის კრიტიკული ანალიზი.

როდბერტუსი მარქსის მიმოწერიდან ჩანს, მას ამ დროისათვის უკვე საკმებელი გარკვეული ჰქონდა საკითხი იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს მიწის რენტის რიკარდოსეული თეორიის შცდარობა. რიკარდოს რენტის თეორიის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად მარქსს ის მიაჩნდა, რომ ამ თეორიას არ ჰქონდა აბსოლუტური რენტის ცნება. თავის შესანიშ «ისტორიულ წერილში» ფონ კირბმანისადმი როდბერტუსი შეეცადა ეს ცნება განვითარებინა. ვიდრე რენტის რიკარდოსეული თეორიის სპეციალურ განხილვას შეუდგებოდა, მარქსმა ზემოადნიშნულ «ეგზამენებში» გაშალილ კრიტიკული ანალიზი გაუკეთა როდბერტუსის ამ ცდას. — 5.

2 მარქსს მხედველობაში აქვს პროუდონის წინააღმდეგ მიმართული თავისი შრომა «ფილოსოფიის სიღატაკე» (მეორე თავის § IV, დასათაურებული «მიწის საკუთრება ან მიწის რენტა»). იხ. «ფილოსოფიის სიღატაკე», ქართ. გამოც. 1938, გვ. 141 — 152, განსაკუთრებით გვ. 145 — 147 და 151 — 152. — 11.

3 იგულისხმება წიგნი: J. Wade «History of the Middle and Working Classes». London, 1833. — 12.

4 ხელნაწერში აქ არის სიტყვა «Rohmaterial» («ნედლი მასალა»). ყველა დანარჩენ შემთხვევაში მარქსი 1861 — 1863 წლების თავის ხელნაწერში ტერმინს «ნედლი მასალა» ხმარობს ამ უფრო ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც დაფიქსირებულია «კაპიტალის» I ტომის მე-5 თავში, — შრომის ისეთი საგნის აზრით, რომელიც «უკვე განიცადა გარკვეული ცვლილება შრომის მეოხებით» (იხ. «კაპიტალი», ტ. I, ქართ. გამოც., 1954, გვ. 229 — 230). რადგან მოცემულ ადგილას, თუ მთელი კონტექსტის მიხედვით ვემსჯელებთ, ლაპარაკია შრომის საგანზე ამ სიტყვის ყველაზე ფართო აზრით, ე. ი. პირველ რიგში ისეთ შრომის საგანზე, რომელიც არ წარმოადგენს შრომის პროდუქტს, არამედ მოცემულია ბუნების მიერ, ამიტომ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სიტყვა «Rohmaterial» კალმის შეცდომაა, და მის მაგივრად უნდა იყოს სიტყვა «Arbeitsgegenstand» («შრომის საგანი»). ამის შესაბამისად არის სწორედ გაკეთებული მოცემული ფრაზის თარგმანი. — 18.

5 1861 — 1863 წლების თავისი ხელნაწერის IV რვეულში (გვ. 149 და შემდგომი) მარქსი «შრომის პირველ დანაწილებას» უწოდებს შრომის დანაწილების საზოგადოების შიგნით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საქონელმწარმოებლების შორის, «შრომის მეორე დანაწილებას» კი — შრომის დანაწილება კაპიტალისტური საწარმოს შიგნით, განსაკუთრებით მანუფაქტურული სახელოსნოს შიგნით (იხ. «კაპიტალი», ტ. I, 1954, გვ. 446 — 457). — 17.

6 მარქსს აქ ციტატი მოჰყავს წიგნიდან: T. C. Banfield. «The Organization of Industry». Second edition, London, 1848, p. 40, 42 — 18.

7 ტერმინით «საშუალო ფასი» («Durchschnittspreis») მარქსი ამაგვეს გულისხმობს, რასაც ტერმინით «წარმოების ფასი», ე. ი. წარმოების ხარჯები (c+v) პლუს საშუალო მოგება. თვით ტერმინი «საშუალო ფასი» ამაზე მიგვი-

თითებს, რომ აქ ნაგულისხმევია «საშუალო საბაზრო ფასი მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდისათვის, ანუ ის ცენტრალური წერტილი, რომლისკენაც მიისწრაფვის საბაზრო ფასი», როგორც მარქსი განმარტავს შემდეგში, ამ ტომის მეორე ნაწილის 421 გვერდზე. პირველად ამ ტერმინს მარქსთან ვხვდებით ამ ტომის პირველი ნაწილის 81 გვერდზე. — **20.**

[8] წარმოების დროსა და სამუშაო დროს შორის არსებული იმ განსხვავების შესახებ, რასაც ადგილი აქვს, კერძოდ, მიწათმოქმედებაში, და ამასთან დაკავშირებით მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებათა შესახებ მარქსი წერდა 1857 — 1858 წლების თავის ხელნაწერში (იხ. K. Marx. «Grundrisse der Kritik der politischen Oekonomie». Moskau, 1939, S. 560 — 562). წარმოების პერიოდის ცნება (იმ პერიოდის აზრით, რომელიც სამუშაო დროის გარდა იმ დროსაც მოიცავს აგრეთვე, რომლის განმავლობაშიც შრომის საგანი მხოლოდ ბუნებრივი პროცესების ზეგავლენას განიცდის) დაწერილებით აქვს განხილული მარქსს «კაპიტალის» მეორე ტომში, განყოფილება მეორე, თავი 13 — **24.**

[9] ეს დახასიათება კაპიტალისტებისა როგორც ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი კონკურენტებისა და ამასთანავე «თანამოძმეებისა» მარქსმა დასასაბუთა «კაპიტალის» III ტომში, როცა გამოიკვლია მოგების ნორმის გათანაბრების პროცესი, რომლის დროსაც «ყოველი ცალკეული კაპიტალისტი, ისევე როგორც წარმოების ყოველი ცალკეული სფეროს ყველა კაპიტალისტთა ერთობლიობაც, მონაწილეობს მთელი კაპიტალის მიერ მთელ მუშათა კლასის ექსპლოატაციაში და ამ ექსპლოატაციის ხარისხში» (იხ. «კაპიტალი», ტომი III, ნაწ. I, თბილისი, 1959, გვ. 250); მარქსი წერს: «აქ ჩვენ გვაქვს მთელმატერიალურად ზუსტი დამტკიცება იმისა, თუ რატომაა, რომ კაპიტალისტები, რომლებიც ესოდენ ორგული ძმები არიან ერთმანეთისათვის ურთიერთშორის კონკურენციის დროს, ჭეშმარიტად მსონარ ძმურ კავშირს შეადგენენ მთელი მუშათა კლასის წინააღმდეგ» (იქვე, გვ. 252). — **26.**

[10] «ამ წიგნით» მარქსი გულისხმობს წიგნს «კაპიტალის შესახებ» — პირველს და ყველაზე ძირითად იმ ექვსი წიგნიდან, რომლებიდაც მას 1858 — 1862 წლებში გადწერაზე ჰქონდა დაეყო მთელი თავისი ეკონომიური ნაშრომი. (იხ. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», ქართ. გამოც., 1953, გვ. 7 და 15). — **27.**

[11] P. J. Stirling. «The Philosophy of Trade; or, Outlines of a Theory of Profits and Prices». Edinburgh, 1846, p. 209 — 210. — **31.**

[12] კერის ვულგარული კონცეფციის შესახებ, რომელიც რენტის განიხილავდა როგორც მიწათმოქმედებაში დაბანდებული კაპიტალის სარგებელს, მარქსი წერს შემდგომში (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 180 — 181, 185 და 212), აგრეთვე «კაპიტალის» III ტომში (იხ. «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, თბილისი, 1959, გვ. 203 და 388). — **32.**

[13] მიწათმოქმედების პროდუქტების მონოპოლიური ფასის შესახებ ბიუკენენის კონცეფციაზე მარქსი ლაპარაკობს ქვემოთ, ამ ტომის მეორე ნაწილის 210,

442 და 516 — 517 გვერდებზე. მიწის რენტაზე ჰოპკინსის შენიშვნებთან ანალიზს მარქსი იძლევა ამ ტომის მეორე ნაწილის 173 — 181 გვერდებზე. — 82.

14 მარქსს ციტატი მოჰყავს წიგნიდან: G. Opdyke. «A. Treatise on Political Economy». New York, 1851, p. 60. — 82.

15 იგულისხმება წიგნი: F. W. Newman. «Lectures on Political Economy». London, 1851, p. 155. — 38.

16 შემდეგ ხელნაწერი შეიცავს მონახაზს, რომელშიც მარქსს მოჰყავს ბამბის მომყვანის, მრთველისა და მქსოველის მაგალითი. ცალკე აღებული თვითეული მათგანის მიერ მიღებული მოგების საკითხიდან მარქსი გადადის მოგების ოდენობის საკითხის განხილვაზე და ვარაუდობს, რომ მქსოველი ამასთანავე ბამბის მომყვანიც-აა და მრთველიც. მაგრამ დაწერილმა არ დაკმაყოფილა მარქსი, დაწყებული მონახაზი მან შეწყვიტა, წაშალა იგი და უშუალოდ იქვე ჩამოაყალიბა ტექსტში მოყვანილი დაზუსტებული თავისი აზრი — 53.

17 მარქსს მხედველობაში აქვს ის ვრცელი ეკსკურსი ჯ. სტ. მილის შესახებ, რომელსაც VII და VIII რვეულები შეიცავს (ხელნაწერის 319 — 345 გვერდები). მარქსის მიერ შედგენილი «ზედმეტი ღირებულების თეორიების» დასათაურებისა და VII რვეულის ტექსტში მოცემული მისი მითითების შესაბამისად (გვ. 319) განყოფილება ჯ. სტ. მილის შესახებ გადატანილია ამ გამოცემაში «თეორიების» მესამე ნაწილში, თავში რიკარდოს სკოლის დაშლის შესახებ. ამ თავის მე-7 პარაგრაფში, რომელიც ჯ. სტ. მილისათვის არის განკუთვნილი, მარქსს ხელნაწერის 332 — 334 გვერდები მიძღვნილია იმ საკითხის გარკვევისადმი, ახდენს თუ არა გავლენას მოგების ნორმაზე ერთი კაპიტალისტის ხელში შეერთება მზა პროდუქტის წარმოებისა ამ პროდუქტისათვის შუალმავი კაპიტალის წარმოებასთან. — 53.

18 მარქსს მხედველობაში აქვს თავისი გამოკვლევის ის ნაწილი, რომელიც «კაპიტალის» მესამე ტომად იქცა. — 53.

19 მარქსი ამოწმებს პოლიტიკურ ეკონომიაზე ამონაწერების თავის XII რვეულს. რვეულის გარეკანზე მარქსის ხელით დაწერილია: «ლონდონი, 1851 წ., ივლისი». ამ რვეულის მე-14 გვერდზე ამოწერილია ჰოპკინსის წიგნიდან «Economical Enquiries relative to the Laws which Regulate Rent, Profit, Wages, and the Value of Money» (London 1822) ის ადგილი, რომელიც მარქსს აქ მხედველობაში აქვს და რომელსაც იგი შემდეგში იძლევა «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერის XIII რვეულის გარეკანზე (გვ. 669b). ამ გამოცემაში ეს ადგილი მოცემულია მეორე ნაწილის «დამატებებში» (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 788) — 62.

20 იმ «მნიშვნელობაზე, რაც ნედლეულის სიიაფეს თუ სიძვირეს აქვს ამ ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობისათვის», მარქსი ლაპარაკობს მე-17 შენიშვნაში ალნიშნულ იმ ვრცელ ეკსკურსში ჯ. სტ. მილის შესახებ (ხელნაწერის 335 — 339 გვერდები), რომელიც, მარქსის მითითებათა შესაბამისად, ამ გამოცემაში გადატანილია «ზედმეტი ღირებულების თეორიების» მესამე ნაწილში, თავში რიკარდოს სკოლის დაშლის შესახებ — 75.

21 T. R. Malthus. «Principles of Political Economy». 2nd edition, London, 1836, p. 268. მალთუსის ამ გამონათქვამს მარქსი იძლევა და განახილავს თავში «თ. რ. მალთუსი» «ზედმეტი ღირებულების თეორიების» მესამე ნაწილში (ხელნაწერის 765 — 766 გვერდები). — 80.

22 მარქსს მხედველობაში აქვს თავისი ხელნაწერის 335 — 336 გვერდებზე მოცემული მაგალითი. იმ ვრცელ ექსკურსში ჯ. სტ. მილის შესახებ, რომელზეც ლაპარაკი იყო მე-17 და მე-20 შენიშვნებში. — 90.

23 როდბერტუსიდან აღებულ ამ ციტატში მარქსმა შეიტანა ის «შესაბამისი ცვლილებანი», რაც როდბერტუსის მიერ მხედველობიდან გაშვებულ იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ მანქანებისა და წარმოების სხვა საშუალებათა ღირებულება ისევე აუცილებლად შედის მიწათმოქმედების პროდუქტში, როგორც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამშუშავებელი მრეწველობის პროდუქტში შედის ამ ნედლეულის ღირებულება. იმ სახით, რა სახითაც ეს ადგილი მოცემული აქვს როდბერტუსს, მარქსის მიერ იგი ციტირებულია ზემოთ (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 66). ტერმინი «Maschinenwert» («მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ის ღ ი რ ებ უ ლ ებ ა») არცთუ უიერონიმად აქვს შედგენილი მარქსს როდბერტუსისეული ტერმინის — «Materialwert»-ის («მასალის ღირებულება») ანალოგიით. ყველა სიტყვა, რაც მარქსს ეკუთვნის, ციტატის ტექსტში დაბეჭდილია დ ა ყ ო ფ ი თ. — 97.

24 ხელნაწერში შემდეგ მოცემულია პატარა ჩანართი «კაპიტალზე როგორც «სხვისი შრომის ლეგალიზებულ ასახვაზე»; ამ ჩანართის, რომელიც მარქსს კვადრატულ ფრჩხილებში მოუთავსებია, დართული აქვს მითითება იმის შესახებ, რომ იგი საჭიროა გადატანილ იქნეს სხვა ადგილას, როგორც გადმოცემის უშუალო კავშირის დამრღვევი ჩანართი. ამ გამოცემაში ეს ჩანართი მოთავსებულია ზემოთ, ამ ტომის მეორე ნაწილის 32 გვერდზე, სქოლიოს სახით. — 118.

25 ამ აბზაცში, სადაც მარქსი ჯერ მხოლოდ აწყვებს ნიადაგის შეფარდებითს ნაყოფიერებაზე (აბსოლუტური და დიფერენციული) რენტის ჯამის დამოკიდებულების შესახებ საკითხის გამოკვლევას, იგი წინასწარ ვარაუდობს, რომ რენტის ჯამი ნიადაგის ნაყოფიერების პირდაპირ პროპორციულია (იმ აზრით, რომ თუ ნიადაგის რომელიმე თანრიგი $^1/_5$-ით უფრო ნაყოფიერია მეორე თანრიგზე, მაშინ ამ თანრიგის რენტის ჯამიც ასევე $^1/_5$-ით მეტია ნაკლებნაყოფიერი თანრიგიდან მიღებული რენტის ჯამზე). შემდგომ გამოკვლევაში მარქსი უკვე ადარ ეყრდნობა ამ ვარაუდს და ნიადაგის შეფარდებითს ნაყოფიერებაზე რენტის ჯამის დამოკიდებულების დაზუსტებულ დაფორმულებას იძლევა.

თუ მარქსის ამ შემდგომი განმარტებების შესაბამისად ვიანგარიშებთ რენტის ჯამს II, III და IV თანრიგებისათვის და გამოვალთ იმ კვარტერების რაოდენობიდან, რასაც ეს თანრიგები იძლევიან და რაც ყველა თანრიგისათვის საერთო ფასის კვალობაზე, ე. ი. კვარტერი $^1/_8$ გირვ. სტერლინგად, იყოდება, მაშინ მივიღებთ II თანრიგისათვის 34 გირვ. სტერლინგს, III-თვის — 62 $^4/_5$ გირვ. სტერლინგს, IV-თვის — 97 $^9/_{25}$ გირვ. სტერლინგს. გაანგარიშება წარმოებს შემდეგნაირად: რადგან II თანრიგი $^1/_5$-ით უფრო ნაყოფიერია I

თანრიგზე, ამიტომ იგი იძლევა 360+72, ე. ი. 432 კვარტერს, რაც იყოფება $\frac{432}{3}$ გირვ. სტერლინგად, ე. ი. 144 გირვ. სტერლინგად; აქედან 110 გირვ. სტერლინგი შეადგენს წარმოების ხარჯებს პლუს საშუალო მოგება; მიწის რენტას (აბსოლუტური რენტის და დიფერენციული რენტის) წილად რჩება 34 გირვ. სტერლინგი. ზუსტად ასევე წარმოების გაანგარიშება III და IV თანრიგებისათვის.

რენტის ჯამის გამოანგარიშების დაზუსტებული მეთოდი ფართოდ აქვს გამოყენებული მარქსს XII თავში («დიფერენციული რენტის ცხრილები ახსნა-განმარტებებით»), მაგრამ ეს მეთოდი მობაზეულია უკვე ამ თავშიც, VIII თავში. ასე, მაგალითად, 109 გვერდზე, სადაც მარქსი ჯერ იმეორებს 101 გვერდზე მოცემულ ციფრს — $17^7/_{25}$ გირვ. სტერლინგს IV თანრიგიდან მიღებული რენტის ჯამისათვის და იძლევა ციფრს — $7^7/_{25}$ გირვ. სტერლინგს ამავე თანრიგის დიფერენციული რენტისათვის, იგი შემდეგ სწორ გზასაც სახავს IV თანრიგის დიფერენციული რენტის განსასაზღვრავად, სახელდობრ — $207^9/_{25}$ გირვ. სტერლ. მინუს 120 გირვ. სტერლ., ე. ი. $87^9/_{25}$ გირვ. სტერლინგს. თუ ამ სიდიდეს 10 გირვ. სტერლ. აბსოლუტურ რენტას მივუმატებთ, IV თანრიგის ერთობლივი რენტისათვის მივიღებთ $97^9/_{25}$ გირვ. სტერლ. სიდიდეს, რაც სავსებით შეესაბამება მარქსის შემდგომ დასკვნებს. — 122.

26 თავისი შრომის — «Cours d'économie politique», St.-Pétersbourg, 1815 — 78 — 79 გვერდებზე შტორხი წერს: «ყველაზე ნაყოფიერი მიწების რენტა განსაზღვრავს ყველა იმ სხვა მიწის რენტის ოდენობას, რომლებიც კონკურენციას უწევენ უნაყოფიერეს მიწებს. მანამდე, სანამ ყველაზე ნაყოფიერი მიწების პროდუქტი საკმარისია მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ნაკლებ ნაყოფიერი მიწები, უნაყოფიერეს მიწებს რომ კონკურენციას უწევენ, ვერ დამუშავდება, ყოველ შემთხვევაში, ისინი არ იძლევიან რენტას. მაგრამ როგორც კი მოთხოვნა გადაამეტებს პროდუქტის იმ რაოდენობას, რასაც ნაყოფიერი მიწები იძლევიან, პროდუქტის ფასი იზრდება, და შესაძლებელი ხდება ნაკლებნაყოფიერი მიწების დამუშავება და მათგან რენტის მიღება». შტორხის ამ შეხედულებაზე მარქსი ლაპარაკობს აგრეთვე «კაპიტალის» III ტომში (10 და 39 თავებში). — 122.

27 იმის შესახებ, რომ მიწათმოქმედების პროდუქტების საბაზრო ღირებულების საკითხში მართალი იყო რიკარდოც და შტორხიც და რომ ამავე დროს ისინი არ იყვნენ მართალნი, რადგან «სრულიად მხედველობიდან გაუშვეს საშუალო შემთხვევა», მარქსი წერს «კაპიტალის» III ტომის მე-10 თავის 30-ე შენიშვნაში. — 127.

28 ამ მაგალითში ორგვარი გაანგარიშების შესახებ იხ. შენიშვნა 25-ე. — 181.

29 მარქსი აქ მხედველობის გარეშე ტოვებს მოგებას, რომელიც I, II, III და IV თანრიგებში ავანსებულ სამეწარმოო-მქმედო კაპიტალს უწევს. თუ I თანრიგში 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი 330 ბუშელს აწარმოებს 6 შილ. 8 პენსის (ანუ $^1/_3$ ფირვ. სტერლინგის) კვალობაზე თვითეული ბუშელს, მაშინ ამ თანრიგის ერთობლივი პროდუქტის ღირებულება უდრის 110 გირვ. სტერლინგს, ე.

რადგან აქედან 10 გირვ. სტერლინგი უწევს რენტას, მოგებისათვის უკვე აღარაფერი რჩება. ზუსტად ასევე ოთხივე თანრიგის ცრუთობლივი პროდუქტის ღირებულებისათვის, როცა თვითეული მათგანში 100 გირვ. სტერ. იხარჯება, ჯამი 500 გირვ. სტერლინგის ოდენობით, რომელიც შედგება მხოლოდ დახარჯული კაპიტალის (400 გირვ. სტერლ.) ანაზღაურებისაგან და I, II, III და IV თანრიგების რენტათა ჯამისაგან, რაც 100 გირვ. სტერლინგს (10+20+ +30+40) შეადგენს. — 186.

30 რენტის ს ი მ ა ღ ლ ი ს (ნორმის) გადიდება იმ დიფერენციულ რენტათა წარმოქმნის შედეგად, რომელთაც უფრო ნაყოფიერ ნიადაგზე გამოყენებული კაპიტალები იხდიან, «მხოლოდ მოჩვენებითია» იმ აზრით, რომ იგი ემყარება «ცალკა სოციალურ ღირებულებას», რომელზეც მარქსი უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს «კაპიტალის» III ტომის 39-ე თავში (იხ. 1959 წლის ქართ. გამოც., გვ. 249 — 251). როგორც მარქსი შემდგომ ტექსტში განმარტავს, კაპიტალისტი, რომელიც იჯარით იღებს უფრო ნაყოფიერ მიწას, თავის პროდუქტს ყიდის ნაკლებნაყოფიერი მიწის პროდუქტის ფასის კვალობაზე, «თითქოს პროდუქტის იმავე რაოდენობის საწარმოებლად იგი უწინდებურად იმავე კაპიტალს საჭიროებდეს», რაც მას ნაკლებნაყოფიერ მიწაზე სჭირდება. — 186.

31 რიცხვები 90, 80 და 70 მარქსს, ჩანს, აღებული აქვს როგორც სხვაობანი II, III და IV თანრიგებში დაბანდებულ კაპიტალებსა და მათ მიერ მოცემულ დიფერენციულ რენტათა შორის (II თანრიგში 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი იძლევა 10 გირვ. სტერლ. დიფერენციულ რენტას, III თანრიგში — 20 გირვ. სტერლინგს, IV თანრიგში — 30 გირვ. სტერლინგს). თუ ზუსტ გაანგარიშებას მოვახდენთ და იქედან გამოვალთ, რომ II თანრიგის პროდუქტი უდრის 360 ბუშელს, III თანრიგის პროდუქტი — 390 ბუშელს და IV თანრიგის პროდუქტი — 420 ბუშელს, მაშინ ასეთ რიცხვებს მივიღებთ: $91^2/_3$ გირვ. სტერლ., $84^8/_{13}$ გირვ. სტერლ. და $78^4/_7$ გირვ. სტერლ. — 186.

32 ხელნაწერში ეს აბზაცი, მარქსის მიერ ფრჩხილებში მოთავსებული, ორი აბზაცით დაბლაა მოცემული (იმავე 492-ე გვერდზე) და შეჭრილია მცირე ისტორიულ ეჭსკურსში მიწის რენტის სიდიდის ცვლილებაზე პეტისა და დ'ავენანტის შეხედულებათა შესახებ. თავისი შინაარსით ფრჩხილებში მოთავსებული აბზაცი უერთდება მარქსის წინა მსჯელობას მიწათმოქმედების მწარმოებლობასა და მრეწველობის მწარმოებლობას შორის არსებულ თანაფარდობაზე. — 141.

33 მარქსს მხედველობაში აქვს ანდერსონის ნაშრომი «An Inquiry into the Nature of the Corn Laws; with a view to the new Corn-Bill proposed for Scotland», Edinburgh, 1777 — 148.

34 ლაპარაკია ადამ სმიტის თხზულებაზე «An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations», London, 1776. — 148.

35 ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს მ უ ზ ე უ მ ი — ინგლისის ეროვნული მუზეუმი (დაარსებული 1753 წელს), იმყოფება ლონდონში. მუზეუმის უმნიშვნელოვანეს ნა-

წილს შეადგენს მისი ბიბლიოთეკა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკაა მსოფლიოში. ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ მარქსი და ენგელსი. 1908 წლის მაის-ივნისში იქ მუშაობდა ვ. ი. ლენინი. რეპროდუქცია ინგლისური გრავიურისა, რომელიც გამოხატავს ბრიტანეთის მუზეუმის სამკითხველო დარბაზს, როგორიც იგი XIX საუკუნის შუა ხანში იყო, იხ. ამ ტომის I წიგნში 460—461 გვერდებს შორის. — **144.**

36 ლაპარაკია რიკარდოს წინასიტყვაობაზე, რომელიც მან თავისი წიგნის —«On the Principles of Political Economy, and Taxation» — პირველ გამოცემას გაუკეთა. იხ. D. Ricardo. «On the Principles of Political Economy, and Taxation». Third edition, London, 1821, p. VI—VII. — **144.**

37 [Th. R. Malthus.] «An Essay on the Principle of Population». London, 1798. — **145.**

38 მარქსს მხედველობაში აქვს ტაუნსენდის წიგნი «A Dissertation on the Poor Laws (London, 1786), საიდანაც მას ციტატები მოჰყავს 1861 — 1863 წლების თავისი ხელნაწერის (გვ. 112—113) III რვეულში, განყოფილებაში «აბსოლუტური ზედმეტი დირებულება». მარქსის მიერ ციტირებული ყველა სამი ადგილი მოცემულია აგრეთვე «კაპიტალის» I ტომის 23-ე თავში (იხ. 1954 წლის ქარხ. გამოც., 814—815). — **145.**

39 იხ. შენიშვნა 37-ე. — **150.**

40 ლაპარაკია მალთუსის ბროშურებზე «The Grounds of an Opinion on the Policy of Restricting the Importation of Foreign Corn» და «An Inquiry into the Nature and Progress of Rent» — **150.**

41 იგულისხმება 1815 წლის პურის კანონი, რომლითაც აკრძალული იყო პურის იმპორტი ინგლისში მანამდე, სანამ თვით ინგლისში პურის ფასი კვარტერზე 80 შილინგზე დაბლა რჩებოდა. — **150.**

42 გადაკეთებულ ნაგულისხმევია ვერნონელი ეკონომისტი · როშერი, ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი. — **152.**

43 ა ბ რ ა ა მ ა ს ა ნ ტ ა კ ლ ა რ ა ს სახელით ცნობილია ავსტრიელი მქადაგებელი და ლიტერატორი ულრიხ შეგერლე (1644—1709), რომელიც ცდილობდა კაპიტალიზმი ექადაგნა ფართო საზოგადოებისათვის მისწვდომი ფორმით და გამოდიოდა ‘ცუდნის საცხონებელი» ქადაგებით და ვითომ ხალხური სტილით შედგენილი მორალის შემცველი თხზულებებით. — **152.**

44 ხელნაწერში შემდეგ მოცემულია პატარა ჩანართი, სადაც მარქსი რეკომენდოს შეხედულებას ხელფასის დონეზე უპირისპირებს ამ საკითხზე მალთუსის შეხედულებას. ეს ჩანართი მოთავსებულია ზემოთ, ამ ტომის მეორე ნაწილის 152-ე გვერდზე, სქოლიოს სახით — **153.**

45 მარქსს მხედველობაში აქვს მაკ-კულოხის შრომა «The Literature of Political Economy: a Classified Catalogue of Select Publications in the Di-

fferent Departments of that Science, with Historical, Critical, and Biographical Notices», London, 1845. — 154.

46 მარქსი როშერს უმზოდებს უდიდესი ძველი ბერძენი ისტორიკოსის თუკიდიდეს სახელს იმასთან დაკავშირებით, რომ «ბატონმა პროფესორმა როშერმა მორიდებულად თავისი თავი პოლიტიკური ეკონომიის თუკიდიდედ გამოაცხადა», როგორც წერს მარქსი «ზედმეტი ღირებულების თეორიების» III ნაწილში (მარქსის ხელნაწერის 922-ე გვერდი). როშერის მიერ თუკიდიდეს უბოდიშო დამოწმება მოცემულია მისი წიგნის «Grundlagen der Nationalökonomie» წინასიტყვაობაში.

სახელწოდება «თუკიდიდე როშერი» უაღრესად ირონიული ხასიათისაა: როშერი, როგორც მარქსი გვიჩვენებს ამ თავში და მთელ რიგ სხვა ადგილს, უხეშად ამახინჯებდა როგორც ეკონომიურ ურთიერთობათა ისტორიას, ისე ეკონომიურ თეორიათა ისტორიასაც. — 154.

47 იგულისხმება 1815 წელს ლონდონში გამოსული შრომები უესტისა «Essay on the Application of Capital to Land, with Observations shewing the Impolicy of any great Restriction of the Importation of Corn» და რიკარდოსი «An Essay on the Influence of a Low Price of Corn on the Profits of Stock; shewing the Inexpediency of Restrictions on Importation». — 156.

48 W. Roscher. «System der Volkswirtschaft». Band I: «Die Grundlagen der Nationalökonomie». Dritte, vermehrte und verbesserte Auflage. Stuttgart und Augsburg, 1858, S. 191. — 157.

49 მარქსს მხედველობაში აქვს ჰოპკინსის წიგნი «Economical Enquiries relative to the Laws which Regulate Rent, Profit, Wages, and the Value of Money», London, 1822. სათანადო ადგილი ამ წიგნიდან მარქსს მოჰყავს ქვემოთ (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 180 — 181). — 160.

50 «ზედმეტი ღირებულების თეორიების» მომდევნო ტექსტში როშერის ამ შეხედულებათა განხილვას მარქსი აღარ დაბრუნებია. მაგრამ «თეორიების» მესამე ნაწილში, თავში «რიკარდოს სკოლის დაშლა», მარქსი იძლევა მაკ-კულოხის იმ ანალიზიურ ვულგარულ შეხედულებათა გაშლილ კრიტიკას, რომლებიც ჩამოყალიბდა — ისევე როგორც როშერის შეხედულებანიც — «მწარმოებლურ მომსახურებათა» იმ აპოლოგეტიკური კონცეფციის ძლიერი ზეგავლენთ, რომელიც ჟ. ბ. სეიმ წამოაყენა და რომელზეც მარქსი მომდევნო აბზაცში ლაპარაკობს. «კაპიტალის» I ტომში მარქსი ეხება როშერის შეხედულებას ბუნებაზე, როგორც ღირებულების ერთ-ერთ წყაროზე, მე-6 თავის 22-ე შენიშვნაში. იხ. აგრეთვე «კაპიტალის» III ტომი, თავი 48. (იხ. «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, ქართ. გამოც., 1959, გვ. 456 — 457). — 160.

51 ინგლისში სათემო მიწების «შემოღობვის» შესახებ მარქსი უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს «კაპიტალის» I ტომის 24-ე თავში (იხ. 1954 წლის ქართ. გამოც., გვ. 910 — 914). — 164.

52 ლასარაკია მოსახლეობის მალთუსისეულ თეორიაზე. — 186.

53 აქ მოცემული სიტყვები ეკუთვნის იტალიელ კამილო ტარელო დე ლეონატოს (XVI საუკ.), რომლის შეხედულებაც ამ საკითხზე ანდერსონმა მთლიანად გაიზიარა. — 186.

54 მარქსის მიერ ანდერსონიდან ციტირებული ადგილი ნაწილია იმ დიდი ნაწყვეტისა, რომელიც მაკ-კულოხს მოპყავს ანდერსონის წიგნიდან «An Inquiry into the Nature of the Corn Laws» (Edinburgh, 1777), სადაც მთელ ამ ნაწყვეტს უკავია 45 — 48 გვერდები. — 188.

55 «ნიადაგის ნაყოფიერება» მარქსს ესმის აქ როგორც ამ ნიადაგიდან მიღებული რენტის საერთო ჯამი. — 192.

56 J. Mill «Elements of Political Economy». London, 1821, p. 198. — 197.

57 «კაპიტალის» I ტომში, 24-ე თავში, მარქსი წერს იმის შესახებ, რომ 1801 — 1831 წლების მანძილზე ინგლისის სოფლის მოსახლეობას ჩამოართვა და «ლენდლორდებს ფიდასაც ლენდლორდებისაგან შემდგარმა პარლამენტმა» 3.511 770 აკრი სათესი მიწა (იხ. «კაპიტალი», I ტომი, ქართ. გამოც., 1954, გვ. 914). — 203.

58 იხ. «ფილოსოფიის სილატაკე», ქართ. გამოც., 1938, გვ. 144. — 205.

59 იქვე, გვ. 147. — 205.

60 იქვე, გვ. 150. — 206.

61 იქვე, გვ. 144. — 206.

62 «ასოციალ-ხალეურნეო მანქანები» როდბერტუსს აქ ესმის როგორც ნიადაგის თანრიგები, განსხვავებული ერთმანეთისაგან თავიანთი ნაყოფიერებით. ნიადაგთა შედარება სხვადასხვა ეფექტიანობის მქონე მანქანებთან როდბერტუსმა გადმოიღო მალთუსისაგან. — 208.

63 «ზედმეტი ღირებულების თეორიების» II ნაწილში ტერმინს «ხარჯთფასი» («Kostenpreis» ანუ «Kostpreis», «cost price») მარქსი ხმაროობს წარმოების ფასის, ანუ «საშუალო ფასის» ($c+v+$საშუალო მოგება) აზრით. ტერმინზე «საშუალო ფასი» იხ. შენიშვნა № 7.

პირველად ტერმინი «Kostenpreis» მარქსთან გვხვდება ამ ტომის პირველი ნაწილის 63 გვერდზე, მაგრამ იქ იგი ნახმარია საქონლის «წარმოების ობიექტური ხარჯების» ($c+v+m$) აზრით, რაც საქონლის ღირებულებას ემთხვევა.

«ზედმეტი ღირებულების თეორიებს» III ნაწილში ტერმინს «Kostenpreis» მარქსი ხმაროობს ხან წარმოების ფასის აზრით (ამ შემთხვევებში იგი ითარგმნება სიტყვებით «ხარჯთფასი»), ხან კი კაპიტალისტის მიერ გაწეული წარმოების ხარჯების აზრით, ე. ი. $c+v$-ის აზრით (ამ შემთხვევაში იგი ითარგმნება სიტყვებით «წარმოების ხარჯები»).

სამგვარი ხმარება ტერმინისა «Kostenpreis» იმით აიხსნება, რომ სიტყვა «Kosten» («ხარჯები», «წარმოების ხარჯები») ეკონომიურ მეცნიერებაში სამი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც ამას სპეციალურად აღნიშნავს მარქსი «ზედმეტი ღირებულების თეორიების» III ნაწილში (1861—1863 წლების ხელნაწერის 788—790 და 928 გვერდები): 1) იმის აზრით, რაც კაპიტალისტმა ავანსად გაიღო, 2) ავანსებული კაპიტალის ფასის პლუს საშუალო მოგების აზრით და 3) თვით საქონლისათვის წარმოების რეალური (ანუ იმანენტური) ხარჯების აზრით.

გარდა ამ სამი მნიშვნელობისა, რაც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსებთან გვხვდება, არის კიდევ მეოთხე, ვულგარული მნიშვნელობა ტერმინისა «წარმოების ხარჯები», რომლითაც მას ხმარობს ჟ. ბ. სეი, რომელმაც «წარმოების ხარჯები» განსაზღვრა როგორც «ისეთი რამ, რასაც შრომის, კაპიტალის და შიწის მწარმოებლური სამსახურისათვის იხდიან» (J. B. Say. «Traité d'économie politique». Seconde édition. Tome II, Paris, 1814, p. 453). «წარმოების ხარჯებისა» ამ ვულგარულ გაგების მარქსი გადაჭრით უარყოფს (იხ., მაგალითად, ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 169, 281—282 და 629). — **209.**

64 ციტატი აღებულია ა. სმიტის «ხალხთა სიმდიდრის» ბიუქენენის მიერ შესრულებული გამოცემის ერთ-ერთი შენიშვნიდან (Adam Smith. «An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations». In three volumes. With notes, and additional volume, by Dawid Buchanan. Vol. II, Edinburgh, 1814, p. 55). ბიუქენენის ეს მსჯელობა მოცემულია რიკარდოს «Principles» მე-2 თავში (სქოლიოში). — **210.**

65 D. Ricardo. «On the Principles of Political Economy, and Taxation». Third edition. London, 1821, p. 1—12. — **213.**

66 J. B. Say. «Traité d'économie politique». Cinquième édition. Tome I, Paris, 1826, p. LXXXIII—LXXXIV. ანდა J. B. Say. «Traite d'économie politique». Sixième édition. Paris, 1841, p. 41—**216.**

67 მარქსი რიკარდოს წიგნში იმ თავების რიცხვს, სადაც გადასახადებია განხილული, გარდა 12 თავისა (VIII—XVIII და XXIX), სადაც ლაპარაკია გადასახადებზე ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მიათვლის კიდევ ორ თავს— XXII და XXIII («პრემიები ტატანისათვის და შემოტანის აკრძალვისათვის და «პრემიები წარმოებისათვის»), სადაც აგრეთვე აღძრულია დაბეგვრის საკითხები: რიკარდოს თეორიის მიხედვით, პრემიას იხდიან იმ ფირდიან, რომელიც იქმნება მოსახლეობიდან შეგროვილი ამა თუ იმ გადასახადებით. — **216.**

68 იხ. შენიშვნა მე-18. — **220.**

69 «ს ა ე რ თ ო ო ბ ი ს მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ში შემავალი საარსებო საშუალებანი» მარქსს აქ ესმის, ერთი მხრივ, როგორც ინდივიდუალური მოხმარების ყველა საშუალება, მეორე მხრივ კი — როგორც დამხმარე მასალა, რომელიც საწარმოო მოხმარების საშუალებაა მანქანებისათვის (ნახშირი, წასასმელი ზეთი და ა. შ.). — **225.**

70 «წარმოების დროისა» და «ბრუნვის დროის» ცნებების შესახებ იხ. შენიშვნა № 8. — 232.

71 საშუალო მოგება შეადგენს 20 $^5/_{11}$%-ს იმ შემთხვევაში, თუ ფერმერისა და ფაბრიკანტის მიერ დახარჯული კაპიტალები ტოლია. თუ მხედველობაში მივიღებთ დახარჯული კაპიტალების სიდიდის სხვაობას — 800 გირვ. სტერლინგს ფერმერთან და 1300 გირვ. სტერლინგს ფაბრიკანტთან (სულ 2100 გირვ. სტერლინგს), — მაშინ ორივეს ერთთობლივი მოგების დროს, რაც 400 გირვ. სტერლინგს უდრის, საშუალო მოგება იქნება $\frac{400 \times 100}{2100} = 19^1/_{21}$ %, — 243.

72 მალთუსის, ტორენსის, ჯემს მილისა და მაკ-კულოხის შეხედულებათა შესახებ იხ. ამ ტომის მესამე ნაწილის სათანადო განყოფილებანი, — 249.

73 ინგლისურ კვარტერში (ფხვიერი სხეულების საზომი, რომელიც უდრის 290,9 ლიტრს) 8 ბუშელია. — 263.

74 მეწარმეთა სხვადასხვა ჯგუფებს «სიდიდეთა რიცხვი თუ პროპორციული თანაფარდობა» მარქსს ესმის აქ როგორც პროდუქციის რაოდენობა, რაც თვითეულ ამ ჯგუფს ბაზარზე გააქვს. — 267.

75 მარქსს მხედველობაში აქვს კორბეტის წიგნი «An Inquiry into the Causes and Modes of the Wealth of Individuals; or the Principles of Trade and Speculation Explained» (London, 1841), სადაც კორბეტი ამტკიცებს, რომ მრეწველობაში ფასს არეგულირებს საუკეთესო პირობებში წარმოებული საქონელი, ამასთან, მისი აზრით, ეს საქონელი შეადგენს სწორედ ამ სახეობის ყველა საქონლის უდიდეს მასას (გვ. 42 — 44). — 267.

76 ზემით, ამ ტომის მეორე ნაწილის 154-ე გვერდზე, მარქსს მოყვანილი აქვს ციტატი როშერის წიგნიდან «Die Grundlagen der Nationalökonomie»; ეს ციტატი მოწმობს, რომ როშერის შეხედულებანი მიწის რენტის ანდერსონისეული თეორიის გარშემო ბრძოლაზე და «ფულიან ადამიანებსა და მიწის მესაკუთრეებს შორის არსებული ანტაგონიზმზე» სრულიად არეულ-დარეულია. — 275.

77 იგულისხმება, რომ 10% მოგების საშუალო ნორმაა მოცემული ადგილას. — 286.

78 მარქსს მხედველობაში აქვს ჯემს სტიუარტის წიგნი «An Inquiry into the Principles of Political Oeconomy», vol. I, Dublin, 1770, სადაც ასახულია ინგლისის სოფლის ძირითადად ნატურალური მეურნეობიდან საქონლურ და კაპიტალისტურ მეურნეობაზე გადასვლის პროცესი, რომელსაც თან ახლავს მიწამთმოქმედების გადაქცევა კაპიტალისტური მეწარმეობის ერთ-ერთ დარგად, შრომის ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობაში და სოფლის მოსახლეობის ექსპროპრიაცია. სტიუარტის გამოთქმა «ადამიანები იწყებენ დროის დაფასებას» მოთავსებულია აღნიშნული წიგნის პირველი ტომის 171-ე გვერდზე. იგი, სტიუარტიდან აღებულ სხვა ციტატებთან ერთად, მოცემული აქვს

მარქსს აგრეთვე თავის 1857 — 1858 წლების ეკონომიურ ხელნაწერში (იხ. **K. Marx. «Grundrisse der Kritik der politischen Oekonomie». Moskau, 1939, S. 742).** — **801.**

79 მარქსს მხედველობაში აქვს ჰიულმანის წიგნი «**Städtewesen des Mittelalters», Thalle 1 — 4, Bonn, 1826 — 1829.** — **805.**

80 დებულება იმის შესახებ, რომ რენტის მთელი ჯამი (აბსოლუტური რენტა და დიფერენციული რენტა, ერთად აღებული) უდრის სხვაობას საბაზრო ფასსა და ხარჯთფასს შორის, უფრო დაწვრილებით აქვს განხილული მარქსს შემდეგში (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 385 — 386). — **805.**

81 სიდიდე $^{16}/_{65}$ გირვ. სტერლინგი მიიღება იმის შედეგად, რომ III-ის ტონა ნახშირის ინდივიდუალური ღირებულება, რაც $1^{3}/_{5}$ გირვ. სტერლინგს შეადგენს, გამოაკლდება ტონა ნახშირის ახალ საბაზრო ღირებულებას, რაც $1^{11}/_{13}$ გირვ. სტერლინგს უდრის. — **806.**

82 მარქსის წინა მაგალითები ეხებოდა არა მიწათმოქმედებას, არამედ სხვადასხვა მწარმოებლობის მქონე ნახშირის შახტების ექსპლოატაციას. მაგრამ ყოველივე ის, რაც ამ შახტებზე ითქვა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე მიწათმოქმედების მიმართაც სხვადასხვა ნაყოფიერების მქონე მიწებზე— **807.**

83 დიფერენციულ ღირებულებას (**Differentialwert**) მარქსი, როგორც ეგი ამას ქვემოთ (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 350) განმარტავს, უწოდებს სხვაობას საბაზრო ღირებულებასა და ინდივიდუალურ ღირებულებას შორის. დიფერენციულ ღირებულებას მარქსი განსაზღვრავს ცალკეული პროდუქტის მიმართ, დიფერენციულ რენტას კი — მოცემულ თანრიგში წარმოებული მთელი პროდუქტის მიმართ. თუ ცალკეული პროდუქტის საბაზრო ღირებულება უფრო მეტია მის ინდივიდუალურ ღირებულებაზე, მაშინ სხვაობა იქნება დადებითი სიდიდე; თუ ეგი ინდივიდუალურ ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ ეს სხვაობა იქნება უარყოფითი სიდიდე. აქედან წარმოდგება ნიშნები + და — კრუბსის ცხრილში, რომელსაც მარქსი იძლევა ხელნაწერის 574-ე გვერდზე (იხ. ამ ტომის მეორე ნაწილის 353 — 354 გვერდებს შორის ჩაწებებული ფურცელი.

ცხრილებში *C*, *D* და *E* ხელნაწერის 572-ე გვერდზე (ამ ტომის მეორე ნაწილის 341 გვერდზე) მარქსი სვამს ნიშნებს + და — იმ რიცხვების წინ, რომლებიც გამოხატავენ (ფირფანტა სტერლინგებით) დიფერენციული რენტის სიდიდეს. მაგალითად, *C* ცხრილში, გრაფაში «დიფერენციული რენტა» მოცემულია უარყოფითი სიდიდე «— $9^{3}/_{13}$ გირვ. სტერლ.». ეს ნიშნავს, რომ მოცემულ შუამთვლელში I თანრიგის ნაყოფიერება ისე მცირეა, რომ ამ თანრიგის მიწაზე არსებული საბაზრო ღირებულების პირობებში არათუ არ იძლევიან არავითარ დიფერენციულ რენტას, არამედ აბსოლუტური რენტაც კი ეცემა აქ მის ნორმალურ სიდიდეზე გაცილებით უფრო დაბლა. I *C* შემთხვევაში აბსოლუტური რენტა უდრის მხოლოდ $^{10}/_{13}$ გირვ. სტერლინგს, ე. ი. იგი $9^{3}/_{13}$ გირვ. სტერლინგით უფრო დაბალია მის ნორმალურ სიდიდეზე, რომელიც მოცემულ მაგალითში 10 გირვ. სტერლინგს შეადგენს.

კრებსითს ცხრილში ხელნაწერის 574-ე გვერდზე მარქსი უარყოფითი დიფერენციული რენტის ამავე მოგლენას უარყოფითი დიფერენციული ღირებულების შემწეობით გამოხატავს, გრაფაში კი «დიფერენციული რენტა» ამ შემთხვევებში წერს უბრალოდ ციფრს «0», რაც იმას ნიშნავს, რომ აქ არ არსებობს **დადებითი** დიფერენციული რენტა (მთელ რიგ შემთხვევებში კი მოცემულია **უარყოფითი** დიფერენციული რენტა, რომელიც მეღავნდება აბსოლუტური რენტის სიდიდის სათანადო შემცირებით, რაც ასახულია გრაფაში «აბსოლუტური რენტა»). უარყოფითი სიდიდეების გადატანა გრაფაში «დიფერენციული ღირებულება» თავიდან გვაშორებს ამ უხერხულობას, რომელიც შეიქმნა *C* ცხრილში ხელნაწერის 572-ე გვერდზე, როცა საპირო იყო სხვადასხვა თანრიგის დიფერენციულ რენტათა შეერთება: ჯამში შევიდა მხოლოდ დადებითი დიფერენციული რენტანი ნიშნით +, უარყოფითი სიდიდე კი «— $9^3/_{13}$ გრივ. სტერლ.» დიფერენციულ რენტათა შეჯამებისას, ორმაგი ანგარიშის თავიდან ასაცილებლად, განიხილებოდა უბრალოდ როგორც ნული. ამიტომ უარყოფით დიფერენციულ რენტათა გამოსაანგარიშებლად მარქსმა თავის კრებსითს ცხრილში შეიტანა განსაკუთრებული რუბრიკა: «ტონის დიფერენციული ღირებულება», რაშიც აგრეთვე უარყოფითი დიფერენციული ღირებულებანიც შედის. — **342.**

34 უშუალოდ ამ სიტყვებს შემდეგ მარქსი ხელნაწერის 573-ე გვერდზე იძლევა *A*, *B*, *C* და *D* ცხრილების შედარებას ყველა ახლახან ჩამოთვლილი რუბრიკის მიხედვით მათი გაშლილი ფორმით. ხელნაწერის შემდგომ, 574-ე, გვერდზე მარქსს ერთიანი კოდეკ გადაუწერია, უფრო მწყობრი სახით, ყველა მოცემული ცხრილი *A*, *B*, *C* და *D* და დაუმატებია მათთვის *E* ცხრილის სათანადო მონაცემები. შედეგად მიღებულია ერთიანი კრებსითი ცხრილი, რომელიც მოთავსებულია ამ ტომის მეორე ნაწილის 353 — 354 გვერდებს შორის ჩაწებებულ ფურცელზე. ხელნაწერის 573-ე გვერდზე მარქსის მიერ მოხსენიებული შედარება ამავე მონაცემებისა *A*, *B*, *C* და *D* ცხრილებისათვის მთლიანად შესულია კრებსითს ცხრილში და ამიტომ ტექსტები აღარ არის ცალკე მოცემული. — **342.**

35 თულინსმეები «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». პირველი ნაკვეთი. ხელ. ქართ. ეამოც., 1952, გვ. 73 — 75. — **344.**

36 მარქსის მიერ მოცემულ მაგალითში ავანსებული კაპიტალის ორივე შემადგენელ ნაწილში პროპორციულად თანაბრად შედის პროდუქტი, რომლის წარმოებაც დამოკიდებულია მიწის საკუთრებაზე. მარქსი ვარაუდობს აქ, რომ მუუნვადად მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის გადადებისა (88c ნაცვლად 80c-ისა, ნედლეულის ტაძვირების გამო, და 22v ნაცვლად 20v-ისა, მუშების მოხმარების საგანთა ტაძვირების გამო), ერთობლივი პროდუქტის საბაზრო ღირებულება უწონდებეურად 120 დალრა (მეორე მაგალითში, რომელიც განხილულია ამ ტომის მეორე ნაწილის 367 — 378 გვერდებზე, მარქსი პირიქით, საბაზრო ღირებულების ცვლილებიდან გამოდის). მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ამ ტაძვირების შედეგად ერთობლივი პროდუქტის წონადელი საბაზრო ღირებულების შვნარჩენებისას კაპიტალისტის მიერ მითვისებული ზედმეტი ღირებულება შემცირდა 20-დან 10-მდე და შესაბამისად — 10 ერთეუ-

ლით — გადადგა დიფერენციული რენტა, რომელიც უფრო ნაყოფიერ ნაკვეთებზე ყალიბარდა ნაკლებად ნაყოფიერი ნაკვეთების ექსპლოატაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ამრიგად, ახლადშექმნილი ღირებულება, რაც უწონდებურად 40-ს უდრის (რადგან წარმოების წესი უწონდელი დარჩა), აქ შემდეგ გადანაწილებას განიცდის: 10 ერთეული შეადგენს ახლა კაპიტალისტის კუთვნილ ზედმეტ ღირებულებას, 20 ერთეული ხმარდება ცვალებადი კაპიტალის ანაზღაურებას, 10 ერთეული კი — დიფერენციული რენტის გადიდებას, რაც იმის შედეგად ხდება, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება იზრდება რვა ერთეულით და ცვალებადი კაპიტალის ღირებულება — ორი ერთეულით.

შემდეგში, ხელნაწერის 684 — 686 გვერდებზე (ამ ტომის მეორე ნაწილის 609 — 614 გვერდები), მარქსი ანალოგიურ შემთხვევას განიხილავს ისეთი საშოწათმოქმედო კაპიტალის მაგალითზე, რომლის პროდუქტიც თავისი ნატურალური ფორმით შედის ამ კაპიტალის მუდმივი და ცვალებადი ნაწილის ელემენტების წარმოქმნაში. — 368.

87 ამ გაანგარიშების შედეგნისას, რომელსაც თვით მარქსი უშუალოდ შემდგომ აბზაცში «შეუძლებელს» უწოდებს, მარქსი იქიდან გამოდითდა, რომ ბამბის რიგაში ახლადმიმატებული შრომა უდრის 40 გირვ. სტერლინგს, და ამით დაუშაყოფილდა, რომ გირვანქა სტერლინგების ეს რაოდენობა დაყო აუცილებელ და ზედმეტ შრომად იმ ვარაუდის შესაბამისად, რომ აუცილებელი ხელფასი $^1/_3$-ით იზრდება. გაანგარიშება გამოვიდა შეუძლებელი იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში — როცა კაპიტალი 100 გირვ. სტერლინგია — არ შეიძლება უცვლელად დარჩეს მუშების წონანადელი რიცხვი (20 კაცი) და მათ მიერ ახლადმიმატებული შრომის წონანადელი ჯამი (40 გირვ. სტერლ.). რაკი აუცილებელი ხელფასი, ვარაუდის თანახმად, $^1/_3$-ით გადიდდა, 100 გირვ. სტერლ. კაპიტალს უკვე აღარ შეუძლია 20 მუშის დაქირავება, არამედ იმუშავებულია მათი რიცხვი $18^3/_4$-მდე შემცირის, როგორც ამას კიდეც ვარაუდობს მარქსი თავის შემდგომ გამოანგარიშებაში. მუშების რიცხვის შეცვლა კი იწვევს ყველა სხვა ცვლილებასაც გაანგარიშებაში, რომელიც II შემთხვევას ეკუთვნის. ეს გაანგარიშება მიიღება შემდეგნაირად. თუ წინათ 1 მუშა 1 გირვ. სტერლინგი ჯდებოდა, ახლა იგი ჯდება $1^1/_3$ გირვ. სტერლინგი, 20 მუშა კი ჯდება ახლა $26^2/_3$ გირვ. სტერლინგი. მაშასადამე, ნარჩის წარმოება რომ წინანდელი მასშტაბით გაგრძელდეს, საჭიროა კაპიტალი $106^2/_3$ გირვ. სტერლინგის რაოდენობისა, რომელსაც აქვს შედგენილობა $80c+26^2/_3v$. 100 გირვ. სტერლინგზე გადაანგარიშებით კაპიტალის შედგენილობა იქნება $75c+25v$. — 374.

88 მარქსი ხმარობს აქ, ასევე ზოგჯერ შემდეგშიც, ტერმინს «Produktionskosten» წარმოების ხარჯების აზრით პლუს საშუალო მოგება, ე. ი. ბარგთფასის (წარმოების ფასის) აზრით. ანალოგიური ხმარება ტერმინისა «Produktionskosten» გვხვდება აგრეთვე «კაპიტალის» III ტომის სხვადასხვა ცალკეულ ადგილებსაც. იხ. K. Marx. «Das Kapital». 3-ter Band, 2-ter Theil, Hamburg, 1894, S. 192, 213, 271 — 273 (იხ. «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, თბილისი, 1959, გვ. 240, 265, 342 — 344). — 383.

89 იხ. შენიშვნა 26-ე. — 384.

90 უეიფილდის კოლონიზაციის თეორიის შესახებ იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი». ტომი I, თავი 25. — 396.

91 წინა თავში მარქსმა გვიჩვენა, რომ I თანრიგი *D* ცხრილში «სრულიად პასიურ როლს ასრულებს» (გვ. 384); «ის კი არ განსაზღვრავს ბაზარს, არამედ ამას აკეთებენ, მის წინააღმდეგ. IV, III, II თანრიგები» (გვ. 387), რომლებიც «ავანსით ზეგავლენით ბაზარზე პროდუქტის სამაზრო ღირებულებას აჩერებენ I თანრიგის პროდუქტის ინდივიდუალური ხარჯთფასის დონეზე, ე. ი. გაცილებით უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე ამ პროდუქტის ინდივიდუალური ღირებულების დონეა. — 422.

92 სამაზრო ხარჯთფასი (the market cost-price) მარქსს ესმის როგორც საერთო ხარჯთფასი, რომელიც ირეგულირებს საქონელთა სამაზრო ფასებს გარკვეულ წარმოების სფეროში. იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 160, სადაც სამაზრო ხარჯთფასი აღნიშნულია სახელწოდებებით: «საერთო საშუალო ფასი», «სამაზრო საშუალო ფასი», — 428.

93 432 — 433 გვერდზე დაბეჭდილი კრებსითი ცხრილის უკანასკნელ გრაფაში, ასევე ტექსტის 434 გვერდზე «აბსოლუტურ რენტაში» მარქსი გულისხმობს აბსოლუტური რენტის ნორმას. — 464.

94 «The Morning Star» («დილის ვარსკვლავი») — ინგლისური ყოველდღიური გაზეთი, ფერმერდელერების ორგანო; გამოდიოდა ლონდონში 1856-დან 1869 წლამდე. — 435.

95 რიკარდო რენტის უწოდებს «ღირებულების წარმონაქმნს» («a creation of values») იმ აზრით, რომ იგი შესაძლებლობას აძლევს მიწის მესაკუთრეებს თავიანთ განკარგულებაში მიიღონ მოელი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების ის ნაგატი, რომელიც, რიკარდოს მიხედვით, იმის შედეგად წარმოიქმნება, რომ იზრდება პურის ამა თუ იმ ნაწილის წარმოების სიძველე, და რომელსაც რიკარდო «ნომინალურს» უწოდებს, რამდენადაც საზოგადოების სიმდიდრე ამით სრულიად არ მატულობს. თავისი წიგნის 32-ე თავში რიკარდო აკრიტიკებს მალთუსის შეხედულებას რენტაზე როგორც «წმინდა მოგებაზე და სიმდიდრის ახალ შექმნაზე» და აყენებს დებულებას იმის შესახებ, რომ რენტა არაფერს არ უმატებს საზოგადოების სიმდიდრეს მთლიანად, არამედ იგი მხოლოდ «გადატანაა პურისა და საქონელთა ღირებულების ნაწილისა მათი წინანდელი მფლობელებიდან მიწის მესაკუთრეებზე».

უფრო სრული სახით ეს აზრები რიკარდოს შრომიდან «Principles» მარქსს ციტირებული აქვს შემდეგში — ამ ტომის მეორე ნაწილის 737 — 738 გვერდზე. იგი ამოსავალი წერტილი გახდა მარქსის მოძღვრებისათვის: «ცალკერი სოციალური ღირებულებისა» შესახებ (იხ. «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, 1959, გვ. 250 — 251). შეად. აგრეთვე შენიშვნა 30-ე. — 464.

96 მარქსს მხედველობაში აქვს როდბერტუსის დებულება იმის შესახებ, რომ მიწათმოქმედების პროდუქტის წარმოების ხარჯებში არ შედის ნედლეულის ღირებულება. იხ. ეს ტომი, თავი VIII, § 4. — 455.

97 ეს სტრიქონი მარქსის მიერ ჩამატებულია უკვე მას შემდეგ, რაც მან დაწერა ნაწყვეტი, რომელიც ეხება სმიტის შეხედულებებს სახლების რენტაზე (მარქსის ხელნაწერის 641-ე გვერდი). — 487.

98 სმიტიდან აღებულ ორივე ციტატს, რომელთაც ეს ნაწყვეტი შეიცავს, მარქსი იძლევა არა ფრანგული ფრანგული გამოცემის მიხედვით, საიდანაც მარქსს ციტატები მოჰყავს სმიტიდან ამ ტომის მეორე ნაწილში, არამედ ინგლისურ ენაზე, რიკარდოს წიგნიდან «On the Principles of Political Economy, and Taxation» (მესამე გამოცემა, თავი მე-14) — 488.

99 მარქსს მხედველობაში აქვს 230-ე გვერდი რიკარდოს წიგნისა «On the Principles of Political Economy, and Taxation», third edition, London, 1821. — 488.

100 შემდეგ ხელნაწერში მოცემულია ნაწყვეტი, სადაც გაანალიზებულია რიკარდოს გამონთქვამები რენტის რიკარდოსეულ გაგებაზე. ეს ნაწყვეტი, რომელიც წინა ტექსტისაგან გამოყოფილია ხაზით, დამატებაა იმ თავებისა, სადაც განხილულია რიკარდოს რენტის თეორია; თავისი შინაარსით იგი ეკუთვნის მეცამეტე თავს, სადაც მოთავსებულია კოდიც ამ გამოცემაში (იხ. 419 გვერდი).

ამ ნაწყვეტს ხელნაწერში მოსდევს მრგვალ ფრჩხილებში მოთავსებული დამატება ხარჯთფასის რიკარდოსეული თეორიის იმ ანალიზისა, რომელსაც მარქსი იძლევა მეათე თავში, სადაც ეს დამატება გადატანილია ამ გამოცემაში (იხ. 281 — 282 გვერდები). — 497.

101 შემდეგ ხელნაწერში (გვ. 641) მოცემულია ნაწყვეტი, რომელიც ეხება სმიტის შეხედულებებს სახლების რენტაზე. ეს ნაწყვეტი გადატანილია ამ გამოცემაში მეთოთხმეტე თავში (იხ. 488 გვერდი). — 518.

102 «ამის შემდეგ ხელნაწერში (642-ე გვერდის ბოლო და 643-ე გვერდის დასაწყისი) მოდის ნაწყვეტი, რომელიც ეხება ერთიმეორის სპირისპირო ცვლილებებს მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებაში. ეს ნაწყვეტი, რომელიც მარქსის ხელნაწერის 640 — 641 გვერდების დამატებაა, მოთავსებულია ამ ტომის მეორე ნაწილის 510 — 513 გვერდებზე. — 515.

103 მონოპოლიური ფასის ამ განმარტებას რიკარდო იძლევა თავის «Principles» (მესამე გამოცემა, 289 — 290 გვ.) მე-17 თავში. მონოპოლიური ფასის ანალოგიური განმარტება, რასაც ა. სმიტი იძლევა, მარქსს მოცემული აქვს ზემოთ, ამ ტომის მეორე ნაწილის 464 — 465 გვერდებზე. — 517.

104 მარქსს მხედველობაში აქვს რიკარდოს წიგნის «On the Principles of Political Economy, and Taxation» (third edition) პირველი თავის IV და V

განყოფილებანი, სადაც რიკარდო იკვლევს საკითხს იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს ხელფასის გადიდებას ან შემცირებას არაერთნაირი ორგანული შედგენილობის მქონე კაპიტალების მიერ წარმოებულ საკონელთა «შეფფარდებით ღირებულებებზე». ამ ორი განყოფილების დაწვრილებითი კრიტიკული განხილვა მარქსმა მოგვცა ამ ტომის მეორე ნაწილის 226 — 261 გვერდებზე. — 522.

168 მარქსს მოხაზული აქვს აქ მაგალითის სახით ერთ-ერთი მიმართულება, რომლითაც შეიძლება მიმდინარეობდეს პროცესი სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანული შედგენილობის მიახლოებისა სამრეწველო კაპიტალის ორგანულ შედგენილობასთან. ამოსავალ წერტილად მარქსს აღებული აქვს

$60c + 40v$ — სამიწათმოქმედო კაპიტალისათვის,

$80c + 20v$ — არასამიწათმოქმედო კაპიტალისათვის.

მარქსი ვარაუდობს, რომ სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების გადიდების გამო მუშების რიცხვი მიწათმოქმედებაში ერთი მეოთხედით მცირდება. იკვლება, მაშასადამე, სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანული შედგენილობა: პროდუქტზე, რომელიც წინათ 100 ერთეული კაპიტალის — $60c + 40v$ — დახარჯვას მოითხოვდა, ახლა საჭიროა დაიხარჯოს მხოლოდ 90 ერთეული კაპიტალი — $60c + 30v$, რაც 100-ზე გადაანგარიშებით ძლევა $66^2/_3c + 33^1/_3v$-ს. ამრიგად, კაპიტალის ორგანული შედგენილობა მიწათმოქმედებაში მიუახლოვდებოდა კაპიტალის ორგანულ შედგენილობას მრეწველობაში.

მარქსი შემდეგ ვარაუდობს, რომ მიწათმოქმედებაში დასაქმებული მუშების რიცხვის შემცირების პარალელურად ხდება აგრეთვე ხელფასის შემცირებაც ერთი მეოთხედით, რაც გამოიმობებულია პურის გაიაფებით. ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელფასი იმავე პროპორციით შემცირდებოდა აგრეთვე მრეწველობაშიც. მაგრამ ხელფასის შემცირებამ უფრო დაბალი შედგენილობის მქონე სამიწათმოქმედო კაპიტალზე უფრო მეტად უნდა იქონიოს გავლენა, ვიდრე არასამიწათმოქმედო კაპიტალზე. ეს გამოიწვევდა სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობისა და სამრეწველო კაპიტალის შედგენილობას შორის არსებული სხვაობის ახალ შემცირებას.

სამიწათმოქმედო კაპიტალი $66^2/_3c + 33^1/_3v$ ხელფასის $^1/_4$-ით შემცირებისას გადაიქცევა კაპიტალად $66^2/_3c + 25v$, რაც 100-ზე გადაანგარიშებით იძლევა $72^8/_{11}c + 27^3/_{11}v$-ს.

არასამიწათმოქმედო კაპიტალი $80c + 20v$ ხელფასის $^1/_4$-ით შემცირებისას გადაიქცევა კაპიტალად $80c + 15v$, რაც 100-ზე გადაანგარიშებით იძლევა $84^1/_{19}c + 15^{15}/_{19}v$-ს.

მიწათმოქმედებაში დასაქმებული მუშების რიცხვისა და ხელფასის შემდგომი შემცირებისას სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანული შედგენილობა სულ უფრო მიეახლოვდებოდა არასამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანულ შედგენილობას.

როცა ამ ჰიპოთეზურ შემთხვევას განიხილავს, მარქსი — იმ გავლენის გასარკვევად, რასაც შრომის ნაყოფიერების ზრდა მიწათმოქმედებაში სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე ახდენს, — უყურადღებოდ ტოვებს აქ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების იმავდროულ, ხშირად კიდევ უფრო სწრაფ ზრდას, რომელიც გამოიხატება სამრეწველო კაპიტალის

ორგანული შედგენილობის შემდგომი გადიდებით სამიწათმოქმედო კაპიტალთან შედარებით. სამრეწველო კაპიტალისა და სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანულ შედგენილობას შორის თანაფარდობის შესახებ იხ. ზემოთ გვერდები 12 — 15, 113 — 114, 128 — 129, 132 — 133, 138 — 141, 317 — 318 — **528.**

106 ხელნაწერის ნუმერაციაში მარქსს გამოტოვებული აქვს ციფრი 649. — **528.**

107 თავისი ხელნაწერის შემდგომ (653-ე) გვერდზე მარქსი უბრუნდება სეის «ღირებულებასა» ამის გამო, რომ რიკარდო მუშის შესანახად საჭირო საარსებო საშუალებებით «შრომის ღირებულების» განსაზღვრისას იმოწმებს მიწოდებისა და მოთხოვნის კანონს. ამასთან მარქსი ასახელებს რიკარდოს წიგნის ფრანგულ თარგმანს, რომელიც შეასრულა კონსტანსიომ და რომელსაც შენიშვნები დაურთო სეიმ. მარქსს აქ დაშვებული აქვს უზუსტობა. სეი თავის შენიშვნებში რიკარდოს ტექსტის შესახებ «ღირებულიანობს» იმის გამო, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის მეშუამავლობით რიკარდო ფ უ ლ ი ს ღირებულებას განსაზღვრავს. შესაბამისი ადგილი სეის შენიშვნებიდან მარქსს ციტირებული აქვს «ფილოსოფიის სიღატაკეში» (იხ. ქართ. გამოც., 1938, გვ. 81 — 82). იგი აღებულია წიგნიდან: **D. Ricardo. «Des principes de l'économie politique et de l'impôt». Traduit de l'anglais par Constancio, avec des notes explicatives et critiques par J. B. Say. Tome II, Paris, 1835, p. 206 — 207. — 528.**

108 იხ. შენიშვნა 107-ე. — **535.**

109 მარქსი იმოწმებს ჯემს დიკონ იუმის ბროშურას **«Thoughts on the Corn-Laws» (London,** 1815). იუმი ლაპარაკობს ადამ სმიტის დებულებაზე, რომ «შრომის ფასი განსაზღვრება პურის ფასით» და წერს: «როცა დ-რ სმიტი პურზე ლაპარაკობს, მას მხედველობაში აქვს საკმელი საერთოდ,.. სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტი» (გვ. 59). — **537.**

110 მარქსს მხედველობაში აქვს თავისი ხელნაწერის ის განყოფილება, რომელიც იწყება III რვეულში 95b გვერდზე და დასათაურებულია «2) აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება». ის ადგილი, მარქსი რომ იმოწმებს, მოთავსებულია ამ განყოფილების ქვეგანყოფილებაში *d*) შემდეგი სათაურით «ერთდროული სამუშაო დღეები» (მარქსის ხელნაწერის 102 — 104 გვერდები). — **548.**

111 მარქსს მხედველობაში აქვს ოცი მუშის მიერ ახლადშექმნილი ღირებულება: ამ ოცი მუშის ერთი სამუშაო საათი ქმნის 2 გირვ. სტერლ. ღირებულებას, 14-საათიანი სამუშაო დღე კი ქმნის 28 გირვ. სტერლ. ღირებულებას. — **550.**

112 ერთობლივი პროდუქტის ღირებულება შეიცავს პროდუქტზე გადატანილ ღირებულებას (*c*) და ახლადშექმნილ ღირებულებას (*v+m*). რადგან მარქსი უყურადღებოდ ტოვებს მოცემულ შემთხვევაში ძირითად კაპიტალს, გადატანილი ღირებულება დაყვანილია ნედლეულის ღირებულებაზე. განსაზღვრელ მაგალითში ნედლეულის ღირებულება უდრის 93⅓ გირვ. სტერლინგს (ერთ

საათში ნართად ვადამუშავდება $133^{1}/_{3}$ გირვანქა ბამბა, 14 საათში — $1866^{2}/_{3}$ გირვანქა; 1 გირვანქა ბამბა ღირს 1 შილინგი). ახლადშექმნილ ღირებულებასთან ერთად (28 გირვ. სტერლ.) ეს შეადგენს $121^{1}/_{3}$ გირვ. სტერლინგს. — 550.

113 იხ. შენიშვნა მე-20. — 585.

114 მარქსს აქ მხედველობაში ჰყავს რიკარდოს ისეთი კრიტიკოსები, როგორიც არის ჟ. ბ. სეი, რომელიც რიკარდოს ამას უსაყვედურებდა, რომ იგი თავის მსჯელობას საფუძვლად უდებს «აბსტრაქტულ პრინციპებს, რომელთაც მეტისმეტად საყოველთაო მნიშვნელობა ენიჭებათ», რის შედეგადაც ისეთი დასკვნები მიიღება, რომლებიც რეალურ სინამდვილეს არ შეესაბამებიანო (J. B. Say. «Traité d'économie politique». Sixième édition, Paris, 1841, p. 40 — 41). — 586.

115 ციფრი $51^{11}/_{29}$ ტონა მიიღება შემდეგი გაანგარიშების შედეგად: თუ $16^{2}/_{3}$ მუშა-E ცხრილს III თანრიგში $62^{1}/_{2}$ ტონას აწარმოებს, მაშინ $137^{29}/_{117}$ მუშა-შრომის ამავე ნაყოფიერების დროს დაამზადებს $\frac{13^{29}/_{117} \times 62^{1}/_{2}}{16^{2}/_{3}}$, ე.ი. $51^{11}/_{29}$ ტონას. — 611.

116 იხ. შენიშვნა მე-11. — 617.

117 მარქსს მხედველობაში აქვს წიგნი: W. Blake. «Observations on the Effects produced by the Expenditure of Government during the Restriction of Cash Payments». London, 1823. ამონაწერები ამ წიგნიდან ტექსტში აღძრულ საკითხზე მარქსის შენიშვნებით მოცემულია 1857 — 1858 წლების მისეკონომიურ ხელნაწერში (იხ. K. Marx. «Grundrisse der Kritik der politischen Oekonomie». Moskau 1939, S. 672 — 673). — 618.

118 ოგულისტმები მსოფლიო გამოფენა ლონდონში, რომელიც გაიხსნა 1862 წლის 1 მაისს; გამოფენაზე ნაჩვენები იყო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნიმუშები, ხელოვნების ნაწარმოებები და მეცნიერების უახლესი მიღწევები. — 618.

119 მარქსი აქ ხელმეორედ აღნიშნავს იმ ადგილს რიკარდოს «Principles»-ში, სადაც სიტყვა «მწარმოებელი» («producer») ნახმარია «მუშის» აზრით (რიკარდოს მიერ ეს გაიგივება ცნებებისა «მწარმოებელი» და «მუშა» პირველად აღნიშნა მარქსმა ზემოთ, 563 გვერდზე). თავისი წიგნის სხვა ადგილას რიკარდო სიტყვას «მწარმოებელი» ხმარობს «მეწარმე-კაპიტალისტის» აზრით (იხ., მაგალითად, რიკარდოს წიგნიდან ციტირებული ადგილები ტექსტში 565, 573 და 736 გვერდებზე). — 621.

120 აქ ციტირებულ რიკარდოს შენიშვნას მოგებასა და სარგებელს შორის არსებულ თანაფარდობაზე სეის შეხედულებათა შესახებ მარქსი გამოყენებთ იძლევა თავისი ხელნაწერის 736-ე გვერდზე და მას, როგორც ისეთს, რაც არ ეკუთვნის 736-ე გვერდზე აღნიშნულს, კვადრატულ ფრჩხილებში თავსებს და რიკარდოს დასკვნის სიტყვებს («ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ი გ ა რ ე მ ო ე ბ ა

ვერ აიძულებს მათ ადგილების ცვლას») ურთავს რეპლიკას: «უკანასკნელი ფარკვეული ფარეშოებებში» ნამდვილად მცდარია».

«კაპიტალის» III ტომში (თავი 22-ე) მარქსი გვიჩვენებს კაპიტალისტური ციკლის სხვადასხვა ფაზაში მოგების ნორმისა და სარგებლის განაკვეთის ერთიმეორის საპირისპირო მოძრაობათა შესაძლებლობას. მარქსი წერს: «თუ ჩვენ ბრუნვის ციკლებს განვიხილავთ, რომლებშიაც თანამედროვე მრეწველობა მოძრაობს,.. მაშინ დავინახავთ, რომ სარგებლის დაბალი დონე მეტწილად შეესაბამება აყვავების ან ზემოგების პერიოდებს, სარგებლის აწევა— აყვავებიდან გადასვლას მის შემცველ შემობრუნებაზე, ხოლო სარგებლის მაქსიმუმი, რომელიც უკიდურეს სავაჭრო საზღვარს აღწევს, შეესაბამება კრიზისს» (იხ. «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. I, თბილისი, 1959, გვ. 455). — **629.**

121 აქ მარქსი უბრუნდება იმ საკითხს, რომელსაც იგი შეეხო ამ ტომის მეორე ნაწილის 498 — 499 და 583 — 586 გვერდებზე, — საკითხს იმ გაგლენის შესახებ, რასაც მოგების საშუალო ნორმაზე და შესაბამისად ხარჯთფასზე აბდენს უფრო მაღალი, ვიდრე მეტროპოლიაში, მოგება, რომელიც კოლონიური და საერთოდ საგარეო ვაჭრობის შედეგად მიიღება. ამ საკითხში, როგორც მარქსი გვიჩვენებს, ადამ სმიტს უფრო სწორი შეხედულება ჰქონდა, ვიდრე. რიკარდოს. შედ. აგრეთვე «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. I, თბილისი, 1959, გვ. 301 — 303. — **630.**

122 ეს შაგალითი იმ ვარაუდს ემყარება, რომ შრომის გადიდებული ნაყოფიერების დროს თესლის სახით დახარჯული 20 კვარტერი ხორბლიდან მიიღება 50%-ით უფრო მეტი მოსავალი, ვიდრე უწინ. თუ უწინ მოსავალი, ვთქვათ, 100 კვარტერს შეადგენდა, ახლა, შრომის წინანდელი რაოდენობის დახარჯვისას, იგი შეადგენს 150 კვარტერს, მაგრამ ეს 150 კვარტერი იმდენივე ღირს, რამდენიც უწინ 100 კვარტერი ღირდა, ე. ი. 300 გირვ. სტერლინგი. უწინ თესლი შეადგენდა მოსავლის 20%-ს (როგორც კვარტერების რაოდენობის, ისე ღირებულების მიხედვით), ახლა იგი შეადგენს მხოლოდ 13⅓%-ს. — **636.**

123 ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები «ინილე მაკ-კულოხი» მარქსს ჩაუწერია მოგვიანებით (ფანქრით). 1867 წლის 24 აგვისტოს წერილში ენგელსისადმი მარქსი იმოწმებს თავის 1862 წლის 20 აგვისტოს თარიღით მისთვის გაგზავნილ წერილს, რომელშიც მან პირველად გამოთქვა აზრი დაგროვების მიზნებისათვის ს ა ა მ ო რ ტ ი ზ ა ც ი ო ფ ო ნ დ ი ს გამოყენების შესახებ, და აცნობებს ენგელსს, რომ მ ო გ ვ ი ა ნ ებ ი თ მან მონახა მაკ-კულოხთან ამ საგანზე ზოგი რამ გადაკვრით ნათქვამი. მარქსს მეხედველობაში აქვს მაკ-კულოხის წიგნი **«The Principles of Political Economy», Edinburgh,** 1825, p. 181 — 182. «ზედმეტი ღირებულების თეორიების» მესამე ნაწილში მარქსი უბრუნდება ამ საკითხს თავისი ხელნაწერის 777 და 781 გვერდებზე. — **644.**

124 იგულისხმება «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». პირველი ნაკვეთი. იხ. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», თბილისი, 1952, გვ. 121 — 122, 185 და 191 — 193. — **661.**

125 J. B. Say. **«Traité d'économie politique». Seconde édition. Tome II, Paris,** 1814, p. 382: «პროდუქტებს ყიდულობენ პროდუქტებით».

ლის თითქმის სიტყვასიტყვით ამეორებს რიკარდო შემდეგ ერთ ადგილას (670 გვერდზე), რომელიც ციტირებულია მისი «Principles»-დან (third edition, London, 1821, p. 341). მარქსი აკრიტიკებს მას «ზედმეტი ღირებულების თეორიების» შემდგომ ტექსტში (იხ. ეს ტომი, ნაწილი II, გვ. 669 — 673 და ნაწილი III, თავი «რიკარდოს სკოლის დაშლა», მარქსის ხელნაწერის 811-ე გვერდი). — 662.

126 მარქსს მხედველობაში აქვს ჯემს მილის მსჯელობანი მუდმივ და აუცილებელ თანასწორობაზე წარმოებასა და მოხმარებას შორის, მაწოდებასა და მოთხოვნას შორის, ყიდვათა ჯამსა და გაყიდვათა ჯამს შორის; ამ მსჯელობას შეიცავს მისი წიგნის — «Elements of Political Economy», London, 1821, p. 186-195 — მე-4 თავის მე-3 ქვაყოფილება. ჯემს მილს ეს შეხედულება (რომელიც პირველად გამოთქვა მან თავის ბროშურაში «Commerce Defended», London, 1808) მარქსს განხილული აქვს უფრო დაწვრილებით თავის წიგნში «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». პირველი ნაკვეთი, საქონელთა მეტამორფოზის განყოფილებაში (იხ. ქართ. გამოც., 1953, გვ. 121 — 122). — 662.

127 [S. Bailey.] «A Critical Dissertation on the Nature, Measures, and Causes of Value», London, 1825, p. 71 — 93. — 664.

128 W. Roscher. «System der Volkswirtschaft». Erster Band: «Die Grundlagen der Nationalökonomie». Dritte Auflage, Stuttgart und Augsburg, 1858, S. 368 — 370. — 668.

129 იხ. შენიშვნა 126-ე. — 675.

130 «ზედმეტი ღირებულების თეორიებისა» პირველ ნაწილში მარქსი შემდეგნაირად განსაზღვრავს გამოთქმას «თავის ფასზე დ ა ბ ლ ა»: «თავის ფასზე დ ა ბ ლ ა, — მისი [საქონლის] ღირებულების გამომხატველი ფულის რაოდენობაზე ნაკლებად» (იხ. ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 379). — 676.

131 მარქსს მხედველობაში აქვს «საქონელთა მეტამორფოზი» თავისი წიგნის «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» პირველ ნაკვეთში. იხ. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», თბილისი, 1953, გვ. 106 — 122, განსაკუთრებით გვ. 117 — 122. — 680.

132 მარქსს მხედველობაში აქვს თავისი გამოკვლევის ის ნაწილი, რომელიც შემდეგში «კაპიტალის» შესაბამ ტომად იქცა. — 688.

133 მოკლე შენიშვნები კრიზისის ფორმების შესახებ მალე ამის შემდეგ მარქსმა მოიხსნა XIII რვეულის (ხელნაწერის 770a გვერდი) და XIV რვეულის (771a და 861a გვერდები) გარეკანზე. ამ გვერდების ტექსტი მოთავსებულია ზემოთ (მე-11 პარაგრაფში: «კრიზისის ფორმების საკითხისათვის») თანახმად მარქსის ჩანაწერისა: «716-ე გვერდის შესახებ». — 695.

134 ხელნაწერში შემდეგ მოდის მეცხრე ჩანართი ფულსა და საცვლელ ღირებულებაზე რიკარდოს შეხედულებათა შესახებ. ეს ჩანართი მარქსს მოთავსე-

ბია ფრჩხილებში და თან დაურთავს მითითება იმის შესახებ, რომ საჭირო მისი გადატანა სხვა ადგილას, რადგან იგი გადმოცემის უშუალო კავშირს არღვევს. ამ გამოცემაში ეს ჩანართი მოთავსებულია ზემოთ, 676 გვერდზე, ტექსტქვეშა შენიშვნის სახით. — 698.

135 D. Ricardo. «On the Principles of Political Economy, and Taxation». Third édition. London, 1821, p. 339: «...მოთხოვნა ზღვარდებულია მხოლოდ წარმოებით» (ეს ადგილი უფრო ვრცელ კონტექსტში ციტირებული აქვს მარქსს ზემოთ, 662 — 663 გვერდებზე), და p. 347: «... არ არსებობს საზღვარი მოთხოვნისათვის, არ არსებობს საზღვარი კაპიტალის გამოყენებისათვის...» (ეს ადგილი უფრო ვრცელ კონტექსტში ციტირებულია მარქსის მიერ ზემოთ, 665 — 666 გვერდებზე). — 698.

136 მარქსს მხედველობაში აქვს 1861 — 1863 წლების თავისი ხელნაწერის I — V რვეულები, რომლებიც უშუალოდ წინ უძღვის ამ ხელნაწერში «ზედმეტი ღირებულების თეორიებს», განსაკუთრებით განყოფილებანი აბსოლუტური ზედმეტი ღირებულებისა და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების შესახებ. — 700.

137 D. Ricardo. «On the Principles of Political Economy, and Taxation». Third édition. London, 1821, p. 342: «...ამ საშუალებათა მოცემა სხვას არაფერს შეუძლია, თუ არა წარმოების გადიდებასა» (ეს ადგილი უფრო ვრცელ კონტექსტში ციტირებულია მარქსის მიერ ზემოთ, 678 გვერდზე), და p. 339 — 340: «... ნაკლებმოსალოდნელია, რომ იგი მუდამ დაამზადებს ისეთ საქონელს, რომლის მოთხოვნაც არ არის» (ეს ადგილი უფრო ვრცელ კონტექსტში ციტირებულია მარქსის მიერ ზემოთ, 662 და 674 გვერდებზე). — 701.

138 ხელნაწერში შემდეგ მოცემულია ფრჩხილებში მოთავსებული მოკლე ჩანართი, რომელიც შეიცავს ნაწილობრივი კრიზისის მაგალითს — სართაგი მანქანების შემოღებით გამოწვეული ნართის ჭარბწარმოებას. ამ გამოცემაში ეს ჩანართი მოთავსებულია ზემოთ, 699 გვერდზე, ტექსტქვეშა შენიშვნის სახით. — 708.

139 მარქსს მხედველობაში აქვს სეის მსჯელობა (მის წიგნში «Lettres à Malthus», Paris, 1820, p. 15) იმის შესახებ, რომ თუ, მაგალითად, იტალიაში შეიმჩნევა ბაზრის პირთამდე ავსება ინგლისური საქონლით, ამის მიზეზია არასაკმაო წარმოება იმ იტალიური საქონლისა, რომლის გაცვლაც ინგლისურ საქონელზე შესაძლებელი იქნებოდა. სეის ეს მსჯელობა ციტირებულია ანონიმურ ტრაქტატში «An Inquiry into those Principles...» (London, 1821, p. 15) და გვხვდება მარქსის შიერ ამ წიგნიდან — «An Inquiry into those Principles...» — აღებულ ამონაწერებში მის ჩანაწერთა XII რვეულში, გვ. 12. შეად. აგრეთვე სეის თეზისი იმის შესახებ, რომ «შეფერხების ზოგიერთი პროდუქტის ვასაღებაში იწვევს ზოგიერთი სხვა პროდუქტის შეფეთებასა»; ეს თეზისი მარქსს განხილული აქვს ამ ტომის პირველი ნაწილის 309 გვერდზე. — 718.

½. 52. კ. მარქსი. ტ. IV, ნაწ. II.

140 Th. Tooke. «A History of Prices, and of the State of the Circulation». Volumes I — VI, London, 1838 — 1857. ფასებზე ამინდის პირობების გავლენაზე ტუკი ლაპარაკობს ამ ექვსტომიანი შრომის მთელ რიგ სხვადასხვა ადგილას, კერძოდ 1848 წელს გამოსული IV ტომის დასაწყისში. — 716.

141 სისმონდი კრიზისებს ხსნიდა «მზარდი დისპროპორციით წარმოებასა და მოხმარებას შორის» (J. G. L. Simonde de Sismondi. «Nouveaux Principes d'Economie politique». Seconde édition. Tome I, Paris, 1827, p. 371). «ანტი-დიურინგში» ენგელსმა აღნიშნა, რომ «არასაკმარისი მოხმარებით კრიზისების ახსნა პირველად სისმონდიმ მოგვცა და მის ნაწერებში მას კიდევ ჰქონდა ერთგვარი აზრი» (იხ. «ანტი-დიურინგი», სახელგამი, 1952, გვ. 343), «კაპიტალის» მეორე ტომის წინასიტყვაობაში კი ენგელსს ციტირებული აქვს სისმონდის «Nouveaux Principes»-დან შემდეგი ადგილი სისმონდის თვალსაზრისის სალუსტრაციოდ: «ამრიგად, მეცხრრიცხოვან მესაკუთრეთა ხელში სიმდიდრის კონცენტრაციის გამო, შინაგანი ბაზარი სულ უფრო ვიწროვდება, და მრეწველობა სულ უფრო იძულებული ხდება გასაღება ეძიოს უცხო ბაზარზე, სადაც მას უდიდესი შერყევის განცდა მოელის» (იხ. «კაპიტალი», ტ. II, სახელგამი, 1957, გვ. 20). საკითხს კრიზისებზე სისმონდის შეხედულებათა შესახებ მარქსი უბრუნდება «ზედმეტი ღირებულების თეორიების» მესამე ნაწილში და აღნიშნავს როგორც მნიშვნელოვან ელემენტებს სისმონდის კონცეფციაში, ისე ამ კონცეფციის დამახასიათებელ ძირითად ნაკლოვანებებსაც (იხ. განსაკუთრებით, თავში მალთუსის შესახებ მარქსის ხელნაწერის 775-ე გვერდი). — 717.

142 ეს ადგილი უკვე არის რიკარდოს «Principles» პირველ გამოცემაში, რომელიც 1817 წელს გამოვიდა. — 730.

143 J. Steuart. «An Inquiry into the Principles of Political Oeconomy». Vol. I, Dublin, 1770, p. 396. ეს ადგილი ციტირებულია მარქსის მიერ 1857 — 1858 წლების მის ეკონომიურ ხელნაწერში (იხ. K. Marx. «Grundrisse der Kritik der politischen Oekonomie». Moskau, 1930, S. 666). იხ. აგრეთვე ეს ტომი, ნაწილი I, გვ. 19, და «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, თბილისი., 1959, გვ. 404. — 742.

144 ალბათ, რიკარდოს აქ მხედველობაში აქვს თავისი სიტყვა, წარმოთქმული ინგლისის თავმჯდომარეობაში 1819 წლის 16 დეკემბერს ფილიპ დე კრისპინის იმ წინადადების გამო, რომელიც მოითხოვდა კომისიის შექმნას უმუშევრობის ლიკვიდაციისა და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ რობერტ ოუენის მიერ წამოყენებული ვეგეშის შესასწავლად.

თავის სიტყვაში რიკარდო ამტკიცებდა, რომ «მანქანები არ ამცირებენ შრომის მოთხოვნას» (The Works and Correspondence of David Ricardo. Edited by P. Sraffa. Vol. V, Cambridge, 1952, p. 30). — 744.

145 «რეალური ხელფასის» («real wages») ცნების შესახებ — რიკარდოს თვალსაზრისის მიხედვით — იხ. ამ ტომის მეორე ნაწილში გვერდები 536, 540, 558, 567 — 568 და 586. — 746.

146 «The Standard» («დროშა») — ყოველდღიური ინგლისური კონსერვატიული გაზეთი, დაარსდა ლონდონში 1827 წელს. — 770.

147 იგულისხმება სტატია «ამერიკა ფამოფენაზე», რომელიც დაიბეჭდა (ავტორის დაუსახელებლად) 1862 წლის 19 სექტემბრის გაზეთ «Standard»-ის 5 — 6 გვერდზე. 1862 წლის მსოფლიო გამოფენის შესახებ იხ. შენიშვნა 118-ე. — 770.

148 «ზედმეტი ღირებულების თეორიების» მეორე ნაწილის დამატებათა სახით დაბეჭდილი მოკლე შენიშვნები დაწერილია მარქსის მიერ XI, XII და XIII რვეულების გარეკანზე. ისინი შეიცავენ დამატებითს მასალას «თეორიების» მეორე ნაწილის ძირითად ტექსტში განხილულ ზოგიერთ საკითხზე. — 782.

სახელთა საძიებელი

ბ

ა ბ რ ა ა მ ა ს ა ნ ტ ა კ ლ ა რ ა (Abraham a Santa Clara) (ულრიხ მ ე გ ერ ლ ე ს ფსევდონიმი) (1644 — 1709)—ავსტრიელი კათოლიკური მქადაგებელი და ლიტერატორი. — 152.

ა ნ დ ე რ ს ო ნ ი (Anderson), ჯეკმს (1739 — 1808) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, რომელმაც ზოგადად დაამუშავა დიფერენციული რენტის თეორია. — 32, 33, 109, 143—147, 153 — 158, 164, 167, 186 — 191, 205, 209, 211, 307 — 308, 309, 310, 314, 318, 425, 791.

ა რ ბ ა ტ ნ ო ტ ი (Arbuthnot), ჯონ — ინგლისელი ფერმერი XVIII საუკუნის ეკონომისტი-პრაქტიკოსი. — 785, 786.

ბ

ბ ა ნ ფ ი ლ დ ი (Banfield), თომას ჩარლზ (1795 — 1880) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი. — 18.

ბ ა რ ტ ო ნ ი (Barton), ჯონ (XVIII საუკუნის დასასრული — XIX საუკუნის პირველი ნახევარი) — ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი. — 733, 738, 752 — 753, 772 — 782.

ბ ა ს ტ ი ა ნ ი (Bastian), ადოლფ (1826—1905) — გერმანელი ბურჟუაზიული ეთნოგრაფი. — 157.

ბ ე ი ლ ი (Bailey), სამუელ (1791 — 1870) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და ფილოსოფოსი; პოლიტიკური ეკონომიის ვულგარული პოზიციებიდან გამოდიოდა რიკარდოს შრომითი თეორიის წინააღმდეგ; ამასთანავე სწორად შეამჩნია ზოგიერთი წინააღმდეგობა რიკარდოს ეკონომიურ შეხედულებებში. — 157, 213, 220, 223, 533, 535, 536, 664.

ბ ი უ კ ე ნ ნ ი (Buchanan), დავიდ (1779 — 1848) — ინგლისელი პუბლიცისტი და ბურჟუაზიული ეკონომისტი, ა. სმიტის მიმდევარი და კომენტატორი. — 32, 210, 516, 517, 523.

ბ ლ ე ი კ ი (Blake), უილიამ — XIX საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისელი ეკონომისტი, ავტორი შრომებისა ფულის მიმოქცევის შესახებ. — 617, 618.

დ

დ ა ვ ე ნ ა ნ ტ ი (Davenant), ჩარლზ (1656 — 1714) — ინგლისელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი, მერკანტილისტი. — 142, 164.

დ ა რ ვ ი ნ ი (Darwin), ჩარლზ რობერტ

(1809 — 1882) — დიდი ინგლისელი ბუნების მკვლევარი, მეცნიერული ევოლუციური თეორიის ფუძემდებელი. — 148, 153.

დ ე კ ვ ი ნ ს ი (De Quincey), ტომას (1785 — 1859) — ინგლისელი მწერალი და ეკონომისტი, რიკარდოს კომენტატორი; მისი შრომები ასახავენ რიკარდოს სკოლის დაქვეითებას და დაშლას. — 567, 569, 615, 616.

დ ო მ ბ ა ლ ი (Dombasle), ქრისტოფ ჟოზეფ ალექსანდრ მ ა ტ ი ე დ ე (1777 — 1843) — ცნობილი ფრანგი აგრონომი. — 19, 20.

ე

ე მ ე რ ი (Emery) (XIX საუკ.) — ამერიკელი გამომგონებელი და მეწარმე. — 770.

ი

ი უ მ ი (Hume), დავიდ (1711—1776) — ინგლისელი ფილოსოფოსი, სუბიექტური იდეალისტი, აგნოსტიკოსი, ბურჟუაზიული ისტორიკოსი და ეკონომისტი, მერკანტილიზმის მოწინააღმდეგე, ფულის რაოდენობითი თეორიის ერთ-ერთი ადრინდელი წარმომადგენელი. — 158.

ი უ მ ი (Hume), ჯემს დიკონ (1774 — 1842) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ფრიდრიხ ედერი. — 537, 789, 790.

ი უ ნ გ ი, (Young), არტურ (1741 — 1820) — ინგლისელი აგრონომი და ბურჟუაზიული ეკონომისტი. — 177.

ი უ რ ი (Ure), ენდრიუ (1778—1857) — ინგლისელი ქიმიკოსი, ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტი, ავტორი რიგი შრომებისა მრეწველობის ეკონომიკის დარგში. — 668.

კ

კ ე ნ ე (Quesnay), ფრანსუა (1694 — 1774) — დიდი ფრანგი ეკონომისტი; ფიზიოკრატების სკოლის დამაარსებელი; პროფესიით ექიმი. — 48.

კ ე რ ი (Carey), ჰენრი ჩარლზ (1793 — 1879)—ამერიკელი ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტი, კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასობრივი ინტერესების ჰარმონიის რეაქციული თეორიის ავტორი. — 32, 203, 216, 414, 789.

კ ი ნ გ ი (King), გრეგორი (1648 — 1712) — ინგლისელი სტატისტიკოსი. — 782.

კ ი რ ხ მ ა ნ ი (Kirchmann), იულიუს (1802 — 1884) — გერმანელი იურისტი და ფილოსოფოსი. — 194.

კ ო ბ ე ტ ი (Cobbett), უილიამ (1762 — 1835) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი, წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გამოდიოდა ინგლისის პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაციის დასაცავად. — 152, 156.

კ ო ნ ს ტ ა ნ ს ი ო (Constancio), ფრანსისკო სოლანო (1772 — 1846) — პორტუგალიელი ექიმი, დიპლომატი და მწერალი; თარგმნიდა ფრანგულ ენაზე ინგლისელი ეკონომისტების შრომებს. — 585.

კ ო რ ბ ე ტ ი (Corbet), თომას — XIX საუკუნის ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი. — 267, 312, 668.

ლ

ლ უ დ ო ვ ი კ ო XIV (1638 — 1715) — საფრანგეთის მეფე (1643 — 1715). — 177.

ლ უ დ ო ვ ი კ ო XV (1710 — 1774) — საფრანგეთის მეფე (1715 — 1774). — 177.

ლ უ დ ო ვ ი კ ო XVI (1754 — 1793)— საფრანგეთის მეფე (1774 — 1792), დასჯილ იქნა სიკვდილით საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის

დროს XIX საუკუნის დასასრულს. — 177.

მ

მაკ-კორმიკი (MacCormick), საირეს ჰოლ (1809 — 1884) — ამერიკელი გამომგონებელი. — 771.

მაკ-ულოხი (MacCulloch), ჯონ რამსი (1789 — 1864) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, რიკარდოს ეკონომიური მოძღვრების ვულგარიზატორი, კაპიტალიზმის მზურველი პოლოგეტი. — 144, 154, 157, 188, 249, 251, 644.

მალთუსი (Malthus), თომას რობერტ (1766 — 1834) — ინგლისელი მღვდელი, ეკონომისტი, გაბურჟუაზებული მიწათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგი, კაპიტალიზმის პოლოგეტი, მოსახლეობის კაკლიმოძღვარ თეორიის მქადაგებელი. — 28, 32, 80. 143 — 155, 177, 186, 211, 217, 249, 259 — 260, 438, 454, 525, 531, 557, 567, 650, 724, 735, 773, 782, 785, 799, 790.

მილი (Mill), ჯემს (1773 — 1836) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და ფილოსოფოსი, რიკარდოს თეორიის ვულგარიზატორი; ამასთანავე ამ თეორიიდან იგი ზოგიერთ რადიკალურ დასკვნას აკეთებდა. — 661, 662, 675, 677.

მილი (Mill), ჯონ სტიუარტ (1806 — 1873)—ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და ფილოსოფოს-პოზიტივისტი, პოლიტიკური ეკონომიის ვულგარული სკოლის ეპიგონი; ჯემს მილის შვილი. — 53, 156, 673.

ნ

ნიუმენი (Newman), ფრენსის უილიამ (1805 — 1897) — ინგლისელი ფილოლოგი და პუბლიცისტი, ბურჟუაზიული რადიკალი, ავტორი რიგი შრომებისა რელიგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე. — 18, 38, 426.

ო

ოვიდიუსი (პუბლიუს ოვიდიუს ნაზონ) (43 ჩვ. წელთაღრიცხვამდე — დაახლ. 17 ჩვ. წელთაღ-სა) — გამოჩენილი რომაელი პოეტი. — 157.

ოპდაიკი (Opdyke), ჯორჯ (1805—1880) — ამერიკელი მეწარმე, ბურჟუაზიული ეკონომისტი. — 32.

პ

პეტი (Petty), უილიამ (1623 — 1687) — გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი ინგლისში. — 142, 164.

პრუდონი (Proudhon), პიერ ჟოზეფ (1809 — 1865) — ფრანგი პუბლიცისტი, ეკონომისტი და სოციოლოგი, წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი, ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. — 11, 205.

რ

რამსეი (Ramsay), ჯორჯ (1800 — 1871) — ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი. — 776.

რიკარდო (Ricardo), დავიდ (1772—1823) — ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის უდიდესი წარმომადგენელი. — 10, — 13, 23, 28 — 33, 46, 63, 76, 85, 104, 108, 109, 115, 117, 118, 127, 129, 132, 133, 134, 137 — 138, 143, 144, 148 — 159, 164, 168, 169, 180, 186, 192 — 194, 197 — 205, 209 — 242, 244 — 266, 269 — 278, 282 — 284, 287 — 289, 296,

306 — 316, 318 — 326, 330, 353, 355 — 359, 393 — 395, 404 — 421, 422 — 429, 434 — 435, 437 — 454, 467, 469, 476, 481, 484, 489, 496, 498 — 507, 513 — 517, 522 — 526, 527 — 544, 546, 549, 553 — 588, 591, — 593, 600, 601, 604, 609, 611, 615 — 630, 631, 635, 652, 653, 659—663, 666 — 676, 678, 679, 695, 698, 699, 700, 701, 704 — 710, 716 — 727, 729 — 753, 756 — 764, 767 — 769, 772 — 774, 776, 778.

როდბერტუსი-აგეცოი (Rodbertus-Jagetzow), იოჰან კარლ (1805—1875) — გერმანელი ეულგარული ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე, გაბურჟუებული პრუსიის იუნკერების იდეოლოგი, პრუსიის ფახელმწიფო სოციალიზმის რეაქციული იდეების მქადაგებელი. — 5, 6, 15, 20, 23, 47—48, 50, 56, 61 — 77, 79, 80 — 81, 83 — 88, 94, 95, 97 — 100, 102 — 109, 111 — 115, 118, 124, 126, 132—135, 142, 143, 157, 161 — 163, 192—208, 231, 307, 309 — 310, 312, 318, 455, 785.

როშერი (Roscher), ეილჰელმ გეორგ ფრიდრიხ (1817 — 1894) — გერმანელი ეულგარული ეკონომისტი, ლიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკურ ეკონომიაში ეგრეთწოდებული ისტორიული სკოლის დამაარსებელი. — 153 — 157, 168, 169, 274 — 275, 668.

ს

სეი (Say), ჟან ბატისტ (1767—1832) — ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ეულგარული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი. — 169, 214 — 216, 281, 504, 533, 535, 586, 628, 629, 661, 662 — 663, 670, 672, 674, 713, 740, 743.

სისმონდი (Sismondi), ჟან შარლ ლეონარ სისმონდ დე (1773 — 1842) — შვეიცარიელი ეკონომისტი, კაპიტალიზმის წვრილბურჟუაზიული კრიტიკოსი, ეკონომიური რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. — 148, 504, 717.

სმიტი (Smith), ადამ (1723—1790) — ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. — 23, 116, 133, 158, 193, 194, 199, 209 — 210, 213 — 217, 219, 220, 249, 260, 274, 276, 278, 281 — 306, 310, 314, 319, 320 — 321, 324, 407, 408, 414, 421, 423, 424, 438 — 439, 444, 446 — 497, 498, 501, 517, 528 — 534, 537 — 539, 542, 553, 554, 559, 562, 567, 570, 583 — 586, 622, 627 — 630, 631, 693, 659, 666, 668, 669 — 670, 704 — 708, 725, 740, 743, 761, 773, 775, 785.

სტირლინგ (Stirling), პატრიკ ჯემს (1809 — 1891) — ინგლისელი ეულგარული ეკონომისტი. — 31, 617.

სტიუარტი (Steuart), ჯემს (1712—1780) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, მერკანტილიზმის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი. — 143 — 145, 152, 158, 301, 742.

ტ

ტარელო დე ლეონატო (Tarello de Leonato), კამილო (XVI საუკ.) — იტალიელი აგრობიოლოგი. — 186.

ტაუნსენდი (Townsend), ჯოზეფ (1739 — 1816) — ინგლისელი მღვდელი, გეოლოგი და სოციოლოგი, ქადაგებდა მოსახლეობის ანტიმეცნიერულ თეორიას, რომელიც შეჭიდეში მალთუსმა გადმოიღო. — 145, 152.

ტორენსი (Torrens), რობერტ (1780 — 1864) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი; რიკარდოს ეკონომიური მოძღვრების ეულგარიზატორი; უარყოფდა კაპიტალისტური წარმოების წესის პირობების მიმართ

შრომითი თეორიის გამოყენების შესაძლებლობას. — 249.

ტუკი (Tooke), თომას (1774—1858).— ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ემხრობოდა პოლიტიკური ეკონომიის კლასიკურ სკოლას, რიკარდოს ფულის თეორიის კრიტიკოსი; ავტორი მრავალტომიანი ნაშრომისა «ფასების ისტორია». — 145, 715.

უ

უიდი (Wade), ჯონ (1788 — 1875).— ინგლისელი ბურჟუაზიული პუბლიცისტი, ეკონომისტი და ისტორიკოსი. — 12.

უეიფილდი (Wakefield), ედუარდ გიბონ (1796 — 1862) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომისტი, რომელმაც წამოაყენა კოლონიზაციის ბურჟუაზიული თეორია. — 312, 396, 533.

უესტი (West), ედუარდ (1782 — 1828)—ინგლისელ ეკონომისტი. კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, აშუშავებდა მიწის რენტის საკითხებს. — 32, 144, 155, 156, 173, 186, 319.

ილსონი (Wilson), ჯემს (1805 — 1860) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალ «Economist»-ის დამაარსებელი და რედაქტორი; ფრიტრედეი, ფულის რაოდენობითი თეორიის მოწინააღმდეგე. — 668.

იტნი (Whitney), ილაი (1765 — 1825)—ამერიკელი გამომგონებელი.— 771.

ოლესი (Wallace), რობერტ (1697— 1771) — ინგლისელი მღვდელი და სტატისტიკოსი, ქადაგებდა მოსახლეობის ანტიმეცნიერულ თეორიას, რომელიც შემდეგში მალთუსმა გადმოიღო. — 152, 153.

ოორდი (Ward), უ. ჯ. (XIX საუკ.)— ამერიკელი გამომგონებელი. — 771.

ფ

ფორსტერი (Forster), ნატანიელ (დაახლ. 1726 — 1790) — ინგლისელი მღვდელი, რიგი ეკონომიური შრომების ავტორი, გამოდიოდა მუშათა ინტერესების დასაცავად. — 787.

ფულარტონი (Fullarton), ჯონ (1780 — 1849) — ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ავტორი შრომებისა ფულის მიმოქცევისა და კრედიტის საკითხებზე, ფულის რაოდენობითი თეორიის მოწინააღმდეგე. — 668.

ფურიე (Fourier), შარლ (1772 — 1837) — დიდი ფრანგი სოციალისტუტოპისტი. — 299.

შ

შტორხი (Storch), ანდრია (ანრი, ჰენრიხ) კარლოს ძე (1766 — 1835)— რუსი ეკონომისტი, სტატისტიკოსი და ისტორიკოსი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ეპიგონი. — 122, 127, 384.

ჩ

ჩალმერსი (Chalmers), თომას (1780 — 1847) — ინგლისელი პროტესტანტი თეოლოგი და ბურჟუაზიული ეკონომისტი, მალთუსის მიმდევარი. — 312, 617.

ჰ

ჰალეტი (Hallett) ფრედერიკ ფრენსის (XIX საუკ.) — ინგლისელი ადრონომი. — 618.

ჰანსბრაუ (Hansbrow) (XIX საუკ.) — ამერიკელი გამომგონებელი. — 771.

ჰენრიხ VII (1457 — 1509) — ინგლისის მეფე (1485 — 1509). — 308.
ჰერბერტი (Herbert), კლოდ ჟაკ (1720 — 1758) — ფრანგი ეკონომისტი, ფიზიოკრატი, მალთუსის ერთერთი წინამორბედი მოსახლეობის ანტიმეცნიერული თეორიის დარგში. — 303 — 309.
ჰიულმანნ (Hüllmann), კარლ დიტრიხ (1765—1846)—გერმანელი ბურჟუაზიული ისტორიკოსი, ავტორი რიგ. შრომებისა შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებზე. — 305.
ჰოდსკინი (Hodgskin), თომას (1787 — 1869) — ინგლისელი ეკონომისტი და პუბლიცისტი; იცავდა პროლეტარიატის ინტერესებს და აკრიტიკებდა კაპიტალიზმს უტოპიური სოციალიზმის პოზიციებიდან, რიკარდოს თეორია გამოიყენა სოციალისტური დასკვნებისათვის. — 791.
ჰოპკინსი (Hopkins), თომას—XIX საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი. — 32, 62, 160, 173, 174, 177, 178 — 179, 180 — 181, 788.
ჰოუზი (Hawes) (XIX საუკ.) — ამერიკელი გამომგონებელი. — 771.

ციფრებული და მოხსენიებული ლიფერაფურის საძიებელი*

Anderson, J. A. Calm investigation of the circumstances that have led to the present scarcity of grain in Britian. London, 1801 (ანდერსონი, ჯ. მიუდგომელი გამოკვლევა გარემოებებისა, რომლებმაც გამოიწვიეს პურის ახლანდელი გაძვირება ბრიტანეთში. — 154, 186, 187.

Anderson, J. Essays relating to agriculture and rural affairs. Volumes I—III. Edinburgh and London, 1775 — 1796 (ანდერსონი, ჯ. ნარკვევები მიწათმოქმედებისა და სოფლო-სამეურნეო საქმეების შესახებ. ტომები I — III. ედინბერგი და ლონდონი, 1775 — 1796). — 143 — 144, 189 — 190.

Anderson, J. An Inquiry into the causes that have hitherto retarded the advancement of agriculture in Europe. Edinburgh, 1779 (ანდერსონი, ჯ. გამოკვლევა იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც დღემდე აფერხებდნენ მიწათმოქმედების პროგრესს ევროპაში. ედინბურგი, 1779) — 189.

[Anderson, J.] An Inquiry into the nature of the corn laws; with a view to the new corn-bill proposed for Scotland. Edinburgh, 1777 ([ანდერსონი, ჯ.] გამოკვლევა პურის კანონების ბუნების შესახებ; შოტლანდიისათვის წამოყენებული ახალი პურის ბილის შესახებ. ედინბურგი, 1777). — 143, 154, 155, 158, 187, 189, 209.

Anderson, J. Recreations in agriculture, natural-history, arts, and miscellaneous literature. Volumes I — VI. London, 1799 — 1802 (ანდერსონი, ჯ. ყველასათვის ხელმისაწვდომი საკითხავი სოფლის მეურნეობის, ბუნების ისტორიის, ხელოვნებათა და ხელობათა და აგრეთვე მრავალგვარი სხვა საკითხების შესახებ. ტომები I—IV. ლონდონი, 1799—1802. — 143 — 144, 188.

---

* იმ შემთხვევებში, როცა არ მოხერხდა დანამდვილებით დადგენა, ამა თუ იმ შრომის რომელი გამოცემით სარგებლობდა მარქსი, მოცემულ საძიებელში დასახელებულია მისი პირველი გამოცემა.

კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებულია ანონიმურად გამოსული წიგნების ავტორთა გამოვლენილი სახელები.

[Arbuthnot, J.] An Inquiry into the connection between the present price of provisions, and the size of farms. With remarks on population as affected thereby. By a farmer. London, 1773 ([არბატნოტი, ჯ.] გამოკვლევა სურსათის ახლანდელ ფასებსა და ფერმების სიდიდეთა შორის კავშირის შესახებ. შენიშვნებით მოსახლეობაზე ყოველივე ამის გავლენის შესახებ. ფერმერის თხზულება. ლონდონი, 1773). — 785, 786.

[Bailey, S.] A Critical dissertation on the nature, measures, and causes of value; chiefly in reference to the writings of Mr. Ricardo and his followers. By the author of Essays on the formation and publication of opinions. London, 1825 ([ბეილი, ს.] კრიტიკული გამოკვლევა ღირებულების ბუნების, საზომისა და მიზეზების შესახებ; უმთავრესად რიკარდოსა და მისი მიმდევრების შრომებთან დაკავშირებით. «აზრების ჩამოყალიბებისა და გამოქვეყნების შესახებ ნარკვევების» ავტორის თხზულება. ლონდონი, 1825). — 223, 535, 536, 664.

[Bailey, S.] A Letter to a political economist; occasioned by an article in the «Westminster Review» on the subject of value. London, 1826 ([ბეილი, ს.] წერილი ერთი ეკონომისტისადმი; ღირებულების საკითხზე ჟურნალ «Westminster Review»-ში მოთავსებული სტატიის შესახებ. ლონდონი, 1826). — 223.

Banfield, T. C. The Organization of industry, explained in a course of lectures, delivered in the University of Cambridge in Easter term 1844. Second edition. London, 1848 (ბანფილდი, თ. ჩ. მეურნეობის ორგანიზაცია. ლექციების კურსი, წაკითხული კემბრიჯის უნივერსიტეტში 1844 წლის საღვთგმომ სემესტრში. გამოცემა მეორე. ლონდონი, 1848). პირველი გამოცემა გამოვიდა ლონდონში 1845 წელს. — 18.

Barton, J. Observations on the circumstances which influence the condition of the labouring classes of society. London, 1817 (ბარტონი, ჯ. შენიშვნები ამ გარემოებათა შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოების მშრომელი კლასების მდგომარეობაზე. ლონდონი, 1817). — 752, 772, 773, 778, 779, 781, 782.

Bastian, A. Der Mensch in der Geschichte. Zur Begründung einer psychologischen Weltanschauung. Bände I — III. Leipzig, 1860 (ბასტიანი, ა. ადამიანი ისტორიაში. ფსიქოლოგიური მსოფლმხედველობის დასაბუთებისათვის. ტომები I — III. ლაიფციგი, 1860). — 157.

Blake, W. Observations on the effects produced by the expenditure of government during the restriction of cash payments. London, 1823 (ბლეიკი, უ. შენიშვნები სამთავრობო ხარჯების შედეგების შესახებ ნაღდ გადასახდელთათვის შემოღებულ შეზღუდვათა პერიოდში. — 618.

Carey, H. Ch. The Past, the present, and the future. Philadelphia, 1848 (კერი, ჰ. ჩ. წარსული, აწმყო და მომავალი. ფილადელფია, 1848). — 216, 789.

Corbet, Th. An Inquiry into the causes and modes of the wealth of individuals; or the Principles of trade and speculation explained. London, 1841 (კორბეტი, თ. გამოკვლევა ცალკეული პირების სიმდიდრის მიზეზებისა და მისი შეძენის წესების შესახებ; ანდა ვაჭრობისა და სპეკულაციის პრინციპების ახსნა-განმარტება. ლონდონი, 1841). — 264.

Darwin, Ch. On the origin of

species by means of natural selection, or the Preservation of favoured races in the struggle for life. Fifth thousand. London, 1860 (დ ა რ ვ ი ნ ი, ჩ. ბუნებრივი შერჩევის გზით სახეთა წარმოშობის შესახებ, ანდა სასარგებლო ჯიშების შენარჩუნება არსებობისათვის ბრძოლაში. მეხუთე ათასი. ლონდონი, 1860). პირველი ოთხი ათასი გამოვიდა ლონდონში 1859 წელს. — 153.

[D a v e n a n t, Ch.] Discourses on the publick revenues, and on the trade of England. In two parts. London, 1698 ([დ ა ვ ე ნ ა ნ ტ ი, ჩ.] მსჯელობანი საზოგადოებრივ შემოსავალზე და ინგლისის ვაჭრობაზე. ორ ნაწილად. ლონდონი, 1698). — 142.

[D e Q u i n c e y, Th.] Dialogues of three templars on political economy, chiefly in relation to the Principles of Mr. Ricardo ([დ ე კ ვ ი ნ ს ი, თ.] დიალოგები სამი ეფრიტელის ტაძლიდან პოლიტიკური ეკონომიის შესახებ, უმთავრესად ბ-ნ რიკარდოს «საფუძ-ველებთან» დაკავშირებით. ჟურნალში «The London Magazine», 1824 წ. აპრილი-მაისი). — 567 — 568.

D e Q u i n c e y, Th. The Logic of political economy. Edinburgh and London, 1844 (დ ე კ ვ ი ნ ს ი, თ. პოლიტიკური ეკონომიის ლოგიკა. ედინ-ბურგი და ლონდონი, 1844). — 569, 616.

D o m b a s l e, M. Annales agricoles de Roville, ou Mélanges d'agriculture, d'économie rurale et de législation agricole. Paris, 1824 — 1837 (დ ო მ ბ ა ლ ი, მ. როვილის სასოფ-ლო-სამეურნეო წელთმდეანი, ანუ სხვადასხვა მასალა სოფლის მეურნეობაზე, მის ეკონომიკასა და მის კეთილ-ნილ კანონმდებლობაზე. პარიზი, 1824 — 1837). — 19, 20.

An Enquiry into the causes of the present high price of provisions — იხ. [F o r s t e r, N.] An Enquiry into the causes of the present high price of provisions.

Essay on the application of capital to land — იხ. [W e s t, E.] Essay on the application of capital to land.

[F o r s t e r, N.] An Enquiry into the causes of the present high price of provisions. London, 1767 ([ფ ო რ-ს ტ ე რ ი, ნ.] გამოკვლევა სურსათ-სანონვაგის ახლანდელი მაღალი ფასე-ბის შესახებ. ლონდონი, 1767).—787.

[H o d g s k i n, Th.] The Natural and artificial right of property contrasted. London, 1832 ([ჰ ო დ ს კ ი-ნ ი, თ.] ბუნებრივი და ხელოვნური უფლება საკუთრებისა მათი ერთიმეო-რისადმი დაპირისპირებით. ლონდონი, 1832). — 691.

H o p k i n s, Th. Economical enquiries relative to the laws which regulate rent, profit, wages, and the value of money. London, 1822 (ჰ ო პ კ ი ნ-ს ი, თ. ეკონომიური გამოკვლევანი რენტის, მოგების, ხელფასისა და ფუ-ლის ღირებულების მარეგულირებელი კანონების შესახებ. ლონდონი, 1822). — 62, 160, 178, 180 — 181, 788.

H o p k i n s, Th. On rent of land, and its influence on subsistence and population. London, 1826 (ჰ ო პ-კ ი ნ ს ი, თ. მიწის რენტისა და სა-არსებო საშუალებებზე და მოსახლეო-ბაზე მისი გავლენის შესახებ. ლონ-დონი, 1826). — 173, 174, 177 — 178.

H ü l l m a n n, K. D. Städtewesen des Mittelalters. Theile 1 — 4. Bonn, 1826 — 1829 (ჰ ი ლ მ ა ნ ი, კ. დ. შეა ს-საუკუნეების ქალაქები. ნაწილები 1 — 4. ბონი, 1826 — 1829). — 305.

H u m e, J. D. Thoughts on the cornlaws, as connected with agriculture, commerce, and finance. London, 1815 (ი უ მ ი, ჯ. დ. აზრები პურის კანონებზე და იმაზე, თუ რო-

გორ არის დაკავშირებული ეს კანონები მიწათმოქმედებასთან, ვაჭრობასთან და ფინანსებთან. ლონდონი, 1815). — 537. 790.

An Inquiry into the connection between the present price of provisions, and the size of farms — იხ. [Arbuthnot, J.] An Inquiry into the connection between the present price of provisions, and the size of farms.

An Inquiry into those principles, respecting the nature of demand and the necessity of consumption, lately advocated by Mr. Malthus, from which it is concluded, that taxation and the maintenance of unproductive consumers can be conduciv to the progress of wealth. London, 1821 (გამოკვლევა პრინციპებისა, რომელთაც ახლახან ბ-ნი მალთუსი იცავდა, პრინციპებისა, რომლებიც შეეხება მოთხოვნის ბუნებასა და მოხმარების აუცილებლობას და რომელთაგანაც ის დასკვნა კეთდება, რომ გადასახადებს და არამწარმოებელ მოხმარებელთა შენახვას შეუძლიათ ხელი შეუწყონ სიმდიდრის ზრდას. ლონდონი, 1821).— 650.

Mac Culloch, J. R. The Literature of political economy: a classified catalogue of select publications in the different departments of that science, with historical, critical, and biographical notices. London, 1845 (მაკ-კულოხი, ჯ. რ. პოლიტიკური ეკონომიის ლიტერატურა. ამ მეცნიერების სხვადასხვა ტ:რ:ნ რჩეული ნაბეჭდი შრომების სისტემატური კატალოგი, ისტორიული, კრიტიკული და ბიოგრაფიული ანოტაციებით. ლონდონი, 1845). — 154, 188.

Mac Culloch, J. R. The Principles of political economy. Edinburgh, 1825 (მაკ-კულოხი, ჯ. რ. პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები. ედინბურგი, 1825). — 251, 644.

[Malthus, Th. R.] An Essay on the principle of population. London, 1798 (მალთუსი, თ. რ.] ნარკვევი მოსახლეობის კანონის შესახებ. ლონდონი, 1798). — 145, 149 — 150.

Malthus, Th. R. The Grounds of an opinion on the policy of restricting the importation of foreign corn. London, 1815 (მალთუსი, თ. რ. საფუძველი უცხოური ჰურის შემოზიდვის შეზღუდვის მიზაზშეწონილობის აზრისათვის. ლონდონი, 1815). — 150.

Malthus, Th. R. An Inquiry into the nature and progress of rent, and the principles by which it is regulated. London, 1815 (მალთუსი, თ. რ. გამოკვლევა რენტის ბუნებისა და ზრდის შესახებ, და აგრეთვე მისი მარეგულირებელი. პრინციპების შესახებ. ლონდონი, 1815).— 144, 150, 790.

Malthus, Th. R. Principles of political economy considered with a view to their practical application. London, 1820 (მალთუსი, თ. რ. პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები, განხილული მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ლონდონი, 1820). — 150.

Idem. 2nd edition with considerable additions from the author's own manuscript and an original memoir. London, 1836 (იგივე. გამოცემა მეორე, მნიშვნელოვანი დამატებებით ავტორის ხაკუთარი ხელნაწერიდან და ავტორის მოკლე ბიოგრაფიით. ლონდონი, 1836). — 80.

Marx, K. Misère de la philosophie. Réponse à la Philosophie de la misère de M. Proudhon. Paris — Buxelles, 1847 (მარქსი, კ. ფილოსოფიის სიღატაკე. პასუხი ბ-ნ პრუდონის «სიღატაკის ფილოსოფიაზე».

პარიზი — ბრიუსელი, 1847). — 11, 205.

Marx, K. Zur Kritik der politischen Oekonomie. Erstes Heft. Berlin, 1859 (მარქსი, კ. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. პირველი ნაკვეთი. ბერლინი. — 344 — 345, 661, 680.

Mill, J. Commerce defended. An answer to the arguments by which Mr. Spence, Mr. Cobbett, and others, have attempted to prove that commerce is not a source of national wealth. London, 1808 (მილი, ჯ. ვაჭრობის დაცვა. პასუხი იმ არგუმენტებზე, რომელთა მეშვეობითაც ბ-ნი სპენსი, ბ-ნი კობეტი და სხვები ცდილობდნენ დადგენილებინათ, რომ ვაჭრობა არ არის ეროვნული სიმდიდრის წყარო. ლონდონი, 1808). — 662.

Mill, J. Elements of political economy. London, 1821 (მილი, ჯ. პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები. ლონდონი, 1821). — 197, 662.

Mill, J. St. Essays on some unsettled questions of political economy. London, 1844 (მილი, ჯ. სტ. ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი ჯადაუწყვეტელი საკითხის შესახებ. ლონდონი, 1844). — 156.

The Natural and artificial right of property contrasted — იხ. [**Hodgskin Th.**] **The Natural and artificial right of property contrasted.**

Newman, F. w. Lectures on political economy. London, 1851 (ნიუმენი, ფ. უ. ლექციები პოლიტიკური ეკონომიის შესახებ. ლონდონი, 1851). — 18, 38, 426 — 427.

Opduke, G. A Treatise on political economy. New York, 1851 (ოპდაიკი, ჯ. ტრაქტატი პოლიტიკური ეკონომიის შესახებ. ნიუიორკი, 1851). — 32.

Petty. W. Political arithmetick (1676). In: Petty, W. Several essays in political arithmetick. London, 1699 (პეტი, უ. პოლიტიკური არითმეტიკა (1676). წიგნში: პეტი, უ. ნარკვევები პოლიტიკური არითმეტიკის დარგიდან. ლონდონი, 1699). — 142.

Ricardo, D. An Essay on the influence of a low price of corn on the profits of stock; shewing the inexpediency of restrictions on importation. Second edition. London, 1815 (რიკარდო, დ. ნარკვევი კაპიტალის მოგებაზე პურის დაბალი ფასის გავლენის შესახებ, რომელიც გვიჩვენებს შემოზიდვის შეზღუდვათა მიზანშეუწონლობას. გამოცემა მეორე. ლონდონი, 1815). პირველი გამოცემა გამოვიდა ლონდონში იმავე წელს. — 156, 158 — 159.

Ricardo, D. On protection to agriculture. Fourth edition. London, 1822 (რიკარდო, დ. მიწათმოქმედების მფარველობის შესახებ. გამოცემა მეოთხე. ლონდონი, 1822. პირველი გამოცემა გამოვიდა ლონდონში იმავე წელს. — 159.

Ricardo, D. On the principles of political economy, and taxation. Third edition. London, 1821 (რიკარდო, დ. პოლიტიკური ეკონომიისა და საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლების შესახებ. გამოცემა მესამე. ლონდონი, 1821). პირველი გამოცემა გამოვიდა ლონდონში 1817 წელს. — 159, 160, 199, 213, 216 — 221, 223, 224 — 225, 229 — 238, 241 — 242, 245 — 248, 250 — 258, 259 — 260, 261, 263 — 266, 270 — 278, 281 — 282, 283, 318—321, 324—325, 394, 407, 408 — 409, 410 — 411, 412, 414 — 417, 419 — 420, 421, 424 — 429, 434 — 435, 436 — 441, 445 — 451, 452 — 453, 454, 488, 499 — 507, 513 — 517, 523 — 526, 527 — 528, 529, 531 — 532, 533 — 536, 538, 553, 557, 558 — 559, 561 —

568, 571 — 581, 584, 585—586, 619—626, 629 — 631, 635, 662 — 663, 666, 667, 669 — 676, 678, 698, 701, 705—708, 718 — 720, 722 — 727, 729 — 732, 734 — 741, 743 — 745, 757 — 765, 767 — 769, 772 — 774.

Ricardo, D. Des principes de l'économie politique, et de l'impôt. Traduit de l'anglais par Constancio, avec des notes explicatives et critiques par J. B. Say. Tomes I—II. Paris, 1819 (რიკარდო, დ. პოლიტიკური ეკონომიისა და საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლების შესახებ. თარგმანი ინგლისურიდან კონსტანსიოსი, ჟ. ბ. სეის ახსნა-განმარტებითი და კრიტიკული შენიშვნებით. ტომები I—II. პარიზი, 1819). — 535.

Idem. Seconde édition, revue, corrigée et augmentée d'une notice sur la vie et les écrits de Ricardo. Tomes I — II. Paris, 1835 (იგივე, გამოცემა მეორე, გადასინჯული და შესწორებული, რიკარდოს ცხოვრებისა და თხზულებათა შესახებ შენიშვნის დართვით. ტომები I — II. პარიზი, 1835). — 533, 535.

Rodbertus, J. K. Sociale Briefe an von Kirchmann. Dritter Brief: Widerlegung der Ricardo'schen Lehre von der Grundrente und Begründung einer neuen Rententheorie. Berlin, 1851 (როლბერტუსი, ი. კ. სოციალური წერილები ფონ კირხმანისადმი. წერილი მესამე: უარყოფა რიკარდოს მოძღვრებისა მიწის რენტის შესახებ და დასაბუთება ახალი რენტის თეორიისა. ბერლინი. 1851). — 5, 61 — 62, 63, 65 — 68, 74 — 75, 76 — 77, 80 — 81, 83 — 89, 94, 97, 102, 103, 106, 108, 111 — 112, 134, 192 — 195, 198 — 208, 312.

Roscher, W. System der Volkswirtschaft. Erster Band: Die Grundlagen der Nationalökonomie. Dritte, vermehrte und verbesserte Auflage. Stuttgart und Augsburg, 1858 (როშერი, ვ. სახალხო მეურნეობის სისტემა. ტომი პირველი: პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები. გამოცემა მესამე, შევსებული და შესწორებული. შტუტგარტი და აუგსბურგი, 1858). პირველი გამოცემა გამოვიდა შტუტგარტში დატუბინგენში 1854 წელს.— 154 — 157, 274 — 275, 668.

Say, J. B. Lettres à M. Malthus, sur différens sujets d'économie politique, notamment sur les causes de la stagnation générale du commerce. Paris — Londres, 1820 (სეი, ჟ. ბ. წერილები ბ-ნ მალთუსს პოლიტიკური ეკონომიის სხვადასხვა საკითხებზე, განსაკუთრებით ვაჭრობის საყოველთაო შეფერხების მიზეზებზე. პარიზი — ლონდონი, 1820). — 713.

Say, J. B. Traité d'économie politique, ou Simple exposition de la manière dont se forment, se distribuent, et se consomment les richesses. Seconde édition. Tomes I — II. Paris, 1814 (სეი, ჟ. ბ. ტრაქტატი პოლიტიკური ეკონომიის შესახებ, ანუ უბრალო ასახვა იმისა, როგორ იქმნება, ნაწილდება და მოიხმარება სიმდიდრე. გამოცემა მეორე. ტომები I — II. პარიზი, 1814). პირველი გამოცემა გამოვიდა პარიზში 1803 წელს. — 661 — 662, 663.

Idem. Cinquième édition. Tomes I — III. Paris, 1826 (იგივე. გამოცემა მეხუთე. ტომები I — III. პარიზი, 1826). — 216.

Idem. Sixième édition. Paris, 1841 (იგივე, გამოცემა მეექვსე. პარიზი, 1841). — 216, 586.

Sismondi, J. Ch. L. Sismonde de. Nauveaux principes d'économie politique, ou De la richesse dans ses rapports avec la population. Seconde édition. Tomes I — II. Paris, 1827 (სისმონდი, ჟ. შ. ლ. სი-

მ ო ნ დ დ ე. პოლიტიკური ეკონომიის ახალი საფუძვლები, ანუ სიმდიდრის შესახებ მის მიმართებაში მოსახლეობასთან. გამოცემა მეორე. ტომები I — II. პარიზი, 1827). პირველი გამოცემა გამოვიდა პარიზში 1819 წელს. — 717.

Smith, A. An Inquiry into the nature and causes of the wealth of nations. In two volumes. London, 1776 (**ს მ ი ტ ი,** ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ორ ტომად. ლონდონი, 1776). — 143, 158, 278.

Smith, A. An Inquiry into the nature and causes of the wealth of nations. In three volumes. With notes, and an additional volume, by David Buchanan. Edinburgh, 1814 (**ს მ ი ტ ი,** ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. სამ ტომად. დავიდ ბიუკენენის შენიშვნებით და დამატებითი ტომით. ედინბურგი, 1814). — 210 — 211.

Smith, A. An Inquiry into the nature and causes of the wealth of nations. With a commentary, by the author of «England and America» [E. G. Wakefield]. Volumes I — IV. London, 1835 — 1839 (**ს მ ი ტ ი,** ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. წიგნის «ინგლისი და ამერიკა» ავტორის [ე. გ. უეიკფილდის] კომენტარებით. ტომები I — IV, ლონდონი, 1835 — 1839). — 533.

Smith, A. Recherches sur la nature et les causes de la richesse des nations. Traduction nouvelle, avec des notes et observations, par Germain Garnier. Tomes I — IV. Paris, 1802 (**ს მ ი ტ ი,** ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ჟერმან გარნიეს ახალი თარგმანი, მთარგმნელის სქოლიოებით და შენიშვნებით. ტომები I — IV, პარიზი, 1802). — 282 — 285, 287 — 306, 455— 497.

Steuart, J. An Inquiry into the principles of political oeconomy. In three volumes. Dublin. 1770 (**ს ტ ი უ ა რ ტ ი,** ჯ. გამოკვლევა პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების შესახებ. სამ ტომად. დუბლინი, 1770). პირველი გამოცემა გამოვიდა ლონდონში 1767 წელს. — 301, 742.

Stirling, P. J. The Philosophy of trade; or, Outlines of a theory of profits and prices. Edinburgh, 1846 (**ს ტ ი რ ლ ი ნ გ ი,** პ. ჯ. ვაჭრობის ფილოსოფია, ანუ ნარკვევები შოგებისა და ფასების თეორიის შესახებ. ედინბურგი, 1846). — 31, 617.

Storch, H. Cours d'économie politique, ou Exposition des principes, qui déterminent la prospérité des nations. Tomes I — IV. St.-Pétersbourg, 1815 (**შ ტ ო რ ხ ი,** ჰ. პოლიტიკური ეკონომიის კურსი, ანუ ხალხთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი საფუძვლების გადმოცემა. ტომები I — IV. სანქტ-პეტერბურგი, 1815). — 122, 384.

Tooke, Th. A History of prices, and of the state of the circulation. Volumes I — IV. London, 1838 — 1857 (**ტ უ კ ი,** თ. ფასებისა და შემოქცევის მდგომარეობის ისტორია. ტომები I — IV. ლონდონი, 1838 — 1857). 715.

[Townsend, J.] A Dissertation on the poor laws. By a well-wisher to mankind. London, 1786 (**ტ ა უ ნ ს ე ნ დ ი,** ჯ.] მსჯელობა ღარიბთა კანონების შესახებ. თანხულება ადამიანისა, რომელსაც ხალხისათვის სიკეთე სურს. ლონდონი, 1786) (ბარგსი სარგებლობდა ამ გამოცემის გადანაბეჭდით, რომელიც ლონდონში გამოვიდა 1817 წელს). — 145.

Wade, J. History of the middle and working classes. London, 1833

[უ ე ი დ ი ჯ. საშუალო და მშრომელი კლასების ისტორია. ლონდონი, 1833). — 12.

[W a k e f i e l d, E. G.] A Commentary to Smith's Wealth of nations — იხ. S m i t h, A. An Inquiry into the nature and causes of the wealth of nations. With a commentary, by the author of «England and America».

[W e s t, E.] Essay on the application of capital to land, with observations shewing the impolicy of any great restriction of the importation of corn. London, 1815 ([უ ე ს ტ ი, ე.] ნარკვევი მიწაში კაპიტალის გამოყენების შესახებ, შენიშვნებით, რომლებიც გვიჩვენებენ პურის შემოზიდვის ყოველი მნიშვნელოვანი შეზღუდვის უგუნურებაᲘ. ლონდონი, 1815) — 144, 156.

W e s t, E. Price of corn and wages of labour. London, 1826 (უ ე ს ტ ი, ე. პურის ფასი და მუშების ხელფასი. ლონდონი, 1826). — 173.

პერიოდული გამოცემები

«T h e M o r n i n g S t a r» («დილის ვარსკვლავი»), ლონდონი, 1862 წლის 15 ივლისი. — 435.

«T h e S t a n d a r d» («დროშა»), ლონდონი, 1862 წლის 19 სექტემბერი. — 770, 772.

მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები

ო ვ ი დ ი უ ს ი. მეტამორფოზები. — 157.

შინაარსი

ზედმეტი ღირებულების თეორიები

(„კაპიტალის“ IV ტომი)

ნაწილი მეორე

[თავი მერვე] ბატონი როდბერტუსი. მიწის რენტის ახალი თეორია (გაგრძელება) . . . 5—142

[1) ჰარბი ზედმეტი ღირებულება მიწათმოქმედებაში. მიწათმოქმედების უფრო ნელი განვითარება მრეწველობასთან შედარებით კაპიტალიზმის პირობებში] . . . 5—15

[2) მოგების ნორმის შეფარდება ზედმეტი ღირებულების ნორმასთან. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ღირებულება როგორც მუდმივი კაპიტალის ელემენტი მიწათმოქმედებაში] . . . 15—20

[3) ღირებულება და საშუალო ფასი მიწათმოქმედებაში. აბსოლუტური რენტა] . . . 20—47

[ა) მოგების ნორმის გათანაბრება მრეწველობაში] . . . 20—27

[ბ) მიწის რენტის პრობლემის ფორმულირება] . . . 27—37

[გ) მიწის კერძო საკუთრება როგორც აბსოლუტური რენტის არსებობის აუცილებელი პირობა. ზედმეტი ღირებულების დაყოფა მიწათმოქმედებაში მოგებად და რენტად] . . . 37—47

[4) უსაფუძვლობა როდბერტუსის დებულებისა მიწათმოქმედებაში ნედლი მასალის ღირებულების არარსებობის შესახებ] . . . 47—61

[5) როდბერტუსის მიწის რენტის თეორიის მცდარი წანამძღვრები] . 61—74

[6) როდბერტუსს არ ესმის თანაფარდობა საშუალო ფასსა და ღირებულებას შორის მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში. საშუალო ფასების კანონი] . . . 74—83

[7) როდბერტუსის შეცდომები მოგების ნორმისა და მიწის რენტის ნორმის განმსაზღვრელი ფაქტორების საკითხში] . . . 83—111

[ა) როდბერტუსის პირველი დებულება] . . . 84—87

[ბ) როდბერტუსის მეორე დებულება] . . . 87—103

[გ) როდბერტუსის მესამე დებულება] . . . 103—111

[8) როდბერტუსის მიერ დამახინჯებული კანონის ნამდვილი აზრი] . 111—116

[9) დიფერენციული რენტა და აბსოლუტური რენტა მათს თანაფარდობაში. მიწის რენტის ისტორიული ხასიათი. სმიტისა და რიკარდოს კვლევის მეთოდის საკითხისათვის] . . . 116—134

[10) რენტის ნორმა და მოგების ნორმა. თანაფარდობა მიწათმოქმედების მწარმოებლობასა და მრეწველობის მწარმოებლობას შორის ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე] . . . 134—142

[თავი მეცხრე] შენიშვნები ეჯრეიშოდეფული რიკარდოსეული მიწის რენტის კანონის აღმოჩენის ისტორიის შესახებ. [დამატებითი შენიშვნები როდბერტუსის შესახებ] (გაგრძელება) . . . 143—208

[1) დიფერენციული რენტის აღმოჩენა ანდერსონის მიერ. ანდერსონის შეხედულებათა დამახინჯება მიწის მესაკუთრეთა ინტერესების სასარგებლოდ მისი პლაგიატორის — მალთუსის მიერ] . . . 143—148

[2) მწარმოებლური ძალების განვითარების მოთხოვნა როგორც რიკარდოს ძირითადი პრინციპი ეკონომიური მოვლენების შეფასებაში. გაბატონებული კლასების ყველაზე რეაქციული ელემენტების აპო-

ლოგეტიკა მალთუსის მიერ. მოსახლეობის მალთუსისეული თეორიის ფაქტიური უარყოფა დარვინის მიერ] . . . . . 148—153
[3) მიწის რენტაზე შეხედულებათა განვითარების ისტორიის დამახინჯება როშერის მიერ. რიკარდოს მეცნიერული მიუდგომლობის მაგალითები. რენტა კაპიტალის მიწაში დაბანდებისას და რენტა ბუნების სხვა ელემენტების გამოყენებისას. კოლეტერალური ორმაგი მოქმედება] . . . . . 153—160
[4) როდბერტუსის შეცდომა პროდუქტის გაძვირებისას ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების თანაფარდობის საკითხში] . . . 161—164
[5) აბსოლუტური რენტის უარყოფა რიკარდოს მიერ როგორც მისი ღირებულების თეორიის შეცდომების შედეგი] . . . . . 164—169
[6) რიკარდოს დებულება პურის ფასების მუდმივი გადიდების შესახებ. 1641—1859 წლებში პურის საშუალო ფასების ცხრილი] . . . 169—173
[7) ჰოპკინსის ვარაუდი აბსოლუტური და დიფერენციული რენტის განსხვავების შესახებ; მიწის რენტის ახსნა მიწის კერძო საკუთრებით] . . . . . 173—181
[8) ყამირი მიწის დასამუშავებლად მომზადების ხარჯები. პურის ფასების გადიდებისა და მათი შემცირების პერიოდები (1641—1859 წწ.)] 181—185
[9) ანდერსონი მალთუსის წინააღმდეგ. მიწის რენტა ანდერსონის გაგებით. ანდერსონის დებულება მიწათმოქმედების მზარდი ნაყოფიერებისა და დიფერენციულ რენტაზე მისი გავლენის შესახებ] . . . 186—192
[10) რიკარდოს რენტის თეორიის როდბერტუსისეული კრიტიკის უსაფუძვლობა. როდბერტუსს არ ესმის კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის თავისებურებანი] . . . . . 192—208

[თავი მეათე] რიკარდოსა და ადამ სმიტის ხარჯთფასის თეორია (უარყოფა) . . . . . 209—306

[ა. ჭეშმარიტი ხარჯთფასის თეორია] . . . . . 209—282

[1) ფეზიოკრატების თეორიის კრახი და მიწის რენტაზე შეხედულებათა შემდგომი განვითარება] . . . . . 209—212
[2) ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით, როგორც რიკარდოს თეორიის ძირითადი დებულება. კვლევის რიკარდოსეული მეთოდი, როგორც აუცილებელი საფეხური ეკონომიური მეცნიერების განვითარებაში, და მისი ნაკლოვანებანი. რიკარდოს წიგნის **შედარი არქიტექტონიკა**] . . . . . 213—220
[3) რიკარდოს დაბნეულობა აბსოლუტური და შეფარდებითი ღირებულების საკითხში. ღირებულების ფორმის გაუგებლობა] . . . 220—224
[4) მოგების, მოგების ნორმის, საშუალო ფასების და ა. შ. რიკარდოსეული გაგება] . . . . . 224—265
[ა) რიკარდოს არეული აქვს მუდმივი კაპიტალი ძირითადში და ცვლადები კაპიტალი საბრუნავში. «შეფარდებით ღირებულებათა» და მათი ფაქტორების ცვლილების საკითხის შცდარი დაყენება] . . . . . 224—246
[ბ) ხარჯთფასისა და ღირებულების ერთმანეთში არევა რიკარდოს მიერ და აქედან გამომდინარე წინააღმდეგობანი მის ღირებულების თეორიაში. მოგების ნორმის განთანაბრებისა და ხარჯთფასებად ღირებულებათა გარდაქმნის პროცესის გაუგებლობა მის მიერ] . . . . . 247—265
[5) საშუალო ფასები, ანუ ხარჯთფასები, და საბაზრო ფასები] . . 265—282
[ა) შესავალი შენიშვნები: ინდივიდუალური ღირებულება და საბაზრო ღირებულება; საბაზრო ღირებულება და საბაზრო ფასი] 265—269
[ბ) რიკარდო ერთმანეთში ურევს წარმოების ერთი და იმავე სფეროს შიგნით საბაზრო ღირებულების წარმოქმნის პროცესს და წარმოების სხვადასხვა სფეროებში ხარჯთფასის წარმოქმნის პროცესს] . . . . . 269—275
[გ) «ბუნებრივი ფასის» ორი სხვადასხვა განსაზღვრა რიკარდოს

მიერ. ხარჯთფასების ცვლილებანი შრომის ნაყოფიერების ცვლილებათა საფუძველზე] . . . . . 276—282

[ბ. სმიტის ხარჯთფასის თეორია] . . . . . 282—306

[1) სმიტის ხარჯთფასის თეორიის მცდარი წანამძღვრები. არათანამიმდევრობა რიკარდოსი, რომელმაც შეინარჩუნა ღირებულებისა და ხარჯთფასის სმიტისეული გაგივება] . . . . . 282—289

[2) სმიტის თეორია ხელფასის, მოგებისა და რენტის «ბუნებრივი ნორმის» შესახებ] . . . . . 289—306

[თავი მეთერთმეტე] რიკარდოს რენტის თეორია . . . 307—326

[1) ანდერსონისა და რიკარდოს რენტის თეორიის განვითარების ისტორიული პირობები] . . . . . 307—313

[2) რიკარდოს რენტის თეორიის კავშირი ხარჯთფასის მის გაგებასთან] . . . . . 313—318

[3) რენტის რიკარდოსეული განსაზღვრის არადამაკმაყოფილებლობა] 319—326

[თავი მეთორმეტე] დიფერენციული რენტის ცხრილები აბსოლუტურ პირობებში . . . . . 327—406

[1) ცვლილებები რენტის მასასა და ნორმაში] . . . . . 327—330

[2) დიფერენციული და აბსოლუტური რენტის სხვადასხვა კომბინაციები. ცხრილები A, B, C, D, E] . . . . . 330—353

[3) ცხრილების ანალიზი] . . . . . 353—406

[ა)] A ცხრილის შესახებ [თანაფარდობანი სხვადასხვა თანრიგში ინდივიდუალურ ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის] . . . . . 353—356

[ბ) რიკარდოს რენტის თეორიის კავშირი მიწათმოქმედების კლებადი ნაყოფიერების კონცეფციასთან. აბსოლუტური რენტის ცვლილებათა თანაფარდობა მოგების ნორმის ცვლილებებთან] . 356—361

[გ)] განხილვა საარსებო საშუალებათა და ნედლეულის ღირებულების (მაშასადამე, ასევე მანქანათა ღირებულების) ცვლილების გავლენისა კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე . . . . . 361—379

[დ) ერთობლივი რენტის ცვლილებათა დამოკიდებულება საბაზრო ღირებულების ცვლილებაზე] . . . . . 379—406

[თავი მეცამეტე] რიკარდოს რენტის თეორია (დასასრული) . 407—454

[1) მიწის საკუთრების არარსებობის რიკარდოსეული წანამძღვარი. გადასვლა ახალ მიწის ნაკვეთებზე მათი ადგილმდებარეობისა და ნაყოფიერების მიხედვით] . . . . . 407—414

[2) რიკარდოსეული დებულება ხორბლის ფასზე რენტის გავლენის შეუძლებლობის შესახებ. აბსოლუტური რენტა როგორც მიწათმოქმედების პროდუქტის ფასის გადიდების მიზეზი] . . . . . 414—420

[3) სმიტისა და რიკარდოს კონცეფცია სოფლის მეურნეობის პროდუქტის «ბუნებრივი ფასის» შესახებ] . . . . . 420—424

[4) რიკარდოს შეხედულებანი მიწათმოქმედების გაუმჯობესებაზე. რიკარდომ ვერ გაიგო სამიწათმოქმედო კაპიტალის ორგანული შედგენილობის ცვლილებათა ეკონომიური შედეგები] . . . . . 425—438

[5) რენტაზე სმიტის შეხედულებათა და მალთუსის ზოგიერთი დებულების რიკარდოსეული კრიტიკა] . . . . . 438—454

[თავი მეთოთხმეტე] პ. სმიტის რენტის თეორია . . . 455—497

[1) სმიტის წინააღმდეგობანი რენტის პრობლემის დაყენებაში] . . 455—471

[2) სმიტის დებულება მიწათმოქმედების პროდუქტის მოთხოვნის განსაკუთრებული ხასიათის შესახებ. ფიზიოკრატული ელემენტი სმიტის რენტის თეორიაში] . . . . . 471—477

[3] მიწის პროდუქტების სხვადასხვა სახეობათა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებული თანაფარდობის სმიტისეული განმარტება. სმიტის დასკვნები რენტის თეორიისათვის] . . . . . 478—488
[4] მიწის პროდუქტთა ფასების ცვლილებათა სმიტისეული ანალიზი] 488—495
[5] სმიტის შეხედულება რენტის მოძრაობაზე და მისი შეფასება სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების ინტერესებისა] . . . . 496—497

[თავი მეთხუთმეტე] ზედმეტი ღირებულების რიკარდოსეული თეორია . . . . . 498—569

ა. ზედმეტ ღირებულებაზე რიკარდოს წარმოდგენათა კავშირი მის შეხედულებებთან მოგებასა და რენტაზე] . . . . . 498—528
[1] რიკარდოს არეული აქვს ზედმეტი ღირებულების კანონები მოგების კანონებში] . . . . . 498—506
[2] მოგების ნორმის ცვლილების სხვადასხვა შემთხვევა] . . . 506—510
[3] ერთიმეორის საწინააღმდეგო ცვლილებანი მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებაში და მათი გავლენა მოგების ნორმაზე] 510—513
[4] ხარჯთფასისა და ღირებულების არევა რიკარდოსეულ მოგების თეორიაში] . . . . . 513—516
[5] მოგების საერთო ნორმისა და აბსოლუტური რენტის ნორმის ურთიერთდამოკიდებულება. ხელფასის შემცირების გავლენა ხარჯთფასებზე] . . . . . 516—528

[ბ. ზედმეტი ღირებულების პრობლემა რიკარდოსთან] . . . . . 528—569

1) შრომის რაოდენობა და შრომის ღირებულება [კაპიტალზე შრომის გაცვლის პრობლემის გადაუწყვეტლობა იმ სახით, როგორც მას რიკარდო აყენებს] . . . . . 528—534
2) სამუშაო ძალის ღირებულება. შრომის ღირებულება. [რიკარდო ერთმანეთში ურევს შრომასა და სამუშაო ძალას. «შრომის ბუნებრივი ფასის» კონცეფცია] . . . . . 534—540
3) ზედმეტი ღირებულება. [რიკარდო არ იძლევა ზედმეტი ღირებულების წარმოშობის ანალიზს. რიკარდოს შეხედულება სამუშაო დღეზე როგორც მუდმივ სიდიდეზე] . . . . . 540—558
4) შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება. [შეფარდებითი ხელფასის ანალიზი როგორც რიკარდოს მეცნიერული დამსახურება] . . . 558—569

[თავი მეთექვსმეტე] რიკარდოს მოზგების თეორია . . . . 570—630
[1] მოგებისა და ზედმეტი ღირებულების განსხვავების ცალკეული შემთხვევები რიკარდოსთან] . . . . . 570—578
[2)] მოგების («საშუალო მოგების», ანუ «ჩვეულებრივი მოგების») საერთო ნორმის წარმოქმნა . . . . . 578—586
[ა) მოგების წინასწარ მოცემული საშუალო ნორმა როგორც ამოსავალი პუნქტი რიკარდოს მოგების თეორიისა] . . . 578—583
[ბ) რიკარდოს შეცდომები მოგების ნორმაზე კოლონიური და საერთოდ საგარეო ვაჭრობის გავლენის საკითხში] . . . . 583—586
[3)] მოგების ნორმის დაცემის კანონი . . . . . 586—630
[ა) მოგების ნორმის დაცემის რიკარდოსეული კონცეფციის მცდარი წანამძღვრები] . . . . . 586—588
[ბ) ანალიზი რიკარდოს დებულებისა იმის შესახებ, რომ მზარდი რენტა თანდათანობით ნთქავს მოგებას] . . . . . 588—602
[გ) მოგების ნაწილისა და კაპიტალის ნაწილის გადაქცევა რენტად. რენტის სიდიდის ცვლილება მიწათმოქმედებაში გამოყენებული შრომის რაოდენობის ცვლილებათა მიხედვით] . . . . . 602—616

[დ) ისტორიული ილუსტრაცია მოგების ნორმის გადიდებისა მიწათმოქმედების პროდუქტთა ფასების იმავდროული გადიდების დროს. მიწათმოქმედებაში შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაძლებლობანი] . . . . . 616—618
[ე) მოგების ნორმის დაცემის ახსნა რიკარდოს მიერ და ამ ახსნის კავშირი მის რენტის თეორიასთან] . . . . . 619—630

[თავი მეჩვიდმეტე] დაგროვების რიკარდოსეული თეორია. მისი კრიტიკა. კრიზისების გამოუვანა კაპიტალის ძირითადი ფორმიდან . . . . . 631—732

[1) შეცდომა სმიტისა და რიკარდოსი, რომლებიც მხედველობიდან უშვებდნენ მუდმივ კაპიტალს. მუდმივი კაპიტალის სხვადასხვა ნაწილების კვლავწარმოება] . . . . . 631—635
[2) მუდმივი კაპიტალის ღირებულება და პროდუქტის ღირებულება] 635—639
[3) კაპიტალის დაგროვების აუცილებელი პირობები. ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია და მისი როლი დაგროვების პროცესში] . 640—645
[4) კავშირი წარმოების დარგებს შორის დაგროვების პროცესში. ზედმეტი ღირებულების ნაწილის უშუალო გადაქცევა მუდმივ კაპიტალად როგორც დაგროვების თავისებურება მიწათმოქმედებასა და მანუფაქტურაში] . . . . . 645—657
[5) კაპიტალიზებული ზედმეტი ღირებულების გადაქცევა მუდმივ და ცვალებად კაპიტალად] . . . . . 657—660
[6) კრიზისების პრობლემა (შესავალი შენიშვნები). კაპიტალის გაფუჭებადობა კრიზისების დროს] . . . . . 660—666
[7) უაზრობა მტკიცებისა, რომელიც საქონელთა ჭარბწარმოებას უარყოფს და ამავე დროს კაპიტალს სიჭარბეს აღიარებს] . . . 666—669
[8) რიკარდო უარყოფს საყოველთაო ჭარბწარმოებას. კრიზისის შესაძლებლობა. რასაც საქონლისა და ფულის შინაგანი წინააღმდეგობანი შეიცავენ] . . . . . 669—678
[9) რიკარდოს მცდარი შეხედულება წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებულ თანაფარდობაზე კაპიტალიზმის პირობებში] . . 678—680
[10) კრიზისის შესაძლებლობის გადაქცევა სინამდვილედ. კრიზისი როგორც ბურჟუაზიული ეკონომიკის ყველა წინააღმდეგობის გამოვლენა] . . . . . 680—689
[11) კრიზისის ფორმების საკითხისათვის] . . . . . 689—694
[12) წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის კაპიტალიზმის პირობებში. წამყვან მოხმარების საგანთა ჭარბწარმოების გადაქცევა საყოველთაო ჭარბწარმოებად] . . . . . 695—703
[13) შეუსაბამობა წარმოების გაფართოებასა და ბაზრის გაფართოებას შორის. რიკარდოსეული კონცეფცია მოხმარების ზრდისა და შინაბაზრის გაფართოების უსაზღვრო შესაძლებლობათა შესახებ] . 703—707
[14) წინააღმდეგობა მწარმოებლური ძალების შეუწერებელ განვითარებასა და მასების მოხმარება შეზღუდულობის შორის როგორც ჭარბწარმოების საფუძველი. საყოველთაო ჭარბწარმოების შეუძლებლობის თეორიის პოლოგეტიკური არსი] . . . . . 707—717
[15) რიკარდოს შეხედულებანი კაპიტალის დაგროვების სხვადასხვა წესებზე და დაგროვების ეკონომიურ შედეგებზე] . . . . . 718—732

[თავი მეთვრამეტე] სხვადასხვა რიკარდოსთან. ჯონ ბარტონი . . . . . 733—782

[ა.] მთლიანი და წმინდა შემოსავალი . . . . . 733—737
[ბ.] მანქანები [რიკარდო და ბარტონი მუშათა კლასის მდგომარეობაზე მანქანათა გაღლენის შესახებ] . . . . . 738—782

[1) რიკარდოს შეხედულებანი] . . . . . 738—772
[ა) რიკარდოს თავდაპირველი მიხვედრა მანქანების მიერ მუშების ნაწილის გაძევების შესახებ] . . . . . 738—740
[ბ) რიკარდო სიქონელთა ღირებულებაზე წარმოების გაუმჯობესებათა გავლენის შესახებ. მცდარი დებულება დათხოვნილი მუშებისათვის ხელფასის ფონდის განთავისუფლების შესახებ] . 740—743
[გ) მეცნიერული კეთილსინდისიერება რიკარდოსი, რომელმაც გადასინჯა თავისი შეხედულებანი მანქანების საკითხში. წინანდელი მცდარი წანამძღვარები, რომლებიც შემორჩა რიკარდოს საკითხის ახალ დასმაში] . . . . . 744—756
[დ) მუშათა კლასისათვის მანქანების შემოღების ზოგიერთი შედეგის სწორი კონსტატაცია რიკარდოს მიერ. ანოლოგეტიკურ წარმოდგენათა არსებობა პრობლემის რიკარდოსეულ გამუშებაში] . . . . . 756—772
[2) ბარტონის შეხედულებანი] . . . . . 772—782
[ა) ბარტონის დებულება შრომის მოთხოვნის შეფარდებითი შემცირების შესახებ კაპიტალის დაგროვების პროცესში. ბარტონსა და რიკარდოს არ ესმით ამ მოგლენის შინაგანი კავშირი შრომაზე კაპიტალის ბატონობასთან] . . . . . 772—778
[ბ) ბარტონის შეხედულებანი ხელფასის მოძრაობასა და მუშამოსახლეობის ზრდაზე] . . . . . 778—782

დ ა მ ა ტ ებ ა ნ ი

[1) ადრინდელი ფორმულირება თვზისისა სოფლის მეურნეობაში მიწოდებასა და მოთხოვნას შორის მუდმივი შესაბამისობის შესახებ. როდბერტუსი და XVIII საუკუნის პრაქტიკოს-ეკონომისტები] . . . . 785—786
[2) ნათანიელ ფორსტერი მიწის მესაკუთრეებსა და მრეწველებს შორის არსებული მტრობის შესახებ] 787
[3) ჰოპკინსის შეხედულება რენტასა და მოგებას შორის არსებულ თანაფარდობაზე] 788
[4) კერი, მალთუსი და ჯემს დიკონ იუმი მიწათმოქმედების გაუმჯობესებათა შესახებ] . . . . . 789—790
[5) ჰოდსკინი და ანდერსონი მიწათმოქმედებაში ნაყოფიერების ზრდის შესახებ] 791
[6)] მოგების ნორმის შემცირება 792
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი 795
ს ა ხ ე ლ თ ა ს ა ძ ი ებ ე ლ ი 820
ც ი ტ ი რ ებ უ ლ ი ა ნ ი ო ბ ა ნ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ს ა ძ ი ებ ე ლ ი 826

ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ებ ი

კ. მარქსის «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერის მეორე ნაწილის პირველი გვერდი (გვერდი 445-ე 1861—1863 წლების ხელნაწერის X რვეულში) . . . . . 7—8
კ. მარქსის «ზედმეტი ღირებულების თეორიების» ხელნაწერის გვერდი, სადაც მოცემულია 1641 — 1749 წლებში ხორბლის საშუალო წლიური დასების ცხრილები 175

К. МАРКС

ТЕОРИИ ПРИБАВОЧНОЙ СТОИМОСТИ

(IV том «Капитала»)

Часть вторая (главы VIII—XVIII)

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1968

ტექრედაქტორი ვ. ჭიჭინაძე
კორექტორები: ნ. მიქელაძე, ლ. არეშიძე, ო. ცინცაძე

გადაეცა წარმოებას 10/X-66 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/IV-68 წ. ქაღალდის ზომა 60 × 90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 52,5 + 1 ჩაკერა. სააღრ.-საგამომც. თაბახი 48,63.
ტირაჟი 2 000. შეკვ. № 2002.
ფასი 1 მან. 47 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის საბჭოთა კომიტეტის მთავარპოლიგრაფიწარმოების ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати. Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.